



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის მეშვეობით (№A – 23 - 09). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the *SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION (Grant № A-23-09)*. All ideas expressed here with are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

***TSU IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
IV. JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND
ETHNOLOGY***

***SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION***

***QUESTIONS OF ETHNIC ENTITY OF THE POPULATION
OF KARTLI REGION AND CHANGES OF
ANTHROPOLOGICAL TYPE FROM III
MILLENNIUM B.C. THROUGH
XX A.D.***

***Liana Bitadze, David Chitanava, Shorena Laliashvili,
Eliso Kvavadze, Tamaz Zubiashvili***

Publishing House “Meridiani”

T b i l i s i

2 0 1 1

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი*



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



*ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და
ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III
ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით*

*ლიანა ბითაძე, დავით ჭითანავა, შორენა ლალიაშვილი,
ელისო ყვავაძე, თამაზ ზუბიაშვილი*

გამომცემლობა „მერიდიანი“

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 1

მონოგრაფიაში ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, პირველადაა შესწავლილი ისტორიული ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან დღემდე და განხილულია ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური სურათის დინამიკა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის საფუძველზე.

ისტორიული, ანთროპოლოგიური, პალინოლოგიური და დემოგრაფიული მასალების კვლევის შედეგად, მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის ჭრილში, ნაშრომში განხილულია ფიზიკური ტიპის ცვალებადობა, საცხოვრებლის ეკოლოგიური გარემო, თანამედროვე მიგრაციული პროცესების თავისებურება, არქეოლოგიურ, ენობრივ, ასევე წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით წარმოებული უძველესი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევა.

ნაშრომი განკუთვნილია ანთროპოლოგების, ისტორიკოსების, დემოგრაფების და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სურათი გარეკანზე: მტკვარ-არაქსის კულტურის აკლამა ჭობარეთიდან (სამცხე-ჯავახეთი).

პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი,

პასუხისმგებელი რედაქტორი და გამომცემელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა ბითაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი *ნინო მინდაძე*,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი *კახა კახიანი*

© ავტორთა ჯგუფი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

ISBN 978-9941-10-443-5

სარჩევი

შესავალი..... 7-8

თავი I. ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (გ. მელაძე, ე. ყვავაძე)..... 9-20

თავი II. საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები..... 21-204

1. მტკვარ-არაქსის კულტურა (დ.ჭითანავა)..... 21-48

2. მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპი და
ყორღანული კულტურა (დ.ჭითანავა)..... 119-182

3. მტკვარ-არაქსის და თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელ
ტომთა ანთროპოლოგიური ტიპი (ლ. ბითაძე) 182-204

თავი III. საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის საკითხები
ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. I ათასწლეულში..... 204

1. ქართულ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები არქეოლოგიური
მასალების მიხედვით (დ. ჭითანავა)..... 204-300

2. ტერმინი „ქართლი“, „ქართველი“ და ქართველურ ტომთა ეთნიკური
ისტორიის საკითხები (დ. ჭითანავა)..... 300-341

3. ტერმინი „იბერია“ და იბერთა ეთნიკური ვინაობის საკითხი (დ. ჭითანავა)..... 341-352

4. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და ძვ. წ. I ათასწლეულის
მოსახლეობის პოლიმორფიზმი (ლ. ბითაძე) 352-422

თავი IV. მოსახლეობის კრანოლოგიური პოლიმორფიზმი I საუკუნიდან
XIX ჩათვლით (ლ.ბითაძე, შ.ლალიაშვილი) 423-457

უძველესი მოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია ფიზიოლოგიური
სტრესის მარკერების გავრცელების მიხედვით (შ. ლალიაშვილი)..... 458-469

თავი V. დისკრეტულად ვარიირებული ნიშნების ცვალებადობა დროში ძვ. წ.
III ათასწლეულიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით (ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი)..... 470

1. დისკრეტულად ვარიირებული ნიშნების ცვალებადობა დროში
ძვ. წ. III ათასწლეულიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით
(ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი) 470-481

2. ძირითადი ანომალიების გავრცელება და დინამიკა საქართველოს
უძველეს მოსახლეობაში (ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი) 481-494

თავი VI. ქართლში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურების დროს არსებული
პალეოკოლოგიური პირობების და ცხოვრების წესის
რეკონსტრუქცია ბოლო 5000 წლის განმავლობაში (ე. ყვავაძე) 495-576

თავი VII. ქართლის თანამედროვე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა,
განსახლება, დინამიკა (თ. ზუბიაშვილი)..... 577-650

თავი VIII. ქართლის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპები და
მათი ურთიერთგენეტიკური კავშირი (ლ. ბითაძე) 651-724

თავი IX. დერმატოგლიფიკური პოლიმორფიზმის მნიშვნელობა უძველესი
კავშირების გამოსვლენად (ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი)..... 725-794

1. აღწერილობითი ნიშნები 725-766

2. რაოდენობრივი ნიშნები 767-795

თავი X. ქართლის თანამედროვე მოსახლეობის გენეტიკური სტრუქტურა
სისხლის იზოანტიგენური სისტემების მიხედვით (ლ. ბითაძე) 796-849

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 850-856

Contents

Introduction	7-8
Chapter I. Historical-geographical review of Kartli (G.Meladze, E.Kvavadze).....	9-20
Chapter II. Issues of ethnic identity of ancient population of Georgia	21-204
1. Mtkvari-Araks culture (<i>D.Chitanava</i>).....	21-48
2. Final stage of Mtkvari Araks culture and kurgan culture (<i>D.Chitanava</i>).....	119-182
3. Anthropologic type of Mtkvari-Araks culture tribes (<i>L.Bitadze</i>).....	182-204
Chapter III. Issues of ethnic history of ancient population of Georgia in the second half of the II millennium B.C. and the I millennium B.C.	204
1. Ethnic history issues of Georgian tribes according to the archaeological material (<i>D.Chitanava</i>)	204-203
2. Term “Kartli”, “Kartveli” and some issues of ethnic history of Georgian (Kartveli) tribes (<i>D.Chitanava</i>)	300-341
3. Term “Iberia” and the issue of ethnic identity of Iberians (<i>D.Chitanava</i>)	341-352
4. Polymorphism of population of the second half of the II millennium B.C. and I millennium B.C. (<i>L.Bitadze</i>)	352-422
Chapter IV. Craniological polymorphism of the population from the I century including the XIX century (<i>L.Bitadze, Sh.Laliashvili</i>)	423-457
Reconstruction of livestyle of paleopopulation according to the distribution of physiological stress markers (<i>Sh. Laliashvili</i>).....	458-469
Chapter V. Alteration of discretely variable signs in time, from the III millennium B.C. including the current epoch (<i>L.Bitadze, Sh.Laliashvili</i>)	470
1. Alteration of discretely variable signs in time, from the III millennium B.C. including current epoch (<i>L.Bitadze, Sh.Laliashvili</i>)	470-481
2. Spreading and dynamics of the main anomalies in ancient population of Georgia (<i>L.Bitadze, Sh.Laliashvili</i>)	481-494
Chapter VI. The palaeoecological conditions and life style reconstructions existed in Kartli in different Archaeological Culture times for last 5000 years according to the palynological date. (<i>E.Kvavadze</i>)	495-576
Chapter VII. Ethnic composition of contemporary population of Georgia, dislocation, dynamics (<i>T.Zubiashvili</i>)	577-650
Chapter VIII. Anthropologic types of present day population of Kartli and their genetic relation (<i>L.Bitadze</i>)	651-724
Chapter IX. Significance of dermatoglyphic polymorphism for the exposure of ancient relations (<i>L.Bitadze, Sh.Laliasjvili</i>).....	725-794
Descriptive signs	725-766
Quantitative signs.....	767-795
Chapter X. Genetic structure of the present day population of Georgia according to blood iso-antigen system (<i>L.Bitadze</i>).....	796-849
Summary	850-856

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს, ისტორიული და მომდევნო პერიოდის პოლიტიკური ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის კომპლექსურად შესწავლის პირველ ცდას. კერძოდ, ეთნიკური ისტორიის საკითხები შესწავლილია არქეოლოგიური მასალების, წერილობითი წყაროების, ანთროპოლოგიური, დემოგრაფიული და პალეოლოგიური კვლევების საფუძველზე, რომელიც მოიცავს პერიოდს ძვ.წ. III ათასწლეულიდან დღევანდელ დღემდე.

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი) და მთლიანობაში მტკვარ-არაქსის კულტურის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხები. განხილულია როგორც დაკრძალვის ფორმა და ტიპი, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და შედარებით გვიანდელი ხანის ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში ამ რეგიონზე არსებული მონაცემები. მტკვარ-არაქსის კულტურის ეთნიკური ისტორიის საკითხები შესწავლილია სხვა ადრესამიწადმოქმედო კულტურებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საკითხისადმი მსგავსი მიდგომებით გამოკვლეულია მტკვარ-არაქსის მომდევნო ყორღანული კულტურის (ბედენი, მარტყოფი, თრიალეთი) მატარებელ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხები და მისი ურთიერთმიმართება, როგორც წინარე მტკვარ-არაქსულ მოსახლეობასთან, ისე წინა აზიის კულტურებთან და მსოფლიოს სხვა ხალხში არსებულ ყორღანულ კულტურის მატარებელ ტომებთან. კვლევის იმავე მიმართულებით და უფრო ვრცელი წერილობითი წყაროების გამოყენების შედეგად განხილულია ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის პრობლემები ყორღანული კულტურის მომდევნო ეპოქიდან I საუკუნემდე.

ნაშრომში წერილობითი წყაროების და ენობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ქართის და სხვა ქართველურ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები და თვით ტერმინი ქართი \\\\ ქართლი-ს სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი.

შესწავლილია ტერმინ იბერიის ისტორია-ეტიმოლოგია და მისი, როგორც პოლიტიკური და ეთნიკური ტერმინის ურთიერთმიმართება ქართლთან და ქართის ტომთან. ამ კონტექტში წინაა წამოწეული მესხთა ტომის ეთნიკური ისტორიის საკითხები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე პირველი პოლიტიკური გაერთიანების – იბერიის სამეფოს წარმოქმნაში.

ნაშრომში ანთროპოლოგიური (პალეოანთროპოლოგიური) მონაცემებით, არსებულ ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ მასალაზე დაყრდნობით (ადრებრინჯაოდან მოყოლებული თანამედროვეობის ჩათვლით), აღინიშნება მოსახლეობის მემკვიდრეობითობა, რომელიც კრანიოლოგიური მონაცემების გარდა, დისკრეტულად-ვარიანებულ ნიშანთა კომპლექსით, დერმატოგლიფიკური ხარისხობრივი და აღწერილობითი ნიშნებით მტკიცდება.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე მტკვარ-არაქსის მოსახლეობაში ორი ანთროპოლოგიური (ევროპეიდული) ტიპი (მასიური და გრაცილური) იკვეთება, ამ ტიპების ურთიერთმსგავსება ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი ნიშნით აღინიშნება.

თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური იერი ატარებს ინფორმაციას იმ რთული გენეტიკური პროცესების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ერის ჩამოყალიბებაში.

ანთროპოლოგიის განყოფილებაში დაცული, წლების მანძილზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ქართველი არქეოლოგების მიმართ.

მადლობას ვუხდით, ასევე, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ყოფილ თანამშრომლებს რომლებმაც დიდი შრომა გაწიეს დღეს არსებული ანთროპოლოგიური მასალების მოპოვებაში და ანთროპოლოგიური კოლექციების შექმნაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ-ნ მალხაზ აბდუშელიშვილის დვაწლი.

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის მზია ბითაძეს, ნანა ბახსოლიანს, მაკა ჭკადუას, თამარ გოგოლაშვილს და ინგა მარტყოფიშვილს გაწეული დახმარებისთვის.

თავი I

ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ისტორიული ქართლი ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. იგი თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ზემო, შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიას. დღევანდელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფით ისტორიული ქართლის ტერიტორია შედის შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში. ქართლი ეთნიკურ-გეოგრაფიულად ორ მხარეს მოიცავდა: „ზენა სოფელი“ – შეესატყვისება გვიანდელი პერიოდის შიდა ქართლს. მკვლევართა ვარაუდით, ასევე უნდა არსებულებოდა „ქვედა სოფელი“ – შესატყვისად ქვემო ქართლი¹. ქვემო ქართლი გამოიყოფა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნიშნების მიხედვითაც².

ზემო ქართლი

ზემო ქართლი საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მე-16 საუკუნემდე იგი - ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლიდან – ტაშისკარიდან იწყებოდა და მდ. მტკვრის სათავემდე ვრცელდებოდა, აგრეთვე მოიცავდა მდ. ჭოროხის აუზის ზემო ნაწილს. მტკვრის აუზში მდებარეობდა – კოლა, ერუშეთი, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე, გარდა ამისა მის შემადგენლობაში შედიოდა ისტორიული მხარე თორი. მდ. ჭოროხის აუზში მდებარეობდა - სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, საუკუნეთა მანძილზე მის საზღვრებში შემოდიოდა მდ. არაქსის ხეობის მიმდებარე მხარეები ბასიანი და კარი³. ამჟამად - სამცხეს, ჯავახეთისა და თორის გარდა, ზემოაღნიშნული ისტორიული პროვინციები თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

სტრატონის მიხედვით, ზემო ქართლის ტერიტორიას უძველეს დროში „მოსხიკე“ (ქართულად მესხეთი) ეწოდებოდა. ზემო ქართლი ისტორიულ წყაროებში პირველად მე-12 საუკუნეში მოიხსენიება. სამცხეს ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მოსაზრებით ადრე ოძრხე ეწოდებოდა.

სამცხეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ფერსათის მთები, აღმოსავლეთით მდ. ჭობისხევი, სამხრეთით ერუშეთის მთები, კასრის სერი, გუმბათისა და ვანის მთები, ხოლო დასავლეთით არსიანის ქედი. სამცხეს ცენტრები იყო უძველესი ქალაქები ოძრხე (თანამედროვე აბასთუმანი) და აწყური. 1040-1050-იან წლებში სამცხე გავლენიანი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის გამგებლობაში იმყოფებოდა, შემდგომ წლებში კი ბაგრატოვანთა ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სამცხეს ეკონომიკური და კულტურული აღზევების ხანაში (მე-11-14 სს.), აშენდა საფარის, ზარზმის, და სხვა ტაძრები. ამ დროისათვის აქ ორი საეპისკოპოსო იყო (აწყურის და წურწყაბის). მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ზემო ქართლის გავლენიანმა ფეოდალებმა – ჯაყელებმა დამოუკიდებელ სამთავროს დაუდეს საფუძველი, რომელსაც სამცხე-საათაბაგო ეწოდებოდა. ძალიან მალე აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთმა მიიტაცა და ახალციხის საფაშო შექმნა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა მიიტაცეს აღნიშნული

¹ ქსე. ტ.10. თბილისი, 1986. გვ. 465.

² მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ნაწილი 2, თსუ, 1970. გვ. 271-315.

³ გვასალია ჯ. საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. თბილისი, 2002. გვ.9.

ტერიტორია, რომლის მხოლოდ ნაწილის დაბრუნება მოხერხდა საქართველოს შემადგენლობაში 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ.

ჯავახეთი ისტორიულად შარვაშეთის, სამსარიისა და ნიალისყურის მთებს შორის მდებარეობდა, დასავლეთიდან მას მდ. მტკვარი საზღვრავდა. ისტორიულ წყაროებში ჯავახეთი პირველად ძვ.წ.ადრ. 785 წელსაა მოხსენიებული. იგი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავოს წარმოადგენდა რომლის ცენტრსაც წუნდა წარმოადგენდა. ისტორიულ წარსულში ახალქალაქის ზეგანის ტერიტორიას ზემო ჯავახეთი ეწოდებოდა, რომლის მთავარი ქალაქი XI საუკუნიდან ახალქალაქი ხდება. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიას ქვემო ჯავახეთი ეწოდებოდა, მისი ცენტრი X საუკუნიდან თმოგვი იყო. XI-XIII სს. ჯავახეთში ფართოდ გაიშალა ეკლესიამონასტრების, გზების, ხიდებისა თუ სამეფო რეზიდენციების მშენებლობები. XII საუკუნიდან ჯავახეთს თორელთა ფეოდალური საგვარეულო განაგებდა. შემდგომ საუკუნეში მის საზღვრებში მოექცა რა სამცხის ნაწილი და პალაციო მისი ადმინისტრაციული საზღვრები გაფართოვდა. XV საუკუნეში ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაშია, რის შემდგომ იგი ოსმალეთმა (XVI ს.) დაიპყრო.

ისტორიული თორი თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და ძირითადად ბორჯომის ხეობას მოიცავდა. მის შემადგენლობაში შედიოდა საკუთრივ თორი, სადგერი და ხეობა. ვახუშტი ბაგრატიონისეული დახასიათებით თორი იყო - „შემკული მთითა, ბართა, პირუტყვითა, ნადირ-ფრინველითა“. აქ ზამთარი ზომიერად ცივი და თოვლიანია, ზაფხული არ გამოირჩევა სიცხეებით. მხარე მდიდარია მინერალური წყაროებით. შუა ფეოდალურ ხანაში თორი ცალკე სადროშოს წარმოადგენდა, რომელსაც თორელების ფეოდალური საგვარეულო ედგა სათავეში. აღნიშნულ პერიოდში იგი ჯავახეთისა და სამცხის ნაწილსაც მოიცავდა. თორის ოსმალეების მიერ დაპყრობამდე (XVI ს.) იგი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში იყო.

მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა, მნიშვნელოვანი განსხვავებებია ზემო ქართლში შემავალი ისტორიული მხარეების ბუნებრივ პირობებს შორის, რაც უმთავრესად გეოგრაფიული ფაქტორითაა განპირობებული. სამცხის ტერიტორია, რომელიც ძირითადად მდ. მტკვრის ხეობას და ახალციხის ქვაბულს მოიცავს ზღ. დონიდან 900-950 მეტრზეა განფენილი, ხოლო ჯავახეთი – რომელიც ძირითადად ჯავახეთის ზეგანს მოიცავს ზღ. დონიდან 1500-2000 მეტრზე მდებარეობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი მშრალი ჰავით ხასიათდება. აქ წლიური ნალექების ჯამი 400-600 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 10-6°-ია, ცივი თვის კი -4, -6°¹. ჯავახეთში ჰავა უფრო მკაცრია, საშუალო წლიური ტემპერატურა აქ მხოლოდ 2-6°-ს შეადგენს, ცივი თვის კი -7, -11°-ს². თოვლი ჯავახეთში 4-5 თვე დევს. ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი 650-700 მმ-ია. მეურნეობის დარგებიდან სამცხეში უძველესი დროიდან დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობა. მოჰყავდათ მარცვლეული და ბოსტნეული, მნიშვნელოვანი ფართობები ეკავა ხილის ბაღებსა და ვენახს. ოსმალეების მიერ მხარის დაპყრობის

¹ მარუაშვილი ღ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ნაწილი 2, თსუ, 1970. გვ. 271-315.

² Ломинадзе В.П., Чиракадзе Г.И. (ред.). 1971. Климат и климатические ресурсы Грузии. Гидрометеорологическое Издательство. Ленинград, 382 стр.

შემდეგ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სიცოცხლის გადასარჩენად საქართველოს სხვა მხარეებში მიგრირებდა, იცლებოდა სოფლები. აღნიშნული პროცესების შედეგად დეგრადირება განიცადეს სოფლის მეურნეობის დარგებმა.

ჯავახეთი სამცხისგან განსხვავებით შედარებით ღარიბია მცენარეული საფარით, რაც ნათლად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონისეული აღწერიდან - „ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მათთა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი“¹. თუმცა ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ წარსულში ამ მხარეში უფრო დიდი რაოდენობით ყოფილა მცენარეული საფარი. „სახელითა ღვთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობლისითა ესე წმიდაი ეკლესიაი უდეს აღეშენა მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩანდა“². მოყვანილი წყაროების ინფორმაცია დასტურდება ბოლო წლების საბუნებისმეტყველო მეცნიერების კვლევის შედეგებითაც. მაგალითად, თავკეთილას მთაზე და მის ირგვლივ პალეოპალეონოლოგიური და პალეოზოოლოგიური მასალიდან გამომდინარე განხილულ რეგიონში ტყე გვიანბრინჯაოსან შუასაუკუნეებამდე იზრდებოდა³.

ჯავახეთში განვითარებული იყო მეცხოველეობა. აღსანიშნავია, რომ აქ არსებული საძოვრებით საქართველოს სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მცხოვრებლებიც სარგებლობდნენ. ჯავახეთში უძველესი დროიდან მოჰყავდათ ხორბალი, შვრია, ქერი და სხვა, რასაც ხელს უწყობდა აქ არსებული შავმიწა ნიადაგები. ჯავახეთი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მდიდარია ტბებით, რომელთა უმრავლესობა ვულკანური წარმოშობისაა. ტბებს მოსახლეობა უძველესი დროიდან იყენებდა სამეურნეო დანიშნულებით. „არს ტბა კარწახისა, დიდი და ადვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“⁴.

უძველესი დროიდან აქ მცხოვრები ადამიანები სამეურნეო საქმიანობისათვის ქმნიდნენ ხელოვნურ ტერასებს, რასაც ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო დანიშნულებაც გააჩნდა. განვითარებული იყო მეხილეობა და მევენახეობა, მისდევდნენ მარცვლეულისა და ბოსტნეულის მოყვანას. ოსმალების ბატონობის პერიოდში მოსახლეობის ნაწილის მიგრაციული პროცესების შედეგად გაჩანავდა ხელოვნური ტერასები და სარწყავი არხები, რასაც შედეგად ეროზიული პროცესების გააქტიურება მოჰყვა, ახალციხის ქვაბული ხრამებისა და ხევების ქსელით დაიფარა, მოიშალა მეურნეობის რიგი დარგები. ჯავახეთი მდიდარია მაღალმთიანი საძოვრებით, რაც მესაქონლეობის განვითარებას უწყობდა ხელს. ჯავახეთში აგრეთვე ოდითგანვე მოჰყავდათ ქერი, ხორბალი, ჭვავი, შვრია და სხვა.

¹ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1997, გვ. 133.

² ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. I, თბილისი, 1964. გვ. 150.

³ Arabuli G., Kavadze E., Kikogze D. Connor S. Kavadze Er., Bagaturi N., Murvanidze M., Arabuli T. 2008. The krummholz beech woods of Mt. Tavkvetili (Javakheti Plateu, Southern Georgia) – a relict ecosystem. Proceedings of the Institute of Zoology, vol. XXIII, pp. 194-213.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1997, გვ. 131.

უძველესი დროიდან სამცხე-ჯავახეთში გარდა სოფლის მეურნეობის დარგებისა, განვითარებული იყო საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი დარგებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია სელის ზეთის წარმოება, რომლის გამოსახდელადაც მრავალი ზეთსახდელი არსებობდა. აღნიშნულ პროდუქტს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. მხარეში განსაკუთრებით იყო დაწინაურებული ვაჭრობა და ხელოსნობა.

ზემო ქართლში არსებული ბუნებრივი პირობები და რესურსები შესანიშნავ პირობებს ქმნიდა მოსახლეობის დასახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მან არაერთხელ განიცადა გარეშე მტრების – არაბების, მონღოლების, სპარსელების, თურქებისა და სხვათა შემოსევები.

უძველესი დროიდან სამცხე-ჯავახეთი ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული. ზემო ქართლში მუდმივად მიმდინარეობდა მიგრაციული პროცესები, რაც უმთავრესად მტრების ხშირი შემოსევებით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ მხარეში არ მომხდარა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ისეთი ტრანსფორმაცია როგორც ეს მოხდა სამცხე-ჯავახეთში. აღნიშნული ტერიტორიების ოსმალების მიერ დაპყრობის შემდეგ – რომელიც თითქმის 300 წელიწადს გაგრძელდა, დამპყრობელი სხვადასხვა გზით ცდილობდა მოსახლეობის გამაჰმადიანებას. კერძოდ ქრისტიანებისათვის დაწესებული იყო ჩვეულებრივზე მეტი გადასახადი, სახელმწიფო სამსახურში უპირატესობა მაჰმადიანებს ენიჭებოდათ და ა.შ. დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარე პროცესების შედეგად, იმ მოსახლეობას შორის რომელიც დარჩა მამაპაპათა მიწაზე მიმდინარეობდა მათი გამაჰმადიანების პროცესი.

საქართველოს ისტორიული პროვინცია - ჯავახეთი მოიცავს თანამედროვე ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. აღნიშნული პროვინციის ეროვნული შემადგენლობა ოდითგანვე ქართული იყო, სადაც მოსახლეობის რაოდენობრივ ცვალებადობას მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, საომარი მოქმედებები განსაზღვრავდნენ. ჯავახეთის გეოგრაფიული საზღვარი ესაზღვრება თურქეთის ტერიტორიას, რის გამოც იგი არაერთხელ გამხდარა საომარი მოქმედებების ასპარეზი. ჯავახეთი - მე-16 საუკუნეში სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან

ერთად ოსმალეთმა მიიტაცა¹. თურქეთის მიზანს წარმოადგენდა არა მარტო ქართული ტერიტორიების დაპყრობა და იქ თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღება, არამედ თურქული ზნე-ჩვეულებების დანერგვა და სხვადასხვა ხერხებით ადგილობრივი მოსახლეობის გამაჰმადიანება. კერძოდ, მოსახლეობის გამაჰმადიანებულ ნაწილს ათავისუფლებდნენ ქრისტიანებისათვის განკუთვნილი მიწებზე გადასახადებისაგან. არსებული ვითარების გამო ქართველობის დიდმა ნაწილმა მიატოვა მშობლიური კუთხე და საქართველოს სხვა მხარეებს შეეფარა. აყრილი მოსახლეობა მოსდევდა გამოქცეულ ფეოდალებს და უმთავრესად ქართლში, იმერეთსა და გურიაში სახლდებოდა². ადგილზე დარჩენილების ერთმა ნაწილმა იძულებით მიიღეს ისლამი, ხოლო ნაწილი ცდილობდა წინაპართა მიწის დაცვასა და რელიგიის შენარჩუნებას.

¹ ქსე. ტ.11. თბილისი, 1987. გვ. 525.

² ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე). თბილისი, 1975. გვ. 321.

მიუხედავად იმისა რომ განსახილველი ტერიტორია მე-16 საუკუნიდან ოსმალეთს ჰქონდა ოკუპირებული, მე-18 საუკუნის 70-იან წლებში იგი ულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ სამცხეც და ჯავახეთი ქართული მხარეებია¹. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ კათოლიკეებს ნაკლებად ავიწროვებდნენ. რის გამოც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიიღო აღნიშნული რელიგია.

ისტორიული სამცხეს ტერიტორია მოიცავს, თანამედროვე ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის დასავლეთ ნაწილს. ჯავახეთის ტერიტორიაში შედიან - ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთი ნაწილი. ისტორიული თორი ემთხვევა თანამედროვე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზღვრებს.

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლი მოიცავს მდინარეების ალგეთისა და ქცია-მაშავერა, ბერდუჯის აუზებს, აგრეთვე მდ.მტკვრის ხეობას თბილისიდან წითელ ხიდამდე. მას დასავლეთიდან სამსარის ქედის ჩრდილო ნაწილი და ჯავახეთის ქედი ესაზღვრება, აღმოსავლეთით სამგორისა და დაგით გარეჯის მთაგრები, ჩრდილოეთით თრიალეთის ქედი, ხოლო სამხრეთით ლოქის ქედი. ისტორიულ წარსულში განხილული მხარე უფრო სამხრეთით ვრცელდებოდა.

თანამედროვე ქვემო ქართლის შემადგენლობაში შედიან: წალკის, დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები.

ქვემო ქართლი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვნად იყო განპირობებული, მის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო და სავაჭრო გზების არსებობით. გეოგრაფიულად მისი სამხრეთული მდებარეობის გამო – საიდანაც ყველაზე ხშირად ხდებოდა მტრების შემოჭრა, ქვემო ქართლი პირველი იღებდა მომხვდურების შემოტევებს.

მდ. ალგეთის ხეობით იგი დაკავშირებული იყო შიდა ქართლთან, თრიალეთთან, ჯავახეთთან. რეგიონზე გადიოდა უცხო სახელმწიფოებთან (სომხეთთან, ბიზანტიასთან) დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. ის, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ინტენსიურ მიმოსვლას ჰქონდა ადგილი, გზების ხშირ ქსელთან ერთად მეტყველებენ მრავალი ქარვასლისა და ხიდების ნანგრევები.

ძვ.წ.ადრ. III საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სამშვილდისა და გარდაბნის საერისთაოები არსებობდნენ². IV საუკუნიდან ქვემო ქართლი ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შემდგომ საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდში აქ საეპისკოპოსოები იქმნება. VIII საუკუნის პირველ ნახევარში ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცა თბილისის საამიროს შემადგენლობაში. შუა ფეოდალურ პერიოდში ქვემო ქართლის ტერიტორიები ცალკეული ციხეების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

მხარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აღმასვლის ხანა XI-XIII საუკუნის დასაწყისის მონაკვეთს მოიცავს. აღნიშნული დროის პერიოდში პროგრესულად

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. თბილისი, 1962. გვ. 46.

² ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბილისი, 1955.

ვითარდებოდა სამთამადნო მოპოვებისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, სოფლის მეურნეობა. მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა მეზობელ ქვეყნებთან.

XIII საუკუნეში - ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებში, ქვემო ქართლმაც განიცადა მონღოლების გამანადგურებელი შემოსევა. 1240 წელს მონღოლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ქვემო ქართლი მეორე დუშანს წარმოადგენდა. მონღოლთა შემდგომ საქართველოში გამოჩენილი ახალი დაპყრობლების – თათარ-თურქმანთა რვაჯერ შემოსევის შედეგად, მხარემ უდიდესი ზარალი განიცადა, გაჩნდა უამრავი ნასოფლარები და ნაქალაქარები. აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა ქართული საზოგადოების თანდათანობით დაყოფის პროცესი, წარმოიქმნენ სათავადოები, საქართველო პოლიტიკურად დაიშალა.

ქვემო ქართლში ჩამოყალიბდა ერთი სათავადო – საბარათიანო (საბარათაშვილო), რომელიც მომდევნო საუკუნეებში რამდენიმე სათავადოდ დაიშალა. XVIII საუკუნეში მხარეში უკვე ათამდე სათავადო არსებობდა. აღნიშნული საუკუნე უმძიმესი იყო ქვემო ქართლისათვის, ვინაიდან ერთმანეთს ცვლიდა ირანის, ოსმალეთისა და ლეკების თარეში. აღსანიშნავია, რომ მთლიანად საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1723-1747 წწ. ვინაიდან არ დარჩენილა დასახლებული პუნქტი, ლეკებს რომ არ გაეძარცვათ. აუნაზღაურებელი დანაკარგების მასშტაბებზე მეტყველებს მეფე ერეკლეს მიერ რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მხარეში მოსახლეობის 1-2% იყო შემორჩენილი¹. მოსახლეობის კატასტროფული შემცირების შედეგად და სამხრეთის საზღვრების გასამაგრებლად ერეკლე II იძულებული გახდა არაქართველი ეროვნების მოსახლეობა ჩამოესახლებინა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქვემო ქართლის ფართობი 12 670 კმ² შეადგენდა. მის შემადგენლობაში შემდეგი მხარეები შედიოდა (იხ. ნახ. 1).


ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდგომ (1801 წ.), ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ლორეს მაზრა შეიქმნა, რომელსაც მოგვიანებით თბილისის მაზრა ეწოდა (1804 წ.). ამ უკანასკნელს შემდგომ გამოეყო წალკის (თრიალეთის) მაზრა. 1880 წელს თრიალეთისა და ლორეს საბოქაულოებისა და თბილისის მაზრის სამხრეთ ნაწილის საფუძველზე შეიქმნა ბორჩალოს მაზრა.

ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები ოდითგანვე ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. აქ განსაკუთრებით კარგი პირობები იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის, რაზედაც ფრაგმენტულად შემორჩენილი „ცხვრის გზები“ მეტყველებენ. ნიადაგის მორწყვის შემთხვევაში აქ მოჰყავდათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი: ხორბალი, ბამბა, ბრინჯი, თამბაქო, სელი და სხვა. აღნიშნული მიზნისათვის გაყვანილი იყო სარწყავი არხები. მხარეში განსაკუთრებით იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა.

ქვემო ქართლში უძველესი დროიდან ხდებოდა არსებული სასარგებლო წიაღისეულის – სპილენძის, მანგანუმის მოპოვება და გადამუშავება, აქ უხვად მოიპოვებდნენ სამშენებლო მასალებს. აქ ოდითგანვე მაღალ დონეზე იყო ლითონის დამუშავება. აღნიშნული დარგის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს შემორჩენილი

¹ ი. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები, თბილისი, 1919.

გეოგრაფიული სახელწოდებები – ფოლადაური, სარკინეთი და სხვა. ქვემო ქართლში მოიპოვებდნენ ოქროსა და ვერცხლს,




ნახაზი 1. ქვემო ქართლის მხარეები ფართობების მიხედვით XVIII საუკუნის პირველი ნახევარი (კმ²)

[წყარო].

საიდანაც იჭრებოდა ფული. ქვეყანაში XV-XVIII საუკუნეებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შედეგად დევრადირება განიცადა მეურნეობის დარგებმა. ქვემო ქართლში საუკუნის მეორე ნახევარში 40 ათასი ადამიანი ცხოვრობდა²

¹ ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბილისი, 1991. გვ. 19-20.

² ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბილისი, 1991. გვ. 14.



სქემა 1. XVIII საუკუნის I მეოთხედის ქვემო ქართლის სქემატური რუკა

[წყარო].

ქართულ მეცნიერებაში მიღებული აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი უძველესი დროიდან გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით. მოსახლეობის ძირითად ნაწილ ქართველები შეადგენდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების მიზნით, შაჰ-აბასმა XVII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლში თათრული ტომი ბორჩაღუ ჩაასახლა.

ომებისა და მტერთა განუწყვეტელი თარეშის შედეგად, XVIII საუკუნეში მინიმუმამდე შემცირდა მოსახლეობა. აღნიშნული საუკუნის მიწურულს, შექმნილი მდგომარეობის გამო მეფე ერეკლე II, იძულებული შეიქნა ქვემო ქართლში სხვა ეროვნების მოსახლეობა ჩამოესახლებინა, მან ნება დართო სამ ყარაბაღელ სომეხ მედიქს, თავიანთი ყმებითურთ დასახლებულიყვნენ ამჟამინდელი ბოლნისის, თეთრიწყაროს, და მარნეულის ტერიტორიაზე². შემდგომ წლებში მსგავს ღონისძიებებს მიმართავდა მეფე გიორგი XIII.

იმიგრანტების მნიშვნელოვანი ტალღა აღინიშნა 1819 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ვიურტემბერგიდან 116 ადამიანი ბორჩაღოს მაზრაში დაასახლეს. მათი განსახლების არეალები იყო – ეკატერინფელდი (შემდგომში ლუქსემბურგი, ამჟამინდელი ქ.ბოლნისი), მანგლისი, თეთრიწყარო და მაზრის ზოგიერთი სოფელი. 1857 წელს წალკაში გერმანელთა კიდევ 38 ოჯახი ჩამოასახლეს.

1829-1831 წ. ახლანდელი წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბერძნები და სომხები იქნენ გადმოსახლებულნი თურქეთიდან. სომეხი ეროვნების ადამიანების

¹ ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბილისი, 1991. გვ. 18.

² Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией. т.1, N35, с. 575.

გადმოსახლება შემდგომ წლებშიაც გრძელდებოდა. რაც შეეხება რუს მოსახლეობას, ისინი უმთავრესად სექტანტებისაგან (დუხოხორები და მოლოკნები) და საქართველოში სამხედრო-სავალდებულო მოვალეობის მოხდის შემდგომ განთავისუფლებული ადამიანებისაგან შედგებოდა.

ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორია ამჟამად მოიცავს: გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებს.

შიდა ქართლი

შიდა ქართლის ტერიტორია ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო მდ.არაგვით, სამხრეთიდან თრიალეთის ქედით, ხოლო დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ლიხისა და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედებით. შუა საუკუნეებში შიდა ქართლს - „ზენა სოფელის“ სახელით მოიხსენიებდნენ, რომლის შესახებაც ცნობებს ლეონტი მროველი იძლევა¹. უძველესი დროიდან აღნიშნული ტერიტორია ქართველური ტომების კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. III საუკუნეში ჩამოყალიბებული შიდა ქართლის საერისთავო, შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებს მოიცავდა: აჩაბეთისხევს, ბაზალეთს, გვერდისძირს, ტანისხევს, ქსნისხევს და ცხრაძმისხევს. შემდგომ პერიოდში შიდა ქართლის ცენტრი უფლისციხე ხდება, ხოლო მომდევნო საუკუნეებში აქ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები – სათავადოები ჩნდება.

შიდა ქართლის პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა, უმთავრესად მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო გამოწვეული. აღნიშნულ ტერიტორიაზე გადიოდა „დიდი აბრეშუმის გზა“, „ცხვრის გზა“ რაც მხარის ეკონომიკური დაწინაურების საფუძვლებს ქმნიდა.

ფარნავაზის მეფობის პერიოდში - ძვ. წ. აღრ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო, რომელიც სპასპეტს ემორჩილებოდა. მონღოლთა შემოსევების შემდგომ შიდა ქართლს გამოეყო ქსნის საერისთავო, რომელიც ტერიტორიულად მდინარეების: ლეხურას, ქსნის, მეჯუდასა და პატარა ლიახვის ზემო დინების ხეობებს მოიცავდა მოგვიანებით მისი არეალი გაფართოვდა, შეუერთდა რა თრუსო, მთიულეთი, არაგვის მარჯვენა სანაპირო მთიულთკარამდე და ქსნის ხეობის შუა ნაწილი². აღნიშნული საერისთავოს ნაწილის არაგვის საერისთავოსთან შეერთების შედეგად, XV საუკუნეში წარმოიშვა საამისახვარო. ამავე საუკუნეებში ჩამოყალიბდა სამაჩაბლოც, ხოლო შემდგომ საუკუნეში კი სამუხრანბატონო, რომლის ძირითადი გავრცელების არეალი იყო მუხრანის ველი.

მე-16 საუკუნიდან ქართლის ოთხი სადროშოდან სამი მათგანი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მეორე სადროშო მდ. ქსნის დასავლეთით ხეფინის ხევამდე ვრცელდებოდა, მესამე სადროშო მოიცავდა ქსნის და არაგვის ხეობებს და სამუხრანბატონოს, ხოლო მეოთხე სადროშო გარმა-მხარი ანუ მტკვრის მარჯვენა მხარე თრიალეთის ქედის თხემამდე იყო³.


¹ ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 10.

² ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი. თბილისი, 1992. გვ. 15.

³ იქვე, გვ. 18.

უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა შიდა ქართლში მე-18 საუკუნეში, სპარსელებისა და ოსმალების ხშირი ლაშქრობების გამო. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ლეკების და ოსების თარეში. შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში უდიდესი ზიანი მიაღწა მოსახლეობას და ეკონომიკას.

შიდა ქართლის ფართობი XVIII საუკუნეში 11 143 კმ²-ს შეადგენდა. იგი შემდეგ მხარეებს მოიცავდა (იხ. ნახ. 2).



ნახაზი 2. შიდა ქართლის მხარეები ფართობების მიხედვით XVIII ს. (კმ²)

*- მოიცავდა იმერეთის ნაწილს – ხეფინის ხევს.

[წყარო].

¹ იქვე, გვ. 22.

შიდა ქართლის რელიეფში შეთანაწყობოლია ნაფენი ვაკეები, ტერასული ხეობები და ბორცვისებური სერები¹. მხარის ჰიდროგრაფიული ქსელი ხელს უწყობდა სამეურნეო დანიშნულების არხების გაყვანას. აქ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში არსებობდა ურბნისის ზედა არხი და ტირიფონის არხი². უძველესი დროიდან აქ განვითარებული იყო მეცხოველეობა, რასაც ხელს უწყობდა აქ არსებული მუხრანის ზამთრის საძოვრები.

შიდა ქართლი ძველ პერიოდში ტყეების საფარით იყო დაფარული, რომელიც ადამიანების სამეურნეო თუ მტრების შემოსევების შედეგად მნიშვნელოვნად განადგურდა. აღსანიშნავია, რომ ტაშისკარიდან თბილისამდე ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არსებობდა ჭალის ტყეები, რომლებიც შემდგომ საერთოდ გაქრა. ამჟამად ტყეები შემორჩენილია შემადლებულ სერებზე და შიგა ხეობებში.

შიდა ქართლის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივი პირობები და რესურსები დადებით ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანების განსახლებაზე. შემორჩენილი ისტორიული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ შიდა ქართლი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მიგრაციული პროცესები. მე-18 საუკუნის ბოლომდე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველო იყო, რის შემდგომ თანდათანობით იმატა სხვადასხვა ეროვნების (ძირითადად ოსების) რაოდენობამ. აღსანიშნავია, რომ ჩამოსახლებული უცხო ეროვნების ადამიანები ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე უმრავლეს შემთხვევებში კომპაქტურად სახლდებოდნენ.

ოსები შიდა ქართლში პირველად 1280-იან წლებში გამოჩნდნენ და მონღოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დაპყრობით ბრძოლებში. დაახლოებით 20-25 წლიანი თარეშის მიუხედავად, ოსები ვერ დამკვიდრნენ და მონღოლების საქართველოდან გასვლის შემდგომ, გიორგი ბრწყინვალეს მიერ ისინი განდევნილ იქნენ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ოსები მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ბ. მაჩაბელმა ჩაასახლა მდ. ლიახვის მთიან ნაწილებში მდებარე გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებში. 1770 წლის აღწერის თანახმად მაჩაბლებს 860 კომლი ოსი ეკუთვნოდათ³. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ოსები თანდათანობით სახლდებოდნენ ბარის სოფლებში. 1886 წლის მონაცემების მიხედვით ცხინვალში ოსი ეროვნების ადამიანები არ დაფიქსირებულან⁴.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, შიდა ქართლი მოიცავს: გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.

¹ მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1964. გვ. 252-253.

² კიკვიძე ი. მორწევა ძველ საქართველოში. თბილისი, 1963. გვ. 75.

³ გამრეკელი ვ. ცქიტიშვილი ზ. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. მაცნე. 1972, N2.

⁴ Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис.

თავი II

საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები

1. მეტეარ-არაქსის კულტურა

საქართველოს, საერთოდ კავკასიის და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთ გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენს ძვ. წ. V-III ათასწლეულების ეპოქა; ამ პერიოდის რეალური ისტორიული სურათის აღდგენა ძალზედ რთულია, რამდენადაც არქეოლოგიის გარდა ჩვენ სხვა წყაროები არ გაგაჩნია.

არქეოლოგიური მეცნიერების უმთავრეს ნაწილს შეადგენს ფართო მასალის სოციალური ინტერპრეტაცია, რომელიც მოიცავს ძველი საზოგადოების ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ სტრუქტურებს¹. ამ უკანასკნელში შედის დაკრძალვის რიტუალის და ფორმების კულტურა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ძველი საზოგადოების ეთნიკური საკითხების კვლევისას. როგორც აღნიშნულია, დაკრძალვის რიტუალზე ზემოქმედებას ახდენს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი – კულტურული (ანუ ეთნიკური) ტრადიციები და საზოგადოებრივი სფერო – იდეოლოგიური სფეროს გავლით. ამ უკანასკნელისგან არქეოლოგიურ პრაქტიკაში ნარჩუნდება ისეთი საგნობრივი მოვლენა როგორც არის დაკრძალვის ფორმა, სამარხის მოწყობა, სამარხეული ინვენტარი, ასევე ქვლეხის და მსხვერპლშეწირვის ნარჩენები, სადაც გადამწყვეტ როლს იდეოლოგიური ბლოკი თამაშობს. იდეოლოგიის კონსერვატიულობის გამო სოციალური მოვლენები ნაკლებ გავლენას ახდენენ დაკრძალვის ფორმების ცვალებადობაზე². თუმცა, ამავე დროს, ვფიქრობთ, საზოგადოებრივ ფორმათა განვითარებასთან ერთად იცვლება დაკრძალვის ფორმა და ტიპი, უმრავლეს შემთხვევაში თავისი თავდაპირველი ფორმით ვერ ნარჩუნდება ესა თუ ის რიტუალი, რაც არა მარტო უცხო ელემენტის გავლენით, არამედ საზოგადოების შიგნით მიმდინარე სხვადასხვა გარემოებათა ზემოქმედებით არის გამოწვეული. მეტ-ნაკლებად კონსერვატიული განვითარების საზი შეიძლება შენარჩუნდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ეპოქაში, ისიც მაშინ თუ განვითარების რომელიმე კონკრეტული სტადია ხანგრძლივია.

სამარხები ანუ გარდაცვლილის წინასწარ განზრახული დაფლვა, ჯერ კიდევ მუსტიეს ეპოქაში ჩნდება, ადამიანის განვითარების ნეანდერტალურ სტადიაზე, რომელიც განვითარების უმაღლეს საფეხურს ძველ ეგვიპტეში აღწევდა³.

სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული რელიგიის ხალხები თავიანთ გარდაცვლილებს სხვადასხვანაირად ასაფლავებენ. არქეოლოგიისათვის ის ჩვეულებები, რომლებიც თან ახლავს გათხრებს, ძალზედ მნიშვნელოვანია, და იმის მიხედვით, თუ როგორ იყო შესრულებული დაკრძალვები, შესაძლებელია გავარკვიოთ, თუ რომელ ხალხს, რომელ

¹ В. М. Массон, Исторические реконструкции в археологии, Фрунзе, 1990, გვ. 54.

² В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

³ А. С. Амальрик, А. Л. Монгайт, В поисках исчезнувших цивилизаций, М. 1966, გვ. 152.

ტომს ეკუთვნოდა ისინი. დაკრძალვის რიტუალის ქვეშ ძალზედ ხშირად იმალება საკმაოდ დამაჯერებელი სურათი ძველი რიტუალებისა და რწმენისა¹.

დაკრძალვის ფორმების ინტერპრეტაციის შედეგად ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ამა თუ იმ საზოგადოების სოციოლოგიური სქემა, საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ფორმები – ოჯახის, გვარის, ტომის, დიდოჯახიანი თემის და პატრი და მატრი ლოკალური გვარის მდგომარეობა. ასევე ის გვაძლევს წარმოდგენას ამა თუ იმ ეპოქაში საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის არსებობა-არარსებობის და მისი სიღრმეების განსასაზღვრად².

ზოგიერთი ავტორის მართებული აღნიშვნით, ერთ კონკრეტულ ხალხს შესაძლოა სხვადასხვა დაკრძალვის ფორმები ჰქონდეს, ხოლო სხვადასხვა ეთნოსს კი პირიქით ერთნაირი³.

თუმცა ისტორიულად დაკრძალვაც არის რაღაც საკმაოდ რთული მოვლენა, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში. ის დაკავშირებულია გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან და რელიგიურ წარმოდგენებთან და მისი შესრულების მატერიალურ (ტექნიკური) შესაძლებლობების სიუხვესან⁴. ის ავლენს პირველყოფილი ადამიანის იდეოლოგიური წარმოდგენების მთელ სპექტრს და განვითარების ამ ეტაპის საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და მით უმეტეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, რომელთაც ახასიათებთ კონსერვატიზმი და ტრადიციების დიდხანს შემონახულობა⁵. დაკრძალვის ფორმები, რომლებიც გარკვეული რიტუალური ტიპის მიხედვით არის შესრულებული შეესაბამება ძველი ადამიანების საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებმაც შეიცნეს თავიანთი მდგომარეობის ერთიანობა და ამ ერთიანობის შეცნება გამოხატეს დაკრძალვის რიტუალში⁶.

როგორც დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე (უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველო), ისე მახლობელ აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განფენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურა ე. წ. მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურაა.

მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში არქეოლოგიური ძეგლების იდენტიფიკაცია და ამ არეალის ძეგლების ცალკე ლოკალურ ჯგუფებად გამოყოფა გასული საუკუნის 40-იან წლებში ბ. კუფტინმა შემოგვთავაზა⁷. შემდგომ ახალ აღმოჩენების შედეგად გაირკვა, რომ ეს საკმაოდ თვითმყოფადი არქეოლოგიური კულტურა მოიცავდა არა მარტო მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს, არამედ ვრცელდებოდა უფრო შორს – თითქმის მთელს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში – ჩეჩნეთში, ჩრდილო ოსეთის ზოგიერთ რაიონებში, დაღესტანში, სამხრეთ-დასავლეთით – ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ანატოლიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ცალკეული ტრადიციული ნიშნებით

¹ Г. А. Федоров-Давыдов, Курганы, идолы, монеты, М. 1968, გვ. 56.

² В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 69-71.

³ Б. В. Техов, Тлийский могильник, Тб. 1980, გვ. 12.

⁴ Н. Б. Леонова, Ю. А. Смирнов, Погребение как объект формального анализа, Краткие сообщения Института археологии АН СССР, 1977, №1977, gv. 148,

⁵ Г. А. Лебедев, Погребальный обряд как источник социологической реконструкции (по материалам Скандинавии эпохи викингов), Краткие сообщения Института археологии АН СССР, М. 1977, №148, გვ. 29.

⁶ Г. С. Лебедев, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

⁷ А. Куфтин, Урартские «колумбарии» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1944, ტ. XIII-V.

უახლოვდება სირიისა და პალესტინის ძეგლებს, რომელიც იქ წარმოადგენს ე. წ. კირბეთ-კერაკის კულტურის კომპონენტს¹.

კ. კუშნარევა და ტ. ჩუბინიშვილი მტკვარ-არაქსის კულტურას ნახშირწყალბადის მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს და ამიერკავკასიის ძეგლების (ქვაცხელები, ამირანის გორა, ქიულ-თეფე II) საშუალო ჰორიზონტალების მიხედვით, მის ადრეულ ეტაპს, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ მესამედით ანუ ძვ. წ. 3000-2700-2600 წლებით ათარიღებენ. ამირანის გორის მეორე ეტაპს კი – 2675 ±170 წლით ჩვენს ერამდე. ხოლო საერთოდ მეორე ეტაპს ძვ. წ. 2700, 2600-2400, 2300 წლებით ჩვენს ერამდე, ხოლო ბოლო მესამე ეტაპს, ძვ. წ. 2400, 2300-2000 წლებით². ტ. ჩუბინიშვილი ენეოლითს, ადრეული ბრინჯაოს ეპოქასთან აიგივებს³. ავტორისავე აზრით, უფრო ადრეულ ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურა თითქოს ენეოლითურ კულტურად კი არა, არამედ ამ პერიოდის შემდგომ კულტურად გვევლინება⁴, გარდა ამისა, აღმოჩენათა შექმნე „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლთა შედარებითი დათარიღების პირველი ცდებიდანვე უკვე შეუსაბამობა გამოიკვეთა. ტ. ჩუბინიშვილი იზიარებს ა. იესენის მოსაზრებას, რომ ეს იყო „გათიშული“ პერიოდი, რომელიც ამ მასალით უმართებულად იყო შევსებული და როგორც აღნიშნავენ, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების წარმოდგენილი ეტაპი თავის ქრონოლოგიური საზღვრებითა და განვითარების მაღალი დონით „ენეოლითური პერიოდის ცნებაში“ ვერ ექცევა. ზოგიერთმა ავტორმა ამ ეპოქას სპილენძ-ბრინჯაოს ხანა (იესენი), ზოგმა კი სპილენძ-დარიშხნიანი (სელიმხანოვი) ხანა უწოდა⁵.

რ. მუნჩაევის აზრით, ამიერკავკასიაში უკვე არაერთი ისეთი ძეგლია ცნობილი, სადაც მტკვარ-არაქსის ფენა დაფენილია ძვ. წ. V-IV ათასწლეულების კულტურულ განშტოებებზე, მაგ. აზერბაიჯანის (ნახიჭევანის) ქიულ-თეფე I, ბაბა დერვიშთან და სხვ. ასევე შენგავითი – სომხეთში, შულავერი და ამირანის გორა – საქართველოში; მისივე აზრით, მტკვარ-არაქსის ძეგლები უშუალოდ მოსდევენ მათ და IV-III ათასწლეულის მიჯნაზე მდებარეობენ⁶.

ო. ჯაფარიძე, მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანის დასაწყისად ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას მიიჩნევს⁷ ხოლო მოგვიანებით აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში წყვეტს თავის არსებობას, თუმცა, განაგრძობს ავტორი, მისი ზედა საზღვარი, ფართო განფენის გამო შესაძლოა სხვადასხვა ყოფილიყო და ის შიდა ქართლში ნარჩუნდებოდა კიდევ ბედენის და ადრეული ყორღანების კულტურასთან ერთად⁸. ზოგიერთ ავტორთან, მტკვარ-არაქსის კულტურის

¹ P. M. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века (Неолит, энеолит, ранняя бронза), М. 1975, გვ. 149

² К. X. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, О взаимоотношениях кавказской («Куро-Аракской») культуры с переднеазиатской культурой в III тысячелетии до н. эры, Тб. 1964, გვ. 3-5

³ Г. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

⁴ К. Н. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н. э.), Л. 1970 გვ. 181; ასევე იხ. მისივე, Историческое значение Южного Кавказа в III тысячелетии до н. э. Советская Археология, №3, 1963, გვ. 16-17.

⁵ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963, გვ. 83-84, 93.

⁶ P. M. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века (неолит, энеолит, ранняя бронза), М. 1975, გვ. 192.

⁷ ოთ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), თბ. 1976, გვ. 62.

⁸ ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრე ყორღანული კულტურა), თბ. 1998, გვ. 146-148.

გაახალგაზრდადების ტენდენცია ჩანს¹, რის საწინააღმდეგოდაც საკმაოდ მყარი არგუმენტაციებია მოყვანილი² და როგორც აღნიშნულია, არ არის გამორიცხული, რომ მტკვარ-არაქსის საწყისები ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოსაც ვეძებოთ³. ზოგიერთი ავტორი კი მის ქვედა საზღვარს ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში ხედავს⁴.

ა. იესენის აზრით, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა დაუუკავშიროთ ენეოლითურ კულტურას, ანუ გარდამავალ ეპოქას ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანამდე. ავტორისავე აღნიშვნით, ჩვენ არა გვაქვს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ქიულ-თეფე I დაუუკავშიროთ მტკვარ-არაქსს (ავტორი მასში ენეოლითურ ფენას ხედავს) რამდენადაც, მისივე აზრით, ამ უკანასკნელში ჩვენ უკვე საკმაოდ მძლავრად განვითარებულ მეტალურგიასთან გვაქვს საქმე და სპეციალური ნაკეთობების წარმოებასთან, რაც ლითონ-დარიშხნიანი შენადნობებისგან არის შექმნილი; ამიტომაც ავტორი უარყოფს მტკვარ-არაქსის ადრე ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებას⁵. თუმცა სხვა ადგილას, აღნიშნული აქვს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისები შესაძლოა ძვ. წ. IV ათასწლეულში გადადის და არ არის გამორიცხული წინ უსწრებდეს მცირე აზიის, განსაკუთრებით კი სირიისა და პალესტინის ახლო მდგომ ქვეყნებს⁶.

აღნიშნულია, რომ შესწორებული მონაცემების ანუ შედარებით ახალი დათარიღების საფუძველზე, საქართველოში ადრე ენეოლითური ხანის კულტურა ძირითადად ძვ. წ. VI ათასწლეულით უნდა დათარიღდეს, რას მის კულტურულ-ქრონოლოგიურ სიახლოვეს უნდა მოწმობდეს წინა აზიის ადრეული ხალკოლითის ხანის კულტურებთან⁷. გამოთქმული მოსაზრებით, საქართველოს ადრე ენეოლითური ხანის საწყისები შესაძლებელია ძვ. წ. VII ათასწლეულში გადადიოდეს (ხრამის, დიდი გორა, არუხლო)⁸, ხოლო საქართველოს გვიან ენეოლითის ხანის ძეგლები, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეპატს განეკუთვნებიან⁹; ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა გვიან ენეოლითის გარდა, შესაძლოა ადრეულ ბრინჯაოს ხანის ყველაზე ადრეულ – I ფაზას მოიცავდეს და ძირითადად ძვ. წ. IV ათასწლეულით შემოიფარგლოს¹⁰.

აღნიშნულია, რომ ახლად აღმოჩნდა ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ენეოლითური კულტურის მომდევნო ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის პირველი ეტაპი ზოგიერთი მკვლევარის მიერ ახლაც მიჩნეულია ენეოლითის გვიანდელ საფეხურად. გ. ქავთარაძის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის გვიან

¹ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949; misive, Поселение медного века в Армении, Советская археология, XI, М. 1949.

² Е. И. Крупнов, Рецензия на книгу Б. Б. Пиотровского, «Археология Закавказья», Вестник истории, 1950, №2, М. გვ. 128-129.იხ. Р. М. Мунчаев Каякентское поселение и проблема кавказского энеолита, Советская археология, XXII, გვ. 14-17; დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 2, თბ. 1958, გვ. 91.

³ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი: გვ. 91.

⁴ Р. М. Мунчаев, Древнейшая культура северо-восточного Кавказа, М. 1961, გვ. 157-158.

⁵ А. А. Иессен, Из исторического прошлого мильско-карабахской степи, Материалы и исследования по археология СССР, №125, М.-Л. 1965, გვ. 17.

⁶ Е. И. Крупнов, Древнейшая культура Кавказа и закавказская этническая общность (к проблеме происхождения народов Кавказа), Советская Археология, М. 1964, №1, გვ. 35; იხ. А. А. Иессен, Кавказ и древний Восток в IV-III тысячелетия до нашей эры, Краткие сообщения Института археологии, АН СССР, №93, 1963, გვ. 4.

⁷ გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ. 1981, გვ. 34-36.

⁸ გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

⁹ გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

¹⁰ გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, 71.

ენეოლითური ეტაპი IV ათასწლეულის I ნახევარზე მოდიოდეს, ხოლო კუფტინისეული განვითარების 3 ეტაპი ქრონოლოგიურად ასე განაწილდეს: I – ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანები და მისი დასასრული; II-IV-III ათასწლეულის მიჯნა და III-ის I ნახევარი; III ათასწლეულის შუა ხანები და დასასრული ემთხვევა პერიოდს, როდესაც თავს იჩენს ალაზან-მარტყოფისა და ბედენის კულტურა¹.

გ. მირცხულავას თქმით, მიუხედავად იმ მკვეთრი ნახტომისა, რომელიც მტკვარ-არაქსის თვისობრივად ახალი კერამიკის ფორმების წარმოქმნასა და განვითარებაში მოხდა, ენეოლითიდან ადრეპრინჯაოზე² გარდამავალი ეტაპის მასალებისა და მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეული კერამიკის მიხედვით ხერხდება როგორც ფორმირების, ისე რელიგიური ორნამენტის ერთგვარი ტრანსფორმირება და მემკვიდრეობითობისათვის თვალის გადავლება. ავტორისავე აზრით, ამ ეტაპის დასასრულად, როგორც ეტყობა ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნა უნდა ჩაითვალოს, რის შემდეგაც მეორე ეტაპზე დემოგრაფიული აფეთქების პერიოდში კავკასიაში ყველგან შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კულტურის გაგრძელება³. ავტორისავე აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის წინარე ადრესამიწათმოქმედო კულტურები ზოგადად უახლოვდება ჩრდილო მესოპოტამიის, მცირე აზიისა და ირანის ადრესამიწათმოქმედო კულტურებს, თუმცა ამავე დროს განსხვავება მათგან და გარკვეული ადგილობრივი საწყისები გააჩნია. მტკვარ-არაქსის კულტურის ეტაპზე საბოლოოდ ყალიბდება ბრინჯაოს მეტალურგია. მტკვარ-არაქსის კულტურა არ ცნობს კერამიკულ ჩარხს, რომელიც ამ კულტურის ჩამოყალიბებამდე ცნობილია კავკასიის ენეოლითურ კულტურებში⁴. მისივე თქმით, მტკვარ-არაქსის კულტურა მთლიანად ადრეპრინჯაოს ხანის კულტურაა, ზოგის აზრით კი მისი ადრეული საფეხური ენეოლითურია⁵.

მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი ანუ პირველადი ცენტრის განსაზღვრისა და მისი მატარებელი ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არის, რის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მე მენიშნება უფრო ფართო არქეოლოგიური მასალის უქონლობა, ანუ ჯერ კიდევ ბევრი ძეგლია მოსაძიებელ-შესასწავლი, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის საზღვრებს გარეთ, ირანის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, სირიის თუ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, სადაც ამ კულტურის ფართოდ განფენა დასტურდება.

მტკვარ-არაქსის კულტურის ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე კომპონენტის წინ წამოწევა. პირველი ის, რომ, როგორც აღნიშნულია IV ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ალიზის თეფეთა კულტურა მოულოდნელად წვეტს არსებობას. ამ მოვლენას სხვადასხვა ახსნას უძებნიან, როგორც არის მიწის გამოფიტვა, პრიმიტიული მიწათმოქმედების შედეგად ან კლიმატის ამშრალეობა. თუმცა გამოთქმული მოსაზრებით, სიონის კულტურის წრეში სიცოცხლე გრძელდება და ნელ-ნელა საფუძველი ეყრება მტკვარ-არაქსის კულტურას. სიონის ჯგუფის ძეგლები მოიცავს მთელს აღმოსავლეთ კავკასიას, სადაც

¹ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 63.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

⁴ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

⁵ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

საქართველოსთან ერთად არის არარატის ველსა და მულანის ველის ძეგლები და სადაც ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი ფორმები; გამოთქმული მოსაზრებით, ეს კულტურა თამაშობს სუბსტრატის როლს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში¹.

ო. ჯაფარიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ძველთან შედარებით მტკვარ-არაქსის კულტურა საგრძნობლად წინაა წასული და ადრინდელი ნიშნები მასში ძნელად თუ შეინიშნება, ძველიდან ახალში გადასვლის პროცესი აქ შედარებით სწრაფად უნდა წარმართულიყო, ავტორი ამის ერთ-ერთ მიზეზად ახალი ეთნიკური ელემენტების გამოჩენას მიიჩნევს. მოსახლეობის უფრო ჩრდილოეთით გადაადგილდა და უეცარი გარდატეხა მცირე აზიაში მოხატული კერამიკის მატარებელ ტომთა გავრცელებით იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ავტორი, მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძვლად ადგილობრივ წინარე კულტურას მიიჩნევს². თუმცა ცალკეული ძეგლების განხილვის დროს, ჩემი აზრით, ნათლად არ არის გამიჯნული ამ გადასვლის გზები³, რამდენადაც მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის, ორნამენტის, მეურნეობის და დასახლების ფორმების განხილვისას დამაჯერებელი ფაქტობრივი მასალები არ ჩანს, რითაც შესაძლოა უტყუარი კავშირები დაეინახოთ წინარე კულტურასთან მიმართებაში⁴.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოშობის ცენტრის განსაზღვრა, საიდანაც ის შემდგომ შეიძლება განფენილიყო. ასევე მნიშვნელოვანია მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპის მოვლენები, რომელიც ამ კულტურის მატარებელ ტომთა თითქოს ერთიანად აყრაზე მეტყველებს.

როგორც აღნიშნულია, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოქმნის პრობლემასთან დაკავშირებით ძირითადად ორი აზრი ჩამოყალიბდა: I მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოიშვა ერთ-ერთ პირველად ცენტრში და შემდეგ აქედან გავრცელდა⁵. აღნიშნულია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპებზე რეგიონებს შორის მსგავსება და საერთო ნიშნები მეტია და განვითარებულ ეტაპზე იწყება განსხვავებათა ჩამოყალიბება. ლოკალური ვარიანტების წარმოქმნა კულტურის განფენის მთელ ტერიტორიაზე ერთდროულად არ ჩანს. გ. მირცხულავა იზიარებს ო. ჯაფარიძის იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში ადრეული ეტაპი ყველაზე კარგად ქვემო ქართლში ჩანს და მის პირველადობას მართებულად მიიჩნევს⁶ (სამშვილდე I ფენა, თეთრიწყაროს ა ფენა, დიდომი-თრელიგორები, ღრმახევისთავი). ამავე ეტაპს მიეკუთვნებიან კახეთის ძეგლები – სიონი, გემი, ბოდბე⁷.

გ. მირცხულავას აღნიშვნით, კავკასიაში ახლად აღმოჩენილი წინამორბედი ენეოლითური კულტურა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, თუმცა კი დასტურდება ამ კულტურის სიახლოვე ჩრდილო მესოპოტამიის, მცირე აზიისა და ირანის მკვიდრ მიწათმოქმედთა კულტურასთან, რომელთაგან განსხვავებითაც მისთვის არაა დამახასიათებელი მოხატული კერამიკა. ამასთანავე სამხრეთ კავკასიის თვითმყოფადი ენეოლითური კულტურა იძენს ისეთ ნიშანთვისებას, რომლებიც შემდგომში ადრეპრინჯაოს

¹ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 129-130.

² იხ. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-77.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-100 და ა. შ.

⁵ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 179.

⁶ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

⁷ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ეპოქის მტკვარ-არაქსისეული კულტურისათვის იქცევა დამახასიათებლად (კერამიკის ფორმებისა და კეცის თანაარსებობა მტკვარ-არაქსის არდრეულ ეტაპზე დამახასიათებელ ჭურჭელთან და სპილენძ-დარიშხნიან ბრინჯაოსაგან დამზადებულ ნივთებთან ერთად). ავტორს, ეს აძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში და ზოგადად კავკასიაში წარმოშობილ კულტურად მიიჩნოს, იქნებ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გარკვეული იმპულსების ჩათვლით¹.

აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ კავკასიის ენეოლითური ხანის სამარხები თითქმის არ არის შესწავლილი ან მათი უდიდესი ნაწილის მასალები არ არის გაანალიზებული, რომელი ეპოქის სამარხეული ძეგლები ორგანულადაა დაკავშირებული მტკვარ-არაქსის ენეოლითთან².

ა. ორჯონიკიძის აზრით, დღევანდელი საქართველოს ისტორიული კუთხე – შიდა ქართლი წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ მძლავრ და გამოკვეთილ კერას ადრებრინჯაოს ხანაში, ვარაუდობენ, რომ მისი ფორმირება სამხრეთ საქართველოსა და მის მიმდებარე რაიონებში მოხდა, ხოლო შემდგომი გავრცელება და ცალკე ვარიანტებად ჩამოყალიბება კი შიდა ქართლში; აქ ამ კულტურის ძეგლები (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები) უმთავრესად დაბლობსა და მთისწინეთში, მდ. მტკვრის გაყოლებაზეა განლაგებული³. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაზე სხვა მოსაზრებაც არსებობს, მაგალითად, ა. იესენი ფიქრობდა, რომ მტკვარ-არაქსის ჩამოყალიბების ძირითადი კერა საქართველო, სომხეთი და მასთან სამხრეთით მიმდებარე აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონები უნდა ყოფილიყო⁴. ზოგიერთი ავტორი, ამ კულტურის წარმოშობას პირდაპირ სამხრეთ ანატოლიას უკავშირებს⁵. სხვა მოსაზრებით, მისი წარმოშობის საწყისი ახერბაიჯანის ტერიტორიაზე უნდა მოიძებნოს⁶. აღნიშნულია ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა არ არის ძირეულად განსხვავებული ენეოლითური კულტურისაგან და ინარჩუნებს წინამდებარე კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს⁷. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ყველგან ერთდროულად არ ცვლის შეღავერ-შომუ-თეფეს კულტურას, რაც თითქოს დათარიღების მხრივ ასეც უნდა იყოს და გამოთქმული მოსაზრებით, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურებსა და ჩვენი კულტურის მასალებს შორის უშუალო გაგრძელება-მემკვიდრეობითობა არ შეინიშნება⁸.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოთქმული მოსაზრებით, ერთ-ერთი არც სადაც მიმდინარეობდა მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესი უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლი თავისი მიმდგომი მხარეებით. ყველაზე ადრინდელი ჩანს დიდუბე-კიკეთის ჯგუფი⁹.

¹ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

² Е. И. Крупнов, Древнейшая культура Кавказа и кавказская этническая общность (к проблеме происхождения коренных народов Кавказа), Советская археология, 1964. №1, гв. 27.

³ А. Орджоникидзе, Кура-Аракская культура в центральных областях Грузии (Шида Картли). Основные этапы развития, Тб. Тб. 1966, გვ. 69.

⁴ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

⁵ К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н. э.), გვ. 182.

⁶ К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

⁷ К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

⁸ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეორდინული კულტურა), თბ. 1998, გვ. 146-147.

ჯგუფი¹. სადღეისოდ ამ კულტურის ადრეული ჯგუფის ძეგლები უპირატესად თავს იყრის ქვემო ქართლის ბარში, უფრო კი მის მარცხენა ნაწილში მარნეულის ვაკეზე და აგრეთვე მის მთისწინა ზოლში ადრეული ჩანს ასევე ბოლნისის ყორანთა გორა, წოვის მახლობლად ნაპოვნი მასალა, სოფ. კოდასთან და ქვემო ქართლის მთისწინა ზოლში თეთრიწყაროს მახლობლად სოფ. აბელიასთან, ასევე სამშვილდის მახლობლად. ადრეული ძეგლები ასევე აღმოჩენილია კახეთში².

ო. ჯაფარიძის თქმით, შიდა ქართლის პირველი მოსახლეობა სწორედ მტკვარ-არაქსის ადრეულ საფეხურებზე იწყებს გამოჩენას, აქ კარგადაა ცნობილი ამ პერიოდის ძეგლები – ხიზანანთ გორაზე, ურბნისში, დიდ ახალსოფელში, ცხენისწყალთან, ზღუდრის გვერდზე, ნაცარგორაზე, ქულბაქებზე და სხვ. აქ მოპოვებული მასალა დიდ მსგავსებას პოულობს დიდუბე-კიკეთის ძეგლებთან. განსაკუთრებით ურბნისში გათხრილი ხიზანანთ გორაში მტკვარ-არაქსის განვითარების თითქმის ყველა საფეხურია წარმოდგენილი³.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთ ანატოლიის საკმაოდ ფართო ტერიტორია. ყარსის ოლქი, ელიაზიგ-მალათის მხარე, მგშის ველი, ვანის ტბის სანახები, იდგირის რაიონი და სხვ. თუმცა გამოთქმული მოსაზრებით ეს კულტურა მტკვარ-არაქსის განვითარებულ საფეხურს განეკუთვნება და დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლით თარიღდება⁴, რომელიც ადრებრინჯაოს ხანას ემთხვევა ამ რაიონში⁵. ამირანის გორის ძეგლებს უახლოვდება აღმოსავლეთ ანატოლიაში ქარაზის და ერზურუმის ნამოსახლარი (საცხოვრებელი ნაგებობებით, რელიგიური ორნამენტებით)⁶. აღნიშნულია, რომ ელიაზიგ-მალათის მხარეში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანგრძლივობა ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ის აქ იჭრებოდა ძირითადად III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებში და მისი ჩაქრობაც უფრო ადრე მოხდა. ამავე ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველ საუკუნეებში⁷. აღნიშნულია ისიც, რომ ურმიის ტბის სანაპიროების ნამოსახლარების გეო-თეფე და ონიქ-თეფეს გარკვეული ფენები უახლოვდება დიდუბე-კიკეთის ჯგუფის მოგვიანო, განვითარებულ ფარიანტს⁸. გამოთქმული მოსაზრებით, ამ რეგიონში მტკვარ-არაქსს ძალზედ დიდხანს უნდა ეარსება და ჩრდილოეთიდან მოსულებს უნდა გაეგრძელებინათ⁹.

ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზოლზე – სირიასა და პალესტინაში, მტკვარ-არაქსის კულტურა ცნობილია კირბეთ-კერაკის კულტურის სახელით¹⁰. გამოთქმული მოსაზრებით, ძირითადი არე, საიდანაც უნდა გამოსულიყო ეს კულტურა, აღმოსავლეთ ანატოლია, უფრო ელიაზგის მხარე უნდა ყოფილიყო, სადაც მტკვარ არაქსის კულტურამ საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ხელი და მისი აქ გამოჩენა ძველ III ათასწლეულის პირველ ნახევრის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. ამავე დროს, გამოთქმული მოსაზრებით, პალესტინაში სირიასთან შედარებით, ის რამდენადმე გვიან

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-79.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

⁵ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

⁶ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146-147.

⁷ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

⁸ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154-155.

⁹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

¹⁰ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

იჭრება და მისი გამოჩენა აქ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ხანგრძლივობა 2 ან 3 საუკუნით შემოიფარგლება. ეს დაახლოებით ის დროა, როდესაც საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა იწყება მის ძირითად არეში¹.

ძვ. წ. III ათასწლეულში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები გადადიან ჩრდილო კაკასიაში ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და დაღესტანში. ასევე ჩრდილო ოსეთის გარკვეულ ტერიტორიაზე. როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. III ათასწლეულის შუა პერიოდში².

მტკვარ-არაქსის კულტურა III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის რიონ-ყვირილის აუზის გარკვეულ ოლქებში ვრცელდება და ზოგან საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. რიონის ხეობაში ის დამოწმებულია თერჯოლის რაიონში გამოქვაბულ საგვარჯილეში და სოფ. დაბალგომში (სამტრედიის რაიონი)³.

ო. ჯაფარიძე, IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვარაუდობს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ხანას. ავტორი თვლის, რომ გარკვეული მასის გადმონაცვლება ხდება ჩრდილოეთით მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე, რომელიც ადგილობრივ მიწათმოქმედებაში ითქვიფება და საზოგადოების მაღალ საფეხურზე ასვლას უწყობს ხელს. ავტორი ამ გადმონაცვლების მიზეზად წინა აზიაში ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ჰალაფური კულტურის მომქალაქებას მიიჩნევს, რომელსაც შემდგომ ძვ. წ. IV ათასწლეულში უბეიდური კულტურის უფრო ძლიერი მომქალაქება მოყვა. თუმცა ო. ჯაფარიძე, აქ ძირეულ ცვლილებებს მაინც ვერ ხედავს და მოსულებს მარტო მიწათმოქმედების აღმავლობისათვის ხელის შეწყობას მიაწერს⁴.

იმდენად, რამდენადაც წამოიჭრა საკითხი მტკვარ-არაქსის კულტურის ნათესაობისა ან პირდაპირი მიგრაციისა ჰალაფის და უბეიდის კულტურებიდან, საჭიროა ზოგადად შევჩერდეთ მათ ხასიათზე და ეთნიკურ კუთვნილებაზე.

გ. მასონის აზრით, წინა აზიის ტერიტორიაზე არსებობდა ოთხი კერა, რომელიც წარმოადგენს საკმაოდ თვითმყოფადი ადრესამიწათმოქმედო კულტურების ცენტრებს. პირველი ასეთი მხარე იწყება ჯეითუნის კულტურის მიმდგომ ახლომდებარე მხარეში, ეს წარმოადგენილია ცენტრალური ირანის ისეთი ძეგლის სახით, როგორც არის თეფე-სიალკი. მეორე მხარედ შეიძლება დასახელებული იქნას ჩრდილოეთ ერაყი, სადაც გავრცელებულია ხასუნის ტიპის ძეგლები, ასევე აღმოჩენილია უფრო ადრეული პერიოდის დასახლებები. ერთ-ერთ უძველეს ადრესამიწათმოქმედო კულტურად ითვლება სირია-კილიკიის (ამუკ-მერსინი) ნეოლითი და მისი მსგავსი კულტურა სამხრეთ თურქეთში, ასევე კერამიკამდელი იერიქონის კულტურა, რომელიც ახლოს არის იორდანის და პალესტინის კულტურებთან⁵.

ხალაფი ძვ. წ. V ათასწლეულის ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიის კულტურაა, რომლის გავლენები დადასტურებულია, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ძეგლებზე (რას-შამრა, ამუკი, მერსინი). ხალაფის კულტურის ჩამოყალიბების ცენტრად მიჩნეულია მისი

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160-161.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162-163.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84.

⁵ В. М. Массон, Средняя Азия и древний Восток, М. 1964, гв. 39-40.

დასავლეთის არეალი¹. კერძოდ სამხრეთ ანატოლია, სირია და ჩრდილოეთ მესოპოტამია, რომელიც უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ერთმანეთთან ვიდრე ხასუნის და სამარის კულტურასთან². მატერიალური კულტურის მთელი რიგი ელემენტების თანხვედრის და ხალაფის კულტურაში მისი განვითარების მიხედვით მის საწყისად მიიჩნევენ ჩათალ-ჰუიუქის კულტურას. ამ უკანასკნელის სამშობლოდ კი ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაა მიჩნეული, საიდანაც მისი გავრცელება რამოდენიმე მიმართულებით მოხდა³. სწორედ ხალაფის კულტურა წარმოიქმნა ეფფრატის ზემო წელის რაიონში და მის შენაკადებთან ხაბურსა და ბალიხასთან სამხრეთ ანატოლიის ნეოლითისა და ადრეული ხალკოლითის კულტურის საფუძველზე⁴. შუმერებამდელი კულტურის წარმოშობას, გ. ჩაილდი, ასურეთისა და სირიის ტერიტორიის ხალხს მიაწერს⁵. ავტორისავე აზრით, მესოპოტამიის პირველ მიწათმოქმედთა კულტურა დამყარებულია თითქმის მთლიანად ხასუნის კულტურის მასალებზე – დასახლებაზე, რომელიც მდებარეობდა ტიგროსის დასავლეთით ასურეთში⁶. ხასუნის კულტურას ასურეთში, ავტორი ადგილობრივ წარმოშობილად მიიჩნევს⁷. იმავე ავტორის გამოკვლევით, ხალიფის კულტურა ადგილს უთმობს ელ-უბეიდის კულტურას შუმერში, რომლის ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გამოჩენა გვამცნობს არა მარტო წყვეტას ხალაფური ტრადიციისა, არამედ დაცემის პერიოდს⁸. შუმერში უბეიდის კულტურა ატარებს სხვა ნიშნებს, ვიდრე ასურეთსა და სირიაში. ეს განსხვავებები ჩრდილოეთისა და სამხრეთის უბეიდის კულტურას შორის კრემაციასა და სხვა ნიშნებით წარმოადგენს არა მარტო ასაკობრივ განსხვავებებს, არამედ ბუნებრივი პირობების სხვადასხვაგვარობის შედეგს⁹. ავტორისავე აზრით, უბეიდის დროს ძველ მესოპოტამიაში მყარდება სარწყავი მიწათმოქმედება მდინარეებთან შესაბამისი დელტების გამოყენების ფორმით¹⁰. უბეიდის კულტურის კუთვნილებად მიიჩნევს მოგვიანო შუმერული ურიდუს სამლოცველოს, რომელიც იმ დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდა სადაც უკვე არსებობდნენ პროფესიონალი ქურუმები¹¹. გ. ჩაილდი არ გამორიცხავს უბეიდური კულტურის მატარებლების „შუმერობას“, თუმცა ჯერჯერობით „პროშუმერულად“ მისი აღიარებისგან თავს იკავებს ენობრივი მასალების არარსებობის გამო¹². საერთოდ შუმერებს მკვლევარი სამხრეთული წარმოშობისად მიიჩნევს¹³. ზოგიერთი მოსაზრებით კი ისინი მიჩნეულნი არიან ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიანეთიდან და ზაგროს-ელამური ტომების მონათესავე ხალხად¹⁴.

¹ Н. Р. Богословская, К проблеме сложения Халафской культуры, Советская археология, М. 1972, №2, гв. 9.

² Н. Р. Богословская, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

³ Н. Р. Богословская, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13.

⁴ Н. Р. Богословская, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁵ Г. Чайлд, Древний Восток в свете новых раскопок, М. 1956, гв. 165.

⁶ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

⁷ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

⁸ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

⁹ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

¹⁰ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

¹¹ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

¹² Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

¹³ Г. Чайлд, Древний Восток в свете новых раскопок, М. 1956, гв. 38.

¹⁴ И. И. Хлопин, К характере этнического облика ранних земледельцев южного Туркменистана, Советская этнография, М. 1960, №5, гв. 101.

ელ-უბეიდის კულტურა იქმნება სამხრეთ მესოპოტამიაში ძვ. წ. 5 ათასწლეულში და 4-ე ათასწლეულის შუა ხანებში და ვრცელდება ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, სიროკილიკიაში, მცირე აზიაში (მალტაში) და ურუმის ტბის სამხრეთით. აღსანიშნავია, რომ უბეიდის კულტურაც მტკვარ-არაქსის მსგავსად არ ცნობს კერამიკურ ჩარხს.

ს. ლოიდის თქმით, უბეიდის კულტურა ვრცელდება მესოპოტამიიდან შორს აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებითაც. ეს არის ნაძერწი ჭურჭელი, რომლის ზედაპირზე მუქ-ყავისფერი საღებავით, ნახატი იყო დატანილი¹. ჭარბობს მცენარეული ორნამენტი, იშვიათად ცხოველების და ფრინველების სტილიზებული გამოსახულებები².

მთელი შუმერის ტერიტორიაზე დაკრძალვის რიტუალი უბეიდის დროს მოითხოვდა როგორც წესი მიცვალებულის დაკრძავას გაჭიმულ მდგომარეობაში, რაც გამონაკლისს წარმოადგენდა ძველი მიწათმოქმედ-მესაქონლეების ჩვეულებრივ პრაქტიკაში. მოზრდილებს კრძალავდნენ სპეციალურ სამარხებში დასახლების გარეთ, მაგრამ ბავშვებს ზოგჯერ სახლებს შორის მარხავდნენ³.

უბეიდური კულტურა შუმერის ტერიტორიაზე 300-500 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში „პროტოშუმერები“ რჩებოდნენ უბრალო მიწათმოქმედ-მესაქონლეებად. სწორედ არსებობისთვის სხვა საშუალების არქონა ავარაუდებინებს გ. ჩაილდს მათ თანდათანობით გავრცელებას მესოპოტამიის გარეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპირომდე⁴.

აღნიშნულია, რომ ხასუნის კულტურის მოსახლეობის ნაწილი შესაძლოა გადასახლებულიყო სამხრეთში, მომავალი უბეიდის მხარეში, რაც შეინიშნება კერამიკული მასალით საფუძველზე⁵. ამავე დროს, ე. ანტონოვას კვლევით, ანაუსის და უბეიდის კულტურის სტატუტკები მრავალი ელემენტებით გავს ერთმანეთს, რაც მათ გენეტიკურ კავშირებზე მეტყველებს. განსაკუთრებით წვერებიანი მამაკაცის სახით⁶. როგორც ჩანს სამარის კულტურის მატარებლებმა უდიდესი როლი შეასრულეს უბეიდის კულტურის ფორმირებაში⁷. ნამაზგა III-ეში უბეიდის კულტურის გავლენის შედეგად თანაარსებობს (ძვ. წ. IV ათასწლეული და III ათასწლეულის პირველი ნახევარი – მესოპოტამიის ადრედინასტიური პერიოდი), სტატუტკები⁸.

ქ. ელიაზიგის მახლობლად აღმოჩენილი ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ანთროპომორფული ფიგურები, ე. ანტონოვას აზრით (ტულინ-თეფეს დასახლება), მსგავსია შუამდინარეთის ხალაფურ და უბეიდურ ფიგურებთან⁹.

¹ С. Ллойд, Археология Месопотамии, М. 1984, гв. 50.

² С. Ллойд, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

³ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

⁴ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 191-192.

⁵ Е. В. Антонова, Антропоморфная пластика древней Месопотамии, культура Джармо и Хассуни (конец VII-X тыс. до н. э.), Советская археология, м. 1972, №2.

⁶ Е. В. Антонова, Сходство и различие антропоморфной пластики южной Туркмении и Месопотамии в эпоху энеолита, Средняя Азия в древности и в средневековье, М. 1977, გვ. 18.

⁷ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

⁸ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

⁹ Е. В. Антонова, С. А. Есаян, Антропоморфная скульптура армянского нагорья V-III тысячелетия до н. э. местная специфика специфика и межрелигиозные связи. Древний Восток. Этнокультурные связи, Т. LXXX, М. 1988, гв. 221.

ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული პლასტიკა ე. ანტონოვას აძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ამერკავკასიის ანთროპომორფული პლასტიკა ვითარდებოდა იმავე ევოლუციის ჩარჩოებში, რომელიც შეინიშნება აღმოსავლეთის მთელი რიგი რეგიონების პლასტიკისათვის. მისი განვითარების ადრეულ სტადიაზე (ნეოლით-ენეოლითი) ჭარბობს ქალის ფიგურები დამჯდარ პოზაში. ასეთი კომპლექსები აღმოჩენილია ჯარმოში, ხასუნის კულტურის დასახლებებში, სამარაში, ხალაფში და შუამდინარეთში, ანაუსის კულტურის ძეგლებში სამხრეთ თურქეთში ნამაზგა I-III პერიოდში, კონის დაბლობში (სამხრეთ თურქეთი). მოგვიანებით, ენეოლითის დასახლებაში და ბრინჯაოს ეპოქაში ამ ფიგურებს ცვლის მდგომარე მდგომარეობაში მყოფი და მამაკაცთა გამოსახულებები¹. გამოთქმული მოსაზრებით, ხრამის დიდი გორის ფიგურები მესოპოტამიის ხალაფის კულტურასთან პოულობს მნიშვნელოვან კავშირებს².

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ადრეული კულტურებისათვის დამახასიათებელი ანთროპომორფული ქანდაკებები არ არის ერთგვაროვანი სტილის ნიშნების მიხედვით. არსებითი განსხვავებები ჩანს ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანის ფიგურებს შორის, რაც გამოთქმული მოსაზრებით, განსხვავებულ კულტურულ ორიენტაციაზე მიუთითებს; თუ ენეოლითში სამხრეთ კავკასიის ფიგურებს ანალოგიები მესოპოტამიაში ეძებნება, ადრეობრინჯაოს ხანაში ისინი მცირე აზია-აღმოსავლეთ ხმელთაშუაღვისპირეთში ჩანს... ამ ფაქტს ხსნიან, როგორც ეკონომიკური ცვლილებებით და კულტურული კავშირურთიერთობებით, ისე ეთნიკური პროცესებით, რომ ენეოლითსა და ადრეობრინჯაოს ხანების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში მცირე აზიიდან თანდათანობით შემოიჭრა ახალი ეთნიკური ელემენტი – ქართველური მოდემის ტომების პირველი ტალღა, რასაც თან მოჰყვა ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება³.

ვფიქრობთ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით ძნელდება უბეიდის კულტურის მატარებელი ტომების მიგრაციის ვარაუდი მტკვარ-არაქსის საწყის კერებთან, რამდენადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ცენტრიდან პირიქით, იქით ხდება სირიის ტერიტორიაზე და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოლში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის ამ კულტურის გავრცელება. სირია და მისი მიმდებარე მხარეები რომ უფრო ადრე დაეკავებინათ უბეიდის კულტურის მატარებელ ტომებს მაშინ ისინი იქვე, კულტურის მსგავს ნიშნებს უფრო ადრე დატოვებდნენ და მტკვარ-არაქსის გამოჩენა დიდ ცვლილებებს არ მოგვცემდა წინარე კულტურასთან მიმართებაში. თვით მტკვარ-არაქსსა და უბეიდს შორის ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე დამაკავშირებელ ხაზს, თუმცა ალბათ საკითხს უფრო მეტი ახალი აღმოჩენების შუქზე მოეფინება ნათელი. დღეს კი ეს არ ჩანს. შესაძლოა გარკვეული შეხვედრები მართლაც მოხდა ამ ორი კულტურის მატარებელ, განვითარების პირველყოფილ სტადიაზე მყოფ ცალკეულ ტომებს შორის, მაგრამ მათ გენეტიკურ ერთიანობაზე რთულია საუბარი.

ხალაფის კულტურაში ერთ-ერთი სამარხის მაგალითზე, ჩონჩხი მოთავსებულია ოვალური ფორმის თხრილში რამოდენიმე (სამი) მოკრუნხული ჩონჩხი ორ შემთხვევაში იყო მარჯვენა მხარეს, ხოლო მესამე მარჯვენა. ერთი ჩონჩხი იყო მოკრუნხულ

¹ Е. В. Антонова, С. А. Есаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 224

² Е. В. Антонова, С. А. Есаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

³ გ. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ. 1984, გვ. 40.

მდგომარეობაზე ზურგზე. ორიენტაციით ჩრდილო-დასავლეთისკენ (ორი შემთხვევა) სამხრეთ-დასავლეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ (ოთხი შემთხვევა)¹. ასევე დამოწმებულია მიცვალებულის დაწვის წესი. აქ სამარხთა უმრავლესობა შესრულებულია კატაკომბებში. შეინიშნება ჩონჩხის ძლიერი მოკრუნხულობა, როგორც ვარაუდობენ შესაძლოა გვამის დაბმა. არის ოქრის კვალი².

ტელ-არპაჩიას ნამოსახლარში ნაპოვნია დაკრძალული ოთხი თავის ქალა. ისინი იდო ჭურჭლებში – სამი ფინჯანში, ერთი დიდ ქვევრში. მასთან დაწყობილია ექვსი თიხის ჭურჭელი და ერთი ქვის. საინტერესოა მითოლოგიური სცენებით გაფორმებული ჭურჭელი, რომელიც მრავალჯერად დასაკრძალავს წარმოადგენდა.

ხალაფის თეფეს გავრას სამარხები ძირითადად ბავშვებისაა. ისინი ნაპოვნია შენობებს შორის. ზოგიერთი ჩონჩხი მოთავსებულია დიდ ჭურჭლებში³.

კატაკომბების მსგავსი სამარხები ხალაფის კულტურაში გაჩნდა ძვ. წ. 5 ათასწლეულის შუა პერიოდზე. 1,5 ათასი წლის უკან ცნობილია ყველაზე ძველი კატაკომბები პალესტინასა და სირიაში.

უბეიდი 2-ის სამარხები წარმოადგენდა სწორკუთხა ორმოს, რომლის ძირი ზოგჯერ მოხატული კერამიკით იყო ამოწყობილი. მიცვალებულები აქ გაჭიმულნი არიან ზურგზე, ხელის ძვლები დევს ისე, რომ მტევნები ლაგდება მენჯთან; ზოგჯერ მუხლები მცირეოდენ გაშლილია. ექვსი ჩონჩხი განთავსებულია თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ, ორი სამხრეთ აღმოსავლეთისკენ და თითო-თითო – დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავთან განთავსებული იყო ჭურჭლები ან ფეხებთან. ერთ სამარხში ნაპოვნია დამტვრეული ჭურჭელიც. სამარხებში გვხვდება სამკაულებიც, ქანდაკებები, რომლებიც გამოსახავენ ქალებს. ერთ მიცვალებულს ქანდაკება ეჭირა ხელში, მეორესთან ორი ფიგურა იდო ხელებს შორის⁴.

ვფიქრობთ, სამართლიანადაა შენიშნული, რომ ურნაში მიცვალებულს კრძალავდნენ ზურგზე, ისევე როგორც ერედუში გაჭიმულ მდგომარეობაში. ასეთი დაკრძალვა დამახასიათებელია უბეიდლებისათვისაც. მაგრამ არა შემდგომი შემერის მცხოვრებლებისათვის⁵.

მტკვარ-არაქსში ფიქსირებულია სამარხთა რამდენიმე ტიპი. ასევე არაერთგვაროვანია დაკრძალვის წესი. არის ინდივიდუალური სამარხები, საცხოვრებელ ნაგებობებში გამართული ბავშვის სამარხები, ინჰუმაციური სამარხების გვერდით არსებობს კრემაციული სამარხები და კენოტაფები. მტკვარ-არაქსის წინარე კულტურას ძირითადად ორმოსამარხები ახასიათებს. ორმოსამარხები აგრძელებს არსებობას არა მარტო მტკვარ-არაქსის კულტურაში, არამედ მის შემდგომაც დიდი ხნის განმავლობაში. ყორღანული სამარხების გამოჩენა მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრული ეტაპისათვის არის დამახასიათებელი. თვით მტკვარ-არაქსის კულტურამ კი სამარხის ახალი ფორმა მოგვცა – ქვაკუთხედები და ქვის აკლდამები⁶.

¹ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 77.

² Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

⁴ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

⁵ С. Ллойд, Археология Месопотамии, М. 1984, გვ. 50.

⁶ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 187.

აღნიშნულია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულის დაწვის მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაა ფიქსირებული. ერთი აღმოჩნდა კიკეთის სამარხში; ასევე კრემაციის შემთხვევაც ჩანს ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში, ასევე ქვაცხელის სამარხში. აქ და საკუთრივ ქვაცხელის ყველა დანარჩენ სამარხში ინჰუმაცია იყო. ო. ჯაფარიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში მიცვალებულის დაწვა, შესაძლოა, მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულ ვითარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ეგებ, აკლდამის გაგრძელებასთან¹.

გ. მირცხულავას ბოლოდროინდელ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ქვაყუთები მტკვარ-არაქსისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციულად საკმაოდ მარტივი ნაგებობაა, თუმცა მისი უპირატესობა ორმოსამარხთან მისი ხელმეორედ გამოყენების საქმეში – აშკარაა. რაც შეეხება ქვით ნაგებ აკლდამებს, ის საცხოვრებლის მიბადვიით კეთდება, დიდია, აქვს შესასვლელი კარი და ზღურბლის ქვა. ხშირად კარებთან ჩამავალი ერთი ან ორი საფეხური. ალაპი რთულდება, სამარხეული ინვენტარი უფრო მრავალფეროვანი, ცხოველთა ძვლები უფრო ბევრია. სამარხის სახურავზე ხშირად ჩნდება. მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა რქებითურთ და კიდურების ძვლები – ჩანს ახალი რიტუალი (სამშვილდე, კიკეთი, ხირსა) შესასვლელ კარებთან გარედან ხშირად თავდამხობილი ჯამები გვხვდება. იგივე მხოლოდ დაკრძალვის პოზაა – ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. თითქმის ყველა აკლდამის ქვაყრილი გააჩნია. ქვაყრილები ორმოსამარხებსაც უჩნდებათ, განსაკუთრებით ხის კონსტრუქციებს. საოჯახო ქვის აკლდამებში ყოველი ახალ დაკრძალვაზე ძველი მიცვალებულის ჩონჩხს კუთხეში მიხვეტავდნენ, საკმაოდ დაუდევრად, ჩონჩხი არეულია და რამოდენიმე ჩონჩხის ძვლები ერთმანეთში ირევა, თავის ქალა ხშირად ბადიებშია ჩაწყობილი. აქვეა მიხვეტილი ძველი სამარხეული ინვენტარი. სამაგიეროდ ახალ დაკრძალულთა მიმართ მოწიწება იგრძნობა, შუაში კრძალავდნენ, გარკვეულ წესს იცავდნენ – ატანდნენ საგზალს, საოჯახო ნივთებს და სხვა².

ქვის აკლდამებში არ ჩანს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, აქ ორმოსამარხების ფორმა არის გაბატონებული და გვიანი ყორღანები შემოდის, რასაკვირველია ორმოსამარხის თანაარსებობით. არ არის აკლდამები ასევე აზერბაიჯანში. ამ ტიპის სამარხთა გავრცელება ზოლად გასდევს კავკასიას - სომხეთი – მესხეთ-ჯავახეთის გადმოვლით ქვემო ქართლზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაზე გადის³.

ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის თისელის (ბორჯომის რაიონი) შესწავლილი 10 სამარხიდან ცხრა ორმოსამარხია. ერთი კი სამარხი აკლდამა, რომლის კედლები ნაშენი იყო მშრალად თლილი თქვთ. აკლდამა ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული, რომელზედაც მცირე ზომის ქვაყრილი ყოფილა მოწყობილი. ქვაყრილიანი იყო ერთ-ერთი ორმოსამარხიც, დანარჩენი სამარხები მიწაყრილიანია. სამარხების დამხრობაში გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება. ექვსი სამარხი გრძივი ღერძით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ხელ-ფეხ მოკეცილ მდგომარეობაში. შვიდ შემთხვევაში მარცხენა,

¹ ო. ჯაფარიძე ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა), თბ. 1998, გვ. 57-58.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

ხოლო სამში – მარჯვენა მხარეზე. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია, მხოლოდ ორმოში დაფიქსირდა წყვილადი დაკრძალვა, ორივე შემთხვევაში მამრობითი სქესის ინდივიდი იყო დაკრძალული. მიცვალებულთა უმრავლესობას თავი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აქვს მიმართული¹. სამარხებში 11 ინდივიდი აღმოჩნდა. აქედან სამი ბავშვია. რვა მიცვალებულიდან ექვსი მამრობითი, ხოლო ორი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. სამარხების უმრავლესობა უინვენტაროა. ნივთები აღმოჩენილია ოთხ სამარხში. ის წარმოდგენილია ოთხი ჭურჭლით, ძვლის კვირისთავითა და მძივებით. უინვენტარო სამარხში ხშირად ცხვრის, თიხის, ხარისა და ძროხის ძვლები ჩნდება.

ეს ორმოსამარხები მსგავსებას ამუღავნებს შიდა ქართლის ძეგლებთან. ხოლო ქვის აკლდამები კი ქვემო ქართლის, ახალციხის ამირანის გორის, სომხეთში და თავს იჩენს დაღესტანში².

ძველ ადრესამიწათმოქმედო კულტურებისათვის საერთო-საცხოვრებელში დაკრძალვის წესთან ერთად იყო განსხვავებული დაკრძალვის წესი ძვ. წ. IV-III ათასწლეულის შუა აზიის (გიუქსურ I) ადრესამიწათმოქმედო კულტურაში. სპეციალურ მონაკვეთში, რომელიც შემოსახლვრული იყო ალიზის კედლებით, მდებარეობდა ალიზის აგურისგან აშენებული სპეციალური დასაკრძალავი კამერები. მათ ჰქონდა ოვალური ან მართკუთხა ფორმა, ერთ-ერთ მათგანში კი შემორჩა ცრუკამაროვანი გადახურვა, რომელიც მოწყობილი იყო ალიზის აგურისგან. ყოველ მათგანში მდებარეობდა რამოდენიმე (რვაამდე) სამარხი, ამათან ეს სამარხები ერთდროული არ იყო, არამედ ხდებოდა ახალი მიცვალებულია დაკრძალული და გამოთქმული მოსაზრებით, ისინი წარმოადგენდნ დიდოჯახებიანი თემის განსასვენებელს. ვ. მასონის აზრით, ამ კულტურაში ფიქსირებული ორგვარი დაკრძალვის წესი, გავლენიანი ოჯახების განსასვენებელს კი არ წარმოადგენენ, არამედ ავტორი აქ ტომობრივ ანუ ეთნიკურ განსხვავებებს ხედავს და აღნიშნავს, რომ ეს დასაკრძალავი კამერები ახლო ანალოგიებს პოულობს (რომელიც ადრე აქ არ იყო ცნობილი), ელამის და ძველი მესოპოტამიის დასაკრძალავ და სხვა ადჭურვილობასთან. ეს მიუთითებს ფართო კულტურულ კავშირებზე, რომელიც დამახასიათებელია მოცემული პერიოდისათვის³.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებში დაკრძალვის ფორმათა თავისებურება, საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს სამშვილდის სამაროვანზე, მოვიყვანთ რამდენიმე მათგანის აღწერილობის ძირითად ნიუანსებს. სამარხი №1, ნაგებია დიდი ზომის ქვებით და დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სამარხში აღმოჩენილია ორი ჩონჩხი, ერთი დაკრძალული იყო სამარხის შუა ნაწილში, თავის აღმოსავლეთისაკენ, ხელფეხმოკეცილი მარჯვენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა 3 ჭურჭელი: ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთი გატეხილი ბადია და ტოლჩა. ხოლო ერთი ბადია – სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ასევე დამტვრეული, როგორც ვარაუდობენ სამარხში ჩავარდნილი ქვისგან.

სამარხი №2. დიდი ზომის ქვის ღოდებისაგან ნაგები დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიცვალებული სამარხის შუა ნაწილში იყო დაკრძალული თავით

¹ გ. გოგოჭური, ა. ორჯონიკიძე, თსულის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 111.

² გ. გოგოჭური, ა. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

³ В. М. Массон, Средняя Азия и древний Восток, М. 1964, გვ. 152-153.

ადმოსავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე – ფეხმოკეცილა. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა ორშვერილიანი დიდი პირფართო ბადია; მიცვალებულის მკერდის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა სასაფეთქლე რგოლი¹.

სამარხი №6. მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავით სამხრეთისაკენ იწვა ორი მიცვალებული, ფეხებმოკეცილი მარჯვენა და მარცხენა გვერდზე. თავის ქალებს შორის იდგა დიდი ბადია, რომელშიც იღო ცალყურა ტოლჩა აღმოსავლეთის კედელთან, პირველი ჩონჩხის მენჯის ძვლის არეში იღო ცალყურიანი დიდი ბადია, მეორე ჩონჩხის უკან ძირგატეხილი ტოლჩა. ცენტრალური ჩონჩხების თავის ქალებს შუა იღო ბრინჯაოს ორმხრივ თავდახვეული საკინძი, რომლის ცალი ხვია ადრევე მოტეხილი ჩანს. მეორე ჩონჩხის თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, მრგვალი მავთულისაგან დამზადებული და პასტის ცილინდრული მძივები. ერთ-ერთ ბეღიაში აღმოჩნდა ძვლის გატეხილი კვირისთავი².

სამარხი №10. ნაგები იყო დიდი ზომის ქვის ლოდებით და ზემოდან ორი დიდი ლოდით იყო გადახურული, სამარხი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. შესასვლელი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან. შესასვლელი ჩაკეტილი იყო ქვის „კარით“, რომელიც გარედან სამი მომცრო ზომის ქვით იყო გამაგრებული. აღმოსავლეთ ნახევრის სახურავის ქვაზე, დაახლოებით სამარხის ცენტრში ერთ მწკრივად დაწყობილი იყო საქონლის ორი თავის ქალა და კიდურების ძვლები. სამარხის იატაკი ბრტყელი ქვის ფილებით იყო მოგებული. სამარხის ცენტრში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, თავით აღმოსავლეთისაკენ ხელ-ფეხმოკეცილი მარცხენა გვერდზე. ჩონჩხს მუხლთან ედგა ბადია, მენჯის ძვლის არეში უკანა მხრიდან კი თავდამხობილი ჯამი. ჩრდილოეთ კედელთან, შემოსასვლელიდან 0,75 მ. დაშორებით იდგა დიდი ბადია, რომელშიც იღო ტოლჩა, მის გვერდით იდგა მეორე ბადია, რომელშიც ასევე იღო კოჭობი. იქვე თავდამხობილი იყო ფართო ჯამი. სამარხში აღმოჩნდა ასევე კაჟის დაკბილული, ყუნწიანი ისრის წვერი და 13 ცალი პასტის თეთრი ცილინდრული მძივი³.

სამარხი №16. მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (მცირე გადახრით სამხრეთ-დასავლეთისაკენ). შესასვლელი ჰქონდა სამხრეთის მხრიდან. სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულის ორი ჩონჩხი. ერთი იწვა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავით სამხრეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი. მეორე მიცვალებულის ძვლები მიხვეტილი იყო სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. აქვე იყო თიხის სამი ჭურჭელი⁴.

სამარხი №24. მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. დაკრძალული ჩანდა მარჯვენა გვერდზე. კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხი გაძარცვული ჩანდა. მასში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ნახეტი და ძვლის კვირისთავი⁵.

გ. მირცხულავას აღნიშვნით, სამშვილდის სამაროვანზე ერთ-ერთი საინტერესო საკითხია სამარხთა ტიპისა და დაკრძალვის წესის გარკვეული, მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმის არსებობა. გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება აგრეთვე სამაროვანის

¹ გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ. 1975, გვ. 26.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29.

⁴ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁵ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

დაგეგმარებაში, რაც ჯერ-ჯერობით ასე კარგად სხვაგან თითქმის არსად თითო ოროლა გამონაკლისის გარდა გამოვლენილი არ არის (მთიანი ყარაბახი, მიატლის სამაროვანი)¹. ავტორისავე აღნიშვნით, სამშვილდის სამაროვანზე გამოიყოფა ორგვარი სამარხები, 1. დიდი ზომის საოჯახო აკლდამები, 2. ბავშვის სამარხები – გათხრილ იქნა ბავშვთა ორი სამარხი, ისინი ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ. მერვე სამარხის იატაკი, ქვის პატარა ფილებით იყო მოკეპული. ეს სამარხები ახლოს დგას გინჩის და თეთრიწყაროს ენეოლითურ ნასოფლარში აღმოჩენილ ქვისსამარხებთან და ახალციხის ამირანის გორის ბაშვის სამარხთან. ამირანის გორაზე კი აღმოჩენილია სამარხთა ერთი ჯგუფი, სადაც ბავშვთა გვერდით დასაფლავებულია მოზრდილი მიცვალებული².

აღნიშნულია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში ამ კულტურის გავრცელების თითქმის მთელს ტერიტორიაზე (სამშვილდე, კიკეთი, ახალციხის ამირანის გორა, თამარისი, არდასუბანი, თრიალეთი, ხირსა, ნული, რაჭა-ბრილში, სომხეთი – არჭის-ერნისში, ააგარაცში) ასევე ქვაყუთების სახით ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში – დაღესტანი, ჩეჩენ-ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი, მაიკოპის კულტურის წრეში და მისი პარალელების გავლება შეიძლება ყაზახეთში – ყარაღანდის ოლქში) აქ სამარხის ერთ-ერთი სახეობაა ქვით ნაგები აკლდამები და მომცრო სამარხები³.

აღნიშნულია, რომ სოციალური ცხოვრების გართულებასთან კაშირშია წინაპრის კულტის არსებობა მტკვარ-არაქსში, რომელიც აქ საკმაოდ მრავალფეროვნად ჩანს სამარხებში⁴. მაგალითად ხიზანანთ გორის ნამოსახლარის სამაროვნებში მიცვალებულებს ძირითადად ორმოსამარხებში კრძალავდნენ; სამარხებში თითო ან ორი მიცვალებული იყო მოთავსებული და აქ აღმოჩენილი ინვენტარი სამოსახლოზე ნაპოვნი მასალების მსგავსია. სამარხებში ჭარბად იყო წარმოდგენილი ლითონის ნივთები; ეპირატესად სამკაულები და ეგრეთვე საბრძოლო იარაღები⁵.

ამირანის გორის მტკვარ-არაქსის სამოსახლოში სახლებში და სახლებს შორის, არის ბავშვთა დაკრძალვის დამადასტურებელი ფაქტები. საკუთრივ სახლებში იატაკის ქვეშ ჩვილ ბავშვთა დაკრძალვის 5 შემთხვევაა დადგენილი. ბავშვთა იმ სამარხებში, რომლებიც იყო იატაკის ქვეშ არ იყო აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, თუმცა ერთგან აღმოჩნდა ძვლის ნემსი, მეორეგან კი ავეგაროზად გამოყენებული ძაღლის გახვრეტილი კბილები. ბავშვის სამი სამარხია აღმოჩენილი შენობებს შორის ან უშუალოდ სახლის ჩრდილოეთი კედლის უკან. ასევე აღსანიშნავია აქვე ნაპოვნი ჩვილი ბავშვის ნახევრადდამწვარი მცირერიცხოვანი ძვლების აღმოჩენაც⁶.

ამირანის გორაზე აღმოჩენილი სამარხები იყოფოდა სამ ტიპად.

I ნალისებრი ფორმის დიდი სამარხი – აკლდამა (2 სამარხი)

II ქვის სამარხები – ფილაქვებისაგან ნაგები სამარხები (31 სამარხი)

III ქვებით ამოყვანილი სამარხები ნაგებია აკლდამისებური სამარხების მსგავსად (5 სამარხი).

¹ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-41. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁴ P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.

⁵ ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 114-115.

⁶ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963, გვ. 35-36.

იმათგან პირველი და მეორე ტიპი მიეკუთვნება ადრეულ სამარხს, ხოლო მესამე გვიანდელს.

სამარხი 36. ნაგებია დიდ ორმოში, რომლის ძირიდან ამოყვანილი 1,3-1,4 მ. სიმაღლის რიყის ქვის სამ კედელს სამარხის გეგმაში ნაღისებრი ფორმა აქვს. იგი გადახურული იყო ბრტყელი ქვებით. სამარხი ორიენტირებული იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. მარჯვენა გვერდზე დასვენებული მიცვალებული სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან იდო. მისი თავისუფლად მოხრილი კიდურები მუცლის არეში ეწყო. მიცვალებული თავით სამხრეთისკენ იყო მიმართული. მას თავქვეშ ამოდებული ჰქონდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. ამავე ცხოველის თავის ქალა და ფეხების ძვლები სამარხის წინ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გარეთ აღმოჩნდა. მონაცრისფრო თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე აღმოჩნდა ძვლის კვირისთავი – სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, სპილენძის ყუნწიანი პატარა საკინძი ქვა აღმოჩენილია სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში.

ადრეული ქვის სამარხები: ამირანის გორაზე აღმოჩნდა 31 ქვის სამარხი. ეს სამარხები თავისი სიდიდით და დაკრძალვის წესების შესრულებით ურთიერთისაგან განსხვავდებიან.

მოზრდილთათვის განკუთვნილი 21 სამარხიდან 14 სამარხი თითო მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი ეს სამარხები ერთიმეორეზე დაწყობილი ან გვერდზე შეყენებული ერთიანი ბრტყელი ქვებითაა გამართული. დანარჩენი 7 სამარხიდან სამში მოზრდილი ადამიანის და ჩვილი ბავშვის ჩონჩხის ძვლები იყო. ოთხი სამარხიც სხვადასხვა დროს ჩასვენებულ ორ-ორ ადამიანის ჩონჩხს შეიცავდა.

№10 სამარხში ბავშვები იყო დაკრძალული. ყველა სამარხი გარდა ერთისა, რომელშიც ორი ბავშვი ერთადაა დასაფლავებული (სამარხი №12). ზემოხსენებულ სამარხებთან შედარებით ბევრად ნაკლები სიდიდისაა. ეს. ტ. ჩუბინიშვილის მოსაზრებით, აიხსნება არა მარტო იმით, რომ პატარები არიან დაკრძალული, არამედ ზოგჯერ დაკრძალვის წესის თავისებურებითაც.

ბავშვის დასაკრძალავად იგებოდა ჩვეულებრივი აღნაგობის, პატარა ქვასამარხი, რომელშიც მიცვალებული გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში უნდა დაესაფლავებინათ. მხოლოდ სამ შემთხვევაში აღმოჩნდა თითქმის კვადრატული ფორმის სამარხი. მათგან ორ სამარხში მცირეწლოვანი ბავშვის თავის ქალები იდო. სხვა სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელიც. აქაც დაკრძალვის ჩვეულებრივი სიდიდის ქვის სამარხი თიხის ჭურჭელთან ერთად ზრდადასრულებული ადამიანის თავის ქალას შეიცავდა და მასში ჩონჩხის სხვა ძვალი არ ყოფილა აღმოჩენილი.

ამირანის გორის ტერიტორიაზე გათხრილ სამართხთა ორივე ჯგუფი ტ. ჩუბინიშვილის დაკვირვებით, ძირითადად მაინც ერთგვაროვანი დაკრძალვის წესით ხასიათდებოდა. სამარხები მიცვალებულისათვის ჩატანებულ ნივთთა შემადგენლობით და საკუთრივ აღნაგობით მსგავსი არიან. ამავე დროს გვხვდება ბავშვების პატარა სამარხები, სადაც უფრო მრავალფეროვანი დაკრძალვის წესის დადგენა ხერხდება.

ამირანის გორის სამაროვანს ტ. ჩუბინიშვილის აღნიშვნით, ახასიათებს დაკრძალვის წესის გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ძირითადად შემდეგში გამოიხატება.

ყველა ქვის სამარხი თავისი გრძივი ღერძით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული. თითქმის ყველა მიცვალებულს თავი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აქვს მიმართული, გამონაკლისს მხოლოდ ორი სამარხი წარმოადგენს. ამ სამარხებში ორ-ორი მიცვალებულია დასაფლავებული პირველად ჩასვენებულია მარჯვენა გვერდზე მდებარე და თვით ჩრდილო-დასავლეთისკენ დამხობილი მიცვალებულები, ხოლო შემდეგ კი იმავე გვერდზე, ოღონდ უკან თავით საწინააღმდეგო მხარეს მიმართული მიცვალებულები.

მიცვალებული უმეტესად – 11 სამარხში მარცხენა გვერდზე ასვენია და მხოლოდ 5 სამარხში მარჯვენა გვერდზე.

მიცვალებულის პოზა სამარხში ყოველთვის ერთნაირია, მათი კიდურები თავისუფლად მოხრილია. ხელები ან პირისახისკენაა მიტანილი ან მოქცეულია მუხლებს შუა. ზოგ შემთხვევაში მიცვალებულს თავქვეშ სიპი რიყის ქვა ან ფილაქვა ან კიდევ ცხოველის გულმკერდის ნაწილი აქვს ამოდებული. გამოთქმული მოსაზრებით, მიცვალებულისათვის შეწირული ცხოველის, განსაკუთრებით კი ხარის თავფეხის ჩატანება როგორც ჩანს, ყოველთვის არ ხდება და ასეთი რიტუალი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ზოგიერთი მამაკაცის დაკრძალვის დროს სრულდებოდა. ამათგან კი საგანგებოდ აღსანიშნავია ერთ-ერთი სამარხი, რომელშიც ერთ მამაკაცთან ოთხი ხარის თავი იდო. სამარხში ჩვეულებრივ ერთი თიხის ჭურჭელია ჩატანებული მეტწილად ჭურჭელი მიცვალებულის სახის წინ ან თავის უკან დევს. ერთზე მეტი ჭურჭელი აღმოჩენილია მხოლოდ სამ სამარხში¹.

ქიულ-თეფე I ნამოსახლარზე (აზერბაიჯანი) საცხოვრებელ სახლებს შორის გაითხარა 73 სამარხი. ზურგზე მოხრილ მდგომარეობაში უმთავრესად თითო ცხედრით; ზოგიერთი ჩონჩხი წითელი ოხრით არის შეღებილი. საინტერესოა, რომ ორ სამარხში ნაპოვნია ძაღლის ჩონჩხი. სამარხთა ნაწილი შეიცავდა ინვენტარს – თიხის ჭურჭელს, ობსიდიანის ნაკეთობებს და სხვ. ასეთივეა ბაბადერვიშის და გინჩის სამარხებზე. ასევე ძვ. წ. V-IV ათასწ. ამიერკავკასიაში, დაღესტანში, დასახლების შიგნით დაკრძალვის წესი საყოველთაო ჩანს².

ქართლში არუხლოს ნამოსახლარის ერთ-ერთი სახლის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ბავშვის დაკრძალვის ფაქტი³.

ცხინვალთან, ნაცარ-გორის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ერთეულბრივი სამარხები, რომელშიც მიცვალებული ესვენა მოხრილ მდგომარეობაში გვერდზე⁴. ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის ენეოლითურ სამარხებში დაკრძალვის მსგავსი წესებია ფიქსირებული – თითო-თითო მიცვალებული, ზოგჯერ კი ერთიდან ორამდე, აღმოჩნდა 12 ბავშვის სამარხი; მიცვალებულები იწვნენ გვერდულად ან ზურგზე მოხრილ მდგომარეობაში. ორიენტაციის მკაცრად განსაზღვრული წესი არ არსებობს. ზოგი ჩონჩხი შეღებილი იყო ოხრით და გახვეული ფუთაში. უმრავლეს შემთხვევაში თავს ქვემოთ იდო ქვა ან უხეში ჭურჭლის ნატეხი⁵.

¹ ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963, გვ. 38-40.

² P. M. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века (Неолит, энеолит, ранняя бронза), М. 1975, გვ. 117, 118.

³ Т. Н. Чубинашвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа (V-IV тыс. до н. э.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ. 1917, გვ. 338.

⁴ Т. Н. Чубинашвили, К. Х. Кушнарева, დასახ. ნაშრომი, გვ. 343.

⁵ Т. Н. Чубинашвили, К. Х. Кушнарева, დასახ. ნაშრომი, გვ. 345-346.

როგორც აღნიშნულია, ყორღანული კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შიდა ქართლში და კახეთში, ძირითადად ივრისპირეთში ვრცელდება. შიდა ქართლში მის გამოჩენას გამოთქმული მოსაზრებით, თავიდან ცხოვრების პირობებში საგრძნობი ცვლილებები არ გამოუწვევია. თანაცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე, ეტყობა, შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა. ამ დროისათვის, ჩანს, აქ არც დაკრძალვის წესში მომხდარა რამე შესაჩნევი ცვლილება და მიცვალებულები ისევე ძველი ადათით იმახრებოდნენ. ყორღანული კულტურის მატარებლებს, ო. ჯაფარიძე უწოდებს „ახლად მოსულებს“ და აღნიშნავს, რომ ისინი მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცვიან, რომელიც შიდა ქართლში შედარებით უფრო ძლიერი იყო. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ აქ ბედენის კულტურა აგრძელებს არსებობას (ბერიკლდეების ნამოსახლარი). ამ დროს ვრცელდება აქ ინდივიდუალური ყორღანული სამარხები¹.

დაკრძალვის თავისებური ტიპი გამოვლენილია ამირანის გორის სამაროვანზე, სადაც კოლექტიურ სამარებში მიცვალებულები ერთმანეთზე იყვნენ დამარხულნი².

აღნიშნულია, რომ ძვლების არევა მტკვარ-არაქსის მრავალ კოლექტიურ სამარხებში გვხვდება, რაც გამოთქმული მოსაზრებით, გამოწვეულია ახალ მიცვალებულთათვის ადგილის განთავისუფლებით. მიცვალებულთა არეულ ძვლებს მეორადი დაკრძალვით ხსნიდნენ მინოსურ აკლდამებშიც, როგორც ამას გ. ჩაილდი გვამცნობს, მაგრამ ქსანფუდიდისის მიერ მესარაში ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძვლების არევას სამარხში იწვევს ახალი მიცვალებულის ადგილის განთავისუფლება, მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც ძვლები არეული კი არ არის, არამედ დაკრძალულია მხოლოდ თავის ქალა, ან ჩონჩხი თავის ქალის გარეშე, გ. მირცხულავას აზრით, აქ შესაძლებელია მართლაც მეორად დამარხვასთან გვეკონდეს საქმე³.

კოლექტიურ დაკრძალვის წესში ეთნიკური ცვლილებების კვალის ხაზგასმა, ვფიქრობთ, ბოლომდე გამართლებული არ უნდა იყოს. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ საოჯახო განსასვენებლებს და საზოგადოების შინაგანი წყობის ცვლილებებზე უნდა მეტყველებდეს. ეს მიუთითებს საოჯახო თემის სოციალური როლის გაზრდაზე⁴.

ელარში გათხრილი 21 სამარხიდან, რომელიც მტკვარ-არაქსის პერიოდით თარიღდება არის როგორც ნალისებური ქვისსამარხები, ქვაყუთები და თერთმეტი ორმოსამარხი. გამოთქმული მოსაზრებით, ორმოსამარხები უფრო ადრეულია, უძველესი ორმოსამარხები, სადაც ჩანს რწმენა სულზე. მუსტიესა და ორინიაკის ეპოქაში ფიქსირებული მიცვალებულთა დამარხვა თავდაპირველად დაკავშირებულია სურვილთან გაუნებელჰყონ იგი და აიძულონ მოშორდეს ცოცხლებს. კრძალავდნენ ფეხებმოკეცილს, გვერდზე ე. წ. მუცლის პოზაში. ამ პერიოდიდან უკვე ჩანს სამკაულის ჩატანება და საფლავის ოქრით შეღებვა⁵.

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 138-139.

² Т. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб. 1971, გვ. 73.

³ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 57.

⁴ В. М. Массон, Традиция коллективных погребений в энеолите Средней Азии, Афганистана и Индии, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии, №101, М. 1964, გვ. 8.

⁵ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

რაც შეეხება მიცვალებულის ოქრით შეღებვის წესს ის უფრო ფართოდ გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ პერიოდში, ისიც ფართოდ საქართველოში ფიქსირებულ სამარხებში არ ჩანს გავრცელებული და ამ საკითხზე ქვემოთ სათანადო ადგილას ვისაუბრებთ.

გ. მირცხულავას აზრით, ყორღანების მასალები ცოტა უფრო ადრინდელი უნდა იყოს და მტკვარ-არაქსის დასასრული პერიოდით უნდა თარიღდებოდეს, ხოლო ორმოსამარხები უფრო გვიანი ჩანს და ადრიდან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეპოქით, იქნებ შუაბრინჯაოს ეპოქის დასაწყისითაც კი დათარიღდეს¹.

მთელი ადრებრინჯაოს ეპოქის განმავლობაში წამყვანი ადგილი უჭირავთ ცალკეულ ინდივიდუალურ სამარხებს. მათი უმეტესობა შედგენილ ქვაყუთებში ან გრუნტში ამოჭრილ სამარხებშია მოთავსებული. ვრცელ მინდორზე კი აგრეთვე გვხვდება წყვილადი თუ ოჯახური სამარხები და აკლდამები. მიცვალებულის დაკრძალვისას განსაკუთრებული და საკრალური რიტუალები სრულდება. მამაკაცის დაკრძალვისას ხშირად სამარხებში ლითონის იარაღთან ერთად გვხვდება მსხვერპლად შეწირული რქოსანის ძვლები².

სამაროვნების ფარგლებს გარეთ, ნამოსახლარებზე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა იატაკის ქვეშ ჩვილ ბავშვთა უინვენტარო სამარხები, გ. მირცხულავას აზრით, ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული. ნამოსახლარებთან არ არიან დაკავშირებული გორასამარხების (ყორღანების) უმეტესობა, რომლებიც ძირითადად როგორც მაღალმთიან საზოგადოებრივ ველებზე, ისე ზამთრის საძოვრებზე გვხვდება³.

განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში ტომის დაბალი რანგის წევრებისათვის სულის სამეფო მდებარეობს შორეულ უდაბნოს კუნძულში, ქვესკნელში ან წყლის სიღრმეებში. სულების სამეფო უმაღლეს წრეებისთვის კი მდებარეობს ჰაერში, მაღალი მთის წვერზე, და ციურ სამყაროს იქითა მხარეს⁴. ე. ი. სულის მოხვედრა „ზეცაში“ თუ „ჯოჯოხეთში“ დამოკიდებულია არა მის ხასიათზე, არა მის საზოგადოებრივ-ზნეობრივ საქციელზე დედამიწაზე, არამედ მის წოდებრივ მდგომარეობაზე⁵.

გ. მასსონი სამართლიანად შენიშნავდა, რომ არქაულ საზოგადოებაში „სოციალური რანგი განისაზღვრება წარმომავლობით“. ამდენად დაკრძალვის რიტუალები განსაზღვრავენ სწორედ სოციალურ და არა გარდაცვლილთა ქონებრივ მდგომარეობას, თუმცა, ავტორისავე აღნიშვნით, „თვით დიფერენციაციის შეფასება ხდება სიღარიბისა და სიმდიდრის მატერიალური კრიტერიუმებით“⁶.

გ. ჩაილდის დაკვირვებით, არსებობს უამრავი მაგალითი საფლავში ინვენტარის ჩატანებისა, თუმცა არის პირიქითაც იმ საზოგადოებებში, სადაც მიწათმოქმედებაც არის განვითარებული და შესაბამისად შრომის იარაღებიც, ინვენტარი თითქმის არ გვხვდება. უმთავრესად ეს ხდება მაღალი წოდების ადამიანების სამარხებში. ეს იარაღები განკუთვნილი იყო არა მათთვის, არამედ მათი მოსამსახურეებისათვის⁷. სამკაულების,

¹ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

⁴ Г. Кунов, Возникновение религии и веры в бога, гв. 110.

⁵ Г. Кунов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

⁶ В. М. Массон, Экономика и социальный строй древних обществ (в свете данных археологии), Л. 1976, გვ. 145.

⁷ Г. Чайлд, Прогресс и археология, М. 1949, გვ. 149-150.

საომარი ირადების თუ სხვა რამის არჩატანებას ავტორი ხსნის იმით, რომ ეს საზოგადოებები არ განეკუთვნებოდნენ ისეთ მუდმივ საზოგადოებებს, რომლებიც ავტონომიურად ვითარდებიან დროის შედარებით დიდ მონაკვეთზე¹. ამავე დროს ეს განპირობებულია იმ იდეოლოგიის შეცვლით, რომელიც გულისხმობს ნაკლებ მატერიალურ და უფრო განყენებულ გაგებას სულზე და მის მომავალ ცხოვრებაზე. საზოგადოების განვითარების შედეგად მარტივდება დაკრძალვის წესი და ცივილიზაციის განვითარების გამო ადამიანები სულ უფრო ნაკლებ ენერგიას და რესურსებს ხარჯავენ დაკრძალვის რიტუალზე².

ე. ანტონოვას და დ. რავესკის აზრით, ერთი არქეოლოგიური კულტურის ფარგლებში ქონებრივი ინვენტარით არსებული განსხვავებული სამარხები თავის თავში არ წარმოადგენდნენ არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური ბატონობის თავმოყრის შედეგს იმ სოციალური კატეგორიების ხელში, რომელთა წარმომადგენლებსაც ეკუთვნით უფრო მდიდარი სამარხები და ამიტომაც არ შეიძლება გამოვიყენოთ საკმარის საფუძვლად მოცემული საზოგადოებისათვის კლასების და სახელმწიფოს არსებობის სტადიისათვის. სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში ეს ფაქტი შეიძლება მეტყველებდეს მხოლოდ იმაზე, რომ საკვლევმა საზოგადოებამ მიაღწია განვითარების იმ დონეს, როდესაც მას შეეძლო გამოეყო გარკვეული ძალზედ უმნიშვნელო საზოგადოებრივი პროდუქტი იმ წევრების შენახვაზე, რომლებიც განთავისუფლებულნი იყვნენ მწარმოებლურ საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობისგან და რომლებიც ახორციელებდნენ სულიერი წარმოების საორგანიზაციო და სხვა ფუნქციებს³.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე კულტურაში მოქმედი სხვადასხვა დაკრძალვის ტიპი სრულებით არ მიუთითებს ეთნიკურ სიჭრელზე, არამედ ამას შესაძლოა სხვადასხვა ტიპის სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორები ედოს საფუძვლად. ამის საილუსტრაციოდ უამრავთა შორის შესაძლოა ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც ეთნოგრაფიულად არის ფიქსირებული ერთ-ერთ ისეთ ხალხში, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების გვარონულ საფეხურზე იდგა.

მაგალითად, ჩრდილოეთ ინდონეზიის (ტუსონის) ერთ-ერთ ტომში ფიქსირებულია დაკრძალვის სამი ტიპი, იმის მიხედვით თუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ადამიანი. 1. ბავშვებს კრძალავდნენ თიხის ჭურჭელში განსაკუთრებული რიტუალის გარეშე სახლთან ახლოს. ასევე იქცევიან ახალგაზრდების მიმართ და მსხვერპლად სწირავენ ერთ გოჭს. საზოგადოების სრულფასოვანი ანუ მოზრდილი ადამიანის დაკრძალვა უფრო რთული რიტუალებით და დატირებებით სრულდება. ისინი მიცვალებულს აბამენ და სახლის ცენტრში ათავსებენ ჭილოფზე სადაც დატირება ერთი კვირა გრძელდება. შემდეგ ამზადებენ ე. წ. „სიკვდილის მაგიდას“⁴, რომელზეც აბამენ, მას მსხვერპლად სწირავენ ყველა იმ საქონელს, რომელიც მიცვალებულის საკუთრებაში იყო

¹ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

² Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 155, 168.

³ Е. В. Антонова, Д. С. Раевский, «Богатство» древних захоронений (К вопросу о роли идеологического фактора в формировании облика погребального комплекса, Фридрих Энгельс и проблемы истории древних обществ, Сборник научных трудов, Киев, 1984, гв. 166-167

⁴ О. В. Бочагина, Похоронная обрядность и связанные с ней верования горных народов Северного Лусона, Мифы, культуры, обряды народов Зарубежной Азии, М. 1986, гв. 11-112.

სიკვდილამდე. მის ხორცს ამ რიტუალში მონაწილეებს ურიგებდნენ. მათი რწმენით მიცვალებულის „სიკვდილის მაგიდაზე“ დაბმა მის სულს აძლევდა სხეულში დაბრუნების და გაცოცხლების საშუალებას¹.

ძველ არქეოლოგიურ კულტურებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამარხში მიცვალებულთა ორიენტაციები გარკვეული მხარეების მიხედვით, როგორც ჩანს ის სამყაროზე პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენებთანაა კავშირში. მიცვალებულთა დამხრობის ამა თუ იმ წესს ზოგიერთი მეცნიერი ეთნიკურ ნიშნადაც კი მიიჩნევდა.

აღნიშნულია, რომ სამარხთა დამხრობის მტკიცედ დამკვიდრებული წესი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში დამოწმებული არ არის, როგორც ამას გარკვეულწილად ადგილი აქვს სამშვილდის სამაროვანზე². აქ შესწავლილ საოჯახო აკლდამებში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დაკრძალვის მტკიცედ დამკვიდრებული წესი ჩანს. მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ფეხებმოკეცილ მდგომარეობაში, თავით შესასვლელისაკენ. თავთან უდგას ბეღია, ტოლჩა თუ სხვა სახის თიხის ჭურჭელი. მიცვალებულს ატანდნენ საქონელს და ცხვრის ხორცს. შესასვლელის მოპირდაპირე კედელთან, მიცვალებულის ფერხით არის მიხვეტილი ადრე დაკრძალული ჩონჩხი და სამარხი ინვენტარი³.

გ. მირცხულავა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სამარხთა ორიენტაცია ქვეყნის მხარეთა მიხედვით მიუთითებს დამარხვის რიტუალის კოსმიურ წარმოდგენებთან კავშირზე და მზის თავყანისცემაზე, რასაც ავტორისავე აზრით, სამშვილდის სამაროვანზე თიხის ჭურჭლის შემკულობაც ადასტურებს⁴.

ამიერკავკასიის თითქმის ყველა ძველი სამარხები შეიცავდნენ ძირითადად გვერდიდან მარჯვენა მხარეს მოკრუნხულად დაკრძალვის ფორმებს, ხშირად თავისებური ორიენტაციით. ისინი უმთავრესად ასევე დამახასიათებელია მაიკოპის კულტურის სამარხებისთვისაც⁵.

აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის მოკრუნხულად თავით სხვადასხვა მიმართულებით დაკრძალვის წესი დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტურათა მთელი სივრცისათვის და ის ჩვეულებრივია პირველყოფილი და ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალისათვის, სადაც მკაცრად დადგენილი ორიენტაციები არ დგინდება.

მიცვალებულის მოკრუნხულად დაკრძალვის წესი ცნობილია ჯერ კიდევ ძვ. წ. IX ათასწლეულის ნაფუტის (პალესტინა) კულტურაშიც, დაკრძალვის სხვა წესებთან ერთად. ორიენტაცია სხვადასხვაა, მხოლოდ ნახალ ორენეში ყოველთვის სამხრეთით არის მიმართული⁶. ძირითადად აქ მიცვალებულები იკრძალება სახლში⁷.

¹ О. В. Бочагина, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42.

⁴ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41

⁵ Р. М. Мунчаев, Древняя культура Северно-Восточного Кавказа, М. 1961, გვ. 144.

⁶ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 41-42

⁷ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

ძვ. წ. 5-6 ათასწლეულების პალესტინისა და სირიაში, ე. წ. ადრეული, შუა და გვიან ნეოლითის ბიბლოსში გამოიკვეთა სამი დაკრძალვის ტიპი: 1) მიწაში მიცვალებულის ჩასვენება; 2) ქვით ამოშენებულში დაკრძალვა; 3) ბავშვების დაკრძალვა ჭურჭლებში. დაკრძალვის ჩვეულებრივი მდგომარეობა მოკრუნხულია. მარჯვენა მხარეს ხელები დალაგებულია მკერდის წინ. მუხლები მუცლის დონეზე. ერთი ჩონჩხი განირჩევა მჯდომიარე პოზით (ხელების ძვლები გადაჯვარედინებულია¹. შუა ნეოლითში (ძვ. წ. XLV-XLIV სს.) არის იზოლირებული და ერთობლივი. აქ მიცვალებული მოკრუნხულ მდგომარეობაში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ან ზურგზეა დიდი მოკრუნხულობით დასვენებული, ხელები სახის წინ არის დაწყობილი².

ერთეულებრივი მოკრუნხული დაკრძალვის წესი, რომელიც დასახლებებში ეწყობოდა არის რას-შამრა IV-ში (ხალაფის ძვ. წ. V ათასწლეულების ფენა); სამარხები ყველა ბავშვებისაა, IV ფაზაში არის მოზრდილები (თავის სამხრეთით). ძვლები მოხრილ მდგომარეობაში პირდაპირ მიწაში ელაგა. ინვენტარი იშვიათად იყო³.

ნეოლითის და ადრე ნეოლითის ანტიოქიის დაბლობში (კილიკია) ტელ ჯუდეიდში (ამუკი B პერიოდი) ნაპოვნია ბავშვის სამარხი, სადაც ჩონჩხი ესვენა მარცხენა მხარეს მოკრუნხულად, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ, მარცხენა ხელის მტევანი ედო ნიკაპის ქვემოთ. სახის წინ მდებარეობდა პატარა ჭურჭელი.

ამუკი B და C შორის გარდამავალი პერიდის სამარხებში ერთი ადამიანი აღმოჩენილია თავით სამხრეთ-დასავლეთით, სახით ჩრდილო-დასავლეთით. მეორე ბავშვის სამარხია, სადაც ჩონჩხი ასვენია მარჯვენა მხარეს მოკრუნხულ მდგომარეობაში. თავი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხელები იდო ქვემოთ, მენჯთან. მარჯვენა მუხლთან მდებარეობდა მუქი ფერის ჭურჭელი. მესამე ადამიანი დასვენებულია მარჯვენა მხარეს, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხელის მტევანი ნიკაპთანაა, მტევნები მკერდის წინ. თავთან შავად შეფერილი ორნამენტირებული ფინჯანი, ქვის ჭურჭელი მდებარეობდა მენჯთან.

პალესტინის ხასსულის კულტურაში (ძვ. წ. 5 ათას. დას. და 4-ის დასაწყისი) გამოყოფენ დაკრძალვის რამოდენიმე ტიპს: გვამების დაკრძალვა და ძვლების დაკრძალვა. 1) ძვლები იდო გვერდულად მოკრუნხული ან ნახევრად მოკრუნხულ მდგომარეობაში იატაკზე; 2) ძვლები იმავე მდგომარეობაში მოთავსებული იყო მიცვალებულის შესანახ ორმოებში; 3) ბავშვების ან მოზრდილთა ჭურჭლის ფრაგმენტებთან ან ნამტვრევების ქვემოთ. ზოგიერთ შემთხვევაში ორიენტაციებში შეინიშნება სიმტკიცე. უპირატესად ითვლება თავით სამხრეთისაკენ, სახით აღმოსავლეთით. ინვენტარი ჩვეულებრივ შემოიფარგლება თავთან ახლოს დადებული ჭურჭლების სახით⁴. აქ დაკრძალვა ხდებოდა დასახლების გარეთ. დასახლებაში უპირატესად სპეციფიკურ დასაკრძალავ კამერაში და მიგდებულ ნაგებობებში ასაფლავებდნენ ბავშვებს. სამარხები უმთავრესად კოლექტიურ-ნათესაური იყო⁵.

¹ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

² Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-50.

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁴ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

⁵ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

ჩათალ-ჰუიუქში საწოლებისა და იატაკის ქვეშ ნაპოვნია 500-მდე ჩონჩხი. ჩვეულებრივ დასაკრძალავი ადგილი იყო ორმოები პლატფორმის ქვეშ, ამავე დროს მათგან უმცირესი ეკუთვნოდა მამაკაცებს, ხოლო დიდი გრძელი კედლის გაყოლებით – ქალებს. ეს პლატფორმები, გამოთქმული მოსაზრებით (დ. მელაარტი), განკუთვნილი იყო ქალების და კაცების დასაძინებლად¹. ჩონჩხი განლაგებულია მარჯვენა მხარეს მოკრუნხულად, თავით მიმართულია ნაგებობის შიგნით, ფეხები – კედლისკენ, ასევე გვხვდება ძვლები ზურგზე გაშლილი მოხრილი ფეხებით შენობის შიგნით. ძვლები ხშირად დევს მიწაზე, ასევე ჭილოფში, გახეულ ტყავში ან ტანსაცმელში. სავარაუდოდ კრძალავდნენ უკვე რბილი ქსოვილებისგან განთავისუფლებულ ჩონჩხებს². სამარხებში, როგორც ქალის, ისე მამაკაცისაში საკმაოდ ბევრი ინვენტარია, არ გვხვდება ანთროპომორფული ფიგურები ან სქემატური ფიგურები, ცხოველთა ფიგურები, ასევე კერამიკური ჭურჭელი³. როგორც ჩანს ქურუმების და მათი ოჯახის წევრები იკრძალვოდნენ სამლოცველოებში, სადაც მხოლოდ მათ სამარხებში რიტუალისას იყენებდნენ საღებავს, ოხრას. გარკვეული როლს რიტუალში თამაშობდა მწვანე ფერი, რომელიც ქალის და მამაკაცის თავის ქალაზე აღმოჩენილი როგორც სირიაში, პალესტინაში, ასევე ჩათალ-ჰუიუქის ნეოლითში. რიტუალში ფიგურირებს ადამიანის თავის ქალები, რომელიც განლაგებული იყო სამლოცველოს იატაკზე⁴.

აღნიშნულია, რომ ხაჯილარის კულტურა ახლო კავშირებს ამჟღავნებს ჩათალ-ჰუიუქთან. აქ ადამიანის თავის ქალები ნაპოვნია კერასთან⁵.

ანატოლიის ენეოლითური (ხალკოლითურ) სამარხი ძეგლებზე მერსინაში (იუმუ თეფე) მიცვალებული მოკრუნხულადაა დაკრძალული ნაგებობის ფუნდამენტის ქვემოთ, ხელები სახესთანაა დალაგებული, პირით კედლისკენ დასავლეთით არის მიმართული. შუახალკოლითურ ფენაში ბავშვის სამარხები მოკრუნხულად მარჯვენა მხარეს, თავით აღმოსავლეთისაკენ, სახით ჩრდილოეთისაკენ, მარცხენა ხელი სახის წინმოთავსებით იყო დაკრძალული. ინვენტარი ნაპოვნი არ არის. აქ XX ფერაში ნაპოვნია დამწვარი ძვლები, რომელთანაც ნაპოვნია რამდენიმე თავის ქალა და ორი ჭურჭელი (ვაზისმაგვარი).

ჩრდილოეთ ერაყის ტელის (ან ჯებედი) ძვ. წ. 8-7 ათასწლეულის სამარხებში მოკრუნხული ჩონჩხი იწვა გვერდზე ოვალურ თხრილში, რომელიც ქვებით იყო ამოყვანილი. ნარჩენებს ასაფლავებდნენ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. ორ შემთხვევაში თავის ქვემოთ დადებული იყო ორი ქვა. ერთი მიცვალებულის ხელი წვდებოდა მუხლებს, სხეულის მეორე ხელი მოხრილია, ხელის მტევანი მდებარეობდა სახესთან. მარჯვენა ხელი გაშლილია ტანის გასწვრივ, ხოლო მტევანი მუცლის მხარეს⁶. ჩონჩხის მიმართულება საკმაოდ ერთფეროვანია. უმრავლეს შემთხვევაში მიმართულია სამხრეთისაკენ. ინვენტარი თითქმის არ არის. ტელ-სოტოს (ძვ.

¹ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

² E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

³ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

⁴ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁵ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

⁶ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

წ. 7 დასასრული, 6-ე ათასწლეულის პირველი ნახევარი) ჩონჩხი მოხრილია მარჯვენა ან მარცხენა მხარეს. ერთ სამარხში ნაპოვნია საკმაოდ ბევრი ინვენტარი¹.

ხასუნის კულტურაში (იარიმ-თეფე) ნარჩენები იყო ორმოში (ზოგჯერ ჭურჭელში) ღია კერის ქვეშ ან კედლის ნანგრევებში, ასევე ნაგებობის იატაკზე. ძვლების ჩვეულებრივი მდგომარეობა მისი გვერდით მოხრილობაა. აღმოჩენილია მოზრდილთა და ზრდასრულთა ორი ზურგზე დაწოლილი, ერთი მუცელზე. ბავშვები იკრძალებოდა როგორც მარჯვენა გვერდზე, ისე მარცხნივ. ბავშვის ჩონჩხი ელაგა ჭურჭელში. ჩონჩხების ორიენტაცია სხვადასხვანაირია. ზოგჯერ სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით და სამხრეთით. განსაკუთრებული მკაცრი წესი შეიმჩნევა ხელების მდგომარეობაში. მტევნები დადებულია სახის წინ. არის თავთან. ერთს მარცხენა ხელი აქვს მკერდის წინ, პირველი გაჭიმულია, მესამეს მარცხენა თითი თავის ქვემოთ აქვს, მარჯვენა გაჭიმულია, ორ შემთხვევაში ხელები ტანის გასწვრივ იყო გაჭიმული. ინვენტარი სამარხებში (იშვიათი შემთხვევების გარდა) თითქმის არ არის².

უფრო გვიანდელ ხასუნის კულტურაში (6-ე, 5-ე ათასწლეულის დასაწყისი) სამარხები მხოლოდ სახლის ქვემოთ კეთდებოდა, რომელსაც ზოგჯერ თიხის ფილებით მოაწყობდნენ. ჭარბობს ბავშვების სამარხები, თუმცა არის მოზრდილთა, რომელიც სახლის ფარგლებს არ სცილდება. ჩონჩხების ჩვეულებრივი მდგომარეობაა გვერდზე მოხრილობა (მოკრუნხულობა) თავით სამხრეთით. ზოგიერთები შეხვეული იყო ბიტუმად შეღესილი ჭილოფით. ზოგიერთ შემთხვევაში ვარაუდობენ ძვლების მეორად დაკრძალვას. შემორჩენილია ოქრის კვალიც. ინვენტარი საკმაოდ ბევრი იყო, როგორც ჭურჭელი, ისე ალებასტრის და სხვა ტიპის ქილების სახით. სტატუეტები, იარაღები გვხვდება იშვიათად³. ჭურჭელი ელაგა ხელებზე და მკერდზე, იშვიათად ფეხებთან, რომელიც ალბათ სითხისათვის იყო განკუთვნილი, ის თავის ქალასთან ახლოს ხელებში ჰქონდა მიცვალებულს. სტატუეტები განთავსებული იყო თავის ქალაზე მკერდის მიდამოებში⁴. ბავშვებს ათავსებდნენ დაბლა ოვალურ ჭურჭლებში, ან მრგვალ ქვევრებში. როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს კრძალავდნენ თხრილში, სახლის იატაკის ქვემოთ. უპირატესად გვერდულად მოკრუნხულ მდგომარეობაში, სადაც გამოიყენება ჭილოფით შემოღესვა. ჩონჩხის ორიენტაციაში უპირატესია სამხრეთი და აღმოსავლეთი⁵ მხარე.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში იარიმთეფე პირველში (სადაც უკვე არ არის ხალაფის კულტურის შრე), უკვე არ იციან გვამის დაწვის და თავის ქალების დაკრძალვის წესი და მეორადი დაკრძალვაც უკვე მხოლოდ ერთხელ არის ფიქსირებული. სხვა შემთხვევებში სრულიად ბატონობს გვამის დაწვა. ჩონჩხები დევს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს გვერდულად იმდენად ძლიერ მოკრუნხულად, რომ შესაძლოა გვამის დაბმაზე ვიფიქროთ. ხელის ძვლები უმეტესად დევს სახესთან. ორიენტაცია სხვადასხვაგვარია: ჭარბობს სამხრეთ-დასავლეთი, ორჯერ გვხვდება დასავლეთი. ერთ

¹ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

² Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

⁴ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

⁵ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

შემთხვევაში გეხვდება ოქრის და ქვანახშირის ჩაყრის ფაქტი. როგორც წესი სამარხი ინვენტარი საკმაოდ ბევრია¹.

რა თქმა უნდა რთულია იმ პერიოდის რწმენა-წარმოდგენების მიცვალებულის ორიენტაციების მიხედვით აიხსნას. აქ ჩვენ უამრავ ურთიერთგამომრიცხავ მომენტთან შეიძლება გექონდეს საქმე, რაც ეთნოგრაფიულად განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხთა ყოფაშიც არის ფიქსირებული. აქ შესაძლოა კავშირი იყო მზისა და მთვარის, მდინარის, ზღვის, ტყის, ხის კულტთან ანუ იმ მითიურ სამყაროსთან სადაც შესაძლოა იმ პერიოდის ადამიანის წარმოდგენით იმყოფებოდნენ მიცვალებულთა სულები. ასევე გარკვეული ორიენტაციები უნდა შექმნილიყო საცხოვრებლის თუ ზოგადად დასახლების მიმართ და საპირისპირო მხარესაც, რაც ისევ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული. აქ ჩანს მიცვალებულის მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებისკენ სწრაფვა, რაც გამოწვეულია იმ შიშით, რომ მას რაიმე ზიანი არ მოეტანა ცოცხალთათვის. მსგავსი წესრიგისკენ ლტოლვა საზოგადოების სოციალურ-ინტელექტუალურ დონეზეც გეიქმნის წარმოდგენას, რაც კოსმოსური ცენტრის ძიების მანიშნებელია. არ არის გამორიცხული წინაპრის კულტის არსებობაც, რომელიც ორიენტაციის თვალსაზრისით მათ პირველსაცხოვრისთან შეიძლება ასოცირდეს, თუმცა ეს უკანასკნელი ალბათ ძალზედ ძნელად თუ დამტკიცდება მყარი არგუმენტებით.

ე. ანტონოვას აზრით, შესაძლებელია, რომ პირველყოფილ მიწათმოქმედთა სამარხებისათვის დამახასიათებელი ნიშნების დიდი ნაწილი, მიუთითებს მათი ცოცხალთა სამყაროდან ნაწილობრივ წასვლაზე, მათ მიერ ცოცხლებთან კავშირის შენარჩუნების შესახებ არსებულ წარმოდგენებზე².

გამოთქმული მოსაზრებით (ე. შმიდტი), ჩონჩხის ორიენტაცია (კერძოდ თავის ქალის სახის მხარეს) დაკავშირებულია იმ მისწრაფებასთან, რომ ის მიემართათ მზის მხარეს. ავტორისავე ვარაუდით, მათ ასაფლავებდნენ დღისით, რომ თავიდან აეცილებინათ ამოსვლის, ჩასვლის და შუადღის მომენტი³.

ინდური ტრადიციის მიხედვით, თუ სახლის კარები მიმართული იყო აღმოსავლეთით, ისინი მცხოვრებლებს მისცემდა ძალას და ბედნიერებას, თუ ჩრდილოეთით – ბავშვებს და საქონელს, თუ სამხრეთით – აძლევდა ყველა სურვილის ასრულების გასაღებს⁴.

ავესტაში მთვარე დაკავშირებულია მსხვილფეხა ცხოველებთან, შემდეგ საერთოდ ცხოველურ სამყაროსთან და მარჯვენა მხარესთან. მზე დაკავშირებული იყო ადამიანებთან და მარცხენა მხარესთან⁵.

ზოგიერთი მეცნიერი (ე. ბეკლენი), მიცვალებულის ფეხებმოკრუნხულ პოზას ახალი მთვარის ფორმას უკავშირებდა. ამ აზრს არ იზიარებს გ. ნიორაძე და აღნიშნავს, რომ ამ საკითხს სარჩულად უნდა დაედოს მიცვალებულის მიერ გამოწვეული შიში და წინასწარ ზომების მიღება, რომ მიცვალებული ან მისი „სული“ უკანვე არ „დაბრუნდეს“ და უსიამოვნება არ მიაყენოს ჭირისუფალს. მისივე თქმით, დამჯდარი პოზის მიღებით, ან

¹ Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев, *იქვე*, გვ. 43-46.

² Е. В. Антонова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 104.

³ იხ. Е. В. Антонова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 90.

⁴ Е. В. Антонова, *Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии*, М. 1984, გვ. 78.

⁵ И. Н. Хлопин, *Образ быка у первобытных земледельцев Средней Азии, Древний Восток и мировая культура*, М. 1981, გვ. 27.

შებორკვით მიცვალებულის „სულს“ უსპობენ „სიარულის“ საშუალებას¹. სწორედ გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულს და რკინის ხანის დასაწყისის ზემოავჭალის სამარხებში ამგვარი დაკრძალვის წესი იქნა ფიქსირებული².

კ. კლემენი არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს თავდაპირველად მოკუნტულ მდგომარეობაში ადამიანის დაკრძალვის პოზა დედის საშვილოსნოში ემბრიონის პოზას გამოხატავდა და მიგვანიშნებდა ახალ დაბადებაზე, არამედ, ავტორისავე აზრით, უბრალოდ ის მიღებული იყო, როგორც ჩვეულებრივი და მოსახერხებელი პოზა დასვენებისა და ძილისათვის და ამავე დროს ამით სწამდათ მათი სხეულებრივი ცხოვრების გაგრძელების³.

ე. ანტონოვას აზრით, სავსებით გასაგებია, რომ მოკრუნხულ მდგომარეობაში ჭურჭლების მოთავსება პირთან, ხელებში ან თავის ქალის ქვემოთ მიუთითებს იმაზე, რომ მიცვალებული ჭამს საჭმელს, რომლითაც მას ცოცხლები ამარაგებენ. თუმცა ავტორისავე აზრით, ეს არ გამორიცხავს მოკრუნხული პოზის სხვა მნიშვნელობასაც, მაგალითად, ის, რომ ეს არის მშვიდად მწოლიარე ადამიანის მდგომარეობა, ანუ მძინარე ადამიანი. ზოგიერთ შემთხვევაში⁴ ძლიერი მოკრუნხულობა, შესაძლოა მიუთითებდეს იმაზეც, რომ მიცვალებულები იყვნენ დაბმულები⁵. ავტორისავე კვლევით, მიცვალებულთა მდგომარეობაში უმრავლეს შემთხვევაში აქტივიზირდება იმის მახვენებელი ნიშნები, რომ ისინი იმყოფებიან ამ ადგილას, ამ საფლავეში. ასეთია პირველ რიგში დაწოლილი მდგომარეობა, მაგრამ ამას არ ეწინააღმდეგება მჯდომარე მდგომარეობაც, რომელიც იმავე მუდმივი ადგილსამყოფელის მდგომარეობაა, მაგრამ შესაძლოა ამა თუ იმ აქტიურობის მატარებელიც. მისივე აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ასეთ მდგომარეობაში დაკრძალული ადამიანები განსაკუთრებული მდგომარეობის მატარებლები იყვნენ⁶.

ე. ანტონოვას აღნიშნით, მიცვალებულის მოკრუნხულ მდგომარეობაში გვერდზე დაწვევის ერთ-ერთი ახსნა არის ძილის პოზა. ავტორისავე აზრით, ძილის პოზის ინტერპრეტირება შეიძლება მიეცეს, როგორც მოკრუნხულად დაკრძალვას, ასევე გაჭიმულ მდგომარეობას, თუმცა ეს უკანასკნელი (ამასთან როგორც პირველი) შეიცავს სხვა მნიშვნელობასაც. ჰორიზონტალური მდგომარეობა, საერთოდ სიკვდილის მდგომარეობაა. ასევე გვხვდება მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვაც. ბაბილონურ ეპოსში მარდუკი როდესაც ქმნის ადამიანს „აღმართავს“ (šuzzu) მას, რამდენადაც ცოცხალი – ნიშნავს ვერტიკალურად მდგარს⁷.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვა მხოლოდ ერთი კულტურისათვის არის დამახასიათებელი (უბეიდი). აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ უბეიდის კულტურაში დასტურდება ნავის მოდელებით მიცვალებულთა გადატანის შესაძლებლობა. ე. ანტონოვას აზრით, გაჭიმული მდგომარეობა შესაძლოა

¹ გ. ნორაძე, ზემოავჭალის სამარხე, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1929 და 1950, ტ. VI, თბ. 1931, გვ. 160.

² გ. ნორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

³ К. Клемен, Жизнь мертвых в религиях человечества, М. 2002, гв. 21.

⁴ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, гв. 75.

⁵ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 76

⁶ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, гв. 105.

⁷ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ მიცვალებული იმყოფება არა მარტო საფლავში, არამედ მიემგზავრება სხვა სამყაროში¹.

აღნიშნულია, რომ მორწმუნეები წმინდა ცეცხლის გარშემოვლის დროს, საიდანაც მოდის ნეტარება და განცხრომა, მოძრაობენ ცენტრისკენ მარჯვენა მხარის ჩვენებით. ამით უნვენებენ ბნელ, მავნე და ანარქიულ გარეგნულ მხარეს, ტანის მარცხენა მხარეს, თავისი არსების დაბალ და დამცავ ნაწილს, ფარის მატარებელ ხელს. მსგავსი წრიული შემოვლით კრავენ შინაგანი მხარის დადებით ენერგიებს და ერთდროულად უქმნიან გარე სამყაროს სახიფათო დაწოლას დაბრკოლებას².

მ. მელეტინსკის ინტერპრეტაციით, სხვადასხვა ბინარული ოპოზიციების გაერთიანება დუალისტურ სისტემებში, ადგენენ ცნობილ ექვივალენტობას სემანტიკურ წყვილებს შორის, მაგალითად აერთიანებენ ერთ ჯგუფში ქალურს, მარცხენას და მთვარეს, ხოლო მეორე მხრივ მამაკაცურს, მარჯვენას და მზეს, ამდენად მიმართება მამაკაცურისა და ქალურისა შესაძლოა ამა თუ იმ პირობებში გადმოიცემოდეს მარჯვენა და მარცხენა ანუ მზისა და მთვარის მიმართებით³.

გ. ჩაილდის აღნიშვნით, ნეოლითის და ადრებრინჯაოს ხანის საზოგადოებებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო მოკრუნხულად დაკრძალვა. შემდგომში მათ ადგილი დაუთმეს გაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვას⁴. ავტორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის მოკრუნხული მდგომარეობა სულ უფრო თანდათან ქრება, რომელიც უფრო სამხრეთში, ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული, ხოლო დაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვა მხოლოდ ჩრდილოეთის რიტუალად ითვლება. მისივე აზრით, მოკრუნხულად დაკრძალვისაგან უარის თქმა არც რელიგიურ და არც რასობრივ ცვლილებებთან არ იყო დაკავშირებული, არამედ მისი გაჭიმულად შეცვლა სიმდიდრის ზრდასთან და შრომის უკეთესი იარაღების გამოჩენასთან არის კავშირში, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევდა ჰქონოდათ უფრო თბილი საბანი და ეს ადამიანებს შესაძლებლობას აძლევდა უფრო დიდი ზომის საფლავები გაეთხარათ⁵. ავტორისავე აზრით, მოკრუნხულად დაკრძალვის წესი მიუთითებს დამჯდარ ცხოვრებაზე⁶.

გ. გენინგის თქმით, არქეოლოგიურ კულტურებში არსად არ გვხვდება ძეგლები, სადაც მიცვალებულები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ერთი მიმართულებით. ავტორი სვამს კითხვას, თამაშობდნენ არა თუ მხარეები რაიმე როლს მიცვალებულის მდგომარეობაზე? მაშინ, რითი უნდა აიხსნას⁷ თითოეული არქეოლოგიურ კულტურებში ასეთი მრავალფეროვნება? ის ასევე გამოთქვამს ეჭვს არქეოლოგიურ კულტურებში დაკრძალულთა ორიენტაციების ასეთი დაწვრილებითი ფიქსაციის მართებულობაზე და ამ მონაცემთა მართებულ გამოყენებაზე. ავტორი, შეუძლებლად მიიჩნევს, რომ ძველ ადამიანებს შესძლებოდათ მხარეების გარჩევა ასეთი სიზუსტით. მისივე თქმით, მზის

¹ С. Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

² Р. Кайуа, Миф и человек, человек и сокральное, М. 2003, გვ. 179.

³ М. Мелетинский, Поэтика мифа, М. 1976, გვ. 233.

⁴ Г. Чайлд, Прогресс и археология, М. 1949, გვ. 143.

⁵ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

⁶ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, М. 1952, გვ. 172.

⁷ В. В. Генинг, В. Ф. Генинг, Метод определения древних традиций ориентировки погребенных по сторонам горизонта, Археология и методы исторических реконструкций, Киев, 1985, გვ. 136.

სისტემის ორიენტაციების მიხედვით, მზე აღმოსავლეთიდან ამოდის 21 მარტს და 23 სექტემბერს, ყველა დანარჩენ შემთხვევაში მზის ამოსვლაში ხდება აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ადრევა¹. აქედან გამომდინარე, განაგრძობს ავტორი, ძველმა ხალხებმა იცოდნენ ოთხი ძირითადი ორიენტირები, ანუ ამოსვლა, ჩასვლა, შუადღე, შუადამე, შესაბამისად აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთის. მისივე აზრით არქეოლოგების მიერ ფიქსირებული ყველა შუალედური ორიენტაციები დაკავშირებულია ამოსვლის და ჩასვლის წერტილების ადრევასთან, რომელთანაც კავშირშია ჰორიზონტის მხარეები წელიწადის სხვადასხვა დროს². ავტორისავე აზრით, შუალედური ორიენტირები წარმოადგენენ სეზონურ გადახრებს ძირითადი ოთხი მიმართულებებიდან და არ შეიძლება ჩაითვალოს თვითმყოფად ტრადიციად³.

მოკრუნხულად მიცვალებულთა დაკრძალვის წესს სათანადო ყურადღება მიაქცია ვ. გოლმსტენმა და ვფიქრობთ ძალზედ მნიშვნელოვან გარემოებებს გაუსვა ხაზი. ავტორის თქმით, მოკრუნხულად დაკრძალვის რიტუალი წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულს, როგორც დროში ისე სივრცეში და არ წარმოადგენს რომელიმე ეპოქისა თუ ტერიტორიისათვის დამახასიათებელს. ამასთან ერთად სადაც არ უნდა იყოს ის შენიშნული ყოველთვის გამოიყენება საზოგადოებრივ განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ სტადიაზე, გვაროვნული საზოგადოების წიაღში, სადაც გვაროვნული ორგანიზაციის უმთავრესი გადმონაშთებია შემორჩენილი. მოკრუნხულად დაკრძალვა წარმოადგენს საერთო მახასიათებელს გვაროვნული საზოგადოებისათვის, თუმცა, ავტორისავე აზრით, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გვაროვნულ წყობის პრინციპზე არსებული ყველა საზოგადოება ასე კრძალავდა თავიანთ მიცვალებულს. ცნობილია, რომ ერთი და იმავე საზოგადოებრივი ჯგუფის შიგნით თანაარსებობა დაკრძალვის სხვადასხვა რიტუალი. ავტორისავე თქმით, მიცვალებულისათვის მოკრუნხული მდგომარეობის მიცემა მიიღწევა მისი დაბმით. მისივე თქმით, არსებობს მოსაზრება, რომ ამით ადამიანები ცდილობდნენ მიცვალებული არ დაბრუნებულიყო ცოცხალთა სამყაროში და ზიანი არ მიეყენებინა მათთვის. ავტორი არ იზიარებს ბოლომდე ამ მოსაზრებას და ამის მიზეზად სხვადასხვა შესაძლო გარემოებებს მიიჩნევს⁴. ის ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოკრუნხულად დაკრძალვის წესი თანაარსებობს დამჯდარ მდგომარეობაში დაკრძალვასთან ერთად და გამომდინარე აქედან სვამს კითხვას, ხომ არ ეძლეოდა დამჯდარი მდგომარეობა იმ მიცვალებულებსაც, რომლებიც იმყოფებოდნენ მოკრუნხულ მდგომარეობაში და მიცვალებულთა დაბმა ხომ არ ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ შემთხვევაში, მიცვალებულისათვის დამჯდარი მდგომარეობის მისაცემად? ავტორი დაბმის წესს უკავშირებს მიცვალებულის სახლში დამჯდარ მდგომარეობაში გარკვეული დროის მანძილზე შენახვის ფაქტს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში არის ფიქსირებული. ასევე სხვადასხვა ხალხებში არსებულ მიცვალებულის სახლში შენახვის ჩვეულებას, რომელიც ავტორისავე აზრით, წარმოადგენს შემთხვევით გადარჩენილ ნარჩენებს იმ წარმოდგენებისა, რომლის ძალითაც მკვდარი არ იყო გარდაცვლილი ამ

¹ В. В. Генинг, В. Ф. Генинг, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 139.

² В. В. Генинг, В. Ф. Генинг, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 140.

³ В. В. Генинг, В. Ф. Генинг, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 152.

⁴ В. В. Гольмстен, *О происхождении скорченности костяков в погребениях родового общества*, Проблемы истории докапиталистических обществ, №5-6, Л. 1935, გვ. 37.

სიტყვის დღევანდელი გაგებით და მისი საიქიო სამყაროში გადასვლა ცერემონიებით და რიტუალების თანხლებით ხდებოდა, მასში კი ის იღებდა აქტიურ მონაწილეობას¹.

გ. გოლმსტენი დამჯდარი მწყემსების ცხოვრების შეცვლას მომთაბარე მესაქონლეობით (სკვითები) მოკრუნხულობის გაქრობას და გაჭიმულ მდგომარეობის შემოსვლას უკავშირებს. საზოგადოების ეს ტრანსფორმაცია სავსებით ბუნებრივად დაემთხვა გვაროვნული ურთიერთობების მკვეთრ ცვლილებებს და ოჯახის ფორმების შეცვლას, კერძო საკუთრების გამოყოფას და ა. შ. სწორედ განვითარების ამ სტადიაზე ჩნდება მიცვალებულთა სახეების გამოსახვა ფიგურების სახით. კლასობრივი საზოგადოების რელიგიებში ეს წარმოდგენები ისევ სხვა ფორმებს იღებს და გადააქვთ მიცვალებულის „სულზე“, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფება სახლში და რომელსაც მიეწერება სრულიად მატერიალური ნიშნები: ის იბანს, ჭამს, სვამს და ა. შ.²

მიცვალებულის მოკრუნხულ მდგომარეობაში სამარხში მოთავსების წესის არსებობა, როგორც გამოჩნდა, ჯერ კიდევ ძვ. წ. X-IX საუკუნეების ჯეითუნის კულტურიდან მოყოლებული მტკიცედ არის დადგენილი და ზოლად გასდევს მთელს მსოფლიოში სრულიად განსხვავებულ არქეოლოგიურ კულტურებს. ის, ვფიქრობთ, ზოგადად პირველყოფილ საზოგადოებაში არსებულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება და საერთოა გვაროვნული საზოგადოების პირობებში მცხოვრებ ტომთათვის. ამდენად რაიმე ეთნიკურ მარკერად ის ჩვენ არ გამოგვადგება. ამ მხრივ ძველი კულტურებიდან მხოლოდ ერთ გამონაკლისს წარმოადგენს უბეიდის კულტურა, სადაც მიცვალებული დაჭიმულ მდგომარეობაში იკრძალება. ზოგიერთი ნიშნები მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებისა და აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებს შორის არსებულ დაკრძალვის წესში შესაძლოა საერთოა – ბავშვების სახლის კედლებს შორის დაკრძალვა, მოგვიანო სტადიაზე ფიქსირებული კრემაციის წესი (კიკეთი), მიცვალებულის დაბმის წესი, სამარხში ცხოველების, თუ გარკვეული წესრიგის მიხედვით განლაგებული ჭურჭლის ჩატანების წესი და ა.შ. თუმცა ყოველივე ეს, რაიმე ეთნიკურ დაყოფაზე საფუძვლიან წარმოდგენას, მიუხედავად დაკრძალვის ფორმათა კონსერვატიულობისა, მაინც ვერ გვიქმნის, რამდენადაც პირველყოფილ საზოგადოებაში რწმენა-წარმოდგენები სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში მყოფ ტომებშიც შესაძლოა იდენტური იყოს. ამავე დროს ჩვენ არც მიცვალებულის კრემაციის წესს მივიჩნევთ განსაკუთრებულ ეთნიკურ ნიშნად (აღბათ გამონაკლისია მისი ყორღანულ კულტურასთან ერთად შემოსვლა), რამდენადაც ის არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა კულტურულ გარემოში. ვფიქრობთ, ერთად-ერთი რისი გამოყოფაც შეიძლება ეს არის ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში მიცვალებულის და განსაკუთრებით ბავშვების ძალზედ ვრცელი პერიოდის განმავლობაში ჭურჭლებში დაკრძალვის წესის ტრადიცია, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურების მატარებელ ტომებში არ ჩანს მასიური და ის სულ რამოდენიმე ადგილას, ისიც შედარებით გვიანდელ ძეგლებში (ამირანის გორა და სხვ.) ფიქსირდება. ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ, სხვა სათანადო ადგილას გავამახვილებთ ყურადღებას.

ვფიქრობთ, მტკვარ-არაქსის კულტურაში ფიქსირებული სხვადასხვა ტიპის სამარხების სახით ჩვენ ეთნიკურ განსხვავებულობასთან არ გვაქვს საქმე, არამედ აქ უფრო შიდა

¹ В. В. Гольмстен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38-39.

² В. В. Гольмстен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 41.

სოციალურ დიფერენციის ნიშნები უნდა დაეინახოთ, რომელიც უკვე გვაროვნული საზოგადოების დაშლის ბოლო ეტაპს გვამცნობს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვიცხავთ ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებთან მჭიდრო კონტაქტებს და ამავე დროს გარკვეულ ეთნიკურ გადაადგილებებსაც, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო აქ ძალიან მძაფრი, რამდენადაც მთელს ამ გარემოში დაკრძალვის ფორმა მაინც ინარჩუნებს თავის კონსერვატიულობას. სხვა საკითხია უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპი, სადაც ეთნიკური ცვლილება, ჩვენი აზრით, შესამჩნევია და ამ კულტურის ერთბაშად გაქრობა თუ მისი მატარებელი ტომების განვითარების სხვა სტადიაზე გადასვლა საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს, რაზეც უკვე წერილობითი წყაროებითაც შეიძლება მსჯელობა.

ვფიქრობთ, არ არსებობს მყარი არგუმენტები ჰალაფის და უბეიდის კულტურებიდან მიგრაციის დასამოწმებლად. ამ კულტურის მატარებელ ტომთა მძლავრი მიგრაციული ტალღის შემთხვევაში ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურაში უფრო გამოკვეთილი ცვლილებები უნდა შენიშნულიყო და მარტო მიწათმოქმედების აღმავლობით ამის ახსნა, ვფიქრობ, გაჭირდება. აქ უნდა მომხდარიყო ძირეული ძვრები კერამიკულ წარმოებაში, ან, უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, მოსულებს გარკვეული კერამიკული ინვენტარი მაინც უნდა წამოედოთ ახალ ადგილას. დღესდღეობით არსებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მტკვარ-არაქსის კულტურის თვითმყოფადობაზე საუბარი, რაც გარკვეულ ეთნიკურ ერთობას, მონათესავე ხალხთა კულტურას გვაძლევს. ეს კულტურა აღმოცენდა ძველადმოსავლურ ადრესამიწათმოქმედო კულტურათა პერიფერიაზე და მიიღო სრულიად თავისებური სახე, რომელსაც არქაული ნათესაური ერთობები იშვიათად თუ კარგავენ შიდა ფაქტორების გამო. ისინი ყოველთვის ცდილობენ ტაბუდადებული წესების შენარჩუნებას, რაც კულტურის ერთგვაროვნებას განსაზღვრავს იმ დროის საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში გვაქვს ეტლის თვალის თიხის მოდელები. საერთოდ, როგორც აღნიშნულია მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი კატაკომბების და ორმოსამარხების კულტურის მატარებელ ტომებისთვისაა დამახასიათებელი¹

ბადაანის ადრებრინჯაოს (თიანეთის) ნამოსახლარზე აღმოჩნდა თიხის მინიატურული ტოლჩა, რომელსაც პატარა პირი აქვს მიძერწილი და თიხის მინიატურული ურმის მოდელი. ის თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილი ურმის ასლია². ის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება³. აღნიშნულია, რომ ბედენის დამსახურებით ჩვენში ორბორბლიანი საზიდრები გამოჩნდა⁴.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ენეოლითურ სამარხში აღმოჩენილია ოთხთვალის მოდელი, რომელიც განთავსებული იყო მოკრუნხულ მდგომარეობაში მყოფი ჩონჩხის ირგვლივ⁵. ამ ოთხთვალას, ჭურჭლის ფორმა აქვს. ხოლო აღმოსავლეთში ცნობილია

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

² გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 21.

³ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

⁴ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

⁵ И. Калиц, Новая находка повозки эпохи энеолита из окрестностей Будапешта, Советская археология, 1976, №2, гв. 106.

ოთხთვალას ისეთი მოდელები, რომლებიც გამოიყენებოდა ღვთაებისათვის განკუთვნილი დასალევის მოსარევადა და შესანახად¹.

მაშასადამე მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის ეტაპად მიჩნეულია დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები, რომელიც ძირითადად ახლოს არის ქვემო ქართლთან და სომხეთის მთიანეთის ძეგლებთან. ვფიქრობთ, მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი ფაზები და ახლო ურთიერთმიმართება მის წინარე არქეოლოგიურ კულტურებთან საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით გამოკვეთილად არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით არსებულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენ ამის მყარი არგუმენტაცია ვერ დავინახეთ. ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნები სწორედ ქვემო ქართლის ტერიტორიიდან იღებს სათავეს და აქედან მოხდა მისი ფართო განფენა გავრცელების მთელს ტერიტორიაზე; თითქოს ჩანს ეს სტადიებიც და სამხრეთისკენ (მცირე აზია, სირია) თუ ჩრდილოეთისკენ (ჩრდილო კავკასია) მისი გავრცელების საკმაოდ თანმიმდევრული პერიოდები, მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, მოულოდნელად და თითქმის ერთდროულად ქრება მთელს ამ ტერიტორიაზე. ამავე დროს ზოგიერთ ადგილას (სირია-პალესტინა, ელიაზიგ-მალათიის მხარე) მისი არსებობა რამოდენიმე საუკუნით შემოიფარგლება და ჩაქრობის თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველ საუკუნეებზე მოდის.

როგორც აღნიშნულია მტკვარ-არაქსის ლოკალურ რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს ქვემო ქართლი, თრიალეთი, მესხეთი, და დღევანდელი სომხეთი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთნაირი კერამიკული ფორმები, კერამიკის ორნამენტული სახეები, დაკრძალვის წესები და საცხოვრებლის არქიტექტურა².

მტკვარ-არაქსის კულტურის თავისებურებად მიიჩნევენ სხვა კულტურებისაგან მკვეთრად განსხვავებულ კერამიკას.

გ. მირცხულავას, მტკვარ-არაქსული კერამიკა განვითარების სამი საფეხურის გამოყოფის საშუალებას აძლევს: მისივე კვლევით, პირველ ეტაპზე მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკა თითქმის ერთგვაროვანია. საქართველოში ეს არის დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები, სომხეთში ამ პერიოდს მიაკუთვნებენ ელარის კულტურის ძეგლებს, ხოლო აზერბაიჯანში ბაბადერვიშის ადრეულ საფეხურს. განვითარებულ საფეხურზე, მთელს ტერიტორიაზე ხდება ლოკალური თავისებურებების ჩამოყალიბება, რასაკვირველია ერთი საერთო მტკვარ-არაქსული თავსაბურველით, ავტორისავე აზრით, საქართველოში უნდა გამოირჩეს ქვემო და შიდა ქართლური ვარიანტები, მოგვიანებით ზემო იმერეთის ძეგლები, ხოლო სამხრეთით – არარატის ველის თავისებური ვარიანტი, რომლის გავლენაში ექცევა აზერბაიჯანი ტერიტორია ბაბადერვიშის გვიანდელი საფეხურის სახით. ავტორისავე თქმით, თუკი პირველ ეტაპზე სწორება ქვემო ქართლზეა, დასასრულ საფეხურზე საყოველთაოდ ვრცელდება არარატის ველის ვარიანტი. ამის მაგალითია ჩვენთან მაგ. ყაითმაზი, უფრო ჩრდილოეთით კი ბადაანის ნასახლარის მასალები და სხვა³.

¹ И. Калиц, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 110.

² ნ. შანშიაშვილი, *მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან, ბაქო-თბილის-ჯეიჰანი, სომხეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში*, თბ. 2010.

³ გ. მირცხულავა, *მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები*, თბ. 2011, გვ. 199.

გ. გობეჯიშვილის თქმით, თეთრიწყაროელი მოხელენი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ჭურჭლის დასამზადებელ მორგეს¹. ასევეა მტკვარ-არაქსშიც. ერთადერთი შემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის მეორე ეტაპის (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა II) ფენაში მორგვისეული ნატეხის პოვნისა, ცნობილია ირანის აზერბაიჯანში, იანიკ თეფეს ნასოფლარზე, მაგრამ ეს ნატეხიც უცხოეთიდან მოტანილადაა მიჩნეული². აქ აღმოჩენილი ქვის დისკოები გ. გობეჯიშვილს მიაჩნდა ხელით სატრიალებელ არქაულ მორგვად, რომლის მსგავსი აღმოჩენილია ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისის თიხის დისკო და სახელური ჩასარტობად, ე. ი. ჭურჭლის საკეთებელი არქაული მორგვი ურში, რომელიც, ავტორისავე აზრით, მოყვანილობით და ნახვრეტების განლაგებით ზუსტად შეესატყვისება თეთრიწყაროულს, ოღონდ მისგან განსხვავდება ზომითა და მასალით³. ხასუნის პერიოდის სამარული კერამიკა მიუთითებს, „ხელით სატარებელ“ მორგვზე დამუშავების კვალს. ხოლო უბეიდის კულტურის თანადროულ ფენაში („ნინეია“ 3) ამასთან ერთად უხმარიათ სწრაფმბრუნავი, ფეხის მორგვიც⁴. ავტორისავე აზრით, შუმერული ტექნიკური აღმოჩენა სწრაფია და ვცეკდებოდა ან ხელახლა მეორდებოდა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოსავლეთის და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ასეთი იყო ეგვიპტე, პალესტინა და სირია, ხმელთაშუა ზღვის მცირეაზიური სანაპირო და დაწინაურებული კუნძულები. მორგვისეული ჭურჭელი მცირე აზიაში ტროა I-მ ჯერ კიდევ არ იცოდა. ის მხოლოდ ტროა II-ში გაჩნდა. ხოლო აზიელმა ხელოსნებმა მეკეცის მორგვის გამოყენების ხელოვნება შუამდინარული კულტურის I მონაკვეთზე მასიურად გაავრცელეს ძვ. წ. 2700-1900 წწ. კავკასიაში მოგვისეული კერამიკა გავრცელებული ჩანს გაცილებით უფრო მოგვიანო დროში. ის ცნობილი იყო გვიანდელ ბრინჯაოს და ადრინდელ რკინის ხანის სამარხებიდან (ბაიბურთის ქვის წყებიანი გორასამარხები)⁵.

საერთოდ, ამა თუ იმ, კულტურის ეთნიკური ხასიათის და ლოკალურობის განსასაზღვრად ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად ითვლება საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმები. აღნიშნულია, რომ მეცნიერებაში უკვე საკმაოდ მყარი არგუმენტაციებით დამტკიცებული მოსაზრებებით, ადრინდელი საცხოვრებელი იყო მრგვალი. მწარმოებლური მეურნეობის განვითარების შედეგად კი, რომელიც საცხოვრებლის და სამეურნეო კომპლექსების გაზრდას მოითხოვდა, გაჩნდა ოთხკუთხა საცხოვრებლები, რამდენადაც მრგვალი საცხოვრებელი ნაგებობის ფართობის გაზრდა იმდროინდელი ტექნიკისათვის შეუძლებელი იყო. დასავლეთ საქართველოში კი ოთხკუთხა ხის საცხოვრებელი თიხის შელესვით ჩნდება ჯერ კიდევ ადრე ნეოლითში. გ. მირცხულავა არქეოლოგურ მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასია ხასიათდება ერთგვაროვანი კულტურებით. სიონის ადრესამიწათმოქმედო (მარნეულის რ-ნი ქვემო ქართლი) კულტურების გამოვლენამ, რომელიც შულავერ-შომუთეფეს კულტურისგან მკვეთრად განსხვავდება, საშუალება მისცა მეცნიერებს გამოეყოფ ე. წ. „სიონის კულტურის“ წრე. ასევე შენიშნულია ამ კულტურის კავშირი დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ და ენეოლითურ კულტურასთან, რომლის

¹ გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ. 1978, გვ. 65.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

საფუძველზე გამოითქმულია ვარაუდი ადრესამიწათმოქმედო სიონის კულტურის შემოდწევისა დასავლეთ საქართველოდან. ეს ძირითადად ვლინდება აქ ოთკუთხა და ამავე დროს მასთან ერთად გარკვეული საცხოვრებლების არსებობაში¹. ავტორისავე აღნიშვნით, ამასთან ერთად სიონის კულტურას აქვს მთელი რიგი ნიშნები მტკვარ-არაქსის კულტურისა. სიონის კულტურა იყო სუბსტრატული მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებაში. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე შიდა ქართლში თითქოს გავრცელებულია მრგვალი საცხოვრებელი, ქვემო ქართლში ოთხკუთხა. მტკვარ-არაქსის განვითარებულ ეტაპზე ნათლად ვლინდება ოთხკუთხა საცხოვრებლები, ხოლო მრგვალი ნაგებობები ნარჩუნდება საკულტო დანიშნულებით².

გ. გობეჯიშვილის აღნიშვნით, ნეოლითის დასასრულისა და ლითონის პირველგამოჩენის ხანის ქვემო ქართლის ველის ტომებს წრიული ან ოვალური გეგმის სახლებში უცხოვრიათ. სახლის ამგვარივე ტიპს ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურაშიც როგორც ბარში (ყორანთა, გუდაბერტყა, ურბნისი), ისე ზეგნებზე (თეთრი წყარო, ოხანი). მაგრამ ამ დროს უპირატესად სარგებლობდნენ ოთხკუთხედი ფორმების სახლებით, რომლებსაც ხშირად კუთხეებში მომრგვალებული ჰქონია. ავტორი მიიჩნევს, რომ წრიული (მრგვალი) გეგმის სახლების მშენებლობა განისაზღვრებოდა დროის დიდი მონაკვეთით, ნეოლითის გასულიდან ვიდრე „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გასვლამდე, ე. ი. ძვ. წ. V-III ათასწლეულებით. ნაგებობის ეს ტიპი ერთმანეთთან მემკვიდრებითი აკავშირებს შულავერ-არუხლოს ტიპის ძეგლებსა და თეთრიწყარო-ყორანთა-გუდაბერტყას ნასოფლარებს, ავტორისავე აზრით, ეს მიუთითებს მთისა და ბარის კულტურების გარკვეულ ერთიანობაზე³.

განსხვავებით გ. მირცხულავას მოსაზრებისგან გ. გობეჯიშვილი მრგვალ შენობას ანუ თოლოსს, ჩრდილო მესოპოტამიის კულტურის პირმშოდ თვლის (ხალაფის პერიოდი)⁴.

აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულში გინჩის სამაროვანის მაგალითზე ენეოლითში საცხოვრებლებს ჰქონდა ოთხკუთხა ფორმა და წარმოადგენდა ორ პარალელური ქვის კედლის კედელსთან მიდგმულ ნაგებობას. შემდგომ ეპოქაში ადრე ბრინჯაო (III ათას. ძვ. წ.) დაღესტანში ვრცელდება მრგვალი საცხოვრებელი. ნახევრადმიწურები ქვით გაწყობილი კედლებით⁵.

შესაძლოა სწორედ ამ პერიოდში ხდება მტკვარ-არაქსის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის კიდევ ერთი მიგრაცია ამ რეგიონში თუმცა მრგვალი საცხოვრებელი წესით უნდა ყოფილიყო საცხოვრებლის უფრო ძველი ფორმა, აქ კი პირიქით არის ფიქსირებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გვიან ენეოლითურ დასახლებებში და განსაკუთრებით ადრე და შუა ბრინჯაოს კერამიკულ ნაწარმზე ფართოდ არის გავრცელებული რელიეფური სარტყელები თითის ანაბეჭდებით. ეს სახე ჩნდება გვიან ენეოლითურ აღმოსავლეთ საქართველოში. ცნობილია არაგვის ხეობის ძვ. წ. IV ათასწლეულის (ჭინტი) პირველი

¹ Г. И. Мирцхулава, Вопросы развития строительного дела Куро-Аракской культуры в Грузии, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 63.

² Г. И. Мирцхулава, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

³ გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ. 1978, გვ. 49.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

⁵ М. Гаджиев, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы (могилиник Гинчи), Махачкала, 1969, გვ. 107.

ნახევრის სამარხებში ანალოგიური სარტყლები ადრესამიწათმოქმედო იორ-ალაზნის ბასეინში. როგორც აღნიშნულია, მთელი ათასი წლის განმავლობაში მსგავსი ორნამენტი არ ფიქსირდება. ის ისევ ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე – ბელენურ პერიოდში (ილტო, ლოდომნა, ძველისი, რაბატი, ციხია-გორა), თუმცა შუა ბრინჯაოში ეს დეკორი აღმოსავლეთ საქართველოში ისევ ქრება. კოლხურ კულტურაში ძვ. წ. XXIII-XXII, XVI საუკუნეების კერამიკაზე დასტურდება. მსგავსი დეკორის გავრცელებას ლ. ჯალაბაძე და გ. გოგოჭური ჩრდილო კავკასიიდან არამართებულად მიიჩნევენ¹. მათივე თქმით, მსგავსი დეკორი რომელიც საქართველოსა და მთელს კავკასიაშია გავრცელებული, ჩანს მთელს ეგეოსურ სამყაროსა და ანატოლიაში ძვ. V-III ათასწლეულში, ასევე III ათასწლეულის მეორე ნახევარში პალესტინაში, გამომდინარე აქედან გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გახლავთ მცირე აზიურ და ეგეოსურ სამყაროსთან ფართო კულტურული კავშირების შედეგი².

მ. ხიდაშელის აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის კერამიკაზე გადმოცემულ კომპოზიციებში აისახებოდა სოციუმის ზოგადი წარმოდგენა სამყაროზე, რომელშიც ადამიანი, საგნები და მოვლენები ბუნების განუყოფელ ნაწილებად გაიაზრებოდნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და განაპირობებდნენ ერთმანეთს. სპირალებით დამთავრებული ჯვარი სამყაროს აღმნიშვნელი ზოგადი ნიშანი იყო. ეს სამყარო ზოგჯერ ხის, ან ქალის სახითაც წარმოდგინდებოდა. კერამიკაზე ზოგჯერ რამდენიმე სიმბოლო ერთად იყო გადმოცემული – ჯვარისებური ფიგურა, თავთავი, ირემი, გველი, ფრინველი, ნახევარმთვარე. ეს სიმბოლოები მთლიან სამყაროს წარმოდგენდნენ. მზე არასდროს არ იყო დამოცემული იზოლირებულად, ყოველთვის საზგასმული იყო მისი ერთიანობა მიწასთან, ნაჩვენები იყო მზისა და წყლის კავშირიც. გარდა ამისა, კომპოზიციაში აშკარად აისახებოდა ცაზე მბრუნავ მნათობთა ასახვის ტენდენცია. ჯვრის წვეროებიდან გამოსახული ოთხი ობიექტი სხვადასხვა მნათობს კი არ ასახავდა, არამედ აჩვენებდა ერთი მნათობის ოთხ სხვადასხვა მდგომარეობას ქვეყნიერების ოთხ მხარესთან მიმართებაში. ავტორისავე აზრით, სათვალისებრი სპირალის კომპოზიცია, რომლის არსს ერთიანი სამყაროს ჩვენება შეადგენდა³, ამავე დროს გულისხმობდა მზის ჩასვლასა და ამოსვლას, მზის წრიულ მოძრაობას ქვესკნელიდან ზეცაზე, რაც მზის „სიკვდილისა“ და მისი „ახალი დაბადების“ კოსმოგონიურ იდეას გულისხმობდა. გარდა ამისა მზის მარადიული წრიული მოძრაობის გადმოცემაში ვლინდებოდა არქაული, ციკლური დროის თავისებური შეგრძნება. ავტორს, მტკვარ-არაქსის კულტურის ერთგვაროვნება აფიქრებინებს, რომ მის გავრცელების მთელს ტერიტორიაზე ყალიბდებოდა ერთიანი მენტალური ველი, რომელიც აზროვნების ერთი წესით იყო განსაზღვრული⁴. ავტორისავე სამართლიანი დაკვირვებით, ეს კულტურა მკაცრად კანონიზებული და ტრადიციული იყო. სოციალური ცხოვრების თუ შემოქმედების ყოველი აქტი ტრადიციის ზუსტ შესრულებას მოითხოვდა. აქ ყოველთვის მკაცრად მოქმედებდა წარსულში შექმნილი და წარსულზე ორიენტირებული ის კანონები, რომელიც

¹ Л. Джигладзе, Г. Гогочури, О происхождении одного вида орнамента на керамике из поселений Грузии, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 49.

² Л. Джигладзе, Г. Гогочури, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

³ მ. ხიდაშელი, მტკვარ-არაქსის კულტურის მენტალური ველი, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია, თბ. 2003, გვ. 84.

⁴ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ეპოქის სოციალური და ისტორიული პირობებით იყო განპირობებული. ამ თავისებურებების გამო, მისივე აზრით, მტკვარ-არაქის კულტურას არ გააჩნდა განვითარების შინაგანი სტიმულები¹. ის თითქოს თავს იცავდა გარეშე გავლენებისგან, ჩაკეტილი იყო და ნაკლებ მობილური².

აღნიშნულია, რომ მტკვარ-არაქის კერამიკა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მცირე რაოდენობით ჩნდება ევფრატის ზემო წელზე, ელიაზიგ-მაღალათის რეგიონში, ეს მხარე ამ პერიოდში ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, რომელიც ურუქელი ვაჭრების შემოდგომასთან იყო დაკავშირებული. არსლანაფეში კი ამ პერიოდში ადრეკლასობრივი სახელმწიფოს არსებობაც კი ივარაუდება. ეს რეგიონი (არსლანთეფე) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგან, როგორც შენიშნულია სხვადასხვა³ კულტურულ არეალებს შორის არსებულ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. გამოთქმული მოსაზრებით, ურუქელი ვაჭრებისა და მტკვარ-არაქსელი ადრეული მელითონების საკონტაქტო ზონა არსებობდა სწორედ ამ რეგიონში⁴. ნ. შანშიაშვილის აზრით, ელიზიგ-მაღალათის რეგიონში ქვემო ქართლის ლოკალური ერთობის წარმომადგენლები დამკვიდრდნენ. მათ სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიური კულტურის ელემენტები შემოიტანეს⁵.

ასლანთეფეს ძვ. წ. 3000-2900 წლების ფენებში გვაქვს ქვის ფილებით ნაგები „მეფის“ აკლდამები. კერამიკის ნაწილი აქ მტკვარ-არაქსულია ნაწილი ურარტული. ნ. შანშიაშვილის აზრით, სამხრეთ კავკასიაში ქვის აკლდამები ზემო მესოპოტამიური მინაბადით იგებოდა და რადგანაც მტკვარ-არაქის კულტურის საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ავტორისავე აზრით, უკვე „მეფობის“ პრეტენზია ჰქონდა „ისინი“ ცდილობდნენ გარეგნულად მაინც მიეზიდათ თეფე-გავრას დიდებულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამის ეკონომიკური საფუძველი, როგორც ჩანს არ ჰქონდათ, ავტორისავე თქმით, გარკვეული დროის მონაკვეთში მტკვარ-არაქსელებმა შესძლეს აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზრის მონოპოლიზირება და უშუალოდ დაუკავშირდნენ მესოპოტამიელ ვაჭრებს, რადგან ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუახანებში შავპრიალა კერამიკა ჩრდილო სირიის ქალაქებში ტელ-ბრაკსა და ტელ-მოზანში ჩნდება. ავტორისავე ვარაუდით, ძვ. წ. IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე მტკვარ-არაქსელები მესოპოტამიური კულტურის მიღწევებს ეზიარნენ და შეეცადნენ მისი მინაბადები შემოეტანათ სამხრეთ კავკასიაში⁶. ავტორი, მტკვარ-არაქის კულტურაში ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში მისი გავრცელების არეალში ახალი კულტურული ელემენტების გაჩენას მესოპოტამიური კულტურის გავლენით ხსნის (ალიზის აგურით ნაშენი შენობები). საცხოვრებელი შენობები იატაკის ქვეშ დაკრძალვა, ქვით ნაგები აკლდამები, პოლიქრომული მოხატულობა შენობების კედლებზე, იდეოგრამული ნიშნები კერამიკაზე, მოხატული კერამიკა, მინიატურული არქიტექტურული მოდელები – სასაკმეველები, თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები, რქიანი ზესადგარები, შტამპური საბეჭდავები, მცირე და დიდი

¹ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

² მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

³ ნ. შანშიაშვილი, მტკვარ-არაქის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 152.

⁴ ნ. შანშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

⁵ ნ. შანშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

⁶ ნ. შანშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

სამლოცველოების გაჩენა, განსაკუთრებული აგურით ნაგები სახლები, რომლებიც ავტორისავე აზრით, თემის უწარჩინებულესს ეკუთვნის, ბელად-ქურუმები თუ „მეფეები“ იკრძალებიან განსხვავებულ სამარხებში, მათ გამორჩეული სამარხეული ინვენტარი გააჩნდათ. ავტორი, ამ აღმოჩენებზე დაყრდნობით კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ არსებობს გარკვეული ფენა, რომელიც სარგებლობს უფრო დიდი პრივილეგიებით, ვიდრე ჩვეულებრივი მეთემე. არსებობს სათემო თუ სატაძრო საკუთრება, რომელიც დაცვას საჭიროებს და არსებობს ნიშანთა სისტემა, რომლის საშუალებითაც ფიქსირდება და ინახება გარკვეული ინფორმაცია. ავტორისავე აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე ძვ. წ. III ათასწლეულის¹ პირველ ნახევარში ფორმირების სტადიაში იყო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მესოპოტამიურ სატაძრო-ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მოდელის პრიმიტიულ ასლს წარმოადგენდა. მტკვარ-არაქსელ დიდებულებს კი რომელთაც მეფობის პრეტენზია გააჩნდათ, კრძალავდნენ განსაკუთრებული რიტუალით და იშვიათ შემთხვევაში გამორჩეული ინვენტარით. მიუხედავად ამისა, ავტორისავე თქმით, მტკვარ-არაქსელთა სოფლები ვერ გადაიქცა ქალაქებად, არსად ჩანს მონუმენტური არქიტექტურა. ნიშან-სიმბოლოები ვერ გადაიქცა დამწერლობად და მისივე სიტყვებით, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო ეს საზოგადოება „ქალაქური ცივილიზაციის“ დონემდე ვერ ამაღლდა. ავტორი, ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებში“ დაკრძალული „მეფეები“ და დიდებულები სამხრეთიდან Urheimat-ში დაბრუნებული მტკვარ-არაქსელთა შთამომავლები არიან. ავტორისავე აზრით, მტკვარ-არაქსელთა ერთი ნაწილი ანატოლიასა და მესოპოტამიაში დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და წინა აზიის კულტურული მიღწევები ძველ ტრადიციებს შეუსაბამა².

პირველ რიგში ავტორის მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არ ჩანს დამაჯერებელი და მყარი არგუმენტაციებით გამაგრებული ის აზრი, რომ ელიაზიგ-მალათიის მხარეში მაინცდამაინც ქვემო ქართლის ლოკალური ერთიანობის წარმომადგენლები დამკვიდრდნენ. ჯერ ერთი ეს ლოკალური ერთობებიც მეტად პირობითია და ის სხვადასხვა რეგიონებშიც დამოუკიდებლად შეიძლება წარმოქმნილიყო. მტკვარ-არაქსელთა „კულტურული“ და სავაჭრო კავშირები მესოპოტამიასთან კი საკმაოდ ახლო უნდა ყოფილიყო, რომელსაც მათში მეღვინეობის მაღალი დონე განსაზღვრავდა.

6. შანშიაშვილს სავსებით ვეთანხმებით იმაში, რომ მტკვარ-არაქსელთა და მესოპოტამიურ კულტურას შორის კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მხარე სწორედ ეფფრატის ზემო წელი უნდა ყოფილიყო. მოსაზრება ნათესაობისა მტკვარ-არაქსის კულტურისა უბედთან და ამ უკანასკნელთა ჩრდილოეთით მიგრაციას არ უნდა იყოს მართებული. არამედ სწორედ მსგავსი კონტრაქტების საფუძველზე, ანუ სავაჭრო ურთიერთობებით უნდა აიხსნას ამ ორ კულტურას შორის ზოგიერთი საერთო ნიშნის გამოვლენა, ხოლო რაც შეეხება დაკრძალვის წესს ის სრულიად განსხვავებულია ამ ორ კულტურას შორის.

¹ ნ. შანშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

² ნ. შანშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

მეტ დაზუსტებას მოითხოვს ნ. შანშიაშვილის მოსაზრება, როდესაც ავტორი ჩამოთვლის მტკვარ-არაქსს კულტურის გარკვეულ ნიშნებს (იხ. ზემოთ) და მას ახალ კულტურულ ელემენტებად მიიჩნევს, რომელსაც ჩრდილო მესოპოტამიური გავლენით ხსნის. თუ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი მესოპოტამიური ანუ გარე გავლენის შედეგად არის შეთვისებული მტკვარ-არაქსის კულტურაში, მაშინ გამოდის, რომ მტკვარ-არაქსელებს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე საკუთარი არაფერი შეუქმნიათ გარდა ხელით ჭურჭლის ძერწვისა და კერაზე საკუთარი ცეცხლის დანთებისა. მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად ადგილობრივ ტრადიციებზე დაყრდნობით ვითარდება. ვერ გავიზიარებთ ასევე ავტორის მოსაზრებას მტკვარ-არაქსის კულტურაში „მეფეების“ პრეტენზიის მქონე პიროვნებების თუ კლასის არსებობის შესახებ. ამის არანაირი დამადასტურებელი მასალა ჯერჯერობით არ არსებობს და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მომავალი გათხრებითაც გამოვლინდეს. მტკვარ-არაქსის კულტურაში ჯერ კიდევ არანაირი ნიშნები თემის დაშლისა არ ჩანს. ეს არის ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე მდგარი გვაროვნული საზოგადოება, რომელიც განვითარების ბოლო სტადიაზე უნდა შემდგარიყო დიფერენცირების სტადიაზე, რაც გარკვეული ლოკალური კულტურების ჩამოყალიბებაში შეიძინევა, მაგრამ ტომი, როგორც სოციალური, პოლიტიკური ორგანიზაციის პოტენციის მქონე ორგანიზმი ჯერ კიდევ ძალზედ სუსტია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ურთიერთდაპირისპირებას უნდა გამოეწვია ერთი დიდი გაერთიანების წარმოქმნა, მსგავსი გაერთიანება ამ არეალში გაცილებით უფრო ადვილად შედგებოდა, რამდენადაც ერთი კულტურის და მონათესავე (ენობრივად და სხვ.) ახლოს მყოფი ტომებით იყო დასახლებული. თუმცა განვითარების ძალზედ ერთფეროვანი გარემო, სუსტ შიდა ენერგიებზე დაყრდნობით დაკონსერვებული და ტრადიციული საზოგადოების ფარგლებში, სადაც როგორც ჩანს, გვაროვნულ-ნათესაური კავშირურთიერთობები უმთავრესად მშვიდობიანად ხორციელდებოდა, ვერ მიაღწია პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლეს პოლიტარხიას და დარჩა წვრილ-წვრილ არასამხედრო ორგანიზმებად, სადაც სათემო კულტმსახურებაც კი არ ჩანს. მტკვარ-არაქსელ ტომთა მყარი გაერთიანებები სხვა გარემოში და სხვა ისტორიულ ვითარებაში მოხდა. იმდროინდელი ტომი არა მარტო სამხედრო, არამედ გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში ჩამოყალიბებულ არც თუ ისე ვრცელ გაერთიანებას წარმოადგენდა და მათი იდენტობა განვითარების ამ ეტაპზე მყოფ გვაროვნულ საზოგადოებებში, პირველ რიგში იკვეთება იმ მცირეოდენი საერთო ნიშნებით, რაც საერთო მატერიალური თუ სულიერი კულტურის საგნების მსგავსების დონეს არ სცდება და უმთავრესად ენობრივად ერთიან გარემოში ახერხებს ჩამოყალიბდეს როგორც გარკვეული ჯგუფი, რომელსაც აქვს პრეტენზია მომავალში წარმოქმნას მონათესავე ხალხთა მთელი ჯგუფი ანუ გარკვეული ეთნიკური ერთობა. მტკვარ-არაქსელი ტომები ჩვენ მიგვაჩნია ძირძველი ქართველური მოდგმის ტომთა წინაპრებად. ჩვენი აზრით, სწორედ ამ კულტურის წიაღში ვითარდება და შემდგომ იშლება ძირითადი ქართველური და მასთან მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა ენები და ეთნიკური ერთობები, რომელთა უმრავლესობა ყალიბდება ეთნოსოციალურ ორგანიზმებად. ზოგი მათგანი შორს რჩება სამხრეთით, ნაწილი ადგილზე პოულობს განვითარებას, გარკვეული ნაწილი კი უფრო შორეული ადგილებისკენ მიემართება და უმრავლესობა მათი ითქვიფება უცხო გარემოში (ევროპული მიგრაციები).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა ინდოევროპული ტომებისადმი მიკუთვნებისა. ინდოევროპელთა გამოჩენის შესახებ უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები არსებობს. ჩვეულებრივ გვთავაზობენ, რომ ძველი ტომები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ინდოევროპულ ენებზე, თავდაპირველად სახლობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო შემდგომ ძვ. წ. III-II ათასწლეულში გავრცელდნენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სამხრეთში შუა აზიამდე. ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომები ითქვიფებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, დაიძრნენ სამხრეთ აზიაშიც, ან კავკასიის ან შუა აზიის გავლით. შემჩნეულია თანდათანობითი ტალღები ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომების გადაადგილებისა ირანსა და ინდოეთში: ინდური – II ათასწლეულის პირველ ნახევარში, დასავლეთირანული დაახლოებით 100 წ. ჩვენს ერამდე ან ადრე, და რამოდენიმე აღმოსავლურ ირანული ტალღა (ბოლო საქსური – II ს. ჩვ. ერამდე); ამ ტომთა ყველა ენა ახლოს იდგა ერთმანეთთან; ისინი ერთიანდებიან სახელწოდებით ინდოირანული ან არიული¹. აღნიშნულია, რომ ენობრივი თვალსაზრისით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ. წ. IX საუკუნემდე ჩვენ არა გვაქვს სარწმუნო მონაცემები ირანში ინდოევროპულად მოლაპარაკე ტომების არსებობაზე. ხოლო ასურულ ანალებში მიდიელების და სპარსელების ძვ. წ. IX საუკუნეში მოხსენიების და მიდიელების გამოჩენის შემდეგ ისტორიულ არენაზე, გამოთქმული მოსაზრებით, მიზანშეწონილია ვისაუბროთ არიელთა ქვეყანაზე, რომელიც დღემდე მის სახელს ატარებს (Ērān – ძველი, Aryānām – არიელთა ქვეყანა)².

თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, ინდოევროპულ დიალექტური არეალის აღმოსავლური კიდე ირანის ზეგნის ჩრდილოეთი ნაწილი უნდა ყოფილიყო. მათივე აზრით, აქედან ავღანეთის გზით არიელების პირველი ტალღა ინდოეთში იჭრება³.

ზოგიერთი ავტორის ვარაუდით (გ. ჩაილდი), ინდოევროპულთა სამშობლო აზია, უფრო კი მახლობელი აღმოსავლეთი, დასავლეთ ანატოლიის ტერიტორია, ან იქნებ ცენტრალური აზიის სტეპები იყო. სხვა მოსაზრებით, ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები ინდოევროპელები იყვნენ, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში ცხოვრობდნენ, ისინი კავკასიის გზით შევიდნენ შავიზღვისპირეთში და მათი გამოჩენის შედეგად ევროპის და მახლობელი აღმოსავლეთის დიდი ნაწილი ინდოევროპული ხდება (გ. გიმბუტასი)⁴. ზოგიერთის აზრით, ინდოევროპელთა სამშობლო ევროპაშია (ა. გრანტოვსკი). ასევე, გამოთქმული მოსაზრებით, აზოვისა და კასპიის არეალში ნეოლითის დროს უნდა მომხდარიყო ინდოევროპული მასის გამოყოფა (ა. მონგაიტი) ზოგიერთის აზრით, თურალურ-ალთაურ და ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე (ვ. დანილენკო). სხვათა აზრით, ეს არის დუნაისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში (ე. კუზმინა, კ. მელაარტი). ასევე მიიჩნევენ, რომ ინდოევროპელები ჩრდილოეთის გზით,

¹ М. М. Дьяконов, Очерки истории Древнего Ирана, М. 1961, гл. 40.

² М. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

³ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Проблема определения первоначальной территории обитания и путей миграции носителей диалектов индоевропейского языка, Конференция по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков, М. 1972, гл. 22.

⁴ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე, გვ. 271.

კავკასიაზე გავლით შემოვიდნენ (ვ. სომერი)¹. კავკასიის გზით შემოსვლას, კერძოდ ხეთებისა, უამრავი ავტორი უჭერს მხარს (პროზნი, ჩ. ბიორნი, ვ. გორნუნგი, თ. გამყრელიძე, ტ. ლეგტერევა, გ. მაჭავარიანი)².

ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველ ეპოქაში ინდოევროპული ტომები სახლობდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დონსა და რეინს შორის ბატოს და ჩრდილოეთის ზღვის სამხრეთით. მათი თავდაპირველი სამშობლოს გარეთ რჩებოდა დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ევროპა, იტალიის ჩათვლით, ასევე ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ევროპა დონიდან სამხრეთით და მდ. ვოლგის სამხრეთ დონეებამდე თურქულ-თათრული ტომების შემოსვლამდე IV საუკუნემდე, ევროპის სამხრეთით და ცენტრალური ნაწილი ევროპის ტერიტორიისა ვოლგის დასავლეთით, კავკასიის გამოკლებით სახლობდა ორი ენობრივი ოჯახის მატარებელი ტომები - ინდოევროპელებისა სამხრეთით და ფინო-უნგრელები ჩრდილოეთით³.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამავე დროს გამახვილებულია ყურადღება სხვა ენობრივ კონტაქტებზე ქართველურ ენებთან. აღნიშნულია, რომ ქართველებსა და სემიტებს შორის საკონტაქტო რეგიონად შეიძლება მივიჩნიოთ სემიტური ენების გავრცელების ჩრდილოეთი პერიფერია, რომელიც ემეზობლებოდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და მოიცავდა ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე, ამ რეგიონში ხურიტების გამოჩენამდე, რის შედეგადაც პირდაპირ კონტაქტები ქართველური წარმოშობის ტომებთან უნდა შეწვეტილიყო⁴. ხოლო ხეთურ-ქართველურ ენათა კონტაქტების ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილოეთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერია და ჩრდილოეთ მესოპოტამიის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონები⁵. ამავე დროს, ხურიტები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ბინადრობდნენ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, რაც მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ ქართველურ ტომებს მათთან სწორედ ამ დროიდან უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლომდე, როდესაც ერთიანი ხურიტული ეთნოსი აღარ არსებობდა. ასევე გამოთქმული მოსაზრებით, ქართველ ტომთა ნაწილის ინფილტრაცია მოხდა მეზობელი ხურიტებით დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ხურიტული წარმოშობის ტოპონიმებს უნდა დაპატრონებოდნენ. ქართველურ ტომებს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც ურთიერთობები ჰქონდათ მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ერთ-ერთ უძველეს ეთნოსთან – ხათებთან (პროტოხეთებთან)⁶.

ი. პიანკოვის აზრით, ჩრდილოკავკასიური ტომების ეთნოგენეზი უნდა დაეუკავშიროთ ჩათალ-ჰუიუქის და ხაჯილარის კულტურების ტომებს, რომლებიც შემდგომში გადაადგილდნენ აღმოსავლეთით მათ მემკვიდრეებში – ხალაფის და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლებში⁷.

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 274-276.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 276-277.

³ А. Я. Брюсов, Восточная Европа в II тысячелетии до н. э. Советская археология, №2, 1965, გვ. 50.

⁴ გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველ-აღმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო, ქართველთა ეთნოგენეზი, თბ. 2002, გვ. 32.

⁵ გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁶ გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁷ И. В. Поляков, Кавказ и пути древних этнических передвижений, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989, გვ. 111-112.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკურ ვინაობაზე ერთ-ერთი გამოკვეთილი მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში არის ხურიტებთან ნათესაობა, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობაც იხიარებს და ის ამ სახით ენციკლოპედიურ ცნობებშიც კი დამკვიდრდა.

გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ბაბილონი უბედურ პერიოდში (ძვ. წ. V-IV ათასწ.) დასახლებული იყო ხურიტული ანუ სუბარელი ხალხებით, რომლებიც წარმომავლობით ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან და მისი მეზობელი მიწებიდან იყვნენ. ან ელამური ხალხებით, რომლებიც უპირატესად დასახლდნენ ელამში, ბაბილონის სამხრეთით და რომ შემერებმა მხოლოდ გვიან შეაღწიეს ბაბილონში¹.

ხურიტები ძვ. წ. XVI-XIII საუკუნეებში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ქმნიან სახელმწიფოს მითანს, რომელშიც ინდოევროპული სახელები მმართველ წრეებში მეტი ჩანს, მაგრამ ხურიტული ტომები უფრო ადრე და ვრცელ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყვნენ აქ განსახლებულნი.

ზოგი მკვლევარი მტკვარ-არაქსის კულტურას საერთო კავკასიურად თვლიდა და მას იბერიულ-კავკასიურ ერთობას უკავშირებდა (ე. კრუპნოვი), ზოგს ხურიტული ტომების კუთვნილებად მიაჩნდა². ასევე მიჩნეულია, რომ ამ კულტურის შექმნაში კავკასიის მოსახლე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ (ო. ჯაფარიძე). ზოგიერთი მკვლევარი, მათ ინდოევროპულ ტომებს უკავშირებდა. კერძოდ, ხეთებს, რომელთაც თითქოს თავიდანვე უნდა ეცხოვრათ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეში – სამხრეთ-კავკასიაში და მტკვარ-არაქსის ასე გაშლა სამხრეთით მათ სხვადასხვა დროს მიგრაციასთან იყო კავშირში (სირია-პალესტინა, ამუქის ველი, ცენტრალური ანატოლია), რომლებიც ბოლოს ქმნიან მდ. ჰალისის აუზში ძლიერ სახელმწიფოს (დ. ვული)³.

ო. ჯაფარიძე სწორედ ხურიტულ ეთნოსს უკავშირებს მტკვარ-არაქსის კულტურას, თუმცა მისივე თქმით, ჩრდილო მესოპოტამიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი შენიშნული არ არის⁴. მკვლევართა ნაწილი, ხურიტების ტომს კავკასიიდან გადმოსულებად თვლის, მათ ენას კი კავკასიურ ენებს უკავშირებს. ზოგის აზრით, კი ხურთა ქვეყანა ძირითადად ვანის ტბის მიდამოებში მდებარეობდა. ამავე დროს ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს და ივ. ჯავახიშვილის მიერ ხურიტები ქართველთა წინაპრებადაც კი არიან მიჩნეულნი⁵. ზოგიერთი ავტორი, ხურიტულსა და ურარტულს მონათესავე ენებად მიიჩნევს (ს. ბრანდენსტეინი) და ზოგიც ერთ ეთნოსად თვლის (ს. ბურნეი, ა. დიაკონოვი)⁶.

ბ. პიოტროვსკიც, ხური-ურარტულ ეთნოსს უკავშირებდა „მტკვარ-არაქსის ენოლითურ კერამიკას“⁷.

ი. დიაკონოვის აზრით, ჯერ არა გვაქვს საკმარისი მასალა იმის სამტკიცებლად, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა უშუალოდ დავუკავშიროთ ხური-ურარტულ ტომებს⁸.

¹ Б. Грозный, Доисторические судьбы Передней Азии, Вестник древней истории, №3-4, М. 1940, გვ. 31.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 267; იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 286.

⁵ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁶ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

⁷ Б. Б. Пиотровский, Урартские надписи из раскопок Карам-блуга в книге И. М. Дьяконова, Урартские письма и документы, М.-Л. 1963, გვ. 10.

⁸ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ер. 1968, გვ. 23.

ავტორისავე აზრით, შესაძლოა ქართველურ ენებს ენობრივი კავშირები ჰქონდა ხათებთან და მათ ტომებთან. ლინგვისტური მონაცემებით, ქართველური ფუძე-ენის არსებობა ძვ. წ. III ათასწლეულშია სავარაუდო; იმავე მონაცემებზე დაყრდნობით, განაგრძობს ავტორი, მათ ეკავათ კომპაქტური, როგორც ჩანს მთიანი ტერიტორია. ავტორი უარყოფს საერთო იბერიულ-კავკასიურ და ხურიტულ ნათესაობას. უარყოფს ასევე მტკვარ-არაქსის კულტურის ქართველურთან ნათესაობას და მის გავრცელებას წინარე ქართველურ ტომებში სხვისგან შეთვისებულად მიიჩნევს. ავტორისავე აზრით, ხურიტული და ურარტული ენები ახლოს დგანან ერთმანეთთან. არსებული მოსაზრებებით, ხურიტები წარმოადგენდნენ სომხეთის მთიანეთის, ჩრდილოეთ სირიის და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ავტოქტონებს. ასევე დასავლეთ ზაგროსის მთიანეთის მესოპოტამიასა და ირანს შორის მობინადრეები იყვნენ, რომლებიც აქ ბინადრობდნენ დამწერლობის დასაწყისიდანვე (ძვ. წ. III ათასწლეული). არც თუ იშვიათად მათ მიეწერება წინა აზიის გვიანნეოლითური და ენეოლითური კულტურების შექმნა. მაგალითად თელ-ხალაფი (V ათასწ. დასასრული IV ათასწლეული) სხვა მოსაზრებით, ხურიტები ამ რაიონში მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის დასაწყისში ჩნდებიან, უმეტესად ჩრდილოეთიდან, სომხეთის მთიანეთიდან და კავკასიიდან. ავტორისავე დასკვნით, რამოდენიმე ფაქტი მტკიცედ დადგენილად ითვლება: ძვ. წ. III ათასწლეულის ძველქადურ დამწერლობაში გვხვდება ხურიტ მეფეთა სახელები. შუმერის მესამე დინასტიის ურის (დაახ. 2100-2000 წ. ძვ. წ.) ტექსტებში გვხვდება მრავალრიცხოვანი ხურიტული სახელები. ასევე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის ელამში (სუზი); ტიგროსის სამხრეთით არაპასა და ნუზაში¹.

ჩვენ ვიზიარებთ ი. დიაკონოვის მოსაზრებას, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობის ხურიტებთან გაიგივების მყარი საფუძველი არ არსებობს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს არანაირი კავშირი არ ჰქონდეს ქართველურთან და მათთან მონათესავე ძირძველ კავკასიურ ეთნოსებთან. ვფიქრობთ, სწორედ რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები წარმოადგენდნენ იმ ძირითად ბირთვის, რომლებმაც შემდგომ დასაბამი მისცეს ქართველურ მასას და მათთან მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს. ეს მოსაზრება რამოდენიმე გარემოებით შეიძლება გამყარდეს, რომელზეც ქვემოთ შევჩერდებით.

ვფიქრობთ, მართლაც არა გვაქვს იმის საფუძველი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ხურიტებს მივაკუთვნოთ. ისინი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობენ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე მის სამხრეთ არეალში და კი არ ავრცობენ და განვითარების ახალ ეტაპზე ასვლა კი არ შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურაში, არამედ ის ეცემა. მეორე მხრივ ხურიტები სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის გაქრობის შემდგომ იწყებენ აღზევებას ისტორიულ არენაზე. შესაძლებელია იმის დაშვება, რომ თვით ხურიტების მომქალაქრებამ ჩრდილოეთისაკენ, რომლებიც ალბათ აქადის მეფეებისაგან იყვნენ შევიწროვებულნი გამოიწვია ამ კულტურის გაქრობა და ახლის წარმოქმნა, რომელსაც სხვა მძლავრი მიგრაციული ტალღებიც უწყობდა ხელს. ხურიტებს ქართველთა

¹ И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М. 1967. გვ. 112.

და კავკასიელ ხალხთა შემდგომ ეთნოგენეზში, შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებთან შეუღლების გზით, ერთ-ერთი უდიდესი როლი უნდა ეთამაშათ.

გ. მელიქიშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურას პატრიარქალური ურთიერთობების საფუძვლებზე მყოფად მიიჩნევს. ავტორს ამ კულტურის ერთგვაროვნება აძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მისი წარმოშობა ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობით დასახლებულ ერთ პატარა რეგიონში ვივარაუდოთ¹, რომელსაც აქედან განსახლების შედეგად მოჰყვა ვრცელ ტერიტორიაზე ამ ეთნიკური ჯგუფის გავრცელება. ავტორი არ იზიარებს ჩ. ბერნეის მოსაზრებას მტკვარ-არაქსის კულტურის ხურიტულად ცნობის შესახებ, რამდენადაც ამ პერიოდში მთელს ამიერკავკასიაში ხურიტების გავრცელების შესახებ არავითარი საფუძველი არა გვაქვს. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად აღნიშნავს ავტორი იმასაც, რომ ხურიტების სირიაში გამოჩენამ გამოდევნა მტკვარ-არაქსული კულტურის ტიპის (კირბეთ-კერაქი) კულტურა. ამავე დროს ავტორისავე აზრით, ნაკლებად საფუძველიანია ლ. ვულის მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლები ხეთი-ინდოევროპელები ყოფილიყვნენ. ავტორი ასევე ყურადღებას აქცევს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების „იბერიულ-კავკასიურ“ მოდგმის ხალხთან გაიგივებაზე (ე. ი. კრუპნოვი, რ. მ. მუნჩაევი) და აღნიშნავს, რომ ერთიანი იბერიულ-კავკასიური კულტურის მატარებლების დანახვა აქ რთულია, რამდენადაც, ავტორისავე აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლებს შორის, კულტრაში ძალზედ ახლო ნათესაობა შეინიშნება. მისივე აზრით, იბერიულ-კავკასიური ენები ძირითადად ტიპოლოგიურად ენათესავებიან ერთმანეთს, ეს შესაძლოა იყოს (მაგრამ არც იყოს) გენეტიკური ნათესაობის მანიშნებელი. თუმცა ავტორი თვლის, რომ ამ ნათესაობის შესახებ არსებულ ჰიპოთეზას არსებობის უფლება აქვს². გ. მელიქიშვილი უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს მტკვარ-არაქსის კულტურის მიკუთვნებას არა მთლიანად „იბერიულ-კავკასიური“ ერთობისადმი, არამედ რომელიმე ერთი იბერიულ-კავკასიური ქვეჯგუფისადმი³.

სხვა ადგილას გ. მელიქიშვილი ქართველურ და სხვა კავკასიურ ენებში ძლიერი ინდოევროპული სუბსტრატის არსებობის გამო ნახურ-დადესტურ ტომებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ზაგროსის ჩრდილოეთიდან მიგრირებულად თვლის, ხოლო აფხაზურ-ადიგურ ტომებს და ქართველურს ძვ. წ. III ათასწლეულში ათავსებს ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის დასავლეთ მხარეებში. ავტორისავე აღნიშვნით, ამ დროს იბერიულ-კავკასიური და კერძოდ, ქართველური ტომები არ შედიოდნენ მტკვარ-არაქსული კულტურის არეალში⁴. მტკვარ-არაქსული კულტურას ის ინდოევროპელი ტომების შექმნილად მიიჩნევს, რომელიც ასიმილირებული იქნა წინა აზიური ტიპის ენების მიერ, კერძოდ, ქართველურის მიერ, რომელთათვისაც მოცემულმა ინდოევროპულმა მოსახლეობამ შეასრულა სუბსტრატის როლი და მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართველური ენების როგორც სტრუქტურაზე, ისე ლექსიკურ შემადგენლობაზე. ავტორისავე აზრით,

¹ Г. А. Меликишвили, Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии, Вестник древней истории, М. 1965, №1, გვ. 16.

² Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

³ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

⁴ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ასეთივეა ურარტული ენაც, რომელიც, ერთი მხრივ უკავშირდება ქართველურს, ხოლო მეორე მხრივ ინდოევროპულს¹.

ჩვენ არ ვიზიარებთ გ. მელიქიშვილის ამ მოსაზრებას, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ მსგავსი ადრესამიწათმოქმედო კულტურა ინდოევროპული მოდგმის ხალხებისა, განვითარების ამ ეტაპზე კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ამავე დროს ინდოევროპელთა გამოჩენა წინა აზიის ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე ნათლად არ დასტურდება სხვა მასალითაც. ჩვენი აზრით, სწორედ ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხები იყვნენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლები და ის ლექსიკური შეხვედრები, რომლებიც ქართველურსა და ინდოევროპულ ენებს შორის ასე ნათლად გამოიკვეთა, მოგვიანებით, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა განსახლების არეალში ინდოევროპელთა მიგრაციის შედეგი უნდა იყოს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული – ჯერ ბედენური კულტურის მატარებლების, ხოლო შემდგომ სხვა ინდოევროპული მოდგმის, შესაძლოა პირობითად ხეთების სახით.

საკითხის უფრო ნათელსაყოფად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ ვინ იყვნენ წინაზურთული მოსახლეები, ანუ ის ეთნიკური მასა, რომლებიც მაინც ძირითადად ავტოხტონური ჩანს (რა თქმა უნდა არაერთგვაროვანი) მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლების სახით.

არ არის აზრთა ერთიანობა ხურიტების წინამორბედი მოსახლეობის შესახებ აღნიშნულ ტერიტორიაზე. ერთი მოსაზრების თანახმად, უკვე ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ისევე, როგორც პალესტინასა და არაბეთში სახლობდნენ სემიტები. სხვა მოსაზრებით სემიტები აქ ხურიტებთან ერთდროულად გამოჩნდნენ, ძვ. წ. III ათასწლეულში. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ხურიტების წინამორბედი მოსახლეობა იყვნენ სუბარები. ასევე აქადურ subariujm, šubaruj-ს თვლიან დენომინატურ აღმნიშვნელს ტოპონიმიკურ ტერმინიდან Subartum, Subariu, შუმ. Su-biar, სადაც bar, ი. დიაკონოვის აზრით, შესაძლოა აღნიშნავდეს „სტეპს“ ამასთან ტერმინი „სუბარეი“ განიხილება, როგორც სინონიმი სიტყვისა „ხურიტი“ (უმეტესად გვხვდება აქადურ ტექსტებში, „ხურიტი“ და მისი მსგავსი ხურიტულში, მათ შორის აქადურში, ასევე ხეთურში და ძველბერძნულშიც)².

ბ. პროზნის თქმით, ენეოლითური ხალაფის კულტურა მდებარეობს უმთავრესად ნინევიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიას შორის, ანუ ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიაში, რომელიც უძველესი დროიდან იწოდებოდა ძველი შუმერული სახელით Subar, აქადური Subartu, რომლისგანაც წარმოიქმნა უფრო მოგვიანო სახელწოდება Syria. უფრო გვიანდელ დროს, ძვ. წ. II ათასწლეულში, სხვა ხალხებთან ერთად ამ ტერიტორიაზე დასახლდნენ ხურიტები. ავტორისავე აღნიშვნით, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ამ ტერიტორიის მოსახლეობა უპირატესად განეკუთვნება მოკლეთავიან წინააზიურ რასას, რომელიც გამოირჩევა ე. წ. არმენოიდული ცხვირით. ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ენეოლითური ხალაფის კულტურის კავშირს ამ მოკლეთავიან

¹ Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29.

² И. М. Дьяконов, *Языки древней Передней Азии*, М. 1967. გვ. 113.

სუბარულ ხალხთან, რომელთა წარმოშობას ძვ. წ. V-IV საუკუნეებს აკუთვნებს. რას-შამრას ძვ. წ. XIII საუკუნის წარწერებში სუბარებს ასხვავებს ხურიტებისაგან. ავტორისავე აზრით, არ არის გამორიცხული რომ რას-შამრას წარწერების ენის განსხვავება ნორმალური ხურიტული წარწერების ენისაგან აიხსნას იმით, რომ ეს წარწერები წარმოადგენენ ბოლო ნარჩენებს ძველი სუბარული ენისა¹, რომელიც შეცვლილ იქნა ძალიან ახლოს მყოფი ხურიტული ენით. ავტორი ე. წ. ხალაფის კულტურასა და კერამიკას, სუბარულს უწოდებს. მისივე თქმით, ხალაფის ანუ სუბარული კერამიკა ძალზედ ახლოსაა უბეიდის კერამიკასთან, რომელიც ხალაფურისგან განირჩევა იმით, რომ რამოდენიმე იშვიათი შემთხვევის გამოკლებით, მორთულია არა მრავალჯერადი ნახატებით, არამედ ერთი ფერით, შავი ან შავმოყავისფრო ნათელ ფონზე. შუმერში ეს კერამიკა ძვ. წ. 4000 წელს (შესაძლოა ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოს) და ძვ. წ. 3400 წლამდე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ელამისათვის ეს თარიღი უფრო ადრეული დროისათვის უნდა გადაიწიოს. უბეიდის კერამიკა დამზადებულია ხელით ან სამეთუნეო ჩარხზე, რომელიც მოძრაობაში ხელით მოყავდათ, ის გვხვდება ელამში, ძველ შუმერში და უმთავრესად სუხაში².

თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც ბ. ჰროზნი აღნიშნავს, მიცვალებულებს უბეიდის დროის შუმერში კრძალავდნენ ზურგზე დაჭიმულ მღვომარეობაში. ასევე გვაქვს მეორადი დაკრძალვის წესი. ამ დროს აქ ნაპოვნი თავის ქალები გრძელთავიანი ანთროპოლოგიური ტიპისაა. ამ კულტურის მატარებელი იყვნენ შუმერები, რომელთაც არ უნდა განეცადათ ელამიტებისა და სუბარების მნიშვნელოვანი გავლენა³. ბ. ჰროზნი მესოპოტამიის პროტოშუმერებს უბეიდის კულტურის მატარებლად მიიჩნევს. მისივე აზრით, ბიბლიური Sin'ar (რომელიც აღნიშნავს მესოპოტამიას და სპეციალურად ბაბილონს), ბერძნულ-რომაული Singara - იმავე წარმოშობისაა, როგორც Sumer-ი, რომლის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო Sugir. ამიტომ, ავტორისავე აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მთები Sindzar-Šanchara, რომელშიც არ არის ხალაფური კერამიკა, მაგრამ გვხვდება უბეიდური, წარმოადგენენ პირველ მესოპოტამიურ ადგილსამყოფელს პროტოშუმერებისათვის, რომლებიც მისივე აზრით, ჩრდილოეთიდან არიან წარმოშობილნი. ავტორი ამ ადგილს თეფე-გავრას-ნინევიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ვარაუდობს და დასავლეთიდან მოსული პროტოშუმერების წარმოშობას სუბარუდან მიიჩნევს შუმერების თავდაპირველ სახელწოდებას – სუბირ სახეცვლილად სუბირ, სუბარ, სუბურ ან სუმერ ფორმით. ამის დამამტკიცებლად იშველიებს ანთროპოლოგიურ მონაცემებს და აღნიშნავს, რომ შუმერებში ჩანს ორი ანთროპოლოგიური ტიპი – გრძელთავიანი, როგორც ჩანს ადრინდელი და მოკლეთავიანი – გვიანდელი. პირველი მათგანი ითვლება ხმელთაშუაზღვისპირულ რასად და აქვს ჩრდილოური წარმოშობა და თავის გზაზე შეერია კაკასიურ-ანატოლიურ-სირიულ-მესოპოტამიურ მხარეში წარმოდგენილ მოკლეთავიან წინააზიურ ანუ ე. წ. არმენოიდულ რასას, რომლებიც ამ მთიან მხარეში ცხოვრობდნენ⁴.

¹ Б. Грозный, Доисторические судьбы Передней Азии, Вестник древней истории, №3, М. 1940, გვ. 33.

² Б. Грозный, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

³ Б. Грозный, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁴ Б. Грозный, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 38, 39.

ჯერემ ნასრის პერიოდში, ძვ. წ. 3400-3200 წლებისათვის, ურქში უბეიდის მოხატული კერამიკა, უბრალო წითელი, მუქი ან შავი ჭურჭლით იცვლება, რომლის წარმოშობას ბ. ჰროზნი არქაული წითელი ან შავი მცირეაზიული კერამიკიდან მომდინარედ მიიჩნევს და ამ კულტურის მატარებლებს სემიტ აქადელებს მიაწერს¹.

გ. ჰროზნი შუმერებს ჩრდილოეთიდან მოსულებად მიიჩნევს ანუ, მისივე აზრით, ისინი სახლობდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით, თუმცა ავტორისავე თქმით, არც ეს იყო მათი პირველი საცხოვრისი. ძვ. წ. VI ათასწლეულში შუმერები ცხოვრობდნენ სადღაც თურქმენეთში ან ყაზახეთში და მის სამხრეთ ნაწილებში, რამდენადაც სამხრეთისათვის მათი აღმნიშვნელი სიტყვა im-kur-ra უჩვენებს, რომ მათი დასახლების სამხრეთით მდებარეობდნენ მთები (kur)². ისინი ამიერკავკასიის და აზერბაიჯანის გზით გაემართნენ სამხრეთ ანატოლიისკენ, რომელთაც ერთ შემთხვევაში შექმნეს უბეიდის კულტურა, მეორე შემთხვევაში გვიანდელი ურუქის კულტურა³.

აღმოსავლეთ ტიგროსის მცხოვრებლებს (ელამი) შპეიზერი უწოდებს იაფეტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს, რომელზეც გ. ჩაილდი აღნიშნავს, რომ სინამდვილეში აქ დასახლებული ხალხები არ იყვნენ არც სემიტები, არც შუმერები და მათგან განსხვავდებოდნენ კანის ღია ფერით. სმიტი მათ უწოდებს⁴ სუბარებს, რომელთა მონათესავე ხალხებმა შესაძლებელია დაიპყრეს შუმერი⁵.

აღაროიდულ ხალხებად ფ. ჰომელი მიიჩნევდა ძველი სომხეთის ანუ ურარტუს მცხოვრებლებს, რომელთა შთამომავლებად თვლიდა ქართველებს, მეგრელებს, ლაზებს და სვანებს. მისივე აზრით, არიელებამდე მცირე აზიაში ცხოვრობდნენ პელაზგები და ეტრუსკები. ა. სვანიძე ჰომელის ამ თეზისს ხალხების ანუ ურარტუელებიდან მეგრელების, იბერების, ლაზების და სვანების წარმოშობის შესახებ მართებულად მიიჩნევდა⁶. ამავე დროს, კიპერტი მცირე აზიის მთიან მხარეებს და სომხეთის ძველ მოსახლეობას თვლიდა უფრო ადრინდელად ვიდრე არიულს, რომლებიც შესაძლოა თანამედროვე კავკასიის მცხოვრებლებთან ერთად ერთიან ეთნიკურ მასას ქმნიდნენ. ე. მაიერიც ქართველებს იბერებს უწოდებს, რომელთა ადრინდელი გავრცელების ადგილად მცირე აზიის და სომხეთის სიღმეებსაც არ გამორიცხავს. მათთან აიგივებს მესხებს (ასურ. მუშკაია და ბიბლ. მეშხი) და ტიბარენებს (თუბალ – ბიბლ. და ტაბალაი ასურ.)⁷.

ყველაზე უძველესი ხურიტული ენის ძეგლია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის წარწერა ურკიშა-დან (ჩრდილოეთ მესოპოტამია). შუმერულ-აქადურ იმავე ეპოქის ტექსტებში გვხვდება ხურიტული სახელები. ასევე აღსანიშნავია II ათასწლეულის მეორე ნახევრის ხურიტული შელოცვები სამხრეთ მესოპოტამიიდან „სუბარულ ენაზე“ (eme-su-bir^{ki}) და სხვა. ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე. წ. კრეტა-მინოსური წარწერები (მასსონი),

¹ Б. Грозный, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38-39.

² Б. Грозный, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 43.

³ Б. Грозный, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 44.

⁴ Г. Чайлд, *Древний Восток в свете новых раскопок*, М. 1956, გვ. 38.

⁵ Г. Чайлд, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 40.

⁶ А. Сванидзе, *Материалы по истории аларойдских племен*, Тб. 1937, გვ. 1.

⁷ А. Сванидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 2.

რომლებიც აღმოჩენილია კვიპროსზე და ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნება, დაწერილია ერთ-ერთ ხურიტულ დიალექტზე¹.

ხურიტების განსახლების რაიონი შუმერულად იწოდება სუ-ბირ, ხოლო აქადურად სუბარტუ ან შუბარტუ; ამ რაიონის მცხოვრებნი იწოდებოდნენ შუბარელებად. ეს არის ხურიტების სინონიმი. როგორც აღნიშნულია, გაურკვეველია ტერმინი შუბარიელი თავდაპირველად იყო თუ არა ხურიტების აღმნიშვნელი ან თავდაპირველად ხურიტებამდელი მოსახლეობის აღმნიშვნელი, რამდენადაც ის ამ ტერიტორიის მოსახლეობის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ენობრივი კუთვნილების განურჩევლად. მოგვიანებით ტერმინი „სუბარტუ“ გამოიყენებოდა მოცემული ტერიტორიისათვის მაშინაც, როდესაც იქ უკვე არ იყო ხურიტული მოსახლეობა, ხოლო ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ის დამოწმებულია ტურმინ „ასურეთი“-ს სინონიმად. ხურიტები ეგვიპტურად იწოდებოდნენ h'r,w (xapy, xypny) ძველებრაულად - xopn².

საყურადღებოდ მიგვაჩნია გადავხედოთ ამ რეგიონის პოლიტიკურ ისტორიას, რომელზეც უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მაინც გვაქვს ცნობები. საინტერესოა, რომ ხურიტები გაიგივებულნი არიან სუბარელებთან ანუ სუბარიელებთან, რომლებიც პირველად მოხსენიებულნი არიან ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აქადურ წყაროებში. თუმცა ამ დროინდელ წყაროებში ისინი არ მოიხსენიებიან ხურიტების სინონიმად, არამედ რაღაც „განსაკუთრებულ ხალხად“ ითვლებიან. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ანუ ეფრატისა და ტიგროსის მთელს ზემო და შუა დინებაზე და ვანის ტბის მიდამოებში მოსახლე სუბარები ადგილობრივი ტომები უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. II და I ათასწლეულის დასაწყისის ასურულ წყაროებში იწოდებიან ხურიტები სუბარელებად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძვ. წ. XXIII საუკუნეში აქადის სემიტი მეფე სარგონ I (2369-2314 ძვ. წ.) გრანდიოზულ ლაშქრობებს აწყოფს ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიის მიმართულებით, იმ მხარეებში, რომლებიც მდებარეობენ ტიგროსის ზემო დინებაზე და რომელსაც იმხანად ერქვა სუბართუ. ასევე ლაშქრობები ეწყოფა სირიისა და პალესტინის მიმართულებით. ამავე დროს სარგონი თავის ჯარს აგზავნის მცირე აზიის ტერიტორიაზე და ჩრდილო-დასავლეთით მსხვილ დაპყრობით ოპერაციებს აწარმოებს³. ამ დაპყრობითი ომების კიდევ უფრო მეტი ენერგიით წარმოება შუმერ-აქადური სახელმწიფოს მიერ ჩრდილოეთით ხდება მეფე შულგის (2100-2042 ძვ. წ.) დროს, რომელიც ხელახლა იპყრობს სუბართუს ქვეყანას და მდ. ეფრატის ზემო დინებაზე მდებარე მიწებს. ის ასევე იპყრობს სირიას და აღწევს მცირე აზიის დასავლეთ ნაწილამდეც, რომელიც იმ პერიოდისათვის იმყოფება შუმერული კულტურის დიდი გავლენის ქვეშ⁴.

შემდგომ სუბარელები მოხსენიებულნი არიან ასურულ წყაროებში, ისინი დიდ გავლენას ახდენენ თვით ასურელებზე და ასურულ კულტურაზე. თვით მეფე სარგონი იბრძვის სუბარეთის წინააღმდეგ. ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი წყაროები იმის სამტკიცებლად, ჩრდილოეთით თუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე და მის

¹ И. М. Дьяконов, Хурритский язык и другие субстратные языки Малой Азии, Древние языки Малой Азии, М. 1960, гл. 99.

² И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ереван, 1968, гл. 14.

³ В. И. Авдиев, История древнего Востока, гл. 59-60.

⁴ В. И. Авдиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

მიმდგომ მხარეებში რამდენად ახლოს ვრცელდებოდა სუბარული კულტურა და პოლიტიკური ჰეგემონია, მაგრამ წყაროებიდან ერთი რამ ნათელია, რომ ტიგროსის ზემო დინებიდან მოყოლებული ნიპურამდე ნაპოვნია დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ სუბარულ სახელებს. სუბარული სახელებია მოხსენიებული ასევე ტიგროსის აღმოსავლეთით ნაპოვნ აქადურ წარწერებში. სუბარების გავლენა აღწევდა დასავლეთშიც სირიამდეც. ძველი ასურელი მეფეებიც დაკავშირებული იყვნენ ადგილობრივ სუბარულ ტომებთან და ბევრი მათგანი მათ სახელებსაც ატარებდა, ისეთებს, როგორიცაა უშპია და კიკია. ასევე შამშიადადი, რომელიც სუბარული წარმოშობის იყო და ასურეთის სამეფო ტახტს დაეუფლა¹.

ტალათფილესის I დროს ქასკუს და ურმიის ხალხი, რომლებიც ხეთების წინააღმდეგ აჯანყდნენ დაეუფლნენ სუბართუს ქალაქებს, რომლებიც მანამდე ხარკს უხდიდნენ ასურეთს².

ზემოთ წარმოდგენილი ძველი აღმოსავლეთის მოკლე პოლიტიკური სურათი ეპოქალურად ძალზედ დაშორებულია მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდს ანუ მტკვარ-არაქსის კულტურა სუბარების პირველად წყაროებში მოხსენიების პერიოდში უკვე დაახლოებით ორასი-სამასი წლის უკან წვეტს არსებობას, მაგრამ მიუხედავად ამ დრმა ცვლილებისა არქეოლოგიურ კულტურაში, ამ ხალხის ამ ტერიტორიიდან ერთბაშად აყრა და სხვაგან გადასახლება ძნელად წარმოსადგენია. თვითონ სუბარული კულტურის ასე ფართოდ გავრცელება ჩრდილოეთით და სირიის ტერიტორიაზე, ასევე მცირე აზიის აღმოსავლეთით და და მის სიღმეებში გვაფიქრებინებს მათ იგივეობას მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებთან. რაც შეეხება სუბარების და ხურიტების გაიგივებას, ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსახრებას, რომ ხურიტები წინა აზიის ტერიტორიაზე არ ჩანან ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე და ვფიქრობთ, რომ ურარტულთან მათი ენის ნათესაობა (რომელიც ზოგიერთმა ავტორმა ერთი ენის სხვადასხვა დიალექტადაც კი მიიჩნია) უნდა ყოფილიყო ადგილობრივი, დამხვდურ მოსახლეობასთან მათი შერევის მიზეზი, შესაძლოა სემიტური მოდგმის ტომების სამხრეთიდან მოწოლის შედეგად.

ტერმინი სუბარი უნდა ყოფილიყო, რაღაც ერთი საერთო ნიშნის მქონე ტომების აღმნიშვნელი. შესაძლოა ის გარკვეული შემკრებილობითი სახელი იყო მონათესავე ტომებისა, რომლებიც ამ ვრცელ ტერიტორიაზე ანუ სუბარეთში სახლობდნენ; ხოლო ხურიტი უფრო ერთი კონკრეტული ხალხის აღმნიშვნელი იყო, რომელთაც სუბარების სახელწოდება ამ ტერიტორიაზე განსახლების შემდგომ მიიღეს.

ქართულ ეთნოტოპონიმიაში სწორედ ხური-ურარტული დაბოლოებების გაჩენა (ხი-სუფიქსი) სწორედ ამ პერიოდიდან არის სავარაუდო. ამავე დროს სუბარის მოსახლეობის ანუ, ჩვენის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა ძირითადი მოსახლეობის შერევა უნდა მომხდარიყო სემიტურ ტომებთან, თუმცა ეს ცოტა მოგვიანებით, როცა ასურეთი ექსპანსია ჩრდილოეთისკენ მასიურ ხასიათს იღებს.

ი. დიაკონოვის აღნიშვნით, ხური-ურარტული ენები წარმოადგენდნენ კიდევ ერთ შტოს აღმოსავლეთ კავკასიური ენებისა. ყველაზე მეტი საერთო იზოგლოსებს მეცნიერები პოულობენ ნახურთან და ლეზურ ენებთან¹.

¹ В. И. Авдиев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 358-359, 368.

² А. Сванидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 100.

ასურული წყაროები აქ გვეუბნებიან სუბარიელების, ნაირის, ურარტუს, ხეთები – კასკა (ქასქა) და მაიზე (მიდიელები); ურარტულ - „ქვეყნებზე“ (ან ქვეყანაზე) ეტიუნი“. ხეთური წყაროები ქასქებს ახასიათებს, როგორც მომთაბარე ხალხს².

ყველაზე ჩრდილოეთის ქვეყანა ქასქური ტომობრივი კავშირის აღმოსავლეთით და ხეთების სამეფოს შორის იყო ხაიასა-აცცი. ეს ქვეყანა ი. დიაკონოვის აზრით, როგორც ჩანს შედგებოდა ორი ნაწილისაგან – აცი მდებარეობდა პონტოში შავი ზღვის გასასვლელისკენ მდ. ხარშიტის დაბლობში, ხოლო ხაიასა³ მდ. ჭორობის ხეობაში, თანამედროვე ბაიბურთან, საიდანაც მისი ხელისუფლება შესაძლოა ეფფრატისკენაც გრძელდებოდა. ხაიასას და აცის ხეთური წყაროები „მეფის მიერ მართულს“ უწოდებდნენ. ფორერი ხაიასას ლოკალიზაციას ახდენდა ვანის ტაბასთან⁴. ა. დიაკონოვი ფიქრობს, რომ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ხაიასას და აცის ეთნიკური სურათის დაკავშირება ხათურ ანუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ჯგუფთან. მისივე აზრით, აცის სამხრეთით, ეფფრატის ზემო წელზე განთავსებული იყო პანხუვა, მარჯვნივ და ცუხმა (ან ასურულად სუხმუ) – მარცხენა მხარეს. ცუხმის სამხრეთით, ეფფრატის მარჯვენა ნაპირას მდ. არცანის (მურად-სუ) შენაკადი იყო ისუვა (ასურული იშუა), ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა ამ რეგიონში კიდევ უფრო სამხრეთით იყო ტეგარმა. ცალკე მხარე იყო მალდია (ასურ. მელიდ, მელიდუ, მელიდია, ურარტ. მელიტა ან მალატია), ტეგერებამას დასავლეთით იყო ტუმანია და პლა (პალაელებით დასახლებული)⁵; ამავე რაიონში უნდა ვეძებოთ „არამატანა“-ს ქვეყანა. შემდგომ იწყებოდა მითანის ქვეყანა⁶. ასურელები ლაშქრობდნენ ბაბხი-ს (ძვ. წ. XIII ს.) ქვეყნის წინააღმდეგ (იგივე შუბარალების ქვეყანა – ბაბხის მთიელები) აქვე თურქელთ-ნინურტა I, ათავსებს მხარეებს – კადმუხი, პუშუ, მუმუ, ალზი, მადანი, ნიხანი, ალაია, ტუბურზი და პურუკუზი ტიგროსის სათავის მიდამოებთან. ერთ-ერთ თავის წარწერაში თურქელთ-ნინურტა I-მა გადალახა სომხეთის ტავრი და შეებრძოლა 43 ქვეყნის – ნაირის ქვეყნების კოალიციას. ტერმინი ნაირი აქ ჩნდება პირველად. ის საერთო სახელწოდებაა სომხეთის მთიანეთისა ასურულ ტექსტებში⁷.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა ინდოევროპულობის თეორიას, და არც მათ ხურიტებთან იგივეობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხურიტები წინა აზიის ტერიტორიაზე არ ჩანან ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე (ასევე ვანის და ურმიისპირეთშიც). შესაძლებელია სწორედ მათმა პირველმა მიგრაციამ გამოიწვია მტკვარ-არაქსული კულტურის აღმავლობის დასასრული. ამავე დროს არ ჩანს ხურიტების და სუბარების იგივეობა, რომელი უკანასკნელნიც უნდა წარმოადგენდნენ იმ ძირძველ მტკვარ-არაქსულ ტომებს, რომლებიც წყაროებში „განსაკუთრებულ ხალხებად“ მოიხსენიებიან. ამავე დროს ყველაზე უფრო მართებულად მიგვაჩნია ზემოთ წარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებები სუბარებისა და შუმერების იგივეობის შესახებ, რომელი უკანასკნელნიც შეერივნენ

¹И. М. Дьяконов, С. А. Старостин, Хуррито-Урартские и восточнокавказские языки, Древний Восток, Этнокультурные связи, Т. LXXX, М. 1988, გვ. 165.

²И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

³И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

⁴И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

⁵И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁶И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁷И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

ადგილობრივ უბეიდელებს და შექმნეს პირველი ცივილიზაცია. შუმერულ-ქართული დღესდღეობით ფართოდ ცნობილი ენობრივი თუ სხვა პარალელები შორეულ ეთნიკურ კავშირებზე უნდა მიუთითებდეს და შესაძლოა მართლაც რომ შუმერები კავკასიის გზით იყვნენ წასულები მესოპოტამიაში, რომლებმაც ადგილობრივ სუბარებთან ისტორიის გარკვეული მონაკვეთი ერთად განვლეს და შემდგომ დაიდეს იქ ბინა. ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად უბეიდელთა ეთნიკური ნათესაობა მტკვარ-არაქსელებთან ანუ მათი ჩრდილოეთით მიგრაცია, რაც არანაირი მასალით არ მტკიცდება და პირიქით, ამ ორი კულტურის მატარებლებს შორის, როგორც ზემოთ გამოჩნდა, სრულიად განსხვავებული დაკრძალვის წესია ფიქსირებული. ასეთივეა შუმერებსა და უბეიდელებს შორის.

თავის დროზე აკად. ს. ჯანაშიამ ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას სათანადო გამოკვლევა მიუძღვნა, სადაც აღნიშნა, რომ თაბალ-თუბალის გზით, ჩვენ ავდივართ უფრო ადრინდელ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე, ავტორმა „შუბერი“, „იბერი“ ტაბალ ფორმამდე აიყვანა და მას „ზღვის“, „წყლის“, „ტბის“ უმნიშვნელობა მოძებნა. რიგ მოსაზრებებზე დაყრდნობით ისიც აღინიშნა, რომ დაბადების თაბალსა და თუბალ-კაინში, „კაინ“//„კენი“ არის ეპითეტი, რომელიც სათანადო სემიტური ძირის საშუალებით, „მჭედელს“ აღნიშნავს. მისივე თქმით, თაბალ ხომ უპირატესად მჭედელი და მეტალურგია. შესაძლებელია ისიც (მარი, ჯავახიშვილი), რომ აქ გვქონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრიანებაც („კაენებს“ იხსენიებს პლინიუსი, და შემდეგში ცნობილი არიან ჭანნი-ოკაენიტნიც). ავტორი „შესაქმეთა წიგნის“ თობელებს ანუ თუბალ-კაინებს, რომლებზეც ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროდ, მჭედელი რვალისა და რკინისა“, უკავშირებს კოლხური ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურის შემოქმედთ¹.

ს. ჯანაშიასავე აღნიშნით, ამ ხალხების ისტორიაში, რომელთა უშუალო მემკვიდრენი კავკასიის იბერები არიან, თაბალ-თუბალური ხანის ეთნიკურ-კულტურული შინაარსის მეშვეობით, კერძოდ თვით ტერმინის თაბალ-თუბალის გზით, ჩვენ ავდივართ უფრო ადრინდელ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე².

შ. ძიძიგურის აზრით, იბერ ფორმის მმრავალსახელიანი ეთნიკური სახელწოდებები მჭიდროდ უახლოვდება ტერმინ სუბარ-ულის. ავტორი აქ იმოწმებს რ. ბლაიხშტაინერის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბარები ტაბალებისა და მუსკების ახლო მონათესავენი არიან და თვის სახელწოდება სუბარტუ-ში გამოყოფდა სუფიქსს ტუ-ს, რომელსაც ქართულ თი-ს უკავშირებდა. მისივე აღნიშვნით, ავსტრიელი მეცნიერი სუ-ს პრეფიქსად მიიჩნევს და ამრიგად, ფუძედ ბარ-ს გამოყოფს, ამავე ძირისაა ი-მერ-იბერ (ა-ბას-გ). ამავე დროს ავტორი სუ-მერ, სუ-ბარ და ტი-ბარ-იბერიის მონათესავედ თვლიდა ბას-კ//მუს-კ-ს. ავტორი მათ იაფეტური მოდემის სამ ნაკადად მიიჩნევს, რომლებიც სხვადასხვა დროს იჭრებოდნენ შუამდინარეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში³.

თვით ტერმინ იბერზე და მის ისტორიაზე ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად სათანადო ადგილას გვექნება საუბარი, ამჯერად კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მის ამოსავალ ფუძეზე. თავიდანვე აღნიშნავთ, რომ „ზღვის“, „წყლის“, „ტბის“ (ტაბალი) ხალხად ს. ჯანაშიასეულ ეტიმოლოგიას ჩვენ არ ვიზიარებთ და ვფიქრობთ, მისი ამოსავალი სწორედ

¹ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ. 1959, გვ. 66-74.

² ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

³ შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, თბ. 1978, გვ. 50.

მათ ძირითად საქმიანობაში უნდა დაეინახოთ, რომელიც ლითონის წარმოებასთან უნდა იყოს კავშირში.

როგორც აღნიშნულია, ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულებში ჩნდება პირველი ლითონის ნივთები ანატოლიაში, მესოპოტამიასა და ირანში. კავკასიის მელითონეობის საწყისებიც ნეოლითურ დასახლებებთანაა დაკავშირებული. უძველესი ლითონის არტეფაქტები აღმოჩენილია სომხეთში, არტაშენისა და აკნაშენის ნამოსახლარზე. საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ლითონის არტეფაქტები მარნეულის რაიონში შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე იწყებს გამოჩენას. უძველესი მათ შორის ხრამის დიდი გორის ნეოლითურ დასახლებაზეა ნაპოვნი¹. ნაპოვნი¹. აზერბაიჯანშიც ლითონის პირველი ნივთების გამოჩენაც შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე იწყება (გარგალართეფე – ძვ. წ. 5200-4944 წწ. 5662-5579 წწ. ჩალადინთეფე ძვ. წ. 5411-5259 წწ. ქიულ-თეფეზე ძვ. წ. 4763-450 წწ.) ნეოლითურ ნამოსახლარებზე არსად არ დასტურდება მადნების დამუშავებისა და ნივთების დამზადების კვალი. ენეოლითში კი იწყება პიროტექნიკური მეთოდების გამოყენება. მტკვარ-არაქსის პერიოდზე გარდამავალ ხანაში კი, გიულ-თეფეზე, ნახიჭევანში, ჩნდება ლითონის ისეთი არტეფაქტები, როგორცაა დანისპირი და ოთხწახნაგა ნახვრეტები, რომლებიც შესაძლოა ჩამოსხმით იყოს დამზადებული. ხოლო ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევარში ხათუნასთან (არარატის ველი) მცხოვრებლები ლითონის გამოდნობას უფრო ადრე იცნობდნენ ვიდრე ტეხუტისა და ნახიჩევანის ქიულთეფეს მოსახლენი². ყველაზე უძველესად ითვლება ჩაიონუ თეფეს ძვ. წ. 8400-7500 წლით დათარიღებული სახელოსნო (აღმოსავლეთ ანატოლია)³.

კავკასიაში ადრეული პერიოდის სულ ოთხი სახელოსნოა აღმოჩენილი. საქართველოში – ამირანის გორასა და ბალიჭ-ძეძეების ნამოსახლარზე, ხოლო აზერბაიჯანში ბაბადერვიშის ნამოსახლარსა და ნახიჩევანის ქიულთეფე II ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსულ ფენაში⁴. გამოთქმული მოსაზრებით, სამხრეთ კავკასიაში ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში სამთო წარმოება (სპილენძის და ოქროს მოპოვება-დამუშავება) და მეტალურგიულ ეკონომიკაში პრიორიტეტები ღრმად უნდა ჩამოყალიბებულიყო⁵.

ა. ბერტრანი თვლიდა, რომ ბრინჯაოს სამშობლო არის მესოპოტამია და სომხეთის მთიანეთი, ეს მხარე ძალზედ მდიდარია ლითონის საბადოებით. აქ ცხოვრობდნენ უძველეს დროის ლითონის წარმოებით განთქმული ტომები – ტიბარენები და მოსხები, რომლებიც ბიბლიაში თუბალებად და მოსხებად მოიხსენიებიან. ამ ადგილებზე კი დაკავშირებულია ლეგენდა არგონავტებზე. მათი მიზანი ოქროსფერ ბრინჯაოზე ლაშქრობა იყო. აქედან ვაჭრობის შედეგად ის გავრცელდა დასავლეთში – ევროპაში, იტალიაში, ესპანეთში, ბიზანტიასა და ეგვიპტეში, ჩრდილოეთით შავი ზღვით და დუნაისპირეთით. დ. ნიდერლე კი,

¹ ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. XI-III ათასწლეულები, თბ. 2010, გვ. 98.

² ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

³ ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

⁴ ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

⁵ ი. ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ბრინჯაოს გამოძვინებლებად მესოპოტამიაში და მის მეზობლად მცხოვრებლებს – შუმერ-ასურებს, ასირიელებს და ხეთებს მიიჩნევდა¹.

ჩვენ სახესებით ვიზიარებთ სუბარ და იბერ ფორმის იგივეობას, ასევე მის კავშირს შუმერ//სუმერთან და აბაზგ-ბასკ-მუსკ-მესხთან, რომელზეც ჩვენ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, სწორედ სუბარები ანუ გვიანდელი იბერები უნდა ყოფილიყვნენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მელითონე ტომები, სადაც ძირძველ ბარ//ბირ//ბერ სიტყვა უნდა ჩანდეს სვანურში რკინის აღმნიშვნელად შემორჩენილ „ბერეჟ ფორმაში, რომელიც ალბათ დაცულია ქართულ „ბრინჯაო“-ში. სუბარ-იბერის იდენტურია „თუბალ-კაინი“ (თუბალი-თაბალი-ტაბალი-იბერი-სუბარი აღნიშნავს რკინას, ზოგადად შესაძლოა ლითონს; კაინი კი მჭედელს), რომლებშიც იბერ-მესხები უნდა მოიაზრებოდნენ (უფრო ფართო პარალელების შესახებ იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტურში ლითონის აღმნიშვნელი სიტყვაა ba ან bi. წარწერებში ის კონკრეტულად რკინის აღმნიშვნელადაც გვხვდება².

გვიანდელ, ბიზანტიულ ავტორთა ხსოვნაში, იბერები და თუბალები ერთმანეთთან არიან გაიგივებულნი რაც არ არის შემთხვევითი. მაგალითად, ევსტათი ანტიოქიელთან (IV ს-ის პირველი ნახევარი) ნათქვამია, რომ „... ობელი, როლისგანაც არიან თეობელები, დღეს რომ იბერი ეწოდებათ“³. ასევე იოსებ ფლავიოსთან ნათქვამია, რომ „თეობელმა დააფუძნა თეობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“⁴.

ფიქრობთ, თვითონ რკინის ძველთაგან აღიარებული ოსტატების ხალიბების სახელწოდება ამ ქართველური ტომისათვის ხეთების მიერ არის შერქმეული რკინის აღმნიშვნელი ხეთური სახელიდან (ხაპალკუ), რომელიც შესაძლოა ქართველური ენების საფუძველზეც აიხსნას და მას კავშირი უნდა ჰქონდეს სუბარ//თუბალი//იბერ ტერმინებთან. კერძოდ, „ხალუა“ (ხალ-) მეგრულად ნიშნავს „ლღობას“, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილში „იბი“, შესაძლოა იმალეობდეს იბერ ფორმა, რაც ჩვენ რკინის და საერთოდ ლითონის აღმნიშვნელ სახელწოდებად მიგვაჩნია. სიტყვასიტყვით ხალიბი იგივე თუბალ-კაინია ანუ რკინის ოსტატი, რკინის „მღღობელი“.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ სუბარული ანუ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომების მიგრაციას ევროპის სიღრმეებში და კავკასიის (ჩრდილოეთით) სხვადასხვა რეგიონებში, რომელთაც ალბათ სათავე დაუდეს ესპანეთის, ირლანდიის მოსახლეობას და კავკასიაში მოსახლე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს.

როგორც აღნიშნულია, ნეოლითის განმავლობაში მიმდინარეობდა (რადიონახშირწყალობადის მეთოდით დათარიღებით) ნელი (საშუალო სინქარე 1 კმ წელიწადში) და თანმიმდევრული გამოყოფა მიწათმოქმედი მოსახლეობისა მახლობელი აღმოსავლეთიდან ევროპაში და ჩრდილოეთ აფრიკაში⁵.

წერილობით წყაროებში პირველ ცნობებს იბერების ბინადრობის შესახებ დასავლეთში – პირინეის ნახევარკუნძულზე ჰეკატეოს მილეეთელთან ვხვდებით, ძვ. წ. VI

¹ Дрѣ. Л. Нидерле, Человек в доисторические времена, СПб, 1898, გვ. 215.

² Дрѣ. Л. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

³ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართულ თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს აღ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1961, გვ. 95.

⁴ გეორგიკა, ტ. I, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

⁵ А. Г. Казинцев, Переход к земледелию и экология человека, Ранние земледельцы. Этнографический очерк, л. 1980, გვ. 20.

საუკუნეში ბერძნები და რომაელები პირინეის მკვიდრთ უწოდებდნენ *Ibhere*. Iber (Hiber). III საუკუნიდან იბერთა ტერიტორიას ესპანეთი დაერქვა (რომაულად Hispania, ბერძნულად *Spania*). როგორც სამართლიანადაა შენიშნული, ეტყობა ეს სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისაა – იბერიული სამყაროს ერთ-ერთი ძველი ეთნიკური ტერმინია¹. უკვე ძვ. წ. XII ს-ში ფინიკელებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში, რომლებიც მთელს ნახევარკუნძულს უწოდებდნენ – სპან-ი, სპანიას². ვფიქრობთ, არ არის გამორიცხადი მისი სპერ//სასპერ ფორმასთან იდენტურობა, რომელიც პეროდოტესთან სწორედ იბერებს უნდა აღნიშნავდეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში, კერძოდ ბასილი კესარიელის (329-379) თხულების (Hexameron) უძველეს ქართულ თარგმანში (VIII-IX სს.) ესპანეთში მოხსენიებულნი არიან „დასავლეთის ქართველები“ და როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, შუა საუკუნეებში გავრცელებული შეხედულება და თვარსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის თაობაზე უფრო ადრინდელი მსოფლმხედველობის გამოძედაგნებაა³.

ვფიქრობთ, მართებულია ის მოსაზრება, რომ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ევროპის ნეოლითურ დოლიხოტფალებს აიგივებდნენ იბერებთან და ლიგურებთან – ესპანეთის, გალიის ნაწილს, თითქმის მთელი იტალიის და სიცილიის, ასევე ბრიტანელი პიკტები იბერები და ლიგურები არიან ან მათთან ახლოს მყოფი ხალხი, მათ „იბერო-პიკტებსაც“ უწოდებენ⁴. თუმცა ყველა მათგანის იბერებთან და ბასკებთან (ლიგურებთან) გაიგივება შეცდომად მიიჩნია ლ. ნიდერლეს და შემდგომი ევროპის მოსახლეობის (დოლიხოტფალებს) უკვე არიულ, ინდოევროპულ ჯგუფს მიაკუთვნებს და ნეოლითის ევროპის მოსახლეობის ნაწილს უკვე არიულად მიიჩნევს⁵.

მცირე აზია-ანატოლიის უძველესი მოსახლეობის შესახებ არსებული ბოლოდროინდელი ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად ჩანს, რომ ხალკოლითისა და სპილენძის ხანის სამაროვნების პალეოანთროპოლოგიური მასალით⁶, ანატოლიის მოსახლეობის უმრავლესობა დოლიქოკრანულ ტიპისაა, ხოლო უმცირესობა ბრაქიკრანული ტიპის. გამოთქმული მოსაზრებით, ამ უკანასკნელის გამოჩენა ამ ტერიტორიაზე უფრო გვიანდელ ხანას უკავშირდება, კერძოდ კი ხეთური ტომების გამოჩენის პერიოდს⁷.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური ისტორიის პრობლემების წარმოჩენა, რიგი ნიუანსების გათვალისწინებით, მათში არსებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა გაშუქების თვალსაზრისითაც მიგვაჩნია შესაძლებლად.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების რწმენა-წარმოდგენებში ყველაზე გამოკვეთილად ჩანს კერის კულტი. ერთი შეხედვით, თითქოს ძნელია კერის კულტზე საუბრისას რაიმე ეთნიკურ სურათზე დაკვირვება, რამდენადაც ის მსოფლიოს სხვადასხვა სრულიად განსხვავებული წარმომავლობის ხალხში ითვლებოდა თავყვანისცემის ობიექტად, მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლებში კერასთან დაკავშირებული

¹ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

² შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

³ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-22.

⁴ Др. Л. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

⁵ Др. Л. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

⁶ გვ. 612.

⁷ ქ. ლომოური, ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობის შესახებ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 612-613.

თაყვანისცემის საგნები თუ გარკვეული რიტუალები ქართველური ტომების შემდგომ რწმენა-წარმოდგენებშიც უფრო განვითარებული ფორმით აისახა და ზოგიერთი ნიშნით, ვფიქრობთ ეთნიკურ მარკერადაც შეიძლება გამოვკვადგეს.

პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენები, რომელნიც შემდგომში რელიგიის ამა თუ იმ ფორმებს დაედო საფუძვლად, განვითარების ძალზე ადრეულ საფეხურზე უნდა ჩასახულიყო; ძნელია იმის წარმოდგენა თუ როგორ მივიდა ადამიანის ცნობიერება ამა თუ იმ საგნის თუ მოვლენის გადმერთებამდე, მაგრამ დღეისათვის დაგროვილი უხვი მასალისა და ცოდნის შუქზე ბევრ რამეზე მსჯელობა მაინც არის შესაძლებელი.

პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენების და მის წიაღში აღმოცენებული რელიგიის ფორმების ერთ კონტექსტში განხილვა ანუ განვითარების ადრეულ საფეხურზე მათი ერთნაირი თანაარსებობა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა; ფეტიშიზმი იქნება ეს მაგია თუ სხვა, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე უნდა არსებულიყო, ხოლო შემდგომში ისინი თანაარსებობდნენ კიდევ. რელიგიად ჩვენ შეიძლება ვაღიაროთ მხოლოდ ის ჩამოყალიბებული რწმენა, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფს, საზოგადოებას, დღევანდელი გაგებით კი ერს აკავშირებს.

როგორც ცნობილია დღესდღეობით მეცნიერებაში პრიმიტიული რელიგიის სხვადასხვა ფორმებია შესწავლილი. პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთ პრიმიტიულ ფორმად მეცნიერებაში ითვლება „ტოტემიზმი“ (ჩრდილო ამერიკელი ინდიელების – ოჯიბვეს ტომის ენიდან, რაც სიტყვასიტყვით „მის გვარტომს“ აღნიშნავს). ტოტემიზმის რწმენის შესახებ ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან მოყოლებული სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თეორიები არსებობს (ნომინალისტური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური)¹; ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ შეხედულებების დაწვრილებით განხილვა. ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ტოტემიზმს რელიგიის პირველად ფორმად მიიჩნევს (მაგ. ე. დიურკჰეიმი); სხვები კი უარყოფენ ტოტემიზმის რელიგიურ დატვირთვას (მაგ. კ. ლევი-სტროსი). ყოფილ საბჭოთა მეცნიერებაში კი ტოტემიზმი დახასიათებულია რელიგიის ერთ-ერთ უძველეს კომპლექსად, რომლის გასაღები უნდა მოიძებნოს სისხლნათესაურ ურთიერთობებში და პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების პირობებში (დ. კ. ზელენინი, მ. ზოლოტარევი, ს. პ. ტოლსტოვი)². უფრო მეტიც, ი. სემიონოვის დაკვირვებით, „როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ცხადყოფენ ჩვენთვის ცნობილ რელიგიის ყველა პრიმიტიულ ფორმათაგან, ერთიანობის გაცნობიერების ყველაზე პირველადი ფორმა არის ტოტემიზმი; მასში ცხადად არის გამოხატული ამა თუ იმ კოლექტივში შემავალ ადამიანთა ერთობა და ამასთან მათი განსხვავება ადამიანთა სხვა ჯგუფებისაგან. ერთი გვარისადმი კუთვნილება განისაზღვრება არა საერთო წინაპრის ყოლით, არამედ ტოტემური ერთიანობით. ე. ი. ყველა ადამიანი, რომელიც ეკუთვნის ერთი და იმავე გვარს, ჰყავთ ერთი ტოტემი. ყველა ადამიანი, რომელთაც ჰყავთ ერთი და იგივე ტოტემი ეკუთვნის ერთი და იმავე გვარს. იბადება რა ადამიანი, ის იღებს იმავე ტოტემს, რომელიც დედამისს ჰქონდა“³.

¹ ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდ. ს. ჭანტურიშვილი, თბ. 1997, გვ. 363-375.

² Хайтун, Тотемизм и его сущность и происхождение, Сталинабад, 1958. იქვე მოთითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ Ю. И. Семенов, Происхождение брака и семьи, М. 1974, გვ. 123, 161-162.

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის განსაზღვრება თითქოს „ერთი გვარისადმი კუთვნილება განისაზღვრება არა საერთო წინაპრის ყოლით, არამედ ტოტემური ერთიანობით“ ცოტა ბუნდოვნად გვეჩვენება. ვფიქრობთ, ადამიანმა პირველ რიგში უნდა გააცნობიეროს თავისი უშუალო წინაპრისადმი (იქნება ეს დედამთავრული თუ მამამთავრული ხაზი) თავყვანისცემა. და თუ ჯერ ის ამას ვერ აცნობიერებს, მაშინ ის ვერ გააღმერთებს ამა თუ იმ ცხოველს როგორც თავისი ჯგუფის ტოტემს. ცნობილია, რომ განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანები დიდ ჯგუფებად, ჯოგებად ნადირობენ, ხოლო ეს ჯგუფი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, სადაც ერთი საერთო ტოტემის არსებობა განვითარების ამ საფეხურზე წარმოდგენილია. რელიგიური რწმენის ანუ ამა თუ იმ საგნისადმი თავყვანისცემის გრძნობა, ვფიქრობთ, ადამიანთა უფრო ვიწრო წრეში უნდა ჩასახულიყო, მათ უნდა ჰქონოდათ რაიმე ისეთი ცენტრი, რომელიც მათ ცალ-ცალკე ჯგუფებად შეკრავდა, გაუღვივებდა ურთიერთნათესაობის და ერთიანობის გრძნობას; ვფიქრობთ, ეს არ უნდა ყოფილიყო ტოტემური ცხოველი, რომლის მიმართ რწმენა განვითარების უფრო გვიანდელ სტადიაში წარმოქმნილად მიგვაჩნია. ი. სემიონოვისავე ზემოთ აღნიშნული თეზა – „დაიბადება რა ადამიანი ის იღებდა იმავე ტოტემს, რომელიც დედამისს ჰქონდა“ - რა თქმა უნდა ლოგიკურია, მაგრამ სანამ ამა თუ იმ ჯგუფს ტოტემი გაუჩნდებოდა, ჯერ ხომ ის „ჯგუფად“ უნდა ჩამოყალიბებულიყო, ხომ უნდა ყოფილიყო როგორც გარკვეული „სოციალური ერთობა“ და შემდგომ გაეაზრებინა ესა თუ ის ცხოველი თავის ჯგუფის კუთვნილ ტოტემად. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს თავდაპირველი სოციალური ერთობის და ნათესაობის წარმოქმნის მიზეზების და საწყისების კვლევა, თუმცა აღვნიშნავთ, რომ რელიგიური რწმენის და ადამიანთა შორის ნათესაობის შეგრძნების წარმოქმნის მომენტი ურთიერთგაუმიჯნავად უნდა განიხილებოდეს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ო. კონტი, დ. ლებოკი) თვლიდნენ, რომ რელიგიის განვითარების პირველი სტადია არის „ფეტიშიზმი“¹. ზოგიერთი ავტორი კი მიიჩნევს, რომ „მაგია“ ფეტიშისტურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული, ხოლო თავის მხრივ ფეტიშური რწმენა წარმოადგენს „ანიმისტური“ რწმენის წარმოშობის იმ საწყის სტადიას, რომლისგანაც განვითარდნენ მისი შემდგომი უფრო განყენებული ფორმები პირველყოფილი ადამიანის ტოტემისტური წარმოდგენებისა². მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით (ფ. ჯევონსი; დ. ბრეტონი; რ. კარუცკი; ვ. ნ. ხარუზინა; ა. ვანგენეპი და სხვები), ფეტიშიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს კულტის განსაკუთრებულ ფორმად და ზოგიერთმა (ვ. ნ. ხარუზინა) ტერმინის არამართებულობის საკითხიც კი დააყენა³. საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ, უფრო მართებულად გვეჩვენება ს. ა. ტოკარევის მოსაზრება, რომელიც თანაბრად ეხება როგორც მაგიას, ასევე ფეტიშიზმს; კერძოდ, ავტორის აზრით, „ფეტიშიზმი წარმოადგენს ყველა რელიგიის ერთ-ერთ მუდმივ ელემენტს, რომელიც უნივერსალური მოვლენაა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ისტორიაში“⁴.

¹ Ю. Францев, Фетишизм и проблемы происхождения религии, М. 1940. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

² А. Ф. Анисимов, Религия эпохи расцвета матриархата, Ежегодник Музея истории религии и атеизма, Т. II, М. 1958, გვ. 260.

³ С. А. Токарев, Ранние формы религии и их развитие, М. 1964, გვ. 26. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁴ С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 29-31.

ე. ტეილორის „ანიმისტური თეორია“, რომელიც იდეალიზმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ავტორმა დაახასიათა როგორც ყველა რელიგიის დამბადებლად და მინიმალურ საწყისად¹. სხვა მეცნიერთა მიერ კი აღნიშნულია, რომ ანიმისტური რწმენა ყველა რელიგიისთვის არის დამახასიათებელი და რომ ის განვითარების გვიანდელ საფეხურზე წარმოიქმნა; ანიმისტური სახეები გასულიერების, გაპიროვნების შედეგია და რომ ადამიანის ფანტაზიას შეუძლია რაც გინდა იმის გასულიერება².

ჩვენ არ ვემხრობით ანიმისტური რწმენის, როგორც რელიგიის საწყის ფორმად აღიარების თეორიას მაგრამ ის რომ ნამდვილად რელიგიის ფორმაა და რომ განვითარების გარკვეული საფეხურიდან დღემდე ერთ-ერთი უმთავრესი და წარმართველი რწმენაა, ორი აზრი არ არსებობს. ამ საკითხზე უამრავი ფაქტობრივი მასალის მოყვანაა შესაძლებელი, თუმცა ამჯერად მასზე მსჯელობა არ გავაგრძელებთ.

ფიუსტელ დე-კულანჟი, რელიგიის საწყისად მიცვალებულის კულტს ასახელებს. მისი სიტყვებით, „ინდუსი, როგორც ბერძენი მიცვალებულში ხედავდა ღვთაებრივ არსებებს. ეს ადამიანის სულები სიკვდილის შემდეგ ღმერთებად იყვნენ აღმართულნი, ისინი, რასაც ბერძენები უწოდებენ დემონებს ან გმირებს. ლათინებმა მათ შეარქვეს ლარები, მანები, გენიები. მიცვალებულთა ეს რელიგია იყო ყველაზე ძველი ინდო-ევროპელთა რასისათვის. ვიდრე შექმნიდა და გააღმერთებდა ზევსს და ინდრას, ადამიანი აღმერთებდა მიცვალებულებს, ის მათ მიმართ გრძნობდა შიშს და მათ ღოცვით მიმართავდა. როგორც ჩანს, რელიგიური გრძნობაც აქედან დაიწყო. სიკვდილი იყო პირველი საიდუმლო, რომელიც ადამიანის წინ აღიმართა. მან ის დააყენა სხვა საიდუმლოებების გზაზე. მან აიყვანა მისი აზროვნება შეცნობადიდან შეუცნობადისკენ, წარმავალიდან მუდმივისკენ, ადამიანური ღვთაებრივისაკენ³.

ე. კასირერი, რომელიც იზიარებს ძირითადად კულანჟის და ამავე დროს სპენსერის მიდგომებს აღნიშნავს, რომ „ჩინეთის“ რომაელთა, ამერიკელ ინდიელთა რელიგიის (და სხვა ხალხების) უმეტესად და არსებითად არის რწმენა სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ. ის ეფუძნება ცოცხალთ და გარდაცვლილთა სულების ერთიანი კავშირის წარმოდგენას. ეს ფაქტები, განაგრძობს ავტორი, თვალნათლივ მოწმობს, რომ აქ ჩვენს წინაშეა პრიმიტიული რელიგიის ძველი უნივერსალური და არსებითი ნიშანი. პრიმიტიული რელიგიის ამ მთავარი მომენტის გაგება შეუძლებელია სანამ ამოსავლად მიგვაჩნია ის დებულება, რომ ყოველ რელიგიას შიშის გრძნობა წარმოშობს“⁴.

გ. ოსბორნის აზრით, „ადამიანის პრიმიტიული რწმენა იყო საიქიო ცხოვრების შესახებ არსებული რწმენა, რომელიც მისივე თქმით, მიცვალებულის შემკობაში (აღკაზმვაში), მისთვის იარაღის და საკვების ჩატანებაში გამოიხატება, რაც უამრავი შემთხვევებით დასტურდება⁵.

ღ. ი. შტერნბერგი არ იზიარებს სპენსერისა და ტეილორის შეხედულებებს (რომელთაც სულის თეორია ანიმიზმიდან გამოჰყავთ) და აღნიშნავს, რომ ცალკეული ინდივიდები ამა თუ იმ მიზეზით გამორჩეულნი და ამა თუ იმ ღვთაების საყვარელი

¹ Э. Тэйлор, Первобытная культура, М. 1934, გვ. 37, 41.

² С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-31.

³ Фюстель де-Кюланж, Гражданская община древнего мира, СПб. 1906, გვ. 19-20.

⁴ ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ. 1983, გვ. 142-143.

⁵ Г. Ф. Осборн, Человек древнего каменного века, Л. 1924, გვ. 236.

ადამიანები ხდებიან. სიცოცხლის დროს ისინი განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობენ ამ დვთაებებიდან, ხოლო სიკვდილის შემდეგ თვითონ ხდებიან გამორჩეულნი. ამ კულტის საწყისი არის იმ არსებებში, რომელთაც აირჩევენ ეს გმირები, და არა თვით მიცვალებულებში¹.

მ. ხიდაშელის დაკვირვებით, „როდესაც არქაული ადამიანი ახერხებს სამყაროს კონკრეტული მოდელის შექმნას, ცალკეული ობიექტებისათვის სახელის შერქმევას, მის მიერ შექმნილი სამყაროს სურათი კონკრეტულ სახეს იღებს და, რაც მთავარია, საკუთრად მის სამყაროდ იქცევა, მასში სახლის ახლობელი დვთაებები, უშუალოდ მათი წინაპრები თუ მითოსური გმირები მოქმედებენ, ზრუნავენ მათზე. ეს საკრალური სამყარო მხოლოდ მათ ეკუთვნით და მათთვის არის ღირებული. ავტორისავე აღნიშვნით, იმისთვის, რომ ადამიანებს გაეაზრებინათ თავი, როგორც ერთობა, დაეჭირათ მათი კუთვნილი ადგილი და დაპირისპირებოდნენ გარე სამყაროს, ისინი უნდა ზიარებოდნენ საკუთარ საკრალურ წარსულს, წინაპრებისაგან მომდინარე სიბრძნეს, დაეცვათ აუცილებელი წეს-ჩვეულებები. ადამიანი უშუალოდ უნდა შეხებოდა „დაბადების სიწმინდეს“, ვინაიდან სწორედ ეს წარსული აერთიანებდა ადამიანებს. მათი საერთო წარსულის გაცნობიერება მათი ერთიანობის გაცნობიერებასაც გულისხმობდა“².

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა ასე ზოგადად წარმოდგენა ვერ მოგვცემს სრულ სურათს რელიგიური რწმნის საწყისი ეტაპის განსასაზღვრად. პრიმიტიული რელიგიის არც ერთი ზემოთ წარმოდგენილი ფორმა ჩვენ არ შეიძლება გადაჭრით მივიჩნიოთ პირველადად. რელიგიის ზემოთ წარმოდგენილ ფორმებს შორის ყველაზე უმთავრესი ადგილი, რომელიც უკანასკნელ დრომდე ტრადიციულ ყოფაშიც გამოკვეთილად შეინიშნება, უნდა მივანიჭოთ წინაპრის კულტს და ანიმისტურ რწმენას, რაც ერთდროულად მიცვალებულის კულტში ვლინდება, მაგრამ ვფიქრობთ, განვითარების პირველ საფეხურზე სანამ ადამიანი წინაპრს გააღმერთებდა, მიცვალებულის თაყვანისცემას და სულის შესახებ რწმენას შეიცნობდა (თავისი გონით, თუგინდ ინსტიქტით და სხვა, რაც ცალკე კვლევის საკითხია), მანამდე მას გარკვეული ერთმანეთის ურთიერთნათესავად შეგრძნების მომცემი ცენტრი უნდა ჰქონოდა ანუ რაიმე „ამფიქტიონის“ მსგავსი ცენტრი, რომლის ირგვლივაც ის იკრიბებოდა როგორც ჯგუფი და თაყვანს სცემდა მას როგორც მის მცველ და მფარველ ძალას. რელიგიური რწმენა მხოლოდდამხოლოდ კოლექტივის მიერ ამა თუ იმ რწმენის ობიექტის საერთო აღიარების შედეგად უნდა შექმნილიყო.

ადამიანი, განვითარების ადრეულ საფეხურზე ბუნების მოვლენათა შესაცნობად და მის თავის სასარგებლოდ გამოსაყენებლად სათანადო გამოცდილებას ვერ ფლობდა. ვფიქრობთ, ყველაზე უმთავრესი და საარსებოდ აუცილებელი და მოქნილი საშუალება იქნებოდა ცეცხლი. რასაკვირველია პირველყოფილი ადამიანი ცეცხლის ხელოვნურად მოპოვების წესს ვერ ფლობდა (ასეთი ხალხები დღესაც არსებობენ), მაგრამ ამას მას გარემო აძლევდა, გადაჰქონდა თავის სადგომში და მუდმივად ინახავდა; როგორც დ. ანუჩინი აღნიშნავს, „არ არის ცნობილი რამდენ ხანს გაგრძელდა ცეცხლის მოხმარება მისი ხელოვნური მოპოვების გარეშე, მაგრამ ავტორისავე თქმით, საფიქრებელია, რომ კაცობრ-

¹ Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Л. 1936, გვ. 344-346.

² მ. ხიდაშელი სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში თბ. 2001, გვ. 50-51.

იობა უკვე ქვის ხანაში დაეუფლა ამ ხელოვნებას¹. ასევე განათხარი მასალით ცნობილია, რომ ჯერ კიდევ გამოქვაბულში მცხოვრები პეკინელი სინანტროპი (*sinanthropus pekinensis*) უკვე მუდმივად ინარჩუნებს ცეცხლს და ცხოველის ხორცს შემწვარად მიირთმევს². ხოლო ალ. მონგაიტის აღნიშვნით, ადამიანმა უკვე ძალიან ძველი ეპოქიდან ისწავლა ცეცხლის გადატანა და შენახვა, რომელიც მას ბუნებაში ხვდებოდა. მისივე თქმით, გვიანაშელურ ხანაში ცეცხლის კვალი ყველგან გვხვდება³.

ცნობილია, რომ სანამ ადამიანი ხელოვნურ სადგომს აიშენებდა ის ცხოვრობდა ღია ცის ქვეშ ან გამოქვაბულში, სადაც მას პირველად უნდა განეთავსებინა ცეცხლი, მოეწყო კერა, სადაც ცეცხლი მუდმივად ენთო.

საქართველოს მაგალითზე, მუსტიეს ხანაში, ალ. კალანდაძის თქმით, ადამიანებს ფართოდ აუთვისებიათ არა მარტო ზღვისპირეთი, მდინარეთა შესართავები, ტერასები, ტყიანი ზონა, არამედ შუა, ზოგჯერ მაღალმთიანეთიც. მღვიმეებში ცხოვრება, განაგრძობს ავტორი, შუაცეცხლით სარგებლობა აღვივებდა კოლექტიურ თანაცხოვრებას, სარჩოსაბადებლის საერთოობის პრინციპს, მისივე აზრით, გვარის ჩამოყალიბების პროცესი მუსტიეს გასულს აქედან უნდა დაწყებულიყო⁴.

ენეოლითის ხანიდან მოყოლებული საქართველოში უკვე გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები: სწორკუთხა, მრგვალი, მოგრძო კუთხეებმომრგვალებული, ოვალური⁵; შულავერის ტიპის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე (შულავერის გორა, იმირის გორა – VI-IV ათასწლეულები) თითქმის ყველა საცხოვრებელ ბინაში, კედლის ძირში, თიხისაგან ნაძერწი კვერცხისებრი კერა იდგა⁶, მათ შორის საინტერესოა საცხოვრებლის ცენტრში გამართული სტაციონარული კერები. ერთ-ერთი სათავსოს ცენტრალურ ნაწილში წრიული ღრმა კერაა მოთავსებული, რომელიც საკულტო დანიშნულების ნაგებობად არის მიჩნეული⁷. იგივე სახის პრინციპი ჩანს არუხლოს ტიპის ნამოსახლარზეც. მაგ. ხრამის გორის ნამოსახლარზე გვხვდება ეზოებში მოწყობილი თიხის კერები, რომლებიც მიწითაა ამოვსებული. ზოგ მათგანში გამოუწვარი თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ცხოველთა ძვლები და სხვა აღმოჩნდა, რომელსაც საკულტო-სარიტუალო კერებად მიიჩნევენ⁸.

ი. კიკვიძის დაკვირვებით, უძველესი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების შულავერის გორაზე დადასტურებული კერა უქრობი ცეცხლისთვის იყო განკუთვნილი. მისივე აზრით, კავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს საკულტო რიტუალში ცენტრალური ადგილი კერას უჭირავს, კერაშივეა წარმოდგენილი თითქმის მთელი ასტრალური სიმბოლიკა⁹.

¹ ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდ. ს. ჭანტურიშვილი, თბ. 1997, გვ. 288.

² М. Ф. Нестурх, Проблемы первоначальной прародины человечества, У истоков человечества, М. 1964, გვ. 13.

³ А. Л. Монгайт, Археология в СССР, М. 1955, გვ. 59.

⁴ ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970 გვ. 97.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961, გვ. 25-26.

⁶ ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 69.

⁷ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁸ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72.

⁹ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 163-164, 176.

პ. ბუხრაშვილის სამართლიანი დაკვირვებით, „საცხოვრებელში კერა წარმოადგენდა ოჯახის ცენტრს, შუაგულს, რომელიც აერთიანებდა, კრავდა, ადუღებებდა სისხლითნათესაობით და საერთო ქონებით ერთსულ ოჯახს – სოციალურ ერთეულს. ავტორისავე აზრით, ჩნდება რა კერა, რაც თავისთავად საცხოვრისისა და ოჯახის ფორმირებასაც გულისხმობს, ჩნდება ოჯახური რელიგიაც – გენოთეიზმი, როგორც სოციალური ორგანიზმის (ოჯახის) ჩამომყალიბებელი ფენომენი¹. ავტორისავე აზრით, უკვე უკვე ენეოლითის დროიდან, როცა ჩნდება პირველი სისტემური დასახლებები, კავკასიაში უნდა ვივარაუდოთ ოჯახური რელიგიის გენოთეიზმის ფორმირებაც. ეს მოვლენა, ავტორის აზრით, სავსებით დასრულებულ სახეს იღებს ნეოლითის ეპოქაში, რაც ნათლად აისახა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შესწავლილი ნამოსახლარებიდან (შულავერი – შომუ თევეს კულტურა) მომდინარე პარალელებში².

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კერა, ოჯახის შიდა ცხოვრების ძირითად ტრადიციულ ნორმებს არეგულირებდა³. ასევე იყო ის კავკასიის ხალხთა ყოფაშიც⁴. კერის კერის სოციალურ ფუნქციაზე მიუთითებს ასევე ქართლში პატრონიზმის აღმნიშვნელი ტერმინი „ერთი ცეცხლის პირზე გაყრილები“⁵. ასევე პირველად ოჯახში კერასთან სრულდებოდა პატარძლის შეყვანის რიტუალი, ბავშვის მონათვლა, მოსისხლეთა შერიგება⁶. ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიული ყოფიდან არის ცნობილი კერასთან იმართებოდა თითქმის ყველა საოჯახო რიტუალი, რომელსაც ამა თუ იმ მიზნით ასრულებდნენ; კერას მიმართავდნენ როგორც „ღმერთს“, მას შესთხოვდნენ ოჯახის ბარაქიანობას, გამრავლებას, დოვლათს და მსხვერპლს სწირავდნენ. კერა ხშირ შემთხვევაში არა მარტო უბრალოდ ოჯახის კოსმოსური ცენტრი იყო არამედ ის იყო თაყვანისცემის ობიექტი, მთავარი ღვთაება⁷.

¹ პ. ბუხრაშვილი, საცხოვრისი - „ოჯახური ტაძარი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ის სიღნაღის (კახეთის ფილიალის) სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. V. სიღნაღი, 2004, გვ. 19-21.

² პ. ბუხრაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-21.

³ ვალ. ითონიშვილი, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ. 1974, გვ. 46-47; ვალ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ. 1969, გვ. 93-95; თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ. 1990, გვ. 91-92; P. Харაძე, Грузинская семейная община, т. I, Тб. 1961, გვ. 54, 69, 93, 132; თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ. 1985, გვ. 269-270; დ. ჭითანავა, ოჯახის მმართველობის სისტემა სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VI, თბ. 2003, გვ. 140-141 მისივე, რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ. 2007, გვ. 104-124; მისივე, სოციალური ორგანიზაციის განმსახვრელი ერთ-ერთი ფაქტორების შესახებ არქაულ საზოგადოებაში, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ. 2007, გვ. 125-148.

⁴ ვალ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთელთა საოჯახო ყოფა, თბ. 1969, გვ. 78-81.

⁵ P. Харაძე, Грузинская семейная община, т. I, Тб. 1961, გვ. 52.

⁶ ვალ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ. 1969, გვ. 114; ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960, გვ. 246, 250-251.

⁷ ს.მაკალათია, ხევსურეთი, თბ. 1984, გვ. 215; ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 157-158, 166, 168-169, 170; გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ. 1991, გვ. 30-31; ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმში), თბ. 1995, გვ. 7-8, 9, 12-14, 16, 19-20, 26-28, 30, 33-34, 40; ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ. 1987, გვ. 62; ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, თბ. 1964, გვ. 128-129; მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, თბ. 1911-1913, გვ. 177; ბ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყი), I, თბ. 1988, გვ. 119; ან. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბ. 1972, გვ. 116; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1938, გვ. 104-106; თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ. 1990, გვ. 47; მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 10, 138-139; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ. 1941, გვ. 25; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 327, 298, 311-312, 318-319; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ. 1956, გვ. 100.

ასეთივე ფუნქციის მატარებელი იყო ის აფხაზთა¹ და სხვა კავკასიელ ხალხთა – ადიღთა², ჩეჩენ-ინგუშთა³, ქისტთა⁴, აზერბაიჯანელთა⁵, ოსთა⁶ ეთნოგრაფიულ ყოფაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში „ნადირთ მფარველნი საერთო კერის ირგვლივ შემომსხდარ სანათესაო ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთა საკრალურ სივრცეში შესვლა მონადირეს მხოლოდ კერიის ცეცხლის გაზიარების, სუფრასთან მიპატიჟების წესების აღსრულების შემდეგ შეუძლია. მხოლოდ საერთო ტრაპეზის გაზიარების შემდეგ ეძლევა მას თავის „ბედზე დათქმული ნადირი სამიზნედ“⁷. ასევე გამოთქმული მოსაზრებით, ბერიკაობის პროცესის ბერი/ბერიკა, კურო//კურატი, რომელიც ახალგაზრდა ყმაწვილებს გულისხმობს და ჭაბუკი ღვთაების (ტარ-ჭაბუკი, ხარ-ჭაბუკი) სიმბოლოს წარმოადგენს, მათ ერთ-ერთ ადგილსამყოფელს წარმოადგენს კერა, როგორც მფარველი ღვთაება ოჯახისა, გვარისა და ცენტრი ყოველივესი⁸.

ცეცხლის და კერის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებშიც – ძველ ბაბილონში⁹, ძველ ეგვიპტეში¹⁰, ძველ ინდოეთში¹¹, ხეთებში¹²; ასევე კერას და ცეცხლს ძალზედ დიდი დატვირთვა ჰქონდა რომაელთა და ბერძენთა რელიგიაში, არა მარტო როგორც ოჯახის მფარველი ღვთაების, არამედ კერის – ვესტას კულტი, სათემო პანატების კუთვნილი კულტის სახით ანუ ერთიანი საქალაქო კერის სახით წარმოიქმნა რომში მარსის გვერდით. ექვსი უმანკო ქალწული თითქოს რომაელი ხალხის ექვსი ქალიშვილის სახით ასრულებდნენ მსახურებას ქალღმერთ ვესტას წინაშე და მოვალენი იყვნენ მუდმივად შეენარჩუნებინათ კეთილისმომცემი ცეცხლი სათემო კერაზე. ეს საოჯახო-სახალხო ღვთისმსახურება რომაელთა თვალში იყო ყველაზე წმინდა, რომელიც ყველა დანარჩენ წარმართულ კულტებს შორის ყველაზე მეტად უპირისპირდებოდა ქრისტიანობას¹³. ასეთივე იყო ის ელინთა წარმოდგენებში, კერძოდ ოლიმპიაში რომაელთა მსგავსად პირველი მსხვერპლშეწირვა საბერძნეთის სახელით კერას ეძღვნებოდა, მეორე – ზევსს და როგორც ოვიდიუსი საუბრობს ამ ღვთაებაზე, მას უკავია პირველი ადგილი ადამიანთა რელიგიურ წეს-ჩვეულებებში, ხოლო რიგ-გედას ჰიმნებში აღნიშნულია, რომ „ყველა სხვა ღმერთებზე ადრე ჩვენ უნდა ვახსენოთ ცეცხლები, მის ღირსსაქებარ სახელს ჩვენ წარმოვთქვამთ ყველა სხვა უკვდავი სახელის წინ“¹⁴.

¹ Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сух. 1957, გვ. 64-66; И. А. Аджинджал, Из этнографии Абхазии, Сух. 1969, გვ. 97-102.

² Л. Люлье, Ворования, религиозные обряды и предрассудки у Черкесь, Записки Кавказского отдела императорского русского географического общества, кн. V, Тиф. 1862, გვ. 125-126.

³ Н. Дубровин, История воин и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб. 1871, გვ. 435.

⁴ ვალ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთელთა საოჯახო ყოფა, თბ. 1969, გვ. 175.

⁵ Народы мира, народы Кавказа, т. II, М. 1962, გვ. 141.

⁶ Решетов, Об отношений к женщине в до и послеродовой период, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1985, გვ. 61; Л. Чибиров, Очаг осетинского жилища, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, თბ. 1963, გვ. 357.

⁷ მ. ზურაშვილი, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი რიტუალური არსი, თბ. 2006, გვ. 37-39.

⁸ Б. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ. 1997, გვ. 29-33.

⁹ რ. რცხილაძე, ბაბილონის ახალი სამეფო, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1971, გვ. 465; В. И. Авдиев, История древнего Востока, М. 1948, გვ. 95.

¹⁰ В. И. Авдиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

¹¹ В. И. Авдиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 502, ე. მენაბდე, ძველი ინდოეთი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1971, გვ. 572.

¹² Т. В. Гамкрелидзе, Вч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. 1984, გვ. 700.

¹³ Т. Моммзен, История Рима, т. I, М. 1936, გვ. 160.

¹⁴ Фюстель де-Кюланж, Гражданская община древнего мира, СПб. 1906, გვ. 26.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ყოფაში ცეცხლის სახლებიც კი არის შემორჩენილი; მაგალითად ტაჯიკებში „ალოვხონას“ (Аловхона) სახელწოდებით, სადაც სათემო რიტუალი ტარდებოდა¹. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერა ამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელ ნაგებობაში². ცეცხლის კულტი საყოველთაო იყო მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა რელიგიაში, რომელიც ე. ტეილორის ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი³.

ცეცხლის და კერის კულტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი დაიწერა. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს გაკვირვებით მაინც შეხებია, არავინ არ უარყოფს კერის და ცეცხლის დიდ დატვირთვასა და როლს რელიგიური აზროვნების ჩამოყალიბების კუთხით და ყველა აღიარებს ამ კულტის უძველესობას. კერძოდ, რომ ის „მრავალ ხალხს წარმოუდგენია თავისებურ „პატრონად“, ოჯახის თავმოყრის და წინაპართა თაყვანისცემის ადგილად“⁴; რომ ის „იყო ყველაზე წმინდა ყველა წარმმართველ წარმმართველ კულტებს შორის, ასევე პირველი რიგის დადგენილების გამომტანი“⁵; რომ „კერის ცეცხლი არის ზნეობრივი არსების მსგავსი, რომ მას აქვს გონი და აზროვნება, რომ მას შეიძლება დაერქვას ადამიანი, რომ ის კვებავს ადამიანს, აძლევს სიცოცხლეს, უყვარს ის, აძლევს ზნეობრივ სიწმინდეს, მართავს სიკეთეს და სილამაზეს, კვებავს სულს, წარმოადგენს სიმდიდრის წყაროს, ჯანმრთელობის კეთილისმყოფელს, რომ ის ადამიანური ბუნების ღმერთია, რომ ის არის ზნეობრივი წესრიგი, რომ მისი საფუძველი დევს ბუნების მიღმა და მდებარეობს საიდუმლო სამყაროში, რომელიც ქმნის ადამიანს“⁶; რომ ის არის „კეთილისმყოფელი ძალა, სიცოცხლის წყარო, რომ მისი რამე სახით შეურაცხყოფა არ შეიძლება“⁷; რომ ცეცხლი „შემოქმედი და ავი სულებისაგან გამწმენდი ძალაა და რომ ის მზის დამხმარეა“⁸, რომ „ადამიანს პირველად კერამ აგრძნობინა სიცოცხლის სიტკბოება, რომ მან განუმტკიცა ადამიანს ოჯახის საფუძველი და მშობლიური სიყვარული“⁹; რომ კერას „უკავშირდებოდა ყველა რიტუალი, რომელშიც ოჯახი მონაწილეობდა, რომ ის იყო ოჯახის მთლიანობისა და კეთილდღეობის გამოხატულება, რომ ის სახლის საკულტო ცენტრია“¹⁰; რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში „ქობ-საკიდელის“ მადლზეც ულოციათ“¹¹; რომ ის „საოჯახო თემის ერთიანობის სიმბოლო იყო და ოჯახის მფარველი ღვთაების ადგილსამყოფელი“¹²; რომ ის არის „სამყაროს დინამიკური ხატი, სამყაროს ცენტრი, სამყაროს შექმნის შესაძლებლობის მქონე, ტაძრის ფუნქციის შემსრულებელი, კულტურის დამკვიდრების აღმნიშვნელი კოსმოსური ცენტრი, რომ მასში გამეორებული

¹ Н. А. Кисляков, Алевхона – «дом огня» у таджиков (К вопросу о сельской общине), Основные проблемы Африканистики, М. 1973, გვ. 88-90

² Льюис Г. Морган, Дома и домашняя жизнь американских туземцев. Л. 1934, გვ. 73-106.

³ Э. Тэйлор, Первобытная культура, М. 1934, გვ. 427-433.

⁴ ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდ. ს. ჭანტურიშვილი, თბ. 1997, გვ. 285, 287.

⁵ Т. Моммзен, История Рима, т. I, М. 1936, გვ. 160, 167.

⁶ Фюстель де-Кюланж, Гражданская община древнего мира, СПб. 1906, გვ. 26-28.

⁷ Л. Я. Штернберг, Семья и род у народов Северо-Восточной Азии, Л. 1933, გვ. 21.

⁸ გ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ. 1941, გვ. 80-82, 84-85.

⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 326.

¹⁰ ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ. 2003, გვ. 192.

¹¹ ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960, გვ. 250.

¹² Р. Харадзе, Грузинская семейная община, т. I, Тб. 1961, გვ. 52.

იყო სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხატი¹; და რომ კერის და ცეცხლის შესახებ რწმენა „აღმოცენებულია განვითარების უძველეს საფეხურზე“²; რომ „პირველი სოციალური უჯრედი მის ირგვლივ უნდა წარმოქმნილიყო“³.

ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ავტორთა მიერ გამოთქმული ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ ყოველად გაუგებარია იმის არადიარება ან საკითხის არდასმა მაინც, რომ განვითარების პირველივე საფეხურიდან შესაძლოა სწორედ ცეცხლის სტიქია ყოფილიყო ადამიანისთვის პირველადი რელიგიური რწმენის ჩასახვის საფუძველი, რომლის ასე წარმოსადგენად როგორც არქეოლოგიური, ასევე ფაქტობრივი ეთნოგრაფიული მასალით ყველანაირი საფუძველი არსებობს. ვფიქრობთ, განვითარების პირველივე საფეხურიდან ადამიანთა ერთიანობის გრძნობის პირველი განმსაზღვრელი სწორედ რომ კერა უნდა ყოფილიყო, რომლის ირგვლივ ამა თუ იმ ადამიანთა ჯგუფი თანდათანობით ნათესავად ყალიბდებოდა; კერა და ცეცხლი, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა, თანდათანობით თავყვანისცემის ობიექტად იქცა, სწორედ აქ სწირავდა ის მსხვერპლს, კერასთან ასაფლავებდა თავიანთ მიცვალებულს, აქ შეიცნო მან თავისი პირველი ნათესავი, რომელმაც წინაპრისადმი გრძნობას დაუღო საფუძველი; კერა წარმოდგენდა უპირველეს ამფიქტიონს რომლის წიაღში ყალიბდებოდა სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ის იყო პირველი ტაძარი. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მისდამი თავყვანისცემამ და მისი როგორც სამყაროს ცენტრის გააზრების იდეამ დღევანდელობამდეც მოაღწია, მას ეწირება ყველანაირი შესაწირი და ის იხსენიება როგორც „ღმერთად“. ტაძარში კი ის „საკურთხევლის“ ფუნქციით მოგვევლინა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა რწმენა-წარმოდგენებში ყველაზე უმთავრეს რიტუალის შესასრულებელ და რიტუალურ საგანთა თავმოყრის ადგილს კერა წარმოდგენდა. ე. ანტონოვას და ს. ესაიანის აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის კულტურის ტომებში კერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მას მორთავდნენ, სხვადასხვა სიმბოლური გამოსახულებებით, რომელთა უმრავლესობა იშიფრება როგორც მამაკაცის სქესის ნიშნები (ხრამის დიდი გორა). მათივე კვლევით, თუ ამიერკავკასიის ადრეული ბრინჯაოს დასახლებებში კერა მამაკაცური სიმბოლოებითაა მორთული, აღმოსავლეთ ანატოლიაში ნაპოვნია „ქალური“ კერები. ეს გარემოება, ავტორთა აზრით, მიუთითებს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლებში სხვადასხვა რელიგიურ წარმოდგენებზე და შესაძლოა ერთ-ერთ არგუმენტადაც გამოდგეს ეთნიკური სიჭრელის სასარგებლოდ⁴.

შენიშნულია ის გარემოებაც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ანთროპომორფული გამოსახულებების ნაკლებობა შეიძლება აიხსნას საშინაო კერის კულტის განვითარებით, რომელიც ძველ ადრესამიწათმოქმედო კულტურისაგან განსხვავებით აქ განსაკუთრებულად ფორმირდება⁵.

¹ მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში თბ. 2001, გვ. 67-72.

² მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 157-161.

³ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 176.

⁴ Е.В. Антонова, С. А. Есаян, Антропоморфная скульптура армянского нагорья V-III тысячелетия до н. э. местная специфика специфика и межрелигиозные связи. Древний Восток. Этнокультурные связи. Т. LXXX, М. 1988, გვ. 233.

⁵ Е. В. Антонова, С. А. Есаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

ფიქრობთ, ქალური და მამაკაცური კერების არსებობა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სხვადასხვა ურთიერთდაშორებულ რეგიონებში ეთნიკურ სიჭრელზე არ უნდა მიუთითებდეს. მიგვაჩნია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მტკვარ-არაქსისელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებულ ხასიათთან, რასაც გეოგრაფიული გარემო აპირობებდა ამ კულტურის ფართო არეალზე განფენის გამო. სავარაუდოდ, ერთ ადგილას მატრიარქატი და გამოკვეთილად დედის კულტია წამყვანი, სხვაგან კი უკვე გაფორმებულია პატრიარქატი, რაც მიწათმოქმედების განვითარების უფრო მაღალ დონეზე მიუთითებს. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა შიგნით გარკვეული ლოკალური თავისებურებები ყალიბდება, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს განსხვავებული ეთნოსოციალური ორგანიზმის არსებობას და მათ ერთიანი კულტურული და ეთნიკური წრე გააჩნდათ.

საცხოვრებლის ადრეულ ფორმად მიიჩნევენ მრგვალ ან ოვალურ ფორმას¹. სწორედ რომ ენეოლითში (რამდენადაც ჩვენ უფრო ადრინდელი მასალა არქეოლოგიურად არა გვაქვს) გამოქვაბულებებთან ერთად არის სარეზზე მოწყობილი ტოტებისაგან ორმხრივ თიხალესილი კედლების მქონე მრგვალი სახლები (წოფი). მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება ალიზით ან აგურით ნაგები, ზოგჯერ ქვის საძირკველზე შეყენებული სახლებიც (თეთრიწყარო, შულავერი, არუხლო); ამათგან სწორკუთხა სახლი აღმოჩენილია თეთრიწყაროს ნასახლარზე, სადაც მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება ენეოლითურ ხანაში საყოველთაოდ გაბატონებული ტიპის (შულავერი, არუხლო) მრგვარი ან ოვალისებური შენობა². აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადრეული ხანიდან საცხოვრებლის აუცილებელი ელემენტია კვერცხისებური კერა, რომელიც უქრობი ცეცხლის შესანახად გამოიყენებოდა³. ოთ. ჯაფარიძის ვარაუდით ნეოლითის და მისი დასასრულის დროინდელი საცხოვრებელი კომპლექსი, ალბათ პატარა საოჯახო კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ყოველი სახლი ერთი წყვილადი ოჯახის საცხოვრებელი იყო⁴.

როგორც აღნიშნულია, „ძველი საცხოვრებელი წარმოადგენდა სიბრტყეს, რომელიც შემოზღუდული იყო და ეს ჩაკეტილი სივრცე (რომელიც შეიძლება ყოფილიყო სახლი, სოფელი, დამუშავებული მიწა და სხვა) აღიქმებოდა კოსმოსად, სამყაროდ, ხოლო სამყაროს „ცენტრად“ ითვლებოდა ადგილი, რომელიც განსაკუთრებული ხდებოდა რიტუალებისა და ღვთაებების მეშვეობით, რადგან ამ ადგილებში ხდებოდა კომუნიკაცია ზებუნებრივ არსებებთან. სახლი ერთგვარი „უსაფრთხოების პერიმეტრს“ წარმოადგენდა⁵. პ. პ. ბუხრაშვილის აღნიშვნით, საცხოვრისი, რომელიც თავის მხრივ, გარკვეულ სოციალურ ორგანიზმის, კერძოდ ოჯახის ყოფის მატერიალიზებული გამოხატულებაცაა, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად, ამ ერთობის იდეოლოგიური მთლიანობის, სავანებლის, ოჯახის რელიგიური ცენტრის ძალზედ აუცილებელ დანიშნულებასაც ასრულებს. ოდითგანვე საცხოვრისში თავმოყრილი იყო ოჯახისათვის ყველაზე წმინდა რელიქვიები, საკრალური ფუნქციის მატარებელი სხვადასხვა ნივთები; სახლში კერაზე, ენთო „წმინდა“ ცეცხლი,

¹ Всеобщая история архитектуры, М. 1958, გვ. 15-16.

² აღ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 132.

³ აღ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 95.

⁵ ნ. აბაკელია, კოსმოლოგიური სიმბოლოები დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIII, თბ. 1987, გვ. 239-240. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

იდგა ოჯახის ერთიანობის გამომხატველი დედაბოძი, ინახებოდა სხვადასხვა კერპები. საცხოვრებელში კერა წარმოადგენდა ოჯახის ცენტრს, შუაგულს, რომელიც აერთიანებდა, კრავდა, ადუღებდა სისხლით ნათესაობით და საერთო ქონებით ერთსულ ოჯახს – სოციალურ-ერთეულს¹. ავტორისავე თქმით, კერის გაჩენა თავისთავად საცხოვრისისა და ოჯახის ფორმულირებაც გულისხმობს¹.

ტ. ჩუბინაშვილის აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების დროისათვის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დონე მკვეთრად იცვლება, რაც საცხოვრებლის მოწყობასაც დაეცო. შენობათა ფართობი გაზრდილია, სახურავი ბრტყელია და უკვე ცენტრალურ სვეტზე ე. ი. დედაბოძზეა დამყარებული. სახლის უნდობა დერეფანიც. ამ პერიოდის დარბაზული ნაგებობის პირველად ელემენტებიც ჩნდება. ასეთ სახლებში ცენტრალურ დედაბოძთან ჩნდება კერა – თიხისაგან საგანგებოდ ნაძერწი ჭურჭელი, რომელიც იატაკის ცენტრშია ჩასმული. საცხოვრებელი სახლის ოთახში განსაკუთრებული დანიშნულების ჩანს კერის უკან, კედლის გასწვრივ გამართული შემადლება. ავტორისავე აზრით, ამ შემადლების რიტუალურ თუ საკულტო დანიშნულებას ადასტურებს კედლის შემკობა-მოხატვა ფრიზებით (გუდაბერტყა, ქვაცხელები) და მასზე ყოველთვის გამოუსადეგარი უჩვეულო ფორმის ე. წ. ნაცარგორების „ნაძერწობების“ სხვადასხვა ჭურჭლისა და გადასატანი კერების თუ მათი იმიტაციის საგანგებოდ – შედაშედ – დაწყობა (ახალგორის ამირანის გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა)².

ი. კიკვიძის აღნიშვნით, კავკასიის ენოლით-ადრეული ბრინჯაოს საკულტო რიტუალში ცენტრალური ადგილი კერას უჭირავს. კერაშივეა წარმოდგენილი თითქმის მთელი ასტრალური სიმბოლიკა. უფრო ხშირად კერა თავისი იერიითა და ფორმით ასტრალური ღვთაებების სახედ გვევლინება³.

ქვაცხელების ნამოსახლარების მაგალითზე, საცხოვრებლის კერის უკან კედლის გასწვრივ გამართულ შემადლებაზე, ცენტრალური კერის მსგავსად, აღ. ჯავახიშვილის და ლ. ღლონტის აზრით, შენობის ჩვეულებრივი ნაწილი უნდა გამოყენებული იყოს ერთდროულად სარიტუალო ცერემონიალის დროს. ავტორთა აღნიშვნით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭურჭლებში ხშირად იატაკშია ჩადგმული ნაცარგორები ამგვარი ჭურჭლის სიმბოლურ სახეს წარმოადგენდა; ამას მოწმობს რამდენიმე შემთხვევაში ნაცარგორაზე ჩადგმული ჭურჭლის ზედა ნაწილი, მასში მოთავსებული სუფთა ნაცარი, რომელსაც ხანდახან ცხოველის დამწვარი ძვლის ფრაგმენტები ურევია და მის ირგვლივ დალაგებული სამიწათმოქმედო იარაღი, ჭურჭელი და ზედ დადგმული გადასატანი კერები შეწირულობის შთაბეჭდილებას ტოვებს⁴.

სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მოგვიანო, ძვ. წ. II-I ათასწლეულების სამარხებში (მეწამორის სამლოცველო, მელი ღელეს სამლოცველო), რომელშიც ცალკე მღვარი სამლოცველოები გვაქვს, კულტის ძირითადი ცერემონიალი სრულდებოდა საკურთხევლის წინ, სადაც გამართული იყო კერა და სამსხვერპლო მოედანი (მეწამორის

¹ პ. ბუხრაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.

² ტ. ჩუბინაშვილი, ენოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. I, გვ. 155-157, იქვე, მითითებულია ლიტერატურა ამ საკითზე. ასევე იხ. ოთ. ჯავახიშვილი, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 111-112.

³ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 176.

⁴ აღ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ. 1962, გვ. 51-52.

სამლოცველო). მედი ღელეს სამლოცველოში, რომელიც თხრილით შემოვლებულ მოედანს წარმოადგენს, დადასტურებულია წმინდა ნაცრით ამოვსებული დიდი ორმოები. ორმოებშივე იდგა წმინდა ნაცრით სავსე დიდი ჭურჭელი ღვინში; უკლებლივ ყველა ტაძრის ცენტრს წარმოადგენს საკურთხეველი და მის წინ გამართული კერა, სადაც მიდიოდა მსხვერპლშეწირვა¹.

შენიშნულია, რომ ე. წ. შვერილიანი კერა, მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არის დამახასიათებელი. მას საკულტო-სარიტუალო წანიშნულება აქვს და სამეურნეო დანიშნულების ცეცხლი ან გარეთ ინთება ან როგორც ჩანს თიხის, ან უფრო გვიან ეტაპზე კეცის კერებია მოწყობილი შენობაშივე (ბადაანის ნასახლარი). სშირად ნასახლარებზე კერის უკან, ალბათ საკულტო წესების შესასრულებლად კედლის გასწვრივ თიხატკეპნილი შემადლებებია მოწყობილი (ქვაცხელები, ციხიაგორა, ორხევის ნამოსახლარი და სხვა), რომელზედაც მრგვალი კერამიკული ნივთია დალაგებული. გ. მირცხულავას აზრით, ამ შემადლებებს არა მარტო საკულტო, არამედ ალბათ საყოფაცხოვრებო დანიშნულებაც აქვთ. ამ ეტაპზე ჩნდება საკულტო ნაგებობები რომელთა კედლები საგანგებოდ არის შედებილი და მოხატულიც კი (გუდაბერტყა, ციხიაგორა, სამშვილდე)².

ჩვენი აზრით, საცხოვრებლის შიგნით კერასთან გამართული შემადლებების საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამართვა საეჭვოა. ის ორივე ფუნქციას – საკულტო და საყოფაცხოვრებოს ერთად ვერ შეითავსებდა რიტუალური ტაბუს ძალით. კერასთან არსებული შემადლება უნდა ყოფილიყო ყველაზე წმინდა და საიდუმლო ადგილი ანუ კერასთან დაკავშირებული ღვთაებების გამოსახულებიანი სარიტუალო ნივთების ადგილსამყოფელი, რომლებშიც განსახიერებული იყო თვით კერის სული და მასთან შერწყმული ღვთაებები. ეს იყო არქაული საკურთხეველი ანუ ის ადგილი სადაც კერისთვის განკუთვნილი ყველა საკულტო ნივთი ინახებოდა.

ი. სურგულაძის თქმით, „კერას უკავშირდება ყველა რიტუალი, რომელიც სახლში ტარდება, საერთო იქნებოდა ეს თუ ცალ-ცალკე ქალების ან კაცების ჯგუფისა; იგი იყო ძირითადი ორიენტირი სახლს შიდა სივრცის სქესობრივ-საკობრივი დანაწილებისას. კერასთან ტარდებოდა საქორწილო ინკორპორაციისა და ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული წესები, რიგდებოდნენ მოსისხლეები. კერა იყო ოჯახის მთლიანობისა და კეთილდღეობის გამოსატყულება. მისი შეურაცხყოფაც უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავტორისავე აზრით, კერა წარმოგვიდგება ისეთ ობიექტად, რომელსაც შენარჩუნებული აქვს კოსმოსის ორგანიზაციის უძველესი ნიშნები, რაც განსაკუთრებული შინაარსით ტვირთავს კერის კომპლექსში შემავალ ინვენტარს და ამ ინვენტარით გამოსატყულ სიმბოლიკას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კერა საცხოვრებლის უძველესი ელემენტია, რომ საცხოვრებლის წარმოშობა-ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცეცხლის დაცვის აუცილებლობამ, მაშინ ყოველივე ზემოთქმულს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა

¹ მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ. 1982, გვ. 93-94.

² გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 62.

მიექცეს¹. ავტორისავე დაკვირვებით, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, სადაც კერა კედელთან იყო მოწყობილი, ახლა იგი ცალკეული სახლის საკულტო ცენტრია, თუმცა, განაგრძობს ავტორი, მტკვარ-არაქსისეულ კულტურაში არსებობს დამოუკიდებელი სამლოცველო და სამსხვერპლო მოედნები, რომლებიც დასახლებათა გარეთ მთის კალთებზე ან თხემზე იყო მოწყობილი, მაგრამ მიუხედავად ასეთი ფორმების არსებობისა, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი სამლოცველო ნაგებობა და საკულტო ობიექტები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესის საწყის გზას გადიან და ძირითადი საკულტო და სოციალური დატვირთვა ისევ კერაზე, მის გარშემო არსებულ სივრცეზე და საერთოდ ინტერიერზე მოდის, რომლის ორგანიზაციის პრინციპი ასახავს, როგორც მითორელიგიურ, ისე კოსმოგონიურ წარმოდგენათა ძირითად სქემას².

ადრესამიწათმოქმედო დასახლებებში, კერის დანიშნულებას და მის ადგილს სამყაროში საკმაოდ რეალური ახსნა მოუძებნა მ. ხიდაშელმა. ავტორის თქმით, „ადრესამიწათმოქმედო ტომების დასახლება, როგორც საცხოვრისი იმეორებდა კოსმოსის სტრუქტურას, სრალიად გადმოგვცემდა სამყაროს სურათს. ამავე დროს იგი უნდა ყოფილიყო სამყაროს არა სტატიკური, არამედ დინამიკური ხატი, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელ სამოსახლოში, ისევე, როგორც საცხოვრისში აუცილებლად უნდა არსებულიყო სამყაროს ცენტრი, სადაც განხორციელდებოდა სიკვდილთან შეხების, საკრალურთან ურთიერთობის, სამყაროს შექმნის შესაძლებლობა. აუცილებლად უნდა გამოყოფილიყო ის ცენტრალური ადგილი, სადაც რიტუალის საშუალებით მოხდებოდა კოსმოგონიის აქტი. მარადიულ გამეორებას ასეთი საკრალური ადგილისა დასახლებაში ტაძარი ან საკურთხეველი წარმოადგენდა. ავტორისავე აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლოებში კულტის ადგილის საგანგებოდ გამოყოფის ტენდენცია უკვე აშკარად შეინიშნება. საკულტო შენობის არსებობას ვარაუდობენ ქვაცხელის, გუდაბერტყასა და ამირანის გორის ნამოსახლარებზე, მაგრამ აქ ეს პროცესები მხოლოდ იწყებოდა, რის გამოც ტაძრის ფუნქციას საცხოვრისი ითვისებდა, რადგან იგი ყოველთვის შინაურ სამლოცველოსაც წარმოადგენდა და გარკვეულწილად ტაძრის ფუნქციასაც ასრულებდა. მსოფლიო მითოლოგიურ სისტემებში, სამყაროს ცენტრს საცხოვრისში კერა განასახიერებდა. კერა მთელი სამყაროსა და ასევე ოჯახის მფარველი იყო. სწორედ კერიდან ამოიზრდებოდა ის კოსმოსური ღერძი, რომელიც მარად ახალ სამყაროს და ამავე დროს კულტურის დამკვიდრებას აღნიშნავდა. უნდა ითქვას, რომ, განაგრძობს ავტორი, მითოსური ცნობიერების ეს უმთავრესი იდეა მტკვარ-არაქსის საცხოვრებელში სრულფასოვნად არის გამოვლენილი. საცხოვრებლის უმნიშვნელოვანესი ადგილი იყო კერა, დედაბოძი და კერის მახლობლად დამოწმებული შემადლება. კერის საკრალურ ხასიათს ადასტურებს კერის მოხატვაც ფიგურებით. კერის ახლოს ყოფისათვის გამოსდევარი ნივთების: ნაცრით ნაძერწი რიტუალური ჭურჭლის, შეწირული საგნების, პატარა გადასატანი კერების, თიხის ქანდაკებების მოთავსება (გუდაბერტყა, ამირანის გორა, ხიზანანთ გორა, ქვაცხელები). ამგვარად, აღნიშნავს მ. ხიდაშელი, მტკვარ-არაქსის ტომების საცხოვრისში მთავარი ადგილი კერას განეკუთვნებოდა, მასთან იყო დაკავშირებული სარიტუალო საგნების ძირითადი რაოდენობაც. ავტორისავე თქმით,

¹ ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ. 1993, გვ. 35.

² ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ. 2003, გვ. 192.

ნიშანდობლივია, რომ ზოგჯერ, კერა ჯერის მოყვანილობისა იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კერაში განმეორებული იყო სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხატი. კერას ქალური ბუნება ჰქონდა. იგი მთელ სამყაროს განასახიერებდა – დედამიწას, ქვესკნელს და ზეცას. კერაში იყო განსახიერებული მითოსური ცნობიერების ერთ-ერთი უმთავრესი შეხედულება, რომლის თანახმად მზის თავდაპირველ სამყოფელს „ქვესკნელი“ წარმოადგენდა. მზე ყოველთვის გაივლიდა თავის გზას ოკეანის წიაღიდან ზეცაზე. ე. ი. ყოველდღე იმეორებდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის აქტს¹. მ. ხიდაშელს, ის ფაქტი, რომ კერის კულტთან უპირველესად და ძლიერად სწორედ ქალღვთაება იყო დაკავშირებული, აფიქრებინებს, რომ კერის კულტის არსებობა სავარაუდებელია ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში, ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ შულავერში გათხრილ თითოეულ სამოსახლოზე ორ-ორი კერის არსებობაა დადასტურებული. ერთი ოთახის გარეთ იყო მოწყობილი, მეორე ოთახის შიგნით, ეს კერა ცეცხლის შესანახად გამოიყენებოდა. ავტორისავე აზრით, ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო კულტის ადგილი. ამ ხანებში თავყვანს სცემდნენ ნაყოფიერების ღვთაებას, რომელიც ქალის სახით წარმოგვიდგებოდა. ამის ყველაზე უკეთესი დადასტურებაა ქალის ქანდაკებათა დიდი რაოდენობა².

კერის კულტთან დაკავშირებულ, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალურ ნივთს წარმოადგენს ე. წ. კერის ზესადგარები, რომლებიც, როგორც აღნიშნულია, გვხვდება რამოდენიმე ფორმის: ე. წ. რქიანი, ნალისებული, ზომორფული, კოჭისებული (სოლისებური) და სხვა. მათ დანიშნულებაზე არ არის ერთიანი აზრი; ზოგი ფიქრობს, რომ ზესადგარები სამეურნეო დანიშნულების იყო, ზოგი კი მათ საკულტო ნივთებად მიიჩნევს. ერთ-ერთი უადრესი და ფართოდ გავრცელებული ტიპის ზესადგარია ე. წ. რქიანი სადგარები. ზესადგარის ეს ტიპი წარმოადგენს აგურისმაგვარ, მოგრძო, ბრტყელ ნივთს, რომლის ერთი ბოლო მომრგვალებულია, მეორე კი მთავრდება რქისებური შვერილებით, მომრგვალებულ ბოლოსთან მას წრიული ღრმული აქვს. რქიანი ზესადგარები დამოწმებულია ხიზანაანთ გორის ნამოსახლარზე, ზემო ავჭალაში, ნახიჭევარის ქიულ-თეფეზე, შენგავითში და სხვ.³

ზოგადად სხვადასხვა სახეობის კერის ზესადგარების გავრცელების არეალი ვრცელია (ჩრდილო კავკასია, პალესტინა, დასავლეთ ანატოლია, აღმოსავლეთი ირანი), რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქრონოლოგიურად ის ასეა გავრცელებული – IV ათასწლეულის მეორე ნახევარი – ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა IV-III ათასწლეულების მიჯნა. სირია, პალესტინა, ანატოლიაში ასეთი პირველი ტიპის გვხვდება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში, ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე⁴. ნ. შანშიაშვილის აღნიშვნით, წერილობითი წყაროებით, კერის ზედსადგარებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხურიტულ კულტურაში, რომელსაც Hubrushhi ეწოდებოდა; ასევე ის ცნობილია ხეთური ტექსტებიდან; ხეთურ რიტუალში კერას მსხვერპლიც ეწირებოდა⁵.

¹ მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ. 2001, გვ. 67-72.

² მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ. 1982, გვ. 104.

³ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 166.

⁴ Н. Шаншиашвили, Происхождение и функции очажных подставок куро-Аракской культуры, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 58.

⁵ Н. Шаншиашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

ავტორის აზრით, კავკასიურ-ანატოლიურ-ხმელთაშუაზღვისპირულ არეალში კერის შესადგარების ფართოდ გავრცელება, ხეთური და ხურიტული საკულტო პრაქტიკას ეკუთვნის¹.

ვფიქრობთ, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება მეტ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია ხურიტებთან ამ საკულტო საგნის მიკუთვნება, რამდენადაც, ვფიქრობთ, ხურიტები III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე ამ ტერიტორიაზე არ ჩანან და ხურიტებს ის სწორედ ადგილობრივი მტკვარ-არაქსელებისგან უნდა გადაეღოთ. ყველაზე მნიშვნელოვნად ანუ ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ე. წ. შვერილიანი ხარის ფორმით რქიანი შესადგარები, რომელშიც მტკვარ-არაქსის კულტურული ტრადიციების გაგრძელების გარკვეული საზი უნდა დავინახოთ შემდგომი ეპოქის ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენებში, კერძოდ კოლხურ კულტურაში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გ. ფხაკაძის აზრით, კერა და კერის შესადგარები მტკვარ-არაქსის მოსახლეობის რელიგიურ სიმბოლოს წარმოდგენდნენ და მათი გავრცელება კავკასიის ფარგლებს გარეთ მიუთითებს ამ კულტურის არა მარტო ურთიერთკავშირზე და გავლენაზე, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მტკვარ-არაქსის მოსახლეობის მიგრაციის მიმართულებაზე მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში².

სომხეთში ღჩაშენის მტკვარ-არაქსის კულტურაში აღმოჩენილი კერამიკული გრძელი ბრტყელი ძირის მქონე შესადგარების მსგავსი აღმოჩენილია სიალკი-I-სა და უბეიდის კულტურაში. ასევე მათი ანალოგიურია პალესტინის გასულის კულტურაში (ძვ. წ. IV ათას.). სომხეთის შესადგარების ანალოგიები ასევე გვხვდება საბერძნეთის გვიანდელი ნეოლითის (ძვ. წ. IV-III ათას.) კულტურაში³. მსგავსი ნივთი ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსის და თრიალეთ-ვანაძორის ძეგლებზე არ აღმოჩენილა – (ერთადერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა კარაკიოპაკ-თეფეში)⁴. ღჩაშენის მსგავსი საყრდენები აღმოჩენილია ანტიკურ ნუზაში (ძვ. წ. XVI ს-ის მეორე ნახევარი) და კირბეტ-კერაკის კულტურაში (პალესტინა). ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ადრებრინჯაოს სამარხებში და გვიანხეთური და ახალასურული პერიოდის შუამდინარეთში. დასავლეთ ევროპაში ის მხოლოდ ტრიპოლის კულტურაშია ცნობილი. გამოთქმული მოსაზრებით, თავდაპირველად მსგავსი ტიპის ნივთი ჩნდება ძვ. წ. IV-III ათასწლეულში მახლობელ აღმოსავლეთსა და ანატოლიაში. ყველაზე ადრეული ამ ტიპის შესადგარები, როგორც საყრდენი ჭურჭლებისათვის, ცნობილია ირანში იანიკ-თეფეს ხალკოლითურ ფენაში. ისინი ინდოეთში აღმოჩენილია ნევასას ტიპის კულტურაში, რომელიც ინდიელ მეცნიერთა აზრით, ძვ. წ. V-III ათასწლეულის წინა აზიის კულტურებს შეესაბამება⁵.

მტკვარ-არაქსული კერის შესადგარების რელიგიურ-რიტუალურ სახეზე, განსაკუთრებით, ე. წ. რქიან შესადგარებზე, სათანადო ყურადღება გაამახვილა ი. კიკვიძემ

¹ Н. Шаншиашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

² Г.Г.Пхакадзе, Культурные предметы Куро-Аракской культуры, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 62.

³ Л. А. Петросян, Древнейшие подставки из Лчашена, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 77.

⁴ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78

⁵ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

და აღნიშნა, რომ ისინი „მკვლევართა უმეტესობის აზრით, ხარის კულტთან დაკავშირებული ნივთია და რქისებრი შვერილებით თვით გამოხატავს ხარს. ხარის კულტს დაუკავშირა რქიანი სადგარი ბ. კუფტინმა. მას პარალელად კრეტა-მიკენში გავრცელებული სამსხვერპლოები მოაქვს. თუმცა უფრო ადრე რქიან სამსხვერპლოებს იგი „დიდი დედის“ კულტს უკავშირებდა, ხედავდა რა რქისებურ შვერილებში იდაყვში მოხრილ, მაღლა აპერობილ ხელებს“. რქიანი სადგარები დადასტურებული არის გვიანი ხანის ძეგლებზეც. კერძოდ, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოს გათხრების დროს, ნაცარგორაზე, ერთ-ერთ სამლოცველო სენაკში აღმოჩენილია რქებიანი საკურთხეველი ნალისებული კერითა და რქებიანი შესადგარებით. აქვე დადასტურებული იყო ხარის ტერაკოტული ფიგურები¹.

როგორც აღნიშნულია, კერასთან ფუნქციონალურად არის დაკავშირებული სადგარების მეორე ტიპი, რომელსაც „ნალისებურ შესადგარებს“ უწოდებენ. ასეთი სადგარები საქართველოში მხოლოდ 5 ძეგლზეა აღმოჩენილი: ხიზანანთგორაზე ოზნის ნამოსახლარზე, ზღუდრის გვერდაზე, ახალციხის რაიონში, სოფ. ზველთან და ამირანის გორაზე.

განსაკუთრებით მრავლადაა დამოწმებული ნალისებური შესადგარები არაქსის აუზში, გარნი, შენგავითი, არმავირ-ბლური, ნახიჭევანის ქაულ-თეფე და სხვა. გამოთქმული მოსაზრებით, ნალისებური სადგარები, ისევე როგორც რქიანი შესადგარები, კერასთან იყვნენ დაკავშირებული და რიტუალში გარკვეული ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. ვხვდებით როგორც ნალისებურ კერებს, ასევე სამსხვერპლოებს, მათ უკავშირდება რქიანი სადგარიც და, შეიძლება ამიტომ ნალისებური სადგარებიც ხარის კულტთან იყვნენ დაკავშირებულნი. ი. კიკვიძის აზრით, არ არის გამორიცხული ნალისებული შესადგარის პრაქტიკული, სამეურნეო მნიშვნელობაც, მაგრამ თვით კერები, რომელთა შესადგარებს ისინი წარმოადგენდნენ, უფრო საკულტო დანიშნულებისაა, რაც ნალისებური სადგარების საკულტო ხასიათს განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ავტორისავე აღნიშვნით, ნალისებური შესადგარების ფუნქციონალური დამოკიდებულება კერასთან, კარგად ჩანს ამირანის გორაზე აღმოჩენილი სადგარებით².

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ი. კიკვიძის მოსაზრება ზოგიერთი შესადგარების საკულტოსთან ერთად, სამეურნეო პრაქტიკული დანიშნულების ქონაზე. გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, ტერიტორიულად დაშორებულ უძველეს ადრესამიწათმოქმედო კულტურებში (უბეიდის, ინდოეთის, ჩრდილო პალესტინის, გასუსის კულტურის და სხვ.) შესაძლოა მათი აღმოჩენა მიუთითებდეს არა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა იდენტობაზე და რაიმე ეთნიკურ ერთობაზე თუ მიგრაციებზე, არამედ მტკვარ-არაქსული შესადგარების როგორც სავაჭრო საგნის დანიშნულებაზე. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია ასევე მოგვიანებით საქართველოს არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს სარტყელები, რომელსაც პარალელები თითქმის მთელს მაშინდელ სამყაროში ეძებნება.

ტ. ჩუბინიშვილის აღნიშვნით, ამირანის გორაზე მრავლად არის აღმოჩენილი თიხის ნალისებური სადგარები. ასეთი შესადგარები ცნობილია არაქსის ხეობიდან. აღნიშნული შესადგარების გარდა ამირანის გორაზე თანხლებ მასალასთან ერთად აღმოჩენილია იმავე ტიპის ორი შესადგარის ფრაგმენტები. შემორჩენილია მათი ამაღლებული, ცენტრალური

¹ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

² ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168

ნაწილი, რომელსაც ზესადგარის საერთო ასახულობაში მთავარი ადგილი უჭირავს. მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი საგანგებოდ დამუშავებული ზედაპირის მქონე ზესადგარების ეს ცენტრალური ნაწილი, ავტორის აზრით, ადამიანის სახეს გადმოგვცემს. მისივე აზრით, ნალისებური ზესადგარების ამ ჯგუფს, რომლებიც ანთროპომორფულ ქანდაკებას წარმოადგენენ უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე უსახო, სქემატურად გამოყოფილი ნაწილის მქონე ისეთი ზესადგარებიც, რომელთაც ცენტრალურ ადგილზე მკვეთრად გამოყოფილი ოდნავ ზევით აწეული შვერილი აქვს. ასეთივე შვერილებია შემორჩენილი ზემოსხენებული ორ ზესადგარზეც, რომლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ აქ უთუოდ მამაკაცის ასო – ფალოსია გამოძერწილი. ავტორისავე თქმით, თუ აქ ფალოსიანი მამაკაცის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, საფიქრებელია, რომ რკალურად გაშლილი ნაწილები ასახიერებენ არა ქალღმერთის მკლავებს, როგორც ამას ბ. კუფტინი ვარაუდობდა, არამედ ფეხებგაშლილად მდგომარე მამაკაცის ფიგურასაც, რომელსაც ტანი არაპროპორციულად აქვს შემცირებული. ავტორისავე აზრით, ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა შინგავითის ორი ზესადგარიც, რომლებსაც მეტად მაღლა აქვთ მიძერწილი ერთად ერთი შვერილი – ფალოსი. ავტორისავე აზრით, ამ ზესადგარებს არა მარტო პრაქტიკული დანიშნულება, არამედ კერის კულტთან დაკავშირებული ფალიკური მნიშვნელობაც ექნებოდათ, მაგრამ არა ქალის არამედ მამაკაცის ფეტიშად გადაქცევასთან დაკავშირებით. მისივე აღნიშვნით, მამაკაცის და ფალოსის კულტის არსებობაზე აღებულ ხანაში ჩვენ სხვა ტერიტორიის ძეგლებიც მოგვითხრობენ. ამ სახით უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ქვაცხელებზე აღმოჩენილი რიყის ქვები, რომლებსაც ფალოსის მოყვანილობა აქვთ. მამაკაცის ქანდაკებების ფართო გავრცელებაზე მიგვითითებს არა მარტო ზემოთ განხილული ძეგლები, არამედ ნალისებური მოყვანილობის იტიფალური სადგარების მთელი სერიაც, რომლებიც ანატოლიასა, ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინის ტერიტორიაზე ჩნდება. აქ აღმოჩენილი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის თანადროული, ან შესაძლოა, უფრო გვიანდელი თიხის ზესადგარების ერთი ჯგუფი, როგორც სიდიდით ისე გარეგნული ნიშნებით, ყველაზე უფრო ემსგავსება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანალოგიურ თიხის ნაკეთობებს. ავტორისავე მასალებით, კერასთან დაკავშირებულ თიხის ნაკეთობებს შორის აღსანიშნავია ამირანის გორის ნაგებობის ზედა კერაში აღმოჩენილი ცხოველის პატარა ქანდაკებაც. აქაც გამოსახულია მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი, ეგებ ხარი, რომლის თავის სქემატური გამოსახულებაც ხშირად სადგარის დანიშნულებას ასრულებს. ტ. ჩუბინაშვილს, ამირანის გორის მწვერვალზე აღმოჩენილი ცხოველის (ხარის?) ქანდაკება მის ზესადგარობას აფიქრებინებს. ავტორისავე აზრით, მისი ტანი გვაგონებს ქვაცხელების კერებში აღმოჩენილ თიხის პატარა სადგარებს, ხოლო აწეული თავი შენგავითის ტიპის კერებზე გამოყვანილ შვერილებს, რომლებიც ზოგჯერ ხარისა თუ ცხვრის რქებდახვეულ თავებს ანსახიერებენ. ავტორისავე აზრით, ამირანის გორის მოსახლეობაშიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელი სხვა ტომების მსგავსად ხარის და კერის კულტი შერწყმული ყოფილა. იმ დროის რელიგიურ წარმოდგენებში ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ მიჩნეული იყო კერასთან დაკავშირებული მამაკაცი, ხარი და ეგებ დაკრძალვის რიტუალშიც წარმოდგენილი წერილფეხა ცხოველი (ცხვარი, თხა), რომელთა მომრავლებასაც ამ დროის

ოსტეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მისივე თქმით, ამ უკანასკნელი მოსაზრებების დამამტკიცებელია აგრეთვე ამირანის გორაზე აღმოჩენილი ცხვრის პატარა ქანდაკებები¹.

გ. გობეჯიშვილის აზრით, რქებიანი ზესადგარი ნალისებური კერის ნაწილია, რომელშიც წმინდა ცეცხლი ინთებოდა. ამ საგნის კერასთან დაკავშირება სავსებით ბუნებრივია. აქ მთავარი ის არის, რომ კერასაც და ზესადგარსაც სარიტუალო მნიშვნელობა აქვს და დაკავშირებულია ხარის კულტთან².

მამაკაცისა და ხარის კავშირი იდეოლოგიურ ასპექტში ასახულია დაკრძალვის წესშიც, რამდენადაც ხარი დაკრძალვის დროს როგორც ჩანს მხოლოდ მამაკაცს (ამირანის გორა, სამშვილდე) ეწირებოდა³.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დასაწყისის ქიულ-თეფვის კერის ზედსადგარებს შორის საყურადღებოა ხარის რქების მსგავსი ზესადგარები, რომელიც შედარებულია კრეტის საკურთხეველის ზედსადგარებთან. ამასთან რქებს შორის მოთავსებულია რომელიღაც ცხოველის შედრმავეებით მონიშნული თვალები და პირი. ამის გარდა ქიულ-თეფეში ნაპოვნი იქნა ორი ხარის, ორი ცხვრის, ძაღლის და ფრინველის ქანდაკება. ხარის ერთ-ერთ ფიგურაზე გამორჩეულად ჩანს თვალი, რომელიც საღებავითაა დატანებული და წითელი თმები წინა ფეხებზე, ხოლო ფიგურაზე შედრმავეების გზით გამოსახულია ვარსკვლავი⁴.

ი. კიკვიძის აზრით, ზომორფული ზესადგარებიც ხარს გამოსახავდნენ, ავტორისავე თქმით, მტკვარ-არაქსის კულტურის უნიკალური, ანთროპომორფული ზესადგარები და მათი კერასთან კავშირი მოწმობაა იმისა, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ისეთივე რიტუალს, როგორც ბოსლობაა. ავტორი აქ ეყრდნობა ვ. ბარდაველიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოდესღაც კავკასიურ ენებში ბოსელი აღნიშნავდა ხარს⁵.

ი. კიკვიძისავე აღნიშვნით, ხარი რომ საკულტო ცხოველია, კარგად ჩანს კვიპროსზე აღმოჩენილ მიკენურ ვაზაზე გამოსახული ხარის თავებიდანაც, რომელთა რქებს შუა აღმართულია ორმაგი ცული. ხარის კულტი მიკენურ სამყაროში ძალიან გავრცელებულია და ავტორისავე აზრით, შეიძლება პარალელად არც გამოდგეს, მაგრამ ნაცარგორაზე, სამლოცველო სენაკში, სამსხვერპლობთან ხარის ფიგურების აღმოჩენა თავისთავად ჩვენშიც ხარის კულტის გავრცელებაზე მიუთითებს. მისივე აზრით, ხარი ძველ რელიგიებში მთვარის ღვთაებას განასახიერებს. ხარის რქების მსგავსებამ ნახევარმთვარესთან, მისმა სიძლიერემ მწარმოებლის დიდმა უნარმა, როგორც ჩანს, განაპირობა მისი მთვარის ღვთაებათან დაკავშირება. ხიზანანთ გორის ნამოსახლარზე ერთ-ერთ ორმოში დადასტურებულ კერაზე, რომელსაც ქიმების მხოლოდ ჩანასახი აქვს განასახიერებს მზეს. კერის ქიმები რომელიც შიდა კედელზე ღერძითაა დაკავშირებული, ორი ახალი მთვარეა გამოსახული. ავტორისავე აზრით, ამით ხაზი აქვს გასმული იმ

¹ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963, გვ. 65-69.

² გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, მიმოხილველი, ტ. II, თბ. 1952, გვ. 250-252.

³ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 69.

⁴ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949, გვ. 35.

⁵ თვით ვ. ბარდაველიძე ამ შემთხვევაში ეყრდნობა ი. ჭონიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბოსელი თავდაპირველად აღნიშნავდა ხარს და ძროხას, ხოლო შემდგომ ერთი მხრივ მსხვილფეხა პირუტყვისათვის განკუთვნილ ნაგებობას, მეორე მხრივ კი მესაქონლეობის ღვთაებას. ავტორი მას უდარებს ასევე ვაცი//ვაჩი//ოჩი//ბოჩი-ს; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб. 1957, გვ. 190-190.

ფაქტს, რომ კერამ მთვარის კულტი შეირქვა შევრილების სახით და იგი ორივე დიდი ასტრალური ღვთაების ხატად იქცა. ავტორი რქისებურ სადგარში ხარის – მთვარის კულტს ხედავს. მისივე აზრით, მთვარეს განასახიერებს ასევე ზოომორფული იტიფალური ზესადგარები ხიზანანთ გორის ნამოსახლარებზე. იგი გამოძერწილია ანთროპომორფული ფიგურებისათვის დამახასიათებელი მანერით – მდგომარე პოზაში, მუცელი გამობერილი აქვს, მკერდი ჩავარდნილი, მარცხენა მკლავი, იდაყვში მოხრილია და წინ გაშვებული, მარჯვენა მკლავი აკლია. ფეხები ოდნავ მორკალულია ისე, რომ ფიგურის ქვედა ნაწილი ნალისებური სადგრის იმიტაციას მოგვაგონებს. ფეხებს შუა მოთავსებული აქვს ფალოსი. სახე ოდნავ წაკვეთილი, ბრტყელი და წრიულია. ზედ ამოტვიფრულია თვალები. ცხვირი რელიეფური აქვს. ავტორისავე თქმით, საერთოდ ფიგურის სახე ძალიან წააგავს მთვარეს. ეს ფიგურა, მისივე თქმით, პირდაპირ უთითებს ნალისებური სადგრისა და მთვარის კავშირზე. მისივე დასკვნებით, კარგად ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე ნაყოფიერების კულტი გამოსახება ასტრალურ ღვთაებათა სქესობრივი კავშირით, უფრო სწორად, ხელოვნურად იწვევენ მას ოჯახის წევრთა, საქონლის გამრავლებისათვის და მოსავლის ხვავიანობისათვის. ღვთაებათა ამ კავშირს გამოხატავს კერები და რქიანი და ნალისებური სადგარები, უფრო გვიან შევრილიანი კერა, რომელიც სიმბოლური გამოსახულებაა როგორც მზის ღვთაების, ასევე მთვარის, მაგრამ სექსუალური აქტის ასე აქცენტირებას არ შეიძლება თვით სასქესო ორგანოების კულტი არ წამოეწია წინ, როგორც ადრე მზის სიმბოლური ნიშნის გამოსახულებაში ხაზი აქვს გასმული მის მსგავსებას ქალის საშოსთან, ახლა ნაყოფიერების ატრიბუტად ფალოსი იქცევა, იგი და მისი მსგავსი საგნები კულტის ობიექტი ხდება. ამიტომ მრავლდება საქართველოს არქეოლოგიაში იტიფალური საგნები, ხოლო ბევრ ქართულ ხალხურ დღესასწაულებში ფალოსი რიტუალის მთავარი კომპონენტი არის (მურყვამობა, ბერიკაობა და სხვ.)¹.

მ. ხიდაშელის კვლევით კერის კულტთან უპირველესად და ძლიერად სწორედ ქალღვთაება იყო დაკავშირებული. ამის ყველაზე უკეთესი დადასტურებაა ქალის ქანდაკებათა დიდი რაოდენობა. ავტორი მტკვარ-არაქსის რელიგიურ პანთეონზე ი. კიკვიძისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობს. მისივე თქმით, განვითარებული ასტრალური პანთეონის არსებობა გვაროვნული საზოგადოების ამ ეტაპზე გამორიცხულია. ორი მთავარი მნათობის ღვთაებათა რანგში აყვანა, წინა პლანზე წამოწევა, მათ შორის არსებული გარკვეული იერარქია რელიგიური შეხედულებების განვითარების უფრო გვიანდელ საფეხურზე წარმოიშობა. ავტორისავე ვარაუდით, ანთროპომორფული ღვთაებები გვაროვნული საზოგადოების ამ საფეხურზე ამა თუ იმ დარგის ან მოვლენის მფარველებისა და ღვთაებების სახით არსებობს. როდესაც საზოგადოებაში იქმნება ყველა პირობა მამაკაცური ძალის გაღმერთებისათვის, მიმდინარეობს ქალღვთაებათა დაშლის, გაორების პროცესი, ქალღვთაების გვერდით ჩნდება მისი მამაკაცური კორელატი, რომელიც რიგ შემთხვევაში ითავისებს ქალღვთაების ფუნქციებს, ჩრდილავს მას. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მოხდა ასტრალური რელიგიის სრული გამარჯვება, ქალღვთაების გვერდით წარმოშობილი მამაკაცი ღვთაება ქალღვთაებასთან ერთად წარმოადგენს ადამიანთა, ცხოველთა და მთელი სამყაროს შემქმნელს. პანთეონის

¹ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171-172.

ასტრალიზაციის შემდეგ სწორედ ეს ღვთაება უთმობს ადგილს ზეცის უზენაეს გამგებელს. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ყველა ხალხის რელიგიურ შეხედულებებში გარკვეულ საფეხურზე შემუშავებულია წარმოდგენა ღვთაებათა წყვილების შესახებ. ამ წარმოდგენებში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ზეცასა და დედამიწას. ზეცას განასახიერებს კაცი ღვთაება, ხოლო დედამიწას – ქალური საწყისი. ავტორისავე აზრით, ღვთაებათა ამგვარი წყვილების არსებობა მტკვარ-არაქსის კულტურაშიც არის საგარაუდებელი. კერა და ზესადგარები, როგორც ჩანს, სწორედ ამგვარ ღვთაებრივ წყვილს წარმოადგენენ. კერა ქალღვთაებას განასახიერებს. მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ასტრალური პანთეონის ძირითად წევრს, მზეს, არ უნდა ასახავდეს. ის განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგას და გენეტიკურად დიდი დედის ყოვლისმომცველ კულტთან არის დაკავშირებული, თავისი ძირითადი ფუნქციები მისგან აქვს მიღებული მემკვიდრეობით. ეს ქალღვთაება დედამიწასაც განასახიერებს და ამავე დროს მზის კულტსაც მოიცავს. აქ გამოსატყუი უნდა იყოს უძველესი შეხედულება მზისა და დედამიწის კავშირის შესახებ. როგორც ფიქრობენ, განაგრძობს ავტორი, უძველეს საფეხურზე დედამიწის ქალღვთაება დაკავშირებული იყო მზესთან იმ გაგებით, რომ მზის თავდაპირველ სამყოფელს ქვესკნელი წარმოადგენდა. დილით, როდესაც მზე ქვესკნელიდან, ე. ი. დედამიწის წიაღიდან, ამოვიდოდა, იგი ზეცაზე გამოჩნდებოდა, როგორც დედამიწის და წყლების მზიური ღვთაება. დედამიწის ქალღვთაების წყვილს შეადგენს ზეცის განმგებელი, რომელსაც განასახიერებს კერის გამანაყოფიერებელი მამაკაცი. მის ძირითად ემბლემებს წარმოადგენენ კერის ზესადგარები, რომლებიც, ავტორისავე აზრით, ყველაზე მეტად დაკავშირებული ჩანს ხარსა და მთვარესთან. ზეცის მიერ წვიმის საშუალებით დედამიწის ღვთაებრივი განაყოფიერების შემდეგ წარმოიშობა ახალი ღვთაება-მცენარეულობა. მცენარეულობის ვეგეტატიურ ღვთაებას განასახიერებდა სიცოცხლის ხე, ანუ ჩიჩილაკი, რომელიც როგორც ფიქრობენ, მაგრდებოდა რქიან სადგრებსა და კერებში. იგი მოკვდავსა და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებათა რიგს განეკუთვნება მასთან დაკავშირებულ რელიგიურ მისტერიებს უდიდესი ადგილი ეჭირათ მთელს ძველ მსოფლიოში. მ. ხიდაშელს მიაჩნია, რომ ირმის განსაკუთრებით დიდ როლზე მტკვარ-არაქსის ტომთა იდეოლოგიურ შეხედულებებში მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი გამოსახულება უაღრესად პოპულარულია ამ ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ირემი კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ცხოველთა მფარველი ქალღვთაების სახელთანაა დაკავშირებული. მტკვარ-არაქსის კულტურაში ირმის კულტის აშკარა სიმძლავრე გვაფიქრებინებს, რომ ამ ტომთა რელიგიურ პანთეონში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა ცხოველთა მფარველ ქალღვთაებას. მითუმეტეს, რომ ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ქალღვთაებისა და მასთან დაკავშირებული რელიგიურ-მითოლოგიური კომპლექსის წარმოშობა სწორედ ადრესამიწათმოქმედო კულტურების წიაღშია საგარაუდებელი.

ავტორი მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა რელიგიურ პანთეონში ოთხ ძირითად ღვთაებას გამოყოფს:

1. დედამიწის, მზისა და წყლების ქალღვთაება, რომელიც კერაშია განხორციელებული, რელიგიური პანთეონის ასტრალიზაციის შედეგად სწორედ ეს

ღვთაება უკავშირდება მზეს და ასტრალურ პანთეონში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს. ამიტომაც ამ ღვთაების ძირითადი სიმბოლოები შემდეგ მზეს გადაეცემა.

2. დედამიწის ქაღვთაების ღვთაებრივ წყვილს წარმოადგენს ზეცის მამაკაცი ღვთაება, რომელიც წვიმის საშუალებით ანაყოფიერებს დედამიწას, მას წარმოგვიდგენს კერის გამანაყოფიერებელი მამაკაცი ღვთაება, რომლის მთავარ ემბლემას კერის ზესადგარები წარმოადგენდნენ. ეს ზესადგარები ყველაზე მკვეთრად ვლინდებიან მთვარისა და ხარის კულტში. რელიგიური პანთეონის ასტრალიზაციის შედეგად სწორედ ეს ღვთაება უკავშირდება მთვარეს.

3. ზეცის მიერ დედამიწის განაყოფიერების შედეგად წარმოიშობა მცენარეულობა. ესაა ახალი ღვთაება, ღვთაება შვილი. ამ ახალ ღვთაებას განასახიერებს სიცოცხლის ხე, რომელიც მაგრდებოდა ან რქიან სადგარებში, ან კერებში. სიცოცხლის ხის სიმბოლოა დედაბოძი.

4. ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაება, რომლის მთავარ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ ირემი, ჯიხვი, ფრინველი, გველი. რელიგიური პანთეონის ასტრალიზაციის შედეგად ეს ღვთაება ცისკრის ვარსკვლავს უკავშირდება. ამ ღვთაების ძირითადი ფუნქცია არის ცხოველთა და მონადირეთა გამრავლება და მფარველობა.

ავტორისავე მოსაზრებით, მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში სავსებით ჩამოყალიბებულია ნაყოფიერების ქაღვთაების ორი ტიპი: ერთი დედამიწის, წყლის და მზის კულტებს მოიცავს, ხოლო მეორე ცხოველთა სამყაროს მფარველობს. ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების ყველა ეს სიმბოლო წარმოადგენს ბრინჯაოს გრავირებული სარტყელებისა და კოლხურ-ყობანური ცულების მხატვრული დეკორის ყველაზე პოპულარულ სახეებს. იგივე ცხოველები არიან ასახული ამავე პერიოდის ბრინჯაოს მრავალრიცხოვან ქანდაკებებში¹.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებით გამოჩნდა, მტკვარ-არაქსის კულტურის მეტარებელ ტომებს საკმაოდ ჩამოყალიბებული რელიგიური, თუ შეიძლება ასე დაერქვას, „პანთეონი“ გააჩნდა, რაც შესაბამისობაშია მათ ძირითად საქმიანობასთან – მიწათმოქმედებასთან. რიტუალის შესრულების ძირითადი ადგილი კერაა და მასთან დაკავშირებული კერის ზესადგარები, რომელი უკანასკნელიც მტკვარ-არაქსის კულტურის მეტარებელ ტომთა შემდგომ ბედზე და მათი მიგრაციის ძირითად მიმართულებებზეც გვიქმნის წარმოდგენას. შემდგომ ეპოქებში ხარის კულტთან დაკავშირებული უამრავი მისტერიები და მითოლოგიური მოტივები ქართველური და იბერიული მოდემის ტომებს უკავშირდება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია შვერილიანი ხარის რქის ფორმის ზესადგარები, როგორც კულტის ობიექტი, რომელიც ცისა და დედამიწის შემაკავშირებელი ღერძია. ის უკავშირდება ფალოსის კულტს და ხარს, როგორც სიძლიერის და მზის ცხოველის, ნაყოფიერების მომნიჭებელი არსების სახით.

მტკვარ-არაქსის კულტურაში სხვადასხვა სახეობის კერის ზესადგარების არსებობა და ზოგჯერ მათი განსხვავებული ხასიათი არა თუ ეთნიკურ სიჭრელეზე, არამედ, ჩვენი აზრით, ამ კულტურის მეტარებელ ტომთა ტერიტორიულად ფართოდ განფენის გამო მათ

¹ მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ. 1989, გვ. 104-109.

იდეოლოგიურ ან რწმენა-წარმოდგენათა მრავალფეროვნების სახით ტომობრივ-ტოტემისტური დაყოფის მანქენებელია.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, რქიანი სადგარი, ხარის კულტთან დაკავშირებული ნივთია. აღნიშნულია, რომ ხარის თაყვანისცემა ტოტემისტური რწმენის ნაყოფია, მაგრამ ის ახალ საფუძველს იძენს. განსაკუთრებით ენეოლითიდან მოყოლებული მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, როდესაც ხარს იყენებენ როგორც გამწვევ ძალას მიწის დასამუშავებლად. შრომითი პროცესი, კერძოდ, ხვნა, უძველეს წარსულში გააზრებული იყო, როგორც რიტუალური მოქმედება, ამიტომ, ხარის სახე გაერთიანდა სათესების განვითარებასთან. ხარი გახდა ნაყოფიერების სიმბოლო, ბუნების მწარმოებლურ ძალთა განსახიერება. არ არის შემთხვევითი, რომ ღმერთები, რომლებიც იძლეოდნენ ნაყოფიერებას (ხევსი, დიონისე, მითრა და სხვა) მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ხართან. ხარი გამოდის როგორც ღვთაების განსახიერებად ან მისდამი მიძღვნილ უპირატეს სამსხვერპლო ცხოველად¹.

ჩათალ-ჰუიუქში, ზოგიერთ სახლში, რომელიც სამლოცველოდ ივარაუდება, საყურადღებოა ხარის თავების რელიეფური გამოსახულებები. აქ უპირატესია მიცვალებულის კულტი. გამოთქმული მოსაზრებით, ქალები და მამაკაცებიც გამოდიან, როგორც ურთიერთშემავსებელნი და შესაძლოა ნაწილობრივ კონფლიქტშიც მყოფნიც, რადგანაც ქალებთან დაკავშირებული ცხოველი არის მტაცებელი (ლეოპარდი) ხოლო მამაკაცებთან – დიადი, ძლიერი, მაგრამ არა მტაცებელი – ხარი. ხარი ჩათალ-ჰუიუქის რიტუალურ-მითოლოგიურ სახეში უმთავრეს როლს ასრულებს. ის იყო სოციალური ნიშანი და ამ სახით შეეძლო ფიგურირება ინიციაციის რიტუალებში². მაგრამ ეს ფუნქცია არ იყო ერთადერთი. სახლებში ხარის თავების მოთავსება, გამოთქმული მოსაზრებით, მიანიშნებს, რომ ის ემსახურებოდა მცველად და კეთილდღეობის მომტანად. იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს ირემს³.

ძვ. წ. აღ. VI ათასწლეულის კედლის მხატვრობაში გამოსახულია უზარმაზარი წითელი ხარი თავით მარჯვნივ – აღმოსავლეთით. ის გარშემორტყმულია ადამიანის ფიგურებით, რომელთა შორის არიან შეიარაღებულებიც. აქ ადამიანები ცეკვავენ ცხოველის ზურგზე და მის გარშემო. ამავე დროს ერთი ადამიანი გამოსახულია რქებს შორის. ამავე სახის სცენაა ირემთან დაკავშირებით. სამლოცველოს შესასვლელთან გამოსახულია ხარის რქები⁴.

არსებობს ვარაუდი, რომ შუმერებში და აქადელებში მიწისქვეშა სამყაროს მთასთან ასოცირებული იყო შემზარავი ხარი – ანდროკეფალი (შუამდინარეთში ღმერთების ადგილსამყოფელად ითვლებოდა მთები, ძველ ეგვიპტეში ჭაობი). ერთ-ერთ სამლოცველოში ჩრდილოეთ კედელზე ცენტრში მოთავსებულია ქალის სახის რელიეფური გამოსახულება გვერდებზე გაშლილი ხელებით და ფეხებით. ქალის მარჯვენა ხელის ზემოთ გამოსახულია რელიეფური ხარის თავი. მარცხენასთან ხარის რქა, გამოთქმული ვარაუდით, ეს არის ხარის თავის ფრაგმენტები, რომელიც მოთავსებულია კედლის ბოძზე, მარცხენა

¹ Л. А. Чибиров, Аграрные истоки культа животных у осетин, Советская этнография, М. 1983, №1, გვ. 97.

² Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 2990, გვ. 202.

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

⁴ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

პანელზე – ხუთი სხვადასხვა ზომის ხარის თავებია. დასავლეთ კედელზე ბოძის იქით არის ქალის სხვა ფიგურა. აქვე გამოსახულია ქალი, რომლის თავი და ტანი პროფილშია შემობრუნებული, ფეხები და ხელები გაშლილია ძლიერ მოძრაობაში, თმები მიფრინავენ მარჯვნივ. ის ცეკვავს ან მირბის. სავარაუდოდ გვერდებზე ხელებ და ფეხებგაშლილი ქალი წარმოდგენილია მშობიარობის მომენტში¹.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დასაწყისის ქიულ-თეფეს ხარის რქების მსგავსი ზესადგარები, რომელიც შედარებულია კრეტის საკურთხევის ზედსადგარებთან, რქებს შორის მოთავსებულია რომელიც ცხოველის შეღრმავებებით მონიშნული თვალები და პირი ამის გარდა ქიულ-თეფეში ნაპოვნი იქნა ორი ხარის ქანდაკება, ორი ცხვარის, ძაღლის და ფრინველის. ხარის ერთ-ერთ ფიგურაზე გამორჩეულად ჩანს თვალი, რომელიც საღებავითაა დატანებული და წითელი თმები წინა ფეხებზე, ხოლო ფიგურაზე შეღრმავების გზით გამოსახულია ვარსკვლავი².

ყორულ-ტაშის გორასამარხში (ყორღანული კულტურა) აღმოჩნდა ბრწყინვალე ვერცხლის თასი. ორად გაყოფილი თასის ზედაპირის ქვემო ნაწილში ხარი და ფურ-ირემი ზოზინ-ზოზინით მიდიოდნენ ერთმანეთის უკან, ხოლო ზედა ნაწილი საკულტო-რიტუალურ სცენას ჰქონდა დათმობილი. ოცდაორი მამაკაცი, ზეადმართული თასებით ხელში და სახეზე ნიღბაფარებული პროცესიად მიემართებოდნენ თასის შუაგულში ტახტზე მჯდომარე ღვთაებისაკენ. ნიღბაფარებულ ღვთაებას ხელში თასი ეპყრა. ხოლო მის ზურგს უკან გამოხატული იყო წმინდა ხე, ხე ცხოვრებისა. ჯ. ნადირაძის თქმით, აქ ყველაფერი ისე იყო წარმოდგენილი, ძველი აღმოსავლეთის მაღალგანვითარებულ ხელოვნებას და რელიგიას რომ შეეფერებოდა. ნიღბიან მამაკაცებს ეცვათ ხეთური ტანისამოსის მსგავსი ქულაჯები (ქიტონები) და ჭვინტიანი ფეხსაცმელები, ისევე, როგორც ხეთურ ხელოვნების ძეგლებზე იაზილი-ყაის კედელზე გამოხატულ მამაკაცებს. ნიღბები აუცილებელი ატრიბუტი იყო აღმოსავლეთსა და ეგვიპტურ რელიგიურ მიმართულებაში. ოზირისის დღესასწაულზე ქურუმები ცხოველის ნიღბებით გამოდიოდნენ. იგი ასევე აუცილებელი ატრიბუტი იყო შუმერული ხანის ურის დინასტიის მეფეთა ქურუმებისათვის³.

ბ. პიოტროვსკიც ამ თასს და საერთოდ თრიალეთის კულტურას ხეთებთან აკავშირებს, თუმცა უშუალოდ მისი ხეთურიდან მომდინარეობის საზღვარს შეცდომად მიიჩნევს. ავტორის აზრით, ეს მხარე ხეთურ წყაროებში მოხსენიებული „ხაიასის ქვეყანა“, რომელსაც უძველესი თვითმყოფადი კულტურა გააჩნდა, ის ხეთების დაცემის შემდგომ ასურეთისა და ურარტუს ბატონობის დროს იწოდებოდა დაიანად (ასურულად) და დაიუხად (ურარტულად)⁴.

დიდომსა და ნარეკავში თიხის ორ ბორბალს შორის თავის ქალა იდო. მარტყოფის ბედენურ ყორღანში ჯვარედინად დაწყობილი ოთხი ხარის ჩონჩხი აღმოჩნდა. ასევე ოთხი ხარის ჩონჩხი აღმოჩნდა ადიამანის ყორღანში საზიდრებთან ერთად. ლჩაშენის ყორღანში ორი საზიდარი იყო ორბორბლიანი და ოთხბორბლიანი. აქვე იყო ორი ხარის და ერთი ცხენის თავის ქალა. ორი ხარის თავის ქალა და კიდურების ძვლები იყო საბიდ-ახნის

¹ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89.

² Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949, გვ. 35.

³ ჯ. ნადირაძე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბ. 1972, გვ. 9.

⁴ Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46.

ყორდანში საზიდართან ერთად, ხოლო №6 ყორდანში მხოლოდ ორი თავის ქალა იყო¹. მთლიანი ჩონჩხი იყო მარტყოფის №1 ყორდანში².

როგორც აღნიშნულია, სამხრეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში უკვე საფუძველი ეყრება ნამდვილ მეტალურგიას, რაც აპირობებს მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და, რაც მთავარია, გაცვლა-გამოცდის შემდგომ განვითარებას. ამის შედეგად ისახება ქონებრივი უთანასწორობა, რაზეც, ავტორის აზრით, სხვა საერთო წესებისაგან განსხვავებული მამაკაცთა საგანგებო დაკრძალვა მიგვითითებს. ტ. ჩუბინიშვილს ამის საილუსტრაციოდ მოყავს ტყვიავის ყორდანში ინსიგნაციის მატერებელი თემატიკის ლახტის თავის და მამაკაცის სამარხში სპილენძის იარაღთან ერთად, ოთხი შეწირული ხარის ჩატანების ფაქტი (ამირანის გორის სამარხი №24). ავტორისავე თქმით, ამირანის გორის მასალების მიხედვით ჩანს, რომ მესაქონლეობა ამ დროისათვის დიდ აღმავლობას განიცდის. აქ თითქმის თანაბარი სულადობით არის წარმოდგენილი მსხვილფეხა (ხარი, ძროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, თხა) საქონელი, ძაღლების რაოდენობა განათხარ ფენებში მოპოვებული ძვლების მიხედვით უკვე ერთ ასეულს მაინც აღწევს, წვრილფეხა საქონლის მომრავლება და ნასახლარზე ძაღლების ძვლების სიმრავლე ავტორისავე აზრით, მწვემსური მესაქონლეობის განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს³.

ბ. პიოტროვსკის აღნიშვნით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სევანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან სოფელ ადიამანთან აღმოჩენილ იქნა დიდი ქვის აკლდამა, სადაც აღმოჩენილ იქნა მასიური ხის სპირალებით მდიდრულად მორთული ოთხკუთხა აკლდამა, რომელზეც მიბმული იყო ოთხი ხარი. ამ ოთხთვალას ბორბალი წარმოადგენდა უზარმაზარ ხის დისკოს, ხოლო უღელზე მიმაგრებული იყო ბრინჯაოს თასის მსგავსი ჟღარუნა. იმავე სევანის რაიონში მრტბი-მძორის (ნორ-ბაიახეტასთან) ყორდანის გათხრისას აღმოჩენილ იქნა ხარის საკულტო სამარხი. დიდ საფლავეში იწვა ხარის ჩონჩხი და მასთან ერთად თავისებური ფორმის სამი ჭურჭელი. ხარის კულტი გამოსახულია ასევე ბრინჯაოს სარტყელზე. სოფ. ხიდუალის (მთიანი ყარაბახი) ერთ-ერთ ყორდანში ნაპოვნი იქნა სარტყელის ნატეხი, რომელზეც გამოსახული იყო მორბენალი ხარი გარშემორტყმული ასტრალური ხასიათის სიმბოლოებით. ერთ-ერთი ხარის თავზე გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი სპირაღთან და ცენტრში გველთან ერთად, ხოლო მეორესთან სქემატური ფიგურა, შესაძლოა ფრინველის გამოსახულებით. შამქორის რაიონში (აზერბაიჯანი) აღმოჩენილ იქნა ხარის თავის ან ძროხის ფორმის დიდი თიხის ჭურჭელი. ასევე მთიანი ყარაბახის მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ხარის ბრინჯაოს თავი⁴.

ვანის ძვ. წ. აღ. V საუკუნის ქალის სამარხში ნაპოვნი დიადემაზე თითოეული რომბისებური ფირფიტა რელიეფური ხაზით ორადგა გაყოფილი და ამგვარად შექმნილ თითოეულ სამკუთხედზე ამოტვიფრულია ცხოველთა ბრძოლის სცენები: ერთ ფირფიტაზე – ლომები თავს ესხმიან ქურციკს, ხოლო მეორეზე – ხარს. თითოეულ ფირფიტაზე გამოსახულება ორჯერ მეორდება ორივე ფირფიტაზე ბრძოლის ფინალია გამოსახული:

¹ გ. მირცხულავა, მტკვარ-არაქის კულტურის პრობლემები, თბ. 2011, გვ. 113.

² გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

³ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.

⁴ Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-75.

ერთზე – ორი ლომი გლეჯს უკვე დამარცხებულ და ზურგზე გართხმულ ხარს, ხოლო მეორეზე – წინა მუხლებზე წაჩოქილ ქურციკს. ორივე შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი, ხოლო ლომები აქეთ-იქით¹. ო. ლორთქიფანიძის აზრით, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ძველ ხალხებში ლომი მზისა და სინათლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული და ისიც რომ ვერცხლის კოლხურ რომაულ ფირფიტებიან დიადემებზე გამოსახულია თავისებური ვარდული, რომელიც მის სიმბოლოდაა მიჩნეული, კოლხური რომბისებურფირფიტებიანი დიადემების გამოსახულებანი წარმოადგენდნენ სიცოცხლისა და სიკვდილის, მზისა და სიბნელის ჭიდილის სიმბოლოს. ეს დიადემები, ავტორისავე აზრით, საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისათვის მზადდებოდა².

ძვ. წ. VIII საუკუნის ასურულ ჭურჭლებზე გვხვდება ფრთიანი ხარის და ცხვრის გამოსახულებები, ასევე მსგავსი მოტივები იყო ურარტუში³. ასურულ ქანდაკებებში ასევე კეთილი სული გამოსახულია მფრინავი ხარის სახით, ადამიანის თავით მორთული, სამეფო ტიპით. საკუთარ სახლებშიც ის ითვლებოდა მფარველ ძალად ავი სულების წინააღმდეგ⁴. ურარტულ სხვადასხვა ღვთაებათა მსხვერპლშეწირვებში ნათქვამია „ქალაქ არღონის ღმერთს – ხარი (და) ორი კრავი; ქალაქ ტუშპას ღმერთს – ხარი (და) ორი კრავი“⁵.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებაში ლომის მიერ დათრგუნული ხარის გამოსახულებას ასტრალური მნიშვნელობა ჰქონდა და აღქმული იყო როგორც გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლო: ასურეთისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ცის კაბადონზე თებერვლის დასაწყისში თითქოს ჩანდა, თუ როგორ გადაეფარებოდა („კლავდა“) ხოლმე ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალი სამიწათმოქმედო წელი. ასურეთისა და შემდგომ აქემენიდურ ეპოქაში ცხოველთა ბრძოლის ეს მომენტი აღიქმებოდა როგორც ზოროასტრული კალენდრის უმთავრესი დღე და რელიგიური დღესასწაული, როდესაც მიმდინარეობდა მეფეთა-მეფის საზეიმო კორონაცია. ამიტომაც ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება ძველ აღმოსავლეთში ითვლებოდა აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოდაც⁶.

ეგრუსკებში, იმ ხარის და ძროხის ფერს, რომელიც შესაბამელშია შებმული, ჰქონდა სრულიად განსაზღვრული მნიშვნელობა: ეს იყო ფერი, სასურველი ტინუ-სატასათვის – დღის ღმერთისათვის. ამის გარდა ხარი და ძროხა მასიმბოლიზირებული იყო ციური წყვილისა – ტინა და უნის, რომელთა ქორწინება უზრუნველყოფდა ქალაქის კეთილდღეობას⁷.

სამთავროს სარტყელზე ჩარჩოს შიგნით, ერთმანეთის უკან განლაგებულია შვიდი ფანტასტიკური ხარის გამოსახულება. ყველა მათგანს აქვს ძლიერი, წელში შევიწროვებული სხეული, მოკლე მძლავრი ფეხები, ძირს დამხობილი თავი. ნიშანდობლივია, რომ ყველა ფიგურა ითიფალურია. ეს ფანტასტიკური ხარები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რქების ფორმებით. რქებს ან ნალისებური ფორმა აქვთ,

¹ ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, თბ. 1973, გვ. 63.

² ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

³ В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана, М. 1977, гв. 22.

⁴ М. С. Корелин, Ассирийский народ и его боги покровители, М. 1912, гв. 48-49.

⁵ Г. А. Меликишвили, К чтению одного места в летописи урартского царя Аргишти I, Передноазиатский сборник III, История филология стран древнего Востока, М. 1978.

⁶ ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, თბ. 1973, გვ. 64.

⁷ А. И. Немировский, Этруски, От мифа к истории, М. 1983, гв. 173-174.

ან ერთი ძირიდან გამოსულ ორ განშტოებას წარმოქმნიან და გველისებურ ნახატს ადგენენ, ზოგჯერ რქები ნამგაღს მოგვაგონებს. ნ. ურუშაძის აზრით, ხარის თითოეული ტიპი ატარებს სამიწათმოქმედო იარაღების სიმბოლურ ატრიბუტებს და გადმოგვცემს მიწათმოქმედების ძირითად პროცესებს – ხვნას, თესვას, ფარცხვასა და მოსავლის აღებას. სარტყელზე სიმბოლურად არის გადმოცემული „ხარი-მხენელი“, ის ასრულებს პირველ სამიწათმოქმედო ციკლს, „ხარი-მთესველის“ დრუნჩი მიწას ეხება, რაც თესვის პროცესის იმიტირებას წარმოადგენს. ამგვარად, „ხარი-მთესველი“ თესვის, მეორე სამიწათმოქმედო ციკლის ამსახველია. აქვე გამოხატული დისკო საცრის გამოსახულებად არის მიჩნეული. ამდენად, „ხარი-მთესველი“ „მფარველადაც“ გვევლინება. ავტორისავე აზრით, მესამე ტიპის ხარის რქების ნამგლისებური ფორმა მიგვანიშნებს, რომ აქ „ხარი-მოსავლის ამღებია“ გამოსახული. თვითოეულ ამ გამოსახულებაში ცალ-ცალკე, ავტორის აზრით, უნდა დავინახოთ ერთი და იგივე კრებითი სახელის იპოსტასი. ეს გამოსახულებანი წარმოადგენდნენ სამიწათმოქმედო ღვთაების უძველესი თვისებების ამსახველს, რაც შემდგომ ხანებში პერსონიფიცირებული იქნა შინაური პირუტყვის მფარველის, მოსავლის სახეში¹.

მ. ხიდაშელის აღნიშვნით, სამიწათმოქმედო კულტებისა და ასტრალური რელიგიის განვითარებულ საფეხურზე ხარი განიცდის დაწინაურებას. მისი კულტი თანდათან დიდი ღმერთის ფუნსიონალისა და კვირიას კულტებს ერწყმის. ავტორისავე თქმით, სარტყლების დეკორის შინაარსი ძირითადად იმდროინდელი ადამიანის მითოლოგიურ და ეპიკურ შეხედულებებს ასახავს, რომელშიც ძირითადი და განმსაზღვრელია ნაყოფიერების კულტი. სარტყლებზე ასახული იდეოლოგიური შეხედულებების კომპლექსი უკავშირდება ძირითადად ბუნების განაყოფიერების, გამრავლებისა და განახლების იდეას. ამ იდეათა სიმბოლური გამოხატვა, ბუნებრივი პროცესების ჩვენება, ხალხის აზრით, იწვევდა მათ გაძლიერებულ მოქმედებას და ამდენად, იგი ხალხისათვის კეთილის მომტანი უნდა ყოფილიყო².

დვინის საკურთხევლებს, რომლებსაც კ. კუშნარევა „ხატებს“ უწოდებს, გამოსახულია ხარი, რომელიც ავტორის აზრით, ასტრალურ სამყაროსთან დაკავშირებული ცხოველია, მზის ღვთაების განსახიერება და მჭიდრო კავშირშია ნაყოფიერების სამიწათმოქმედო კულტებთან³.

ნაცარგორის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურულ ფენაში საკურთხევლის ჩახნეკილ ზედაპირზე გამართული იყო ნაღისებური კერა ორი შვერილით, რომელიც ხარის რქების სქემატურ გამოსახულებად არის მიჩნეული. საკურთხევრის უკან, კედელზე გამოსახული იყო ხარის თავი. კერასთან აღმოჩნდა ტერაკოტის ხარის დიდი ზომის ქანდაკება; სენაკის ჩრდილოეთ კუთხეში ანალოგიური საკურთხეველზე კერა გაკეთებული იყო არა საკურთხევლის ზედაპირზე, არამედ მიძერწილი იყო კედელზე. იქვე, კედელზე, მიმაგრებული იყო სვასტიკა და მასზე გადაბმული ქიმებიანი მეანდრისებრი

¹ ნ. ურუშაძე, ბრინჯაოს სარტყელი სამთავროდან, „საბჭოთა ხელოვნება“, თბ. 1968, №2, გვ. 78.

² მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ. 1982, გვ. 83.

³ К. Х. Кушнарева, Древнейшие памятники Двина, Ереван, 1977, გვ. 58.

კოპები. სენაკის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა დიდი სამსხვერპლო, რომლის წინ ეყარა ხარის ქანდაკებათა ფრაგმენტები¹.

გ. გობეჯიშვილის აზრით, ცხინვალის სამლოცველოში განმსაზღვრელს „ხარის კულტი“ წარმოადგენს².

მ. ხიდაშელის აღნიშვნით, ამ პერიოდის უკლებლივ ყველა ტაძრის ცენტრს წარმოადგენდს საკურთხეველი და მის წინ გამართული კერა. ამიერკავკასიაში ფართო გავრცელებას პოულობს საკურთხეველების ცხოველთა თავებით ან რქებით შემკობის ტრადიცია. დვინში ესაა ხარისა და ცხვრის თავები, ნაცარგორასა და ყათნალიხევში – ხარის თავები, ხოვლეში – ცხვრის თავები. გამონაკლისია მეწამორი, სადაც საკურთხეველები ხელაპყრობილ ღვთაებებს განასახიერებენ. ამგვარად, საკურთხეველი შეიძლება იყოს შემკული როგორც ცხოველთა სახეებით. ასევე ადამიანთა გამოსახულებებით. ავტორისავე აზრით, საკურთხეველი ძირითადად ღვთაების ხატს, მის გამოსახულებას წარმოადგენდა. საკურთხეველები გამოხატავდნენ ღვთაების როგორც ცხოველურ სახეს (ხოვლე, ნაცარგორა, ყათლანისხევი, დვინი), ასევე ანტროპომორთულს (მეწამორი, დვინი).

ყველა სამლოცველოში განსაკუთრებით დიდ როლს ხარი თამაშობს. მ. ხიდაშელი იზიარებს კ. კუშნარევას მოსაზრებას, რომ ხარი წარმოადგენდა ასტრალურ სამყაროსთან დაკავშირებულ ცხოველს, განასახიერებდა მზესა და ზეციურ ოკეანეს, უშუალოდ უკავშირდებოდა მიწათმოქმედებას და მის ნაყოფიერებას მფარველობდა. ავტორის აღნიშვნით, ამ სამლოცველოებში ხარის კულტი მისი შინაგანი ევოლუციის შედეგად დიდად არის დაცილებული განვითარების იმ საფეხურს, როდესაც იგი ბულა-მწარმოებელს განასახიერებდა და ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ქაღალდავებასთან ჩანდა დაკავშირებული³.

ფვიქრობთ ხარის კულტის და კერის ურთიერთკავშირი მტკვარ-არაქსული კერის ზესადგარების სახით და მათი ნაყოფიერების და მიწათმოქმედების ღვთაებასთან გაიგივება მართებულია. მისი გაგრძელება უფრო დახვეწილი სარწმუნოებრივი ფორმით, რომელიც შესაძლოა სახელმწიფო რელიგიის რანგში იყო აყვანილი, მოხდა კოლხურ სამყაროში, რომელმაც იქ ე. წ. „კურბების“ ფორმა მიიღო.

პირველ რიგში ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შუაცეცხლის აღმნიშვნელი ტერმინების მნიშვნელობის ჩვენება ქართველურ ენებში, რომელშიც უძველესი ენობრივი პლასტია შემონახული.

არნ. ჩიქობავას აღნიშვნით, კერის, კერასთან დადებული ქვის აღმნიშვნელი ქართველური ტერმინებია ჭან. კერ-ა//კირ-ა, მეგრ. კერ-ი-ე, ქართ. კერა, რომელიც საბასთან მუგუზლის თავის დასადებს ნიშნავს. არნ. ჩიქობავას თქმით, კირა მიღებულია კერა-საგან; ეს იგივეა, რაც ქართული კერა; მეგრ. კერ-ი-ე-ში, იგივე კერ – მეორდება: კერ – საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის⁴.

¹ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

² გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, „მომხილველი“, II, თბ. 1951, გვ. 265.

³ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938, გვ. 156.

ი. ყიფშიძის განმარტებით, მეგრულ კებურის ფორმებია ძებური, ძებური, - კერა, ადგილი კერის ახლოს¹.

მიგვანჩია, რომ კერა არის პირველი „ტადარი“ სადაც სრულდებოდა რიტუალი. ამდენად საინტერესოა ქართული ენის დიალექტებში და ძველ ისტორიულ წყაროებში ფიქსირებული ტერმინები, ასევე ტადრის თუ ეკლესიის აღმნიშვნელი სიტყვები და მათი ურთიერთმიმართება ტერმინ კერა//ძებურ-თან.

რაჭაში კერიის ქვას **ყვერბი** ეწოდება².

ინგილოურად **საკმელი** საკმეველია, იგივე მეგრული ოკუმაფუ, სვანური საკმელ (=საკომლებელი)³.

კომლ. კვამლი, ბოლი; მეგრ. – კუმა, სვან. – კჟამ, უდ. – კუნ⁴.

ყუერბი – ყვერბი სულხან-საბას განმარტებით: „ესე არს საცეცხლე კერის(ა), ადგილი გინა ბოსტნის მარგი“⁵.

ყეებური (გურ.) შუაცეცხლის დასანთები ადგილი. სამზად სახლში. კერის ფუძე.

ყვერბი (რაჭ. გურ. თუშ. ლეჩხ.) კერაზე დაგებული ბრტყელი ადგილი (შ. ძიძ.) ცეცხლის წინა პირი, კერის წინა ნაწილი, რაზეც დაგებულია ბრტყელი ფილაქანი (დიალექტ.) სამზარეულო სახლში ცეცხლის დასანთები ადგილი, კერა (ს. ჟღ.) რკალისებურად აგებული ყორე. რომელშიც მოთავსებულია ლუდის სახარში ქვაბი. ღია მხრიდან ცეცხლს უნთებდნენ (თ. უთურგ.) ბრტყელი ქვა, რომელზეც შუაცეცხლს ანთებენ. ყვერბზე წინათ მჭადსა და ხშიადს აცხობდნენ (მ. ალაგ.). ყუერბი-ი (საბა). ყვერბი – კერა, ცეცხლაპირი (ნ. ჩუბინ.). კერა, ლანძვი, ცეცხლიპირი (დ. ჩუბინ.)⁶.

ყჯერბეულბა (მოს.). შობის წინა ღამე; ამ დროს აცხობდნენ პურს კვერს – ყჯერბეულს⁷.

ყურე, ყორე, „კუთხე“, თემი, ქუნა⁸.

ყუერბი – სამფენი, ზესადგარი, ბოსტნის კვალი⁹.

ყურბეული, ყუერბეული – პურის კვერი¹⁰.

კერა, კერიე (რაჭ. იმერ.) შუაცეცხლის დასანთები ადგილი. ჩვენ მისგან ნაწარმოებ სიტყვებად მიგვანჩია: **კერაკელა** (აჭარ.) პურის ნამცხვარი, რგოლისებრი ფორმის. **კერპულ** (ხევს.) წარმართული (ს. მაკალათია)¹¹. **კვერი** (გურ.) ღაღარში გამომცხვარი მრგვალი მჭადი. **კვერ-ი** (თუშ.) 1. ჩაქუჩი. 2. ახლად გამომცხვარი მრგვალი პური. **კვერაკვერა** (იმერ.) კოკორი, პურის ან მჭადის კვერი¹². **კულუხი** (მთიულ.) ხატისათვის შეგროვებული საჭმელი¹³. **კერაკ-ი** – კერია, ცეცხლის ადგილი. **კერეონ-ი, კეროვან-ი** – დიდი სანთელი

¹ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994, გვ. 253.

² ლ. ფრუიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

³ ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 260.

⁴ ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 251.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 273.

⁶ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984, გვ. 608.

⁷ ალ. ღლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 615.

⁸ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 470.

⁹ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.

¹⁰ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.

¹¹ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984, გვ. 281.

¹² ალ. ღლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 286.

¹³ ალ. ღლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

ცვილისა¹. **კერპობა** – შეწირვა, მსხვერპლის მიტანა. **კერპი** – „ქანდაკებული“, „გამოქანდაკებული“, სახე, ხატი, გამოდნობილი, ღმერთი, „მსგავსება“². **კრებული** – „ეკლესია“, „შეკრებილი“; სამსჯავრო, კრება, გუნდი, „შესაკრებელი“, „ერი“, სიმრავლე; მონასტერი³. **მკუდრეთი** – მკედრების სამყოფელი. **მკედრი** – „დამტკიცებული“, „შენი“, დასახლებული, „თესლი“, „შვილი“, ღვიძლი, მემკვიდრე. **მკედრობა, მკედრება**, დასახლება, ცხოვრება, „მსხემობა“, „ყრმა“. **მკედრობა**, „სამკვიდრებელი“, „მსხემობა“, მოსახლეობა, მემკვიდრებით მამული, ბუნება⁴. **კელაპტარი** – ცვილის სანთელი დიდი ზომის. **კელარი** (კელარისა) მნე. **კელინი** – სენაკი⁵.

აღსანიშნავია, რომ კერა//ყებური უნდა ნიშნავდეს კერის ირგვლივ, კერასთან მყოფ შემადლებას ან კერის იმ მრგვალ ქვას, რომელსაც როგორც ჩანს თაყვანს სცემდნენ როგორც კულტის საგანს.

სწორედ მისი გამანაყოფიერებელი არსება უნდა ყოფილიყო ხარი, როგორც სიძლიერის და ნაყოფიერების (მიწის მხვნელი) სიმბოლო, რომელიც ხარის ზესადგარების სახით კერაზე იყო დადგმული, ის ამავე დროს ფალოსის მნიშვნელობასაც იძენს, რომელიც შემდგომ ეპოქებში კოლხურ მითოლოგიურ სისტემაში უფრო ნათლად ჩანს და უდიდესი საკრალური მნიშვნელობისაა.

ვ. ბარდაველიძის აღნიშვნით, საყურადღებოა, რომ კვირიას ეპითეტები: ხმელთ მოურავი და კარავიანი ამ ღვთაებას მიწიერ სამყაროსა და საცხოვრებელ ბინასთან აკავშირებს. ვ. ბარდაველიძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკითხის ტერმინოლოგიურ მხარეს და მიუთითებს კვირიას სიახლოვეს სიტყვებთან **კერა, კერია, კვარი და კვერი** ე. ი. პური, რომელიც ძველად კვერის ნაცარში ცხვებოდა. მისივე აზრით. შეიძლება გადმონაშთურმა ეთნოლოგიურმა მასალამ და ღვთაების ეპითეტებმა გაამართლონ კულტისა და ტერმინების სიახლოვე. ქართველ ტომებს შორის დამოწმებულია რიტუალები, რომლის ძალითაც ცხოველს და რიტუალურ პურს იმ ღვთაებისა და ქრისტიანული წმინდანის (ამ წმინდანების უკან მომეტებულად ქრისტიანობამდელი სარწმუნოებრივი პერსონაჟები იფარებოდნენ) სახელს არქმევდნენ, რომლის სახელობაზეც იგი შეიწირებოდა; ასეთებია მაგალითად, სახელები: აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეებში **ღვთისია** – ღმერთისათვის შეწირული ხარი, ლამარია – ლამარიის (წმ. მარიამის) სახელზე შეწირული ძროხა ბარბლად – ანუ ბურბჯლა – ქალ-ღვთაება, ქარბულ, ბარბალ ანუ ქალ-ბაბარისათვის შეწირული შინაური ცხოველი, ქალბაბარ – რიტუალური პური იმავე ქალ-ღვთაების სახელზე შეწირული და ა. შ. ავტორისავე აზრით, ამ მაგალითების ანალოგიურად ადვილი შესაძლებელია **კვერი** იმ პურის თეოფორული სახელწოდება ყოფილიყო, რომელიც ოდესღაც ღვთაება კვირიასათვის შეიწინებოდა. ამავე დროს, განაგრძობს ავტორი, ის გარემოება, რომ ადამიანთა დასასჯელად კვირია ცეცხლს იყენებდა, შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ღვთაების გენეტიკურ კავშირზე ცეცხლის კულტთან; თანაც თუ ანგარიში

¹ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.
² ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.
³ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.
⁴ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.
⁵ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

გაეწევა კვირიას ეპითეტებს „ხმელთ მოურავი“ და „კარავიანი“, ეს ცეცხლი მიწიური, სახელდობრ, კერის ცეცხლი უნდა ყოფილიყო¹.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კერის და ქართული ღვთაება „კვირიას“ ურთიერთმიმართება.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „შეიძლება კვირია კვირისგან იყოს წარმომდგარი, იმიტომ, რომ იმ ღვთაებას, რომელსაც შემდგომ ეს სიტყვა საკუთარ სახელად გადაექცა შვიდეულში სწორედ ეს დღე ჰქონდა მიკუთვნებული. ავტორისავე აღნიშვნით, კვირიას მეგრულად „ჟაშხა“, ჭანურად „ბჟაჩხა“ და სვანურად „მიჟლადედ“ ანუ „მზის დღე“ ჰქვია. მაშასადამე თუ მართლაც ამ ღვთაებამ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მიიღო „კვირია“-ს სახელი მაშინ იგი ჩვენ უნდა მზის ღვთაებად ვიცნოთ, მაგრამ მზის სქესის გამო ეს საეჭვოა. შეიძლება აგრეთვე „კვირია“ ძველი მცირე აზიის საბერძნეთში გავრცელებული სახელის „კურია“ - სვან იყოს წარმომდგარი, რომელიც „უფალსა“ კნიშნავსო და სხვადასხვა ღვთაების შესახებ იხმარებოდა, ავტორისავე აღნიშვნით, სხვათა შორის „კუროს“ მზესაც და საბადიოს-ასფადსაც უწოდებდნენ. იქნებ „კვირია“ ღვთაება „კურენეს“ „კერანა“-ს უდრიდეს, რომლის სახელი ეგვიპტის „კერა“-საგან იყოს წარმომდგარი“².

გ. მელიქიშვილის მიერ გამოითქვა მოსაზრება, კვირიას კავშირზე ურარტული ღვთაება კუერასთან³. მაგრამ არც ბუნება, არც ფუნქციები ურარტული კუერასი და არც ამ სახელწოდების ეტიმოლოგია სამწუხაროდ ცნობილი არ არის.

ჩვენ ვიზიარებთ კვირიას და კერის ეტიმოლოგიურ კავშირს. კერა წარმოადგენდა ნაყოფიერების მომნიჭებელ იმ ადგილს სადაც სიმრგვალე აისახებოდა და მისი მზესთან კავშირი აშკარა უნდა იყოს. თავდაპირველად კერა დედათა სქესის ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომლის სიმრგვალეზე ანუ ყვერბზე (იგივე ყებური) იდგმება ფალიკური სახე ხარის რქების სახით, რომელიც ამყარებს იმავე თვისების ციურ მნათობთან ანუ მზესთან კავშირს და ის ამ სახით ანაყოფიერებს დედამიწას. ამის უფრო ნათელი გამოვლინება რელიგიური აზროვნების განვითარების შემდგომ ეტაპზე უფრო გამოკვეთილად ჩანს ქართველურ სამყაროში.

კერისა და ხარის კავშირი, ხარის როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელის სახით „კურო“ ფორმაში ჩანს მორფოლოგიურ-სემანტიკურადაც. კერძოდ, საინტერესოა კერა//ყებური//ყვერბის და კუროს ურთიერთმიმართება.

ტერმინი კურო, თავდაპირველად არა თუ ხარის ან სხვა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, არამედ ზოგადად საქონლის სქესის, რომელიც ქართველურ დიალექტებსა და ენებში კოტ, კუტა, კუტუ-ს სახით ფალოსს აღნიშნავს⁴. ანუ რწმენა-წარმოდგენათა კონტექსტში ეს უკანასკნელი ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალასთანაა კავშირში და მისი ღვთაებად არსებობაც ქართველურ ტომებში

¹ ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის ერთ საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1959, გვ. 170.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1951, ტ. I, გვ. 76-77.

³ გ. მელიქიშვილი, მხერ-კაპურის ურარტული წარწერის ინტერპრეტაციისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №3, 1953, გვ. 176; Г.-А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Вестник Древней Истории, т. I, М. 1954, гв. 246.

⁴ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб. gv. 187.

დადასტურებულია¹. შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ფიქსირებული ზომორფული კერის ზესადგარები სწორედ ხარს გამოხატავდნენ და ფალოსის კულტს განასახიერებდნენ².

კურო საბასთან არის „ჭარი გამოუყვერავი“, ასევეა ის განმარტებული ჩუბინიშვილის ქართულ ლექსიკონში. სვანურში კი მის აღმნიშვნელად, ანუ დაუკოდავი ხარის სახელად იხმარება „ბუღა“, რომელიც თურქულ სიტყვად არის მიჩნეული, ხოლო კურო ფუძე ლაშხურის ნაკურან ფუძეშია შენახული, რაც კუროდ, ბუღად ნამყოფს ნიშნავს. როგორც ვარაუდობენ კუროს კავშირი უნდა ჰქონდეს ნენცურში ხარის აღმნიშვნელ Kura ფუძესთან; შდრ. კომური - Kör „ირემი“, ოსური Koyr/Kur - „ხარი“, „ბუღა“³.

კურატი – ფშავურსა, გუდამაყურსა და ქიზიყურში არის უღელდაუდგმელი ხარი, რომელიც სამსხვერპლოდაა შეწირული, ასევე ხატისთვის შეწირული მოზვერი, შეწირული ცხოველი. ზოგჯერ ადამიანსაც აღუთქვამენ კურატად, უმთავრესად ბავშვს⁴. თუ უფრო შორეულ პარალელებს გავაგლებთ და თუ მივიჩნევთ, რომ კურ//კურო ცხოველთა მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ტერმინია, მაშინ მისი გაიგივება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია შუმერულ kir-თან, რომელიც ნიშნავს ღორს, რაც ქართული კურატის (მამალი ღორი) და მეგრულ – ჭანურად „კერი“-ს (სვანური „ჯემ“-ის) სახით პარალელური ტერმინებია⁵. ხოლო შუმერულში ხარის აღმნიშვნელად გვაქვს იგივე har ტერმინი (შდრ. ქართ. ხარი, მეგრ. ხოჯი, სვან, ხანი)⁶, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ტერმინი კურო-ს სქესის აღმნიშვნელობაზე, ფალოსის კულტზე და ხარის სახით ნაყოფიერების მიმნიჭებელი ძალის მქონე არსებაზე.

ვფიქრობთ აქედანაა ნაწარმოები ტერმინი მაკე (მეგრ. მოკა//მონკა, ჭანური მონკა – მიძიმე, ფეხმიძიმე, რომელიც სულხან-საბას განმარტებით, ოთხფეხი ორსული პირუტყვია⁷. ასევე ქართულსა და მეგრულში შესაბამისად გვაქვს დეკეული და ჯაკელი, გურულში, დეკეულ ფორმით ინგილოურში, სვანური დეკჷილ, დეკევილი⁸. სულხან-საბასთან ის გვხვდება დეკეულ-ის ფორმით, რასაც განმარტავს, როგორც „წლის ფური“⁹. არნ. ჩიქობავას აზრით, დიაკეულ//დეკეულ ფუძეში გამოიყოფა -ე-ულ სუფიქსი და -კ- ძირი რაც გვაქვს მაკე/მაკენ ფუძეში¹⁰, ასევე -კ- ძირი გამოიყოფა ადიღეურ ხბოს აღმნიშვნელ სიტყვაში შკა¹¹.

კურო-სთან და კერა/ყებურ//ყუერბთან მიმართებაში ანგარიშგასაწევია ანტიკური წყაროების „კირკეონი“. როგორც აპოლონიოს როდოსელის სქოლიონებშია აღნიშნული „კირკეონი კოლხეთის ადგილია. ასე წოდებული აიეტის დის კირკესაგან, ანდა ველია¹²-ო,

¹ იხ. ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, თბ. 1923.

² ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 170-171.

³ ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ. 1974, გვ. 158-159.

⁴ აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984, გვ. 315.

⁵ გრ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ. 2002, გვ. 23.

⁶ გრ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. გვ. 429.

⁸ ი. ქერქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-35.

⁹ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

¹⁰ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942, გვ. 45.

¹¹ Г. В. Рогава, К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб. 1956, გვ. 10.

¹² ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ. 1964, გვ. 325.

ხოლო პლინიუსი სხვა ქალაქთა შორის ფაზისზე მდებარე ქალაქად იხსენიებს „კირკეუმს“¹. „კირკეუმს“¹. მასთან კავშირში უნდა იყოს კოლხური კვრბები, რომელიც ანტიკური ღროიდან მოყოლებული, ა. ურუშაძის კვლევით, ამ სახით არის განმარტებული სხვადასხვა ავტორებთან:

ქრონოლოგიურად პირველი ხსენება კვრბებისა ჩანს ანტიკური კომედიის უძველეს წარმომადგენელთან კრატინესთან (გარდაიცვალა ძვ. წ. აღ. 423-421 წლებს შუა), რომელსაც იმოწმებს პლუტარქე და მოჰყავს მისი სიტყვები: „სოლომონს და დრაკონს გეფიცები, თუმცა მათ კვრბებს დღეს ქერის მარცვლის მოხალვისათვის იყენებს ხალხი“. კვრბები, კრატინეს გაგებით, ქვის ან თიხის ფირფიტებია, დაფებია, რომლებზედაც დრაკონისა და სოლომონის კანონები იყო აღნიშნული. კრატინეს დროს ეს კანონები უგულვებელყოფილია და მათი შემცველი ფირფიტებით მარცვალს ახმობენ.

სილია (დაახ. 459-380) კვრბებს სასულიერო წარწერების შემცველ ძეგლებად მიიჩნევს - „მსხვერპლშეწირვები კვრბებისა და სვეტების თანახმად“.

არისტოფანე „ფრინველებში“ მოიხსენიებს კანონის აღმნუსხველ „კვრბებს ყარყატა“.

ფილოსოფოსი პლატონი ლაპარაკობს „რომელიდაც კვრბებსა და სვეტებზე აღმნუსხველთა“ შესახებ.

პლუტარქე სოლონის ბიოგრაფიაში გვაცნობს ე. წ. „აქსიონებს“ ანუ ოთხწახნაგა ჩარჩოებში ჩასმულ და მბრუნავ ღერძზე დამაგრებულ ხის დაფებზე, რომლებზედაც სოლომონის კანონები ეწერა. „ამ დაფების მცირეოდენმა ნაშთმა ჩვენ დრომდეც მოაღწია და პრიტანეონში ინახებაო“. მისი სიტყვით, სოლონის „აქსიონებს“ არისტოტელე უწოდებს „კვრბებს“ და როგორც გადმოგვცემს სოლონის „კანონები ჩამოწერეს კვრბებზე და გამოჰკიდეს სამეფო სტოაში...“

პლუტარქესთან კვრბების შესახებ დაცული გადმოცემის მიხედვით: „ზოგიერთები ამბობენ, რომ კვრბები ეწოდებოდათ იმ [დაფებს], რომლებიც ღვთისმსახურებასა და მსხვერპლშეწირვებთან დაკავშირებულ წესებს შეიცავენ, სხვებს კი აქსიონები ერქვათ“.

ახ. წ. III საუკუნის კომენტატორი ტიმეოსი გადმოგვცემს, რომ კვრბისი „სამწახნაგოვანი პირამიდული სვეტია“

აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი „არგონავტიკის“ IV წიგნის 280-ე ტაეპის განმარტებაში ამბობს, რომ კვრბები წარწერათა შემცველი წვერწაწვეტილი სვეტებია.

არისტოფანე ბიზანტიონელის (დაახ. 257-180), პლატონის სქოლიასტის და ზოგიერთი სხვა ავტორის ცნობით კვრბები ხისაგან იყო ნაკეთები.

სვიდას ლექსიკონის განმარტებით კვრბები სამწახნაგოვანი დაფებია ქვისაგან აღმართულ სვეტებზე მიკრული. ამ დაფებზე სასულიერო და საერთო კანონები იწერებოდა.

სქოლოსტიკოსისა და პოეტის კომეტას ცნობით, კვრბები არის „ძველისძველი ფირფიტები“ - რომელზედაც ჰომეროსის პოემებიც იყო ნაწერი.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის თეოპომპე ქიოსელის (ძვ. წ. 376-?) ცნობით, „კვრბები სპილენძისა იყო და არა რაიმე ხისაგან. ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა, საიდანაც

¹ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

კირბები შეექვათ, როგორც თეოპომპემ დაწერა [წიგნში] „ღვთისმოშიშობის შესახებ“, ანდა იმიტომ [ჰქვიათ ასე] რომ ზეადმართულნი მწვერვალზე გვირგვინდებიან“¹.

აპოლოდორეს (ძვ. წ. II ს.) დაკარგულ თხზულებათა ფრაგმენტებში „ღმერთის შესახებ“ ნათქვამია, რომ „კურბები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს. ისინი წარმოადგენდნენ სწორად აღმართულ ქვებს, რომელთაც დგომის გამო სტელებს, ხოლო² სიმაღლისაკენ წარმართულობისაგან, რაკილა გვირგვინდებოდნენ, კურბებს ეძახდნენ; აი ისე, როგორც თავზე დადგმულ [ტიარას] უწოდებენ კურბასიას“. „... ყველა საზოგადო საბუთს და კანონებს კურბისი ერქვა, რომ ძველ ქვებს აღმართავდნენ ხოლმე და ზედ გადაწვეტილებებს წერდნენ...“. „... შემდეგ ხანებში იგივე სახელი უწოდეს საგანგებოდ გათეთრებულ ხის ბოძებს, რომლებზედაც წერდნენ ამგვარად, კურბისი წმინდა წარწერათა შემცველი ბოძია“³. „აპოლოდორე ამბობს, რომ [კურბები] ამათი [კორიბანტების] აღმოჩენა არისო“. ფიოტოსის ლექსიკონში ნათქვამია, რომ „კურბები... ითქმის სიმაღლეზე დაგვირგვინებულობისაგან ან, როგორც აპოლოდორე ამბობს, მტკიცედ დგომის გამო. თეოფრასტეს მიხედვით კი – კრეტელი კორიბანტებისაგან, ვინაიდან [კურბები], ასე ვთქვათ, კორიბანტული წმინდა წარწერათა ასლებია“⁴.

სტრაბონთან (ძვ. წ. 64/63 წ. – 23-24 ახ. წ.) ნათქვამია, რომ ტიტანებმა რეას გადასცეს კორიბანტები შეიარაღებულ მცველებად მათზე ზოგიერთები ამბობენ, ისინი ბაქტრიანიდან არიან მოსულნიო, ზოგიერთები კი კოლხებისგან არიანო“⁵.

სვიდის ლექსიკონის მიხედვით, ოქროს საწმისი „ეს იყო ტყავებზე დაწერილი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გააკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებებით...“ კაბირონი – ქალაქი. არის კაბირებიც – ტომის სახელი. აღნიშნავს ღვთაებებსაც“. „ველი კირკონი – კირკესი. არის ადგილი კირკოსი“ კირკე – წამლების შემზავებელი, ან სიტყვისგან *kerÁiç* („ქსელი“). გაიძვერა ქალებს „კირკებს ვეძახით“ „კორიბანტები – ზოგიერთები კურეტებსა და კორიბანტებს ერთმანეთთან აიგივებენ. ესენი ზევსის ძიძები და მცველები იყვნენ. ერთნი ამბობენ, რომ ისინი ათნი იყვნენო, მეორენი – ცხრანიო, რეას შვილები იყვნენ. კორიბანტი ითვლება კურეტებში, რომლებიც – ზევსის ძიძანი და გამდელნი, ხოლო რეის მეგზურნი იყვნენ“⁶.

ა. ურუშაძე ანტიკურ ავტორთა შორის ერთ-ერთ ყველაზე სანდოდ მიიჩნევს აპოლონიოს როდოსელს. ავტორისავე აღნიშვნით (აპ. როდოსელის ცნობაზე დაყრდნობით) კოლხებს ჰქონდათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათგან ნაწერი“) სამანძილო კურბების სახით, რომელსაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა – მოგზაურთათვის. კურბები აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას. ავტორისავე კვლევით, ამ ცნობას მხარს უჭერს ის ცნობილი ფაქტი, რომ კოლხეთზე ძველთაგანაც გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც კეთილმოწყობილი იყო⁷. ავტორი არ იზიარებს ვლ. სიჭინავას მოსაზრებას იმის შესახებ რომ: „ამ სიტყვის ბერძნულ

¹ ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ. 1964, გვ. 297.

² ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 368.

³ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

⁴ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 370.

⁵ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 424.

⁶ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 480.

⁷ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

გადმოცემაში დაცულია ეტრატის ძველი კოლხური (ზანური) სახელწოდება კირიბი - „კრავი“ → კირიბიში → „კრავის [ტყავი]“. კვრები ეტრატებია (კირიბიში), სადაც ზოგჯერ შეიძლება კარტოგრაფიული მასალებიც იყოს ჩაწერილი. არგონავტების თქმულების ოქროს საწმისი ეს იგივე კირიბი – კირიბიშია, რომელზედაც ოქროს მოპოვებისა და დამუშავების რთული ქართული – კოლხური ტექნოლოგიური პროცესი იყო აღნუსხული. თავისი აზრის გასამტკიცებლად ვლ. სიჭინავას დამოწმებული აქვს ის საგულისხმო ფაქტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირად „ცხვრისა“ და „წიგნის“ აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვები იხმარება¹.

ა. ურუშაძის აზრით, ვლ. სიჭინავას მოსაზრებას ძირითადად დაბრკოლებას უქმნის ის გარემოება, რომ კვრებზე არსებული ყველა წყარო კვრებს მაგარ ნივთიერებაზე (ქვის და ხის დაფებზე ან თიხის ფირფიტებზე) შესრულებულ წარწერებად წარმოგვიდგენს და არა ეტრატებზე არსებულ ჩანაწერებად².

ა. ურუშაძეს ბერძენი ავტორების დამოწმებულ ცნობათა კომლექსში უაღრესად საყურადღებოდ და რეალური სინამდვილის შემცველად მიაჩნია ის, რომ კვრები ძველისძველი ფირფიტები იყო (ქვის, თიხის ან სპილენძისა: კრატინე, ლისია, თეოპომპე, პლუტარქე, კომეტა), რომლებიც საკრალური ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ (ლესია, თეოფრასტე, პლუტარქე) და ის რომ კვრების აპოლოდორე, სვიდა). ავტორისავე აზრით, ბუსტროფედონით შესრულებული კვრები (ეგფრიონი) თავდაპირველად, მხოლოდ სასულიერო, საკრალური ხასიათის წარწერებს შეიცავდა (ლისია, არისტოფანეს სქოლიასტი, თეოფრასტე, პლუტარქე, სვიდა). უფრო გვიან „კვრების“ ეწოდა ყველა საზოგადო საბუთსა და კანონს (კრატინე, არისტოფანე, არისტოტელე, აპოლოდორე, პლუტარქე, სვიდა). შედარებით გვიან უნდა მიეღოთ კოლხურ კვრებს კარტოგრაფიული მნიშვნელობაც (აპოლონიოსის როდოსელი და მისი სქოლიასტი). ავტორი, საკრალური მნიშვნელობის მიხედვით ყველაზე უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს „კვრის“ სიტყვის დაკავშირებას „კორუბანტებთან“ (თეოპომპე, თეოფრასტე, აპოლოდორე, სვიდა). მისივე თქმით, ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ატოხთონური ტომებისა და წინაელნურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვბელეს ქურუმები იყვნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით კორიბანტების მამამთავარი კორიბანტი – კირბანტი კვბელსა და იასონის ძეა. ელინურ ხანაში პელასგური – მცირეაზიური ღვთაების - „დიდი დედის“ – კვბელეს კულტი შეერწყა ურანოსისა და გეას ასულის რეას კულტს. ეს, ა. ურუშაძის აზრით, უნდა მომხდარიყო კუნძულ კრეტაზე, სადაც საერთოდ ცნობილია აღმოსავლურ-მცირეაზიური და ელინური კულტების შერევა. აქ რეა-კვბელე ზევსის დედად იქნა აღიარებული, ხოლო მისი ქურუმები – კურეტები (კრეტელი დაქტილები, იდელი დაქტილებია) კორიბანტებს გაუთანაბრეს. სვიდას გადმოცემით, „კორიბანტები იგივეა, რაც კურეტები, ესენი ზევსის გამზრდელნი და მცველები იყვნენ. ერთნი ამბობენ, ისინი ათნი იყვნენო, მეორენი ამტკიცებენ – ცხრანიო“. კვბელეს განსაკუთრებულ თავყანს სცემდნენ კოლხური ტომები, რომელთაც ფაზისის

¹ იხ. ვლ. სიჭინავა, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან (კოლხური და კვრების ადგილისათვის ქართულ დამწერლობის ისტორიაში), ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953, გვ. 81-101.

² ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

შესართავში ამ ღმერთკალის ქანდაკებაც ედგათ. არიანე გადმოგვცემს: „ფაზისში რომ შედისარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი გარეგნობით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფილიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“. ავტორისავე აღნიშვნით,, კუბელესადმი შეწირული წმიდა ხე იყო მუხა (აპოლოდორე). აპ. როდოსელის სქოლიასტი და სხ.), რომელიც საქართველოში დიდხანს წარმოადგენდა თაყვანისცემის საგანს. ივ. ჯავახიშვილის „კუბელეს“ ერთგვარი სიფრთხილით უკავშირებს ქართველ ტომთა ძველისძველ ღვთაებას „კოპალას“ ანუ „კოპალეს“, რომლის მსგავსადაც „კუბელეს ხან დედამიწის ღვთაებად ითვლებოდა, ხან ბუნების ღვთაებად, ხან შვილიერების და ნაყოფიერების ღვთაებად, ხან ადგილისა და გორა-მთის დედად. აღსანიშნავია, რომ რუსებსაც „კუპალო“, რომლის დღესასწაულიც 24 ივნისს ივანობის დღეს იცოდნენ, ხალხურ სიმღერებში ქალადაც და აგრეთვე ვაჟადაც ჰყავთ წარმოდგენილი¹. ქართულ თქმულებებში „კოპალა“ ანუ „კოპალე“ მამრობითი სქესის ღვთაებად ითვლება, მაგრამ მის დაკავშირებას „კუბელესთან“, აპ. ურუშაძის აზრით, ეს დიდ დაბრკოლებას არ უქმნის, რელიგიურ კულტთა ისტორიაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები ღვთაების სქესის შეცვლისა. თავდაპირველად „კოპალა“ მატრიარქალური, მდედრობითი სქესის ღვთაება უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი მამრობითი სქესის ღვთაებად წარმოიდგინეს და „ხმელთ მოურავ კერას“ გაუთანაბრეს².

მ. ჯანაშვილმა სიტყვა „კურბისი“ ქართული „კარი“ სიტყვის ნიშნად მიიჩნია, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სიმტკიცეს, სიმაგრეს, შეკვრას და მაშასადამე სჯულდებასაც. ავტორი მასვე უღარებს „კერპს“, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კერასთან სჯულმდებელი სალოცავი ღმერთი³.

მ. ბერძენიშვილიც სანდოდ მიიჩნევს აპ. როდოსელს (და სხვა ანტიკურ ავტორთა) ცნობებს და კურბებს კოლხეთში არსებულ უძველეს დამწერლობად თვლის⁴.

გ. მელიქიშვილის აზრით, აპოლონიოს როდოსელის ცნობა იმის მოწმობაა, რომ ძველ კოლხეთში დამწერლობა არსებობდა; ჩანაწერები კურბების სახით უნდა მივაკუთვნოთ კოლხეთის სამეფოს, რომელიც ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე იყო⁵.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კიბელას კულტი, რომელიც ფრიგიული წარმომავლობის ბერძნულ ღვთაებად ითვლება. კიბელა გამოისახებოდა ოქროს ეტლზე თავზე კოშკის მსგავსი კბილებიანი სამეფო გვირგვინით, მძვინვარე კირიბანტებით და კურატებით, გარეული ლომებით და ასტერებით გარშემორტყმულინ. კიბელას ღვთაება წარმოადგენდა „დიდ დედის“ ღმერთების და დედამიწაზე მცხოვრები ყოველგვარი ცხოველის დედას, ამადორძინებულს მომაკვდავი ბუნების და ნაყოფიერების მომნიჭებელს⁷.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ. 1951, გვ. 98-99.

² ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

³ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წ. I, თბ. 19809, გვ. 37.

⁴ მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ. 1969, გვ. 50-53.

⁵ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 215.

⁶ Античная мифология, М. 2005, гв. 658.

⁷ Мифологический словарь, Л. 1961, гв. 117.

მოგვიანებით ის შეერწეა რეას კულტს, რომელმაც კრეტაში ლეგენდის მიხედვით დაბადა და აღზარდა გამოქვაბულში ზევსი¹.

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა ბერძნული ღვთაება რეი-ს ქურუმები კურეტები. რეის და კიბელის კულტის შერწყმის შემდგომ კურეტები გახდნენ რეის და კიბელას ქურუმები და მათ ურევდნენ კიბელა-კორიბანტების ქურუმებთან. თუმცა თავდაპირველად კურეტებს, როგორც ჩანს ჰქონდათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, როგორც დედამიწის მცენარეული სამყაროს დემონებისა. მათი კულტი დაკავშირებული იყო კრეტული ზევსის კულტთან, რომელმაც ოლიმპიური რელიგიის გაბატონების შემდგომაც შეინარჩუნა ხოთონური ღვთაების ნიშნები². კურეტები ასევე ერქვა კრეტის მცხოვრებლებს³ და აღსანიშნავია, რომ კრეტაზე მცხოვრები კორიბანები სპილენძის ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ⁴.

ფვიქრობთ, კვირიბი უკავშირდება სიმადლეს, ფალოსს, რომელზედაც ზემოაღმართული იყო გვირგვინი. მისი იდენტურია მეგრული კიბული ანუ კიბე, რომელიც ცაშ კიბულის (ცის კიბე) სახით სამეგრელოში მაღალმთიან ადგილებში შემორჩა ტოპონიმებად, სადაც ხალხის გადმოცემით, ერთიანდებოდა ცა და დედამიწა.

ფვიქრობთ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფშავ-ხევსურთა რწმენით, „წულის მომატება, ანუ შვილიერება სწორედ კვირიაზე იყო დამოკიდებული და ხალხური რწმენით შვილის მომცემ და საერთოდ შვილიანობის მფარველ ღვთაებად „კურია“ ითვლებოდა⁵. ასევე საინტერესოა ერთი სვანური რიტუალი, როდესაც „ყველიერის ადების კვირას“ ჟაბეშში „აღბა-ლიღრალ“-ად წოდებული ღვთისმშობლობის ხატობის დროს, ყველიერის ხუთშაბათს თითქმის მთელს სვანეთში და კერძოდ სოფელ ჟაბაშში თოვლისაგან „მურყვამს“ ანუ კოშკს აკეთებდნენ, რომელსაც შუაში მაღალ ხეს ჩაატანენ. ამ ხის წვეროზე ჟაბაშში ძველი კალათს ან საცერს ჩამოაცობენ, ორი ხის ხმაღს და ამას გარდა ხისგან გამოთლილ კაცის ასოს ჩამოკიდებდნენ. ს. მაკალათიას თქმით, კათალა, ანუ საცერის ძირი სვანთა რწმენაში ნაყოფიერების სიმბოლოა. შაბათს კი გრძელდებოდა ეს დღესასწაული, რომელიც ქართლ-კახურ ყვენობასთან არის გაიგივებული. აქ ყაინს მამაკაცის ხის ასოს არტყამენ სარტყელზე, ხელში მას ხმალი უჭირავს, მეორე მეთაური არის საქმისად. მათ შორის იმართება ჭიდაობა, რომელთაგან ერთ-ერთი იმარჯვებს. მზის ჩასვლისას თოვლის კოშკს ანგრევენ და ხეზე ჩამოკიდებულ საგნებს იტაცებენ. საითკენაც კოშკის დანგრევის დროს ხე გადაიხრება, იმ მიმართულებით მდებარე სოფლისათვის კარგი მოსავალია მოსალოდნელი⁶.

ჩვენი აზრით, კერ სიტყვასთან მიმართებაში საყურადღებოა ცერმინი ოსკუ და სკუა, რომელი უკანასკნელიც „შვილი“-ს „ძის“ ფორმით მეგრულ გვარსახელებს ერთვის. ოსკუ მეგრულად ნიშნავს საკვერცხეს და საშოს, რომელიც ნაყოფიერებასთან არის კავშირში და ზოგადად აქ სქესის, მდედრობითის აღმნიშვნელად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ის

¹ Мифологический словарь, Л. 1961, გვ. 212.

² Мифологический словарь, Л. 1961, გვ. 122.

³ ვერგილიუსი, ენეიდა. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რ. მიმინოშვილმა, თბ. 1976, გვ. 71, 324.

⁴ ვერგილიუსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ. 1951, გვ. 70.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1951, გვ. 66-67.

ამავე დროს აღნიშნავს მამრობითს. მისგან ნაწარმოები –კეში-ს, მაკარი-შე-ს (მამალი დაუკოდავი ღორი) სახით რომელიც კუროს იდენტურ ტერმინებად მიგვაჩნია და მისი პარალელურია მსხვილფეხა საქონლისათვის მაკერიშეს პარალელური ტერმინი ე-ტახ-ილი (სიტყვასიტყვით ატეხილი), რაც ტარ-ჭაბუკის სახის ღვთაებაში ნაყოფიერების კულტთან მიმართებაში ტარ-სიტყვებშიც უნდა ჩანდეს. ამავე დროს ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მეგრული სიტყვა სკიბუ (წისკვილის ქვის აღმნიშვნელი სიტყვა), რომელიც მრგვალი ქვაა და სწორედ სიმრგვალე უნდა იყოს მისი სახელწოდების ამოსავალი. სწორედ მსგავსი (მრგვალი) ფორმის კვრები უნდა იყოს მზის ანუ სიმრავლის სიმბოლო, რომლის შვილია აიეტი, ხოლო ხარი მზის ცხოველი. არგონავტიკაში კი გვაქვს იმის მინიშნება, რომ ქვედა სამყაროს გასანაყოფიერებლად გამოიყენება თაფლი, ხოლო ცეცხლისმფრქვეველი ხარები სწორედ ქვედა სამყაროდან (გამოქვაბული და სხვა) მოსული არსებები არიან. კ ძირის, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ ლექსემებში გამოყოფის შედეგად, კურო//კვრები//კურატი //კერ//მაკე//ოსკუ//კაბირი და შესაძლოა კულხა//კოლხი ერთი და იგივე წარმოშობის იყოს. ის ნაყოფიერების კულტთან არის კავშირში, რომელსაც განასახიერებს ხარი, რომელიც როდოსელის არგონავტიკაში გადმოცემულია მასთან შებრძოლების იდეური დატვირთვით. მისი ძირითადი სიმბოლო კი არის ოქროს საწმისი, ანუ იგივე ნაყოფიერების და მიწათმოქმედთა ანუ გეას ქვეყნის ძირითადი ღვთაებრივი ატრიბუტი.

კვრების იდენტურად მიგვაჩნია რუსული სიტყვა Корона - გვირგვინი, სამეფო გვირგვინი, Коронация - გვირგვინის დადგმა, მეფედ კურთხევა, Коронный - ხელმწიფისა, სახელმწიფო, Коронование - მეფედ კურთხევა და სხვა.

კერა//კვრების კავშირზე საყურადღებო მოსაზრება აქვს ნ. წულეისკირს. ავტორის თქმით, რა საჭირო იყო კერიის ქვებზე სიმბოლოების გამოსახვა? ძვებზე წერა ან ხატვა თავშესაქცევი საქმე არ გახლავთ. როგორც ჩანს ქართველ კაცს ჰქონდა რაღაც დიდი და წმინდა ტრადიცია, რომელსაც ვერ ელეოდა, რომელიც რწმენად, რელიგიად ჰქონდა ქცეული. ამიტომ ამზადებდა ასე საგულდაგულოდ კერას, კერის ქვას. წინაპრების მსგავსად რაღაც ნიშნები გამოჰყავდა მასზე. ყველაფერი, ავტორისავე თქმით, კი სწორედ იმ კვრების ბრალი გვეჩინა, აპოლონიოს როდოსელს რო აქვს ნახსენები არგონავტიკაში, როცა ახალმა რელიგიამ ახალი საუკუნეებში ახალი რწმენა, ახალი ცოდნა, ახალი წიგნი მოიტანა, ძველს, თავისთავად გამოეცალა საფუძველი, წინაპართა ნაწერი წიგნები, ახალი სარწმუნოების წიგნებმა შეცვალეს. ქართველმა კაცმა მამა-პაპური იადგარი მაინც ვერ გადააგდო, ვერ მოსპო, ვერ მოიშორა, თუმცა ძველი ფუნქცია დაკარგა და როგორც კვრები ქვა კერაზე შემოდო, ზედ ნაცარი მოაყარა და ცეცხლით დააგზნო საყვარელი ნივთი, მისი ბუდის ყველაზე საყვარელი ადგილის შემადგენელ ნაწილად აქცია. **კვრებს** ძველი აზრი და დანიშნულება დაეკარგა, ისინი კერიის ქვებად იქცნენ.

მეგრ. ყებური//კებური

ჭან. ო-კრებულე

სვან. ყვერბ.

ავტორისავე აზრით, ადამიანმა მამა-პაპათა სახსოვანი ძვირფასი კვრები – ქვაზე ნაწერი წიგნები, სალოცავიდან (ოხვამედან) შინ წამოიღო, დროთა განმავლობაში, გაუქმებული, უბრალო ქვა, მოიხმარა, როგორც საყოფაცხოვრებო ნივთი, გამოიყენა

ბრტყელი ქვა. თანდათან ამ „ქვამ“ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ და მხოლოდ კერიის ქვად – ყვერბად იქცა¹.

აღსანიშნავია, რომ რაჭაში სახნავად გასვლის წინ ცხვებოდა რამდენიმე რიტუალური პური კერია. მხენელი ერთ კერიას ხენის დაწვებამდე ხარებს ზურგზე გადაუსვამდა და შეაჭმევდა: მეორე კერიის განატეხს კი სახნავში წაიღებდა, იქ დაილოცებოდა: „ღმერთო, გაამრავლე სახნავ-სათესი, ამ ყანა-ველის მომხმარებელიო“ და კვერს შეჭამდა. იგივე იყო იმერეთში, რომელსაც ბასილა – კეტრი ერქვა².

ხარის კულტთან დაკავშირებით ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ სვანურ რელიგიურ გადმონაშთებში ნათლად გამოიყოფა ცის მფლობელი ფუსნაბუაშდიშის ანუ ხოშა ღერმეთის კომპლექსური ღვთაების სახით, რომლის კულტის შიგნით იმალება მზის და ხარის კულტი³. ხარის რიტუალებში მონაწილეობასთან დაკავშირებით კი ავტორს საკმაოდ ვრცელი მასალა მოჰყავს, კერძოდ, სვანეთში მკვლევლობის ყველა მომენტში, წყაროზე წასვლის დროს, კალოზე თოვლის „ზვინისა“ თუ „კოშკის“ გარშემო შემოვლისას, საბძლის, მარნის, ბედლის და სხვა სამეურნეო ნაგებობათა მოვლის დროს, სახლში კერის ირგვლივ შემოვლისას მკვლელს თან ახლავს ოჯახის საუკეთესო ხარი. ჯავახეთშიც ახალწელიწად დღით, როცა მკვლელს⁴ სახლში შედიოდა, მას თან ხარი შეჰყავს რქებზე დამაგრებული ანთებული ორი სანთლით. იქ მას თივას დაუყრიდნენ და ვაშლს გაუგორებდნენ - „ესეთი რგვალი წელიწადი მოგვეო“. „მერე რქით გაყვება ხარს ეს ანთებული სანთლები და, თუ ბაგამდე მიიტანა ეს სანთლები, გვეხარდებათ, რო ოჯახით ასე სრულად მივალთ წელიწადის ბოლოსაო“⁵.

ახალწელიწადის მკვლევლობის რიტუალში ხარი მონაწილეობს როგორც დიდი ღმერთის ცხოველი. ახალწელიწადის გარეშეც სვანების ძველ ყოფაში ხარი, ფუსნაბუაშის სახელწოდებით, დიდი ღმერთის რჩეულ და საყვარელ ცხოველად ითვლებოდა. ამავე დროს სვანებში გავრცელებული და დიდი ნაყოფიერების ძალით დაჯილდოვებული ხარებისა და ძროხების, ანუ უსხებისა (სვანურ უსხჰი//ჯისხჰ, მრ. რ. უსხჰი) და „მუხვების“ (მისხჰ, მრ. რ. მისხჰი)⁶ თაყვანისცემა არსებობდა; აქ მთავარი ადგილი შეწირულ ხარებს ეჭირა და მათი (ღვთობათა) უმრავლესობა პირდაპირ ხარის სახელს ატარებდა.

მისხჰი ღვთაება ფუსნა ბუხსდიას სახელზე შეწირულ ძროხას ეწოდებოდა. ვ. ბარდაველიძის აზრით, იგი, როგორც ჩანს, ოდესღაც წარმოდგენილი იყო, როგორც წარმომშობი ძალის შემცველი ღვთაებრივი ცხოველი. სვანების ძველი რწმენით, მისხჰ-ის დამაკება უსხებით დიდი ღმერთს სურვილის თანახმად ხდებოდა. გამანაყოფიერებელი ხარისა და ძროხის კულტი საგანგებოდ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ასახული იყო ერთ-ერთ გაზაფხულის დღეობაში, რომელსაც ლილჰშუნე (//ლილაშუნე) ეწოდებოდა და რომელიც დიდმარხვის მეორე შვიდეულის შაბათ დღეს ემთხვეოდა. ლილაშუნე დღიდან იწყებდნენ სვანები თესვისთვის მზადებას და ამიტომ მთელ მომდევნო კვირას ლილჰშუნე მშე ეწოდებოდა. თვით სიტყვა ლილჰშუნე – თესლობას ნიშნავს (ლრში – თესლი,

¹ ნ. წულეისკირი, მთისა და ბარისა, თბ. 1987, გვ. 9-11.

² ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 164-165.

³ В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, Вопросы этнографии Кавказа, Тб. 1952, გვ. 305.

⁴ ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953, გვ. 112.

⁵ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

⁶ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

ლილრში – დათესვა, ლილრშენე – თესლობა). ყველგან სვანეთში ამ დღეს მუშა საქონლისა და სამუშაო იარაღების გამოსახულების რიტუალურ კვერებს აცხობდნენ და მათ მოსავლის გამჩენ ღმერთს სწირავდნენ კარგი მოსავლისათვის ლოცვა-ვედრებით. მაგალითად, ქვემო სვანეთში ოჯახ-ოჯახ ცხვებოდა, ბრტყელი და მრგვალი კვერი, რომელსაც კალო ერქვა და რომელზეც გამოცხობის შემდგომ დააღაგებდნენ ხარების, სახნისის, თოხის და სხვა სამეურნეო იარაღების სახის კვერებს. შეწირვის შემდეგ ამ კვერებს ხვან-თესვაში მონაწილე მუშა მამაკაცები შეექცეოდნენ¹.

ვ. ბარდაველიძის სიტყვებით, სვანების რწმენა, რომ მისხჯის უსხებით დამაკება ფუნაბუასდიას სურვილისამებრ ხდებოდა, რომ ის ამაკებდა მისხჯს მაშინ, როცა უსხების ყოლა მოესურვილებდა, და ამგვარ რწმენასთან ერთად სვანეთში უფლის ხარის დაბადების საგანგებო დღესასწაულს (ფუსდბ ობნი ლითჯრლ) არსებობა აშკარად მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი რჩეული ხარი ჩვენი ხალხის ასტრალურ სარწმუნოებაში დიდი ღმერთისა ანუ სამყაროს პატრონისაგან წარმოშობილ ცხოველად იყო მიჩნეული².

ავტორი ასევე ხაზს უსვამს იმასაც, რომ მცხეთა-არმაზის გათხრების დროს აღმოჩენილ ნიშნებს, რომელიც ძვ. წ. 12-8 საუკუნეების დაბლაგომთან ახლოს აღმოჩენილთან პოულობს ანალოგიებს, იმეორებს ძველქართული ასომთავრული დამწერლობის □ (X)! ასოს, მასში ავტორი ხედავს ხარის რქებს და სახეს, რომელი გრაფიკა ქართული სიტყვის კარის სახელწოდებითაა ცნობილი³.

გ. ჩიტაიას აღნიშვნით, მასალები ხარის შესახებ სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების უძველეს საფეხურზე მიუთითებს. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხარი წარმოდგენილია მიწათმოქმედების ფუძემდებლად. ძველი კოლხები მამაკაცებს მალა ხეზე ჩამოკიდებულ ხარის ტყავში მარხავდნენ; სვანები წმინდა ბულა-ვისხვას მიაწერდნენ გამანაყოფიერებელ ძალას, ვისხვას კულტთან დაკავშირებული იყო რიგი აკრძალვებისა. არ შეიძლებოდა მისი ცუდი სიტყვით მოხსენიება, მისი თავისუფლების შეზღუდვა. მას არ კოდავდნენ და უღელში არ აბამდნენ. თავისუფად გაშვებული ვისხვა-ბულა ველურდებოდა. ამასთანავე საზოგადოება, სადაც იყო ვისხვა, თავს ავი სულებისაგან დაცულად თვლიდა. ვარაუდობდნენ, რომ ვისხვი ცხოველთა გამრავლების, წველადობისა და ყოველგვარი ღოვლათის გადიდებას უწყობდა ხელს⁴.

ე. ანტონოვას აზრით, ძველი კრეტის რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები განსაკუთრებულ ურთიერთმსგავსებებს ამჟღავნებენ ჩათალ-ჰუიუქის მომცრო სკულპტურებსა და სამლოცველოების მოწყობის ფორმებში. კრეტაში სამლოცველოების ფასადებზე, საკურთხევლებზე, სახურავზე ხარის რქების გამოსახვა მიუთითებს მის საკრალურ მნიშვნელობაზე. ეს კი არ შეიძლება განხილულ იქნას იზოლირებულად კრეტასა და საბერძნეთში ხარების გამოსახულებებთან, ყველაზე უფრო ხშირად ხარებთან თამაშის სცენების სახით, რომლის გადმონაშთები ხარის მსხვერპლშეწირვის ფორმით დღევანდელ საბერძნეთშიც შემორჩა. ხოლო მათი თავის ქალების და რქების შენახვა მიუთითებს მის აღორძინების იდეის მატარებლობაზე: გამომდინარე აქედან, ავტორისავე

¹ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

² ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

³ В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 317-318.

⁴ გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ. 1959, გვ. 159.

აზრით, ხარი თავის თავში აერთიანებდა წარმოდგენებს სიკვიდლსა და აღორძინებაზე, რაც აისახა დიონისე ზაგრეის სახეში. ასეთივე გავრცელებული მოტივი, როგორც რქებია, იყო ლაბრისი (მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილი ნაჯახი), რომელიც გამოსახული იყო ქაღალთაების თავზე რქების შუა. რამდენადაც ლაბრისი მცირე აზიაში იყო ქეჭა-ქუხილის ღვთაების ატრიბუტი, მას თვლიდნენ მინიოსური ღმერთხარის სიმბოლოდ¹.

ხარის კულტთან და მის მაგიურ ძალასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია თანამედროვე ესპანეთში ცნობილი სპორტული სანახაობა კორიდას სახით, რომელიც, ძველ ადრესამიწათმომქმედო კულტურებსა, ასევე კრეტა-მიკენურ, და რაც მთავარია, ქართველურ ტომთა გარკვეული ნაწილის ეთნოგრაფიულ ყოფაში იქნა ფიქსირებული და ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურაში მერგული ფორმით - „კურული“-ს სახელწოდებით დამკვიდრდა².

ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს კორიდა//კურულის ფორმების კვლევა, არამედ ზემოთ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გვინდოდა წარმოგვეჩინა ხარი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალის მქონე არსება, რომელიც კერასთანაა მჭიდრო კავშირში. ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსული კულტურის კერის ზესადგარები, რომელიც ხარის ფორმისად არის მიჩნეული და რომელიც კავშირშია მზის კულტთან, შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, კოლხურ და ხმელთაშუაზღვისპირული ხარის კულტთან პოულობს საერთოს, რომელიც გვაძლევს საშუალებას ამ კულტურათა მატარებელი ტომების ნათესაობაზეც ვისაუბროთ. ვფიქრობთ, კერა უნდა ყოფილიყო დედათა სქესის ღვთაება და ამ მხრივ მისი მზესთან (ცეცხლი=მზე) კავშირი უეჭველია რომლის გამანაყოფიერებლად გამოდის ხარი ანუ კურო, როგორც მამაკაცი თვისებების ანუ სქესის მატარებელი არსება. ამ ნაყოფიერების აქტის შედეგად კი ხდება დედამიწის განაყოფიერება, მისი ყოველწლიური აღდგენა-განახლება.

მართლაც ძველ კრეტაში ფიქსირებულ კურულის მსგავს რიტუალში მთავარ მოქმედ პირად (აკრობატი) ხარებთან თამაშისას გამოდიოდა ქალი, ხოლო მამაკაცი მხოლოდ დამხმარეს როლს თამაშობდა, რომელიც მატრიარქატის და ქალის კულტის უპირატესობაზე მეტყველებს³. ასეთივე თამაშობები ქალის მონაწილეობით არსებობდა ტრიპოლის კულტურაშიც, სადაც ქალი ხართანაა უწვევტ კავშირში, რაც რიტუალურ-მაგიური ფუნქციის მატარებელი იყო და უზრუნველყოფდა გვარების კეთილდღეობას⁴. ასევე მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი იყო ის, რომ ამ ქმედებით ანუ ქორწინების საკულტო თეატრალიზებულ ცერემონიებში ერთი მხრივ მონაწილეობს უზენაესი ქურუმები „პასიფაი“ და „მინოტავრი“. ამ საკულტო „ქორწინების ცერემონიალის უმთავრესი შინაარსი იყო მიმიკური ინსცენირება მაწარმოებელი აქტისა ტომის

¹ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

² В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, Вопросы этнографии Кавказа, Тб. 1952; იხ. ი. მეგრელიძე, ტორუადორობის კვალი საქართველოში, საბჭოთა ხელოვნება, I, თბ. 1059; იხ. ვ. შამილაძე, კორიდის ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ. 1978. იხ. ლ. მაძღარაშვილი, კურული ქართველ ტომებში, კრ. აია, თბ. 1991; იხ. ვ. შამილაძე, კორიდის ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ. 1978.

³ А. Н. Дальский, Театрально-зрелищные действия на Крите и в Микенах, во II тысячелетии до нашей эры, М. 1937, гв. 132.

⁴ А. Н. Дальский, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

ნაყოფიერების მიზნით და პირველ რიგში მსხვილფეხა საქონლის კეთილდღეობა¹, რომელიც უკავშირდება ფალოსის კულტს².

რ. კაიუას თქმით, მინოსის მეფე, გაიგივებული ღვთაებრივ ხართან, რომელიც ცნობილი იყო აზიაში ძვ. წ. IV ათასწლეულიდან – არის მონოტავრის ცოცხალი განსახიერება: ის ყოველივე ბედნიერების მიზეზია, მისი შეხებაც სახიფათოა, ის ერთდროულად ღმერთიც არის, ურჩხულიც, ღმერთების ნებით ნარჩევი, ის მეფობს ცხრა წელი. როდესაც სრულდება მაგიური ციკლი იღვევა უზენაესი ენერგია, მაშინ ის აღის წმინდა მთაზე, რომ იქ შეხვდეს ღმერთს, რომელთანაც საიდუმლო კავშირშია. ის მასთან შეერთების შედეგად აღიდგენს თავის ღვთაებრივ გამოლეულ ძალას და ის თვით მონოტავრის გამოქვაბულშია – ღვთაებრივ ლაბირინთში³, რომელთან მიმართებაშიც მისი კნოსოსის სასახლე არაფერია თუ არა ადამიანის ტრანსფორმაცია. დგება სიკვდილის წუთი და ღმერთის აღდგომა და ამ წუთას ირგვლივ ყველაფერი ირხევა, იღუპება და აღდგება. რომ ხელი შეუწყონ ყოფიერების უწყვეტობას, მთელს კუნძულზე მსხვერპლს სწირავდნენ. მინოსი ან საუკუნოდ ქრება გამოქვაბულში, ან ისევე ეშვება წმინდა მადლობიდან, აღსავსე ენერგეტიკული ძალით ახალი ცხრაწლიანი კიკლისთვის. ავტორისავე აზრით, როგორც ჩანს შემთხვევა მოითხოვდა ადამიანის მსხვერპლშეწირვას, რომლისთვისაც გამოიყენებოდა შვიდი ყმაწვილი და ქალიშვილი ცხრა წელიწადში ერთხელ. თვითონ ეს კნოსოსის სასახლე წარმოადგენს თეორიულ ლაბირინთს, რომელიც მორთული იყო labry-ით ორპირი სამსხვერპლო ნაჯახით, რომლის გამოსახულებაც გვხვდება მის კედლებზე. ის აცილებს მიცვალებულს საფლავში, რომ საიქიო სამყაროს ხიფათისგან იხსნას; ამ სახემ კავკასიაში მიიღო ორპირი მახვილის ფორმა, რომელიც გახდა წმ. გიორგის სახე. ეს ორპირი ნაჯახი (იგივე წმ. გიორგის შუბი – დ. ჭ.) წარმოადგენს საკრალურის უმაღლესი შედეგებს, ეს იარაღია, რომელიც კლავს ღვთაებრივ ხარს. ეს ქურუმის უძველესი იარაღია, რომლის ძალითაც მას გადმოაქვს ვაჟკაცური ენერგია ღმერთისა ცხოველიდან ადამიანისადმი. ავტორისევე აზრით, ამავე ნიშნით ხდება ხარებთან სადღესასწაულო შერკინება – სახიფათო თამაში ღვთაებასთან, რომლის მიმართ შესაძლოა აძალებდნენ მიღებულ მსხვერპლს ახალგაზრდების სახით. ერთ-ერთი კნოსოსური ფრესკა ნათლად გვაჩვენებს, რომ ახალგაზრდა გოგონა ხარის წინ თითქმის შიშველი დგას. ისინი ასრულებენ სახიფათო იღეთებს⁴. მსგავსი აკრობატული ორთაბრძოლები, რ. კაიუას აზრით, წარმოადგენდა ღმერთისადმი ზიარებას, რომელიც ორმხრივად იყო გაფეროვნებული სიხარულით და რისკით. მეორე მხრივ აქ ჩანს ნაყოფიერების იდეა. მსგავსი სახით ზევსის შეერთება პასიფისთან და ევროპის მოტაცებას უკავშირებენ იეროგამოს უძველეს რიტუალებს ღმერთ-ხართან, როდესაც ქურუმი ქალი სიმბოლურად ან რეალურად ნებდებოდა ცხოველს, რომ უზრუნველყო ნაყოფიერება მიწისა, მაშინ როდესაც ინდოეთში ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა ცხენთან, ხოლო ეგვიპტეში ღმერთ მანის წმინდა თხასთან. ამავე დროს კურეტიები ყოველ წელს ეხმარებოდნენ კრეტელ ზევსს აღორძინებაში და იმ მომენტში, როდესაც

¹ А. Н. Дальский, *dasax*. ნაშრომი, გვ. 145.

² А. Н. Дальский, *დასახ*. ნაშრომი, გვ. 146.

³ Р. Кайуа, *Миф и человек, человек и сакральное*, М. 2003, გვ. 114.

⁴ Р. Кайуа, *დასახ*. ნაშრომი, გვ. 115.

ითვლებოდა, რომ იღვრება ღვთაებრივი საგვარეულოების სისხლი, გამოქვაბულიდან გამოვარდებოდა ნათელი ცეცხლი. ყოველივე ეს არის ნაყოფიერების რიტუალის ნიშნები¹.

როგორც აღნიშნულია, ჰროზნი ირწმუნებოდა, რომ ხარებთან შერკინება ერთგვარი გამოძახილია გილგამეშის შუმერთა გმირების ხარებთან ბრძოლის ტრადიციისა (ამ ბრძოლების სცენები სამარადჟამოდ აღბეჭდილა შუმერულ-ბაბილონურ ძეგლებზე – მხატვრული განსახიერება ადამიანისადმი ხარის დამორჩილებისა). ეს რიტუალები ხმელთაშუა ზღვის გავლით შეიტანეს კავკასიელმა ტომებმა პირინეის ნახევარგუნძულზე². ადრე ხარებთან თამაშის ცერემონიალი აგრარულ-რელიგიური კალენდრის წლიური ციკლიდან გაზაფხულის შეხვედრისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში იყო წარმოდგენილი³.

ე. ანტონოვას აზრით, ჩათალ-ჰუიუქის ქალღვთაების მიერ ხარის დაბადება შესაძლოა გულისხმობს ციური ღმერთის წარმოშობას მომავალში. შესაძლოა პილასტრები და ბოძები, რომლებიც წითლადაა შეღებილი განსახიერებენ ბოდს, რომელსაც ეყრდნობოდა ცა. ხარის თავები განთავსებული ამ ბოძებზე შესაძლოა გვამცნებენ, რომ ხარი დაკავშირებულია მათთან, რომ მისმა გამოჩენამ გამოიწვია ბოდის დადგმა, რომელიც აკავებს ცას⁴.

კრეტის მითოლოგიური მასალა ასახავს ხარის კავშირს მამაკაცურ ღვთაებასთან. ფესვები, რომლებიც რქის ძირიდან იზრდება ითვლებოდა აღორძინების სიმბოლოდ. ამდენად ხარი თავის თავში აერთიანებდა წარმოდგენებს სიკვდილზე და სიცოცხლეზე დიონისე-ზაგრეის მსგავსად. იმავე გავრცელებული მოტივს წარმოადგენს ლაბრისი. მცირე აზიაში ლაბრისი ნაჯახი იყო ჭექა-ქუხილის ღვთაების ატრიბუტი, ამიტომაც ის ითვლებოდა მინოსური ღმერთ-ხარის სიმბოლოდ⁵.

ე. ანტონოვას აღნიშვნით, თაყვანისცემის ობიექტი კრეტაში ასევე იყო ბოდ-კოლონები. ჰერალდიკური ტიპის სამწვერა კომპოზიციებში, რომელიც გავრცელებულია საბეჭდავებზე, კოლონას უკავია ცენტრალური მდგომარეობა, სადაც, ავტორისავე აზრით, ასევე შეიძლება იმყოფებოდეს ქალღვთაება ან ე. წ. გენია. ერთ შემთხვევაში მის წვერზე გამოსახულია ხარის რქები. გამოთქმული მოსაზრებით, შესაძლოა კრეტაში ბოძი განიხილებოდა ხის კულტივირებული ვარიანტი, რომლის კულტი უდაოდ არსებობდა ამ კუნძულზე და აერთიანებდა ექსტატიკურ ცეკვებს. ბოდ//ხეს ეთაყვანებოდნენ ქალებიც და კაცებიც. ის ფიგურირებს როგორც სადღესასწაულო ისე სამგლოვიარო სცენებში⁶.

ყველაზე არქაული ფორმით ხარის კულტი, კერასთან, როგორც მაშინდელ ძირითად ტაძართან კავშირის სახით, ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში ე. წ. ხარის რქების მსგავსი შეფერილიანი კერის ზესადგარების ფორმით, რომელიც დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტთან და მიწათმოქმედების ღვთაებასთან, როგორც მტკვარ-არაქსელთა ძირითად საქმიანობასთან. მისი ევოლუცია უფრო დახვეწილი და შესაძლოა სახელმწიფოებრივ

¹ P. Кайуа, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

² შ. ძიძიგური, მოგზაურობა ბასკეთში, თბ. 1977, გვ. 22.

³ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

⁴ E. B. Антонова, О характере религиозных представлений неолитических обитателей Анатолии, культура и искусство народов Средней Азии в древности и в средневековье, М. 1979, გვ. 33.

⁵ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁶ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

დონეზე სარწმუნოების რანგში აყვანილი ფორმით, ჩემი აზრით, უნდა მომხდარიყო კოლხურ კულტურაში.

ხარისა და კერის კავშირზე მიუთითებს შუაცეცხლის ადგილის აღმნიშვნელი ქართველური სახელწოდებები ყებერი//ყებერი//ყუერბი. მისი იდენტური კერა//კერიე და სხვა, რომელიც კავშირს ავლენს მეგრულში დაუკოდავი ხარის აღმნიშვნელ სიტყვასთან კურო, რომელი უკანასკნელიც თავდაპირველად სქესის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო; ამაზე მეტყველებს მისი მსგავსი, მამრობითობის აღმნიშვნელი სიტყვები კოტ, კოტა, კუტუ, რომელიც ფალოსს აღნიშნავს და თვით ფალოსის კულტის რწმენასთანაა კავშირში ანუ ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალასთან და ის ფართოდ იყო გავრცელებული ქართველურ ტომთა უდიდეს ნაწილში.

კერა//ყებერ//ყუერბთან და შესაბამისად კუროსთან მიმართებაში, როგორც ფალოსის და სიძლიერის სიმბოლოსთან მიგვაჩნია დაკავშირებული. ანტიკური წყაროების კვრებში ძველ კოლხეთში, რომლებიც, ჩვენი აზრით, სვეტის ფორმის საკულტო ნაგებობებს წარმოადგენდნენ. ის მჭიდრო კავშირშია კერის და ფალოსის კულტთან და მიწათმოქმედების ღვთაებასთან, რომელზეც მიუთითებს როგორც თვით მისი სახელწოდება – კურიბი (=კერა//კებურ//კურო), ისე წყაროებში ფიქსირებული მათი ფორმა და დანიშნულება. კურიბები წარმოადგენს მაგიური წარწერების შემცველ მაღალ სტელებს, რომელთაც თავზე აქვთ მრგვალი გვირგვინი. ეს მიუთითებს ფალოსის კულტზე, რომელიც კავშირშია ხართან, ხოლო მის თავზე აღმართული მრგვალი გვირგვინი მზის სიმბოლოა. ამ შემთხვევაში ფალოსი აკავშირებს მზეს და დედამიწას ანუ კერას (ყებურ//ყუერბს, მის მრგვალ ნივთს, რომელიც თავთან არის დადებული), რომლის საშუალებითაც ხდება მათი განაყოფიერება და სასურველი მოსავლის მიღება. არქაული ფორმით ეს რწმენა-წარმოდგენები ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში შვერილიანი ხარის ფორმის კერის ზესადგარების სახით, რომელი უკანასკნელიც არის კერის გამანაყოფიერებელი ფალოსი, ხარის სიძლიერესთან და მის ფალოსთან ასოცირებული საგანი, რომლის ძალითაც ხდება მისი მზესთან კავშირი. ეს რწმენა მთლიანად აგრარულ კულტთანაა დაკავშირებული. ის მტკვარ-არაქსელთა მიწათმოქმედების განვითარების მაღალი დონის მაუწყებელია და სრულ შესაბამისობაშია კულტის თვალსაზრისით.

ზემოთ წარმოდგენილი რწმენა-წარმოდგენათა ევოლუციის თვალსაზრისით შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა გარკვეული ტოტემისტური ჯგუფების კოლხურ სამყაროში მიგრაციის შესახებ. ამავე დროს, ხარის კულტი თითქმის იდენტური ფორმით გვხვდება ეგეოსურ და დასავლეთის იბერიულ სამყაროში ესპანურ-ბასკური კორიდის სახით, რომლის იდენტური გვგონია დასავლურ-ქართული „კურული“. ამ ნიშნით გვაქვს იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალება, რომ მტკვარ-არაქსელების მიგრაცია ევროპის ტერიტორიაზეც მომხდარა. მტკვარ-არაქსელების ანუ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სუბარელ//იბერიელების შესაძლო დანატოვარია დღევანდელი ბასკები ესპანეთში, რომელთა ქართველურ სამყაროსთან ნათესაობაზე საუბარი ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია. ამავე დროს სუბარელი ანუ მტკვარ-არაქსელი მელითონე ტომების, ანუ თუბალ-კაინების შესახებ ხსოვნას უნდა შეიცავდეს აპოლონიოს როდოსელის მითიური გადმოცემა აიეტ მეფეზე, რომელსაც ჰეფესტომ სპილენძის ფეხებიანი მძლავრი ხარები გამოუჭედა და ასევე სპილენძის გუთან

აჩუქა. შორეული პარალელებს კი როდოსელის არგონავტიკაში ასახული ხარებთან ბრძოლის სცენა, შუმერული გილგამეშის ეპოსთანაც პოულობს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობში არ ვრცელდებოდა, ვფიქრობთ ამ მიმართულების საკვლევ ბევრია. შესაძლოა თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე მტკვარ-არაქსი კოლხეთში მართლაც არ გავრცელებულა, თუმცა ადგილზე ამ კულტურის ჩაქრობის შემდგომ შესაძლოა ამ ტომების გარკვეული ნაწილი ინაცვლებს კოლხეთის ტერიტორიაზე და იქ ადგილობრივ ტომებთან შერევის შედეგად ქმნის სრულიად ახალ, მაღალი დონის ბრინჯაოს კულტურას. იმდროინდელი კოლხეთის მოსახლეობის და მტკვარ-არაქსელთა შეხვედრის ადგილი კი დღესდღეობით არქეოლოგიურად გამოკვეთილად არის ფიქსირებული და როგორც აღნიშნულია იმერეთის ტერიტორიაზე, ზემო ყვირილის აუზის გორა-ნამოსახლარები აშკარად მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნებიან, თუმცა გარკვეულწილად დასავლური კულტურის ნიშნებსაც ატარებენ. ასეთია პირველ რიგში დაბლაგომი. ასევე არგვეთის ნამოსახლარი. ძირითადი მსგავსება არის კერამიკულ მასალებში¹. როგორც აღნიშნულია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაბლაგომის ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსის გავლენა უფრო ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება, ხოლო შემდეგ მას დასავლური კოლხური ადრებრინჯაოს კულტურა ფარავს, რომელიც უფრო მოგვიანოა².

გ. ფხაკაძის აზრით, დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლართა კერამიკა იმის მახვენებელია, რომ ამ ტერიტორიაზე ხდებოდა ორი კულტურის შეხვედრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოსი. იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ ორი კულტურას გარკვეული მონაცვლეობასაც ქონდა ადგილი, ჯერ მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში იყო ეს ტერიტორია მოქცეული, უფრო გვიან კი დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს კულტურა ფარავს მას. საჩხერის მასალები კი კიდევ უფრო ორგანულადაა დაკავშირებული მტკვარ-არაქსის კულტურასთან (თრიალეთის, ქვაცხელის, ხიზანანთგორის მასალებთან). ამავე ძეგლის (საჩხერე) მასალების სიახლოვე აშკარაა შიდა ქართლის ძეგლებთან³.

ზემოთ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე მტკვარ-არაქსელთა კოლხურ კულტურასთან ინტეგრირების ან თვით კოლხების სუბარელობის დამადასტურებელი სხვა მონაცემებითაც ჩანს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური კულტურის მიგრაციას დასავლეთ საქართველოდან ვარაუდობენ საცხოვრებელი ნაგებობების ფორმათა შესწავლის საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია რელიეფური სარტყელების თითის ანაბეჭდები, რომელიც ჩანს ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის იორ-ალაზნის ბასეინის კერამიკაში. ის ერთ პერიოდში წყვეტს არსებობას, თუმცა მერე ისევ ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოს, რომელმაც მოგვიანებით ყველაზე უფრო მეტად ჰპოვა განვითარება ძვ. წ. XX-XXIII-XX და ძვ. წ. XVI საუკუნეების კოლხურ კერამიკაზე. ამავე დროს მტკვარ-არაქსის კულტურაში ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლო ნათლად არის გამოკვეთილი,

¹ გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსის და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ. 1978, გვ. 4-5.

² გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

³ გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

რომელიც მოგვიანებით ბრინჯაოს გრავირებული სარტყელებისა და კოლხურ-ყოზანური ცულების მხატვრული დეკორის ყველაზე პოპულარულ სახეებს წარმოადგენდა.

2. მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპი და ყორღანული კულტურა

დაახლოებით ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის ბოლო მესამედსა და II ათასწლეულის ბოლო მესამედში თრიალეთის პლატოზე გავრცელებას იწყებს პირობითად ახალი კულტურა, რომლისთვისაც დაკრძალვის ახალი რიტუალია დამახასიათებელი. საერთოდ ამ კულტურის ნივთიერი მონაპოვრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასული საზოგადოება ჩანს, ვიდრე ეს არის მტკვარ-არაქსში.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოსული ახალი თავისებური კულტურისათვის სრულიად განსხვავებული დაკრძალვის წესია დამახასიათებელი, ანუ ეს არის ინდივიდუალური ყორღანული სამარხები¹. ამ კულტურას თავის დროზე ბ. კუფტინმა „თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“, უწოდა².

როგორც აღნიშნულია, თრიალეთის ყორღანული კულტურა მოიცავს თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე მხარეებს. მისთვის დამახასიათებელია ყორღანული დაკრძალვის წესი, ორმოიანი და მის გარეშე. ზოგიერთი ვრცელი „დასაკრძალავი დარბაზები“-თ³ კეთდებოდა ზურტაკეტის პლატოს დიდი ყორღანები მაღალი ქვაყრილებით, რომლის ცენტრშიც მდებარეობდა უზარმაზარი დასაკრძალავი დარბაზები. მისი კედლები ამოყვანილი იყო ფილებით. რამდენაღმე განსხვავებული სახის იყო მესხეთის ყორღანები. აქ ყორღანის ცენტრში იგებოდა კამერა დიდი ქვის ლოდებისაგან, რომელიც იხურებოდა დიდი ფილებით. ზოგიერთ შემთხვევაში მიცვალებულს ასაფლავებდნენ ხის ეტლთან ერთად. ზოგიერთი ოთხთვალა ეტლი, რომელსაც თავისი კონსტრუქციით ძველადმოსავლურს ამსგავსებენ, ნაპოვნი იყო თრიალეთის ყორღანებში. ერთ-ერთ ეტლზე გამოსახული იყო ხარის თავი. გამოთქმული მოსაზრებით, თრიალეთის კერამიკის ფორმა მთლიანობაში ძალიან განსხვავდება ადრინდელისგან⁴.

აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის სამხრეთის ნაწილები თრიალეთის კულტურის ხანაში უეჭველად იმყოფებოდნენ საკმაოდ ინტენსიურ ურთიერთობაში მაშინ არსებულ ორ მძლავრ ძველადმოსავლურ სახელმწიფოებთან ხეთების სამეფოსა და მითანის სამეფოსთან⁵.

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, მითანის სამეფოს მოსახლეობა ცნობილია ხურიტების სახელწოდებით, რომლებიც დიდ ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ ძვ. წ. II ათასწლეულში (ზაგროსის მთიანეთში, თანამედროვე ერაყის ქურთისტანი). ისინი ნათესაობაში იყვნენ ურარტულ ტომებთან და სახლობდნენ ვანის ტბის ირგვლივ ვრცელ ტერიტორიაზე. ხურიტებს ეკავათ ზემო მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცხოვრობდნენ სირიისა და

¹ ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 136.

² ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1941.

³ О. М. Джапаридзе, Художественное ремесло в древней Грузии, Древний Восток и мировая культура, М. 1981, გვ. 32.

⁴ О. М. Джапаридзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

⁵ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 165.

პალესტინის ტერიტორიაზე. ხოლო მათი სახელმწიფოს შემადგენლობაში (მითანი, ხური-მითანი) სხვა მხარეებთან ერთად (სირია, ასირია – ზემო მესოპოტამიაში), ტიგროსის მითანეთის ნაწილი) შევიდა ვანის ტბის მიმდებარე მხარეები სადაც შემდგომ ურარტუს სახელმწიფო წარმოიშვა და სავსებით მართებულად მიგვაჩნია ის მოსაზრება, რომ მათი მფლობელობა უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა და უშუალო შეხება ჰქონდათ კულტურულად და ეთნიკურად თრიალეთის კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან¹. ხურიტული ტომები ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით ქართველურთან და კავკასიურ ძირითად ეთნიკურ ბირთვთან ახლო მდგომი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, მას შემდგომ, რაც მათ სუბარულ-იბერიული ანუ ჩვენს მიერ მტკვარ-არაქსულად მიჩნეულ ტომებთან განიცადეს შერევა. ამ ნათესაობას ქართველურ-კავკასიურ ერთობასთან ონომასტიკური და ეთნოტოპონიმიკური მასალის თანხვედრაც გვაგარაუდებინებს².

არქეოლოგიური მასალის საფუძველზე მეცნიერებმა წამოაყენეს ვარაუდი, რომ ზემო მესოპოტამია იყო (ხაბურის ველზე მდებარე ტერიტორია) ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომების ძირითადი საცხოვრებელი რაიონი, ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მითანის სამეფოს (რომლის ძირითადი მასა უკვე ინდოევროპელების მონათესავედ ითვლება – დ. ჭ.) ცენტრი. გამოთქმული ვარაუდით, ხურის ტომთა ძველი არქეოლოგიური კულტურა ახლოს დგას ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში ამუკის ველზე აღმოჩენილ ე. წ. „ხირბეთ ქერაკის“ კულტურისა და ამიერკავკასიაში ქართლში გავრცელებულ მტკვარ-არაქსის კულტურასთან³.

როგორც ზემოთ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური საკითხების განხილვის დროს აღვნიშნეთ, მსგავსი მოსაზრებები ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად, მხედველობაში გვაქვს ხურიტების გაიგივება მტკვარ-არაქსის მატარებელთან, რამდენადაც ხურიტები მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე ჩანან ამ ტერიტორიებზე და მათ ადგილობრივი ტომების სახელწოდების მიხედვით დაერქვათ სუბარები, რომელი უკანასკნელიც ამ რეგიონის ავტოხტონებად და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლებად მიგვაჩნია. რაც შეეხება მტკვარ-არაქსის კულტურის ხირბეთ-ქერაკის ვარიანტს, სწორედ რომ ხურიტების აქ გამოჩენას უნდა მოედო ბოლო ამ კულტურისათვის და შესაძლოა საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მისი გავრცელების ცალკეულ არეალებში, რა თქმა უნდა სხვა მომთაბარე ინდოევროპული ტომების აქტიური მონაწილეობით არ არსებობს იმის არანაირი საფუძველი, რომ ხირბეთ-ქერაკის კულტურა (და მტკვარ-არაქსი) ხურიტებს მივაკუთვნოთ.

გამოკვლეულია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში პირველი უძველესი ყოღანები წარმოიქმნა ჯერ კიდევ 4-3 ათასწლეულში ჩვენს ერამდე კასპისპირა და შავიზღვიპირეთის სტეპებზე, კავკასიისპირეთში (მაიკოპის კულტურა) და ამიერკავკასიაში (მტკვარ-არაქსის ენეოლითი). ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში ყოღანები

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 165.

² იხ. დ. ჭითანავა, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის. კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, თბ. 2005, ტ. VIII. იხ. მისივე, დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ. 2003, ტ. VII; იქვე იხ. მითითებული ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ გ. გიორგაძე, ხური-მითანის სამეფო, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1971, გვ. 232.

გავრცელებას იწყებს მცირე აზიაში, ყორღანები ფართოდ ვრცელდება ყველა კონტინენტზე ავსტრალიის გარდა. ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიაში. ყორღანებს გვიან შუა საუკუნეებამდეც კი მართავდნენ¹.

ოთ. ჯაფარიძე არქეოლოგიურ კულტურაში მკვეთრ ცვლილებებს მხოლოდ საზოგადოების შიგნით მომხდარი ცვლილებებს არ მიაწერს და აღნიშნავს, რომ აქ გარედან მომდინარე ფაქტორებს უნდა შეესრულებინა გარკვეული როლი. ავტორის აზრით, ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის ჩრდილოეთით თანდათან აქტიურდებიან მესაქონლე ტომები, რომლებიც შორს დასავლეთით ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირა მხარეებს აღწევენ. ამიერკავკასიაში კი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში (მტკვარ-არაქსის დასუსტების შემდგომ) ჩნდება სწორედ ადრეყორღანული სამარხები, რომელიც ავტორისავე აზრით, ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო დაკავშირებული, თუმცა იქვე დასძენს, რომ ყორღანულ სამარხებში გამოვლენილი კულტურა უპირატესად ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული². ვფიქრობთ, აქ გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებასთან გვაქვს საქმე.

ოთ. ჯაფარიძის აზრით, ამიერკავკასია, რომელიც წინააზიური სამყაროს ჩრდილო პერიფერიული რეგიონი იყო, ქვის ხანიდან მოკიდებული, უფრო მეტად სამხრეთთან იყო დაკავშირებული. ეს ტრადიცია, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, მტკვარ-არაქსის კულტურის დროსაც გრძელდებოდა. მაგრამ, მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, როდესაც ირღვევა თითქმის მთელ ცირკუმპონტურ ზონაში ადრებრინჯაოს ხანის კულტურების სტაბილური ხასიათი, ავტორის აზრით, ვითარება საგრძნობლად იცვლება, რასაც შედეგად ამიერკავკასიაში საზოგადოების შიგნით მნიშვნელოვანი ძვრები მოყვა, საზოგადოება განვითარების ახალ, განსხვავებულ გზას დაადგა, არქეოლოგიურად ეს ადრებრინჯაოს ხანიდან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურია, რომელიც მტკვარ-არაქსისა და „თრიალეთის დიდი ყორღანების“ ბრწყინვალე კულტურებს შორის ექცევა. მისივე თქმით, ეს სრულიად ახალი მოვლენაა, რომელსაც, მართალია, ზოგი რამ წინარე პერიოდიდან შემორჩა, მაგრამ უკვე საგრძნობლად დაშორებული მას. ცვლილებები შეეხო საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. საფუძველი ეყრება სრულიად ახალ ტრადიციებს და საერთოდ ეთნოკულტურულ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გარდატეხები შეინიშნება. იცვლება ორიენტაციის სფერო, სუსტდება კავშირები სამხრეთის ზონებთან და პირიქით, ძლიერდება ურთიერთობა ჩრდილო რეგიონებთან. ავტორი მიიხევს, რომ მკვეთრი კონტრასტი განსაკუთრებით საზოგადოების ცხოვრების ხასიათში გამოიკვეთა. ახლად ჩამოყალიბებული სისტემა საკმაოდ მყარი გამოდგა. მომდევნო ხანაში, თრიალეთის კულტურის დროს თითქოს კვლავ ძლიერდება ურთიერთობა წინააზიურ სამყაროსთან, რაც სათანადოდ აისახა კიდევ კულტურაში, მაგრამ ცხოვრების საერთო ხასიათზე ამას გავლენა მაინცდამაინც არ მოუხდენია და საზოგადოება ადრეყორღანული კულტურის დროს ჩამოყალიბებული წესით განაგრძობს არსებობას³.

¹ А. Л. Монгайт, Курган, Советская историческая энциклопедия, т. VII, М. 1965, ст. 307.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136-137.

³ ოთ. ჯაფარიძე, ქართული ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა), თბ. 1998, გვ. 5.

ადრეყორღანული კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დღეს ცნობილია მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში აზერბაიჯანსა და საქართველოში; უფრო სამხრეთით არარატის ველზე და მის მიდგომ მხარეებში ამ კულტურის ნაკვალევი ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. ყორღანები ამიერკავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში არ გვხვდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის გავრცელების უკიდურესი საზღვარი თითქმის ლიხამდე აღწევს¹.

ადრეყორღანული კულტურა თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. უადრესი ყორღანები ცნობილია წალკის პლატოზე თრიალეთში, თბილისის მახლობლად მარტყოფში და სამგორის ველზე².

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ III ათასწლეულში აზერბაიჯანში (უჩ-თეფე) უკვე არსებობდა უდიდესი ყორღანული სამარხები, ისეთები, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის ჩრდილო კავკასიისათვის³.

უჩ-თეფეში აღმოჩენილი ყორღანის ადრეული საფეხური (სადაც ყორღანული დაკრძალვის ფორმა ახ. წ. VII საუკუნემდე გრძელდება) მოიცავს მონაკვეთს მტკვარ-არაქსის ენეოლითსა და შუა ბრინჯაოს პერიოდამდე⁴.

ჩრდილო კავკასიაში, ყობანში აღმოჩენილი ყორღანების თარიღი ჯერ კიდევ დისკუსიის საგნად რჩება. ავტორთა ერთი ნაწილი მათ მიაკუთვნებს სპილენძ-ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპს, ხოლო სხვები მას სკვითებამდელ დროს ანუ სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის დასასრულისად მიიჩნევენ. აბსოლუტური დათარიღება მკვლევართა ერთი ჯგუფისათვის (ჩაილდი, კონტენო და სხვ.) მერყეობს IV ათასწლეულის დასასრულიდან დაახლოებით 1500 წლამდე ჩვენს ერამდე. ამასთან, ის ავტორები, რომლებიც სპეციალურად იკვლევდნენ ამ საკითხს მათ აკუთვნებდნენ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულს (როსტოვცევი, შმიდტი), ზოგი III-II ათასწლეულების მიჯნას (იესენი, განჩარი), ან II ათასწლეულის პირველ ნახევარს (ტალგერენი), ასევე ზოგადად II ათასწლეულს (ბ. ვ. ფარმაკოვსკი), ხოლო სხვა ავტორთა მოსაზრებით (დაგენ-კოვალევსკი, არტამონოვი), „დიდი ყორღანების“ თარიღს განსაზღვრავენ II ათასწლეულის ბოლო ასწლეულით ძვ. წ. VII საუკუნემდე⁵.

თრიალეთის ყორღანებისა და ყუბანის ყორღანების არქეოლოგიურ ურთიერთმიმართებას შეუძლებლად მიიჩნევენ ა. იესენი, კერძოდ წალკის (თრიალეთი) ყორღანები განეკუთვნება სპილენძ-ბრინჯაოს ხანის შუა პერიოდს და „დიდი ყობანური ყორღანებთან“ შედარებით გვიანდელია. თუმცა ავტორისავე აღნიშვნით, შენგავითის და შრეშ-ბლურის ნამოსახლარები უფრო ძველია ყუბანისპირეთის ყორღანებზე. ცალკეული ნივთების მიხედვით ასევე ყობანის კულტურის მონაპოვრებს უდარებენ ცენტრალური ანატოლიის (ალაჯი), ეგეოსის ზღვის აუზის (ტროა II, ტროა VI), მცირე აზიისა, სირიისას (რომელთანაც როგორც აღნიშნავენ ყველაზე უფრო მეტი მსგავსებაა)⁶. ამავე დროს

¹ ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 137.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

³ А. А. Иессен, Азербайджанская археологическая экспедиция в 1956-1960 гг. Материалы и исследования по археологии СССР, М-Л. 1965, გვ. 17.

⁴ А. А. Иессен, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, Материалы и исследования по археологии СССР, №125, М-Л. 1965, გვ. 190.

⁵ А. А. Иессен, К хронологии больших Кубанских курганов, Советская археология, XII, 1950, гв. 160, იქვე მოთხოვნილია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁶ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 188-192.

აღნიშნულია, რომ „დიდი ყობანური“ ჯგუფის ადრეული მასალები ანალოგიებს პოულობს III ათასწლეულის მეორე ნახევრის, მისი დასასრულის და II ათასწლეულის დასაწყისის წინა აზიის ძეგლებთან¹. ხოლო თრიალეთის ყორღანები უფრო ახლოს არის მესოპოტამიურ მასალებთან (ური, ურუქი), რომელიც პარალელებს პოულობს აქადის მესამე დინასტიის მეფე შუსინას ძვ. წ. 2100-2000 წწ. ისეთივე ნივთთან².

თრიალეთის ადრეულ ყორღანებს ბ. კუფტინი ადრებრინჯაოს პერიოდს აკუთვნებდა და III ათასწლეულის ბოლოთი აღარილებდა³, შემდგომ ძვ. წ. XXIV-XXII საუკუნეებით⁴, ხოლო უფრო გვიანდელს (შუაბრინჯაოს 3 ჯგუფი) II ათასწლეულის შუა პერიოდით ან ძვ. წ. XVI-XV საუკუნეებით⁵.

ე. გოგაძე თრიალეთის ყორღანებისთვის ამგვარ დათარიღებას გვთავაზობს: ადრებრინჯაოს ყორღანებს დაახლოებით 2300-2000 წწ. ჩვენ ერამდე, შუაბრინჯაოს ყორღანები II ათასწლეულის პირველ ნახევარში, ხოლო შუაბრინჯაოს ყორღანების პირველ ჯგუფს დაახლოებით ძვ. წ. 2000-1800 წწ., მეორე ჯგუფს ძვ. წ. 1600-1450 წლებით⁶.

სახხერის ყორღანების მასალები თარიღდება III ათასწლეულის პირველი ნახევრით და შუა პერიოდით. აღნიშნულია, რომ სახხერის ზოგიერთი ინვენტარი (შუბი) მსგავსებას ავლენს შუმერის ადრედინასტიურ, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუბებთან. ასევე სირიულთან რას შამრადან. სახხერის ტიპის ბრტყელი ნაჯახები ცნობილია ტროა II-ში (ძვ. წ. 2600/2500-2300 წწ.). სახხერის ტიპის ხანჯლები ნაპოვნი იყო ანატოლიის ქიულფეთეში, ასევე ასურის ფენებში (ძვ. წ. 2300 წ.) და თეფე გავრაში (III ათასწლეულის შუა პერიოდი). სახხერის ტიპის ქინძისთავები და სხვა სამკაულები და წვრილი ნივთები ცნობილია ჩრდ. სირიაში (თელ ჯუდეიდი) (III ათასწლეულის პირველი ნახევარი), ასევე ცნობილია წინა აზიის ძეგლებზე (ტროა II, ალიშარ I, თეფე გირსი II, თეფე გიანი IV და სხვა)⁷.

ჩრდილო კავკასიაში ყორღანები და დასახლებები ეკუთვნის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს და II ათასწლეულის დასაწყისს. აღნიშნულია, რომ ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს ჩანს მაიკოპის ყორღანების მაგალითზე⁸, რომელიც ყველაზე ნათლად მოწმობს გვარტომობრივი ზედაფენის ხელში უზარმაზარი ქონების თავმოყრას⁹. მაიკოპის ყორღანები მეცნიერთა მოსაზრებით განეკუთვნება ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის დასასრულს (ა. აიესსენი)¹⁰.

ოთ. ჯაფარიძე მტკვარ-არაქის კულტურის შეწყვეტას საქართველოში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებს, რომლის შემდგომ გავრცელებას იწყებს ადრეული ყორღანების კულტურა¹¹.

¹ А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 192.

² А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 192.

³ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, I, Тб. 1941.

⁴ Б. А. Куфтин, *Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию*, Тб. 1948, გვ. 75, 78.

⁵ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 99.

⁶ Э. М. Гогодзе, *К вопросу о генезисе и периодизации курганной культуры Триалети*, ძველი ისტორიის საკითხები, ძველი ისტორიის საკითხები, III, თბ. 1970, გვ. 222.

⁷ Э. М. Гогодзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 239.

⁸ Е. Н. Крупнов, *Древняя история и культура Кабарды*, М. 1957, გვ. 49.

⁹ Е. Н. Крупнов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 50.

¹⁰ Е. Н. Крупнов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 54.

¹¹ *ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია*, თბ. 1991, გვ. 136.

უახლესი მეთოდებით დათარიღების შედეგად გ. ქავთარაძე მიიჩნევს, რომ თრიალეთის ადრეული ყორღანების და მტკვარ-არეზის კულტურის თარიღების შესაძლო დაძველების გათვალისწინების შედეგად, მისაღები უნდა ჩანდეს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნეებით თარიღდება, ე. ი. დროის იმ მონაკვეთით, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაში ადრე ბრინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდის და წინა ბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის თანადროულია. ავტორი თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის პირველ ორ პერიოდს ადრე ბრინჯაოს ხანის III ფაზაში ათავსებს, ხოლო ამ კულტურის უკანასკნელი ჯგუფის ყორღანებს შუა ბრინჯაოს ხანაში. თუმცა ავტორისავე აღნიშვნით, თვით სტადიალური თვალსაზრისითაც, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა, მთელი თავისი ხასიათით, ადრე ბრინჯაოს ხანის მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი პერიფერიის ტიპური პროდუქტია. ავტორისავე აზრით, მისი თვისობრივი კავშირი ურის, მაიკოპის, ალაჯა ჰუიუქის, ჰოროზთეფეს და სხვა „სამეფო აკლდამებიან კულტურებთან“ თვალსაჩინოა. ეს გარემოება, განაგრძობს ავტორი, თავის მხრივ მოწმობს, რომ არ უნდა არსებობდეს საკმაო საფუძველი თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის ზემოთ აღნიშნული კულტურებისაგან დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთით დაშორებისათვის. ავტორისავე აზრით, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა ქრონოლოგიური თვალსაზრისით მათი „იმეკვიდრეა“, ხოლო ზოგიერთის – თანამედროვეც¹.

ე. კრუპნოვი არქეოლოგიური და სხვა (ლინგვისტური, ანთროპოლოგიური) მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ყველა ფაქტი მიუთითებს კავკასიაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპებიდან (ძველი ინდოევროპული მოსახლეობის საცხოვრისიდან) კატაკომბური და ორმოსამარხების კულტურის გამოჩენას ყობანის თერგის დაბლობში და დაღესტნის ზღვისპირა რაიონებში არა უადრეს II ათასწლეულამდე. ავტორისავე აზრით, რაც შეეხება თვით კავკასიას, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. II ათასწლეულამდე აქ ბატონობდა ერთიანი საერთოკავკასიური ეთნიკური მასა, რომლებიც ატარებდნენ კავკასიურ ენობრივ სუბსტრატს, რომლებიც შემდგომ კავკასიურ ენობრივ ოჯახად გაფორმდა².

ო. ჯაფარიძის აზრით, შუაბრინჯაოს ხანაში, თრიალეთსა და საერთოდ საქართველოში ახლო ურთიერთობა ჩანს ჩრდილო კავკასიასთან. ეს კავშირები, განაგრძობს ავტორი, უფრო ადრინდელ საფეხურზეც კარგად შეინიშნება, მისივე აზრით, მიუხედავად ამისა თრიალეთის ამ ბრწყინვალე კულტურის ჩამოყალიბება წინააზიური სამყაროდან და განსაკუთრებით კი მისი მოწყვეტა წინამორბედი ადგილობრივი კულტურებისაგან მართებული არ უნდა იყოს. ავტორი იზიარებს ბ. კუფტინის იმ მოსაზრებას, რომ „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ თავისი ფესვებით დაკავშირებულია უფრო ადრეული ხანის ადგილობრივ კულტურებთან³.

¹ გ. ქავთარაძე, საქართველოს ენოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ. 1981, გვ. 102-113.

² Е. И. Крупнов, Древнейшая культура Кавказа и кавказская этническая общность, Советская археология, М. 1964, №1, გვ. 43.

³ იხ. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1960, გვ. 37-38.

ზოგიერთი ავტორი, თრიალეთის ყორღანულ კულტურასა (განსაკუთრებით მის კერამიკას) და აღმოსავლეთ-ანატოლიურს შორის კავშირს ვერ ხედავს და მას ახალ ეთნიკურ ელემენტს, ზოგადად ინდოევროპელებს და მათ შორის ხეთებსაც უკავშირებს, რომელთაც (ეტილის აღმოჩენის ფაქტიდან გამომდინარე) ჩრდილოეთიდან მოსულად მიიჩნევა. ანატოლიაში მოსულ ინდოევროპელებს ჩრდილოეთიდან მოსულობას სხვა ავტორებიც უჭერდნენ მხარს (ჯ. მელაარტი)¹. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა ეს მოსაზრებები ქართველმა მეცნიერებმა უარყვეს². ეს დასკვნები მხოლოდ და მხოლოდ კერამიკულ მასალაზე დაყრდნობით გაკეთდა³. გამოთქმული მოსაზრებით არ არის გამორიცხული ცალკეული უცხო ეთნიკური ელემენტების შემოდინება (მცირე აზიიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან)⁴.

ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის განვითარებაში ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის დაკრძალვის წესის (კოლექტიური და ინდივიდუალური) გაჩენაზე უკვე მტკვარ-არაქის კულტურის დროს (საჩხერე, ტყვიავი, შულავერი). ასევე აზერბაიჯანში (სტეფანაკერტი, ხანლარი, ხაჩენაგეტი), და ასევე ამავე პერიოდში ჩნდება კრემაციის წეს-ჩვეულება (ხაჩენაგეტი, ხანლარი, შესაძლოა კიკეთის, ტყვიავის და ქვაცხელების ცალკეულ სამარხებში). ავტორი დაკრძალვის წესში ცვლილებას (მტკვარ-არაქის ბოლო საფეხურზე და თრიალეთის ტიპურ ყორღანებში) მიიჩნევს შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით გამოწვეულ მოვლენად, თუმცა არ გამორიცხავს ყორღანული კულტურის და კრემაციის წესის გარედან მოსული უცხო იმპულსების შედეგად ათვისებას⁷. ავტორი თვლის, რომ ე. წ. მტკვარ-არაქის (ადრებრინჯაოს) კულტურა, თრიალეთის ყორღანების უძველესი ჯგუფი (ადრებრინჯაოს გვიანდელი ეტაპი) და შუაბრინჯაოს პერიოდის ყორღანები გენეტიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამ დასკვნას ის ავითარებს კერამიკული მასალის საფუძველზე. თრიალეთის კულტურის ზოგიერთი ახალი ელემენტი შეიძლება მანიშნებელი იყოს სხვადასხვა დროს ეთნიკური ჯგუფების ჩამოსვლაზე, რომელსაც ავტორი მცირე აზიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ვარაუდობს⁵.

ე. გოგაძის ხაზგასმით, ამიერკავკასიის გვაროვნულ საზოგადოებაში ამ პერიოდში სწრაფად იწყებს განვითარებას მესაქონლეობა და მეურნეობის სხვა დარგები. ამასთან ერთად გამოიყოფა და ძლიერდება გვაროვნული ზედაფენა, წინაურდებიან ცალკეული თემები და ტომები. მათი ჰეგემონობის შედეგად იქმნება მსხვილი ტომობრივი კავშირები თრიალეთსა და სხვა ადგილებში, უკვე ადრებრინჯაოს ეპოქის დასასრულისათვის (ადრეული ყორღანების პერიოდი) რიგით ყორღანებს შორის ჩნდება მდიდრული ინდივიდუალური დასაკრძალავი ყორღანები, რომლებიც საგვარეულო-სატომო ბელადებს ეკუთვნოდა. კრემაციის უპირატესობასთან ერთად არსებობს ინჰუმაციის ჩვეულება, რომელიც გვამცნობს ამ პერიოდში გარდამავლად შერეული დაკრძალვის რიტუალის არსებობას. ხოლო შუაბრინჯაოს თრიალეთის ყორღანებში უკვე ყველგან კრემაციაა.

¹ იხ. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38.

³ ე. მ. გოგაძე, К вопросу о генезисе и периодизации курганной культуры Триалети, ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ახლო მოსავლური კრებული, III, თბ. 1970, გვ. 222).

⁴ ე. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

⁷ ე. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 227-228.

⁵ ე. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

ავტორი კრემაციის და ყორღანებში დაკრძალვის წესის გამოჩენას თრიალეთურ ტომებში, გარეგანი იმპულსების შედეგად წარმოშობასაც არ გამოორიცხავს, რომელიც მტკვარ-არაქის კულტურის გარეთ მყოფი ტომების იმიგრაციის შედეგად მიიჩნევა¹. ავტორისავე მოსაზრებით, თრიალეთის ყორღანულ კულტურაში ძირითადად ერთი გენეტიკური ხაზი ვითარდება, ცალკეული ახალი კულტურის ელემენტები შესაძლოა აქ წარმოქმნილიყო გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად. თუმცა იმ ელემენტებს რომლებიც ტერიტორიულად დაშორებულ ადრეულ კულტურებთან არის კავშირში და რომელიც უმთავრესად კერამიკაშია შესამჩნევი, ავტორი, უკავშირებს ამიერკავკასიისა და თრიალეთში ახალი მოსახლეობის მოსვლას. ზოგიერთი კერამიკულ მასალას ადარებს ძვ. წ. III ათასწლეულის სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიურს (კონის დაბლობი, კილიკია)². ასევე ზოგიერთს ტრიპოლის (ძვ. წ. 2700-2100) ჭურჭლებს, ასევე გარკვეული ფომის „მარგალიტისებურ“ ორნამენტს ყუბანისპირეთის (ძვ. წ. 2300-2000) მასალას. თუმცა, ავტორისავე აღნიშვნით, სხვა დეტალური ფორმებით იმავე ორნამენტი ადგილობრივ ტრადიციას ეყრდნობა. მისივე აზრით, თრიალეთური ჭურჭლის დეკორატიული ყური შეიძლება შევუდაროთ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის დასაწყისის ეგეოსურ (კრეტულ) კერამიკას³. ზოგიერთი კერამიკული მასალა მსგავსია კაბადოკიურისა და მისგან ოდნავ ადრინდელი ცენტრალური ანატოლიის (III ათასწლეულის მეორე ნახევარი და დასასრული) მასალასთან. კერამიკული მხატვრობის ზოგიერთი ნიმუში ახლოს არის გეოი თეფეს (სამხრეთ აზერბაიჯანი-ირანი – ძვ. წ. III ათასწლეული) კერამიკასთან, რომლის წარმოშობა კაბადოკიურიდანაა მიიჩნეული. თრიალეთური ორნამენტის ზოგიერთი ნიმუში⁴ ეგეოსური წარმოშობისაა, ასევე ზოგი შეიძლება ტრიპოლის კულტურიდან იღებს სათავეს. ორნამენტაციის და ფორმის მხრივ ასევე თრიალეთური ჭურჭელი მსგავსებას ამჟღავნებს ცენტრალური ევროპის, მაიკოპის, მცირე აზიის (ალიშარი) ე. წ. ორმოსამარხების კულტურის (სამხრეთ რუსეთი), ადრეკატაკომბურ და ტრიპოლურ ჭურჭლებთან, რომელ უკანასკნელთა მსგავსება განსაკუთრებით შეიმჩნევა შიდა ქართლის (თრიალეთი, ავნევი) კერამიკისათვის⁵.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში ზემოთ მოყვანილი ამ პარაღვლების უარყოფა რა თქმა უნდა ჩვენთვის რთულია, თუმცა ყველა ამ ტომთა კონტაქტი თუ მიგრაცია თრიალეთში დაუშვებელია. შესაძლოა აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე მოდემის ხალხთა კულტურასთან, რომლებმაც ერთი წერტილიდან სხვადასხვა ადგილას მიგრაციისა და განფენის შედეგად ზოგიერთ დეტალში შეინარჩუნა თავისი კულტურის ძირძველი სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ზოგი კი დამხვედურთა გავლენით ახალი ნიშნები შეიძინა. მსგავსება ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნივთებს შორის იმ ეპოქაში, ვფიქრობთ, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ პერიოდში ინდოევროპული ტომების გარკვეული ნაწილის მიგრაციას მტკვარ-არაქის კულტურის არეალში, კერძოდ თრიალეთში, შიდა და ქვემო ქართლში და სხვა რეგიონებში, სადაც მათი უმთავრესი მასის თავმოყრა თავდაპირველად მოხდა საძოვრებით მდიდარ ამ

¹ ო. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

² ო. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 232.

³ ო. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

⁴ ო. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

⁵ ო. მ. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 235-236.

ტერიტორიაზე. ეს ალბათ ის პერიოდია, როდესაც ფართოდ ხდება ჩრდილოეთის თუ შუა აზიის სტეპებიდან ინდოევროპული მოდგმის ანუ ყორღანების და კრემაციის წესის მატარებელ ტომთა ფართო მიგრაცია, რომლის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ მტკვარ-არაქის კულტურაში შეინიშნება (კრემაციის წესი კიკეთში), ხოლო შემდგომ აშკარად ჩანს სხვადასხვა ნიშნებით, რომელიც დამახასიათებელია ადრე ყორღანული კულტურის მატარებელი მოსახლეობისათვის (ეტლით დაკრძალვა, დიდი ყორღანების გამართვა).

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინარე (მტკვარ-არაქის) კულტურისაგან თრიალეთის ყორღანების კულტურა დაკრძალვის წესების თავისებურებით გამოირჩევა, რომელიც დასაკრძალავად დიდი ყორღანების (ზოგან მიწაყრილის, ზოგან ქვაყრილების და ა. შ.) გამართვაში გამოიხატება. ამავე დროს ფართოდ შემოდის მიცვალებულის კრემაციის წესი. მნიშვნელოვანია ასევე მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი, რომელიც უკანასკნელიც უცხოა მტკვარ-არაქის კულტურისათვის, თუმცა აქაც ჩვენ გვაქვს ოთხთვალას მოდელთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის ერთეული შემთხვევები.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ამ თავისებურებების და სრულიად ახალი კულტურული ელემენტების გამო, ყორღანული კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური ვინაობის დადგენის კუთხით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა და დაკრძალვის ფორმათა თავისებურებათა გამო ის მეტწილად ინდოევროპელთა მიგრაციებს დაუკავშირა.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია არქეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული რამოდენიმე სამარხის აღწერილობის მოყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის კულტურაში დაახლოებით 100 მ-ის დიამეტრის სხვადასხვა სახეობის ყორღანები იგებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ თრიალეთის ყორღანულ კულტურას წინ უსწრებდა უფრო ადრინდელი, ანუ მტკვარ-არაქის ბოლო ეტაპზე გამოჩენილი, ბედენის და მარტყოფის ჯგუფებად კლასიფიცირებული პირველი ყორღანები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ოთ. ჯაფარიძის აღნიშვნით, ადრეყორღანების კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თეთრიწყაროს რაიონის ბედენის პლატოზე და ალაზნის ველზე ჩატარებულ სამუშაოებს (სწორედ ბედენზე შესწავლილი ყორღანების საფუძველზე გამოიყო ახალი, მანამდე უცნობი ყორღანული კულტურა, რომელსაც ბედენური კულტურა ეწოდება. ამ კულტურის ბრწყინვალე ძეგლები გამოვლინდა ალაზნის ველზე. მისი ნაკვალევი გამოჩნდა ივრის ზეგანის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ველზე. გაირკვა, რომ ბედენურ კულტურას მიეკუთვნება წალკის პლატოს ადრეული ყორღანების ერთი ჯგუფი. ადრეყორღანების კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. იგი მოიცავს ილორ-ალაზნის ორმდინარეთს, ქვემო და შიდა ქართლს, დასავლეთით იგი ღიხის მთას აღწევს. გადადიოდა თუ არა იგი დასავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. რა ხასიათისაა კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ნამოსახლარზე აღმოჩენილი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თავისი ფაქტურით ადრეყორღანულ ჭურჭელს მოგვაგონებს, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ადრეყორღანული კულტურა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიცაა ცნობილი მილისა და ყარაბაღის ველზე, მთიან ყარაბაღში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, ა. რესლერმა, მდ. ხაჩანაგეტის ხეობაში ამ დროის რამდენიმე

ყორდანი შეისწავლა. ამავე დროისაა ი. ჰუმელის მიერ ოცდაათიანი წლების ბოლოს გათხრილი ყორდანები სტეპანაკერტთან, ასტარინის ყორდანები, მილის სტეპის ყორდანი, უჩ-თეფე და სხვ. ბედენის კულტურის ნაკვალევი ჩრდილო კავკასიაშიცაა ცნობილი¹.

ოთ. ჯაფარიძის თქმით, ახალმა აღმოჩენება გარკვეული სინათლე შეიტანა ადრეყორდანიული კულტურის შესწავლაში, ცალკე გამოიყო ბედენის კულტურა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება. მთლად ნათელი არ არის, თუ რა მოვლენაა ბედენური კულტურა, მისი წარმომავლობა, ურთიერთობა წინარე მტკვარ-არაქსისა და მომდევნო თრიალეთის კულტურებთან. არ არის გარკვეული მისი დამოკიდებულება ადრეული ყორდანების მეორე ჯგუფთან, არც მათ შორის ქრონოლოგიის საკითხებშია ყველაფერი ნათელი². ავტორისავე აღწერილობით, მარტყოფის ყორდანებში იატაკი მოწყობილია ქვის ბრტყელი ფილებით, რომლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა თიხის შავპირი ჭურჭელი რელიეფური სპირალური ორნამენტით. მთელი დანარჩენი ფართობი ეჭირა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლებს. აღმოჩნდა ფრინველის ძვლებიც. საინტერესოა მათი განლაგება: იატაკის ოთხივე კუთხეში აღმოჩნდა ხარის მთლიანი ჩონჩხები. თავები მიმართულია ქვეყნის მხარეებისაკენ, ისე, რომ მათი უკანა ნაწილები იატაკის ცენტრში ერთიანდებოდნენ. იატაკის სხვადასხვა ნაწილში გაფანტული იყო ადამიანის ხერხემლის რამდენიმე ძალა და კბილები. აღმოსავლეთ კუთხეში ხარის თავთან რქებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ბიკონუსური ისრისპირი³.

მარტყოფთან შესწავლილ ყორდანებში ორი ჯგუფი გამოიყოფა – ერთი უორმო, მეორე კი ორმოიანი. ყრილის კონსტრუქციითაც ეს ყორდანები საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. პირველი ჯგუფის უორმო ყორდანებისათვის ორმაგი ყრილია დამახასიათებელი – შიგნიდან ქვისა, გარედან მიწისა⁴.

პირველი ჯგუფის უორმო ყორდანები მარტყოფში ყველა მოზრდილი ზომისა იყო. ყორდანის ცენტრში მიწის პირზე ქვის ან ხის დასაკრძალავი კამერა იყო გამართული. კამერა ქვის ყრილით იფარებოდა, რომელსაც ზემოდან მიწის მძლავრი ფენა ედო. სამგორის ყორდანი, ყრილის ხასიათით და დასაკრძალავი კამერის კონსტრუქციით თითქმის სრულიად არ განსხვავდებოდა მარტყოფის პირველი ჯგუფის ყორდანებისგან. სხვაობა მათ შორის დაკრძალვის რიტუალში შეინიშნება. სამგორის ყორდანში მიცვალებულის დამწვარი ძვლები თიხის ურნაში იყო მოთავსებული, ურნა კი იატაკში სპეციალურ გათხრილ ორმოში იყო. მაღაროსთან შესწავლილ მოზრდილ ყორდანს ორმაგი ყრილი ჰქონდა, რომლის ცენტრში ხის მორებისაგან გამართული დასაკრძალავი კამერა იდგა. ინვენტარის ხასიათით, იგი უფრო მეტ საერთოს მარტყოფის ყორდანებთან ნახულობს. ივრის ზეგანის მოზრდილი უორმო ყორდანები კონსტრუქციის ხასიათით თითქმის ერთნაირია. აღნიშნულია, რომ მსგავსი მოზრდილი უორმო ყორდანები ჩვენში და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სხვაგან სადღეისოდ ცნობილი არ არის. ივრისპირეთში გავრცელებული იყო აგრეთვე ორმოიანი ყორდანები. ეს ყორდანები არ გამოირჩეოდნენ თავისი ზომებით და თითქმის ყველა ბედენურ კულტურას მიეკუთვნებიან⁵.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-10.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

იმავე რეგიონში, ადგილ ზვიანში, შესწავლილი იყო ერთი ორმოიანი ყორღანი №1, საკმაოდ რთული კონსტრუქციისა. სამარხ-ორმოში ორი მიცვალებული აღმოჩნდა გვერდიგვერდ – ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა მხარეზე დაკრძალული, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი მსხვილი პირამიდისებრთავიანი ისრის პირი, რომელიც მარტყოფის უორმოლო ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი. თიხის ჭურჭელი თავისებურია და განსხვავდება როგორც მარტყოფის უორმოლო ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკისაგან, ისე ბედენური კულტურის თიხის ნაწარმისაგან. აქვე ნაპოვნი იყო ბრინჯაოს რგოლი და მძივები. ორმოს ძირზე აღმოჩენილია ხის ოთხთავალა ეტლის ნაკვალევი, ამ სამარხს თითქოს უფრო ბედენური ხანის ყორღანებთან აახლოვებს. გამოთქმული მოსაზრებით, ეს ყორღანი უფრო გარდამავალი ხანისა შეიძლება იყო მარტყოფის ადრეული ჯგუფის და ბედენური დროის ყორღანთა შორის. საინტერესო ჯგუფის ყორღანები გამოვლინდა დედოფლისწყაროს რეგიონში, მდ. ალაზნის ქვემო დინების მხარეს. აქ „დალის მთის“ და ზილიჩის მიდამოებში შედარებით პატარა ზომის ყორღანები აღმოჩნდა ქვაყრილიანი და ქვამიწაყრილიანი. ენამთის №1 ორმოიანი ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ძირითადი მიცვალებული, რომელიც მარცხენა გვერდზე იწვა, თავით დასავლეთით. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ადამიანის ხუთი თავის ქალა და სხვა ძვლები იდო. ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო მსხვილფეხა საქონლის ძვლები და ხარის მთლიანი თავის ქალა. ოთ. ჯაფარიძის აღნიშვნით, ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან ნახულობს გარკვეულ სიახლოვეს. მაგრამ, აქვე ნაპოვნი იყო ერთი მოზრდილი ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელ მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელს მოგვაგონებს. სამკუთხა მოყვანილობის მძივსაკიდები, ბრინჯაოს პირამიდისებრთავიანი ისრის პირი და სხვა ინვენტარი მარტყოფის უორმოლო ყორღანებში ნაპოვნი მსგავს ნივთებს უახლოვდებიან. ავტორისავე აზრით, შესაძლოა ენამთის ეს სამარხი ყორღანული კულტურის ადრეული საფეხურის დროინდელია და ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობს¹.

კარგადაა წარმოდგენილი ბედენური კულტურის მოზრდილი ყორღანები: წნორიდან, ბარკურციხიდან, ანაგიდან და სხვ (ოთ. ჯაფარიძე).

ქვემო ქართლის ვაკეზე, მარნეულის ველზე, შულავერის მახლობლად, ერთი ნაწილი ყორღანებისა თრიალეთურ კულტურას მიეკუთვნებოდა, მეორე კი ძირითადად ბედენურ კულტურას (ოთ. ჯაფარიძე).

ქვემო ქართლის მთიან ზოლში კარგადაა წარმოდგენილი ადრეული ყორღანები თითქრიწყაროს რაიონში, ხრამ-აღვეთის წყალგამყოფი მთის კალთაზე, ყორღანები ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული. ერთი ჯგუფი ყორღანებისა ბედენის პლატოზე გამოვლინდა და მათი შესწავლის შედეგად გამოიყო ე. წ. „ბედენური კულტურა“. დღემდე შესწავლილი ყველა ყორღანი აქ ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. მარტყოფის ადრეული, პირველი ჯგუფის ყორღანების მსგავსი აქ ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-49.

დიდი ჯგუფი ყორღანებისა გამოვლენილი იყო წალკის პლატოზე. სწორედ აქ შესწავლილი ამ ტიპის სამარხების საფუძველზე გამოიყო პირველად ადრეული ყორღანები. ბ. კუფტინმა თავის დროზე ადრეულ ყორღანებში ორი ჯგუფი გამოყო. პირველი ჯგუფი ადრეული ყორღანებისა, ყველა ორმოიანი იყო და შეიცავდნენ შედარებით ღარიბულ ინვენტარს. მათთვის დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი და ცალყურა მოზრდილი ტოლჩა. ეს ყორღანები მხოლოდ კერამიკის ხასიათის მიხედვით უახლოვდებიან სამგორის და მარტყოფის ადრეულ ყორღანებს. სხვა მხრივ ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან (ოთ. ჯაფარიძე).

თრიალეთის მეორე ჯგუფის ადრეული ყორღანები ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. ზოგი მათგანი ორმოიანი, ზოგიც – უორმოლო. ეს ყორღანები ღარიბულ ინვენტარს შეიცავდნენ. ფიქრობენ, რომ თრიალეთის ყველა ადრეული ყორღანი გაძარცვული იყო და ამით აიხსენება სამარხეული ინვენტარის შედარებით სიმცირე, თუმცა, ოთ. ჯაფარიძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

შიდა ქართლში მარტყოფის და სამგორის ტიპის მოზრდილი ყორღანები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქ გორის რაიონში სოფ. ხელთუბანთან შესწავლილი იყო პატარა ყორღანები, რომლებიც ინვენტარის ხასიათით უახლოვდებიან მარტყოფის პირველი ჯგუფის ყორღანებს. შიდა ქართლში უკეთაა წარმოდგენილი ყორღანები, რომლებიც ბედენურ კულტურას მიეკუთვნებიან, მათ ეხვდებით ხოვლეში, დიოსში, ბერიკლდეებზე და სხვ. აქვე ცნობილია ამ დროის ნამოსახლარი ბერიკლდეებზე. აღსანიშნავია, ციხიგორის ნამოსახლარი კავთისხევთან და ხაშურის ნაცარგორა, სადაც მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურის თანაარსებობა დადასტურდა.

სადღეისოდ ადრეული ყორღანები მესხეთ-ჯავახეთში ცნობილი არ არის¹.

დასავლეთ საქართველოში არც ადრინდელი და არც მერმინდელი დროის ყორღანები საერთოდ არ გვხვდება. ივრისპირების ადრეული, მოზრდილი უორმოლო ყორღანების ანალოგიური ძეგლები სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ყრილის კონსტრუქციით, გამოთქმული მოსაზრებით, ისინი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ მიდიის სტეპის უჩთეფეს ყორღანთან. ეს ყორღანი გამოირჩევა თავისი გრანდიოზულობით, მას ორმაგი ყრილი ჰქონდა ზემოთ მიწისა, ქვეშ კი ქვისა².

აზერბაიჯანში შესწავლილია აგრეთვე განსხვავებული ხასიათის ადრეული ყორღანები, მთიან ყარაბახში ორმოიანი ყორღანები ინვენტარის ხასიათით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ბედენის ყორღანებთან³.

სომხეთში მარტყოფისა და ბედენის ტიპის ყორღანები ცნობილი არ არის⁴.

გ. გობეჯიშვილის თქმით, ბედენის არქეოლოგიურ მონაპოვარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული კულტურის უწვეტი განვითარების დასადგენად. ავტორისავე აზრით, ის ერთმანეთთან აკავშირებს ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგის და II ათასწლეულის კარგად ცნობილ „მტკვარ-არაქსისა“ და „თრიალეთის“ კულტურებს და უწყვეტ ხაზს აგებს ბრინჯაოს ხანის მთელს სიგრძეზე მოპოვებულ ახალ-ახალ ტექნიკურ

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-51.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

და სოციალურ მონაპოვრებთან¹. ბედენის ნამოსახლარები ის აკუთვნებს ადრებრინჯაოს III ან შუაბრინჯაო I, ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრისა და II ათასწლეულის დასაწყისს². ბედენის გორასამარხებში დადასტურებულია მაიკოპისა და ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ დაღესტნის III-II ათასწლეულებისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესი, ცალკეული ნივთები და ორნამენტული მოტივები. შეღებილი ჩონჩხების, წითელი თიხის მრგვალიძირიანი ჭურჭლის სწორკუთხიანი ისრისწვერების სპილენძის ცული და მარგალიტისებრი ორნამენტის არსებობა, ავტორისავე აზრით, ბედენის გორასამარხები შესაძლოა მეტყველებდეს თრიალეთური კულტურის მატარებელთა ჩრდილოეთიდან შემოსვლაზე. ბედენის გორასამარხთა ხანაში, განაგრძობს ავტორი, თრიალეთში პირველად ჩნდებიან გვარის წვერთა შორის გამორჩეული ბელადები, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ იკრძალებოდნენ გამორჩეული პატივით. პირები, რომლებიც მათთან ერთად იკრძალებოდნენ შესაძლოა იყვნენ სამხედრო ტყვეები, ან ოჯახისა და გვარის დაქვემდებარებული წევრები. ეს არის პატრიარქალური მონობის ნიშნების პირველი გამოჩენისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის მანიშნებელი³.

გ. გობეჯიშვილის მასალებით, შიდა ქართლში სადღეისოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე ნამოსახლარია ცნობილი, სადაც ბედენისათვის დამახასიათებელი კერამიკა იყო ნაპოვნი. აქაც ისე ჩანს, რომ ეს ორი კულტურა ერთხანს თანაარსებობს⁴. აქაც ძირითადად ცნობილია ამ ხანის სამარხეული ძეგლები. ბერიკლდეები, როგორც ფიქრობენ, უფრო საკულტო ხასიათის ძეგლი უნდა ყოფილიყო. ბედენის კულტურა შიდა ქართლში ეტყობა საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. ცნობილია ამ დროის სამარხები, აქვე გვხვდება საკმაოდ ძლიერი სამლოცველო ადგილი. ავტორისავე ვარაუდით, აქ ამ დროისათვის საზოგადოების სოციალურ ურთიერთობაში, ისევე როგორც წინამორბედ კულტურაში, ჯერ კიდევ მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა. შიდა ქართლში დღეისათვის ცნობილი არ არის საზოგადოების ელიტური ნაწილის გამორჩეული, დიდი მდიდარი ყორღანული სამარხები.

ბედენის კულტურა თანდათანობით უფრო ფართოდ ვრცელდება და დასავლეთით მისი გავლენა ყვირილის აუზის ზემო წელის რეგიონს აღწევს, სამხრეთის ყორღანული სამაროვნების ზედა ფენებში უკვე შეიმჩნევა ბედენური კულტურის ნაკვალევი⁵.

ვხვდებით მას სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აზერბაიჯანში. ამ კულტურის ძეგლები შეინიშნება არარატის ველზე. ჩრდილო კავკასიაში ბედენური კულტურის ძეგლები აღმოჩნდა ცენტრალურ და განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში, სადაც იგი საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა. კავკასიის სამხრეთით ადრეყორღანული კულტურა, ჩანს, არ გავრცელებულა. აქ მტკვარ-არაქსის კულტურას შემდეგში მოხატულკერამიკიანი კულტურა ენაცვლება. ამიერკავკასიაში კი მტკვარ-არაქსის კულტურას ყორღანული კულტურა ცვლის⁶.

¹ გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორანამოსახლართა კულტურა, თბ. 1980, გვ. 101.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94-95.

⁶ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

გ. გობეჯიშვილი მიიჩნევს, რომ ნადარბაზევის გორასამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სატევარის მიხედვით, რომელსაც მისივე აზრით საზეიმო-საპარადო მნიშვნელობა ჰქონდა დაკრძალული იყო ლითონის ხანის ადრეული ხანის გვარ-ტომური საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელი, გვარის, ტომის მეთაური, ბელადი¹. მისივე თქმით, მტკვარ-არაქსისა და გორასამარხთა კულტურას შორის სამეთუნეო საქმეში კავშირი უეჭველ ფაქტად რჩება².

ბედენის მეორე სამარხი წარმოადგენდა დაუმუშავებელი ქვის ლოდებით შეკრულ დიდ სამარხს, უსახური და ყრილის ლოდებით და მიწით ავსებულს. მისი კედლები შედგენილი იყო ერთმანეთთან არც თუ ისე კარგად მიღებულ 4-6 ლოდით და წვრილი ქვებით. სამარხი დამსობილი იყო აღმოსავლეთიდან. აღსანიშნავია, რომ არც მის ორმოშო და არც მის გარეთ მიცვალებულის ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ აღმოჩნდა. ხოლო ქვასამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მრავლად იყო სამარხეული ინვენტარი³. ხოლო ერთ-ერთ აკლდამაში ჩონჩხი იდო მსუბუქად მოკეცილ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ, იდაყვში მოხრილი ზემო კიდურები სახის წინ მიუტანია. მეორე ჩონჩხი აღმოჩენილია აღმოსავლეთის დედაბოძთან ახლოს. ის გაცილებით მსუბუქადაა მოხრილ მდგომარეობაში. მარცხენა გვერდზე – სამხრეთ-დასავლეთისკენ. ფეხები თითქმის მიტანილი ჰქონდა პირველი მიცვალებულის ფეხებთან. თავი ედო აღმოსავლეთ დედაბოძის ორმოში. ორივე ჩონჩხის გარშემო იატაკი და მასზე დაფენილი ქეჩა შედგენილი იყო მუქი წითელი ოქროსფრად და ჩონჩხებსაც ემჩნეოდა საღებავის კვალი⁴. გამოთქმული მოსაზრებით, ეს ორი ჩონჩხი მიუთითებს ამავე აკლდამაში უფრო დიდი პატივით დაკრძალული ადამიანების ჩვეულებრივ მსახურებად გაყოლილ პირებზე⁵. რელიეფური ორნამენტით შემკული ხის ფიცრებისაგან მანჭვლებით შემკულ კუბოში მოკეცილი მიცვალებული ხისავე საკაცით დასვენებული უნდა ყოფილიყო ხის ოთხთვალა ეტლზე⁶. აქ აღმოჩენილია ბრტყელყუნწიანი – დისკოსებრთავიანი ბრინჯაოს ან სპილენძის „საკინძები“, რომლითაც ეტლი იყო შემკული. გ. გობეჯიშვილის აზრით, შეიძლება ისინი მიჩნეული ყოფილიყო მზის ან სავსე მთვარის სიმბოლურ გამოსახულებად⁷. აკლდამის იატაკზე ბლომად იყო გრძელი წნელები და მათი ნატეხები. ამგვარ წნელებს პოულობენ საბიდ-ახნის ეტლიან სამარხში, ლჩაშენის გორასამარხებში, დაღესტნის მანასის კატაკომბურ სამარხებში⁸. ავტორისავე აღნიშვნით, წნელების კონას, მაგალითად ინდოელებში საწესო მნიშვნელობა ჰქონდა მიცვალებულის დაკრძალვისას, რაც ქმრის დასაფლავების შემდეგ უკან დაბრუნებული ქვრივი ცოლის თავზე ასეთი წკეპლების ქნევით ცდილობდნენ ქმნის სულის განდევნას, რათა ქვრივს ხელახლა გათხოვების საშუალება მისცემოდა⁹. მისივე აზრით, გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

⁶ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

⁷ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁸ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

⁹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ბედენური ბელადი ხის სარეცელზე ყოფილიყო დაკრძალული. ეს სარეცელი აკლდამაში ჩაატანეს ხის საკაცით და გვამი იმითვე დაასვენეს წინასწარ ჩაშვებულ ეტლზე¹.

ოთ. ჯაფარიძის აზრით, ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენამ, ჩანს გარკვეულად შეაყოვნა მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საზოგადოების განვითარების მიღწეული დონე. საბოლოოდ დაარღვია თითქმის „პროტოცივილიზაციის“ დონემდე მიახლოებული საზოგადოების განვითარების გზა. ჩრდილოეთიდან წამოსულმა იმპულსებმა უთუოდ დააჩქარა ეს პროცესი². მისივე აღნიშვნით, ადრეყოღანული კულტურის მატარებელი ტომები, ჩანს, ვერ შეეგუვნენ მეურნეობის არსებულ სისტემას და მათი მტკვარ-არაქსის კულტურის სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებლად მიჩნევა მთლად დამაჯერებელი არ არის. პირიქით, ავტორისავე აზრით, ისე ჩანს, თითქოს იცვლება ცხოვრების ტრადიცია და მეურნეობის ხასიათი. საზოგადოება ცხოვრების სრულიად განსხვავებულ, ახალ გზას ადგას. ის, რომ ამ დროს ნამოსახლარები თითქმის არ გვხვდება, ალბათ მეურნეობაში ძირითადად მეცხოველეობის როლის გაზრდასთან იყო დაკავშირებული და მოსახლეობის უფრო მობილურ, მოძრავ ცხოვრების ხასიათზე უნდა მიუთითებდეს³. ავტორს არ მიაჩნია მთლად მართებულად ის მოსაზრება, რომ ადრეყოღანული კულტურის მოსახლეობა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი და გამგრძელებელი იყოს. მისივე აზრით, ამ ხანაში სწორედ მეურნეობრივი ტრადიციის ხასიათი განიცდის ცვლილებას, საზოგადოებამ ვერ შეითვისა ეკონომიკის ის ფორმა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის დროს იყო გავრცელებული და განვითარების ახალ განსხვავებულ გზას დაადგა, რომელიც ჩრდილოურ, ევროპულ მოდელთან ნახულობს მეტ საერთოს⁴. ოთ. ჯაფარიძე ასევე მთლად მართებულად არ მიიჩნევს ადრეყოღანული და მაიკოპის კულტურების ახლო ნათესაობაზე და ეთნიკურ სიახლოვეზე ლაპარაკს. მისივე აზრით, ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაში ჩანს ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებმაც ითამაშეს გარკვეული როლი, მაგრამ, იგი მაინც უფრო ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყო, შესაძლოა ძირითადად შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე.

ვფიქრობთ, ოთ. ჯაფარიძე, გარკვეულწილად ერთი და იმავე კულტურის გენეზისზე ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს, რაც ჩვენთვის ამ ფორმით სრულიად მიუღებელია. ჯერ ერთი აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა განიცდის ძირეულ ცვლილებებს და უცხო ელემენტის მოსვლის შედეგად ის თითქოს განვითარების ახალ გზას ადგება და არ არის გამგრძელებელი მტკვარ-არაქსის ტრადიციისა, ხოლო მეორე, სხვა ადგილას წერს, რომ ამ პერიოდში რაიმე ეთნიკურ ძვრებს ადგილი არ ჰქონია და ის ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი. ავტორი არ გვთავაზობს თავის მოსაზრებათა ურთიერთმიმართების არსის ახსნას და ჩვენ აქ რაიმე კომენტარებისგან თავს შევიკავებთ, მაგრამ აქვე, სანამ ძირითად დასკვნებს ქვემოთ შემოგთავაზებდეთ, აღვნიშნავთ, რომ, სწორედ თვითონ ოთ. ჯაფარიძის მიერ შენიშნული ის გარემოება, რომ ყორღანული კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შიდა ქართლში და კახეთში,

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137-138.

ძირითადად იერისპირეთში ვრცელდება¹, მიგვითითებს მის შესაძლო ჩრდილოურ წარმომავლობაზე, რომლებიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და დღევანდელი აზერბაიჯანის სტეპების გავლით აღწევენ ამ ტერიტორიაზე და შესაძლოა თვით თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელი ტომებიც არ იყვნენ ბედენელთა და მარტყოფელთა უშუალო გამგრძელებელნი. შესაძლოა თრიალეთელთა სახით ჩვენ სულ სხვა მიგრაციულ ტალღასთან გვქონდეს საქმე.

გ. გობეჯიშვილის მასალებით, ბედენის გორასამრხის აღმოსავლეთ ნახევარზე ყრილის ნაპირების გასწვრივ გასდევს დიდრონი ლოდების წყვილი, ერთ ადგილას გასამებული და შუაში გაფართოებული რკალი, თავისებური კრომლენი. ავტორის აზრით, წრე განზრახ უნდა დაეტოვებინათ შეუკვრელი რკალის სახით, რათა ის მიმსგავსებოდა ნაკლულ მთვარეს, რაც, მისივე აზრით, იმის მოწმობაა, რომ გორასამრხის მშენებელთა, ციურ მნათობთა, კერძოდ მთვარის კულტის თაყვანისცემას უნდა მივაწეროთ². ეს გორასამრხი ავტორის მიერ მიჩნეულია შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისის დროისად³ და მას (ბედენის პირველი გორასამრხი) მაიკოპის კულტურის წრესთან აახლოვებს⁴.

მცხეთის ახლოს სოფ. წიწამურში შუაბრინჯაოს სამარხში რიტუალი ამ სახით არის წარმოდგენილი: სამარხში ჩაუსვენებიათ ერთი ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი მიცვალებული – მარჯვენა გვერდზე მიცვალებული დასვენებულია ცხვარზე. მიცვალებულის დაკრძალვამდე გარკვეული რიტუალი ჩანს შესრულებული. შეწირული ცხვარი ბრინჯაოს სატევრით დაუკლავთ. ჯერ ცხვარი დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე ყელთან და ცხვართან ობსიდიანის ანატკეცი დაუნაყიათ. შემდეგ ზედ დაუკრძალავთ მდიდრულად მორთული მიცვალებული. ცხვრის კეფასთან დაწყობილია მსხვილფეხა საქონლის, ხოლო მიცვალებულის ზურგს უკან წვრილფეხა საქონლის ძეგლები. მიცვალებულის ფეხების არეში, სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დადასტურდა ცეცხლის კვალი. აღნიშნულია, რომ ცხვართან დაკრძალვა არც თუ ისე დიდი რაოდენობითაა საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში. დაკრძალვის ეს რიტუალი ძირითადად „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზეა ცნობილი⁵.

ნ. შანშიაშვილის და გ. ნარიმანაშვილის აღნიშვნით, მითოლოგიურ აზროვნებაში ცხვარი ხშირად ჯადოსნური გადაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი. სხვადასხვა ხალხების ზღაპრებში, ლეგენდებში და ეთნოგრაფიულ მასალებში დასტურდება, რომ სკნელებს შორის მედიტაციის საშუალებას ზოგიერთ შემთხვევაში ცხვარი (ვერძი) წარმოადგენდა. ცხვარი, როგორც მედიატორი, მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოდგენებთან „კოსმიური ხის“ - „სამყაროს ღერძის“ შესახებ⁶. არქაული საზოგადოების საზოგადოების მითოლოგიურ აზროვნებაში ცხვარი (თხა) ვერძი წარმოადგენს მედიატორს შუასკნელსა და ქვესკნელს შორის⁷.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁵ ნ. შანშიაშვილი, გ. ნარიმანაშვილი, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა, ძეგლის მეგობარი, №53, თბ. 1989, გვ. 56.

⁶ ნ. შანშიაშვილი, გ. ნარიმანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

⁷ ნ. შანშიაშვილი, გ. ნარიმანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

მარტყოფის უადრეს ყორღანებში შედარებით ნაკლებად გვხვდება ჩატანებული ცხოველების ძვლები. ჩვენში ამ დროის არც სხვა ყორღანებშია წარმოდგენილი მაინცდამაინც ცხოველების ძვლები. გარკვეული ცხოველების ნაშთები ყორღანებში თითქმის არ გვხვდება. გამოთქმული მოსაზრებით, ამ პერიოდში დაკრძალვის რიტუალში ცხოველები ნაკლებად მონაწილეობდნენ და არც მათი ნაშთების სამარხში ჩატანება იყო მაინცდამაინც წესად¹.

უადრეს ყორღანებში წვრილფეხა საქონლის ძვლები უფრო მეტად დიდ ყორღანებში ჭარბობს მსხვილფეხას. ოთ. ჯაფარიძის აზრით, შესაძლოა ეს იმის მოწმობაა, რომ დაწინაურებული წევრის დაკრძალვის რიტუალში ძირითადად წვრილფეხა საქონელი მონაწილეობს². მისივე აზრით, მოზრდილ ყორღანებში ცხვრის ნაშთების სიჭარბე, ეგებ, იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებაში წამყვან ადგილს ძირითადად ჩრდილოეთიდან გადმონაცვლებული პირები იკავებენ, რომლებიც დაკრძალვის თავის წესს ავრცელებენ³.

მარტყოფის ეტაპის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა თავისებურია და საკმაოდ მრავალფეროვანი. ოთ. ჯაფარიძის კვლევით, ზოგიერთ დეტალში შეიძლება შეინიშნოს ურთიერთობა წინამორბედ, მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმთან, მაგრამ იგი გარკვეული თვისებებით ხასიათდება. თითქმის მთელი კერამიკული კომპლექსი ხელით ძერწვის მაღალი დონით გამოირჩევა⁴. მისივე თქმით, ყორღანების ეს ადრეული თიხის ნაწარმი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ტრადიციებზე აღმოცენდა⁵. აღსანიშნავია მიცვალებულთა ე. წ. წყვილადი დაკრძალვის ტრადიცია. მაგალითად, ანაგის ყორღანში ორი მიცვალებული აღმოჩნდა – ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე, მოკუნტული ფეხებით. მათი თავის ქალები ერთმანეთს ეხებოდა. წნორის №1 ყორღანში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა – ქალისა და კაცის. ოცდაათი ოდრე წლის ქალის ჩონჩხი სამარხის ჩრდილო კედელთან იდო, მარჯვენა გვერდზე, ფეხმოხრილი, თავით დასავლეთით. ამ ჩონჩხთან ინვენტარი არ აღმოჩენილა. მისგან რამდენიმე მეტრით დაცილებით. იმავე პოზაში დაკრძალული იყო ორმოცი ოდრე წლის მამაკაცი. ამ ჩონჩხთან ნაპოვნი იყო საკმაოდ მდიდარი ინვენტარი. ოთ. ჯაფარიძის თქმით, წყვილადი სამახის ტრადიცია საკმაოდ ძველია, მაგრამ შედარებით უფრო ფართოდ იგი თითქოს ბრინჯაოს ხანაში ვრცელდება. ჩვენში ეს წესი მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში მაინცდამაინც არ შეიმჩნევა. ჯერჯერობით ამირანის გორის ორ სამარხშია წყვილადი დაკრძალვის წესი შენიშნული. ორივე შემთხვევაში მიცვალებულები მარჯვენა გვერდზე ესვენენ, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით⁶.

ქვემო ქართლის ყორღანებში მიცვალებული დაკრძალულია უპირატესად მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით. თრიალეთში ხადაკის ყორღანში ფეხებმოკეცილი იწვა. მარჯვენა გვერდზე. ბადენის პლატოს №5 ყორღანში სამი მიცვალებული აღმოჩნდა. ერთი ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე ესვენა, მსუბუქად მოკეცილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისკენ. მეორე ჩონჩხი მოზარდის

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90-91.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁶ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

მარცხენა გვერდზე განისვენებდა. აგრეთვე მსუბუქად მოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ. მესამე, ძირითადად მიცვალებულზე ცუდი დაცულობის გამო ძნელია რაიმეს თქმა მისი პოზისა და დამხრობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, ხაჩნაგეტის ჯგუფის ყორღანებში განსხვავებული სურათი ჩანს. აქ №1 ყორღანში მიცვალებული თითქოს მდგომარე პოზითაა დაკრძალული. სახით აღმოსავლეთით, აქვე №2 და №4 ყორღანებში მიცვალებულები ზურგზე ესვენენ, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. ადრეყორღანული კულტურის დროს ჩვენში ძნელია რაიმე კანონზომიერების დადგენა დაკრძალვის წესში მასალის სიმცირის გამო. ისე, ჩანს, რომ მიცვალებულებს ამ დროს გვერდზე მწოლარეს ასაფლავებდნენ ფეხებმოკეცილ მდგომარეობაში. დამხრობა ჩანს არამყარი იყო. გვერდზე მოკუნტულად დამარხვა მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე ყველაზე გავრცელებული წესია ჩვენში. მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულები უპირატესად გვერდზე მწოლიარენი იკრძალებოდნენ. ჩრდილო კავკასიაში ამ დროს მიცვალებულები უპირატესად გვერდზე მწოლიარე, ფეხებმოკეცილი ესვენენ¹. ძველი ორმოსამარხების კულტურაში უფრო დამახასიათებელი ჩანს მიცვალებულის ზურგზე მწოლიარე, ფეხებმოკეცილი დაკრძალვა².

ჩვენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი მიცვალებულთა ორიენტაციებზე და მოკრუნხვულად დაკრძალვის წესის მნიშვნელობაზე, რომელი ტრადიციაც ყორღანულ კულტურაშიც ძალაშია და მის შემდგომაც ფართოდ არის გავრცელებული. ეს წესი ჩვენ რაიმე ეთნიკურ ნიშნად არ შეიძლება მივიჩნიოთ და ის მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ზოგადად უნივერსალურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და დამახასიათებელია განვითარების გვაროვნულ საფეხურზე მდგარი საზოგადოებისათვის.

როგორც აღნიშნულია, იშვიათად, მაგრამ მაინც ადრეყორღანების დაკრძალვის რიტუალში ოქრის გამოყენების შემთხვევები გვხვდება მარტყოფის ჯგუფის ყორღანებში, მხოლოდ ერთში №2 ყორღანში აღმოჩნდა ოქრის ნაკვადევი. ადრეყორღანული კულტურის ხანაში იორ-ალაზნის ორმდინარეთში ეს თითქმის სადღეისოდ ოქრის გამოყენების ერთადერთი შემთხვევაა. თრიალეთის ადრეულ ყორღანში მხოლოდ ხადიკის ყორღანში აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი ოქრისა. არ ჩანს ოქრის გამოყენების კვალი თითქოს არც შიდა ქართლის ადრეულ ყორღანებში. ბედენის კულტურის საფეხურზე მხოლოდ ბედენის პლატოზე შესწავლილ ყორღანებში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ჩონჩხები. ოქრის გამოყენება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის ხანაში ცნობილია აზერბაიჯანში სტეფანაკერტის №125 და უჩ-თეფეს ყორღანებიდან. მიცვალებულის წითლად შეღებვის ფაქტს უფრო ადრეულ ხანაში აქ მხოლოდ ქიულთეფე I სამაროვანზე გვხვდება. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ეს წესი თითქოს არ ჩანს. არც თრიალეთის კულტურაში გვხვდება მიცვალებულის შეღებვის შემთხვევები. სადღეისოდ ამიერკავკასიაში ეს ტრადიცია მხოლოდ ადრეყორღანულ კულტურის ხანაში ჩანს. თუმცა არც ამ დროს გავრცელებულა ეს ადათ-წესი მაინცდამაინც ამიერკავკასიაში³.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66-67.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

გ. გობეჯიშვილის აღნიშვნით, წითელი საღებავის სამარხში ჩაყოლების, ან გვამზე მოყრის წესი მეტად ძველია; ის წარმოიშვა ქვის ხანაში და განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ადრინდელი ლითონის ხანის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ბევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიის ბარში და რიგ სხვა მხარეში. ეს საღებავი მეტად უხვად მოუხმარიათ ორმოსამარხთა კულტურის შემქმნელთ, რამდენადმე შემცირებულია კატაკომბებში და თითქმის სავსებით მივიწყებულია ძველურ სამარხთა კულტურის დროს, დაალოებით ასეთივე სურათი ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაშიც ენეოლითიდან მოყოლებული, ვიდრე ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე. წითელი ოქროს დიდი რაოდენობით გამოყენების გარეშე არ სრულდებოდა დაკრძალვის წესი მაიკოპის კულტურის მატარებელ ტომებში¹. ძვ. წ. II ათასწლეულის უწინარესი დადესტნელი მოსახლეობა სამგლოვიარო წესის შესრულებისას წითელ საღებავს არ ხმარობს².

ოთ. ჯაფარიძის კვლევით, წინა აზიაში სამარხებში ოქროს ჩატანება საკმაოდ ადრე ჩანს. ნაფუტიის კულტურაში, ყინანში სამარხების დიდ ნაწილში ჩაყოლილი იყო წითელი ოქრა. სამარის კულტურაში, სავანის სამაროვანზე მიცვალებულს უხვად აყრიდნენ ოქრას. წითელ ოქრას ბლომად იყენებდნენ სიალკ I ხანაში. შემდეგ სიალკ II ფაზაში ოქრით იფარებოდა მიცვალებულის მხოლოდ თავის ნაწილი. ძვ. წ. III ათასწლეულის მანძილზე წინა აზიაში ოქროს გამოყენება სამგლოვიარო რიტუალის შესრულებისას მაინცდამაინც დამახასიათებელი აღარ იყო³. ავტორისავე თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში ეს წესი საკმაოდ ადრინდელი ხანიდანაა ცნობილი. ნალჩიკის სამაროვნის სამარხების უმეტეს ნაწილში მიცვალებულის ძვლები წითლად იყო შეღებილი. მაიკოპის, ნოვოსვობონაიას და ამ დროის სხვა ყორღანებში უხვად იყო გამოყენებული წითელი ოქრა. ყუბანისპირეთში უსტ-ჯეგუტანის სამაროვანის უადრეს სამარებში. ამ წესს ვხვდებით მომდევნო ხანაშიც, მაგრამ უფრო ნაკლებად. ცნობილია იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დადესტანში და მთიან საჩქნეთში. რამდენადმე უფრო გვიანდელ დროის სამარხებში – ბარაბუდახკენტის სამაროვანზე, მანასის და გინჩის სამარხებში და სხვ. ვარაუდობენ, რომ ეს წესი სამხრეთ რუსეთის სტეპური ზოლიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით ეს წესი დამახასიათებელი ჩანს ძველი ორმოსამარხების და ყორღანული კულტურის ხანაში. ამ კულტურის დასავლეთით განფენასთან ერთად ვრცელდება მიცვალებულის წითლად შეღების ტრადიცია ევროპაში და ამიტომ ზოგჯერ მას ოქრიანი სამარხების კულტურასაც უწოდებენ. ამ წესის აქ გამოჩენას ძველი ორმოსამარხების კულტურის გავრცელებას უკავშირებენ. ოთ. ჯაფარიძის აზრით, მთლად დამაჯერებელი არ ჩანს მოსაზრება, რომ ამ ტრადიციის გავრცელება ამიერკავკასიაში მაინცდამაინც სამხრეთული გავლენის შედეგი იყო. პირიქით, ავტორისავე აზრით, თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ ეს მოვლენაც ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებს უკავშირდება. ეს სწორედ ის დროა, როდესაც კავკასიაში ძველი ორმოსამარხების კულტურის გავლენა ძლიერდება⁴.

ოხრით მიცვალებულის დამარხვის წესი ჯერ კიდევ ცნობილი იყო ძვ. წ. VIII ათასწლეულის ჩათალ-ჰუიუქის მოსახლეობისათვის. ასევე თეფე სოდოკში, აზერბაიჯანის

¹ გ. გობეჯიშვილი, ბადენის გორანამოსახლათა კულტურა, თბ. 1980, გვ. 128.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62.

ენეოლითურ სამარხებში (ნახინგვანის ქიულ-თეფე I ფენა)¹ და არ შეიძლება ამ სახის სამარხების მატარებელთა მიკუთვნება თითქმის ჩრდილო კავკასიიდან დაძრული ინკუსტრირებული მასისათვის².

აღსანიშნავია, რომ ახალდაბადებულ ბავშვს ინდიელები (იაგუა, კოკამა, ნაპურუნა) ავი ძალების საწინააღმდეგოდ ფარავენ წითელი საღებავით³. ასევე ინდიელების რწმენით ომში მოკლული ადამიანის სული (მუისაკი) იმყოფება ადამიანის თავში. ეს ის სულია, რომელმაც შური უნდა იძიოს ადამიანის სიკვდილისათვის. ასეთი იყო საომარი ტრაფეა ხივარის მეომრებისათვის. რომ გააჩერონ მუსაკას შურისძიება ინდიელები განსაკუთრებულ რიტუალებს ასრულებდნენ. ერთ-ერთი არის ის რომ უპირველესად უნდა დაიცვან მებრძოლი, ტრანტსუს მიერ მოპოვებული მუისაკასაგან. ამისათვის მეომრის სახეს ღებავენ წითელი საღებავით, რომელიც მანვე ძალებს ააცილებს. ამავე დროს იმ რწმენიდან გამომდინარე, რომ სული სიკვდილის შემდგომაც შეიძლება იყოს აგრესიული, დაკრძალვის დროს პერუელი ამაზონიის ბევრი ხალხი ღებავენ გარდაცვლილის სხეულს აჩიოტეს ან უიტოს წვენიტ, იმ რწმენით, რომ მისი სულის წასაყვანად კეთილი ადამიანები მალე მივიდოდნენ და წაიყვანდნენ ზეციურ სამყაროში, სადაც მიცვალებულთა სულები ბინადრობენ⁴.

ვფიქრობთ, წითელი ოხრა უკავშირდება მზის კულტს მისი ფერიდან გამომდინარე (წითელი=მზეს). ის არის აღმზნები ფერი და შესაძლოა ადგომის იდეასთანაც ჰქონდეს კავშირი. ამავე დროს მიცვალებულის მიერ იმ სამყაროში ახალი ცხოვრების გაგრძელებას და შესაძლოა კვლავ განახლების იდეასაც გულისხმობდეს.

ოთ. ჯაფარიძის თქმით, ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი პირველად კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ე. წ. ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო. ამ კულტურის ყორღანები უძველესი უნდა იყოს. უფრო უხნესი ყორღანები სადღეისოდ ცნობილი არ არის⁵. ავტორისავე აზრით, თითქმის ყველგან, სადაც კი ძველ სამყაროში ორმოსამარხების კულტურა ვრცელდება, გამოჩენას იწყებს ყორღანული ტიპის სამარხი. როდესაც კავკასიის ჩრდილოეთით უზარმაზარ სივრცეზე ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, აღნიშნავს ავტორი, ყორღანი მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანი ხდება. ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთით მოძრაობის პირველი ტალღის გზა კავკასიის მიღმა მიდიოდა⁶. მისივე თქმით, როგორც ჩანს, ამიერკავკასიას ამ დროისათვის ეს მოვლენები არ არ შეეხებია. მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში არ შეინიშნება რაიმე კავშირები ძველი ორმოსამარხების კულტურასთან. ხოლოდ მისი ძლიერების შესუსტების შემდეგ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში აქტიურდება ჩრდილოეთის გავლენები. მტკვარ-არაქსის კულტურა ამ პერიოდში თვითონ ახდენს ექსპანსიას

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

³ И. Муньей, Беседа. Представление о душе у народов перуанской амазонки, Советская Этнография, М. 1991, №4. გვ. 103.

⁴ И. Муньей, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

⁶ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ცენტრალურ კავკასიაში. უკანასკნელი ხანის აღმოჩენები აქ მიუთითებენ მჭიდრო ურთიერთობაზე გვიან მტკვარ-არაქსის კულტურასთან¹.

ნ. მერპორტის თქმით, ძვ. წ. III და II ათასწლეულის დასაწყისში კასპიისპირეთისა და შავიზღვისპირეთის სტეპებში გავრცელებული ორმოსამარხთა კულტურა ეწოდება ამ უკანასკნელი ფორმის დაკრძალვის ფორმის მიხედვით და ის მეტად პირობითი სახელწოდებაა, რომლის შიგნით მთელი რიგი ლოკალური ვარიანტები გამოიყოფა. მათ გამაერთიანებელ ძირითად ნიშნებად, ავტორი გამოყოფს ინდივიდუალურ ყორღანულ დაკრძალვას ზურგზე მოკრუნხულ და ოქრით დაფარულ მდგომარეობაში. მის განვითარებაში ასევე გამოყოფენ სამ პერიოდს. პირველი უძველესი ეს არის ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი. მეორე ეს არის ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის მეოთხე და მესამე მეოთხედი. ამ პერიოდში აზოვისპირეთის და დონისპირეთის ამ კულტურაში შეიმჩნევა მაიკოპის კულტურის გავლენა. ძვ. წ. II ათასწლეულის მესამე მეოთხედეში გავლენას განიცდის ჩრდილო კავკასიური კატაკომბური კულტურა. მათი მიგრაციები ფიქსირებულია ბაღკანეთის ნახევარკუნძულამდეც, რომლებიც ითვლებიან ერთ-ერთ იმ ძირითად ჯგუფად, რომლებმაც საფუძველი დაუდეს მთელ რიგ ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფებს².

ვ. ივანოვის აზრით, საერთოინდოევროპული დაკრძალვის რიტუალი ხასიათდება შემდეგი ნიუანსებით: მიცვალებულის კრემაცია, მისი ნარჩენების შეგროვება, სიმბოლური გამოსახულებების დამზადება, რომელსაც მიეზიდებიან ცხენებზე შებმულ ბორბლიან ეტლზე. ყოველივე ეს, ავტორის აზრით, აღდგება ხეთურ სამეფო რიტუალებში, რომელიც აღწერილია ვედურ ჰიმნებში, ასევე ჰომეროსის კრემაციის რიტუალში. მისივე თქმით, რამდენადაც მსგავსი რიტუალი არსებობს მესოპოტამიაში (ხალაფიდან მოყოლებული) შესაძლოა მისი არეალური ხასიათი, რომელიც მნიშვნელოვანია წინარე სამშობლოს ლოკალიზაციისათვის³.

გამოთქმული მოსაზრებით, საერთო-ინდოევროპულსა და საერთო-ქართველურს ბევრი არატრივიალური საერთო ნიშანი აქვთ. ფუძის აგების პრინციპის ერთგვაროვნება წინაპირობად გულისხმობს ძირებისა და აფიქსების სტრუქტურებისა და აქცენტუალური სისტემის იდენტობას. ავტორისავე თქმით, ინდოევროპულ-ქართველური ერთობის დაშლა, შესაძლებელია მე-6 ათასწლეულისათვის ვივარაუდოთ⁴.

ი. დიაკონოვის მოსაზრებით, IV-II ათასწლეულების ურალსა და დნესტრს შორის გაშლილი ყორღანული კულტურა წარმოადგენს აღმოსავლეთის ინდოევროპელების ენობრივ წინამორბედს (ბერძნული, ფრიგიული, სომხური და ინდოარიული)⁵, მისივე აზრით, აზრით, ინდოევროპულ ენებზე მახლობელ აღმოსავლეთში არ ლაპარაკობდნენ ხეთო-ლუვიელების (ძვ. წ. II ათასწლეული) პროტოარმენების გამოჩენამდე, ანუ ძვ. წ. II

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.

² იხ. Н. Я. Мерпорг, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского Междуречья, М. 1974.

³ Вяч. Вс. Иванов, Проблемы реконструкции общиндоевропейского погребельного обряда и ритуального текста, Конференция Бальто-славянские этнокультурные и археологические древности, Погребельный обряд, Тезисы докладов, М. 1985, გვ. 40.

⁴ ი. მელიქიშვილი, ენათა კონტაქტების თეორია და ქართველურ-ინდოევროპული გენეტიკური ურთიერთობის საკითხები, ქართველთა ეთნოგენეზი, თბ. 2002, გვ. 52.

⁵ И. М. Дьяконов, Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989, გვ. 11.

ათასწლეულის დასასრულამდე¹. ავტორისავე აზრით, პროტონდოვეროპელებს არასდროს არ უცხოვრიათ აღმოსავლეთ ანატოლიაში, ირანის აზერბაიჯანში, არსად არ იყვნენ მახლობელ აღმოსავლეთში, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. V-III ათასწლეულის პერიოდში².

ი. დიაკონოვისავე აზრით, პროტოქართველური და პროტონდოვეროპული ლექსიკური იზოგლოსები მოწმობენ პროტოქართველურისა და პროტონდოვეროპულის მჭიდრო ნათესაობაზე, რომლებიც მომდინარეობენ საერთო პროტო-ქართველურ-ინდოვეროპული დიალექტური კონტინუმიდან³. ავტორი მიიჩნევს, რომ პირველი ქართველური ენის მატარებლები მოვიდნენ ჩრდილოეთიდან. მისივე აზრით, არავითარი კავშირი ჩათალ-ჰუიუკისა ადრინდელ მცირე აზიასთან და საქართველოს უფრო გვიანდელ არქეოლოგიურ კულტურებთან არ შეინიშნება. არქეოლოგიური ცენტრის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ მაიკოპის კულტურა და ახლად აღმოჩენილი ყორღანები კახეთში. მაიკოპის კულტურის დათარიღება შესატყვისობაშია ქართველურ გლოსტოქრონოლოგიასთან. მაიკოპის კულტურას, აღნიშნავს ავტორი, ახლო ნიშნები აქვს არა მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთის კულტურასთან, არამედ წინარე პროტოვეროპულ კულტურებთან (ძვ. წ. III ათასწლეულში სამხრეთ ევროპაში, მეგალითური და სხვა). მისივე აზრით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური დოლმენები არ განსხვავდება ევროპული მეგალითებისგან. ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა განეკუთვნება განსაკუთრებულ ადგილობრივ ევროპულ რასას – კავკასიურ რასას⁴.

ჩვენ ვიზიარებთ ი. დიაკონოვის მოსაზრებას ინდოვეროპელების მახლობელ აღმოსავლეთში გვიან გამოჩენის შესახებ. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, რომელსაც მარტყოფის და ბედენური კულტურის გამოჩენა მოწმობს. თუმცა ვერ გავიზიარებთ ავტორის მოსაზრებას პროტოქართველური და პროტონდოვეროპულის საერთო დიალექტური კონტინუმიდან მომდინარეობის და ქართველური ტომების თითქოსდა ჩრდილოეთიდან მიგრაციის შესახებ. ჩვენი აზრით, ქართველურსა და ინდოვეროპულს შორის არსებული ენობრივი შეხვედრები გვიანდელი ჩანს და ფუძისეულად მათი საერთოობა მხოლოდდა მხოლოდ თეორიულ და ჰიპოტეტურ მოსაზრებებს არ სცდება. ქართველური ტომების ჩრდილოეთიდან მიგრაციის თეორია კი ყოველგვარ არგუმენტაციასაა მოკლებული და ვფიქრობთ, არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით თუ სხვა სახის წყაროების ანალიზით ამ სახით მსჯელობის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ი. დიაკონოვი, ბელადების სამარხებს ღჩაშანეში სევანის ტბასთან, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისაა, კრემაციის წესით, ხის დასაკრძალავი ეტლებით და მდიდარი ნივთებით, ახლოს ახლო მდგომად მიიჩნევს თრიალეთის და კიროვაკანის სამარხების ტიპთან, მაგრამ მისივე აზრით, ჩნდება ახალი ნიშნები, რომლებიც

¹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 12.

² И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 14.

³ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 16.

⁴ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 17.

საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე მეტყველებს. ბელადებთან ერთად იკრძალებიან მონებიც¹.

თრიალეთური კულტურის ადრეული ყორღანების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ წინამორბედ ეპოქაში ყორღანული ეპოქის სამარხები, ძირითადად კოლექტიურია (ტყვიავის ყორღანი, საჩხერის ყორღანული სამარხები და სხვა) ხოლო თრიალეთურ კულტურაში დასაფლავების განსხვავებულ წესს ვხვდებით. აქ უკვე თითოეული ყორღანი ერთი მიცვალებულისათვის არის განკუთვნილი. როგორც თრიალეთის კულტურის აყვავების ხანაში (ძვ. წ. II ათასწ. პირველი ნახევარი) ყორღანები სხვადასხვა ზომის და ტიპისაა უპირატესად გვხვდება ძალიან დიდი ზომის ქვაყრილიანი ყორღანი. ზოგიერთი მათგანი ორმოიანია. აქვეა აგრეთვე უორმო ყორღანები, სპეციალურად დასაკრძალავი მოედნით მიწის პირზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყორღანები დასაკრძალავი დარბაზებით: ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ჩადგმულია უპირატესად ფილაქვებით მშრალად ნაგები შენობა². ერთ-ერთ ასეთ ყორღანს თრიალეთის, ზურტაკეტის პლატოზე, ერთი ჰექტარი ფართობი ეკავა. ქვაყრილის სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევდა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი“, რომლის ფართობი 160 კვ. მეტრს უდრიდა. დარბაზის კედლის სიმაღლე 6 მ-ს აღწევდა. ყორღანს ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა. „დამკრძალავ დარბაზი“ სიგრძივ ხის სვეტებით სამად იყოფოდა, რომელზედაც, როგორც აღნიშნულია, ალბათ ხის ძეგლები თუ იყო გადებული. აღმოსავლეთის მხრიდან, თითქმის ყორღანის კედლიდან იწყებოდა შესასვლელი, დროშის, რომლის სიგრძე 40 მ-ს უდრიდა. დროშის ორივე კედელი ფილაქვებით ამოუშენებიათ. ეს იყო საგანგებო გზა, საიდანაც „დასაკრძალავ დარბაზში“ შეჰქონდათ მიცვალებული და სამარხეული ინვენტარი³. თრიალეთში ამ ტიპის რამდენიმე ყორღანია მიცვალებულით. თითქმის ყველა მათგანი მდიდარ სამარხეულ ინვენტარს შეიცავს. დარბაზის კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულია დიდი ზომის თიხის ჭურჭლები. მიცვალებული მოთავსებული იყო ცენტრალურ ნაწილში. თუმცა თრიალეთის დიდ ყორღანებში მიცვალებულის ძეგლები არ აღმოჩენილა. გამოთქმული მოსაზრებით, აქ წესად ყოფილა მიცვალებულის დაწვა და შემდეგ მისი ფერფლის შეტანა ყორღანებში. კრემაცია თრიალეთის კულტურაში ძირითადად წარჩინებულ პირთა სამარხებში შეინიშნებოდა; რიგით სამარხებში (ქვასათალი, შულავერი და სხვა) ისევ ძველი წესისამებრ ასვენებდნენ გვერდზე მწოლიარეს, ფეხებმოკეცილს. მიცვალებულის დაწვის წესი ბ. კუფტინის ვარაუდით, თრიალეთის კულტურაში ძველადმოსავლური სამყაროდან უნდა გავრცელებულიყო, სადაც კრემაცია საკმაოდ ადრინდელ პერიოდს განეკუთვნება⁴. ოთ. ჯაფარიძის აზრით, დაკრძალვის ეს წესი ძირითადად ამ კულტურის მატარებელ ტომთა მმართველ წრეებში გვხვდება⁵.

¹ И. М. Дьконов, История армянского народа, Ер., 1968, გვ. 76.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 80.

³ О. М. Джапаридзе, Археологические раскопки в Триалети 1959-1960 гг. Советская археология, М. 1964, გვ. 106; ო. ჯაფარიძე, 1960-61 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №5, თბ. 1963, გვ. 194.

⁴ ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ. 1945, გვ. 20.

⁵ ო. ჯაფარიძე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 205-207.

გ. გობეჯიშვილი თრიალეთის ყორღანების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრები არაფერს იშურებდნენ თავიანთი მიცვალებულისათვის. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება სრულად გაეტანებინათ ყოველივე ამ ქვეყნიური, მათი რწმენით იმ ქვეყანაში გამოსადეგი. იარაღ-საჭურველი, სამკაული და ჭურჭელი. მაგრამ, აღნიშნავს ავტორი, ამის გარდა, უთუოდ ახალ რამესაც შეიცავდა ყორღანული სამარხები, რომ არაფერი ვთქვათ ხის ნაკეთობებზე, რომელთა უმთავრესი ნაშთები აღმოჩნდა ზოგ სამარხში. მისივე აზრით, უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ უამრავი თიხის ჭურჭელი, რომლითაც გარშემორტყმული იყო მიცვალებულის ცხედარი, მარტო მარაგს წარმოადგენდა, არამედ, ჭურჭელი გავსებული იყო სასმელით, ზოგშიც ხორბალი და ფქვილი იყო, სხვებში კი ხორცსა და სხვა მისთანა პროდუქტებს ათავსებდნენ. ყორღანებში აღმოჩენილია ცხოველთა ძვლები, უმთავრესად ხარის ძვლები, თრიალეთში დამოწმებული დაკრძავის წესი და დაკრძალულთა ჩატანებულ ნივთთა (მაგალითად ეტლი) დიდი ნაწილი ავტორისავე აზრით, ბევრი ნიშნით უკავშირდება წინა აზიის ხეთურ-ხურიტული კულტურის სფეროდან ცნობილ ფაქტებს, თუმცა ამასთან ერთად ისეთ ორიგინალობასაც ამჟღავნებს, რომლის შესატყვისს სხვაგან ვერ ვპოულობთ¹.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულის დაწვის მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაა ფიქსირებული. ერთი აღმოჩნდა კიკეთის სამარხში; ასევე კრემაციის შემთხვევაც ჩანს ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში, ასევე ქვაცხელის სამარხში. აქ და საკუთრივ ქვაცხელის ყველა დანარჩენ სამარხში ინჰუმაცია იყო. ო. ჯაფარიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში მიცვალებულის დაწვა, შესაძლოა, მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულ ვითარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ეგებ, აკლდამის გაგრძელებასთან². ვფიქრობთ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მეტ დაზუსტებას მოითხოვს.

გ. გობეჯიშვილის აღნიშვნით, გ. ფსაკაძისა და გ. მირცხულავას მიერ კიკეთის და სამშვილდის ფოსოებიანი კერამიკა, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდება, პირველად ჩნდება გეო თეფეს სუბფაში, ძვ. წ. 3100-2900 წლებში. ზოგი მას ინდოევროპული წარმოშობისად ანუ ტრიპოლის კულტურიდან მიგრაციას მიაწერს. თუმცა გ. გობეჯიშვილი ქრონოლოგიური თანხვედრის არარსებობის გამო ამას გამოიცხავს და ფოსოებიანი სახის ორნამენტის წარმოშობას ადგილობრივად მიიჩნევს³. ავტორი სვავს საკითხს თუ რატომ არ ჩანს ამ სახის კერამიკა თრიალეთის კულტურაში, რომელიც მტკვარ-არაქსის გენეტიკურ შთამომავლადაა ბ. კუფტინის მიერ მიჩნეული. გ. გობეჯიშვილი ამ ფაქტს თრიალეთის კულტურის ვიწრო ლოკალური ხასიათის ხსნის. მსგავსი ფოსოები, მისივე აღნიშვნით, გვხვდება კიკეთის სამშვილდის, თეთრი წყაროს და არუხლოს ნასახლარებზე. ავტორისავე აზრით, ერთი კულტურის მატარებელ თუნდაც სისხლით მონათესავე ეთნიკურ ერთეულში რელიგიურ რწმენათა არსენალში შეიძლება ჰქონოდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ესა თუ ის ელემენტი. ბედენის გორასამოსახლოთა მშენებელი საზოგადოება ამ ლოგიკით იმ ეთნიკურ სუბსტრატის შთამომავლად და მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც წარმოიშვა და გავრცელდა ჩაზნექილი ფოსოები, რადგან ფოსოებში წყლის სიმბოლო მოჩანს, ამიტომ მათი შემქმნელი ეთნოსის საცხვრისი,

¹ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1992, გვ. 67-67.

² ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 139.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ავტორის აზრით, უნდა ყოფილიყო მხარე, სადაც ნაყოფიერებისათვის წყლის საჭიროება ყველაზე მეტად იგრძნობოდა. ასეთი მხარეები იყო ქვემო ქართლის ველი მისი მიდგომი დასავლეთი აზერბაიჯანითურთ, ეგებ არარატის დაბლობები და ურმიის ტბის ნაპირებიც¹.

აღნიშნულია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში (ძვ. წ. XIV საუკუნიდან) დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში მინცდამინც დიდი სხვაობა არ შეინიშნება. მიცვალებულებს ისევ ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ².

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების კახეთში არის ქვაყუთები ან ორმოსამარხები, რომელიც ძირითადად ერთი მიცვალებულის დასაკრძალად გეხვდება. ზოგიერთ სამარხში სამი მიცვალებული ესვენა³. სამარხში თითქმის არ არის თიხის ჭურჭელი. ოთ. ჯაფარიძის აზრით, შუაბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის მეტად შესუსტებულია ურთიერთობა, რომლის მიზეზადაც ავტორი ამ დროის კოლხეთის ბარის ნაწილის უფრო ინტენსიური დასახლებით ხსნის და ცხოვრების ახალი თავისებური პირობების ეგებ ურთიერთობების შენელებას მიაწერს. მისივე თქმით, კოლხეთის დაბლობის უფრო ფართო ათვისებაზე მისმა მდიდარმა ბუნებრივმა შესაძლებლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ცხოვრების საერთო დონე და ერთგვარად შეანელა ურთიერთობა გარე სამყაროსთან⁴.

მდ. ყვირილას ზემო წელზე, საჩხერის რაიონში მიკვლეული ყორღანები თითოეული კოლექტიურ სასაფლაოს წარმოადგენდა. გამოთქმული მოსაზრებით, ეს ყორღანები საგვარეულო სამაროვნებს წარმოადგენდა, სადაც გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულს. თავდაპირველად ალბათ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ძირზე, შემდეგ კი ათავსებდნენ ამ ყორღანების ქვაყრილებს შუა. დასაფლავების ამგვარი წესი ჩვენში ცნობილი უნდა ყოფილიყო ადრეული ხანიდან (ტყვიავის ყორღანი)⁵.

კოლექტიური სამაროვანი ყორღანები ცნობილია ამიერკავკასიის სხვა ადგილებშიც – სტეპანაკერტში⁶. ყორღანები კოლექტიური სამარხებით საკმაოდ ადრეული ხნიდან გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაშიც – ნალჩიკის №1 ყორღანი⁷. აქაც ნაჩერქეზევის მსგავსად მიცვალებული იწვა მოკრუნხული, მამაკაცები უპირატესად მარჯვენა გვერდზე, დედაკაცები მარცხენაზე. როგორც ჩანს ეს სამარხებიც საგვარეულო სასაფლაო უნდა ყოფილიყო⁸. კოლექტიური სამარხები ჩრდილო კავკასიაში ცნობილია მომდევნო ხანაშიც – ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზეც (დაღესტანი)⁹.

ზოგიერთი მკვლევარი ინდივიდუალური ყორღანული სამარხების გაჩენას ამიერკავკასიაში ნეოლითის ხანას აკუთვნებს¹⁰ (გოლიცინი, შამქორის რ-ნი), რომელსაც ბ.

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961, გვ. 141; იხ. ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ. 1943, გვ. 33.

⁶ Л. П. Татчян, Курган с массовым погребением в окрестностях Степанакерта, Изд. Аз. ФАН СССР №11, Баку, 1944, გვ. 91.

⁷ А. А. Милер, Северокавказская экспедиция ГАИМК, В 1929. сообщения Г. А. НИМК, №3, 1931, გვ. 26.

⁸ Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, М. 1957, გვ. 31.

⁹ В. И. Канниев, Миатликовский памятник бронзового века в северном Дагестане, Материалы по археологии Дагестана, Т. 1, Мах. 1959, გვ. 36.

¹⁰ К. Х. Кушнарева, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

პიოტროვსკი, ნალჩიკის ყორღანის ხანას უკავშირებს¹. ოთ. ჯაფარიძის აზრით, ეს ყორღანი ყორღანი შდარებით გვიანდელი ხანისაა და ეგებ უფრო მართებული იყოს თუ მას თრიალეთის უძველესი ჯგუფის ყორღანებს გავეუტოლებთ². ჩრდილო კავკასიაში ინდივიდუალური ყორღანები გამოჩენას იწყებენ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან³.

საქართველოში გავრცელებულ ყორღანულ კულტურათა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მიცვალებულის ეტლით დაკრძალვის წესი, რომელიც ამ კულტურის მატარებელია ეთნიკური კუთვნილების განსასაზღვრად ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნევა, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით მართებული მიდგომაა.

ხის ოთხთვალით დაკრძალვა დამახასიათებელია, როგორც ადრეობრინჯაოს, ისე შუაბრინჯაოს ჯგუფის თრიალეთის ყორღანებისათვის⁴.

როგორც აღწერილია, თრიალეთში, ორმოში ყორღანის თავიდან 2,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა კარგად შენახული ოთხთვალი ეტლი. ეტლს ოთხივე მხრივ თითქმის ღერძის სიმაღლემდე შემოწყობილი ჰქონდა ფიხი. ორმოს ძირზე, როგორც ჩანს, დაგებული ყოფილა ჭილობი და ეტლი ზედ ჭილობზე მდგარა. იმის გამო, რომ ეტლი ადგილიდან არ დაძრულიყო, მარცხენა მხარეს ვერტიკალურად ჩარტობილი იყო სოლები, სამი სოლი უკანა ბორბალთან და ერთიც ბორბლებს შორის. სამარხში ეტლთან ერთად აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი; ოთხი ეტლის შუა ნაწილში, წინა ღერძთან, ერთი შავპირილა, შესანიშნავად ორნამენტირებული ქილა და მარჯვენა მხარეს, წინა და უკანა ბორბლებს შორის. წინა ღერძის ქვეშ აღმოჩნდა ხის ხონჩა. მარცხენა წინა თვალიდან შიდა მხრიდან ნაპოვნი იყო სატევრის პირი. აქვე აღმოჩნდა პატარა ბრინჯაოს ოვალური საკიდი. ადამიანის ძვლებიდან აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ნატეხი. ცალკეული უმნიშვნელო ნაწილები ადამიანის ძვლებისა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ აქ გათხრილი ყორღანებიდან, მაგალითად, ეტლიან ყორღანში იპოვეს ბეჭის ძვლის ნატეხი. სხვა ყორღანებში გვხვდება უპირატესად ადამიანის კბილები⁵.

იორ-ალაზნის ორმდინარეთში ბედენური კულტურის ხანაში საკმაოდ გავრცელებული იყო მიცვალებულის ხის ოთხთვალი ეტლთან დაკრძალვის რიტუალი. მარტყოფის №3 ყორღანში ორმოს ძირზე ღრმელები აღმოჩნდა, რომლებშიაც კარგად შემინევა ხის ნაწილები, ალბათ ხის ურმის თვალეების ნაშთი. ივრისპირეთში გათხრილ ზოგიერთ ყორღანში ჩანდა ხის ეტლის ნაკვალევი. ხის ეტლის ნაშთი აღმოჩნდა კატრეთთან გათხრილ ყორღანში. ზეიანთან შესწავლილ ყორღანში თითქოს ჩანდა ხის ეტლის კვალი, მაგრამ სამარხეული ინვენტარი, როგორც აღნიშნულია, უფრო მარტყოფის ეტაპისათვისაა დამახასიათებელი. ალაზნის ველის სამივე დიდ ყორღანში მიცვალებულები ხის ოთხთვალი ეტლთან ერთად დაუკრძალავთ. წნორის №1 ყორღანში, ჩანს, ეტლის მხოლოდ ერთი თვალი იყო ჩატანებული, რომელიც ორმოს დასავლეთ კედლის შუა ნაწილში იყო მიყრდნობილი. №2 ყორღანში ხის ოთხთვალი ეტლი, გამოთქმული ვარაუდით, დაშლილი

¹ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949, გვ. 30.

² ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყოღანული კულტურა), თბ. 1998, გვ. 143.

³ Е. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии кабардинского периода, МИА, 23, М.-Л. 1951, გვ. 49.

⁴ Э. М. Гогодзе, К вопросу о генезисе и периодизации курганной культуры Триалети, ძველი ისტორიის საკითხები, თბ. 1970, №3, გვ. 232.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

სახით უნდა ჩაედგათ სამარხის ცენტრში. ბაკურციხის ყორღანის შუა ნაწილში ხის ეტლი უნდა მდგარიყო. ეტლის ნაკვალევი აღმოჩნდა ანაგის ყორღანის ცენტრალურ ნაწილში¹.

მართებული ჩანს ოთ. ჯაფარიძის ის მოსაზრება, რომ კავკასიურ ადრეულ ეტლებში, მასიური თვლებით, გამწვევი ძალა, ხარი უნდა ყოფილიყო, რაც გამორიცხავს საბრძოლო მიზნისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობას². მისივე აზრით, ყველა ეს ეტლი, ჩანს, არაპრაქტიკული დანიშნულების უნდა ყოფილიყო და საკულტო ეკიპაჟთა რიგს განეკუთვნებოდნენ³.

გამოკვლეულია, რომ ძველ აღმოსავლეთში ეტლის გამოსახულება, ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი. ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ხის ოთხთვალა და ორთვალა ეტლები ნაპოვნია ურის, კიშის, სუზის და სხვა დიდებულთა სამარხებში. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხის ეტლები ვრცელდება როგორც წინა აზიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზოგიერთი ავტორის აზრით, ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯაჰუიუკის დიდებულთა სამარხებში ხის ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი იყო ცნობილი. მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთიდან ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელების შესახებ სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული. ერთ-ერთი ყველაზე მიღებული აზრია, რომ სამხრეთიდან კავკასიაზე გავლით ეტლი სამხრეთ რუსეთის სტეპური ზოლის გზით ევროპაში ვრცელდება⁴.

გ. გობეჯიშვილის თქმით, ორდერძიანი საზიდრის ტიპი ფართო ხმარებაში იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და ამიერკავკასიის კულტურებში, ყოველ შემთხვევაში ბრინჯაოს ხანის მთელს სიგრძეზე. ბედენურის მსგავსი ურმის თვლები აღმოჩენილია კიდევ უფრო ჩრდილოეთის გორასამარხებში, თითქმის ასეთივე, ოღონდ უმორგელო ბორბლები წარმოდგება ჩრდილო იტალიის ტერამარებიდან და აგრეთვე ნაპოვნია ჩრდილო ევროპის ჭაობიან ადგილებში. ავტორისავე აზრით, ამათ ძალიან ჰგავს ეთნოგრაფიულ ყოფაში მესხეთ-ჯავახეთში შენახული მძიმე ურმის თვლები⁵.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკვარ-არაქსის კულტურაში კარგადაა წარმოდგენილი ეტლის თვლის თიხის მოდელები. მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი, გამოთქმული მოსაზრებით, გავრცელებული იყო ძველი ორმოსამარხების და კატაკომბური კულტურების მატარებელ ტომებში. ეტლები სამარხში უპირატესად დაშლილი სახით შეჰქონდათ ან რომელიმე მის ნაწილს, უფრო მეტად კი ბორბალს ატანდნენ, ზოგჯერ თვლები ოთხივე კუთხეში იდო და თითქოს ეტლის იმიტაცია იქმნებოდა. ეტლიანი სამარხების აღმოჩენის სიხშირით განსაკუთრებით ყუბანისპირეთი გამოირჩევა⁶.

ჩვენში და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან დაკრძალვის რიტუალი ბედენის კულტურის ხანაში ვრცელდება. ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპზე დასაფლავების ეს წესი, ჩანს, ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო⁷.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98-99.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101.

⁵ გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორანამოსახლართა კულტურა, თბ. 1980, გვ. 94-95.

⁶ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

⁷ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ტყემლარის №4 სამარხში მიკვლეულ ყორღანში აღმოჩენილი ურმის ბორბალზე აღმოჩნდა მრავალძარღვას მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა, რაც ე. ყვავაძის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ურემი ფუნქციონირებდა¹.

აღნიშნულია, რომ ეტლები სწორედ ბედენური ყორღანებისთვის იყო დამახასიათებელი და თრიალეთის კულტურაში ინერციით გადავიდა, ისიც მხოლოდ მის ადრეულ მონაკვეთში. მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებით, ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი XXIX ყორღანიც, რომელიც თრიალეთურად მიიჩნეოდა, ბედენურ ყორღანებს მიეკუთვნება. ადრეყორღანული კულტურის არეალში მყოფი საქართველოს რაგიონების (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი), ბედენურ და მარტყოფულ კულტურებს სრულად ახალი მოვლენა – მიცვალებულის ყორღანებში დაკრძალვა აერთიანებს, თუმცა, როგორც შენიშნავენ, დაკრძალვის წესში არის ერთი არსებითი განსხვავება: ბედენურ ყორღანებში გვხვდება ეტლი ან საკაცე, რაც სრულიად უცხოა მარტყოფისათვის. განსხვავებულია კულტურაც. ზოგიერთი მკვლევარი მარტყოფულს ბედენურზე უფრო ადრეულად თვლის, სხვების აზრით კი პირიქით. თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური ეტაპის სინქრონულად არსებობს ბედენური ძეგლებიც (ორჯონიკიძე)².

ვფიქრობთ, ბედენურსა და მარტყოფურ ყორღანებს შორის შენიშნული დაკრძალვის რიტუალის განმასხვავებელი ნიშნები (ეტლით დაკრძალვის წესი ბედენის კულტურაში და კერამიკულ მასალაში) არ უნდა მეტყველებდეს ორი სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფისადმი მათ კუთვნილებას. შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს ერთი მონათესავე ხალხთა ერთობის ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ტოტემისტურ ჯგუფებთან, რომლებიც ერთმანეთისაგან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით და შესაბამისად რიტუალურ-რელიგიური ნიშნების სხვადასხვაგვარობით გამოირჩევიან. მსგავსი რამ დამახასიათებელია განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი საზოგადოებისათვის. რაც შეეხება თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელ მოსახლეობას, აქ ჩვენ შესაძლოა სულ სხვა მიგრაციულ ტალღასთან გვქონდეს საქმე.

ოთ. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ეს იდეა ყორღანული ტიპის სამართან ერთად ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, სადაც ეს წესი საკმაოდ ადრე ჩანს. მისივე აზრით, ოქრის მონაწილეობა დაკრძალვის წესში ჩრდილოეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირდება. ისიც, რომ ჩვენში ორბორბლიანი ეტლი ჯერჯერობით ცნობილი არ არის და ძირითადად ოთხთვალიანი ურემი ვრცელდება, თითქოს ერთგვარად მხარს უფრო ამ შეხედულებას³.

ეტლით მიცვალებულის დასაფლავების წესი როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთში და მასზე უამრავი მოსაზრებებია გამოთქმული. ის ჩვენში უკვე ცნობილია ადრეული ბრინჯაოს ხანიდან. ჩვენში აღმოჩენილი ოთხთვალა ეტლი და მასთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის წესი წინააზიური წარმოშობისად მიიჩნის⁴. მ.

¹ იხ. ხ. შატბერაშვილი, ვ. შატბერაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ტყემლარის ბრინჯაოს ხანის სამარხები, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010.

² ხ. შატბერაშვილი, ვ. შატბერაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1960, გვ. 19. იქვე იხ. მითითებული ლიტერატურა ამ საკითხზე.

გეგეშიძე ჩვენში ოთხობლიანი ეტლის გავრცელებას ბუნებრივი პირობების გამო შეუძლებლად მიიჩნევს¹.

გ. ჩაილდის აღნიშვნით, ხარებზე მიბმული ოთხთვალა ეტლები, მეფეთა სამარხების ინვენტარის შემადგენელი ნაწილია ძვ. წ. აღ. XXVI ს. ხეთებში, ასევე შუმერებში XXVIII-XXVII საუკუნეებში, ქიშაში, სუზაში². ვ. მასონი ვარაუდობს, რომ დაკრძალვის რიტუალის ამ ფორმის არსებობა გამოძინარეობს მეზობელი ხეთებისგან. ავტორისავე აღნიშვნით, აქ საუბარია არა დაკრძალვის რიტუალის მექანიკურ გადატანაზე, არამედ იმაზე, რომ როდესაც ამიერკავკასიაში შინაგანი პროცესების გავლენის შედეგად ხდება საზოგადოების სოციალური ცხოვრების დიფერენციაცია, ბელადების ამაღლება თავის გამოხატულებას პოულობს დაკრძალვის რიტუალში და ამ რიტუალის ცალკეული ნიშნები, რომელიც ხაზს უსვამს ამ სოციალურ ურთიერთწინააღმდეგობას, შექმნილია უკვე უფრო განვითარებული საზოგადოებიდან, სადაც არსებობს ჩამოყალიბებული რიტუალი მეფის დაკრძალვის წესის სახით. ეტლის საფლავში ჩადების ძველადმოსავლურმა ტრადიციამ ჩრდილოეთით ამიერკავკასიის მაღალი წრის საფლავებში კპოვა ასახვა. ავტორისავე აზრით, ოთხთვალების სიმრავლე უწინარეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ, როგორც გარდაცვლილის სოციალური რანგის ნიშანი³. ავტორისავე აზრით, ჩრდილოეთ კავკასიაში და თრიალეთის კულტურაში II ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ეს წესი ქრონოლოგიურად სინქრონულია ხეთურ კულტურასთან⁴.

თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, ბორბლიანი სატვირთის წარმოშობის კერა შესაძლოა ყოფილიყო ახლოაღმოსავლური არეალის საზღვრებში, ჩრდილოეთ მესოპოტამიის მხარე (ტიგროსის ზემო ან მისი აღმოსავლეთით), ან კიდევ მხარე ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიამდე ცენტრით ვანისა და ურმიის ტბებს შორის. მათივე აზრით, მისი შეღწევა წინა აზიიდან ჩრდილოეთით შავიზღვისპირეთსა და ბალკანეთში შესაძლოა განხორციელებულიყო მცირე აზიიდან (ბალკანეთში) და კავკასიის გავლით ჩრდილოეთით შავიზღვიპირეთში⁵. ავტორები ამ ტიპის ტრანსპორტის გამავრცელებლებს ინდოევროპულ ტომებს მიიჩნევენ⁶.

როგორც ამ დროის ზოგიერთ ყორღანში ნაპოვნი ხის ურმის ნაკვალევით ვარაუდობენ, მიცვალებულის ნეშით ან ფერფლი ყორღანში, ხარებით შებმული ეტლით შემოჰქონდათ. გამოთქმული მოსაზრებით, შესაძლოა ამ ხარების ნაშთია ყორღანებში აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონლის ძვლები, რომლებიც მიცვალებულის სამარხში შეტანის შემდეგ დაუკლავთ, ხოლო ხორცი რიტუალის დროს გამოუყენებიათ. ასევე აღნიშნულია, რომ თრიალეთის ყორღანში დადგმული დაკრძალვის რიტუალი უახლოვდება ძველადმოსავლურ სამყაროში გავრცელებულ დაკრძალვის რიტუალს⁷. გ. გობეჯიშვილის აზრით, დაკრძალვის ეს თრიალეთური წესი - მიცვალებულის დასვენება ოთხთვლიან ხის ეტლზე, დამოწმებულია ხეთური წარწერების მიხედვით. მისივე თქმით, ეს წინააზიური

¹ მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ. 1950, გვ. 35.

² Г. Чайлд, Древний Восток в свете новых раскопок, М. 1956, გვ. 224-225.

³ В. М. Массон, Экономика и социальный строй древних обществ, Л. 1976, გვ. 166.

⁴ В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 727, 733-734

⁶ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 737.

⁷ ოთ. ჯაფარიძე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 207-208.

ჩვეულება კავკასიის გზით უფრო გვიან გასულა სკვითებშიც. ამის გარდა, ეტლები აღმოჩენილია ურის სამარხებშიც, რომელთა თვლები მსგავსად თრიალეთისა შედგენილია ხის სამი ნაჭრისაგან. ზუსტად ამგვარი ეტლები დამოწმებულია სკვითთა ყორღანებში ყუბანში. მისივე კვლევით, წინა აზიურ, ხეთურ-იბერიული კულტურის ნაწილებს ამიერკავკასიის გზით შემოუღწევია კავკასიის ქედს მიღმა მდებარე რეგიონებში, სადაც ისინი დიდხანს შენახულა. თრიალეთური ტიპის ეტლის თიხისაგან გამოქმდილი მოდელები ცნობილია ასევე მესოპოტამიიდან (ქიში) წინა აზიის სხვა ადგილებიდან და ინდოეთიდან¹.

გ. ჩაილდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ოთხთვალა შექმნილი იყო მესოპოტამიაში და ევროპაში დიფუზიის შედეგად მოსულა. მსგავს შეხედულებას იზიარებდნენ ი. ბონა, ი. მაკაი და ლ. ს. კლეინი. შ. შოპრონი სამხრეთულ წარმოშობას დასაშვებად მიიჩნევდა, თუმცა ის არ გამორიცხავდა აღმოსავლეთურ სტეპურ წარმოშობასაც. შ. შოპტინი ცალმხრივად სტეპურ წარმოშობას უჭერდა მხარს. ვინ დერ ვალსს ნიდერლანდური ოთხთვალეები აღმოსავლურად მიიჩნია. ს. პიგუნის აზრით, თუმცა ოთხთვალა გამოგონებული იყო პირველად მესოპოტამიაში, მაგრამ კავკასიაში ის შედარებით გვიან გამოჩნდა. მისივე აზრით, ოთხთვალას სტეპებიდან შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეღწევა მოსახლეობის გადაადგილების გარეშე მოხდა². ნ. კალიცი უფრო ემხრობა მის სამხრეთულ წარმოშობას, თუმცა არ გამორიცხავს აღმოსავლეთის სტეპების გავლენასაც³.

ბადენის (უნგრეთი – ძვ. წ. 2500-3000 წწ.) ენეოლითურ სამარხში ნაპოვნი იყო თიხის ოთხთვალას მოდელები, რომლებიც ადამიანის თავის ქალას ირგვლივ ელაგა სხვა ნივთებთან ერთად⁴. ამ ოთხთვალას აქვს ჭურჭლის ფორმა. ძველ აღმოსავლეთში ცნობილია ოთხთვალას მოდელები, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენდნენ მომცრო ჭურჭელს. ის განკუთვნილი იყო ღვთაებისათვის შესაწირი სასმელის შესანახად და დასამზადებლად. ზოგიერთი ავტორი, მას განიხილავს მიცვალებულის კულტთან მჭიდრო კავშირში, თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ოთხთვალას მოდელებთან ერთად დაკრძალვა და ოთხთვალით დაკრძალვაც, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ, რადგანაც ოთხთვალას მოდელების დაკრძალვა ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთობლივად ეტლით დაკრძალვაც არის გამოყენებული⁵. აქ ნაპოვნი ტიხრიანი ჯამები, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა სამსხვერპლო სასმისზე მიუთითებს, ხოლო ოთხთვალის მოდელების (თუმცა ერთი მთლიანი) მაგვარი ჯამები შესაძლოა უკვე დამზადებული სასმისის შესანახად ყოფილიყო განკუთვნილი და ნ. კალიცის აზრით, აქ ჩვენ არ უნდა დავინახოთ სიმბოლური სასმისით სავსე ოთხთვალის დაკრძალვა, არამედ აქ ძალზედ გამოჩენილი პიროვნება უნდა ყოფილიყო დაკრძალული, რომელსაც ძალუძდა ამავე სახის საკულტო მოქმედება შეესრულებინა⁶. ავტორისავე დასკვნით, დაკრძალულ ადამიანს უფლება ჰქონდა ამ შესაწირავი ნივთების მიმართ, ის მას იყენებდა სიცოცხლეში საკულტო ცერემონიების

¹ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 68. ასევე იხ. Э. Маккей, Древнейшая культура долины Индии, გვ. 120.

² Н. Калиц, Новая категория модели повозки эпохи энеолита из окрестностей Будапешта, Советская археология, 1976, №2, გვ. 114, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ Н. Калиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

⁴ Н. Калиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

⁵ Н. Калиц, დასახ. ნაშრომი, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე, გვ. 110.

⁶ Н. Калиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

დროს და ამდენად, ავტორი, ოთხოვალას მოდელს განიხილავს როგორც კულტის საგანს და არა როგორც ოთხოვალასთან ერთად დაკრძალვის სიმბოლოს¹. როგორც ჩანს ავტორი აქ სულის შესახებ რწმენის იდეას გამოირიცხავს, რაც მსოფლიოს მრავალი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა თუ არქეოლოგიური მასალაში დასტურდება. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება რელიგიური რწმენის გარკვეული მომენტის გათვალისწინების თვალსაზრისით, რაც ადამიანისადმი სიცოცხლის პერიოდში მისი საყვარელი ნივთის გარდაცვალების შემდგომ ჩატანებაში გამოიხატება, უმართებულო არ არის, მაგრამ მეორე მხრივ ბორბლის გაჩენა ამ ჭურჭელზე და საერთოდ მისთვის ოთხოვალის ფორმის მიცემა და ის როგორც მიცვალებულის ჩასატანებლად განკუთვნილი უმთავრესი საგანი, უნდა მიუთითებდეს სწორედ მოძრავი საგნით (ბორბლით) სულის გაცილების იდეაზე საიქიო სამყაროში. ამავე დროს იმ რწმენაზეც რომ ამ ნივთის გამოყენება მას იქაც შეეძლო როგორც ცოცხალს.

გამოთქმული მოსაზრებით, მიცვალებულის დაწვის წესი ევროპაში მხოლოდ ლითონის გამოჩენის შემდგომ წარმოიშვა და ის რელიგიური იდეების განვითარების შედეგად კი არა, არამედ გარედან მოსული ხალხის მიერ არის შემოტანილი. მიცვალებულის გვამს წვავენ ცეცხლზე, ხოლო შემდგომ დარჩენილ ფერფლს მარხავდნენ მიწაში ან დასაკრძალავ ურნებში. დაწვა ხდებოდა ან თვით საფლავზე² ან განსაკუთრებულ ადგილას, რომლის შემდგომაც ფერფლი გადაჰქონდათ საფლავში³.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლეთ ტრანსილვანიისა და დნებრს შორის მდებარე ძვ. წ. 4-3 ათასწლეულის ტრიპოლის კულტურის ძვ. წ. 3 ათასწლეულის მეორე ნახევრის ფენებში (გვიანდელი ეტაპი), მის ჩრდილოეთ (დნებრისპირა) ზონაში პირველად ჩნდება მიცვალებულის დაწვის ჩვეულება⁴. აქ ცნობილია მიცვალებულის როგორც მოკრუნხულ, ისე გაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვის წესი. კრემაციულ წესით ხდება მიცვალებული ურნებთან ერთად და მათ გარეშეც დაკრძალვაც. საერთოდ ამ კულტურის მატარებელი ტომები დაკრძალვის სხვადასხვა ფორმებით გამოირჩევიან, განსაკუთრებით გვიანტრიპოლურ პერიოდში⁵.

კრემაცია კონკრეტულად ეტლში, ჩვეულებრივ კარგად აიხსნება სურვილით მიცვალებული გააგზავნონ საიქიო სამყაროში და ამასთან ერთად აღკვეთონ მისი დაბრუნება ცოცხალთა სამყაროში. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ზოგ შემთხვევაში ეტლი მხოლოდ შესაწირი იყო გარდაცვლილთათვის⁶. აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ ჩრდილოურ ხალხში ეტლში დაკრძალვის წესი გვიანდელია, ის, მაგალითად, სკანდინავიელებში (ვიკინგებში) გავრცელებული იყო გვაროვნულ დიდებულებში, რომლებიც ცალკეული მცირე ტერიტორიულ გაერთიანებებს მეთაურობდნენ⁷.

მიცვალებულის ურნებში დაკრძალვის და კრემაციის წესი პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ბოლო ეტაპზე ჩანს, ისიც არა

¹ Н. Калиц, даსახ. ნაშრომი, გვ. 113-114.

² Дрѣ. Л. Нидерле, Человек в доисторические времена, СПб. 1898, გვ. 151.

³ Дрѣ. Л. Нидерле, даსახ. ნაშრომი, გვ. 152.

⁴ Л. И. Авилова, К изучению поздне трипольского погребального обряда, Советская археология, М. 1998, №3, გვ. 60.

⁵ Л. И. Авилова, даსახ. ნაშრომი, გვ. 66.

⁶ В. Д. Петрухин, К характеристике представлений о загробном мире у скандинавов эпохи викингов (IX-X вв.), Советская этнография. №19, 1975. №1, გვ. 47-48.

⁷ Г. С. Лебедев, Погребальный обряд как источник социологической реконструкции (по материалам Скандинавии эпохи викингов), Краткие сообщения института археологий АН СССР, №148, М. 1977, გვ. 89.

ფართოდ, არამედ თითო-ორი შემთხვევა არქეოლოგიურად ფიქსირებული. ერთი შეხედვით, შესაძლოა ეს წესი გარედან შემოტანილად მივიჩნიოთ, რამდენადაც ძველი აღმოსავლეთის თანადროულ კულტურებთან მიმართებაში მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურა, რომელიც ამ ორმდინარეთის ფარგლებს გარეთაც ვრცელ არეალს მოიცავს, გარკვეულ ერთიანობას ყოველთვის ინარჩუნებს თავისებური დაკრძალვის წესსა თუ კერამიკული მასალის იდენტობაში და სხვა ნიშნებითაც. ძველი აღმოსავლეთის სხვა თანადროულ თუ უფრო ადრინდელ კულტურებში კი დაკრძალვის განსხვავებული წესი და რიტუალი გვაქვს, რაც უმთავრესად მიცვალებულის ურნებში დაკრძალვასა და მის კრემაციაში ჩანს. ამ საკითხზე მასალების განხილვამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიცვალებულის კრემაციის წესი და ურნებში დაკრძალვა უფრო ფართოდ და გამოკვეთილად გვაქვს თრიალეთის ყორღანულ კულტურაში, მაგრამ მას დიდ არეალზე გავრცელება არ უნდა ჰქონოდა, თუ არ ჩავთვლით უფრო გვიანდელ ეპოქას, ვგულისხმობთ ქვევრსამარხებს, რომელზეც ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

როგორც დადასტურებულია, ადრე ყორღანული კულტურის მარტყოფ-სამგორის ეტაპზე გავრცელებული იყო როგორც მიცვალებულის დაკრძალვა-ინჰუმაცია, ისე მისი დაწვა – კრემაცია. მარტყოფის №1 ყორღანში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა. კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იატაკში ჩაჭრილი იყო ორმო. სადაც კარგად შეინიშნებოდა ცეცხლის კვალი, თუმცა რაიმე ნიშანი, მიცვალებულის დაწვის მანიშნებელი, აქ არ შეიმჩნეოდა. სამგორის ყორღანში კამერის იატაკის ქვეშ ამოღებულ ორმოში ჩადგმული იყო მიცვალებულის დამწვარი ძვლებით ამოვსებული თიხის ურნა. ალაზნის ველზე სოფ. აფენთან გათხრილ ანანურის №2 ყორღანში სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პატარა ზომის ორმო აღმოჩნდა, რომელშიც ჩალაგებული იყო ოქროს ნივთები და მიცვალებულის ფერფლის ნაშთები შეიმჩნეოდა¹.

სამგორის ყორღანებში ნაპოვნი იყო ერთი ნახვრეტისანი ჭურჭელი, რომელშიც ადამიანის ფერფლი აღმოჩნდა². ასევე აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის თავის ქალები თიხის ჭურჭელთან ერთად იკრძალებოდა (ახალციხის ამირანის გორა, კიკეთი)³.

შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში, მაგალითად სამგორის ყორღანზე, „კოსტა გორა“-ზე იატაკის ქვეშ შენობის ერთ ნაწილში აღმოჩენილ ორმოში, რომელშიც ჩადგმული იყო თიხის ჭურჭელი, ფერფლის ნაშთი აღმოჩნდა⁴.

ბ. კუფტინის აზრით, მიცვალებულის დაწვის წესი თრიალეთის კულტურაში ძველ-აღმოსავლური სამყაროდან უნდა გავრცელებულიყო, სადაც კრემაცია საკმაოდ ადრინდელი პერიოდს განეკუთვნება. მისივე აზრით, ის ამ კულტურის მატარებელ ტომთა მმართველ წრეებში გავრცელდა⁵. იმავე აზრზე დგას ოთ. ჯაფარიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ, „ამიერკავკასიაში კრემაციის ის ცალკეული მაგალითები სხვადასხვა ხანებში ძველ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს, სადაც მიცვალებულის დაწვის წესი საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდანაა გავრცელებული. მისივე აზრით, ჩვენში ეს წესი

¹ ივ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

² ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეული საფეხურზე, გვ. 39

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 160-161. ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, გვ. 39, გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენოლოგიი, თბ. 1963, გვ. 23, 73

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 204

⁵ ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ. 1945, გვ. 22

ყველაზე ადრე ბრინჯაოს კულტურის შუა ხანებში, უპირატესად თრიალეთის კულტურაში ჩანს გავრცელებული. კრემაცია ძირითადად დაწინაურებულ, წარჩინებულ პირთა სამარხებში შეინიშნება; რიგით წევრთა სამარხებში დაკრძალვის ისევე ძველი წესი - მიცვალებულის მიწაში დამარხებაა გავრცელებული. ავტორისავე აზრით, ეს იმის გამოა, რომ სწორედ წარჩინებულთა წრეს ჰქონდა ახლო კონტაქტი ძველადმოსავლეთის სამყაროსთან¹.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ამ დროს ყორღანულ სამარხებში დაკრძალვის ორივე წესი იყო გავრცელებული. მთიან ყარაბახში ხაჩანაგეტის და სტეფანაკერტის ყორღანებში ვხვდებით როგორც ინჰუმაციის, ისე კრემაციის შემთხვევებს. კრემაცია დამოწმებულია ხანლარის ყორღანებში. აღინიშნულია, რომ კრემაციის წესი ყორღანებში ამიერკავკასიის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის ჩანს დამახასიათებელი და ის ცენტრალური და სამხრეთ მხარეებისათვის ამ დროისათვის დადგენილი არ არის. მიცვალებულს ყორღანის გარეთ წვავენ, რის შემდეგაც მის ფერფლს სამარხის ძირზე საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ².

მიცვალებულების დაწვის ჩვეულება, ოთ. ჯაფარიძის კვლევით, საკმაოდ ადრე ჩანს როგორც კავკასიის სამხრეთით, ისე მის ჩრდილოეთით. ჩრდილო მესოპოტამიაში, ხალაფის კულტურის დროინდელ ნამოსახლარზე, იარიმ-თეფე II-ის სამაროვანის ძირა ფენის რამდენიმე სამარხში დამოწმებული იყო მიცვალებულის დაწვა. სადღეისოდ კრემაციის წესი ხალაფის კულტურაში დამოწმებულია მხოლოდ იარიმ II-ზე. ამ დროის სხვა ძეგლებში დაკრძალვის ეს წესი ჯერჯერობით თითქოს ცნობილი არ არის. მესოპოტამიაში ამ კულტურის გავრცელებასთან ერთად, შემოდის მიცვალებულის დაწვა. კრემაციის წესი ფართოდ ვრცელდება მცირე აზიაში. განსაკუთრებით ხეთურ სამყაროში. აქ რთული ცერემონიალი სრულდებოდა დიდებულთა, მეფეთა დაკრძალვის დროს. კრემაციის წესის და, საერთოდ, თრიალეთის კულტურის ამიერკავკასიაში გავრცელებას, ზოგიერთი ავტორი, ხურიტული ტომების ექსპანსიას უკავშირებს³.

აღნიშნულია, რომ შედარებით გვიან ვოლგისპირეთის ორმოსამარხების კულტურაში ჩნდება დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის კვალი ძვ. წ. III ათასწლეულის მესამე მეოთხედში, რომელიც ამ კულტურის მეორე პერიოდს წარმოადგენს. ეს კულტურა კი მიჩნეულია ძირძველ ინდოევროპულად⁴.

სწორედ რომ კრემაციის და ურნებში დაკრძალვის წესის თითქოს ასე უცბად შემოსვლა თრიალეთის ყორღანული კულტურის ადრეულ ეტაპზე, მკვლევართა უმრავლესობას აფიქრებინებს ამ წესის უცხო ეთნიკური ჯგუფის გავლენის შედეგად ათვისებულად. ზოგ შემთხვევაში მას იმდროინდელი მაღალი საზოგადოებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევენ, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით არის გამოწვეული, ხოლო რაც შეეხება ზოგადად რწმენა-წარმოდგენების განვითარების კუთხით საკითხისადმი მიდგომას მკვლევართა უმრავლესობა არ თვლის არგუმენტად იმის სამტკიცებლად, რომ ამგვარი წესი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა

¹ ოთ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1969, გვ. 72

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57-59.

⁴ Н. Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волго-Уральского междуречья, М. 1974, гв. 82-83.

გარემოში ერთმანეთისგან ურთიერთდამოუკიდებლადაც შეიძლება წარმოქმნილიყო. იგივეა ეტლით დაკრძალვის წესთანაც მიმართებაში, რადგანაც ეს წესიც მხოლოდ სხვადასხვა კულტურებში სწორედ რწმენა-წარმოდგენების ანუ მიცვალებულის კულტთან მიმართებაში დამოუკიდებლად შეიძლება წარმოქმნილიყო, რამეთუ ეტლთან დაკრძალვის პარალელურად ჩვენ გვაქვს ნავით ან ნავთან დაკრძალვის წესები (სხვა საკითხია თვითონ ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობის საკითხი, რაც ამ მიმართულების რწმენა-წარმოდგენებთან არ არის კავშირში და ის მართლაც შესაძლოა რომელიმე ერთი კონკრეტული ტომის ქმნილება იყოს, რაც არ ცვლის მიცვალებულის კულტის და კონკრეტულად ანიმისტური წარმოდგენების ზოგად კომპლექსს), რაც იდენტურია უმრავლეს შემთხვევაში, როგორც მაგალითად ამერიკელი იროკეზისათვის, ისე მტკვარ-არაქსის კულტურის რომელიმე ტომთა ჯგუფისათვის. ამდენად აქ უმრავლეს შემთხვევაში რწმენა-წარმოდგენების განვითარების ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით გამოკვეთილ ეთნიკურ კუთვნილებებზე ძნელია საუბარი.

თუმცა თრიალეთის კულტურის გავრცელების ხანისათვის გადასვლა გვაროვნული საზოგადოების ბოლო ეტაპისათვის დამახასიათებელ წყობაზე, აშკარად შეინიშნება, რისი უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანი სწორედ ამ უზარმაზარი ყორღანების აგებაა, რაც ეკონომიკურად სუსტ და სოციალურად არადიფერენცირებულ საზოგადოებას არ ძალუძს. აქ უკვე ჩანს პირველი მონური შრომის ნიშნები, ვიდრე ერთ რომელიმე კონკრეტული გვარის „შემოქმედება“, რამდენადაც იმდროინდელი გვარი შრომას ესეთ „დემოკრატიულ“ ორგანიზებას ვერ გაუწევდა.

აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. 8-7 ათასწლეულში მესოპოტამიაში შემოსვლას იწყებს დაკრძალვის წესის განსაკუთრებული ტიპი, კერძოდ მიცვალებულთა ჩონჩხის ნარჩენებს ათავსებდნენ ჭურჭელში, რომელსაც სახლის იატაკის ქვეშ მარხავდნენ. ბავშვის ჩონჩხი ალაგია ჭურჭლებში, ზოგჯერ კი მიწაშია ჩაფლული. ზოგიერთი ჩონჩხი დაფარულია დიდი ჭურჭლის თავსახურავით. სამარხებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არის ინვენტარი¹.

ხალაფის კულტურაში ნაპოვია 10-13 წლის ბავშვის ძვლები, რომელიც ობსიდიანის მძივის მარცვალთან ერთად (20 ცალი) ამოღებული იქნა კერიდან და ჩადებული თიხის მოხატულ ჯერ კიდევ ცეცხლზე არნამყოფ ჭურჭელში. ის დაუდგამთ კერასთან დასავლეთის კედელთან, გვამის დაწვის დროს კერაში ჩაგდებული იყო ქვის და თიხის ჭურჭლები (ორი) და სხვა ნივთები, უმეტესად თიხის ჭურჭლები. კერის აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვია ორი პატარა თიხის ჭურჭელი, დამტვრეული, ქვის ჭურჭელი, თიხის კვირისთავის ნახევარი, ორი ნიჟარა და მრავალრიცხოვანი მძივის მარცვლები ობსიდიანის მინისგან, შავი ხრუსტალისა და სუსტადგამომწვარი თიხისგან². ნ. ი. მერპეტი და რ. მ. მუნჩაევი ფიქრობდნენ, რომ პირველ ეტაპზე რიტუალი სხვა ადგილას ტარდებოდა და მხოლოდ მეორე შემთხვევაში ხდებოდა დაწვა, დასამარხ ადგილას ან მასთან ახლოს; ძვლების გადატანის დროს სრულდებოდა რაღაც წესები, რომლის დროსაც ანთებდნენ ცეცხლს და ამტვრევდნენ ჭურჭელს³. ასევეა ითანის 9-4 ათასწლეულების სამარხებზე; 8-7

¹ Е. В. Антонова, Обряд и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 70-71.

² Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 80

ათასწლეულების პერიოდში ბავშვებს ზოგჯერ როგორც უფროსებს მიწაში მარხავდნენ, ზოგჯერ კი პატარა ჭურჭლებში¹. მესოპოტამიის (VII-VI ათასწლეულის) ტელ-სოტოს დასახლებაში მოზრდილები და ბავშვები იკრძალებოდნენ დასახლების შიგნით, ზოგჯერ დიდ ჭურჭლებში; იარიმთეფეს ძვ. წ. აღ. V ათასწლეულის სამარხში, სადაც რიტუალი კერავამართულ ნაგებობაში ტარდებოდა, ბავშვის გვამის დაწვის შემდეგ (10-13 წლის) 20 ობსიდიანის მძივის თანხლებით გამოუტანიათ კერიდან და მოუთავსებიათ თიხის მოხატულ ჭურჭელში. შემდეგ ეს ჭურჭელი დაუდგამთ კუთხეში კერის დასავლეთ მხარეს. ნ. მარპერტი და ნ. მუნჩაევი წერს, რომ ცეცხლზე დაწვა მხოლოდ ხალაფის კულტურაშია, სხვაგან ის არ არის გამოვლენილი².

ხოლო ძვ. წ. XXXIX-XXVIII საუკუნეების პალესტინა-სირიის ძეგლებზე უკვე აბსოლუტურად ჭარბობს ჭურჭელში დაკრძალვის წესი, არა მარტო ბავშვებისა არამედ ზრდასრული ადამიანებისაც. ამ მიზნით იყენებდნენ მარცვლეულის შესანახად განკუთვნილ დიდ ჭურჭლებს. მ. დიუნანის აზრით, მიცვალებულთა მოთავსება ხორბლის შესანახ ჭურჭლებში მიცვალებულთა შემდგომი აღორძინების შესახებ არსებულ რწმენას უკავშირდება³.

ჩეხეთის ჩრდილო დასავლეთში გავრცელებული იყო ყორღანული კულტურა, სადაც მიცვალებულის კრემირებული ძვლები იკრძალება ურნებში, თუმცა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე და ბრინჯაოს ხანის მანძილზე იქ ახალი გავლენა შეიმჩნევა, რომელიც ახალი დაკრძალვის წესის შემოსვლაში მდგომარეობს. აქ ე. წ. „დასაკრძალავი ურნების ველები“ ყორღანების გარეშე გვამის დაწვით გამართული საფლავებია. ისინი ნიდერლეს აზრით, ბრინჯაოს ხანის ბოლოს ახალ მოსულ მოსახლეობას უნდა მოეცანა, რომელიც აქ ჩრდილო-დასავლეთიდან შემოიჭრა. მიცვალებულის გვამი თავსდება ურნაში, რომელშიც ან მის გვერდით განთავსებულია ცეცხლით გამურული მიცვალებულისათვის განსკუთვნილი ნივთები, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კერამიკული ნაკეთობები, რომლითაც გარშემორტყმულია ან განთავსებულია დასაკრძალავ ურნაში. ფერფლი მხოლოდ ერთ მიცვალებულს ეკუთვნოდა⁴.

ვ. ნიდერლეს აზრით, ევროპის „დასაკრძალავ ურნათა ველები“ მდ. ლაბის, ოდერის, ვარუმის, ვისლის, მორავის და შუა დუნაის ჩრდილოეთ ნაწილში არიან განლაგებულნი, ეკუთვნოდა ერთ ხალხს. ავტორისავე აზრით, მათი გაიგივება არ შეიძლება კარპატებში გავრცელებულ ურნების სამარხებთან, სადაც მსგავსი დაკრძალვის წესი არსებობდა ჯერ კიდევ ქვის ხანაში. ავტორი უფრო მართებულად მიიჩნევს ამ კულტურის გავრცელებას, ვიდრე ხალხთა გადასახლებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან. ევროპის ამ კულტურის მატარებელ ტომებს მიაკუთვნებენ ან სლავებს ან გერმანელებს. ნიდერლე უფრო მისი სლავური წარმოშობისკენ იხრება⁵.

გ. ჩაილდის აღნიშვნით, აღმოსავლეთ ესპანეთში ბრინჯაოს ხანაში მიცვალებულებს უკვე კრძალავდნენ არა თუ კოლექტიურ სამარხებში, არამედ ქვის ყუთებში ან ქვევრებში,

¹ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 88

² Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев, погребальный обряд племен Халафской культуры (Месопотамия), Археология старого и нового света, М. 1982, გვ. 29-35

³ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 52-53

⁴ Дрѣ. Л. Нидерле, Человек в доисторические времена, СПб. 1898, გვ. 817-818.

⁵ Дрѣ. Л. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

რომელსაც სახლებს შორის მარხავდნენ¹. კრემაცია, ავტორისავე აზრით, წააგავს მცირე აზიის ბრინჯაოს ხანისას და ღუნაის IV პერიოდს. ბრახიცეფალები შერეულია ხმელთაშუაზღვისპირულ რასასთან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ².

ძველ შუმერში ადრედინასტიურ პერიოდში, მიცვალებულებს ახვევდნენ ჭილოფში, ზოგჯერ კრძალავდნენ მოწულ ან თიხის კუბოში ან დიდ დოქშიც (პიფოსებში) კი³.

ეგვიპტეში სამეფოს ეპოქაში, როდესაც დაიწყო ძველი მონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ძველმა მიცვალებულის კულტმა მიიღო ახალი მნიშვნელობა. მას უნდა განემტკიცებინა იდეოლოგიური აზრი, არსებული კლასობრივი წყობის შეუცვლელობის და მუდმივობის შესახებ. მდიდარ ჩინოვნიკებს და ქურუმებს კრძალავდნენ დიდ მერხისმაგვარ სამარხებში (МАСТАБА), მიცვალებულის გვამი ხელოვნურად ინახებოდა, რის გამოც შიგნეულობას იღებდნენ და მარხავდნენ განსაკუთრებულ ჭურჭლებში (КАНОПЫ) და სხეულს სხვადასხვა მეთოდებით მუმიფიკაცია უტარებდნენ⁴.

ჭურჭელში დაკრძალვის წესი გავრცელებული იყო ძველ იტალიაშიც, რომელიც ვილანოვოს კულტურისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულს იტალიაში გადმოსახლებულმა ხალხმა მოიტანა ახალი კულტურა, რომლის ერთ-ერთი ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს (სხვასთან ერთად, ბრინჯაოსთან ერთად იყენებდნენ რკინას) წარმოადგენდა მიცვალებულის დაწვა და მისი ურნაში განთავსების შემდეგ დაკრძალვა⁵. ასევე მიცვალებულის დაწვის და ურნებში მისი ფერფლის მოთავსებით დაკრძალვის წესი გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთშიც⁶.

ზოგიერთი ავტორის აზრით, V-IV ათასწლეულების ფენებში თიხის ჭურჭელში ბავშვების დაკრძალვა გამოწვეული იყო არა ბავშვის მსხვერპლად შეწირვით, არამედ იმ დროს ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობით⁷.

სკანდინავიელებში წარმოდგენები, რომელიც დაკავშირებულია გემში დაკრძალვასთან, შეესაბამება იდეის წრეს სიკვდილზე, რომელიც გამოწვეულია დაბადებასთან და დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან⁸.

ვ. ი. პეტრუხინის თქმით, ხ. ელისი სამართლიანად აღნიშნავს, რომ გემზე დადება და კრემაცია თანაარსებობენ ერთი რელიგიური სისტემის ჩარჩოებში და არანაკლებ აპირისპირებს მათ: დაწვას, მიცვალებული ღმერთების ქვეყანაში გადაჰყავდა, ხოლო ინჰუმაცია უზრუნველყოფდა გარდაცვლილის ცხოვრებას საფლავში, ზიარებას წინაპრის კულტთან; ამასთან კრემაციის პრაქტიკაც, ელისის აზრით, ემსახურება შესაბამისი „სხეულის განადგურების შემდეგ, ცხოვრების გაგრძელების შესახებ წარმოდგენებს, რომელიდაც სხვა ადგილას, როცა ცხოვრებისეული საფუძველი - სული, თავისუფლდება

¹ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, М. 1952, гл. 374.

² Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

³ Г. Чайлд, Древний восток в свете новых раскопок, М. 1956, гл. 229

⁴ В. И. Авдиев, История древнего Востока, М. 1948, гл. 250

⁵ Н. А. Машкин, История древнего Рима, М. 1948, гл. 66-67; ასევე იხ. Античная мифология, гл. 41-42

⁶ Античная мифология гл. 227

⁷ М. Гельцер, Значение раскопок в Библие для истории древнего Востока, Вестник древней истории, №2(80), М. 1962, гл. 149, 149, 152.

⁸ В. Я. Петрухин, Погребения знати эпохи викингов, Скандинавский сборник, XI, Таллин, 1976, гл. 160.

სხეულის დაწვის შემდგომ¹. ხოლო უკვე ეს „რწმენა ადვილად ითავსებს რწმენას საიქიო მოგზაურობაზე მიცვალებულთა სამყაროში“¹.

ე. ანტონოვას აზრით, ჭურჭელში მიცვალებულის და განსაკუთრებით ბავშვის დაკრძალვის წესი დამარხვის რიტუალში, ქალის სიმბოლიკის და ქალის როლის ნათელი გამოვლინებაა პირველყოფილ და შემდგომი დროის კულტურებში. პატარა ზომის ჭურჭლებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად უშუალოდ გადმოგვცემენ ქალის ტანის ფორმას, ავტორს აგარაუდებინებს, რომ დიდი ჭურჭლები, რომლებშიც ნაწილებს ათავსებდნენ, აღიქმებოდა ქალის სხეულის, ან მის ნაწილის, მუცლის გადმომცემი ნიშანი. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჭურჭელში დაკრძალვა ხდებოდა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მიცვალებულის აღორძინება არ არის ახალი ან ნაკლებად გავრცელებული. მაგრამ მაინც არსებული მონაცემები, განაგრძობს ავტორი, გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას ჭურჭლის „ამაღორძინებელი როლის“ შესახებ არსებული რწმენის ფართო გავრცელებაზე პირველყოფილი მიწათმოქმედთა წიაღში. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც სიკვდილის აღქმის ერთ-ერთი გამოსატყულება, როგორც აბსოლუტური დასრულება, არამედ როგორც ახალი ცხოვრებით გამოწვეული სტიქია².

ღ. შტერნბერგის აზრით, მიცვალებულის დაწვის მერე ჭურჭელი რომელშიც ფერფლი თავსდება, ხშირად ფორმით გვაგონებს სახლს, რომელიც სახლში დაკრძალვის დროს გადმონაშთია. ვ. გუნდტი თვლის, რომ დაწვის ჩვეულება წარმოიქმნა სწორედ იმ იდეიდან, რომ სული კვამლთან ერთად მიდის ცისკენ. ბოლოს შესაძლებელია ისეთი კონცეფცია, რომ დაწვის დროს ნაღვურდება ის ავი სული, რომელიც ავადმყოფობის და ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა და რომელიც წარმოადგენს ხიფათს ირგვლივ მყოფთათვის მიცვალებულის სიკვდილის შემდგომაც; აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ცეცხლის კულტთან, როგორც გამწმენდ საშუალებასთან³.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ (მ. დიუნანი) მიცვალებულთა ხორბლის შესანახ ჭურჭელში დაკრძალვა იმაზე მეტყველებს, რომ ამ წესის დამკვიდრებას მიცვალებულთა მომავალი აღორძინების იდეა წარმოადგენდა. მ. ხიდაშელის აზრით, „ნეოლითური ხანის დასასრულს დამკვიდრდა შეხედულება მთელი სამყაროს მარადიული არსებობის, მისი პერიოდული უკვდავობისა და აუცილებელი აღორძინების შესახებ, რაც შემდგომ ქაოსიდან კოსმოსის დაბადების და მათ შორის არსებული მარადიული ბრძოლის იდეად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ იდეამ განსაზღვრა კოსმოგონიის არსი და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს იდეა საკაცობრიო მითის კუთვნილებაა, რომლის ანალიზი განსაზღვრავს არქაული ადამიანის სულიერი კულტურის ყველა თავისებურებას“⁴.

ჭურჭელში ანუ დიდ საღვინე ქვევრებში დაკრძალვის ტრადიცია საქართველოში ქვევრსამარხების სახით ისევ თავს იხენს ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან, რომელზეც ჩვენ ქვემოთ სათანადო ადგილას ვრცლად ვისაუბრებთ.

¹ იხ. В. Я. Петрухин, К характеристике представленный о загробном мире у скандинавов эпохи викингов в IX-XI вв., Советская Этнография., М. 1975, №1

² Е. В. Антонова, Обряд и верование первобытных земледельцев востока, М. 1990, გვ. 107

³ Л. Л. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Л. 1936, გვ. 338-339

⁴ მ. ხიდაშელი, დაკრძალვის წესი და რიტუალი პალეოსტინასა და სირიის ნეოლითურ კულტურაში, ქართული წყაროთმცოდნეობა, X, თბ. 2004; დ. მუსხელიშვილი, 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 26

გ. გობეჯიშვილის აღნიშვნით, თრიალეთში არ არის ნაპოვნი არც საკრემაციო მოედანი და არც თვითონ დამწვარი ძვლების კრემაციის ნაშთი ფერფლის სახით. თრიალეთის სამარხებში შემჩნეულია ისეთი ფაქტები, როგორცაა ცალკეულ შემთხვევებში ცუდად შენახული ადამიანის ჩონჩხი, რომელიც ინჰუმაციის წესით იყო დაკრძალული ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში ავტორისავე აზრით, შეიძლება ჩვენს წინ იყოს კენოტაფიც, ანუ უცხოეთში გარდაცვლილის სახელზე გამართული სასაფლაოც¹.

მიცვალებულის კრემაციის წესის მიზეზად გ. შურცი მიიჩნევს მოჩვენებების შიშს; მისივე აზრით, სასურველი იყო მიცვალებული სრულიად უვნებელი გაეხადათ. გვამის დაწვის უძველესი ფორმა იყო იმ ქოხის დაწვა, სადაც იწვა მიცვალებული².

კ. კლემენის აზრით, გვამის დაწვა ძალზედ ხშირად სხეულისგან სულის განთავისუფლების მიზანს ემსახურებოდა³.

გ. ჩაილდი გვამის დაწვის ჩვეულების მიცვალებულის სულის შესახებ რწმენით ახსნას არამართებულად მიიჩნევს. მისივე აზრით, მას არანაირი კონკრეტულ მხარესთან ან ხალხთან კავშირი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში გვამის დაწვას არასდროს ბოლომდე არ განუდევნია გვამის დაკრძალვა⁴ და მას ჰიგიენური თვალსაზრისის განვითარებით ხსნი⁵.

ზოგიერთი ავტორი ძველ კოლხეთში არსებულ კრემაციის წესს ბერძნული გავლენით და ადგილობრივ მკვიდრთა ელინიზაციას მიაწერს⁶. ბ. კუფტინი მას ძველადმოსავლური სამყაროდან შეთვისებულად თვლიდა⁷. ზოგიერთი მას ძირძველ კავკასიურ წესად მიიჩნევს⁸. მიიჩნევს⁸. ამ მოსაზრებას იზიარებს ნ. კილურაძე⁹, ზ. კვიციანი¹⁰. ავტორთა ნაწილი კი კრემაციის წესს (ქვევრსამარხებთან ერთად), საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი მატერიალური კულტურის დამახასიათებელ ელემენტად მიიჩნევს¹¹.

მიგვაჩნია, რომ მიცვალებულის კრემაციის წესზე ამა თუ იმ ხალხის – არც ბერძნების, არც რომაელების და არც ძველადმოსავლური კულტურის გავლენით წარმოშობა არ მიგვაჩნია მართებულად, არამედ ეს წესი ყველა ხალხში პირველყოფილი საფეხურიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენების ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო, რომელიც ცეცხლის კულტის და მასთან კავშირში მყოფი მიცვალებულის და წინაპრის სულის რწმენასთან ერთიან ჭრილში უნდა განვიხილოთ. ამავე დროს აღსანიშნავია რომ უამრავ ტომში არა მარტო მიცვალებულის, არამედ მისი ნივთის დაწვის წესიც

¹ გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორანამოსახლართა კულტურა, თბ. 1980, გვ. 98.

² Г. Шурц, История первобытной культуры, М. 1923, გვ. 228.

³ К. Клемен, Жизнь мертвых в религиях человечества, М. 2002, გვ. 35..

⁴ Г. Чайлд, Прогресс в археологии, М. 1949, გვ. 228.

⁵ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 147..

⁶ ნ. ვაშაკიძე, ფიჭვნარის ელინიზებული ხანის სამაროვანზე 1980 წელს წარმოებულ კვლევა-ძიების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ. 1983, XII, გვ. 76-77.

⁷ ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ. 1945, გვ. 20.

⁸ Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М. 1960, გვ. 179-253.

⁹ В. А. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб. 1976, გვ. 32.

¹⁰ ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოს და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ. 1997, გვ. 141.

¹¹ ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ. 1975, V, გვ. 101.

არსებობდა¹. მსგავსი წესი საქართველოში ფიქსირებულია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის წარჩინებულ პირთა სამარხებში (კოხტა-გორა)².

გვამის კრემაციის წესი ცნობილი იყო ძველ ხეობებში, ბერძნებში, ძველ ინდურ ტრადიციაში³, ძველ ირანში⁴, ძველ გერმანელებში⁵, სლავებში⁶, ლიტველებში, პრუსიელებში, გალებში⁷. ამ წესზე ვფიქრობთ, საყურადღებო მოსაზრება აქვს ს. მაკალათიას, კერძოდ ავტორის სიტყვებით, რომელთა რწმენით მიცვალებულის ნეშტის დაწვით, მისი სხეული ღმერთს მსხვერპლად ეწირებოდა, სული ზეცაში ადიოდა, საიდანაც ის იყო გამოსული. რომში მიცვალებულს კოცონზე (*rogus Pupae*) დაასვენებდნენ და როდესაც ხორცი დაიწვებოდა და რომ მისი ჩონჩხი არ დაფერფლილიყო ზედ წყალს ასხამდნენ, შემდეგ ძველებს მოწიწებით აკრეფდნენ და აშრობდნენ⁸, ასევე საყურადღებოა თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის მიერ იმის აღნიშვნა, რომ - „სიმბოლური დატვირთვა ამ შემთხვევაში ჰქონდა ცეცხლს, რომელიც ცნობილი იყო ადამიანის გამწმენდად, მისი სულის განმათავისუფლებლად, რომელიც გადადის უცხო სამყაროში, სახნავეში, რომელიც განცალკევებულია ცოცხლების სამყაროსთან წყლით, რომელსაც გადალახავს გემით, ეტლით, ასევე ცეცხლზე დაწვა ადამიანებს იცავდა ეპიდემიისაგან⁹.

მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ კრემაციის წესის სახით არა ბერძნულ და რომაულ თუ სხვა კულტურების ურთიერთობასთან და ამ წესის მათგან შეთვისებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ზოგადად პირველყოფილი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე უნივერსალურ მოვლენასთან, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კერას, ზოგადად ცეცხლის და მიცვალებულის ურთიერთკავშირთან, რაც კერასთან მიცვალებულის დაკრძალვის წესში ნათლად ჩანს. ამის საილუსტრაციოდ უამრავთა შორის კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება; კერძოდ, ერთ-ერთ სკანდინავიურ საგაში ინგლინგებზე. ძველად მმართველი ბერძენი კონუნგების სახით, რომლებიც გაღმერთებულები იყვნენ სიცვდილის შემდეგ, პირველი მათგანი იყო „ერთი“ რომელმაც დაადგინა, რომ... ყველა გარდაცვლილები დაეწვათ, რომელთაგან ერთადაც აუცილებელია მათი ქონების მიტანა; მან თქვა, რომ ყოველი ადამიანი უნდა ეწოდეს ვალხალუს (Вальхаллу – Загробный чертог Ддина) იმ სიმდიდრით, რომელიც მასთან იყო ცეცხლზე... ხოლო ვერფელი უნდა გადააგდონ ზღვაში ან დამარხონ მიწაში და ცნობილი ადამიანების სახელზე უნდა მოეწყოს ყორღანები, ხოლო ამ ხალხის შემდეგ, რომელთაც ხალხის ხსოვნა დაიმსახურეს უნდა გამოიცვალოს საფლავის ქვები. შემდეგ სწორები მოგვითხრობენ იმაზე, თუ როგორ დაწვეს ერთი მიცვალებული და ეს დამწვრობა იყო

¹ მ. კოვალევსკი, იჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება, წ. I, დედამთავრული ოჯახი და პირველყოფილი კომუნიზმი, ბათ., 1905, გვ. 69-70.

² ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 136, 138-139.

³ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. 1984, II, გვ. 826-827.

⁴ Б. А. Литвинский, Курган курумы Западной Пергани, Раскопки, Погребальный обряд в свете этнографии, М. 1972.

⁵ В. А. Могильников, Погребальный обряд культуры III в до н. э. III в. н. э. в западной части балтийского региона, Погребальный обряд племен Северной Европы в I тыс. до н. э. I тыс. н. э. М. 1974.

⁶ Л. Недерле, Славянские древности, М. 1956, გვ. 206.

⁷ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 829.

⁸ ს. მაკალათია, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, თბ. 1927, ტ. IV, გვ. 184.

⁹ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 830-831.

ფაფუკი. სჯეროდათ, რომ რაც უფრო მაღლა ჰაერში იწვის კვამლი (დასაკრძალავი ცეცხლიდან) მით მაღლა დაიკავენ ცაში ადგილს ის, ვისაც წვავენ¹.

სწორედ რომ მიცვალებულის ცეცხლზე დაწვა და თითქოს მისი სულის კერის ბოლთან ერთად მაღლა ასვლის იდეა უკავშირდება ცეცხლის და მიცვალებულის ანუ წინაპრის კულტის მჭიდრო კავშირს ანუ იმას, რომ სწორედ გარდაცვლილი წინაპარი იკრძალებოდა კერასთან ანუ იმ ადგილთან, რომელიც იყო ტაძარი პირველყოფილი ადამიანისათვის; წინაპრის გაცნობიერებამ და მისმა კერასთან დაკრძალვამ სულის არსებობის შესახებ რწმენის წარმოქმნასაც გაუხსნა გზა და ადამიანის მისტიკური სამყარო კიდევ უფრო რთული გახდა.

მიცვალებულის, წინაპრის და კერის კულტის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საინტერესო და მნიშვნელოვანია კერის ცეცხლზე ღვინის, თაფლის და სხვა სახის სითხის მოსხმა, მასთან მთელი რიგი რიტუალების შესრულება, რომელიც კერას ეძღვნებოდა როგორც „ღვთაებას“, „ღმერთს“, რაც ამავე დროს ისევ და ისევ მიცვალებულის კულტთან იყო მჭიდრო კავშირში².

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადრეეორღანულ კულტურაში სრულიად არ გვხვდება ცხენის ნაშთები და არც ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები აქ ცნობილი³.

გამოთქმული მოსაზრებით, ყველა სამსხვერპლო ცხოველები, უპირატესად კი მამალი და ცხენი, რომელსაც ეტლთან ერთად ატანდნენ მიცვალებულს ერთდროულად დაკავშირებულია როგორც სიკვდილთან, ისე ნაყოფიერების კულტთან. ცხენი ეტლთან ერთად განეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ „სატრანსპორტო საშუალებას“, რომელსაც მიცვალებული გადაჰყავს იმ სამყაროში. ამავე დროს ცხენი სპეციალურად ეწირებოდა ღვთაებას (სკანდინავიელებში - ფრეირუ)⁴.

გ. პეტრუხინის აღნიშვნით, დაკრძალვის პროცესია - „სახლიდან საფლავამდე“, ტრადიციაში განიხილებოდა, როგორც სხვა სამყაროში შესვლა. ამასთან თვით გვამის „მოშორება“ და დასაფლავება ძირითადად მიმართულია ცოცხლებსა და მკვდრებს შორის ურთიერთობების გაფორმებისათვის, ამასთან ეს ურთიერთობები უმთავრესად განიხილებოდა საკუთარი სამყაროს ფარგლებში. მთავარი იყო ის, რომ გარდაცვლილი, რომელიც უკვე სხვა სამყაროს ეკუთვნოდა⁵, პოტენციურად მტრულ სამყაროს ანუ „სახლს“ „სახლს“ არ დაბრუნებოდა, გამგზავრებულიყო „შემოსასვლელიდან“ შორს სხვა სამყაროში, ამიტომაც საფლავში ატანდნენ სატრანსპორტო საშუალებებს საიქიო

¹ В. Я. Петрухин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 44-45.

² ი. სურგულაძე, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა*, თბ. 1986, გვ. 173; *Античная мифология*, М. 2005, გვ. 328-329; ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, *ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ღუჩხუმი)*, თბ. 1995, გვ. 19; ს. მაკალათია, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*, თბ. 1941, გვ. 307-308, 313, 315; ს. მაკალათია, *ხევსურეთი*, თბ. 1984, გვ. 235; ს. მაკალათია, *მთის რაჭა*, თბ. 1987, გვ. 74; И. А. Аджинджал, *Из этнографии Абхазии*, Сух. 1969, გვ. 97, 102; *Народы мира, Народы Кавказа*, М. 1962, გვ. 141; ნ. აბაკელია, *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*, თბ. 1997, გვ. 29-33; ვალ. ითონიშვილი, *ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან*, თბ. 1960, გვ. 250.

³ ოთ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 106.

⁴ В. Я. Петрухин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 163.

⁵ В. А. Петрухин, *О функциях космогонических описаний в погребельном культе, Обычай и культурно-дифференцирующие традиции у народов мира*, М. 1979, გვ. 3.

მოგზაურობისათვის. შესაძლოა გამოყენებინათ უფრო რადიკალური საშუალებები კრემაციის ფორმით¹.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრული ფაზისა და ბედენის კულტურის დასაწყისს შორის მყარი თარიღი არ არის დადგენილი². ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ეს ორი კულტურა თითქოს „მშვიდობიანად“ თანაარსებობს.

ოთ. ჯაფარიძის აღნიშვნით, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ჩანს, რეგიონალური კულტურები ჩამოყალიბდა (შენგავითური კულტურა, შიდა ქართლში თავისებური ვარიანტი და სხვ.). შიდა ქართლში მიმდგომი მხარეები, მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებას იწყებს ადრეყორღანული კულტურა. იქ, სადაც ამ კულტურამ მაინცდამაინც ფეხი ვერ მოიკიდა, მტკვარ-არაქსის კულტურა, ჩანს, უფრო დიდხანს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებამდე შემორჩა. ადრეყორღანული კულტურა ერთხანს მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობას. შემდეგ ბედენური კულტურა ვრცელდება და დროის რა მონაკვეთს მოიცავდა, მთლად ნათელი არ არის. გამოთქმული მოსაზრებით, უფრო ისე ჩანს, რომ იგი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებიდან მოკიდებული, ვიდრე მის ბოლომდე გაგრძელდა. შემდეგ მას III-II ათასწლეულის მიჯნაზე თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ ენაცვლება. აღსანიშნავია, რომ ცირკუმპონტური პროვინციის არეალში შუაბრინჯაოს ხანაზე გადასვლა დაახლოებით 2300-2100 წლებს ემთხვევა. ჩვენშიც ჩანს, ეს პროცესი დაახლოებით ამავე ხანებზე, უფრო კი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოზე მოდის³.

მტკვარ-არაქსის კულტურა, როგორც ცნობილია ვრცელდება შორს სამხრეთშიც და ამ კულტურის საკმაოდ მძლავრი კერები იქმნება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ხმელთაშუაზღვისპირეთში (კირბეთ-კერაკი) და მცირეაზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზეც. მტკვარ-არაქსის გვიანდელ პერიოდში ამ კულტურის ასე ფართოდ განფენა, ვფიქრობთ, დემოგრაფიული პრობლემებით ალბათ ვერ აიხსნება. შესაძლოა გვეფიქრა, რომ პირველყოფილ-გვაროვნული წყობის პირობებში დამახასიათებელია ახალი სანადირო თუ სახნავ-სათესი მიწების ათვისება ძველის გამოფიტვის მიზეზით, თუმცა ამგვარი დემოგრაფიული აფეთქება იმ ეპოქაში ნამდვილად წარმოუდგენელია. თან ეს მოსახლეობა თავისი ნებით სამხრეთის უფრო მწირი ადგილებისკენ არ გადაინაცვლებდა (კირბეთ-კერაკი). საფიქრებელია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს სწორედ ინდოევროპული ანუ ყორღანული კულტურის მატარებელ ტომთა პირველ მომდღაგრებასთან მტკვარ-არაქსის ძირითად რეგიონში, ანუ ხმელთაშუაზღვისპირეთისკენ მტკვარ-არაქსელთა გაჭრის პერიოდი ემთხვევა მარტყოფისა და ბედენის თავისებური ახალი კულტურული წრის შექმნის ეპოქას.

¹ В. А. Петрухин, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151-154.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ბედენის გორასამარხებს გ. გობეჯიშვილი ადრებრინჯაოს III, ან შუაბრინჯაო I ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარსა და II ათასწლეულის დასაწყისს აკუთვნებს¹.

თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებს ბ. კუფტინი, ადრებრინჯაოს პერიოდს აკუთვნებს და ძვ. წ. III ათასწლეულის ბლოთი ათარიღებს², შემდგომს ძვ. წ. XXIV-XXII საუკუნეებით³, ხოლო უფრო გვიანდელს (შუაბრინჯაოს მესამე ჯგუფი) II ათასწლეულის შუა პერიოდით ან ძვ. წ. XVI-XV საუკუნეებით⁴.

ე. გოგაძე ადრებრინჯაოს ყორღანებს დაახლოებით ძვ. წ. 2300-2000 წლებით, შუაბრინჯაოს ყორღანებს ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით, ხოლო შუაბრინჯაოს ყორღანების პირველ ჯგუფს ძვ. წ. 1800-1600 წწ. და მესამე ჯგუფის ძვ. წ. 1600-1450 წწ. ათარიღებს⁵.

გ. ქავთარაძის აღნიშვნით, თრიალეთის ადრეული ყორღანების და მტკვარ-არაქსის კულტურის თარიღების შესაძლო დაძველების გათვალისწინების შედეგად, მისაღები უნდა ჩანდეს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნეებით დათარიღება, ე. ი. დროის იმ მონაკვეთით, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაში ადრებრინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდის და შუაბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის თანადროულია⁶. ავტორისავე აზრით, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა მთელი თავისი ხასიათით ადრებრინჯაოს ხანის მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი პერიფერიის ტიპურის პროდუქცია, მისი თვისებრივი კავშირი ურის, მაიკოპის, ალაჯა ჰუიუქის, ჰოროზთეფეს და სხვა „სამეფო აკლდამებიან კულტურებთან თვალსაჩინოა. ეს გარემოება, ავტორისავე აზრით, თავის მხრივ მოწმობს, რომ არ უნდა არსებობდეს საკმაოდ საფუძველი, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის ზემოთ აღნიშნული კულტურებისაგან დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთით დაშორებისათვის. მისივე თქმით, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა ქრონოლოგიური თვალსაზრისით მათი „მემკვიდრეა“, ხოლო ზოგიერთის – თანამედროვეც. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის წინა აზიაში „სამეფო აკლდამების ტიპის სამარხები იშვიათია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებით, კერძოდ, შექმნილი, სიმდიდრის სამარხში მოთავსებაზე უფრო რენტაბელური გამოყენების შესაძლებლობების არსებობით⁷.

როგორც არ უნდა იყოს ზუსტი თარიღი ადრეყორღანული კულტურის გავრცელებისა თუ შემდგომი მისი ფაზისა, ერთი რამ ნათელია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და შესაძლოა ცოტაოდენ უფრო ადრეც მთელი ამ კულტურის გავრცელების სივრცეზე (უმაგრესად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო)

¹ გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ. 1981, გვ. 133.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I. Тб. 1941.

³ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб. 1948, გვ. 75, 78.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

⁵ Э. М. Гогодзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

⁶ გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ. 1951, გვ. 102.

⁷ გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102-103.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომელზეც ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო დიდი ზემოქმედება უცხო ეთნიკური ელემენტების გამოჩენას უნდა მოეხდინა, კერძოდ ინდოევროპული მოდგმის რომელიმე ტომს, ხოლო შემდგომ ამ მონათესავე ტომთა მიგრაციის სხვადასხვა ფაზაცაა სავარაუდო.

ძნელია იმის გადაჭრით თქმა თუ რომელი რეგიონიდან ან რა გზით დაიძრნენ ინდოევროპელები მტკვარ-არაქსის კულტურის იმ არეალისკენ, სადაც ჩვენი აზრით (იხ. ზემოთ), ძირითადად სუბარული მოსახლეობა იყო თავმოყრილი. შესაძლოა ეს ტალღა დაძრულიყო ჩრდილო კავკასიის გზით, თუმცა არ არის გამორიცხული მოძრაობები შუა აზიიდან, დღევანდელი ირანის გზით კასპიის ზღვის სამხრეთიდანაც, სადაც უფრო ადრეც კი არის ფიქსირებული ყორღანული სამარხები, თუმცა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შემდგომ პერიოდში ანუ ძველ აღმოსავლეთში, ცივილიზაციების არსებობის არეალში ძალზედ რთულია ამა თუ იმ ეთნოსის დაკრძალვის წესის ცალკე გამოყოფა და რომელიმეს ერთმანეთისგან გარჩევა. მაგალითად სემიტურის ხეთურისგან თუ ხურიტურისგან და ა. შ.

ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და მძლავრი ეთნოსი თრიალეთის ყორღანული კულტურის გავრცელების ხანაში არიან ხურიტები, მათზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ხურიტების წარმომავლობის და მათი თავდაპირველი ენობრივი კუთვნილების საკითხი მეცნიერებაში ჯერ კიდევ ნათელი არ არის. მათ თავდაპირველი ინდოევროპელობა ალბათ საეჭვოა, თუმცა მითანის სამეფოს შექმნის შემდგომ (ძვ. წ. 16 -15 და ძვ. წ. 14-13 სს. – ძველი და ახალი მითანის სამეფო) მათი მმართველი ზედაფენა ინდოევროპულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხურიტების განსახლების ტერიტორიაზე ინდოევროპული მასის შეჭრა მასიურად მოხდა.

ჩრდილოეთ კავკასიასა და დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, სადაც ნავარაუდევია ინდოევროპელთა ძირითადი სამშობლო, ასევე შუა აზიაში უამრავი ბრინჯაოს ხანის კულტურაა ცნობილი. შეიძლებოდა ამ კულტურათა მატარებელი მესაქონლე ტომები სამხრეთისკენ დაძრულიყვნენ, სადაც მათ უფრო ნაყოფიერი ადგილები ელოდათ.

ძვ. წ. 23-17 საუკუნეებში მითანის ტერიტორიაზე არსებობდა მთელი რიგი დამოუკიდებელი ხურიტული სახელმწიფოებისა (ურ-კიში და ნავარი, ალაშე, კუმის სამეფო, შუმერული კიმაში, ურარტული კუმენუ), აშურის სამეფო, იამხალი (დედაქალაქი ქ. ხალპა) და სხვ. ხოლო შემდგომ ძვ. წ. XVI საუკუნეებში იქმნება ძლიერი მითანის სამეფო (კუმის და ალშეს სამეფოდან), რომელმაც დაახლოებით ძვ. წ. აღ. 1595 წლისათვის მარცხი მიაყენა ხეთების მეფე მურსალი I-ის, ხოლო სალმანასარ I-ის დროს (ძვ. წ. 13 საუკუნის დასაწყისი) მითანის სამეფოს ბოლოს უღებს ასურეთი და მის შემადგენლობაში ექცევა.

ხურიტების პირველი სამეფოების დაარსება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში (ძვ. წ. 23-ე საუკუნე) მიგვაჩნია ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად იმისა, რომ სწორედ ცოტა უფრო ადრე, ანუ ჩვენში ბედენური და მარტყოფული კულტურების გამოჩენის დროისათვის ამ ცვლილებებში ხურიტებს უნდა მიეღოთ ერთ-ერთი აქტიური მონაწილეობა და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებთან უნდა მომხდარიყო მათი პირველი კონტაქტი. მათი პირველი სახელმწიფოების ეპოქის დროს უკვე მთლიანად გამქრალია მტკვარ-არაქსის

კულტურა და აყვავების ფაზაშია თრიალეთის ყორღანული კულტურა (ძვ. წ. 23-17 საუკუნეები).

მეორე მხრივ აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ინდოევროპული წარმოშობის ხეთებს, რომელთა მცირე აზიაში განსახლების დრო და თვით მიგრაციის მიმართულება ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, თუმცა ძვ. წ. XX-XIX საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების ხარჯზე აარსებენ პირველ სახელმწიფოს. ეს პროცესი უეცრად არ უნდა მომხდარიყო და მოსულ მასას არ შეეძლო ასეთი გარდატეხის შეტანა უფრო ცივილიზებულ დამხვედურ ეთნოსთან მიმართებაში. ეს პროცესი, ანუ ბრძოლა, ალბათ რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, სანამ არ მოხდა ინდოევროპული მოღვმის ტომების საბოლოო სამხედრო ძალის გაბატონება.

ძვ. წ. XVII საუკუნეში ხეთების სამეფო კიდევ უფრო ძლიერდება. ერთ-ერთი ხეთების მეფე ტაბარნა (დაახლოებით ძვ. წ. 1640 წ.) დაიპყრო კაბადოკიის მთელი რიგი მხარეები, კერძოდ ტავრის ნაყოფიერი დაბლობები და თავის სახელმწიფოს ბაბილონის ტოლად თვლიდა, ხოლო თავის თავს „დიდ მეფეს“ ეძახდა. ტაბარნა ითვლებოდა ხეთების სამეფოს დამაარსებლად და მისი სახელი შემდგომში გადაიქცა მეფის ტიტულად. ხეთების შემდგომი დროის მეფეები თავის თავს უწოდებდნენ „ტაბარნებს“ და თავის წარწერებში წერდნენ, რომ ისინი თავიანთ შვილებს აყენებენ „ტაბარნას“ ანუ მეფის რანგში და ამ სახით გადასცემდნენ სემეფო ხელისუფლებას¹.

უნდა ვიფიქროთ, რომ ხეთების ეს სახელმწიფო, როგორც მმართველების ზედა ფენებში ისე მეფეების ჩათვლით, მთლიანად მოსული ინდოევროპული არ იყო და ადგილობრივი ხათური მოსახლეობის კულტურულ-რელიგიური უპირატესობა მაინც წამყვანი ჩანს. ამავე დროს თუ დაუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ ინდოევროპული მოღვმის „ხეთების“ წინაპრები კავკასიის გზით გადმოდიან მცირე აზიაში, ერთ-ერთი გზად უნდა ვივარაუდოთ ალბათ აღმოსავლეთ საქართველოს გავლით, სადაც მათი გარკვეული ნაწილი შესაძლოა სახლდებოდა კიდევ, ანუ ადგილზე რჩებოდა, ხოლო გარკვეული მასა მოძრაობდა და იშლებოდა მცირე აზიის ტერიტორიისკენ. ეს მასა არ იქნებოდა ერთგვაროვანი, რომელიც ამ პერიოდში როგორც წმინდა გვაროვნულ პრინციპზე აგებული საზოგადოება თვითონ ირჩევდა მისთვის ხელსაყრელ საცხოვრისს. შესაძლოა სწორედ ესენი იყვნენ მცირე აზიაში მოსული ინდოევროპული, შემდგომი ხეთური მოსახლეობის ერთ-ერთი განშტოება, რომელმაც თრიალეთური ყორღანული კულტურა შექმნა. ადგილზე მათ არ დახვდა ისეთი ძლიერი მხარდი იმპულსების მატარებელი კულტურა მტკვარ-არაქსის სახით, როგორც ეს ხათების შემთხვევაში იყო. ამდენად თრიალეთში და მის მიმდგომ მხარეებში მათ ამ პერიოდში და შემდგომაც გაცილებით გვიანაც ვერ შეძლეს მყარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. თრიალეთის ყორღანების მაგალითზე ჩვენ გვაროვნული საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე მყოფი საზოგადოება უნდა დავინახოთ, სადაც გარკვეული გვარ-ტომობრივი გაერთიანება მაინც უნდა არსებულებოდა, რაც ნათელია იმ მცირეოდენი მონაპოვრებითაც და ყორღანული სამაროვნების გრანდიოზულობიდან გამომდინარე. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყორღანულმა კულტურამ ანუ სამარხებმა დღევანდელ ვითარებამდე ძლიერ

¹ И. М. Дьяконов, История древнего Востока, Л. 1948, гл. 284.

გაძარცვულად მოაღწია და არქეოლოგიურადაც მათი სულ მცირე ნაწილია შესწავლილი. ვფიქრობთ, შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ აქ მართლაც შეიძლება გამოავლინოს სახელმწიფოებრიობის გზაზე მდგარი პირველი გაერთიანება ჯერ კიდევ II ათასწლეულის დასაწყისისათვის. რისი პირველი ნიშნებიც ვფიქრობთ, დასტურდება ბოლოდროინდელი აღმოჩენებით.

დღეისათვის თრიალეთში გათხრილი ციკლოპური ნამოსახლარების (ქვის უღუბაბოდ აშანებულ ციხე-სიმაგრეები) მიხედვით, ამ ტიპის ძეგლებს, ძვ. წ. აღ. XVI საუკუნიდან არსებულად მიიჩნევენ (ბეშთაშენი), ხოლო ძვ. წ. აღ. XIII-VII საუკუნეებში კი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ (საბეჭდავები, კნოდე, კნოლე, ბარეთი, ახალდაბა, ლოში, სომხეთის ძეგლები). სამხრეთ კავკასიაში „ციკლოპურ“ ნამოსახლარებს და სიმაგრეებს ძვ. წ. აღ. XVI-V საუკუნეებშიც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, მათი უმეტესობა ძვ. წ. XIII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება. შენიშნულია, რომ ციკლოპურ ნამოსახლარებზე დაფიქსირებული განსხვავება მათ იერარქიაზე მიუთითებს, რაც საზოგადოების რთულ სტრუქტურას გვამცნობს¹. თრიალეთის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებს (უწყლო, ბარეთი, საბეჭდავი, ახალდაბა, კნოლე) აქვთ ციტადელი ან რამდენიმე გამაგრებული ნაწილი, მათ გარშემო არსებული გაუმაგრებელი ან ნაკლებად გამაგრებული ნამოსახლარი მძლავრი კედლებითაა გამოყოფილი ციტადელისაგან, თვით ციტადელი კი ორ ან სამ ნაწილადაა გაყოფილი, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელები აქვთ. სიმაგრის გარეთ არსებულ დასახლებასთან მხოლოდ ციტადელის ერთი ნახევარია დაკავშირებული. ეს ფაქტი, გ. ნარიმანაშვილის მოსაზრებით, შეიძლება, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო იერარქიაზეც მიუთითებდეს, ავტორისავე ვარაუდით „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრეების ძირითადი ფუნქცია სამხედრო კონტროლი და სუსტად გამაგრებული თუ გაუმაგრებელი პუნქტების მოსახლეობის და დოვლათის დაცვა იყო. შიდა ციხის არსებობა კი ავტორისავე თქმით მმართველი ფენის საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფის მანიშნებელია. ცალკე მდგომი სიმაგრეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილი თავდაცვის სისტემაში იყო ჩართული, რომელსაც ალბათ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე ერთი კონკრეტული რეგიონის დაცვა იყო². აღნიშნულია ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონში ძვ. წ. აღ. XV ს-დან არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარები და სისტემები ძვ. წ. აღ. XIII საუკუნეებში ფარავნ იმ ტერიტორიას, სადაც ადრე თრიალეთის და ბარეთის კულტურის ძეგლები იყო გავრცელებული. შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ციკლოპურ ნაგებობები საკულტო ხასიათისა იყო (დასაკრძალავი დარბაზიანი ყორღანები, შაორის მთის წვერზე განლაგებული სატაძრო კომპლექსი). თავდაცვითი შენობების მშენებლობა კი ძვ. წ. აღ. XVI საუკუნიდან იწყება (ბეშქენაშენი), რომელთა არეალში აღზევდნენ ცალკეული „სამეფოები“ რომელთა შორის თავისი სიძლიერით დიაუხი-დაიაენის „სამეფო“ გამოირჩევა³.

¹ გ. ნარიმანაშვილი, თრიალეთი ძვ. წ. აღ. XV-XIV საუკუნეებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 284.

² გ. ნარიმანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

³ გ. ნარიმანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

საბჭოთა ლინგვისტა უმრავლესობა ინდოევროპელთა წინარე სამშობლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას მიიჩნევდა. აქედან შემდეგ პირველად თანდათანობით გადასახლდნენ ინდოირანელები, შემდგომ დასავლეთირანული და ბოლოს აღმოსავლეთ ირანული ტომები. ეს უკანასკნელნი ისტორიული პერიოდის დასაწყისში შუა აზიის დიდ ნაწილში სახლობდნენ. საკითხის გადაწყვეტის ამგვარივე ვარიანტს მხარს უჭერდნენ საბჭოთა არქეოლოგთა უმრავლესობა (ნ. ი. მერპერტი, ვ. პ. შილოვი, დ. ი. ტელეგინი, კ. ფ. სმირნოვი, ე. ე. კუზმინა და სხვები)¹.

ე. წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებლებსაც ინდოევროპელებად ან ინდოარიელებად მიიჩნევდნენ (ნ. ი. მერპერტი, ე. ე. კუზმინა და სხვ.) ე. წ. სრუბნაიას და აღრუანდრონოვის კულტურა, მეცნიერთა უმრავლესობის ვარაუდით ყველაზე ახლოსაა ადრეირანული საზოგადოების რეკონსტრუირებად მოდელთან. ასევე ხაზს უსვამენ მის კავშირებს სავრომატულ და საკურ კულტურებთან².

განსხვავებულ მოსაზრებას გთავაზობენ თ. გამყრელიძე დ. ვ. ივანოვი, რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოს გავრცელების არეალს ქრონოლოგიურად და სივრცობრივად ათავსებენ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში (აღმოსავლეთ ანატოლია, სამხრეთ კავკასია, ირანის მთიანეთის ჩრდილოეთი)³.

ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, ინდოარიელთა თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა არა აზიაში, არამედ სამხრეთ რუსეთის სტეპებზე, სადაც ისინი კონტაქტში იყვნენ ინდოევროპული დიალექტის მატარებელ სხვა ტომებთან, ხოლო ამ არეალის ჩრდილოეთ საზღვარზე – ფინო-უნგებთან. ინდოარიული ერთობიდან ინდოევროპელების გამოყოფა ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის მეორე ნახევარზე უფრო ადრე მოხდა, როდესაც ინდოევროპელების ჯგუფი გამოჩნდა წინა აზიაში. ამავე პერიოდში ინდოევროპელებს უნდა აეთვისებინათ აზიის სტეპები. აღნიშნულია, რომ ანდრიანოვის კულტურის ელემენტები მის ინდოარიულ წარმომავლობაზე მეტყველებს. წინააზიურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანის წინარე პერიოდში მესოპოტამიის ჩრდილოეთში და სომხეთის მთიანეთის სამხრეთით შეაღწიეს ინდოარიელთა ჯგუფებმა, რომლებმაც მიაღწიეს გაბატონებულ მდგომარეობას მითანის სამეფოში. ამ დროს იწყებს გავრცელებას ბრძოლის ახალი მეთოდი ცხენებიანი ეტლების სახით, რომელიც ფიქსირებულია ხეთურ და ხურიტულ ტექსტებში, რაც, გამოთქმული მოსაზრებით, წინა აზიაში ინდოევროპელების მოტანილი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა ცხენი წინა აზიაში ინდოევროპელების მოსვლამდეც იყო ცნობილი (კერძოდ უმთავრესად მცირე აზიის მხარეებში თუმცა მათი გამოყენება და შებმა სამხედრო საქმისათვის ინდოევროპელების აქ გამოჩენამდე არ იყო ეფექტურად გამოყენებული⁴.

ე. ა. გრანტოვსკი უარყოფს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ინდოირანელების კუთვნილება ყოფილიყო

¹ А. С. Асимов, Исследование этнической истории древней Центральной Азии (II тыс. до. н. э.) в Советской науке, Этнические проблемы древней истории Центральной Азии. Международный симпозиум, Душамбэ, 17-22 октября, 1977 г. М. 1978, გვ. 18.

² А. С. Асимов, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

³ А. С. Асимов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

⁴ К. Ф. Смирнов, Е. Е. Кузьмина, Происхождение индоиранцев в свете новейших археологических открытий, М. 1977, гв. 52-53.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის „ნაცრისფერი კერამიკა“ და შუა აზიის სამხრეთში გავრცელებული „მოხატული კერამიკა“¹.

ე. კრუპნოვის აღნიშვნით, მაიკოპის კულტურა და თრიალეთი ერთმანეთთან არ არის კავშირში, რამდენადაც მაიკოპის სიძველეები თრიალეთს წინ უსწრებდა ნახევარი საუკუნით მაინც. მაიკოპის ჭურჭლების სტილი ძალზედ ახლოს არის მესოპოტამიასთან. ამავე დროს მაიკოპის კულტურის კავშირები შეიმჩნევა ჩრდილოეთითაც, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს მოსკოვის და იაროსლავის მხარეებში ფიქსირებულ ფატიანოვოს კულტურასთან². მისივე თქმით, ნათელია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული მთელი ძველკავკასიური სამყარო კულტურული განვითარებით დაკავშირებული აღმოჩნდა მესოპოტამიის, ირანის, მცირე აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ძველი ხალხების კულტურულ განვითარებასთან. კავკასია თამაშობდა ხიდის როლს, რომელიც აკავშირებდა ჩვენი სტეპების სამხრეთ რაიონებს ძველი აღმოსავლეთის კულტურებთან³. სწორედ ძველ აღმოსავლეთთან კავკასიის ურთიერთობის დამყარების შემდგომ ხდება გაფურჩქვნა სპილენძ-ბრინჯაოს ხანისა, თუმცა კავკასიაში ფერადი ლითონებიც უძველესი დროიდან ადგილობრივად იქნა გამოყენებული⁴.

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, მიუხედავად იმისა, რომ III ათასწლეულის განმავლობაში მცირე აზიური მატერიალური კულტურა თავისი ძირითადი ნიშნებით გვიჩვენებს თვითმყოფადი და ადგილობრივი განვითარების სურათს, განსაკუთრებით ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ნათლად შეინიშნება დასავლურმცირეაზიური ელემენტების შემოღწევა მცირე აზიის არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში (კილიკია) არამედ ასევე ცენტრალურ ანატოლიაშიც, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ამ დროს ანატოლიურ (ხეთურ-ლუვირი) ჯგუფის ტომების შემოღწევასთან. მეორე მხრივ ასევე ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა⁵ წინააზიური დასავლეთ ირანის მთის, ზაგროსის მთიანეთის ტომები, ხურიტები) ტომების მაღალი აქტიურობა. და მათი ინტენსიური შემოღწევა დასავლეთისკენ. აქადის დინასტიის მმართველები, კერძოდ ნარამსინი (ძვ. წ. აღ. XXIII ს.) აწარმოებენ ინტენსიურ ომებს ლულუბიელებთან. სულ მალე ბაბილონი დაპყრობილ იქნა ზაგროსის მთიანეთიდან შემოღწეული გუთიების ტომის მიერ, რომლებმაც აქ შემდგომ 125 წელი იბატონეს (ძვ. წ. აღ. 2228-2104 წწ.) ურის III დინასტიის მმართველები უმძიმეს ომებს აწარმოებდნენ ელამელებთან, რომლებმაც ძვ. წ. აღ. XXI საუკუნის დასასრულისათვის მაინც მოახერხეს ბაბილონის დაპყრობა. ამავე დროს ონომასტიკური და სხვა მასალების საფუძველზე, ასევე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მესოპოტამიის ჩრდილოეთ რაიონებში, შემდგომ სირიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (კილიკია) ხდებოდა ხურიტული ელემენტების შეღწევა. ამ მოვლენების მიღმა, ავტორისავე აზრით, არ დარჩებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა არეალიც, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა

¹ А. С. Асимов, Исследование этнической истории древней центральной Азии (II тыс. до н. э.) в Советской науке, Этнические проблемы древней истории Центральной Азии, Международный симпозиум, Душамбэ, 17-22 октября, 1977 г. М. 1978, გვ. 44.

² Е. Н. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, М. 1957, გვ. 72-73.

³ Е. Н. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

⁴ Е. Н. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

⁵ Г. А. Меликишвили, Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии, Вестник древней истории, М. 1965, №1, გვ. 18.

ადრებრინჯაოს საჩხერის, ძაღინას და სხვა მასალებში, რომელიც ძვ. წ. აღ. 2500-2200 წლებით თარიღდება და ავტორი იზიარებს ბ. კუფტინის მოსაზრებას მისი მტკვარ-არაქსის ბოლო ეტაპად განსაზღვრის შესახებ, რომელი ეტაპიც წინა აზიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს. ეს ძლიერი წინა აზიური ტალღა ამიერკავკასიიდან აღწევს ჩრდილოეთის მხარეებისკენაც, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს ვოლგის და დნეპრისპირეთის და კიდევ უფრო დასავლეთით (კატაკომბების და ლატინოვის კულტურა) მოსახლეობაზე¹.

გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ (გამომდინარე თრიალეთის კულტურის კუთვნილებიდან ხეთებისადმი, რომელიც ტრიპოლის კულტურიდან – ანუ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულად მიიჩნევენ ჩ. ბარნეის და ბ. კუფტინის მიერ გამოთქმული ხეთებთან ნათესაობის კონტექსტში) კრემაციის რიტუალი (რომელიც თრიალეთის კულტურასთან ხეთების ნათესაობის ერთ-ერთ განმსაზღვრელად არის მიჩნეული) ხეთების სამეფო კარზე ჩნდება მხოლოდ „ახალი სამეფოს“ ეპოქაში. აქ ავტორისავე აზრით, უნდა გავითვალისწინოთ „ახალი სამეფოს“ ეპოქაში ძველი ტრადიციების დატოვების ფაქტი. ამ გარემოებას ავტორი ხსნის ახალი სამეფოს ეპოქაში ხურიტული გავლენის მკვეთრი გაზრდით, სამეფო კარზე ჩნდება ხურიტული სახელები, სამეფო არშიებში კი – ხურიტული ტექსტები, ხურიტული პანთეონის ნიშნები და ა. შ. ავტორი, გამომდინარე აქედან აღნიშნავს, რომ მთელი რიგი იმ ნიშნებისა, რომლებიც ძვ. წ. აღ. XV საუკუნეებიდან ხეთების სამეფოში ბატონდება, მასზე უფრო ადრე დასტურდება თრიალეთის კულტურის არეალში², რაც შესაძლოა მოწმობდეს თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომთა ხურიტული ეთნო-კულტურული სამყაროსადმი კუთვნილებას. კიდევ უფრო მეტიც, ავტორი თრიალეთური კულტურის გავრცელების არეალს მიიჩნევს მითანური სახელმწიფოს „ბარბაროსულ პერიფერებად“, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხეთების სამეფოს ექსპანსიაში³.

გ. მელიქიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ხურიტებთან ერთად ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე სხვა წინა აზიური ტომების შეღწევას, მისივე აზრით, კერძოდ, თანამედროვე „იბერიულ-კავკასიური“ ხალხების უშუალო წინაპრებისა. მისი აზრით ნახურ-დაღესტნური ტომების შემოდწევა, ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ზაგროსის მთიანეთის ჩრდილოეთის მხარეებიდან, იმ დროს, როდესაც აფხაზურ-ადიღეური და ქართველური ტომები შესაძლოა უკვე III ათასწლეულში ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ მხარეებში მოგათავსოთ და ამ დროს არ შედიოდნენ მტკვარ-არაქსის კულტურის შემადგენლობაში. ცენტრალურ ანატოლიაში ძვ. წ. აღ. XX საუკუნეში მათთან მიკუთვნებული სახელწოდებების ჩნდება, ხოლო მოგვიანებით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტიპის ეთნონიმი⁴.

ვფიქრობთ, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ბედენის კულტურა და თრიალეთის ყორღანული კულტურა გენეტიკურად ერთმანეთთან არ არის კავშირში და თვით ბედენიც

¹ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

² Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.

³ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

⁴ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

მტკვარ-არაქსთან ვერ პოულობს დიდ საერთოდ. ამავე დროს არ შეიმჩნევა მტკვარ-არაქსა და არც ერთ ამ კულტურებს შორის მყარი უწყვეტი კაშირი. ხურიტულთან თრიალეთის ყორღანული კულტურის კავშირი, გარკვეულწილად ხეთური ცივილიზაციის მატარებელი ხალხების მონაწილეობით, მისი განვითარების შედარებით გვიანდელ სტადიაზე, საკვებით სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომელზეც კრემაციის წესის სწორედ აქედან დასავლეთის მიმართულებით გავრცელებაც მიგვანიშნებს. თუმცა ერთი ეთნიკური მასისადმი ამ კულტურის კუთვნილება, მაგალითად, ხურიტულისადმი, არ იქნება მთლად გამართლებული, რამდენადაც ჩვენ არა გვაქვს ხურიტული დაკრძალვის წესის შესახებ გამოკვეთილი არქეოლოგიური მასალა და თვით ხურიტების განვითარება-ჩამოყალიბება სხვადასხვა ეთნოსებთან ურთიერთობით და მუდმივი გავლენით მიმდინარეობდა. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თრიალეთური კულტურის მატარებელი ტომები არ იცნობენ ცხენს, რომელიც ადრინდელ ინდოევროპელთა ერთ-ერთ მაიდენტიფიცირებელ გარემოებადაა მიჩნეული.

ა. ფორმოზოვის მოსაზრებით, მაიკოპის კულტურა ყველაზე დიდ მსგავსებას ავლენს შუმერის ცივილიზაციასთან და დასავლეთ საქართველოს ენეოლითის და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს მიაწერს შუამავალ როლს მაიკოპის კულტურასა და ძველადმოსავლურ სამყაროს შორის¹. რ. მუნჩაევი, ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში აქ პირდაპირ მესოპოტამიიდან ხალხთა გარკვეული მასის გადმოსახლებასაც კი უშვებს².

გ. ჩაილდის მოსაზრებით, ყობანის ყორღანული სამარხები ეკუთვნოდა იმ ზედაფენებს, რომლებიც თავისი ქვეშევრდომების მტაცებლურ ექსპედიციებს მეთაურობდნენ სომხეთსა, კაბადოკიასა და მესოპოტამიაში და რომ ოქროსა და ვერცხლის ნივთები სამხრეთით მდებარე მდიდარი ქვეყნებიდან იყო შემოტანილი. ავტორი, ყუბანისა და თერგის მდიდარ სამეფო სამარხებს ინდო-ირანული ტომების წინაპრების აგებულად მიიჩნევს³.

დ. მუსხელიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. „თრიალეთური კულტურის“ მატარებელი ტომები, აღმოსავლელ-ქართველი ტომები უნდა ყოფილიყვნენ და ეთნონიმ „ქართულის“ არსებობა ამ დროიდან უნდა ვივარაუდოთ⁴. დასავლეთ საქართველოში ამ დროს დასავლურ-ქართული ტომები მოსახლეობდნენ; ავტორისავე აზრით, სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორია (გვიანდელი მესხეთ-ჯავახეთი ჭოროხის აუზიანად) ტომთა ორი ზემოხსენებული არეალის თანხვედრისა და თანაცხოვრების ადგილი იყო. აღმოსავლეთ-ქართველ ტომთა შორის საკუთრივ „ქართულების“ პირველსაცხოვრისს, განაგრძობს ავტორი, „ქართლი“ ეწოდებოდა და ასეთი „ქართლი“, (ეთნოგრაფიული გაგებით) ზენა და ქვენა „სოფლად“ დანაწილებული, მისივე თქმით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, უკვე უნდა არსებულიყო გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში. ლოკალური არქეოლოგიური კულტურების სახით შესაძლებელი ხდება ჰერული, კახური და მესხური ტომების ადგილმდებარეობის

¹ А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, გვ. 119.

² Р. М. Мунчарев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, გვ. 682.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 230-231.

⁴ დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის, ქართველთა ეთნოგენეზი, თბ. 2002, გვ. 6.

შემოფარგვლაც. ავტორი ქვევრსამარხებს აღმოსავლურ ქართულად მიიჩნევს, რასაც აღმოსავლურ ქართული ტომების ინფილტრაციას მიაწერს¹.

პირველ რიგში, ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალზედ რთულია საუბარი მაიკოპის და ყუბანის კულტურების ნათესაობის ან შემერთა თუ სხვა ხალხთა მიგრაციების შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა, სავარაუდოდ ეს კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობათა ფარგლებს შესაძლოა არ სცდებოდა და ისიც უცნობია თუ რა გზით ხორციელდებოდა ეს კავშირები, რომელსაც არქეოლოგები მაიკოპის, ყუბანურ და შემერულ კულტურებს შორის ხედავენ. საქართველოს ტერიტორია, ანუ ის სავარაუდოდ არეალი საიდანაც ეს კონტაქტები უნდა განხორციელებულიყო, ამ პერიოდის პროცესებში არ ჩანს ჩართული. აქ შეიძლება უფრო ძირძველ კავშირებთან გვეკონდეს საქმე, რაც მტკვარ-არაქსულ და შემერული (=სუბარული) მოსახლეობის ოდესღაც არსებულ ნათესაობაზე მეტყველებს.

დასაშვებია შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების მოსახლეობის იგივეობის ძებნა, შემდგომ ქართულ ტომებთან. თუმცა ამ პერიოდში ტერმინ „ქართველის“ არსებობა საეჭვოა. არც ერთ წერილობით წყაროში მსგავსი ტერმინი არ ჩანს და ის ძალზედ გვიანდელია, რომელზეც უფრო ვრცლად სათანადოდ ადგილას გავამახვილებთ ყურადღებას. ამავე დროს ამ რეგიონში, მოცემულ პერიოდში (ადრებრინჯაო, შუა და გვიანბრინჯაო), ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ყორღანული დაკრძალვის წესი, რომელსაც, ვფიქრობთ, არანაირი საერთო არა აქვს ქართველურ ტომებთან. ჩვენ არ აურევოფთ აქ ქართველური ტომების მოსახლეობას, თუმცა ჭარბობს უცხო ელემენტი, რომელსაც ალბათ თანდათანობით გადაწონეს სამხრეთიდან მოწოლილი უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომები თუ ტომთა ერთობები.

გ. ნარიმანაშვილის აზრით, ყორღანების კულტურის დაცემა უნდა დაუკავშიროთ ანატოლიაში მიმდინარე პროცესებს. ძვ. წ. XIX-XVIII საუკუნეები წარმოადგენდა ამ რეგიონში ასურეთის ვაჭრობის ფინალურ სტადიას. ავტორისავე თქმით, ხეთების სამეფოს წარმოქმნის შემდგომ, ლითონით ვაჭრობის მონოპოლია მათ ხელში აღმოჩნდა, დარღვეულ იქნა ტრადიციული სავაჭრო კავშირები, რომლის შედეგადაც სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს მოსახლეობამ, რომელიც სპეციალიზირდებოდა მეტალურგიაში, დაკარგა გასაღების ბაზარი. ავტორისავე მოსაზრებით, სამხრეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს კულტურის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მდიდარი ლითონის საბადოები, რომელმაც კავკასია გამოიყვანა საერთაშორისო არენაზე. ბედენი-ალაზნის და თრიალეთის ტიპის იარაღები გავრცელებას პოულობდნენ სირიასა და პალესტინაში, ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში, ასევე მესოპოტამიასა და ირანის მთიანეთში².

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში მომხდარ ამ ცვლილებებს გ. ნარიმანაშვილი მიაწერს მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს შამში-ადად I-ის მიერ (1813-1788 ძვ. წ.) მესოპოტამიაში ძლიერი სამეფოს შექმნას, მცირე აზიაში ხეთების სამეფოს, ასევე გვიანი ხური-მითანის სამეფოს წარმოქმნას, რომელმაც დასავლეთთან აშურის კავშირები დაარღვია. ხურიტების სამეფო – არაპახამ, ასევე ირანის პლატოდან

¹ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7, 8, 10.

² Г. Нариманашвили, Новые открытия в Триалети и некоторые вопросы функции, происхождения и распространения ритуальных дорог, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 66.

გასასვლელებს ფლობდნენ კასიტები, რომელმაც დაარღვია ის სავაჭრო ურთიერთობები, რომელსაც ადრე ჰქონდა ადგილი სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიისკენ, სირიისკენ და პალესტინისკენ. ავტორისავე აზრით, სავაჭრო გზა გადიოდა მალატიის გავლით, რამაც ხელი შეუწყო კავკასიის ადრებრინჯაოს კულტურის განვითარებას. ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის სამხრეთ კავკასიისა და მესოპოტამიას შორის კავშირი მყარდებოდა სომხეთის მთიანეთით, ვანის ტბის ამოსავლეთ სანაპიროთი ან ურმიის ტბის დასავლეთით მცირე ზაბამდე და აქედან არბელუმდე. ავტორისავე აზრით, სწორედ ამ სავაჭრო კავშირების გათავისებამ ხელი შეუწყო ნაირის ქვეყნების კოალიციიდან ურარტუს გამოყოფას¹.

კიდევ უფრო ბუნდოვანია საკითხი იმის შესახებ თუ რას უნდა გამოეწვია ყორღანული კულტურის ასე უეცრად ჩაქრობა ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში, მაშინ როდესაც დაკრძალვის მსგავსი წესი ინდოევროპული კულტურის წიაღში მსოფლიოს მრავალ ხალხში შუა საუკუნეებამდეც კი შემორჩა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოში არსებულ ყორღანული კულტურის დაკრძალვის ზოგიერთ თავისებურებებზე და ცალკეულ რიტუალურ მხარეზე.

გ. გობეჯიშვილის მასალებით, გორასამარხთა დროინდელი საჩხერის რაიონის მოსახლეობას ისევე, როგორც ძველ ტყვიაველებს, განსაკუთრებით იმათ მსგავსად ვინც I გორასამარხში დაიმარხნენ, წესად ჰქონიათ ერთ ქვაყრილში მრავალი გვამის თანმიმდევრული დასაფლავება. სულ ადრინდელ მიცვალებულთა საფლავები ძირითადად ქანში ამოჭრილი ორმოებია, ანდა ისინი გამართული იყო მის ზედაპირზე, ხის მასალით ან კიდევ ქვებით. საფლავებს სანიშნობლად ქვებს დააყრიდნენ და ასე თანდათან იქმნებოდა დიდი ქვაყრილი, რომელშიაც უფრო გვიანდელ მიცვალებულებს უნდა ეპოვათ თავისი ბინა. ავტორისავე თქმით, როგორც ტყვიავის I გორასამარხი, საჩხერის ყველა ქვაყრილიც ფაქტიურად სასაფლაოა და არა ინდივიდუალური დაკრძალვისათვის განკუთვნილი ნაგებობანი. აქაც მოკუნტული გვამების დასაფლავება ყოფილა წესად, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თითქოს ქალები მარჯვენა გვერდზე იმარხებოდნენ, კაცები კი მარცხენაზე².

მაგალითად ნოვოკუმიანის (ქ. ორსკთან) ბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხებში ზრდასრული მამაკაცი დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე თავით დასავლეთით. ხოლო სულ მალევე ამ მამაკაცის დაკრძალვიდან იმავე ყორღანში დაკრძალულია ბავშვი, ასევე მოკრუნჩხულ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. მისი ტანი დაფარული იყო წითელი ოქრით³.

გ. გობეჯიშვილის მასალებით, ნადარბაზევის დიდ სამარხში (№2) უთავო გვამი მსუბუქად მოხრილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე. ზემო ნაწილით (თავით) ის ჩრდილო-დასავლეთისკენ იყო მოქცეული. ბედენის მუხის აკლდამაში, ურემზე დასვენებულ მიცვალებულს თავის დასავლეთის უნდა დებოდა. უცნობი რჩება მხოლოდ ის, თუ რომელ გვერდზე მდებარეობდა ის მთავარი მიცვალებული, რომლისთვისაც აუცილებლად მუხის აკლდამა. ამ აკლდამაში დაკრძალული ორი სხვა გვამი დაქვემდებარებულ პირებს –

¹ Г. Нариманашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

² გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ. 1981, გვ. 124-125.

³ К. Ф. Смирнов, Е. Е. Кузьмина, Происхождение индоевропейцев в свете новейших археологических открытий, М. 1977.

მსახურებს მონებს ან ოჯახის მეორეხარისხოვან წევრებს – უნდა ეკუთვნოდეთ. ორივე დაუსვენებთ აკლდამების აღმოსავლეთ ნახევარში, ჩვენგან ჯერ კიდევ გაურკვეველ სიმბოლურ „კართან“ ახლოს იატაკზე ორივე გვამი მსუბუქად იყო მოკუნტული, ახალგაზრდა ქალი მარჯვენა გვერდზე, ხოლო ყმაწვილი - მარცხენაზე. პირველი დამსობილი იყო დასავლეთისკენ, მეორის თავიც იმავე მიმართულებით უნდა იყოფილიყო მიქცეული. მე-10 სამარხის ცენტრში იდგა სპილენძის ფირფიტებით შემკული ხის დიდი ოთხთვალა ეტლი, რომელზედაც მიმოფანტული იყო ადამიანის ძეგლები. ეტლის გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ თვალთან (გარედან) იატაკზე იდო ახალგაზრდა კაცის ჩონჩხი, რომელიც ხელფეხმოსრით, მარჯვენა გვერდზე და თავით დასავლეთისკენ იყო დაკრძალული („მეურმე“). ავტორისავე აღნიშვნით, ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელი ხდება მიცვალებულის გვამის თავდაპირველი მდებარეობის მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით გამოცნობა, ირკვევა, რომ მოკეცილ გვამს ერთ-ერთ გვერდზე ასაფლავებდნენ და თავს დასავლეთისკენ ან ჩრდილო დასავლეთისკენ მიუქცევდნენ¹.

არ არის გამართლებული გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ყორღანულ კულტურაში ბელადს აუცილებელ მსხვერპლად სწირავდნენ მონებს საიქიო სამყაროში „მსახურების“ მიზნით. ბელადებს შესაძლოა ეწირებოდათ არა მონები, არამედ ვინმე ქალი, როგორც ნაყოფიერების კულტის სიმბოლო, ან საკუთარი ცოლიც კი, რაც ამ მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უნდა დაუკავშიროთ.

შესაძლოა არსებობს შეხედულებაც, რომ მაგალითად, კუნძულ ტონგას მცხოვრებლები თვლიან, რომ სიკვდილის მერე ცხოვრებას აგრძელებდნენ მხოლოდ მაღალი წოდების ადამიანები. ცენტრალური ავსტრალიის გიანები თვლიან, რომ საიქიო სამყარო ეძლევათ მხოლოდ მამაკაცებს².

ოთ. ჯაფარიძის თქმით, ადრეყორღანული კულტურის ხანაში უპირატესად დიდი და საშუალო ზომის ყორღანები გვხვდება: მომცრო ზომის ამ ტიპის სამარხი შედარებით იშვიათია. ავტორისავე აზრით, ისინი უფრო მაღლი ფენის წარმომადგენელთა სამარხები იყო, ეგებ, უპირატესად საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებიც ჩრდილოეთიდან იყვნენ გადმონაცვლებულნი. ესენი ჩანს, აქ დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევს და დაიმარხნენ მათთვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალის წესით. ადრე ყორღანული კულტურის ხანაში ინერგება შეხედულება, რომელშიაც ბელადი წამყვან ადგილს იკავებს საზოგადოებაში. ეს კი, ავტორისავე აზრით, პირველყოფილი საზოგადოების განვითარების უკვე საკმაოდ მაღალი საფეხურის მანქვენებელი იყო. როგორც ფიქრობენ, განაგრძობს ავტორი, ყორღანის აგებაში შესაძლოა ჩადებულია იგივე იდეა სამარხის თავზე მონუმენტური ნაგებობის აღმართვისა, რომელმაც სხვადასხვა მხარეში თავისებური ასახვა პოვა - ეგვიპტის პირამიდები, ევროპაში მეგალითური ძეგლები და სხვ. ავტორისავე აღნიშვნით, ადრეული დიდი ყორღანები საკმაოდ რთულ და შრომატევად ნაგებობას წარმოადგენდა და მიწის სამუშაოების გარდა ზოგჯერ აქ საკმაოდ მოზრდილი ქვის და ან ხის კონსტრუქციები იგებოდა. საჭირო მასალის მოზიდვაც ხანდახან საკმაოდ დაცილებული ადგილიდან ხდებოდა, ალბათ გამწვევი ძალის გამოყენებით. ყორღანის აგება

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119-121.

² К. Клемен, Жизнь мертвых в религиях человечества, М. 2002, გვ. 10.

საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და ზოგჯერ, ალბათ, ერთი ან ორი წლის ამბავი არ იყო. ამ სამუშაოში, ჩანს, საკმაოდ დიდი კოლექტივი იყო ჩაბმული¹.

წალკის რაიონის სოფ. აკრანლოში აღმოჩენილი იყო (სამარხი კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს ინვეტარსაც შეიცავდა) ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი – კაუჭი, სალტე და ხარის თავის ქანდაკება ნივთები, რომელთაც კაუჭისმაგვარი დაბოლოება აქვთ. ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში, როგორც აღნიშნულია, პირველად იყო დადასტურებული. როგორც მიხნეულია იგი მაღალი სახელისუფლებო რანგის მოხელის ინვენტარს წარმოადგენდა. გ. ნარიშანაშვილი შენიშნავს, რომ კაუჭისმაგვარი კვერთხი ძველ ეგვიპტეში ოსირისის სიმბოლოს წარმოადგენდა, მოგვიანებით ფარაონების სიმბოლოც გახდა, რომელი ფორმის ნიშანიც ძველ ეგვიპტეში „მართულს“ („ბატონობა“) აღნიშნავდა. ძველ ბაბილონში კაუჭი სიკვდილის მომგვრელი და დამანგრეველი ღმერთის ამურე (მარატუ) სიმბოლო იყო. კაუჭი ასურეთის მეთის ინსიგნიას წარმოადგენდა. ეს ნივთი უკავია ასურნასირფალი II (ძვ. წ. აღ. 883-859 წწ.), რომლის ქანდაკებაც ქ. კალხუში იდგა. გ. ნარიშანაშვილის დასკვნით, თრიალეთში აღმოჩენილი ინსიგნია „სამეფო“ ხელისუფლების ემბლემაა².

ოთ. ჯაფარიძის აზრით, მარტყოფის ბედენური კულტურის დროინდელი ყორღანები, ჩანს, საზოგადოების საშუალო ფენის, ეგებ უფრო ხელოსანთა, წრიდან გამოსული პირის სამარხები იყო. ავტორისავე აზრით, ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ამ ყორღანებში ჩატანებული ინვენტარი. ორივე ყორღანებში ლითონის მსგავსი შრომის იარაღები აღმოჩნდა, უპირატესად ხის ხურობასთან დაკავშირებული. მისივე თქმით, ბედენური ხანის ყორღანულ სამარხებში საბრძოლო ხასიათის იარაღი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი მაღალი სტატუსის მქონე პირთა სამარხებშიც; თუ არ ჩავთვლით ქვის და ძვლის ისრისპირებს, იარაღი შედარებით იშვიათია, ისიც უპირატესად პრიმიტიული სატევრის პირები. ბედენის საფეხურზე ნაკლებად გვხვდება ბრინჯაოს პირამიდისებრთავიანი ისრის პირები. ეს ტრადიცია, ჩანს, მომდევნო თრიალეთის კულტურაშიც გაგრძელდა, სადაც აგრეთვე სუსტადაა წარმოდგენილი დაწინაურებულ პიროვნებათა სამარხებში საბრძოლო იარაღი³.

გამოთქმული მოსაზრებით, ისარი დასაკრძალავ კომპლექსში დაკრძალულის მაღალ სოციალურ სტატუსისადმი კუთვნილების სიმბოლო იყო, ასევე დაკავშირებული იყო მსხვერპლშეწირვებთან. ისარი ასევე შესაძლოა ყოფილიყო სიმბოლო ღვთაებრივი წესრიგისა, აღორძინებისა და გვარის გაგრძელებისა. ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ისარი, რომელსაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, ამავე დროს უნდა ყოფილიყო გარდაცვლილი ბელადის გაღმერთების მანიშნებელი. აღნიშნული ნივთი ასევე წარმოადგენს მეომრის ატრიბუტს, რაც მეტყველებს აღნიშნულ ეპოქაში ბელადის და ქურუმის ფუნქციის ერთობრიობაზე⁴.

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

² გ. ნარიშანაშვილი, თრიალეთი ძვ. წ. აღ. XV-XIV საუკუნეებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 290-291.

³ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

⁴ А. В. Гнуни, К вопросу о сакральном значении некоторых предметов вооружения из погребальных памятников эпохи средней бронзы, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2009, გვ. 76.

მარტყოფის უადრეს ყორღანებში ექვსი სატვერის თუ დანისპირი აღმოჩნდა – ორი №2 ყორღანში, და ოთხი კი №4 ყორღანში. ერთი ამგვარი იარაღი ნაპოვნი იყო სამგორის ყორღანში. ვხვდებით მათ აგრეთვე მაღაროს ყორღანში. №4 ყორღანის ოთხივე სატვერის პირი ხის ბუდეში იყო მოთავსებული¹. ეს იარაღი უცხოა ამიერკავკასიაში და იგი ვრცელდება აქ ყორღანული კულტურის შემოსვლასთან ერთად. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრი პირები მკვეთრად გამოკვეთილ პირამიდისებრი თავით, მოგრძო ოთხწახნაგა ყუნწით და მხოლოდ ზომით თუ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან².

გ. ნარიმანაშვილის მასალებით, 1999-2001 წლების გათხრების შედეგად თრიალეთში გამოვლინდა ქვით მოკირწყლული გზები, რომლებიც ემიჯნებიან ყორღანული თხრილს უშუალოდ აღმოსავლეთიდან (თრიალეთის და ზურტაკეთის ყორღანები); ამ დროის ყორღანები თარიღდება ძვ. წ. III ათწლეულის ბოლო საუკუნეებით და II ათასწლეულის დასაწყისით. ისინი შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. ხოლო 2000 წელს აღმოჩენილი ყორღანი, ბედენის კულტურას განეკუთვნება. ავტორისავე აღნიშვნით, ყორღანების რიტუალურ-პროცესიული გზები ჩნდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა პერიოდიდან და ქრება გვიანდელი ბრინჯაოს დასაწყისში. ეს გზები, გამოთქმული მოსაზრებით, გავს ეგვიპტურ პირამიდებში აღმავალ გზებს (ძველი სამეფოს პერიოდი). სამლოცველოებისა და სამარხებისკენ მიმავალი რიტუალური გზები ცნობილია ხეთების სამეფოში. გ. ნარიმანაშვილის მოსაზრებით, თრიალეთის ყორღანების მოკირწყლული ქვის გზები წარმოადგენდნენ ისეთივე რიტუალურ-პროცესიული დანიშნულებისას და თავისი წარმოშობით აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებთან არის დაკავშირებული³.

ჩვენი აზრით, მიცვალებულის მიმართ საფლავის გამართვა, მისთვის ქვის დადება თუ შესაძლოა ის შეუკრავი წრე, რომელიც შემოვლებულია ადრებრინჯაოს ხანის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხებში (ბედენი) შესაძლოა იმ რწმენის გამოხატულება იყო მიცვალებულის მიმართ, რომ სულს არ ეწანწალა გარშემო და არ წასულიყო სხვასთან. გაუმართლებლად მიგვაჩნია ყორღანების კულტურის მატარებელ ტომებში რაიმე ერთიან სატომო ან სახელმწიფოებრივ რწმენაზე და ერთიანი ღვთაების არსებობაზე საუბარი. აქ სავარაუდოდ მესაქონლე გვარებიდან ქონებრივად გამორჩეულ ადამიანებს, შესაძლოა ბელადებს ასაფლავებდნენ დიდი პატივით. აქ საქმე გვაქვს მიცვალებულის კულტის განვითარების უმაღლეს საფეხურთან, სადაც ტომობრივ ორგანიზაციაზე საუბარი, ვფიქრობთ, გადაჭარბებულია.

გამოთქმული მოსაზრებით, ზოგიერთი ყორღანული ტიპის სამარხებს (გორა-ყორღანების გარდა) აქვს საცხოვრებლის იდეური ფუნქცია. ცარიელი ყორღანი ანუ

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

² ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

³ Г. Нариманашвили, Новые открытия в Триалети и некоторые вопросы функции, происхождения и распространения ритуальных дорог, Археология, этнология и фольклористика Кавказа, Ечмиадзин, 2003, გვ. 65.

კენოტაფი წარმოდგენს ტიპიურ მაგალითს ყორღან-საცხოვრებლისა¹. ის წარმოადგენდა გარდაცვლილის „საცხოვრებელს“, რომელიც სხვა ადგილას იყო დასაფლავებული².

შეიძლება დავეუშვათ ვარაუდი, რომ ყორღანულმა სამარხებმა საფუძველი დაუდო საქართველოში შემდგომ განვითარებულ დარბაზული შენობის საწყის ფორმებს. ის სწორედ დიდი ინტენსივობით იმ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, სადაც იყო ძველი ყორღანული კულტურა. შესაძლოა ამაზე მიუთითებს საცხოვრებლის და დასაკრძალავი მოწყობილობის იგივეობა. მაგალითად, ევროპის ნეოლითში სახლის მაგვარ ურნებში, ხოლო დანიაში მიწაყრილი შესასვლელი კარებით, რომელიც ნეოლითში დასაკრძალავად გამოიყენებოდა და ზამთარში საცხოვრებელ ნაგებობის სახით შემორჩენილი იყო ჩრდილოეთის ხალხების რიგ სოფლებში, რომლებიც მიწურ მრგვალ იურტებს წარმოადგენდნენ³.

დ. ნიდერლეს თქმით, საკურთხეველი და სამლოცველო უმეტეს შემთხვევაში თავისი წარმოშობით დაკავშირებულია სასაფლაოსთან. სულის პატივისცემა წარმოადგენს რელიგიის ერთ-ერთ პირველ საფუძველს. ასეთ ადგილს კი წარმოადგენდა მიცვალებულის საფლავი⁴.

კ. კლემენის აღნიშვნით, მიცვალებულისადმი გამოთქმული სურვილი – „მიწა შენთვის იყოს მსუბუქი“, ნიშნავს იმას, რომ ოდესღაც თვლიდნენ რომ მიწას შეუძლია გაჭყლიტოს მიცვალებული, რამდენადაც ის სხეულითაც განაგრძობს თავის ცხოვრებას⁵. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ამ მიზნითაც აღემართათ ეს უზარმაზარი ყორღანები, რომლებიც რელიგიურ-რიტუალური თუ სოციალური ნიშნით მართლაც გვაგონებს ეგვიპტის პირამიდების იდეურ დატვირთვის პრიმიტიულ ფორმას, რომელიც გარკვეულ პრივილეგირებული მაღალ წოდების ფენას აძლევდა საიქიო სამყაროში ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას. ამასვე უნდა მოწმობდეს ეტლით დაკრძალვის წესიც, ანუ მისი იმ სამყაროში ეტლით გამგზავრება, რომელიც ადამიანის კომფორტს უზრუნველყოფდა და აძლევდა საშუალებას ეცხოვრა ისე, როგორც ცოცხალთა სამყაროში აკეთებდა ამას.

ყორღანების ფორმასთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, შეიძლება მოვიშველიოთ მითი კუს შესახებ, რომელიც ინდოეთს ეკუთვნის. იქ ამ იდეამ სხვადასხვა ფორმით მიიღო განვითარება. კუს უჭირავს დედამიწა და ინდუსს დღემდე სჯერა, რომ დედამიწა დგას მის ზურგზე. არსებობს მოსაზრება, რომ დედამიწა წარმოადგენს კუს⁶. ვებერთან დედამიწისა წარმოდგენილია ქვედა ფარად, ხოლო ზედა ფარი არის ცა, ორ ფარს შორის მოქცეული სხეული – ატმოსფეროა, რომელიც მათ აერთიანებს⁷. ჩრდილო ამერიკელ ინდოელების რწმენით, დედამიწა დაცურავს ზღვაზე ან კუს უჭირავს სინათლე⁸.

¹ Ю. М. Лесман, Погребельный ритуал и погребельные сооружения (к осмыслению археологического материала Восточной Европы второй половины I – первая половина II тыс. н. э. Конференция Бальто-славянские этнокультурные и археологические древности, Погребельный обряд, Тезисы докладов, М. 1985, გვ. 55.

² Ю. М. Лесман, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

³ იხ. Дрь. Л. Нидерле, Человек в доисторические времена, СПб., 1898, გვ. 91.

⁴ იხ. Дрь. Л. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

⁵ К. Клемен, Жизнь мертвых в религиях человечества, М. 2002

⁶ В. В. Тайлор, Доисторический быт человечества и начало цивилизации, М. 1888, гв. 455.

⁷ В. В. Тайлор, დასახ. ნაშრომი, გვ. 485.

⁸ В. В. Тайлор, დასახ. ნაშრომი, გვ. 459.

არ არის გამორიცხული სწორედ დედამიწის ფორმის შესახებ არსებულ წარმოდგენებს და მითოლოგიურ გადმოცემებს უკავშირდებოდეს ყორღანული სამარხების ფორმა, რომელშიც გარდაცვლილი იმ სამყაროშიც სიცოცხლის გაგრძელების რწმენით მიყავთ.

გ. ჩაილდის აღნიშვნით, იმ კულტურებში, სადაც ყორღანები თანმიმდევრულად არის განლაგებული მიუთითებს ამ მოსახლეობის შედარებით დამჯდარ ცხოვრებაზე¹.

თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელი, დიდი ალბათობით მოსული ინდოევროპულ მესაქონლე ტომები, დროთა განმავლობაში ითქვიფებოდნენ ადგილობრივ მიწათმოქმედ მოსახლეობაში. ითვისებდნენ მათთვის ახალი მეურნეობის ფორმებს, ავსებდნენ თავის კვების რაციონს და შესაბამისად უნდა გადასულიყვნენ დამჯდარ ცხოვრებაზე, სადაც მიწათმოქმედების განვითარების დონე ალბათ არ იქნებოდა წინარე კულტურებისათვის დამახასიათებელის სიმაღლეზე და არც ცდილობდნენ ალბათ ამ საქმიანობის ბოლომდე ათვისებას, მაგრამ თრიალეთის ყორღანების მაგალითზე ნათელია, რომ მეტნაკლებად დამჯდარ ცხოვრებასთან გვაქვს საქმე, არა იმდენად მიწათმოქმედთა, არამედ „დამჯდარ მესაქონლეთა“ სახით, რომელი რეგიონიც (აღმოსავლეთ საქართველო) მდიდარი საძოვრებით არის წარმოდგენილი.

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე დასკვნის სახით რამოდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაესვას ხაზი.

ყორღანული დაკრძალვის წესი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოიცავს თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულიდან უდიდესი ყორღანული სამარხები არსებობს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხოლო უფრო ადრე, ძვ. წ. IV ათასწლეულიდან ჩრდილო კავკასიაში (ყობანი) უფრო სამხრეთით, არარატის ველზე და მის მიმდგომ მხარეებში ამ კულტურის ნაკვალევი ჯერჯერობით ნაკლებადაა გამოვლენილი. ეს ფაქტი კი გვაფიქრებინებს იმ მოსაზრების სისწორეს, რომ ყორღანული კულტურა ჩრდილოეთიდან უნდა გავრცელებულიყო, რომელთა შემოქმედნი მომთაბარე-მესაქონლე ტომები იყვნენ.

ის გარემოება, რომ ბედენის და მარტყოფის ადრეული ყორღანების კულტურა არ არის ცნობილი სომხეთის ტერიტორიაზე, ხოლო აზერბაიჯანში სრულიად განსხვავებული ხასიათის ადრეული ყორღანები გვაქვს (ერთადერთი ყარაბახის ყორღანები პოულობს მსგავსებას ინვენტარით ბედენის ყორღანებთან) მის სამხრეთულ წარმოშობას ნაკლებად თუ გვაპარაუდებინებს. პირიქით ბედენის ყორღანებს ახასიათებს ჩრდილო კავკასიის, კერძოდ დაღესტნის ძვ. წ. III-II ათასწლეულებისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესის, ცალკეული ნივთების, თუ ორნამენტების დიდი მსგავსება, რაც კიდევ ერთხელ მხარს უჭერს მათ ჩრდილოურ წარმოშობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადრეყორღანული კულტურა, აღმოსავლეთ საქართველოში, სწორედ მის ჩრდილოეთ პერიფერიებზე, შიდა ქართლში, კახეთსა და ივრისპირეთში ვრცელდება. ვფიქრობთ, მათი გამოჩენა სავარაუდოა არა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, არამედ ამ ტერიტორიაზე განსხვავებული კულტურული ტრადიციის მქონე ეთნიკური მასის

¹ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

მოსვლით, რასაც მოწმობს ყორღანების გაერცვლების პირველ ეტაპზე (ბედენი, მარტყოფი) შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურასთან უეცარი გამოჩენა და თანაარსებობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგიერთი მოსაზრება ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად. ვფიქრობთ, ო. ჯაფარიძე, გარკვეულწილად ერთი და იმავე კულტურის გენეზისზე ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს, რაც ჩვენთვის ამ ფორმით სრულიად მიუღებელია. ჯერ აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა განიცდის ძირეულ ცვლილებებს და უცხო ელემენტის მოსვლის შედეგად ის თითქოს განვითარების ახალ გზას ადგება და არ არის გამგრძელებელი მტკვარ-არაქსის ტრადიციისა, ხოლო მეორე მხრივ სხვა ადგილას იქვე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში რაიმე ეთნიკურ ძვრებს ადგილი არ ჰქონია და ის ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი. ავტორი თვითონ არ გეთავაზობს თავისივე თეზისის ახსნას და გამოთქმულ მოსაზრებათა ურთიერთმიმართებას. თუმცა სწორედ თვითონ ო. ჯაფარიძის მიერ შენიშნული ის გარემოება, რომ ყორღანული კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შიდა ქართლში და კახეთში, ძირითადად ივრისპირეთში ვრცელდება მიგვითითებს მის შესაძლო ჩრდილოურ წარმოშობაზე, რომლებიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და დღევანდელი აზერბაიჯანის სტეპების გავლით გადმოდიან ამ ტერიტორიაზე და შესაძლოა თვით თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელი ტომებიც არ იყვნენ ბედენელთა და მარტყოფელთა უშუალო გაგრძელება. აქ საქმე უნდა გვქონდეს კიდევ სხვა უცხო ეთნიკური ელემენტის შემოდევასთან, რომლებიც თავისი წარმოშობით მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ბედენის და მარტყოფის კულტურის მატარებელი ტომებისა. თვით მარტყოფის და ბედენის კულტურის მატარებელ ტომთა შორისაც შეინიშნება რიგი ძირეულად განმასხვავებელი ნიშნები (ეტილით დაკრძალვა), რაც მათი ურთიერთისგან გამიჯვნის მანიშნებლად შეიძლება გამოგვადგეს, რაც შესაძლოა უბრალოდ ტოტემისტურ-გვაროვნულ დაყოფაზე მიუთითებდეს.

ყორღანული ტიპის სამარხების მესაქონლე ტომებისადმი კუთვნილება ჩვენში ეჭვს არ იწვევს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ინდოევროპელებად არიან მიჩნეულნი და მათი სამშობლო რუსეთის სტეპებშია საძიებელი. ამავე დროს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარემოებაა ოქრის გამოჩენის კვალი ყორღანულ სამარხებში, რომელიც რა თქმა უნდა მასიური არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული ყორღანული სამარხებისათვის და არც წინა აზიის ტერიტორიაზე ამ ტიპის კულტურებისათვის, მაგრამ თვით ზოგიერთი შემთხვევებიც მიუთითებს მის მეტწილად ჩრდილოურ წარმომავლობაზე (ოქრის გამოყენების წესი საკმაოდ ადრე არსებობს ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, მაგრამ უფრო ადრე, და არა ამ პერიოდში, ის მასიურად დამახასიათებელია სამხრეთ რუსეთის სტეპების ორმოსამარხების მოსახლეობისათვის). ამავე დროს, ვფიქრობთ მთლად გამართლებული არ უნდა იყოს რუსეთის სტეპებში მოქმედი ორმოსამარხების კულტურიდან უშუალოდ მასიური მიგრაცია ამ პერიოდის ანუ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულისთვის სამხრეთში ანუ იმ დროს, როდესაც ეს კულტურა თვით იქ ადგილზე განიცდის განვითარებას და მასში ჯერ კიდევ არ არის შორეული მიგრაციები ფიქსირებული. მესაქონლე ტომები, რომლებიც ყორღანებს აკებდნენ შესაძლებელია სხვა ადგილასაც არსებულიყვნენ, თუნდაც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომელთა გარკვეული ტალღა შესაძლოა აღწევდა კიდევაც დღევანდელი

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. მოგვიანებით კი, თრიალეთის ყორღანული კულტურის გავრცელების დროისათვის, რომელსაც არ უნდა ჰქონოდა კავშირი ბედენურ-მარტყოფული ჯგუფის ხალხთან, მიგრაცია უფრო მძლავრი უნდა ყოფილიყო და შესაძლოა ისინი ინდოევროპელი ხეთების ერთ-ერთ მონათესავე ტომებად მივიჩნიოთ, რომლებმაც მსგავსად მტკვარ-არაქსისა, იქაც შთანთქა ადგილობრივი მძლავრი კულტურა.

ჩვენ ვიზიარებთ ი. დიაკონოვის მოსაზრებას ინდოევროპელების მახლობელ აღმოსავლეთში გვიან გამოჩენის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, რასაც მარტყოფის და ბედენური კულტურის გამოჩენა მოწმობს. თუმცა ვერ გავიზიარებთ ი. დიაკონოვის მოსაზრებას პროტოქართველური და ქართველური არეალის საერთო ინდოევროპული დიალექტური კონტინუუმიდან მომდინარეობის შესახებ და ქართველური ტომების ჩრდილოეთიდან მიგრაციის თეორიას. რაც შეეხება ენობრივ შეხვედრებს ქართველურსა და ინდოევროპულს შორის გვიანდელი ჩანს. ფიქსირებული უძველესი ენობრივი შეხვედრების ინტერპრეტირება ქართველურსა და ინდოევროპულს შორის თეორიული და ჰიპოტეტურ მოსაზრებებს არ სცდება. ჩრდილოეთიდან ქართველური ტომების მიგრაციის თეორია კი, არც არქეოლოგიური და არც სხვა რაიმე მონაცემთა ანალიზით, სრულიად საფუძველს მოკლებულია.

ძალზე რთულია ამავე დროს მაიკოპის და ყუბანის კულტურების ნათესაობის ან შუმერთა თუ სხვა ხალხთა მიგრაციების შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა, სავარაუდოდ ეს კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობათა ფარგლებს არ ცდებოდა და ისიც უცნობია თუ რა გზებით ხორციელდებოდა ეს კავშირები, რომელ მსგავსებასაც არქეოლოგები მაიკოპის და ყუბანურ კულტურასა და შუმერულ კულტურას შორის ხედავენ. საქართველოს ტერიტორია, ანუ სავარაუდოდ არეალი საიდანაც ეს კონტაქტები უნდა განხორციელებულიყო ამ პერიოდის პროცესებში არ ჩანს ჩართული. აქ შეიძლება უფრო ძირძველ კავშირებთან გვეკონდეს საქმე, რაც მტკვარ-არაქსულ და შუმერული (=სუბარული) მოსახლეობის ოდესღაც არსებულ ნათესაობამდე შეიძლება დავიდეს.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების მოსახლეობის პერიოდში ტერმინ „ქართველის“ არსებობა. ამ პერიოდის არც ერთი წერილობით წყაროში მსგავსი ტერმინი არ ჩანს და ის ძალზე გვიანდელია, რომელზეც უფრო ვრცლად სათანადოდ ადგილას გავამახვილებთ ყურადღებას. ამავე დროს ამ რეგიონში მოცემულ პერიოდში (ადრებრინჯაო, შუა და გვიანბრინჯაო) ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ყორღანული დაკრძალვის წესი, რომელსაც, ვფიქრობთ გენეტიკური ერთობა აკავშირებთ ქართველურ ტომებთან. ჩვენ მთლიანობაში არ უარყოფთ აქ ცალკეული ქართველური ტომების არსებობას, თუმცა ჭარბობს უცხო ელემენტი, რომელიც თანდათანობით უნდა შთანთქა სამხრეთიდან მოწოლილ უფრო ძლიერ და მრავალრიცხოვან სხვადასხვა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომებს თუ ტომთა ერთობებს.

საქართველოში გავრცელებული ყორღანული დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი თანმხლები ინვენტარი არის ეტლი, აღსანიშნავია, რომ ის ბედენის კულტურის ხანაში ვრცელდება. ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპზე მსგავსი დასაფლავების წესი არ ჩანს. ის ფართოდ არის გავრცელებული მოგვიანო თრიალეთის ყორღანულ

კულტურაში. მისაღებია ის მოსაზრება, რომ ეტლები ბედენური კულტურიდან თრიალეთურში ინერციით გავრცელდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენებში გვაქვს ურმის თვალის მოდელები, რომელიც როგორც ჩანს რიტუალური დანიშნულების იყო, თუმცა მისი პრაქტიკული დანიშნულების არქონის გარეშე რიტუალში მისი გამოყენება საეჭვოდ მიგვაჩნია. ეტლების კატაკომბურ და ორმოსამარხთა კულტურის მატარებელ ტომებში ფართო გავრცელება მიუთითებს სწორედ მის ჩრდილოურ მომდინარეობაზე. ამავე დროს ბედენის და მარტყოფის ყორღანების მატარებელ ტომთა ამ ნიშნით განსხვავებულობა ხაზს უსვამს დროის სხვადასხვა მონაკვეთში მომხდარ განსხვავებული ტრადიციების მქონე ტომთა მიგრაციას. ამ მხრივ ბედენის და მარტყოფის ყორღანების ურთიერთმიმართება თანადროულობის თვალსაზრისით მეტი მასალის აღმოჩენას და საკითხის ხელახალ ინტერპრეტაციას მოითხოვს.

ყორღანული კულტურის ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით, რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ცხენის კულტი და მასთან ერთად აღმოჩენილი სამარხები. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ცხენთან ერთად დაკრძალვის ფაქტები თრიალეთის ყორღანულ კულტურაში არა გვაქვს.

რაც შეეხება ეტლებში დაკრძალვის წესს ის ვფიქრობთ, უეჭველად ამჟღავნებს მსგავსებას ხეთურ ამ სახის წესთან, რომელსაც იქ დიდი სოციალური დატვირთვაც ეძლეოდა.

როგორც დადასტურებულია, ადრე ყორღანული კულტურის მარტყოფ-სამგორის ეტაპზე გავრცელებული იყო როგორც მიცვალებულის დაკრძალვა-ინჰუმაცია, ისე მისი დაწვა – კრემაცია. წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულის დაწვის მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაა დამოწმებული.

მიცვალებულების დაწვის ჩვეულება, ოთ. ჯაფარიძის კვლევით, საკმაოდ ადრე ჩანს როგორც კავკასიის სამხრეთით, ისე მის ჩრდილოეთით. ჩრდილო მესოპოტამიაში, ხალაფის კულტურის დროინდელ ნამოსახლარზე, იარიმ-თეფე II-ის სამაროვანის ძირა ფენის რამდენიმე სამარხში დამოწმებული იყო მიცვალებულის დაწვა. სადღეისოდ კრემაციის წესი ხალაფის კულტურაში დამოწმებულია მხოლოდ იარიმ II-ზე. ამ დროის სხვა ძეგლებში დაკრძალვის ეს წესი ჯერჯერობით თითქოს ცნობილი არ არის. მესოპოტამიაში ამ კულტურის გავრცელებასთან ერთად, შემოდის მიცვალებულის დაწვა. კრემაციის წესი ფართოდ ვრცელდება მცირე აზიაში. განსაკუთრებით ხეთურ სამყაროში. აქ რთული ცერემონიალი სრულდებოდა დიდებულთა და მეფეთა დაკრძალვის დროს.

აღნიშნულია, რომ შედარებით გვიან ვოლგისპირეთის ორმოსამარხების კულტურაში ჩნდება დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის კვალი ძვ. წ. III ათასწლეულის მესამე მეოთხედში, რომელიც ამ კულტურის მეორე პერიოდს წარმოადგენს. ეს კულტურა კი მიჩნეულია ინდოევროპელთა და წინაპრების განსახლების ერთ-ერთ ძირითად წინარე სამშობლოდ.

სწორედ რომ კრემაციის და ურნებში დაკრძალვის წესის თითქოს ასე უცხად შემოსვლა თრიალეთის ყორღანული კულტურის ადრეულ ეტაპზე, მკვლევართა უმრავლესობას აფიქრებინებს ამ წესის უცხო ეთნიკური ჯგუფის გავლენის შედეგად ათვისებულად ან პირდაპირ უცხო ეთნიკური ელემენტის პირდაპირ შემოღწევის

მანიშნებლად. ზოგ შემთხვევაში მას იმდროინდელი მაღალი საზოგადოებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევენ, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით არის გამოწვეული. რაც შეეხება ზოგადად რწმენა-წარმოდგენების განვითარების კუთხით საკითხისადმი მიდგომას მკვლევართა უმრავლესობა არ თვლის არგუმენტად. თუმცა ვფიქრობთ, ამგვარი წესი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან ურთიერთდამოუკიდებლადაც შეიძლება წარმოქმნილიყო. იგივეა ეტლით დაკრძალვის წესთანაც მიმართებაში, რადგანაც ეს წესიც მხოლოდ სხვადასხვა კულტურებში სწორედ რწმენა-წარმოდგენების ანუ მიცვალებულის კულტანაა კავშირში. ეტლით დაკრძალვის პარალელურად ჩვენ გვაქვს ნავით ან ნავთან დაკრძალვის წესები (სხვა საკითხია თვითონ ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობის საკითხი, რაც ამ მიმართულების რწმენა-წარმოდგენებთან არ არის კავშირში და ის მართლაც შესაძლოა რომელიმე ერთი კონკრეტული ტომის განუმეორებელი ქმნილება იყოს, რაც არ ცვლის მიცვალებულის კულტის და კონკრეტულად ანიმისტური წარმოდგენების ზოგად კომპლექსს), რაც იდენტურია უმრავლეს შემთხვევაში, მაგალითად, როგორც ამერიკელი იროკუზისათვის, ისე მტკვარ-არაქსის კულტურის რომელიმე ტომისათვის. ამდენად საზოგადოებრივი წყობის ამ ეტაპზე უმრავლეს შემთხვევაში რწმენა-წარმოდგენების განვითარების ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულ და გამოკვეთილ ეთნიკურ კუთვნილებებზე ძნელია საუბარი.

ასევე ვფიქრობთ, რომ გვიანდელ ეტაპზე არსებული კრემაციის წესი არა ბერძნულ და რომაულ თუ სხვა კულტურების ურთიერთობაზე და ამ წესის მათგან შეთვისებაზე მიგვიბრუნებს, არამედ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ზოგადად პირველყოფილი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე უნივერსალურ მოვლენასთან, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კერის, ზოგადად ცეცხლის და მიცვალებულის ურთიერთკავშირთან, რაც კერასთან მიცვალებულის დაკრძალვის წესშიც ნათლად ჩანს.

სწორედ რომ მიცვალებულის ცეცხლზე დაწვა და თითქოს მისი სულის კერის ბოლთან ერთად მაღლა ასვლის იდეა გვამცნობს ცეცხლის და მიცვალებულის ანუ წინაპრის კულტის მჭიდრო კავშირს ანუ იმას, რომ სწორედ გარდაცვლილი წინაპარი იკრძალებოდა კერასთან ანუ იმ ადგილთან, რომელიც იყო ტაძარი პირველყოფილი ადამიანისათვის; წინაპრის გაცნობიერებამ და მისმა კერასთან დაკრძალვამ სულის არსებობის შესახებ რწმენის წარმოქმნასაც გაუხსნა გზა და ადამიანის მისტიკური სამყარო კიდევ უფრო რთული გახდა.

მტკვარ-არაქსის კულტურა, როგორც ცნობილია ვრცელდება შორს სამხრეთშიც და ამ კულტურის საკმაოდ მძლავრი კერები იქმნება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ხმელთაშუაზღვისპირეთში (კირბეთ-კერაკი) და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. მტკვარ-არაქსის გვიანდელ პერიოდში ამ კულტურის ასე ფართოდ განფენა დემოგრაფიული პროცესებით ალბათ ვერ აიხსნება. შესაძლოა გვეფიქრა, რომ პირველყოფილ-გვაროვნული წყობის პირობებში დამახასიათებელია ახალი სანადირო თუ სახნავ-სათესი მიწების ათვისება ძველის გამოფიტვის შედეგად, თუმცა ამგვარი დემოგრაფიული აფეთქება იმ ეპოქაში, ვფიქრობთ, წარმოუდგენელია. ეს მოსახლეობა თავისი ნებით სამხრეთის უფრო მწირი ადგილებისკენ არ გადაინაცვლებდა (კირბეთ-კერაკი). საფიქრებელია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს სწორედ ინდოევროპული ანუ ყორღანული კულტურის მატარებელ ტომთა პირველ

მომკლავრებასთან მტკვარ-არაქსის ძირითად რეგიონში და ამ მიზეზით მათი ხმელთაშუაზღვისპირეთისკენ მიგრაციასთან. ეს იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც იქმნება მარტყოფის და ბედენის თავისებური ახალი კულტურული წრე.

როგორც არ უნდა იყოს ზუსტი თარიღი ადრეეორდანიული კულტურის გავრცელებისა თუ შემდგომი მისი ფაზებისა, ერთი რამ ნათელია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და შესაძლოა ცოტა უფრო ადრეც მთელი ამ კულტურის გავრცელების სივრცეზე (უმთავრესად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო) მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომელიც, ჩვენი აზრით, უცხო ეთნიკური ელემენტების გამოჩენას უნდა დაუკავშიროთ, კერძოდ ინდოევროპული მოდემის რომელიმე ტომს, რომელთა ამ ტერიტორიაზე შემდგომი მიგრაციის სხვადასხვა ფაზაცაა სავარაუდო.

ძნელია იმის გადაჭრით თქმა თუ რომელი რეგიონიდან ან რა გზით დაიძრნენ ინდოევროპელები მტკვარ-არაქსის კულტურის იმ არეალისკენ, სადაც ჩვენი აზრით, ძირითადად სუბარული მოსახლეობა იყო თავმოყრილი (იხ. ზემოთ). შესაძლოა ეს ტალღა დაძრულიყო ჩრდილო კავკასიის გზით, თუმცა არ არის მოძრაობები გამორიცხული შუა აზიიდან, დღევანდელი ირანის გზით კასპიის ზღვის სამხრეთის გავლით, სადაც ფიქსირებულია უფრო ადრინდელი ყორდანიული სამარხები. თუმცა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შემდგომ ეპოქაში, ანუ ძველ აღმოსავლეთში ცივილიზაციების არსებობის არეალში, ძალზედ რთულია ამა თუ იმ ეთნოსის დაკრძალვის წესის ცალკე გამოყოფა და მათი ურთიერთისგან გამიჯვნა. მაგალითად სემიტურის ხეთურისგან თუ ხურიტულისგან და ა. შ.

ჩრდილოეთ კავკასიასა და დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე შუა აზიაში უამრავი ბრინჯაოს ხანის კულტურაა ცნობილი. ამ კულტურის მატარებელ ტომთა სამხრეთისკენ მიგრაციის ვარაუდი, სადაც მათ უფრო ნაყოფიერი ადგილები ელოდათ, სავსებით დასაშვებია.

ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და მძლავრი ეთნოსი თრიალეთის ყორდანიული კულტურის გავრცელების ხანაში არიან ხურიტები, მათზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ხურიტების წარმომავლობის და მათი თავდაპირველი ენობრივი კუთვნილების საკითხი მეცნიერებაში ჯერ კიდევ ნათელი არ არის. მათ თავდაპირველი ინდოევროპელობა ალბათ საეჭვოა, თუმცა მითანის სამეფოს შექმნის შემდგომ (ძვ. წ. 16 -15 და ძვ. წ. 14-13 სს. – ძველი და ახალი მითანის სამეფო) მათი მმართველი ზედაფენა ინდოევროპულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინდოევროპულ ტომთა შეჭრა მძლავრად მოხდა.

ძვ. წ. 23-17 საუკუნეებში მითანის ტერიტორიაზე არსებობდა მთელი რიგი დამოუკიდებელი ხურიტული სახელმწიფოებისა (ურ-კიში და ნავარი, ალაშე, კუმის სამეფო, შუმერული კიმაში, ურარტული კუმენუ), აშურის სამეფო, იამხალი (დედაქალაქი ქ. ხალპა) და სხვ. ხოლო შემდგომ ძვ. წ. XVI საუკუნეებში იქმნება ძლიერი მითანის სამეფო (კუმის და ალშეს სამეფოდან), რომელმაც დაახლოებით ძვ. წ. აღ. 1595 წლისათვის მარცხი მიაყენა ხეთების მეფე მურსალი I-ის, ხოლო სალმანასარ I-ის დროს (ძვ. წ. 13 საუკუნის დასაწყისი) მითანის სამეფოს ბოლოს უღებს ასურეთი და მის შემადგენლობაში ექცევა.

ხურიტების პირველი სამეფოების დაარსება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში (ძვ. წ. 23-ე საუკუნე) მიგვაჩნია ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად იმისა, რომ სწორედ ცოტა

უფრო ადრე, ანუ ჩვენში ბედენური და მარტყოფული კულტურების გამოჩენის დროისათვის, ამ ცვლილებებში ხურიტებსაც უნდა მიეღოთ აქტიური მონაწილეობა და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებთან უნდა მომხდარიყო მათი მძლავრი კონტაქტი. მათი პირველი სახელმწიფოების ეპოქის დროს კი უკვე მთლიანად გამქრალია მტკვარ-არაქსის კულტურა და აყვავების ფაზაშია თრიალეთის ყორღანული კულტურა (ძვ. წ. 23-17 საუკუნეები).

მეორე მხრივ აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ინდოევროპული წარმოშობის ხეთებს, რომელთა მცირე აზიაში განსახლების დრო და თვით მიგრაციის მიმართულება ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, თუმცა ძვ. წ. XX-XIX საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების ხარჯზე აარსებენ სახელმწიფოს. ეს პროცესი უეცრად არ უნდა მომხდარიყო და მოსულებს ელვისებურად არ შეეძლო ასეთი გარდატეხის შეტანა უფრო ცივილიზებულ დამხვედური ხალხის მიმართ. ეს პროცესი, ანუ ბრძოლა, ალბათ რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, სანამ არ მოხდა ინდოევროპული მოდემის ტომთა საბოლოო სამხედრო ძალით გაბატონება.

ძვ. წ. XVII საუკუნეში ხეთების სამეფო კიდევ უფრო ძლიერდება. ერთ-ერთმა ხეთების მეფე ტაბარნამ (დაახლოებით ძვ. წ. 1640 წ.) დაიპყრო კაბადოკიის მთელი რიგი მხარეები, კერძოდ ტავრის ნაყოფიერი დაბლობები და თავის სახელმწიფოს ბაბილონის ტოლად თვლიდა, ხოლო თავის თავს „დიდ მეფეს“ ეძახდა. ტაბარნა ითვლებოდა ხეთების სამეფოს დამაარსებლად და მისი სახელი შემდგომში გადაიქცა მეფის ტიტულად. ხეთების შემდგომი დროის მეფეები თავის თავს უწოდებდნენ „ტაბარნებს“ და თავის წარწერებში წერდნენ, რომ ისინი თავიანთ შვილებს აყენებენ „ტაბარნას“ ანუ მეფის რანგში და ამ სახით გადასცემდნენ სემეფო ხელისუფლებას. ვფიქრობთ, ხეთების სახელმწიფო, როგორც მმართველების ზედა ფენებში ისე მეფეების ჩათვლით მთლიანად მოსული ინდოევროპული არ იყო და ადგილობრივი ხათური მოსახლეობის კულტურულ-რელიგიური უპირატესობა როგორც ჩანს მაინც დიდია. ამავე დროს თუ დავუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ ინდოევროპული მოდემის „ხეთების“ წინაპრები კავკასიის გზით გადმოდიან მცირე აზიაში, ერთ-ერთი ასეთი გზა სავარაუდოა აღმოსავლეთ საქართველოზე გავლით. მათი გარკვეული ნაწილი შესაძლოა სახლდებოდა კიდევ, ანუ ადგილზე რჩებოდა, ხოლო გარკვეული ტომები მოძრაობდნენ და იშლებოდნენ მცირე აზიის ტერიტორიისკენ. ეს მასა არ იქნებოდა ერთგვაროვანი, რომელიც ამ პერიოდში როგორც წმინდა გვაროვნულ პრინციპზე აგებული საზოგადოება თვითონ ირჩევდა მისთვის ხელსაყრელ საცხოვრისს. შესაძლოა სწორედ ესენი იყვნენ მცირე აზიაში მოსული ხეთური მოსახლეობის ერთ-ერთი განშტოება, რომელთაც ეკუთვნოდა თრიალეთის ყორღანული კულტურა. მათ ადგილზე არ დახვედრიათ ისეთი ძლიერი და მზარდი იმპულსების მატარებელი კულტურა მტკვარ-არაქსის სახით, როგორც ეს ხათების შემთხვევაში იყო. ამდენად თრიალეთში და მის მიმდგომ მხარეებში მათ ამ პერიოდში და შემდგომაც გაცილებით გვიანაც ვერ შეძლეს მყარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. თუმცა თრიალეთის ყორღანების მაგალითზე ჩვენ გვაროვნული საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე მყოფი საზოგადოება უნდა დავინახოთ, და აქ გარკვეული გვარ-ტომობრივი გაერთიანება მაინც უნდა არსებულებოდა, რაც ნათელია იმ მცირეოდენი მონაპოვრებითაც და ყორღანული სამაროვნების გრანდიოზულობიდან გამომდინარე. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში,

რომ ყორღანულმა კულტურამ ანუ სამარხებმა დღევანდელ ვითარებამდე გაძარცვულად მოაღწია და არქეოლოგიურადაც მათი სულ მცირე ნაწილია შესწავლილი. ვფიქრობთ, შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ აქ მართლაც შეიძლება გამოავლინოს სახელმწიფოებრიობის გზაზე მდგარი პირველი გაერთიანება ჯერ კიდევ II ათასწლეულის დასაწყისისათვის.

შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ბედენის კულტურა და თრიალეთის ყორღანული კულტურა გენეტიკურად ერთმანეთთან არ არის კავშირში და თვით ბედენიც მტკვარ-არაქსთან ვერ პოულობს დიდ საერთოდ. ამავე დროს, ხურიტულთან თრიალეთის ყორღანული კულტურის კავშირი, გარკვეულწილად ხეთური ცივილიზაციის მატარებელი ხალხების შერევით მისი განვითარების შედარებით გვიანდელ სტადიაზე, სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია. თუმცა ერთი ეთნიკური მასისადმი ამ კულტურის კუთვნილება, მაგალითად, ხურიტულისადმი, არ იქნება მთლად გამართლებული, რამდენადაც ჩვენ არა გვაქვს ხურიტული დაკრძალვის წესის შესახებ გამოკვეთილი არქეოლოგიური მასალა. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თრიალეთური კულტურის მატარებელი ტომები არ იცნობენ ცხენს, რომელიც ადრინდელ ინდოევროპელთა ერთ-ერთ მაიდენტიფიცირებელ გარემოებადაა მიჩნეული.

ბედენური ხანის ყორღანულ სამარხებში საბრძოლო ხასიათის იარაღი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, სწორია ის მოსაზრება, რომ დასაკრძალავ კომპლექსში და ამ შემთხვევაში ყორღანულ კულტურაში, ისარი, დაკრძალულის მაღალი სოციალური სტატუსისადმი კუთვნილების გამომხატველია. ჩვენი აზრით, ადრეყოფილ ყორღანულ კულტურაში (ბედენი, მარტყოფი) მაღალი სტატუსის პიროვნებად მიჩნეულ სამარხებში იარაღის ნაკლებობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ახალმოსულთათვის ამ ნივთის დიდი მნიშვნელობით და ღირებულებით, რომელიც ალბათ შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემოდა და მიცვალებულისათვის შეწირვაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი შენარჩუნება. ამავე დროს მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილ სატყვერისპირები, ისრისპირები თუ სხვა, მიუხედავად მათი სიმწირისა, უკვე მეტყველებს გარკვეულ პიროვნებათა მიერ სიმდიდრის დაგროვებაზე, თუმცა უფრო მაღალი საზოგადოებრივი დონის ანუ ბელადთა უფრო დიდი კასტის არსებობა იმ პერიოდში სავარაუდოებელი არ არის.

როგორც არქეოლოგიურად დაფიქსირდა, ყორღანულ კულტურაში ჩვენ გვაქვს ადამიანის ანუ მონების მსხვერპლშეწირვის ფაქტები. თუ სწორია ის მოსაზრება, რომ აქ მონები ეწირება ბელადებს, მაშინ, ჩვენი აზრით, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა კლასობრივ პირობებში არსებულ მონათმფლობელურ საზოგადოებასთან, სადაც მონის შრომა ფასდება როგორც ძვირად ღირებული მუშა ხელი, არამედ ისეთთან, სადაც ქვეშევრდომი მხოლოდდამხოლოდ რელიგიური ნიშნით ეწირება მსხვერპლად და ის არ ფასობს დიდად როგორც მშრომელი ძალა, რომელსაც უნდა გაუფრთხილდნენ და არა მსხვერპლად შეწირონ.

შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ყორღანულმა სამარხებმა საფუძველი დაუდო საქართველოში შემდგომ განვითარებულ დარბაზული შენობის საწყის ფორმებს. დარბაზული ნაგებობები სწორედ დიდი ინტენსივობით იმ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, სადაც ძველი ყორღანული კულტურა. შესაძლოა ამაზე მიუთითებს

საცხოვრებლის და დასაკრძალავი მოწყობილობის იგივეობა. მაგალითად, ევროპის ნეოლითში სახლის მაგვარ ურნებში, ხოლო დანიაში მიწაყრილი შესასვლელი კარებით, რომელიც ნეოლითში დასაკრძალავად გამოიყენებოდა და ზამთრის საცხოვრებელი ნაგებობის სახით შემორჩენილი იყო ჩრდილოეთის ხალხების რიგ სოფლებში მიწურ მრგვალ იურტებად.

კ. კლემენის აღნიშვნით, მიცვალებულისადმი გამოთქმული სურვილი – „მიწა შენთვის იყოს მსუბუქი“, ნიშნავს იმას, რომ ოდესღაც თვლიდნენ რომ მიწას შეუძლია გაჭყლიტოს მიცვალებული, რამდენადაც ის სხეულითაც განაგრძობს ცხოვრებას. შესაძლოა ამ მიზნით უნდა აღემატათ ეს უზარმაზარი ყორღანები, რომლებიც რელიგიურ-რიტუალური თუ სოციალური ნიშნით მართლაც გვაგონებს ეგვიპტის პირამიდების იდეურ დატვირთვის პრიმიტიულ ფორმას, რომელიც გარკვეულ პრივილიგირებულ, ქონებრივად დაწინაურებულ ფენას აძლევდა საიქიო სამყაროში ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას. ამასვე უნდა მოწმობდეს ეტლით დაკრძალვის წესიც, ანუ მისი იმ სამყაროში ეტლით გამგზავრება, რომელიც ადამიანის კომფორტს უზრუნველყოფდა და აძლევდა საშუალებას ეცხოვრა ისე, როგორც ცოცხალთა სამყაროში აკეთებდა ამას.

თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელი, დიდი ალბათობით მოსული ინდოევროპული მესაქონლე ტომები, დროთა განმავლობაში ითქვიფებოდნენ ადგილობრივ მიწათმოქმედ მოსახლეობაში. შესაძლოა ითვისებდნენ მათთვის ახალი მეურნეობის ფორმებს და შესაბამისად უნდა გადასულიყვნენ დამჯდარ ცხოვრებაზე, სადაც მიწათმოქმედების განვითარების დონე ალბათ არ იქნებოდა მტკვარ-არაქსელთა დონის და არც ცდილობდნენ ალბათ ამ საქმიანობის ათვისებას, მაგრამ აქ დროთა განმავლობაში დამჯდარი ცხოვრებისკენ სწრაფვა მეტია, არა იმდენად მიწათმოქმედთა, არამედ „დამჯდარ მესაქონლეთა“ სახით, რომელსაც ამ რეგიონში არსებული ვრცელი საძოვრები უწყობდა ხელს.

3. მტკვარ-არაქსის და თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელ ტომთა ანთროპოლოგიური ტიპი

საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლები დიდი რაოდენობითაა შესწავლილი, ხოლო ანთროპოლოგიური მასალა ძალზედ მწირედაა წარმოდგენილი: ერთი მამაკაცის თავის ქალა აბანოსხევიდან, არაგვის აუზი, დოლიქოკრანული, ცხვირის უნაგირის მაქსიმალური სიმაღლით¹. ასევე ერთი მამაკაცის თავის ქალა, რომელიც მოპოვებულია არქეოლოგ ო. ჯაფარიძის მიერ (1954 წ.) აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში – კულახოში და ხასიათდება: საშუალოზე დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრით, ძალზე მცირე ყურთაშუა სიგანით, საშუალოზე დაბალი ქალას სიმაღლით, საშუალოზე ფართო და საშუალოზე მოკლე ვერტკალურ სიბრტყეში სწორი შუბლით, საშუალოზე გრძელი კეფის ძვლით, საშუალო სახის ზედა სიგანით და

¹ ასლანიშვილი ვ. არაგვის აუზის უძველესი მოსახლეობა (კრანოლოგიური მონაცემების მიხედვით). ანალები, 2000, № 2.

სიმაღლით, ზომიერად პროფილირებული სახით ვერტიკალურ სიბრტყეში, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით და ზომიერი სიმაღლის უნაგირით, საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე მაღალი თვალბუდეებით¹. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ თავის ქალაზე არ აღინიშნება ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი კომპლექსი². ამიტომ მოსახლეობა, რომელიც ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში) ბინადრობდა, არის ათვლის წერტილი, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც, სანამ ჩვენს ხელთ არ იქნება ენეოლითისა თუ უფრო ადრეული ხანის სოლიდური მასალა.

საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობა წარმოდგენილია სულ 45 მამაკაცისა და 34 ქალის სხვადასხვა დაცულობის თავის ქალით (ცხრ.1). უშუალოდ ქართლის რეგიონიდან მოპოვებულია 20 მამაკაცის და 10 ქალის კრანიოლოგიური მასალა შემდეგ პუნქტებში: ტყვიავი, წეროვანი, თრელი, კიკეთი, ბედენი, აბელია, არანისი, ბულაჩაური (ცხრ.№1-2).

განვიხილავთ ცალკეული სერიების მორფოლოგიურ თავისებურებებს.

ტყვიავის სერია წარმოდგენილია 7 მამაკაცის და 5 ქალის თავის ქალით. იგი მოპოვებულია 1943 წ. ს. მაკალათიას მიერ. დაცულია გორის მუზეუმში და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით.. ჩვენ ვსარგებლობთ 1968 წელს დ. ჯავახიშვილის მიერ გაზომილი მონაცემებით. მამაკაცები, ყველა ზრდასრულ ინდივიდს II და III ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ცხრ. 1. ნათლად ჩანს, რომ თავის ქალები ცუდი დაცულობისაა, უმეტესი ნიშნები შესწავლილია ერთეულ თავის ქალაზე.

გრძივი დიამეტრი ამ სერიაში შესწავლილია 4 ინდივიდზე. საშუალო გრძივი დიამეტრი 183,75 მმ, რაც საშუალოზე გრძელ თავის ქალაზე მიუთითებს. შიდა ჯგუფური ვარიაციები ძალიან დიდია. ამ სერიაში თავის ქალას გრძივი დიამეტრი ვარირებს 171-194-მმ. ერთი თავის ქალა, კერძოდ №12 სამარხიდან, ძალზედ გამოირჩევა არა მარტო ტყვიავის სხვა თავის ქალასაგან, არამედ საერთოდ ბრინჯაოს მოსახლეობისაგან. ადრე³ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს თავის ქალა თანადროული არ უნდა ყოფილიყო და რომ საეჭვოა ამ სამარხის პერიოდიზაცია. დანარჩენ სამ თავის ქალას ახასიათებს საშუალო, დიდი და ძალიან დიდი ქალას ზომები. განივი დიამეტრიც ასევე დიდ ფარგლებში ვარირებს 137-156 მმ. თუ ტყვიავის სერიიდან (თავის ქალა №12) მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ (ეს ნიშანი აღებულია 6 თავის ქალაზე), მოსახლეობა ხასიათდება დაბალი, საშუალო და დიდი განივი დიამეტრებით. თავის ქალას მაჩვენებელი დაბალია, ე.ი. თავის ქალების ფორმები დოლიქოკრანული, მეზოკრანული და ერთი ბრაქიკრანული.

ამ სერიაში სახის ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეები, გარდა თავის ქალა №12-ისა, აღებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეს თავის ქალა მკვეთრად გამოირჩევა ამ დროის მოსახლეობისაგან თავის ქალას ფორმით, რიგი ნიშნებით: მაჩვენებელი, საშუალო ყვრიმალთაშორის დიამეტრი, ვიწრო ცხვირი, დიდი ნაზომოლარული კუთხე და პატარა ზიგომაქსილარული კუთხე არ განასხვავებს. სახის ჰორიზონტალური პროფილირება

¹ Д.Джавახишвили. Краниологические материалы с территории Грузии первой половины III тысячелетия до н. э. Вопросы антропологии Кавказа, Тб. 1968.

² აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ. მეცნიერება, 1982.

³ აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ. მეცნიერება, 1982.

სხვადასხვაგვარია სახის ზედა და შუა ნაწილში. ამ ნიშნით, ეს თავის ქალა ხასიათდება ჰეტეროპროზოპიით, ინდექსით 85,5, რაც ევროპოიდებისათვის არის დამახასიათებელი.

კიკეთის სერია დათარიღებულია ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრით. წარმოდგენილია 10 მამაკაცის და 2 ქალის თავის ქალით. კაცების სერია ხასიათდება ძალიან გრძელი გრძივი დიამეტრით, ხოლო განივი დიამეტრი უფრო პოლიმორფულია და ვლინდება როგორც ძალიან ვიწრო, ვიწრო, საშუალო ფორმები. ამ დიამეტრის შეფარდებებიდან გამომდინარე, თავის ქალას მახვენებლები: ულტრადოლიქოკრანული, ჰიპერდოლიქოკრანული, დოლიქოკრანული ფორმები დასტურდება. დოლიქოკრანული ფორმები განპირობებულია ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით. სხვა ნიშნები შესწავლილია ერთეულ თავის ქალაზე. სერიისათვის დამახასიათებელია: მაღალი ქალას სიმაღლე, დიდი ქალას ფუძის სიგრძე, სახის სრული სიმაღლე, შუბლის უმცირესი სიგანე და სახის შუა სიგანე საშუალოზე დიდი, ცხვირი – საშუალო სიგანის, ეშვის ფოსო – დიდი, პატარა ნაზომალური და ზიგომაქსიმალური კუთხეები. სახის ევრტიკალური პროფილი – ორთოგნატული. ამ სერიაში არც ერთ თავის ქალაზე არ არის შესწავლილი ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან. აღსანიშნავია, რომ სერია ძალიან ცუდი დაცულობისაა და ნიშანთა უმეტესობა შესწავლილია ერთეულ თავის ქალაზე, მაგრამ ამ მწირე მონაცემებიდანაც მაღალი ცვალებადობა იკვეთება. გრძივი დიამეტრი 189-217, განივი – 132-155, შუბლის უმცირესი დიამეტრი 96—104, სახის ზედა სიგანე 102-113, ცხვირის სიგანე 26-29.

ახალციხის ამირანის გორა (ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარი) სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია: ძალიან დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, მთლიანობაში თავის ქალას მახვენებელი – მეზოკრანული. ამ სერიაში ერთეულ თავის ქალაზე არის შესწავლილი შუბლის უმცირესი სიგანე (საშუალო), სახის ზედა სიგანე (საშუალო), თვალბუდის სიგანე (საშუალო), თვალბუდის სიმაღლე (დიდი), ცხვირის სიმაღლე (საშუალო), სიმოტური სიმაღლე (დიდი), ეშვის ფოსოს სიღრმე (დიდი). სახის ჰორიზონტალური პროფილირების კუხეების გაზომვა შეუძლებელი იყო. ამ სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია მაღალი თვალბუდის მახვენებელი.

ჭობარეთის (ასპინძა-ახალქალაქის მაგისტრალი) სერია წარმოდგენილია 5 მამაკაცის, 2 ქალის და 2 ბავშვის თავის ქალით. დათარიღებულია ძვ. წ. IV ა. II ნახ-ძვ. წ. III ა. I ნახ. (არქ. კ. კახიანი)¹. თავის ქალას დაცულობის გამო მოხერხდა ოთხი მამაკაცის თავის ქალის გაზომვა (ცხრ. 1). მამაკაცებისათვის დამახასიათებელია საშუალოზე გრძელი და ძალიან გრძელი თავის გრძივი დიამეტრი და საშუალო განივი დიამეტრები. თავის ქალას მახვენებელი ერთ თავის ქალაზე მეზოკრანული, ხოლო მეორეზე ულტრადოლიქოკრანული, ქალას სიმაღლე (ba-b) ძალიან მაღალი (გაზომილია ერთ თავის ქალაზე), ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი, ძალიან ვიწრო და მაღალი თვალბუდეები.

ჭობარეთის ქალის თავის ქალაზე შესწავლილია სახის შუა სიგანე და ცხვირის სიგანე, ორივე ნიშნის მიხედვით თავის ქალა ვიწრო სახითა და ვიწრო ცხვირით ხასიათდება.

თისელი (ბორჯომი). თისელის სერია წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 2 ქალის თავის ქალით. დათარიღებულია ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახ. (არქ. გ. გოგოჭური).

¹ ირ.ღამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი.ჯაფარიძე უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში, თბილისი, 2010.

თისელის სერიის დაცულობა ძალიან ცუდია, შესწავლილია თავის ქალას გრძივი დიამეტრები. ამ სერიის მამაკაცები საშუალო და მცირე სიგრძის თავის ქალით ხასიათდებოდნენ. ალბათ, თავის განივი დიამეტრიც მცირე იყო (გაზომილია ერთ ინდივიდზე), თავის ქალას მანვენებელი მეზოკრანული.

ქალების შესწავლა კრანომეტრულად შეუძლებელია.

ტარიბანა (კახეთი). სერია წარმოდგენილია 4 მამაკაცის და 2 ქალის თავის ქალით. დათარიღებულია ძვ. წ. IV ა. II ნახ. და ძვ. წ. III ა. I ნახ. (არქ. კ. ფიცხელაური). ტარიბანას 4 მამაკაცის თავის ქალაზე შესწავლილია გრძივი დიამეტრები (2 თავის ქალაზე), რომლებიც ძალიან დიდი კატეგორიით ფასდება, ხოლო განივი დიამეტრები ძალიან პატარაა, სათანადოდ თავის ქალები ჰიპერდოლიქოკრანული და დოლიქოკრანული ფორმებისაა. თავის ქალას სიმაღლე (ba-b) და ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდია (გაზომილია ერთ თავის ქალაზე). მცირე სიმაღლის სახე, სახის შუა ნაწილი ვიწრო და ძალიან განიერი შუბლი, თვალბუდეები დაბალი და ვიწრო, ცხვირი მაღალი და განიერი.

ჭიათურა. ძვ. წ. IV ათასწლეულში მოპოვებული ერთი ქალის თავის ქალა დოლიქოკრანულია, სახე ზედა ნაწილი განიერი და მოკლე, შუბლი საშუალო სიგანის, სახის შუა ნაწილში ვიწრო, საშუალო სიგანის და მაღალი თვალბუდეები, წინ მკვეთრად წარზიდული ცხვირი, ეშვის ფოსო ძალიან ღრმა, სახის საერთო პროფილი ორთოგნატული, ხოლო კორიზონტალური პროფილი გეტეროპროზული.

ნაომარი გორა (კახეთი). ერთადერთი მამაკაცის ძალიან ცუდი დაცულობის თავის ქალაზე შესწავლილია შუბლის უმცირესი დიამეტრი (საშუალო) და სახის ზედა სიმაღლე (საშუალო). ამ ორი ნიშნით თავის ქალას თავისებურებების განსაზღვრა ძალზედ რთულია, ხოლო ასეთივე მანვენებლები გამოვლენილია ახალციხის, კიკეთის სერიებში. ამ უკანასკნელთ ახასიათებთ ძალიან გრძელი და ვიწრო თავი, თავის ქალას ფორმა ულტრადოლიქოკრანულია.

თრელის სამაროვანი. წარმოდგენილია ერთი დედაკაცის თავის ქალით, ძალიან გრძელი გრძივი დიამეტრით, დაბალი სახით, ვიწრო შუბლით, საშუალო სიგანის სახის ზედა ნაწილით, საშუალო სიგანის თვალბუდეებით, მკვეთრად წარზიდული დაბალი ცხვირით, მკვეთრად პროფილირებული ზედა ნაწილში სახით. სხვა ნიშნების შესწავლა შეუძლებელია თავის ქალას დაცულობის გამო.

ხვესურეთი. გიორგიწმინდა (ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი). სერია მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია 1 მამაკაცისა და 3 ქალის თავის ქალათი. მამაკაცის თავის ქალა ძალიან გრძელი და ვიწრო, ჰიპერდოლიქოკრანულია. სამწუხაროდ, მისი დაცულობის გამო, მასზე სხვა ნიშნების შესწავლა შეუძლებელია. ქალების თავის ქალაზე უმეტესი ნიშანი მხოლოდ ერთზე იყო შესწავლილი. თავის ქალა მეზოკრანული, ქალას სიმაღლე მცირე, ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძე საშუალო, დაბალი თვალბუდეები, ცხვირი ვიწრო და პატარა, ძალიან მაღალი უნაგირით და წინ წარზიდული. სახე პროფილირებული, როგორც კორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეში, ეშვის ფოსოს სიღრმე მაღალი.

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ადრებრინჯაოს ხანაში

ცხრ.№1

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
1	m		193	139				72		117	92	105	92										6,9	88			
2	m	55-60	185	137	138	105					99	105			43	34	24	49	10,9	5,6						140,4	
3	m		183	146																							
4	m	65-70	198	131																							
5	m	50-55	181	148				74		121	105	113	97		44	30	24	52					6,0			139,2	125,4
6	m	I		144							96	106															
7	m	II		196																							
8	m	II		196											41	37		52	11,8	6,1			10,5				
9	m	II	185	141								110															
10	m	40-45	184								96																
11	m	II	189	141							101	108															
12	m	II	194	145							112																
13	m	II		148	129																						
14	m	40-45																									
15	m	II		143																							
16	m	III	181	137							90																
17	m	III	171	156				71		121	97	108	98	132	42	34	22	53	9,8	6,5	17,0	12,0	10,5			145,3	124,2
18	m	45-50									95	104															
19	m	35-45	189	140?																							
20	m	40-45	217	125							100																
21	m	40-45		134	153	129	120	71		120	101	107	102				27						10,5	92		127,4	125,4
22	m	I	204	147																							
23	m	II	204	147	176	130																					
24	m	II	200	132							96	102															
25	m	III	197	132							96	102							8,6	3,9							
26	m	III															29										
27	m	25-30															26		8,7	3,2			10,5				
28	m	III	210	155							103	113															
29	m	II	202								104	113					29										
30	m	50-55	189	133				72			116	103	95	130	35	32	26	54			15,0	5,5	6,0	91		139,8	120,8

ცხრ.№ 1 გაგრძელება

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
31	m		187	135				77			105	106	102	126		37		56					1,9	88		131,1	119,2
32	m														44	36		48					13,5				
33	m	50	200	141	135	122	111	81	77		111	114	103	144	48	37	26	51	11,4	7,5	24	13,4	4			138,2	130,8
34	m	20-25	194	137							102																
35	m	35-40																									
36	m	55-60	202	133	144	112	106	67	66		101		90		40	30		55									
37	m	40-45									108	109				34	29										
38	m	50-55	186	140	152	105																					
39	m	25	197																								
40	m	20-25	184	123																							
41	m	30													39	38											
42	m	40-45	184	137							95																
43	m	60-62	178																								
44	m																										
45	m	50-55	175																								

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ადრებრინჯაოს ხანაში

ცხრ.№ 2

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	f	35-40	171	134	123	95	97	61		98	92	97			39	30	22	46	9,3	5,6	19,0	10,3	5,8	90	50	142,2		
2	f	50-55						67			92	103	88		38	32	25	46	9,2	4,1	19,4	10,9	6,2			135,8	124,0	
3	f	60-65																										
4	f		187	141				62							38		27	45	10,5	4,1			5,5					
5	f		185	132				64		113	95	102	84	116	38	36	23	43					4,9	86		135,02	114,2	
6	f	I	198												35	32	25		7,3	2,5	25,1	10,7						
7	f	18-20	207																									
8	f	25-30	179	134				63			95	109	87		40	43	23	42	12,2	3,7	20,0	10,7	7,5	88	61	141,6	125,6	
9	f	30-35	189					57	56	101	91	101			40			44	10,9	5,0	21,5	9,7				134,2		
10	f	II	181	133	126	102	90	63			95	100					23	46					7,5			145,6		
11	f	II	189	141							106	111														145,2		
12	f	II	180	139	122	107	101	69			99	104	95		42	34	25	50	10,0	6,0	24,0	11,0	7,5			146,4	133,1	
13	f	20-25	180	140	133	103					95	99														152,1		
14	f	II	183	140							90												10,5					
15	f	40-45	190					72		118	97	101			40	38	28	52					7,5	85				
16	f	35-40	196	147	133	102					97																	
17	f	50-55	185	137							116			125	39	30											134,6	
18	f	40-45	190	140																								
19	f	30-35	178	137																								
20	f	35-40	181	136																								
21	f	20-25	180	140	137	93	93	64		107	97	102	90	122	38	34	24	44	12,2	5,7	24,0	12,7	3,3	85	53	138,3	119	
22	f		178	134																								
23	f	III	192	126							108	98																

ცხრ.№ 2 გაგრძელება

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
24	f	II	178																									
25	f	II	174	130																								
26	f	II	183	133							95	105																
27	f	II	176	147			96	66			98	102	91	124	37	30		48	13	4,8				81		145,1		
28	f	III	193	145							99	100														139		
29	f	II	186	131				63			98	103	90		40	32	29	50	10,6	5	21,9	10,9			143,1			
30	f	20-25	180		129	99	97	64			98	102	90		39	29	26	45	11,3	5,1	24,2	12,8	2,9	86	45	134,5	120,5	
31	f												94				27											
32	f	II	178																									
33	f	II	174	130																								
34	f	30-35									95																	

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება მტკვარ-არაქსის მოსახლეობაში

ცხრ.№3

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM					
1	m	50-55	181	148				74		121	105	113	97		44	30	24	52								6,0			139,2	125,4	
2	m	I		144							96	106																			
3	m	II	196																												
4	m	II	196												41	37		52	11,8	6,1							10,5				
5	m	II	185	141								110																			
6	m	II	189	141							101	108																			
7	m	II	194	145							112																				
8	m	II		148	129																										
9	m	40-45																													
10	m	II		143																											
11	m	III	181	137							90																				
12	m	III	171	156				71		121	97	108	98	132	42	34	22	53	9,8	6,5	17	12				10,5		145,3	124		
13	m	35-45	189	140																											
14	m	40-45	217	125							100																				
15	m	40-45		134	153	129	120	71		120	101	107	102				27										10,5	92		127,4	126
16	m	I	204	147																											
17	m	II	204	147	176	130																									
18	m	II	200	132							96	102																			
19	m	III	197	132							96	102							8,6	3,9											
20	m	III															29														
21	m	25-30															26		8,7	3,2							10,5				
22	m	III	210	155							103	113																			
23	m	II	202								104	113					29														
24	m	20-25	194	137							102																				
25	m	35-40																													
26	m	55-60	202	133	144	112	106	67	66		101		90		40	30		55													
27	m	40-45									108	109					34	29													
28	m	40-60	199	156	132	109	101	48	75	134	106	119	108	151	43	32	26	57	13	4	29	7				4			127,2		
29	m	50-55	186	140	152	105																									
30	m	25	197																												
31	m	20-25	184	123																											
32	m	30													39	38															
33	m	40-45	184	137							95																				
34	m	60-62	178																												
35	m	50-55	175																												

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება მტკვარ-არაქსის მოსახლეობაში

	Код	sex	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	47	f	174	134	123	95	97	61		98	92	97			39	30	22	46	9,3	5,6	19	10,3	5,8	90	50	142,2		
2	48	f						67			92	103	88		38	32	25	46	9,2	4,1	19,4	10,9	6,2			135,8	124,0	
3	49	f		140	138	132									41	31		49										
6	52	f	198												35	32	25		7,3	2,5	25,1	10,7						
8	54	f	179	134				63			95	109	87		40	43	23	42	12,2	3,7	20,0	10,7	7,5	88	61	141,6	125,58	
10	56	f	181	133	126	102	90	63			95	100					23	46					7,5			145,56		
11	57	f	189	141							106	111														145,18		
12	58	f	180	139	122	107	101	69			99	104	95		42	34	25	50	10,0	6,0	24,0	11,0	7,5			146,36	133,1	
13	59	f	180	140	133	103					95	99														152,14		
14	60	f	183	140							90												10,5					
15	61	f	190					72		118	97	101			40	38	28	52					7,5	85				
16	62	f	196	147	133	102					97																	
17	63	f	192	126							108	98																
18	64	f	178																									
19	65	f	174	130																								
26	72	f											94				27											

ბედენი (თეთრიწყარო) ამ პუნქტში მოპოვებულია ერთადერთი ქალის თავის ქალა, რომელზეც ყველა ძირითადი ნიშნებია შესწავლილი და მისი დახასიათება სრულია. თავის ქალა ხასიათდება დიდი განივი და გრძივი დიამეტრებით, მეზოკრანიით, ძალიან მაღალი ქალას სიმაღლითა და სახის ზედა სიგანით, სახის ზედა და სრული სიმაღლე საშუალო, თვალბუდეები დაბალი, ცხვირი ვიწრო და მოკლე, მაღალი უნაგირით და მკვეთრად წარზიდული, სახე მკვეთრად პროფილირებული ორივე ნაწილში, სახის ვერტიკალური პროფილი ორთოგნატული. ამ ქალას განსხვავებული ნიშანია საშუალოზე მოკლე თავის ქალას ფუძე.

აბელა. მოპოვებულია ერთი ქალის თავის ქალა, მეზოკრანული, სახის მცირე ზედა სიმაღლით, განიერი და დაბალი ცხვირით, დაბალი თვალბუდეებით და დიდი ეშვის ფოსოთი.

არანისი. (ქინვალი) დიდი ზომის მამაკაცის თავის ქალა, დოლიქოკრანული, უმეტესი ნიშანი: სახის ფუძის სიგრძე, ქალას ფუძის სიგრძე, შუბლის უმცირესი დიამეტრი, სახის ზედა სიმაღლე, სახის ზედა სიგანე, ყვრიმალთაშორის დიამეტრი, თვალბუდეების სიგანე, ცხვირის სიმაღლე, სიმოტური სიგანე, დაკრიონული სიმაღლე მაქსიმალურად დიდი მნიშვნელობით გამოირჩევა. ამავე დროს, შეიძლება აღვნიშნოთ ვიწრო ცხვირი, პროფილირებული სახე ჰორიზონტალურ ჭრილში, საშუალო ეშვის ფოსო, მაღალია სახის ვერტიკალური ფაციო-ცერებრალური მანკენებელი და სახის განივი ფაციო-ცერებრალური მანკენებელი.

ბულაჩაური (დუშეთი). ბულაჩაურში აღმოჩენილი თავის ქალა ეკუთვნის იმ ფორმებს, რომლებსაც ახასიათებთ საშუალო გრძივი და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრი. ამ პერიოდში, თუ არ ჩავთვლით ტყვიავის სერიიდან ცნობილ თავის ქალას (რომლის დათარიღებასთან დაკავშირებით იმთავითვე გამოითქვა ეჭვი) აღრებრინჯაოს ხანაში ერთადერთი თავის ქალას ბრაქიკრანული ფორმაა. (ქალას მანკენებელი 81,8). ამ თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი, განიერი ზედა ნაწილში საშუალო სიგანის სახე, თვალბუდეები საშუალოზე განიერი და დაბალი, საშუალო სიმაღლისა და ვიწრო ცხვირი, პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში, როგორც თვალბუდეების, ასევე წვეტქვედა (ss) არეში.

არდისუბანი. ძალიან ცუდი დაცულობის ქალის თავის ქალა, რომელზეც გაზომილია ორი ნიშანი: გრძივი და განივი დიამეტრები. თავის ქალა ხასიათდება დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრით, მეზოკრანული ქალას მანკენებლით.

წეროვანის (ძვ. წ. III ათასწლეული) ერთადერთი თავის ქალა ხასიათდება საშუალო გრძივი დიამეტრითა და საშუალო შუბლის უმცირესი დიამეტრით. თავის ქალას დაცულობა ძალიან ცუდია და ამიტომ განსხვავებული ნიშნების გამოყოფა შეუძლებელია.

ზეიანი ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი (საგარეჯო, მანავი). წარმოდგენილია ცუდი დაცულობის ერთი მამაკაცისა და 4 ქალის თავის ქალათი. მამაკაცის თავის ქალაზე შესაძლებელი იყო მეტი ნიშნის შესწავლა, ხოლო ქალების თავის ქალაზე, მხოლოდ თავის ქალას გრძივი და განივი დიამეტრების. ყველა თავის ქალას გრძივი დიამეტრი ძალიან დიდი, ან დიდი კატეგორიით ფასდება. განივი დიამეტრები ამ სერიაში ძალიან პატარა (მამაკაცი), ასევე საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. თავის ქალა დოლიქოკრანულია, მხოლოდ ორ შემთხვევაშია მეზოკრანული. მამაკაცის თავის ქალასათვის დამახასიათებელია: დიდი შუბლის უმცირესი დიამეტრი, მაღალი საშუალო სიგანის ცხვირი, თვალბუდეები მცირე სიგანის და სიმაღლის, მანკენებელი ძალიან დიდი, სახე საშუალო სიმაღლისა

და საშუალო სიგანის, ორთოგნატული ვერტიკალურ ჭრილში და პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში.

ალაზნის ველი(სიღნაღის რაიონი) დათარიღებულია ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი, წარმოდგენილია 1 ბავშვის, 3 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ქალით. თავის ქალების დამახასიათებელი ნიშნებია: თავის ქალა საშუალოზე გრძელი და საშუალო სიგანის, ქალას მახვენებლით დოლიქო-მეზოკრანული, ქალასარქველი – საშუალოზე მაღალი, ვიწრო და მოკლე ცხვირი, საშუალო სიმაღლის სახით, სახის საერთო კუთხე ორთოგნატული, სახის ზედა ნაწილში საშუალოდ პროფილირებული. ქალის ერთადერთ თავის ქალასათვის დამახასიათებელია: ტავის ქალას ფორმა დოლიქოკრანული, სახე საშუალო სიგანის სახის ზედა არეში დ ვიწრო სახის შუა არეში, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში.

მტკვშარ-არაქსის ძეგლები სომხეთიდან

ჩვენ, ასევე, გამოკვლევაში ჩავრთეთ სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული სერიები: შენგავითი, ჯარარატი, ბერკაბერი. სომხეთის კრანიოლოგიური სერიები არაერთგზის იყო შესწავლილი. მ აბდუშელიშვილი, ვ.ალექსეევი¹.

შენგავითის თავის ქალები ძალიან დიდი ზომის, მასიური, ქალასარქველი უკიდურესად გრძელი და მაღალი, შუბლის ძვალი საკმაოდ განიერი, შუბლის დახრა მცირე, სახის სიმაღლე ამ სერიაში დიდია, სიგანე საშუალო. სახე ჰორიზონტალური სივრცეში პროფილირებული, ცხვირი მკვეთრად წინ წამოწეული, მაღალი უნაგირი. ეს ნიშნები ევროპეიდული მოსახლეობისათვისაა დამახასიათებელი და ისეთივეა, როგორც სხვა კავკასიურ სერიებში.

ჯარარატის სერიის თავის ქალები განსხვავდება შენგავითის სერიის თავის ქალებისაგან ბევრად მცირე გრძივი დიამეტრებითა და ქალასარქველის სიმაღლით. თავის ქალას ხედი ზემოდან (norma verticalis) მეტად მრგვალია, სახის ქალა უფრო ვიწრო და დაბალია. მათ შორის მსგავსება გამოიხატება სახის ვერტიკალურ პროფილირებაში, რადგან პროგნატული არიან, ჯარარატის სერია ვ. ალექსეევის აზრით, გრაცილურია. ზოგადი პროგნატიზმი ხშირი მოვლენაა ადრეული ეპოქების ევროპეიდულ თავის ქალებზე, რაც უძველესი პროტომორფული თავისებურების შენარჩუნებად მიიჩნევა²

¹ აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ. მეცნიერება, 1982.; Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974.

² Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974., стр. 95.

. შუბლის ძვალი საშუალო სიგანის (99,8), მაგრამ ასეთი სიგანის მიუხედავად, თავის ქალებს შუბლ-განივი მახვენებელი შედარებით განიერი აქვთ (70,2 მამაკაცებს და 72, 2 ქალებს); შუბლის ძვალი დაქანებული, კეფის ძვალი ვიწრო, თავის ქალას რელიეფი ზომიერი. ავტორები სერიას სახის ქალას ნიშნების განაწილების მიხედვით განიხილავენ, როგორც სამხრეთევროპეიდული რასის ერთ-ერთ ადგილობრივ ვარიანტს. ყურადღებას აქცევენ თვალბუდეების მცირე სიმაღლეს, ძალიან ვიწრო ცხვირს, განიერ და მცირე სიმაღლის სახეს. უკანასკნელი ნიშნის განაწილებაში ხედავენ ჩრდილოეთით (ცენტრალური, აღმოსავლეთი ევროპა და სკანდინავია) გავრცელებულ მოსახლეობასთან მსგავსებას. უახლოეს ანალოგიებს შენგავითის სერიასთან ხედავენ. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლები სომხეთის ტერიტორიიდან ანროპოლოგიურად მეტ-ნაკლებად იყვნენ ჰომოგენური¹.

თუ უფრო დეტალურად ჩავეძიებით ყოველი ნიშნის ცვალებადობას ვ. ალექსევისა და რ.მრკჩიანის ნაშრომში აღმოვაჩენთ, რომ მოსახლეობა არ იყო ჰომოგენური, რადგან ყველა ნიშანი დიდი დიაპაზონით ცვალებადობს: გრძივი დიამეტრი (178-199), ამის შედეგად, ერთი ჰიპერდოლიქოკრანული, ორი დოლიქოკრანული და სამი მეზოკრანული ფორმის თავის ქალა აღინიშნება. საშუალო სიგანის (99,8) შუბლის ძვალი ცვალებადია და განიერი ფორმაც აღინიშნება. აქვე აღსანიშნავია, რომ მცირერიცხოვან სერიაში აღნიშნული პოლიმორფიზმი უკვე იმის მანიშნებელია, რომ ჰომოგენურობა გამორიცხულია. აქ მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ გამოიკვეთებოდა ცვალებადობა სახის სიმაღლის (ზედა და სრული), სახის პროფილირების და ა. შ. ნიშნების მიხედვით.

თუ უპირატესობა ტვინის ქალასთან შედარებით სახის ქალას ვარიაციებს მიენიჭება, მაშინ, შესაძლოა, მტკვარ-არაქსის მოსახლეობის მსგავსება ორმოსამარხების კულტურის მატარებელთა შორის იყოს².

იმის გამო, რომ მასალა არ იძლევა საშუალებას დაზუსტებით განსაზღვროს მტკვარ-არაქსის მატარებელთა ეთნიკური კუთვნილება, ავტორები მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ზონას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის როგორც შუალედურს განიხილავენ სადაც დასახლებული იყვნენ შერეული წარმომავლობის ჯგუფები და შესაძლოა, მათ იერ-სახეში აისახა როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთევროპეიდული ნიშნები³.

ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობის მოსახლეობის ოდონტოლოგიური კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ეს მოსახლეობა გამოირჩეოდა ანთროპოლოგიური არაერთგვაროვნებით. მოსახლეობის ოდონტოლოგიური მახასიათებლების ჩამოყალიბებაში

¹ Алексеев В.П., Мкртчян Р.А. Палеоантропологический материал из погребений в Армении и вопросы генезиса населения Куро-Аракской культуры. Сов. этнография, 1989, №1, стр. 130.

² Алексеев В.П., Мкртчян Р.А. Палеоантропологический материал из погребений в Армении и вопросы генезиса населения Куро-Аракской культуры. Сов. этнография, 1989, №1, стр. 132.

³ Алексеев В.П., Мкртчян Р.А. Палеоантропологический материал из погребений в Армении и вопросы генезиса населения Куро-Аракской культуры. Сов. этнография, 1989, №1, стр. 132.

სამხრეთული¹ წარმომავლობის გრაცილური ტიპის მოსახლეობის კვალი იგრძნობა. ამავე დროს, ყალმუხეთის ორმოსამარხის კულტურის მოსახლეობაში მკვეთრად გამოხატული გრაციალური ოდონტოლოგიური სუბსტრატისა (სამხრეთული წარმომავლობის), ასევე იგრძნობა ძველი შუაევროპული² ოდონტოლოგიური ტიპის გავლენა. ამ ორი კომპონენტების შეფარდებით, უკრაინის, ყალმუხეთის, ასტრახანის ორმოსამარხების მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობაში აღინიშნება ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობაში გავრცელებული ნიშნები, და რომ ის შესაძლოა კავშირშია ორმოსამარხების კულტურის მატარებელ ტომებთან³.

70 სერიის კრანოლოგიური ნიშნების მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, ა. ხუდოვერდიანი ევროპის მოსახლეობის ზოგიერთ ჯგუფში „მოსული“ სამხრეთევროპეიდული (ხმელთაშუაზღვისპირულ) კომპონენტს უკავშირებს მიგრაციულ ტალღას წინა აზიიდან, სომხეთის ზეგანიდან და იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან კავკასიას⁴. მის ნაშრომში ჩართულია მტკვარ-არაქსის ორი სერია საქართველოდან: ტყვიავი და კიკეთი. ანალიზი ემყარება მხოლოდ 10 კრანოლოგიურ ნიშანს: გრძივი, განივი, თავის ქალას სიმაღლე (ba-b), ყვრიმალთაშუა დიამეტრი, სახის სიმაღლე (n-alv), ცხვირის სიმაღლე, ცხვირის სიგანე, თვალბუდის სიგანე (mf) და თვალბუდის სიმაღლე. რა თქმა უნდა, ნიშანთა ამ კომპლექსით შენგავითის სერია, ცენტრალური აზიის (ნამაგვის კულტურა), საქართველოს სერია (ტყვიავი და კიკეთი ერთობლივად) და ჩათალ-ჰუიუქის სერია ანატოლიიდან ერთ მიკრო კლასტერში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ტყვიავი და თეფე-ჰისარი მინი კლასტერით ყალმუხეთის ორმოსამარხის კულტურის სერიას უერთდება. ყველაზე განსხვავებული კიკეთი აღმოჩნდა. ნაშრომში, ძირითადად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაო-რკინის ხანაში ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპის ნიშნების საკმაო რაოდენობა იგრძნობა ჩრდილო ევრაზიის მოსახლეობაში⁵. სამხრეთევროპეიდული მორფოლოგიური კომპონენტი გამოვლენილია აღმოსავლეთ ევროპისა და ციმბირის ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურებში, ხოლო სამხრეთული კომპონენტი დაკავშირებულია არაერთ მიგრაციულ ტალღასთან⁶.

ამრიგად, განხილულია ძვ. წ. IV ათ. II ნახევრის და III ათ. I ნახევრის ყველა სერიის თავის ქალა. ზოგადად, ამ დროის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია (ცხრ.№1): დოლიქოკრანია, მაღალი ქალას სიმაღლე, დიდი ქალას სახისა და ფუძის სიგრძე, საშუალოზე

¹ Зубова А.В. Население ямной-культурно-исторической общности в свете одонтологических данных. Вестник археологии, антропологии и этнографии., 2010, №2 (13), стр. 85-95.

² Зубова А.В. стр. 94.

³ Зубова А.В. стр. 94.

⁴ Худавердян А.Ю. Антропологические данные к вопросу об этнических взаимоотношениях населения Армянского нагорья и Евразии в эпоху ранней бронзы (краниометрическая характеристика)., Вестник ТГТУ, 2010, т. 16, №3, стр. 736-744.

⁵ Худавердян А.Ю. стр. 742.

⁶ Худавердян А.Ю. Антропологические данные к вопросу об этнических взаимоотношениях населения Армянского нагорья и Евразии в эпоху ранней бронзы (краниометрическая характеристика)., Вестник ТГТУ, 2010, т. 16, №3, стр. 736-744.

ფართო შუბლის ძვალი, საშუალო სიმაღლის სახე, განიერი ზედა ნაწილში და საშუალო სიგანის სახის შუა ნაწილში, პროფილირებული სახე, საშუალო სიგანის მკვეთრად წარზიდული ცხვირი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო სიგანის, დიდი ეშვის ფოსოს სიღმე, სახის საერთო კუთხე ძალზედ სწორი.

ზოგადად, ქალების თავის ქალა გამოირჩევა უფრო პატარა ზომებით, გრაციურობით. მათთვის დამახასიათებელია ნიშანთა კომპლექსის იგივე განვითარება, განსხვავება ნაზომალარული კუთხისა და დაკრიონულ სიგანეში ვლინდება.

ნიშანთა ეს კომპლექსი მიუთითებს, რომ მოსახლეობა, რომელიც ბინადრობდა საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში, ევროპოიდული რასისათვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩეოდა, რაც ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში მედიტერანული, ანუ ხმელთაშუაზღვისპირული ტიპით არის ცნობილი¹.

მოსახლეობის პოლიმორფულობა კარგად ჩანს თავისა და სახის ფორმების მიხედვით. დადასტურებულია როგორც ფართოსახიანი მეზოკრანული, ასევე, დოლიქოკრანული ვიწროსახიანი ფორმები, გამონაკლისს ტყვიავის სერიის ერთი და ბულაჩაურის ერთი თავის ქალა მკვეთრად ბრაქიკრანულია თავის ფორმით, ხოლო სხვა ნიშნების მიხედვით, არ განსხვავდება ამ დროს გავრცელებული ტიპისაგან. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მასალა ფრაგმენტულია, გამოვყავით მტკვარ-არაქსის კულტურის მასალები და ჩავატარეთ ანალიზი სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. ჩვენ, ასევე, გამოკვლევაში ჩავრთეთ სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული სერიები: შენგავითი, ჯარარატი, ბერკაბერი.

ჩვენი აზრით, ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომები ვერ იქონიებდნენ გავლენას ძვ. წ. IV-III ათასწლეულის I ნახევრის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ იერზე, რადგან ორმოსამარხების კულტურის გავრცელების დრო ძვ. წ. III-II ათასწლეულებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხრეთ კავკასიიდან იყო უფრო ადრინდელი მიგრაციული ტალღა ევროპაში.

თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომთა ფიზიკური ტიპი

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე ცხოვრება ქრება. ბარში მოსახლეობა მნიშვნელოვნად თხელდება და უფრო

¹ აბღუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ. მეცნიერება, 1982.

ძირითადი კრანთოლოგიური ნიშნების განაწილება შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
1	m	55-60									96	104															
2	m	50	204								108	120															
3	m	35-40	207	140							99	105	81														
4	m	20-30	201	149	140	116	106	76		128	115	107			43	32		52	9.2	5.1			4.8	94	71		
5	m	50-55																									
6	m	60-65		137	130						94	102															
7	m	50-55						73	61		99		93		43	35	23	56	10,3	6,4	22,6	12,4	4,1			140,2	124,5
8	m	55-60	226	135																							
9	m	45-50	179	151	135	105	98	66	56	118	97	97	93	138	38	35	29	49	10	5	22	10	7			147,4	124,0
10	m	55-60									100																
11	m	45-50																									
12	m	40-45																									
13	m	30-35													39	31											
14	m	50-55									118																
15	m	45-50																									
16	m	45-50	191	136				77	51		100	101	97	133	41	32	27	54	11,3	8,2	23,7	11,5	5,7				
17	m	60-65	185	134																							
18	m	60													41	34											
19	m	30-35	193	139				72		117	92	105	92										6,9	88			
20	m	55-60	185	137	138	105					99	105			43	34	24	49	10,9	5,6						140,4	
21	m	25-30	183	146																							
22	m	65-70	198	131																							
23	m	40-45	184								96																
24	m	50-55	189	133				72			116	103	95	130	35	32	26	54			15,0	5,5	6,0	91		139,8	120,8
25	m	50	200	141	135	122	111	81	77		11	114	103	144	48	37	26	51	11,4	7,5	24,0	13	4,0			138	131

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში

ცხრ.№6

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	f	70-75	181								95	105									19.5							
2	f	20-25		137																								
3	f	50-55	190								100	100																
4	f										98	101																
5	f		178								90				45						18.3	6.9						
6	f	45-50																										
7	f	30-35																										
8	f	30-35																										
9	f	35-40																										
10	f	35-40																										
11	f	35-40																										
12	f	45	175																									
13	f	35-40																										
14	f	65-70	181	141																								
15	f	25-30																										
16	f	60-65	187	141				62							38		27	45	10,5	4,1			5,5					
17	f	18-20	185	132				64		113	95	102	84	116	38	36	23	43					4,9	86		135	114,2	
18	f	I	198												35	32	25		7,3	2,5	25,1	10,7						
19	f	50-55	185	137							116				125	39	30										134,6	
20	f	40-45	190	140																								
21	f	30-35	178	137																								
22	f	35-40	181	136																								
23	f	20-25	180	140	137	93	93	64		107	97	102	90	122	38	29	24	44	12,5	5,7	24,0	12,7	3,3	85	53	138	119	
24	f	18-20	207																									

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში (საშუალოები)

	ადრებრინჯაო								შუაბრინჯაო							
	კაცები				ქალები				კაცები				ქალები			
	n	X	x	б	n	X	x	б	n	X	x	б	n	X	x	б
1	26	191,9	2,2	11,0	14	182,9	1,9	7,3	14	194,6	3,3	12,5	13	185,1	2,5	8,9
8	24	139,8	1,6	8,2	11	136,2	1,7	5,9	13	139,2	1,7	6,2	8	138,0	1,1	3,11
17	5	150,8	7,6	17,0	5	127,4	2,4	5,3	5	135,6	1,7	3,8	1	137,0	-	-
5	4	119,0	6,2	12,5	5	101,8	1,9	4,3	4	112	4,2	8,5	1	93,0	-	-
40	2	113	7,0	9,9	3	96,0	3,2	5,6	3	105	3,8	6,6	1	93,0	-	-
48	6	73,0	1,7	4,1	7	64,6	1,9	5,1	7	73,9	1,8	4,7	3	63,3	0,7	1,2
48'	1	86,0	-	-	1	56,0	-	-	4	61,3	5,6	11,3	-	-	-	-
47	3	120,7	2,3	2,6	5	101,4	4,3	9,6	3	121,0	3,5	6,1	1	110	-	-
9	18	100,7	1,2	5,2	12	96,4	1,3	5,6	15	102,7	2,2	8,6	7	98,7	3,1	8,2
43	15	106,7	1,3	4,9	10	102,3	1,4	4,6	11	105,7	1,9	6,3	5	102,0	0,8	1,9
46	5	97,8	2,2	4,9	4	91,0	2,0	4,1	7	93,4	2,5	6,6	1	87,0	-	-
45	2	129	3,0	4,2	-	-	-	-	6	136,0	2,0	5,0	3	121,0	2,6	4,6
51	7	41,4	0,6	1,9	6	39,8	0,5	1,3	9	41,2	1,2	3,7	6	38,8	1,3	3,31
52	9	34,8	1,0	3,0	5	35,4	2,3	5,2	9	33,6	0,6	1,9	4	31,7	1,5	3,1
54	8	26,0	1,1	3,0	7	24,7	0,8	2,2	7	26,0	0,8	2,0	4	24,7	0,8	1,7
55	8	53,1	0,9	2,6	7	46,6	1,3	3,4	7	52,1	1,0	2,6	3	44,0	0,6	1,0
SC	5	8,52	1,3	3,0	5	10,3	0,5	1,3	7	10,5	0,3	0,8	3	10,1	1,5	2,6
SS	4	4,9	0,8	1,6	5	4,9	0,4	0,9	6	6,3	0,5	1,3	3	4,1	0,2	1,6
DC	1	17,0	-	-	5	20,8	0,9	2,0	5	21,5	1,7	3,7	5	21,7	1,7	3,3
DS	2	11,3	0,7	0,9	5	10,5	0,2	0,5	5	10,6	1,4	3,1	3	10,1	1,7	2,9
FC	6	10,32	0,9	2,4	7	7,5	0,6	1,5	7	5,5	0,5	1,2	3	4,6	0,7	1,14
72	3	87,0	3,2	5,6	3	87,7	1,5	2,5	3	91,0	1,7	3,0	1	85,5	-	-
75	-	-	-	-	5	55,5	5,5	7,8	1	71,0	-	-	1	53,0	-	-
77	5	136,8	3,3	2,8	8	142,9	2,1	5,8	5	141,2	1,6	3,6	4	136,0	1,2	2,1
zm	5	121,0	2,8	6,2	3	127,6	2,8	4,9	4	125,0	2,1	4,2	1	116,6	2,4	3,4

ინტენსიურად მთის წინა და მთის ზოლს ითვისებს. ამ დროს დაწინაურდა მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა, ვითარდება მეტალურგია და ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, გრძელდება ეთნო-კულტურული ურთიერთობა ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან. ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსის კულტურის ნაცვლად იწყება განვითარების ახალი საფეხური - შუაბრინჯაოს ხანა. აღმოსავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეებში, ამ დროს თრიალეთის კულტურა ვრცელდება.

შუაბრინჯაოს კრანიოლოგიური მასალა ძალზედ ფრაგმენტულია. 25 მამაკაცის თავის ქალაზე ნიშანთა უმეტესობა შესწავლილია მხოლოდ ოთხზე, ქალთა (24) სერიებში. თავის ქალას დაცულობის ხარისხი კიდევ უფრო ცუდია, ამიტომ ცალკეული სერიების განხილვას აზრი არა აქვს (ცხრ. 5-6).

მამაკაცები, მთლიანობაში, ხასიათდებიან ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით (აწყურის ერთი თავის ქალას გარდა, რომელზეც საშუალო გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრი ფიქსირდება), მცირე, საშუალო და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრით. ქალას სიმაღლე ასევე პოლიმორფულია და სამი გრადაციით ვლინდება: მცირე, საშუალო და დიდი; ქალას ფუძის სიგრძე დიდი და ძალიან დიდი, ხოლო სახის ფუძის სიგრძე საშუალო და დიდი; სახის ზედა სიმაღლე მნიშვნელოვნად ცვალებადობს მცირე ზომიდან დიდ სახის ზედა სიმაღლემდე, რაც ამ დროის მოსახლეობისათვის სახის სრულ სიმაღლეს საშუალო და დიდი ზომის ფორმებით ახასიათებს.

აღსანიშნავია, შუბლის ძვლის საშუალო, დიდი და ძალიან დიდი უმცირესი სიგანე; სახის ზედა სიგანე მეტად ცვალებადი და ყველა შესაძლო ვარიანტით გამოირჩევა, ხოლო სახის შუა სიგანე მცირე, ძალიან მცირე და საშუალო სიდიდეებით ხასიათდება. ყვრმაღლაშორის დიამეტრი წინა პერიოდთან განსხვავებით მატულობს, თუმცა მხოლოდ ორი ინდივიდის მონაცემებს ემყარება. აღსანიშნავია თვალბუდეების სიგანისა და სიმაღლის მცირე ზომები, ცხვირის საშუალო სიგრძე და სიგანე. სახის საერთო პროფილი ორთოგნანტული (შესწავლილია 1 თავის ქალაზე), ჰორიზონტალური პროფილი მკვეთრად პროფილირებული, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირი წარზიდული.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალიდან შუაბრინჯაოს თავის ქალების სერია ყველაზე მცირერიცხოვანია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ტერიტორია ფართოდ იყო ათვისებული. თავის ქალები მოპოვებულია დასავლეთ (საგვარჯილე), აღმოსავლეთ (თრელი, შვინდიანი, არბოშიკი, აბანოსხევი, ქისტაური), სამხრეთ (ახჩია, კეთილეთი, აწყური) საქართველოს რეგიონებში სულ 19 დედაკაცის თავის ქალაა მოპოვებული. უმეტესი ნიშანი შესწავლილია თითოეულ თავის ქალაზე, ამიტომ რეგიონალური თავისებურება სერიებს შორის ინდივიდუალურ დონეს ასახავს.

გრძივი დიამეტრი, ძირითადად, დიდია, გამონაკლისი – საშუალო სიგრძის თავის ქალა შვინდიანიდან. ამავე დროს, განივი დიამეტრი საშუალო და დიდ ზომებს აღწევს. თავის ქალას მაჩვენებელი დოლიქო-მეზოკრანული, სახის ზედა სიმაღლე მცირე. მეტად ცვალებადია შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიგანე, რაც შესწავლილთა რაოდენობით არის განპირობებული, და რაც მოსახლეობის მორფოლოგიური ნიშნების

დიდ დიაპაზონში ცვალებადობაზე მიუთითებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის ქალა სიგრძეში ჯერ კიდევ დიდი და ძალიან დიდია, ხოლო განივი დიამეტრი იწყებს მატებას. იმ შემთხვევაში, როდესაც გრძივი დიამეტრი მცირდება, თავის ქალას მანვენებელი გამოთვლილი არ არის, რადგან განივი დიამეტრის გაზომვა ამ თავის ქალაზე მისი ცუდი დაცულობის გამო შეუძლებელია.

ზოგადად, ერთეულ თავის ქალებზე განაზომიდან შეიძლება აღვნიშნოთ საშუალო სიმაღლის ცხვირისა და თვალბუდეების მანვენებლები. ცხრ.№7 მოყვანილია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კრანიოლოგიური ნიშნების ცვალებადობა, რაც საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ წინა პერიოდის მოსახლეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, ადრე და შუაბრინჯაოს მოსახლეობა განსხვავდება, მაგრამ სხვაობა სტატისტიკურად არასარწმუნოა. სანდლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია გამოკვლეულთა რაოდენობით, რადგან განსხვავება, საშუალოების მიხედვით, არასაიმედოა, თუ დისპერსია (SD) დიდია. ჩვენს შემთხვევაში, იგი ხშირად გამოდის მიღებული სტანდარტების დონიდან¹. მაგალითად, გრძივი დიამეტრი, სახის შუა სიგანე, ცხვირის სიგანე, ცხვირის სიმაღლე. ზოგიერთი ნიშნები, მიუხედავად გამოკვლეულთა მცირე რიცხვისა, ადრე და შუაბრინჯაოს მოსახლეობაში მსგავსია. მამაკაცებში მსგავსი ნიშნებია: განივი დიამეტრი, შუბლის უმცირესი დიამეტრი, დაკრიონული სიმაღლე და დაკრიონული სიგანე, ზიგომაქსილარული კუთხე. აქედან, პრაქტიკულად იდენტურია განივი დიამეტრი, ზიგომაქსილარული კუთხე, დაკრიონული სიმაღლე და სიგანე. ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ მოსახლეობის მორფოლოგიური ტიპი არ შეცვლილა. ეს კი იმის მანვენებელი უნდა იყოს, რომ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ შეცვლილა. შეუძლებელია მტკვარ-არაქსის მოსახლეობის სრული მიგრაცია საქართველოდან და აქ სხვა ტომების დამკვიდრება. თუმცა იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ სხვა ეთნოკულტურული ტრადიციების ტომების მიგრაციის განხორციელებას ჰქონოდა ადგილი².

ზოგადად, ენეოლითის ხანიდან მოყოლებული სამხრეთ ევროპეიდების გავრცელების არეალიდან მამაკაცების (ბასკეთი, საფრანგეთი) თავის ქალები ძირითადად დოლიქორანულია, ხოლო ქალების – მეზოკრანული³. ისინი განსხვავდებიან სახის ფორმებითაც, უკვე არიან (ელ-უბაიდი, ირანი) როგორც მაღალი, ვიწრო სახით და განიერი ცხვირით⁴, ასევე (ზემო ეგვიპტე) საშუალო სიმაღლის და სიგანის სახით და განიერი ცხვირით⁵ და ა. შ. ყველა ვარიანტებით. ამ დიდ ტერიტორიაზე, სადაც ახლა სამხრეთ ევროპეიდული რასა არის გავრცელებული, მოსახლეობა განსხვავდება, ძირითადად, თავისა და სახის ფორმით და ცხვირის სიგანით. ეს ნიშნები მიუთითებს უძველესი დროიდანვე მოსახლეობის არაერთგვაროვნებაზე.

უდავოა, რომ წინა აზიისა და კავკასიის რასების ჩამოყალიბება ხდებოდა ერთგვაროვანი საწყისი ელემენტების ნიადაგზე, ამიტომ სირიულ-მესოპოტამიური ტიპების არსებობა სამხრეთ კავკასიაში და კავკასიური ტიპების სირიაში, მესოპოტამიასა და ქურთისტანში, სავსებით გასაგებია⁶. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ერთგვა-

¹ Рогинский Я.Я., Левин М.Г. Антропология. М. Высш. школа, 1978.

² Лордкипანიძე О.Д. Наследие древней Грузии. Тб., Мецნიერება, 1989, стр. 139.

³ Riquet R. Populatin et Roges trique et au Brose Anien. 2° These L'age du Bronse Dannes of midoc. Paris, 1970.

⁴ Keit H.H. Report on the human remains in B.Helle H and Wooley C. Ur Excavations. v.1, Oxford, 1927.

⁵ Morant C. A study of predinastic Egyptians sculle from Badari. Biometrika, 1935,27.

⁶ Бунак В.В. Антропологический состав населения Кавказа. Вестн.Гос.Музея Грузии.1946., т.ХIII- А

როვანი, ანუ ახლო მონათესავე ტომები. ერთგვაროვნება, რა თქმა უნდა, პირობითი იყო როგორც ეთნიკური, ისე ანთროპოლოგიური ნიშნით, რადგან ამ დროსაც სერიებში, რომლებსათვისაც დამახასიათებელია დაბალი ქალას მაჩვენებელი¹ გვხვდება ბრაქიკრანული ფორმები. ბრაქიკრანია აღნიშნულია ასევე მცირერიცხოვნობის სერიებშიც².

ჩვენი აზრით, უძველესი მოსახლეობის სუბსტრატი იყო იმდენად მძლავრი, რომ გაუძლო სხვადასხვა ინფილტრაციას, შესაძლოა შერევენ. ამ ტიპის ასეთი ხანგრძლივი დროით თითქმის უცვლელი სახით დაკონსერვება, ალბათ, მოხერხდა იმიტომაც, რომ საქართველოს მოსახლეობას კონტაქტი უხდებოდა, ძირითადად ევროპეიდებთან, რომლებიც ფართოდ იყვნენ გავრცელებული სამხრეთით ტიგროსითა და ევფრატით დაწყებული, ირანის შიდა ოლქებით გაგრძელებული და ანატოლიის კუნძულებით დამთავრებული³. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ისევე, როგორც კავკასიაში, ძირითადად ერთი ტიპის მოსახლეობა იყო განსახლებული და ერთნაირი პროცესები მიმდინარეობდა. ტერიტორიულად ახლო ადგილობრივ ჯგუფების ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ეთნიკური ერთობლიობა ანთროპოლოგიურად რჩება ცვალებადობის ფარგლებში, რომელიც ამ ტერიტორიისათვის არის დამახასიათებელი⁴. ამით აიხსნება ანთროპოლოგებსა და არქეოლოგებს შორის არსებული ერთგვარი უთანხმოება. ანთროპოლოგიური მასალებიდან კარგად ჩანს მიგრაციისა და მეტისაციის კვალი, მოსახლეობის მონაცვლეობა თუ უწყვეტი განვითარება, რადგან ეთნოსის ისტორია ძირითადად „აღბეჭდილია“ მის მორფოლოგიურ ნიშნებში⁵, მაგრამ თავიდანვე უარი უნდა ვთქვათ თანამედროვე რასობრივი კლასიფიკაციის პროცირების მცდელობაზე ძველ პალეოანთროპოლოგიურ ტიპებზე, რადგან რასა (ისევე როგორც ეთნოსი) დინამიური კატეგორიაა, რომელიც არ არის უძრავი და აქვს თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერება. ძირითად ამოცანად კი უნდა დავისახოთ ნიშნების ეპოქალური ტრანსფორმაციის გამოვლინება ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ მასალებზე⁶.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალები ცხადყოფს, რომ უძველესი მოსახლეობა ხასიათდებოდა გრძელი და ვიწრო თავით (დოლიქოკრანიით), ვიწრო სახით, ვიწრო და მაღალი ცხვირით, ცხვირისა და ცხვირის უნაგირის მკვეთრი პროფილირებით, სახის მცირე ჰორიზონტალური კუთხით და, საერთოდ, მიეკუთვნებოდა ხმელთაშუაზღვისპირულ მედიტერანულ ტიპს. ამავე ტერიტორიაზე მოპოვებული თანამედროვე კრანიოლოგიური სერიები ხასიათდება მოკლე და ფართო თავით (ბრაქიკრანიით), ფართო სახით, ვიწრო და მაღალი ცხვირით, ცხვირისა და ცხვირის უნაგირის მკვეთრი პროფილირებით, სახის მცირე ჰორიზონტალური კუთხით და ა. შ. ასეთივე ტიპია დადასტურებული სომხეთში მოპოვებულ თანადროულ კრანიოლოგიურ სერიებშიც. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე და აზერბაიჯანში

¹ Krogman W. The people of early Iran and their ethnic affiliations. Amer. J. Phys Anthropol. 1940,26.

² Vallois H. Lies ossements humains de Sialk. Dans Chirshman, mus, de Louvre Fouilles de Sialk pres de Richan. 1933, 1934, 1937. b.c. 1939. Paris, b.c.v.2.

³ Бунак В.В. Crania Armenica. Исследование по антропологии Передней Азии. Тр. Антропологического научного исследовательского ин-та при МГУ, 1927, вып. II, приложение к РАЖ, т. XVI, вып. 1-2.

⁴ Бунак В.В. Этнические общности и расовые деления. В сб. Расогенетические процессы в этнической истории. М. Наука, 1974, с.3-10.

⁵ Бунак В.В., Нестурх М.Ф., Рогинский Я.Я. Антропология, М. 1941.

⁶ Дебец Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.

ჭარბობენ ზომიერად ვიწრო სახიანი, მეზოკრანული, მცირედ პროფილირებული კრანოლოგიური ფორმები. კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის შესწავლამ ცხადყო თავისა და სახის მაჩვენებლების ზრდა დროში¹, რაც საფუძველს იძლევა ვამტიცოთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური ერთიანობის ზოგადი დებულება, ქართველთა ავტოქტონურობა². თანადროული მასალების ანალიზმა უჩვენა, რომ ისევე, როგორც საქართველოსა და კავკასიაში, წინა აზიაშიც, ძირითადად, დოლიქოკრანული თავის ქალები ჭარბობდნენ. ამავე დროს, თანამედროვე ბრაქიკრანული, წინააზიური ტიპების ფორმირება იმავე ტერიტორიაზე ხდებოდა, რომელზედაც იგი გავრცელებულია ამჟამად³. შემდგომმა მასალებმა დაადასტურა, რომ სამხრეთევროპეიდების ჩამოყალიბების არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიას და ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ჩრდილო რეგიონებს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მარტო კავკასიაში არის დაფიქსირებული სამხრეთევროპეიდული დიდი რასის სამივე განშტოების (ხმელთაშუაზღვისპირული, ინდო-პამირული, წინააზიური) არსებობა კავკასიური ლოკალური ვარიანტებით.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიიდან მოპოვებული მასალების მცირერიცხოვნობისა, კრანოლოგია შესწავლილია უფრო დიდი პროგრამის საფუძველზე. თუ შევადარებთ ქართლის მოსახლეობაში კრანოლოგიური ნიშნების განაწილებას ლიტერატურულ წყაროებში არსებულ მონაცემებს, მხოლოდ თავის გრძივი (1) და განივი (8) დიამეტრების, თავის ქალას მაჩვენებლის (8:1), თავის სიმაღლის (17), შუბლის უმცირესი სიგანის (9), ყვრიმალთაშუა დიამეტრის (45), სახის ზედა სიმაღლის (48), სახის ზოგადი კუთხის (72), ცხვირის ძვლების კუთხის პროფილის ხაზთან (75/1), სახის მაჩვენებლის (48:45), თვალბუდის მაჩვენებლის (52:51a), ცხვირის მაჩვენებლის (54:55) მიხედვით, აშკარაა რომ, ქართლის მოსახლეობა იკავებს ადგილს ურის⁴, სიალკის⁵, ჯემიკენტის, სევანის⁶ თანადროულ მოსახლეობას შორის. ამ სერიების სერიების სამხრეთევროპეიდული, ხმელთაშუაზღვისპირული ტიპისადმი კუთვნილება არ ბადებს ეჭვს. აღნიშნული ყველა სერია გამოირჩევა ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით, მცირე და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრით, თავის ქალა დოლიქოკრანული. ქართლის ახ. წ. II ს. მოსახლეობას ულტრადოლიქოკრანული თავის ქალა ახასიათებს. ზოგადად, ადრე ბრინჯაოდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანოლოგიური მასალა ხასიათდება: დოლიქოკრანიით, მაღალი ქალას სიმაღლით, დიდი ქალას სახისა და ფუძის სიგრძით, საშუალოზე ფართო შუბლის ძვლით, საშუალო სიმაღლის სახით, განიერი ზედა ნაწილში და საშუალო სიგანის სახით შუა ნაწილში, პროფილირებული სახით, საშუალო სიგანის მკვეთრად წარზიდული ცხვირით, თვალბუდეები საშუალო სიგანის და სიმაღლის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო სიგანის,

¹ Абдушлишвили М.Г. Об эпохальной изменчивости антропологических признаков. Кр.сообщ. Института этнографии, М. 1960., т.XXXIII; Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.

² Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.

³ Дебец Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.

⁴ Vallois H. Lies ossements humains de Sialk. Dans Chirshman, mus, de Louvre Fouilles de Sialk pres de Richan. 1933, 1934, 1937. b.c. 1939. Paris, b.c.v.2.

⁵ Keith H.H. Report on the human remains in B.Helle H and Wooley C. Ur Excavations. v.1, Oxford, 1927.

⁶ Бунак В.В. Crania Armenica. Исследование по антропологии Передней Азии. Тр. Антропологического научного исследовательского ин-та при МГУ, 1928, вып. II, приложение к РАЖ, т. XVI, вып. 1-2.

ემვის ფოსოს სიღრმე დიდი. სახის საერთო კუთხე ძალზედ სწორი. გინჩის¹, აჩი კულაკის², თეფე-ჰისარის³, კიშის სერიები ასევე დოლიქოკრანული თავის ქალას ფორმით, უფრო ვიწრო შუბლით, შედარებით მცირე ყვრიმალთაშუა დიამეტრით, დაბალი ქალას სიმაღლით (ba-b) გამოირჩევიან.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ შესადარებელი სერიებიც მცირერიცხოვანია (თეფე-ჰისარის გარდა), ამიტომ თუ გავითვალისწინებთ კრანოლოგიური ნიშნების პოლიმორფიზმს განხილულ ტერიტორიაზე განსახლებული მოსახლეობა მსგავსი იყო. ზოგიერთი ნიშნების ანალიზის: სახით ზედა პროფილირების კუთხის (77), სახის შუა პროფილირების კუთხის (zm), სახის ზოგადი კუთხის (72) საფუძველზე კავკასიის მოსახლეობა ხასიათდება მკვეთრად პროფილირებული სახით ჰორიზონტალურ და სწორ ვერტიკალურ სიბრტყეში. ეს ნიშნები ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადი ანთროპოლოგიური ტიპის დასადგენად. თუმცა სახის სიმაღლის, სიგანის, თვალბუდეების სიმაღლის მიხედვით, თავის ქალას ფორმით, ადრეული ეპოქებიდან ორი ტიპის ევროპეიდული მოსახლეობა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს ავლენდნენ, მათ ახასიათებდათ ვიწრო ცხვირი, მაღალი ცხვირის უნაგირი და პროფილირებული სახე, რაც დღესაც სახეზეა. მაშასადამე, ძველი და თანამედროვე ანთროპოლოგიური ტიპების შედარება ამ ვრცელ რეგიონში მიუთითებს მოსახლეობის უწყვეტ განვითარებასა და მემკვიდრეობითობაზე.

თავი III

საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. I ათასწლეულში

1. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები არქეოლოგიური მასალების მიხედვით

არქეოლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა ვრცელდება, რომელსაც თითქოს არაფერი აქვს საერთო წინარე ხანის თრიალეთის კულტურასთან. ქრება თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელი ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები ფუფუნების საგნები და საერთოდ საიუვილერო საქმის მაღალი დონე, რაც კულტურის ერთგვარი დაქვეითების შთაბეჭდილებას ქმნის⁴; თუმცა ისიც შეინიშნება, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში საგრძნობლად იწევს ცხოვრების დონე და წინაურდება ბრინჯაოს მეტალურგია⁵. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ძვ. წ. XIV-XIII სს. ექცევა⁶. სწორედ ზემოაღნიშნული

¹ Гаджиев А.Г. Происхождение народов Дагестана по данным антропологии. Махачкала, 1965.

² Миклашевская Н.Н. Антропологический состав населения Дагестана в алано-хазарское время. Вop. антропологии, 1960, вып.5, с.121.

³ Krogman W. The people of early Iran and their ethnic affiliations. Amer. J. Phys Anthropol. 1940,26.

⁴ ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1990, გვ. 228.

⁵ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228-229.

⁶ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

პერიოდიდან, იმ ნიშნებიდან რომ თითქოს წინარე კულტურასა და გვიანბრინჯაოს კულტურას შორის ხაზის გავლება ჭირს; თითქოს იცვლება დაკრძალვის ფორმა ანუ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვემო ქართლში მიცვალებულის დასაკრძალავად გამოიყენება ქვის ფილებისაგან შეკრული ყუთები (ქვის სამარხები), თუმცა არის ორმოსამარხებში დაკრძალვის წესიც. საერთოდ კი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ერთგვარად სუსტდება კავშირი წინააზიურ სამყაროსთან და ისიც შენიშნულია, რომ ნაწილობრივ იშლება ზღვარი კულტურის ლოკალურ ვარიანტებს შორის¹.

კ. ფიცხელაურის მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაციის მიხედვით, ცალკე უნდა გამოიყოს შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ძეგლები, რომლებიც მისივე აზრით, ძვ. წ. 1450-1350 წლებს შორის უნდა მოთავსდნენ. გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (გვიანბრინჯაო I) დროინდელ ძეგლებს იგი ძვ. წ. 1350-1250 წლებით ათარიღებს. ავტორი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურად თვლის ძვ. წ. 1250-1100 წლებით დათარიღებულ ძეგლებს. შიდა ქართლური ფოთლისებური სატევრების სინქრონულად მიიხნევს ე. წ. კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევრების დროინდელ მასალას. შემდეგ ქრონოლოგიურ ჯგუფებს კი, მისივე თქმით, იგი სამთავროს მასალაზე დაყრდნობით შემშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით ათარიღებს².

გ. ქავთარაძის აზრით, გვიანბრინჯაოს ხანის I ფაზა თარიღდება ძვ. წ. XVI ს. შუა ხანებიდან ძვ. წ. XIV ს. დასაწყისამდე³. მეორე ფაზა ძვ. წ. XIV საუკუნით, ხოლო მესამე ფაზა ძვ. წ. XIII საუკუნიდან ძვ. წ. X საუკუნის დასასრულამდე⁴.

აღნიშნულია, რომ თრელის შუაბრინჯაოს ხანის ყველა სამარხი წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხია. მათ, მიწის მაშინდელ ზედაპირზე, დასაკრძალავი ორმოს ირგვლივ, შემოვლებული ჰქონდათ მოზრდილი ფლეთილი ქვიშაქვისაგან შემდგარი წრე. სამარხთა ერთი ნაწილის წრის შიდა სივრცე მთლიანად იყო შევსებული რიყის ქვებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი წრის შიგნით ქვაყრილი მხოლოდ დასაკრძალავი ორმოს თავზე აღმოჩნდა, ხოლო წრის დანარჩენი შიდა ნაწილი ხრეშით იყო მოფენილი ორივე ტიპის სამარხების დასაკრძალავი ორმოს ზევით არსებულ ქვაყრილში ჩვეულებრივ შერეული იყო თეთრი ფერის (კვარცის) ქვები. თრელის სამაროვანზე სამარხთა გამართვის ეს წეს-ჩვეულებები არსებობს როგორც წინამორბედ, ასევე მომდევნო ხანაში. ასე, მაგალითად, ქვეყრილიანი ორმოსამარხების ირგვლივ ქვებისაგან შედგენილი წრეების შემოვლება ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან გვხვდება და არსებობას განაგრძობს ძვ. წ. IX ს. ჩათვლით, ხოლო დასაკრძალავი ორმოს ზევით არსებულ ქვაყრილში კვარცის ქვების შერევა დამახასიათებელ ნიშნად რჩება ძვ. წ. XIV ს. ჩათვლით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ჩვეულებას ვხვდებით დიღმის ხეობის სხვა სამაროვნებზეც (ნამგალამიწისა და დიდგორის ქვაყრილიანი ყორღანები). თრელის სამაროვანზე ქვებისაგან შედგენილი წრის შიდა ნაწილს ხრეშიც მოფენაც არსებობას განაგრძობს ძვ. წ. IX ს-მდე. თრელის

¹ გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ. 1974, გვ. 26.

² კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ. 1973, გვ. 146.

³ გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლითი – ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ. 1981, გვ. 128.

⁴ გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131-133.

სამაროვანზე წრიულქვაყრილიანი სამარხები ძვ. წ. XIV ს. ჩათვლით სამარხის გაბატონებული ტიპია, ხოლო ძვ. წ. XIII ს-დან ძვ. წ. X ს-მდე ძირითადად ქვაყრილიანი ორმოსამარხები არსებობენ, ქვებისაგან შედგენილი წრეები კი ძვ. წ. XIII-IX საუკუნეებში მხოლოდ მდიდრულ სამარხებს შემოუყვება¹.

დასაკრძალავი ორმოები ძირითადად დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გამონაკლისს წარმოადგენს №53 და №74 სამარხები, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული. აღნიშნულია, რომ თრელის სამაროვანზე როგორც დასაკრძალავი ორმოების, ასევე მიცვალებულის ჩრდილოეთისკენ დამხრობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი².

თრელის სამაროვანზე სამარხთა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დამხრობა უკვე შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან იწყება. აქ შუაბრინჯაოს ხანის ყველა სამარხი თითო მიცვალებულისათვისაა განკუთვნილი. №43 სამარხში ორ მიცვალებულსაც ვარაუდობენ, რომელთაგან ერთ-ერთი მსხვერპლად უნდა იყოს შეწირული. სამარხთა უმრავლესობაში დადასტურებულია მიცვალებულის ინჰუმაცია, №53 და 104 სამარხებში კი კრემაციაა სავარაუდო. №43 სამარხშიც ძირითადად მიცვალებულის კრემაციაა საგულისხმო. ამ სამარხში ძირითადად მიცვალებულისათვის შეწირული ადამიანის ჩონჩხიც ნაწილობრივ დამწვარია და ზოგიერთი ძვლები ნახშირადაც კია ქცეული. განზრახაა დამწვარი თვით სამარხიც. აღნიშნული პერიოდის იმ სამარხებში რომლებშიც ინჰუმაციაა დადასტურებული, როგორც მდებრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლები დასაფლავებულია მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. სამთავროს სამაროვნის მიხედვით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მამაკაცებს მარხავდნენ მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალებს – მარცხენაზე. იგივე წეს-ჩვეულებასთან გვაქვს საქმე თრელისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ სამაროვნებზე. აღნიშნული წეს-ჩვეულება გვიანბრინჯაოს ხანიდან იწყება. თრელის სამაროვანზე შუაბრინჯაოს ხანაში მიცვალებულები ჩვეულებრივ დამხობილია თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს №74 სამარხი, რომელშიც მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენაა დასაფლავებული. მიცვალებულის თავით ჩრდილოეთისაკენ დამხრობა თრელის სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი. სამარხის დასაკრძალავი ორმოს კედლები შელესილია საგანგებოდ შერჩეული თიხით. გამოთქმული ვარაუდით, ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სამი სადგარი. მიცვალებულს თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი. შენიშნულია, რომ მიცვალებულისათვის იმ ქვეყნად გატანებულ ნივთებსა და საგზაულს განზრახ აყრიან მიწას იმისათვის, რომ ისინი დაიცვან დაკრძალვის რიტუალში გათვალისწინებული ხანძრისაგან, დასაკრძალავი ორმოს ხის ძვლებით გადახურვის შემდეგ. სამარხის თავზე იმართება ქელები, რომლის დროსაც სრულდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. მსხვერპლად შეწირული ადამიანის ჩონჩხი ისე მკვეთრად იყო მოხრილი, რომ სავარაუდოა მისი წინასწარ საგანგებოდ გათოკვა, რის შემდეგაც მას წვავენ სამარხთან ერთად³.

¹ თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1978, გვ. 56-57.

² თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 57.

³ თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 55-61.

გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით თრელის სამაროვანზე მამაკაცები დაკრძალული არიან მარჯვენა გვერდზე, ქალები კი – მარცხენაზე¹.

გამახვილებულია ყურადღება №43 სამარხში აღმოჩენილ ბიკონუსისებური ფორმის ჭურჭელზე. გამოთქმული მოსაზრებით, თავისი ფორმით ის გენეტიკურ კავშირში არ იმყოფება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არც წინამორბედ - შუაბრინჯაოს პერიოდის, არც მომდევნო – გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკასთან. ნავარაუდევია მისი მცირეაზიური კერამიკიდან წარმოშობის შესაძლებლობა. ასევე აღნიშნულია, რომ ორიგინალურია ორმილაკიანი ქოთნები, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის სადღვებელების პროტოტიპებად არის მიჩნეული. პირამიდისებურთავიანი ბრინჯაოს საკინძები არ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებში. გამოთქმული ვარაუდით, ბიკონუსისებური ჭურჭელი და პირამიდისებურთავიანი საკინძები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს ხანის მიწურულში მცირე აზიის ანალოგიური ნივთების მიბადებითაა დამზადებული. ასევე არ გამორიცხავენ, რომ აღნიშნული ცვლილებები ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურაში ახალი ეთნიკური ჯგუფის მცირე აზიიდან შემოსვლასთან იყოს დაკავშირებული. ამ კულტურის სავარაუდო გავრცელებას ამიერკავკასიაში სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ვარაუდობენ².

გ. გობეჯიშვილის მასალებით, სამთავროს სამაროვანის ქვედა ფენის უძველესი ჯგუფის სამაროვნებში (XIII-X სს.) რკინის ნივთები მაინც არ გვხვდება. სამაგიეროდ ეს სამარხები მდიდარია მაღალხარისხოვანი ბრინჯაოთი. აქ არ არის არც თრიალეთის ტიპის დარბაზები და არც ჩვეულებრივი ყორღანები. სამარხი წარმოადგენს მიწაში უბრალოდ ამოჭრილ, კუთხეებმომრგვალებულ მოგრძო სწორკუთხედ ორმოს, რომელიც მიწის ზედაპირზე არაფრით არ შეინიშნება. მიცვალებულები დამარხულთა მოხრილი პოზით, მამაკაცები მარჯვენაზე, ქალები მარცხენა გვერდზე. თავს, როგორც ჩანს სიპ ქვაზე უდებდნენ და ზოგჯერ ირგვლივაც ქვებს შემოაყოლებდნენ. თუ თრიალეთის ყორღანებში სამარხის სახურავის ჩაქცევის გამო ჭურჭელი სულ ერთიანად დამტვრეულია, მცხეთის სამარხებში პირუკუ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიცვალებულს ირგვლივ უწყობდნენ სასმელ-საჭმელით სავსე თიხის ჭურჭლებს და ამას გარდა ატანდნენ სამკაულს და იარაღს³.

აღნიშნულია, რომ სამთავროს ორმოსამარხთა უფრო ახალგაზრდა ჯგუფი (ძვ. წ. X-VIII სს.) სპორადულად ინახავს ადრინდელი ეპოქის ნივთებსაც, მაგრამ ბევრი ახალი ნიშნითაც ხასიათდება. საკუთრივ სამარხის ტიპი ისევ ძველებული რჩება, მიცვალებულიც მოკუნტვით უმარხავთ. თითქმის სავსებით ქრება ხელით ნაძერწი ჭურჭელი, სამაგიეროდ, ბოლო საფეხურზე ჩნდება ჭიქურმოსხმული ანუ მოჭიქული სასმისები. პირველად იჩენს თავს ბრინჯაოს სატევრები. გვიანბრინჯაოს ხანაში (განსაკუთრებით მის ადრეულ ეტაპზე – ქვემო ქართლი) არ არის დაკარგული ყორღანებში დაკრძალვის ტრადიციაც (ყორღანი №4. თეთრიწყაროს მახლობლად, ულიანოვკის და მადნის ჭალის ყორღანები)⁴, სადაც დადასტურდა გვიანბრინჯაო-

¹ თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 79.

² თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 72-73.

³ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 76-77.

⁴ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28.

ადრერკინის ხანის 40 გორანამოსახლარი¹. ქვემო ქართლის ველზე (მარნეულის რ-ნი) ყორღანები არსებობენ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოდან ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე და აღნიშნულია, რომ ქართლის ვაკეს საზამთრო საძოვრებისათვის იყენებდნენ უფრო შორეული ადგილებიდან მოსული ტომები².

იმირის გორის (შულავერი) ნასახლარზე სამარხი ჩაჭრილი იყო უშუალოდ ნასახლარის კერაში, საკმაოდ რბილ თიხაში. იგი ორიენტირებული ჩანდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხის სიგრძე დაახლოებით 3 მეტრს უდრიდა, სიგანე 1,5 მეტრი. სამარხს მოგრძო ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა; მიცვალებული ესვენა ორმოს სამხრეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი ეკავა ჩატანებულ ინვენტარს - თიხის ჭურჭელს³. სამარხეული მასალა ძირითადად თიხის ჭურჭლისაგან შედგება, რომელზეც აღნიშნულია, რომ უმეტესობა ნაკლებ დამახასიათებელია ქვემო ქართლის თანადროული ძეგლებისაგან მომდინარე კერამიკისთვის და უფრო შორეული რაიონების კერამიკასთან იჩენს მსგავსებას⁴. უფრო კონკრეტულად კი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანსა და სომხეთის ტერიტორიაზე, ისე კახეთსა და შიდა ქართლში მოსახლე ტომებთან⁵.

ე. წ. მსხვილმარცვლოვანი ჭურჭლები ძირითადად ცნობილია კახეთიდან და თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით, ანალოგიური კერამიკა იორალაზნის აუზის გავლენით იჭრება შიდა ქართლშიც (სამთავრო, თლია). ჩანს, უხეში თიხისაგან დამზადებული ფრჩხილებისებრჭდეებიანი ჭურჭელი ქვემო ქართლში კახეთიდან შემოდის, ისიც ცოტა გვიან და თანაარსებობს აქ ნაპრიალები ორნამენტით შემკულ შავპრიალა ჭურჭელთან. იმავე ტექნიკით შესრულებული ორნამენტი ცნობილია სომხეთის მასალებიდან. აღნიშნულია, რომ მეტად უცხო ჩანს ქვემო ქართლისთვის შულავრის №12 სამარხის ორი შავპრიალა ქოთანის, რომელთა მხრებზე წერტილოვანი შტამპით შესრულებულია ტეხილდენტური ორორნამენტით ამოვსებული თეთრი მასალა შავპრიალა კერამიკაზე თეთრად ინკრუსტირებული ორნამენტით ძირითადად გვხვდება აღმოსავლეთ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში⁶.

აღნიშნულია, რომ შულავრის №12 სამარხი რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIV საუკუნით, აღმოჩნდა მასალა, რომლის მიხედვით კავშირი ჩანს, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე, ისე კახეთსა და შიდა ქართლში მოსახლე ტომებთან. გამოთქმული ვარაუდით, ქვემო ქართლის ვაკე წარმოადგენდა იმ რაიონს, რომელსაც საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ აღნიშნული რაიონებიდან მოსული ტომები. აქ ხდებოდა კონტაქტები და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ტომებს შორის, მომთაბარე მესაქონლეობა ყოველთვის შეიცავს „ყაჩაღობის“ ელემენტს. დროდადრო საძოვრებისათვის ტომებს შორის საკმაოდ მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც მათი დანაწილებით უნდა დამთავრებულიყო. თითოეული ტომი იკავებს გარკვეულ ტერიტორიას, თავისი მთითა და ბარით და ეყრება საფუძველი ხევების ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბებას (ი. კიკვიძე). ერთ-ერთ ასეთ ხევად ძვ. წ. I ათასწლეულის

¹ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

² ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1969, გვ. 12.

³ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁴ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

⁵ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

⁶ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32-33.

დასაწყისისათვის ქვემო ქართლი ჩანს, თავის მოსაზღვრე დღევანდელ ჩრდილო სომხეთთან ერთად. ტომების გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში ერთ ადგილას მიმაგრებამ (რკინის შემოსვლასთან ერთად) ხელი შეუწყო (იქ, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა) მიწათმოქმედების აღორძინებას, ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ქვემო ქართლში ნამოსახლარები განლაგებულია, ძირითადად, მდინარეების პირას გაშლილ ველებში და წყალგამყოფ ქედებზე. აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლართა უმრავლესობა მთისწინა ზოლში მდებარეობს. ბარის მჭიდრო დასახლება უმთავრესად ქვემო ქართლისათვის არის დამახასიათებელი. ამის მიზეზად თვლიან იმას, რომ ქვემო ქართლის ვაკე მოსარწყავად ადვილად მოსაწყობია, რომ მისი სარწყავად ათვისება რთულ ზომების მშენებლობას არ მოითხოვდა¹.

ქვემო ქართლის ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების (დმანისის რ-ნი, სოფ. განთიადი) სამარხები წარმოადგენდა მოგრძო ქვაყუთებს, ზოგიერთი კი ქვასამარხს და ორმოსამარხს, რომელიც შედგენილი იყო ბრტყელი ნაგლეჯი ფილებისაგან. გადასახურად გამოყენებული იყო ერთი ან ორი მოზრდილი ფილაქვა. აქ შეინიშნება მიცვალებულის დამხრობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე ფეხებმოკეცილი². მიცვალებულის, უმეტესად „მელითონის“ სამარხში, აღმოჩნდა რამდენიმე ჩამოსასხმელი ყალიბი³.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეების სამარხებიდან უმრავლესობა ქვის სამართხია, ერთი კი ორმოსამარხი (სოფ. განთიადი). ამ სამარხებიდან ზოგიერთში (მაგ. სამარხი №2) შეინიშნება მიცვალებულის დამხობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩენილია თიხის დოქი, ჯამი - სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში და სხვადასხვა სახის სამაჯურები, კოჭობი, ბრინჯაოს ისრისპირი, მძივები და სხვ.⁴.

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა ხანებში მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე გამოვლინდა ცვლილებები დაკრძალვის წესში, რაც ძველი ორმოსამარხებისგან განსხვავებული იყო და ბევრად უფრო მსგავსი თრიალეთის ყორღანულ სამარხებთან, სადაც მიცვალებულის კრემაციაც შესამჩნეველია, რაც არქეოლოგებს აძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ სამხრეთ საქართველოში გაფურჩქნილი კულტურა უკვე II ათასწლეულში ინაცვლებს მდ. მტკვრის სანაპიროებისკენ ანუ ჩრდილოეთით⁵.

II ათასწლეულის დასაწყისის მცხეთის სამარხების მოწყობა და რიტუალი დიდად არ განსხვავდება წინა ეპოქის სამარხებისაგან და თითქმის ეს მდგომარეობა ნარჩუნდება ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდე. ძირითადად დიფერენციაცია ეფუძნება ინვენტარის ნაირგვარობას. ყველა სამარხი წარმოადგენს ორმოსამარხს, რომელსაც ოვალური ან ოთხკუთხა ფორმა აქვს, რომლის ფსკერზე დამარხულია მიცვალებული მოხრილ ან მოკუნტულ მდგომარეობაში გვერდულად, მძინარე ადამიანის პოზაში. ამ ეპოქაში მიცვალებულის საიქიო სამყაროში ყველანაირად შეიარაღებულს, ჩაცმულს მიწიერი ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი ნივთით ისტუმრებდნენ⁶.

¹ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.

² გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38-39.

³ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

⁴ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65-68.

⁵ Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тб. 1955, გვ. 46-48. იხ. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, გვ. 132.

⁶ Г. А. Ломтатидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 48-49.

გ. ლომთათიძის აღნიშვნით, II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში მცხეთაში შეინიშნება ადრებრინჯაოს კულტურის ბრწყინვალე გაფურჩქნა, რაც სამთავროს მაგალითზე შეიარაღების ნივთების ახალი მძლავრი ფორმების გაჩენაში გამოიხატება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხმალი, რომელთა ერთ-ერთი სახეობა ბლავწვერიანი ხმალი თავის პარალელებს მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს იმ ადგილებში პოულობს, რომელიც მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობს. სხვა ტიპის ხმლებს ცალკეული პარალელები მოეპოვება მდ. მტკვრის სამხრეთ და ქვემოთ ახერბაიჯანთან მოსაზღვარე რაიონებში¹. აღნიშნულია ისიც, რომ ამ დროის სამარხეული ინვენტარის მიხედვით, უკვე გამოკვეთილად შეიძლება საუბარი ერთი მხრივ საზოგადოების რიგითი წევრების სამარხებზე (რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენს), ხოლო მეორე მხრივ მაღალი წრის მეომრებზე, რომლებიც როგორც ჩანს ითავსებდნენ კულტის მსახურის ფუნქციებსაც².

სამთავროს სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მამაკაცებს მარხავდნენ მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალებს – მარცხენაზე. იგივე წეს-ჩვეულებასთან გვაქვს საქმე თრელსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ სამაროვნებზე. საყურადღებოა ერთ-ერთი სამარხი, სადაც სავარაუდოდ ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწობილი ჰქონდა სამი სადგარი მიცვალებულს თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი³. თრელის სამაროვანზე ადრე რკინის ხანიდან (ძვ. წ. აღ. XIII საუკუნე) დაახლოებით ამ პერიოდიდან იცვლება სამარხთა ტიპი და მასში აღმოჩენილი მასალა. ამ დროიდან დაწყებული თრელისა და სამთავროს ძეგლები უახლოეს მსგავსებას პოულობენ ერთმანეთთან. გამოთქმული მოსაზრებით, ძვ. წ. XIV საუკუნეებში კი თრელის სამაროვანი, ისევე, როგორც კახეთი და თრიალეთი, სხვადასხვა კულტურის წრეში შედიოდა. ძვ. წ. XIII საუკუნიდან კი დიდმის ხეობაში შიდა ქართლიდან ვარაუდობენ ახალი ეთნიკური ელემენტის შეჭრას, რომელსაც სხვა კულტურა მოაქვს თან⁴.

აღნიშნულია, რომ ძვ. წ. XII-X საუკუნეების თლიის სამაროვნები წარმოადგენენ ძირითადად ინდივიდუალურად (იშვიათად დაკრძალულია ერთად ქალები და კაცები) ან ოჯახური ან მართკუთხა ფორმის ქვის ყუთებს სადაც ყველა სამარხში ჩონჩხი იდო მოკრუნხულ მდგომარეობაში მარცხნივ. გამონაკლისია სამი-ოთხი შემთხვევა, სადაც მარჯვენა მხარეს იყვნენ დასვენებულნი⁵. თლიის სამარხებში მარჯვენა გვერდზე დაწოლილად მარხავდნენ როგორც ქალებს, ისე კაცებს, რომელიც განასხვავებს მას საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ისეთი სამარხებისაგან, სადაც გარდაცვლილ მამაკაცებს კრძალავდნენ მარჯვენა მხარეს დაწოლილად, ხოლო ქალებს – მარცხნივ. აღნიშნულია, რომ სამარხის ასეთი განაწილება (სქესის მიხედვით) დამახასიათებელია ყობანის სამარხისათვის და ხარაჩავესის სამაროვნისათვის, რომელ უკანასკნელში სქესთა განაწილების მხრივ პირიქით ვითარებასთან გვაქვს საქმე (ქალებს მარჯვნივ, კაცებს – მარცხნივ)⁶. თლიის სამაროვნებზე მიუხედავად სქესისა და ასაკისა ყველა

¹ Г. А. Ломтаидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.

² Г. А. Ломтаидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55.

³ თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, დასახ. ნაშრომი, გვ. 61

⁴ თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, დასახ. ნაშრომი, გვ. 85

⁵ Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э., М. 1977, გვ. 63-64.

⁶ Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, გვ. 65-66.

ჩონჩხი ორიენტირებულ იყო თავით ჩრდილოეთისკენ (ზოგჯერ დასავლეთით მცირედენი გადახრით). მსგავსი დაკრძალვის წესი გვიანბრინჯაოს ბეშთაშენის (თრიალეთი) სამარხებშია ფიქსირებული¹.

თლის სამარხებში დიდ როლს თამაშობს რიტუალში ცეცხლი, არა კრემაციის სახით, არამედ, როგორც ჩანს დაკრძალვამდე ანთებდნენ ცეცხლს სამარხში ან დაკრძალვის შემდგომ ყრიდნენ ნაკვერჩხლებს. ამოხენილია ასევე ობსიდიანის და კაჟის ნამტვრევები, გამოყენების კვალი, რომელიც უამრავ ხალხში თილისმის და მაგიური საგნების როლს ასრულებდა. ბრინჯაოს ან თიხის ჭურჭლები ყველა სამარხში იყო ჩადებული, მიუხედავად სქესისა თუ ასაკისა. მას უმთავრესად დებდნენ მიცვალებულის თავთან ან ზურგთან. ქალთა სამარხებში ნაპოვნია სხვადასხვა სამკაულები².

გ. გობეჯიშვილის აღნიშვნით, დმანისის რაიონში, სოფ. საფარლოს ახლო სამაროვნის შესწავლამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ქართველ ტომებს ერთსადა იმავე ეპოქაში სხვადასხვა ადგილას სულ სხვადასხვა ტიპის სამარხები უმართავთ. დმანური სამარხების ინვენტარი ზედმიწევნით იმეორებს სამთავროს X-VII სს. ინვენტარს, მაგრამ მათი უმრავლესობა უბრალო ორმოებს კი არ წარმოადგენს, არამედ ქვის ბრტყელი ფილებისაგან შეკრული ნაგებობანია, ისეთივე, როგორც სამთავროს ახ. წ. I-VIII სს. სამარხები, ოღონდ უფრო მომცრო (საშუალო სიგრძე 109-110 სმ, სიგანე 48-50 სმ), ვიდრე ეს უკანასკნელნი³.

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ერთ-ერთი, სავარაუდოდ წარჩინებული მეომრის სამარხის მაგალითზე, გ. გობეჯიშვილის თქმით, ამ დროს უკვე შორს არის წასული საგვარეულო თემის დაშლის პროცესი. საზოგადოების სათავეში მოქცეულია გვარის ზედა ფენა ანუ გვაროვნული არისტოკრატია პოლიტიკურად და ქონებრივად. მისივე აზრით, გვარის შიგნით მზარდი დიფერენციაციის სურათი ძლიერ კარგად მოჩანს მცხეთის ორმოსამარხების ფონზე. ჯერ კიდევ უძველეს ძეგლებში გამოიყოფა წარჩინებულთა სამარხები. მისივე ვარაუდით, იქ მხოლოდ წარჩინებული მეომრები ან გვარის საპატიო წევრები არიან დაკრძალულნი. აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს გვაროვნული თემის შიგნით გაჩენილ სერიოზულ ბზართან, რომელიც შემდეგ თანდათან ფართოვდებოდა, სანამ თემური წყობილების ეკონომიკური საფუძველი სულ არ გამოიფიტა⁴.

ნაცარგორის მეორე და მესამე ფენებმა, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასასრულს და პირველი ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის⁵, გამოავლინა სენაკები, რომლებიც ნაგები ყოფილა რიყის ქვით და ხის მასალით, ხოლო შემდეგ შეუღესიათ თიხის სქელი ბათქაშით. კედლებზე გაუმართავთ თაროები, შესაწირავად მიტანილი ნივთების დასაწყობად. სამლოცველოს ერთ კუთხეში იდგა საკურთხეველი, ხოლო სხვა ნაწილებში – სამსხვერპლოები და კულტის მსახურთათვის განკუთვნილი სხვა ნაგებობანი. საკურთხეველებთან ელაგა ღვთაებათა და ცხოველთა ქანდაკებები და იქვე სრულდებოდა სარიტუალო ცერემონიალი და მსხვერპლთშეწირვა. როგორც აღნიშნულია, შესაწირავთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია

¹ Б. В. Тетов, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

² Б. В. Тетов, დასახ. ნაშრომი, გვ. 66-67.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მასალას (ნამგლები, ხელსაფქვავეები, მარცვლეული, თიხის „პურები“ და სხვა). გ. გობეჯიშვილი გამოთქვამს ვარაუდს აქ მიწათმოქმედების ანუ ნაყოფიერების ღვთაების კულტის არსებობაზე. მისივე აზრით, მიწათმოქმედებას ისინი უკავშირებდნენ ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებას, რომლის წმინდა ცხოველად ხარი ყოფილა მიჩნეული. ერთ-ერთ სამლოცველოში საკურთხევლის ზემო ნაწილი ხარის თავის მიბაძვით იყო გაფორმებული და, ამას გარდა, გარშემო იდგა ხარის სამი დიდი ქანდაკება, საკურთხევლის ერთ კუთხეში მიძერწილი იყო იყო მზის სიმბოლოს გამოსახულება – სვასტიკა. გ. გობეჯიშვილის ვარაუდით, ნაცარგორის II და III ფენის სამლოცველოები, საკურთხევლები და შესაწირავად მიტანილი საგნები ახლო ენათესავენ ძველ წინა აზიაში და კრეტულ-მიკენურ სამყაროში გავრცელებულ ანალოგიურ ძეგლებს. ასე, მაგალითად, ნაცარგორაზე აღმოჩენილია რქებიანი საკურთხეველი და საფეხურებიანი საკურთხეველი, რომლებიც მოგვაგონებს ლეგენდარული მინოსის სასახლის საკულტო ნაგებობებს, თუმცა, მის გარედან ნასესხობას ავტორი გაუმართლებლად მიიჩნევს¹.

ი. კიკვიძის კვლევით, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოსახლეობა თანდათან იჭერს აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა ზოლს და ბარის დასახლებების ტოპოგრაფია მეურნეობის ხასიათსა და კლიმატური პირობებისადმი დამოკიდებული. შიდა ქართლში უმთავრესად დასახლებულია მთისძირა ზოლი, რადგან აქ შედარებით იოლია მარტივი სარწყავი სისტემის გამართვა. ქვემო ქართლში კი მიწათმოქმედნი სხედან როგორც მთისძირა ზოლში, ასევე ბარში (ბარის ნაწილი მესაქონლეებს უკავიათ). კახეთში, ალაზნის აუზში უმთავრესად მიწათმოქმედნი სახლობენ, ზოგი მესაქონლეთა ნაკვალევით შეიმჩნევა (ლაგოდების ყორღანები), იორის აუზი უფრო მესაქონლეობის ზონაა, თუმცა აქ მიწათმოქმედებაც საკმაოდ განვითარებულია².

აღნიშნულია, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან შემოდის დასახლების ახალი ტიპი. ნამოსახლართა უმრავლესობა შიდა და ქვემო ქართლში, გარე კახეთში, დასავლეთ ქიზიყში და სხვა ბუნებრივ ბორცვებზე – გორებზეა დადასტურებული. გორანამოსახლარები უკვე ენეოლითიდან არის ცნობილი, მაგრამ ადრინდელ გორებსა და გვიანბრინჯაოს ხანიდან გავრცელებულ გორა-ნამოსახლარებს შორის არსებითი სხვაობაა. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში გორა-შემადლება წარმოშობილია საამშენებლო კორიზონტების დაფენების შედეგად. გვიანბრინჯაოს ხანაში კი, სპეციალურად ირჩევენ სამოსახლოდ ბუნებრივ ბორცვს. ბორცვებზე დასახლება ადრეც გვხვდება (ცხინვალის ნაცარგორა), მაგრამ, ჯერ ერთი, ადრეული ხანის დასახლებისათვის ბუნებრივი გორები ტიპური არ არის, მეორეც, მათ დროებითი, სეზონური სადგომის იერი უფრო აქვთ, ვიდრე სტაციონარული ნამოსახლარისა³.

ი. კიკვიძის აზრით, გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე, თუმცა მასიურად ბორცვებზე დასახლება გვიანი ბრინჯაოს განვითარებულ სტადიაზე უფრო ჩანს. შუაბრინჯაოს ნამოსახლარები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ხანაში მოსახლეობა ბორცვებს სამოსახლოდ მაინცდამაინც არ ეტანება. შუაბრინჯაოს ხანის ბოლოს კვლავ ხდება ნამოსახლარების მიტოვება და ახლის ძიება.

¹ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-96.

² ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ. 1976, გვ. 92.

³ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

ავტორისავე აზრით, მოსახლეობა ბარში კვლავ დასახლებისთანავე არ უნდა ასულიყო ბორცვზე. ამ დროს მეურნეობა ჯერ კიდევ შერწყმული ხასიათისაა და მესაქონლეობა და მიწათმოქმედება მკვეთრად გამოიჯნული არ არის. მისივე თქმით, უფრო გვიან კი, როდესაც მესაქონლეობამ აშკარად ჩამოყალიბებული მომთაბარული ხასიათი მიიღო და იგი მიწათმოქმედებას ემიჯნება, მოსახლეობას თავი გამაგრებული ადგილებისათვის უნდა შეეფარებინა, რადგან მესაქონლეობა ზრდის ყაჩაღობის ელემენტს და ომს, საქონლის მოტაცებას მეურნეობით ხასიათს აძლევს. ამიტომ, როგორც მესაქონლე, ისევე მიწათმოქმედ ტომებსაც უნდა ეზრუნათ სოფლების გამაგრებისათვის. მისივე აზრით, ამ მომენტიდან უნდა დაწყებულიყო გორების ბუნებრივი სიმაგრეების მასიური დასახლება¹.

კ. ფიცხელაურის მასალებით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კახეთის ნამოსახლარები განლაგებული არიან ჯგუფებად. გორები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან რამდენიმე ასეული მეტრით. ამავე დროს, მათთვის ადგილი ისეთ მადლობზეა შერჩეული, რომ მეზობელი სამოსახლო ყოველთვის მხედველობის არეშია. ავტორი ფიქრობს, რომ ეს თავდაცვის მიზნით ხდებოდა და ურთიერთდაზღვევის ფაქტი ამ ბორცვებზე მოსახლეთა ნათესაურ ურთიერთობაზე მეტყველებს². ავტორისავე აზრით, ნამოსახლარი გორის გამაგრება იმის მანიშნებელიც უნდა იყოს, რომ აქ დიდი და არა ინდივიდუალური ოჯახი ზის. ეს გამაგრება ბორცვის გარშემო თხრილის შემოვლებაზე შორს არ მიდის, მაგრამ თხრილის გათხრაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და წყვილადი ოჯახი მას ვერ გასწვდება³. ი. კიკვიძე კახეთის თითოეული გორა-ნამოსახლარს, უფრო გვარის, როგორც დიდი ოჯახის სამოსახლოებად მიიხსნევს. გვარის დაშლა სოციალური განვითარების სავსებით ლოგიკური შედეგია, მაგრამ დიდი ოჯახების წარმოქმნა უკვე სამეურნეო ვითარებით არის გამოწვეული⁴.

მ. ხიდაშელის აღნიშვნით, როგორც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, ისე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ადამიანის გორაზე დასახლებას მსგავსი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები განისაზღვრა. ადამიანის წარმოდგენით, იგი ქაოსის მუდმივ გარემოცვაში ცხოვრობდა. ქაოსის სრული განადგურება⁵ შეუძლებელი იყო. მისი უარყოფითი ძალები პერიოდულად ემუქრებოდნენ კოსმოსის წესრიგს. ქარიშხალი, წყალდიდობა, ომიანობა, ხანძარი, ავადმყოფობა, განაგრძობს ავტორი, გაიაზრებოდა, როგორც ქაოსის შემთხვევა, რაც ქაოსის და კოსმოსის ახალი ბრძოლის დასაწყისის მაუწყებელი იყო. მისივე აზრით, ამ საფრთხისგან დაცვა ყველაზე უკეთ მთაზე, გორაზე შეიმჩნეოდა, რადგან ადამიანთა წარმოდგენით, მთა შესაქმის შედეგად შექნილ კოსმოსს განასახიერებდა, სამყაროს ცენტრში მდებარეობდა და ამდენად, ადამიანთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. პრაქტიკულ საქმიანობაში კი სოციუმი თავის დასახლებას თხრილით ამაგრებდა⁶. თუმცა გვაროვნული თუ ადრეკლასობრივი საზოგადოების გორა-სამოსახლოები არა ბუნებრივი ფორმით, არამედ მათი

¹ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101-109.

² კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

³ კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁴ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁵ მ. ხიდაშელი, შიდა ქართლის საცხოვრისი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, თბ. 2009, გვ. 144.

⁶ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

ხელოვნურად აგების გზითაც იმართება დიხა-გუძუბების სახით ძველ კოლხეთში, რაც თავდაპირველი შინაარსით ყოველგვარ სარწმუნოებრივი იდეოლოგიისგან შორს არის და მოსახლეობის მთიდან ბარში მიგრაციას გვაუწყებს. მათი გამართვა მხოლოდ და მხოლოდ მათ თავდაცვით ფუნქციებზე მიუთითებს¹.

კ. ფიცხელაურის აზრით, შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, რომელიც ჩამოყალიბებულია თრიალეთის კულტურის ბაზაზე. გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურზე (ძვ. წ. XIII საუკუნიდან) იგივე ტერიტორიაზე ყალიბდება, თუმცა ერთმანეთთან ახლომდგომი, მაგრამ მაინც განსხვავებული ორი არქეოლოგიური კულტურა. კერძოდ, იორ-ალაზნის აუზში და უფრო დასავლეთითაც ვიდრე არაგვამდე გავრცელებულია ერთგვანოვანი კულტურა, რომლის წამყვანი იარაღია ე. წ. „კახური სატევარი“. შიდა ქართლის ტერიტორია კი ცალკე არქეოლოგიურ კულტურას ქმნის. შიდა ქართლზე დიდ გავლენას ახდენს დასავლურ ქართული კულტურა, რომლის გავრცელების ფარგლებია: აღმოსავლეთით – არაგვის ხეობა, ჩრდილოეთით – დიდი კავკასიონის მთიწინა ზოლი, დასავლეთით – სურამის ქედი, სამხრეთით – თრიალეთის ქედი, თუმცა იგი უფრო სამხრეთითაც იჭრება. ავტორისავე აზრით, ვითარება აბსოლუტურად იცვლება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის. ამ დროს შიდა ქართლში კვლავ ერთი კულტურა ჩანს გავრცელებული, იორ-ალაზნის აუზში კი სამი ლოკალური კულტურა ყალიბდება, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს (შიდა ქართლი და იორ-ალაზნის აუზი) იმ ტერიტორიაზე, სადაც ადრე ორი მონათესავე კულტურა იყო დამოწმებული, ადრეკინის ხანისათვის ოთხი კულტურა დასტურდება. ავტორი ამ მხარეში მონათესავე ტომთა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას ვარაუდობს, რომლის წიაღშიც ხდება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება². ი. კიკვიძის ვარაუდით, შეიძლება პირუკუ პროცესიც ან ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება არა გაერთიანების, არამედ ტომთა განცალკევების ბაზაზე. მისივე აზრით, უკვე გვიანბრინჯაოს ხანიდან აღმოსავლეთ საქართველოში ლოკალური კულტურები ყალიბდება, რომელიც შეიძლება ეთნოსებს დაუკავშიროთ³. ავტორი, არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ შუაბრინჯაოს ხანაში სოციალური განვითარება უფრო შორს ადარ წასულა. გვიანბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, ტომთა კავშირები იშლება. ტომი უფრო მცირერიცხოვანია. ყოველ შემთხვევაში, დიდი სამარხ-ნაგებობები ადარ გვხვდება, მისივე აზრით, ეს შეიძლება სამეურნეო ცხოვრების შეცვლითაც იყოს გამოწვეული. ყორღანი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე კვლავ გვხვდება. მაგრამ ის უფრო ყორღანის იმიტაციას მოგვაგონებს. აქა-იქ დადასტურებულია შედარებით მოზრდილი სამარხები, რომელიც შეიძლება სახლის, გვარის ან თემის ბელადს და უხუცესს ეკუთვნოდეს. ავტორისავე აზრით, ყორღანები უფრო მესაქონლეებმა შეინარჩუნეს, მიწათმოქმედნი კი უკვე შუაბრინჯაოს დასასრულიდან ორმო-სამარხებში იმარხებიან. გვიანბრინჯაოს სამარხის სიმდიდრე ქონებრივ შეძლებულობაზეა დამოკიდებული, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კი იგი სოციალური მდგომარეობით იყო განსაზღვრული.

¹ იხ. დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ. 2010, გვ. 20-50.

² კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

³ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

პირველი მემკვიდრეობითა და გარკვეული ჯგუფის წინსვლის მაჩვენებელი. სოციალურ იერარქიაში მას მყარი საფუძველი აქვს. მეორე არჩევითა და პიროვნების პირადი დამსახურებით არის განპირობებული და არა ეკონომიკური და სოციალური ბაზისით. ამდენად, ავტორის დასკვნით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ყველა კომპონენტი გვაქვს ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის: ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელსაც თავისუფლად შეუძლია აწარმოოს ჭარბი პროდუქცია მეურნეობაში დაუკავებელი მოსახლეობის გამოსაკვებად; წინაპრის კულტთან შეზრდილი უაღრესად განვითარებული ბელადის კულტი, ქონებრივი უთანასწორობა, ე. ი. ქონებრივად დაწინაურებული სახლები როგორც ჩანს, მიმართავდნენ სოციალურ მძლავრობასაც. ბოლოს გვიანბრინჯაოს ხანიდან გვაქვს სატადრო ორგანიზაცია, რომელიც აკანონებს ბელადის კულტს და მას სამემკვიდრედ ხდის¹.

გ. ავალიშვილის თქმით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამიერკავკასიაში მიუხედავად კულტურათა დიდი მსგავსებისა მაინც შეინიშნება ამა თუ იმ რაიონის ლოკალურობა. ავტორს ეს ერთი კულტურის რამდენიმე ლოკალურ ვარიანტებად მიაჩნია. მისივე აზრით, სწორედ ქვემო ქართლი და დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ამ დროს ერთ მთლიანს, როგორც ეკონომიურად, ისევე პოლიტიკურად. ამ ლოკალურობას ავტორი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს როლით და ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ერთიანი ძალით ვანის სამეფოს ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლით ხსნის².

გ. მელიქიშვილის მიხედვით, ამ პერიოდში ქართველი ტომების სამხრეთი საზღვარი უნდა ყოფილიყო ერზრუმი-ყარსი-ლენინაკანი-სევანის ტბა³.

ი. კიკვიძის აზრით, შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხური კულტურის დიდ გავლენას განიცდის. ეს გავლენა განსაკუთრებით რელიეფურად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ჩანს. საერთოდ, შიდა ქართლი ამ დროსაც ისევე, როგორც ადრებრინჯაოს ხანაში აღმოსავლური და დასავლური კულტურების შემაერთებელი რგოლია. თუ კერამიკა აღმოსავლური კულტურის იერს ატარებს, ლითონი უფრო კოლხურია. ამიტომ ბრინჯაოს თოხების აქ გამოჩენა სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს. მარალინ-დერესის სამაროვანზე აღმოჩენილი თოხი ჯერ ერთი, იმის მოწმობაა, რომ კოლხური კულტურა შიდა ქართლზე უფრო შორს სწვდება, მეორეც, იგი ქვემო ქართლში ამ თოხების გამოყენების საბუთია⁴.

ოთ. ჯაფარიძის აზრით, კოლხური კულტურა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს და განვითარების ორი საფეხური გამოიყოფა – გვიანბრინჯაოს ხანა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ მეორე ნახევარში ექცევა და ადრერკინის ხანა, რომლის დასასრული ძვ. წ. VII ს-ის ბოლოზე მოდის. მისივე აზრით, კოლხური კულტურის ხანაში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი იმ ძველ ტრადიციებთან, რომლებიც განუზომლად ბატონობდნენ მეურნეობაში კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანამდე. ახლა შემოდის სრულიად განსხვავებული სახის ლითონის სამეურნეო იარაღი, რომელსაც უკვე აღარაფერი აქვს საერთო წინარე ხანაში გავრცელებულ ქვისა და ძვლის იარაღთან. სხვაზე მეტად, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ჩრდილო-

¹ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

² გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

³ Г. Меликишвили, Наირи-Урарту, Тб. 1954, გვ. 115.

⁴ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

დასავლეთი ნაწილი ჩანს დაწინაურებული, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა ყუბანისპირეთის მხარეს და მის გავლენას განიცდიდა. კოლხეთში საზოგადოების განვითარება თავისი გზით მიდიოდა რაიმე საგრძნობი გავლენის გარეშე. კოლხეთის ისეთ ოლქებშიც კი, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამ დროს თრიალეთის მაღალგანვითარებული კულტურა ბატონობდა მასთან არავითარი კავშირი არ შეინიშნება. მეორე მხრივ ავტორი კოლხურ კულტურას წინარე ხანის კულტურის საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევს. მისივე თქმით, სწორედ ამ წინამორბედ პერიოდში ექებნება პროტოტიპები კოლხური კულტურის მთელ რიგ წამყვან იარაღს¹. კოლხური კულტურის ადრინდელ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი მეტალურგიული კერა ჭოროხის აუზში უნდა არსებულიყო. ჭოროხის მეტალურგიული ცენტრის გვერდით ამ დროს უკვე სხვა უფრო წვრილი კერებიც არსებობდნენ სამხრეთ კოლხეთში².

ო. ჯაფარიძის თქმით, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდის სამხრეთით მდებარე ოლქების საკმაოდ დიდი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები აღმოჩნდა ართვინის ოლქში. სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლხური კულტურის გავრცელების საზღვარი ყარსის მხარეზე აღწევდა. ავტორის აზრით, ეს მხარე გვიანბრინჯაოს ხანაში ორი (აღმოსავლურ-ქართული და კოლხური) კულტურის სფეროში იყო მოქცეული და შემდეგში ხდება აქ აღმოსავლურ-ქართული კულტურის მომძლავრება. აქ დაახლოებით ისეთივე სურათი ისახება, როგორსაც შიდა ქართლში ვხვდებით, სადაც ამ დროისათვის აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავლენამ იმატა³. კოლხური კულტურის ხანაში ფართოდაა ათვისებული რიონისა და ცხენისწყლის შუა და ზედა წელის აუზები რაჭა და ლეჩხუმი. მსგავსი კავშირი ცნობილია შიდა ქართლის უფრო დაბლობ მხარეებში და აგრეთვე აფხაზეთში. რიონის ზემო წელზე, სოფ. დებთან ბრილის სამაროვანზე აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსი და I ათასწლეულის დასაწყისი ხანების სამარხის სამი ტიპისა – ორმოსამარხები, ქვაყუთები და სპეციალურად მოწყობილი დასაკრძალავი მოედნები, სადაც ასამდე მიცვალებული იყო დაკრძალული. ამ მოედნებზე სრულდებოდა მიცვალებულის ნაწილობრივი დაწვა ინვენტართან ერთად. სამარხებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი და სამკაული. გამოთქმული მოსაზრებით, რიონის აუზის ზედა ნაწილი უფრო მეტად დაკავშირებული იყო ცენტრალური კავკასიონის სამხრეთის კალთებთან და ქართლის ჩრდილო ზოლის მთიანეთთან. ბრილის სამაროვანზე მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს პოულობს თლის სამარხებში გამოვლენილ ნივთებთან. სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ყუბანის კულტურასთან⁴.

კოლხური კულტურის გავრცელება მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი არ შემოიფარგლება. ამ კულტურის სფეროში შემოდიოდა მესხეთის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა სამხრეთ კოლხეთის ერთ-ერთ წამყვან ცენტრს ჭოროხის აუზს და მის საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდიდა. თრიალეთის კულტურის დაცემის შემდეგ შიდა ქართლში, რომლის გავრცელების სფეროში იგი შედიოდა,

¹ ო. ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ. 1982, №1, გვ. 61-62.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან თავისებური კულტურა ვრცელდება, რომელიც კოლხური კულტურის გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. უფრო ღრმად აღმოსავლეთ საქართველოში კოლხური კულტურის ელემენტი ნაკლებად აღწევს – კახეთში და ქვემო ქართლის ბარში. კოლხური კულტურის ნაკვალევი ამიერკავკასიაში საკმაოდ შორს ჩანს. კოლხური ცული, რკინის ინკრუსტირებულ ბალთასთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ ცულთან და შებისპირთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ვართაშენში, ნუხის მხარეში. კოლხური ელემენტი ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ სომხეთში. კოლხური კულტურის განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იგრძნობა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთის, ზემო იმერეთს და რაჭას. ხოლო უკვე ძვ. წ. II ათაწლეულის დასასრულიდან შიდა ქართლში მომძლავრებას იწყებს აღმოსავლურ-ქართული კულტურა. ამ პერიოდში თანდათანობით სუსტდება კოლხური კულტურის გავლენა; აქ ჩნდება შერეული ხასიათის კომპლექსები, ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები¹.

აღინიშნება ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შერეული კომპლექსებიდან ჩანს, რომ კოლხური ელემენტი აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში უფრო აქტიურია. უფრო ღრმად კოლხეთის ბარში აღმოსავლურ-ქართული კულტურის ელემენტი თითქმის არ შეინიშნება. მისი გავლენა სადღეისოდ ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმში ჩანს. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან კოლხური კულტურა ძლიერად იკიდებს ფეხს ცენტრალური კავკასიის სამხრეთის კალთის ზონაში. მდ. ღიახვის აუზის შუა და ზემო წელის რაიონი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს და შიდა ქართლში გავრცელებული კულტურის არეალში შედიოდა. აქ ყობანის კულტურა კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის და მისი ელემენტები ფართოდ იკიდებენ ფეხს ყობანის კულტურაში².

აღნიშნულია, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან საქართველოში შემოდის წითლად გამომწვარი კერამიკა, რომელიც თან მოჰყვება თიხის ჭურჭლის ახალ, ადრეკინის ხანის ქართული მატერიალური კულტურის სრულიად უცხო ფორმებს. გამოთქმული მოსაზრებით, საქართველოსათვის ახალი კერამიკის საწყისები საძიებელია სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ ურარტუში, სადაც სწორედ წითლად შეღებული და გაპლიარებული კერამიკა იყო გავრცელებული. წითელი კერამიკა (მოხატულთან ერთად) პირველად ქვემო ქართლში ჩნდება (ბეშთაშენის სამაროვანი ციხესთან). შეიძლება თვალი გაედევნოს თუ როგორ ვრცელდება იგი თანდათანობით VI-V საუკუნის განმავლობაში ჯერ შიდა ქართლში და შემდეგ დასავლეთ საქართველოში³.

ადრეუორდანული ხანის ქართლის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ახალგორის ე.წ. „განძი“, რომელიც ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება. გ. გობეჯიშვილის აზრით, ის სამი მიცვალებულის სამარხის ინვენტარს წარმოადგენდეს, ხოლო მისი მფლობელები საზოგადოების წარჩინებული წევრები იყვნენ, რომლებიც ქონებრივად და პოლიტიკურად მკვეთრად გაემიჯნენ ფართო მასებს. სამთავროს სამაროვანი ძვ. წ. III საუკუნიდან უკვე მნიშვნელოვან ცვლილებებზე მიუთითებს. იცვლება სამართხის ტიპი. იცვლება ინვენტარიც. ორმოსამარხებს ცვლის

¹ ო. ჯაფარიძე, გვ. 46-49.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-51.

³ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964, გვ. 67-68.

ქვევრსამარხები. ქრება ყოველგვარი იარაღი, თუ მხედველბაში არ მივიღებთ რკინის დანებს. სამაგიეროდ, ჩნდება სამკაულის ახალი ტიპები¹.

სამთავროს სამაროვანის ზედა ფენებში გათხრილ-შესწავლილია სხვა ტიპის მეტად მნიშვნელოვანი სამარხებიც – კრამიტის ან აგურ-კრამიტის სამარხები (ძვ. წ. I-ახ. წ. III სს.), ქვისსამარხები (ახ. წ. I-VIII სს.) და თიხის კუბოებიანი სამარხები (ახ. წ. IV-VI სს.). გ. გობეჯიშვილის აზრით, ყველა ამ ტიპის სამარხების მიხედვით ძლიერ რელიეფურად მოჩანს კლასობრივად უკვე გათიშული საზოგადოება. მცხეთის ექსპედიციის მიერ შესწავლილი სხვა უბნები გარდა ამისა, მოწმობს ჩვენში საკმაოდ განვითარებული მონათმფლობელური სახელმწიფოს არსებობასაც².

გ. გობეჯიშვილი ამ პერიოდში რამოდენიმე სიახლეს გამოყოფს. პირველი სიახლე არის ის, რომ ორმოსამარხებისაგან და ქვევრსამარხებისაგან განსხვავებით ქვის სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული არიან ზურგზე გაშობილი და თითქმის ყოველთვის თავით დასავლეთით დამხობილი, რასაც სარწმუნოებრივი ცვლილებით ხსნის.

მეორე სიახლე, უკვე ქვევრ - სამარხებიდან დაწყებული, იარაღ – საჭურველის თითქმის სრული გაქრობაა. მხოლოდ წარჩინებულთა სამარხებში, და ისიც არა ყოველთვის, ვხვდებით კეთილშობილი ლითონებით და ძვირფასი ქვებით მოჭედილ რკინის სატევარს და მისი ქარქაშის ასევე მდიდრულ გარსაკრავს³. ავტორი მიიჩნევს, რომ ვაჭრობისა და ხელოსნობის დაწინაურებამ შესაძლოა რამდენადმე „განაიარაღა“ ანტიკური დროის მცხეთელები და იბერიის სხვა კუთხეთა მცხოვრებნიც. მისივე თქმით, არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ თითქმის ამგვარსავე ცვლილებას განიცდიდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც, თუმცა იქაურ სამარხებში უფრო ხშირად, ვიდრე მცხეთაში, ჩნდება რკინის სატევარი, შუბი და საომარი ცული.

მესამე სიახლედ ავტორი მიიჩნევს, კეთილშობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვების დამკვიდრებას მცხეთის მოსახლეობის, უპირატესად მისი ზედა ფენის ყოფა - ცხოვრებაში, განსაკუთრებით ქვევრსამარხების დროიდან⁴.

მეოთხე სიახლე, ავტორისავე თქმით, მინის ჭურჭელს შემოაქვს.

მეხუთე სიახლე, რაც ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან მოკიდებული მცხეთაში და საქართველოს სხვა კუთხეებში შეინიშნება, არის ხუროთმოძღვრების სწრაფი განვითარება⁵.

მექვსე, უმნიშვნელოვანესი, სიახლე დამწერლობის განვითარებაა⁶.

წარწერები შესრულებულია ბერძნულსა და არამეულ ენებზე. არის ებრაული წარწერებიც⁷.

ი. გავოშიძის აღნიშვნით, გვერდზე მოკრუნხული პოზით ორმოსამარხში დამარხვა დაკრძალვის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი წესია ადრეანტიკური ხანის შიდა ქართლში. ქვემო ქართლში ამ დროს ქვაყუთებში მარხავდნენ⁸.

¹ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 112.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

⁴ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

⁶ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

⁷ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

⁸ ი. გავოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964, გვ. 78.

მ. ხიდაშელის აღნიშვნით, პირველი ათასწლეულის დასაწყისში, დაახლოებით ძვ. წ. IX ს. ბოლოდან, მთელს ამიერკავკასიაში ფართოდ ვრცელდება სახვითი ხელოვნების ერთი, მტიცივედ ჩამოყალიბებული მხატვრული მიმდინარეობა. ხელოვნების ამ წრისათვის დამახასიათებელი ძეგლები დამზადებულია ბრინჯაოსაგან. ისინი შემკულია გრაფიკული დეკორით შესრულებული მრავალფიგურიანი კომპოზიციებით. ამ სტილს პირობითად „კავკასიურ ცხოველურ სტილს“ უწოდებენ. ძველი კავკასიური ხელოვნების ეს მხატვრული სტილი აისახა ისეთ ძეგლებზე, როგორც არის ფართოდ ცნობილი კოლხურ-ყობანური ცულები, ამავე ტიპის აბზინდები, მშვილდსაკინძები მთელი სისრულით არის ასახული ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე, რომლებზეც ხშირად გადმოცემულია რთული, მრავალფიგურიანი კომპოზიციები და ორნამენტული სახეები. სარტყელები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საქართველოში სარტყელების უაღრესად საინტერესო ნიმუშები მოპოვებულია სამთავროს სამაროვანზე¹.

მ. ხიდაშელის აზრით, კავკასიური ცხოველური სტილი, როგორც გარკვეული მხატვრული ფენომენი, არსებობას იწყებს არა გვიანბრინჯაოს ხანაში, არამედ უფრო გვიან, I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში. ძვ. წ. IX-VIII სს. ამ სტილის აყვავების ხანად უნდა იყოს მიხნეული. ავტორი მიიხნევს, რომ ამიერკავკასიაში „ცხოველური სტილის“ ასეთი უეცარი წარმოშობა წინამორბედების გარეშე, ნაწილობრივ მაინც დაკავშირებულია რკინის ფართო ათვისებასთან. მეურნეობის ყველა სფეროში რკინის იარაღის გაბატონებამ შეზღუდა ბრინჯაოს როლი, რის შედეგად ბრინჯაო მხოლოდ სამკაულისა და საკულტო დანაშაულების საგნების დასამზადებლად გამოიყენებოდა. რკინის იარაღის გაბატონებამ განაპირობა ბრინჯაოს ნაწარმის ტექნიკური და მხატვრული დონის ამაღლება, არნახულად გააუმჯობესა ბრინჯაოს ნაწარმის ხარისხი და მისი ესთეტიკური ღირებულება ხელოვნების დონეზე აიყვანა². ავტორისავე აღნიშვნით, ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები და კოლხურ-ყობანური ძეგლები სტილისტური ერთიანობით გამოირჩევა. გარდა ამისა, ერთიანია ამ ძეგლებზე ასახული მხატვრული სახეები, მითოლოგიური კომპლექსები, მხატვრულ სახეთა ურთულესი სიმბოლიკა. სწორედ ამ სემანტიკური ერთიანობის საფუძველზე, კავკასიურ „ცხოველურ სტილს“ საფუძვლად დაედო საერთო იდეოლოგიური შეხედულებები. ავტორისევე აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელმა ხალხებმა თავიანთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე განვითარების რთული და განსხვავებული გზა გაიარეს, მაინც არსებობს საშუალება ამ ხალხების რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში გამოიყოს ის უძველესი, საერთო კავკასიური სუბსტრატი, რომელიც ყველაზე ნათლად სწორედ კავკასიურ „ცხოველურ სტილში“ არის ასახული³.

მ. ხიდაშელის მიერ შესწავლილი ცენტრალურ ამიერკავკასიაში, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, აღმოჩენილი ორმოცდათერთმეტი სარტყელიდან (თვრამეტი მოპოვებულია საქართველოში, თექვსმეტი სომხეთის, ხოლო ჩვიდმეტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) მხატვრული დეკორის ყველაზე პოპულარულ სახეს წარმოადგენს ირემი და ამ ცხოველზე ღვთაებრივი ნადირობის სცენა. სარტყელების ორმოცდათორმეტი

¹ გვ. 27.

² მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ. 1982, გვ. 48.

³ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

ცალიდან ირმის გამოსახულება გვხვდება ოცდათვრამეტ ნიმუშზე, ხოლო ამ ცხოველზე ღვთიური ნადირობა წარმოდგენილია ოც სარტყელზე. ავტორისავე თქმით, კოლხურ-ყობანური ცულების და აბზინდების უდიდეს ნაწილზე ასახულია ირმის გამოსახულებები, რომელსაც (ჯიხვის სახესთან ერთად) უდიდესი ადგილი ეჭირა ქართველი და კავკასიელ ხალხთა უძველეს რელიგიებში¹. ავტორისავე აზრით, სარტყელების დიდი ნაწილის სიმბოლიკა ცხოველთა მფარველი ქალღვთაების სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული. მისივე თქმით, ეს ღვთაება, უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში არსებობს. იგი მტკიცედ უკავშირდება ენეოლითის ხანაში გავრცელებულ ნაყოფიერების ყოვლისმომცველ დიდი დედის კულტს და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. სწორედ დიდი დედისაგან იღებს ცხოველთა მფარველი ღვთაება მემკვიდრეობით თავის ზომორფულ ინკარნაციებს².

ლორეს ციხესთან აღმოჩენილ სარტყელებში ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მამაკაცის დიდი ზომის გამოსახულებანი. მ. ხიდაშელის აზრით, სარტყელზე ჩვენ სოციალურად დაწინაურებული პირების, ტომის ბელადების, ან მხედართმთავრების გამოსახულებებთან უნდა გვქონდეს საქმე³.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში „ცხოველური სტილის“ ნაკეთობები ჩნდება ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში. ისინი ნაპოვნია ჩრდილოეთ შუაზღვისპირეთის ყორღანებში და ყუბანისპირეთში, რომელთან ერთად აღმოჩენილი ნივთები ტიპიურია წინააზიურ სტილისათვის (ურარტული, ასურული). ეს ყორღანები დაყრილია ბელადების საფლავების იმ სტელებზე, რომლებიც აწყობდნენ ადრეულ ლაშქრობებს წინა აზიაში⁴.

სკვითური ხელოვნების ყველაზე ძველი ნივთები განეკუთვნება ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულს და VI საუკუნის დასაწყისს⁵. ამ ხელოვნების ერთ-ერთი გამოსახულების ჯგუფი კავშირს ამჟღავნებს ძველი აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის გამოსახულებებთან. ეს არის ღომის მსგავსი მტაცებელი, მთის თხა, ფრინველი გაშლილი ფრთებით, აღმოსავლური გრაფიკის მეორე ჯგუფი კი არ განეკუთვნება ძველადმოსავლურ ხელოვნებას⁶.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში ძვ. წ. VI-V საუკუნეების ბეშთაშენის სამაროვანზე ჯერ კიდევ ბევრია საბრძოლო იარაღები, მაგრამ ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით აღარა გვხვდება. ამავე ხანაში ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დასავლეთ საქართველოშიც. შიდა ქართლის ადრეანტიკურ მასალებში იარაღი გამქრალია. ასევეა სამთავროს სამაროვანზეც, სადაც ძვ. წ. VI-IV და შემდეგი ხანის სამარხებში საბრძოლო იარაღი აღარა გვხვდება. თუმცა, რიგით სამარხებში იარაღის თითქმის სრული გაქრობის ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემია ამავე ხანის განსაკუთრებულად მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღის უხვად ჩატანების ფაქტები, რის შესანიშნავი ნიმუშია სამარხეული ინვენტარი ყანჩავეთიდან. ი. გაგოშიძის აღნიშვნით, ძნელია იმ საზოგადოებაში სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს, არ დავინახოთ

¹ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52-53.

² მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

³ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

⁴ Г. М. Бонгарод-Левин, Е. А. Грантовский, От Скифии до Индии, М. 1983, გვ. 19.

⁵ В. А. Ильинский, Некоторые мотивы раннескифского зверного стиля, Советская археология, М. 1965, №1, გვ. 105.

⁶ В. А. Ильинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მათან ერთად ძალაუფლებაც საზოგადოების გარკვეული, უფლებრივად და ეკონომიურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია; სადაც იარაღის ტარება და ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა ამ ფენის მოვალეობას და კიდევ უფრო მეტად მის პრივილეგიას შეადგენს, ხოლო მოსახლეობის ძირითადი, მწარმოებელი ნაწილი – მიწის მუშები და მოქალაქენი, „თავისუფალი“ იარაღისაგან და ფიზიკური თავდაცვის აუცილებლობისაგან, წარჩინებულები კი, პირიქით, მწარმოებლური შრომისაგან თავისუფლებიან. მისივე აზრით, ამავე წრის წარმომადგენელთა ხელში იქნებოდა ცხადია, პოლიტიკური და სასულიერო ხელისუფლებაც¹. ავტორი იმ საზოგადოებას, სადაც შეიქმნა ახალგორის განძის შემადგენელი ნივთები კლასობრივ საზოგადოებად მიიჩნევს. მისივე თქმით, იგივე საზოგადოებაა მშენებელი ურბნისის, ტირიფონის, მუხრანის გრანდიოზული სარწყავი სისტემებისა, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნეში უკვე მოქმედი სარწყავი სისტემებია. ავტორისავე აზრით, მათი მშენებელი სახელმწიფოს არსებობა ძვ. წ. V საუკუნიდან მაინცაა სავარაუდებელი, ხოლო საძეგურში და ყანჩავეთში დაკრძალულებს უკვე ერისთავებადაა მისაჩნვეი. ავტორი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ ფორპოსტთაგანად ადრეანტიკურ ხანაში, ქსნის საერისთავოს მიიჩნევს შიდა ქართლში². ვფიქრობთ, ი. გაგოშიძის სამართლიანი მოსაზრებით, ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ერთიანობის გამო ქართლსა და დასავლეთ საქართველოს შორის (ახალგორი-ყანჩავეთი-ითხვისი, შრომისუბანი-ვანი) ძვ. წ. V-IV საუკუნეების ეს პირველი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგივე სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, რომელიც ანტიკურ წყაროებში (პეროდოტე და სხვ.) კოლხეთის სახელითაა ცნობილი და რომლის ცენტრი ადრეანტიკურ ხანაში, დასავლეთ საქართველოშია საძიებელი. ავტორისავე თქმით, კოლხეთი აქემენიანთა ექსპენციას გადაურჩა. აქემენიდებს არც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია დაუპყრიათ. აქ ძვ. წ. VI-V საუკუნეთა მიჯნაზე აქემენიანთა სატრაპების ეპიზოდურ ლაშქრობებს ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც, შესაძლებელია, დაინგრა, მაგალითად, ხოვლე. ხანგრძლივი მშვიდობის ხანა უნდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარს აქემენიანთა იმპერიის მთელი ძალა და ყურადღება მცირე აზია-საბერძნეთისაკენ იყო მიპყრობილი. ამან გამოიწვია ეკონომიკური აღმავლობა და ავტორისავე თქმით, შემდეგ პოლიტიკურმა ცენტრებმა შიდა ქართლშივე გადმოინაცვლა წინა აზიიდან ამიერკავკასიაში. ეს ცვლილებები ჩანს ქართულ მატერიალურ კულტურაში. მისივე აზრით, შეიძლება ამავე ტალღას შემოჰყვა ღვთაებათა მცირეაზიური სახელები – არმაზი, ზადენი, რომელთა კულტი ადრეანტიკურ ხანაშივე უკვე ფართოდ გავრცელებული ჩანს საქართველოში. მისივე თქმით, აქემენიანთა იმპერიის თანამედროვე ამ პირველ ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ბოლო უნდა მოღებოდა აქემენიანთა იმპერიის დაცემისა და ალექსანდრე დიდის გარდაცვალების შემდეგ ატეხილ ომებში³.

გამოთქმული მოსაზრებით, სამარხებში ინვენტარის არარსებობა ან სიღარიბე მიცვალებულისადმი უყურადღებობაზე არ მოწმობს, შესაძლოა დასაკრძალი შესაწირი

¹ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები, გვ. 81-82.

² ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

³ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964, გვ. 81-87.

არ განეთავსებინათ სამარხში, არამედ გამოეყენებინათ დასაკრძალად განკუთვნილი ცერემონიების დროს¹.

გ. ავალიშვილის აღნიშვნით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხდება გამუდმებული ომები, ძლიერი ურარტუს სახელმწიფო აწყობს მრავალ ლაშქრობას სამხრეთ და ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ყველაფერი ძვირფასეულობა ნადავლის თუ ხარკის სახით იკრიფება და იგზავნება ვანის სამეფოს ადმინისტრაციულ ცენტრებში, ხოლო ძვ. წ. VI-V საუკუნეების შემდეგ, როცა ურარტუ აღარ არსებობს, ჩვენში უკვე ჩნდება მდიდრული სამარხები (წინწყარო, ყანჩაეთი, ყაზბეგი), უფრო ადრე, ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში შეიმჩნევა ურთიერთობა ვანის სამეფოსთან, განსაკუთრებით იარაღში, მაგრამ ეს გავლენა უფრო ვრცელდება დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით კი ადგილობრივი ფორმები დიდ უპირატესობას ინარჩუნებენ².

შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ჩანს უფლისციხე, სადაც, როგორც აღნიშნულია, წინაანტიკურ ხანაშივე წარმოქმნილა გორას ტიპის სამოსახლო, რომლის შემდგომ განვითარებას მონათმფლობელური ქალაქი მოუცია. კლდის სახლების გამოკვეთა აქ ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაში დაწყებულია³.

დ. ხახუტაიშვილის ანალიზით, ხოვლეს ძველ სინამდვილეში საკმაოდ რთული სამოსახლო საკულტო ცენტრი ტერიტორიულად განუყოფელ ერთეულადაა წარმოდგენილი. გარეგნულად განსხვავებული სურათია დადასტურებული ყათნაღისევის ბორცვებზე, სადაც ტერიტორიის უკმარობის გამო მოსახლეობა ჩამოშორდა ბორცვს და მტკვრისპირა სამოსახლოებს შეერწყა, რომელსაც ყათნაღისევის ბორცვის სამლოცველო ეკუთვნოდათ. ბრძოლა იმ თემის სასარგებლოდ დამთავრებულია, რომელსაც კლდეში ნაკვეთი სამოსახლო ეკუთვნოდა. თემთა შორის პოლიტიკური ჰეგემონის ძალმომრეობით შეცვლას გამოუწვევია დამარცხებული თემის სამლოცველოს დაცემა, რომლის ფუნქციები ამიერიდან გამარჯვებული თემის ხატს აუღია. კლდეში ნაკვეთი სამოსახლო ქცეულა უფლისციხის მიდამოების სამოსახლოთა (თემთა) არა მარტო პოლიტიკური, არამედ რელიგიურ ცენტრად და ჰეგემონად⁴.

ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეების სამარხებში უკვე ჩნდება სკვითური ტიპის ისრისპირები და პირველი ბრინჯაოს სამკაული, ასევე მიცვალებულთან ცხენის ჩატანების წესი (წიწამური)⁵.

გ. ავალიშვილის აღნიშვნით, ამიერკავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ადგილობრივ მატერიალურ კულტურაში შეიმჩნევა უცხო ელემენტები. კერძოდ განთიადი №2 ქვის სამარხში (ქვემო ქართლი) აღმოჩენილია ბრინჯაოს სამფრთიანი ღრუსამისრიანი ე. წ. სკვითური ისრისპირი, რომელიც (სხვადასხვა სახით) დიდ ტერიტორიაზე გვხვდება, დაწყებული აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან მდ. ენისემდე, ასევე წინა აზიასა და ჩრდილო ევკვიპტეში⁶. ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი რაოდენობით სკვითური ისრისპირები აღმოჩნდა მინგეჩაურის სამარხებში (ძვ. წ. VII-V საუკუნეები). ამ სამარხებში მიცვალებულები ზურგზე გაშლილები წვანან⁷.

¹ В.В Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 112

² გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ. 1974, გვ. 102.

³ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ. 1964, გვ. 53-54.

⁴ დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77.

⁵ Г. А. Ломтадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57.

⁶ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92-93.

⁷ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94-95.

ციხიანის მთის სამარხი წარმოადგენდა სწორკუთხა ორმოს, რომელიც მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა მხარეს თავით აღმოსავლეთისაკენ. უშუალოდ მის ზემოთ იწვა მეორე მიცვალებული იმავე მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს. მათ ფეხებთან იყო ბავშვის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში მარცხენა მხარეს თავით აღმოსავლეთისაკენ. ზედა მიცვალებულის თავთან ნაპოვნია თიხის ჭურჭელი – ხელადა, ხოლო ზურგთან ქოთანის. მკერდზე ნაპოვნია ბრინჯაოს საკიდი და ქინძისთავი, ხოლო კისრის არეში იდო ხუთი სარდიონის მძივები. ქვედა მიცვალებულის თავთან ნაპოვნია რკინის ნაჯახი. ბავშვის თავის ქალასთან აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს მავთულის საკიდი, მის მკერდთან – ხელადა, ხოლო ზურგთან ობსიდიანის ანატკეცი¹.

ა. ნუცუბიძე, ამ ტიპის ცულებს კოლხურ ბრინჯაოს ცულების შთამომავლებად მიიჩნევს, ზოგიერთს კი სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტად. იმავე ავტორის აღნიშვნით, აქ აღმოჩენილ შვიდივე სამარხში ერთნაირი დაკრძალვის წესია დამახასიათებელი, I ათასწლეულის შუა პერიოდის მცხეთას ძვ.წ. VI-IV სს და ძველ თრიალეთში ძვ.წ. VII-VI სს. აფხაზეთში ძვ. წ. VII-VI სს. მსგავსი ხელით დამზადებული ჭურჭლები, ავტორისავე კვლევით, დამახასიათებელია I ათასწლეულის ჩრდილო კავკასიის ძეგლებისათვის, ალტაის მხარისთვის V-III ძვ. წ., მდ. დნესტრის ბასეინისათვის, VIII-VII სს. მდ. დნესტრის ქვედა ბრინჯაოსათვის ძვ. წ. III-II სს. ავტორი დასაშვებად მიიჩნევს ამ ხელით ნაკეთები ჭურჭლების ტექნიკის სკვითების მიერ შემოტანას, რამდენადაც, მისივე აზრით, ეს კულტურა არ არის დამახასიათებელი არა მარტო I ათასწლეულის საქართველოსათვის, არამედ მისი მეზობელი მხარეებისათვის ჩრდილოეთის გარდა².

სკვითები და სარმატები მკვლევართა უმრავლესობის მიერ ინდოევროპულ ხალხადაა მიჩნეული³.

რ. ფრაის აზრით, ასურული წყაროები, როგორც ჩანს ყველა ჩრდილოეთ რუსეთიდან მოსულ ტომებს უწოდებდნენ კიმირიელებს, იმის მსგავსად, როგორც ბერძნები მას უწოდებდნენ „სკვითებს“, ხოლო სპარსელები „საკებს“. სკვითების სამეფოს ბირთვი, ავტორისავე თქმით, VII საუკუნის პირველ ნახევარში (დაახლოებით 673 წ.) მდებარეობდა მულანის სტეპში (აზერბაიჯანი)⁴.

მიჩნეულია, რომ სკვითების ქვეშ იგულისხმება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის საერთო სახელწოდება ძვ. წ. 7-3 საუკუნეებში. ისინი წარმოადგენდნენ ჩრდილოირანული ენობრივი (ინდოევროპული) ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე მონათესავე ტომებს. ისინი ენობრივად, მატერიალური და სულიერი კულტურით სარმატების (სავრომატების) მასაგეტების და სკვითების ტომებთან ერთ ჯგუფში ერთიანდებიან. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ისინი წარმოადგენდნენ ე. წ. ძელური, ბრინჯაოს დროინდელი კულტურის შთამომავლებს, რომლებიც ძვ. წ. XIV საუკუნიდან დაწყებული იწყებენ მოძრაობას ვოლგისპირეთიდან დასავლეთისაკენ. სხვები მიიჩნევენ, რომ სკვითების ძირითადი მასა წამოვიდა შუა აზიიდან ან ციმბირიდან და შეერია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივ მოსახლეობას. სკვითების ისტორიის

¹ А.А. Нуцубидзе, Археологические раскопки в село Абано, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ. 1978. გვ. 66.

² А. А. Нуцубидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

³ Г. М. Бонгард-Левин, Е. А. Гринтовский, От Скифии до Индии, გვ. 28.

⁴ Р. Фрай, Наследие Ирана, М. 1972, გვ. 106.

საწყისი ეტაპი ცნობილია მათი კიმერიელებთან ომებით, რომლებიც განდევნილ იქნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მათ მიერ ძვ. წ. VII საუკუნეებში და დაიწყეს დაპყრობითი ომები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. კიმერიელების დევნის დროს მათ დაიპყრეს მიდია, სირია, პალესტინა. ბატონობდნენ წინა აზიაში ძვ. წ. VI საუკუნემდე, საიდანაც ისინი მიდიელებმა განდევნეს¹.

ივ. ჯავახიშვილი სკვით-სარმატების საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ ისინი სინდურ-დილდურ-ლეგური მოდგმის ტომების წინაპრები ყოფილან, რომლებიც ენობრივად ქართველთა წინაპრების მოძმენი იყვნენ².

ავტორთა უმრავლესობა (პოტროვსკი, დიაკონოვი) ძვ. წ. I ათასწლეულიდან სკვითების ჩამოსვლას ჩრდილო კავკასიიდან დასაშვებად მიიჩნევს და მათ მიაწერენ ახალი დაკრძალვის კულტს (ცხენით და ა.შ.). გამოთქმული მოსაზრებით, აქ გაჩენილი ყორღანული და მიწური სამარხები, სატომო დიდებულთა და რიგითი მეთემეების სამარხები წარმოადგენენ უპირველესად მხედარ-მეომრების სამარხებს (მინგეჩაური). ეს სამარხები შავიზღვისპირა-კასპიისპირა სტეპების მსგავსია, სადაც მხედარ-მეომართა სამარხები I ათასწლეულის დასაწყისიდანაა ცნობილი. აღნიშნულია ისიც, რომ მინგეჩაურის ყორღანულ სამარხებსა და გრუნტის სამარხებს შორის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ცხენით³ დაკრძალვის წესი, რომელიც წარმოადგენს სკვითური ტომების (და საერთოდ ირანელების) განმასხვავებელ თავისებურებას. ეს წესი აქ (მინგეჩაური) ცნობილია ძვ. წ. VII-VI ს-დან. ასევე სკვითურია ბეჭედ-საბეჭდავების გამოსახულებები, სკვითური შუბისპირები, მოღუნული დანები, ხმლები, ბრასლეტები⁴.

გ. ავალიშვილის აღნიშვნით, სკვითური ტიპის ისრისპირები (სხვადასხვა სახის) დიდ ტერიტორიაზე გვხვდება, დაწყებული აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან მდინარე ენისეიმდე, ასევე წინა აზიასა და ჩრდილო ეგვიპტეში. ავტორისავე თქმით, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული სკვითური ტიპის ისრისპირები, რაოდენობრივი სიმცირის გამო ადგილობრივი მატერიალურ კულტურის ძეგლებში რაღაც უცხო ელემენტებად გვევლინებიან. განთიადის №2 ქვისსამარხი, სადაც აღმოჩნდა სამფრთიანი ღრუმასრიანი ე. წ. სკვითური ტიპის ისრისპირი, შეიძლება თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით. ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი რაოდენობით სკვითური ისრისპირები აღმოჩნდა მინგეჩაურში⁵.

გ. ავალიშვილისეული, ვფიქრობთ მართებული დაკვირვებით, სადაც კი სკვითური იარაღი აღმოჩნდება, ყველგან სკვითი უნდა დავინახოთ, სწორი არ უნდა იყოს. ე. წ. სკვითური ისრისპირების გავრცელება არ უნდა იყოს მაინცდამაინც დაკავშირებული ეთნიკურ და კულტურულ ერთობასთან. ავტორის აზრით, იგი უფრო ისტორიული მოვლენების ანარეკლია – ომი, მიგრაციები სხვადასხვა ხალხებში ქმნის თითქმის ერთნაირ იარაღს, ამიტომ, იარაღი ნაკლებ განმსაზღვრელია კულტურულ-ეთნიკური ერთობისა. ავტორი მიიჩნევს, რომ ამიერკავკასია სკვითებმა გაიარეს პატარ-პატარა

¹ К. Ф. Смирнов, Скифы, Советская историческая энциклопедия, М. 1969.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1950, გვ. 131.

³ И. Алиев, О скифах и скифском царстве в Азербайджане, Переднеазиатский сборник, III, История, филология стран Древнего Востока, М. 1978, გვ. 6.

⁴ И. Алиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8.

⁵ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

ჯგუფებად და როგორც კი მიადგნენ აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებს (ურურტუ, ასურეთი) იქ გაერთიანდნენ. ამიერკავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში შეინიშნება ბევრი სამოსახლოს თუ საკულტო ნაგებობათა განადგურება, ასე მაგალითად, ცხინვალის ნაცარგორას III ფენა, ხოვლე გორას IV-V-VI ფენები, უფლისციხის ყათნალიხევ II, მელაანთან „მელი დელე“ და სხვ. გ. გობეჯიშვილი და რიგი სხვა მკვლევარი მათ დაღუპვას მტრის შემოსევებს უკავშირებს. ამავე პერიოდში ადგილობრივ ღვთაებათა პანთეონს ემატება ცხენი, რომელიც ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნიდან დიდ გამოყენებას პოულობს ამიერკავკასიაში.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ცხენის მთლიანი ჩონჩხის ან მისი ნაწილების ჩატანება ცნობილია ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში (სამთავრო, დვანი, დმანისი, ზემოავჭალა, წიწამური, ნავთლული, ნარეკვაი, თაქქილისა, არდისუბანი, ყულანურხვა, თლი, და სხვ.)¹.

გ. ფირცხალავას კვლევით, საქართველოში წარმოდგენილია სამიოდე ძირითადი კატეგორია, რომელიც სკვითური კულტურის სპეციფიკას განსაზღვრავს: იარაღი (აკინაკები, საომარი ცულები, ისრისპირები), ცხენის აკაზმულობის ნაწილები (ლაგმები და საყბურები) და ე. წ. ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნების ნიმუშები².

სკვითური აკინაკები, რომელიც ძვ. წ. VI-V საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი აღმოჩენილია: სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხებში, თლის სამაროვანზე, დვანის სამარხებში, ბრილში, გაგრის რაიონში, აფხაზეთში, სოფ. ჩობანდუკში, მერხეულის სამაროვანზე, პალურის „საძვალეზე“, ნიგეზიანში. ისინი მსგავსებაშია, კელერმესისა და მეღგუნოვის ყორღანების შესაბამის ნიმუშებთან³.

აღნიშნულია, რომ საქართველოს ნივთიერ კულტურაში გავრცელებულ რკინის საომარ ცულებს შორის გამოიყოფა რამოდენიმე ჯგუფი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს სკვითურ სამყაროში ცნობილ ამავე სახეობის იარაღთან (ჩაქუჩისებურყუიანი საომარი ცულები, კონუსისებრცულიანი მოხრილი ცული და პირწამახვილი ცულები). სკვითურ კულტურაში ამ სახეობის ხუთი ცულია ცნობილი. საქართველოში აღმოჩენილი ეს ცულები ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. მიეკუთვნება. სკვითურ სამყაროში კი ამ ტიპის ცულების გავრცელების ხანაა ძვ. წ. VI ს. შუახანები, ან მისი მეორე ნახევარი. ასე რომ, საქართველოში აღმოჩენილი ცულები რამდენადმე ადრეული ჩანს. მიღებულია, რომ ეს ჩაქუჩისებურყუიანი საომარი ცულები ამიერკავკასიის ბრინჯაოს შესაბამისი ფორმის ცულების ბაზაზე ყალიბდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის გრძელყოიანი საომარი ცულების წარმოშობის მხარედ კავკასიაა მიჩნეული და ჩაქუჩისებურყუიან საომარ ცულს განიხილავენ, როგორც სკვითურ საომარ ცულის ამოსავალ ფორმას⁴. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე ტიპის ცული ერთი ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხიდან. სკვითურ სამყაროში ამ ტიპის ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ. წ. VI საუკუნისაა, ხოლო სამთავროს სამაროვანზე ეს ფენა მიეკუთვნება ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარს და VI ს.⁵ მესამე ტიპის ანუ ვიწროპირიანი ცულები არც კავკასიისათვის და

¹ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93-100.

² გ. ფირცხალავა, სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ. 1978, გვ. 31.

³ გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

⁴ გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

⁵ გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

არც სკვითური სამყაროსათვის არაა ტიპური. ისინი ანონიმის კულტურის წრეს უკავშირდებიან და, გ. ფირცხალავას ვარაუდით, ანონინოდან ეს ფორმა გავრცელდა სკვითებში, აქედან კი მას კავკასიის მოსახლეობა ეზიარა¹.

აღნიშნულია, რომ საქართველოში სკვითური ნივთების აღმოჩენას ჩვეულებრივ ან სკვითების წინა აზიაში ლაშქრობას უკავშირებენ (ე. კრუპნოვი) ან იმ კავშირით ხსნიან, რომელიც არსებობდა ადრესკვითურ სამყაროსა და ამიერკავკასიას შორის (ბ. პიოტროვსკი). კიდევ ერთი მოსაზრებით სკვითური ძეგლების დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელება სკვითური ტომების აქ მყარად დამკვიდრების შედეგია (გ. პოგრეხოვა). გ. ფირცხალავაც სკვითურ ცულს უკავშირებს წინა აზიაში მათ საუკუნოვან ყოფნის შემდეგ მიდიის მეფე კიაქსარის მმართველობის ხანას. დაახლოებით ძვ. წ. VII-VI სს. მიჯნაზე ჩრდილო კავკასიის გავლით ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში მათ მიგრაციას². ავტორი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ „გამოსვლა ხაზართა“ - ში (ლეონტი მროველთან) იგულისხმებიან ჩრდილოეთის მომთაბარე სკვითები. გვაქვს „მეფეთა ცხოვრებაში“ ერთი საინტერესო ადგილი „ხოლო მას უამსვე მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგენისა აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა“. გ. ავალიშვილის თქმით, თუ მისაღებია ვ. კოვალევსკაიას მოსაზრება ქაიხოსროს კიაქსართან გაიგივებისა³, ხოლო თურქთა სკვითებად მიჩნევის შესახებ, მაშინ ნათელია სკვითური ტომების მოსვლის მოწმობა წინა აზიდან საქართველოში⁴.

ძვ. წ. VII-XI საუკუნეების თლიის სამაროვნებზე მიცვალებულთან ერთად ჩნდება ცხენის თავის ქალა და აღვირის ცალკეული ნაწილები. თუმცა მიცვალებული ისევ ძველებური წესით მოხრილ მდგომარეობაშია მარჯვენა მხარეს, სქესის და ასაკის მიუხედავად დაკრძალული. აღსანიშნავია, რომ ცხენის თავის ქალა და მასთან დაკავშირებული ნივთები ყოველ სამარხში არ არის აღმოჩენილი, არამედ ცალკეულ სამარხებში⁵. ბ. ტეხოვი ასეთ ცალკეულ სამარხებს (ცხენის თავის ქალასთან და მასთან დაკავშირებულ ნივთებთან ერთად) საზოგადოების მაღალი რანგის წევრების სამარხებად მიიჩნევს. მისივე აღნიშვნით, აქ აღმოჩენილი ცხენის თავის ქალები და აღვირის საგნები დაკავშირებულია ცხენის მსხვერპლშეწირვის ჩვეულებასთან, რომელიც განსაკუთრებით სკვითების და საკების მეფეთა დაკრძალვის კულტთან იყო კავშირში. ეს ჩვეულება დამახასიათებელი იყო სხვა ინდოევროპელი ხალხებისათვის, მაგალითად ძვ. წ. II ათასწლეულში – ხეთებში⁶.

სკვითების დაკრძალვის რიტუალზე და მათ წეს-ჩვეულებებზე ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტე, საიდანაც ჩანს, რომ სკვითებისათვის მართლაც დამახასიათებელია დაკრძალვის არქეოლოგიურად ზემოთ ფიქსირებული წეს-ჩვეულება ანუ ცხენთან ერთად დაკრძალვა⁷.

¹ გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

² გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

³ В. Б. Ковалевская, Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ. 1975, №3, გვ. 68

⁴ გ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

⁵ Б. В. Техов, Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н. э. М. 1980, გვ. 21-40.

⁶ Б. В. Техов, Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н. э. М. 1980, გვ. 42-43.

⁷ „რადგან სკვითიის ქვეყანა სრულიად უტყეოა, ამიტომ სკვითებმა ხორცის მოსახარშად შემდეგი რამ გამოიგონეს: მას მერე რაც გაატყავებდნენ სამსხვერპლო საქონელს, ხორცს ძეგებს დააცლიდნენ. შემდეგ,

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ცხენის მოშინაურების ძირითადი ცენტრი, სადაც იგი უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი, ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპური ზოლი უნდა ყოფილიყო¹.

თუ კი ხელთა აქვთ, ჩაპყრიდნენ ადგილობრივ ნაწარმს ქვაბებში, რომლებიც ძალიან ჰგავს ლესბოსურ ჭურჭლებს, მხოლოდ მათზე გაცილებით უფრო დიდებია. ჩაპყრიდნენ ამ ქვაბებში ხორცს და ხარშავდნენ სამსხვერპლო საქონლის ძვლებს წაკიდებულ ცეცხლზე, ხოლო თუ ქვაბი არა აქვთ, მაშინ მთელ ხორცს ჩანდებდნენ სამსხვერპლო საქონლის კუჭში, უმატებდნენ წყალს და ძვლებს უკიდებდნენ ცეცხლს. ძვლებს ძალიან კარგად უკიდია, ხოლო ძვლებისაგან გაწმენდილი ხორცი ადვილად ეტევა კუჭში. ამრიგად, ხარი თავისთავს თვითონ იხარშავს და ასევე ყველა სხვა სამსხვერპლო საქონელი. როდესაც მოიხარშება ხორცი, მსხვერპლშეწირავი სწირავს ღვთაებას ხორცის ნატრებსა და შიგნეულს, რომელსაც თავის წინ იყრის. მსხვერპლად სწირავენ ყოველგვარ ცხოველებსა და განსაკუთრებით კი ცხენებს.

ყველა სხვა ღმერთს ასე სწირავენ მსხვერპლად ამ საქონელს, ხოლო არესს შემდეგნაირად: სკვითების ყველა სამეფოში ოლქების მიხედვით იდგება არესის ასეთი სალოცავი: ფინხის კონებს ერთად ალაგებდნენ ისე, რომ სიგრძეცა და სიგანეც 3 სტადიონი იყოს, სიმაღლე კი ნაკლები. ამის ზემოთ კეთდება ოთხკუთხა ბაქანი, რომელსაც სამი გვერდი ციცაბო აქვს, ხოლო ერთი – ადვილად მისასვლელი. ყოველწლიურად მოაქვთ 150 ურემი ფინხი, რადგან უამინდობის გამო ეს გროვა გამუდმებით დაბლა იწევს. ყოველ ამისთანა გროვაზე დევეს ძველებური რკინის ცელი და ეს არის არესის კერპი. ამ ცულს ყოველწლიურად სწირავდნენ რქოსან საქონელს და ცხენებს და მას უფრო მეტს სწირავენ, ვიდრე სხვა ღმერთებს. ცოცხლად ხელში ჩადგებული ყოველი ასი მტრიდან ერთს მსხვერპლად სწირავენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც საქონელს, არამედ სხვაგვარად: მას მერე, რაც ტყვეს ღვინოს დაათხევენ თავზე, დაჰკლავენ ჭურჭელზე, შემდეგ ჭურჭელს წაიდებენ ზემოთ ფინხის გროვაზე და სისხლს დაასხამდნენ ცულს. ზემოთ ეს მიაქვთ, ხოლო ქვემოთ, სალოცავთან შემდეგს აკეთებენ: დახოცილ ვაჟაკებს ყველას მარჯვენა მხარეს აჭრიან ხელთან ერთად და ჰაერში ისვრიან. ხოლო სხვა სამსხვერპლო ცხოველებს რომ მოითავებენ, მერე შინ მიდიან. ხელი სადაც დავარდნა იქვე დევეს, გვამი კი ცალკე...

... მეფეთა სამახვი გერების მხარეშია, აი, აქამდეა ბორისთენისი სანაოსნო. აქ, მეფის სიკვდილისთანავე მიწაში დიდ, ოთხკუთხედ ორმოს მოთხრიან, ამას რომ გაამზადებენ, იღებენ გვამს, სხეულს ცვილით ფარავენ, ხოლო ამაზე უწინ მუცელს გაჰკვეთენ და შინეულობისაგან ასუფთავენ, მას ავსებენ დანაყილი ჭილით, საქმელოთ, ნიახურის თესლით და ანისით, შემდეგ ასევე გაჰკერავენ და მიაქვთ ეტლით სხვა ტომთან. ისინი, ვინც ღებულობენ მოტანილ გვამს, იქცევიან ისევე, როგორც სამეფო სკვითები: იკვეთენ ყურის ნაწილს, თმებს ირგვრივ იკვერცხავენ, შუბლსა და ცხვირს იკაწრავენ და მარცხენა ხელს ისრებით იგმერენ. აქედან ეტლით მიაქვთ მეფის გვამი სხვა ტომთან, რომელსაც ის მართავდა. ხოლო გვამს მიჰყვებიან ისინი, რომლებთანაც უწინ მივიდნენ. როდესაც გვამს ყველა ტომს ჩამოატარებდნენ, მოიყვანენ გერებთან, რომლებიც მისი ქვეშევრდომი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სულ განაპირა არიან და იქ არის საფლავიც. შემდეგ, გვამს საფლავეში ჩალაზე ასვენებენ. ჩარტობენ შუბებს გვამის აქეთ და იქით, შუბებზე ხეებს გასდებენ და შემდეგ ღერწმით გადახურავენ. საფლავის დარჩენილ ფართო ნაწილში მარხავენ ერთ-ერთ ხარტთაგანს, წინასწარ დახრჩობილს, ღვინის მწდეს, მზარეულს, მეჯინიბეს, მსახურს, ამბების მომსენებელს, ცხენებს ყველა სხვა ცხოველთა პირველშობილებს და ოქროს ფიალებს, რადგან ვერცხისას და სპილენძისას ისინი არაფერს ხმარობდნენ. ამას რომ მოათავებდნენ, შემდეგ ყველანი ერთად დიდ მიწაყრილს აკეთებენ, ჩქარობენ და ძალიან ცდილობენ, რომ რაც შეიძლება დიდი გააკეთონ.

ხოლო წლისთავზე ასე იქცევიან: დარჩენილ მსახურთაგან გამოარჩევენ ყველაზე უფრო გამოსადეგებს (ესენი წარმოშობით სკვითები არიან, რადგან თვით მეფე ბრძანებს, რომ მას მხოლოდ ესენი უნდა ემსახურონ, ხოლო ფულით ნაყიდები მათ არ ემსახურებიან). ამ მსახურთაგან 50-ს ახრჩობენ, ასევე ახრჩობენ 50 საუკეთესო ცხენს; მათ აცლიან შიგნეულობას და უწმენდენ მუცელს, რომელსაც ავსებენ ბზით და შემდეგ ისევე ჰკერავენ. ორ ხეზე აყენებენ ნახევარ ბორბალს ფერსოთი ქვემოთ, ბორბლის მეორე ნახევარს აყენებენ მეორე ორ ხეზე, ამგვარად ბევრ სხვა ბორბალს ამაგრებენ. შემდეგ ცხენებს მთელ სიგრძეზე, კისრამდე უყრიან მსხვილ კეტებს და ასე სწევენ მაღლა ბორბლებზე. წინა ბორბლებზე ცხენების მხრებია, ხოლო უკანა ბორბლები იჭერენ მუცლის ნაწილს, ისე რომ ორივე მხრივ ფეხები ჰაერშია ჩამოკიდებული. შემდეგ ლაგამსა და აღვირს ამოსდებენ ცხენებს, წინ ეწევიან და პალოებზე ამაგრებენ. ხოლო დახრჩობილ 50 ჭაბუკს სათითაოდ სხამენ ცხენებზე. მათი დასმა ასე ხდება: თითოეულ გვამს ხერხემლის გასწვრივ კისრამდე უყრიან სწორ ჯოხს, ამ ჯოხის ქვემოთ ნაწილი შედის მეორე ხის ნახვრეტში, რომელიც ცხენშია გაყრილი. ამნაირ მხედრებს საფლავის გარშემო აყენებენ და თვითონ მიდიან. ასე მარხავენ სკვითები მეფეებს.

ხოლო სხვა სკვითებს. როდესაც ისინი იხოცებიან, უახლოესი ნათესავები დასდებენ ეტლებზე და მეგობრებში ჩამოატარებდნენ. ყოველი მეომარი მხლებლებს კარგად ღებულობს და უმასხიმდღება, ხოლო გვამს ყველაფერს ისევე უწილადებენ, როგორც სხვებს. კერძო პირებს 40 დღეს დაატარებდნენ ასე და შემდეგ მარხავენ. დამარხვის მერე სკვითები შემდეგნაირად იწმინდებიან: ჯერ საცხებს ისვამენ თავზე და შემდეგ იბანენ, ხოლო ტანს კი ამნაირად ისუფთავენ: სამ ხეს დაარტობენ ერთმანეთის მიმართ. დახრილს, მათზე გადასტამავენ შალის ნაბდებს, რაც შეიძლება მჭიდროდ მოახურავენ ყოველის მხრიდან; ხეებსა და ნაბდებს შორის, შუაში დგას ვარცლი, რომელშიც ყრიან ცეცხლისაგან გავარვარებულ ქვებს (ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხნიშვილმა, ტ. I, თბ. 1975, გვ. 269, 271-273).

¹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ო. ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ ცხენი საქართველოში და ყველა სხვა მახლობელ რეგიონში შინაურ კანჯარზე გვიან გაჩნდა, დაახლოებით ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასაწყისში¹.

ცხენების მოშენების დიდოსტატები უძველეს დროს ხურიტები იყვნენ, კერძოდ, კი მითანელები. ამ საქმეში სწორედ ისინი იყვნენ ხეთების მასწავლებლები². გამოთქმული მოსაზრებით, ბოლო ხანებში გათხრების დროს გახშირებული ხურიტული (მითანური) წარმოშობის არტეფაქტების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (სამხრეთ საქართველო, სომხეთი) შესაძლოა მიგვიჩვენებდეს, რომ „ლიაოხის“ სახელმწიფო ძვ. წ. II ათასწლეულში შესაძლოა ყოფილიყო ცხენის მოშენების ცენტრი კავკასიაში. ამაზე მიგვიჩვენებს აღმოჩენები ჯინისსა და საფას-ხარაბაში. ასევე არ გამორიცხავენ, რომ ცხენის გამოჩენა მესოპოტამიასა და წინა აზიაში დაკავშირებული იყო ე. წ. ზღვის ხალხების გადმოსახლებასთან³. შინაური ცხენის გამოჩენამდე მახლობელ აღმოსავლეთსა და წინა აზიაში იყო მცდელობა მოეშინაურებინათ ცხენის სხვა სახეობა – კანჯარი⁴. ცხენი კი მოგვიანებით ცენტრალური აზიიდან შემოიყვანეს⁵.

აღნიშნულია, რომ ყველაზე ძველი ცხენის რიტუალური დაკრძალვა ცნობილია შუა დნეპრისპირეთში დასახლება დერევიკაში, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ის ფართოდ არის ცნობილი მოგვიანო ე. წ. ორმოსამარხთა კულტურის მატარებელი ტომებისათვის⁶. განსაკუთრებით ცხენის რიტუალური დაკრძალვა განვითარდა განვითარებული ბრინჯაოს ხანის ანდრონოვსკის კულტურაში, სამხრეთ ურალში, დასავლეთ და ცენტრალურ ყაზახეთში⁷. ევროპის კულტურებში ცხენთან დაკრძალვის წესი ფართოდ ჩნდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში.

ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულის სამხრეთ რუსეთის სტეპები ითვლება იმ კერად სადაც პირველად წარმოიქმნა ცხენის კულტი, აქ ძველ არიელთა წინაპრების კულტურებს ხედავენ⁸.

ზოგიერთი მოსაზრებით, წინა აზიაში ცხენის გამოჩენა ინდო-არიელებამდეც იყო ცნობილი (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III დასაწყისში), თუმცა ე. კუზმინა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მისი საწყისები მცირე აზიის ტერიტორიაზეა საძებნი. მისივე აზრით, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ძვ. წ. III და II ათასწლეულის დასაწყისში ინდოარიელების პირველი გამოჩენით – ხეთების, ლუვიელების, პალაელების⁹. თუმცა წინა აზიის არაინდოევროპელ ხალხებში ცხენის კულტმა ვერ ჰპოვა განვითარება და I ათასწლეულის დასაწყისამდე მისი

¹ ო. ბენდუქიძე, ჯინისის ცხენი და ცხოველთა მოშინაურების ზოგიერთი საკითხი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010, გვ. 254.

² ო. ბენდუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

³ ო. ბენდუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

⁴ ო. ბენდუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

⁵ ო. ბენდუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

⁶ E. E. Кузьмина, Распространение коневодства и культ огня у ираноязычных племён Средней Азии и в других культурных странах Средней Азии в древности и в средневековье, М. 1977, გვ. 29.

⁷ E. E. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁸ E. E. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

⁹ E. E. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

მსხვერპლშეწირვაც არ გამოიყენებოდა¹. შემდგომ მათი გავრცელება გამოწვეული იყო ინდოირანული ტომების მომძლავრებით².

ცხენი ცნობილია მაიკოპის კულტურაში. ასევე მისი ძეგლები ნაპოვნია მტკვარ-არაქსში (შენგავითი, გარნი, დიდუბე, ქარაზი, ილტო, კუდარო, ქვაცხელები), ნახიჩევანის ქიულ-თეფეში, შენგავითში და ეჩმიადდინის ქიულ-თეფეში ნაპოვნია ცხენის თავები, რაც გამოთქმული მოსაზრებით, შესაძლოა გამოწვეული იყო ორმოსამარხთა კულტურის გავლენით. ცხენის კულტი განვითარებულია ყობანის კულტურაში³.

ი. დიაკონოვის აზრით, ადრე ცხენის გამოჩენას ძველ აღმოსავლეთში უკავშირებდნენ ინდოევროპელებს, თუმცა ეხლა არსებობს უამრავი მოწმობა იმისა, რომ ის ცნობილია შუამდინარეთში ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულშიც კი. თუმცა ამ დროს აქ ძირითადი სატრანსპორტო საშუალება იყო ვირი⁴.

ზემოთ წარმოდგენილი სკვითური წეს-ჩვეულებები და ცხენის მსხვერპლად შეწირვის ფაქტი, რომელიც, როგორც ჰეროდოტესთან ისე არქეოლოგიურ კულტურებში ნათლად ჩანს, არ ნიშნავს, იმას რომ, მაგალითად, თლიის ამ პერიოდის (ძვ. წ. VII-VI საუკუნეები) სამარხები სკვითურად მივიჩნიოთ, რამდენადაც ძირითადი დაკრძალვით წესი მაინც არ იცვლება, რაც მის მოკრუნხხულობაში და მხარით მარჯვნივ გადახრაში, ასევე თავით ჩრდილოეთისკენ მიმართაში გამოიხატება. აქ მასიურ სვითურ ეთნიკურ ელემენტზე არ შეიძლება საუბარი, არამედ შესაძლოა გარკვეულ გავლენაზე ვისაუბროთ დაკრძალვის წესიდან გამომდინარე. რაც შეეხება თვითონ ცხენს და მასთან დაკავშირებულ-წეს ჩვეულებებს ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან ანუ გაცილებით ადრე ცხენი დიდ გამოყენებას პოულობს ამიერკავკასიაში⁵.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ცხენის მთლიანი ჩონჩხის ან მისი ნაწილების ჩატანება ცნობილია ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში⁶. ცოტა უფრო ადრე (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი) ცხენის კულტის გავრცელება შენიშნულია დაღესტანში. ზოგიერთი ავტორი ამას უკავშირებს სკვითების შემოჭრის გზას, თუმცა ისიც აღნიშნულია, რომ სკვითებამდე და კიმერიელებამდეც უფრო ადრე ხდებოდა მომთაბარეთა შემოჭრა სამხრეთ რუსეთის ველებიდან. იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხენის კულტის დიდი როლი ამიერკავკასიის იმ ნაწილში, რომელიც ახლოა სამხრეთ რუსეთის ველებთან და მეტადრე კავკასიონის გადასასვლელებთან, უკრაინისა და სამხრეთ რუსეთის ველებში მომთაბარე-მეომრების გავლენაა⁷.

ვფიქრობთ, ცხენის კულტის ასე მკაფიოდ ეთნიკურ ნიშნად გამოყოფას და მისი სამარხში აღმოჩენის გამო სკვითურ-კიმერიულად განხილვას თითქოს მხარს უჭერს ის, რომ ცხენის მსხვერპლშეწირვაც ასე მკაფიოდ ადრე შემჩნეული არ არის. აქ პირველ რიგში ჩვენ საქმე გვაქვს მიცვალებულისადმი იმ სამსხვერპლო ცხოველის შეწირვაზე, რომელიც ამ პერიოდში წამყვან ადგილს იკავებს. ამ პერიოდის საზოგადოებისათვის მის ეკონომიკაში ან ზოგადად სოციალურ ცხოვრებაში ის გვევლინება როგორც გამწვევ ძალად, ასევე საომარ საშუალებად. თუმცა სკვითების გამოჩენამდეც, როდესაც

¹ Е. Е. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

² Е. Е. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

³ Е. Е. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁴ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ер. 1968, გვ. 41.

⁵ Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Изд. ГАИМК, вып. 120, 1935, გვ. 115; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949, გვ. 77.

⁶ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

⁷ გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101.

საქართველოს მეზობლად არსებობენ უდიდესი სამხედრო სახელმწიფოები, ასურეთი და შემდგომ ურარტუ, ცხენი უკვე უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველურ და საკუთრივ ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისათვის, როგორც სამხედრო დანიშნულების მოქნილი საშუალება. ამ პერიოდის ქართველურ ტომების ასურეთის და ურარტუს სახელმწიფოებთან სამხედრო შეტაკებებს უკვე წერილობითი წყაროებიც გვიდასტურებენ და ამ ფართომასშტაბიანი ომების წარმოებას ისინი ცხენის არცოდნის გარეშე ვერ შესძლებდნენ.

ე. კუზმინას აზრით, თეთრი ცხენის მსხვერპლშეწირვა წარმოადგენს საერთოინდოევროპულ რიტუალს ცის ღმერთის სახელზე, რომელიც წმინდა ცეცხლის თანხლებით და სამსხვერპლო ცხოველის სისხლის მოსხმით სრულდება. რიტუალი სრულდება ბუნების ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით, რომ გადასცეს ის მეფეს, როგორც ამ ძალების მატარებელს¹.

მონღოლებში ხშირად გვხვდება ცხენის თავის ქალები მთის წვერზე მდებარე საკულტო ქვის ქვაყრილებზე, რომელიც გამოთქმული მოსაზრებით, ტოტემური წინაპრისადმი რიტუალურ პატივისცემაზე მეტყველებს. ასევე გენეტიკურად ცხენ-ტოტემთან უნდა იყოს დაკავშირებული რიტუალური მსხვერპლშეწირვები დაკრძალვის კულტთან დაკავშირებით და მათი გამოსახვა მატერიალური კულტურის საგნებზე².

ე. ანტონოვას მოსაზრებით, ადამიანის მდგომარეობაში დაკრძალული ცხოველები ჩვეულებრივ დამახასიათებელია ადამიანის ინვენტარით დაკრძალვასთან ერთად. ცხოველები იმ სამყაროში ადამიანის შემცვლელი არიან, ეს არის გამომსყიდველობითი მსხვერპლშეწირვაც იმათგან, ვინც თავიდან აიცილა ავადმყოფობისაგან სიკვდილი, მისივე აზრით, არ არის გამორიცხულ, რომ ისინი ასიმბოლიზირებენ ქალს ან მამაკაცს, რომელიც აცილებს იმ სამყაროში გარდაცვლილ ქმარს ან ქალს³.

აღნიშნულია, რომ ლუვიური V-XII საუკუნეების დაკრძალვის რიტუალი მიუთითებს, რომ ცხენის მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა მხოლოდ მაღალი ფენის მამაკაცის დაკრძალვის დროს. ესენი იყვნენ სასოფლო თემების მმართველები და მაღალი წოდების მეომრები. როგორც ცხენთან დაკრძალვა, ისე ცხენის ნაწილების კომპლექსთან დაკავშირებული დაკრძალვის რიტუალები, ლ. ვაიტუნსკენეს მოსაზრებით, წარმოიშვა გმირ-ბელადების საფუძველზე, რომლის წარმოშობას საფუძვლად უდევს წინაპარ-მფარველებზე არსებული რწმენა⁴.

ე. კუზმინას აზრით, ცხენი ერთი მხრივ გახდა დედამიწის დედის და მისი ორი თანმხლები ტყუპების განსახიერება. ისინი განასახიერებდნენ სიცოცხლეს და სიკვდილს, მეორე მხრივ ცის და მზის ღმერთების ინკარნაციას, რამდენადაც ინდოევროპელებში მზე და ზეცა იყო არა მარტო ნაყოფიერების მომნიჭებელი, არამედ სამუდამო განცხრომის ადგილი, სადაც მიემართებოდნენ გარდაცვლილი წინაპრები. როდესაც ღმერთების ანროპომორფიზაცია დაიწყო, ცხენი გახდა თანამგზავრი და სამსხვერპლო ცხოველი. დიდ როლს თამაშობდა ცხენის კულტი, ასევე მოკვდავი და

¹ Е. Е. Кузьмина, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38.

² К. В. Вяткина, *Культ коня у монгольских народов, Советская этнография*, М. 1968, №6, გვ. 122.

³ Е. В. Антонова, *Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии*, М. 1984, გვ. 112.

⁴ Л. Вайтнунскене, *Культурная роль коня в древнелитовском погребельном обряде (V-XII вв.)*, Конференция Балто-славянские этнокультурные и археологические древности, Погребельный обряд, Тезисы докладов, М. 1985, გვ. 22.

აღდგომადი ბუნების კულტში¹. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენს ციურ და მზის ღმერთებში ცხენის ეტიმის ფორმით².

შედარებით-მითოლოგიური სურათის გაანალიზების შედეგად ე. კუზმინა აღნიშნავს, რომ დაკრძალვის დროს ცხენის მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა ადამიანისათვის ცხენის ფიზიკური და სექსუალური ძალის გადაცემისათვის, მათთვის ადვილი გზის გარანტირებისათვის ზეცაში, წინაპართა სამფლობელოში და იმ სამყაროში აღდგომისათვის. უძველეს ეპოქებში ცხენების მსხვერპლშეწირვა ინდოევროპელებში სრულდებოდა მხოლოდ უმაღლესი სოციალური წოდების პირთათვის, პირველ რიგში ბელადის მიმართ³.

მაგალითად ავსტრალიელ ტომებში გავრცელებული იყო რწმენა, რომ წინაპრის სული შესაძლოა შედიოდეს ცხოველში. განსაკუთრებით მას უყვარს შესახლება თავისი გვარის ტოტემისტურ ცხოველში. ასევე ის შეიძლება დასახლდეს მცენარეში⁴.

თ. გამყრელიძის და ე. ივანოვის აღნიშვნით, შინაურ ცხოველებს შორის რიტუალური სიხლოვით ადამიანთან მათ გაიგივებამდეც კი გამოიყოფა ცხენი (ასევე ვირი), რომელთა რიგებში ასევე შედის რქოსანი პირუტყვები. ხეთურ კანონებში არის მინიშნება ცხენის და ჯორის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსზე, განსაზღვრული აზრით ის გათანაბრებულია ქალ სამხედრო ტყვეებთან. თუ მამაკაცი ჩაიდენს ცოდვას ცხენი და ჯორი არ უნდა დაისაჯონ. ძველ ინდურ ტრადიციაში asuabcdha-ს რიტუალის დროს ცხენის მსხვერპლად შეწირვის შემდეგ დედოფალი სიმბოლურად შედის მოკლულ ცხენთან ქორწინებაში, რაც მიმდინარეობს ქურუმთა სიტყვიერი კომენტარებით. თვითონ დედოფალი წვება მოკლულ ცხენთან და მას აფარებენ თეთრეულს. ასევეა კელტებსა და ირლანდიაში⁵.

საბერძნეთში სისხლით მსხვერპლშეწირვა ღმერთების მიმართ იშვიათად, მაგრამ განსაზღვრული ღმერთების მიმართ და განსაკუთრებულ ადგილებში მაინც ხდებოდა. ცხენი იქ ეწირებოდა პოსეიდონს და მდინარის ღმერთებს, ამასთან მათ არ კლავდნენ, არამედ ცოცხლად აგდებდნენ მდინარეში ან ზღვაში; როდოსის კუნძულზე ყოველწლიურად ჰელიოსის შესაწირად 4 ცხენს აგდებდნენ⁶.

მეგრელთა რწმენით, საიქიოში მოგზაურობა მძიმე და სახიფათოდ ითვლებოდა. სამოგზაუროდ მიცვალებულს ცხენი და საგზალი ესაჭიროებოდა, რასაც მას საფლავში ატანდნენ კიდევ ცხენი და კერძოდ გარდაცვლილის ცხენი შავად (ან წითლად და ღურჯად) შემოსილი უკვე ტირილის დღეს ჩნდება გლოვის რიტუალში; მას დააბავდნენ ეზოში, დაადგამდნენ ქალის და კაცის უნაგირს (ზოგი ვერსიით შებრუნებით, რაც სრულიად შეესაბამებოდა მის სიმბოლიკას) იმის მიხედვით თუ ვინ იყო გარდაცვლილი. გასვენების დღეს იცოდნენ ეზოში ხის მოთხრა; ზემოაღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, ნ. აბაკელიას აზრით, მიმართება ხე - ცხენი გარკვეულ მითო-რიტუალურ კომპონენტს ქმნის, რომელიც უშუალოდ საიქიოს შესახებ რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული, მისივე აზრით, შეწირული ცხენის სულს საიქიოში უნდა

¹ Е. Е. Кузмина, Распространение коневодства и культ огня у ираноязычных племен Средней Азии и других народов света в древности и средневековье, М. 1977, გვ. 39.

² Е. Е. Кузмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

³ Е. Е. Кузмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁴ Г. Кунов, Возникновение религии и веры в бога, гв. 73.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. т. II, 1984, гв. 482-483.

⁶ Античная мифология, М. 2005, гв. 327.

გაეგრძელებინა სამსახური პატრონისათვის. შეწირვის რიტუალი კოლხურ რეალიაში სხვადასხვა ასპექტებით დასტურდება - სამარხთან მსხვერპლშეწირვა (რომელიც არქეოლოგიურად დასტურდება), „სირბილით გახეთქვა“ ან ველზე თავისუფლად გაშვება. არსებობს, მაგალითად ცხენის ძუძუს მოჭრა და პატრონისათვის საფლავში ჩატანება და სხვა, რომელიც ჩაენაცვლა მთლიანად ხარის მსხვერპლშეწირვას. თუ მიცვალებულის ცხენს არ შეწირავდნენ მის მიმართ გარკვეული წესები სრულდებოდა, მაგალითად, მიცვალებულის ცხენს წლისთავამდე არ ამუშავებდნენ, არც გაყიდდნენ, ცხენი რომ არ დასუსტებულიყო, არ მომკვდარიყო მას 25 დღის შემდეგ შეულოცავდნენ გაღენიშს. წლისთავზე შავად შემოსილ მიცვალებულის ცხენს (სახლის ბოძზე ან ხეზე) მიაბამდნენ და იწყებოდა „შეყრაზე“ მომსვლელთა დახვედრა-მიღება. ასევე მამაკაცის წლისთავზე იმართებოდა ცხენ-მხედართა რბოლა¹.

6. აბაკელიას აზრით, წლისთავზე ხეზე ან ბოძზე მიბმული შავად შემოსილი ცხენი წარმოადგენდა კოსმოლოგიურ სიმბოლო-ნიშანს; ის ახდენდა სივრცის კონცენტრაციას, ხოლო კონცენტრირებულ სივრცეში ხე/ბოძი, სამყაროს სივრცის მოდელში განსაზღვრავდა ვერტიკალურ პროექციას და აერთიანებდა სხვადასხვა სამყაროებს; ხოლო დოდის გამართვა, ავტორისავე აზრით, უზრუნველყოფდა მათი (გარდაცვლილთა ამგვარი გაცილება) სულის მშვიდ დამკვიდრებას საიქიოში, წინაპართა საზოგადოებაში. საფლავთან დარგულ ხესთან შეწირულ ან მდგარ ცხენს ავტორი მიიჩნევს სამყაროს ხისა და ცხენის ცნობილი ხატების გამეორებად და, მისივე აზრით, ცხენი არა თუ სამყაროს ხესთანაა დაკავშირებული, არამედ იგი ბევრ შემთხვევაში თვითონ სამყაროს ხეს განასახიერებს². ავტორისავე აზრით, საფლავზე დარგული ხე და მასთან მდგომი ცხენი, ისევე, როგორც ცხენი ირმის რქებით ჭვირულ ბაღთაზე კოსმოსის ყველა დონის გადაკვეთას აღნიშნავს, და შესაბამისად ერთდროულად სამყაროს „ცენტრს“ და ღერძის აღმნიშვნელია, ანუ საფლავს, როგორც კოსმოგონიურ სივრცეს თავისი ცენტრი აქვს გარდაცვლილების სახით და ღერძი ხის (ან ცხენის ირმის რქებით), რომელიც ამ უკანასკნელის იზომორფული ვარიანტია. ცხენი როგორც რელიგიური სიმბოლო, ერთ შემთხვევაში ვლინდება, როგორც imado mund; სხვა შემთხვევაში როგორც axis mund; ან arbor mundi და შესაბამისად როგორც სამყაროს საყრდენი³.

ცხენთან მიმართებაში საინტერესოა ტოპოგრაფიული სახელწოდებებიც, კერძოდ ცხენი ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც დასტურდება, სადაც ის ზღვასთან და ხმელეთთან დაკავშირებული ცხოველია⁴.

თ. შარაბიძის კვლევით, სამეგრელოში ცხენის ქურდობა ფართო ხასიათს ატარებდა და ის არა თუ საძრახისად, პირიქით, ვაჟკაცობად ითვლებოდა. მეგრელთა რწმენით ცხენი იყო მზიური ცხოველი. ის წარმოადგენდა სამყაროს კოსმიური მთლიანობის (სიკვდილ-სიცოცხლის) იდეის სიმბოლოს, მისგან მოჰქონდა ადამიანის სული და ისევე მზეს უბრუნდება, მასზე იყო დამოკიდებული ადამიანის ბედი და რადგან ბედის შეცვლა შეუძლებელია, ცხენს იპარავ-იტაცებდნენ, ხლებოდნენ რა ამ მოქმედების

¹ ნ. აბაკელია, ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XI, თბ. 2004, გვ. 155-161.

² ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 158-165.

³ ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 168-170.

⁴ თ. ოქროშიძე, რაში ქართულ ზღაპარში, მნათობი, 1968, №2.

მზიური სულის მფლობელი, სხვას (მტერს) კი ასუსტებდნენ; თუმცა თავდაპირველად ყველას არ ჰქონდა ცხენის ყოლის უფლება, ეს მხოლოდ წარჩინებულთა ხვედრი იყო. ისინი აპარტახებდნენ მათზე დაბლა მდგომთ თავისთვის ცხენებს და დადებიც თავისი ჰქონდათ, ხოლო მდაბიონი რიტუალური ღოცვითა და ცხენებთან გაიგივებით ცდილობდნენ თავისი გარეთა არსებული მზიურ სულებთან კავშირის დამყარებას¹.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სულის ხუცვის მოვალეობას (სხვა მოვალეობებთან ერთად) შეადგენდა მკვდრისათვის ცხენის დასაკუთრება².

ფშავში მიცვალებულს მეორმოცე დღეს იცოდნენ „შვიდის რიგი“. სანთლებს ანთებდნენ და შვიდის სუფრის დალოცვის დასრულებამდე ხელში ეჭირათ. სუფრასთან ერთად შეკაზმულ ცხენს დალოცავდნენ მიცვალებულის საფესქედ³.

ზემთ წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებამდე ანუ შუა ბრინჯაოს ხანის ბოლომდე ქართლის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ყორღანებში დაკრძალვის წესი, რომელიც ძვ. წ. XIII საუკუნისათვის იცვლება, თუმცა ნარჩუნდება დაკრძალვის ერთგვაროვანი რიტუალი ამ უკანასნელი ეპოქიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე.

ძვ. წ. VII საუკუნეში ქართლის სამარხების (ასევე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი სამარხის მაგალითზე) დაკრძალვის წესში ჩანს ე. წ. სკვითური კვალიც (ცხენის თავის ქალის ჩატანება და ე. წ. სკვითური ისრისპირები), თუმცა ცხენის კულტი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ჩვენ არ მიგვაჩნია რაიმე ეთნიკურობის განმსაზღვრელ მყარ ნიშნად; ერთბაშად დაკრძალვის რიტუალის ცვალებადობა მისი კონსერვატიულობიდან გამომდინარე არ ხდება და ცხენის კულტი მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში (ასევე სხვა არამონათესავე ხალხთა ყოფაში) საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს და ის ზოგადად უნივერსალურ ხასიათს ატარებს. თუმცა აქ არ გამოირიცხება სკვითური კვალიც.

I ათასწლეული ხასიათდება რიგი მნიშვნელოვანი სიახლეებით მეცხენეობის განვითარებაში. სამოქმედო ასპარეზზე გამოდის მხედარი. კარგად შეიარაღებული მხედართა რაზმები ცვლიან საბრძოლო ეტლებს და დიდ როლს თამაშობენ სამხედრო საქმეში.

მ. ხიდაშელის აზრით, ამიერკავკასია თავიდანვე ეცნობა არა უშუალოდ მოშინაურებულ ცხენს, არამედ ცხენს თავიდანვე უკავშირებს გარკვეულ ფუნქციას – ფუნქციას მხედრისა. ავტორის თქმით, ამიტომაც ალბათ, რომ I ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალებში გავრცელებულია არა იმდენად ცხენის გამოსახულებანი, რამდენადაც მხედართა ქანდაკებანი. შეიძლება დავასახელოთ ბრილში აღმოჩენილი მხედარი, ცაგერის მუზეუმში დაცული მხედრის ქანდაკება და სხვ. დიდი ადგილი უჭირავს მხედრის ქანდაკებებს ყობანურ კულტურაში. საკმარისია, გავისხენოთ ვენის მუზეუმში დაცული ცნობილი ქინძისთავი, რომლის ზედა თავი წარმოადგენს ორფერდიანი სახურავით დაფარულ შენობას, რაზედაც დგას მხედარი. თანდათან მხედრის ქანდაკებები მატულობს. ადრეანტიკურ ხანაში მებრძოლი მხედრის

¹ თ. შარაბიძე, სულის ცხენის და მზის სიმბოლიკა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ. 2003, ტ. V, გვ. 175.

² დ. გიორგაძე, წარმოდგენები მიცვალებულზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1987, ტ. XXIII, გვ. 203.

³ დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ. 1987, გვ. 53.

გამოსახულება მატერიალური კულტურის ძეგლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე ხდება. ამასთან, ადრეული რკინის ხანაში ცხენის გრაფიკულად შესრულებული ფიგურებიც გვხვდება, განსაკუთრებით კოლხურ-ყუბანურ კულტურაში. რაც შეეხება ბრინჯაოს სარტყლებს, მ. ხიდაშელის კვლევით, საქართველოში აღმოჩენილ ნიმუშებზე ცხენის გამოსახულება შედარებით იშვიათია. სამთავროს ნიმუშებიდან მხედრის გამოსახულება მხოლოდ ერთზე, ბაიერნის მიერ მოპოვებულ სარტყელზე, გვხვდება. მხედარი ფიგურირებს აგრეთვე თლის სამაროვანზე მოპოვებულ სარტყლებზე. ცხენი უმხედროდ წარმოდგენილია ჩაბარუხის სარტყელზე. აქ აშკარად განიჩქევა როგორც ფაშატი, ისე ულაყი ცხენები. ფაშატი ყოველთვის ძუძუს მწოვარ კვიციან ერთადაა გამოსატყლი. ამ შემთხვევაში ცხენი ბორჯღალოს ნიშნით არის შემკული. ულაყები კვიცის გარეშე არიან წარმოდგენილი; მათი ფიგურები შემკულია სპირალებით. ჩაბარუხის სარტყელზე ცხენის შემკობა ბორჯღალოთი და კონცენტრირებული წრეებით მ. ხიდაშელის აზრით, იმის მაუწყებელია, რომ ცხენი ამ შემთხვევაში მზესთან დაახლოებული ცხოველია. რომ მას ნაყოფიერების ფუნქცია უკავშირდება. ჩვენში ცხენი თავდაპირველად ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სამყაროში შემოდოდა. ავტორისავე დასკვნით, საქართველოს უძველესი ტომების ცხოვრებაში თავიდანვე შემოდის არა ცხენი დამოუკიდებელი სახით, არამედ მხედარი¹. ამიტომაც, ავტორის აზრით, ჩვენში გაღმერთება ხდება არა ცხენისა, არამედ მხედრისა². თუმცა ძვ. წ. VII საუკუნეში ფიქსირებული ცხენის თავისქალიანი თუ მთლიანი ჩონჩხის შემცველი სამარხები უნდა მივიჩნიოთ უცხო ტომურად ანუ ამ ეპოქაში სკვითურად.

სავარაუდოდ ძვ. წ. აღ. III საუკუნის დასაწყისში სამთავროს სამაროვანზე ჩნდება დაკრძალვის ახალი ტიპი, რომელიც მოწმობს გარკვეულ ძვრას და გადაადგილებასაც კი თუ მთლიანად რელიგიურ წარმოდგენებში არა, ყოველ შემთხვევაში დაკრძალვის რიტუალსა და მატერიალურ კულტურაში მცხეთის და მისი მიდამოების მოსახლეობაში³.

სიახლე შენიშნულია დედაქალაქობის ხანის ორმოსამარხებისა, ბრინჯაო-რკინის ხანის, ე. ი. ადრეული ორმოსამარხებისაგან. ყველაზე მკვეთრია ეს სამარხეულ ინვენტარში. ანტიკური ხანის ორმოსამარხები უფრო მცირე რაოდენობის ნივთებს შეიცავენ და თანაც არაძველებური იერისას (თითქმის არ ჩანს იარაღი), მიცვალებული მკვეთრად ხელ-ფეხმოკუნტულია⁴.

ძვ. წ. I და ახ. წ. I-II საუკუნეების მცხეთაში კრამიტული სამარხები გვხვდება ძვ. წ. აღ. პირველი საუკუნის სამარხებში ხელ-ფეხმოკეცილი, გვერდზე დაწვენილი მდგომარეობა და დასტურებული, შემდგომ კი მკვეთრი ცვლილებაა, სადაც მიცვალებული პირადმა გაშობილი წევს, თავით დასავლეთისკენ. ასევე დასტურდება წყვილთა დასაფლავება⁵.

ყველაზე მეტი რაოდენობით მცხეთაში ქვისსამარხებია აღმოჩენილი, ამიტომ დედაქალაქობის ხნის მცხეთისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ქვისსამარხებია,

¹ მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.

² მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

³ Г. А. Ломташидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

⁴ ა. აფიქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ. 1959, გვ. 39.

⁵ ა. აფიქიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41.

ისევე როგორც დედაქალაქობის წინა ხანის მცხეთისათვის – ორმოსამარხები. დიდ მცხეთაში აღმოჩენილია მავზოლეუმის ტიპის აკლდამებიც¹.

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, გარკვეული ფაქტები მიუთითებენ: „აქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ნაწილობრივ ცვლას, ერთი კულტურის გავლენის მეორეთი განდევნას და ა. შ.“². ავტორი ამ ფაქტთა შორის ასახელებს: „ანთროპოლოგიური ტიპის ცვლას სამთავროს სამაროვანზე. ანთროპოლოგმა მ. აბდუშელიშვილმა მკაფიოდ უჩვენა, რომ საკუთრივ რკინის ხანაში (ძვ. წ. აღ. VIII-IV სს.) სამთავროს სამაროვანზე დაკრძალული ადამიანები ანთროპოლოგიურად განსხვავდებიან უფრო ადრეული ხანის სამთავროს სამაროვანზე დაკრძალული ადამიანებისაგან. მათ შორის განსხვავება ძალზე აშკარაა. ტერიტორიულად ახლო მდგომი რაიონებიდან სამთავროს თავის ქალების პირველი, უფრო ადრეული ტიპი (ბრინჯაოს ხანა და რკინაზე გადასვლის ხანა) პარალელურს ჰპოვებს ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ მთის რეიონებში, ე. წ. ყობანის კულტურის მატარებელთა შორს, მეორე, გვიანდელი რკინის ხანის სამთავროს ანთროპოლოგიურ ტიპს კი პარალელური ეძებნება, პირველ ყოვლისა, სამხრეთ ამიერკავკასიაში, იმავე ეპოქის სევანის ტბისა და სამხრეთ აზერბაიჯანის, აგრეთვე ჩრდილოეთ ირანის და სხვ. თავის ქალებში. იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ მეორე ტიპის ცალკეული ეგზემპლარები სამთავროს სამაროვანზე ჩნდება უკვე ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანაში. ავტორი აქ გარკვეულ პერიოდში ორივე ტიპის თანაცხოვრების ფაქტს ვარაუდობს³.

ძვ. წ. III საუკუნის ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათის კვლევისას მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია აქ ქვევრსამარხების გამოჩენა, რომელიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიისთვის იმ პერიოდში შესაძლოა უცხო, თუმცა ერთ-ერთი ქართველური ტომის აქ გადმონაცვლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქვევრსამარხებში იგულისხმება ინჰუმაცია, რომლის დროსაც მიცვალებულის გვამი მთლიანად თავსდებოდა თიხის სხვადასხვა ფორმის მიზრდილ ჭურჭელში და ისე იფლებოდა მიწაში გათხრილ ორმოში⁴.

უძველესი ქვევრსამარხები აღმოჩენილია დაღესტანში, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულით არის დათარიღებული⁵.

ამიერკავკასიაში ქვევრსამარხები გავრცელებული ჩანს ძვ. წ. აღ. VIII საუკუნიდან (არგიშთიჰინილი) ახ. წ. VIII საუკუნემდე (შემახა, არაბჯაბირლო). ცალკეული რეგიონების მიხედვით, ასეთი სურათია: სომხეთში ძვ. წ. VIII (არგიშთიჰინილი) ახ. წ. IV ს. (ზვირცნოვლი). საქართველოში ადრეელინისტური ხანიდან (თეთრიწყარო, ციხი-გორა) ახ. წ. აღ. III-IV სს. (ცაგერი და სხვ.), აზერბაიჯანში – ძვ. წ. IV-III (ყარაყობარი) ახ. წ. VIII ს. (შერმიასი, არაბჯაბირლო)⁶.

აღნიშნულია, რომ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ამფორსამარხების რიტუალი ჩვეულებრივი მოვლენაა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც გამოთქმული მოსაზრებით, დამახასიათებელია არქაული, კლასიკური ელინისტური პერიოდისათვის.

¹ ა. აფაქიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

² გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ. 1955, გვ. 47.

³ М. Г. Абдушелишвили, К палеантропологии Самтавресского могильника, Тб. 1954, გვ. 108, 111.

⁴ ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში თბ. 1983, გვ. 3.

⁵ М. Г. Гаджиев, О погребельном обряде племен горного Дагестана, Учение записки Дагестанского филиала АН СССР, Ин-та истории языка и литературы, Т. XIII, мах. 1964, გვ. 283.

⁶ ა. ნონეშვილი, დასახ. ნაშრომი, თბ. 1983, გვ. 73.

ისინი ფიქსირებულია ბერეზიანის, ოლბიის, პანტიკაპეის, ფანაგორიის სამარხებში. მნიშვნელოვანი გავრცელება ამფორსამარხებს ჰქონდა ხერსონესში, სადაც ეს წესი არსებობდა კლასიკურიდან ადრე შუა საუკუნეებამდე¹.

არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გამოკვლევის მიხედვით ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში ქვევრსამარხები 185 პუნქტშია ფიქსირებული (საქართველოში 84 პუნქტში. აქედან დასავლეთ საქართველოში 52-ში, აღმოსავლეთ საქართველოში 32-ში, სომხეთში – 26 პუნქტში, აზერბაიჯანში 75 პუნქტში). 1400-ზე მეტი ქვევრსამარხია დადასტურებული (საქართველოში – 500 სამარხი (დასავლეთ საქართველო - 225, აღმოსავლეთ საქართველო – 275), სომხეთში – 300-მდე, აზერბაიჯანში – 600)².

საქართველოში ქვევრსამარხები შემდეგი პუნქტების მიხედვით არის განაწილებული: ფარცხანაყანევი, დაფნარი, ბორი, ბანძა, ზანათი, ძეგრი, წიფლნარი, დიდი ვანი, ზენობანი, ქვემოხეთი, ბუკისციხე, არაბათი, გოგორეთი, დაბლაგომი, მუხანი, მალლაკი, მესხეთი, ოდილაური, ქვიტირი, უკანეთი, საჯავახო, მთისძირი, ცაიში, ტყელვანი, ბანოჯა, ახალსოფელი, ნოსირი, ცაგერი, ქვედამესხეთი, ჩხოროწყუ, ოსულა, ბატნაოხორუ, ლანჩხუთი, ძირულა, წყალტუბო, გოდოგანი, ნიკორზღვა, ჩხარა, ამბროლაური, ჭოგნარი, რუხის ტყე, ვანი, მცხეთა-სამთავრო, მთა ქართლი, ფარნისხევი, თბილისი, დიღომი, გორი, ურბნისი, არაგვისპირი, ერგნეთი, ზემო მონასტერი, ზემო აგჭალა, ჩოჩეთი, კავთისხევი, ღრმაღელე, უჯარმა, ხაში, სანიორე, წითელწყარო, ძეგვი, შალაური, აჯამეთი, მანხური, არახილოსკალო, უფლისციხე, ცხინვალი³.

1930 წელს (ძვ. წ. VII ს.) დიდ თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა სამარხები სოფელ ეშერაში სოხუმთან ახლოს (რომელიც 1930 წელს მ. მ. ივაშენკოს და 1934 წელს ბ. ა. კუფტინის მიერ იქნა შესწავლილი). ჭურჭლები, რომლებიც სიმაღლით ერთ მეტრამდე იყო, შემკული უხეში უზორით, ჩადგმული იყო ბრტყელი კირქვის ფილებში. მათში ადამიანის ძვლების გარდა, იყო დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ნივთები და სარდიონის მძივები⁴. სოფელ ოღგინსკოეშიც (მთიანი აფხაზეთი – გულრიფშის რაიონი) თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ტრადიცია ყოფილა. თითოეულ საფლავში ჩადგმული ყოფილა სამ-სამი თიხის ჭურჭელი. ერთ-ერთ ჭურჭელში მოუთავსებიათ კრემაციის ნაშთები, ინვენტარი, სამკაულები, ხოლო ორ დანარჩენში ალბათ რაღაც სითხე ჩაუსხამთ, მაგალითად ერთ-ერთი საფლავის აღწერილობა ასეთია. საფლავი I აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი: დოქი და ორი ქილა. დოქი იდგა საფლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კუთხეში, ქილებს კი პირი სამხრეთისაკენ ჰქონდა და ერთი მეორესთან იყო მიწვენილი. ერთ მოზრდილ ქილაში – ურნაში აღმოჩნდა რკინის დანა, დამწვარი ძვლების უფორმო პატარა ნატეხები და თიხაში შერეული ფერფლი.

საფლავი IV. აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი: მოზრდილი ქვევრის ზედა ნახევარი და ორი დოქი. ქვევრის ზედა ნაწილი პირდამხობილი იყო და მასში ჩადგმული იყო აგრეთვე პირდამხობილი დოქი, ხოლო საფლავის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ცარიელი დოქი. ქვევრის ფრაგმენტში – ურნაში აღმოჩნდა თიხაში შერეული ფერფლი, ხის ნახშირის დიდი და პატარა ნატეხები. დამწვარი ძვლების უფორმო ნატეხები და ერთი მოზრდილი მძივი. საფლავის ორმო ჭურჭლების გარეთ ამოვსებული იყო შავი

¹ ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ. 1997, გვ. 133.

² ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ. 1983, გვ. 70.

³ ა. ნონეშვილი, დასახ. ნაშრომი, თბ. 1989.

⁴ А. Л. Монгайт, Археология в СССР, М. 1955, გვ. 23.

თიხით, რომელშიც ხის ნაჭრები იყო არეული. საფლავში აღმოჩნდა აგრეთვე მიწაში ვერტიკალურად დასობილი რკინის შუბის პირი და გაღუნული რკინის სატევარი. იმდროინდელ მოსახლეობას დაკრძალვისას ურნებად გამოუყენებია სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭლები, ქვევრები და ქილები. გარდა ამისა საფლავში გვხვდება დოქები, ქოთანი, ამფორისებრი ჭურჭელი და ლანგარი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ იქ არ იყო ორი ერთნაირი ფორმის ჭურჭელი¹.

სოფელ ოლგინსკოეში აღმოჩენილი სამაროვანი, როგორც აღნიშნულია არ არის გამონაკლისი ამ მიდამოებისათვის. ამგვარი კრემაციული ნაშთები გავრცელებული ყოფილა მის მახლობელ სოფლებშიც: კრაევიჩაში, მარამბაში, წებელდაში. ი. გრძელიშვილის აზრით, ასეთი საფლავები შეიძლება აღმოჩნდეს კოდორის ხეობაში (სოფ. ლათასა და ჩხალთაში) და გამომდინარე აქედან, მისივე თქმით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ხასიათის დაკრძალვა ფართოდ ყოფილა გავრცელებული². ამ სამაროვანს ავტორი არქეოლოგიური მასალის ხასიათით აახლოვებს სოფელ ჩხოროწყუში, მახარაძის კოლმეურნეობაში 1939 წელს აღმოჩენილ საფლავის ინვენტართან, რომელიც ნ. ხოშტარიას მიერ ძვ. წ. აღ-ით III საუკუნიდან ჩვენი წ. აღ-ის დამდეგით იყო დათარიღებული³. ი. გრძელიშვილის თქმით, სოფელ ოლგინსკოეს სამაროვანი, მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, ქ. იალტის მახლობლად ზღვის პირას ძველი სიმაგრე ხარაკსის ნანგრევების ტერიტორიაზე 1932-35 წწ. აღმოჩენილ ანალოგიური საფლავების ინვენტარს უკავშირებდა, რომელიც საფლავებში ჩატანებული ნივთების მიხედვით თარიღდება ჩვ. წ. აღ-ის მესამე საუკუნის დამდეგით და მეოთხეს დასაწყისით⁴.

არქეოლოგიური მონაცემებით დადგენილია, რომ ძვ. წ. X საუკუნიდან დაწყებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიცვალებულების გვამის დაკრძალვის რიტუალთან ერთად გამოიყენებოდა გვამის დაწვის რიტუალი⁵. გვამის დაწვის ნიშნები გვხვდება როგორც ურნებში, ისე მათ გარეშე. ამ კუთხით საინტერესოა გუადიხის სამაროვანი სოხუმში. აქ ნაპოვნია დამწვარი გვამის ნარჩენები, როგორც ურნებში ისე მათ გარეშეც. ურნის გარეშე დაკრძალვის რიტუალის დროს შესაძლოა ყოფილიყო მიცვალებულის არასრული დაწვაც. არის კოლხური ადგილობრივი იერსახის ბერძნული ინვენტარი, ასევე ზოგიერთი გვიანყობანული ტიპის ინვენტარის ანალოგიები. ეს სამარხი ძვ. წ. აღ. VIII-III საუკუნეებით თარიღდება⁶.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვამის დაწვის ჩვეულება ურნებში და მათ გარეშე დამახასიათებელი იყო აფხაზეთის ძველი მოსახლეობისათვის. ძვ. წ. X საუკუნიდან დაწყებული II-I ათასწლეულების მიჯნაზე მიცვალებულის დაწვის წესი არსებობდა აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონებში – სოჭში და მზიმთაში. გამოთქმული მოსაზრებით, ეს წესი იყო ადგილობრივი და ზოგიერთი ავტორი უარყოფს კუფტინის მოსაზრებას

¹ ი. გრძელიშვილი, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული ნაშთები აფხაზეთში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, №1-2, 1947, გვ. 90-92.

² ი. გრძელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94-95.

³ Н. В. Хоштария, Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений, Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. II. Тб. 1941.

⁴ ი. გრძელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

⁵ Г. К. Шамба, Позднеантичные погребения, гв. 265.

⁶ Л. Н. Соловьева, М. М. Трапш, Археологические исследования в Абхазии, гв. 115-128.

ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ, რადგან ბერძნები აქ X საუკუნეზე უფრო გვიან ჩნდებიან¹.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (შავი ზღვის დასავლეთ სანაპირო) კრემაციის ნიშნით ძვ. წ. VI საუკუნეზე უადრესი სამარხები ცნობილი არ არის, ყუბანისპირეთში გვამის დაწვა ცნობილია ძვ. წ. VI საუკუნის სკვითური კულტურის ყორღანებში – კოსტრომასთან ახლოს². ერთი ყორღანი გვამის დაწვის ნიშნით ნაპოვნია ყარაჩაი-ჩერქეზეთში, რომელიც ძვ. წ. აღ. VI საუკუნით არის დათარიღებული. ასევე აღსანიშნავია, რომ დამწვარი გვამის ნარჩენები ზოგჯერ გვხვდება ძვ. წ. VI-IV სს. სკვითურ ყორღანებში უკრაინაში (სმელია), შუა დონზე და შუა აზიაში³.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ანტიკურ კოლონიებში, რომლებიც შავი და აზოვის ზღვისპირეთში მდებარეობენ, გვამის დაწვას იყენებდნენ ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩვ. წ. აღ. III საუკუნემდე. ფიქრობენ, რომ ეს იყო ბერძნული რიტუალი, რომელიც შეინიშნება მხოლოდ ბერძნულ, ზოგჯერ კი ბერძნულ-სინდურ სამარხებში, სადაც ასევე აღმოჩენილია (პანტიკაპეა, ფარნაგორია, კეპი, ტირამბი და სხვ.) დამწვარი გვამის ნაშთები ურნაში⁴. ზოგიერთი ავტორი კი ასკენის, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში გვამის დაწვის ჩვეულება, რომელიც არსებობდა ბერძნულ კოლონიებში და სკვითებში, სრულიად უცხო იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობისათვის⁵. მოსახლეობისათვის⁵. ხოლო ახ. წ. აღ. V საუკუნიდან მსგავსი დაკრძალვის წესი უკვე საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობისათვის, რომელიც XIV საუკუნემდე გრძელდება⁶. IX-X საუკუნიდან კი დამწვარი გვამის დასაფლავება ხდება როგორც ურნებში, ისე მათ გარეშე⁷.

ე. ალექსეევას მოსაზრებით, ძველად გვამის დაწვის ჩვეულება დამახასიათებელი არ იყო ადიღებისთვის და ავტორისავე თქმით, არა გვაქვს უტყუარი საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ ეს ჩვეულება ჩრდილოეთიდან იყოს შემოტანილი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჩვეულება აბხაზებში ფართოდ არის ცნობილი ზღვისპირეთის და ყუბანისპირეთის სამარხებში ავტორი მას აბაზინურად მიიჩნევს. მისივე აზრით, ეს კულტურა უფრო ახლოს არის აფხაზურთან ვიდრე თურქულთან, სლავურთან და სხვა სავარაუდო მოსულ მოსახლეობასთან. აბაზინთა წინაპრები, ხოლო შემდგომ თვითონ აბაზები დასახლებულნი იყვნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ტუაფსემდე⁸.

ამიერკავკასიაში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის რამოდენიმე სახეობები გამოიკვეთა: 1. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად არის ჩადგმული, ჩვეულებრივ როგორც სამეურნეო ქვევრი, ან თავდაყირა; 2. სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად არის ჩაწვნილი – არის ორი ქვევრისაგან შედგენილი სამარხებიც, ზოგი მიცვალებული დაკრძალულია ქვევრის მოზრდილ ნატეხზე, ზემოდანაც ქვევრის

¹ Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкессии, М. 1971, გვ. 191.

² Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 191-192.

³ А. А. Бабринский, Курганы и случайные археологические находки, გვ. 22; Е. Г. Кастанаян, Образ тризны, გვ. 128. В. А. Башилов, Курганы с трупосожением, გვ. 151-157; С. П. Толстов, Среднеазиатские скифы, გვ. 28, 34, 35.

⁴ М. И. Ростовцев, Скифия и Босфор, გვ. 330; В. Ф. Гайдукевич, Босфорское царство, გვ. 40, 280, 292, 382; Е. Г. Кастанаян, Обряд тризны, გვ. 128; მისივე, Грунтовые некрополи, გვ. 260, 271-276; Г. А. Цветаева, Грунтовые некрополи, გვ. 64, 75, 85; М. М. Кобилана, Фанагория, გვ. 29; Н. И. Сокольский, Раскопки в Кепях, გვ. 83-91; Д. Б. Шелов, Раскопки Танайса, გვ. 74-80.

⁵ Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

⁶ Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

⁷ Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

⁸ Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 195-196.

ნატეხი აქვს დაფარებული; 3. სამარხი ქვევრი ჩადგმულია ქვაყუთში. ზოგჯერ ასეთი ქვაყუთის გარშემო რიყის მოზრდილი ქვებია შემოწვობილი – წრიულად. 4. ქვევრსამარხი ჩადგმულია ხის ძელებით გადახურულ ალიზ-აგურით ნაგებ მრავალკუთხა მიწისქვეშა აკლდამებში; 5. ქვევრსამარხი გამართულია კატაკომბის კამერაში. 6. უშუალოდ ქვევრსამარხის გვერდით, სამარხი ჭურჭლის გარეთ, დაკრძალულია კიდევ ერთი მიცვალებული, თავით ან ქვედა კიდურებით ქვევრისაკენ. ქვევრში დაკრძალვის სახესხვაობების სიმრავლე, გამოქმული მოსაზრებით, შეიძლება აიხსნას ქვევრსამარხებზე არსებული, ასევე ქვევრსამარხების თანადროული სხვა ტიპების სასაფლაოების ზოგიერთი ელემენტების შერწყმით ქვევრში დაკრძალვის თითქოს დაკანონებულ წესებთან¹.

საქართველოში აღმოჩენილი ქვევრსამარხებისათვის ქვევრის მიწაში მოთავსების 3 სხვადასხვანაირი მდგომარეობაა დამახასიათებელი: 1. ქვევრი ვერტიკალურადაა ჩასმული; 2. ქვევრები გვერდზეა (ჰორიზონტალურად) დაწვენილი; 3. ქვევრი თავდაყირად ვერტიკალურადაა ჩადგმული².

უძველესი ქვევრი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აზერბაიჯანში ხანლართან, რომელიც ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება³. ხოლო კარმიბლურში 400-მდე სხვადასხვა ზომის ქვევრია აღმოჩენილი⁴.

საქართველოს ტერიტორიაზე საღვინე ქვევრების არსებობა ძვ. წ. VI ს-დან არის ცნობილი, რომელიც ღვინის შესანახად იყო განკუთვნილი⁵. მათი ჩამოყალიბება VII საუკუნის ბოლოს უნდა მომხდარიყო⁶. ხოლო მოგვიანებით დილომში აღმოჩნდა ძვ. წ. VIII-VII სს. ქვევრები⁷. საერთოდ კი აღსანიშნავია, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული (მაგ. ნამჭედური, ციხისძირი, ფიჭვნარის სამოსახლოები და სხვ) კულტურულ ფენებში უკვე დიდი რაოდენობით გვხვდება სქელკედლიანი, მოზრდილი პირფართო და ბრტყელძირიანი ჭურჭლები, რომლებიც, გამოთქმული მოსაზრებით, შეიძლება ღვინის შესანახ ჭურჭლებად იყოს მიჩნეული. ამ ტიპის ჭურჭლები გვხვდება ნამჭედურის ნამოსახლარის IV ფენაში, რომელიც ძვ. წ. აღ. XI-IX სს. არის დათარიღებული. ციხისძირის ნამოსახლარზე, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით⁸.

აღნიშნულია, რომ თუ იმ კერამიკულ მასალას (რომელიც როგორც ჩანს ძვ. წ. VI ს. შუახანებიდან ვრცელდება), შევუდარებთ წინამორბედი ხანების კოლხეთის თიხის ნაწარმს, ძნელი არ იქნება სხვაობის შემჩნევა. იცვლება გამოწვის ტექნიკაც, თიხის შემადგელობა, მასალის პირველადი დამუშავება; ე. წ. „სამზარეულო“ ჭურჭლის ფორმები არსებითად იგივე რჩება, მკვეთრად შეიცვალა თიხის ჭურჭლის წამყვანი

¹ ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ. 1983, გვ. 70-71.

² თ. ხოხობაშვილი, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები და ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს (იბერიის) ისტორიის ეთნოსოციალური პრობლემები (საკანდიდატო დისერტაცია), თბ. 2005, გვ. 79.

³ Е. М. Пешерева, Гончарное производство Средней Азии, М.-Л. 1959 გვ. 7.

⁴ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л. 1949, გვ. 17.

⁵ საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1959, გვ. 247; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974 გვ. 61.

⁶ ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ. 1975, ტ. V, გვ. 95-96.

⁷ ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, თბ. 1982, გვ. 65.

⁸ ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

ფორმები. მათი ზედაპირის დამუშავება, ორნამენტი, გაჩნდა სრულიად ახალი ჭურჭელი¹.

კოლხური ქვევრი, ა. ბოხოჩაძის მოსაზრებით, სათავეს იღებს ლითონის ინდუსტრიის ადრეულ საფეხურზე წარმოებული დიდი ჭურჭლიდან², მისივე აზრით, სამარხავ საშუალებად მის გამოყენებამდე ქვევრი სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა და უპირველეს ყოვლისა, საღვინედ და სამარხ ჭურჭლად მისი გამოყენება მეორადი მოვლენა უნდა იყოს³. თ. მიქელაძის მოსაზრებით ქვევრის ჩამოყალიბება ფორმითაც და დანიშნულების მიხედვითაც ძვ. წ. VII ს-ის დასასრულს ან რამდენადმე შემდგომ უნდა მომხდარიყო და უნდა ყოფილიყო მეურნეობის ახალი დარგთან კულტურულ მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებასთან დაკავშირებული. ქვევრი ხდება მთავარი ჭურჭელი არა მარტო ყურძნის დამუშავების, ღვინის დაყენება-შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის, როგორც ტარა (ამ მხრივ ქვევრის ტევალობა ჯერ კიდევ გამოსაკვლევი) არამედ, როგორც მეღვინე-მევენახეთა საძვალეც⁴.

ზოგიერთ ავტორის მოსაზრებით, დამტკრეული პიფოსები საზოგადოების დაბალი ფენის სამარხებად გამოიყენებოდა⁵.

აღნიშნულია, რომ ქვევრში დამარხვის წესი თითქმის ერთადერთი წესია მიცვალებულის დაკრძალვისა ელინისტური ხანის კოლხეთში და მათი გავრცელების სიხშირის თვალსაზრისით რამდენიმე რეგიონი გამოირჩევა: „ქუთაისის ქვეყანა“, სადაც მათი არსებობა მდ. რიონის ორივე ნაპირზეა დადასტურებული (ფარცხანაყანევი, მუხიანი, მადლაკი, მესხეთი, ოდილაური, აჯამეთი, ქვიტირი, უკანეთი და სხვ.), „ვანის ქვეყანა“, სადაც მათ რიონისპირა ბორცვზე განლაგებულ თითქმის ყველა სამოსახლოზე ვხვდებით (დაფნარი, საჯავახო, დაბლაგომი, მთისძირი, ციხე სულორი, ბზვიანი და სხვ.) ქვევრსამარხთა გავრცელებით ამ უბანს სამხრეთით ემიჯნება გურია, სადაც ის განსაკუთრებული სიხშირით რიონისა და სუფსას შორის მდებარე ტერიტორიაზეა დადასტურებული (ბუკისციხე, ზენობანი, ზემოფარცხმა, ქვემოხეთი, წიფნარი და სხვ.) მდ. სუფსას გადაღმა ჯერჯერობით ერთადერთი ქვევრსამარხია აღმოჩენილი – მახარაძის რ-ნის სოფ. გოგორეთში. შედარებით სუსტადაა გამოვლენილი, მაგრამ მაინც გვხვდება ელინისტური ხანის ქვევრსამარხები სამეგრელოში – აბაშა-ტეხურის ორმდინარეთში სენაკისა და ნოქალაქევის მიდამოებში⁶. მიდამოებში⁶. გამოთქმული მოსაზრებით, ქვევრში დამარხვის წესი კოლხეთში ჩნდება ადრეელინისტური ხანიდან, ვანის ქვეყანა → გურია → ქუთაისის ქვეყანა → ტეხურის მიმდებარე ტერიტორია. გვიანელინისტურში – გოგორეთამდე და საჩხერემდე⁷ (ჩხოროწყუ, თეკლათი, ისულა, ბატნაოხორუ, ბანძა, ნოქალაქევი, ზანათი, ლანჩხუთი, ჩიბათი, ზენობანი, გოგორეთი, ძირულა, ბუკისციხე, ზემოფარცხმა, ქვემოხეთა, საჯავახო, დაფნარი, მადლაკი, ქვიტირი, დაბლაგომი, მთისძირი, ციხესაყდარი,

¹ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62; ასევე იხ. Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, Колхидский могильник VII-VI вв. до н. э. Краткие сообщения Института Археологии, 1977, №151, გვ. 36-37.

² ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963, გვ. 116.

³ ა. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131, 137.

⁴ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁵ Е. Г. Гоголашвили, Д. Д. Качарава, Керамика Колхиды VI-IV вв. до н. э. Краткие Сообщения Института Археологии, М. 1977, №151, გვ. 78.

⁶ ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გვ. 6.

⁷ ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56; П. Ш. Кигурадзе, Г. А. Лордкипанидзе, Дапнарское селище и могильник (к проблеме сельских поселений Колхиды), Краткие сообщения Института Археологии, 1977, №151, გვ. 59.

ტყელები, წყალტუბო, ბანოჯა, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, გოდოგანი, ოდილაური, ადჯალეთი, ძვერი, ბორი, ნიგორ ზღვა, ჩხარი).

პირველ რიგში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ქვევრსამარხის აღწერილობა.

მაგალითად ნოქალაქევი ძვ. წ. V-IV საუკუნეებში დადასტურებულია მიცვალებულის ორმოსამარხებში ძლიერ მოკუნტულად დაკრძალვა, ხოლო ძვ. წ. V-III საუკუნის შუახანებით განისაზღვრება ორმოსამარხებიდან ქვევრსამარხებზე გადასვლის პერიოდი.

ნოქალაქევი, პირველი ჯგუფის ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს III საუკუნის შუახანების სამარხები – ორმოსამარხები ხასიათდება ძლიერ მოკუნტული მიცვალებულებით (3 სამარხი).

მეორე ჯგუფი: ძვ. წ. III ს-ის შუახანები – II საუკუნის ბოლოს სამარხები ქვევრსამარხები (6 სამარხი).

მესამე ჯგუფი: ძვ. წ. II ს-ის ბოლოს – I ს-ის ბოლოს სამარხები – ორმოსამარხები სუსტადმოკუნტული მიცვალებულებით¹.

ქვევრსამარხი №1. დაფლული იყო ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. ძლიერ დაზიანებულ ქვევრში გამოვლინდა მოკუნტულად, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის უინვენტარო ჩონჩხი.

ქვევრსამარხი №2(4). იგი დაფლული იყო ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ, მდგრადობისათვის რამდენიმე ქვა (კირქვა) ჰქონდა შემოწყობილი (მსგავსი ქვებშემოწყობილი ჰორიზონტალურად ჩადებული ქვევრსამარხები აღმოჩენილია დაფნარის, ფარცხანაყანევის, სამთავროსა და სხვა სამაროვნებზე) ქვევრში დადასტურდა მოკუნტულად თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი. მარცხენა ხელზე (მაჯასთან) აღმოჩნდა სამი სამაჯური, მარცხენაზე – ერთი. ქვევრში გამოვლინდა აგრეთვე 1 სმ-ის სიგრძის ბრინჯაოს თხელი ფირფიტა და ლურჯი მინის სფეროსებრი მცირე ზომის რამოდენიმე მძივი, ე. წ. იოტები. ამ ტიპის კოლხური ქვევრები ძვ. წ. III ს-ის ბოლო და I ს-ით თარიღდებიან².

ქვევრსამარხი №3(5) დაფლული იყო ჰორიზონტალურად პირით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი, აგრეთვე დოქი, სამაჯური, ორი საყურე რგოლი, ორი ფირფიტა – გარსაკრავი, 86 მძივი და მონეტა. უშუალოდ ქვევრის გვერდით, სამხრეთის მხრიდან მისი დაკრძალვის სიღრმეზე დადასტურდა სხვა მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც ზურგზე გაშლილი იყო დაკრძალული (რამდენადმე მარცხენა გვერდზე) თავით დასავლეთისაკენ და ქვევრისკენ სახეშემობრუნებით. ამ მიცვალებულს არავითარი ინვენტარი არ აღმოაჩნდა. მხოლოდ რკინის 2 სმ-ის სიგრძის, 0,5-1 სმ-ის სიფართის და 0,5 სმ-ის სიგანის ფრაგმენტი გამოვლინდა გულმკერდის არეში. ქვევრი ძვ. წ. III-ის ბოლომდე უნდა იყოს დამზადებული³.

ქვევრსამარხი №4(8). იგი დაფლული იყო ჰორიზონტალურად, პირით დასავლეთისაკენ. ზემოდან, როგორც ჩანს სამარხის მონიშვნის მიზნით ედო სამი ლოდი (ნოქალაქევის ქვევრსამარხის შესწავლამდე ლოდით თუ ლოდებით მონიშნული

¹ გ. გვინიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ. 1988, გვ. 25.

² გ. გვინიძე, ნოქალაქევის სამარხეული ძეგლები, ნოქალაქევი – არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები 1973-1977 წწ. თბ. 1981, გვ. 162-164.

³ გ. გვინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-167.

ქვევრსამარხი საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული არ ყოფილა). შედარებით მომცრო ქვეები კი შემოწოვილი ჰქონდა დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან. ამ სამარხად გამოყენებული ქვევრის ძირთან, სამხრეთის მხრიდან, ვერტიკალურად ძირით ქვემოთკენ ჩაფლული იყო მეორე ქვევრის ქვედა ნაწილი, რომელშიც არც ძვლები და არც რაიმე საგანი არ ყოფილა გამოვლენილი, გარდა იმავე ქვევრის რამდენიმე ფრაგმენტისა. ამ ქვევრის გვერდით (სამარხი ქვევრიდან 50 სმ-ის დაშორებით) სამხრეთის მხრიდან და ქვევრის დაფლვის დონეზე აღმოჩნდა უინვენტარო მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც დაუსაფლავებიათ ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, ე. ი. სამარხი ქვევრისაკენ სახეშემობრუნებით. 1. სამარხი ქვევრის ზედა ნაწილზე, ჩრდილოეთის მხრიდან, პირით ზემოთკენ, მიდებული იყო კანთაროსი, აგრეთვე სამარხი ქვევრის ძირთან აღმოჩნდა ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და მათ შორის მოთავსებული ფრინველის (ქათმის ?) ძვლები. სამარხ ქვევრში გამოვლინდა მოკუნტულად, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი. მარჯვენა ხელზე აღმოჩნდა ჩამოცმული ორი სამაჯური, ხოლო იმავე ხელის ერთ-ერთ თითზე – საბეჭდავი – ბეჭედი. კბილებს შორის დადასტურდა მონეტა. ქვევრსამარხი შეიცავს აგრეთვე წყვილ საყურე რგოლს, კომპაქტურად მოთავსებულ ყვითელ ნივთიერება (საღებავს ?) და ხელშუბისპირს რომელშიც ქვევრის პირთან ქვევრის კედლის ბზარში იყო მოყოლილი¹. აღნიშნულია, რომ ზემოთ აღწერილი ქვევრების ნაწილი რიტუალური დანიშნულების უნდა ყოფილიყო².

ქვევრსამარხი №5(11). დაფლული იყო ჰორიზონტალურად პირით აღმოსავლეთისაკენ. მონიშვნის მიხნით ზემოდან წრისებურად ელო დიდი ქვეები. მდგრადობისათვის რამდენიმე ქვა ჰქონდა შემოწოვილი. ქვევრებში მოკუნტულად თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი. ქვევრსამარხისგან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 35 სმ-ით დაშორებით აღმოჩნდა ვერტიკალურად, ძირით ქვემოთკენ ჩაფლული დიდი ძირბრტყელი ჭურჭლის (დერგის?) ქვედა ნაწილის ფრაგმენტი შიგ ფრინველის (ქათმის?) ძვლებითა და სამაჯურით. სამარხი ორმოს ძირზე დაფენილი იყო საშუალო ზომის ბრტყელი თეთრი ქვები³.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვევრსამარხების გვერდით მდებარე ჭურჭელი და ქათმის ძვლები სარიტუალო დანიშნულების ან კენოტაფები უნდა ყოფილიყო⁴.

ჩხორღწყუს სამაროვანზე, როგორც პირველ, ისე მეორე სამარხეულ ურნაზე აღმოჩნდა ადამიანის ძლიერდამწვარი ძვლები და დამწვარი ინვენტარი. ორივე სამარხი ჭურჭელი თავსახურით იყო დახურული. დაკრძალვის ჩვეულება მდგომარეობდა იმაში, რომ მიცვალებული იწვებოდა მორთულობებთან ერთად და ბოლომდე დაუფერფლავი მისი ნაწილები თავსდებოდა ურნაში და იმარხებოდა. ლითონის იარაღი იმარხებოდა ურნის გარეთ. იმავე წესია სოფ. იგდირში და გელენჯიკში. ყველაზე ადრეული და თითქმის ერთადერთი ამიერკავკასიაში სამარხი გვამის დაწვით და ურნაში დაკრძალვით

¹ გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

² გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

³ გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

⁴ გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176; ვ. თოლორდავა, მასალები... გვ. 140.

ეს არის სამარხი სოფ. იგდირში – თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, რომელიც გვიან-კოლხური პერიოდით თარიღდება¹.

ქართლში (იბერიის სამეფოში) ქვევრსამარხთა გავრცელება იწყება ძვ. წ. აღ. III საუკუნიდან. ხოლო გვიან I საუკუნის დასაწყისში და ჩვ. წ. აღ. II საუკუნეში². როგორც აღნიშნულია, მისი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარი და ახ. წ. აღ. III საუკუნე³.

გ. ლომთათიძის აღნიშვნით, სავარაუდოდ (ქვევრსამარხების გაჩენასთან დაკავშირებით ქართლში) ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან სამთავროს სამაროვანზე წარმოიქმნა დაკრძალვის ახალი წესი, რომელიც მოწმობაა გარკვეული ძვრებისა ან გარდატეხისა, თუ არა რელიგიურ მსოფლმხედველობაში, ყოველ შემთხვევაში დაკრძალვის რიტუალში მაინც, ასევე მცხეთის და მისი მიდამოების მოსახლეობის მატერიალურ კულტურაში. სამარხებში, როგორც წესი, არის ინვენტარი, თუმცა ის რაოდენობით და მრავალფეროვნებით გაცილებით ჩამორჩება წინა დროის სამარხებისას. პირველ რიგში აღსანიშნავია სამარხში საბრძოლო იარაღის გაქრობა. უინვენტაროდ დაკრძალვა, ავტორის აზრით, შეიძლება მიუთითებდეს მოსახლეობის უმწეო ფენებისადმი კუთვნილებაზე. კერამიკა წარმოდგენილია ორი არც თუ ისე დიდი ზომის ჭურჭელით, რომლის ზედაპირი ხშირად შემოდებულია წითელ-წაბლისფერი (მურა) ფერით. ფერის გარდა ეს ჭურჭლები სავსებით განსხვავდება შავ-მუქი წინა სამარხების კერამიკისაგან თავისი ფორმებით ორნამენტის არ ქონით, ასევე ასორტიმენტის დიდი მრავალფეროვნებით⁴.

ს. ჯანაშიას აღნიშვნით, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე მცხეთისა თუ მისი მიდამოების და საერთოდ მთელი ქართლის მოსახლეობა მეომარი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეებისაგან შედგებოდა და თითოეული მამაკაცი იმავე დროს შეიარაღებულ მებრძოლს წარმოადგენდა. ახლა კი მცხეთელები მშვიდობიან მოქალაქეებად ქცეულან. თანდათან განვითარებულ საქალაქო ცხოვრებასა და სათანადო ხელობა-საქმიანობას ჩამოუცილებია მამაკაცთა დიდრონი ჯგუფები მუდმივი მეომრული საქმისაგან. ამიტომ მათ აღარც „საიქიოში“ ისტუმრებდნენ აღჭურვილს⁵. ეს მოსაზრება გარკვეულწილად გაზიარებული იქნა მეცნიერთა მიერ⁶. მას იზიარებს ვ. თოლორდავაძე და აღნიშნავს, რომ თუ მივეყვებით ასეთ განმარტებას, იგი უნდა გავავრცელოთ ენილისტური ხანის მთელ საქართველოზე (კოლხეთზეც და იბერიაზეც), რადგან, ავტორისავე აღნიშვნით, როგორც ეს შემდგომმა გათხრებმა ცხადყვეს სამარხეული ინვენტარიდან იარაღ-საჭურველის გაქრობა საერთოდ დამახასიათებელია ამ დროს სამაროვნებისათვის (როგორც ქვევრსამარხებისათვის ისე სხვა ტიპის სამარხებისათვის). ავტორისავე აზრით, კოლხეთი და იბერიაც ამ დროს მხოლოდ მნიშვნელოვანი მოქალაქეებით იყო დასახლებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამარხეული ინვენტარიდან იარაღ-

¹ Н. Хоштария, Чхороцку. Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ. 1941, ნაკ. II, გვ. 71. 90-91.

² А. Апакидзе, Города древней Грузии, Тб. 1968, გვ.125.

³ ა. აფაქიძე, მცხეთა IV, თბ. 1982, გვ. 16-20.

⁴ Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тб. 1955, გვ. 57-61.

⁵ История Грузии, ч. I, 1946, გვ. 62; ასევე იხ. გ. ლომთათიძე, წნაპართა ნაკვალევი, თბ. 1952, გვ. 137.

⁶ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ. 1963, გვ. 224; ა. ნონეშივილი, ქვევრსამარხთა ახალი ბუდე მცხეთაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 93, №3, 1974, გვ. 753-756.

საჭურველთან ერთად ქრება სამეურნეო დანიშნულების ნივთები და დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, რომელიც ასე უხვად გვხვდებოდა ადრეულ სამარხებში. სამარხეული ინვენტარის გამარტივების ეს ტენდენცია ადრეანტიკური ხანიდან შეიმჩნევა და როგორც ჩანს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგია (რომელსაც თან სდევდა კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტის შემდგომი განშტოება), და არა მხოლოდ ცალკეული პუნქტების გაქაღაქებისა. ეს საყოველთაო მოვლენაა¹. თუმცა ავტორი იმოწმებს სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ ალბანეთში მიცვალებულს ატანდნენ ყველაფერს რაც გააჩნდათ, არაფერი რჩებათ მამისეული და ძალიან ღარიბულად ცხოვრობენო².

ვფიქრობთ, მთლად დამაჯერებელი არ არის მცხეთის თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „მშვიდობიან მოქალაქეებად“ ქცევით აიხსნას ინვენტარის ნაკლებობა სამარხებში. აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს გარკვეულ იდეოლოგიურ ანუ რელიგიურ ცვლილებებთან პირველ რიგში მიცვალებულის კულტის გამარტივებასთან რაც გამოიხატება მის მიმართ არა იმპერსონური სიცოცხლის გაგრძელების იმედით პატივისცემაში, არამედ ცოცხლების მიერ ამ ინვენტარის ამ სამყაროში დატოვებით, მისი მემკვიდრეობითი პატივისცემის გამოხატვით და რელიქვიათ შენახვის ნიშნით. ამავე დროს შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი რელიგიის წინა პლანზე წამოწევისთან, როდესაც უკვე მიცვალებულის კულტი ნაკლებად ფიგურირებს და თაყვანს სცემენ სახელმწიფოს უზენაეს ღვთაებას, ტაძარს.

ნოქალაქეში მდებარე ორ ქვევრსამარხში სამარხი ქვევრების გვერდით, სამხრეთის მხრიდან ქვევრების დაფვლის ღონეზე, აღმოჩნდა თითო ადამიანის ჩონჩხი. ეს მიცვალებულები დაუმარხავთ პირდაპირ მიწაში, ზურგზე გაშოტილად თავით დასავლეთისაკენ, სახით ჩრდილოეთისკენ. ე. ი. სამარხი ქვევრებისაკენ სახეშემობრუნებით (რაც ქვევრებში ჩასვენებულისადმი დაქვემდებარების გამოხატულება უნდა იყოს) და ამასთანავე სრულიად უივენტაროდ. გამოთქმული მოსაზრებით, ისინი ქვევრში დაკრძალული მიცვალებულებისადმი მსხვერპლად შეწირულ ტყვეებს (მონა-მსახურებს) წარმოადგენდნენ³.

ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა სპეციალისტთა მიერ⁴. აღნიშნულია, რომ ქვევრსამარხებში (შესაძლოა №3 სამარხი ქვევრის გვერდით დასვენებული მიცვალებულის გულ-მკერდის არეში აღმოჩენილ რკინის ფრაგმენტი იმ იარაღის ნაშთს წარმოადგენს, რომლითაც განგმირეს სამსხვერპლო) ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი ნოქალაქეის სამარხთა შესწავლამდე საქართველოს ტერიტორიაზე მეცნიერულად ფიქსირებული არ ყოფილა, ხოლო რაც შეეხება მთელს ამიერკავკასიას, ასეთ შემთხვევას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი მინგეჩაურის ქვევრსამარხის

¹ იხ. ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გვ. 59-60; იმოწმებს Г. Чайльд, Прогресс и археология, М. 1949, с. 154; იხ. В. М. Массон, Экономика и социальный строй древних обществ, გვ. 176.

² ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გვ. 59-60.

³ გ. გვინჩიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ. 1988, გვ. 74, მისივე ნოქალაქეის სამარხეული ძეგლები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1973-1997 წწ. თბ. 1981, გვ. 178.

⁴ თ. ლორთქიფანიძე, ვანის ნოქალაქერი, გათხრების ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე) – ვანი III, გვ. 20, შენ. 40; Ю. М. Гагошидзе, Самадло, გვ. 70. ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში (მასალები არქეოლოგიური რუკისათვის), თბ. 1983, გვ. 31; იხ. პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვიანიძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი ნოქალაქევი, თბ. 1984, გვ. 67.

გამოვლენისას¹. გ. იონეს აღნიშვნით, მინგეჩაურში ჩვ. წ. აღ-მდელ უკანასკნელ საუკუნეებში და ჩვენი წ. აღ. პირველ საუკუნეებში ტომის წარჩინებულთა დაკრძალვას ზოგჯერ, თან სდევდა მათზე დამოკიდებულ ადამიანთა თუ ტყვე-მონათა ნაძაღადევი სიკვდილი².

ქვევრსამარხებში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის კულტი ისულებსა და ოფანხაფუში (ძვ. წ. III-ის შუახანებში და II ს-ის დასასრულს ქვევრსამარხი) დაუფიქსირებია გ. ელიავას. მასალები გამოყენებულია გაზეთ კოლხეთის ცისკრის 1956 წ. 7 იანვარის ნომერში; ავტორი მათაც მონა მეომრებად თვლიდა. ხსენებული წესი ასევე დაფიქსირდა დაბლაგომის ქვევრსამარხებშიც³.

ასევე ძალზედ საყურადღებოა ვანის ნაქალაქარში გათხრილი ძვ. წ. IV საუკუნის სამარხი – წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისკენ ორიენტირებული მთავარი მიცვალებულის ფერხით აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცის)⁴. სამარხის აღწერილობაში ნათქვამია, რომ „ორივე ჩონჩხი ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სახით ჩრდილოეთისაკენ (მთავარი მიცვალებულისაკენ) ზურგზე გაშობილი. მათ თითქმის არავითარი ინვერტარი არ ახლდა. მხოლოდ ერთს კისრის არეში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის პასტის მძივები⁵. ოთ. ლორთქიფანიძის აღნიშვნით, „საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. როგორც ჩანს ისინი „იმ ქვეყანაში“ მსახურად გაატანეს. „ამა ქვეყნის ძლიერს“. ავტორისავე თქმით, ეს წესი რამდენადმე უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი ჩანს ძვ. წ. IV ს. კოლხეთისათვის, მაგრამ მრავალ ანალოგიას პოულობს სკვითურ-ირანულ სამყაროში⁶. გ. გვინიძის აღნიშვნით, ნოქალაქევის ქვევრსამარხთა შესწავლამდე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ტყვეთა (მონა-მსახურთა) ნაძაღადევი საწესო-რიტუალური სიკვდილი და პატრონებთან ერთად დამარხვის წესი ამიერკავკასიის ადრეკლასობრივ საზოგადოებათა მხოლოდ ზედა ფენებს უკავშირდებოდა. ნოქალაქევის ქვევრსამარხებმა კი აღნიშნული წესის არსებობა ხსენებულ საზოგადოებათა დაბალ ფენებშიც დაადასტურა⁷. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ასეთივე სურათს აქვს ადგილი სკვითურ საზოგადოებაშიც⁸.

ძვ. წ. I ს. ქვევრსამარხი საყარაულოს (კავთისხევი) ტიპის სამაროვანიდან ამ სახისაა: ქვევრები ყველა ვარდისფრად გამომწვარი თიხისაა, პირგამოკეცილი, დაბალი ყელით, მკვეთრად დაქანებული გვერდებით, რომლებიც ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება პატარა ვიწრო ძირით. სამარხი ქვევრები ჰორიზონტალურად არის ჩაკიდული მიწაში და ხშირად პირზე აფარებული აქვთ კრამიტი, ბრტყელი ქვა ან თიხის ჭურჭლის (ზოგჯერ ანალოგიური ქვევრის) ნატეხი. სამ სამარხებში

¹ გ. გვინიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, გვ. 74.

² Г. И. Ионе, Мингечаурские кувшинные погребения с оружием, Краткие сообщения Института истории материальной культуры А. Н. СССР, №60, М. 1955, გვ. 62.

³ ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი... (წერილი მეორე), გვ. 20.

⁴ გ. გვინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

⁵ ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს – ვანი I, გვ. 202-203.

⁶ ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი I, გვ. 27.

⁷ გ. გვინიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორია, გვ. 76; მისივე ნოქალაქევის არქეოლოგია, გვ. 180.

⁸ А. Тереножкин, Об общественном строе скифов – Советская Археология, №2, 1966, гв. 40; А. М. Хазанов, Социальная история скифов. Основные проблемы развития древних кочевников евроазиатских степей, М. 1975, гв. 135, 136.

მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ესვენა ხელებშიკეცვით ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი, ინვენტარი წარმოდგენილია ღია პატარა ზომის (სუფრის) ჭურჭლებით და სამკაულებით. ქვევრის ზედაპირი შემკულია თოხისებრი ორნამენტით¹.

იმავე საყარაულო სერიის ქვევრსამარხებზე აღნიშნულია, რომ აქ ქვევრები ცალკეულ ჯგუფებადაა მიმოფანტული სხვა ტიპის სამარხებს შორის. სამარხად იხმარებოდა ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (უფრო საღვინე), რასაც ადასტურებს ქვევრის შიდა პირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი. სამარხი ქვევრები პორიზონტალურად არიან ჩაფლული მიწაში და ხშირად პირზე აფარებული აქვთ კრამიტი, ბრტყელი ქვაც ან თიხის ჭურჭლის (ზოგჯერ ანალოგიური ქვევრის) ნატეხი. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მოხრილ მდგომარეობაში ხელებმოკეცილი. ხელები სახესთან ჰქონდათ მიტანილი საყარაულო სერიის ქვევრებში ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრით; იგი ძირითადად წარმოდგენილია პატარა ზომის სუფრის ჭურჭლებით და სასმისებით. ეს ქვევრსამარხი მონეტათა საფუძველზე ქვედა ქრონოლოგიური საზღვრით ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება².

ძვ. წ. IV-III სს. დაჭრილების სამაროვანზე (კავთისხევი) გაითხარა სულ 25 ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრები განლაგებულნი არიან მიწის ზედაპირთან ახლოს, უმრავლესობა პორიზონტალურად არის ჩადგმული პირით აღმოსავლეთისაკენ, გვხვდება აგრეთვე ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრები (3 შემთხვევა). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს №1 ქვევრსამარხი, რომელიც ვერტიკალურად იყო ჩადგმული მიწაში და რომელშიც 7 მიცვალებული იყო დაკრძალული, ხოლო მეორე მიცვალებულის ჩონჩხი ქვევრის პირზე იყო დაკრძალული (ორი ჭურჭელი ყურიანი თიხის ჯამი და დოქი სამარხი ქვევრის გარეთ იდგა) ეს კი ალბათ საოჯახო სამარხზე უნდა მიგვანიშნებდეს. ქვევრსამარხებში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ხელებმოკეცილი ესვენა მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია პატარა ზომის – სუფრისთვის განკუთვნილი თიხის ჭურჭლებით. ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრით და თითქმის ერთგვაროვანია. გამოთქმული მოსახრებით, ერთფეროვნება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს სამარხები ერთი საზოგადოებრივი ფენის საკუთრებას წარმოადგენდა³.

ნ. ხოშტარიას აზრით, ცნობილი გვამის დაწყვის ჩვეულება არ შეიძლება ადგილობრივად იქნას განხილული, რამდენადაც ის ნაპოვნია ბერძნულ ამფორაში⁴.

ბ. კუფტინმა სათანადო ყურადღება მიაქცია ქვევრსამარხების წარმოშობის პრობლემას და მისი გაგრძელების არეალს. კერძოდ, ავტორის თქმით, „ქვევრსამარხების ჩვეულება ძველი და ახალი სამყაროს ცალკეულ ქვეყნებში იყო ცნობილი. სამხრეთ ამერიკის ინდიელები (ტუპი და არუაკო) უახლოეს პერიოდამდე იყენებდნენ თიხის ჭურჭლებში დაკრძალვის წესს და მეორად ძვლების ჩაწყობას, რომელიც ზოგჯერ წითელი ფერით იყო შეღებილი. წყნარი ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ძველი პერუელები მუმიებს აწყობდნენ დიდ თიხის ურნებში, ხოლო უფრო

¹ გ. ჯინჯიხაშვილი, ძვ. წ. I და ახ. წ. I ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერიის სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1980, გვ. 42, 47, 50.

² გ. ჯინჯიხაშვილი, ქვევრსამარხები საყარაულო სერიის სამაროვნიდან, არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიების მასალები, თბ. 1982, გვ. 59, 66.

³ ნ. ნაკაიძე, ძვ. წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1980, გვ. 28, 40.

⁴ Н. Хоштария, да са са. ნაშრომი, გვ. 91.

ძველ დროს დიდ თიხის ჭურჭელში, ხოლო მთის პერუელები მხოლოდ ბავშვებს კრძალავდნენ თიხის ქვევრსამარხებში. ევროპაში, ქვევრსამარხები დადასტურებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის რიგ ადგილებში, მათგან ყველაზე ძველი პირველად ჩნდება ძველი ბრინჯაოს ეპოქაში (შუა მინოსური პერიოდიდან დაწყებული ახალი მინოსური პერიოდის დაწყებამდე) პირინეის ნახევარკუნძულში, შემდეგ სარდინიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე, მატერიკულ საბერძნეთში, კიკლადების კუნძულებზე, კრეტაზე, კვიპროსში. მცირე აზიაში პიფოსებში დაკრძალვა ფართოდ იყო გავრცელებული, უპირატესად ცენტრალურ ანატოლიაში დასახლების შიგნით, სახლის კედლების ქვემოთ და ტროა I-ში. ავტორის აღნიშვნით, ძნელია იმის თქმა თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ამ სახის დაკრძალვის წესი მცირე აზიაში. ალაშარაში ჩატარებული გათხრების შედეგად უკვე გვიანდელი ხეთების იმპერიის ეპოქაში ურნებში დაკრძალვის წესი სრულიად ქრება, თუმცა ამ ეპოქის უფრო გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილია ურნაში დაკრძალული ბავშვი, რომელიც კვიპროსის შუა ბრინჯაოს ეპოქას შეესაბამება. ათასწლოვანი შესვენების შემდეგ არაუადრეს ძვ. წ. VII-VI საუკუნისა ისევ ჩნდება ქვევრსამარხები მცირე აზიის დასავლეთით (ტროადაში), რომელიც ნარჩუნდება იქ არაუგვიანეს ძვ. წ. III საუკუნემდე. ბ. კუფტინი, პლინიუს სეკუნდის ცნობაზე დაყრდნობით, გვამცნობს: „არსებობს ბევრი ხალხი, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ თიხის ბადიებში“ დაკრძალვას, თუმცა კუფტინისავე აღნიშვნით, ამგვარი სამარხები არც იტალიაში, არც საბერძნეთში, სადაც გავრცელებულია ურნებში კრემაცია, სრულებით არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, მით უმეტეს ჩვენ ის სულ არ ვიცით შუა და ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზე. ბოლეარის კუნძულებზე დიოდორე სირაკუზის ცნობით, ძვ. წ. პირველ საუკუნეში მიცვალებულის კიდურებს ურნაში ჩადების წინ ამტვრევდნენ ჯოხის დარტყმით, რომლის შემდეგ მას ურნაში აგდებდნენ და ქვის ხროვით ფარავდნენ. იმავე პერიოდს განეკუთვნება ყირიმის სამარხები გვერდულად დაწოლილ ბასრბოლოებიან პიფოსებში, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო აღმოჩენილი ბალაკლავაში¹.

კოლხეთის მსგავს დაკრძალვის ფორმებს, ბ. კუფტინის აზრით, არავითარი კავშირი არა აქვს სპარსეთის, ბაქტრიის, პართიის (ხელოვნურად დეკარნაცია გვამისა ნაწილობრივი დამარხვით) წესებთან და არა გვაქვს არავითარი საფუძველი ამ წესში აღმოსავლური კულტურის შემოქმედების კვალი დავინახოთ. ავტორის აზრით, აფხაზურ ქვევრის ოსუარებში შესაძლოა დავინახოთ ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე ძველ ხეთებში არსებული ჩვეულების ანარეკლი. აქ ენაცვლება მიწისქვეშა ქვის ყუთების საფლავებს ბავშვების დაკრძალვა ქვევრებში და მოზრდილებისა დიდ თიხის პიფოსებში მუმიფიცირების ნიშნით, მათ გახრწნამდე. ავტორისავე აღნიშვნით, ეგვიპტური ისტორიამდელი სამარხების – თიხის ცისტების სახის სამარხები აქ დადასტურებული არ ყოფილა. ეშერაში აღმოჩენილი ქვევრსამარხები მსგავსია პირენეის იბერიაში გავრცელებულ დაკრძალვის წესისა, რომელმაც იქ სხვა წესი შეცვალა².

ბ. კუფტინისავე აზრით, იდეოლოგიურ წარმოდგენებზე ეთნოგრაფიული პარალელები მთელ რიგ ხალხებშია ე. წ. მეორადი დამარხვის წესზე, რომლებიც განვითარების გვაროვნულ სტადიაზე იმყოფებოდნენ. ის დაკავშირებულია პირველყოფილ წარმოდგენებთან სულის და ხორცის მჭიდრო კავშირის შესახებ; ამ

¹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб. 1950, გვ. 72-75.

² Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949, გვ. 188-191.

უკანასკნელის მთლიანად განადგურების გარეშე შეუძლებელია ხორცის ძვლისაგან განთავისუფლება, სულს არ შეუძლია გახდეს დამოუკიდებელი და რჩება ცოცხლების ირგვლივ, საჭიროებს საკვებს და მასზე ზრუნვას. ყველა მრავალფეროვნება – როგორც ხელოვნური ისე ბუნებრივი ხორცის განთავისუფლებისა საბოლოო ჯამში მიმართულია ერთი მიზნისკენ, მისცეს მიცვალებულს მეტ-ნაკლები სისწრაფით ამ შესაძლებლობის განხორციელების საშუალება, რომელიც მიიღება ძვლების ნარჩენების საბოლოო დამარხვისათვის. თუმცა, ავტორისავე აღნიშვნით, კრემაციის იდეოლოგიურ საფუძვლებს უმრავლეს შემთხვევაში აქვს იმავე მნიშვნელობა, რამდენადაც ერთი და იმავე საზოგადოებაში, მაგალითად ძველ ბერძნებში და რომაელებში შეინიშნება არაერთი გადასვლა ნარჩენების დაკრძალვის ჩვეულებიდან გვამის დაწვაზე და პირიქით, მათში შემოდებულია კიდევ ერთი ახალი მომენტი – ცეცხლი, რომელიც, ავტორისავე აზრით, ძალზედ აძნელებს ახსნას¹.

მ. ი. ივაშენკოს აზრით, კოლხებმა, რომლებმაც შემოადწიეს II-I ათასწლეულების მიჯნაზე მცირე აზიიდან თანამედროვე დასავლეთ საქართველოში თან მოიტანეს თავიანთი დაკრძალვის რიტუალი მიცვალებულის ხეზე დაკიდების სახით შემდგომი მეორადი დამარხვით დიდ თიხის ჭურჭელში. ავტორისავე აზრით, როდესაც დაახლოებით I ათასწლეულის შუახანებისათვის კოლხები გადავიდნენ ნაწილობრივ გვამის დაწვაზე, ხოლო ნაწილობრივ გვამის ჩადებაზე, მაშინ მათ ამ უკანასკნელის შემთხვევაში შეინარჩუნეს ძველი ტრადიცია დიდი თიხის ჭურჭლების გამოყენების სახით. ავტორისავე თქმით, სამარხი ჭურჭელი ასევე იდგმებოდა თავდაყირა ყელით ქვემოთ ვერტიკალურად და რომ მასში მოთავსებულიყო მიცვალებული, ზემოთა ნაწილი ჭურჭელისა იმტვრეოდა და გვამი იდებოდა ძლიერ მოკრუნხულ მდგომარეობაში და ზემოდან იმავე ანამტვრევით იფარებოდა. შემდგომში ჩვენ აღ-მდე IV-III სს-ში ჩათვალეს რა ეს მეთოდი უხერხულად სამარხავი ჭურჭელი იმარხებოდა უკვე პორიზონტალურ მდგომარეობაში. ძვ. წ. II-I საუკუნეებში დაკრძალვის ეს წესი შემოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში – იბერიაში. ამ დროისათვის ჭურჭლის პორიზონტალური მდგომარეობა საბოლოოდ იყო ამოძირკული ვერტიკალური მდგომარეობის მიერ². ავტორი ვარაუდობს, რომ დაკრძალვის ეს წესი აღმოსავლეთ საქართველოში შესაძლოა შემოსულიყო როგორც დასავლეთ საქართველოდან – კოლხებისგან, ისე სამხრეთიდან ზემო მესოპოტამიიდან აზერბაიჯანის ან სომხეთის გავლით³.

მ. ივაშენკოს მოსაზრებას ანგარიშგასაწევად მიიჩნევს ა. ბოხოჩაძე და აღნიშნავს, რომ თუ აქვე გავითვალისწინებთ ბრინჯაოს წალღების გავრცელების არეს და ხანას, მაშინ წამოყენებული მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გამოიყურება. მისივე აღნიშვნით, შესაძლოა მართლაც მოხდა კოლხების ტომის ერთი ნაწილის გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, რომელმაც დასავლეთ საქართველოში მოიტანა თავისი დამარხვის წესიც და სამეურნეო დანიშნულების იარაღი – წალღი⁴.

¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 190-192.

² М. И. Ивашенко, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, Известия А. Н. Азербайджанской ССР, 1947, №1, გვ. 78 და შემდგომ.

³ М. М. Ивашенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, Советская Археология М.-Л. 1950, т. XIII, გვ. 330.

⁴ ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963, გვ. 136.

ო. ლორთქიფანიძის აზრით, ქვევრსამარხების გავრცელება შესაძლოა ასახავდეს გარკვეულ ეთნიკურ ძვრებს, რომელიც ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში აღმოსავლურ-ქართული ტომების მესხების აქტიურობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ავტორისავე აღნიშვნით, თითქმის იმავდროულად დაკრძალვის ეს წესი (ქვევრსამარხებში) აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა. ავტორი, ქვევრებში დაკრძალვის წესს საქართველოში მცირე აზიიდან გავრცელებულად (უკანასკნელ წლებში ძვ. წ. IV-III საუკუნეების ქვევრსამარხები აღმოჩნდა თურქეთში. მდ. ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე) მიიჩნევს¹. ხოლო თავის ადრინდელ ნაშრომში ო. ლორთქიფანიძეს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული. კერძოდ, მისი აზრით, ძვ. წ. IV-III საუკუნეების ქვევრსამარხების გაჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს კოლხეთში აღმოსავლურ ქართული ტომების დასახლების შედეგად².

ბ. ვაშაკიძის და გ. ლორთქიფანიძის აზრით, ქვევრსამარხის ტიპი და კრემაციის წესი არაა შემოტანილი გარედან, იგი ადგილობრივი მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ელემენტია საუკუნეების მანძილზე³. ზ. კვიციანის თქმით, ქვევრსამარხები გვიანანტიკურ ხანაშიც აგრძელებს არსებობას, რომელიც ავტორისავე აზრით, უდავოდ ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებს უკავშირდება, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა, რაც მოწმობს, რომ მათ გადმონაშთის ხასიათი აქვს⁴. სხვა ადგილას კი აღნიშნავს, რომ ამფორსამარხების გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელია. იგი ბერძნულ-რომაული ეთნოსისათვის არის დამახასიათებელი⁵.

ს. კაზიევის აზრით, ქვევრსამარხები აზერბაიჯანიდან სომხეთში გავრცელდა და შემდეგ სომხეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში⁶.

ჟ. ხაჩატურიანს ქვევრსამარხები სომხეთში ჯერ კიდევ ურურტულ ხანაში შუამდინარეთიდან შესულად მიაჩნია⁷.

ა. ნონეშვილის აზრით, ქართული, აზერბაიჯანული და სომხური (კარასი, კიუპი, ქვევრი) ჭურჭელში დაკრძალვა უნდა მოვიჩინოთ იმის მაჩვენებლად, რომ ამ წესს შეესაბამა ადგილობრივი ვითარება და ადგილობრივმა თიხის ჭურჭელმა შეასრულა სამარხის როლი, ე. ი. სამარხთა ამ სახეობაში გამოხატულება ჰპოვა ადგილობრივმა მეურნეობრივმა სახემ – მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებამ, შესაბამისად, აღნიშნავს ავტორი, დაკრძალვის ამ კონკრეტული სახეობის ადგილობრივი საფუძვლები ეჭვს არ უნდა იწვევდეს⁸.

თ. ხოხობაშვილის თქმით, იბერიაში ქვევრსამარხების დაკრძალვა ამ წესის მიმდევართა რელიგიურ შეხედულებებიდან იღებს სათავეს. ავტორის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ამ წესის მიმდევრები იბერიის ტერიტორიაზე მცხოვრები მიწათმოქმედნი, მევენახეობა-მეღვინეობის მიმდევარი ბერძნები ან მეტ-ნაკლებად გაელინიზირებული იბერები და კოლხები ყოფილიყვნენ. ქვეყანაში ახალი სახით

¹ ო. ლორთქიფანიძე, ვანი, ოქრომრავალი კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, გვ. 24, 35.

² ო. დ. ლორთქიფანიძე, Город-храм Колхиды, М. 1984 გვ. 41.

³ ბ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ. 1975, გვ. 101.

⁴ ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ. 1977, გვ. 143.

⁵ ზ. კვიციანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

⁶ С. М. Казиев, Альбом кувшинных погребений в Мингечаури, Баку, 1960, გვ. 18.

⁷ Ж. Д. Хачатрян, Гарни У. Ереван, 1976, გვ. 28.

⁸ ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ. 1983, გვ. 75.

სამარხის ტიპის შემოტანა ან ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლით იყო შეპირობებული ანდა ახალი რელიგიური მსოფლმხედველობის დანერგვით. ავტორი ბერძნულ ამფორსამარხებისა და ქვევრსამარხების კულტურას ერთი საწყისიდან მიმდინარედ მიიჩნევს¹ და ქვევრსამარხებთან ერთად, კრამიტსამარხებს, თიხის ფილასამარხებს და კატაკომბური ტიპის სამარხებს, იბერიაში დამკვიდრებული უცხო ეთნიკური ჯგუფისა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის წარმომადგენელთა კუთვნილებად თვლის².

ა. აფაქიძე, არ გამორიცხავს დასავლეთ საქართველოდან ქვევრსამარხების გავრცელებას ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შემდგომ აზერბაიჯანში, რადგან, მისივე აზრით, იმ დიდ სავაჭრო გზაზე, რომელიც ფაზის-მტკვრის მიდამოებს მოიცავდა შესაძლო იყო კულტურის ნებისმიერი მიღწევის გავრცელება, შესაბამისად დიდ ქვევრში დაკრძალვის ჩვეულებაც. ავტორი ამავე დროს გავრცელების თვალსაზრისით ხედავს თანმიმდევრულ ქრონოლოგიურ კავშირს – ძვ. წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთში, ძვ. წ. III-I სს. ქართლში, ძვ. წ. II საუკუნეში აზერბაიჯანში³.

ა. აფაქიძე, ქვევრსამარხთა გავრცელებას მესხური მიგრაციის იმ ტალღას უკავშირებს, რომელსაც, მისივე აზრით, შემოჰყვა არმა-არმაზი და ზადენი⁴.

გ. ლორთქიფანიძე არქეოლოგიური მასალის მოშველიებით აღნიშნავს, რომ ქვევრსამარხები არ იქმნება ელინისტურ ეპოქაში და ეს წესი ცნობილი იყო უფრო ადრე, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. IV საუკუნეში, ხოლო ფართოდ გავრცელდა მთელს ცენტრალურ კოლხეთში მთის და ზღვის ზოლის გამოკლებით. ავტორისავე აზრით, პიფოსები რომელიც დაკრძალვის მიზნით გამოიყენებოდა, არ არის მოტანილი გარედან, არამედ VI-IV საუკუნეების ადგილობრივი მატერიალური კულტურის უმთავრეს ელემენტებს წარმოადგენს. მიცვალებულის დაკრძალვა ემბრიონის პოზაში, როგორც გრუნტის თხრილებში, ასევე პიფოსებში, დაკავშირებულია კოლხთა გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან, ის ავტორის აზრით, ათასი წლის განმავლობაში არსებობდა კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელებამდე, რაც ამავე დროს მევენახეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული და ძნელია იმის მტკიცება, რომ დაკრძალვის ეს წესი კოლხეთში დაკავშირებული იყოს უცხო ელემენტთან, თუგინდ მონათესავე მესხური ტომების მოსვლასთან და მათ „კოლონიზაციასთან“ თუ „მიგრაციასთან“; როგორც ჩანს, ეს იყო ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგი, როგორც მეზობელი ქვეყნების ამავე ეპოქის ქვევრსამარხები (სომხეთი, აზერბაიჯანი)⁵.

ზ. იამპოლსკი, ქვევრსამარხებს ფაზის-მტკვრის სავაჭრო გზით შამოსულად მიიჩნევს⁶.

ვ. თოლორდავას აზრით, ძვ. წ. IV-III სრულდება, ერთიანი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც როგორც ვარაუდობენ მცირეაზიური წარმოშობის ქართველური ტომების დიდი აქტიურობით ხასიათდებოდა და რომელსაც

¹ ი. ხოსობაშვილი, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები და ანტიკური ხანის ქართლის სამეფო (იბერიის) ისტორიის ეთნოლოგიური ასპექტები (საკანდიდატო დისერტაცია), თბ. 2005

² თ. ხოსობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

³ А. Апакидзе, Города древней Грузии, Тб. 1968, გვ. 127-128.

⁴ ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, 1970, გვ. 693.

⁵ Г. Лорткипанидзе, Колхида в VI-II вв. до н. э. Тб. 1978, გვ. 84-86.

⁶ З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. II, თბ. 1956, გვ. 173.

უნდა მოჰყოლოდა მცირეაზიული ტრადიციების დანერგვა, როგორც საკულტურ-რელიგიურ სფეროში, ისე მატერიალურ კულტურაში. მისივე აზრით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ იბერიის ოფიციალური პანთეონის სათავეში ხეთური მცირეაზიული სახელის მატარებელი ღმერთები დგანან და მცირეაზიული წარმოშობის ტოპონიმები უმკვიდრდებათ შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ საქალაქო ცენტრებს. ავტორისავე თქმით, ქვევრსამარხები იბერიაში პირველად სწორედ ამ გარემოში (ციხია-გორა) იჩენს თავს და შესაძლოა იმ მცირეაზიული კონტაქტების ერთ-ერთი გამოვლენა იყოს. ქვევრში დაკრძალვის წესს მცირე აზიაში საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს (ახალ აღმოჩენათაგან საყურადღებოა ანატოლიაში, ქებანის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრეელისტური ხანის სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებითაა წარმოდგენილი და რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მონეტებით თარიღდება). იმავე ავტორის აღნიშვნით, ძვ. წ. IV ს. უკანასკნელი პერიოდი კოლხეთშიც მნიშვნელოვანი სიახლეებით აღინიშნება, როგორც მატერიალურ კულტურაში, ისე იდეოლოგიის სფეროში. ისახება ორი კულტურული ტრადიცია – ჩნდება განსხვავება ზღვისპირა ზოლისა და ქვეყნის ცენტრალურ რეგიონს შორის, რაც დაკრძალვის წესის სოციალურ ურთიერთობებშიც აისახა (ქვევრში დაკრძალვის წესი ზღვისპირეთში ჯერჯერობით დადასტურებული არაა). ავტორი აღნიშნავს, რომ კოლხეთის მატერიალურ კულტურაში და იდეოლოგიის სფეროში აღნიშნულ ამ გათიშვას თითქოს ადასტურებს ნუმიზმატიკური მონეტები - ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან არ იჭრება კოლხური თეთრი – კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობის ძირითადი ნიშანი. ამავე დროს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში თავს იჩენს ის მცირეაზიული რეალიები, რომლებიც იბერიის მიმართ გვეჩვენებენ აღნიშნული. კაბადოკიური, წარმოშობის უნდა იყოს კოლხი მეომრის საბეჭდავზე ამოკვეთილი საკუთარი სახელი „დედატოსი“. ასევე დღევანდელი მაიაკოვსკის მახლობლად დადასტურებული მცირეაზიული ტოპონიმი დიშნა. იბერიისა და კოლხეთის მჭიდრო კონტაქტებზე მეტყველებს იბერიული მოხატული კერამიკის გამოჩენა ვანსა და ითხვისში. ავტორი ანგარიშგასაწევად მიიჩნევს იმას, რომ თითქოს ქვევრში დაკრძალვის წესი დასავლეთ საქართველოში ძირითადად სწორედ აქ იბერიისა და კოლხეთის მჭიდრო კონტაქტების ზონაში („ვანის ქვეყანა“) იჩენს თავს¹.

გ. გობეჯიშვილი შენიშნავს, რომ ძვ. წ. III საუკუნიდან ქართლში (სამთავროს სამაროვანი) იცვლება სამარხის ტიპი; იცვლება ინვენტარიც. ორმოსამარხებს ცვლის ქვევრსამარხები, ქრება ყოველგვარი იარაღი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რკინის დანებს. სამაგიეროდ ჩნდება სამკაულის ახალი ტიპები. ავტორისავე აზრით, ქვევრებში დასაფლავების ჩვეულება იბერიაში უნდა შემოსულიყო დასავლეთ საქართველოდან, სადაც ის დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, და ავტორი იმომბედას ს. დაბლაგომში ნ. ხოშტარიას მიერ აღმოჩენილ ქვევრსამარხებს, რომლებიც ძვ. წ. VI ს-დან I საუკუნემდე პერიოდში ექცევა².

დაკრძალვის წესებში უეცარი ცვლილება, ახალი ინვენტარის წარმოშობა და ძველის გაქრობა გ. ლომთათიძეს აფიქრებინებს, რომ თიხის ქვევრებში და სხვა ჭურჭელში დაკრძალვის წესი იბერიაში შემოვიდა კოლხეთიდან. ერთდროულად კი ის

¹ ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გვ. 65-66.

² გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 112.

შემოიჭრა აზერბაიჯანსა და სომხეთში. აზერბაიჯანში კი ის ახ. წ. აღ. II საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე აგრძელებს არსებობას¹.

ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ყველაზე ადრეულ და თითქმის ერთადერთი სამარხი ურნებში მიცვალებულთა ფერფლითურთ აღმოაჩინა პ. პეტროვმა 1914 წელს არარატის ძირას, სოფ. იგლარის მახლობლად. ეს სამარხი განეკუთვნება ვანის ეპოქას². გამომდინარე აქედან, ზ. კვიციანი ასკვნის, რომ ურნებში მიცვალებულის დაწვის წეს-ჩვეულება წინააზიური წარმოშობისაა³.

როგორც გამოჩნდა, ქვევრსამარხების ქართლში და საერთოდ საქართველოს დასავლეთსა, სამხრეთსა თუ საერთოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს, ზოგი მას ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევს, ზოგი კოლხურად, ზოგი საერთო წინა აზიურად, ზოგი კი მესხების მოტანილად თვლის. ურნებში დაკრძალვის წესი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ადრინდელი კულტურების მაგალითზე (თრიალეთის ყორღანები ადსხვ.) გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ადრესამიწათმოქმედო კულტურებიდან მოყოლებული თითქმის მთელს წინა აზიაში. თითქოს არ ჩანს საქართველოში ფიქსირებულ ქვევრსამარხებთან მათი კავშირი, თუმცა მხოლოდ ეთნიკურ კავშირებზე ყურადღების გამახვილება მისი წარმოშობის საფუძველზე, არ იქნება გამართლებული. ჩვენი აზრით, ქვევრსამარხების წარმოშობა, რომელიც ალბათ უფრო ერთ-ერთ ქართველურ ტომს უკავშირდება, ადგილობრივ ნიადაგზე უნდა ვეძებოთ და ქართული ყოფისა და კულტურის იმ უმთავრეს ნიშანში დავინახოთ, რომელსაც პირველ რიგში მეურნეობის თავისებურება განსაზღვრავს. ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვის წესის წარმოშობას საფუძველად უდევს რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომლის საწყისი იდეაც ამ ეპოქის ადგილობრივი მეურნეობრივი ყოფიდან მომდინარეობს, რაც თითქმის ბოლო დრომდე ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოინახა. ამავე დროს, ჩვენი აზრით, მისი გავრცელების ქრონოლოგიიდან გამომდინარე, ის დასავრულ-ქართულ კულტურას (კოლხურს) უნდა დაეუკავშიროთ. კოლხურ ტომებსა და თვით მესხებს შორის ეთნიკური განსხვავება კი ნაკლებ სავარაუდოა, რომელთა სავარაუდო მიგრაციას ქართლში ემთხვევა კულტურის ცვლილება და ქვევრსამარხების გამოჩენაც.

აღსანიშნავია, რომ სამარხად ამიერკავკასიაში გამოიყენებოდა სამეურნეო, მაგრამ მწყობრივად გამოსული ქვევრები, თუმცა არის შემთხვევები, საგანგებო დამზადებული სამარხ-ქვევრების აღმოჩენისა⁴. ა. ნონეშვილის აღნიშვნით, პირფოსებში დაკრძალვის ოდინდელი წესი უდევს საფუძველად ქვევრსამარხთა შემოსვლას ამიერკავკასიაში. მისივე აზრით, ადრინდელი ცივილიზაციის ამ ელემენტმა თავისებური ასახვაც ჰპოვა აზერბაიჯანში (იქ კიუპების გამოყენება დაიწყო), საქართველოში (აქ ქვევრი – ჭური გამოიყენეს სამარხებად) და სომხეთში (აქ კარასებია სამარხებად გამოყენებული)⁵.

¹ Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тб. 1955, стр. 60-62; ასევე იხ. გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბ. 1952, გვ. 136-137.

² Б. А. Куфтин, Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII, Тб. 1944, стр. 1-2.

³ ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოს და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ. 1997, გვ. 151.

⁴ ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ. 1983, გვ. 78.

⁵ ა. ნონეშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ზ. კვიციანის აღნიშვნით, სამარხეულად გამოყენებული ქვევრების შესწავლამ ცხადყო, რომ თავდაპირველად ისინი საღვინე დანიშნულების ყოფილან. თითქმის ყოველთვის შეიმჩნევა ქვევრის რეცხვის კვალი, რის გამოც მისი შიდა პირი გახეხილია ხოლმე. ქვევრსამარხად შეიძლება გამოყენებინათ, სხვადასხვა დანიშნულების (მაგ. მარცვლის შესანახი) ქვევრებიც. დაბლაგომში აღმოჩნდა უფრო ადრეული ხანის საგანგებოდ სამარხისათვის დამზადებული ქვევრი. ამ ქვევრს ნაჩვრეტი ჰქონდა დატანებული, რაც, ავტორისავე აზრით, გამორიცხავს მის გამოყენებას სამეურნეო მიზნებისათვის. გარდა ამისა ძვ. წ. აღ. III-II სს. ქვევრებს სპეციალურად ამზადებდნენ მიცვალებულის დასაკრძალავად (ზემო ფარცხმა). ავტორი შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკურ ხანის ქვევრსამარხები ინვენტარით არსებითად განსხვავდება უფრო ადრეული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებისაგან. აღსანიშნავია ასევე ოქრის გამოყენება, რომელიც, ავტორისავე აზრით, სისხლის სიმბოლო უნდა იყოს, თავად ქვევრი და ემბრიონის პოზაში დაწვენილი მიცვალებული კი საშოს იმიტაციის მაჩვენებელია. ქვევრში დაკრძალვის იდეა დაკავშირებულია სიცოცხლის მუდმივობასთან. ამ ქვეყნიდან ადამიანი მიდის ისე, როგორც მოველინა ხილულ სამყაროს, ყველაფერი ეს კი ძველ კოლხური რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ანარეკლია¹. იმავე ნაშრომში სხვა ადგილას, კერძოდ ციხისძირის ძვ. წ. VI-V სს. და ეშერის ძვ. წ. III-II სს., ამფორსამარხების მიხედვით, ავტორი აღნიშნავს, რომ მცირეწლოვანი ბავშვების დასამარხად ამფორსამარხების გამოყენების ტრადიცია, დაკავშირებულია ბერძნულ რიტუალთან და ცნობილია სხვადასხვა დროის ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვასა და დასავლეთ შავიზღვისპირეთში. სამაროვნებში ბერძნულ-რომაული ტრადიციის თანახმად, ბავშვები მშობლებთან ან ნათესავებთან ახლოს ამფორებში ან დერგებში იმარხებოდნენ. ავტორისავე აღნიშვნით, ბიჭვინთის სამაროვანზე ამფორსამარხების არსებობა შეიძლება აიხსნას ქალაქის მოსახლეობის ნაწილის ელინიზაციით, ხოლო ახ. წ. I საუკუნეებში ამფორსამარხების რაოდენობა პირველ საუკუნეებისთვის მცირდება. მისივე აზრით, დასავლეთ საქართველოში ბავშვების ამფორებში დამარხვის ტრადიცია კვლავ შემოდის ახ. წ. II საუკუნის ბოლოს (ის არ არის დამახასიათებელი აფსილ-აბაზგ-სანიგებისათვის). ან ახ. წ. აღ. III საუკუნის დასაწყისისათვის. ავტორისავე დაკვირვებით, როგორც ჩანს რიტუალი გამოხატავს დაბადების და სიკვდილის ერთიანობის რწმენას, რომლის ფესვები უფრო ღრმა წარსულში უნდა ვეძებოთ².

რა თქმა უნდა ჩვენ ვიზიარებთ ქვევრის რელიგიურ-რიტუალურ დატვირთვის და მიცვალებულის კულტთან მის კავშირს და იმასაც, რომ ქვევრს ნაყოფიერების კულტთან (საშოს იმიტაციასთან) აქვს კავშირი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, მაგრამ ბავშვების პიფოსებში დაკრძალვაც არ მიგვაჩნია ბერძნულ წესად, რამდენადაც ის ჯერ კიდევ ადრესამიწათმოქმედო კულტურებშია ფართოდ ფიქსირებული და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან და შესაძლოა მსხვერპლშეწირვის გარკვეულ ფორმებთანაც კი არის კავშირში.

¹ ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველო და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ. 1997, გვ. 141, 143-144.

² ზ. კვიციანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130-134.

გ. ცქიტიშვილის დაკვირვებით, ჩვენში აღმოჩენილი სამარხავად გამოყენებული ნარეცხი ქვევრები შიგ მიცვალებულის დაკრძალვამდე ხანგრძლივად ყოფილან გამოყენებულნი საღვინედ. ავტორისავე აზრით, ამ ქვევრში არ იმარხებოდა საზოგადოების არისტოკრატიული ზედაფენა, არამედ საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელი, უშუალოდ მწარმოებელთა იმ ოჯახის წევრი, რომელსაც ქვევრი საკუთრებად ჰქონდა¹.

ნ. ვაშაკიძე და გ. ლორთქიფანიძე, კოლხური დასაკრძალავი ქვევრების ცხოველური ორნამენტის საფუძველზე აღნიშნავენ, რომ ის უდაოდ კოლხთა რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. უღაყები და ირემი მზის კულტთან უნდა დავაკავშიროთ, ხოლო მგელ-ძაღვის, მწვერის გამოსახულება კი, რომლის იკონოგრაფია გვიანბრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი ალბათ უზენაესი ღვთაების მსახურის როლში გვევლინება. მათივე აღნიშვნით, არ არის გამორიცხული, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ეს წრე გარკვეულად დაკავშირებული იყო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ, სამეგრელოში დადასტურებულ მესეფობასთან ასეთი გამოსახულებებით შემკული ქვევრები, მათივე აზრით, საგანგებოდ მზადდებოდა და ზედაშეს აღთქმული ღვინის შესანახად თუ გამოიყენებოდა. მათი სიმბოლიკა კი ასეთია: 1. სოლარული ნიშნები; 2. ცხოველთა რქების სტილიზებული გამოსახულებები; 3. ადამიანების, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებები; 4. ასოს მაგვარი ნიშნები. ავტორთა დაკვირვებით, მამლისა და ცხენის გამოსახულებიანი ქვევრები თავის სიმბოლიკით მიცვალებულის კულტს უკავშირდება. ამასთანავე, თვით სამარხად გამოყენებული ქვევრი ნაყოფიერების მუდმივი განახლების იდეასთან იყო დაკავშირებული და საშვილოსნოს, საშოს იმიტაციას წარმოადგენდა².

ო. ლორთქიფანიძის აღნიშვნით, ქვევრების სიმრავლე ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთში, მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარებაზე³. ხოლო მ. ი. ივაშენკო თვლის, რომ დასაკრძალავი ჭურჭელი (ქვევრი) სპეციალურად დასაკრძალავად არ იყო გაკეთებული, არამედ მეურნეობრივი საჭიროებისათვის – ღვინის და სხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახად⁴. გ. გობეჯიშვილის აზრით, ქვევრსამარხებში ქვევრები სამეურნეო დანიშნულებისათვის (ღვინის, ხორბლის შესანახად) მზადდებოდა. ისინი არ იყო საგანგებოდ კუბოებად დამზადებული ქვევრები, მაგრამ თავისებური კუბოს მოვალეობასაც ასრულებდა ხმარებიდან გამოსვლის შემდეგ⁵. ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენას, ავტორთა უმრავლესობა მევენახეობა-მეღვინეობის ინტერსიური განვითარებით ხსნის⁶.

ვ. თოლორდავას აზრით, კი ქვევრსამარხების გაჩენას და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას შორის ასეთი უშუალო კავშირი ეჭვის ქვეშ დგას, ქვევრი ხომ,

¹ გ. ცქიტიშვილი, მევენახეობის ისტორისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბ. 1959, გვ. 144.

² ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ. 1975, გვ. 99-105.

³ თ. ლორთქიფანიძე, ვანი, ოქრომრავალი კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, გვ. 11.

⁴ М. И. Ивашенко, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, Известия А. Н. Азербайджанской ССР, Баку, 1947, №1, გვ. 73-74.

⁵ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 112.

⁶ ა. აფაქიძე, მცხეთა, საქართველოს ძველი დედაქალაქი, თბ. 1959, გვ. 40; ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორისათვის ძვ. წ. I ათასწლეულიც მიწურული, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 105; А. Апакидзе, Города древней Грузии, Тб. 1968, გვ. 126; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შვეიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორისათვის, თბ. 1979, გვ. 180.

განაგრძობს ავტორი, პირველ რიგში ღვინის შესანახი ჭურჭელია. ეს სადავო არ არის, მისი მასიური წარმოება რომ მევენახეობა-მეღვინეობის ინტენსიური განვითარების შედეგია, ესეც ცხადია. მაგრამ ავტორისავე აზრით, ეს არ იყო საკმარისი დაკრძალვის ახალი წესის აღმოცენებისათვის. ავტორი მას უცხო ეთნიკური ელემენტის შემოჭრით ხსნის¹.

გ. ლორთქიფანიძის აზრით, ქვევრსამარხები, რომლებიც ეკუთვნოდა მეთემე მიწათმოქმედებს – სოფლის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის ტიპია. მიცვალებულის დაკრძალვა ემბრიონის პოზაში, როგორც მიწისქვეშა თხრილებში ასევე პიფოსებში, ავტორის აზრით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ნაკარნახევი იყო კოლხებში გაბატონებული გარკვეული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისაგან. მისივე აზრით, მისწრაფება მიცვალებულის სახელდახელოდ მიწისგან იზოლაცია მიგვანიშნებს გარკვეულ ტაბუზე, რომელიც კრძალავს უშუალო შეხებას მიწასთან, რომელსაც კოლხეთში თაყვანს სცემენ, როგორც ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას. ავტორისავე აღნიშვნით, მსგავსი აკრძალვები კარგად არის ცნობილი რელიგიის ისტორიაში და დაკავშირებულია ღვთაებრიობის იდეასთან². ავტორი მიიჩნევს, რომ ამ იდეის წარმოქმნას, როგორც ჩანს ხელს უწყობდა როგორც კონკრეტული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ისე თვით ჭურჭლის ფორმა, რომელშიც მოხერხებულია მოკრუნხულად დაკრძალვა. შემდგომ ეპოქაში მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, მევენახეობა-მეღვინეობისა, რასაკვირველია, პიფოსის მნიშვნელობაც გაიზარდა, მათი დამზადება დაიწყო დიდი რაოდენობით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ დასაკრძალავ ურნებად (მეორადი დაკრძალვა, მიცვალებულის ჩადება, კრემაცია) კოლხეთში მათ იყენებდნენ ათასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის მიღებამდე და მას ავტორი ადგილობრივად მიიჩნევს³. ასეთი იდეალური „იზოლაციის“ სახით პიფოსების გამოყენებას კოლხეთის მოსახლეობა იცნობდა ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს პერიოდიდან და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეორადი დამარხვის წესი სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გაიგივებულია ქვევრსამარხებთან⁴. ასევე ეს ტერმინი გამოყენებულია ურნებში კრემაციული დაკრძალვის წესისათვის⁵, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე (პიფოსებში, დამარხვის წესი კრასნი მაიაკში – სოხუმთან ახლოს) თარიღდება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით⁶. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, პირველ რიგში მიუთითებს მის რელიგიურ-რიტუალურ დატვირთვაზე, ვიდრე გარკვეულ ეთნიკურ კუთვნილებაზე (ყოველ შემთხვევაში ამ ეპოქაში, განსხვავებით ყორღანებში არსებული ურნების დაკრძალვის წესიდან), რომელიც მჭიდრო კავშირშია პირველ რიგში მიცვალებულის და ნაყოფიერების კულტთან და მეორე მხრივ მას უკავშირდება ქართველთათვის წმინდათაწმინდა სასმელი ღვინო, რომელიც ზედაშეს ფორმით ბოლო დრომდე შემორჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას და ის განსაკუთრებით „ოხვამერის“ ფორმით გამოკვეთილად ჩანს კოლხურ გარემოში. სანამ ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხებოდეთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვევრში სწორედ იმ მიზნით უნდა დაეკრძალათ

¹ ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გვ. 63.

² ავტორი იმოწმებს А. Вулли, Ур Халдеев, М. 1961, გვ. 54-55; В. В. Лапин, Греческая колонизация Северного Причерноморья, Киев, 1966 გვ. 221.

³ Г. Лорткипанидзе, Колхида в VI-II вв. до н. э., Тб. 1978, გვ. 85-86.

⁴ იხ. გ. გობეჯიშვილი, საქართველოს ისტორიის ნაკრვევები, თბ. 1970, ტ. I, გვ. 270; იხ. М. М. Трапш, Труды, 2, 2, стр. 121; იხ. გ. გობეჯიშვილი, საქართველოს ისტორიის ნაკრვევები, თბ. 1970, ტ. I, გვ. 270.

⁵ И. Цвинария, Находки в с. Нижняя Ешера. Археологические открытия 1970 г. М. 1970, стр. 380.

⁶ М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 150-166.

მიცვალებული, რომ ის თავდაპირველად მისი სამეურნეო დანიშნულებიდან გამომდინარე, სიცოცხლის შემოქმედ ქალურ არსებად უნდა წარმოედგინათ, მასში იკრძალებოდა მათი სათაყვანებელი მიცვალებული, მას სწირავდნენ მსხვერპლს, ხოლო შემდგომ მასში ისხმება წმინდათაწმინდა სასმელი - ღვინო, რომელსაც ბოლო დრომდე სცემდნენ ქართველური მოდგმის ტომები თავყანს. მიცვალებულის კულტმა კი უკანა პლანზე გადაიწია და საფლავი უკვე გახდა არა ქვევრი, არამედ სხვა ადგილი, ხოლო ქვევრმა იგივე ფუნქცია, „ოხვამერის“ ანუ წინაპრისადმი თავყანისცემის და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეით აღჭურვილი ღვთაების ფორმით, მარანში საზედაშედ ჩასხმულ ღვინოში შეინარჩუნა.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საღვინე ქვევრები უბრალოდ კუბოდ გამოიყენებოდა და არც იმას, რომ ის უცხო ეთნიკურ ელემენტს მივაკუთვნოთ კოლხეთში.

სწორედ მიცვალებულის, წინაპრის და ღვინოში გაცოცხლებულ-გადღვთაებრივული ნაყოფიერების ღვთაებასთან ურთიერთკაშირში უნდა იქნეს განხილული ამ ახალი წესის შემოსვლა ქართველურ ტომთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში და მევენახეობის განვითარებასთან მისი კავშირი უჭკველია.

როგორც გრ. რობაქიძე წერდა („წმინდა გრაალის მცველნი“): „უბედურების უამს ვახის ღერწისაგან გამოჭრილ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ თავისი თმებით შეკრა, მტვენები გამოუღია, მისი წვენი რაინდებს თასით შეუნახავთ. ეს თასი „გრაალია“, გული საქართველოსი... ვერ მონახავთ ამ ქვეყნად მეორე სახელმწიფოს, რომელსაც ვახისა და სარწმუნოების ერთიანი სიმბოლო აქვს.

გამოთქმული ვარაუდით, კულტურული მევენახეობა და მისი საწყისები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში უნდა ვეძიოთ. ამ ხანებიდან იწყება მეურნეობის ამ დარგის სწრაფი განვითარება და ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. მევენახეობის განვითარების ადრეული საფეხური ენეოლითის დასასრულს უნდა წარმოქმნილიყო¹. ა. ბოხოჩაძეს, მეღვინეობა, კულტურულ მევენახეობაზე ადრე წარმოქმნილად მიაჩნია და ენეოლითის დროს ღვინის დაყენება, დადუღების გზით, უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო, რამაც წარმოქმნა მოთხოვნილება დიდი ტევადობის ჭურჭელზე და მისივე აზრით, ენეოლითის ხანაში ადამიანი იწყებს დიდი ზომის ჭურჭლის კეთებას, მასში ავტორი ხედავს გვიანდელ ხანაში გავრცელებული საღვინე ჭურჭლის, ქვევრის წინაპარს და პროტოტიპს. ქვევრი საქართველოში ადგილობრივად წარმოქმნილად მიაჩნია, აქაური მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად². გვიანფეოდალურსა და ადრეფეოდალურ ხანაში, ვიდრე X საუკუნემდე აღმოსავლეთ საქართველოში ღია ტიპის მარნები უნდა ყოფილიყო გაბატონებული, ხოლო შემდგომ ხანებში კი დახურული მარნის ტიპი ვრცელდება და ღია მარანი აღარ არსებობს. დასავლეთ საქართველოში, თუ ვაშნარში აღმოჩენილი მარნის მაგალითზე ჩანს, რომ ღია ტიპის მარნები ყოფილა გავრცელებული ადრეფეოდალურ ხანაში³.

1. ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963, გვ. 37, 39.
2. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-117.
3. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

ი. კიკვიძის ვარაუდით, ღვინო თავდაპირველად მხოლოდ რიტუალში იყო გამოყენებული. სავარაუდოდ სასმელად ღვინის გამოყენება მეორე ათასწლეულისათვის ეჭვს არ იწვევს¹.

გ. ცქიტიშვილის აზრით, ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ღვინოს მიცვალებულის დასაკრძალავ რიტუალში სათანადო ადგილი ეჭირა. ამის სამტკიცებლად ავტორს მიაჩნია ამ ხანის სამარხებში ხელვიწრო დოქების, ხშირ შემთხვევაში რამოდენიმეს აღმოჩენის ფაქტები².

ბ. კუფტინის აღნიშვნით, წალკის რაიონის სოფ. კუშჩის ყორღანში ჭურჭლის მოცულობის გამოთვლა არკვევს, რომ მასში 3000-მდე ლიტრი სასმელი ჩადიოდა, ე. ი. იმდენი, რამდენიც დიდ გვაროვნულ კოლექტივს დასჭირდებოდა ქელესზე³.

ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ღვინოს, ვაზს და მარანს როგორც სალოცავს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მასზე უამრავი რელიგიურ-რიტუალური ქმედებაა ხალხში შემორჩენილი, რომელიც როგორც ოჯახის კეთილდღეობა-ბარაქიანობასთან, ისე უმრავლეს შემთხვევაში მიცვალებულის კულტთან არის კავშირში.

ქართლში, როცა ოჯახში მიცვალებული იყო, დასაფლავებამდე ვაზს დააწვენდნენ, მერე აღარ დაწვება ვაზიო. მანამ მკვდარს დასაფლავებდნენ ერთ ძირ ვაზს დააწვენდნენ, შემდეგ ეს ერთი ძირი ოთხ ხუთ ძირად იქცევაო⁴. რაჭაში ღვინის მეშვეობით ხორციელდებოდა ღმერთთან დაახლოება-ზიარება. ღვინო იყო მიცვალებულთა სულების უპირველესი „მისაგებებელი“. დღესაც მოხუცი რაჭველი გლეხი პირველ ჭიქას ისე არ დაღვეს, თუ ღვინის რამდენიმე წვეთი პურზე არ დაღვარა და თან არ ჩაიბუტბუტა: „მისი სული გაანათლოს ღმერთმა, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას ელისო“. ღვინის დიდი რაოდენობით დაქცევის შემთხვევაში დაზარალებული თავს იიმედებს: „მე დამექცა, მარა ჩემს მიცვალებულს იქ შეეწევაო“ (იგივეა სამეგრელოში) მიწის გაჯერების, დედამიწის კულტისადმი ხარჯის მოხდის რიტუალში ღვინო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ლ. ფრუიძის აღნიშვნით, ღვინით სავსე ჭური სიკეთის, ბარაქიანობისა და სიუხვის სიმბოლო იყო⁵.

ვენახსა და მარანში ყველა მნიშვნელოვანი სამუშაოს დაწყების წინ განსაზღვრული რიტუალი სრულდებოდა (რაჭა). ახალი ვენახის გაშენებისას, დილაადრიან „ჩიტის აზვრამდე“, ოჯახის დიასახლისი „ჯვარწერილი“ ერთ განატეხს აცხობდა. უფროსი კაცი მარნიდან ზედაშეს მოიტანდა, „ყვერბზე“ (კერის ქვა) ჩამოქნილ სანთელს აანთებდა, ოჯახის წევრებს კერასთან თავს მოუყრიდა დაილოცებოდა, - „ღმერთო, კერიის, ვენახის და ჭურ-მარნის ანგელოზებო, ყველა სალოცავებო, თქვენ მიეცით საქმეს გამარჯვება. ნუ გამაწბილებთ, გაახარეთ ყველა ლერწი, დაუბედეთ ახალ ვენახს ხვალი და ბარაქა. სიკეთეში მოგვახმარეთ ჩვენი შენაძენი“⁶.

2. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 100.

2 გ. ცქიტიშვილი მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბ. 1959, გვ. 143.

3 ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ. 1942, გვ. 22-23.

4 ნ. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1953, VI, გვ. 132).

5 ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ. 1974, გვ. 269-270.

6 ლ. ფრუიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

სამეგრელოში ყურძნის დამწიფების წინ გამოაცხობდნენ კვერებს ვენახში წაიღებდნენ და შიგ მიწაში ჩაფლავდნენ, თან ლოცულობდნენ, რომ ბევრი ყურძენი მოსავალი მოგვეცეს¹.

გურიაში, თ. სახოკიას აღწერილობით, დარჩენილია დღემდე სიმღერა ანუ უკეთ, ლოცვა, რომლითაც მიმართავდნენ აგუნას, ანუ კერპთაყვანისმცემლობის დროს ღმერთმფარველს მიწის ნაყოფისა და ჭირნახულისა. ახალ წელს ანუ კალანდის წინა დამეს მამა სახლისა გაუძღვება დანარჩენ წევრთ ოჯახისას და მიუძღვება მარანში. ხელში ყველას ანთებული სანთელი უჭირავს თან მიაქვს ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსს, გარდა ამისა, ხელში თოხი ან ცული უჭირავს. მივა გადმობრუნებულ საწნახელთან და ურტყამს ცულს ან თოხს ყუით, თანაც შემდეგ ლექსს ამბობს:

აგუნა, აგუნა გამეიარე
ბახელ, ასკანა გადმეიარე,
ჩვენს მამულში ყურძენიო
მტრის მამულში ფურცელიო
ჩვენს მამულში გოდრიოთა,
მტრის მამულში გიდლითაო.²

ნ. თოფურიას მიერ ეს ლექსი ამ ფორმით არის ჩაწერილი:

აგუნა, აგუნა შემოდი ჩვენსას,
შენ გაიარე ბახვისა და ასკანას გზით,
მიეცი ჩვენს ბაღებს ყურძნის უხვი მოსავალი,
სხვის ვენახს ფოთლები გაუმრავლე,
ჩვენს ცოლებს გამოუგზავნე უხვი აბრეშუმის პარკი,
სხვები კი დააჯილდოვე ძაღლისა და სახედრის ბაღით,
ჩვენი ოჯახი აავსე დოვლათით,
სხვისი ოჯახი გამოაცარიელე³.

იმავე ავტორის მასალებით, „ქართლსა და სამეგრელოში ვაზის მოუსავლიანობის შემთხვევაში ვაზის ტოტს მოსჭრიდნენ და ქვევრში ჩააყუდებდნენ, რაც ზედაშის მაგივრობას სწევდა. ქიზიყში სანამ ყურძნის კრეფას დაიწყებდნენ, პირველ რიგში ჩხას ან აკიდოს სახით ასჭრიდნენ იმ ვაზს, რომელიც ამა თუ იმ წმინდანისათვის ჰქონდათ განკუთვნილი და შეუთქვამდნენ ოღონდ ნუ დამისეტყვავს და ჭირში ნუ მომახმარებს - ეს შენა და ეს მეო. წმინდანისათვის განკუთვნილი იყო ერთი ორი ვაზი, რომლისთვისაც ოჯახის წევრს ხელი არ უნდა ეხლო. პირველად მოკრეფილი ყურძენი ეკლესიაში მიჰქონდათ, მას მღვდელი დაამწყალობებს. შეწირული ყურძენი ერთი დღე ეკლესიაში უნდა ყოფილიყო, ამის შემდეგ ერთი „მონათაგანი“ გამოიტანდა და მლოცველებს დაურიგებდა.

საქართველოში საახალწლო პურებთან ერთად ცხვებოდა ვაზის კვერიც. ქართლში, პურის ცომს ვაზის ტოტივით დაგრეხავდნენ და ისე გამოაცხობდნენ. ზოგან მას კვერს უძახდნენ, ზოგან კიდევ ვაზის რქას უწოდებდნენ.

¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1991, გვ. 331.

² თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ. 1950, გვ. 89).

³ ნ. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ. 1953, გვ. 133-134; ასევე იხ. E. Накашидзе, Новый год и другие обряды Гурийцев, газ. Кавказ, 1848, №27,

რაჭაში ყურძნის მტევნის გამოსახულებების პურს აცხობდნენ, რომელსაც მტევანს უძახდნენ, მტევანს ყურძნის ბიმბილებს გაუკეთებდნენ, ბიმბილებს მუხუდოს ყვავილივით შემოუყოლებდნენ, შიგნით ბევრ ქონს ჩაურთავდნენ: კვერი გაფუებული და მსუქანი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთივე მტევანი მიეღოთ. იმ კვერს ოჯახის უფროსი კაცი საღამოს ვენახში შეიტანდა, ვაზზე გადატყებდა. ამ კვერებით ქართლელი და რაჭველი გლეხი წლის განმავლობაში ვაზის ნაყოფიერებას იბედებდა.

ქართლში ახალწელიწადს დილით ოჯახის უფროსი კაცი ან ვაჟიშვილი ვენახში შევიდოდა. თან წაიღებდა ღვინოს, წყალს, სანთელს, ერთ გოდორ, პატივს და ქათამს წაიყვანდა. ვაზის ძირში ქათამს დაკლავდა, სისხლს ვაზს მოასხურებდა ქათამი მსუქანი უნდა ყოფილიყო, რომ ვაზს ქათმის ოდენა მტევანი მოესხა. პატივს ვაზის ძირს უყრიდა, სანთელს ანთებდა და დაილოცებოდა: ღმერთო ბარაქა მიეცი ჩვენს ვენახსა და მოსავალსო.

რაჭაში ახალწელიწადს ჭურის თავზე გავიდოდნენ. უფროსი კაცი ჭურს თავს მოხდიდა, ღვინო სარქველზე მოწოლილი უნდა ყოფილიყო, იტყოდა - „ასე სავსე გვამყოფე, ასე მთელი გვამყოფე“, სამჯერ ჭიქით ღვინოს ამოიღებდა და ისევ ჩააბრუნებდა. მოხდის უმაღლვე ოჯახის წევრებს დაუძახებდა, სავსე ჭურში ყველას უნდა ჩაეხედნა და შემდეგ სათითაოდ ყველას თითო ჭიქა ღვინოს დააღვეინებდა. სავსე ჭურთან ყველა ფეხს დაიბძენდა¹.

სამეგრელოში ახალწელიწადს ოთხ ხაჭაპურს გამოაცხობდნენ. ხაჭაპურებს გიდელში ჩააწობდნენ. გიდელს გოგონა მარანში წაიღებდა. მარნიდან ვაჟი დოქით ღვინოს გამოიტანდა და გოგონას შესახვედრად წამოუძღვება. შეხვედრის დროს მათ შორის იმართებოდა ბრძოლა. გამარჯვებული წაართმევდა ღვინო იქნებოდა, თუ ხაჭაპური და მარანში შეიტანდა. იქ გროვდებოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები და საწნახელს ჯოხს სცემდნენ და იმავე დროს მღეროდნენ:

ოი გიდელო, გიდელო

ჩემი ვენახი სავსეა წვნიანი მტევნებით,

სხვისში კი არის მხოლოდ გამხმარი ფურცლებიო.

თუ გამარჯვება ვაჟს დარჩებოდა, ღვინოსა და პურის უხვი მოსავალი იქნებოდა, თუ გოგონას აბრეშუმისა².

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვენახის ბედობაზე დაწესებული იყო სპეციალური აღკვეთილი დღეები, ქართველი გლეხი აღკვეთილ დღეებში ვენახში არ შევიდოდა, სავენახო სამუშაოს არ იმუშავებდა. ხალხის რწმენით აღკვეთის დარღვევის შემთხვევაში ვენახი დაზარალდებოდა.

კახეთში ყველიერის ორშაბათი ბოგანოს უქმე იყო, კაცი ვენახში არ გავიდოდა, რომ კვირტი არ დააზარალოს ბოგანომო.

ქართლში მკათათვის უკანასკნელ სამ დღეს და მარიამობის დადგომის სამ დღეს ვენახში არ შევიდოდნენ, ვაზს ხელს ვერ ახლებდნენ. იმ ექვსი დღის განმავლობაში წაქცეული ვაზიც რომ ყოფილიყო, ხელს ვერ მოკიდებდნენ, გახმებო იტყოდნენ.

¹ ნ. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ. 1953, გვ. 132-133.

² Е. Накашидзе, Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии, Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, В. И. Тиф. 1896, გვ. 59.

რაჭაში ცხრა მარტს უფროსი კაცი ცხრა ძირ ვაზს გასხლავდა, ცხრა კულა ღვინოს დაღევდა. სადილს ვენახში მიუტანდნენ, დაილოცებოდა - ღმერთო, გაუმარჯოს ჩემს ნაკეთებ ნასხლავ ვაზს, ნურაფერ ცუდ ჰაერს დაცემ. რამდენ კულა ღვინოს დაღევდა, იმდენჯერ დარჩენილ ღვინოს ვაზს შეასხამდა.

დიდხუთშაბათ საღამოს რაჭაში ვენახის ნაპირზე ცეცხლს დაანთებდნენ. ცეცხლის გარშემო ბავშვები დარბოდნენ, ორ რკინას ერთმანეთზე ურაწკუნებდნენ და გაიძახოდნენ - „არგუნა, არგუნა ჩვენს ვენახში გოდრა, გოდრა, სხვის ვენახში კიმპლა, კიმპლა. ჩვენს ჭურში ბადადაო, სხვის ჭურში ბაყაყაო“¹.

ქართლელების, ხევსურების, მეგრელების, რაჭველების და სვანების დღეობათა კალენდარში დიდხუთშაბათი კუდიანების დღედ იყო მიჩნეული. გამოთქმული მოსაზრებით, დიდხუთშაბათს ცეცხლის კოცონების დანთება ვენახში მიუთითებს იმას, რომ ამ დღეს, ცეცხლი ავი ძალების საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი².

სამეგრელოში ზოგან კვირიკობის თვეში, ზოგან კიდევ აგვისტოში, უფროსი კაცი მაღლარ ვაზთან წავიდოდა, თან წაიღებდა სანთელს, ღვინოს, ხაჭაპურს. სანთელს აანთებდა, ბავშვს ხელში აიყვანდა და იტყოდა: ამ სიმძიმე, ამ სისხო ხეავრიელი და კარგი მოსავალი მოვიდესო. შემდეგ დაიხოქებდა და ღმერთს ევედრებოდა მოსავლის სიუხვეს.

რაჭაში კვირიკობის ნამგაღს და წყლიან ქოთანს ვენახში შეიტანდნენ, ნამგაღს ვაზზე დაკიდებდნენ, წყლით სავსე ქოთანს კი ვაზის ძირში დადგამდნენ.

ქართლში რთველის დამთავრების შემდეგ სამ ძირ ვაზს გასხლავდნენ, მის წინ მსუქან ბავშვს გააგორებდნენ და იტყოდნენ - ამოდენა მტევნები მოისხასო. ზოგან ყურძნის კრეფას რომ მორჩებოდნენ, ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ და ვაზის წინ გაგორდებოდნენ.

რაჭაში ყურძნის კრეფა რომ დამთავრდებოდა, ვაზის ერთ კარგ მტევანს შეარჩევდნენ, ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი იმ მტევანს ვაზს შეაჭყლეტავდა - ბევრს მოისხავსო. მსგავსებითი მაგიის საფუძველზე მტევნის შეჭყლეტით გამოწვეული წვენის სიმრავლით ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას მოელოდნენ. მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და ვაზის წინ მსუქან ბავშვს გააგორებდნენ³.

ყურძნის მოსავლის აღების შემდეგ სამეგრელოში იმართებოდა დღესასწაული, რომელიც ცნობილია „რთველის გიორგობის“ სახელწოდებით, ოჯახის უფროსი წევრი ზურგზე მოიკიდებდა ვაჟს ან გოგონას და წავიდოდა მაღლართან, ფელამუშს ვაზს წაუცხებდა და დაილოცებოდა: რომ ვაზიც ასე მოიხაროს თავის ნაყოფისაგან როგორც თვითონ არის დახრილი ტვირთისაგან⁴.

რთველის დამთავრების შემდეგ რაჭაში სცოდნიათ „რთველის დალოცვა“. ქათამს ან ცხვარს დაკვლავდნენ, ღმერთს შეევედრებოდნენ, რომ მომავალ წელსაც კარგი მოსავალი მიეღოთ.

საქართველოს ყველა კუთხეში ყურძნის ჭამა ფერისცვალებამდე აღკვეთილი იყო⁵.

¹ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 435-436.

² ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ. 1941, გვ. 82.

³ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 136-137.

⁴ E. Накашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

⁵ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

მარნის ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, იმერეთში მარნის ირგვლივ შემოლავებული ჰქონდათ მოჭრილი ეკლის დიდი ბუჩქები, რომ ხალხის თქმით მავნე თვალმა მარანში არ ჩაიხედოს და მარნის დოვლათი არ გაუბარაქიანოს.

სამეგრელოში, მარნის შესავალ კარებში ავი თვალის საწინააღმდეგოდ წითელი ტყემლის ან მწარე ბალის ტოტს დაკიდებდნენ. ხალხის ძველი რწმენის თანახმად პირველად მავნე თვალი მას შეხედავდა და მარანს არ ავნებდა.

აფხაზთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოსავლის აღება რომ დამთავრდებოდა, მარანში მოსავლიანობისათვის, ბარაქიანობისათვის განკუთვნილი რიტუალი სრულდებოდა. საკლავის გულ-ღვიძლით უფროსი კაცი დაილოცებოდა, რომ მომავალ წელსაც ასეთი უხვი მოსავალი მიეღოთ. ღოცვაში ძირითადად მევენახეობა იყო აქცენტირებული¹.

ქართლში ოჯახის უფროსისა და დოვლათიანი კაცის სიკვდილის შემთხვევაში მიცვალებულის თმასა და ფრჩხილს მარანში შეინახავდნენ². გამოთქმული მოსაზრებით, მიცვალებულის თმასა და ფრჩხილების ასეთ მნიშვნელობას კავშირი უნდა ჰქონდეს მიცვალებულის კულტთან. ხალხის რწმენით მიცვალებულის სულები დიდ როლს თამაშობდნენ ცოცხალ ყოფაში და შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მათ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საქმიანობაზე. მათ შეეძლოთ სასურველი მოქმედებისაკენ წარემართათ ადამიანთა ცხოვრება და აგრეთვე ზიანიც მოეტანათ³.

ნ. თოფურიას მართებული აღნიშნით, დღეობების რიტუალური და ცალკეული მაგიური მოქმედებების ძირითადი წესები ვაზის ბარაქიანობას, მოსავლიანობის გადიდებას ემსახურება. მაგიური გადმონაშთების დადგენა მევენახეობაში მოსავლიანობის გადიდების მიზნით, მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რიტუალი, ტრადიცია, საგანგებო დღესასწაული, ღვინის ზედაშეები და მისი კავშირი მიცვალებულის კულტთან, საქართველოში ამ კულტურის სიძველეზე უნდა მიუთითებდეს⁴.

ვფიქრობთ, ქვევრში ადამიანის დაკრძალვის წესი არ განისაზღვრება მარტო მისი სამარხად, როგორც კარგად გამოსაყენებელი ჭურჭლის მნიშვნელობით, არამედ მას ღრმა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უდევს საფუძვლად, რომელიც დაკავშირებულია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან, რაც „ზედაშეს“ და მეგრული „ოხვამერის“ ფორმით ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა⁵.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, ღვინოსა და ვაზთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, პირველ რიგში ოჯახის ბარაქიანობისა და კეთილდღეობისათვის სრულდებოდა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მის საწყის სტადიაზე მჭიდრო კავშირი შეინიშნება მიცვალებულთა კულტთან.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მარანი არა მარტო ღვინის შესანახს, არამედ საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც ამა თუ იმ ღვთაების სახელზე სპეციალურად იყო ჩაფლული ქვევრი, რომელშიც ცალკე იხსმებოდა ღვინო; იქ სრულდებოდა ოჯახის თუ გვარის საკეთილდღეოდ მიმართული ღოცვა, რომელსაც

¹ ნ. თოფურია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ. 1995, გვ. 156-157.

² ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

³ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

⁴ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

⁵ დ. ჭითანავა, მეგრული სალოცავი (ოხვამერი) ქვევრის დამტკიცების რიტუალის შესახებ სამეგრელოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ. 2008.

ოჯახის ან გვარის უფროსი ადავლენდა მთელი რიგი რიტუალური წესების დაცვით. ყველაზე უფრო მკაფიოდ საოჯახო და პატრონიმიული სალოცავები სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა. მარანს, როგორც ჩანს ძველ სამეგრელოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომაც ეკლესიის ფუნქციაც შეუთავსებია, რადგან არქ. ლამბერტი (XVII ს.) გვამცნობს, რომ მარანში ჯვრისწერის ცერემონიაც ტარდებოდა¹. ეს ფაქტი ს. მაკალათიას მიერაც იქნა ფიქსირებული².

6. თოფურიას გამოკვლევით, „საქართველოს ცალკეული კუთხეების მაგალითზე ღვინის ზედაშეები, სამეგრელოსა, იმერეთსა და გურიაში განკუთვნილი ყოფილა, როგორც სახატო, ისე საოჯახო დღეობებისათვის. ქართლში და რაჭაში კი ღვინის ზედაშეები მხოლოდ სახატო დღეობებს ეწირებოდა. საოჯახო დღეობები კი ნაკლებად იყო წარმოდგენილი. სამეგრელოსა და იმერეთში ზოგიერთი საოჯახო დღეობა, რომელსაც ღვინის ზედაშეები ეწირებოდა საგვარ-სატომო ხასიათისა იყო, რომლის დღესასწაულებში, ადრე გვარი, ტომი დებულბოდა მონაწილეობას, ხოლო შემდეგ კი ოჯახში სრულდებოდა ვიწროდ, ფარულად³.

მარანში, ქვევრთან შესრულებულ საოჯახო სალოცავებში ცალკეულ ღვთაებათა მიმართ მთავარ შესაწირავს ღვინო წარმოადგენდა, რომელიც სპეციალურად გამოყოფილ ქვევრში ინახებოდა. როგორც 6. თოფურია აღნიშნავდა, ქართველ ხალხს ღვინო წმინდა სასმელად წარმოედგინა, იგი ღვთაებისათვის საყოველთაოდ გავრცელებულ შესაწირავ საგანს წარმოადგენდა, რომელსაც „ზედაშე“ ეწოდებოდა, მისი შესატყვისი სამეგრელოში იყო „ოხვამერი“, ხოლო იმერეთსა და რაჭაში - „სალოცვილო“, საინგილოში - „დადაში“, ქართლ-კახეთში - „შესაწირი ღვინო“ - ზედაშე, ქართული - საწირავი; ქართულ შესაწირავს, მეგრულ ოხვამერს, იმერულ-რაჭულ სალოცვილს ფართო მნიშვნელობა აქვს, ის ზოგად ცნებას გამოხატავს, ზედაშე კი უფრო კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება⁴.

სამეგრელოში, ქვევრთან შესრულებულ საოჯახო სალოცავს რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც დასტურდება, „ოხვამერი“ ეწოდება. ოხვამერი არა მხოლოდ მარანში შესრულებული რიტუალის აღსანიშნავია, არამედ საერთოდ „ლოცვის“ და ეკლესიის, ასევე ის საფლავის აღმნიშვნელი სიტყვაა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მარანში, ქვევრთან როგორც ვიწროდ ოჯახის წევრები, ისე მთელი პატრონიმია, „დინო“-ს წევრები ერთად იკრიბებოდნენ და ღოცულობდნენ⁵. საოჯახო და პატრონიმიურ სალოცავებს შორის რიტუალურად არავითარი განსხვავება არ იყო და ამდენად ჩვენ მათ ერთ ჭრილში განვიხილავთ. სახატო და სათემო მარნები კი (სამეგრელოში არ იყო გავრცელებული) აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთში აღმოჩენილია ბერძნული წარწერა (ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) „დეტატოს“. ის გამოსახულია ოქროს საბეჭდავზე, სადაც ვხვდავთ

¹ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1991, გვ. 81.

² ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 265.

³ 6. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, გვ. 171.

⁴ 6. თოფურია, საკულტო ნაგებობა, ზედაშე-ოხვამერი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ. 1985, გვ. 120.

⁵ პატრონიმიის გენეზისთან დაკავშირებით სამეგრელოში იხ. ჩვენი ნაშრომი, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. V, თბ. 2002, გვ. 322-344; ასევე იხ. პატრონიმიული სალოცავები სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ. 2003, გვ. 383-395.

უზურგო ტახტზე მარჯვენა პროფილში მჯდომი ადამიანის (ქალის) ფიგურას იდაყვზე მოხრილ მარჯვენა ხელში აღმართული ფიალით. აქვე ფიგურის ორივე მხარეს ერთნაირი ჯიშის თითო მცენარეა გამოსახული¹. მ. ლორთქიფანიძის აზრით, „დედატოს“ წარწერიან ბეჭდზე გამოსახული ფიგურა ან მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებაა, ანდა ღმერთქალთან გატოლებული (რაც ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს) დიდგვაროვანი მანდილოსანი².

ღვთაების სახელზე წმ. ღვინის შეწირვის ფაქტები ხეთურ ლურსმულ წარწერებშიც დასტურდება³. პურს, ლატს, ფკვილს, რქეს, ყურძენს - საღვთოს სწირავდნენ. ეგვიპტური მასალებით, ღვინო თავდაპირველად მხოლოდ ტაძრის რიტუალში გამოიყენებოდა⁴.

ი. სურგულაძის აღნიშვნით, „ზედაზე შეწირულია, ზედასადმი რაღაც ღვთაებრივი ძალისადმი, რომელიც სივრცობრივ მდგომარეობაშია აღწერილი. ღმერთის ცნების გაჩენის შემდეგ ადამიანები ყოველთვის მიმართავდნენ ცას. სწორედ ეს მიმართვა და შესაწირი არის ანარეკლი ტერმინ „ზედაზეში“, რომელსაც თანდათან დაუკარგავს სისტემის დანარჩენ წევრებთან კავშირი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეუძენია, ხოლო სამეგრელოში, სადაც გამოვლენილია „ჟინიშის“, ზედას, ზევითურის ძლიერი კულტი, ირკვევა, რომ ზედაშეს დროთა განმავლობაში გარკვეული მნიშვნელობა შესძენია და ჟინიშის პარალელური შესაწირავის მნიშვნელობით შემონახულა. „ჟინიშის“ და „ზედაშეს“ კულტის არსებობა, ავტორისავე აზრით, ცხადყოფს, რომ ზედა/ზედეთი ე. ი. ზეცა, როგორც სამყაროს ნაწილი, დამოუკიდებელი კულტის ობიექტი ყოფილა. ავტორისავე აზრით, ქვედაზე აღნიშნავს ძირს - დაბლა. იგი შემონახულია ტოპონიმში „ქვეშეთი“, რომელიც „ზედეთის“ მსგავსად არის წარმოებული და ალბათ დაბლა სამყაროს უნდა უდრიდეს, რომლის თაყვანისცემა დედამიწის, ან მიწის კულტის სახით დამოწმებულია ქართველთა რიტუალურ პრაქტიკაში ანალოგიური წარმოდგენები, განაგრძობს ავტორი, თავს იყრიან ტერმინში „გარეშე, „გალენიში ორთა“ ანუ „გარეშეს სალოცავი“, ისეთი, როგორც „ჟინიში“ სამეგრელოში, დიდად სწამთ და სათანადო რიტუალებსაც ასრულებენ მის სახელზე. იგი მიაჩნდათ საქონლის ნადირისაგან და ავადმყოფობისაგან მფარველად. მისი გამრავლების ხელისშემწყობად და ავედრებდნენ ავადმყოფ ან ახალშობილ ბავშვებს, მელოგინე ქალებს. „გალენიში“ ებახდნენ მიცვალებულთა სულებს, რომელთაც „გალენიშის“ სახელობის ტაბლას უდგამდნენ⁵. ავტორისავე კვლევით, „გარეშე“ - „გალენიში“ სამეგრელოში მიცვალებულთა სულებს ეწოდებოდა, რომლებიც სოციალური გარემოდან (შინა) გასულად ითვლებოდნენ. ავტორისავე აზრით, გარე სამყარო, როგორც თაყვანისცემის ობიექტი, მარტო მიცვალებულებს კი არ გულისხმობდა, არამედ იგი განიხილებოდა, როგორც მრავალგვარ რიტუალურ ობიექტთა ერთობლიობა, რომელთა მოქმედებების ასპარეზი, „შინას“ გარემომცველი ქვეყნიერება იყო. მათ შორის გარკვეული საპატიო ადგილი მიცვალებულთა სულებს ჭერიათ ამ წარმოდგენების დიდ საფუძველზე მიგვანიშნებს მიცვალებულთა სამყაროს ჰორიზონტალურ ჭრილში

¹ გ. გვინიძე, ნოქალაქევი არქეოპოლისი, გვ. 173.

² მ. ლორთქიფანიძე, არქაული და არქაიზებული საბეჭდავ-ბეჭდები ფანიდან - ვანი II, გვ. 144.

³ ნ. თოფურია, საკულტო ნაგებობა, ზედაზე-ოხვამერი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1985, XXII, გვ. 120.

⁴ ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

⁵ ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ. 1986, გვ. 172-176.

დაგულგებდა, რომელმაც უფრო მოგვიანებით კოსმოსური ღერძის ქვედა ბოლოზე, ქვესკნელში გადაინაცვლა. ავტორისავე დასკვნით, „გარეშე“ ისევე, როგორც „ზედაშე“ ე. ი. გარესა და ზედას მხარეები სამყაროს ნაწილია და კონკრეტული მითოლოგიური და რელიგიური დატვირთვაც გააჩნია¹.

ს. მაკალათიას აღნიშვნით, წინაპართა სულები თანდათანობით კეთილ და ბოროტ ღვთაებებად იქცნენ და გვაროვნული ოჯახის კერა მათ სამსხვერპლოდ, მამასახლისი კი ოჯახის ქურუმად, რომელიც ჰქმნიდა მათ შემავედრებელ ღოცვებს და რიტუალურ წესებს. საყურადღებოა, რომ ჩვენში ამის ცოცხალ ნიშანს დღემდე მოუღწევია და „ოხვამერის“ სახით სამეგრელოში დაცულა. თითქმის ყოველი გლეხის ეზოს ერთ კუნჭულში მოიპოვება წმინდა ადგილი ჩაფლული ქვევრებით და თითოეულ ამ წმინდა ადგილთან ოჯახის ერთი რომელიმე სალოცავია დაკავშირებული. მაგალითად, საღმრთოს ქვევრთან დაკავშირებულა ოჯახის გამრავლების და წარმატების სალოცავი. ოჯახის ამ რიტუალს უხუცესი ასრულებს, სალოცავ ქვევრთან მუხლმოყრით და ხელში ანთებული სანთლებით სალოცველის რაღაც უჩინარ ძალას ან ღვთაებას შესთხოვს თავის ნატვრას და სურვილის განაღდებას².

ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მარანში შესრულებული საოჯახო, პატრონიმული თუ სხვა სახის სალოცავების მთელი სისტემის რელიგიურ-რიტუალური სახის სრული ნიუანსებით წარმოჩენა, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ მარანში შესრულებული სალოცავების ზოგიერთ რელიგიურ-რიტუალურ მხარეზე, რომელიც ეფიქრობთ, მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან და ამავე დროს ქვევრსამარხებთან.

პირველ რიგში საყურადღებოა ტერმინი მარანი.

ი. ყიფშიძე მარანს ღვინის სარდაფად თარგმნის³. ამავე დროს მოჰყავს მაგალითად, რომ მთის თხას სამეგრელოში ეწოდება „გვალაშ ბად -მარანი, რომელსაც თარგმნის - „მთის ბეღელი და სარდაფი“⁴.

სულხან-საბას განმარტებით, მარანი ნიშნავს „საღვინე სახლს“⁵. ასევე სამარე - საფლავეს; ხოლო სამარადისო – სამუდამოს, სამართალს⁶.

ი. აბულაძის ლექსიკონში – მარ-ი არის „საწნახელი, სარწყაული“. „ასი მარი ზეთი“, „ასი საწნახელი ზეთისაჲ“; ხოლო მარანათა - წყევლის სახეა სირიულად; „უფალი ჩვენი მოვალოს (განსჯად). „იყავ შეჩუენებული მარანათა“⁷.

მარი – მთიულურ, გუდამაყრულ, თუშურში არის მიწის ზვავი⁸.

სამანე გურულად ნიშნავს საზღვარს, მიჯნას, ზღვარს, ზღვარის დასადებად მიწაში ჩაფლულ სამ ქვას.

სამარვან ინგილოურად არის სასაფლაო⁹.

ქართულად „მარანი“ – ერთგვარი თიხის სასმისია. ის წარმოადგენს რამდენიმე მომცრო სასმისებისაგან შემდგარ ზიარ ჭურჭელს, რომელსაც ერთი ტუჩი აქვს

¹ ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175

² ს. მაკალათია, საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია, თბ. 1926, გვ. 107-108.

³ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994, გვ. 480.

⁴ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 449.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991, გვ. 438.

⁶ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ. 1991, გვ. 37.

⁷ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 216.

⁸ აღ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984, გვ. 344.

⁹ აღ. დლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 467.

დასაღვეად. მარანი არის ყველაზე დიდი, ორჩარეკიანი, ამას თორმეტი მსხვილი ჭინჭილები და ქვევრები უნდა ჰქონილიყო¹.

ლ. ჭყონია, VIII-IX საუკუნეების ხელნაწერებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ტერმინი „მარანი“ X საუკუნეზე ადრეა წარმოქმნილი – IV-VIII საუკუნეებში. მისივე აზრით, „მარ“ ჭურჭელია. შესაძლებელია „მარ“ ხის ან თიხის ჭურჭელი ყოფილიყო. ნაგებობამ, სადაც აღნიშნული ჭურჭელი იყო მოთავსებული სახელწოდება „მარანი“ აქედან მიიღო².

მ. გეგეშიძის აზრით, მარნის თავდაპირველი შინაარსი მომდინარეობს ძველი მეღვინეობის უმთავრესი იარაღიდან – საწნახელიდან. ავტორისავე აზრით, საწნახელზე ადრე ამ იარაღს სხვა სახელწოდება უნდა ჰქონოდა. ხოლო საწნახელის პირველი მასალა ხე უნდა ყოფილიყო და არა სხვა (ქვის და ქვითკირის საწნახელები მოგვიანებით გაჩენილი უნდა იყოს). მას მიაჩნია, რომ ცნებები მორი, კა-მარ-ა, მარ-ანი უნდა შეიცავდეს მანიშნებელ მონაცემებს, რომლითაც შეიძლებოდა ერთ თავდაპირველ შინაარსამდე მივსულიყავით. მარანს – ერთ ხელში ამოთლილ ჭურჭელთან მივყავართ, რომლის თავდაპირველი დანიშნულებაა შიგთავსის შენახვა. მარანს თავდაპირველად ჭურჭლის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და შემდეგ უნდა ქცეულიყო ის საწყაოდ³.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მარხვა სიტყვის პირვანდელი ძირეული მნიშვნელობა შენახვაა⁴. სტ. მენტეშაშვილის აზრით, ძველ ქართულში მარხვას ორი მნიშვნელობა აქვს – შენახულისა და გვამის მიწაში ჩაფვლისა, ე. ი. დასაფლავებისა, უმთავრესად შენახვისა. უკანასკნელი მნიშვნელობა ზოგ შემთხვევაში დღესაც აქვს. მისივე თქმით, შუშანიკის ცხოვრებაში მარხვა სარიტუალო შენახვის მნიშვნელობით იხმარება. აღსანიშნავია, რომ სამარხავს მხოლოდ საფლავის მნიშვნელობა აქვს და მეორე მნიშვნელობით ე. ი. შესანახავის მნიშვნელობით არ იხმარება. ავტორი, დაასკვნის რომ „მარხვა“ იმ დროს შემოვიდა გვამის მიწისთვის მიბარების ცნების გამოსახატავად, როცა ადამიანის წარმოდგენით საჭირო იყო გვამის დაფლავა-შენახვა. ე. ი. განვითარების შემდეგ საფეხურს ეკუთვნის. ავტორისავე აზრით, ამ პერიოდში შეიძლება უკვე დაიწყეს ზრუნვა ისე შეემზადებინათ გვამის შესანახად განკუთვნილი ამოთხრილი მიწა, რომ მართლაც მიეცათ დასაცავ-შესანახი იერი, როდესაც აუგებდნენ კუბოს, აკლდამას და მისთანებს. ავტორისავე აზრით, რადგანაც საწყაო და სხვა ჭურჭლები ხშირად ხისაა (ლიტრი, კოდი, და მისთ.) მარი, როგორც ფულურო ხე გამოიყენებული იყო კუბოდ. „სა-მარ-ე მარის მოსათავსებელი ადგილი გამოდის, რადგან თუ მარი მართლაც მოჭრილი ხის ამოფულურებული ჭურჭლის სახელი იყო, მას მარტო საწყაოს მნიშვნელობა არ ექნებოდა⁵.

კ. გოცაძე „სამარესა“ და „სამარხო“-ს შესახებ საკმაოდ ვრცელ მსჯელობას გვთავაზობს. მისივე თქმით, ტერმინ „სამარეს“ შესახებ ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში ვკითხულობთ: „დადგა ახლსა სამარესა და ლოდი დიდი მიაგურვა

¹ ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგ. თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ. 1981, გვ. 274.

² ლ. ჭყონია, მარანი, როგორც საკულტო ნაგებობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1982, გვ. 129-130.

³ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, თბ. 1956, გვ. 145, 147, 149.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნაწ. II, გვ. 450, 541, 994.

⁵ სტ. მენტეშაშვილი, მიცვალებულთა დამარხვისა და სამარხების ტერმინოლოგიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, თბ. 1944, გვ. 165-166; 170, 172.

კარსა ზედა სამარისასა... და გარდააგორეს ლოდი მის საფლავისაგან... გამოვიდა მიერ სამართი“¹. „გალობაში წმინდისა მოციქულისა ნინოსი“ ვკითხულობთ: „ლოდები აღილო სამარეთგან“². მათეს სახარებაში: „რამეთუ აშენებთ თქვენ საფლავებსა მას წინასწარმეტყველთასა და განაშუენებთ სამარენსა მას მართლისა“³. ავტორის აზრით, ეს მაგალითები გვაძლევენ საშუალებას, ვიფიქროთ, რომ „სამარე“ და „საფლავე“ იდენტური მცნებებია. ავტორი ნაწილობრივ იზიარებს სტ. მენთემაშვილის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია „სამარე“ სწორედ ჭურჭლებში მიცვალებულის დაკრძალვას გულისხმობს, მაგრამ, მისივე აზრით, ხის ჭურჭელი ან ხის კუბო, ამ შემთხვევაში ერთგვარ შეუსაბამობას იწვევს, თუნდათ იმიტომ, რომ არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია მიცვალებულის დაკრძალვა თიხის ჭურჭლით. ავტორისავე მსჯელობით, „მარ“ ძველ ირანულში ნიშნავს „სიკვდილს“, „გარდაცვალებას“. ასევე ინდურშიც „მარ“ სიკვდილის ღმერთია, გარდა ამისა თვით სიკვდილიცაა. ავტორი ასკენის, რომ ჯერ არსებობდა სიკვდილის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც შემდგომ რელიგიამ ღმერთის სახელად აქცია. „მარ“ ინდო-ირანულში ძირია და იგი „სიკვდილს“ ნიშნავს. მაშინ გამოდის, რომ „სამარე“ ადგილია იმათთვის, ვისაც სიკვდილი დაეუფლა, ანუ „სასიკვდილო“ ადგილია. „სამარე“ ნაწარმოებია ზმნისაგან „მარ“, რაც უზენებს მოქმედებას, რომ სიკვდილი ეუფლება არსებას, და არა არსებითი სახელისაგან - „მარ“ („საწყაო“, „ჭურჭელი“). იგი ზოგადად ნიშნავს სიკვდილის ადგილს. ავტორი „მარ“ ძირს ინდო-ირანულ წარმომავლობას უჭერს მხარს. ის არ იზიარებს სტ. მენთემაშვილის მოსაზრებას „სამარხო“-ს და „სამარხი“-ს „მარხვა“ ძირიდან მომდინარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ, „სამარხო“ იწარმოება „მარხ“ ძირზე სა-ო აფიქსების დართვით, „სასაკლაო“ კი ნაწარმოებია ჯერ ძირ „კალ“-ზე სა-ავ აფიქსებით (მივიღეთ „სა-კლ-ავი“), ხოლო შემდგომ უკვე წარმოებულს „საკლავი“ ერთვის სა-ო აფიქსები და მივიღებთ „სა-სა-კლ-ა(ვ)ო“-ს. ამიტომ, ავტორის აზრით, „სამარხო“ და „სასაკლაო“ შედარება არასწორია. ასევე, მისივე თქმით, უსაფუძვლოა ეჭვი იმის შესახებ, თითქოს „სამარხი“ „მარხ“-ისაგან არ იყოს ნაწარმოები. „სამარხო“; „სამარხავი“ ნაწარმოებია „მარხ“-ისაგან. „სამარხო“ - მიცვალებულთა „სალოცავია“⁴.

ამრიგად, ავტორის კვლევით, ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით ტერმინ „მარხვის“ განვითარების ასეთი საფეხურებია: თავდაპირველად არსებობს „მარხვა“, როგორც რელიგიური წესი, შემდეგ „დამარხვა“ მცნებისა, ამას მოჰყვება „დამარხვის“ ხმარება მიცვალებულის მიმართ და ბოლოს „სამარხო“⁵. ავტორისავე აზრით, „მარხვაც“ „მარხვაც“ თავდაპირველად რელიგიური წესია, მეორეადა მისგან ნაწარმოები „დამარხვა“ და „სამარხო“. რომელ რელიგიურ წესსაც ისევ რელიგია შემოიტანდა, ასეთად კი, ავტორი მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიის მიიჩნევს. მისივე აზრით, „მარხვისგან“ შემდგომ წარმოებულია სიტყვა „დამარხვა“ (მიცვალებულის) და „სამარხო“, ე. ი. მიცვალებულის „დამარხვაც“ (შენახვა) და „სამარხო (საცავი) შემოტანილი კი არა, უკვე დამკვიდრებული რელიგიის გავლენითაა წარმოშობილი.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ. 1946, გვ. 52.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 389.

³ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ. 1945, გვ. 83; 192.

⁴ კ. გოცაძე, დაკრძალვასთან დაკავშირებული ტერმინები წერილობითი წყაროების მიხედვით („საფლავე“, „სამარე“, „სამარხი“). არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიების მასალები), თბ. 1982.

⁵ კ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ავტორისავე დასკვნით, „საფლავი“ და „სამარე“ წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს, ხოლო „სამარხო“ ქრისტიანული რელიგიის ნაყოფია¹.

„დამარხვა“, „ყრა“, „ცვენა“, „გახვერტა“, „შეხვევა“, „დამხოვა“-ში არნ. ჩიქობავამ გამოყო ძირი „ხვ“, ხოლო შესაბამისი ძირი მეგრულში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა².

მ. ანდრონიკაშვილს „მარხვა“ მიაჩნია საშუალო სპარსულიდან შემოსულ Pahl-Pahl სიტყვად, მისივე თქმით მას „შენახვის“, „დაცვის“ მნიშვნელობა აქვს³.

„სამარხ“-ში ნ. მარმა გამოყო, ორი ძირი „მარ+ხ“ და მას „მთვარის სამეფოს“-ს მნიშვნელობა მიანიჭა⁴.

ა. ბოხოჩაძის თქმით, ერთ-ერთ სვანურ ხელნაწერში, რომელიც თ. ჟორდანიას ცნობით VIII-IX საუკუნეს ეკუთვნის, მარანია დამოწმებული. ავტორისავე აღნიშვნით, სახელწოდება მარანი წარმოქმნილი უნდა იყოს დაახლოებით IV-VIII საუკუნეებში, მაშინ, როდესაც ქვევრების თავმოყრა ერთ ადგილზე, მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვენტარისა და ჭურჭლის შენახვა ერთ გარკვეულ ნაგებობაში თუ სათავსოში მოხდა. მისივე აზრით, ასეთ სათავსოს ან ნაგებობას, სადაც ქვევრები იყო თავმოყრილი და ღვინოს ინახავდნენ, პირველად „ღვინის სახლი“ უწოდებოდა, ხოლო მოგვიანო ხანაში მარანი დაერქვა⁵. მისივე აღნიშვნით, „თუ ჩვენი მოსაზრების მიხედვით დაუშვებთ, რომ მარი თიხისაგან გაკეთებულ ჭურჭელს ერქვა, ამით არაფერი შეიცვლება, გარდა ჭურჭლის მასალის რაობისა. ამავე დროს პირველად ჩვენში სწორედ თიხის ჭურჭელი იყო გამოყენებული მიცვალებულის დამარხვისას, კრემაციისა და ინჰუმაციის დროს, ვიდრე ადამიანი ხის მასალისაგან გაკეთებული სამარხავ ჭურჭელს – კუბოს გამოიყენებდა. ავტორისავე ვარაუდით, „სამარე“ და მისგან ნაწარმოები კრებითი სახელი „სამაროვანი“ ისეთი ადგილის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვალებულს მარში ჩასვენებულს მარხავდნენ. როდესაც მარი ხმარებიდან გამოვიდა, როგორც მიცვალებულის დასაკრძალავად განკუთვნილი ჭურჭელი, სახელი სამარე და სამაროვანი მაინც შემორჩა ასეთი დანიშნულების ადგილის აღსანიშნავად და მან თავი ზოგიერთ კუთხეში დღემდე შემოინახა (საინგილო). მარებით მიცვალებულის დამარხვის წესი, თუ მას თიხის ჭურჭელს დაუკავშირებთ (ქვევრსამარხები) ახ. წ. II-III საუკუნეებში უნდა შეწყვეტილიყო. მაშასადამე ერთად შეკრებილი დიდი ზომის თიხის ჭურჭლების ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად მარანი წარმოიქმნა, განსხვავებით სამაროვანისა. ავტორისავე აზრით, რამდენადაც თიხის დიდ ჭურჭელში ეხლა მიცვალებულს აღარ მარხავდნენ და მას წმინდა სამეურნეო დანიშნულებით, საღვინე ჭურჭლებად იყენებდნენ, საფიქრებელია ამ გარემოებამ გამოიწვია ტერმინ სამაროვნის შეცვლა სახელწოდება მარნით, ხოლო თიხის ჭურჭლის სახელწოდება **მარი**, მის სამარხავ საშუალებად გამოყენების შეწყვეტასთან ერთად, დავიწყებას მიეცა, თავისი სახელი სამეურნეო დანიშნულების ადგილს თუ ნაგებობას უანდერძა და ჩვენ დრომდე თავი აღნიშნული ნაგებობის სახელში შემოინახა“⁶.

¹ კ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

² არც. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938, გვ. 423.

³ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ. 1966, გვ. 256.

⁴ Н. Я. Марр, Избранные работы, М.-Л. 1937, გვ. 72.

⁵ ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963, გვ. 150-151, 157.

⁶ ა. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-157.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მარ“ უკავშირდება სამარხს. „სამარ“ ის ადგილია, სადაც იმარხება „მარები“. ავტორის მასალებით „მარ“ თიხის დიდ ქვევრს ეწოდება, რომელშიც, მისივე თქმით, ზოგჯერ კიდევაც იმარხებოდნენ. მარანი ის ადგილია, სადაც მარები, ქვევრებია დამარხული¹.

ბ. ნანობაშვილი იზიარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მარანსა და დამარხვაში ერთი და იგივე ძირი – მარ-აა წარმოდგენილი, ხოლო დამარხვა ძველ ქართულში შენახვას უდრიდა (საბა). ავტორისავე აზრით, თუ მართლაც მარანი თავდაპირველად შენახვას უდრიდა, მაშინ მარანი მამაკაცზე ადრე დიასახლისის სახელო უნდა ყოფილიყო. ისიც შესაძლებელია, რომ მარანში სახელდახელოდ დასახარჯი ჭირნახული ინახებოდა. ამას თუ დაუმატებთ, რომ ზოგან მარანი გარეთ უნდა ყოფილიყო, ხოლო მემარნე მხოლოდ და მხოლოდ კაცი, თანაც აქაც მარანი შეიძლება დამარხულ ქვევრში ღვინის შენახვასთანაა დაკავშირებული, მაშინ, ავტორს უფრო სარწმუნოდ ეჩვენება ის მოსაზრება, რომ ვენახის მუშაკაცი, ალბათ მემარნეც იქნებოდა ერთობის სახელში².

ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, „მარანი უეჭველად და ყოველთვის საცხოვრებელ ბინასთან ერთად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც საქართველოში მარანი ხშირად სწორედ თვით მკვიდრ სახლში ჰქონიათ. ცხადია, ეს ისეთი მარანი კი არ იყო, სადაც მთელი წლის ღვინის მარაგს ინახავდნენ, არამედ პატარა მარანი, რომელშიც ყოველდღიური, სანიადაგოდ სახმარებელი ღვინო ჰქონდათ ხოლმე. ზოგადად საქართველოში ღვინის სმა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და წყლის სმასავით საჭიროდ მიაჩნდათ, ამიტომ სახლთან ჰქონდათ მარანიც³.

ივ. ჯავახიშვილის კვლევით, **მარნის** შესახებ XI ს-ის ერთ ძეგლში ნათქვამია: „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა: ა: დაფვალი შიგან ჭური: ი(10) და დადგი ზედა ბეღელი ხერხული: ბ: „ზნაკუას... დაფვალი მარანსა შინა ჭური: გ:“, „ნიკოლაოსწმინდას შევქმენ... მარანი ქვითკირი: ა: და დაფვალი შიგან ჭური ნავარძული: ივ:“

ღვინის შესანახავად განკუთვნილ ნაგებობას მარანს გარდა **სავაჟინეც** ეწოდებოდა, ათონის ქართველთა მონასტერში პავლე მთავარმამას რომ წინამძღვრობისათვის თავი დაუნებებია, მას თურმე ძმობისათვის ჩაუბარებია „სავაჟინე ღვინითა საყოფინელთა უამამდენ“, ე. ი. ახალ მოსავლამდე, სავაჟინე ჯერჯერობით არა ჩანს საქართველოში დაწერილ ძეგლებში⁴.

V საუკუნის საქართველოში სარწმუნოებრივი დანიშნულების შენობებს ქრისტიანეთათვის ეკლესიანი და **სამარტკლენი** ეწოდებოდა. ეკლესიასა და სამარტკლენს შორის არსებითი განსხვავებაა. ეკლესია საერთო სამლოცველოა, სამარტკილე კი მარტვილთათვის ანუ წამებულთათვის განკუთვნილ პატარა ნაგებობას წარმოადგენდა⁵.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ **სამარხვი** ზოგადი ნაგებობაა, სადაც მარხავდნენ ხოლმე ერთი საგვარეულოს წევრებს. **ეკვდერიც** ეწოდება ხოლმე შემდეგ ასეთ

¹ ნ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ. 1984, გვ. 5.
² ბ. ნანობაშვილი, საოჯახო მეურნეობა კახეთში XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ და XX საუკუნის I მეოთხედში, თბ. 1996, გვ. 178-179.
³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ. 1946, გვ. 22.
⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ნაგებობას. ისე კი სამარხავი ნიშნავს ისეთ ნაგებობას, სადაც მარცვლეული უნდა შენახულიყო. თავდაპირველად მას ისეთი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ავტორისავე აზრით, მარხვა ძველ ქართულში შენახვას ნიშნავს და არა დასაფლავებას. ამის გარდა ჩვენ გვაქვს ორი ტერმინი: **დაფვლა** და **დამარხვა**, **საფლავე** და **სამარე**. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. დამარხვაც ნიშნავს შენახვას: „დაიმარხე სიტყვები ჩემო“ - არის ნათქვამი. ეს ტერმინი შემდეგში ყურძნის ჯიშის სახელად გვაქვს; „სამარხავი“ ეწოდება ისეთი ყურძნის ჯიშს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ინახებოდა. დაფვლა კი შესანახად არ იყო განკუთვნილი¹.

ვ. ბარდაველიძის აღნიშვნით, **ზედაშე** იყო უნიკალური სამსხვერპლო შესაწირი ნებისმიერი რელიგიური რიტუალის შესრულების, წმინდანების და მიცვალებულების სახელზე. ავტორი მარანს უდარებს კარამ-ბლურის გათხრების დროს აღმოჩენილ ღვინის შესანახ ნაგებობას სამსხვერპლოთი, თიხის ღვთაების ფიგურებით და მასთან ახლოს ნაპოვნი შესაწირავი ცხოველების ნარჩენებით. ასევე რიტუალური დანიშნულება ჰქონდა აღმოსავლურქართულ რთულ კერამიკულ საღვინე ჭურჭელს მარანი, ამ ფაქტს, ავტორი, ღვინის კულტის რელიგიურ დატვირთვას უკავშირებს².

ღვინის სამუშაოების ჩასატარებელ და შესანახ ნაგებობას, მარანს, აფხაზურად ეწოდება აჯცარა (აბჟ.)//აჯცარ (ბზიფ.) ტერმინის პირველი ნაწილი აჯც „ღვინოა“, მეორე „ცარა“, მომდინარეობს აჯცა „სასიმინდე“ სიტყვიდან³.

აღსანიშნავია, რომ **ჩერქეზულად** კვირას ეწოდება თლაუმა ძე, ყაბარდოულად კი თხამახო და ტხიამახო. ამასთანავე არსებული ორი განმარტებით, პირველი ნიშნავს „ღვთის დღეს“, მეორე კი შვიდეული დღის აღმნიშვნელია. უკანასკნელი განმარტება, ივ. ჯავახიშვილის მითითებით, იმ გარემოებას ემყარება, რომ შვიდეულის სახელად **ყაბარდოულში** ეს თხა=ამახო სიტყვავე იხმარება. შ. ნაგომოვსაც შვიდეულის ყაბარდოულ სახელად იგივე ცხაუმახო აქვს მოტანილი, რომელიც მისი განმარტებით, ვითარცა კვირის სახელი, ღვთის დღის აღმნიშვნელია. ჩერქეზულში შვიდეულის აღსანიშნავად კვირა დღის სახელია გამოყენებული, ამრიგად შვიდეულის, კვირის, სახელად ჩერქეზულად და ყაბარდოულად, ქართულის მსგავსად კვირა დღის სახელივეა გამოყენებული. აფხაზურად კი შვიდეულს ეწოდება ამჩიბჟ, რომელიც უსლარის მოსაზრებით, დამახინჯებული უნდა იყოს და ნაწარმოები ჩანს დღის აღმნიშვნელი ამშ-ისა და შვიდის – ბუბა-საგანაო. დ. გულიაც ასევე მსჯელობს⁴.

ვფიქრობთ, ზემოთ გამოჩნდა მარნისა და მიცვალებულის კულტის მჭიდრო კავშირი თვით ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. ჩვენი აზრით, მარანში გამოყოფილი მარ ძირი ნიშნავს შენახვას ჭურჭლებში ანუ მარებში, რომელიც არა ხის არამედ თიხისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. აქედან მომდინარეობს სიტყვა მარხვა, დამარხვის მნიშვნელობით და მარხვა ქრისტიანული გაგებით, რომელიც წარმართულში სწორედ მიცვალებულის საპატივცემულოდ „პირის შენახვის“ ანუ გარკვეული კვებითი რაციონის აკრძალვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

² В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб. 1957, გვ. 68-69.

³ ნ. მაჭავარიანი, სამეღვინეო ინვენტარის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზეთში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბ. 2005, გვ. 50.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, თბ. 1950, გვ. 188-189.

გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (შესაძლოა ამის გადმონაშთი იყოს დღესაც სამეგრელოში შემორჩენილი წეს-ჩვეულება მიცვალებულის გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში მარხვისა).

მარი პირველ რიგში არის მიცვალებულის დასაკრძალავი ადგილი, ანუ საფლავი, რომლისთვისაც განვითარების გარკვეულ საფეხურზე გამოიყენეს თიხის ქვევრი ან თიხის ჭურჭელი, რომელიც ასოცირდება ქალურ საწყისთან (იხ. ქვემოთ), ხოლო თვით ქვევრს ქალის ტანის ფორმა აქვს. პირველ რიგში მარებში დაკრძალვა ემსახურება ნაყოფიერების კულტს, რომელშიც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში იკრძალებოდნენ ბავშვები. ის განასახიერებს სიცოცხლის აღორძინებას, აღდგენა-განახლების იდეას, ქვევრში ან სხვა სახის ჭურჭლებში დაკრძალვის სახით, რომელი უკანასკნელიც ქალური საწყისია და ქალის საშოს და ტანს განასახიერებს.

ვფიქრობთ, სიტყვა „მარი“ არ უნდა იყოს ძირეული ქართველური ენების კუთვნილება, რაზეც ამ სიტყვის ძირძველ ინდოევროპულ ენებში არსებობა მეტყველებს. ჩვენი აზრით, მარ სიტყვა შენახულია მარტივში, სადაც მსხვერპლად სწირავდნენ წელიწადში ერთხელ ბავშვებს. მარტივი (Mavrthr), ბერძნულად ნიშნავს წამებულს, ამ მხრივ საინტერესო თანხვედრად მიგვაჩნია მეგრულში შემორჩენილი ტერმინი მარ-თვე, რომელიც ბარტეს აღნიშნავს. მასში ჩვენ სწორედ ჩვილის მნიშვნელობა უნდა დავინახოთ. თავდაპირველად ხომ მარებში ანუ სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებში ახალშობილები იკრძალებოდნენ, რომელიც სიცოცხლის აღდგენა-განახლებას უწყობდა ხელს და შესაძლოა ისინი მსხვერპლადაც კი შეეწირათ (იხ. ქვემოთ).

შემდგომში მარებში იკძალებიან ზრდასრული ადამიანებიც, რომელიც ჩვენ ქვევრსამარხების ფორმით შემოგვრჩა. ეს მომენტი უკვე მევენახეობის განვითარებასთან არის კავშირში და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ შესაძლოა მასში სწორედ მევენახეები იკრძალებოდნენ, როგორც მეურნეობის მთავარი დარგის წარმომადგენლები. ქალები კი ალბათ მარებში არ დაუკრძალიათ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სვანურში მამაკაცის აღმნიშვნელი ტერმირი „მარ“, რომელიც, ვფიქრობთ მამაკაცთა სქესის ადამიანების ქვევრში ანუ მარებში დაკრძალვიდან მომდინარე უნდა შემორჩენილიყო. ამაზე მიუთითებს ათონის მონასტრის ხელნაწერებში შემორჩენილი მარნის იდენტური ტერმინი, როგორც ღვინის შესანახი ნაგებობისა – სავაჟინე, რომელშიც სიტყვა „ვაჟი“-ს გამოიყოფა. ამავე დროს საინტერესოა სამარხულის (ერთი საგვარეულოს დასამარხი ადგილის) და ეკვდერის იგივეობა. ამ უკანასკნელში ჩანს სიტყვა კვდომა (სიკვდილი), რომელიც თავის მხრივ ალბათ კერამდე და საკურთხევდებამდე დაიყვანება, რომელიც განვითარების ადრეულ საფეხურზე სწორედ მიცვალებულთა განსასვენებელ ადგილს და შემდგომში მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო ის ადგილი, სადაც იმარხებოდა ანუ ინახებოდა მიცვალებული მთავარ ღვთაებასთან და არა უბრალოდ მიწაში იფვლებოდა. სწორედ ამგვარ ქვევრებში ანუ მარებში ხდებოდა მიცვალებულისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ანუ მისი შენახვა და მიწისგან იზოლაცია.

მარი თავისი რელიგიური მნიშვნელობით მუდმივობას აღნიშნავს, რაც მიცვალებულის მიმართ რწმენის გამოხატულებაა და ის ჩანს ქართულ „სამარადისო“, „მარადის“, „მარადიულის“, „მარად“ და მის მსგავს სიტყვებში.

ლ. ჭყონიას აღნიშვნით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყურძენი და ყურძნის წვენი ითვლებოდა წმინდად და შეწირულობის საგანს წარმოადგენდა, ამავე დროს წმინდა

უნდა ყოფილიყო ჭურჭელიც, სადაც წმინდა წვენი ინახებოდა, ე. ი. ქვევრი და თვით ნაგებობაც, სადაც აღნიშნული ქვევრი იყო მოთავსებული. ამან განაპირობა ის, რომ შენობა მარანი – ღვინის დაყენება-შენახვის დანიშნულების გარდა საკულტო მნიშვნელობით გამოიყენება¹.

ოთ. ლორთქიფანიძის მასალებით, ვანში აღმოჩენილი სამლოცველო, რომელიც ძვ. წ. II საუკუნით თარიღდება, წარმოადგენდა მართკუთხა შენობას, რომელსაც შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა. ის აშენებულია ადრინდელი ნაგებობის ადგილას, კერძოდ მის ფუნდამენტებზე. სამლოცველოს სიღრმეში დგას საკუთრხეველი, ოვალური გადაჭრილი ქვის ბოძი, ქვის ძირით. სამლოცველოს ჰქონდა მოზაიკური იატაკი, გაწყობილი თეთრი და მუქი-ვარდისფერი ქვებით, რომელიც გამაგრებული იყო კირით. სამლოცველოს აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ იქნა 40-ზე მეტი კოლხური ამფორა, ხოლო საკუთრხეველთან უზარმაზარი პიფოსი ღვინისათვის, იქვე იდო ვერცხლის მონეტები ეს იყო შესაწირავი. ამასთან ერთად ნაპოვნი იქნა რიტუალური საგნები. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს რკინის სასარკმელეს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა: კონუსისმაგვარი ქუდი აუქურული კედლებით და პატარა ტაშტით (სპილენძის?), რომელიც შემკული იყო ბრინჯაოს პლასტიკებით, მცენარეული ორნამენტები, ფერადი ყვავილწული ფრინველებით და სხვა ამშვენებდა ამ სასაკმეველს. ო. ლორთქიფანიძის აზრით, ბრინჯაოს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა, უეჭველად ბერძენი ოსტატების მიერაა დაზადებული. ეს მონაპოვარი მოწმობს იმაზე, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილი და გასაგები იყო წმინდა ელინური რელიგიურ-მითოლოგიური სახეები. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის, რომ ეს ბრწყინვალე ბერძენულ-ელინისტური კულტურის ნაწარმი ნაპოვნია ძვ. წ. II საუკუნის ადგილობრივ სამლოცველოში. ამასთან რიტუალური ჭურჭელი, რომელიც დიონისეს წრის ღვთაების გამოსახულებით არის მორთული. ავტორისავე აზრით, საღვინე პიფოსი და ამფორები ეჭვის ქვეშ არ აყენებს მოსაზრებას, რომ სამლოცველო დაკავშირებული იყო მევენახეობასა და მეღვინეობასთან. ეს საინტერესო მოვლენა დამოწმებული არქეოლოგიური მონაპოვრებით, საინტერესო პარალელებს პოულობს ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებში შემორჩენილი მევენახეობის და ზედაშეს კულტთან. ავტორს რიტუალური ჭურჭელი და სხვა, რომელიც გაფორმებული იყო დიონისეს წრის ღვინობით, დიონისეს კულტის უპირატესობაზე აფიქრებინებს². აქვე ერთ-ერთ სამლოცველო დარბაზში, რომელიც მეორისგან კედლით იყო გამოყოფილი წარმოადგენდა სამლოცველოს და შესაწირავებისათვის იყო განკუთვნილი. აღმოჩენილ იქნა გარკვეული წესით ჩადებული დაახლოებით 30 ჭურჭელი. მათ შორის დიდი ზომის კოლხური პიფოსები და კოხტა ამფორები. მათ უმრავლესობა სავსე იყო სხვადასხვა მარცვლებით (ღომით და სხვა). „ჩრდილოეთის დარბაზი“ ჩრდილო დასავლეთ კუთხეში დაკავშირებული იყო კოშკისმაგვარი სწორკუთხა შენობით, რომლის წინ მოწყობილია სამსხვერპლო მოედანი, სადაც ნაპოვნია სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭლები და ტერრაკოტის ქანდაკებები, სხვადასხვა სამსხვერპლო ცხოველების ნარჩენები – შინაური ცხოველების, მათ შორის კავკასიური მთის ჯიხვის³. ამფორების დაკრძალვის ფაქტზე სამლოცველოში გ. ლორთქიფანიძე იზიარებს ოთ. ლორთქიფანიძის მოსაზრებას, რომ

¹ ილ. ჭონია, მარანი, როგორც საკულტო ნაგებობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1982, გვ. 136.

² ო. დ. ლორდკიპანიძე, Город-храм Колхиды, М. 1984, გვ. 26-31.

³ ო. დ. ლორდკიპანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-68.

ვანში აღმოჩენილი სამლოცველო (ძვ. წ. II-I სს.) წარმოადგენდა მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაებისადმი მიძღვნილ და ამ საკუროთხევლებს ბერძნულ ანალოგიებს უძებნის. საკუროთხეველთან ახალი ღვინით სავსე ჭურჭელებს უკავშირებს დიონისეს მესამე დღესასწაულს, რომლის სახელია – *Αθροήρια* „პიფოსების გახსნის დღე“, რომელსაც 11-13 მარტს ასრულებდნენ¹.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ სახის სამლოცველოების ბერძნულობას, რამდენადაც დიონისეს კულტის არსებობამდე კოლხურ კულტურაში უკვე გვაქვს დიდი ქვევრები, რომელშიც ღვინო ინახება და ადგილობრივი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული აქ წამყვანი უნდა ყოფილიყო. დიონისეს კულტის ასე ფართო გავრცელებას კი, უნდა მოჰყოლოდა ადგილობრივი ტრადიციის შერწყმა. რაც შეეხება დიონისეს, მისი თვით ბერძნულობაც წარმომავლობის თვალსაზრისით საეჭვოა, აქ საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, რაზეც ჩვენ ამჯერად არ შევჩერდებით.

მარ-თან და მიცვალებულის კულტთან მარნის კავშირის თვალსაზრისით, საინტერესოა თვით ქვევრის აღმნიშვნელი ქართველური სიტყვები: ქართული „ქვევრი“, მეგრული „ლაგვანი“.

გ. ჩიტაიას თქმით, ქართული ლაგვინი, ლაგვანარი და ლოგინი, მეგრული ლოგვინი, გვანი, აფხაზური ალაგუანა ადგილის სახელები, რაჭულშიც ლაგვანთა (ადგილის სახელი), რაც ჭურს ნიშნავს, ეტიმოლოგიურად იხმარება, როგორც საღვინე, ლა-გვინი-ლა, ღვინი-ღვინო².

ი. ყიფშიძე, **ლაგვანის** – დაგვანი – დიდი ღვინის შესანახ თიხის დოქად (ქართ. ჭური) გვისახელებს და მას ბერძნულ *lagh'na* – დოქი უდარებს³.

ლაგანი, **ლაკანი** – ინგილოურში არის დიდი სპილენძის თეფში⁴. სპარსულ-თურქული *leğen*⁵.

სულხან-საბას მიხედვით, **ლაგუანი** – პირფართო სარწყულია, გინა ჭოელი. **ლაგუნარი** (ლაგვინარი), მცირე ლაგვინა⁶. **გვიმი** – **გვმი** კი ჭურღმულის თორნეა წყალთათვის თორნე ჭის წყლისა⁷.

ლაგვარდან-ი იმერულში – ღრმად (მრგვალად) ამომღები შალაშინია⁸.

ლაგინა-ი გურულში პატარა საღვინე დოქია⁹.

გვიმი – რაჭა-ლეჩხუმში ეწოდება ღრუდოს, წისქვილის ნაწილს, წყლის საგროვებელ ერთიან მრგვალ ღრუ ხეს, კოდს, რომელსაც გამოწვეავდნენ, ფშტკილს გაუკეთებდნენ, რომელსაც ბორბალისათვის წყალი უნდა მიეწოდებინა¹⁰.

გვამი-ი (ზ. იმერული) თიხის ჭურჭელის მუცელი, გამობერილი შუატანი¹¹.

ძველი ქართული ენის მასალებით **ლაგუნის** – საწყლე დოქი, ჭურჭელი: „ლაგუნითა წყალზე უდგას მკვართა“; „დავდგი... ლაგუნები, სავსე ღვინითა“; „ლაგუნითა თაფლი“;

¹ О. Д. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 144; И. Тренчени-Вальдепфельд, *Мифология*, М. 1959, გვ. 159; იხ. Г. Лордкипанидзе, *Колхида в VI-II вв до. н. э.* Тб. 1978, გვ. 125-126, 129.

² გ. ჩიტაია, *ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები*, შრომები, ტ. II, თბ. 2000, გვ. 126.

³ ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებანი*, თბ. 1994, გვ. 474.

⁴ ძველი საქართველო, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, თბ. 1913-1914, გვ. 252.

⁵ ალ. დლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, თბ. 1991, გვ. 320.

⁶ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, თბ. 1991, გვ. 403.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, *დასახ. ნაშრომი*, ტ. I, გვ. 180.

⁸ ალ. დლონტი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 320.

⁹ ალ. დლონტი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 321.

¹⁰ ალ. დლონტი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 152.

¹¹ ალ. დლონტი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 151.

„დაყო ორმეოც დღე კინისა ზედა ოსპნსა და ლაგუნსა ერთსა წყალსა“; „ლაგუნი სავსე ზედაშითა“.

ლაგუნტარ-ი საწყლე, დოქი, „ორი ლაგუნტარი აქუნ და წყლისათუს“; „დავსო ლაგუნტარი ერთი ფოთლითა“¹.

ლახუტი, ძახუტის, ი. ყიფშიძე, ღვინის შესანახ პატარა თიხის დოქად განმარტავს². განმარტავს².

გვიმი მეგრულში **ჭის თავსახურს** ნიშნავს, რომელიც დამზადებულია ქვის, ხის ან თიხისაგან³.

ასევე აღნიშნულია რომ გველის (შდრ. ლაგვანი) სახელწოდებები მიწასთან არის კავშირში ინდოევროპულში – სლაფურში⁴.

ხ. იოსელიანის მასალებით, სვანურად „ლაგვან“ - სატირალს ნიშნავს (ლიგვნი – ტირილი, მოთქმა, ლიგვენე – დატირება). „ლაგვანს“ გადაუხდიდნენ ყველა გარდაცვლილს, რომელიც 3 წელზე მეტი ასაკის იყო გარდაცვალებისას. ზოგიერთი ოჯახი რამდენიმე წლის შემდეგ უკეთებდა „ლაგვანს“ თავის მიცვალებულებს, ზოგჯერ კი რამდენიმეს (თუ ყავდა რამდენიმე დაღუპული) ერთად, ოღონდ პური იმდენად მეტი უნდა გამოეცხოთ, რამდენ მიცვალებულსაც უკურთხებდა. **ლაგვან**-იდან (სვანური წლისთავიდან) რამდენიმე ხანში, ოჯახს უნდა გადაეხადა მიცვალებულისათვის კიდევ ერთი, თავისი მასშტაბით ყველაზე დიდი ხარჯი - „ლაგვან“, რომელიც დღეს სრულიად გამქრალია ყოფიდან. „ლაგვანი“ მთხრობელებს კარგად ახსოვთ, აღწერილი აქვს აგრეთვე ბ. ნიუარაძეს, ლ. დადიანს, დ. მარგიანს⁵. ლაგვანუ დიურ სვანურად ნიშნავს სატირალის პურს⁶.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან გამომდინარე პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ჩანს ის გარემოება, რომ ქვევრის მეგრული სახელწოდება „ლაგვანი,, იდენტურია სვანურში ფიქსირებულ „ლაგვანთან“, რომელსაც მიცვალებულს უხდიდნენ წლისთავზე. ამ მხრივ ქვევრში ადამიანის გვამის მოთავსებასთან მისი კავშირი უეჭველად გვეჩვენება. თვით სიტყვის ეტიმოლოგიასთან მიმართებაში მისი დაკავშირება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სვანურში მიწის აღმნიშვნელ სიტყვა გიმ-თან, რომელსაც თავდაპირველად თიხის და მიწის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგივე პარალელი ჩანს მეგრულ დიხა და ქართულ თიხას შორის. ამ ნიშნით ის დედათა სქესს განასახიერებს, რომელსაც ძველადმოსავლური მასალებიც უმაგრებს მხარს (იხ. ქვემოთ) და ნაყოფიერების ფუნქციას ატარებს. შესაძლოა ეს სიტყვაც (გიმ) ინდოევროპულიდან იყოს შემოსული, რასაც მისი რუსული შესატყვისი Глина და ბერძნული *lagn[na]* ამტკიცებს. უფრო ქართველური ჩანს ქვევრი, რომლის ფეუძისეული შესატყვისი მეგრულს არ შემორჩა, თუმცა ვფიქრობთ ის შემორჩენილია სიტყვა „მარ-ქვალში“, რაც „კვერცხს“ ანუ სიმრგვალებს აღნიშნავს ანუ დედამიწას, ხოლო ქვევრი, მიწაში დამარხულ მრგვალ ჭურჭელს. თვით ლაგვანიც მრგვალის შესატყვისად დამკვიდრდა ქართველურ ენებში. ასევე მასთან მიმართებაში საინტერესოა ტერმინი გვამი. მეგრულში გვიმი კი ჭის თიხის მრგვალი თავსახურის აღმნიშვნელი ტერმინია.

¹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 206-207.

² ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 475.

³ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

⁴ Т. В. Гамкrellidze, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 526, 536.

⁵ ხ. იოსელიანი, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში, თბ. 2005, გვ. 153.

⁶ მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1961, გვ. 169.

საყურადღებოა კიდევ ერთი სვანური რიტუალი გემ//გჷემ (სვანური) სვანური საახალწლო ჭულას რიტუალი (ბელის რიტუალი), რომელიც სრულდებოდა ბელის ფუნქციის მქონე, მარცვლეულისა და ფქვილის სათეს გემ//გჷემ-ის წინ. ასევე აღსანიშნავია, რომ სვანეთში ცხვებოდა საგანგებო რიტუალური კვერი გემ, კიდობნების გამოსახულებით. ჭულის რიტუალის დროს წარმოთქმულ სიტყვიერ ფორმულებში მოიხსენიებოდა სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაების განმასახიერებელი ბომდა, რაც მიზნად ისახავდა ბომდას ცხოველმყოფელური ძალის ბელისათვის გადაცემას და საერთოდ ადამიანისა და პურეულის გამრავლებას¹.

მეგრულში ყოველგვარ ლოცვას – „ხვამა“, ხოლო შესაწირავს – „ოხვამერი“, ყოველგვარ სალოცავს და ზოგადად ეკლესიას „ოხვამე“ ეწოდება. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის მომენტიც რომ სამეგრელოში სასაფლაოსაც „ოხვამეს“ უწოდებენ.

არნ. ჩიქობავას გამოკვლევით ქარველურ ენებში ის შემდეგი ფორმით არის, ჭან. ო-ხვამ-ე//ო-ხვამ-უ, ეკლესია, „სალოცავი“

„ო-ხვამბ-ე“

მეგრ. - ო-ხვამ-ე

ქართ. -

ავტორისავე აღნიშვნით, ქართულში ეს ფუძე არა გვაქვს და მისივე აზრით, ის ქრისტიანულმა საეკლესიო ნომენკლატურამ განდევნა ქართული ლექსიკიდან. ავტორი „ოხვამეს“ წარმართობის დროინდელ სიტყვად მიიჩნევს².

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის აღნიშვნით (ლაზ. ხომ-ო-ხომ-ალ-ა, „დღეობა“, „სალოცავი“. სვანური ჭვამ - ლაჭუამ, „სალოცავი“, მა-ჭვამ, „მადლობა“), სვანური ჭვამ - და ლაზური ხომ (<ვომ<ჭომ) ძირები კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს. რაც შეეხება მეგრულ და ლაზურ ო-ხვამ-ერს, იგი შეიცავს „ხვამ“ ძირს, რომელიც მკვლევარებს ნასესხებად მიაჩნიათ სვანურიდან ან ქართულიდან (რომელსაც უნდა ჰქონოდა ეს ძირი)³.

ჩვენ ლახჯამსა // ხომას და მეგრულ ხვამა//ოხვამეს შორის ვერ ვხედავთ ვერანაირ განსხვავებას და ვერ გავიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას მისი ქართულიდან ნასესხობის შესახებ, რომელიც იქ არ არის ფიქსირებული ფუძისეულად და ზოგადად იმის ვარაუდი, რომ თითქოს ოდესღაც უნდა არსებულიყო უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

ნ. მარი იაფეტური თეორიის ჭრილში აღნიშნავს, რომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ხმოვანთა ურთიერთმიმართებაზე უდმურტულისა რუსულ „x“-სთან, რესპ. იაფეტურ p-სთან, საკულტო ტერმინებში, სწორედ რომ Kwal-a „სამლოცველო“, მაშასადამე არქეტაში „ცა“, როგორც რომაელებში templum←tempus [„ცა“ „მზე“] „დრო“ და რასაკვირველია უდმურტული k+wal-a „სამლოცველო“ უნდა განვიხილოთ ნარნარა I-ის შეკვეცით მეგრული ფუძის ზმნის p+va-ma „ლოცვა“. ჭანური op+va-mu სვ. lipwa+m-i „დალოცვა“ „მადლობის მოხდა“ (აქედან მეგრულ opwa+m-t „ლოცვის ადგილი და საგანი“; „ტაძარი“ „ეკლესია“, ჭან. o-pva+m^[b]-e „სამლოცველო“. სვ. laqwa+m, რესპ. la-

¹ ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 179.

² არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938, გვ. 153, 425.

³ ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქარველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1990, გვ. 496.

pwa+m, უდრის la-qvam-i და შეკვეცის გარეშე რუსული ზმნის ძირი (მოქმედების სახელი) - ჯ+val-a, ჯ-val-i-ti „ცაში აყვანა და ა.შ.¹

მ. ჩუხუა, ფუძეებიდან (ზან. ხომ // ხვამ -, ხომ-ა → // ხუმ-ა „ხმა“, ხვამ-ა „ლოცვა“, დო-ხვამ-ა „გადალოცვა“, ა-ხვამ-ან-ს, ოხვამ-ან-ს „ლოცავს“, „გადაულოცავს“, ხვამ-ან-ს „ლოცავს“, ხვამ-ერ-ი, „დალოცვილი, ო-ხვამ-ერ-ი // ო-ხვამ-ირ-ი „დასალოცი“, „ლოცვა“, ო-ხვამ-ე, „ეკლესია“ „სალოცავი“, ო-ხვამ-ე // ო-ხომ-უ „ლოცვა“, ო-ხომ-ალ-ა, „სალოცავი), შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ავტორი, საერთო ქართველურ ჯვამ არქეტიპი, სვანურის თანამედროვე მდგომარეობას ემთხვევა. მისივე აზრით, ქართულში რედუცირებული ფუძეები დასტურდება - ჯვამ-ა ჯმ-ა... ამოსავლად ჯა თანმიმდევრობას ზანურში ო (→//ვა)//უ მოუცია, რაც კანონზომიერია. ავტორისავე აზრით, ლოცვა, დალოცვა, სალოცავი = ეკლესია სემანტებს საფუძველად დაედო ხმ-ა//ხმ-ობ-ა სემა, საინტერესოა, განაგრძობს ავტორი, ქართული მო-იჯმ-ობ-ს//მო-ი-ჯმ-ო-ც-ს, რომელიც ერთდროულად „მოსხმობასაც“ ნიშნავს და „დახმარებასაც“ ანუ „მოსხმობას დასახმარებლად“, ე. ი. მოიხმობს რათა დაიხმაროს, ავტორისავე აზრით, სწორედ აქედან განვითარდა შემდგომი ლოცვის მნიშვნელობა².

ბ. გიგინეიშვილი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის გავრცელების მიზეზით, მეგრ-ჭან. ხვამ და სვანური ჯჰჰმ (← *ჯჰმ-) ძირების შესატყვისი თავდაპირველი ფონეტიკური სახით და მნიშვნელობით არაა დაცული, მაგრამ ავტორს ის ეგულება ჯუმ (← *ჯუმ-) ძირში, რომელსაც, მისივე აზრით, ემყარება ერთი მხრივ ზმნა ჯუმ-ე-ა, მეორე მხრივ კი გასუბსტანტივეებული მიმღეობა სა-ჯუმ-ილ-ი. ჯუმევა ძველ ქართულში, ჩვეულებრივ „ხმარება-გამოყენების“ მნიშვნელობით გვხვდება, როგორც ჩანს, განაგრძობს ავტორი, აქ ადგილი ჰქონდა მნიშვნელობის გაფართოებას: [ხმარება სარიტუალო საგნებისა] → [ხმარება ზოგადად]. სიტყვა საჯუმილი ნიშნავს „ღუმელს“, „ქურას“, „ბრძმედს“. ავტორისავე აზრით, საფიქრებელია საჯუმილი თავდაპირველად მიუთითებდა ნაწილებზე რიტუალისა (შესაწირავზე, მსხვერპლის შესაწირავად წინასწარი მომზადების საშუალებებსა და საგნებზე), ე. ი. იმაზე, რაც მოიხმარებოდა მსხვერპლშეწირვის ცერემონიალის პროცესში. ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი მსხვერპლშეწირვისა იყო ცეცხლი. მისივე თქმით, საჯუმილი, არის არა თვით ცეცხლი, არამედ სა-ჯმ-არი, ამჯერად საცეცხლე, რაც დანიშნული იყო შესაწირავად ან კიდევ ადგილი, სადაც უნდა დაეთო ცეცხლი მსხვერპლშეწირვის რიტუალისთვის, ასევე, მისივე აზრით, საჯუმილი ფორმა (თავისი ადრინდელი მნიშვნელობით „მსხვერპლის შეწირვის რიტუალი) ზუსტ ფონემურ შესატყვისობას ავლენს მეგრულ ფორმასთან „ოხვამერი//ო-ხვამირ³.

ა. არაბულის აზრით, ჯვამ//ჯვამ-ლი - ფუძეთა მიმართებაში (შდრ. კვამ-ლი - თეს-ლ-...) აგრეთვე ხვამ-ა, და ჯვამ, მა-ჯვ-ამ ფუძეებში ამოსავალი ჯვამ ძირი უნდა უკავშირდებოდეს საჯუმილ - ფუძეს, კერძოდ რედუცირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ამ ფუძეში: საჯუმილ სა-ჯვამ-ილ, საჯუმილი, საჯმილი, ღუმელი, ქურა „ბრძმედი“. შესთხოვდნენ იგინი საჯუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისასა, ავტორისავე დასკვნით, ჯვამ-ძირი უნდა უკავშირდებოდეს „ნათების“, „ცეცხლის“ სემანტიკას და

¹ Н. Я Марр, Этно и глоттогония Восточной Европы, Избранные сочинения, т. V, Л. 1935, გვ. 519-520.

² მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ. 2000-2003, გვ. 410.

³ ბ. გიგინეიშვილი, ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ. 1985, №1, გვ. 59-62.

იგივე მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად შესაბამის ლექსიკურ ერთეულთა საკულტო დანიშნულებით დამკვიდრებასა და გავრცელებას¹.

ერთ-ერთ ურარტულ წარწერაში, რომელიც სარდურ II ლაშქრობაზე მოგვითხრობს, მის მიერ დაპყრობილ ქვეყნად მოხსენიებულია უხიმეაშუს, უხიდეს ქვეყანა. ჯ. გეტაძის აზრით, ეს ქვეყანა ზანური, მეგრულ-ჭანური ტომებით იყო დასახლებული, ავტორი, მას უდარებს მეგრულ ოხომა-ოხვამეს და აღნიშნავს, რომ იგი გაჩენილი უნდა იყოს ამ მხარეში ზანური ტომების ბინადრობის დროს, კერძოდ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე. შემდგომ, განაგრძობს ავტორი, VIII ს-ის 20-იან წლებში კიმერიელების მიერ კოლხური სამეფოს განადგურების გამო პოლიტიკური ცენტრი და მოსახლეობა ჩრდილოეთისკენ წაიწია. სავსებით შესაძლებელია გადმოენაცვლება ამ ტომების რელიგიურ ცენტრებსაც, მათ შორის ოხომას (ოხვამეს) ტიპის სალოცავებსაც, ავტორისავე აზრით, იგი იგივე უქიმერიონია (გორა ქუთაისთან ახლოს)².

საკითხთან მიმართებაში საინტერესოდ მიგვაჩნია ინდოევროპულ ენებში შემორჩენილი სიტყვები. ინდოევროპული *Heug^[h]/*Hueg^[h] - სახეიმოდ შექება, ხოტბის შესხმა, მსხვერპლის მიტანით“, „ლოცვის აღვლენა: ძველ ინდური *vāgha*[t - მლოცველი, მსხვერპლის მიმტანი, მსხვერპლშეწირვის მომწეობი, ავესტ. *aog* -(*aogadā*, *aoxta*) „სახეიმოდ გამოცხადება“, „გამოთქმა“. ბერძნ. *εὐχομαι* „ვლოცულობ“, „სახეიმოდ ვპირდები“, „აღთქმას ვიძლევი“, *ευχῆ* „ლოცვა“, „ვედრება; ხევეწა, მუდარა“, ლათ. *uouēd*, „სახეიმოდ ვპირდები“, „აღთქმას ვიძლევი“, „ვეწირები“, „ვემსხვერპლობ“. *uōtun* „მსხვერპლი“, „აღთქმა“. სიტყვების ამ ჯგუფთან აკავშირებენ ხეთურ *hueR*-*huR* - „შელოცვა“, „შელოცვის წარმოთქმა“ (მესამე პირის მხოლ. რიცხვ. *hueRzi*, 3 პირ, მრავლ. რიცხვ. *huRanzi*). ფორმალურად ეს სიტყვა ამოსულია ძირიდან *Hueg^[h]*/ხეთ. *hweR* მდგომარეობაში ნულოვანი გახმოვანებით სუფიქსისა **Hu-g^[h]* (ხეთ. *hweR*) ფორმაში. ნულოვანი საფეხურზე სომხურ *uzer*, „მე მინდა“, *y-uzem* „ვეძებ“.

აღნიშნულია, რომ ხეთური სიტყვის ასეთი ეტიმოლოგია გვაძლევს საფუძველს ის გაგაერთიანოთ ხეთურ *hueR*-*huR*-თან „დაკვლა“ (კლავს), „დანაწევრება“. ამ სიტყვების გაერთიანება, როგორც ერთი და იმავე სემანტიკური ვარიანტებისა გამართლებულია საწყისი ინდოევროპული სიტყვის სემანტიკის სავარაუდო მნიშვნელობით - „შექება/ხოტბის შესხმა“, „ლოცვის აღვლენა“ - „შელოცვა“, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სემანტიკური გახლეჩა და განცალკევება სიტყვებისა *hueR*/*huR*, მნიშვნელობით - „დაკვლა“ (თავდაპირველად ალბათ „სამსხვერპლო ცხოველის დაკვლა“)³.

აღსანიშნავია, რომ სვანურ სადღესასწაულო ნადიმში აუცილებელი სადღეგრძელო იყო დიდების თქმა ღმერთისადმი. პირველი სადღეგრძელო სახლეულის სახელზე ითქმებოდა ანუ მათი ღმერთის დიდება. პირველი და ყველასათვის სავალდებულო ნაწილი სახლიგელისა იყო ე. წ. ლახვამილი. ნადიმის უფროსი წევრი დგებოდა თავის სკამზე, ხელში იღებდა ერთ ჯამს, ამბობდა მოკლე სადღეგრძელოს მაღალი ღმერთის, ხოშა ღერმეთის სადიდებლად, ამ ჯამს უკან დებდა და იღებდა სხვას, ადიდებდა

¹ ა. არაბული, ჯჰამ არქტიპის პირვანდელი მნიშვნელობის და შესაბამის ფუძეთა საკულტო დანიშნულებისათვის, ქუთაისური საუბრები, VII, სიმპოზიუმის მასალები, ქუთ. 2000, გვ. 33-34.

² ჯ. გვეტაძე, ურარტუს მეფის სარდურ II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმის „უხიმეაშუს“ გაგებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ. 1972, №3, გვ. 209-210.

³ T. B. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. 1984, გვ. 803.

ჯგერაგს, ამასაც მაგიდაზე დგამდა და იღებდა მესამე ჯამს, რომლითაც ადიდებდა თარგლეხერს და ლამარიას და ამის შემდგომ პირველი ჯამიდან დაწყებული ყველას ცლიდა და გადააწვდიდა მეზობელს. ასე სრულდებოდა ლახვამიალი ყველა მონადიმეთა მიერ. შემდეგ სახლიგელს შეეძლო სხვა სადიდებელი ეთქვა¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგრული ოხვამე-ოხვამერ-ოხვამური და სვანური სიტყვა „ლახვამიერ“ იდენტურია და მათი ფუნქცია სწორედ ერთ ჭრილში უნდა განვიხილოთ.

როგორც ზემოთაც გამოჩნდა სიტყვა „ოხვამეს“ უტყუარი შესატყვისები მოეპოვება ინდოევროპულ, ბერძნულ და სხვა ენებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ის ღმერთის, ანუ როგორც უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გარკვეული რიტუალური ქმედების და ლოცვის აღმნიშვნელი. ამგვარ მის მნიშვნელობას მხარს უჭერს მეგრული გამოთქმები - „ღორონთ ღოხვამუ“ - ღმერთმა დალოცოს, „ჭყონ-მიოხვამუ“ – სალოცავი მუხა და სხვა. თვით ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც ხომ ლოცვა სულის საცხოვნებელს ნიშნავს არა მარტო ცოცხლებისათვის, არამედ პირველ რიგში გარდაცვლილთათვის. ვფიქრობთ, თავდაპირველი სემანტიკით სიტყვა „ოხვამე“ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ქმედებაში უნდა იყოს კავშირში.

საინტერესოა ის მომენტიც, რომ მეგრულში ხვამა//ოხვამე ლოცვასთან, სალოცავთან და სასაფლაოს მნიშვნელობის პარალელურად ნიშნავს დღეგრძელობას, სადღეგრძელოს (ხვამა, ღოხვამე). ამ მხრივ ასევე საინტერესოა, როგორც სემანტიკური ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზური ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები. კერძოდ პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მეგრული ჟინი ანთარის პირველი ნაწილის „ჟინის“ აფხაზური შესატყვისია Хьых (ჟინი იგივე ზედაა, ანუ ზედა სამყარო, ანუ ზედაშე) აქ აფხაზური ენის კარგად მცოდნის ნ. ჯანაშიას მინიშნებით, თითქოს აფხაზებს დაუნაწევრებიათ ჟინი ანთარი და მიუღიათ ორი ღმერთი, აითარი (Айтар) და х2ix2 (Хьыхь) (რამდენადაც მათდამი მიმართული ლოცვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში სრულდება².

აფხაზები ღმერთის მნიშვნელობით კი ხშირად ხმარობენ სიტყვა ниха-ს, რომელიც ქრისტიანულ ენაზე ითარგმნება „ხატის“ მნიშვნელობით (ა-ნ2ხა-ხატი)³. ა-ნ2ჰიაგატი კი ნიშნავს სალოცავს, ა-ნ2ჰიარა - ლოცვას, დალოცვას, დღეგრძელობას, ილოცა – ლოცულობდას, ა-ნ2ჰიაჭაა - სადღეგრძელო⁴. ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ან2“ როგორც ჩანს კონკრეტულ ღვთაებასთან არის კავშირში (აღბათ დედათა სქესის). ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ტერმინების მეგრულ ოხვამესთან, ხვამასთან (სალოცავი, სამლოცველო, ლოცვა, სადღეგრძელო და ა. შ.) დაკავშირება როგორც მორფოლოგიური ისე სემანტიკური მნიშვნელობით არ უნდა გაიჭირდეს. ამავე დროს ოხვამერის და ხატის მნიშვნელობის ურთიერთკავშირი, ჩვენი აზრით, აშკარაა. ოხვამე არის ღმერთის, რომელიმე ღვთაების მიმართ ლოცვის აღსრულების.

¹ В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб. 1957, გვ. 72.

² Н. С. Джанашия, Статьи по этнографии Абхазии, Сух. 1960, გვ. 27.

³ Н. С. Джанашия, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁴ ს. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1954, გვ. 215.

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ მიცვალებულის კულტთან მჭიდრო კავშირში გვაქვს განხილული¹.

მიცვალებულის და წინაპრის კულტის წამყვანი პოზიცია ადამიანთა რელიგიური წარმოდგენების თითქმის ყველა საფეხურზე უდაოა². ჩვენი კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ღვთაების და მიცვალებულის სახელწოდებები (ასევე წინაპრის) მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში სიმონიმებია³, რაც ვფიქრობთ, არა მარტო ამა თუ იმ წინაპრის საკუთარი სახელის იდენტური ფორმით მისი „გაღმერთების“ შემდეგ უზენაესი ღვთაების (ღმერთის) სახელწოდებად დამკვიდრებაზე მიუთითებს, არამედ როგორც ჩანს, თვით „სიკვდილის“ აღმნიშვნელი მცნებაა, რომელიც უდიდეს „საიდუმლოდ“ ითვლება; განვითარების ადრეული საფეხურიდან მოყოლებული მიცვალებული იდენტიფიცირებულია „ღმერთთან“ და „უზენაესი ღვთაების სახით“ არის წარმოდგენილი, რომელსაც როგორც სიკეთის, ისე სიავის მოტანა შეუძლია ცოცხალთათვის და მთლიანად სამყაროსათვის. ამავე დროს ხატმსახურება ანუ ღვთისმსახურება და მიცვალებულის თავანისცემა ერთ სიბრტყეზეა აყვანილი და არ არის ურთიერთგამიჯნული, საფლავი წმინდა ადგილად ითვლება. ვფიქრობთ, გამომდინარე აქედან მცნება „სიკვდილის“ რესპ. „გარდაცვალება“ და „ღმერთის“ მცნების სემანტიკური იგივეობა დასაშვებია, რასაც ქართველურ ენებში გარკვეული მორფოლოგიური შესატყვისობებიც გააჩნია⁴. და ვფიქრობთ ღმერთ-ღორღონთ, ღერბეთ, ღორმთის კავშირი „სიკვდილთან“ ანუ მეგრულ „ღურა“-სთან ანუ „ღვრა“-სთან „გარდაცვალებასთან“, დასაშვებია. თავდაპირველად არსებული სიკვდილის აღმნიშვნელი სიტყვა „ღმერთის“ სახელწოდებად უნდა დარჩენილიყო⁵.

ამჟამად კი ჩვენთვის საინტერესოა ღმერთის და ოხვამერის ურთიერთობა, როგორც მორფოლოგიურად, ისე სემანტიკურად.

ქართულ წარმართულ ხალხურ ლოცვა-სავედრებელ-დაწალობებაში ღვთაებრივ არსებათა ცალკეულ ჯგუფს ღვთისშვილნი შეადგენენ. მაგალითად:

ხთის კარზედ შავიყარენით ხთისშვილნი ყველა მჭრისაო

გადავკვდ, ღმერთსა შავთხოვე: „ღმერთო, შენგან მაქვს ძალიო“

მაშიავ მორიგემ ღმერთმა გარდამიმეტა სამიო“⁶.

აქ ჩვენთვის საყურადღებოა ის მომენტი, რომ სიტყვა „ღვთის“ იცვლება ფორმა „ხთის“, რომელსაც იდენტური მნიშვნელობები აქვთ. ზემოთ წარმოდგენილი ლოცვის სხვა ვარიანტი ასეა.

¹ დ. ჭითანავა, ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ - სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. საისტორიო ძიებანი, ტ. X-XI, თბ. 2008, გვ. 462-472.

² იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 462-466.

³ იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 465-466.

⁴ დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 467.

⁵ დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 469-470; ამ მხრივ საყურადღებოა მაგ მაგ., ლათინურ. deus, die ღმერთი, რომლებშიც გარდაცვლილი, ასევე ინგლისურ. die - სიკვდილი, გერმანულ. Gott (ინგლისური გოტ) - ღმერთი და cottel//acker - სასაფლაო, ხოლო Gottes//acker dienst - ღვთისმსახურება. რუსულ. Бог - ღმერთი და Грoд - საფლავი, საინტერესოა რუსული Покойник - მიცვალებული (ცხვდარი) და Поклонение - თავანისცემა, რომელიც თავდაპირველად სწორედ მიცვალებულისადმი, როგორც ღვთაებისადმი ასეთი ქმედების (თავანისცემის) გამომხატველი უნდა ყოფილიყო (იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 470).

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1950, გვ. 177.

„ხთის კარზე შავიყარენით ანგელოზები თავნია“.

ან „ღვთის კარზე შავიყარენით სამოცდა სამი ხატია.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „სამოცდა სამი ღვთისშვილის მაგიერ (ზოგიერთ ვარიანტში - დ. ჭ.) სამოცდასამი ხატია დასახელებული, საიდანაც ავტორისავე აზრით, ნათლად ჩანს რომ ხატი ხალხურ სარწმუნოებისა და საგმირო სიტყვიერებაში ღვთისშვილის (ან ხვთისშვილის - დ. ჭ.) შესატყვის ტერმინს წარმოადგენს¹. თუ ჩვენ ღვთის და ხთის ფორმა იდენტურად გვაქვს და ეს ფაქტია, მაშინ ხთის (ხვთის) ფორმაში ჩვენ ო-ხვამ-ეს დაკავშირება არ გაგვიძნელებს, ხოლო ამ უკანასკნელისა კი ხატთან, სადაც აქ იდენტური მცნებები შეგვიძლია დავინახოთ „ღმერთის“ სახელწოდების თვალსაზრისით. რაც შეეხება ღვთისშვილებს რესპ. ხვთისშვილებს სწორედ რომ ღმერთის შვილები იგივე წინაპრები ანუ თეოლოგიური თვალსაზრისით ანგელოზები არიან.

საყურადღებოა სულხან-საბას გამმარტება „ღ თი (ღმერთი) არის სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყო(ვ)ელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყო(ვ)ელთა; ღ თი გადმოთარგმნების ხედვა და წყად“²...

„ხედვა“ ღმერთის განმარტებაში ყოველთვის „მხედველის“ (დამნახველის) მნიშვნელობით არის, ხოლო უფრო საინტერესოა თუ რა უნდა იგულისხმებოდეს წვაში? წვა ხომ ის ქმედებაა, რომელიც პირდაპირ ცეცხლთან არის კავშირში ანუ ღმერთ სიტყვაში თუ ჩვენ მას მეგრულ ღვრას (ანუ ღურა - სიკვდილი, გარდაცვალება) დაუკავშირებთ ხომ არა გვაქვს აქ საქმე მიცვალებულის ოდესღაც არსებულ კრემაციის წესის გამოძახილთან, ანუ იმასთან, რომ მიცვალებულის კრემაციას არა მარტო ჰიგიენური დანიშნულება აქვს, არამედ აქ ჩადებულია მიცვალებულის სულის სხეულისაგან გამოთავისუფლების და მის ზეციურ სამყაროში, სხვა სამყაროში გადასვლის იდეა, ანუ მიცვალებულს სული რომ გამოდის პირიდან სწორედ იმას ნიშნავს ღვრა (ანუ დოღურუ-ღურა-მოკვდა, სიკვდილი). მაშასადამე ღურა ის აქტია, რომელიც ხდება ადამიანის ბუნებრივი სიკვდილისას, ხოლო ხვამა შემდგომი მოქმედებაა ანუ სხეულის მიმართ განხორციელებული ქმედება. კერძოდ, საჭუმილ-ი, საჭმილ-ი ნიშნავს - ღუმელს, ქურას („ბრძმედი“)³. იგივეა მეგრული ხალუა - (ლღობა), მო-ხალი-ლი (მოხალული); ხ იდენტურია ღვთის და ხთის სიტყვებში, და შესაძლოა, ისე ხვამა და ღმერთ სიტყვებშიც.

სამეგრელოს მაგალითზე „ოხვამე“ ეწოდება არა მარტო იმ ადგილს, სადაც ეკლესია ან რაიმე სხვა სალოცავი ღვას, არამედ სასაფლაოსაც. ანუ სასაფლაო წარმოადგენს სწორედ იმ ადგილს სადაც უნდა შესრულებულიყო გარკვეული ლოცვა ანუ ხვამა, რიტუალური აქტი დაკრძალვის დროს თუ მის შემდგომ განვითარების ადრეულ საფეხურზე რიტუალური სრულდებოდა ვიწროდ ოჯახში, კერძოდ სადაც იკრძალებოდა მიცვალებულიც⁴.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178-179.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1993, ტ. II, გვ. 253.

³ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 386.

⁴ დ. ჭითანავა, რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან (საკითხის დასმის მიზნით), კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ. 2007, გვ. 104-125; მისივე, სოციალურ ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (საკითხის დასმის მიზნით), კრ., ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ. 2007, გვ. 125-148; მისივე, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერძოდ, წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), კრ. თეიმურაზ მიბხუანი - 75.

ცნობილია, რომ საფლავი უძველეს ადამიანთა წარმოდგენით ითვლებოდა მიცვალებულთა საცხოვრისად. მესოპოტამიაში, მიცვალებულთა სამყარო URUGAL გაიგივებული იყო „საფლავთან“ (qabru). qabru-ს სინონიმები – būru და šuttu „ორმო“, ასევე hurri „ხვრელი“, bālu „კარები“¹.

შესაძლოა „ოხვამეს“ სახით ჩვენ სულ სხვა მნიშვნელობასთანაც გვქონდეს საქმე. ძველ ქართულში მაგალითად მესუეშნე ნიშნავს მესაიდუმლეს: „არც ვედრებად მიითვალვის და არც მესუეშნე შეიწყნარების“². მესუეშნე შეიძლება წარმოვიდგინოთ მესვაშნე/მეოხვამურედ – მლოცველი ან ლოცვის აღმავლენი ქურუმის მნიშვნელობით, აღსანიშნავია, რომ სულხან-საბასთან ჯომლი - „მრავალვარსკვლავია“, „მრავალთა ვარსკვლავთა“³. ამ გარემოებასაც, ოხვამეს, როგორც სალოცავი ადგილის მნიშვნელობასთან მივყავართ, რომელიც ცის ღვთაებების ანუ ვარსკვლავების, იგივე პლანეტებისადმი თაყვანისცემის ფაქტს გვამცნობს. ისეთივეა მისი ქართული თარგმანი „ზედაშე“ ანუ ზედა სამყაროსადმი აღვლენილი ლოცვა. ოხვამეში სწორედ იკრძალება „მარე“-ები ანუ ქვევრები, რომელშიც მოთავსებულია მიცვალებული, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ისხმება წმინდა ღვინო, რისი საშუალებითაც ხდება წინაპართა სამყაროსადმი ლოცვის აღვლენა და მათი ზიარება ზედა სამყაროსადმი. შემდგომ კი ის აგრარული კულტის მნიშვნელობასაც იძენს. შესაძლოა „მარ“ და მეგრული „მარა“ ანუ შვიდეულის აღმნიშვნელი სახელწოდება იდენტური ტემინები იყოს. ამ კონტექსტში ყველაზე მკაფიო მანიშნებელია „ოჩე ხვეი ღო ხვარიელი“ (მეგრული სიმღერაში), სადაც ოჩე სახნავ-სათესს ნიშნავს, ხოლო ხვეი – იგივე სიმრავლეს, ხვარიელი – ბარაქიანობას. ეს იგივე ვარსკვლავია ანუ სიმრავლე (შდრ მურიცხი – მრგვალი რიცხვი - მრავალი). ოხვამერს, ვფიქრობთ მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მივყავართ, რომელმაც შესაძლოა მიცვალებულის ანუ წინაპრის კულტში ასახვის შემდგომ შეიძინა დამარხვის მნიშვნელობა. ჭანურში ხვ, ხუ ნიშნავს დამარხვას, ყრას, ცვენას, გახვრეტას⁴.

უფრო მეტი კონკრეტულისთვის საინტერესოა თუ რომელ ღვთაებას სცემდნენ თაყვანს ქვევრში შესრულებული რიტუალის დროს და როგორც უნდა ყოფილიყო მისი ანუ ზოგადად თიხის ფუნქცია განვითარების ადრეულ საფეხურზე.

სამეგრელოში, როდესაც საოჯახო მარანში ჩაფლულ ქვევრებთან ამა თუ იმ მიზეზის გამო ოჯახი ლოცვას შეწყვეტდა, ან ოჯახის უფროსი, რომლის სახელზე მარანში „სამგარიოს“ (სამიქელგაბრიელი) სახელწოდების ცალკე ქვევრი იყო ჩაფლული, გარდაიცვლებოდა, ამავე დროს თუ ოჯახი დიდი ხანი ან გარკვეული დროის განმავლობაში ლოცვას ვერ აღავლენდა, მაშინ ამ ქვევრებს რომელიმე მეზობელს „ჩუმად მოაპარვინებდნენ“; მას ისინი უნდა წავლო წყლის პირას, ოჯახიდან შორს, ქვევრები უნდა დაემტვრია, წყლისთვის გაეტანებინა ან ღრმა ხრამში გადაეგდო. შემდგომ თუ ოჯახი ისევ გადაწყვეტდა ლოცვის განახლებას, ანუ ახალი სალოცავი ქვევრების მარანში ჩაფვლას, ლოცვის განახლების წინ მათ წინასწარ დათქმული შესაწირავებით უნდა გადაეხადათ „აღობის“ რიტუალი, რაც ლოცვის მიტოვებისათვის

¹ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 104.

² ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გვ. 443.

⁴ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

და ღმერთის განაწყენებისათვის შეწყალების, პატიების თხოვნის ნიშნად იყო მიმართული.

„ალობის“ სახელწოდების წეს-ქმედება არა მარტო საოჯახო სალოცავებთან მიმართებაში სრულდებოდა, არამედ ის სათემო თუ სასოფლო „ხატისათვის პატიების“ თხოვნის, ანუ „ახსნის“, „შეწყალების“ მიცემის დროსაც იგივე სახელწოდებით იყო ცნობილი¹; ზოგადად ტერმინი „ალობა“ ღრმა თეონიმური დატვირთვის მატარებელი გახლავთ, რაზეც ჩვენ ამჯერად არ შევჩერდებით; ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ „ალობა“, „შეწყალება“, „პატიების თხოვნას“ ნიშნავს.

აფხაზური ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ჩანს, რომ იქ ქვევრი რა თქმა უნდა ისე გამიზნულად არ იმტვრევა, მაგრამ თუ ის გაფუჭდა ან რაიმე ნაწილიც რომ ჩამოუტყდეს და ა. შ. ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს ახლით, უფრო დიდი და სათანადო ღოცვაც უნდა შესრულდეს, რაც აუცილებელი წესია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ღვთაების გაღიზიანებას მოასწავებს, რაც ალობის ანუ შეწყალების თხოვნის მსგავს ქმედებაზე მიუთითებს.

პირველ რიგში, ჩვენს მიერ განსახილველ წეს-ქმედებაში ძირითადი დატვირთვის მატარებელი, ვფიქრობთ, გახლავთ ქვევრის დამტვრევის მომენტი, იმ ქვევრისა, რომელიც ღვთაებისათვის იყო მარანში სალოცავად ჩაფლული. რომელი იყო ეს ღვთაება?

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების გარკვეული საფეხურიდან დღემდე, როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, ისე ტრადიციულ (კლასიკურ) რელიგიებში ყველგან წინა პლანზე ფიგურირებს მიცვალებულის და წინაპრის კულტი, რისი აქ ვრცლად წარმოჩენა ამჯერად ჩვენი მიზნის ფარგლებს სცილდება. ამჯერად ჩვენთვის საყურადღებოა ის მომენტი, რომ ამა თუ იმ მასალისგან დამზადებული ნივთების და უმთავრესად თიხის ჭურჭელის დამტვრევის წესს მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიდან გამომდინარე ძალზედ დიდი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და ამ მონაცემებთან პარალელების გავლება ჩვენს მიერ საინტერესო წეს-ქმედებასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებში, მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხებში მიცვალებულს შესაწირავად თან ატანდნენ თიხის ჭურჭელს (სხვა ნივთებთან ერთად)², ხოლო ერთ-ერთ სამსხვერპლო ნაგებობაზე (ამირანის გორა) ცხოველების დამწვარ ძვლებთან ერთად აღმოჩნდა უამრავი თიხის დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები, რომელსაც მთლიანობაში სხვა შესაწინავეებთან ერთად სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა³. ასეთივე სურათი ჩანს თრიალეთის ყორღანულ კულტურაში, სადაც სამარხ ორმოში ჩნდება დიდი რაოდენობით შავპრიალა ჭურჭლის ნატეხები⁴; აქ თითქმის ყველა ყორღანში (საბიდ-ახჩას მიდამოებში) ჭურჭელი მთლიანად იყო დაღეწილი იმდენად, რომ მათი აღდგენა თითქმის ვერ მოხერხდა; ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თიხის

¹ თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1940, ტ. III, გვ. 164.

² ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ. 19637, გვ. 40.

³ ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

⁴ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1960, გვ. 11.

ჭურჭელი შემოწობილი იყო დასაკრძალავი ეტლის თვალთან¹; საყურადღებოა ისიც, რომ ეტლის შიგნით, უკანა ღერძის პარალელურად, მის მახლობლად იღო წვერ და ყუნწშემოტეხილი ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელზედაც ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ წვერი და ყუნწი მისთვის განზრახ უნდა მოეტეხათ დაკრძალვის პროცესში².

სოფ. მელაანში ძვ. წ. I ათასწლეულის დროინდელ ძეგლებზე ნაცროვან ფენაში აღმოჩნდა ათასამდე თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხოლო ხოვლე გორაზე საკურთხეველის შუაში ჩადგმული იყო თიხის ჭურჭლები, თიხის რკალური ნივთი და სხვ. იგივე სურათი გვაქვს ნაცარგორის ნამოსახლარებზეც³. შიდა ქართლში, წეროვანის II სამარხში, დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა 40 ათეულზე მეტი თიხის ჭურჭელი, ხოლო სამარხთა უმრავლესობაში გარდაცვლილის ირგვლივ ყველგან თიხის ჭურჭლები იყო ირგვლივ შემოწობილი⁴.

თვითონ თიხა ძალზედ დიდი სიმბოლურ-რიტუალური დატვირთვის იყო, როგორც ჩანს მისი ფართო პრაქტიკული დანიშნულებისა და სხვა ფაქტორთა გამოც, რომელზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. თიხის ჭურჭლის მიცვალებულის დაკრძალვის მომენტში დამტვრევის ფაქტთან ერთად ჩვენ გვაქვს სხვა მასალისაგან დამზადებული ნივთების დაზიანების, დაწვის და ა. შ. ჩვეულება, რომელიც როგორც ჩანს დაკრძალვის რიტუალის დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო და ვფიქრობთ, არა მარტო თიხას ჰქონდა ამგვარი ფუნქცია, არამედ ნებისმიერ იმ ნივთს, რომელიც მიცვალებულის საკურთხევა იყო.

მაგალითად, საქართველოში ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნის ბეშთაშენის სამარხში ცნობილია ბრინჯაოს ნივთების გამიზნულად დამტვრევის ნიშნები⁵.

კეტებში, მიცვალებულის თავთან დებდნენ მის ფინჯანს, რომელსაც წინასწარ ამტვრევდნენ⁶. საერთოდ ისინი საფლავზე ტოვებდნენ სხვადასხვა დამტვრეულ ნივთებს, რომელიც გარდაცვლილის საკურთხევა იყო. სასაფლაოზე დადებული იყო ქალის ყუთი დამტვრეული თავსახურავით, გახვრეტილი ჯამი და საჩაიე, დამტვრეული ალუმინის კოვზი, სავარცხელი; იქ სადაც ამტვრევდნენ ამ ნივთებს, ტოვებდნენ გარდაცვლილის ტანსაცმელსაც, იქვე ტოვებდნენ მარხილსაც, რომლითაც მკვდარი მოასვენეს. ამავე დროს შამანის დაკრძალვის დრო მის ტანსაცმელს ლითონის გამოსახულებებსა და უღარუნებს არღვევდნენ, ხოლო დაირას უკეთებდნენ ნახვრეტს, რომელსაც შემდგომ ტყეში წაიღებდნენ და იქვე ტოვებდნენ⁷; ისინი მიცვალებულის შარვალს ჭრიდნენ ქვემოდან ზემოთ, რადგან იქიდან მიცვალებულის სული გამოსულიყო⁸.

ჰომპონიუს მელა გალების აღწერის დროს აღნიშნავდა, რომ მიცვალებულის დაკრძალვისას წვავენ მის მიერ განკურთხნილ ნივთებს და ცხოველებს⁹.

ჩრდილო კავკასიაში, მოშევაია ბალკას ქალის სამარხებში ხშირად იმარხებოდა საქსოვი მანქანის დეტალები და სხვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაკრძალვით წინ

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб. 1941, გვ. 95.

³ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 200-202.

⁴ В. Г. Садрадзе, Мхета в XV-XIII вв. до нашей эры, Тб. 1991, გვ. 27-29.

⁵ Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI-X вв до н. э. М. 1977, გვ. 66.

⁶ Б. О. Долгих, О похоронном обряде кетов, Советская археология, №3, М. 1961, გვ. 102.

⁷ Б. О. Долгих, დასახ. ნაშრომი, გვ. 103-105.

⁸ Б. О. Долгих, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

⁹ Е. Э. Носенко, Представление кельтов о загробном мире (дохристианская эпоха), Вестник древней истории, М. 1990, №3(194), გვ. 106.

გამიზნულად იყო დაზიანებული¹. ოსური მასალებით, მიცვალებულის გამოსვენების წინ წინ წვავენ ტანსაცმელს².

ძველ ინდოეთში, რიგგედას ტექსტების მიხედვით, ადრე ჩადენილ დანაშაულის გამოსასყიდლად ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას და მათ სწამდათ, რომ ჩვეულებრივ ცოდვა გადადის ამა თუ იმ საგანზე (თიხის ჭურჭელი, ჯაჭვი), რომელსაც ანადგურებდნენ ან წყალს გაატანდნენ, ხოლო დაკრძალვის დროს ანთებდნენ დასაკრძალავ ცეცხლს, რომელიც საშინაო ცეცხლისაგან იყო აღებული და მიცვალებულთან ერთად საგანგებოდ წვავენ ზოგიერთ მის ნივთს, იარაღს და ჭურჭელს³.

მიცვალებულის ნივთების განადგურება და განსაკუთრებით იარაღის და მისი ისრისწვერების მოტეხვით გარდაცვლილისთვის ჩატანება დამახასიათებელი იყო ბაიკალისპირეთის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის სამარხებისათვის⁴.

ბრაზილიელ ტომებში (ბორორო), როდესაც ოჯახის წევრი მოკვდებოდა, მის კუთვნილ მთელ ქონებას წვავენ და წყალს ატანდნენ, რადგან მიცვალებულს ვერ შეძლებოდა მისთვის უკან დაბრუნება⁵.

მიცვალებულის ნივთების დაწვის და დამტვრეულის წესი გავრცელებული იყო ავსტრალიის ხალხებშიც⁶. ასევე აფრიკის, ამერიკის, ოკეანის სხვადასხვა ტომებში მიცვალებულის ყოველივე მიწიერ საკუთრებას ანადგურებდნენ, რათა ანახონ მას ის, რომ ერთი მხრივ ცოცხლები არ აპირებდნენ მის გაძარცვას და მეორე მხრივ იმისათვის, რომ ერთდროულად გაენადგურებინათ ყოველივე „მომაკვდინებელი ავადმყოფობის“ მატარებელი ნივთი⁷.

ზოგიერთ ხალხში (ტუვინელები), გარდაცვლილის ნივთებს არ ამტვრევდნენ, მაგრამ ყოველივე მათგანს ხერეტდნენ დანით⁸.

მიცვალებულის ნივთებისადმი მსგავსი დამოკიდებულება (განადგურება, დაწვა, გახვრეტა და ა. შ.) მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული მეტნაკლებად განსხვავებული ფორმით⁹. ზოგიერთი ხალხი კი იმ საცხოვრებელსაც ანადგურებდა, სადაც ადრე მიცვალებული ცხოვრობდა¹⁰.

ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან საინტერესოდ არის შენიშნული ის გარემოება, რომ არხოტის თემში, თუ მიცვალებულის „ტალავარს“ წელიწადი შეუსრულდებოდა და

¹ А. А. Иерусалимская, Археологические параллели этнографически засвидетельствованным культам Кавказа (по материалам могильника Машевая балка), Советская этнография, М. 1981, №1, გვ. 104.

² Я. С. Смиронова, Старое и новое в современной погребальной обрядности народов Северного Кавказа, Полевые исследования Института этнографии, М. 1976, გვ. 137.

³ Культура древней Индии, М. 1975, გვ. 83, 89

⁴ А. Б. Окладников, Неолит и бронзовый век Прибайкалья, ч. III (глюковское время), Материалы и исследования по археологии СССР, Л. 1955, №43, გვ. 334-337

⁵ К. Штейнен, Среди диких народов Бразилии, М-Л. 1930, გვ. 175

⁶ Н. Н. Миклухо-Маклай, Избранные сочинения, М-Л. 1950, т. II, გვ. 373

⁷ Ю. Липс, Происхождение вещей, М. 1954, გვ. 395

⁸ З. П. Соколова, Новые данные о погребельном обряде северных хантов, Полевые исследования Института этнографии, этнографии, 1974, М. 1975, გვ. 168

⁹ Ю. И. Семенов, Как возникло человечество, М. 1966, გვ. 399-401; Т. В. Гамкрелидзе, Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. 1984, т. II, გვ. 830-831; Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии, М. 1984, გვ. 121.

¹⁰ Ю. И. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.

ვერ აიღებდნენ, ის მეორე სიკვდილიანობის გამოწვევას ნიშნავდა. ტალავართ ალებას („ტალავარ აბერტყა“) ერთ წელიწადზე ზევით გადაცილებას, „სანაწყვეროს“ ეძახდნენ¹.

ზემთ წარმოდგენილ რიტუალებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებები არის გამოთქმული, თუმცა საკითხი ბოლომდე არ არის ნათელი; ი. სემიონოვი, მიცვალებულის ნივთების განადგურება-დაწვას, გადაგდებას, დამტვრევას, სანიტარული მომენტით ხსნის და გადამდები სნეულებებისაგან თავდაცვის მიზნით მიმართულ ქმედებას მიაწერს²; მსგავს აზრს ავითარებს ი. ლიპსი³, თ. გამყრელიძე და ვ. ვ. ივანოვი⁴. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად და ზემოთ აღწერილი ქმედებების ამოსავალი რწმენა-წარმოდგენების კონტექსტში უფრო უნდა განვიხილოთ, თუნდაც იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომ მიცვალებულის ჩასატანებელი ზოგიერთი ნივთი ამა თუ იმ ხალხთა ტრადიციაში მთლიანად კი არ ნადგურდება, არამედ ნაწილობრივ ანუ „სიმბოლურად“ იმტვრევა, მაგალითად დანის და შუბის წვერი, ჯამის ყური და სხვა, რაც გადმონაშთურად კი არ არის შემორჩენილი არამედ, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან გამომჩნდა, უძველეს არქეოლოგიურ კულტურებში ფიქსირდება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნივთების დაწვის და განადგურების მიზეზი არის შიში მიცვალებულისადმი, განსაკუთრებით ეს ეხება მჭრელი იარაღის პირის გაფუჭება-მოტეხვას, რადგან იყო შიში იმისა, რომ მიცვალებული არ დაბრუნებულიყო და ახლობლებისათვის არ მიეყენებინა ზიანი. გამოთქმული მოსაზრებით, ამის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შამანი გზის გასწვრივ ჯვრის დადებას ბრძანებს, რომ მიცვალებულს გზა გადაუკეტოს ანუ არ დაბრუნდეს უკან⁵.

ა. იერუსალიმსკაიას აზრით, სხვადასხვა ნივთებისადმი მსგავსი მოპყრობა აიხსნება ადამიანის მიერ დაკრძალვის რიტუალისადმი ფორმალური მოპყრობით, ანუ ცნობილი წმინდა თაღლითური მოპყრობით თავისი მკვდრებისა და ღვთაებების მიმართ. მისივე აზრით, ამ სიმბოლიზაციის პროცესის საწყისი მომდინარეობს ადამიანისა და ცხოველების მსხვერპლშეწირვის შეცვლით ამ სიმბოლური საგნებით⁶.

გამოთქმული მოსაზრებით ის, რომ სიკვდილი, გადაიქცევა „მარცვლის სულად“ ან „ღვინის სულად“ შეესაბამება სამიწათმოქმედო ჩვეულებებს, ისეთს, როგორც ცნობილია ევროპაში, ყველიერის ფიტულისა და სხვა გამოსახულებების დამტვრევით, რომლებიც განასახიერებენ სიკვდილს⁷.

საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ვ. ნოსენკო, კერძოდ ავტორის კვლევით, არსებობდა რამოდენიმე სულის ანუ არასხეულებრივი სუბსტანციების შესახებ რწმენა, რომელზეც მოწმობს არქეოლოგიურ მასალებში დამტვრეული ან გაფუჭებული ნივთები და ეს იმის ნიშანია, რომ საჭირო იყო საგნის „მოკვლა“ და

¹ მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ. 1940, ტ. III, გვ. 15

² Ю. И. Семенов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 400-401

³ Ю. Липс, *Происхождение вещей*, М. 1954, გვ. 352-395

⁴ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Тб. 1984, т. II, გვ. 831

⁵ А. Б. Окладников, *Неолит и бронзовый век Прибайкалья*, ч. III (глазковское время), *Материалы и исследования по археологии СССР*, Л. 1955, №43, გვ. 337-339.

⁶ А. А. Иерусалимская, *Археологические параллели этнографически засвидетельствованным культам Кавказа (по материалам могильника Машевая балка, Советская этнография*, М. 1981, №1, გვ. 104-105

⁷ Е. Р. Антонова, *Обряды и верования первобытных земледельцев Востока*, М. 1990.

მასში დამწვევდელი სულის გათავისუფლება, რადგანაც მას უნდა გაეცილებინა მფლობელის სული საიქიო სამყაროში¹.

პირველ რიგში ამ ქმედებასთან მიმართებაში (ქვევრის დამტვრევა) საინტერესოდ მიგვაჩნია თიხის სიმბოლური დატვირთვის მოკლედ წარმოჩენა. შუამდინარეთის ხალხების წარმოდგენით, ადამიანი თიხისაგან იყო შექმნილი და არა მარტო შექმნილი, არამედ თიხად იქცეოდა სიკვდილის შემდგომ. როგორც ვარაუდობენ, თიხის ნამტვრევები წარმოადგენდნენ ემბრიონის ნიშნებს. თიხა იყო ქალური ბუნების, თვითონ თიხა მიწის ნაწილია, ხოლო მიწა ქალთან არის გაიგივებული². საერთოდ მეთუნეობა ქალების საქმიანობად ითვლებოდა ხოლო ხელოსნობის ღვთაებებს შორის პირველ ადგილზე მეთუნეობის ღვთაებაა. ასევე აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ძველინდური ტრადიციით, მათ სალოცავებში ჭურჭელს ცვლის ღვთაების გამოსახულება³. ზემოთ წარმოდგენილ მასალაში, ამჯერად, ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა არა თიხის სქესობრივი ბუნება, არამედ ის, რომ თიხა ზოგადად ადამიანთან და ღვთაებასთან არის გაიგივებული, რაც შესაძლოა მისი პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე ღვთაების რანგშია აყვანილი და უდიდესი რელიგიურ-რიტუალური დატვირთვა გააჩნია, ის ცვლის წინაპარს, მიცვალებულს, რომელიც განასახიერებს ღვთაებას და რომელსაც შეუძლია როგორც ბედნიერების, ისე უბედურების მოტანა ცოცხალთათვის.

ძველბერძნული ტრადიციის მიხედვით, ცოდვების გამოსასყიდად მიტანილი შესაწირავების დროს ის თიხის ჭურჭელი, რომელშიც ეს მსხვერპლი იხარშებოდა აუცილებლად უნდა დაემტვრიათ, ხოლო თუ ჭურჭელი ლითონის იყო, გარეცხვაც საკმარისად მიაჩნდათ. ე. ანტონოვას აზრით, ეს მომენტი, ლითონის ჭურჭელთან შედარებით, თიხის ჭურჭლის სიიაფით იყო გამოწვეული; თუმცა, განაგრძობს ავტორი, სწორედ თიხის ჭურჭლის დამტვრევას უფრო დრმა აზრი უდევს საფუძვლად და თიხის ჭურჭელი ცვლის ცოცხალ არსებებს (არა მარტო ცოცხალ არსებებს, არამედ მიცვალებულებსაც, რომელთაც სიკვდილის მერეც უნდა განაგრძონ სიცოცხლე საიქიო სამყაროში – დ. ჭ.), რომლის განხილვაც არ შეიძლება ცალკე იმისაგან, რომ ძველადმოსავლური ტრადიციით ადამიანები თიხისაგან არიან შექმნილინი⁴.

სწორედ მარანში ჩაფლული თიხის ჭურჭელი შესაძლოა ცვლის წინაპარს, მიცვალებულს და ამავე დროს ის ცოცხალი ოჯახის უფროსი წევრის სალოცავად ითვლებოდა, სწორედ ის ადავლენდა ლოცვას თავისი გარდაცვლილი წინაპრის წინაშე და მხოლოდ ეს უფროსი ადამიანია უფლებამოსილი ამ რიტუალის ჩატარება-ხელმძღვანელობისა, რადგან მას როგორც ასაკით და გამოცდილებით უფროსს გადაეცა წინაპართაგან გადმოცემული სიბრძნე და ოჯახის შეუწყვეტელობის იდეის არსი; მან ეს მისია ლოცვაში უნდა გამოხატოს და ვალი მოიხადოს წინაპართა წინაშე.

საერთოდ მარანი და იქ ჩაფლული „ოხვამერი“ ქვევრები, გარკვეულ ტაბუირებულ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ყველა წესი სათანადოდ სრულდებოდა. როგორც აღნიშნულია, ტაბუს გაგება ზოგიერთ ხალხში ემთხვევა ღვთაებრივის, სიწმინდის გაგებას, ამავე დროს დემონური არსებების წინაშე შიშს. თავის მხრივ ტაბუ

¹ Е. Э. Носенко, Представление кельтов о загробном мире (дохристианская эпоха), Вестник древней истории, М. 1990, №3(194), გვ. 112.

² ამ მხრივ საინტერესოა მეგრული დიხა-მიწა და ქართული თიხის ურთიერთმიმართება, რაც სემანტიურ-მორფოლოგიურად იდენტურია, ხოლო მიწა ქართველთა სარწმუნოებაში ქალური ბუნების მატარებელია

³ Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии, М. 1984, გვ. 122-123, 136.

⁴ Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 121

ინარჩუნებს მბრძანებლური მცნების ხასიათს რომლის დარღვევაც გამოსყიდული უნდა იქნას, მაგრამ მთლიანობაში ტაბუ შედგება არა მცნებებისაგან, არამედ აკრძალვებისაგან, რაც შემდეგში მდგომარეობს: „გეშინოდეს დემონების რისხვის გადაკიდებისა“¹.

ქვევრის დამტკრების რიტუალში ჩვენ შესაძლოა საქმე გვაქვს სწორედ ტრადიციულად მომდინარე ტაბუირებულ წეს-ჩვეულებასთან, რომლის საწყისი გარკვეული ღვთაებისადმი ცოცხალთა მიერ უპატივცემლობის შემთხვევაში, მათი ცხოვრებისათვის საშიშროების მომტანი ძალების წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მომენტი და საერთოდ ქვევრთან ლოცვის ძირითადი ნიუანსები მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს კავშირში. ფიუსტელ დე კულანჟის აღნიშვნით, ადამიანი სიკვდილის შემდგომ ითვლებოდა ღვთაებრივ და ნეტარ არსებად, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ცოცხლები მას მართმევედნენ მუდმივად დადგენილ სასაფლაო შესაწირავს და თუ ეს შესაწირავი წყდებოდა, მაშინ მიცვალებულს ზიანს აყენებდნენ და ის ეცემოდა უბედურების დონეზე, იქცეოდა ავის მქნელ დემონად². აკრძალვების ანუ ტაბუს დარღვევის ჭრილში მსგავსადვე განიხილავს ამ მომენტს ზ. ფრეიდი და ცოცხალთა მიერ ზიანის თავიდან აცილების შიშს უკავშირებ³. სწორედ რომ ვფიქრობთ, ქვევრის დამტკრებით ცდილობდა ადამიანი მოეშორებინა მისთვის ავის მქნელი არსებები, რომელიც, განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ მას შემდეგ, რაც მათ მიმართ პატივისცემა არ გამოიჩინა და უპატრონოდ დატოვა (შესაწირავები შეუწყვიტა). ყველაზე სავარაუდო თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო მიცვალებული ანუ ღვთაების დონეზე აყვანილი წინაპარი, რომლის ადგილსამყოფელს და სულის მატარებელ ობიექტს ქვევრი წარმოადგენდა. სწორედ ძველი განაწყენებული, დემონად ქცეული ღვთაების მოცილების შემდგომ ადამიანს მაინც აწუხებს შესაძლოა „სინდისის ქეჯნა“, შესაძლოა შიში და ვალდებულების გრძნობა თავისი მიცვალებულის და წინაპრის მიმართ, რაც ადამიანის ფსიქოლოგიური განწყობის მომენტთანაც არის მჭიდრო კავშირში, ის ისევ ცდილობს რეაბილიტირებას ღვთაების წინაშე და ხელახლა ევედრება ღმერთს, რომ შეიწყალოს ანუ იხდის „ალობას“, რომლის შემდგომაც მას ისევ შეუძლია ახალი სალოცავი ქვევრის გაჩენა და ღვთაებისადმი თაყვანისცემა, ანუ ადამიანი ისევ გამოთქვამს ღმერთთან ახლოს ყოფნის სურვილს და ამით ებრძვის გარეშე ძალებს არსებობისათვის ბრძოლაში.

განვითარების საწყის სტადიაზე კი, კერძოდ ზემოთ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებიდან, რომელიც მიცვალებულის ჩასატანებელი ნივთების დამტკრევას და განადგურებას უკავშირდება, ჩანს ის მომენტი, რომ მიცვალებულის სიცოცხლეში ნაქონი ნივთები ცოცხალთა შორის სახიფათოდ ითვლებოდა, რაც შესაძლოა ისევ და ისევ სიკვდილისგან გამოწვეულ შიშს უკავშირდება ანუ იმის თავიდან აცილებას, რომ ეს ნივთები ატარებენ იმ მომაკვდინებელ ძალას, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია. აქ საქმე უნდა გვქონდეს სულის ანუ თვით მიცვალებულის უკან არდაბრუნების იდეის შიშთანაც, კერძოდ იმასთან, რომ მას უკან დასაბრუნებლად არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა, რადგან ცოცხალთა შორის მას არანაირი ცხოვრებისეული მატერიალური თუ სულიერი დოვლათი არ ელოდებოდა.

¹ В. Вундт, Миф и религия, СПб. 1910, გვ. 280-291

² Фюстель де Куланж, Гражданская община древнего мира, СПб. 1906, გვ. 46

³ З. Фрейд, Тотем и Табу. Психология первобытной культуры и религии, М-П გვ. 46-47

ასევე შესაძლოა აქ საგნის უწმინდურობაზეც ვისაუბროთ, რადგან ადამიანს სწამდა რომ ლოცვის მიტოვებისათვის სწორედ იმ საგანზე ანუ ქვევრზე გადადიოდა ადამიანთა ცოდვა და ცდილობდნენ, რომ ეს ცოდვილი საგანი ანუ დემონად და მავნედ ქცეული ნივთი მოეშორებინათ ჩუმად, ისე რომ, სულს არ გაეგო ამის შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცვალათ ის ახლით.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში და საერთოდ ზედაშეს წარმოშობა-განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ქვევრში დაკრძალვის იდეა არ უნდა იყოს შემთხვევითი და ის მარტო მისი, როგორც მიცვალებულის დასაკრძალავად პრაქტიკულად კარგად გამოყენებადი ჭურჭლის ფუნქციით არ უნდა განისაზღვროს, რადგან შემდგომ ეპოქაში, როდესაც მსგავსი დაკრძალვის წესი ქრება, მასში ისხმება ის წმინდა ღვინო, რომელიც, როგორც შემოთაც აღინიშნა, საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა და ის „ზედაშეს“, „ოხვამერის“, „სალოცვილის“, „საწირავის“, „შესაწირავის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ღვინო, როგორც წმინდა სასმელი, რომელიც პირველ რიგში მიცვალებულის კულტთან არის ესე მჭიდრო კავშირში, ქართველ ტომთა უძველეს საკულტო ნაგებობებში ქვევრში ჩასხმული ფორმით არქეოლოგიურად ფიქსირებულია ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში.¹

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ქვევრის დამტვრევის წესში ნათლად ჩანს ადამიანის შიში მასზე განაწყენებული ღვთაებებისადმი, რომელიც ისევ და ისევ ცოცხალთა „დაუდევრობის“ მიზეზით იყო გამოწვეული და ეს ღვთაებები მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან და შესაძლოა პირდაპირ ასახავენ მათ.

ზემოთ განხილული ალობის რიტუალი, რომელიც ღმერთების განაწყენების შემთხვევაში სრულდება და „შეწყალებას“ ნიშნავს, მჭიდრო კავშირშია მნათობთა თაყვანისცემასთან, რომელიც ჩანს სამეგრელოში არსებულ „ალერტის“ სახელწოდების სალოცავში². მისი მჭიდრო კავშირი „ოხვამერთან“ ანუ სიმრავლისა და ვარსკვლავის, ასევე მარანთან, როგორც კვირის შვიდეულის აღმნიშვნელ მეგრულ ტერმინთან სემანტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისითაც უდაოა. „ხუთი ვარსკვლავისა და მზისა და მთვარის“ თაყვანისცემის ფაქტი ქართლის ცხოვრებაშიც აისახა და აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ ქვევრსამარხების გავრცელების დროიდან თანხვედრი ვითარების აღწერისას (აზოს მოსვლა ქართლში და ალექსანდრე რჯულის დატოვება) ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სამხრეთიდან გადმოსახლებულ ერთ-ერთ ქართველურ ტომს, შესაძლოა მესხებს (იგივე მუშქები) და მათთან, ვფიქრობთ, გაიგივებულ კოლხურ ტომებს უნდა შემოეტანათ. მათი კოლხებთან იგივეობა ჩანს იქიდანაც, რომ ქვევრსამარხების შემოსვლის დროს კოლხურ კულტურაში არანაირი სხვა ცვლილება არქეოლოგიურ მასალაში არ შეინიშნება და ისინი ერთი დიდი ეთნიკური მასის (ქართველური) წარმომადგენლები არიან, რომელთაც შესაძლოა ინდოევროპელ ტომებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ბევრი რიტუალი და რელიგიური წესები ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც (ლაგვანი, ოხვამე) ურთიერთშეითვისეს.

დასასრულს ყურადღება უნდა გავამახვილოთ თვით ჭურჭელში დაკრძალვის წარმოშობის არქაულ საფუძველზე, რომელიც უძველესი დროიდან არის ცნობილი და

¹ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 226-228

² იხ. დ. ჭითანავა, თეონიმ „ალერტი“-ს ეტიმოლოგიისათვის, კრ. საქართველო და ქრისტიანობა, თბ. 2001.

თვით იდეის იდენტურობა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა ეპოქებში, ეჭვს არ იწვევს.

ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VIII-VII ათასწლეულების მესოპოტამიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში შემოსვლას იწყებს დაკრძალვის განსაკუთრებული წესი, რომელიც ბავშვის ჩონჩხის (მოგვიანებით მოზრდილების) ჭურჭელში ჩალაგებით კერასთან, ან კერის ქვეშ დაკრძალვაში მდგომარეობს¹, ხოლო ძვ. წ. აღ. XXXIX-XXVIII საუკუნეების პალესტინა-სირიის ძეგლებზე უკვე აბსოლიტურად ჭარბობს ჭურჭელში დაკრძალვის წესი არა მარტო ბავშვებისა, არამედ ზრდასრული ადამიანებისაც². დაკრძალვის სხვა ფორმების გვერდით, ძველი შუმერებიც მიცვალებულის ძვლებს ალაგებდნენ დიდ დოქებში (პიფოსებში)³ და განსაკუთრებულ ჭურჭელში – კანოპებში⁴; მიცვალებულის ძვლების თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ჩვეულება გავრცელებული იყო ძველ იტალიაში (ვილანოვას კულტურა)⁵, ძველ საბერძნეთში⁶, ცენტრალურ ანატოლიაში, სამხრეთ ამერიკის ინდიელებსა და ძველ პერუელებშიც⁷.

ცალკეულ ძველ კულტურებში მიცვალებულის დამწვარი ძვლების ჭურჭელში ჩალაგებით დაკრძალვა, (მით უმეტეს თუ ის იქ დაკრძალვის ერთადერთი წესი არ არის), მიუთითებს გარკვეულ ეთნიკურ ცვლილებებზე (ვფიქრობთ, ეს ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საქართველოს მაგალითზე აშკარად ჩანს) და მოსახლეობის სოციალურ სურათზეც გვიქმნის წარმოდგენას. თუმცა მისი რელიგიურ-რიტუალური მხარე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის და სრულად არამონათესავე ეთნიკური ჯგუფებისთვის თითქმის იდენტური ფორმით არის დამახასიათებელი. ქვევრსამარხებში დაკრძალვის დროს გარკვეული რიტუალი უნდა შესრულებულიყო და ჩვენი აზრით, მას მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილ „ოხვამერის“ და „ზედაშეს“ კულტურასთან.

მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში ხორბლის შესანახს დიდ ჭურჭელში მოთავსებას (სირია-პალესტინა), ზოგიერთი ავტორი (დიუნანი), მიცვალებულის მომავალი აღორძინების შესახებ არსებულ რწმენას უკავშირებს⁸. სხვა ავტორთა მოსაზრებით, ურნებში დაკრძალული მიცვალებულის ფერფლი (შუა იტალია, ჩრდილო გერმანია, სკანდინავია) გარეგნულად მოგვაგონებს სახლს და იმ მომენტის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად მიცვალებული იკრძალებოდა სახლში კერასთან და მას შემდეგ, რაც ეს წესი მივიწყებულ იქნა, მიცვალებულის სიკვდილის შემდგომ მის საცხოვრებელ სახლთან მჭიდრო კავშირის რწმენიდან გამომდინარე, მას კრძალავდნენ მისი სახლის მსგავს ჭურჭელში ანუ თავის სახლში⁹; იმავე აზრს ავითარებს ლ. შტერნბერგიც¹⁰.

მიცვალებულის ძვლების თუ ფერფლის ჭურჭელში ჩალაგებით (ქვევრსამარხები და სხვა) დაკრძალვის წესში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს ცეცხლი, რაც

¹ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 70-76

² Е. В. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 52-53.

³ Г. Чайлд, Древний Восток в свете новых раскопок, М. 1956, გვ. 229.

⁴ В. И. Авдиев, История древнего Востока, М. 1948, გვ. 250.

⁵ Античная мифология, М. 2005, გვ. 227.

⁶ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1976, გვ. 39.

⁷ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб. 1950, გვ. 72-75.

⁸ Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 52-53

⁹ Левина-Дорши, Г. Кунов, Огонь и жилище, Киев, 1923, გვ. 37-38.

¹⁰ Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Л. 1936, გვ. 338-339.

გვამის კრემაციის არის გამოხატული. კრემაციის წესი, როგორც ჩვენ ამაზე ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობს და მას ზოგიერთი მეცნიერი, საქართველოს არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად, გარედან შეთვისებულად, ნაწილი კი ადგილობრივ წესად მიიჩნევენ; ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრემაციის წესის ბერძნულ-რომაული თუ სხვა კულტურებიდან შეთვისების მტკიცება არ არის მართებული, არამედ მისი საწყისები უნდა ვეძებოთ ზოგადად პირველყოფილ საზოგადოებაში არსებულ რწმენა-წარმოდგენებში და ის უნივერსალურია. ის მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან, რაც არქაულ ეპოქაში კერასთან მიცვალებულის დაკრძალვაში ნათლად ჩანს¹. გამომდინარე აქედან საინტერესოა მკვლევართა მიერ (ლევინა-დორში, კუნოვი, შტერნბერგი) ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მიცვალებულის ურნებში დაკრძალვასთან დაკავშირებით, რაც ცეცხლის და კერის კულტთან და საცხოვრისთან არის კავშირში, თუმცა ვფიქრობთ, ამ წესს სხვა დატვირთვაც გააჩნია. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თიხის მაგიურ-რიტუალურ დანიშნულებასაც. მას ქალური საწყისი გააჩნია². ჭურჭელში დაკრძალვის წესის რიტუალური არსის ამოსაცნობად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადრესამიწათმკმელო კულტურებში დადასტურებული ის ფაქტი, რომ საწყის ეტაპზე თიხის პატარა ზომის ჭურჭლებში იკრძალებიან ბავშვები, შემდგომ ეპოქებში მოზრდილები, ხოლო უფრო გვიანდელ კულტურებში ყველა ასაკის ადამიანები. გამოთქმული მოსაზრებით, ბავშვის დაკრძალვის წესი ურნებში, ქალის როლის და სიმბოლიკის ნათელი გამოვლინებაა პირველყოფილ და შემდგომი დროის კულტურებში, და პატარა ზომის ჭურჭლები უშუალოდ გადმოგვცემენ ქალის ტანის ფორმას; ის განასახიერებს როგორც მთლიანად სხეულს ან მის ნაწილს, ზოგჯერ კი მუცელს³, ხოლო რაც შეეხება დაწვის ჩვეულებას ის შესაძლოა სწორედ წარმოიქმნა იმ იდეიდან, რომ სული კვამლთან ერთად მიდის ცისკენ⁴.

ჭურჭელთან ქალის ასოცირება მისი დედობრივი ფუნქციიდან გამომდინარე ფიქსირებულია შუმერთა წარმოდგენებში. ღმერთ ენლილი არურუს დაზე ლაპარაკია: „ჭეშმარიტადაა მიძღვნილი მასზე ლაზურიტის ჭურჭელი, რომელიც შეიცავს „მომავალ დაბადებას“. ასევე მნიშვნელოვანია ჭურჭელის ანთროპომორფოზიც. შუამდინარეთის ხალხებს წვრილყელა ჭურჭლის ნახვრეტის „პირის“⁵ ან „თვალის“ სახელწოდებები იდენტურია. მოხუცი ქალის მკერდი გაიგივებული იყო ბრტყელ ჯამთან, ხოლო – ახალგაზრდისა ბურთისმაგვარ ჭურჭელთან. ყველაზე ნათლად ქალის ფიგურების ფორმის ჭურჭელი გვხვდება ხადჯილარის ნეოლითსა და ენეოლითის დასახლებებში⁶.

მტკვარ-არაქსის კერამიკაში შეინიშნება ანთროპომორფული ნიშნები სახის პირობითი წარმოსახვა წარმოდგენილია, ორმაგი სპირალების საშუალებით, მათ შუაში ზოგჯერ მონიშნულია ცხვირი და პირი. გამოსახულება ზედნადებია ან ჩადრმავებული. ამ კულტურის ორნამენტისათვის დამახასიათებელია გეომეტრიზმი სპირალური

¹ დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერის წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), კრ. თეიმურაზ მიბნუანი 70, თბ. 2008-2010, გვ. 294-195, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

² E. B. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии М. 1984, გვ. 122-123, 126.

³ E. B. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М. 1990, გვ. 107.

⁴ В. Вундт, Миф и религия, СПб. 1910, გვ. 210.

⁵ E. B. Антонова, К исследованию места сосудов в картине мира первобытных земледельцев, Восточный Туркестан и Средняя Азия в системе культур древнего и средневекового Востока, М. 1986, გვ. 40

⁶ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

მოტივის უპირატესობით, რომბით, ზიგზაგით, მდინარის ელემენტებით. დაწვეილებული სპირალებით სახის გამოსახულების ინტერპრეტაცია ხდება. ეს სპირალები აშკარად გადმოგვცემენ თვალს, რომელიც ობსიდიანით არის ჩადგმული¹. ზოგჯერ გვხვდება მრგვალი დაწებებები, ასევე წყვილი, რომელიც წარმოადგენს ქალის მკერდის გამოსახულებას, ხოლო ასეთი დიდი ჭურჭლი მთლიანობაში უკავშირდება ქალის ტანს².

გამოთქმული ვარაუდით, ყველა ჭურჭელზე არ იყო ქალის სახე გადმოცემული, არამედ ისეთებზე, სადაც ისხმებოდა რძე და წყალი ან ზეთი, რომელიც ფიქსირებულია, როგორც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებითაც³. ასე იყო ეს ძველ შუმერში და ბაბილონშიც, სადაც წყლის ჩასასხმელი ჭურჭელი ქალთან ან ქალღვთაებასთან იყო დაკავშირებული, ასევე მარცვლეულის ჩასაყრელი ჭურჭელიც ქალთან იყო დაკავშირებული. ჭურჭელი, რომელშიც ინახება მარცვლეული წარმოადგენს მიწის განსახიერებას, რომელსაც ქალის თვისება აქვს დამბადების სახით. არანაკლები მნიშვნელობა ჭურჭლის მიწასთან კავშირის მხრივ ენიჭება იმას, რომ მითოლოგიურ წარსულში. ადამიანები ღმერთების მიერ თიხისაგან იყვნენ შექმნილნი, ასე თვლიდნენ შუმერები, ბაბილონელები, ასურელები, ეგვიპტელები, ძველი ებრაელები და სხვა ხალხები.

აქადურად სიკვდილი ნიშნავდა „თავდაპირველ თიხაში დაბრუნებას“. წარღვნის შემდგომ „მთელი კაცობრიობა გახდა თიხა“. თიხის ჭურჭლის განადგურება ნიშნავდა სრულ განადგურებას, ამიტომაც სრულდებოდა მსხვერპლშეწირვაც. გატეხილი ჭურჭელით გამოისახება ადამიანის სიკვდილი⁴.

აღსანიშნავია, რომ მესოპოტამიაში ჭურჭლის კედლები და ნაგებობის კედლები აღინიშნება ერთი ნიშნით – ბადვ. გამოთქმული მოსაზრებით, ეს მიუთითებს, რომ ჭურჭლის სიმაღლე და სახლის კედელი, პირველყოფილი კულტურების და მათი შთამომავალი არქაული ტიპის საზოგადოებების მატარებლებში ახლოს არიან თავისი ფუნქციით სივრცობრივად⁵. პირველ რიგში ჩვენთვის საყურადღებოა სახელწოდება ბადვ, რომელიც ქართული ბადის ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე მხრივ კი მისი სივრცობრივი დატვირთვა და საცხოვრებელთან კავშირი შესაძლოა მორფოლოგიურად ქართულ დარ-ბა-ზთანაც გაიგივდეს, რომელი საცხოვრებელიც უძველესი დროიდან არის ცნობილი საქართველოში და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამ ტერმინის სპარსულიდან მომდინარეობა ალბათ უმართებულოა, შესაძლოა თვით სპარსულშიც ეს სიტყვა ძველი აღმოსავლეთის კულტურული სამყაროდან იქნა შეითვისებული.

პირველყოფილ სამლოცველოებში და ძველ ტაძრებში ჭურჭელი მიძღვნილი იყო სამსხვერპლო სასმელისთვის. ცდილობდნენ საკრალური სასმისი სხვადასხვა ხერხებით განესხვაგებინათ პროფანულისაგან⁶. ზოგჯერ რიტუალი მოითხოვდა ჭურჭლის განადგურებას, ანუ იმისა, სადაც მზადდებოდა ცოდვებისთვის შეწირული სამსხვერპლო ცხოველი (ძველებრაული წარმოდგენებით) ის ხდებოდა უწმინდური და მას ამტვრევდნენ, ხოლო ღითონისა მხოლოდ რეცხავდნენ. ჭურჭლების მიცვალებულთან

¹ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

² E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

³ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

⁴ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

⁵ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

⁶ E. B. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

დამტკიცება და საფლავში ჩატანება აღნიშნავდა სიკვდილის და ნგრევის იდეას. სამლოცველოებში არსებულ სპეციალურ ჭურჭლებში მარცვლეულის თუ სხვა სითხის შენახვა ბარაქიანობასა და ნაყოფიერებას, სიუხვეს უწყობდა ხელს¹.

საკითხთან მიმართებაში ყველაზე უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი ეტრუსკული გამოსახულება კიუსიდან, კერძოდ, მინერვას ჩაფხუტში ეგვიდასთან ერთად ორივე ხელით უჭირავს ახალშობილი პიფოსს ზემოთ, საიდანაც ის გამოვიდა. ახალშობილი გამოსახულია ჩაფხუტის და შუბის გარეშე. მის კისერზე სამი სიგელია. ის ატარებს მარისჰუსრნანა-ს სახელს. მინერვას გვერდით დგას ტურანი, მის უკან ტურმსი, რომელსაც დაჩოქილის ფორმით ახალშობილი უჭირავს ერთი სიგელით ხელში, მისი სახელია მარისჰალნა. მინერვიდან მარჯვნივ არის ტიტველი ახალშობილი შუბით. ეს არის სიკვდილის ღმერთი. მარის – ახალშობილი ეტრუსკულ ძეგლებში შეესაბამება რომაულ მარსს². მარსი კლასიკური ეპოქის რომში იყო ომის ღვთაება, რომელსაც ასევე აიგივებდნენ ბერძნულ ომის ღვთაება არესთან³, თუმცა მარსი თავისი საწყისით აგრარული ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემოდგომის მცენარეულობის გენიას წარმოადგენდა⁴. როგორც ჩანს, მარსი ადრე ზოგადად დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან (არესის კულტთან შერწყმის შემდგომ მიიღო მეომრული ფუნქცია) და ძველი რომაული ახალი წლის პირველი თვე (მარტი), როდესაც ეწყობოდა მარსის მთავარი დღესასწაული, მიძღვნილი იყო ამ ღმერთის მიმართ და მის საპატივცემულოდ შემდგომ ერთ-ერთ პლანეტას (მარსი) შეერქვა სახელი, რომლის ფერი თითქოს სისხლის ფერს გვაგონებს⁵, ასევე აღსანიშნავია, რომ მარსის ორეულად ითვლებოდა კვირინი⁶, რომლის სახელზეც ეწყობოდა კვირინალიები, ანუ კვირინის მიმართ მსხვერპლშეწირვის რიტუალი⁷.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან გამომდინარე, ანუ კონკრეტულად პირველ რიგში ეტრუსკულ გამოსახულებაზე პირფოსიდან გამოსული ბავშვის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ღვთაებასთან ანუ სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან, რომლის დღესასწაული ემთხვევა ახალი წლის პირველ თვეს ძველ რომაელებში (მარტი), ხოლო ჭურჭელი აქ განასახიერებს ქალის სხეულს, საშოს. ვფიქრობთ, სწორედ ეს იდეა უნდა ედოს საფუძვლად დაკრძალვის იმ რიტუალს, რაც ბავშვის დამწვარი ფერფლის და ძელების ურნებში მოთავსებაში გვაქვს. არ არის გამორიცხული, რომ ეს ბავშვები სპეციალურად მსხვერპლად შეეწირათ ნაყოფიერების ღვთაებისადმი⁸ შემდგომ დიდი ზომის ჭურჭელში მოათავსეს მოზრდილი ადამიანის სხეულის ნარჩენები, რომელიც ასევე სულის უკვდავების და მისი კვლავ განახლების იდეასთან იყო კავშირში. ვფიქრობთ, „ზედაშე“ ანუ „ოხვამერი“ გენეტიკურად სწორედ ზემოთ წარმოდგენილი იდეიდან ჩანს განვითარებული; კერძოდ, ქვევრში დაკრძალვის წესის გაქრობის შემდგომ მასში ისხმება წმინდა ღვინო, რომელიც ცვლის მიცვალებულს და მასთან შესრულებული ლოცვით კავშირს ამყარებს ზედა სამყაროსთან; ნაყოფიერების ღვთაებას შესთხოვს ოჯახის და გვარის კეთილდღეობას. თავისი საწყისით კი ის

¹ Е. В. Антонова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 64.

² А. И.Немировский, *Этруски, От мифа к истории*, М. 1983, გვ. 202.

³ *Мифологический словарь*, Л. 1961, გვ. 28.

⁴ Н. А. Машкин, *История древнего Рима*, М. 1948, გვ. 98.

⁵ *Мифологический словарь*, Л. 1961, გვ. 28-29.

⁶ Н. А. Машкин, *История древнего Рима*, М. 1948, გვ. 98.

⁷ *Мифологический словарь*, Л. 1961, გვ. 113-114.

⁸ Э. Тэйлор, *Первобытная культура*, М. 1939, გვ. 62.

აგრარულ კულტურას და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან არის კავშირში. სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან ჭურჭელში დაკრძალვის წესის კავშირზე, ვფიქრობთ, ნათლად მეტყველებს ისიც, რომ ეტრუსკული მარის ახალშობილი შეესაბამება რომაულ მარსს, რომელიც თავისი საწყისი აგრარული ღვთაება იყო და მისი სახელი და დღესასწაული უკავშირდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველი რომაული კალენდრით ახალი წლის პირველ თვეს მარტს, რაც ისევ და ისევ, „სიცოცხლის განახლებას“, „აღდგენას“, რაღაც „ახლის დაწყებას“ გვამცნობს. აქვე შეიძლება დავსვათ საკითხი მარის-მარსისა და ქართული მარ-ის იდენტურობის შესახებ, რომელი უკანასკნელიც დიდი ქვეყრის სახელწოდება იყო¹. ასევე ფუნქციური თვალსაზრისით, მასთან ახლოს დგას ეგვიპტური ოსირისი – მარცვლეულის ეგვიპტური ღმერთი, რომელიც მითში პურის პერსონიფიკაციაა, ის ყოველწლიურად კვდება და ისევ აღდგება² (მღრ. ბერძნული არესი და კოლხეთში არესის ველი). ასევე „მარი“-დან ჩანს ნაწარმოები ქართველურში ღვინის სახლის აღმნიშვნელი ნაგებობის ტერმინი – მარანი, სადაც „მარე“-ბი იყო ჩაფლული. მასში ასევე ჩანს სამარის ანუ „საფლავის“ მნიშვნელობაც და ალბათ მისაღებია ის მოსაზრება, რომ „სამარე“ და მისგან ნაწარმოები კრებითი სახელი „სამაროვანი“ ისეთი ადგილის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვალებულს მარში ჩასვენებულს მარხავდნენ³.

გ. კლემენის თქმით, გვამის კონსერვაციის იდეა დაკავშირებული იყო მისი სიცოცხლის გაგრძელების რწმენასთან. ავტორისავე აზრით, აღდგომის შესახებ რწმენა წარმოიქმნა იმიტომ, რომ ადამიანს არ შეეძლო წარმოედგინა წმინდა სულიერი ცხოვრების გაგრძელება და მას აკავშირებდა სხეულთან. ავტორი ამ რწმენის ჩასახვას მიაწერს სპარსელებს, რომლებმაც მისივე თქმით, გავლენას მოახდინეს იუდაიზმზე, ხოლო მისი მეშვეობით ქრისტიანობაზე⁴.

ბ. სოკოლოვას აღნიშვნით, სწორედ ტოტემისტურ საზოგადოებაში იქმნება აღდგომის იდეა სიკვდილის შემდგომ. მისი ჩანასახები, შეინიშნება როგორც ტოტემის გამრავლების, ისე ინიციაციის რიტუალებში, სადაც მოქმედებს ინიციაციის განსაკუთრებული პატრონი სული – ურჩხული ცხოველის თუ ფრინველის სახით; ის კლავს და ჭამს, შემდგომ ისევ აცოცხლებს შეწირულ ჭაბუკებს⁵.

ა. მორე წერდა, რომ აღდგომა ამოსავალი წერტილია ზნეობრივი, წმინდა ცხოვრებისა... ადამიანი შეიცნობს რა ღმერთს, თვითონ ხდება ღმერთი⁶.

ჩვენი აზრით, სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეისადმი მიძღვნილი რიტუალი შესაძლოა მომდინარეობდეს იმ უძველესი რწმენიდან, რომ სამყარო, მაგალითად ძველი მექსიკელების რელიგიურ-მითოლოგიური რწმენით, არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ შექმნილს, არამედ პირიქით, მან განვლო რიგი ეპოქებისა, რომელიც განსაზღვრული დროის შემდგომ მთავრდება კატასტროფებით, რომელიც იწვევს ყველა სულიერის დაღუპვას. წყაროების თანახმად ამ სამყაროს ეპოქები ხუთის ტოლია: ოთხი ისტორიამდელი ეპოქების წინამორბედია იმ მეხუთესი, რომელშიც ცხოვრობდნენ

¹ ნ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ. 1984, გვ. 5.

² Дж. Фрезер, Золотая ветвь, М. 1984, гв. 354.

³ ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963, გვ. 156.

⁴ К. Клемен, Жизнь мертвых в религиях человечества, М. 2002, гв. 57.

⁵ В. П. Соколова, Культ живописных времен, М. 1972, гв. 22.

⁶ А. Морэ, Цари и боги Египта, М. 1914, гв. 223.

აცტეკები. ყოველ ამ ეპოქას ჰყავდა თავისი მოსახლეობა, რომელსაც ათობდა „საკუთარი“ მზე. თუმცა ცნობილია ვარიანტები, როდესაც ადამიანების გარკვეულმა რაოდენობამ გადაიტანა უბედურება, მაგრამ ეს არ ცვლიდა წარმოდგენების არსს: ყოველი კატასტროფის შემდგომ ხდება სამყაროს სრული განახლება¹.

მსგავსი წარმოდგენები, ვფიქრობთ, მსოფლიოს მრავალ ხალხში უნდა არსებულებოდა, მათ შორის ძველადმოსავლურ თუ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა მითოლოგიაში. სწორედ შესაძლოა ამ წარმოდგენათა ნიადაგზე წარმოიქმნა რწმენა სიცოცხლის ყოველწლიური თუ ყოველ ცხრა წელიწადში აღდგენა-განახლებისადმი მიძღვნილ სამსხვერპლო ცერემონიალებზე, რაც მომავალში აგრარულ კულტთან დაკავშირებულ რიტუალებს დაუკავშირდა და რეგულარული სახე მიიღო. ეს იყო გარკვეული „ნათლობის“ (შდრ. მეგრ. თანაფა – სიტყვასიტყვით „თენება“ - აღდგომა) რიტუალი, რომელიც ქრისტიანულ და სხვა რელიგიებშიც აისახა და ის ალბათ მსოფლიო წარდგენის შესახებ ასახულ მითოსში, შესაძლოა რეალური ამბებიდან იღებს სათავეს.

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია მეგრულში ქვევრის აღმნიშვნელი სიტყვა „ლა-გვანი“, რომელიც გვ=ქვ კომპლექსების იდენტურობის თვალსაზრისით ქართული „ქვევრის“ შესატყვისია და ძირეულად იდენტური სიტყვებია; არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ სვანურში მიწის აღმნიშვნელად გვაქვს გიმ სიტყვა (შდრ. მეგრული დიხა და ქართ. თიხა) და მეგრულში თიხის დიდი მრგვალი ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელწოდება – „გვიმი“ (გამოიყენება ჭის თავსახურავად), რომელიც, ვფიქრობთ „სიმრგვალის“ გამომხატველი სიტყვაა და თუ ჩვენ „ლა-გვანსა“ და „ქვევრს“ ფუძისეულად ერთი და იმავე წარმომავლობის (გვ=ქვ) სიტყვებად მივიჩნევთ, მათთან მიმართებაში საინტერესოა მეგრული კვერცხის აღმნიშვნელი სიტყვა „მარქვალი“, რომელშიც ასევე პირდაპირ ჩანს „სიმრგვალის“ სინონიმი; კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი აზრით, ის შედგება ორი სიტყვისგან მარი-სა და ქვალ-ის ანუ გვალი-საგან (ქვევრი=ლა-გვანი), რაც ისევ ნაყოფიერების კულტს და სიცოცხლის განახლების იდეას გადმოგვცემს და მარი სწორედ რომ ის ჭურჭელია, რომელიც ქალის და საშოს, და ა.შ. ფორმას განასახიერებს; ის გაიგივებულია დედამიწასთან. ამავე დროს, საერთოდ კვერცხი ეტრუსკულ, ეგვიპტურ, ურის, მარის, დაზას და კრეტის მინოსურ კულტურებში მრავლად არის აღმოჩენილი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ზოგადად მიცვალებულის კულტთან და კონკრეტულად სიცოცხლის აღორძინების იდეასთან².

საკითხთან მიმართებაში, როგორც ტერმინოლოგიური თანხვედრის, ისე რიტუალური თვალსაზრისით, როგორც ზემოთაც აღინიშნა და აქვე გავმეორდებით, საინტერესოა სვანური საახალწლო რიტუალი, რომელიც სრულდებოდა ბეღლის ფუნქციის მქონე მარცვლეულისა და ფქვილისათვის გემ//გ ემ-ის წინ. ასევე სვანეთში ცხვებოდა საგანგებო რიტუალური კვერი გემ, კიდობნების გამოსახულებით – ჭულის რიტუალის დროს წარმოთქმულ სიტყვიერ ფორმულაში მოიხსენიებოდა სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების დეოთაების განმასახიერებელი ბომბლა, რაც მიზნად ისახავდა ბომბლას ცხოველმყოფელური ძალის ბეღლისთვის გადაცემას და საერთოდ

¹ В. Е. Баглай, Эволюция представлений о солнцах в древнеацтекской мифологии, Советская этнография, 1977, №4, გვ. 122.

² А. И.Немировский, Этруски, От мифа к истории, М. 1983, გვ. 222.

პურეულის გამრავლებას¹. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში მარანში შესრულებულ მიკამგარიოს სალოცავში, რომლის სახელზეც იქ ცალკე ქვევრია ჩაფლული, ოჯახის უფროსის მიერ წარმოთქმულ ლოცვაში აშკარად ჩანს ნაყოფიერების ღვთაებისადმი ლოცვა და სიცოცხლის განახლების იდეა, რომელსაც შესთხოვს ქვევრს ოჯახის უფროსი². ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გავრცელებული წესის თანახმად, საზედაშე საკვები (ასევე ოხვამურისთვის განკუთვნილი ღვინო და სხვა – დ.ჭ.) აუცილებლად გლეხის მიერ მოწეული პირველი პროდუქტი უნდა ყოფილიყო. ეს ეხებოდა როგორც ღვინოს (მას საგანგებოდ ცალკე ქვევრში აყენებდნენ) ასევე პურს (ხორბალს), ერბოს („ნათავარს“ ანუ „თვეულს“), თაფლს და ა. შ.³. ყოველივე ეს ახალი წლის დადგომას და სიცოცხლის განახლებას გვამცნობს და „მარი“-ს სახით მნათობთა თაყვანისცემას უკავშირდება.

საყურადღებოა, რომ როგორც არქეოლოგიური მასალები გვიდასტურებენ განვითარებულ შუა საუკუნეების საქართველოში ქვევრები იკრძალება თვით საცხოვრებლის შიგნით. მაგალითად არაგვის ხეობაში, ჟინვალთან ორიოდ კილომეტრში, დევებინისა და დიდრუვის ნასოფლარებში, საცხოვრებელი ოთახის ინტერიერის აუცილებელი ატრიბუტია კერა და კედლების გასწვრივ მოწყობილი ქვის ტახტი. ზოგჯერ იმავე ოთახში არის ერთი ან ორი თორნე, რომელთაგან ერთი კერის მიჯრითაა ჩადგმული, მეორე კი უკან მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში. სამ შემთხვევაში დასტურდება ოთახის წინა მარჯვენა კუთხეში დაკიდული ქვევრი, ერთხელ კი ოთახის უკანა მარჯვენა კუთხეში, იატაკის ზემოდან დადგმული ქვევრი, რომელიც ჩასმული ყოფილა ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხის ძელებით შეკრულ ბუდეში⁴. ასევე მნიშვნელოვანია ბოლნისის ტაძრის ერთ-ერთ სენაკში კერასთან აღმოჩენილი პირდამსობილი ქვევრის ნატეხი, რომელშიც ნახშირისა და ნაცრის სქელი ფენა იყო⁵. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალა, სადაც ჩვენ ქვევრის საცხოვრებელში დაფლვის ფაქტი დავადასტურეთ, რაჭაში კი მარნის ბოსლის და საბძლის ფუნქციები, ერთ საცხოვრებელშია მოქცეული⁶.

საკვებით საგსე ჭურჭელი – აუცილებელი ელემენტია ყველა სამიწათმოქმედო დღესასწაულებში, პირველ რიგში კალენდარულში, საგსე ჯამი არის სიმბოლო კეთილდღეობისა სინგალებში ახალი წლის რიტუალში⁷. ასევე არსებობს ირანში ჩვეულება ზამთრის დღესასწაულის დროს სხვადასხვა საკვების ერთ ჯამში მოთავსებისა, მასში თეთრ რძეს ასხამდნენ და ისე სვამენ, რაც ავი თვალისაგან იცავს⁸. იცავს⁸. ერთ ჭურჭელში სხვადასხვა სახეობის საკვების მოთავსების ჩვეულება ფიგურირდება ათინურ დღესასწაულში ფესმოფორიაში, რომლის რიტუალზე ქალებს

¹ ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 179.

² ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, თბ. 1963, გვ. 169.

³ გ. გოცირიძე, ზედაშეს კულტურა საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, X, თბ. 2006, გვ. 60

⁴ გ. რჩულიშვილი, „დევებინისა“ და „დიდრუვის“ ნასოფლარები, ჟინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ. 1980, გვ. 63-64.

⁵ ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ. 1968, გვ. 15.

⁶ ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ. 1974, გვ. 106.

⁷ Краснодемская Н. Т., Традиционное мировоззрение сингалов, М. 1982, გვ. 154.

⁸ Бериуни Абу Вайхан, Канон масуда. Избранные произведения, Т. V, Таш. 1973. გვ. 241.

აგზავნიდნენ. ჯამში ხარშავდნენ სხვადასხვა მარცვლეულის ფაფას და ქუნაში პროცესიის დროს დაჰქონდათ¹. ასეთივე იყო ის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში².

შუმერთა და აქადელთა ტაძარში იდგა ჭურჭლები წყლისათვის, ის იყო ოკეანის შა-ს სიმბოლო, რომელზეც ცურავს დედამიწა. ამის ანალოგია „თაფლის ზღვა“, იერუსალიმის სამლოცველოში, მარდუკის და ესაგილეს (ბაბილონი) ტაძარში იდგა ჭურჭელი რომელსაც *tāmtu* – ზღვა ერქვა და ა. შ.³

ქალის ტანისა და ჭურჭლის კავშირზე მიუთითებს შაქტიურ ცეკვაში გარბა, მოცემული რიტუალი, რომელიც დაორსულებასთანაა დაკავშირებული⁴.

დოღმენებში აღმოჩენილი კერამიკა გამოირჩევა პატარა ზომებით, რის გამოც პრაქტიკული დანიშნულებისათვის ნაკლებად გამოსადეგია. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ სახის საგნები მიცვალებულისათვის იყო გამიზნული. აქვეა ქოთნები, ჯამები და სასმისები⁵.

მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ თიხის ჭურჭელი, როგორც მიწის ანუ ქალური ბუნების და ფორმის, რომელშიც თავდაპირველად იკრძალებიან ბავშვები, განასახიერებს სიცოცხლის საწყისს, სიცოცხლის განახლების, უწყვეტობის ანუ აღდგენა-განახლების იდეას, რომელიც გადმონაშთური ფორმით ქვევრსამარხებში აისახა. ის მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან, რომელიც მფარველობს ოჯახის ნაყოფიერებას, გამრავლებას, კეთილდღეობას და შეუწყვეტლობის იდეას, რაც თავის მხრივ ახალი წლის რიტუალებთან უნდა ყოფილიყო კავშირში. ის თავისი საწყისით აგრარული საქმიანობის მფარველია (ოსირისი-მარისი-მარსი=მარი), რომელსაც განასახიერებს ქალის ფორმის თიხის ჭურჭელი. შემდგომში მასში ისხმება ქართველთათვის წმინდათაწმინდა სითხე ანუ ღვინო, რომელიც ოხვამერის, ზედაშეს და სხვათა სახით ბოლო დრომდე შემორჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას. ღვთაების განაწყენების შემთხვევაში კი ადამიანი გარკვეულ პრევენციულ ზომებსაც მიმართავდა, რაც ქვევრის დამტვრევის რიტუალშიც გამოჩნდა⁶.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნის სახით აღვნიშნავთ:

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელსაც არა აქვს საერთო წინარე თრიალეთის კულტურასთან. მატერიალურ კულტურაში შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, რომელსაც მცირე აზიიდან ახალი ეთნიკური ჯგუფის შემოსვლას უკავშირებენ. ასევე ის ზოგიერთი ნიშნით ახლო ნათესაობას პოულობს კრეტა-მიკენურ სამყაროს ძეგლებთან (ნაცარგორის II და III ფენა). შუა და გვიან ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში ერთგვაროვანი კულტურა ვრცელდება, ხოლო გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურზე, ძვ. წ. XIII საუკუნიდან ორი არქეოლოგიური კულტურა - იორ-ალაზნის აუზში და შიდა ქართლში.

¹ Б. А. Богаевский, Земледельческая религия Афин, Птр. 1916, გვ. 195, 183.

² Календарные обычаи и обряды в странах Зарубежной Европы. Весенние праздники, М. 1977; მისივე, Зимние праздники, М. 1973, Летне-осенние праздники, М. 1978.

³ Е. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 131-132.

⁴ Е. Антонова, დასახ. ნაშრომი, გვ. 221; Аристофан, Комедии, т. 1-2, М. 1954, გვ. 199; Н. А. Кисляков, Некоторые иранские поверья и праздники в описаниях западноевропейских путешественников XVII в – Мифология и верования народов Западной Европы, М. 1973, გვ.182.

⁵ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб. 1949, გვ. 295.

⁶ დ. ჭითანავა, საოჯახო „ოხვამერი“ (სალოცავი) ქვევრის დამტვრევის რიტუალის ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. X, თბ. 2008, გვ. 68-84.

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასასრულს კი აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ოთხი ლოკალური კულტურა გვაქვს. უკვე გამოკვეთილია საზოგადოების ზედაფენა, გამოიკვეთა გარკვეული ნიშნები ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. უფრო ლოკალური ვარიანტი შეინიშნება ქვემო ქართლსა და სომხეთის მთიანეთს შორის.

ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში კვლავ ჩანს გარკვეული ცვლილებები, რაც ურარტული ტომების ჩრდილოეთით გადმონაცვლებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამავე დროს, შიდა ქართლი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, რომელზეც კოლხური თოხების თუ სხვა საგნების აღმოჩენასთან ერთად მეტყველებს ძვ. წ. IX საუკუნეების ბოლოდან გავრცელებული სართო კავკასიური სახვითი ხელოვნება, ე. წ. „ცხოველური სტილი“, რომელიც მეტ მსგავსებას კოლხურ სამყაროსთან ავლენს. მას არა აქვს კავშირი სკვითურ ხელოვნებასთან, რომელიც ამ უკანასკნელებმა სწორედ კავკასიიდან და წინა აზიიდან შეიტვიფრეს.

ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეების სამარხებში უკვე ჩნდება სკვითური ტიპის ისრისპირები თუ სხვა ნივთები და დაკრძალვის განსხვავებული რიტუალი, რომელიც ცხენის სამარხში ჩატანების სკვითურ წესთან არის კავშირში. ვფიქრობთ, ცხენის კულტის ასე მკაფიოდ ეთნიკურ ნიშნად გამოყოფას და მისი ამ პერიოდში სამარხში აღმოჩენას და სკვითურ-კიმერულად მის მიჩნევას მხარს უჭერს ის, რომ ცხენის მსხვერპლშეწირვა ასე მკაფიოდ ადრინდელ კულტურაში შენიშნული არ არის. აქ პირველ რიგში ჩვენ საქმე გვაქვს მიცვალებულისადმი იმ სამსხვერპლო ცხოველის შეწირვაზე, რომელიც ამ პერიოდში წამყვან ადგილს იკავებს მის ეკონომიკაში. მას უპირატესობა ენიჭება როგორც გამწვევ ძალას და უმნიშვნელოვანეს საომარ საშუალებას. თუმცა არსებობს მეორე გარემოებაც. კერძოდ, როდესაც საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის მეზობლად, იმხანად არსებობენ უდიდესი სამხედრო სახელმწიფოები - ასურეთი და შემდგომ ურარტუ, ამავე დროს თავის დროზე ხეთები, ქართველურ და საკუთრივ ქართულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისათვის, რომელთაც უხდებოდათ მათთან პერიოდული შეტაკებები, ცხენი გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო ცნობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ტომებით დასახლებული დიახის სამეფო ვერანაირ სერიოზულ წინააღმდეგობას მათ ვერ გაუწევდა. ამდენად, ცხენი ქართველური ტომებისათვის გაცილებით ადრე, ანუ სკვითებამდელ პერიოდშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი. საკუთრივ მიცვალებულისთვის მისი მსხვერპლშეწირვის რიტუალი კი, ვფიქრობთ, საკუთრივ სკვითურად უნდა ჩაითვალოს, რომლის გავლენა ამ პერიოდის ადგილობრივ მატერიალურ კულტურაში მაინც უმნიშვნელოა და მას ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის ეთნიკურ სურათზე კარდინალური ცვლილება არ მოუხდენია.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ადრეანტიკურ ხანაში გარკვეული მატერიალური კულტურის ერთიანობა იგრძნობა, რაც კოლხური სახელმწიფოს გავლენით და დასავლურ-ქართული ტომების შესაძლოა აღმოსავლეთში გადმოსახლებითაც ყოფილიყო გამოწვეული.

ძვ. წ. აღ. V საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში, სამარხებში შეინიშნება იარაღის ნაკლებობა. ასეთივე სურათია ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოშიც.

აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხების შემოსვლასთან ერთად ძვ. წ. III საუკუნეში არქეოლოგიურ კულტურაში შეინიშნება გარკვეული ცვლილებები,

განსხვავებული სურათია დასავლეთ საქართველოში, სადაც ქვევრსამარხების გამოჩენას რაიმე ცვლილება ინვენტარის თვალსაზრისით არ გამოუწვევია. ქვევრსამარხებში სამარხი ქვევრების რიტუალური დანიშნულება აშკარად ჩანს. ზოგიერთ მათგანში მიცვალებულის გვამი არ დასტურდება, ასევე უმთავრესად ქვევრებში ათავსებდნენ მიცვალებულის დამწვარ ძვლებს. სამარხებში სრულებით ქრება საბრძოლო იარაღი. განსხვავებულია ჭურჭლის ფორმაც წინამორბედისგან და საერთოდ იგრძნობა სამარხეული ნივთების ნაკლებობა. მსგავსი სურათი დამახასიათებელია არა მარტო ქვევრსამარხებისათვის, არამედ სხვა ტიპის სამარხებისთვისაც, სადაც იარაღთან ერთად ქრება სამეურნეო დანიშნულების ნივთებიც. ქვევრსამარხებში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

ვფიქრობთ, მთლიანად დამაჯერებელი არ არის მცხეთის თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „მშვიდობიან მოქალაქეებად“ ქცევით აიხსნას ინვენტარის ნაკლებობა სამარხებში. აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს გარკვეულ იდეოლოგიურ ანუ რელიგიურ ცვლილებებთან. პირველ რიგში მიცვალებულის კულტის გამარტივებასთან, რაც გამოიხატება მის მიმართ არა იმქვეყნიური სიცოცხლის გაგრძელების იმედით პატივისცემაში, არამედ ცოცხლების მიერ მისი კუთვნილი ნივთების ამ სამყაროში დატოვებით, მისი მემკვიდრეობითი პატივისცემის გამოხატვით და რელიქვიად შენახვის მიზნით. ამავე დროს შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი რელიგიის წინა პლანზე წამოწევასთან, როდესაც უკვე მიცვალებულის კულტი წინა პლანზე არ დგას და თაყვანს სცემენ სახელმწიფოს უზენაეს ღვთაებას, ტაძარს.

მიცვალებულის ჭურჭელში, პიფოსებში თუ ქვევრებში დაკრძალვა მსოფლიოს მრავალ ხალხში იყო ცნობილი უძველესი დროიდან. თუმცა ეთნიკური თვალსაზრისით ბევრ მათგანს ერთმანეთთან არა აქვს კავშირი და ისინი მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ თუ ზოგადად სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან კავშირში მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო. რაც შეეხება საქართველოში მის ასე უეცრად გამოჩენას, ძვ. წ. IV-III საუკუნეებში, დასავლეთიდან და სამხრეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული ეთნიკური გადანაცვლების შედეგი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ის მესხური ტომების მომდღავრებას დაუკავშიროთ, რომლებიც იგივე კოლხებთან არიან გაიგივებულნი.

როგორც გამოჩნდა, ქვევრსამარხების ქართლში და საერთოდ საქართველოს დასავლეთსა, სამხრეთსა თუ საერთოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს, ზოგი მას ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევს, ზოგი კოლხურად, ზოგი წინა აზიურად, ზოგი კი მესხების მოტანილად თვლის. ვფიქრობთ, რომ საერთოდ ურნებში დაკრძალვის წესი (თრიალეთის ყორღანები და სხვ.). გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ადრესამიწათმომქმედო კულტურებიდან მოყოლებული თითქმის მთელს წინა აზიაში. თითქოს არ ჩანს საქართველოში ფიქსირებულ ქვევრსამარხებთან მათი არანაირი კავშირი, თუმცა მხოლოდ ეთნიკურ კავშირებზე ყურადღების გამახვილება საქართველოში მისი წარმოშობის გზებზე არ იქნება გამართლებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, ქვევრსამარხების წარმოშობა, რომელიც ალბათ უფრო ერთ-ერთ ქართველურ ტომს უკავშირდება ადგილობრივ ნიადაგზე უნდა ვეძებოთ და ქართული ყოფისა და კულტურის იმ უმთავრეს ნიშანში დავინახოთ, რომელსაც პირველ რიგში მეურნეობის

თავისებურება განსაზღვრავს. გამომდინარე აქედან ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვის წესში რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უმთავრეს როლს თამაშობს, რომლის წარმოქმნასაც ამ ეპოქაში ადგილობრივი მეურნეობრივი ყოფა კერძოდ მევენახეობა დაედო საფუძვლად. ამავე დროს, ჩვენი აზრით, მისი გავრცელების ქრონოლოგიიდან გამომდინარე ის დასავრულ-ქართულ კულტურას (კოლხურს) უნდა დაუკავშიროთ. კოლხურ ტომებსა და თვით მესხებს შორის ეთნიკური განსხვავება კი ნაკლებ სავარაუდოა, რომელთა სავარაუდო მიგრაციას ქართლში ემთხვევა კულტურის ცვლილება და ქვევრსამარხების გამოჩენაც.

ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვის წესი, როგორც ზემოთ კვლევის შედეგად გამოჩნდა, ჩვენი აზრით, მჭიდრო კავშირშია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ მარანში შესრულებულ სალოცავებთან, რომელიც გადმონაშთია იმ რწმენისა, რომლისთვისაც მიცვალებული იკრძალებოდა ქვევრებში, ურნებში თუ სხვა სახის ჭურჭელში და ის სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეას გადმოემცემს.

მარი პირველ რიგში არის მიცვალებულის დასაკრძალავი ადგილი ანუ საფლავი, რომლისთვისაც განვითარების გარკვეულ საფეხურზე გამოიყენეს თიხის ქვევრი ანუ თიხის ჭურჭელი. ის ასოცირდება ქალურ საწყისთან, ხოლო თვით ქვევრს ქალის სხეულის ფორმა აქვს. პირველ რიგში მარებში დაკრძალვა ემსახურება ნაყოფიერების კულტს, სადაც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში იკრძალებიან ბავშვები. ისინი განასახიერებენ სიცოცხლის აღორძინების, აღდგენა-განახლების იდეას, ქვევრში ან სხვა სახის ჭურჭელში დაკრძალვის სახით. ეს უკანასკნელი ქალური საწყისია, რომელიც ქალის საშოს და ტანს განასახიერებს.

ვფიქრობთ, სიტყვა „მარი“ არ უნდა იყოს ქართველური ენების კუთვნილება, რაზეც ზემოთ აღნიშნული ინდოევროპული თანხვედრები მეტყველებს. ჩვენი აზრით, მარ სიტყვა შენახულია მარტვილში, რომელ რიტუალშიც მსხვერპლად სწინავდნენ წელიწადში ერთხელ ბავშვს, მარტვილი (*Marth*) ბერძნულად ნიშნავს წამებულს. ამ მხრივ საინტერესო თანხვედრად მიგვაჩნია მეგრულში შემორჩენილი ტერმინი მარ-თვე, რომელიც ბარტეს აღნიშნავს. მასში ჩვენ სწორედ ჩვილის მნიშვნელობა უნდა დავინახოთ. თავდაპირველად ხომ მარებში ანუ სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებში ახალშობილები იკრძალებოდნენ, რომელიც სიცოცხლის აღდგენა-განახლებას უწყობდა ხელს და შესაძლოა ისინი მსხვერპლდაც კი შეეწირათ.

შემდგომში მარებში იკრძალებოდნენ ზრდასრული ადამიანებიც, რომელიც ჩვენ ქვევრსამარხების ფორმით შემოგვრჩა. ეს მომენტი უკვე მევენახეობის განვითარებასთან არის კავშირში და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მასში მევენახეები იკრძალებოდნენ, როგორც მეურნეობის მთავარი დარგის წარმომადგენლები. ქალები კი ალბათ მარებში არ დაუკრძალიათ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სვანურში მამაკაცის აღმნიშვნელი ტერმინი „მარ“, რომელიც, ვფიქრობთ მამაკაცთა სქესის ადამიანების ქვევრში ანუ მარებში დაკრძალვიდან მომდინარე უნდა შემორჩენილიყო. ამაზე ასევე მიუთითებს ათონის მონასტრის ხელნაწერებში შემორჩენილი მარნის იდენტური ტერმინი, როგორც ღვინის შესანახი ნაგებობისა სავაჟინე, რომელშიც სიტყვა „ვაჟი“-ს გამოყოფა აშკარაა. ამავე დროს საინტერესოა „სამარ-ხელის“ (ერთი საგვარეულოს დასამარხი ადგილის) და ეკვდერის იგივეობა. ამ უკანასკნელში ჩანს სიტყვა კვლომა (სიკვდილი). ის თავის მხრივ ალბათ კერამდე და საკურთხევდებამდე დაიყვანება, რომელიც განვითარების ადრეულ საფეხურზე სწორედ

მიცვალებულთა განსასვენებელ ადგილს და შემდგომში მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო ის ადგილი, სადაც იმარხებოდა ანუ „ინახებოდა“ მიცვალებული, მთავარ ღვთაებასთან და არა უბრალოდ მიწაში იფეხლებოდა. სწორედ ამგვარ ქვევრებში, ანუ მარებში ხდებოდა მიცვალებულისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, მისი შენახვა და მიწისგან იზოლაცია.

„მარი“ რელიგიური მნიშვნელობით მუდმივობას აღნიშნავს, რაც მიცვალებულის მიმართ რწმენის გამოხატავს და ის ჩანს ქართულ „სამარადისო“, „მარადის“, „მარადიულის“, „მარად“ და სხვა მის მსგავს სიტყვებში.

შესაძლოა ქართველურ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ „ოხვამეს“ (ზედაშე) სახით ჩვენ საქმე გვქონდეს სხვა დატვირთვასთანაც. ძველ ქართულში მაგალითად მეხუეშენე ნიშნავს მესაიდუმლეს: „არც ვედრებაჲ მიითვილვის და არც მეხუეშენე შეიწყნარების“. მეხუეშენე შეიძლება წარმოვიდგინოთ მეხვაშენე/მეოხვამურედ – მლოცველი ან ლოცვის აღმავლენი ქურუმი. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბასთან კომლი - „მრავალვარსკვლავია“, „მრავალთა ვარსკვლავთა“. ამ გარემოებამაც ოხვამეს, როგორც სალოცავი ადგილის მნიშვნელობასთან მივყავართ, რომელიც ცის ღვთაების ანუ ვარსკვლავების, იგივე პლანეტებისადმი თაყვანისცემის ფაქტს გვამცნობს. ისეთივეა მისი ქართული თარგმანი „ზედაშე“ ანუ ზედა სამყაროსადმი აღვლენილი ლოცვა. ოხვამეში სწორედ იკრძალება „მარე“-ები ანუ ქვევრები, რომელშიც მოთავსებულია მიცვალებული, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ისხმება წმინდა ღვინო, რისი საშუალებითაც ხდება წინაპართა სამყაროსადმი ლოცვის აღვლენა და მათი ზიარება ზედა სამყაროსადმი. შემდგომ კი ის აგრარული კულტის მნიშვნელობას იძენს. შესაძლოა „მარი“ და მეგრული „მარა“ ანუ შვიდეულის აღმნიშვნელი სახელწოდება იდენტური ტემინები იყოს. ამ კონტექსტში ყველაზე მკაფიო მანიშნებელია „ოჩე ხევი ღო ხვარიელი“ (მეგრული სიმღერაში), სადაც ოჩე სახნაფ-სათესს ნიშნავს, ხოლო ხევი – იგივე სიმრავლეს, ხვარიელი – ბარაქიანობას. ეს იგივე ვარსკვლავია ანუ სიმრავლე (შდრ მურინციხი – მრავალი რიცხვი - მრავალი). ოხვამერს, ვფიქრობთ მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მივყავართ, რომელმაც მიცვალებულის ანუ წინაპრის კულტში პოვა ასახვა და შემდგომ შეიძინა დამარხვის მნიშვნელობა. ჭანურში ხვ, ხუ ნიშნავს დამარხვას, ყრას, ცვენას, გახვრეტას.

მარანში გამოყოფილი მარ ძირი ნიშნავს შენახვას ჭურჭელში ანუ მარებში, რომელიც არა ხის, არამედ თიხისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. აქედან მომდინარეობს სიტყვა მარხვა, დამარხვის მნიშვნელობით და მარხვა ქრისტიანული გაგებით, რომელიც წარმართულში სწორედ მიცვალებულის პატივსაცემად „პირის შენახვის“ ანუ გარდაცვლილის საპატივსაცემოდ გარკვეული კვებითი აღრძალების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამის მაგალითია სამეგრელოში დღესაც შემორჩენილი გადმონაშთური წესი მარხვის შენახვისა მიცვალებულის გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში.

ზემოთ განხილული ალობის რიტუალი, რომელიც ღმერთების განაწყენების შემთხვევაში სრულდება და „შეწყალებას“ ნიშნავს, მჭიდრო კავშირშია მნათობთა თაყვანისცემასთან, რომელიც ჩანს სამეგრელოში არსებულ „ალერტის“ სახელწოდების სალოცავში. მისი მჭიდრო კავშირი „ოხვამერთან“ ანუ სიმრავლისა და ვარსკვლავის, ასევე მარანთან, როგორც კვირის შვიდეულის აღმნიშვნელ მეგრულ ტერმინთან სემანტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით უდაოა. „ხუთი ვარსკვლავის, მზისა და

მთვარის“ თავჯანსიერების ფაქტი ქართლის ცხოვრებაშიც აისახა და აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ ქვეყრსამარხების გავრცელების დროიდან თანხვედრი ვითარების აღწერისას (აზოს მოსვლა ქართლში და ალექსანდრე რჯულის დატოვება) ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სამხრეთიდან გადმოსახლებულ ერთ-ერთ ქართველურ ტომს, შესაძლოა მესხებს (იგივე მუშქები) და მათთან, ვფიქრობთ, გაიგივებულ კოლხურ ტომებს უნდა შემოეცანათ. მათი კოლხებთან იგივეობა ჩანს იქიდანაც, რომ ქვეყრსამარხების შემოსვლის დროს კოლხურ კულტურაში არანაირი სხვა ცვლილება არქეოლოგიურ მასალაში არ შეინიშნება და ისინი ერთი დიდი ეთნიკური მასის (ქართველური) წარმომადგენლები არიან, რომლებმაც შესაძლოა ინდოევროპელ ტომებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ბევრი რიტუალი და რელიგიური წესები ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც (ლაგვანი, ოხვამე) ურთიერთშეითვისეს.

2. ტერმინი “ქართლი”, “ქართველი” და ქართველურ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები

ტერმინი „ქართლის“ და მისგან ნაწარმოები ეთნოსის „ქართველის“ თვითსახელწოდების ეტიმოლოგია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული არ არის.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ტომები უძველეს დროს მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ შემდგომ თანდათან ჩრდილოეთისკენ წამოიწიეს და ამიერკავკასიის მიწა-წალი დაიმკვიდრეს. ავტორისავე აზრით, ქართველ ტომთა შორის სულ უკანასკნელად არარატის მიდამოებიდან შემოხიზნულან ამიერკავკასიაში ქართველი და დაუპყრიათ აღმოსავლეთ საქართველო¹. ავტორი ქართველთა დვიძლ ძმებად ქაღდის ანუ ხაღდის ხალხს ვარაუდობს და ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ ქაღდეს მიიჩნევს². სიტყვა „ქართველის“ პირველ ნაწილს „ქართუ“ ქვეყნის სახელთან აიგივებს და მას სავარაუდოდ ერთ-ერთი ქართველური ტომის „კარდუხის“ (კარდუ=ქართუ) თვითსახელწოდებას უკავშირებს³.

კარდუხების ქართველებთან და ტერმინ ქართუ-ს ნათესაობის ივ. ჯავახიშვილისეულ მოსაზრებას მხარი დაუჭირა კ. ლემან-ხაუფტმა და ამ სიტყვის ფუძისეულ იდენტობად მიიჩნია ადგილების სახელწოდებები კორდუენე, გორდიაოის სახით. ამავე დროს მისივე დაკვირვებით, ეს ყოფილი კარდუხების ტერიტორია სავსეა კლდეში ნაკვეთი საცხოვრებლებით, რომელიც გავს საქართველოში შემორჩენილ კლდის ნაგებობებს (ვარძია, უფლისციხე და ა. შ.) და არსებითად განსხვავდება სომხურ-ხაღდებამდელი კლდის ნაგებობებისაგან. ავტორისავე თქმით, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზიის დაპყრობის შემდგომ კარდუხების ტერიტორიის ნაწილი მაკედონური მიგდიელ ტომთა მიერ იქნა დასახლებული. ამის შედეგად კარდუხთა ნაწილი გადადასახლდა ჩრდილოეთით (V-I საუკუნეებს შორის ჩვენს ერამდე), სადაც

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ. 1951, გვ. 428-429.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 430, 424.

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 403.

ისინი შეხვდნენ მესხებს. ნაწილი კარდუხებისა დარჩა თავის ძველ სამშობლოში გორდუენეში (კონდუენე)¹.

ბ. მარის მსჯელობით (მეტი კორექტურობისათვის მას თარგმნის გარეშე მოვიყვანო) „Сем разновидность и племенного названия населения ванской клинописной Армении – ra^h-d-i←ra^h-din-i, и национального племенного названия грузин – qar-^h-vel, собственно его древней двухэлементной сал-ионской части qar-^h←*qar-^hin→Qar-^hl «Грузия» (этнографическая нине «Картлиния»“)², ავტორი იბერებს და ქართვეს სხვადასხვა ტომად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ «В Грузии смена иберов картвелами – это та же смена кимеров халдинами resp. qar^hinami – скифами. ქართვეს ავტორი სკვითებად მიჩნევს, ხოლო იბერებს კიმერიელებად, რომელთა შორის ეს პირველი იმარჯვებს ანუ სკვითი – ქართვეი. მისივე აზრით, გაბატონებული ენა ამ კლასობრივ-ტომობრივ წარმონაქმნში ინარჩუნებს სარმატული ანუ იბერიული კულტურისა მიღწევებს³.

ბ. მარს, ტერმინი ქართ-ი (kart) საერთო იაფგეტურ დონეზე დაყავს და აღნიშნავს: „... kart, что имеем в марийском в значении культового термина – «жреца», на которого перешло название самого тотема, в последствии божества, как на носителя его магических сил, как на шаман‘а. На Кавказе мы имеем этот же kart и его разновидности в значении «калдуна» (жреца) и в значении тотема – племенного названия; между прочим, это основа национального названия и грузин - qar^hvel, и Грузии – Qartvel-i. и бога-племенного названия, именно бога Qaldini и народа Qaldini, как это засвидетельствовано в клинописных памятниках Ванского царства в пределах Армении с IX в. до н. э.⁴.

ს. ჯანაშიას აზრით, ქართლი იყო პოლიტიკური ტერმინი. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ეს ტერმინი ვიწრო აღმოჩნდა და უპირატესობა ახალმა ტერმინმა საქართველომ მოიპოვა, რომელსაც საფუძვლად ედო ეთნიკური ტერმინი „ქართველი“. მისივე თქმით, თუ ქართლი აღნიშნავდა განსაზღვრულ სახელმწიფოს, იბერიას, „ქართველი კი ამ სახელმწიფოს მოქალაქეს და მისი ძირითად ტომს, ასევე იმ მოსახლეობის აღმნიშვნელი იყო, რომელიც წარმოშობით ქართველების მონათესავენი იყვნენ⁵. ავტორისავე აზრით, ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქაღდ-თან და მისი მეშვეობით ამავე ძირის წინააზიურ უძველეს სახელებთან⁶.

ბ. ბერძენიშვილი, ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „ქართლის ქვეყანა“ ქართლის კოლექტივის საცხოვრისს ნიშნავს და არ გამოირიცხავს, რომ ქართლი გორა იყო ქართის პირველსაცხოვრისი ამ მხარეში და ამ ქვეყანასაც ქართლი ამ ნიშნავზე შეერქვა⁷.

ბ. ბერძენიშვილს არ მიაჩნია სარწმუნოდ ის, რომ იბერია და ქართლი ერთი ტომის ორი სხვადასხვა სახელი იყოს. ავტორი ძველ მცხეთას მესხთა დაარსებულად თვლის. მას რეალურად მესხის და ქართის არსებობა მიაჩნია, თუმცა ამ უკანასკნელის

¹ К. Ф. Леман-Хаупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, тобღისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, თბ. 1937, ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან, გვ. 262.

² Н. Я. Марр, Этно и глоттогония Восточной Европы, т. V, М. 1935, გვ. 206.

³ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

⁴ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 457.

⁵ ს. ჯანაშია, ტ. VI, თბ. 1988, გვ. 335.336.

⁶ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ. 1959, გვ. 195.

⁷ ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. 1975, გვ. 93.

ეტიმოლოგია მისთვის უცნობია. მისივე თქმით, „თითქოს ჩანს, რომ ერთ-ერთმა ქართველურმა ტომმა (იბერიელებმა, მესხებმა?) ეს საგეოგრაფიო სახელი უწოდა უკიდურეს პუნქტს, რომელიც ამ ტომს (ქართს) ეჭირა. ავტორი ძველ მცხეთას მესხურად მიიხნევს (ან ჯერ მესხურად, შემდეგ იბერიულად), ხოლო ახალ მცხეთას (ქართლის (თუ იბერ-ქართის) ქალაქად, ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცენტრად. ავტორისავე აზრით, ეს გაერთიანება („ქართლი“) არაერთი ტომისაგან შედგებოდა (გუჯარეთ-გუგარეთი, ალგეთი, მანგლისი, სკვირეთი, თორი – თრიალეთი), რომლის გამაერთიანებელი გვიან ქართის ტომი იყო¹. ავტორი რეალურად მიიხნევს, იმ მოსაზრებას, რომ სახელი „ქართლი“ (თუ ის სატომო სახელია), ამ ადგილს შეარქვა იმ ტომის მეზობელმა ტომმა (იბერიელებმა, მესხებმა?). „ქართლი“ თავდაპირველად ერთი საგეოგრაფიო პუნქტი უნდა ყოფილიყო და არა ქვეყანა². ავტორის აზრით, მეგრელთა მიერ თბილისის აღსანიშნავად ტერმინ „ქართი“-ს ხმარება ნიშნავს იმას, რომ მეგრელი მცხეთას უწოდებდა ქართის. ეს კი, განაგრძობს ავტორი, იმას ნიშნავს, რომ „მცხეთა“ უფრო გვიან გაჩნდა, ან უკეთ, უფრო გვიან გაუპირველესდა, ვიდრე ქართლი³. ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს ტერმინ ქართლი-ქართველის ურთიერთმიმართებაზე და აღნიშნავს, რომ „ფეოდალური „ქართლის“ კულტურულ და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე, X საუკუნეში აღინიშნებოდა სახელით „ქართველი“, მაგრამ ამ ცნებაში არა მხოლოდ ქართ-ის ჩამომავალი იგულისხმებოდა, არამედ იმ „ქართლის“ მოღვაწე რომელიც დიდი ხანია გასცდა ქართლის ეთნოგრაფიულ საზღვრებს. ამრიგად, წარმოიქმნა ცნება „ქართველი“, რომელიც ძველი „ქართლის“ ცნებაში აღარ თავსდებოდა და შეიქმნა „საქართველო“, სადაც ქართველი ნიშნავდა უკვე არა ეთნიკური ქართლის შვილს, არამედ ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე მოღვაწე ადამიანს, სულ ერთია რა წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყო ის“⁴.

გ. მელიქიშვილის აზრით, სახელწოდება „ქართლი წარმომავლობით უფრო პოლიტიკური ერთეულის სახელი უნდა ყოფილიყო და ეთნიკური შინაარსი გვიან უნდა მიეღო. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქართლსა და მის დედაქალაქ თბილისს მეგრულში „ქართი“ სახელი შემორჩა. ავტორი ფიქრობს, რომ ეს სახელი ძველი დედაქალაქის (არმაზციხე-ქართლის) სახელიდან გადმოვიდა. ტერმინები „ქართველი“, ალბათ: ქართა(ელ>ქართაველი>ქართველი, საქართველო და სხვა. ავტორისავე აზრით, მიგვითითებს იმაზე, რომ სახელ „ქართლში“ ძირეულ „ქართა“//„ქართი“ - სიტყვა უნდა იყოს. ეს ტერმინი, განაგრძობს ავტორი, ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის, დიდი გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის სახელი იყო, რომლის სხვადასხვა მნიშვნელობები მეგრულს „ქართი“-ს სახით შემორჩა „პირუტყვის საზაფხულო სადგომს“, „დაუსურავ შემოსაზღვრულ ადგილს“, „ო-ქართუ“ კი „საბოსლე ადგილს“ ნიშნავს. ქართს ავტორი უდარებს ინდოევროპულ ენებში შემორჩენილ მსგავსე სიტყვებს gardas - ლუვიურში (ზღუდე, გალავანი, ღობე, ბაკი), gaŕdinys (გომი, გომური წვრილფეხა საქონლისა. გოთური garda – თანამედროვე გერმანული Hürde Viehhof. ალბანური garŕ - მესერი. ფინო-უნგრულში ინდოევროპულიდან

¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223-244.
² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225, 227.
³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.
⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

ნასესხები gurt – საცხოვრებლები. ის ასევე გვხვდება აგრეთვე პირდაპირ „ციხე-სიმაგრის“, „გამაგრებული ადგილის“, „ქალაქის“ მნიშვნელობით. ფრიგიულ – gordum „ქალაქი“. სლავური Град - „ციხე-სიმაგრე“, „კომპი“ > რუსული Город. ასევე ხეთური (ნესიტური) gurta „ციხე-სიმაგრე“ („Burg“) და ა. შ. ავტორი ამ სიტყვას უძველეს დროს ინდოევროპულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და მას როგორც თვითონ უწოდებს „ხეთურ-მცირეაზიული“ ტრადიციების მატარებელი მესხების მოტივილად თვლის¹. გ. მელიქიშვილი იზიარებს ქართველის კარდუხთან ურთიერთმიმართებას და მათ აღმოსავლურ ქართულ ტომად თვლის².

დ. მუსხელიშვილი, გ. მელიქიშვილის მსჯელობაში ბევრ რამეს საექვოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეთნონიმი „ქართლი“ არსად დამოწმებული არ არის, ავტორს ტოპონიმი ქართი (თბილისის მეგრული სახელწოდება“ „ქართი“-დან წარმოქმნილად და უკანასკნელ ხანს მწიგნობრული წესით შექმნილად მიაჩნია. მისივე აზრით, შემდეგ სინამდვილეში უნდა არსებულიყო ეთნონიმი „ქართუ“ (უმარცვლო უ-ნით), რასაც ამოწმებს მეგრელთა მიერ აღმოსავლელ-ქართველთა სახელწოდება „ქორთუ“. ეს „ქართუ“ განაგრძობს ავტორი, ადგილი შესაძლებელია პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა და სწორედ აქედანაა ნაწარმოები „ქართუ-ელ-ი“, რომელიც წყაროებში დამოწმებული უძველესი ფორმაა. მისივე აზრით, აქედან მომდინარეობს „ქართველი“. ავტორი ასევე საექვოდ მიიჩნევს „ქართლი“-საგან უშუალოდ ტერმინ „ქართველის“ გამოყვანას. მისივე თქმით, „ქართლი“-საგან ბუნებრივად ნაწარმოებია „ქართლ-ელი“³. ავტორისავე აზრით ეთნონიმი „ქართველი“ თავდაპირველი მნიშვნელობით ვიწრო ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი იყო, რომლითაც აღინიშნებოდა ერთ-ერთ ქარველური ტომის, კერძოდ ქართის (ქართუ) ტომის წარმომადგენელი. თავდაპირველად ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის) მკვიდრ მოსახლეობას ეწოდებოდა „ქართველნი“⁴. ავტორი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ თრიალეთის კულტურის მატარებლები სწორედ „ქართის“ (ქართუ) ტომები უნდა ყოფილიყვნენ და ის ამ დროიდან ვარაუდობს ეთნონიმ „ქართველის“ არსებობას⁵.

მ. სვანიძის აღნიშვნით, ხალდების ანუ ურარტუელების დაპყრობა ხდება ხალდის სახელით, მშენებლობები მიდიოდა ხალდის სახელზე, მთავარი ქალაქიც იწოდება ხალდის ქალაქად, მთელ ქვეყანას ერქვა ხალდეა, ანუ ხალდების ქვეყანა⁶. სწორედ ამგვარ ცენტრალიზაციას პოულობს პარალელები როგორც სახელწოდებაში, ისე სახელმწიფო წყობაში ძველ ქართველებსა და ქალდებს შორის, როდესაც ძველი ქართული ქრონიკების მიხედვით ძველი ქართველები თავყვანს სცემდნენ ქართლოსს, თავის თავს უწოდებდნენ ქართვეს – ხოლო თავიანთ ქვეყანას ქართს⁷.

ა. შანიძის აზრით, ქართლი, ქართველზე არსებული ახსნები (ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ნ. აღონცის, გრ. დაფანციანის, ლ. მელიქსეთ-ბეგისა), „არც ერთ მათგანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება“. ავტორის თვალსაზრისით: „სიტყვები

¹ გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 426-429.
² Г. А. Меликишвили, О происхождении грузинского народа, Тб. 1952, გვ. 23.
³ დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 338.
⁴ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 349.
⁵ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 349-350.
⁶ М. Сванидзе, Материалы по истории Аларойдских племен, Тб. 1937, გვ. 89.
⁷ М. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

ქართლი და ქართველი ეტიმოლოგიურად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ქართლი – ერთ ფუძეს ემყარება, ქართველი კი სხვას¹. კერძოდ: „თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელმაც დაიპყრა მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები, კარგა ხანს იბატონა აქ, შემდგომ თანდათანობით გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, თავისი ენა დაკარგა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა დაპყრობილ ერს, რომელიც წინათ, ალბათ, მესხების სახელით იყო ცნობილი“².

ა. შანიძე ყურადღებას აქცევს X ს. ქართულ ხელნაწერში ნახმარ ტერმინს – „არიან ქართლი“. იგი, მკვლევარის აზრით, კომპოზიცია: არიან და ქართლი. ეს კი სახელებია „...ორი ქვეყნისა, რომლებიც მეზობლად იყვნენ: არიან და ქართლი. ამათგან არიან არის არიანა³, რომელიც სტრაბონის მიხედვით, შეიცავდა სპარსეთისა და მიდიის მიდიის ნაწილს, აგრეთვე, ბაქტრიასა და სოგდეთის ჩრდილოეთ ნაწილებს. ხოლო ქართლი ეს არის პართნი, ე. ი. პართიის მცხოვრებნი და თვით პართი⁴. მისივე დასკვნით, პართნი > ქართლი (ნ/ლ მონაცვლეობა არაა უცხო ქართული სინამდვილისათვის და ადვილი ასახსნელია პ>ქ, ე. ი. პართნი>კართნი (შდრ. გურ. პორფილე>კორფილე)>ქართნი (კ>ქ. ქს თ-სთან ნაწილობრივი ასიმილაციით). პართიას ნამდვილი სახელია პართავა; პართავ; რომლებსაც „... დაპროვია წარმომავლობის საფიქსი – ელ, რომელსაც ამოუღია წინამავალი ხმოვანი: პართ-ავ-ელ-ი > პართ->გულ-ი“⁵. ქართული კი სათანადოდ ასეა მიღებული: პართავ-ულ-ი>პართ-ულ-ი>პართ-ულ-ი>ქართ-ულ-ი. ავტორი დასძენს: „ამგვარად, ქართლისა და ქართველის ეტიმოლოგიურმა ძიებამ გადაგვიშალა თვალის წინ დიდი ისტორიული ამბები, რომლებიც დატრიალებულა ჩვენში, ალბათ, მეორე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე)⁶. თანაც საყურადღებოა, რომ ქართ ფუძე მეგრულად ქორთ-ს გვაძლევს (ქორთუ „ქართველი“). ეს, ავტორისავე აზრით, გვაგარაუდებინებს, რომ ქართ ფუძის სიტყვები დიდი ხანია იხმარება, ასე რომ საუკუნეთა განმავლობაში მოესწრო გადაკეთებულიყო მეგრული შესატყვისი“⁷.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ ქართ ტერმინის იდენტურობას ინდოევროპულში ფიქსირებულ გარდ და გოროდ და ა. შ. მის მსგავს ტერმინებთან, რომელსაც როგორც ზემოთ გამოჩნდა გ. მელიქიშვილმა მიაქცია ყურადღება. ასევე უდალა მისი კავშირი მეგრულ ქართა-სთან და ქორთუ-სთან, თუმცა საკითხს მეტი დამაჯერებლობა სჭირდება და კიდევ უფრო ფართო პარალელების მოძიებაა საჭირო. ამ მიმართულებით ყურადღებას იქცევს მეგრულში საცხოვრებლის და ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინი ო-ხორუ, რომელიც ჩვენ სხვა ადგილას განვიხილეთ⁸. ის უძველესი ოჯახის, სახლის და

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ. 1980, გვ. 7, 9.

² აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10. ა. შანიძეს ამის ანალოგიური შემთხვევა მოჰყავს: ბულგარეთი, ვოლგის შუა მდინარებაზე მცხოვრები თურქი ხალხი, შეერივნენ სლავურ ერს (მათ გზად რუსეთისა და უკრაინის ველები გადალახეს, მოაღწიეს დუნაისს, დაკარგეს თავისი ენა, გაითქვიფნენ დაპყრობილი სლავური მოდგმის ხალხში და სახელიც მისცეს მას – ენა სლავურია, სახელი კი თურქული (იქვე, გვ. 9-10).

³ გამოთქმული მოსაზრებით, არიან< არიანამ წარმოადგენს არიან ან არია სიტყვის ნათ. ბრუნვის მრ. რ. ფორმას, არია ირანულენოვანი ტომების ეთნიკური სახელწოდებაა. აქედანაა: სპარს: ირან, ტაჯიკ. ერონ (ქართ.-ირანული) ამის შესახებ იხ. ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბ. 1987, გვ. 11.

⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

⁶ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

⁷ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁸ დ. ჭითანავა, დასახლების აღმნიშვნელი ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VII, თბ. 2003, გვ. 178-209. მისივე,

მასში მცხოვრები ნათესაური გაერთიანების და შემდგომში ტომის და უფრო ფართოდ ქვეყნის აღმნიშვნელი ლექსემა იყო. მისგან განვითარდნენ დასახლების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა სამოხიო//სახევისკაცო//მეხევე//ხევი//ხეჟ, რომლებიც როგორც სოფლის, უბნის, ისე უფრო დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად დამკვიდრდა მთელს საქართველოში. ვფიქრობთ, ტერმინი ხორა იდენტურია სვანური ქორი-სა (სახლი) და ის ქართ ტერმინის შესატყვისადაც შეიძლება მივიჩნიოთ. კერძოდ, ინდოევროპულ ენებში ბერძნულ *coriDoḡ* - „შემოსაზღვრული ადგილი“, „ლობე“, ლათინური *cohors* (*Ro-ghr-ti-s-იდან) „შემოსაზღვრული ადგილი“, „ეხო“, „პირუტყვის სადგომი“, „კოჰორტა“, „ლეგიონის ნაწილი“ და ვალური *garth* „შემოსაზღვრული ადგილი“, ძველ ინგლისური „geard“ შესაძლოა ამოსავალი იყოს სუფიქსიდან *-t[h]¹.

რ. ფრაის აღნიშვნით, მსახურები იყოფოდნენ ორ ჯგუფად – შინამოსამსახურეები და უცხოტომელ მონებად. ეს უკანასკნელნი როგორც ჩანს, იწოდებოდნენ ძველსპარსული ტერმინით *grda, რომელიც დამოწმებულია ელამურ ფირფიტებზე პერსოპოლიდან, ფორმით Rus-taš და არამეულში grd. ეს სიტყვაც, ავტორის აზრით, მომდინარეობს ინდოევროპული ძირიდან *gherdh - „შემოკავება, შემოზღუდვა“. პირველ რიგში ის აღნიშნავდა სამხედრო ტყვეებს, რომლებიც მორეკილი იქნენ სამუშაოზე². ადრეაქამენიდურ პერიოდში *grda თავდაპირველად აღნიშნავდა მონებს, რომლებიც მუშაობდნენ სამეფო მამულებში (ან მამულებში, რომელიც უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდა), შემდგომ ეს სახელწოდება გავრცელდა ყველა მუშის მიმართ³.

აღსანიშნავია, რომ ბაბილონში მეფეთა მიერ აგებულ პატარა სიმაგრეებს, რომელიც უცხო მტრისგან თავდაცვისა ან მამულთა რეზიდენციების დასაცავად იგებოდა ეწოდებოდა „ხარმალი“⁴.

ამავე დროს სხვა იდოევროპულ ენებში გვაქვს (საკითხზე ასევე იხ. გ. მელიქიშვილი) ხეთური – gurta – ციხე-სიმაგრე, ძველი ინდური grhá(*grdha-) „საცხოვრისი“, „სახლი“, ავესტის gərəda „დევეური არსებების ბუნაგი“ ძველირანული *gort – „სახლი“, „საცხოვრისი“, „საცხოვრებელი ადგილი“ უდმურტული gart „სოფელი“, „დასახლება“. ალბანური gardh - „შემოკავებული ადგილი“, ლიტუური „gardas“ „შემოკავება“ „შემოკავებული ადგილი“. საშუალო ძველ ინგლისური geard - „შემოკავება“, „ბაღი“, „ბოსტანი“ (ინგლ. gard), ძველი გერმანული garto „ბაღი“ (გერმ. Gagten); ძველ სლავური gradŭ „ციხე-სიმაგრე“, „ქალაქი“, „ბაღი“, ჩეხური hrád „ციხე-სიმაგრე“, „სასახლე“⁵.

ზემოთ წარმოდგენილი ლექსემებიდან გამომდინარე ყურადღებას იქცევს ქართველების და საქართველოს აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები გეორგია, გრუზინი, გურჯი, ხეორხია (*Georgia*) და ა. შ. რომელიც თითქმის ყველა ენაში ერთი ფუძიდან მომდინარეობს. თუ ჩვენ ხორა (სახლი და გვარი, ტომი და ა. შ.) და სვანური ქორა (სახლის მეორე სართული) იდენტურად მიგვაჩნია მისი დაკავშირება მეგრულ

სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელი უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, თბ. 2005, გვ. 287-326.

¹ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. 1984, гв. 744.

² Р. Фрай, Наследие Ирана, М. 1972, гв. 83.

³ Р. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁴ А. Оппенгейм, Древняя Месопотамия, М. 1990, гв. 94.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 744.

„ქართუ“-სთან (ქართველი) სავსებით დასაშვებია (ხორთუ, გორთუ შდრ. გორდუენი, ქორთუენი, ქალდეა-ხალდეა), რაც ზემოთ წარმოდგენილი ინდოევროპული ლექსიკური ერთეულების იდენტურია, რომელიც ოხორუების ანუ ხორიონების ფორმით ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე ქსენოფონტეს ანაბაზისშია მოხსენიებული. ამავე დროს არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ასურეთის და ურარტუს მეფეები ქართველური ტომების წინააღმდეგ ლაშქრობისას მათ მიერ დიდი რაოდენობის ქალაქების აღებაში უნდა იგულისხმოდეს ამგვარი ქორები//ხორები – გორდები//გარდები ანუ შემოსაზღვრული ციხე-ქალაქის ტიპის დასახლებები. ქსენოფონტეს ანაბაზისში კი სოფლური ფორმის დასახლებებისათვის სხვა ტერმინიც გვაქვს (*σῆμη*).

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა კარ და ღალ//გალ ტერმინები, რომლებიც ასევე ქართ-ხორ-გარდ-გორდ და ა. შ. ტერმინებთან უნდა ეხმიანებოდეს. საკითხზე საინტერესოა ნ. მარის მსჯელობა: „Кар основа само по себе означало «город» не только у северных яфетидов, но южных и на Кавказе и за его пределами далеко на юге и на западе, вплоть до Африки, где южное побережье Средиземноморья первоначально заселено было яфетидами, Отсюда чистая основа Кар с окончанием то Кар-qe, то Кар-ḡa доисторической основы исторически известного города Кар+ḡa-ген'а (у римлян) или Кар+qe-don'a (у греков) в Африке, отсюда же на Кавказе qara-q//qala-q, в Месопотамии, Кар-ра «город», а также «ограда» и его же мы имеем у чувашей и в производной форме Кар-da в значении «огороженного места», отсюда «изгороди», «скотного двора», «хлева», и в значении просто «города» в составе названия главного города Шибаш'ов, т.е. чувашей, - Шиваш – Кар¹.

კავკასიის მთიანეთში (ოსებში, ხევსურებში, თუშებში და სხვაგანაც), ნაგებობათა ერთ-ერთი სახეობა მრავალსართულიანი ციხე-სახლებით არის წარმოდგენილი, რომელსაც ღალ//ღალა ეწოდება². ვ. აბაევის აზრით, ოსური galwan-ი, ქართული galawani, სვანური galwän-ი, აფხაზური a-galwan-ი, ავარული galan-ი, ჩაჩნური ḡālan-ი იდენტურია და მისივე დასკვნით, აღნიშნული სიტყვა gala კავკასიური ენებიდან არის შემოსული და მომდინარეობს ტერმინ kala-დან³.

კარ ტერმინთან მიმართებაში საინტერესოა სომხეთის ქალაქების დაბოლოებები – სტეფან-აკანი კიროვ-აკანი, რომლის „აკან“-ი, „კარ“-ის იდენტურად უნდა იყოს და მისივე ვარიანტია მეგრული „აკანი“, რომელიც სოფლის კუთხის აღმნიშვნელად შემორჩა, ხოლო სამეგრელოსა და დანარჩენ საქართველოში „კარ“ ლექსემა სოფლის ტიპის დიდ დასახლებებს დაერთვის (ყულიშკარი, ალერტკარი, პავლიანთკარი და ა. შ.), ხოლო ქართლში ცალკეული პატრონიმიული დასახლებების დაბოლოებებს⁴.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ქართა და გარდა –ს (შდრ. მეგრული გა – გორაკი) იდენტურად მივიჩნევთ ხორ//ქორ-ისა, უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართი ნიშნავდა ციხე-სიმაგრეს, გვაროვნულ ეპოქაში საგვარეულო ციხეს, რომლის ძირია ხი,

¹ Н. Я. Марр, Этно и глоттогония Восточной Европы, Л. 1935, გვ. 24.

² რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანური „ღალმევირ“-ის მნიშვნელობისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966, გვ. 104-105.

³ В. И. Абаев ИСОЯ, т. I, М-Л, 1958.

⁴ იხ. დ. ჭითანავა, დასახლებების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VII, თბ. 2003, გვ. 178-209; მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბ. 2005, გვ. 287-333.

რომელიც ქარველური და ძველადმოსავლური (შესაძლოა ხურიტული) ტომობრივი მაწარმოებელია, ვფიქრობთ, ის ქი, გი//ქა, გა-მდე დაიყვანება და მისი ინდოევროპული ენობრივი საწყისი ძალზედ საეჭვოა. ამაზე ნ. მარმაც მართებულად მიუთითა.

საინტერესოა თვითონ ტერმინ „ქართველის“ წარმოება როგორც ზემოთაც აღინიშნა მეგრულად ქართველი არის „ქორთუ“, ხოლო თბილისი „ქართი“, თბილისელი „ქართალი“.

ძველი ფორმა ქართულისათვის უნდა ყოფილიყო ქართუელი; ძველ ქართულში „უ“ გადმოიცემოდა ვ-თი¹. აქ საკითხი თითქოს გარკვეულია, თუმცა დ. მუსხელიშვილს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, „ქართლისა“ და „ქართუელის“ ურთიერთ არსებით კავშირზე არ შეაქვს ეჭვი, მაგრამ ფორმალური (ლინგვისტური) თვალსაზრისით ურთიერთმიმართებას (ქართლი – ქართველი) გაურკვეველად მიიჩნევს და საეჭვოდ თვლის „ქართლისაგან“ უშუალოდ ტერმინ „ქართველის“ გამოყვანას². ჩემი აზრით, აქაც არ ვაწყდებით დიდ ლინგვისტურ წინააღმდეგობას, რამდენადაც ენათმეცნიერ გ. როგავას განმარტებით, „ძველი ქართულის ვ. მეორეული ფონება უნდა იყოს. იგი უნდა მომდინარეობდეს ლ სონორისაგან. გარკვეულ პოზიციაში ძველად ქართულში ლ გადასული ჩანს ვ-ში. ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს: ტევ (დაუტევა) ← *ტ-ელ, წყევ ← *წყ-ელ და სხვები. მასასადამე ვ, ლ სონორისგანაა ნაწარმოები. ასეთი მეორეული ვ, თითქოს კბილბაგისმიერისაკენაა გადახრილი, შემდეგ ძველ ქართულში ბგერობრივ და აგრეთვე ფონემატურადაც შეცვლილა. იგი გაუტოლდა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ უძველეს წყვილბაგისმიერ ვ(ჰ) სპირანტის (უმარცვლო უ-ს)³. ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართლიდან ქართველის წარმოება სავსებით დასაშვებად და ლინგვისტურადაც გამართლებულად მიგვაჩნია.

ველ სუფიქსთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. მარის მისაზრებაც. ავტორის თქმით, ჭანურ ber//ber-e, რომელიც ნიშნავს „შვილს“ (შვილს) (ასევე გვაქვს ბაცბური ber – შვილი, ძველქართული ლიტერატურული ber-t – ბერწი – უშვილო (უნაყოფო), უდარებს ქართველთა აღმნიშვნელ თვითსახელწოდებაში – qarT-vel-ი, vel მისი აზრით, ber-e-ს იდენტურია და „შვილს“ ნიშნავს. ანუ „ქართლის შვილს“ ან „ხალდის“, ამა თუ იმ სტადიის მიხედვით ტოტემის სახელწოდებას. ამ შემთხვევაში მზის (ხალდ). ასეთივეა rat-vel – რაჭველი, სიტყვა-სიტყვით rātá-ს ან row'a (↓rot) ანუ ისევე „მზის“ შვილი⁴.

საყურადღებოა „ქართ“ ტერმინის ურთიერთმიმართება ქალღთან ანუ იმ ხალხთან, რომლებიც ურარტუს სახელმწიფოს ძირითად ეთნოსს წარმოადგენდნენ. ქალღები ანუ ხალღები, როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე ქსენოფონტის დროს მათი შთამომავალი ხალღები. ეს ჩანს იქიდან, რომ სამხრეთ ბაბილონის ხალხთა თავდაპირველი სახელწოდება იყო კაშ (ქაშდუ), ქაშდაიუ (კაშდაიუ) და შემდგომ ბაბილონური და ასურული ენებისათვის დამახასიათებელი გადასვლით – შ-დან ლ-ში კბილისმიერის წინ ის გადაიქცა კალდუ, კალდაიუ-დ, რასაც უკავშირდება

¹ იხ. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ. 1962, გვ. 110-112.
² დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. დასახ. ნაშრომი, გვ. 338-339.
³ გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 113-114.
⁴ H. Я. Mapp, დასახ. ნაშრომი, გვ. 514.

ბერძნული Χалаίος (Κ'αλδῖος *Kalsaios*)¹. ვფიქრობთ, სწორედ ეს ქალები ანუ კალები//კალებუ//კალები უნდა ყოფილიყვნენ გორდოუენეს ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მცხოვრებნი და ისინი წარმოადგენდნენ შემდგომში ურარტუს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ეთნოსს (ხურიტებთან ერთად). მაშასადამე, ვფიქრობთ, სახელწოდებები ქაშდუ-კაშდუ-გაშდუ – გორდუ, გორდუენი-გორდიენე ძველესი წარმოებებია, საიდანაც უნდა მიგველო ქართუ//კართუ. ასეთი გადასვლა სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, მრავლობითობის სუფიქსთა შორის ქართულში ყველაზე ძველია – დ (მისი ვარიანტია თ), ქრონოლოგიურად მას მოსდევს – ნ, ყველაზე ახალია – ებ². მაშასადამე ჩვენ თავდაპირველად გვაქვს კ(ქ)აშდუ, კ(ქ)არდუ – კარდუხი – რაც იქცა კაშთუ//ქარშთუ//კარდუ//ქარდუ//კართუ-ქართუ-დ.

სანამ უშუალოდ ძველადმოსავლური ეთნიკური პორტრეტისა და ქართული წყაროების განხილვაზე შევჩერდებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებულ ქართველთა პირველსაცხოვრისი „არიან ქართლის“ ლოკალიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები წარმოვაჩინოთ და, ვფიქრობთ სწორედ ეს უძველესი მინიშნება ქართველთა პირველსაცხოვრისისა გვაძლევს ქართველთა ეთნოგენეზის მნიშვნელოვან საკითხებზე წარმოდგენას.

ლეონტი მროველმა „არიან ქართლი“ არ იცის, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მას ქართველთა წინარე სამშობლოდ მიიჩნევს. კერძოდ წყაროს ცნობით: „...პირველ, ოდეს აღექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილნი წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, - მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჲკე, და ციხენი მათნი: ციხჲ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჲ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჲკისაჲ.

დაუკვრდა აღექსანდეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჯორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეჭამდეს, და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა, და წარვიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალებველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა. და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვან მას ხერკი.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა აღექსანდრე, მეფჲ ყოველისა ქვეყნისაჲ და დაღუწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახვლი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჲ და დადგა სარკინესა დასავლით კერძო. და დასცა ვენახი და რუდ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუენი დასტავითა რუდსადთა: და ჰრქვან ადგილსა მას ნასტავისი. და მერმე გამოიღო სარკინე. თვთ დაყარეს და მეოტ იქმნეს.

¹ К. Ф. Леман-Хаупт, Вступительная лекция по истории и культуры халдов, тобилисის უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. VI, თბ. 1937, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 260.

² არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ. 1954, გვ. 75.

და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოდ ძმ არიან ქათლისა მეფისად, და მიუბოძა მცხეთად საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთად ცროლისა[დ] და წარვიდა.

ხოლო ესე აზოდ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რგად სახლი და ათნი სახლნი მამა მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმერთად – გაცი და გაიმ.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოდ. ძმ არიან ქართველთა მეფისად, და მოკუდა¹.

გ. მელიქიშვილის აზრით, თუ შევადარებთ ძველ სომხურ გადმოცემას პონტოს მმართველ მითრიდატისა, ძველ ქართულ ტრადიციაში შემორჩენილ ტრადიციას არიან ქართლის მეფის ძის აზოზე, მაშინ ნათელია, რომ „პირველი მეფე მცხეთაში“ გახდა არა თვითონ პონტოს მმართველი მითრიდატე, არამედ პირველ პონტოელ მითრიდატებთან კავშირში მყოფი არიან-ქართლის მმართველი. ასეთ შემთხვევაში ავტორისავე აზრით, არიან ქართლი არ შეიძლება სხვა რამე იყოს თუ არა პონტოსთან ქართლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარეები (მესხეთი, ზემო ქართლი). გამომდინარე აქედან ავტორი, სიტყვა „არიანს“ თარგმნის „სპარსულ ქართლად“ (ariyana - „არიულ“, ანუ „სპარსულ“); ასეთი სახელწოდება უნდა მიეღო ძველქართულ ტრადიციაში სამხრეთქართულ მხარეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ აქემენიდური ირანის შემადგენლობაში².

გ. მელიქიშვილმა ასევე ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არიან-ქართლი სულ არ იხსენიება, თუმცა ამ ძეგლმა იცის აზოს მამის სახელი – იარედოსი. ავტორისავე აზრით, ეს უკანასკნელი სახელი ახლოს დგას ისეთ სახელებთან, როგორცაა ირან, არიანა და სხვა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიან „ქართლი“ და „ქართლის ცხოვრების“ აზოს მამის სახელი „იარედოსი“, დაასკვნის ავტორი, ერთმანეთის ექვივალენტია³.

ნ. ბერძენიშვილის აღნიშვნით, „როგორც მოქცევაჲ, ისე ლეონტი, ქართველებს ქართლში შედარებით გვიან მოსულებად წარმოგვიდგენენ. „მოქცევაჲთ“ ეს გადმოსახლება ქართლიდან მოხდა ალექსანდრე მაკედონელის დროს (და მისი შემწეობით); ლეონტით კი პირველი ქართლოსიანი (ქართლოსი) თავისი ნათესავით არარატ-მასისის ქვეყნიდან მოვიდა. თარგამოსის შემწეობით, უკეთ მამამ თარგამოსმა წილად არგუნა მას ეს ქვეყანა. ავტორი ზოგადად სვამს კითხვას: „ხომ არ შეილება ამ ორი წყაროს - „მოქცევაჲს“ და ლეონტის ერთ სათავეზე მიუთითებს არიან ქართლი და არარატი?⁴

ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს სულხან-საბას განმარტება: ერი – მსოფლიო კაცი; ეროსანი – ყმიანი, ასევე ის, რომ „სომხითს ერანად უწოდენ მრავალ-გვარობისათვის და მრავალ-თესლობისა“. ავტორისავე აღნიშვნით, ეს იმიტომ ხომ არა, რომ „სომხითში“ ოდესმე ერები ცხოვრობდნენ, ეგების აქ იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „არიანი“. რანი, დასძენს ავტორი, მიღებულია (ისევე როგორც ისკანდერ) არრანისაგან (ირანი, ერანი).

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I (V-X სს.), თბ. 1963.

² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 278-279.

³ გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 315.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205-206.

არაბებმა ალბათ არრანად გაიგეს, ე. ი. არ ართრონად მიეჩვენათ და დარჩა რანი. სხვებმა კი არაბებისაგან შეითვისეს, ქართველებმა კი ძველი ფორმა შემოინახეს არიან ქართლი¹.

მ. სვანიძის თქმით, არიან ქართლი მდებარეობდა მტკვრისა და არაქსს შორის². ავტორისავე აზრით, არიან ქართლი უნდა შესულიყო იბერიის ალბანეთის ან აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ხოლო მისი მმართველი უნდა ყოფილიყო აზო³ ხოლო პირველ მეფედ ფარნავაზს მიიჩნევს და იზიარებს ჩუბინიშვილის თარიღს ძვ. წ. 284 წელს, მისი დაარსების შესახებ⁴.

მოსე ჯანაშიელს „არიან-ქართლი“ აგონებდა შუა აზიის „არიანას“, რომელსაც იხსენიებს ალექსანდრე ლაშქრობათა ამბების მოთხრობისას ფსევდოკალისტენეს რომანი⁵.

მოქცევაჲ ქართლისაჲ ჭელიშურ ვარიანტში მოხსენიებულ ქალდეველთაგან გადმოსხმულნი „ჰონნი“, რომლის მაგიერად ლეონტი მროველს უწერია „ურიანი“, ექვთ. თაყაიშვილს აფიქრებინებდა, რომ შემოკლებულად აღნიშნული „ჰონნი“, ქარაგმის გახსნით „ჰურიანი“ უნდა იყოს. სხვა მკვლევრებმა, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ეს აზრი არ გაიზიარეს და „ურიანში“ გულისხმობდნენ იერუსალიმიდან გამოდევნილ ურიებს, რომელნიც ხერკში⁶ დაუსახლებიათ. „არიანი“, ექვთ. თაყაიშვილის თაყაიშვილის აღნიშვნით, შემდგენელს ამოუღია აპოკრიფული მოთხრობიდან, რომელსაც ქართულ ტექსტში „ქუაბი საგანძური“ ეწოდება, ხოლო ივ. ჯავახიშვილი, „განძთა ქვაბს“ უწოდებს. ის წარმოადგენს ასურულ თხზულების „განძთა ქვაბის“ ერთ-ერთი რედაქციის თარგმანს⁷, სადაც წერია: „ხოლო დღეთა თარაფსთა, 4(90) წელთა ცხოვრებისა მისისათა, გამოჩნდა ბრძანება ყოველსა ადგილსა, სოფელსა, რომელსა ჰრქვან არიანი, რომელ აღაშენა ირადს ძემან ებერისამან, და იყო კაცი იგი მდიდარი ფრიად, და მოკუდა, და ესუა მას ძე და შექმნა კერპი ოქროსა და აღმართა საფლავსა ზედა მამისსა თუსისასა“.

ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, ტექსტში ნაჩვენებია მხოლოდ „სოფელი“ „არიანი“ და არა „არიან ქართლი“, მისივე აზრით, ეჭვგარეშეა რომ ეს „ქართლი“ მიუმატებია ქრონიკონის შემდგენელს იმ მიზნით, რომ გაემართლებინა თავისი ტენდენცია ქართლის სამეფოს წარმოშობის შესახებ. მის ფანტაზიას ეს „სოფელი“ ანუ ქვეყანა გაუხდია მთელ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰყოლია მეფე და ამ მეფის შვილი ყოფილა აზო⁸. ყოველივე ეს ავტორს მიაჩნია „ქართლის მოქცევის“ შემდგენლის თვითნებობად⁹.

არ ჩანს სარწმუნო ექვთ. თაყაიშვილს მოსაზრება, რადგან „განძთა ქვაბის“ ხელნაწერში ქართლის არმოსენიების საკითხი არაფერს არ წყვეტს. ჩვენს მემბტიანეს როგორც ჩანს უფრო სარწმუნო წყარო ჰქონდა ვიდრე ეს. მეორე მხრივ გაცნობიერებულნიც ჰქონდა და შესაძლოა დაზუსტებითაც იცოდა სხვა „ქართლის“

¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314-315.

² А. Сванидзе, Материалы по истории Аларойдских племен, Тб. 1937, გვ. 147.

³ А. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

⁴ А. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

⁵ მ. გ. ჯანაშიელი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ. 1906, გვ. 52-53; 57-62.

⁶ ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში „არიან ქართლი“?, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, №9-10, თბ. 1948, გვ. 623.

⁷ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 624.

⁸ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 425.

⁹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

არსებობის შესახებ, რომელსაც წინ სიტყვა „არიანი“ ერთვოდა, როგორც გარკვეული სახელმწიფოს, ეთნიკურ ერთობის თუ გეოგრაფიული რეგიონის სახელწოდება. ამავე დროს წყაროების თანხვედრაც სარწმუნოა თვით სახელწოდებების მიხედვით, როდესაც მოხსენიებულია ებეროსი და ის კერპები, რომლებიც შემდგომ გაციისა და გაიმის ფორმით აზოს მოაქვს მცხეთაში.

ს. ჯანაშიამ ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არიან ქართლი ავტორმა დაუკავშირა ისტორიული მახსოვრობის იმ დიდ ქვეყანას, რომლის გეოგრაფიული სახელწოდება ძველი სამყაროსთვის ცნობილი იყო „პარი“ ანუ „ხური“ ფორმით. მისივე თქმით, ეს გახლავთ ვრცელი ტერიტორია წინა აზიის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელშიც შედის ტიგროსის და ეფრატის ზემო წელი, გვიანდელი ქალდეების ანუ ურარტუელების სამეფოს ტერიტორია და შესაძლოა ზოგიერთი ამიერკავკასიის რაიონები. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ასურული წყაროებით სუბართუს ქვეყნად იწოდება და ის ეთნიკურად სუბარებით იყო დასახლებული ხარის ქვეყნის შიგნით. სწორედ ეს პარიულ-სუბარული მოსახლეობა მიაჩნია ავტორს იმ ძირითად მასად, რომელსაც ჩვენ ქართველური მასის ჩამოყალიბებისკენ მივყავართ; ის ამ ხალხს იბერებად მიიჩნევს, ხოლო მანამდე პეროდოტეს ცნობაზე დაყრდნობით მათ სასპერებთან აიგივებს და მათი პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლებას მდ. მტკვრის სანაპიროსთან, ხსნის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობით აღმოსავლეთში¹. ავტორისავე აზრით, იბერების გაჩენა და წყაროებში სასპერების გაქრობა იხსნება ამ უკანასკნელთა გადასახლებით მდ. არაქსის ბასეინიდან მდ. მტკვრისაკენ. ეს გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ხდებოდა მუდმივად. ყველაზე ადრე დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე აღწევენ სვანები (II ათასწლეულში გვიან), მათ მოჰყვებოდნენ მეგრელები, ხოლო ბოლოს თვით ქართველები ანუ ქართვები². სასპერ-საბერების პოლიტიკური ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს ჩრდილოეთში, სადაც იქმნება იბერია დედაქალაქით არმაზ – მცხეთაში და საბერები საბოლოოდ უთმობენ ადგილს დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურაში ახალ ფორმა – იბერიას³.

როგორც აღნიშნულია, „მოქცევაჲს“, „ნინოს ცხოვრება“ უფრო ადრინდელი მატინაჲ და ფაქტობრივად ის არის ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ წყარო. ლეონტი მროველი ტექსტიდან იღებს „არიან ქართლს“ და მას ცვლის „ქართლის ერით“. მ. გოგოლაძის აზრით, აქ საქმე გვაქვს ლეონტის მიერ მის შეგნებულად შეცვლასთან. ავტორი „არიან ქართლის“ არმოსხენიების მიზეზად ლეონტის მიერ, მიიჩნევს იმას, რომ იგი წინააღმდეგობაში მოვა აზოს მოღვაწეობის მისეულ ხედვასთან, რის მიხედვითაც აზო ალექსანდრე მაკედონელის ნათესავია, ქართლის დამპყრობელი და იგი არ უნდა იყოს არიან ქართლის „მამათა ჩუენთა“ შთამომავალი. თანაც, ავტორისავე აზრით, „მოქცევაჲს“ კონცეფცია მისი კონცეფციის საპირისპიროა, რომლითაც არიან ქართლი იპყრობს მცხეთის რეგიონს და აერთიანებს ორ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს (სამეფოს და სამამასახლისოს) და შესაბამისად აზო ხდება ქართლის პირველი მეფე⁴.

¹ С. Джанашиа, Мцхета-древняя столица Грузии, VI, тб. 1988, გვ. 135-137.

² С. Джанашиа^а, История СССР с древнейших времен до образования древнерусского государства, შრომები, ტ. VI, тб. 1988, გვ. 373.

³ С. Джанашиа, Из исторического прошлого Грузии, Sromebi, ტ. IV, тб. 1988 გვ. 346.

⁴ მ. გოგოლაძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ნინოს ცხოვრების“ ერთი ადგილის ლეონტისეული ინტერპრეტაციის ახსნა, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, თბ. 2009, ტ. IX, გვ. 55-56.

ავტორი, ლეონტის ამ შეგნებულ გაყალბებას ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმოშობის იდეოლოგიური საფუძვლის და შინაგანი პროცესების შედეგად განვითარების მონათვლის, ანუ პოლიტიკური ცენტრის მიგრაციის იდეოლოგიურ მიუღებლობით ხსნის. მისივე აზრით, ქართული სახელმწიფოსათვის ამ პერიოდში პრიორიტეტული საზი არის ფარნავაზი, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი, რომლის მსგავსი გმირი მეფის სახით სჭირდება XI საუკუნის საქართველოს გაერთიანების იდეას. ამისთვის კი აზო მიუღებელია, რადგან ის უცხოელი დამპყრობელია. არიან-ქართლს, ავტორი, ძველ ქართულ სამყაროდ მიიჩნევს¹, მის ლოკალიზაციას ვერ ახდენს, თუმცა აღნიშნავს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პრემბულის ავტორი სწორად გადმოგვცემს მაშინდელი (ძვ. წ. VI-VII სს. თუ უფრო ადრინდელი ხანის) ქართლის საზოგადოების ისტორიულ ცნობიერებაში არსებულ ტრადიციას (ან შესაძლოა ძველი წყაროების მიხედვითაც) ქართული სახელმწიფოებრიობის ალექსანდრეზე გაცილებით ძველ ხანაში არსებობის შესახებ. ავტორი არიან-ქართლის, როგორც ქართული სახელმწიფო არსებობას სამხრეთში ვარაუდობს, რომელსაც ჰყავს მეფე².

ს. გიორგაძის სიტყვებით, როდესაც ალექსანდრეს მონარქიის ნანგრევებზე 312 წელს სელეუკიდებმა სირიასა და ბაბილონში ძლიერი სამეფო დაარსეს მისმა პირველმა სელეუკიდმა სელეუკ-ნიკატორმა, ქართული თემების შემოკლება დაიწყო. ავტორი აზოს არანის შვილს უწოდებს, რომელსაც კარდუხების (=„ქართუ“-ების ანუ „ქორთუ“-ებად) მეფე-მამასახლისად მიიჩნევს, ქართლ-კახეთს კი „მუსკების“ ანუ „მუსკების ქვეყანად“. მისივე აღნიშვნით, ყოველივე ეს კოლხეთითურთ დაიპყრო ამ სელეუკიდმა მმართველმა და ამ პროვინციების მმართველობა ჩააბარა აზოს, რომელსაც ცენტრად „მცხეთის“ პროვინცია დაუნიშნა. აზოს, ავტორი, პირველ ნაციონალურ მონარქად მიიჩნევს და ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ცენტრს სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმონაცვლებულად თვლის³. ავტორი ამავე დროს არან ფორმას მიიჩნევს სწორად და მას საკუთარ სახელად თვლის ანუ ქართლის მეფედ, რომლის ძეა აზონი. კარდუხთა ქვეყანა მისივე აზრით, „ორეთის“ მთის ძირას მდებარეობდა „რომელ არს ქურთთა ქვეყანა“ კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და ტიგროსის აღმოსავლეთით. ხოლო მცხეთას მთელ პროვინციად მიიჩნევს და არა ქალაქად⁴.

ვ. გოილაძის მოსაზრებით, არიან-ქართლად კაბადოკია უნდა იქნას მიჩნეული. მისივე აზრით, კაბადოკიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები, რადგანაც სპარსეთის ქვეშევრდომები იყვნენ, როგორც ჩანს ამის გამო „აქემენიდა ბატონობის გარეშე მყოფი ქართველები, კაბადოკიას არიან-ქართლის, ე. ი. ასურელთა (სპარსელთა) მფლობელობაში მყოფ ქართლს უწოდებდნენ“⁵. ავტორისავე აზრით, აზო-მითრიდატეს (იზიარებს ვ. მელიქიშვილის მოსაზრებას) ქართლში მცხოვრები და მის მიერ ქართლიდან ფარნავაზის მამის განდევნა დარიოს III-ის სიკვდილის შემდეგ, ალ. მაკედონელის მეფობაში მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. აზო არიობარხანის მეორე ძე და ჰელესპონტის ფრიგიისა და პონტოს სატრაპის – მითრიდატეს ძმა უნდა

¹ მ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57-59.

² მ. გოგოლაძე, ძველი ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, თბ. 2004, გვ. 79.

³ ს. გიორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, მეფობის დასაწყისი, მოამბე, IX, თბ. 1905, გვ. 48.

⁴ ს. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁵ ვ. გოილაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, მნათობი, №11, 1984, გვ. 156.

ყოფილიყო. ქართლის ტახტზე იგი მითრიდატეს აღ. მაკედონელის შუა აზიაში გალაშქრების შემდეგ უნდა დაესვა¹. ავტორი ხორეზმელებზე გადმოცემას არ უყურებს სკეპტიკურად და ხორეზმის მეფედ ფარსმანის აღიარებას უარყოფს და სწორედ ამ ფარსმანს მიიჩნევს ფარნავაზის მამად, რომელიც აზოსთან ბრძოლაში 324/23 წლებში უნდა დაღუპულიყო. ამ დროს ფარნავაზი 3 წლის ყმაწვილი იყო².

მ. სანაძის აზრით, ასურეთისა და მიდიის საზღვარზე შედარებით ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთში არსებულ სკვითურ სახელმწიფოს სწორედ „მოქცევაჲ ქართლისაჲში შემონახული სახელი „არიანი“ უნდა რქმეოდა. ამ სკვითური ქვეყნის – არიანის – მეფის იარედის ძე უნდა იყოს აზო, რომელმაც ძვ. წ. VI ს-ის I მეოთხედში „ქართველები“ თავიანთ ახალ სამშობლოში სამხრეთ კავკასიაში მოიყვანა. ავტორისავე აზრით, აზოს რვა სახლი და „მამამჟექთა“ (მოკიდებული, დანათესავებული სახლები) ათი თუ ოცი სახლი (იგივე ოცდარვა სახლი თურქთა) უმცირესობაში აღმოჩნდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და მოხდა მოსულთა ასიმილირება დამხვედურ ეთნოსთა მიერ³. როგორც ვხედავთ, ავტორი, სრულიად უარყოფს ქართველთა დამატებითი მასის ანუ სხვა ქართველური ტომების მიგრაციას ამ პერიოდის ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე და მიგრანტებში არამონათესავე ეთნოსს ხედავს, რაც ვფიქრობთ, სრულიად არ შეესაბამება წერილობით წყაროებში და არქეოლოგიურ მასალაში ასახულ სინამდვილეს. პირიქით გვგონია, რომ ამ პერიოდში ქართლის ტერიტორიაზე, რომელიც ენობრივად და ტომობრივად საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო და სადაც ერთ-ერთი ქართველური ტომი უნდა სახლებულიყო, რომელთაც ალბათ გაბატონებული მდგომარეობა არ ეჭირათ, აზოს მიერ ხდება სამხრეთით არიან ქართლის ქვეყნიდან ანუ არიანის ქვეყნიდან დამატებითი ქართველური ტომების გადმოსახლება.

ბ. ბაკაევი, ნართების ეპოსს ხურიტულიდან მომდინარედ მიიჩნევს. მისივე აზრით, სწორედ მათმა ჩამოსახლებამ გამოიწვია მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. მათი ძირითადი ნაწილი ასურული წყაროების მიხედვით „ნაირის“ ქვეყნების სახელწოდებით გვხვდება. მისივე აზრით, დასაშვებია „ნაირის“ წარმოშობა სიტყვიდან „ნარა“. ხოლო ნართების სახელწოდება სემანტიკურად შეიძლება დაუკავშიროთ ნართის ერთობას⁴.

საინტერესოა დიადბექირის ჩრდილოეთით მოხსენიებული ქვეყანა (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში ურარტუს მეფე მენუას წარწერაში) არამეხსი, რომელსაც გ. კაპანციანი გარკვევით ვერ უკავშირებს არ(ა)მენ-ს არმენუხი-ს ქვეყანას და არმეე-ს, თუმცა, აღნიშნავს, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა ეთნიკურ ტერმინ არამ-ის ქვეშ გიგულისხმით არმეელ-სირიელების საერთო სახელწოდება⁵.

აღნიშნულია, რომ ბაბილონელებში არსებობდა მდინარის ღმერთი nara -, ხოლო ეპიკურ დროს იყო Nara, რომელიც ნიშნავდა „განდხარვე“-ბის სახეობას, ხოლო მოგვიანებით „წყლის სულს“, რომელსაც არც თუ შემთხვევით შეესატყვისება ფიცის ხეთური ღმერთის სახელი Nāra, როგორც ამას პ. კრენჩერი ფიქრობდა. სახელწოდება

¹ ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

² ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158-159.

³ მ. სანაძე, ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე) თბ. 2001, გვ. 52.

⁴ X. З. Бакаев, С. Л. Дударев, К вопросу об истоках нартского эпоса, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989, გვ. 73.

⁵ Гр. Капанцян, Хеттские боги у армян, Эреван, 1940, გვ. 6.

ნურინი ჩანს სომხურ წვიმის გამომწვევ რიტუალშიც, რომლის დასველების შედეგად უნდა წამოსულიყო წვიმა. ასევე Naroy, Naroy, jan-ის სახით¹ სიტყვები შემორჩენილია სომხურ სიმღერაშიც, რომელიც ნიშნავს, „ვირფას ნაროის“ და, გამოთქმული მოსაზრებით, მას შესაძლოა წყლის ქაღალდობა Nara-სთან ჰქონდეს კავშირი². საინტერესოა ასევე ბერძნული ზღვის ღმერთი Ηερεα, რომელსაც საფუძვლად უდევს Nāra³.

მოვსეს ხორენაცის ცნობით (V ს.) სომეხთა მითური წინაპარი ყოფილა არაიანი არა, რომლისგანაც შემდგომ სხვები მომდინარეობენ. ქაღალდეველთა წინაპარიც ამისვე პარალელურად არის არიოსი, ხოლო ებრაელთა ისაჰაკი. არაიანი „არა არას“ ვაჟია, მას შემირამმა შეარქვა არა და ჩვენი ქვეყნის გამგებლობა მიანდო⁴.

რ. ფრაის აღნიშნით, ერასტოფენეს მიერ ნახმარი არიანე, აღმოსავლეთ ირანის დიდი ნაწილის აღსანიშნავად (ბაქტრიის გარდა) უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ასე იწოდებოდა მხარეები, რომელზეც არ ვრცელდებოდა ბერძნების ხელისუფლება. ცოტა მოგვიანებით ეს სახელწოდება პართიის სახელმწიფოზე გავრცელდა⁵. ავტორისავე აზრით, ურარტუ წარმოადგენდა ადგილობრივ სახელწოდებას, რომელიც თავდაპირველად ალბათ აღნიშნავდა ასურეთთან ახლოს მყოფ ტომს. ბიბლიაში ეს სიტყვაც არარატის ფორმით არის ფიქსირებული. მკვდარი ზღვის კუმრანის ხელნაწერებში - (h)urart, ბუხისტანის ბაბილონურ ვერსიაში Uraštu (შესაბამისი ადგილები ძველსპარსულ და ელამურ ვერსიაში Arminia-არმენია), სომხურ ენაზე აირარატი ჰეროდოტესთან არის Alarodi, თვით ურარტუელები თავის წარწერებში⁶. თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ Biainali-ს. ავტორისავე აზრით, ხურიტული ეთნიკური ელემენტი უნდა შეჭრილიყო არმენიის მთიან რაიონებში ხური-მითანის სამეფოს არსებობის დროს. ავტორი ურარტუს სახელმწიფოს ადგილას ჩრდილოეთში თვლის ქართველებს, ხოლო სხვა რაიონებში სომხებს⁷.

რ. ფრაის აზრით, არია თავდაპირველად ნიშნავდა „წარჩინებულს“ ან „ბატონს“. ის იყო საერთო სახელწოდება ხალხისა, რომელიც ლაპარაკობს ერთ-ერთ ინდოევროპულ ენაზე ან დასავლური ჯგუფის დიალექტზე. არიელი ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში დასახლდნენ მდ. განგსა და ეფრატს შორის მხარეებში. იმათთვის ვინც წავიდა ინდოეთში დედა სამშობლო არიელებისა მდებარეობდა ინდოეთის სუბკონტინენტიდან ჩრდილო-დასავლეთით. იმათთვის ვინც მოვიდა მესოპოტამიაში, არიელთა ქვეყანა მდებარეობდა აღმოსავლეთში მაგრამ წარმოადგენდა ამ ქვეყანაზე⁸ აგრძელებდა არსებობას მოსულთათვის და გადატანილი იქნა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. ავტორისავე აზრით, ვრცელ აქემენიდურ იმპერიაში ტერმინი (ძველირანული) *aryānūm cšaθram „ქვეყანა (ან სამეფო) არიელების“, როგორც ჩანს არ იყო გამოყენებული. მოგვიანებით, აქემენიდების იმპერიის დაცემის შემდგომ, ბერძნულ წყაროებში შეიშინება აღრევა და გაიგივება

¹ Гр. Капанцян, დასახ. ნაშრომი, გვ. 44-45.

² Гр. Капанцян, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

³ Гр. Капанцян, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

⁴ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ. 1984, გვ. 83.

⁵ Р. Фрай, Наследие Ирана, М. 1972, გვ. 250.

⁶ Р. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

⁷ Р. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 98-99.

⁸ Р. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

„Арья-Арея-სთან“, რომელიც იყო მნიშვნელოვანი პროვინცია აქემენიდურ სახელმწიფოს აღმოსავლეთით, Haraiva ძველსპარსული წარწერისა, Areia და *Aria პეროდოტესთან და სხვა ავტორებთან. პართიის ექსპანსიასთან ერთად ტერმინი *Aria ან Ariane ბერძნული წყაროებისა, გავრცელდა ისე ფართოდ, რომ საბოლოო ჯამში იქცა „დიდ არიად“, ტერმინი ექვივალენტური სახელწოდებისა „არიელთა სამეფო - Eranšahr(Эраншахр), როგორც უწოდებდნენ თავიანთ ვრცელ სამშობლოს სასანიდები. ირანი კი მისი ძველი სახელწოდების გაგრძელებას წარმოადგენს¹.

არიანთან მიმართებაში ყურადღებას იქცევს ასურულ წყაროებში მოხსენიებული ნაირის ქვეყანა.

გ. მელიქიშვილის კვლევით, ძვ. წ. აღ. XIII საუკუნიდან მოყოლებული ძვ. წ. VIII საუკუნემდე ასურეთის მეფეებს არაერთგზის უხდებოდათ შეტაკება „ნაირის ქვეყნების“ დიდ კოალიციებთან. მაგალითად უკვე თუქულთინინურტა I-ს (1280-1245) ნაირის მხარეში გალაშქრებისას შეტაკება უხდება „ნაირის“ 43 მეფის კოალიციასთან. თუქულთინინურტა I ამბობს, რომ მან დაამარცხა ნაირის ამ 43 მეფის ლაშქარი და დამარცხებულთა სისხლით მორწყო მთის ხეობები. ტიგლათფილესერ I (1115-1077) ვრცლად მოგვითხრობს ნაირის 23 მეფის გაერთიანებაზე, რომელთაც ჩანს შეუერთდნენ ნაირის კიდევ სხვა მეფეები: „იმ დროს, - ამბობს ტიგლათფილესერი, - ძალისა მადლისა ასურ ღვთაებისა, მეუფისა ჩემისა, მამაცი შამაშ ღვთაების ერთგული წყალობით, დიდ ღვთაებათა შემწეობით, მე რომელიც ოთხთა სამყაროთა ზედა სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არა მყავს მძლეველი ომში და ტოლი ბრძოლაში, გამგზავნა ღვთაება ასურმა, მეუფემ, შორეულ მეფეთა ქვეყნისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას (ცხოვრობდნენ) და რომელთაც არ იცოდნენ (თუ რაა) მორჩილება. და მე წავედი...“ ტიგლათფილესერ I მოგვითხრობს, რომ მან გადაიარა 16 უზარმაზარი მთა, სადაც მას მოუხდა მეტად მძიმე გზებით სიარული; ამის შემდეგ იგი მდინარე ფურათუს მიადგა (ე. ი. ევფრატს – იგულისხმება მდ. არცანია, დღევანდელი მურად სუ). „გადავლახე მდინარე ფურათუ, - განაგრძობს ტიგლათფილესერი, - თუმეს ქვეყნის მეფემ, თუნებეს ქვეყნის მეფემ, თუალის ქვეყნის მეფემ... (სულ ჩამოთვლილია ნაირის 23 სხვადასხვა ქვეყნის მეფე), ერთნაირად ნაირის ქვეყნების 23 მეფემ, შეკრიბეს თავიანთი ქვეყნის ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისათვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყედი მე მათ. ღვთაება ადადის კოკისპირული წვიმის მსგავსად მე აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება. მათი მეომერბის გვამები მე მომოვიფანტე... მთის მაღალ ადგილებსა და მათი ქალაქების ირგვლივ. 120 მათი საომრად აღჭურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე მე, ნაირის ქვეყნის 60 მეფეს, მათთან ერთად, რომლებიც მათ საშველად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზედა ზღვამდე მივსდიე...“².

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, ტიგლათფილესერ I-ის მიერ ჩამოთვლილი 23 ქვეყნის სახით მეტად ვრცელი ტერიტორიის მომცველი გაერთიანებაა ჩამოყალიბებული. მისივე თქმით, ნაირის ამ ქვეყნებს შორის იხსენიება ერთი მხრით ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე თუმეს ქვეყანა, ან ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთი, მდ. ზედა ზაბის რაიონში მყოფი ხიმუა და, მეორე მხრით, ჩრდილოეთით (დღევანდელი არზრუმის

¹ P. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

² გ. მელიქიშვილი, ნაირი-ურარტუ, თბ. 1951, გვ. 31-32.

რაიონსა და უფრო ჩრდილოეთით) მდებარე ისეთი ერთეული, როგორცაა დაიანნი. ეტყობა, განაგრძობს ავტორი, ხალხთა ამ გაერთიანებაში, რომელთაგანაც ბრძოლა მოუხდა ასურეთის მეფეს, შედიოდა ნაირი-ურარტუს ბევრი სხვადასხვა ტომი დაწყებული ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე ქვეყნების მცხოვრებთაგან, ვიდრე სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებამდე, რომლის ჰეგემონი ნაირის უკიდურეს ჩრდილოეთში, სამხრეთ-დასავლეთით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მდებარე ხურიტული დაიანნის სამეფო ყოფილა¹.

შემდგომში სალმანასარ III-ის (860-825) დროს მოხსენიებულია ხუბაშქიას სამეფო (რომელიც ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზეა), რომლის მეფეს სალმანარ III-ე, „ნაირის ქვეყნის მეფეს“ უწოდებს². გ. მელიქიშვილისავე აღნიშნით, „ნაირი“, ასურელებისათვის ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგად სახელს წარმოადგენდა³. დიდი (ზემო) ზღვაც, ტიგლათფილესერის წარწერაში იხსენიება ნაირის ყველაზე ჩრდილოეთ ქვეყანასთან – დაიანნისთან კავშირში, როგორც ასურელების მიერ დაპყრობილი ნაირის ჩრდილოეთი საზღვარი და გულისხმობს ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ნაირი-ქვეყნის (დაიანნის) გავრცობას დიდ (ზემო) ზღვამდე. ე. ი. შავ ზღვამდე. ხოლო დაიუხის სამხრეთის პერიფერიას არზურუმისა და ევფრატის რაიონი (მდ. ყარა-სუ) წარმოადგენდა. ნაირის ქვეყნებში (დაიანნის ბატონობის დრო), ავტორისავე აზრით, შედის ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე თუმეს ქვეყანაც⁴, ე. ი. ზოგადად ნაირი არის ვანისა და ურმიის ტბათა გარშემო მდებარე ვრცელი ტერიტორია⁵, რომელიც განივრცობოდა „დიდ ზემო ზღვამდე“ ე. ი. შავ ზღვამდე⁶, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვანის ტბა ნაირის ქვეყნების ზღვად არის ნახსენები. აქ ნახსენებია როგორც დიდი ზემო ზღვა, ასევე დიდი ამურის ქვეყნის დიდ ზემო ზღვაში გულისხმობდნენ შავ ზღვას, ხოლო დიდი ამურუს ქვეყნის ზღვაში ხმელთაშუა ზღვას, ხოლო ნაირის ქვეყნების ზღვაში – ვანის ტბას⁷. შუაასურული ხანის წარმოდგენით, ნაირი იწყებოდა დაახლოებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევფრატის (მურადსუს და ყარა-სუს) შესართავთან და აქედან ვრცელდებოდა ჩრდილოეთისკენ მურად-სუ – ყარა-სუს ორმდინარეთისა და შავი ზღვის მიმართულებით⁸.

სახელწოდება „ნაირის“ ეტიმოლოგია სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით გაურკვეველად ითვლება.

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედიის მეცხრე ტომში აღნიშნულია, რომ სახელწოდება „ნაირის“ წარმოშობა უცნობია. მდებარეობის შესახებ კი აღნიშნულია, რომ ის მდებარეობს ასურეთის ჩრდილოეთით ურმიის ტბის და განსაკუთრებით ვანის

¹ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-35.

² გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

³ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁴ გ. მელიქიშვილი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „მომომხილველი“, თბ. 1951, ტ. II, გვ. 208.

⁵ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

⁶ გ. მელიქიშვილი, საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ. 1955, გვ. 63.

⁷ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, гв. 182-183.

⁸ გ. მელიქიშვილი, შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასულურ ლურსმულ წარწერებში კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966, გვ. 29.

ტბის ბასეინში და იხსენიება თურქულთინინულტა I-დან (ძვ. წ. XIII ს-ის დასასრული) სარგონ II-მდე (722-705)¹.

რ. ფრაის აღნიშვნით, ნაირი ეწოდებოდა ვრცელ ტერიტორიას ასურეთის ჩრდილოეთით. ურმიისა და ვანის ტბას შორის. მისივე აზრით, ნაირი იყო თავდაპირველი საერთო სახელწოდება ქვეყნებისა, რომელიც რამოდენიმე სამეფოს მოიცავდა. ავტორი იზიარებს გ. მელიქიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ასურული წყაროების ნაირი მომდინარეობს სახელწოდება ნახრია-სგან, რომელსაც ხურიტები ასურეთის ჩრდილო-დასავლეთით ათავსებდნენ².

ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, ასურელები თავიანი სახელმწიფოს ჩრდილოეთ ქვეყანას ნაირი-ს ქვეყნებს უწოდებენ. მასვე იქვე მოჰყავს გიოტცეს მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება ეგვიპტური სახელის ნაჰარაინისგან უნდა იყოს თითქოს წარმომდგარი. მისივე აღნიშვნით, ამ ქვეყნის დასავლეთის საზღვარს მელიტენე ჩრდილოეთით მდებარე ადგილი შეადგენდა და არბელამდე აღწევდა. სამხრეთი საზღვარი პოლიტიკური პირობებისდა მიხედვით იცვლებოდა, მაგრამ მისი შუაგული ვანის ტბის სანახები იყო³.

გ. გიორგაძის აღნიშვნით, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ხური-მითანის ტერიტორიის აღსანიშნავად ეგვიპტურ წყაროებში იხმარებოდა სემიტური წარმოშობის „ნაჰარინა“ („ნაჰრინა“), რაც სიტყვასიტყვით „ორმდინარეთს“ ნიშნავს („ძველ აღთქმაში“ ეს ტერმინი შემოინახა „ნაჰარაიმ“-ის ფორმით). ასურულ წყაროებში კი ეს ტერიტორია ცნობილია „ხანიგალბათის“ (ანდა „ხალიგალბათის“) სახელწოდებით, ხოლო ამ ადგილებში მცხოვრები ტომები თავიანთ ქვეყანას „ხურის“ უწოდებდნენ⁴.

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, ეგვიპტური წყაროების მიხედვით, დაახლოებით ჩრდილოეთში არის ნახარინის ქვეყანა საიდანაც მოაქვთ ეტლისთვის ხის ისეთი მასალა, რომელიც არ იზრდება არარატის მთების და ტრაპეზუნტის სამხრეთით. ავტორისავე აზრით, სიმპტომატურია ღრმა რეიდები შუაასურეთის სამეფოს ჩრდილოეთით, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც ბრძოლის ნაწილი მთავარ მტერ მითანის სამეფოსთან. ავტორისავე კვლევით, ჩვენ ამაზე მანამდე პირდაპირ წყაროებში მინიშნება არ გვაქვს, მაგრამ ასეთ კონტაქტებზე მითითებები არის ადარნიდარ I-ის (1307-1276), თურქულტი-ნინულტა I-ის (1245-1209), ტიგლათფილასარ I-ის (1115-1077) ანალებში, რომლებიც ლაშქრობენ ყარა სუს რაიონში და უფრო ჩრდილოეთია შავი ზღვის ნაპირებამდე „ნაირის“ მსხვილი გაერთიანების წინააღმდეგ. ავტორი აქ უშვებს ხურიტულ კვალს და მათ ეთნოკულტურულ წრეს უკავშირებს თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომებს⁵.

ფ. მარტიროსოვის აზრით, ნაირი ურარტუს სახელმწიფოს ასურული სახელწოდება უნდა ყოფილიყო⁶.

ს. გოგიტიძის აზრით, „ნაირი“ შესაძლებელია იყოს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა გაერთიანება, ასევე, ავტორის ვარაუდით დასაშვებია ძველადმოსავლური „ნაირის“ და ბიბლიის „ნაიდის“ ქვეყნების გაიგივება¹.

¹ Советская историческая энциклопедия, т. IX, М. 1971, გვ. 875.

² Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб. 1954, გვ. 19.

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1952, გვ. 215.

⁴ გ. გიორგაძე, ხური-მითანის სამეფო, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1971, გვ. 230-231.

⁵ Г. А. Меликишвили, Возникновение хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии, Вестник древней истории, 1(91), М. 1965, გვ. 22.

⁶ Ф. И. Тер-Мартиросов, О стране Наири-Хубушкия, Историко-филологический журнал, Ер. 1972, №2, გვ. 215.

ვფიქრობთ, არ არის მართებული ის მოსაზრება, რომ ურარტუს ასურული სახელწოდება იყოს ნაირი, რადგან ურარტუს სახელწოდებად ასურეთის მეფეებთან მე-11 საუკუნეში ნაირის გვერდით მოხსენიებულია ურუატრი, ხოლო ურარტუს სახელმწიფოს შექმნამდე ნაირი უკვე იხსენიება ასურულ წყაროებში. რაც შეეხება „ნაირის“ და მტკვარ-არაქსის ურთიერთმიმართებას, რათქმა უნდა ამ ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი გავრცელების არეალი სავარაუდოა, თუმცა აქ არანაირ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე მტკვარ-არაქსის დროს სუბარი არ შეიძლება. ჩვენი აზრით, ნაირი არ უნდა იყოს ამ ტერიტორიის ადგილობრივ მცხოვრებთა ანუ ძირძველი ხურიტებამდელ მტკვარ-არაქსელთა ანუ სუბარელთა მიერ შერქმეული სახელწოდება.

სახელწოდება „ნაირის“-სთან დაკავშირებით პირველ რიგში ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ანუ იმან, რომ ეს ადგილები ზღვებით (ანუ ტბებით) არის გარშემორტყმული და მისი საზღვარი „ზემო დიდ ზღვამდე“ ანუ შავ ზღვამდეც კი აღწევს. ამ პერიფერიაში (ვანის ტბის სანახები) ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან მაინც, ქართველურთან ერთად ხური-ურარტული ტომები ცხოვრობდნენ,

შესაძლოა ქვეყანათა სახელწოდების „ნაირი“ ფორმაში საქმე გვეკონდეს ზღვის რესპ. ტბის ირგვლივ მცხოვრებ ხალხთან, კერძოდ, ხეთურში aruna – ზღვა, ფალაური aruna, ზღვა, რომელიც, გამოთქმული მოსაზრებით, შესაძლოა ძველ ინდოევროპულ – árna-ს შეესაბამება, შდრ. arṇava-, „ზღვა“, „მღელვარე ტალღები“. ასევე ძველი ინდური arṇavá, ხოლო mahān სიტყვასთან ერთად arṇavá, - ნიშნავს ზღვის სულს – დემონს. გამოთქმული მოსაზრებით, არ არის გამორიცხული, რომ ორივე ეს სიტყვაც – ძველ ინდურ arṇavá – ზღვასაც და ხეთური არსებითი სახელი aruna – ზღვა, ნაწარმოები იყოს ფუძისაგან, *-er/*or/*ro- მნიშვნელობიდან, „მაღლა აწევა“, „მოძრაობაში მოსვლა“. არ არის გამორიცხული, რომ ანატოლიური არუნა – ზღვა, წარმოადგენს ნაზმნარ სახელწოდებას -uan/-un სუფიქსზე იმავე ინდოევროპული ძირიდან *or:*or-un-².

აღსანიშნავია, რომ პროტოხეთურად არიანა ნიშნავს „წყაროს“ (შდრ. ხეთურ-ნესიტური არუნა – ზღვა)³.

იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ *ორ ნიშნავს „აღდგომას“, „აწევას“ ეს ინდოევროპული სიტყვა განიხილება როგორც აღწერილობითი წარმონაქმნი პირველადი ზმნისაგან, და ის არა მარტო ზღვას ნიშნავდა, არამედ ნებისმიერ დიდ წყალსატევებს, რომლის ზედაპირზე შეიძლება იყოს ტალღა, კერძოდ დიდ ტბებს. საყურადღებოა, რომ ხეთური არუნა – ზღვასთან ერთად აღნიშნავს ასევე „დიდ ტბას“, სხვადასხვა დიალექტებში კი თავდაპირველი მნიშვნელობით ზოგადად აღნიშნავდა „ტბას“, „გუბეს“, „ჭაობს“, „წყალს“. ინდოევროპულში ამ სახით გვაქვს შემდეგი სიტყვები ლიტური – jūra – ზღვა; ლატვიური jūra – ზღვა; პრუსიული iūrīn – ზღვა, ძველ ინდური ēar „ზღვა“, ძველ ინგლისური vār, vāri – წყალი, ავესტური vār – წვიმა, vairi – ტბა, სომხური გაყრ - „ჭაობი“, თოსარული wār, war – წყალი⁴.

¹ გ. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიიდან (ძვ. წ. XII-IV სს.) ბათ. 2002 გვ. 27.

² Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, М. 1984, гв. 671-672.

³ П. Н. Ушаков, Древнейшее население Малой Азии, Кавказа и Эгейды, Вестник древней истории, М. 1939, гв. 59.

⁴ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 672.

განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს ფუძე *mor//*mar – ზღვის მნიშვნელობით, რომელიც მთელ რიგ ძველევროპულ დიალექტებში ნიშნავს, „ტბას“, „ყურეს“ ჭაობს. ლათინური – mare, ნათესაობით ბრუნვაში – maris „ზღვა“, ძველი ირლანდიური muir – ზღვა, ვალიური, კორნიული, ბრეტონული mor – ზღვა; გოთური marei – ზღვა, ძველი გერმანული mari, meri (გერ. meer) – ზღვა; ძველ სლავური morje – ზღვა, ძველი ისლანდიური marr – ზღვა, ტბა, ძველ ხეთური marmar(r)a-, ჭაობი, ძველ ინგლისური mere – ზღვა, ტბა და სხვა¹.

აქადურ nār არის მდინარე². ფრაკიული - apa - წყალი³, ხეთური და ფალაური - aruna - ზღვა. ინდ. arnava - ზღვა. შესაძლოა ნიშნავდა დიდ შავ ზღვას (ძველსომხური cov - ზღვა = სევანის მსგავსად⁴).

სახელწოდება ნაირისთან მიმართებაში ზემოთ დასახელებულ ზღვის, ტბის, ჭაობის, წყლის და ა. შ. აღმნიშვნელ სიტყვებში გამოიყოფა or – საერთო ინდოევროპული ფუძისეული ir, ar, or – ის იდენტური დიალექტური ფუძეები, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნაირი – სიტყვაში „ირი“, „ირ“ მივიჩნიოთ ზღვის, ტბის ან ზოგადად წყლის სახელწოდებად. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ამ ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას ურმიისა და ვანის ტბის გარშემო და ასევე ისიც მნიშვნელოვანია, რომ ნაირის საზღვარი ზემო დიდ ზღვასაც აღწევს, რაც სავარაუდოდ შავი ზღვა უნდა იყოს.

კიდევ უფრო მეტი იდენტობის საშუალებას იძლევა ინდოევროპულ ენებში (და არა მარტო ინდოევროპულში), ხომალდის და ნავის სახელწოდებები. მაგ. ძველ ინდური nāu – ხომალდი, ნავი ავესტური nāuayā – სანაოსნო (მდინარე). ბერძნული – ჰომეროსთან *nhu*“; ძველ ირლანდიური nāu – ხომალდი, გემი, ძველ ისლანდიური nāu „ხომალდი“, ძველი ინგლისური nōwend – ზღვისმავალი⁵.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ბოლანქის ტექსტებში არიანა მიჩნეულია წყაროს სახელწოდებად და როგორც ვარაუდობენ, ის წყაროს ლუვიტური სახელი უნდა იყოს (ფორერი)⁶.

ზემოთ წარმოდგენილ მასალასთან მიმართებაში საინტერესოა მეგრული ტბის, ოკეანის და კოკისპირული წვიმის სახელწოდება „მერეხი“ და ქართული „მარილი“, რომელიც უშუალოდ ზღვასთან არის კავშირში და რომლის ინდოევროპულ (საერთოგერმანული *მარი, ლათინური – მარე, ლიტვური – მარეს და სხვა) სიტყვებთან იგივეობაზე ყურადღება გ. მელიქიშვილმაც გაამახვილა⁷.

ვფიქრობთ იდენტურია ქართული „რუ“ – დღე (პატარა მდინარე) და ინდოევროპული (ორ) ზღვის, ტბის და ა. შ. აღმნიშვნელი ზემოთ წარმოდგენილი სიტყვები. აქვე საყურადღებოა მდ. რიონის სახელწოდება, რომელსაც ბერძნები, უფრო მოგვიანო ხანაში „რიონის“ ფორმით გამოკვეთილად პროკოფი კესარიელი იხსენიებს.

¹ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 673.

² И. М. Дьяконов, *Языки древней Передней Азии*, М. 1967, გვ. 211.

³ И. М. Дьяконов, *Хетты, фригийцы и армяне, Переднеазиатский сборник, Вопросы Хеттологии и Хурритологии*, М. 1961, გვ. 341.

⁴ Т. И. Тиль, *Хурритский язык и другие субстратные языки Малой Азии. Древние языки Малой Азии*, в сборнике *Анатолийские языки*, М. 1950, გვ. 131.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 674.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38

⁷ Г. А. Меликишвили, *Возникновение хеттского царства и проблемы древнейшего населения Закавказья и Малой Азии*, *Вестник древней истории* 1(91), М. 1965, გვ. 27.

ხოლო უფრო ადრე ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში სქილაქს კორიანდელის მიერ ნახსენები რის-ი სავარაუდოდ რაიონია, იგივეა საგულვებელი პლინიუსის „რონის“ სახით¹. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ბერძნები მას უმრავლეს შემთხვევაში „ფაზისის“ სახელწოდებით იცნობენ, მასზე საყურადღებო მინიშნებას გვაძლევს ძველი ქართული მწერლობა, რომელსაც ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება, სადაც აღნიშნულია, რომ „მდინარესა მას ფასონსა რომელი არს ენითა ქართულითა რიონი“-ო. უძველეს რუსულ წყაროებში ის Реянь-ის (ელჩინთან), იველევთან კი Реонь-ის ფორმით იხსენიება². მდ. რიონის იდენტური სახელწოდებებია ასევე რეინი. ამ სახელწოდებასთან უნდა იყოს კავშირში. ასევე ოქროს საწმისის მდებარეობის ადგილი ძველ კოლხეთში არესის ჭალა, რომელიც, ჩვენის აზრით, რიონის (რისის, რეონის) სანაპიროზეა საძებნი.

საყურადღებოა ამ მხრივ ნაირისთან ურთიერთმიმართებაში არა მარტო რიონის სახელწოდება, არამედ სამეგრელოში შემორჩენილი ტოპონიმები ონარია, ანარია, რომლის ამოსავალი, პ. ცხადაიას განმარტებით, არის ნარუა, ონარე, ჩვეულებრივ არის ჭაობნარი, რომლის ზედაპირი ირყევა, ირწევა, თრთის ფეხის დადგმისას³ (მდრ. ძველ ინდოევროპულში შემორჩენილი ზღვის, ტბის სახელწოდებათა ფუძისეული ორ-ირ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა – რხევა, დეღვა, რწევა და ა. შ.)

აღნიშნულია, რომ სვანურში риеп „დიდ მდინარეს“ ნიშნავს⁴, ხოლო რეონის სახელწოდება დაკავშირებულია კელტური ენებიდან მომდინარე „წყლის“ სახელწოდებასთან. აქ უფრო გამოკვეთილად ჩანს ინდო-ევროპული ძირი რი „სვლა, დინება, სიჩქარე“ რი-ენოს - „მდინარი წყალი“⁵.

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ესპანეთის ისტორიული მხარის სახელწოდება „არაგონი“, რაც „მცირე მდინარეს“ ნიშნავს, ის მდ. ებროს ერთ-ერთ შენაკადს ეწოდებოდა თავდაპირველად. აღნიშნულია, რომ ეს ჰიდრონიმი კელტებამდელი წარმოშობისაა და მას აქვს ინდოევროპული ძირი არ (ap) მნიშვნელობით დინება, მიედინება“. თუმცა ამ ფუძის არაინდოევროპულობასაც მხარს უჭერს ზოგიერთი ავტორი (ი. ხუბშიდი) და არაგონს (ესპანეთში) ბასკური არაგოასთან აკავშირებს. მასში ინდოევროპელებამდელ ენობრივ სუბსტრატს ხედავენ⁶, მასთან მიმართებაში მე საინტერესოდ მიგვაჩნია ჰიდრონიმი არაგვი.

ვფიქრობთ, სახელწოდება ნაირის იდენტურია „ურმიის“ ტბის სახელწოდებაც რამდენადაც ნაირის ზოგიერთი ქვეყანა ურმიის ტბის სამხრეთითაც მდებარეობდნენ⁷. არ არის გამორიცხული ამ სახელწოდების იდენტურია ქართველთა არიანი ანუ არიან ქართლი არა თუ გეოგრაფიულად (თუმცა გეოგრაფიულადაც ნაირის ჩრდილოეთ მხარეს ან ჩრდილო დასავლეთით) არამედ ზოგადად როგორც ზღვასთან მცხოვრები ქართველების სახელწოდება და შესაძლოა ნაირის ქვეყნებშიც წამყვანი (ხურიტულთან ერთად) უნდა ყოფილიყო ქართველური ტომები, რომელთა არა მარტო მიგრაცია მოხდა ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით და არა იმდენად პოლიტიკური ცენტრების

¹ ს. ჯანაშია, ფასიდი, ენიშკის მოამბე, თბ. 1994, ტ. X, გვ. 348.

² ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

³ პ. ცხადაია, ძიებანი, კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ. 1999, გვ. 13.

⁴ В. А. Никонов, Краткий топонимический словарь, М. 1966, გვ. 354.

⁵ В. А. Никонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

⁶ В. А. Никонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.

⁷ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

გადანაცვლება (რაც გამოკვეთილად არ დასტურდება), არამედ ქართველური მოდგმის ტომების ეთნიკური საზღვრების სულ უფრო და უფრო თანდათანობითი დავიწროება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალდასურულ ენაში, ვფიქრობთ, შემორჩა ამ სიტყვის შესატყვისი *nāra, naravāti* (მრ.), მდინარის სახით¹. იგივეა *nāru* აქადურში².

გ. მელიქიშვილის აზრით, ქართული ტრადიციის მიერ დაცული ცნობა მცხეთაში არიან-ქართლის მეფის ძის აზოს გამეფების შესახებ კიდევ ერთი გამოძახილი უნდა იყოს ქართველ ტომთა ცალკეულ გაერთიანებებს შორის მიმდინარე ბრძოლების. აქ უნდა გულისხმობდეს სამხრეთის, საფიქრებელია, ქვემო ქართლის და მესხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული გაერთიანების მიერ თავისი ხელისუფლების გაგრძელება მცხეთის რაიონზე. ავტორი, ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ ამბებად (313 წ.) მიიჩნევს აზოს და ფარნავაზის ბრძოლას, რომელსაც მისივე ვარაუდით, დაეხმარა პონტოს სამეფოს მმართველი და თავისი ძალაუფლება გაავრცელა მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე³, ხოლო ფარნავაზის აჯანყება და მისი გამეფება ქართლში (იბერიაში), ავტორისავე აზრით, ანტიოქოსის მეფობის დროს მომხდარა. ეს ძვ. წ. აღ. III საუკუნის 70-იანი წლებში უნდა მომხდარიყო ანუ არტიოქოს I-ის მეფობის დასაწყისში⁴.

საკითხთან მიმართებაში ძალზედ საყურადღებოდ მიგვაჩნია ხეთურ წყაროებში ხშირად ნახსენები ქვეყნის არავანას სახელწოდება, რომელსაც „ზემო ქვეყანასთან“ ახლოს ანუ ქასქების (ზღვისპირას ცხოვრობენ) სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებენ (მალატიის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში)⁵.

ვფიქრობთ, არავანასა და არინი-ს ურთიერთობაზე საუბარი არ იქნება გაუმართლებელი, სადაც საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ქასქების ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, რომელთა მახლობლად და შესაძლოა მათსავე ქვეყანაში იყოს ნაგულისხმევი. ამავე დროს ამ რეგიონში სხვა ქართველური ტომებიც ჩანან.

ერთ ერთი უმთავრესი წყარო, რომელიც ქართველთა და კავკასიელ ხალხთა წინაპრებზე, მათ განსახლებაზე გვიქმნის წარმოდგენას არის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ რომელშიც მოცემული თხრობა, ვფიქრობთ ისტორიული რეალობის შემცველია და ჩვენს მემკვიდრეს სათანადო წყაროებზე დაყრდნობით უნდა შეემუშავებინა.

ლეონტი მროველის აზრით: „პირველად ვაჯსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თუსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარსისი, ძმისწული იაფეტისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განაბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მასით, და დაემკვდრა ორთა მათ მათა შუა კაცშეუვალითა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და

¹ თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ გ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. 1958, გვ. 0136.

² თანამედროვე ასურულის ქრესტომათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 0137.

³ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138-140.

⁴ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141-142.

⁵ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ. 2002, გვ. 140-141.

შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ. და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა.

ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არც: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგვეთარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმკნითა¹.

მ. სანაძის აღნიშვნით, რვა ერთეული ხალხი, რომელთა შორის ქართველთა წინაპარიც გაიაზრება, მიდის და იკავებს ჯერ აღმოსავლეთ ანატოლიას და სამხრეთ კავკასიას შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთ კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთ – გურგენის, ანუ კასპის ზღვა, დასავლეთით – შავი ზღვა, ხოლო სამხრეთით ორეთის, ანუ ხმელთაშუა ზღვა, ხოლო შემდეგ მათი ნაწილი (ორი ერთეული) გადადის და იჭერს ჩრდილოეთ კავკასიას, აღმოსავლეთის მდ. დიდი ხაზარეთიდან (მდ. ვოლგა) მოყოლებული, დასავლეთ კავკასიონის შავ ზღვასთან შეერთებამდე. ავტორისავე აზრით, აქ აშკარად ხალხთა დიდი მასის მოძრაობაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოცემული. ეს ტალღა კავკასიონის ჩრდილოეთითაც კი გადადის და ერთი ნაწილი იქ მკვიდრდება². ავტორი აზოს და ქართლოსის შესახებ თქმულებებს (მამამძუძეთა რვა სახლის მოყვანის შესახებ) ერთი და იგივე თქმულების ვარიაციებად მიიჩნევს³.

მ. სანაძის მოსაზრებით, თითქოს ისე გამოდის, რომ ამ „მოძმე“ ხალხთა გადმოსახლებამდე თითქოს კავკასიაში არავის უცხოვრია ან საერთოდ სხვა ეთნიკური მასით იყო დასახლებული, რასაც ვერ გავიზიარებთ. რა თქმა უნდა დიდი მიგრაციები იყო, მაგრამ ქართლის ტერიტორიაზე თუ ჩრდილოეთ კავკასიაში ხდებოდა დამატებითი ქართველური თუ სხვა მონათესავე ხალხთა გადმოსახლება. ამავე დროს აზოსა და თარგამოსზე ქართლის ცხოვრებაში დაცულ თქმულებებს აქვთ საერთო, მაგრამ მათ „მითიურ“ იგივეობას ჩვენ ვერ ვხედავთ. „მამამძუძეში“ პირდაპირ იგულისხმება ერთი სისხლით ნათესავი, ხოლო სახლში დიდი საგვარეულო ანუ იმ დროისათვის გავლენიანი საგვარეულო ერთეული, როგორც ნათესაური, ისე ტერიტორიული ერთეულის მმართველები. თარგამოსის რვა ძეში ძირეულად ერთი მოდგმის რვა სხვადასხვა ტომი ანუ „ნათესავნი“ - რვა ერთი წინაპრისაგან მომდინარე ეთნოსი უნდა ვიგულისხმოთ.

ი. დიაკონოვის აღნიშვნით, ბაბილონის მეფე ნებოფასალარის ჩრდილოეთში ლაშქრობებთან დაკავშირებით აღწერილი სავარაუდო მტრები (ძვ. წ. 609-606 წლები) ჩრდილო დასავლეთში შესაძლოა ყოფილიყო თაბალ-კილიკია. ავტორისავე აზრით, ლიდია-მიდიის (ძვ. წ. 590-585 წწ.) ომზეა საუბარი იეზიკელის წიგნში გოგისა და მაგოგის ქვეყნის წინააღმდეგ. ავტორისავე აზრით, სახელი გოგი შეესაბამება ლიდის

¹ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი კველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ. 1955, გვ. 3-4.

² მ. სანაძე, „ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ. 2001, გვ. 35.

³ მ. სანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

მეფე გიგესს და თითქოს წარმოადგენს ლიდის მეფეთა დინასტიურ სახლს, ხოლო მაგოგი ქვეყანაა, რომელიც მოშეხის და თაბალის ბელადად არის ნახსენები¹. ამ კოალიციაში ნახსენებია Bêb-Tôgârama (თარგამოსი ანუ დინასტიის სახლი). „თარგამოსის სახლი“ ტრადიციულად გაიგივებულია სომხეთთან. მას აიგივებდნენ ქალაქ Til-Garimme–სთან ან ხეთების მხარე Tegarama, Tagarama–სთან. ტიდგარიმმუ „ქალაქია თაბალის შემადგენლობაში, რისი სამეფო ხელისუფლებაც განამტკიცა გორდიამ (ფრიგიის მეფე), რომელიც მოიხსენიება სინაქერიბის მიერ ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ის ისევ დაპყრობილ იქნა ასურელების მიერ. ი. დიაკონოვის აზრით, ამ დროს ეს ქალაქი ეკავა პროტარმენებს, რომლებიც ამ ადგილებში ჯერ კიდევ ძვ. წ. XV საუკუნიდან ცხოვრობდნენ. ამის შემდგომ ეს ქალაქი ასურულ წარწერებში არ იხსენიება².

თაბალ-კილიკია და თოგარმა-მელიტენე ძვ. წ. VI საუკუნისათვის ცალ-ცალკე ქვეყნებია და ასურეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ. თოგარმა-მელიტენეს ი. დიაკონოვი სომხურ სამეფოდ მიიხნევს, რომელიც კიროს II-ის (მიდიის მეფე) შტამომავალია. მას ქსენოფონტეც ასახელებს. ეს სამეფო არის ბიბლიური თოგარმა³.

მ. სანაძის აღნიშნით, ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში მიდიის მეფე ყიადსარმა დიდი დარტყმა მიაყენა სკვითებს. მან დაამარცხა და დაიმორჩილა ურარტუც. ამან გამოიწვია სკვითური ტომების (28 „სახლი“) აყრა და ჩრდილოეთით გადანაცვლება. ავტორისავე აზრით, მათი ნაწილი სახლდება ვანის ტბის, ნაწილი არაგაწის მიდამოებში. ერთი ნაწილი კი აზოს მეთაურობით მოღის მტკვრამდე და აარსებს სახელმწიფოს, რომლის ცენტრი ხდება ხერკი. ავტორი, სკვითთა ბატონობის გაგრძელებას საუკუნე-საუკუნენახევრით ვარაუდობს⁴. ხერკში დამკვიდრებული აზო და მისი ხალხი საუბრობს ინდოევროპულ (სკვითურ//პროტოსომხურ) ენაზე, რომლის ქვეშაც გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ ავტორი „სომხური“ ენის პირველობას ქართლში⁵.

ვფიქრობთ, სკვითების ამ პერიოდში ქართლში ბატონობა არ მტკიცდება არქეოლოგიური მასალით. შესაძლოა მათი გარკვეული მასა აქ სახლობს და ხდება მიგრაცია, როგორც ჩრდილოეთიდან ისე სამხრეთიდანაც (საკების სახით), მაგრამ არა ბატონობა. მეორე მხრივ ხერკში ქართლის ცხოვრების ავტორი ცდილობს ამ ტოპონიმის ახსნას „ხარკი“ სიტყვიდან, რომელსაც, ჩვენი აზრით, სკვითებთან და სომხებთან კავშირზე აქ მინიშნებული არ გვაქვს.

აღნიშნულია, რომ I საუკუნის ანტიკური ავტორების სირკები არიან ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში სამხრეთ ვოლგისპირეთში მცხოვრებ და თავისი უფრო ძლიერ თანამოძმეთა მიერ გადმოსროლილი ტომები კავკასიისკენ სამხრეთში. მათი საერთო სახელწოდება იყო სავრომატები⁶. ისინი მყარად დამკვიდრდნენ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ყობანის ქვემო დინებასა და მარცხენა შენაკადებთან⁷. ამავე საუკუნეებში ისინი

¹ И. М. Дьяконов, Малая Азия и Армения около 600 г. до н. э. и северный поход вавилонских царей, Вестник древней истории, М. 1981, №2, გვ. 49.

² И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

³ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

⁴ მ. სანაძე, ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლისიდან მირიანამდე) თბ. 2001, გვ. 48.

⁵ მ. სანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

⁶ გვ. 111.

⁷ გვ. 112.

მკვიდრდებიან მდ. თერგის და სუნდჯის შესართავის მიმდებარე ტერიტორიებზე. სტრაბონის მიხედვით ისინი იბერიასა და ალბათნეთშიც ცხოვრობენ და სარმატების ფორმით ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეში ნახსენები არიან აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში, რომლებიც გამოთქმული მოსაზრებით, სწორედ ზემო ნახსენები სირაკები არიან. ისინი მდ. ლაბასა და ყუბანს შორის მკვიდრობდნენ¹. ასევე ვფიქრობს, მცდარია ის მოსაზრება, რომ ქართლის ცხოვრების მიხედვით ფარნავაზის მეუღლე სწორედ ამ ტომთა წარმომადგენლებიდან იყო და თვით ქართლის (იბერიის) მეფეთა სახელები ჩრდილოირანური იერისაა (საურმაგი, სხეფარნუგი და სხვა) და თვით საურმაგში ეთნონიმ სარმატსაც ხედავენ. ასევე ამ პერიოდში (ძვ. წ. III-II სს.) დაღესტნის მთიანეთისკენ გამოემართნენ აორსები², რომლებიც მტრობდნენ სირაკებს³. ვფიქრობთ, სკვითების ამხელა მასის გადმოსახლება, ისე, რომ მათ გავლენა მოეხდინათ ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არც წერილობითი წყაროებით და არც არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ მ. დიაკონოვის თქმით, Gamer – ალბათ კიმერიელების ქვეყანა კი არ იყო, არამედ ის, სადაც დაჯდნენ კიმერიელები, ანუ კაბადოკია⁴.

ბოლო წლებში ივრის ზეგანზე არქეოლოგიური დაზვერვების, სოციალური და აეროფოტოგადაღებების დეშიფრაციის შედეგად გამოვლინდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეების პროტოქალაქური დასახლებების სისტემა⁵. კერძოდ ივრის ზეგანზე, ყოველი 3-4 კილომეტრის მანძილზე განფენილია მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემით დაცული ამ დროის დიდი დასახლებები, რომლებიც როგორც წესი ორი ნაწილისაგან შედგება. მთის თხემზე განლაგებულია ციტადელი, რომელიც რამდენიმე გალავნითა და მძლავრი თხრილით არის გარშემორტყმული. უშუალოდ მათ გაგრძელებას მთის ფერდობზე კი წარმოადგენს ტერასებად დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტალები, რომლებიც ასევე მძლავრ საფორტიფიკაციო ნაგებობებით არის დაცული. იშვიათად, მაგრამ მაინც არის რამდენიმე შემთხვევა განსაკუთრებით მძლავრი თავდაცვით სისტემით გამაგრებული ამ დროის ნამოსახლარების აღმოჩენისა ივრის ზეგნის ვაკობ ადგილებში – კერძოდ, დიდი შირაქის ველზე. აქაც ისინი ორწილადაა – ციტადელი და მისი გარე დასახლება⁶.

გ. ფიცხელაური ყურდლებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლართა ციტადელების ირგვლივ არსებული გალავნების ქვის საძირკვლები დაკირულია წვრილი ქვა-ღორღის სქელი ფენით, რაც ავტორს აფიქრებინებს, რომ დამცავი ნაგებობის მშენებლობის ეს ტექნიკა, ისევე როგორც მოელს წინა აზიაში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში ივრის ზეგანზე ტრადიციულია⁷. ავტორისავე თქმით, ამ დროის სამარხების მიხედვით იქ მცხოვრები მოსახლეობა სამოქალაქო საქმიანობასთან ერთად მეომარიც იყო, რომელსაც მათი იარაღით თანხლებით

¹ В. Б. Виноградов, Сиракский союз племен на Северном Кавказе, Советская археология, М. 1965, №1, გვ. 113.

² В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

³ В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

⁴ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁵ გ. ფიცხელაური, ძვ. წ. II ათასწლეულის ცივილიზაცია სამხრეთ კავკასიაში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, თბ. 2009, გვ. 177.

⁶ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

⁷ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

დაკრძალვა ადასტურებს, მათ საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ლაშქრის შეკრება¹. მათ, ავტორისავე აზრით, უნდა ჰქონოდათ საბრძოლო ეტლებიც² და არ გამორიცხავს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და უფრო კი ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში არსებობდა საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში აღუდგა წინ ურარტუს ძლიერი სახელმწიფო და შეაჩერა მისი წინსვლა ჩრდილოეთით³.

გ. ფიცხელაური საკითხთან მიმართებაში იშველიებს ლეონტი მროველის ცნობებს ქართლოსიანთა შთამომავლების კუთვნილ ტერიტორიაზე და უეჭველს ხდის რომ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ქართლოსისა და მისი ძმის ჰეროსის წილი ქვეყნების საზღვრები ერთად ემთხვევა შუაბრინჯაოს ხანის – ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთური კულტურის და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული მისი მომდევნო დროის – გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის გავრცელების საზღვრებს⁴. კერძოდ, ავტორისავე თქმით, ჯერ გვიანბრინჯაოს ხანის II პერიოდში, ძვ. წ. VIII საუკუნეში მდ. მტკვრის შუა დინების დაბლობში, დღევანდელ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩნდება ე. წ. ფოთლისებური სატევრისპირების კულტურა, რომლის გავრცელების არეალი თითქმის სრულად ემთხვევა წერილობით წყაროში დადასტურებულ ქართლოსის ერთ-ერთი შვილის მცხეთოსის წილი ქვეყნის განვრცობის საზღვრებს. ქართლოსის ძმის ჰეროსის კუთვნილ ტერიტორიაზე კი ამ დროს მრავალი თავისებური ნიშნით გამორჩეული, წინარე ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ფესვებზე აღმოცენებული ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრების და მახვილების კულტურა გამოიყოფა, რომელიც მოიცავდა არა მარტო ჰეროსის წილი ქვეყნის ფარგლებს, არამედ მთლიანად იორ-ალაზნის ორმდინარეთს დასავლეთით მდინარე არაგვამდე და სამხრეთით მტკვარამდე⁵.

შ. მესხიას კვლევით, ლეონტი მროველის წარმოდგენით საქართველოში ქალაქები ჩნდებიან არა მარტო მამასახლისობის, არამედ პირველ ეთნარქთა დასახლების დროიდანაც. პირველ მოსახლეთა და ქალაქების გაჩენა, მისი აზრით, სავსებით ერთდროული პროცესია. ცხადია, იმ დროისათვის, ე. ი. საქართველოს ტერიტორიაზე პირველ მოსახლეთა გაჩენის დროისათვის, შეუძლებელია ვილაპარაკოთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ. ასე რომ, ლეონტის მიერ ქალაქების არსებობის შესახებ მითითება საერთოდ შეუძლებელია გამოვიყენოთ ამა თუ იმ ხანაში კლასობრივი საზოგადოების არსებობის საბუთად. ავტორისავე აზრით, ამასთანავე, ის ქალაქები, რომელთა არსებობასაც ლეონტი მეფობის წინააღმდეგ პერიოდში ვარაუდობს, არსებითად იყვნენ ქართველთა ეთნარქისა და მის შთამომავალთა, უფალ-გამგებელთა და მამასახლისთა „საყდრები“ - რეზიდენცია-სიმაგრეები და არა ქალაქები ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით. სწორედ ამ რეზიდენცია-სიმაგრეებმა, გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების

¹ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.
² გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.
³ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.
⁴ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.
⁵ გ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

ჩასახვის დროიდან, ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან დასაბამი მისცა საქართველოში ციხე-ქალაქების წარმოშობას¹.

შემდგომ ლეონტი მროველი განაგრძობს: „და ვითარ-იგი განუყო ქუეყანა თარგამოს ნათესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა.

და მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღუწერეთ. და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თუხისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისა ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიტგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“².

როგორც ვხედავთ ლეონტისთან ქართველის წინაპრად ქართლოსია დასახელებული, რომელიც მთაზე აშენებს სიმაგრეს; მისი სახელწოდებაა ქართლი, არმაზის კერპის აღმართვამდე, ხოლო მის მიხედვით შემდგომში ქვეყანას (ხუნანიდან ვიდრე სპერის ზღვამდე) ეწოდება ქართლი.

ლეონტი მროველის მიერ ქართლოსის პირველობის ხაზგასმას ჩვენ გაყალბებად მიგვაჩნია, რადგან თვით ქართლოსის შთამომავალი ტომი, რომელსაც თითქო ქართი უნდა რქმეოდა არსად ამ ტერიტორიაზე არ არის ფიქსირებული და მით უმეტეს სახელმწიფოს ფორმით. ყველგან ის იბერიის ფორმით არის ნახმარი, რასაც სტრაბონის ცნობაც ნათლად ახუსტებს. შესაძლოა აქ რამდენიმე ქართველური ტომი იბრძვის ჰეგემონობისათვის, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მესხთა საკითხი.

ლეონტი მროველის შემდგომი თხრობით, „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩოს. ესე ხუთნივე იყვნენ გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხუათა მათ.

მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე. და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, და განყვნა ცოლმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი“³.

ამ ცნობას თუ დავეყრდნობით, ქართლი უფრო ძველი ტერმინია ვიდრე მცხეთა (ანუ ქართლოსის შვილი მცხეთოსია), რომელიც ყველაზე გამოჩენილი გმირია, და თუ ამ ნიშნით მივუდგებით და მცხეთას მესხთა ქალაქად მივიჩნევთ, სწორედ „უგმირესი“ იღებს ძალაუფლებას. ქართლოსი კი იქ დაუსაფლავებიათ, სადაც იყო თვითონ მის მიერ დაარსებული „ქალაქი“ ქართლი, რომელსაც შემდგომ არმაზი რქმევია.

შემდგომ ვკითხულობთ: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირო იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი, და აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკუარისა და არაგუსასა, და უწოდა სახელი თვითი მცხეთა. და დაიპყრნა ქუეყანა ტფილისითგან და არაგუთგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა.

¹ შ. მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი ძირითადი პერიოდის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966, გვ. 128-129.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 8.

³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 9.

და ესე იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა. და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისა. ესე არიან განყოფილნი, ქართლოსის ძეთანი და რომელნი განყვნა დედამან მათმან შემდგომად სიკუდილისა. ხოლო მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხოვნდა ძე ქართლოსი და განმრავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათესავი მათი¹.

გ. მელიქიშვილის აზრით, მესხური ელემენტი მესხეთის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც საქართველოს ზოგ სხვა რაიონში, უფრო გვიან და სწორედ მცირე აზიის მუშქების გაერთიანების ტერიტორიიდან უნდა გამოჩენილიყო. ავტორისავე აზრით, მესხური ელემენტის ჰეგემონობით იმ ტერიტორიაზე, რომელმაც უფრო გვიან მესხეთის სახელი მიიღო, ჩამოყალიბდა დიდი გაერთიანება, რის გამოც ამ ტერიტორიას მესხების სახელი დაუმკვიდრდა. სწორედ აქედან ჩრდილოეთით უნდა გაჭრილიყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მომავალი დედაქალაქის, მცხეთის რაიონშიც, სადაც ფეხი უნდა მოეკიდებინათ და მის დედაქალაქსაც მესხების სახელი („მცხეთა“ - შდრ. „სამცხე“) დაუმტკიცდებოდა².

ა. აფაქიძის თქმით, მცხეთა და ქართლის (იბერიის) სამეფო, საკუთრივ ქართლის ტერიტორიაზე ეთნიკური სიჭრელით უნდა ყოფილიყო გამორჩეული. არქეოლოგიური აღმოჩენებითაც მტკიცდება, რომ ბერძნული, ებრაული და არამეული აქ ფართოდ იყო ხელმისაწვდომი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული³.

შ. მესხიას აზრით, ლენტის ცნობებში მეფობის წინააღმდეგი მამასახლისობის ხანის საქართველოს შესახებ, ქრონოლოგიური შეცდომითა და ისტორიული პერსპექტივის დარღვევით, წინაკლასობრივი საზოგადოების სურათია დახატული⁴.

აღნიშნულია, რომ მუშქების დასახლების შემცველი ასურული წყაროების გამოყენების შემდეგ ისტორიკოსთა დიდმა ნაწილმა „მესხი“, „მოსხი“, „მეშეხი“, „მოსოხი“, „მოსოქი“, „მუშქი“ იდენტურ ცნებებად მიიჩნია⁵. აღნიშნულია, რომ ალაზნის სათავეებთან მცხოვრებ თუშებს ლეკები „მოსოხ“-ს ეძახიან, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ასევე ნახჭოუს (წოვა-თუშების) სახელადაც ხმარებულად მიიჩნევდა⁶. ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მესხები ზოგადად ქართველების აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილიყო⁷.

ნ. ხაზარაძე, ურთიერთკავშირს მუშქებსა და მესხებს, მუშქებსა და ქაშქებს, ქაშქებსა და მოსხიკე შორის, აშკარად მიიჩნევს⁸.

აღნიშნულია, რომ მუშქები და თაბალები ბიბლიაში იწოდებიან მეშეხებად და თუბალებად. თუბალებს ეკავათ მდ. ირისის ბასეინი და ესაზღვრებოდნენ შავ ზღვას, ხოლო მუშქები, მომთაბარე მხედრები იყვნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. ზემო ევფრატის ორივე მხარეს და გალისამდე აღწევდნენ⁹.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 10.

² გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ. 1955, გვ. 135.

³ ა. აფაქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ. 1959, გვ. 113.

⁴ შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

⁵ ნ. ხაზარაძე, მესხი ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის, საქართველოსა და ქართველების... 1993, გვ. 21.

⁶ ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

⁷ ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

⁸ ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

⁹ Масперо, Древняя история народов Востока, М. 1911, гв. 240.

კარდუხთა ქვეყანაში დადასტურდა ციხის სახელი „ჰარმაზი“. გამოთქმული ვარაუდით, არმაზი კარდუხთა (მუშქთა) ქვეყანაში ერთ-ერთი მეთაური ღვთაება იყო¹. ვ. გოილაძე შუბრიას ხურიტულად მიიჩნევს, ხოლო კარდუხებს მუშქებად².

ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ხალხები, რომელთა შთამომავლები ახ. წ. V-VI სს-შიც განაგრძობდნენ არსებობას, ასახულია ჯუნშერთანაც. კარდუხები (გორდიები) მდ. კენტრუტის სამხრეთით ძველთაგანვე მცხოვრები „კარდუ“-ს, „ქართუ“-ს ხალხთან ძვ. წ. XII ს-ში ჯერ კიდევ ლაზურენოვანი მუშქების შერევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ალიზისა და შუბრიას მოსახლეობაში XII ს-ში მუშქთა ჩასახლების შემდეგ, ერთ ხანს ამ მხარეთა მოსახლეობის ლაზურენოვნებაა სავარაუდებელი. შემდგომ მდ. არტანიის შუა დინების ჩრდილოეთით მდებარე მიწიდან (ყოფილი დიაოხის ტერიტორიიდან) ქართლის ტომთა გავლენით, ძვ. წ. V საუკუნიდან მაინც უნდა დაწყებულიყო მათი მოსახლეობის ქართიზაცია³.

ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ქაშკური ტოპონიმიკური მასალა გ. გიორგაძეს საფუძველს აძლევს ისინი დააკავშიროს ძველ კოლხურ (ე. ი. დასავლურ ქართველურ მეგრულ-ლაზურ-სვანურ), განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ სწორედ პონტოს აღმოსავლეთ რაიონებსა და მათ მეზობლად აღმოსავლეთიდან⁴. ავტორმა ყურადღება მიაქცია ქასქების ერთ-ერთი მთავარი ქვეყნის სახელწოდება ხალილას, საიდანაც ის გამოყოფს სუფიქს ლა-ს და ხალის, რომელიც კავშირშია მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონების ტოპონიმიკასთან (ხეთურ და მომდევნო ხანაში) – ხალულა (მთა), ხალიმანა (დასახლება), ხალიტუ (ქვეყანა) და ხალიბების ტომთან⁵.

ავტორმა არ გაიზიარა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ის მოსაზრება, რომ ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ („ქაშქაია“ „ქასქუ“) და „აბეშლა“ („აბეშლაია“), რომლებიც ერთად იხსენიება ასურეთის მეფის – ტიგლათფილასარ I (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) სახელით შედგენილ ტექსტებში, ვარიანტული ტერმინებია, სინონიმებია და ქაშქა და აბეშლა ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელიან⁶. ზოგ ადგილას ავტორი თითქოს იზიარებს მოსაზრებას აბაშლელთა სემიტური წარმოშობის შესახებ, თუმცა მათ მცირე აზიურ წარმოშობასაც არ უარყოფს. ამავე დროს ზოგადად დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ „ქასქები (ქაშქები), აბეშლაელები და მუშქები ერთი დიდი რეგიონის შემადგენლობაში მყოფი ტომები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე, ისინი შესაძლოა ურთიერთ-მონათესავე ტომები იყვნენ“⁷.

მუშქების ქართველობაში გ. გიორგაძეს ეჭვი არ შეაქვს, ხოლო ქაშქებს სამხრეთ კოლხურ (მეგრულ-ლაზურ-სვანურ) ტომად მიიჩნევს და აბეშლაელებსაც დასავლურ-ქართველური წარმოშობისად ვარაუდობს⁸.

¹ ვ. გოილაძე, ძველდამოსავლურ ხანაში ჩრდილოეთ შუამდინარეთში ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების საკითხისათვის, ქართველთა ეთნოგენეზი, თბ. 2002, გვ. 263.

² ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 262-263.

³ ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 266-267.

⁴ გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

⁵ გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111-112.

⁶ გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113-118.

⁷ გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

⁸ გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

ბ. მარის აზრით, ტერმინი *somep* (←*son-mesp*, resp. *шон-меқ // san-mask*) სვანომესხი სხვა არაფერია თუ არა **hay-hayk'a* хай - охайка-ს სიბილიანტური სახესხვაობა, ჰიბრიდში მყოფ შემადგენლობაში *so*-(*son*), ექვივალენტი ტერმინისა *hay*(>*hayn*), და *meq* (←*mesp*// *masp*†*pask*→ *basp*< *φasp*), ექვივალენტი ტერმინისა *hayk*. ავტორისავე აღნიშვნით, ქართველები სომხებს უწოდებდნენ იმ ტერმინების გართიანებული სახელწოდებით, რომლითაც სომხები ცალ-ცალკე იყენებდნენ ორი არმენიელი ხალხის მაიმართ, *hay'*-ების (*//so*^[ol]-ების) და *hay'*-ების (*//mesp*-ების). სომხებისათვის ქართული ჰიბრიდული ტერმინი, „სომეხი“ უფრო რეალურად ისტორიული და ობიექტურია, ვიდრე *hay*. სომეხი თავდაპირველად ქართული და სომხური ნაციონალური ისტორიული რეალობიდან გამომდინარე აღნიშნავდა თავდაპირველი არმენიის მოსახლეობის ჰიბრიდულ ტომობრივ გაერთიანებას¹. წმინდა იაფეტურს, ან მის მეორად მოსახლეობას – უკვე არიოვეროპელებთან ნარევეს, იაფეტიდო – არიოვეროპელებს. მოვგიანებით, შემდგომი გარდაქმნის შედეგად იმავე სო-მესხურ// *haū-haūk*-ური მოსახლეობა საქართველოს ფარგლებში გახდა ქართველი ტომის სახელწოდება, თუმცა ამავე დროს შეინარჩუნა ისტორიულ-მემკვიდრეობითი თავისი, თავდაპირველი სახელწოდება, სომხეთის მოსახლეობის აღმნიშვნელად, როგორც ეთნიკური ტერმინი, ქართულმა ენამ გამოიყენა ერთი და იგივე სატომო სახელწოდებიდან. *somep* (-*e*ფ -ეთ *i*ფ – ით – დაბოლოებით) წარმოიქმნა – *somep-e*ფ - არმენიის მნიშვნელობით, ხოლო *somep-i*ფ - ქართული მხარის აღსანიშნავად, რომელიც დასახლებული იყო ქართველიზებული ანუ გაქართველებული *somep*-ებით. ამავე დროს ქართულმა ენამ გაქართველებული სომხისათვის გამოიყენა – *somepi*ფ -თარი. აქედან წარმოიქმნა ქართლის ცხოვრების ის ადგილი, რომ, ვითომ ქართველები ღაპარაკობდნენ სომხურად, ხოლო შემდეგ დაიწყეს საუბარი ქართულად².

მაშასადამე ბ. მარი სომხებს მესხებთან ნარევე ტომად მიიჩნევს და თვით სახელწოდებაც აქედან გამოყავს, რაც ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა.

გ. გიორგაძის აღნიშვნით, ხეთების სამეფოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XI საუკუნეში იქმნება ახალი სახელწოდებები, რომელთა მოსახლეობა აქ მოსულები იყვნენ. მისივე თქმით, ერთ-ერთი ტომები აქ მუშქები იყვნენ. მათმა სამეფომ მწვერვალებს მიაღწია ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში მეფე მიდასის დროს და ასირიის ძლევამოსილებასაც დაემუქრა. კიმერიელების შემოსევის შედეგად, ძვ. წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში თვით მიდასი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს თავის დედაქალაქ გორდიონში, რომელიც ყოფილ სარურასთან ახლოს მდებარეობდა. ამის შემდგომ ამ მხარეში, ფრიგიის დასავლეთით ჰეგემონი ხდება ლიდის სამეფო³.

ი. დიაკონოვის კვლევით, ტიგლათფილექსერ I ანალების მიხედვით აღიზის მხარეში (მურად-სუს ქვემო წელსა და მდ. ტიგროსის ზემო წელს შორის) 1165 წ. ძვ. წ. ეფურატიდან (სადაც მანამდე განადგურებულ იქნა ხეთები) გამოჩნდნენ ტომთა სამი ჯგუფი, რომლებმაც ტიგლათფილექსერ I-ის მმართველობის პირველ წლებში დაახლოებით ძვ. წ. 1115 წ. გადაიარეს ტავრის მთები და შეიჭრნენ მესოპოტამიაში, ესენი იყვნენ ქაშქები (აბეშლაელები), მუშქები და ურუმელები. მუშქებს მართავდა ხუთი

¹ Н. Я. Маар, *Астрономическое и этническое значение двух племенных названий армян, Записки восточного отделения русского географического общества*, к. XXV, 1921, გვ. 242.

² Н. Я. Марр, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 243.

³ Г. Гиоргадзе, *К вопросу о локализации языковой структуры каскских этнических и географических названий, переднеазиатский сборник, Вопросы хеттологии и хурритоологии*, М, 1961, გვ. 132.

მეფე, რომლებიც მთლიანად გაანადგურა ტიგლათფილესერმა¹. ი. დიაკონოვის აზრით, ურუმელები შესაძლოა იყვნენ ურარტული წყაროების Urmu/e ან Urmie, რომელთა ადგილსამყოფელი უცნობია. ქაშქები ხეთების სამეფოს დროს იყვნენ შედარებით ჩამორჩენილი მესაქონლე-მიწათმოქმედი ხალხი, რომლებიც სამხრეთ შავიზღვისპირეთში სახლობდნენ. მათ თელიან ან ხათის ენაზე ან ქართველურ ან კიდევ აფხაზურ-ადიგელებთან მონათესავე ხალხად. ი. დიაკონოვის აზრით, ეს მოსაზრებები შესაბამისობაშია, რამდენადაც ერთ-ერთ ქასქური მხარე თიბია ალბათ დასახლებული იყო ტომებით, რომლებსაც ბერძნები ტიბარენებს უწოდებდნენ². ქასქების, ურუმელების და მუშქების შეჭრა ზემო ევფრატის ბასეინში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მახლობელ აღმოსავლეთში პროტოარმენული ენის მატარებლების გამოჩენასთან³. სომეხთა ყველა ოთხი ცნობილი სახელწოდება მომდინარეობს ზემოევფრატული დაბლობიდან. თვითსახელწოდება hay-k მელიტენეს ევფრატული სახელწოდებიდან Hati. სომეხების ქართული სახელწოდება სომეხი (*Somx-eti) ზემოევფრატული მონაკვეთის მელიტენეს ზემოთ მდებარე ადგილ ხეთ. Zuhma-აქად. Zuhm-ადან ქართული სასპეირების მხარის მოსაზღვრედ. ხოლო არმინე ('armen-aiie, ძველიარმენული Armina და ძველბერძნული *Armenioi*, მომდინარეობს ხურიტული მრავლობითი რიცხვიდან, რომელი მხარეც მდებარეობდა ტიგროსის სათავეს სამხრეთით (Armi), მისი მხარის დედაქალაქიც იყო ნიხირა ან ნეხირა⁴. აგტორი, ქაშქების პროტოარმენობას გამორიცხავს, თუმცა ვერ ხედავს იმის მიზეზს იყვნენ თუ არ იყვნენ ურუმელები და მუშქები პროტოსომეხები. ორ შესაძლებლობას უშვებს⁵. „აღმოსავლეთის მუშქებთან“ ერთად ზემო ევფრატის ბასეინში ტერმინით ასურ. Muški, Muškai, Musk; ურარტ. Muški იწოდებოდა სხვა ხალხიც, რომელმაც მცირე აზიის ცენტრში შექმნა ძლიერი სახელმწიფო და ძვ. წ. 700 წლისათვის აღმოსავლეთ მცირე აზიის ყველა წერილმა სახელმწიფოებმა გარისკეს ასურეთისგან ზურგის შექცევა და ამ ახალი სახელმწიფოს მხარეს გადავიდნენ. აგტორი ეთნონიმ მესხის კავშირს მუშქებთან დაუშვებლად მიიჩნევს. მესხებს ის აიგივებს ხალიბებთან ანუ ხალდეებთან. „აღმოსავლეთის მუშქებს“ კი პროტოარმენებად თვლის⁶.

დ. გიორგაძის აზრით, კასკა თავდაპირველად შესაძლოა ნიშნავდა ერთ კონკრეტულ ტომს, რომელთა თანდათანობითი დაპყრობითი ომების შედეგად შესაძლოა გახდა შემკრებლობითი ტერმინი ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომებისათვის. შესაძლოა სიტყვა კასკუ ხათის ქვეყნის ენაზე ნიშნავდა მთავარის ღმერთს (^dkašku) და შესაძლოა იმ ტომის აღმნიშვნელი იყო, რომელიც მთავარი ღვთაება იყო ერთ-ერთი ამ ტომისა, ხოლო შემდგომ ამ ტომის მიერ გაერთიანებული ერთობისა⁷. ქასქები გამომდინარე აქედან უნდა ყოფილიყვნენ მცირე აზიის უძველესი

¹ И. М. Дьяконов, Малая Азия и Армения около 600 г. до. н. э. и северный поход вавилоских царей, Вестник древней истории, М. 1981, №2, გვ. 51.

² И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

³ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁴ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

⁵ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

⁶ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 57-58.

⁷ Г. Г. Гиоргадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

მცხოვრებლები¹. და მისივე აზრით, შესაძლოა ისინი პროტოხეთებთან ეთნიკურად ახლო ახლო მდგარი ხალხი იყო².

სხვა ცნობით, მხოლოდ ძვ. წ. მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ცნობები ხეთების ტერიტორიაზე ქაშქების შემოსევების შესახებ³. გამოთქმული მოსაზრებით, ქაშქები შეიძლება ყოფილიყვნენ ხეთების მიერ ჩრდილოეთით განდევნილი ხათური მოსახლეობის ერთ-ერთი გადარჩენილი ჯგუფი⁴. ძვ. წ. მე-8 საუკუნის ბოლოს ისინი საბოლოოდ ქრებიან თანამედროვე წყაროებიდან⁵.

გ. მელიქიშვილი ჰომეროსის „ილიადაში“ მოხსენიებულ ჰალიზონებს უდარებს ურარტუს მეფე რუსა II (685-645 ჩვ. ერამდე) ფრიგიელებთან (მუშქებთან) ხათესთან (ხეთები) მოხსენიებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მცხოვრებ ხალიტუს (Ha-lit-u)⁶ ურარტული ხალიტუ შეესაბამება თაბალს, რომელით ანტიკური დროის ტიბარენების იდენტიურია. ამავე დროს ხეთური წყაროები რკინის წარმოებას ძვ. წ. II ათასწლეულის შუაში აკავშირებენ კიზვათის ქვეყანასთან, რომელიც ძვ. წ. IX საუკუნეში ფარავს სახელწოდება თაბალი. ის ბიბლიური თაბალი, რომელიც რკინის გამომგონებლად ითვლება⁷. რკინის სამშობლო იყო მცირე აზიის სამხრეთი ნაწილი სადაც ასევე თავსდებიან ჰალიბინები ანუ ხალიბები, ასურული წყაროების ტაბალები⁸.

ი. დიაკონოვის აღნიშვნით, მცირე აზიაში ფრაკო-ფრიგიული ეთნოსის გამოჩენის პარალელურად მოდის შემხვედრი მოძრაობა ქართველური ტომებისა ამიერკავკასიიდან ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში. (თუმცა მანამდეც იყვნენ – ცალფა, არტაფა და სხვა). ჰომეროსმა ამ მხარეში იცის ხალიზონები (ჰალიზონები) იგივე ხალიბები, მოგვიანებით ხალდები⁹, რომლებიც გაიგივებულ იქნენ ჭანებთან (ლაზები). ავტორისავე აზრით, ეს ქართველურენოვანი მოსახლეობა აქ ძვ. წ. IX საუკუნიდან და შესაძლოა უფრო ადრეც დასტურდება. შესაძლოა, აღნიშნავს ავტორი, ძვ. წ. XIII საუკუნეში აცცი-ხაიასას დანგრევის შემდეგ ქასქური (ქართველური) ტომები თავს ესხმიან ცენტრალურ მცირე აზიას და ძვ. წ. XII საუკუნეში ზემო ევფრატის დაბლობს. ამ ტომებს ასურული წყაროები უწოდებენ „ქასკებს“ (კასკები) „ხეთური ქვეყნისა“, ან „აბემლაელებს“, რომელ უკანასკნელსაც ის აფხაზების წინაპრებს უკავშირებს. ძვ. წ. XII ს. ჭოროხის დაბლობში არსებობს დაიაენის ურარტული დიაოხი, იგივე ტაოხებთან გაიგივებული ქვეყანა¹⁰. ძვ. წ. VI საუკუნიდან დასტურდება მესხების ტომიც, რომლებიც, ავტორისავე აზრით, დაიაენის სამეფომდეც შესაძლოა აქ გამოჩენილიყვნენ. ი. დიაკონოვი საეჭვოდ მიიჩნევს კოლხეთის სამეფოს და არგონავტების ლაშქრობას ძვ. წ. XIII საუკუნეში და კოლხების, მოსინიკების, ბიზერების, მოსხების და მაკრონების მიგრაციას აქ დაიაენის სამეფოს განადგურების შემდეგ, ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის დროინდელად თვლის.

¹ Г. Г. Гиоргадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 200.

² Г. Г. Гиоргадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 201.

³ ი. ზიმგერი, ვინ არიან ქაშქები? კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, თბ. 2009, გვ. 248.

⁴ ი. ზიმგერი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 258.

⁵ ი. ზიმგერი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 266.

⁶ Г. А. Меликишвили, К изучению древней восточно-малоазиатской этнонимии, *Вестник древней истории*, №1,(79), М. 1962, გვ. 48.

⁷ Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 57.

⁸ Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 58.

⁹ И. М. Дьяконов, *Предистория Армянского народа*, Эр. 1968, გვ. 119.

¹⁰ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 120.

ავტორისავე აზრით, ფარკო-ფრიგიული ტომების შეხვედრა ქართველური ტომებთან კოლხეთსა და პონტოში ხდება ძვ. წ. XII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე¹.

ძვ. წ. XIII საუკუნის შუა ხანებიდან ეგვიპტური წყაროები იწყებენ ე. წ. „ზღვის ხალხების“ მოხსენიებას, რომელთაც შეძრეს ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროები. მათ შორის როგორც ჩანს იყვნენ მცირე აზიის მცხოვრებნი, ან როგორც ამას მკვლევართა უმრავლესობა ვარაუდობს, ბერძენი – აქეელები². ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისში მათ გაანადგურეს ხეთები, არცავა, ქედე, ქარხემიში, ალასნი. მიადწიეს ეგვიპტემდე, გამოთქმული ვარაუდით, ისინი იყვნენ დანაელები ანუ ბერძენი – აქეელები, ფილისტიმელები³.

ი. დიაკონვისავე კვლევით, ძვ. წ. 1115 წლისათვის მუშქებმა განაახლეს თავიანთი მოძრაობა და ოცი ათასი მეომრით ხუთი ბელადის მეთაურობით დაემგნენ ზემო ტიგროსის დაბლობში კადმუხში და შეუქმნეს სერიოზული საფრთხე ასურეთის მფლობელობას. ტიგლათფილესერ I-მა დალაშქრა კადმუხი. ამ უკანასკნელმა უარი თქვეს ხარკის გადახდაზე, მათ მხარს უჭერდნენ მთიელი – ბაბხი-ს ხალხი (მთის ხურიტები). თუმცა ასურეთმა საბოლოოდ დაიმორჩილა ისინი. შემდეგ წელს (1114 ძვ. წ.) ტიგლათფილესერმა შეადწია „შუბარიელთა ქვეყანაში“⁴. შემდგომ ტიგლათფილესერ I დალაშქრობს ზემო ზღვის ქვეყნებისაკენ, სადაც მას ხვდება ნაირის დიდი კოალიცია, რომელსაც ის ზემო ზღვამდე (შავი ზღვა) მისდევს, ავტორისავე ვარაუდით, მდ. ჭოროხის ხეობაში და ბათუმის მიდამოებთან. ტიგლათფილესერ I-ის მიერ 1110 წლებში დალაშქრულ ქვეყნებს შორის ნახსენებია არინა⁵. ასევე ქვეყანა არემე (შესაძლოა არმეს არმეს მხარე, რომელიც დაკავშირებულია შუბერებთან⁶.

აღნიშნულია, რომ ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში მდ. ჰალისის სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე კონიის რაიონში, ბოდასქიოდან მაღალტიამდე ყალიბდება ძველფრიგიული კულტურა, რომელსაც ურარტუელები და ასურელები უწოდებდნენ მუშქების სამეფოს. მისი დედაქალაქი იყო გორდონი⁷. შემორჩენილია მათი მხოლოდ ორი მეფის სახელი – გორდონი და მიდასი (ურარტული მითა(ტა). ფრიგიელთათვის დამახასიათებელი იყო ყორღანული სამარხები, ხოლო სანგარიას სათავეებთან კლდის სამარხები. უმთავრესი კულტები ფრიგიის სამეფოში იყო ქალღვთაება კიბელას კულტი (kybēlē, kybēbē), რომელიც ჯერ კიდევ ხეთურ-ურარტულ კულტურაში კუბაბის სახელწოდებით იყო ცნობილი. ასევე თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას მან ან მენ-ს, რომლის კულტი, ი. დიაკონოვის აზრით, შესაძლოა იყო გაგრძელება ძველი მცირეაზიური მთვარის კულტი არმაზისა. ასევე ღვთაება საბადზო და სხვ⁸. ფრიგიის სამხრეთით არსებობდა თაბალი, რომელსაც მართავდა ბარგატარას (ასურ. ბურუტაშ) დინასტია. თაბალის აღმოსავლეთით მდებარეობდა კამმანუს (კომანა) სამეფო, რომლის დედაქალაქი იყო მელიტა ანუ მელიდ (თანამედ. მაღატია)⁹. მისი მფლობელობა აღწევდა ევფრატზე და ევფრატის იქით ტიგროსის მიდამოებამდე. მაღატის სამხრეთით იყო კუმუხის

¹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 122.

² И. М. Дьяконов, *Предистория Армянского народа*, Эр. 1968, გვ. 102.

³ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 102.

⁴ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 124.

⁵ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 129.

⁶ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 130.

⁷ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 131.

⁸ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 133.

⁹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 134.

(კომაგენე) სამეფო. მდ. ჯეიხანის დაბლობში განთავსებული იყო სამეფო გურგუმი დედაქალაქით მარკასუ (თანამედ. მარაში) და სხვა სამეფოები სამხრეთით და სირიის მიმართულებით¹.

ლუვიის სახელმწიფოს ჩრდილოეთით სადღაც მდ. ჰალისის ან მდ. გაილ-გეტი-ის (ლიკი) დაბლობში არსებობდა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო კასკუ, რომელიც აქ დამკვიდრებული კასკების მიხედვით დაერქვა. მისგან აღმოსავლეთით, ეფვრატის ჩრდილოეთით (ჭოროხის დაბლობში) XII-VIII საუკუნეებში არსებობდა „დაიაენის“ (ურარტული დიაუხი) ქვეყანა, რომლის მოსახლეობა, ი. დიაკონოვის მოსაზრებით, იყო ხურიტული. დაიაენის ჩრდილო-დასავლეთით ძვ. წ. VIII საუკუნიდან არსებობს კულხა².

სალმანასარ III-ის (859-824) დროს მთელი ჩრდილოეთ მესოპოტამია იქნა დაპყრობილი. განხორციელდა მთელი რიგი სერიოზული შეჭრებისა სომხეთის მთიანეთში. დაეცა ხუბუშკია, შემდეგ შეეჯახა არამეს ჯარს, ურარტუს მეფეს და მიაღწია ვანის ტბამდე. 856 წელს მან მოაწყო დიდი ლაშქრობა ეფვრატის მიმართულებით³.

იპშუინის დროს (825-810) ურარტუმ დაიპყრო ტერიტორიები ვანსა და ურმიას შორის⁴. შემდგომ მენუას დროს ის იყრობს ალზის, ურმეს და აღწევს ხეთების საზღვრამდე. ასევე ჩრდილოეთით ხარკი დაადო დიაუხის მეფეს და თავისი საზღვრები განავრცო მასის-არარატის მთიანეთამდე და მდ. არაქსამდე. შემდგომში მეფე არგიშტ I, 783 წელს ისევ აწყობს ლაშქრობებს⁵. როგორც ხეთების, ისე ეფვრატის ქვემო წელში, ურმიის წინააღმდეგ და აგებს ციხე-სიმაგრეს ერებუანის (ერევანი) მახლობლად⁶. ორჯერ არგიშტ I პირველად 785(779) წ. აწყობს ლაშქრობას დიაუხის წინააღმდეგ, რომლის შემდგომ დაიაენის სამეფო ქრება წყაროებიდან⁷.

რუსა I დროს მუშქების (ფრიგია) მეფე მიდასი (მიტა) გახდა მისი მოკაშირე. მან ტაბალში დასვა თავისი მოკაეშირე – ხული, თუმცა ისიც განუდგა სარგონს და კავშირი გააბა ფრიგიასა და ურარტუს შორის⁸. კიმირიელების შემოსევის შემდეგ ისევ გახდა ურარტული სინაქერიბის (705-681) დროს ამ რაიონში ლაშქრობა საჭირო. ასურეთის ლაშქრობების დროს კიმირიელების ეპოქაში ურარტუსა და კიმირიელების ქვეყანას (გამირ) შორის მდებარეობდა გურიანას მხარე, რომელშიც, გ. მელიქიშვილის აზრით, მოიაზრება მდ. მტკვრის ზემო წელი ჩილდირის ტბასა და თანამედროვე ახალციხეს შორის. ი. დიაკონოვი კი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ის იწოდებოდა არა გურიანად არამედ გურიად ან იურიად. და შესაძლოა საერთოდ მომთაბარეების აღმნიშვნელი იყო⁹.

მიუხედავად ურურტუს და ასურეთის დაპყრობებისა, მათ შორის არსებობდა გარკვეული სახელმწიფოები რომელთა დამორჩილება სომხეთის მთიანეთში მათ ვერ შეძლეს. ესაა – თაბალი კილიკიის ტავრის მთიანეთში, მელიდ-კამმანუ ზემო ეტერატის

¹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 135.

² И. М. Дьяконов, *Предистория Армянского народа*, Эр. 1968, გვ. 137-138.

³ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 154.

⁴ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 155.

⁵ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 158.

⁶ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 158.

⁷ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 159.

⁸ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 167-168.

⁹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 168-169.

დაბლობის სანაპიროებზე. არმე (ანუ ურმე) – შუბრია სასუნის მთიანეთში და ხუბუშქია მდ. კენტრიტა-ბოსტანას დაბლობში¹.

ურურტუს მეფე სარდურ II-ის და არგიშტ I-ის წარწერებში მოხსენიებულია იგანის ქვეყანა და იგანუხელები და მათი მეფე დიუცინი; ეს უკანასკნელი დიაუხის მმართველადაც არის მოხსენიებული. პ. უშაკოვის აზრით, აქვე მოხსენიებულია მეფე დიუცინი. ავტორის თქმით თუ მეფე დიუცინი წარმოშობით იგენიეხის ქვეყნიდანაა, რომელიც იწყება ჩილდირის ტბიდან და განვრცობილია ჩრდილოეთით (ყოველ შემთხვევაში გვიან) დღევანდელ აფხაზეთამდე, აქ დასახელებულ დიაუხის ქვეყნის მეფედ უნდა გავიგოთ. ავტორისავე ვარაუდით, სარდურ მეფის ეპოქაში იგანიელებმა დაიმორჩილეს დასუსტებული დიაუხ-ტაოხების მთელი ქვეყანა ან მისი ნაწილი. სარდურის დროს დიაუხების ქვეყნის მეფე არის დიუცინი, რომელიც არის იგანის ქვეყნიდან².

ტაოხების ტომის ლოკალიზაციას ავტორი, ქსენოფონტის ცნობაზე დაყრდნობით, მდ. ჭოროხის ზემო დინებაზე ახდენს, რომელიც მაშინ „იწოდებოდა“ Az-pasos-ად ანუ „ხარის მდინარედ“. მოგვიანებით ამ მდინარეს ბერძნები თარგმნიან თავის ენაზე Boda"-ად³.

იგანიეხის ქვეყანა პ. უშაკოვის აზრით, მდებარეობდა კოლხა-ლუშ-ქათარზა-ვიტრუხების ზემოთ, დიაუხების ზემოთ. ასეთი ვრცელი ქვეყანა იგანიეხისა განვრცობილი იყო ჩილდირის ტბიდან ჩრდილოეთისკენ, უკვე სარდურის დროს თანამედროვე აფხაზეთამდე. ავტორისავე აზრით, ეს არის ბერძენ ავტორებთან მოხსენიებული ჰენიოხების ქვეყანა⁴.

ვფიქრობთ, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ დიაუხ-ტაოხების ქვეყნის ზემოთ მცხოვრებთა ერთი ნაწილი სვანურ-მეგრული წარმოშობის ტომები იყვნენ, ხოლო ქათარზა მათთან მონათესავე ქართების ენაზე მოლაპარაკე ტომთა გაერთიანება ვიტრუხთან ერთად ასევე ახელები, აქელები და ძველი ახიავას ქვეყანა მცირე აზიაში შესაძლოა არ იყო ბერძნული, არამედ ადგილობრივი მცირეაზიული არაინდოევროპული მოდგმის ხალხით დასახლებული⁵.

აღსანიშნავია, რომ ურარტულ-ლურსმული წარწერების მიხედვით, დაიაენი-დიაუხი მდ. ევფრატის სათავეებიდან ვიდრე მდ. ჭოროხის შუა წელამდე ვრცელდებოდა⁶ დიაოხის ქვეყნის მეზობლად მოხსენიებული ბაიანისა და ხუშანის (ხუშალახი) ხალხიც თორთუმსა და ოლთისს შორის მდებარეობდა. ასევე ამავე მხარის მეზობლად მოხსენიებულია შეშეთინა (შეშეშე), რომელიც უდრის ქართულ შავშეთს⁷. ასევე კოლხი//კულხა. ზაბახა გაიგივებულია ჯავახეთთან⁸. ასევე თარიუნა – თორთან⁹. ასევე ფუსუნის ქვეყანა, რომელიც ჯავახეთში ვახუშტის მიერ ნახსენებ ფოსოს წყალთან

¹ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 175.

² П. Ушаков, *К походы урартийцев в Закавказье IX- и VII вв. до н. э. Вестник древней истории*, М. 1964, №2, გვ.34.

³ П. Ушаков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 35.

⁴ П. Ушаков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38.

⁵ П. Ушаков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 39.

⁶ შ. ასათიანი, *ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, თბ. 1993, გვ. 11.

⁷ შ. ასათიანი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 12.

⁸ შ. ასათიანი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 13.

⁹ შ. ასათიანი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 14.

პოულობს კავშირს¹. ასევე ქატარზა, ლუშა – კლარჯეთთან, ზოგის მოსაზრებით ქ. ყარსისა და მდ. ყარსის წყლის მიდამოებში მდებარეობდა. ლუშა კი გაიგივებულია ლაზების სახელწოდებასთან ურარტული უიტერუხის ქართველურ ტომ ბიძირებისა და ოძრკეს (ოძრახეს) სახელწოდებასთანაა დაკავშირებული².

ვფიქრობთ შესაძლოა ზოგიერთი ეთნიკური და ტომობრივი ტერმინი უფრო მეტ დაზუსტებას მოითხოვს და კვლევას, თუმცა ერთი რამ ნათელია, რომ ძვ. წ. აღ. XII-VII საუკუნეებში საქართველოს სამხრეთი და მცირე აზიის აღმოსავლეთის მთელი რიგი რაიონები და ამავე დროს ზღვისპირა მხარე, მთლიანად ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

შემდგომში ლიდიის სამეფოს ბატონობის ქვეშ მოექცა ყოფილი ფრიგიის (მეშეკ) და თაბალის ტერიტორიები³. მიდიასა და ლიდიას შორის ომი 585 წელს მშვიდობით დასრულდა, რომლის შედეგადაც იყო ბაბილონის მეფე სინნესი, კილიკიის მეფე ხილაკუ. ამ დროს ბაბილონი გახდა უდიდესი სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა თაბალი, კუე და სხვა⁴.

მ. სვანიძის აღნიშვნით, ხალდია ასირიელებთან იწოდება ურარტულ. ჰეროდოტეს აღაროიდებს, რომლებიც კოლხების და სასპერების მსგავსად არიან აღჭურვილნი, კიპერტის და რაულნოლსონის მიხედვით, შეესაბამება ურარტუელებს. მათივე აზრით, აღაროდ იმავე ფორმას რაც არაროდ ანუ არარატი. არარატი შეესაბამება არა მთას, არამედ ქვეყანას, რომლის საკმაოდ ნაყოფიერი ველიც არსებობდა არაქსის შუა წელში⁵.

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, არგიშტი I - ის (VIII ს-ის პირველი ნახევარი) წარწერაში ნახსენები ეტიუნის ქვეყანა წარმოადგენდა საერთო აღმნიშვნელს ურარტუს ჩრდილოეთით მდებარე სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიებისა და წარწერაში დაკავშირებულია დიდ სივრცესთან თანამედროვე ერზრუმიდან დაწყებული აღმოსავლეთით სევანის ტბამდე, რომელიც ზოგჯერ იწოდება უდური – ეტიუნადაც. მისივე აღნიშვნით, ამ წარწერაში ეტიუნის დაპყრობასთან ერთად საუბარია სამხედრო მოქმედებაზე ერახის, ქატარზას უიტერუხის წინააღმდეგ⁶.

ერიახის ქვეყანა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა გაგვივივოთ ძველქართულ ტომ ერებთან (ჰერნ-ჰერ-ეტი), რომლებიც ისტორიული ალბანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. კატარზას მკვლევრები აიგივებენ კლარჯეთთან (ძველბერძნული კოთარზე) უიტერუხის ქვეყანა კი წარმოადგენს ოძრახეს ქვეყანას, სადაც აბასთუმნის ადგილას არსებულ ქალაქს ერქვა⁷ (აქ უიტერუხის ქვეყანა სხვა ქვეყნებთან თანაბრად არის დასახლებული და არა დიდი რეგიონის სახით. ის ერთ-ერთი ქვეყანაა – დ. ჭ.).

თიგლათფილესური ქურთისტანის მთიანეთში თავს დაესხა ხარის მცხოვრებლებს და კურხიეს ჯარს. ის თავისი საბრძოლო ეტლებით გავიდა იტნისა და აია-ს მთას შორის. თუმცა მან დატოვა ეს ეტლები ბარში გაუვალობის გამო. ამ ლაშქრობამ

¹ შ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

² შ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

³ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Эр., 1968, гв. 179.

⁴ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

⁵ А. Сванидзе, Материалы по истории Алароидских племен, Тб. 1937, гв. 10.

⁶ Г. А. Меликишвили, К чтению одного места в летописи Урартского царя Аргишти I, Переднеазиатский сборник, III, История филология стран древнего Востока, М. 1978, гв. 171.

⁷ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

მიიყვანა ასურეთის მეფე მთიანი სომხეთის შუაგულში. მან იქ დაამარცხა კურხი-ს მცხოვრებნი და აიღო ხარიას ქვეყანა. მან ამურის მთასთან დადო ზავი. შემდგომ ის ლაშქრობს დასავლეთით ნაირის წინააღმდეგ, რომელთა მეფეები ფლობდნენ დიდი ზღვის ნაპირებს (კირხი, ხურხი-ს ქვეყანა მდებარეობდა ხეთების მიწის აღმოსავლეთით და ურმიის ტბის დასავლეთით, მდ. ტიგროსის სათავეს მთიან ადგილებში). მის შემადგენლობაში შედიოდა არზანენა, სოფენა და გორდინა, რომელიც ნახსენებია ბერძენ-რომაულ გეოგრაფებთან¹.

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ხოვლეგორის ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნეების კერამიკულ მასალაში შეიმჩნევა უეცარი ცვლილება. მისივე აზრით, ის მოგვაგონებს ურარტულ ცენტრებში აღმოჩენილ მასალას, რომელიც ასევე ასურეთში იყო გავრცელებული². (კარმირ-ბლური, კანალიდერე³ ასევე აქ ნაპოვნია აქემენიდური ირანისთვის დამახასიათებელი კერამიკული დაშნები⁴. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხოვლეგორაში მსგავსი კერამიკის აღმოჩენა არ მიუთითებს მაინცდამაინც ურარტელთა მიგრაციაზე, არამედ უფრო მართებული იქნებოდა იმის თქმა, რომ წითელთიხიანი კერამიკის მატარებელ ტომებში დავინახოთ, ისინი, რომლებიც თავის დროზე მოექცნენ ურარტული კულტურის არეალში⁵.

მეგასთენეს იბერიელთა ნაბუქოდონოსორის მიერ გადმოსახლებაზე დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ იბერთა ძალადობრივი გადმოსახლება მათი ძველი სამშობლოდან ამიერკავკასიაში შესაძლოა დაუკავშიროთ ცენტრალურ აღმოსავლეთ საქართველოში წითელთიხიანი კერამიკის მატარებელი ხალხის ინფილტრაციას, რომლებიც მიგრაციამდე უნდა იმყოფებოდნენ ურარტული კულტურის ორბიტაში, ანუ უნდა სახლებულიყვნენ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის სამხრეთით. ესენი იყვნენ აღმოსავლურ ქართული ტომები, რომლებსაც მეგასთენე იბერებს უწოდებს⁶. ავტორისავე აღნიშვნით, გამორიცხულია ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა ამიერკავკასიაში. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ასურეთის დაცემის შემდეგ „609 წლის დასასრულიდან 607 წლის აგვისტომდე ბაბილონის ჯარები ნაბოფალოსარის და მისი შვილის ნაბუქოდონოსორის და ასევე სკვითებთან და მიდიელებთან ერთად ანადგურებდნენ ასურეთის ყოფილ მოკავშირეებს ურარტუს და მანას. მისივე აზრით, შესაძლოა ამ სამხედრო ექსპედიციის დროს ბაბილონის არმია (ან სკვითები და მიდიელები) შეეჯახნენ ზემოდასახლებულ იბერებს, რომლებიც ბუნებრივია უნდა ყოფილიყვნენ ურარტელთა მოკავშირეები და ეს იყო მიზეზი იბერების გადასახლებისა ჩრდილოეთით, ცენტრალური აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამ პროცესის გამოვლინებასაც, ავტორი, წითელთიხიანი კერამიკის გამოჩენასაც უკავშირებს. ის ხაზს უსვამს ქართლის ცხოვრების ცნობას, ბიბლიური გმირის ნიმროდისა და გმირი ძმების კავკასიელი ხალხების ეპონიმების შებრძოლების შესახებ⁷. ავტორისავე თქმით, ბიბლიური ნიმროდი წარმოადგენს ბაბილონის სამეფოს დამაარსებელს, ხოლო ამ სახელწოდებით ქართულ წყაროში იგულისხმება ნაბუქოდონოსორი. ამ მოვლენებს

¹ Масперо, Древняя история народов Востока, М. 1911, გვ. 295.

² Д. Л. Мусхелишвили, К вопросу о связях центрального Закавказья с Ближним Востоком в раннеэллинистическую эпоху, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ. 1978, გვ. 19.

³ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

⁴ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

⁵ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

⁶ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

⁷ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ავტორი რეალურად მიიჩნევს, რომელსაც, მისივე აზრით, ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში. იბერების სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიგრაციას კი არ გამორიცხავს¹. მათ უკავშირებს ქართველს, რომლებიც, მისივე აზრით, უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში ურარტული პოლიტიკური და კულტურული ორბიტის გავლენის ქვეშ².

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ „ზღვის ხალხების“ შემოსევების შედეგად, ხეთების სახელმწიფოს დაცემის (ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისი) შემდეგ აღმოსავლეთ ანატოლიაში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო ხალხთა ამოძრავებით. მისივე აზრით, ეს გაპირობებული იყო ქართველი ტომების, თავისი განსახლების თავდაპირველი ტერიტორიიდან, სამხრეთისაკენ მიგრაციით და ჩრდილოეთით შუამდინარეთის იმ ქვეყნის დაპყრობით, რომლებიც ასურეთის იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესების სფეროში შედიოდა. სწორედ ამიტომ ჩნდებიან პირველად ზემოთხსენებული ტომები ძვ. წ. XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის სამხედრო „ანალებში“ სახელდობრ, აღმოსავლელქართველი ტომების „მუშქები“ (გვიანდელი „მესხები“) და აგრეთვე „ქაშქები“ და „აბეშლაელები“. ამ უკანასკნელთა დასავლეთქართველობის ჰიპოთეზას დ. მუსხელიშვილი იხიარებს³.

მაშასადამე დ. მუსხელიშვილი ქართველურ ტომების მოძრაობას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვარაუდობს. ჩვენი აზრით, ქართველურ მოდგმის ტომების მიგრაცია უმეტესწილად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ხდებოდა. ეს მიგრაცია მასიური ხასიათის არ უნდა ყოფილიყო, არამედ შევიწროებული ქართველური მასა ასურეთის, ხეთების თუ ბოლოს ურარტუელთა მიერ ყოველთვის ჩრდილოეთით ანაცვლებდა თავის ცენტრებს, რაც ქართლის სამეფოს შექმნის დროსაც „არიან ქართლიდან“ „დამატებითი“ ქართველური მასის გადმოსახლების ფორმითაც აისახა წყაროში.

მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, „ზღვის ხალხების“ შემოსვლის შედეგად ქართველური ტომების ასურეთის ტერიტორიისკენ მომძლავრება კი არ ხდება და მათი ასურულ წყაროებში მოხსენიება ამით კი არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ ქართველურ ტომებს ძალზედ ვრცელი ტერიტორია უნდა სჭეროდათ ურმიის, ვანის ტბის და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. ჩვენი აზრით, სწორედ მტკვარ-არაქის კულტურის ის ძირძველი არეალი უნდა ყოფილიყო შემდგომშიც შენარჩუნებული ქართველური ტომების ძირითად საცხოვრის ტერიტორიებად.

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ დიაუხის სამხრეთი პერიფერია ქ. არზრუმის (თურქეთი) გაშლილ ზეგანს მოიცავდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკვრის სათავეებამდე ვრცელდებოდა, სადაც მას ურარტული წყაროების ზაბაზას ქვეყანა ესაზღვრებოდა (ჯავახეთი). ჩრდილოეთის მიმართულებით დიაუხს ერთ-ერთი მხარე იყო შეშეთის ქვეყანა (შავშეთი), რომელშიც მდებარეობდა დიაუხის სამეფო ქალაქი ზუა. დიაუხის ქვეყანა, არზრუმის ზეგანის გარდა ჭოროხის მთელ აუხს მოიცავდა. ავტორისავე აზრით, დიაუხი ტაოელთა ჰეგემონობით შექმნილ ტომთა კონფედერაციას თუ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ავტორი არ იხიარებს გ.

¹ დ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

² დ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

³ დ. მუსხელიშვილი, „დიაენი“-„დიაოხის“ ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის, ანალები, I, თბ. თბ. 2007, გვ. 7.

მელიქიშვილის და ი. დიაკონოვის მოსაზრებას „დიაუხის ქვეყნის“ ხურიტულობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ თრაკიელი-ფრიგიელები, რომელთა შორისაც პროტოსომხური ტომებიც უნდა ყოფილიყვნენ, ძვ. წ. XII ს-ის პირველ ნახევარში ეფფრატის ზემო დინების ველებამდე ანუ სოხმესა (რომელიც ხეთურ და ასირიულ წყაროებში ძვ. წ. XIII-IX საუკუნეებში იხსენიება და თანამედროვე ასირიული და ურარტული ტექსტების დაიაენი-დიაუხისა – ძვ. წ. XII-VIII სს) და მის მიმდებარე ტერიტორიებამდე შემოადწიეს და დაიაენი-დიაუხის ქვეყანას გაუმეზობლდნენ. ავტორისავე დასკვნით, ქართველ ტომებს სომეხთა აღმნიშვნელი ეთნონიმი - „სომეხნი“ და მათი ადგილსამყოფელის აღმნიშვნელი ხორონიმი - „სომხითი“ შეიძლება აეთვისებინათ მხოლოდ ძვ. წ. XIII-X საუკუნეებში როდესაც ქვეყანა, „სოხმე“//„სოხმი“ მოიხსენიება ხეთურ და ასურულ წყაროებში. ასე უწოდებდა მათ ტაოელთა ჰეგემონობით შექმნილი „დაიაენი-დიაუხის“ მოსახლეობა, რომელიც სწორედ ძვ. წ. XII-IX საუკუნეებში ემეზობლებოდა სოხმე//სოხმის ქვეყანას. ავტორისავე აღნიშვნით, ეს მოსახლეობა ქართული უნდა ყოფილიყო, თუმცა არ გამორიცხავს ხურიტული ტომების მცირე მინარევს, რომელმა უკანასკნელმაც ასიმილაცია განიცადა¹. თვით ტაოელებს, ავტორი, აღმოსავლურ-ქართულ ტომებად მიიჩნევს, თუმცა დასავლურ ქართული ტომების აქ არსებობასაც ტოპონიმიკურ მასალიდან გამომდინარე (არტანუჯი, ოპიზა და სხვა) არ გამორიცხავს².

სომეხი და სოხმის იდენტურობას ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გ. ხალატიანცმა გაუსვა ხაზი³.

ი. დიაკონოვი პროტოარმენებად მიიჩნევს აღმოსავლეთის მუშქებს. თვით ტერმინ მოსხის არა თუ ეთნონიმად, არამედ შერქმეულ სახელად (მეტსახელს) მიიჩნევს და ქართველურთან მათ ნათესაობას უარყოფს⁴.

რ. ფრაის აღნიშვნით, თანამედროვე დროს მიღებულად ითვლება, რომ სომეხები მოვიდნენ ანატოლიიდან, ქვეყანაში, რომელიც ატარებდა მათ სახელს. ინდოევროპული ენა, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, მისივე აზრით, ალბათ ახლო ნათესობაში იყო ფრაკიულთან, ხოლო თანამედროვე ენებიდან ალბანურთან. სახელწოდება „არმენია“-ში, ავტორი ხედავს იმ მხარის სახელწოდებას, რომელშიც შემოიჭრნენ მოსულები (arm და სუფიქსი – ini). ტერმინს hayy სომეხების თვითსახელწოდება, სამხრეთ ანატოლიაში ხეთურ წყაროებში ფიქსირებულ მხარის სახელწოდებას Haia-sa-სთან ავლენს კავშირს⁵.

ი. დიაკონოვი მიიჩნევს, რომ არმენიო მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდებიდან არმე (ასევე ურმე?), აქადურად შუბრია, რომელიც ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში მდებარეობდა სასუნის მთიანეთში ვანიდან სამხრეთ-დასავლეთით. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო სომხური სახელმწიფოს წარმოქმნის ცენტრი⁶.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ დიაუხის მოსახლეობის უმთავრეს ბირთვს ქართველური მოდგმის ტომები შეადგენდნენ. თუმცა იქ მხოლოდ აღმოსავლურ ქართველური მოდგმის ტომების დანახვა არ უნდა იყოს მთლად გამართლებული.

¹ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

² დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

³ Г. А. Халатянц, Древности Востока, т. II, вып. 2, 1901, გვ. 126.

⁴ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ер. 1968, გვ. 218-220.

⁵ Р. Фрай, Наследие Ирана, М. 1972, გვ. 99.

⁶ И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы и армяне, Переднеазиатский сборник, Вопросы хеттологии и хурритологии, М. 1961, გვ. 361.

რამდენადაც სწორედ ამ ტერიტორიაზე მოგვიანებითაც ქსენოფონტის დროს უმთავრესად ზანური მოდგმის ხალხი ჩანს დასახლებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ლეონტი მროველის გენეალოგიური სქემა რეალურ ისტორიულ საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი და ვფიქრობთ თარგამოსში და მის რვა ძეში (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკან, ლუკ, ჰეროს, კავკას, ეგროს) იგულისხმებიან ქართველური და მათთან მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომები.

მიუხედავად ძალზედ შორეული ეპოქისა, იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მსგავსი დაყოფის საფუძველები ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულშია სავარაუდებელი. კერძოდ, ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში, რომელი კულტურის მატარებლებიც ჩვენ მიგვაჩნია სუბარებად ანუ ამ სახელწოდებაში ჩანს გვიანდელი იბერ ფორმა, იგივე თაბალი (ტაბალი, თუბალ, თაბალი), რომელიც თუბალ-კაინებთან, როგორც პირველ მეტაღურგებთან (თუბალ-რკინა, კაინი – მჭედელი), იდენტურნი არიან. მოგვიანებით იბერები ანუ ტაბალები და მუსკები (მესხები) „დაბადებაში“ ტყუპებად არიან მოხსენიებულნი ისინი პირველად საღმრთა II-ის (860-825 ძვ. წ.) წარწერაში იხსენიებიან (იხ. ქვემოთ). ვფიქრობთ, თარგამოსი და თარგამოსიანები სწორედ იბერები და შესაბამისად თუბალ-კაინები იგივე გვიანდელი მესხები არიან. აღსანიშნავია მათთან იაფეტიანთა ერთ-ერთი ძმის გომერი და მაგოგის კავშირი, სადაც როგორც ზემოთაც აღვნიშნა, გოგი დასახლებულია თითქოს დინასტიურ სახელად, ხოლო მაგოგი ქვეყნად; ის მოშეხისა და თაბალის ბელადად არის ნახსენები იმავე იეზიკელის წიგნში ნახსენებია Bêt-Tôğarma (ვფიქრობთ, იგივე თოგარმასი ანუ დინასტიური სახელი)¹. შესაძლოა სწორედ ამ თოგარმა-ზეა (ასურ „ტოგამირუ“, ბოლასქოი-ს ტექსტების „ტეგარამა“, „ტაგარამა“, „ტაკარამა“) საუბარი ლეონტი მროველის თარგამოსის სახით. თარგამოსი სწორედ დინასტიური სახელი ჩანს, რომელშიც გომერ ფუძე ამოიკითხება. ისინი კი არიან მეშეხისა ანუ მესხების და თაბალისა ანუ იბერების, ერთობლიობაში კი თუბალ - კაინელთა (სუბარელთა) ტომის ბელადები.

თვით მესხ სახელში მუშკის ფორმით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ სვანური სიტყვა მუშკიდ – „მჭედელი“ და თვით გვიანდელი სვანი ანუ მეგრული „შონი“. მისივე პარალელურია იბერი და სვანური „ბერეკ“ - რკინა. ასევე მუშკი//მესხი იგივე უნდა იყოს რაც მცხეთა ანუ მესხთა, ხოლო სვანეთში კი გვაქვს, ჩვენი აზრით, იდენტური სახელწოდების დასახლება მესტია (შდრ. მესხია//მუსხია//მეშეხი). აქ მესხი-ში და მესტია-ში ხი და ტი (თი) სუფიქრების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გომერ ფორმა, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება კიმერიელს, არამედ მათ ის უნდა შერქმეოდეთ იმ ქვეყნის სახელწოდების მიხედვით², სადაც ისინი დასახლდნენ და ეს შესაძლოა კაბადოკია და მისი მიმდგომი მხარეებია, სადაც ქართველურ ტომთა ძირითადი საცხოვრისია სავარაუდო.

არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ძალზედ რთულია რომელიმე ლოკალური არქეოლოგიური კულტურა მივაკუთვნოთ ლეონტი მროველის მიერ ჩამოთვლილ ეთნარქთა სამფლობელოებს, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს (კ. კიცხელაური, იორ-ალაზნის ორმდინარეთში). ვფიქრობთ, ძვ. წ. II ათასწლეულის

¹ И. М. Дьяконов, Малая Азия и Армения около 600 г. до н. э. и северный поход вавилонских царей, Вестник древней истории, М. 1981, №2, гл. 51.

² იხ. И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

დასაწყისამდე ქართველურ ტომთა ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო თავმოყრილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი უფრო სამხრეთით ჩანან განთავსებულნი.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, „მესხი“, „მოსხი“, „მეშხი“, „მოსოხი“, „მოსოქი“, „მუშქი“-ს იდენტობის შესახებ და ამავე დროს მცხეთის და მესხი\მუსხის იგივეობას ანუ მცხეთის მესხობას, თუმცა აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ, როგორც შენიშნულია, მცხეთაში ქართლის სამეფოს დედაქალაქად სტრაბონიც კი არ იხსენიებს. დიონ კასიუსთან კი აკროპოლისად (ანუ ზედა ქალაქად) არის მოხსენიებული. ს. კაკაბაძის აზრით, არმაზის წინანდელი სახელწოდება ქართლი მართაც უნდა წარმოადგენდეს ისეთი ძირის სიტყვას, რომელიც თავისი მნიშვნელობით ამართლებს დიონ კასიუსის ზედა-ქალაქის სახელწოდებას. ქართ-ლ-ი// სვან. ქვლთახი (მაღალი). ქართ-ლ-ი-ში ლ, ავტორისავე აზრით, მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია ე. ი. მადლობები, მაღალი შენებულობანი. ავტორი აქ სვამს საკითხს, რომ პირველი საუკუნის წინარე იბერიის ცენტრში ხომ არ ლაპარაკობდნენ აგრეთვე შემდეგდროინდელი სვანურთან უფრო ახლოს მდგარ კილოზედაც. ავტორისავე აღნიშვნით, თბილისის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა ქართი ქორთუსთან არ არის დაკავშირებული, რადგან ის ნაწარმოები უნდა ყოფილიყო როგორც ო-ქორთუე. შესაძლებელია რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად საყურადღებო ისტორიულ ნამოგონართან, როდესაც იბერიის და შემდეგ ქართველობის დედაქალაქის სახელი ქართი უკვე ტერიტორიულად საკმაოდ ჩამოშორებულ მეგრელი ტომის მიერ თავისთავად გადატანილ იქნა საშუალო საუკუნეების ქართლის და საქართველოს დედაქალაქ თბილისზე¹. ავტორისავე აზრით, აფხაზური მზა (ამზა) – მოვარე სიტყვიდან გამომდინარე მცხეთა მოვარის სალოცავ ადგილს უკავშირდება². ავტორი იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას სვანურსა და უფხაზურში ერთი საერთო ფენის არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ წინათ მდ. არაგვის შესართავთან გავრცელებულ კილოს მიზანშეწონილია ვუწოდოთ სვანურ-აფხაზური ძირითადი ფენის პროტოტიპი, რომელიც ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყო შემდეგ დროინდელი სვანურისა და აფხაზურისათვის საერთო ფენასთან. მათ დანატოვრად მიიჩნევს მცხეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ფხოველთა ტომს³ და მათ ენას პირობითად ფოხურს უწოდებს. ავტორისავე აზრით, ეს ტომები, ახოს მიერ 18 სახლის მოსვლისთვის კარგა ხნის გაბატონებული უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო პომპეუსის შემდგომ იწყო ქართულმა ენამ პირველობის ხელში ჩაგდება⁴.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ტერმინი „ქართლი“ ნაწარმოებია დღეს ინდოევროპულ ენებში „ციხე-სიმაგრის“, „გამაგრებული ადგილის“, „ქალაქის“ (garda, gurt, Град. იხ. ზემოთ) აღმნიშვნელი სიტყვებიდან, რომლის იდენტურია მეგრული ქართა (შემოღობილი ადგილი) და სვანური ქორ (სახლის მეორე სართული). ის ასევე კავშირს ამუდვენებს დასახლების აღმნიშვნელ უძველეს ტერმინ „ხორიონთან“, რომლის იდენტურია მეგრული ოხორი და ქართული სახლი (საცხოვრებელის და მის შიგნით

¹ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მომბე, წ. I, თბ. 1924, გვ. 6-7.

² ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

³ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁴ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

მცხოვრები გვარეულობის მნიშვნელობით). მისი ფუძისეული სიტყვაა ქართველურ ტომთა მაწარმოებელი ხი სუფიქსი (ხალხი, ტომი, გვარი), რომელიც ინდოევროპული წარმოშობის არ არის და ქართველურ-იბერიულ-კავკასიური ერთობის კუთვნილებაა.

ქართლი იყო პოლიტიკური ტერმინი, რომლისგანაც წარმოქმნა ქართველი. ქართლიდან იწარმოება ქართველი (ქართუელი), ქართველურ ენებში ვ-ს, ლ-სთან შედარებით მეორეული ფონემიდან გამომდინარე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებულ ქართის ტომთა პირველსაცხოვრისი „არიან ქართლი“-ა. „არიანი“, სავარაუდოდ კავშირს ამჟღავნებს ურმიის და ვანის ტბის მიდამოებში ასურულ ხანაში მდებარე ქვეყანათა კოალიციის აღმნიშვნელ სიტყვა ნაირისთან, ხოლო თვით არიან // ნაირი ტერმინოლოგიურად კავშირშია ინდოევროპულ ენებში ზღვის, ტბის, ჭაობის, მდინარის აღმნიშვნელ სახელწოდებებთან და ზოგადად ასეთ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ხალხს ნიშნავს.

3. ტერმინი “იბერია” და იბერთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოითქვა ვარაუდი ქართველებისა და იბერების სხვადასხვაობის შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე). მიჩნეული იყო, რომ ქართველები უფრო გვიან გაბატონდნენ აღმოსავლეთ საქართველოში (ზოგიერთის აზრით II-III საუკუნეში – ივ. ჯავახიშვილი, ზოგის კი VI საუკუნეში – ექვთიმე თაყაიშვილი) და სწორედ ქართულ წყაროებში ტერმინ იბერიას და იბერების მოუხსენიებლობა და მხოლოდ ქართლის ხსენება გამარჯვებული ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელად დამკვიდრებად არის მიჩნეული¹.

ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ადრეულ ხანაში, ვიდრე ბატონობას მიაღწევდნენ მტკვრის სანაპიროების იბერები, ივერებად – იბერებად იწოდებოდნენ დასავლეთ საქართველოს ტომები, უმთავრესად მეგრელები. შემდგომ კი ეს სახელი ბერძნებმა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ტომის აღსანიშნავად გადაიტანეს². ამავე მოსაზრებას ავითარებს ი. ყიფშიძეც, რომელმაც მეგრულის გრამატიკას მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა უწოდა³.

ივ. ჯავახიშვილი, ჰიბერს, ჰუბელ, ჰუბერ-იდან ნაწარმოებად მიიჩნევს. ავტორი, „ჰ“-ან „ხ“-ად ქცევას არ გამორიცხავს, მას „სუმერს“ უდარებს და სპერ სახელწოდებაც იდენტურად მიაჩნია (სიბერ ჰიბერ). ასევე მის იდენტურად თვლის „საბერ“ და „საბედ“-ს; ავტორის თქმით, „საბერ“ შენახულია ვითარცა სახელწოდება იმ ტომისა, რომელთაც კავკასიის მთები ეკავათ და ჯიქების ზემოთ ცხოვრობდნენ „საბეირ“-ების სახელით, რომელთაც პროკოფი კესარიელი ჰუნების ტომად თვლიდა. ასევე, მისივე აზრით, „ჰ“-ეს „დ“-დ ცვლილების შედეგად ნაწარმოებია „აბალ“, „უბალ“ და „იბერ“, „იბერ“-ი. ავტორი საკითხთან დაკავშირებით იშველიებს იოსებ ფლავიოსის, ესტატე ანტიოქიელის (IV ს. პირველი ნახევარი) და თეოდორიტე კვიპრელი ეპისკოპოსის (IX საუკუნე) ცნობებს, რომ „თუბალი ეხლა იბერებად იწოდებო“. „იბერი“-სგან არის წარმომდგარი „ივერი“, რომლის ნაშთად ქართულებს სომხური სახელი „ვირქ“ უნდა ჩაითვალოს და

¹ იხ. შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, თბ. 1978, გვ. 14-15.

² იხ. შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

³ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994, გვ. XIII-XV.

ასევე „იმერი“, იმერელი, იმერეთი. მისივე თქმით, „ჰიბერ“, „იბერ“ ანუ „ჰივერ“ „ჰვერ“-მა კიდევ ორგვარი ცლილება გამოიარა. ჯერ მფშვინავი „ჰ“-აე „გ“-ანად შაიცვალა და წარმოსდგა „გვერ“, რომლისგანაც ნაწარმოებია მეგრელების სახელი „ვეგვერ“ „აგვერ“. წინ მხოლოდ თავსართი „ე“-ნი აქვს მიმატებული. იგი შენახულია სომხურ - „ვეგერ“; „ვეგერაცში“, ქართულად „ერგისი“, „მეგრელი“, „მარგალი“, ბერძნული „მაკრონეს“. გვერისგან წარმოსდგა ასევე „გურია“, „გურული“. ყოველივე ეს ფორმები, ავტორის აზრით, ტაბალი-სა და „თუბალისაგან“ არის წარმოშობილი¹. ავტორისავე აღნიშვნით, იბერნი, ანუ იმერელი მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ, მაგრამ შემდგომ, განაგრძობს ავტორი, რომელიდაც ქართლით შემოსულმა ტომმა ქართული შეათვისებინა. იბერებს ანუ იმერლებს მეგრელებსა და ქართველ შორის უნდა ეცხოვრათ. სწორედ ამ იბერთა ტომს ეკუთვნოდა პირველ საუკუნეებში ქრ. წ. და შემდგომ უპირატესობა: მან მიანიჭა თავისი სახელი მთელ ამ ქვეყანას; შესაძლებელია მხოლოდ, რომ იბერნი ამ დროს გაქართვებულნი არ ყოფილიყვნენ, შემდეგ ქართლელი გაძლიერდნენ და ყველა თანამომხე ტომების მწერლობისა და ცხოვრების სათავეში ჩადგინენ². ავტორის აღნიშვნით, „ქართველთა დაბინავებას უნდა კახებისა, კუხებისა და ქართველთა აღრევა მოჰყოლოდა. ამ აღრევის დროს ქართველთა გაუმარჯვნიათ, ამგვარივე აღრევა ქართველთა იბერნარევე მასებთან მოსვლიათ. აქაც გამარჯვება ქართველთა დარჩენიანთა და მესხების სახელი მხოლოდ ერთს კუთხეში-და, სამცხეში, შერჩენიათ³.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ადიღეველი ხალხები მეგრელებს თუბალებს უწოდებენ⁴.

ს. კაკაბაძის აზრით, თვით სახელი იბერია წინ უნდა უსწრებდეს ქართული ენის გავრცელებას და ჩამოყალიბებას იბერიაში⁵. ავტორი იბერიად მიიჩნევს პორაციუსის სქოლიონებში დაცული ცნობის იოლიკის ქვეყანას პონტოს მხარეში, რომელიც განსაზღვრულ ხანაში იბერიის პარალელური სახელწოდება იყო⁶.

იბერიის ქართული სახელწოდება კ. კეკელიძის აზრით, არის ჰერეთი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იყო ქართველთა ორი ტომი: საკუთრივ ქართველი და ჰერნი, მათ ჰყოფდა მდ. მტკვარი. მეოთხე საუკუნემდე ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ: ქართველი სომხეთის ფარგლებში, ჰერნი თავიანთ სახელმწიფოში, რომელსაც იბერია-ჰერეთი ერქვა. 349 წლიდან ისინი გაერთიანდნენ პოლიტიკურად და კულტურულად. ჰეგემონია ქართლმა ჩაიგდო ხელში და თანდათან განდევნეს ხმარებიდან ტერმინი იბერია-ჰერეთი. ამ ტერიტორიას ჯერ მისცა სახელი ქართლი, მერე საქართველოდ ქცეული. ავტორისავე აზრით, ამით აიხსნება, რომ ძველ მწერლობაში, რომელიც მას შემდეგ დაწესებულია რაც ქართლი ჰეროდოტესეულ ტერმინად იქცა, ეთნოგრაფიული ქართლის და იბერიის ტერიტორია გამიჯნული არაა, ჰერეთი კი მიჩნეულია ერთ პროვინციად⁷.

ტერმინ „იბერიასთან“ მიმართებაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიოდორე სიცილიელთან (ძვ. წ. II ს.) კოლხეთის დედაქალაქად და აიეტის სამფლობელოდ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ. 1951, გვ. 394-395.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 424.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ. 1960, გვ. 437.

⁴ Народы Мира, Народы Кавказа, т. II. М. 1962. გვ. 213.

⁵ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. I, თბ. 1924, გვ. 21.

⁶ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

⁷ კ. კეკელიძე, ქართლის მოქცევის მთავარი საკითხები, მიმომხილველი I, თბ. 1926, გვ. 17.

მოსხენიებულია ქალაქი - „სიბარისი“, რომელიც თითქოს არესის ჭაღიდან 70 სტადიონით იყო დაშორებული, სადაც ინახება ოქროს საწმისი. სიბარისი სხვა წყაროებში არ გვხვდება; კერძოდ დიოდორე სიცილიელთან აღნიშნულია: „მოგვითხრობენ, რომ მედვამ არგონავტები ჩაიყვანა არესის ჭაღაში, რომელიც ქალაქს სამოცდაათი სტადიონით იყო დაშორებული; ამ ქალაქს ერქვა სიბარისი და კოლხა დედაქალაქი იყო. მედვა ღამით მიაღვა დახშულ ჭიშკარს და ტავრულ ენაზე მცველებს დაუძახა“¹.

აკ. ურუშადის აღნიშვნით, კოლხთა ქალაქ სიბარისი მხოლოდ აქ მოიხსენიება. სიბარისის სახელით ანტიკურ წყაროებში ცნობილია სამხრეთ იტალიის სიმდიდრითა და ფუფუნებით განთქმული ქალაქი. მისივე აზრით, შესაძლოა დიოდორემ ეს სახელი, როგორც სიმდიდრის აღმნიშვნელი, განაზოგადა და სიმდიდრითვე ცნობილ კვიტაისზე გადაიტანა². თუმცა ვფიქრობთ, აქ კოლხეთზეა საუბარი და ეს უნდა იყოს კლავდიოს პტოლემეაოსის მიერ ნახსენები ქალაქი ზადრიდა // ზადრისი (Задрида // Задрис)³.

იბერიასთან მიმართებაში საყურადღებოა, რომ ვანის სამეფოს მმართველები თავიანთ თავს უწოდებდნენ „ბიანის მეფეებს“, ხოლო თავის ქვეშევრდომებს ხალდებს (ქალდებს). ხალდების ანუ ურარტუელების ცენტრი იყო ქალაქი ტუსპა, დღევანდელი ქალაქ ვანის ადგილას⁴.

კ. ლემან-ჰაუპტის აზრით, იბერები, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ჰეროდოტემ მათზე არაფერი არ იცის სამხრეთიდან მოსულები ჩანან ძვ. წ. 5-1 საუკუნეთა შორის⁵.

რაც შეეხება ხალდებს (ქალდები) კ. ლემან-ჰაუპტი თვლიდა, რომ მათი შთამომავლობა იყო ქსენოფონტეს მიერ მოხსენიებული ქალდები (ქალდეველები). მისივე აზრით, არმენების დასახლების შემდეგ, ძვ. წ. VI საუკუნეში, ხალდებმა მოეხიკნ და იმ პერიფერიებისკენ დაიხიეს, რომელ დიდ ტერიტორიებსაც ისინი ადრეც ფლობდნენ. მათი დედაქალაქი X საუკუნეშიც ტრაპეზუნტი იყო (კონსტანტინე პორფიოგენეტის ცნობით), რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა. ხალდია ტრაპეზუნტის მეზობლად ესლაც არსებობს. ავტორი ხალდებს და ხალიბებს იდენტურად მიიჩნევს. ხალდურ კვალად მიიჩნევს ასევე ტოპონიმებს კალდირ(ან)-ს ან ჩილდირ-ს. ასევე ყარსის ჩრდილოეთით ვარძიის და ხერთვისის სამხრეთით მდებარე პროვინციას ჩილდირ – გიოლი, სადაც ასევე მდებარეობს იმავე სახელწოდების მდინარე (ჩილდირ-სუ და მთის სისტემა ჩილდირ დაგი)⁶.

გ. მელიქიშვილის თქმით, იმ ტომების ადგილსამყოფელი, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს აღმოსავლურ-ქართული ეროვნების ჩამოყალიბების პროცესში საგარაუდებელია მდ. ჭოროხის ზემო წელის რაიონსა და მის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე. ავტორის აზრით, ეს არის ძველი სპერის ოლქი, რომელიც უკავშირდება სომხურ „ვერ“-ს და ის არის „იბერ“ სახელის ვარიანტი (სპერ>ჰპერ>იბერ>ვერ). სომხები უძველეს დროში ემეზობლებოდნენ სპერის

¹ თ. ვაუხნიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბ. 1977, გვ. 91.

² აკ. ურუშადი, ძველი კოლხეთი, არგონავტების თქმულებაში, თბ. 1964, გვ. 501.

³ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тиф. 1884, отд. I, №4, გვ. 168-169.

⁴ К. Ф. Леман-Хаупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, тобилисის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ. 1937, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 246-247.

⁵ К. Ф. Леман-Хаупт, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

⁶ К. Ф. Леман-Хаупт, დასახ. ნაშრომი, გვ. 265-266.

ოლქში მცხოვრებ ქართველებს და სავარაუდოდ პირიქით, უცხოელებს ეს ქართველთა სახელი (იბერ) სომეხთაგან უნდა მიეღოთ¹.

ა. სარჯველაძის აზრით, ტერმინ იბერიის წარმოქმნა აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად უცხოენოვანი სამყაროდან უნდა მომხდარიყო. ავტორისავე აზრით, უფრო მეტად ფაქტები მის მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ამგვარ სახელწოდებებში სემიტურ წარმოშობაზე მეტყველებს. კავკასიის იბერიის შემთხვევაში მათი გამავრცელებლები უნდა ყოფილიყვნენ ფინიკიელები, რომელთაც მჭიდრო კულტურული კავშირები ჰქონდათ ძველ საბერძნეთთან და კოლხებთან².

ი. დიაკონოვი აღნიშნავს, რომ ამორეველ ტომებთან ერთად თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან წასულებს შორის იყვნენ ებრაელების სახელწოდებით ცნობილი (ძველი ებრაული 'ibrī) ტომები. 'ibrī-ს ეტიმოლოგიურად არის „მცხოვრები“ 'ēbār (<ibrī), ანუ მდინარის იმ მხარეს მდებარე მხარის მცხოვრებნი (ზმნიდან 'br „გადაღასავს მდინარეს). ავტორისავე კვლევით, იბერიელების ლეგენდარულ ტომობრივ გენეალოგიაში ებერ (Ēbār) მათი პატრიარქის საკუთარი სახელია, რომლიდანაც მომდინარეობდნენ ტომები სახელწოდებით „ებერის შვილები“ (bənē 'Ēbār), რაც, მისივე აზრით, სხვა არაფერია თუ არა ტერმინ 'ibri-ის სინონიმი. ბიბლიაში შემორჩენილ ხალხთა გენეალოგიის მიხედვით, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნიდან მოდის, მითიურ ებრს ჰყავდა ორი შვილი. მათგან უფროსიდან მომდინარეობს სირიისა და პალესტინის არამეებამდელი ტომები, მათ შორის ისრაელიტები, ხოლო უმცროსიდან – არაბული და სამხრეთ სემიტური ტომები. ებერმა-ემირის შვილიშვილმა გადაიტანა წარდგნა (ნომ). თუმცა აქვე „ყველა ებერის შვილების“ წინაპრად დასახელებულია არა ებერი³, არამედ მისი ბაბუა სიმ-ი (sem). მამა არა მარტო არიაკსარდისა, ებერის მამისა, არამედ ასევე აშშურისა (ასირიელების ეპონიმი) და არამისა (არამეელების ეპონიმი), ანუ საერთოდ ყველა სემიტებისა (ქამის შთამომავლების გარდა). პირველად ბიბლიაში ებრაულად 'ibrī-იწოდება მითიური ებერის შორეული შთამომავალი, პატრიარქი აბრაამი, რომელიც პალესტინაში ლეგენდის მიხედვით, მდ. ეფრატისაგან მოვიდა (შდრ. *'br - „გადაღის მდინარეს“)⁴.

სახელწოდება „იბერია“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავდა პირველად ანტიკურ ავტორებთან მოიხსენიება. ვ. ვაშაკიძის აზრით, ტერმინი „იბერია“ უცხოენოვან სამყაროში უნდა გაჩენილიყო⁵. მისივე თქმით, კავკასიელი იბერების პირველი უეჭველი ხსენება ძვ. წ. IV-III საუკუნის ავტორის მეგასტენეს „ინდიკაში“ გვხვდება. არც ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-425 წწ) და არც ქსენოფონტე (ძვ. წ. 435/31-335-54) მას არ იხსენიებდნენ⁶. მეგასტენედან აპიანემდე (ძვ. წ. IV-III ს-დან ახ. წ. II ს-მდე) ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის იბერებზე უკვე სამი შეხედულება არსებობს: ერთი რომ ესპანეთის იბერების წინაპრები კავკასიელი იბერები არიან; მეორე – კავკასიის იბერები პირენეიდან არიან წარმოშობით და მესამე აზრის თანახმად – ისინი ერთი და იგივე

¹ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებისათვის, თბ. 1955, გვ. 61-62.

² А. З. Сарджвеладзе, О наименовании кавказской Иберии, Кавказ и цивилизация древнего Востока, Орджоникидзе, 1989, გვ. 70

³ И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М. გვ. 355.

⁴ И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

⁵ ვ. ვაშაკიძე, ტერმინები „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოურ და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 57.

⁶ ვ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

სახელწოდების სხვადასხვა ხალხია¹. მისივე თქმით, აპოლოდორეს დროს (ძვ. წ. II ს.) არმენიასა და იბერიას შორის საზღვარი არაქსზე გადიოდა (აღბათ მის ზემო წელზე), ხოლო სტრაბონის ხანისათვის მოსხურ მთებსა და მტკვარზე².

ს. კაკაბაძემ ტერმინი იბერი „ჰერ“-ს დაუკავშირა და ამ სახით შემოგვთავაზა „იბერ, ჰბერ, ჰვერ, ჰერ, არრან, ალბან, ჰალბან შარვან³. თითქმის იგივეს ფიქრობდა ს. კაკაბაძე, რომელმაც სახელწოდება „იბერია“ „ჰერეთთან“ გააიგივა⁴. დ. მუსხელიშვილმა ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული „ბერ“ („ბერ ერქუა პირველმოშენებულსა კახეთისასა“) „იბერიის“ ექვივალენტად მიიჩნია. ავტორი პლინიუსის „იბერს“ მდ. იორთან („ივერთან“) აკავშირებს⁵.

შენიშნულია, რომ, საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხურიტების სახელწოდება სუბარელები, რომელსაც ზოგიერთი მოსაზრებით სუბარ-სასპერ-სპერ-იბერ სახელს უკავშირებენ. და იბერ სიტყვის ქართულ იმერთანაც (იქითა ქვეყანა) აიგივებენ⁶. ამ მოსაზრებას იზიარებდა გ. მელიქიშვილიც⁷. რ. გორდეზიანი, არ იზიარებს მსგავს მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ იბერ – ტერმინის საფუძვლად სპერ-ფუძის მიჩნევა ზოგიერთ დაბრკოლებას აწყდება: ა) ბერძნულში სპერ-ის საფუძველზე აღმოცენებულ ტერმინებში ფუძისეულ ხმოვნად ეი ან ე არის წარმოდგენილი, მის ჰ-თი შენაცვლება Ibh-ში არაფრით არ ჩანს მოტივირებული; ბ) სპერ-ის საფუძველზე წარმოქმნილი ტერმინების გამოყენებას ბერძნულში ჰეროდოტედან მოყოლებული გარკვეული ვარიანტებით უწყვეტი ტრადიცია აქვს. ავტორისავე აზრით, გაუგებარია, რატომ უნდა წარმოქმნილიყო ერთი ტერმინის ბაზაზე მეორე ბერძნულენოვან სამყაროში პირველის გამოყენების უწყვეტი ტრადიციის პირობებში; გ) არსად არ არის ანტიკურ წყაროებში მინიშნებაც კი ამ ორ ტერმინს შორის რაიმე კავშირზე. ეს მით უფრო დამაფიქრებელია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იბერ-ტერმინი ბერძნულ ენობრივ სამყაროში უნდა აღმოცენებულიყო არაუადრეს გვიანკლასიკური ეპოქისა. ავტორი იბერიის კავშირს უფრო რეალურად მიიჩნევს „იმერ“-თან⁸.

ვფიქრობთ, ყველაზე უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტერმინი „იბერია“ საქართველოსა და ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გარდა იხმარებოდა ძველი ირლანდიის აღსანიშნავად (Hibern, Ivern ან Iern). გამოთქმული მოსაზრებით (იხ. ზემოთ – დ. ჭ.) ძველ ებრაულში სიტყვა ბერ ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა, იგი წარმოსდგება ებრ ფუძისაგან, რაც თავის მხრივ ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის დაბრკოლების გადალახვას. გამომდინარე აქედან აღ. სარჯველაძე ასკვნის, რომ სიტყვა „i-eber“-ი წარმოდგება საერთოევროპულ-სემიტური ძირიდან „ebr“-დან, ავტორისავე აზრით, ტერმინი იბერია ჩაისახა ფინიკიელებში და აღნიშნავდა ზღვის ან მთის გადაღმა არსებულ ქვეყანას⁹. ამავე

¹ ვ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

² ვ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

³ კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბ. 1912, გვ. 11.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონოლოგიური საკითხები, „მომომხილველი“, I, 1926, გვ. 16.

⁵ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ. 1977, გვ. 75.

⁶ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ. 1952, გვ. 58.

⁷ გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 425-426.

⁸ რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ. 1993, გვ. 55.

⁹ ვ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69-70.

მოსაზრებას იზიარებს ვ. ვაშაკიძე და მას მდიდარი ენათმეცნიერული მასალით გამყარებულად მიიჩნევს¹.

ჩვენი აზრით, ყველა იბერია რაც კი არსებობს მსოფლიოში ვერ იქნებოდა „მთის გადაღმა მდებარე ქვეყანა“. ამდენად ჩვენ ზემოთ მოყვანილ ავტორთა მოსაზრებას, რომელსაც ი. დიაკონოვის იპოთეზა უდევს საფუძვლად, ვერ გავიზიარებთ.

ნ. მარის აზრით, ბერძნებმა და სომხებმა დასავლეთ საქართველოდან სახელწოდება ჰიბერი გაავრცელეს აღმოსავლეთ საქართველოზე და ქართველებს, იბერიას ვირქ უწოდეს. იბერი მისივე აზრით, ლინგვისტურად უკავშირდება ეგრისს და აქედან ნაწარმოებ მეგრელს². ეს მოსაზრება, ჯ. ოდიშელის თქმით, თითქმის უარყოფილ უარყოფილ იქნა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი), ავტორი მას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი იმერეთი ნაწარმოებია სიტყვისაგან იმიერ-იმერ, რაც ნიშნავს გადაღმას, პირიქითს. ტერმინი ჩაენაცვლა ადრეული ხანის მცნებებს ეგრისს, აფხაზეთს და მთლიანად დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ გაგებად იქცა³.

ჩემთვის სავსებით გაუგებრია ნ. მარის მოსაზრებასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის მოყვანა, რომელთა იბერებზე და ქართველურ ტომებზე მოსაზრებებს ძირითადი ნიუანსები ერთმანეთს ემთხვევა.

ნ. მარი ასევე აღნიშნავს, რომ „სონ“-ი შედის სხვადასხვა ჰიბრიდულ ეთნოსებში, რომლებიც ყალიბდებოდნენ კავკასიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. მაგალითად სვანო-კოლხი, ეგერ-სვანი, ბერ-ძენი და სომეხ-ი. ავტორისავე აზრით, ბერძნებში ber-den//berdan იმალება ივერების ანუ იბერების (ber-) შეწყველება ჭანებთან ანუ ჭენებთან (-Ďan//Ďen), არმენებში – somep'axь – მესხების (მერ-ები) სონებთან (>სენებთან//სანებთან და ა. შ.) ავტორი ამას არიოვეროპულ – იაფეტურ ჰიბროლიზებულ ფენას უწოდებს⁴.

ნ. მარის თქმით, ber-den//(per-dan→) ber-da (ბერძენი) წარმოადგენს თარგმანში „ივერთ-ჭანს“ ან „ივერო-ლაზს“⁵.

რაულინსონი უშვებს, რომ სასპერი, საპერირი, საბერირი და იბერირი მომდინარეობს სახელწოდებიდან იბერი⁶. ის იბერიის ისტორიას ხუთ პერიოდად ყოფს: ძველი და პირველი ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდზე ნათქვამია, რომ იბერიის კიროსის მიერ დაპყრობა (ძვ. წ. 550) დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოხდა. სვანიძეს ეს თარიღი შეცდომად მიაჩნია⁷. ავტორისავე აზრით, სპერის ოლქი ალბათ წარმოადგენდა ამ დიდი ხალხის ადამინისტრაციულ ცენტრს. სასპერები ერთი მხრივ შეესაბამებიან იბერებს-ქართვეს, მეორე მხრივ ალაროიდებს – ქალებს⁸. სახელწოდება იბერი

¹ ვ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

² Н. Я. Марр, Крещение армян, грузин святым Григорием, СПб. 1905, გვ. 169-170.

³ ჯ. ოდიშელი, ტერმინი „იმერეთი“, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 451.

⁴ Н. Я. Марр, Астрономическое и этническое значение двух племенных названий армян, Записки восточного отделения русского географического общества, т. XXV, 1921, გვ. 252.

⁵ Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Петр. 1922, გვ. 17.

⁶ А. Сванидзе, Матералы по истории Аларойдских племен, Тб. 1937.

⁷ А. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

⁸ А. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

პირველად მწერალმა ფეოფანემ შემოიტანა. პომპეუსის ლაშქრობამდე ჩვენ არაფერი გვესმის იბერთა შესახებ¹.

მ. დიაკონოვის აღნიშვნით, კიაქსარმა დაიპყრო მანის სამეფო, ურარტუ და მცირე აზიის ნაწილი მდ. ჰალისამდე (კაბადოკია) (ძვ. წ. 612-605 წწ.). ძვ. წ. 593 წლამდე ჯერ კიდევ არსებობდა მანის, სკვითების და ურარტუს სამეფოები². ურარტუს მხარე გახდა სომხური (ჰეროდოტეს მიხედვით სომხები ენათესავებოდნენ ფრიგიელებს და მოვიდნენ მცირე აზიიდან) სომხებთან ერთად იმავე მხარეში ცხოვრობდნენ ალარიდები (ურარტუელები) მესხები და ტიბარენები, რომლებიც კაბადოკიიდან შავ ზღვამდე იყო გაჭიმული. კოლხებსა და ურმიის ტბას შორის ძირითადი მოსახლეობა იყო სასპერები, რომლებსაც აიგივებენ შუპრიის მხარის მოსახლეობასთან; ის ასურეთის დროს არსებობდა ტიგროსის სათავეებთან და სუბართუსაც კი (ჩრდილოეთ მესოპოტამიის სახელწოდება ძვ. წ. III ნახევარსა და II ათასწლეულში)³.

აღმოსავლეთ საქართველო ანუ ქართლი IV-VIII საუკუნეების მთელ მანძილზე მხოლოდ იბერიად იხსენიება; სხვა ტერმინი ბიზანტიურმა წყაროებმა არ იცის⁴.

სომხურში სხვა სახელებთან ერთად (vraēi, vir-k, varčan და varġan) დადასტურებულია vrkan, რომელიც ბერძნულ ἄρκανო-სთან არის მჭიდრო კავშირში. ამ ფორმათა საფუძველზე ი. მარკვარტმა წარმოადგინა იბერიისა და იბერთა აღმნიშვნელ სომხურ-ირანულ სახელწოდებათა ეტიმოლოგია, რომლის მიხედვით სომხ. vir-k უნდა წარმოსდგებოდეს ქართული იმერეთისაგან. თავის მხრივ virk-ისგან არის ნაწარმოები ძველი სპარსული vrkān, ბერძნული ἄρκανოი მეორე მხრივ იმავე vir ფორმისაგან მივიღეთ საშუალო სპარსული varč⁵.

იბერ სიტყვით ფუძედ ღ. მელიქსეთ-ბეგი მიიჩნევს ბერ, ვერ-ს, საიდანაც ნაწარმოებად თვლიდა იმერეთს, გურიას, ეგრისს, სომხ. ვირქ-ს, ხოლო აქედან ვრკან (ჰირკინია), ხოლო ვრჯანის გზით აისახავდა სპარსულ გურჯან-ს, არაბულ და სირიულ გურჯანს და დასასრულს რუსულ Грузия-ს⁶.

აღსანიშნავია, რომ ივერიას III საუკუნეში პართულად ეწოდებოდა ვირშან (გამოითქმება ვირჩან), ხოლო საშუალო სპარსულზე ვ.რუჩან⁷.

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ სვანური ტომები თავდაპირველად „სვან“ სახელწოდებას არ ატარებდნენ, არამედ მათი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“⁸. აღსანიშნავია ისიც, რომ სონებს სტრაბონი იბერებს უწოდებს⁹.

ო. კახაძის მიერ აღდგენილ იქნა ფორმა „აბაზახა“, რომელიც მისივე აზრით, არსებობდა უძველეს დროსაც. მისგან მომდინარეობს მეგრულ-ქართული აბხაზ/აბხაზი. „აბაზახა“ წარმოდგენილია განსხვავებული ვარიანტების სახით და დღესაც ცოცხალი სიტყვაა. ის, ავტორისავე აზრით, იმთავითვე უნდა ყოფილიყო საქართველოს ჩრდილო-

¹ А. Сванидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

² М. М. Дьяконов, Очерки истории древнего Ирана, М. 1961, გვ. 57.

³ М. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

⁴ ნ. ლომური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 73.

⁵ გ. წერეთელი, საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 93.

⁶ Л. М. Меликсетбеков, Новый взгляд на происхождение названий «Иверия», Известия Кавказского отдела русского географического общества, т. XXIV, №1, Тиф., 1916, გვ. 36-40.

⁷ გ. წერეთელი, დასახ. ნაშ., გვ. 98.

⁸ Н. Я. Марр, Из поездок в Сванетию (лето 1911-1912 гг.), Христианский Восток, т. II, в I, СПб. 1913, გვ. 32-34.

⁹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957, გვ. 14, 126.

დასავლეთით მცხოვრები ადიგელთა¹ (ჩერქეზთა) ერთ-ერთი ტომის, კერძოდ აბაძეების აბაძეების სახელი და შესაძლებელია მათი, უშუალო მეზობლების აფხაზური ტომის აბაზგების, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საგარეო“ სახელიც. შემდგომ – ადრეფეოდალურ და განვითარებულ ფეოდალიზმის ხანაში ძვ. ქართული „აფხაზი“ (>აბხაზა), უკვე ფონეტიკურად სახეცვლილი, საესებით გაქართულდა, საქართველოს ზღვისპირა, უკიდურესი დასავლეთი კუთხის მკვიდრთ აღნიშნავდა, ამავე დროს, გარკვეული დროიდან – დასავლელ ქართველოს და საერთოდ ქართველსაც კი ეწოდებოდა².

ე. ოსიძის აღნიშვნით, აფსაჰა (>აფსა-ჰა) არის აფხაზთა თვითსახელწოდება. აფსილ-ბერძნულ წყაროებში დადასტურებული ფორმა, აფსილ-აფსარი ქართული საისტორიო წყაროებით ცნობილი ფორმა. აბაზა-პირიქითა აფხაზების აღმნიშვნელი ეთნონიმი, აბასკ/აბასგ ბერძნული წყაროებით ცნობილი აფხაზთა აღმნიშვნელი ეთნონიმი³.

აღსანიშნავია, რომ ივერ-ის პარალელურად რუსულ წყაროებში იხსენიება ტერმინი ობეზი-ც ქართველების აღსანიშნავად. ხოლო ტერმინი „გურზი“ შემოდის XV საუკუნიდან⁴, რომელი ფორმაც, გამოთქმული მოსაზრებით, სპარსულ-არაბულ-სირიული „გურჟ“-გურ-ზიდან წარმოიშვა. ასევე ავტორისავე აზრით, ივერ – და იბერ ერთი ფორმის ვარაუდის დაშვების შემთხვევაში, იგივე უნდა იყოს ო-ბე-ზი, რომელიც არა თუ აფხაზების ანუ შესაძლოა აფხაზების არამედ იბერებამდე დაიყვანებოდეს. ხოლო გურჯი/გურზინი, ეგრისის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს, რაც საბოლოოდ გვაძლევს გეორგის⁵.

თ. გამყრელიძის აზრით, ბერძნულ-ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი „აბაზგ“/„აფხაზ“ - თავდაპირველად აღნიშნავდა არა შემდეგდროინდელ „აფსაჰა“/„აფხაზს, რომელიც ისტორიულად და ეტიმოლოგიურად უფრო ამავე წყაროებში დადასტურებულ „აფსილ-აფშილ“ ტომს უკავშირდება, არამედ რაღაც განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებს. ავტორისავე აზრით, ეს დასტურდება თვით „აბაზგ-„აფხაზ“- ეთნონიმის ეტიმოლოგიური ანალიზით. კერძოდ, ძველ კოლხეთში მობინადრე ერთ-ერთი ტომის თვითსახელი, „აფხაზ“/„აბხაზ“ ბუნებრივად გადაიქცა ბერძენთა მეტყველებაში „აბაზგ-/აბაზლ“ ფორმად, ბერძნული ფონეტიკური ნორმების შესაბამისად⁷. ავტორი აფხაზ-აბაზგებს საკუთრივ დასავლურ-ქართულ წარმომავლობის ძველ კოლხეთში მობინადრე სვანურ და მეგრულ-ლაზურ ტომების ახლო მონათესავეებად მიიჩნევს⁸.

თ. გვანცელაძის აღნიშვნით, ეთნონიმ აფხაზის გარდა სხვადასხვა ენაში დასტურდება შემდეგი ტერმინები: ასურული აბეშლა, ბერძნული #Abaŋgo // Abascoi //

¹ ი. კახაძე, აფხაზ-/აფხაზ... კვლევის ფუძის საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 559.

² ი. კახაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 560.

³ ე. ოსიძე, აბასკ/აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისათვის, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 565.

⁴ გ. პაიჭაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 386-288.

⁵ გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

⁶ თ. გამყრელიძე, კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ-ია აბაზგ“ და აბაზა-აფსაჰა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, 1993, გვ. 583.

⁷ თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 583.

⁸ თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 587.

AbasAoi, ლათინური *apsilae*, სომხური აფშილი, სირიული ბაზგჰან//ბაზგინ, ქართული აფშილი. აფსარი. თურქული *abaza*, რუსული *абезы*, ყარაჩაულ-ბალყარული *эбзе*, აბაზური აბაზა, აფხაზური აფსგჰა (ბზიფური დიალ. აფს'გჰა).

აბეშლა თავს იჩენს ძვ. წ. XII საუკუნიდან როგორც ქაშქების სატომო კავშირის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი. ტერმინი კაშქები უკავშირდება სვანურში გამოყენებულ ქაშაგ და ძველრუსულ მატრიანეებში ხმარებულ *когор* ტერმინებს, რომლითაც აღიდეგლებს აღნიშნავენ. ვარაუდობენ, რომ „აბეშლა“ ეთნონიმი აღნიშნავდა აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომს. ძველრუსულ მატრიანეებში დადასტურებული ეთნონიმი *Обезы*, რომელიც „აბაზა“ ტერმინის ფონეტიკური ვარიანტია, მნიშვნელობით განსხვავდება მისგან. იგი აღნიშნავდა ქართველებს¹.

გერმანულ „გეორგიენ“-ს, ინგლისურ „ჯორჯიენ“-ს, ფრანგულ - „ჟორჟი“-ს, იტალიურ - „ჯორჯია“-ს, ხოლო ესპანურ „ხეორხია“-ს საფუძვლად უდევს გეოგია, რომელსაც უკვე XIII საუკუნის 20-40-იანი წლებიდან იცნობენ ევროპული წყაროები საქართველოს აღმნიშვნელად². აღნიშნულია, რომ ქართველთა ევროპული სახელწოდება სახელწოდება *Georgien* და *Georgia* სპარსულ-არაბული „გურჯი“ და „ჯორჯი“-სგან წარმოშობა საყოველთაოდაა აღიარებული³.

თ. გვანცელაძის თქმით, ამჟამად აფხაზურში ქართველთა საერთო სახელწოდებად გამოიყენება ეთნონიმი აქრთ-ჯა საქართველო კი აღნიშნება ტერმინით აქრთ-ტოტლა „ქართველთა ქვეყანა“. ეთნონიმ აქრთ-ჯა ძირეულ ქრთ ელემენტი, მატერიალურად იგივეა, რაც ეთნონიმ ქრთ-ველ-ის ქრთ ძირი⁴.

საქართველოს აღმნიშვნელი სიტყვა დაღესტნურ ენათა მეტ წილში გურჟი ფუძითაა წარმოდგენილი, ოღონდ იგი ფორმდება სხვადასხვა საშუალებით⁵. ასევე თუშ-ხეგსურთა აღსანიშნავად იხმარება მოსოქ. ნახურში (ჩაჩნურ-ინგუშურ) არის გუჷრჯიე, ხოლო წოვა-თუშურში კოხივ, რომელიც, გამოთქმული მოსაზრებით, მომდინარეობს კახელისგან⁶.

ო. კახაძის აზრით, ქართული ეგურ//ეგრ – ფუძეების ზანური (რესპ. მეგრული) შესატყვისები უნდა ყოფილიყო აგურ- და აგრ⁷. იგივე ძირისგანაა ნაწარმოები არგვეთი, არგვეთი, აგვეთა და უწინდელი მარგუეთი, რომელიც მეგრელებით დასახლებულ ადგილს ნიშნავდა. მ-არგუ-ი, მ-არგუ-ელ-ი... ფორმების უმარცვლო უ(ვ) მარცვლიანი უ-სგან მომდინარეობს. პროცესი ასეთი შეიძლება ყოფილიყო: *აგურ→*აგრე→* არგუ-ეთ-...⁸

¹ თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 571.

² გ. გელაშვილი, მ. მგალობლიშვილი, გ. პაიჭაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ევროპულ ენებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 294.

³ გ. გელაშვილი, მ. მგალობლიშვილი, გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

⁴ თ. გვანცელაძე, ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აბაზურ ენებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 315.

⁵ ბ. ბურჭულაძე, ბ. შავხელიშვილი, „ქართლის“, „საქართველოს“ აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 322

⁶ ბ. ბურჭულაძე, ბ. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

⁷ თ. კახაძე, ტერმინი ეგრისი, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 380.

⁸ თ. კახაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

პართულ და საშუალო სპარსულ ენებზე ქართლს (იბერიას) ეწოდება Warūcān, ე. ი. „მგლის ქვეყანა“, მგელი კი როგორც სიმბოლო გამირობისა და სიძლიერისა, ფართოდ ცნობილია ირანულ ტრადიციაში¹.

ოსმალები “გურჯისტანს” უწოდებენ ქართული ეთნოსით დასახლებულ როგორც მთელს ტერიტორიას, ისე მის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს, მხარეებს და ქვეყნებს – ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს, გურიას, სამეგრელოს².

აღნიშნულია, რომ ე. წ. ხალხების ცხრილიდან, რომელიც ებრაულ ენაზეა დაწერილი და განეკუთვნება ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისის ძეგლს, ჩამოთვლილია იმ დროისათვის იუდეველთათვის ცნობილი ხალხები სამი შვილის – ნოეს, სემის (სიმა), ქამის და იაფეტის შთამომავლები. ი. დიკონოვის აზრით, ყოველი მათი სახელი წარმოადგენს რომელიმე ტომის სახელწოდებას... იაფეტის შვილები – გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშეკი, ტირასი. გომერის შვილი აშკანაზი, რიფატი და თოგარმი. ავტორისავე ვარაუდით, მაგოგის ქვეშ შეიძლება დავინახოთ უფრო ადრინდელი იეზიკელის წიგნში მოხსენიებული მაგოგი აქად. mâ(t) Guggi „გიგესის ქვეყანა“³.

აღსანიშნავია, რომ იეზიკელის წიგნში (ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისი) იონია, თუბალი და მეშეკი ერთად არიან მოხსენიებულნი (საკითხთან დაკავშირებით იხ. ზემოთ)⁴.

ა. სვანიძის თქმით, ასურული ურარტუ, (იგივე ხალდეა ასურული) ჰეროდოტეს აღაროიდები, ბიბლიაში ნახსენები არარატი სომხეთის სახელწოდებად და არარატის მთა, იბერიის სომხური სახელწოდება – ვრასტანი (Урастан) არის ერთი და იგივე ქვეყნის აღმნიშვნელი⁵.

უნდა აღვნიშნოთ, ის გარემოება, რომ „ტურშები“ ანუ ეტრუსკები დაახლოებით 1190 წლისთვის ჩვენს ერამდე სხვა ზღვის ხალხებთან ერთად თავს დაესხნენ ეგვიპტეს. აქ წინააღმდეგობის შედეგად ისინი 1150 წლისთვის გაემართნენ დასავლეთში და აითვისეს „ტურტე“. ამის შემდეგ იწყება ეტრუსკების დასახლება იბერიის აღმოსავლეთ სანაპიროებთან. ეს იყვნენ არა იტალიელი, არამედ მცირე აზიელი ეტრუსკები. VI საუკუნის დასაწყისიდან ადგილი აქვს ეტრუსკების კართაგენელების ზღვაზე ბატონობას, რომელიც 540 წ. ჩვ. ერამდე ალაღისთან ბრძოლით დასრულდა. ამის შემდეგ იწყებენ ესპანეთის სანაპიროებზე მასიურ დასახლებას. იტალიელი ეტრუსკების დაარსებულია ტარგოსი, კორტინილსკი⁶. იბერიელ ეტრუსკებს ჰქონდათ სხვა დამწერლობის ნიშნები ვიდრე იტალიელ ეტრუსკებს. აღნიშნულია, რომ ესპანეთში ჩასახლებულ ეტრუსკულ ეთნონიმად ითვლება სუბირ⁷.

¹ თ. ჩხეიძე, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და სპარსულ ენებში, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 117.

² ც. აბულაძე, საქართველოს და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, 1993, გვ. 264.

³ М. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту, Вестник древней истории, М. 1951, №3, გვ. 251.

⁴ М. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

⁵ А. Сванидзе, Материалы по истории Аларойдских племен, Тб. 1937, გვ. 65.

⁶ П. Петерс, К проблеме этногенеза населения Иберии, Вестник древней истории, №3-4, М. 1940, გვ. 166.

⁷ П. Петерс, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

დ. პეტერსი უარყოფს ამ თეორიას და აღნიშნავს, რომ ლიგურების ბასკებთან დაკავშირება არ არის მართებული, ბასკები წარმოადგენენ ძველ იბერიელების შთამომავლებს¹.

ესპანეთის უწინდელ მოსახლეობად მიჩნეულ ლიგურებზე, ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ეს ტერმინი „li-gur“(li-gus) სახესხვაობაა ტერმინ iber-ისა².

წინაბერძნულ მოსახლეობას განეკუთვნებოდა კარიელები. მიკენულ კულტურას კარიულ კულტურად თვლიდნენ. კარიელები საიდანაც მცირე აზიიდან უნდა მოსულიყვნენ საბერძნეთის მატერიკზე და კუნძულებზე და დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა ლელიგები. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, საბერძნეთის და მისი კუნძულების მოსახლეობა, მისი სხვადასხვა ტომები წარმოადგენენ მცირე აზიისა და სირიის ეთნიკური ჯგუფის ნაწილს (ჰომელი მათ აღაროიდეებს უწოდებდა), თუმცა ჩვენ ვიცით პელასგების სახელწოდებით, შემდეგ, ლიდიელები, კარიელები და ხიტტები მცირე აზიასა და სირიაში. ზოგიერთი მეცნიერი (პაელიდა მორატი) მათ მიათვლის ეტრუსკებს და რეტიელებს; ჰომელი ასევე მიათვლის ლიგურებს და იბერებსაც³.

ზემოთ განხილული მასალებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით აღვნიშნავთ:

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ქართების აღზევებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჰეგემონობა უნდა სჭეროდა იბერებს, რომლებიც მესხური ანუ კოლხური ტომები უნდა ყოფილიყვნენ. იბერების დასავლურ-ქართულ ტომებთან იგივეობას ადასტურებს ისიც, რომ კოლხეთში მოხსენიებულია იბერ ფუძის შემცველი ქალაქის სახელწოდება სიბარისი (დიოდორე სიცილიელთან), რომელიც კოლხთა დედაქალაქია. სახელები თოგარმა და თარგამოსი მიგვაჩნია იბერ ფორმიდან მომდინარედ, რომელიც იბერიელთა ტომების დინასტიური სახელი უნდა ყოფილიყო. ლეონტი მროველთან სწორედ ის არის ქართველთა და სხვა იბერიულ-კავკასიური მოდემის (რვა ძმა) ხალხთა წინაპარი და მამამთავარი. ლეონტი მროველი კი შემდგომ გაბატონებული ქართლის ტომის სასარგებლოდ „აყალიბებს“ ისტორიას და სწორედ „ქართლოსიანებს“ მიიჩნევს ქართველთა პირველ წინაპრებად, ხოლო მის შვილად მცხეთოსს ასახელებს. ვფიქრობთ ეს ამბავი პირიქით უნდა ყოფილიყო. მცხეთოსში ჩვენ უნდა დავინახოთ მესხთა ანუ იბერთა ტომი, რომლებიც პირველები აარსებენ აღმოსავლეთ საქართველოში იბერიის სახელმწიფოს და სწორედ მხოლოდ და მხოლოდ იბერიად და არა ქართლის ფორმით იცნობენ მას იმდროინდელი ბერძნული წყაროები. ამ ფორმის პირველობის დამადასტურებელია ქართველთა აღმნიშვნელი სომხური ვირქ (ივერია, იბერია).

იბერ ნაწარმოებია სუბარისგან. ის სწორედ ამ უდიდესი სუბარული, ანუ ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ხალხთა დანატოვარია. მისი იდენტურია „დაბადებაში“ ტყუპ ძმებად მოხსენიებული მუსკები (მესხები) ანუ მუსკი და იბერები ანუ ტუბალები, იგივე თაბალები (ტიბარენები), რომლებიც ტაბალისა და მუსკის ფორმით ასურულ წყაროებშიც ყოველთვის ერთად არიან დასახელებულნი. ბიბლიური თუბალ-კაინები, როგორც ლითონის ოსტატები (იხ. ზემოთ სვანური „ბერეჟ“ - რკინა).

ჩვენ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი) იბერის ეგრისთან, ბერ-ძენტთან, მესხის ანუ იგივე იბერების, სომ-

¹ П. Петерс, даსახ. ნაშრომი, გვ. 167-169.

² Н. Я. Марр, Избранные работы, т. IV, 1937, გვ. 142.

³ Др. Л. Нидерле, Человек в доисторические времена, СПб, 1898, გვ. 168.

ესთან და პეროდოტეს სასპერების იგივეობას (ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი), მისივე იდენტური უნდა იყოს ტერმინი იმერი (იმერეთი=იბერეთი).

ვფიქრობთ, იბერ ტერმინის იდენტური უნდა იყოს ნ. მარის მიერ სვანების ძველ სახელწოდებად ნავარაუდები ტერმინი „აბასი“, რომლის იდენტური ჩანს სტრაბონის მიერ იბერთან გაიგივებული სონი. ვფიქრობთ, იგივე მეგრული შონი (სვანი). ასევე მართებულად მიგვაჩნია მეგრული აბხაზი//აბხაზა, იგივე ო-ბეზი, იბერამდე დაყვანის მოსაზრება და მისგან გურჯი//გრუზინის ეგრისისგან წარმოება (ასევე მეგრელი=იბერიელი), რომელიც გვაძლევს გეორგი // გეორგიას ანუ საქართველოს.

იბერის იდენტურად მიგვაჩნია აბეშლა ტერმინი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აბხაზურ-ადიღეური ხალხის წინაპრებად არიან მიჩნეულნი, თუმცა ის არა მარტო აფხაზ-ადიღეელების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მათი ერთ-ერთი ძირითადი მასა სვანურ-აფხაზურ ენებთან ახლო მდგომ დიალექტზე მოლაპარაკე ტომების სახით, ანუ შესაძლოა იგივე მესხები არიან, რომლებიც იბერიის სამეფოს აარსებენ. მათთან ერთად მოგვიანებით სამხრეთიდან ანუ „არიან-ქართლიდან“, რომელიც შესაძლოა ძველი ნაირის ქვეყნების ტერიტორიის იდენტურია, მიგრირებენ ქართის ტომები ანუ კარდუხები თავიანთი ძველი სამეფოდან. თავისი თანამოძმეებისკენ მოდიან და გარკვეული დროის შემდგომ აღწევენ ჰეგემონობას და საფუძველს უყრიან ერთიან ქართულ ერთობას.

იბერ ტერმინი კიდევ უფრო ვრცელი და შორეული პარალელების ძიების საშუალებას გვაძლევს, რომელიც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებს შემორჩა სახელწოდებად. კერძოდ, იდენტურ ტერმინად და კავკასიის იბერების მონათესავედ და აქედან მიგრირებულად მიგვაჩნია ისლანდიის ძველი სახელწოდება ჰიბერნ, ივერნ ან ლერნი. ასევე ესპანეთში ჩასახლებული ეტრუსკების სახელწოდება სუბირი. ასევე თვით ესპანეთის უწინდელი მოსახლეობის სახელი ლიგური, რომელიც ნ. მარის სამართლიანი შენიშვნით ექვივალენტია ტერმინ იბერ-ისა. ვფიქრობთ, გამომდინარე სპერისა და იბერიის იგივეობიდან, თვით ესპანეთის რომაული სახელწოდება სპანია შესაძლოა სპერ და იბერ ფორმის იდენტური იყოს.

4. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და ძვ. წ. I ათასწლეულის მოსახლეობის პოლიმორფიზმი

არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში განხილული კულტურათა ცვლა დაკავშირებულია სხვადასხვა ტომების გადაადგილებებთან. კრანიოლოგიური მასალის დეტალური ანალიზი – ცალკეული სერიების სახით ვაწარმოეთ, რადგან გაირკვეს არსებობს თუ არა სხვა მორფოლოგიური კომპლექსი, რა სახის და რა რაოდენობით.

გვიანი ბრინჯაოს მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე წარმოდგენას გვიქმნიან თავის ქალები, მოპოვებული მცხეთის (სამთავრო, წეროვანი, ნატახტარი, მუხადგვერდი), თბილისის (თრელი, ნამგალა მიწა), ასპინძის (ზველი), ბორჯომის (კვირა-ცხოველი), თელავის (გულ-გულა), სიღნაღის (ვაისწყალი), დუშეთის (აბანოსხევი), დმანისის (დრმახევისთავი), გარდაბნის (აღგეთის ხეობა), სიღნაღის (ჩალიანთხევი) მონადამოებიდან (ცხრ.№1-2).

სამთავროს სერია წარმოდგენილია 17 მამაკაცისა და 16 დედაკაცის თავის ქალით. სამთავროს მასალებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საქართველოს პალეოანთროპოლოგიურ კვლევებში. რადგან ის უნიკალური ძეგლია, სადაც ძალიან ხანგრძლივი დროის მანძილზე კრძალავდა თავის მიცვალებულებს მცხეთის მოსახლეობა. სამთავროს მასალებზე დაყრდნობით, მ. აბდუშელიშვილის მიერ¹ გამოყოფილი იყო სამთავროს 1 და სამთავროს 2 ვარიანტი, ხოლო შემდგომ პუბლიკაციებში მეორე ვარიანტის არსებობა სამთავროს ტერიტორიაზე უარყოფილი იყო. მომდევნო კვლევებში დომინირებს მკვეთრად საპირსპირო აზრი² იმისა, რომ ადრეული ხანის პერიოდიდანვე გაგრძელებული იყო “ოთხი ტიპოლოგია ურთიერთშერწყმული ვარიანტებით (მაგ: კავკასიურ-ეკვატორული; ეკვატორულ-კავკასიურ-მონღოლოიდური, კავკასიურ-მონღოლო-ევროპოიდული; ეკვატორულ-ევრო-მონღოლოიდური)”³.

სამთავროს სერიის მამაკაცებისათვის ზოგადად დამახასიათებელია: საშუალოზე მეტი გრძივი დიამეტრი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრი, თუმცა ინდივიდუალური მონაცემებით ვლინდება ორივე დიამეტრის შემთხვევაში, ძალიან დიდი, ასევე მცირე, ხოლო განივი დიამეტრის შემთხვევაში, ძალიან მცირეც. თავის ქალას მაჩვენებელი ძირითადად დოლიქო-მეზოკრანულია, გამონაკლისს ერთი ბრაქიკრანული ფორმა წარმოადგენს. ეს თავის ქალა სხვა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ამ სერიის თავის ქალებიდან განსხვავება ძალიან მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრითა და დაბალი ორბიტებით. ამ თავის ქალზე ასევე სახის ზედა სიგანე და შუბლის უმცირესი სიგანე საშუალო სიდიდისა აღინიშნება. სხვა მნიშვნელოვანი ნიშნები, როგორცაა ზიგომაქსილარული, ნაზომალარული და ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ამ თავის ქალაზე შესწავლილი არაა.

სამთავროს სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია მცირე სიგანე სახის შუა ნაწილში და საშუალო სახის ზედა სიგანე, შუბლი საშუალო სიგანის, სახე მეზოგნატული პროფილირებული, როგორც ნაზომალურ, ასევე ზიგომაქსილარული კუთხეების მიხედვით. თუმცა დოლიქოკრანულ ერთ თავის ქალაზე აღინიშნება პროფილირების შესუსტება სახის ზედა ნაწილში. ამავე თავის ქალზე სხვა შესწავლილი ნიშნებიდან ცხვირის ძვლების უმცირესი სიმაღლე (სიმოტური სიმაღლე) ძალიან დიდია. ცხვირის უმცირესი სიგანე, ქალას სიმაღლე და ქალას ფუძის სიგრძე საშუალო. მთლიანობაში, შეიძლება აღინიშნოს, რომ სერია პოლიმორფულია შუბლის სიგანის, სახის ზედა სიგანისა და სიმაღლის მიხედვით.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ ამ სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი ქალასარქველი, საშუალო სიდიდის შუბლი, ქალას ფუძის სიგრძე და სახის ზედა სიმაღლე დიდი, სახის შუა სიგანე, საშუალოზე დაბალი, ცხვირი ვიწრო და გრძელი, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის

¹ Абдушелишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.; აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ. მეცნიერება, 1982.

² რჩეულიშვილი მ. დიდი მცხეთის მოსახლეობა ბრინჯაო-რკინის ხანაში. საქ. მეცნ. აკად. გ. ნიორაძის სახ. თბ. მეც. არქ. ინსტ., თბ. 2005.

³ რჩეულიშვილი მ. დიდი მცხეთის მოსახლეობა ბრინჯაო-რკინის ხანაში. საქ. მეცნ. აკად. გ. ნიორაძის სახ. თბ. მეც. არქ. ინსტ., თბ. 2005., გვ. 104

საზთან ძალიან დიდი, სახე ვერტიკალურ ჭრილში ორთოგონატული, ჰორიზონტალურში მკვეთრად პროფილირებული, ეშვის ფოსო ძალიან დიდი.

ამავე სერიის ქალებს ახასიათებთ: ძალიან დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები. თავის ქალას მანვენებელი უმეტესად მეზოკრანულია, თუმცა დოლიქოკრანული ფორმებიც ფიქსირდება. ისევე როგორც მამაკაცების სერიაში, ორი ბრაქიკრანული თავის ქალა აღინიშნება. რადგან ბოლო წლებში ამკვიდრებენ აზრის¹ სხვადასხვა სახის ხის მინარევების არსებობაზე საქართველოს უძველეს მოსახლეობაში, ჩვენ დეტალურად ვიხილავთ იმ თავის ქალებს, რომელზეც შესაძლოა განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების კომპლექსი გამოვლინდეს. ნიშანთა ეს კომპლექსი, რომელიც მონღოლოიდური რასისათვის დამახასიათებელი, თავის ქალაზე არის შებრტყელებული სახე, ე.ი. მაღალი ნაზომოლარული (144>) და ზიგომაქსილარული (134>) კუთხეები, დაბალი ცხვირის უნაგირი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის საზთან დაბალი, სახის ვერტიკალური პროფილი პროგნატული, თვალბუდეები მაღალი და ა.შ. თავის ქალას დაცულობიდან გამომდინარე, ნიშანთა ამ კომპლექსიდან ბრაქიკრანულ თავის ქალებზე უმეტესობა შესწავლილი არ არის, ამიტომ მსჯელობა იმაზე, რომ შესაძლოა რაღაცა მინარევი არსებობდეს, ამ მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია. ქალების სერიაში აღინიშნება ძალიან დიდი ქალას ფუძის სიგრძე, სახის ზედა სიმაღლე მაღალი, შუბლი უმეტესად საშუალო სიგანის, ყვრიმალთაშორის დიამეტრი საშუალო, თვალბუდეები, საშუალოზე განიერი და საშუალოზე დაბალი, ცხვირი ვიწრო და საშუალოზე მაღალი, ეშვის ფოსოს სიღრმე დიდი, სახე სწორი ვერტიკალურ ჭრილში და მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურში.

წეროვანის სერია ჩვენს გამოკვლევაში წარმოდგენილია 23 მამაკაცის და 15 დედაცაცის თავის ქალათი. წეროვანის ამ დროის მოსახლეობა სამთავროს მოსახლეობისაგან განსხვავებით, ხასიათდება თავის ქალას გრძივი დიამეტრის ძალიან დიდი ფორმებით, განივი დიამეტრის მცირე და ძალიან მცირე სიდიდით. ვიზუალურადაც ეს ძალიან გრძელი და ვიწრო თავიანი მოსახლეობა იყო. თავის ქალას მანვენებელი 12 თავის ქალზე იყო განსაზღვრული და აქედან, ორი ულტრადოლიქოკრანული, ხუთი – ჰიპერდოლიქოკრანული, სამი დოლიქოკრანული და ორი მეზოკრანული.

ამავე დროს, ზოგიერთი ნიშნის განაწილება მოსახლეობაში მეტად პოლიმორფულია, ზოგისა კი, ნაკლებად ცვალებადი. უკანსკნელთ მიეკუთვნებათ ცხვირის უნაგირის სიგანე (დიდი) და სიმაღლე (მაღალი), ცხვირი (ძალიან მაღალი), ეშვის ფოსოს სიღრმე (დიდი), სახის ზედა სიმაღლე საშუალოზე მაღალი, ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი, ქალასარქველი მაღალი, სახის სრული სიმაღლე მაღალი. მოსახლეობა ცვალებადია შუბლის უმცირესი სიგანისა და სახის ზედა სიგანის მიხედვით. პირველი ნიშნის მიხედვით აღინიშნება მცირე, საშუალო, საშუალოზე დიდი, ხოლო მეორე ნიშნის მიხედვით ცვალებადობის დიაპაზონი კიდევ უფრო მეტია. სახის ზედა სიგანის მიხედვით, მოსახლეობაში ვლინდება ძალიან მცირე, მცირე, საშუალო, დიდი და ძალიან დიდი ფორმები. ამ სერიის თავის ქალებზე სახის პროფილირების ნიშნები შესწავლილია სულ

¹ ასლანიშვილი ვ. არაგვის აუზის უძველესი მოსახლეობა (კრანოლოგიური მონაცემების მიხედვით). ანალები, 2000, № 2.; რჩეულიშვილი მ. დიდი მცხეთის მოსახლეობა ბრინჯაო-რკინის ხანაში. საქ. მეცნ. აკად. გ. ნოზაძის სახ. თბ. მეც. არქ. ინსტ., თბ. 2005.

რამდენიმე თავის ქალაზე. ნაზომალარული კუთხე მამაკაცებში მცირეა; ქალებში ძალიან მცირე, მცირე და საშუალო, ხოლო ზიგომაქსიმალური კუთხე მცირე სიდიდით აღინიშნება. ქალებში ძალიან დიდია ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან, სახე ვერტიკალურ ჭრილში სწორი (ორთოგნატული), თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალო სიმაღლის (თუმცა დაბალი თვალბუდეებიც აღინიშნება). ცხვირი საშუალო სიგანის და მაღალი, მთლიანობაში ქალების სერია ნაკლებად ცვალებადია შუბლისა და სახის ზედა სიგანის მიხედვით. ქალებს უფრო მეტად განიერი შუბლი და სახის საშუალო სიგანე ახასიათებთ, ამავე დროს თავის ქალა ძალიან გრძელი და ვიწრო, ქალას მაჩვენებელი დაბალი აქვთ. აღსანიშნავია, რომ ამ სერიის ორივე სქესის წარმომადგენლებში ბრაქიკრანული თავის ქალა არ ვლინდება, შეფარდება დოლიქოკრანულსა და მეზოკრანულს შორის ორივე შემთხვევაში 5:1 არის გამოვლენილი. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალების ქალასარქველი საშუალო სიმაღლისაა, ქალას ფუძის სიგანე საშუალო, სახის ფუძის სიგრძე მცირე, სახის სრული სიმაღლე საშუალო, ხოლო სახის ზედა სიმაღლე ასევე დიდი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ეშვის ფოსოს სიღრმე მცირე.

ნატახტარის სერია წარმოდგენილია ცუდი დაცულობის 2 მამაკაცისა და 5 დედაკაცის თავის ქალათი. ამ სერიაში, წინა სერიისაგან განსხვავებით, თავის ქალას განივი დიამეტრის აბსოლუტური ზომები მეტია, მაგრამ გრძივი დიამეტრის ძალიან დიდი ზომების ხარჯზე ქალას მაჩვენებელი მამაკაცებში დოლიქოკრანული, ქალებში კი პიპერ- და დოლიქოკრანული. ამ სერიის ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია განიერი შუბლი და ზომიერი სახის ზედა სიგანე, ქალებში მაღალი და გრძელი თვალბუდეები (გაზომილია ერთ თავის ქალაზე).

მუნათგვერდის სერია წარმოდგენილია 2 მამაკაცის ცუდი დაცულობის თავის ქალით, რომლებიც ხასიათდებიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, თავის ქალას მაჩვენებელი დოლიქოკრანული. მიუხედავად იმისა, რომ სერია სულ 2 თავის ქალით არის წარმოდგენილი, თავის ქალები განსხვავდებიან შუბლის უმცირესი სიგანითა და სახის ზედა სიგანით. ცნობილია, რომ, უფრო დიდ თავის ქალას, რომლის გრძივი დიამეტრი 191 მმ, შუბლიც უფრო განიერი აქვს და სახეც ზედა ნაწილში, ვიდრე ნაკლები გრძივი დიამეტრის თავის ქალას (185 მმ) ზოგადად ყოველი ნიშნის ცვალებადობა დაკავშირებულია თავის ქალას სიდიდესთან, უკანასკნელი კი, კავშირშია სხეულის სიმაღლესთან.

ნამგალა მიწასთან (თბილისი) მოპოვებულია 1 მამაკაცის თავის ქალა, რომელიც საშუალოზე დიდი გრძივი დიამეტრითა და სახის ზედა სიგანით გამოირჩევა. სხვა მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა ამ თავის ქალაზე შეუძლებელია.

ზველი ასპინძის რაიონში მოპოვებულია მამაკაცის ერთი და ქალის ერთი თავის ქალა, რომელიც საშუალო განივი დიამეტრით, საშუალო სახის ზედა სიმაღლითა და სიგანით, საშუალოზე ვიწრო სახით შუა ნაწილში, ვიწრო და დაბალი ცხვირით, საშუალო სიმაღლისა და ვიწრო ცხვირის უნაგირით და ძალიან განიერი და დაბალი თვალბუდეებით, საშუალო სიგანის შუბლითა და ეშვის ფოსოს დიდი სიღრმით ხასიათდება. ამ პერიოდის მოსახლეობაში მხოლოდ რამდენიმე თავის ქალაზე აღინიშნება საშუალო სიგრძის თავის ქალა. მამაკაცებში: თრელის სერიასი (2), სამთავროს (1); ქალებში: ღრმახევისთავი (1), სამთავრო (1), სამთავროში გამოვლენილია ძალიან მოკლე თავის ქალაც, მცირე განივი დიამეტრით, ბრაქიკრანული ქალას მაჩვენებლით.

კვირაცხოველის (ბორჯომი) სერია წარმოდგენილია 6 მამაკაცის და 6 დედაკაცის ცუდი დაცულობის თავის ქალათი. სერიის თავისებურებაზე მსჯელობა შეუძლებელია მონაცემთა არქონის გამო. შეიძლება ითქვას, რომ ამ სერიის მამაკაცებს ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული დოლიქოკრანია (ულტრა და ჰიპერდოლიქოკრანული თავის ქალები), მაღალი ქალასარქველი, ძალიან დიდი ქალას ფუძის სიგრძე, სახე პროფილირებული თვალბუდის არეში. ქალებისათვის დამახასიათებელია ძირითადად დოლიქოკრანია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მეზოკრანია. მეზოკრანული თავის ქალა გამოირჩევა სერიის სხვა თავის ქალებიდან ძალიან დაბალი თვალბუდეებით, საშუალო სიგანისა და მოკლე ცხვირით. მეზოგნატული სახით ვერტიკალურ პროექციაში. ამ სერიის თავისებურებაზე უნდა ითქვას, რომ აღინიშნება დიდი ზომისა და მაღალი ქალასარქველი, განიერი შუბლი (ქალებში) სახის ზედა სიგანე საშუალო, ცხვირის ძვლების უმცირესი სიგანე საშუალო, სიმაღლე საშუალოზე მაღალი.

გულ-გულას (თელავი) მიდამოში მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა ხასიათდება ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით, ძალიან მაღალი ქალასარქველითა და ქალას ფუძის სიგრძით, საშუალო სიგანისა და მაღალი ცხვირით, ზომიერად განიერი შუბლით, საშუალო სიგანის სახით ზედა ნაწილში, ხოლო შუა – მცირე, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში. თავის ქალას მახვენებელი დოლიქოკრანულია.

გაისწყალის (სიღნაღი) სერია წარმოდგენილია მამაკაცის ერთი თავის ქალით, რომელზეც აღინიშნება ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები ქალას მახვენებელი – ჰიპერდოლიქოკრანული. თავის ქალას ახასიათებს განიერი შუბლი, სახის ზედა სიგანე დიდი, გამოირჩევა სახის ძალიან დიდი შუა სიგანით. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სხვა სინქრონული სერიებისაგან. ნიშნის იგივე სიდიდე აღინიშნება მხოლოდ ამავე დროის ულტრადოლიქოკრანულ თავის ქალაზე წეროვანიდან. სხვა მორფოლოგიური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყვრიმალთაშუა დიამეტრი ზომიერი სიდიდისაა, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და დაბალი, ცხვირი ვიწრო და მაღალი. სახე სწორი, ვერტიკალურ და პროფილირებული, ჰორიზონტალურ ჭრილში.

აბანოსხევის (დეშეთი) სერია წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერიაში მამაკაცები გამოირჩევიან უფრო მცირე განივი დიამეტრით ვიდრე ქალები. მამაკაცებისათვის დამახასიათებელია საშუალო სიგანის შუბლი, სახე ძალიან ვიწრო შუა ნაწილში და საშუალო სიგანის ზედა ნაწილში, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, თვალბუდეების სიგანე მცირე, ნაზომალური კუთხე მცირე. ქალებისათვის დამახასიათებელია განიერი შუბლი, სახის შუა სიგანე დიდი და ზედა სიგანე საშუალო.

თრელის სერია წარმოდგენილია 11 მამაკაცისა და 7 ქალის თავის ქალით. ამ სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია გრძივი დიამეტრის შემცირება სამთავროს სერიის მამაკაცებისაგან განსხვავებით, ხოლო განივი დიამეტრი იგივე სიდიდის რჩება. აქედან გამომდინარე, ქალას მახვენებელი ამ სერიაში უფრო მაღალია. ვლინდება დოლიქო-მეზოკრანული ფორმები. დოლიქოკრანული თავის ქალებს უადრესად გრძელი ფორმები ულტრა და ჰიპერდოლიქოკრანები არ გვხვდება. რა თქმა უნდა, მცირერიცხოვან სერიაში მორფოლოგიური ცვალებადობის რეალური სურათის წარმოდგენა რთულდება, მაგრამ თუ რომელიმე ნიშანი, ტიპი, ფარტოდ არის გავრცელებული მოსახლეობაში, მისი დაფიქსირება 6 ინდივიდისაგან შემდგარ სერიაშიც არის შესაძლებელი. იგივე სამთავროს ქალების სერიაში გვიჩვენა, რომ მათ მამაკაცებისაგან განსხვავებით, უფრო

მაღალი ქალას მაჩვენებელი ახასიათებთ და ბრაქიკრანული ფორმაც არის გამოვლენილი. თრელის ქალებში, სამთავროსგან განსხვავებით, ქალას მაჩვენებელი უფრო მცირეა, სათანადოდ მათ ჰიპერ-დოლიქოკრანული და მეზოკრანული ფორმები ახასიათებთ. თრელის მამაკაცებისათვის დამახასიატებელია უფრო განიერი შუბლი, ვიდრე წეროვნისა და სამთავროს მოსახლეობას, დიდი სახის ზედა სიგანე, თვალბუდეები განიერი, ცხვირი ვიწრო და საშუალო სიმაღლის, სახის ზედა კუთხე პროფილირებული. მხოლოდ ამ სერიის ერთ მამაკაცს აქვს შებრტყელებული სახის ზედა ნაწილი (ნაზომალარული კუთხე, 149,1). სახის პროფილირება შუა ნაწილში ამ სერიის არც ერთ ინდივიდზე შესწავლილი არ არის. ამრიგად, არ შეგვიძლია დავასკვნათ, არის თუ არა ეს თავის ქალა ჰომოპლატიპროზოპული, როდესაც სახის ჰორიზონტალური პროფილირების ორივე კუთხე ერთნაირი დაბალი პროფილირებით ხასიათდება, თუ ჰეტერო-პროზოპული ტიპის პროფილირებით – მნიშვნელოვანი განსხვავებებით ორბიტებისა და ცხვირქვეშა წერტილის დონეზე¹.

ამ სერიის ქალების ორ თავის ქალაზე შესწავლილია უფრო მეტი ნიშანი. მათ ახასიათებთ მაღალი ქალასარქველი, ქალას ფუძის სიგრძე საშუალო, სახის ფუძის სიგრძე მცირე, სახის ზედა სიმაღლე ცვალებადი (დაბალი და მაღალი), შუბლი საშუალო ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორე თავის ქალაზე ძალიან განიერი აღინიშნება. სახის ზედა სიგანე ვლინდება საშუალო და განიერი, ხოლო სახის შუა სიგანე – საშუალოზე დიდი. განსხვავდებიან ორივე თავის ქალა თვალბუდეებით, ძალიან განიერი და დაბალი, განიერი და ძალიან მაღალი ორბიტებით. ცხვირი ორივე შემთხვევაში განიერი, განსხვავება სიმაღლეშია. თავის ქალების ინდივიდუალური დახასიათება გარკვეულ ნიშანთა კომპლექსის თანხვედრაზე მეტყველებს.

ჰიპერდოლიქოკრანული თავის ქალა ძალიან მაღალი ქალასარქველით, საშუალო ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძით, დაბალი, განიერი სახით, შუა და საშუალო ზედა ნაწილში – ჰამეკონჰური (74,4) თვალბუდის მაჩვენებლით (მოკლე), ჰიპერჰამერინული (63,6) ცხვირით (განიერი), ცხვირის ძვლების საშუალო უმცირესი სიგანით (სიმოტური სიგანე), ეშვის ფოსო – ძალიან მცირე, პროგნატული სახით ვერტიკალურ ჭრილში, სახის ზედა ჰორიზონტალური პროფილირების საშუალო კუთხითა და მცირე შუა კუთხით ხასიათდება.

მეზოკრანული თავის ქალა შემდეგი მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდება: ქალას სიმაღლე და ქალას ფუძის სიგრძე – დიდი, სახის ფუძის სიგრძე – მცირე, სახის ზედა სიმაღლე მაღალი, ძალიან განიერი სახე ზედა ნაწილში, ძალიან განიერი შუბლი, განიერი და ძალიან მაღალი თვალბუდეები (თვალბუდის მაჩვენებელი ჰიპოკონჰური) სახე ორთოგნატული, მკვეთრად პროფილირებული სახის ზედა ნაწილში.

ალეგუთის ხეობის მიდამოებში მოპოვებულია 5 ქალის თავის ქალა, რომლებიც დიდი გრძივი დიამეტრითა და მცირე (2 თავის ქალაზე) და ძალიან დიდი (2 თავის ქალაზე) განივი დიამეტრებით გამოირჩევიან. ქალას მაჩვენებელი ამ სერიაში დოლიქოკრანული, მეზოკრანული და ერთიც, ბრაქიკრანულია. ამ სერიის ანალიზისას ვლინდება, რომ განსხვავება თავის ქალას ფორმასა და სხვა რასად მადიფერენცირებულ ნიშნებში აღინიშნება მხოლოდ ორ შემთხვევაში. ბრაქიკრანულ თავის ქალაზე,

¹ Гусева И.С. О взаимосвязи назомолярного и зигомаксиллярного углов горизонтального профиля лицевого скелета у некоторых современных антропологических типов. Воп. антропологии, №12, М., 1962 г., стр.31-54.

პირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება გვიანბრინჯაოს ხანაში

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
1	m	25-30		128							95	102															
2	m	20-25	202	126?							97	101															
3	m	55-60	198	129							110	110	83	128	38				9,0	5,2						136,8	
4	m	55-60	184								96	108															
5	m	20-25		136							91	95															
6	m	25-30		139				69?	65		98	103	90		45	32	23	50	8,0	3,2	18,7	10,3	7,2			137,2	120,6
7	m	50-55																									
8	m	35-40		130							101	105															
9	m	45-50	195	136							95																
10	m	45-50									110																
11	m	40-45									94																
12	m	40-45	182	130				70	66	122	93	100	88	122		36	23	54					5,1	90		135,2	124,5
13	m	45-50	194	144					72		95	102				37		57					4,1				
14	m	20-25										102															
15	m	20-25		136	127	98	88	67	64	118	97	102	92	134	41	33		54	11,0	6,0	20,0	10,0	7,2	87		137,4	
16	m	50-55		138																							
17	m	50-55	209	122				77	71	127	101	108				38	28	62					4,0				
18	m	40-45	198	128				75	71		100	111	106		45	37		57					6,2				
19	m	40-45		125							95	96															
20	m	70-75	181	139							102	110															
21	m	30-35	193	128	149	116					98	100				32?											
22	m	25-30	196	130	146	117	107	74	70	119	99	103				36?		65									
23	m	60-65	183	138							92	101															
24	m	25-30	200	136							102	107															
25	m	40-45	191								97	105															

ცხრ.№ 1 გაგრძელება

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
26	m	35-40	193	138	132	107	95	75	72	123	98		93		42	30	21	61	10,2	5,1			6,7				
27	m	25-30	186													30			12,2	3,6							
28	m	60-65		108																							
29	m	50-55																									
30	m	45-50	201	130	155	126					92						26										
31	m	16-18		136							99																
32	m	60-65	187																								
33	m	45-50	201					74	71		97				43	35		57					3,7				
34	m	50-55	187									107															
35	m	45-50									108	113?	89				22									132,7	116,6
36	m	50-55	198	133																							
37	m	35-40		135																							
38	m	40-45	190																								
39	m	40-45	188	125	139	111																					
40	m	50-55	204	140																							
41	m	25-30	217	125																							
42	m	45-50	185								99	104							12,0	7,4						135,6	
43	m	40-45		140							99	110															
44	m	18-20	193	143							102	105															
45	m	50-55	191								103	108															
46	m	50-55	185	137							92	100															
47	m	I	173	123							89	90			40	38			8,0	6,0			7,5		38	117,52	
48	m	30-40	191	138	140	105	94	75		127	97	105	94		43	37	22	58	7,8	4,6			7,5	87	54	138,44	120,34
49	m	30-40	184	152							98	105		124		30											
50	m	25-35	173	133							95	102	86										7,5			142,36	118,50
51	m	25-35	181	143	137	99																					
52	m	40-50	193	141	143	114	103	76		122	101	106	90	132	46	36	23	56	10,0	4,9	20,4	15,7	13,5	90	52	129,26	113,40
53	m	25-35	200	137				80		131?						38								10,5			
54	m	30-40						78		128	102				39	31	23	53	9,7	5,6			4,5				

ცხრ.№ 1 გავრძელება

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
55	m	55-60	194	141							93																	
56	m	55-60	189	132							99	111																
57	m										94	100																
58	m	50-55	191	136							101	107																
59	m	35-40	188					75	70		103	110	93	133			24						5,5			142,2		
60	m	70-75	197								107	113																
61	m	55-60	188	144							106	111														149,1		
62	m	60-65		138							111	112														135,4		
63	m	40-45	184	140							96	101											3,3			135,0		
64	m	60-65	187	140							99	104											9,0			138,8		
65	m	60-65	196					73	70						44?	38?		53?										
66	m	45-50	188	132							100	111																
67	m	40-45	189																									
68	m	30-35	181	142												34	24						6,2					
69	m	55-60	187	134							90	95																
70	m	40-50	199	134	143	114		79			100	104	95		41	35	25	53	12,7	7,6				82	50	126,12	114,02	
71	m	25-35		142				72			97	108	91	129	43	33	27	49					4,3	83		135,12	116,58	
72	m	25-30	185	140							96	101														131,26		
73	m	40-50	195	131	146	108					95	103											6,0			136,36		
74	m		181	144							101	113														139,50		
75	m	40-50	208	129	133	115																						
76	m	III	192	130	147	110													9,0	5,5			9,0					
77	m	III	195	144	135	103													9,0	6,7						141,22		
78	m	30-40	201	137																								
79	m	30-35																										

პირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება გვიანბრინჯაოს ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM		
1	f	60-65			137						98	104																	
2	f	45-50			140						94	97																	
3	f	60-65	184	131							96		101																
4	f	60-65	192	123							103																		
5	f	40-45		133					90		88	93			39	35	22						5,0						
6	f	16-18	191								90	94																	
7	f	20-25		119							95	99				30													
8	f	40-45	173	125	121	99					90					33													
9	f	35-40	180	142	128	97	89		63	114	101	104			41	33	25	51	10,4	4,1			3,8			142,2			
10	f	40-45									93	97																	
11	f	18-20	186	138	132	96	90	69?	61	108	100	102?			40	30	23	51	12,2	6,0				87	51	138,0	124,9		
12	f	60-65	196?	120							96																		
13	f	20-25	182	133				71	66	111	96	101	88		41	30?	23	56	12,3	3,9									
14	f	45-50	175	130	129	96	88	71	66	112	97				42	34		58					3,8	89					
15	f	70-75	180?								96																		
16	f	60-65	180	125						111	95	101	88			33	26										132,1	123,8	
17	f	18-20		132							96	96																	
18	f	30-35																											
19	f																												
20	f	40-45		136							98	110							7,0	4,8							139,8		
21	f	20-25	183	128	136	96									38	34		51	9,0	3,5			6,8						
22	f	40-45	172	133	133	97					96				40	30	24	45	6,0	4,0	23,0			82					
23	f	20-25	182	132	143	107					99	101,5							8,5	4,8									
24	f	40-45	179	133	153	98					97																		
25	f	25-30	177	131																									
26	f	25-30	191	140																									
27	f	18-20	172	127							95	102																	
28	f	35-40	187	130							96	104																	
29	f	30-35		140							108	110																	
30	f	30-35	190	132							97	104			45	40													
31	f	25-30	182								91																		
32	f	II	174	143							101	105			35	30							7,5						
33	f	I	185	134	132	99	91	69		109	92						22	52	7,0	4,0	19,0	11,0							
34	f	II	187	139							97	103	95	128									13,5					119,42	
35	f	II	186	140?	139	105					100	105							9,0	4,7			10,5		57	140,24			
36	f	II	181	139	142	102	93	71			93	101	89	124	41	33	26	51	8,0	4,0	19,0	12,0	7,5	88	64	130,44	123,20		
37	f	II	176	135							97	100			43	31			11,0	4,5	23,0	11,0	7,5		57?				
38	f	II	184	138	134	105	94	74		118	91	98	86	118	43	37			10,0	5,5			10,5	89	44	129,20	120,12		
39	f	I	184	134	133	105	100	70			95	98	93	120?	41	30	23	47	9,0	6,0			13,5	89	50	135,32	121,34		

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
40	f	II	183	133							95	105															
41	f	III	193	145							99	100															139,04
42	f	II	176	147			96	66			98	102	91	124	37	30		48	12,5	4,8				81		145,08	
43	f	II	186	131				63			98	103	90		40	32	29	50	10,6	5,0	21,9	10,9				143,14	
44	f	20-25	180		129	99	97	64			98	102	90		39	29	26	45	11,3	5,1	24,2	12,8	2,9	86	45	134,52	120,46
45	f	16-20	180								93																
46	f	25-30																									
47	f	35-40																									
48	f	25-30	188	128	138	98	94	61	60		92	100	95,1		43	32	28	44	9,9				0,5	82		140,4	128,0
49	f	30-35	189	144	131	101	92	72	71		101	110			42	37	28	56						86		131,0	
50	f	55-60																									
51	f	45-50		130							90	99															
52	f	50-55	205																								
53	f	20-25		136																							
54	f	30-35	181	132																							
55	f	25-30	173																								
56	f	II	164	132																							
57	f	I	182	137	128	100					93	96															136,52
58	f	I	177	134							98																139,00
59	f	II	177	130	131	98	96	64		105	95	98	88	121	38	32	23	46					8,0	79		140,52	126,2
60	f	II	190																								143,04
61	f	III	189								97																
62	f	II	171								98																
63	f	III	184	139				69			96	102	89		34	32	23	46					12,0			145,46	123,20

დოლიქოკრანული საგან განსხვავებით, აღინიშნება საშუალო სიმოტური მანევრებელი და დიდი ნაზომოლარული კუთხე. ამ ნიშნების საწინააღმდეგო შეფარდება დამახასიატებელია დოლიქოკრანულ თავის ქალასათვის, რაც მის ამ შემთხვევაში მეტ პროფილირებაზე მიუთითებს. ზოგადად, სერია ხასიათდება საშუალო ქალასარქველითა და სახის ფუძის სიგრძით, სახის ზედა და შუა ნაწილი საშუალო სიმაღლითა და სიგანით, შუბლი განიერი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო, ორბიტები მცირე სიგანისა და სიმაღლის, განიერი და საშუალო სიმაღლის ცხვირი, დიდი სიმოტური სიგანე და სიმაღლე, დაკრიონული სიმაღლე და სიგანე დიდი, სახე მეზო-ორთოგნატული, ცხვირის ძვლების კუთხე ჰორიზონტალურ ხაზთან ძალიან დიდი. სახის ზედა ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეები მნიშვნელოვნად ცვალებადობენ (134,52-145,08), სახის შუა კუთხე მკვეთრად პროფილირებული (შესწავლილია მხოლოდ ერთ თავის ქალაზე).

ღრმასხვეისთავი (დმანისი) ასევე ქალის ძალიან ფრაგმენტული თავის ქალათი წარმოდგენილი. შესწავლილია მხოლოდ გრძივი დიამეტრი. იგი საშუალო სიგრძისაა.

გვიანი ბრინჯაოს 24 მამაკაცისა და 24 ქალის თავის ქალები ძირითადად დიდი და ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით ხასიათდება.

ამრიგად, განვიხილეთ ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის თავისებურება ცალკეულ სერიებსა და თავის ქალების მიხედვით. გაირკვა, რომ შეხედულება მოსახლეობის ერთგვაროვანი ტიპის გავრცელების თაობაზე პირობითია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ პოპულაციურ კონცეფციას რასის თაობაზე, მაშინ ჩვენს მიერ აღნიშნული თავისებურებანი ცალკეულ პოპულაციებში გენეტიკო-ავტომატური პროცესების შედეგია. ბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში დაფიქსირებული კრანიოლოგიური პოლიმორფიზმი გამოხატულია: თავის ქალას განსხვავებული ფორმების, სახის ვიწრო და განიერი, მაღალი და დაბალი ტიპებით, მკვეთრად პროფილირებული სახით ჰორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი ვერტიკალურ, ვიწრო და მაღალი, განიერი და დაბალი თვალბუდეებით, მკვეთრად წარზიდული ცხვირით, მაღალი უნაგირით, ცვალებადი ეშვის ფოსოთი და ა.შ. ამ მოსახლეობამ თავისი ცვალებადობით და ადაპტაციის დიდი უნარით ჩაუყარა საფუძველი მოსახლეობის შემდგომ განვითარებას.

სათბურების (დიდომი) 1 მამაკაცის თავის ქალა ძალიან დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, დოლიქოკრანული ქალას მანევრებელით ძალიან დიდი შუბლის უმცირესი დიამეტრით, დიდი სახის ზედა სიმაღლით ხასიათდება.

ამრიგად, განვიხილეთ გვიანი ბრინჯაოს მოსახლეობის მორფოლოგიური თავისებურება. შესწავლილ სერიებში მასალა განაწილებულია არათანაბრად, როგორც სქესის, ასევე ცალკეული ნიშნის მიხედვით. უმეტეს შემთხვევებში ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანი შესწავლილია სულ რამდენიმე ინდივიდზე, მაგ. სახის საერთო კუთხე პროფილის ხაზთან და ა. შ. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრინჯაოს ხანა მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია ჩვენი ერის ეთნოგენეზის კვლევის საკითხში. ცალკეული თავის ქალებისა თუ სერიის დეტალური განხილვა გვაძლევს საშუალებას დავაფიქსიროთ, თუ რა მორფოლოგიური ტიპის მოსახლეობა ბინადრობდა საქართველოში უძველესი დროიდან. მიუხედავად მასალის მცირერიცხოვნობისა, შეგვიძლია ცალსახად განვაცხადოთ, რომ ძირითადად დოლიქოკრანული თავის ქალას მქონე მოსახლეობა იყო გავრცელებული, რამაც არ გამორიცხა მეზოკრანული და რამდენიმე ბრაქიკრანული ფორმის არსებობა. ასევე შეიძლება აღინიშნოს მოსახლეობის პოლიმორფულობა, როგორც სახის სრული სიმაღლის, შუბლის უმცირესი სიგანის, თვალბუდეების სიგანისა

და სიმაღლის და ა.შ. ნიშნების მიხედვით. ხაზგასმით აღსანიშნავია სახის პროფილირების კუთხეების განაწილება, ძალიან მაღალი სიმოტური და დაკრიონული მანკვებლები, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან. ეს ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ყველა დროის სერიებს განასხვავებს, როგორც კავკასიის ზოგიერთ, ასევე წინააზიის ტერიტორიაზე მოპოვებულ თანადროულ სერიებისაგან.. მამაკაცებში აღინიშნება საშუალოზე დიდი თვალბუდეების სიგანე, ხოლო სიმაღლე – საშუალო, ან მცირე, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, სახე მეზოგნატური, ცხვირის ძვლების კუთხე ძალიან დიდი.

კრანოლოგიური მასალის დეტალურმა ანალიზმა ცალკეული ნიშნების, თავის ქალას ფორმებისა და ნიშანთა კომპლექსის მიხედვით გვიჩვენა, რომ კრანოლოგიური პოლიმორფიზმი წარმოქმნილია არამხოლოდ თავის ქლას განსხვავებული ფორმებით, არამედ თვითონ საწყისი ტიპით, რომელიც ბრინჯაოდან მოყოლებული იყო პოლიმორფული. ამ თვალსაზრისით, მოსახლეობის ერთგვაროვნება პირობითია, რაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. ნიშნათა კომპლექსი, მათი შემდგომი რეკომბინაციები, ახალი კომპლექსის ჩამოყალიბება პოპულაციურ პროცესებთან, შესაძლოა, მოსახლეობის სიმჭიდროვესთან, ქორწინებითი არეალის გაფართოებასთან, აღწარმოების რეჟიმთან, ინდივიდუალის სხვადასხვა შესაძლებლობასთან დატვირთვით შთამომავლები და ა.შ. არის დაკავშირებული. მოსახლეობა, რა თქმა უნდა, პოლიმორფული უნდა ყოფილიყო, ამით მას მეტი საშუალება ჰქონდა გადარჩენილიყო, დაეტოვებინა თავის კვალი, შეექმნა საოცარი კულტურის ნიმუშები და უკვდავყოფილიყო.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდა ევროპეიდული ტიპის მოსახლეობა კარგად ადაპტირებული გარემო პირობებთან, რადგან დიდი დროის მანძილზე შეინარჩუნა ერთიანი (პოლიმორფული) ანთროპოლოგიური იერი.

საქართველოს მოსახლეობის

კრანოლოგიური ტიპი რკინის ხანაში

უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბრინჯაოს ხანასგან განსხვავებით, რკინის ფართოდ ათვისების ხანა ისტორიული განვითარების ბევრად მოკლე პერიოდს მოიცავს. აქედან წარმოდგენილი მასალები უფრო ზუსტად ასახავენ ამ პერიოდში გავრცელებულ მორფოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელ ცვალებადობას დროის გარკვეულ მონაკვეთში. სამწუხაროდ, დათარიღება ხდება არქეოლოგების მიერ მატერიალური კულტურის საფუძველზე და არ გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ იგი ცალკეულ საუკუნეების მიხედვით. ანთროპოლოგთათვის კარგადაა ცნობილი რასობრივი ნიშნების

ასაკთან კავშირი. ეს ფაქტი დადგენილია სომოტოლოგიურ მასალაზე¹, ხოლო კრანოლოგიური მასალა ამ კუთხით ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის. პალეოანთროპოლოგიურ მასალებზე დადგენილი იყო ეპოქალური ტრანსფორმაცია². ამ შემთხვევაში არ ხდებოდა სერიებში მასალის დაყოფა ასაკის მიხედვით, მით უმეტეს, რომ მორფოლოგიური ნიშნების ინდივიდუალური ვარიაცია მნიშვნელოვანია. თანამედროვე გამოკვლევები და ანალიზი აუცილებელია ვაწარმოოთ რეპრეზენტატიულ მასალებზე დაყრდნობით არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც ვახასიათებთ მთლიანად ეპოქას, არამედ გაჩნდა აუცილებლობა ამ მასალის ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით შესწავლისა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ტევად ინფორმაციას მოგვცემენ სამაროვნები, რომლებითაც დიდი დროის განმავლობაში სარგებლობდა პალეომოსახლეობა და რომლებიდანაც გაგვაჩნია რეპრეზენტატიული მასალა, ხოლო საანალიზო პერიოდში წარმოდგენილია მასალა, რომელიც განაწილებულია არათანაბრად, როგორც რეგიონების, სქესისა და ასაკის, ასევე რაოდენობრივად ასევე გვიჩვენებს მასალის არ არსებობას საქართველოს უმეტეს რეგიონებიდან, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოდან.

თრქლის სერია წარმოდგენილია დიდმის სამაროვანზე მოპოვებული 7 მამაკაცისა და 6 ქალის ცუდი დაცულობის თავის ქალით. მამაკაცების თავის ქალებზე შესწავლილი იყო გრძივი დიამეტრი (რომელიც ძალიან დიდი ფორმებით ხასიათდება), განივი დიამეტრი და სახის ზედა სიგანე ძალზედ ცვალებადი. მიუხედავად დიდი განივი დიამეტრისა, ქალას მაჩვენებელი მამაკაცებში ულტრა-დოლიქოკრანულია, სახის ზედა სიმაღლე მცირე, შუბლი ძალზედ დიდი, ცხვირის მაჩვენებელი მეზოკრანული, თვალბუდის სიმაღლე საშუალო, ეშვის ფოსო საშუალო, სახე მკვეთრად პროფილირებული, ძალზედ ვიწრო შუა ნაწილში.

აღნიშნული სახის ზედა სიგანის საშუალოზე დიდი ზომა და სახის ძალზე მცირე ზედა კუთხე მიგვიჩვენებს იმ ნიშნების შეთანხმებაზე, რომლებიც გვხვდება როგორც წინამდებარე, ისე მომდევნო ეპოქებში და არსებითია კავკასიური სერიებისთვის.

ქალების სერიაში გამოვლენილია 2 მეზოკრანული თავის ქალა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან ერთი უფრო მცირე ზომისაა, ხოლო მეორე მასიურია. ამავე სერიაში მოპოვებულია ძალიან მცირე გრძივი დიამეტრის თავის ქალა, რომელიც დიდი შუბლის უმცირესი დიამეტრით, საშუალო სახის ზედა სიგანითა და ძალიან მცირე სახის შუა სიგანით ხასიათდება. გრაციული თავის ქალას სიმაღლე, საშუალო და ქალას ფუძის სიგრძე მცირე.

ქალების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია ძალზე დიდი გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრი, ქალას ძალზე დაბალი მაჩვენებელი, ქალას ძალზე დიდი გარშემოწერილობა, საშუალოზე მეტი შუბლის ქორდა, ძალზე ფართო შუბლი, ძალიან მაღალი შუბლ-განივი მაჩვენებელი, სახის ზედა სიგანის ძალზე დიდი ზომა, სახის ზედა კუთხის საშუალო სიდიდე, თვალბუდის საშუალო სიდიდე³.

¹ Хитъ Г.Л. О возрастной динамике расовых признаков у взрослых. Антропологический сб. II, Тр. Ин-та этнографии, 1960, н.с. т. 1.

² Дебец Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.; Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб. Мещниереба, 1964.

³ აბდუშელიშვილი მ. საქართველოს ანთროპოლოგია რკინის ხანაში. თბ. მეცნიერება, 1987.

რა თქმა უნდა, ზოგიერთი ნიშნები, რომელთა გაზომვა შესაძლებელი იყო, ორივე სქესის თავის ქალებზე, მიგვიჩვენებენ სქესობრივ დიმორფიზმზე, რომელიც კარგადაა ცნობილი სომატოლოგიური მასალებიდან. ხოლო ქალების თავის ქალაზე განივი დიამეტრის აბსოლუტური ზომის სიდიდის ჭარბობისა მამაკაცებთან შედარებით, ძალზე საინტერესო ფაქტია, სერიის მცირერიცხოვობა რომ არა.

სამთავროს სერია. ამ დროის სამთავროს სერია ყველაზე დიდია და 30 მამაკაცისა და 19 ქალის თავის ქალასაგან შედგება. ყველაზე რიცხვმრავალია. სამთავროს სამაროვანი ჩვენთვის საინტერესოა კიდევ იმით, რომ ეს არის მრავალფენოვანი სამაროვანი, რომელშიც თანმიმდევრული სერიების სახით არის წარმოდგენილი თითქმის ყველა ქრონოლოგიური პერიოდი, დაწყებული გვიანბრინჯაოდან, დამთავრებული ადრეული შუასაუკუნეებით.

მამაკაცების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: ძალიან დიდი გრძივი და ძალზედ ცვალებადი განივი დიამეტრი, მიუხედავად ამისა, ქალას მაჩვენებელი ძალზედ დაბალია, მაღალი ქალასარქველი, დიდი გარშემოწერილობა, შუბლის დიდი ქორდა, საშუალოზე ფართო და სწორი შუბლი, საშუალოზე მეტი შუბლ-განივი მაჩვენებელი და შუბლის ნადრეკის საშუალო მაჩვენებელი, საშუალოზე მეტი ქალას ფუძის სიგრძე, საშუალო სიგრძისა და სიგანის კეფის ძვალი, კეფის სწორი ზედა ნაწილი, მცირე სახის სიგანე, სახის ზედა სიგანე საშუალო ზომის, მცირე სახის ზედა ჰორიზონტალური კუთხე, ძალზედ მცირე ნაზომალარული კუთხე. ეს ბოლო ნიშანი მიუთითებს სახის ძალზე მკვეთრ ჰორიზონტალურ პროფილირებაზე. ამ სერიისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ძალზედ სწორი სახის ვერტიკალური პროფილი, სახის ზედა ნაწილის მაჩვენებელი საშუალოზე მეტი, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირის მაჩვენებელი დაბალი, დაკრიონული სიმაღლე საშუალოზე მეტი, ცხვირის ძვლების კუთხე სახის პროფილის ხაზთან დიდი, სომატური და დაკრიონული მაჩვენებლები მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგრძის.

სამთავროს სერიაში აღმოჩენილია 1 ბრაქიკრანული თავის ქალა. ქალას სიმაღლე (ba-b) ძალიან მაღალი (გამონაკლისია ერთი დოლიქოკრანული თავის ქალა ძალიან დაბალი ქალას სიმაღლით), ქალას ფუძის და სახის სიგრძე დიდი, შუბლი ძირითადად განიერი (ორ დოლიქოკრანულ თავის ქალაზე მცირე სიგანის), სახის ზედა სიმაღლე მცირე, საშუალო და ძალიან დიდი ზომები ვლინდება. სახე ზედა ნაწილში ძალზედ ცვალებადი (ძალიან ვიწრო და ძალიან განიერის ჩათვლით), შუა ნაწილში მცირე და საშუალო სიგანის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, ეშვის ფოსო ძალიან დიდი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან დიდი. ზიგომაქსილარული კუთხე ძალიან მცირე, ნაზომალარული კუთხე ძირითადად მცირე.

ბრაქიკრანულ თავის ქალაზე შესწავლილ ნიშანთა კომპლექსი – განიერი შუბლი, საშუალო სიგანის სახე ზედა ნაწილში, დიდი ეშვის ფოსო და ძალიან მცირე ნაზომალარული კუთხე, არ იძლევა საშუალებას განვასხვაოთ იგი სხვა კრანოტიპები საგან. მეზოკრანული თავის ქალა, რომელზეც ასევე ნიშანთა არასრული კომპლექსია შესწავლილი, ხასიათდება ძალიან მაღალი ქალას სიმაღლით, ძალიან დიდი ქალას ფუძის სიგრძით, ძალიან განიერი შუბლით, დიდი სახის ზედა სიგანით, დიდი ეშვის ფოსოთი და მცირე ნაზომალარული კუთხით. ძირითადი განსხვავება დოლიქოკრანულ

თავის ქალებს შორის აღინიშნება და შემდეგი ნიშანთა კომპლექსის ერთობლიობა ფიქსირდება:

- დოლიქოკრანული ხასიათდება ძალიან მცირე ქალას სიმაღლით (ba-b), დიდი ქალას ფუძის სიგრძით და ძალიან დიდი სახის ფუძის სიგრძით, ჰიპერლექტოპროზოპული (ძალიან მაღალი და ვიწრო) სახით, განიერი შუბლით, ჰიპოკრანული (გრძელი) თვალბუდეებით, მეზოკრინული (საშუალო) ცხვირით, მეზოგნატული ვერტიკალურ და მკვეთრად პროფილირებულ ჰორიზონტალურ ჭრილში სახით.

- დოლიქოკრანული მეორე ვარიანტის, ახასიათებს ძალიან დიდი ქალას სიმაღლე და ქალას ფუძის სიგრძე, დიდი სახის ფუძის სიგრძე, მეზოპროზოპული (საშუალო სიგანისა და სიგრძის) სახე, შუბლი განიერი, მეზოგნატული ვერტიკალურ ჭრილში სახე, შებრტყელებული ზედა ნაწილში და მკვეთრად პროფილირებული შუა ნაწილში.

- დოლიქოკრანულ თავის ქალებზე კიდევ ერთი ნიშანთა კომპლექსი აღინიშნება: ქალას სიმაღლე ძალიან დიდი, საშუალო ქალას ფუძის სიგრძე და ძალიან დიდი სახის ფუძის სიგრძე, სახე ლექტოპროზოპული (მაღალი და ვიწრო), შუბლის უმცირესი დიამეტრი მცირე, სახის ზედა სიგანე ძალიან მცირე, საშუალო პროფილირების სახე ზედა ნაწილში და მკვეთრად პროფილირებული შუა.

აღსანიშნავია, რომ სამთავროს მამაკაცებისათვის დამახასიათებელია ძალიან დიდი ეშვის ფოსო და ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან.

ამავე სერიის ქალების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: ძალზე დიდი გრძივი და განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი ძალზედ მცირე (გამონაკლისია 1 ბრაქიკრანული თავის ქალა), ქალა-სარქველი მაღალი, ქალას გარშემოწერილობა დიდი, შუბლის ძვალი ფართო და გრძელი, ზომიერად დაქანებული შუბლი, შუბლ-განივი მაჩვენებელი ძალიან მაღალი, ზომიერი შუბლის ნადრეკის მაჩვენებელი, კეფის ძვალი საშუალოზე გრძელი და საშუალო სიგანის, კეფის ზედა ნაწილი სწორი, თხემის ქორდა ძალზე დიდი, ფუძის სიგრძე მცირე, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო ზომის, სახის ზედა სიგანე საშუალოზე მეტი, ხოლო ქვედა სიგანე საშუალოზე მცირე, სახის ზედა ნაწილის სიმაღლე საშუალო, სახის ზედა ჰორიზონტალური კუთხე მცირე, სახის შუა ჰორიზონტალური კუთხე ძალზე მცირე, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირის კუთხე პროფილის ხაზთან დიდი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის.

სამთავროს ქალების სერიაში დაფიქსირებულია დოლიქო, მეზო და ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმები. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ჰიპერდოლიქოკრანული ფორმა არ ვლინდება. ქალის ბრაქიკრანული თავის ქალა მამაკაცებისაგან განსხვავებით, გამორჩევა მცირე ეშვის ფოსოთი, სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა ძალიან დიდი კუთხით, ხოლო შუა კუთხე ძალიან მცირე, შუბლის უმცირესი სიგანე დიდი და სახის ზედა სიგანე საშუალო. უკანასკნელი ორი ნიშნით ბრაქიკრანული თავის ქალები არ განსხვავდებიან. დანარჩენი ნიშნები: ქალას სიმაღლე, ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძე, სახის ზედა სიმაღლე მცირე. სახის ზედა მაჩვენებელი მეზოპროზოპული, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, თვალბუდეების მაჩვენებელი მეზოკონპური, ცხვირის მაჩვენებელი მეზორინული, სიმოტური ძალიან დიდი. მამაკაცის თავის ქალაზე შესწავლილი არ არის. ამ დახასიათებაში მხოლოდ ქალას სიმაღლის მცირე ზომა არ

შეესაბამება, რადგან როგორც წესი თავის ქალას გრძივი დიამეტრი და განივი დიამეტრის შემცირება და ქალას სიმაღლის ზრდა შეესაბამება.

დოლიქოკრანული თავის ქალებისათვის დამახასიათებელია მაღალი თავის ქალა, სახისა და ფუძის სიგრძე დიდი, სახის ზედა მახვენებელი ლეპტოპროზული, თვალბუდეების მახვენებელი ერთ შემთხვევაში ჰამეკონჰური (მოკლე), მეორე მეზოკოპური (საშუალო), ცხვირის მახვენებელი მეზორინული, სიმოტური მახვენებელი დიდი. ეშვის ფოსო დიდი, სახე ვერტიკალურ ჭრილში მეზოგნატული, ჰორიზონტალურში მკვეთრად პროფილირებული, ცხვირი მკვეთრად წინ წარზიდული.

მეზოკრანული თავის ქალები გამოირჩევიან მაღალი თავის ქალას სიმაღლით, ქალას ფუძის სიგრძე დიდი, სახის ფუძის სიგრძე საშუალო, სახის ზედა სიმაღლე საშუალო, შუბლის უმცირესი სიგანე ძალიან დიდი, სახის ზედა სიგანე დიდი, შუა სიგანე საშუალო, თვალბუდეების მახვენებელი მეზოკონჰური, ცხვირის მახვენებელი ლეპტორინული და მეზორინული, სიმოტური მახვენებელი ძალიან დიდი, სახე მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში, ცხვირი მკვეთრად წარზიდული, სახე მეზო- და ორთოგნატული ვერტიკალურ ჭრილში.

ნიშანდობლივია, რომ ამ სერიაში ორივე სქესისათვის დამახასიათებელია ძალზე ცვალებადი განივი დიამეტრი, მცირე ქალას მახვენებელი, ვიწრო მამაკაცებისათვის და საშუალო სახის სიგანე ქალებისათვის, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირი, ცხვირის უნაგირი ძალზე მაღალი, ძალზე პროფილირებული სახე, საშუალო სიმაღლისა და სიგანის თვალბუდეები. მთლიანობაში, სერია ერთგვაროვანია.

მუნადგვერდში მოპოვებული თავის ქალა ხასიათდება საშუალო გრძივი დიამეტრით, ძალიან მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის თვალბუდეებით, თვალბუდის მახვენებელი ჰიპოკონჰური, სიმოტური მახვენებელი ძალიან დიდი.

წეროვნის (სათბურების) მიდამოებში მოპოვებულია 3 მამაკაცის ცუდი დაცულობის თავის ქალა, რომლებიც ხასიათდებიან მცირე და საშუალო განივი დიამეტრით, გრძივი დიამეტრი გაზომილია ერთ თავის ქალაზე, ქალას მახვენებელი დოლიქოკრანული. ამავე თავის ქალას სიმაღლე დიდი, ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი, ვიწრო შუბლი და სახის ზედა სიგანე. როგორც ჩანს, სათბურებში იკრძალებოდა მოსახლეობა საშუალო განივი დიამეტრით, ძალიან დიდი შუბლის უმცირესი სიგანით და ძალიან დიდი სახის ზედა სიგანით.

ნაბადრების სერია, ამ სერიის მამაკაცის თავის ქალა ხასიათდება: ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრით, ძალზე დაბალი ქალას მახვენებლით, ძალზე მაღალი ქალა-სარქველით, გრძელი და ზომიერი სიგანის შუბლის ძველით ვერტიკალურ სიბრტყეში სწორი, შუბლის ნადრეკის მახვენებელი საშუალო, კეფის სიგანე ზომიერი, სახის ფუძე ძალიან გრძელი, სახის ზედა სიგანე საშუალოზე მეტი, შუა სიგანე – საშუალოზე ვიწრო, სახის ზედა სიმაღლე ზომიერი, ჰორიზონტალური პროფილის კუთხეები ძალზე მცირე, ცხვირი მაღალი და საშუალო სიგანის, თვალბუდის მახვენებელი ზომიერი.

ქალების თავის ქალები ხასიათდება: თავის ძალზე დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრით, ქალას მახვენებელი დაბალი, ქალა-სარქველი მაღალი, გარშემოწერილობა ზომიერი, საგიტალური რკალი დიდი, განივი – საშუალო ზომის, შუბლის ძვალი საშუალო სიგრძისა და ვიწრო, თხემის ძვალი ძალზე გრძელი და ზომიერად მოდრეკილი, სა-

ხის ზემო ნაწილის სიმაღლე საშუალოზე მცირე, ხოლო სახის შუა კუთხე – ძალიან დიდი.

ნარეკავის სერია წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ქალით. მამაკაცების თავის ქალები ცუდი დაცულობისაა, მათზე შესწავლილია სულ რამდენიმე ნიშანი. ახასიათებთ თავის ქალას ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები, ქალას მახვენებელი დოლიქოკრანული; უმცირესი სიგანის შუბლი და სახის ზედა სიგანე მცირე ერთ თავის ქალაზე, ხოლო მეორე, დიდი შუბლის უმცირესი სიგანითა და საშუალო სახის ზედა სიგანით ხასიათდება. ნარეკავის ქალის თავის ქალა მცირე გრძივი და განივი დიამეტრებით გამოირჩევა, ქალას მახვენებელი მეზოკრანული, ქალას სიმაღლე, სახის ზედა სიმაღლე, სახის სრული სიმაღლე, შუბლის უმცირესი სიგანე საშუალო. სახის ფუძის სიგრძე, ქალას ფუძის სიგრძე, სახის შუა სიგანე და ეშვის ფოსო მცირე, თვალბუდის მახვენებელი მეზოკოპური, ცხვირი ლეპტორინული, სიმოტური მახვენებელი დიდი, სახე ორთოგნატული ვერტიკალურ ჭრილში, საშუალოდ პროფილირებული სახის ზედა ნაწილში, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან დიდი.

ამრიგად, მცხეთის რეგიონიდან წარმოდგენილი კრანოლოგიური მასალა სამთავროს, ნაბაღრების, ნარეკავის, წეროვანის და მუხათგვერდის სერიების ერთობლივი განხილვა უფრო ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს რკინის ხანაში გავრცელებული მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობაზე.

მამაკაცების გაერთიანებული სერია ხასიათდება: ძალზე დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, თავის ქალას ძალზე დაბალი მახვენებლით, მაღალი და დიდი გარშემოწერილობის სარკველით, გრძელი და საშუალოზე ფართო შუბლის ძვალთ, ქალას ფუძის სიგრძე დიდი, კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, თხემის ძვალი ძალიან გრძელი და ზომიერად მოდრეკილი სახის ფუძე, საშუალო სიგრძის, ყვრიმალთშუა დიამეტრი მცირე, სახის შუა სიგანე მცირე, ზედა სიგანე საშუალო, სახის ზედა სიმაღლე საშუალო, ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეები ძალიან მცირე, სახე ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირის მახვენებელი საშუალოზე დაბალი, დაკრიონული და სიმოტური სიმაღლეები საშუალოზე მეტი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

ამავე სერიის ქალები ტიპოლოგიურად თითქმის არ განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. გვინდა აღვნიშნოთ რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. ქალების სერიაში გრძივი და განივი დიამეტრები მცირეა, მაგრამ რაც ტიპოლოგიური დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია, თავის ქალას მახვენებელი ორივე ჯგუფში დოლიქოკრანულია. ამ შემთხვევაში მიღებული განსხვავება მარტივად აიხსნებოდა, რომ გეჭვონდეს მამაკაცების და ქალების საშუალო სიმაღლის სიდიდეები. სომატოლოგიურ მასალაზე დადასტურებულია თავის ზომების კორელაცია სიმაღლესთან (რა თქმა უნდა, თუ ადამიანს არ აქვს დაავადება, მაგალითად, ჰიდროცეფალია), სხვა განმასხვავებელი ნიშნებიდან ქალების სერიას ახასიათებს ოდნავ მეტი ზედა ჰორიზონტალური კუთხე და დაკრიონული სიმაღლე. ეს სხვაობა სავესებით მისაღებია, რადგან მორფოლოგიურად ერთი ტიპის გავრცელება არ გულისხმობს ცვალებადობის შემცირებას ან სქესობრივი დიმორფიზმის უარყოფას. ცვალებადობის გარეშე ნებისმიერი სახეობის არსებობას საფრთხე ემუქრება. რაც უფრო

მეტი სახეობის ცვალებადობა, მით მეტია მისი პლასტიურობა გარემოს ცვალებად პირობებთან მიმართებაში.

დვანის სერია წარმოდგენილია მამაკაცის ორი თავის ქალათი, რომლებიც ხასიათდებიან: დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრით, ქალას მახვენებელი დაბალი, ქალა-სარქველი საშუალოზე მაღალი, გარშემოწერილობა ზომიერი, შუბლის ძვალი და კეფის ძვალი გრძელი, საშუალო სიგანის; სახის ზედა სიგანე ვიწრო, შუა სიგანე ძალზე ვიწრო, სახის ზედა ნაწილის სიმაღლე საშუალოზე მცირე, სახის ზედა კუთხე ზომიერი, შუა კუთხე – ძალზე მცირე, ცხვირი ვიწრო, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის ძვლები მკვეთრად წინ წარზიდული, დაკრიონული და სიმოტური მახვენებლები ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

გრემისხევის სერია უინვალის მიდამოებში მოპოვებული ძალზე ფრაგმენტული 1 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ქალათი არის წარმოდგენილი. მამაკაცის თავის ქალა ხასიათდება: მცირე განივი დიამეტრით, დაბალი ქალა-სარქველით და თხემის გრძელი ძვლით.

ქალის თავის ქალა ხასიათდება: გრძელი, ფართო და სუსტად მოდრეკილი შუბლის ძვლით და საშუალოზე ფართო სახის ზედა სიგანით.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული ამ სერიის ფრაგმენტულობა და ამრიგად, არ შეიძლება მორფოლოგიური მსგავსება სანდოდ მივიჩნიოთ. თუმცა ნათელია, რომ ის ნიშნები, რომელთა გაზომვაც მოხერხდა, არ გვიჩვენებს რაიმე განსაკუთრებულს, რომელიც სცილდება ამ დროისათვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ ტიპს.

ღრმახევისათვის სერია წარმოდგენილია 3 მამაკაცისა და 4 ქალის თავის ქალებით. ამ სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია: ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრი, აქედან გამომდინარე, ქალას მახვენებელი ძალიან დაბალი, მაღალი ქალა-სარქველი, ძალიან დიდი ქალას გარშემოწერილობა, შუბლის ძვალი ძალიან გრძელი, სწორი და საშუალო სიგანის, ქალას ფუძე საშუალო სიგრძის, ყვრიმალთშუა დიამეტრი საშუალო ზომის, სახის შუა სიგანე საშუალოზე მეტი, სახის ზედა სიგანე საშუალოზე მეტი, ცხვირი საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე დაბალი, ცხვირის უნაგირის სიმაღლე საშუალო, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი.

ქალებისათვის დამახასიათებელია: საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრი, ქალას მახვენებელი მეზოკრანული, ქალა-სარქველი დაბალი, განივი რკალი მცირე, შუბლის ძვალი სუსტად მოდრეკილი, კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და მცირედ მოდრეკილი, სახის ზედა სიგანე მცირე, სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხე საშუალოზე მეტი, ცხვირი საშუალო სიგანის, თვალბუდეების სიმაღლე საშუალოზე მცირე.

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება რკინის ხანაში

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	m	50-55	195	138	137	117					91	100																
2	m	50-55		134																								
3	m	50-55		143							103	112																
4	m		197	145																								
5	m	30-35	200	126				68	62		103	107				34	25	50						4,8			130,2	
6	m	40-45	208,									91	89				23							6,0				114,3
7	m	35-40		150?																								
8	m	50-55	197	142							107	107																
9	m	45-50	180												39	35			7,3	4,2								
10	m	40-45		133							92	102																
11	m	40-45	191	136							100	105																
12	m	40-45	197	143							92	101												8,0				142,34
13	m	50-60	193	139	125	105	110	79			100	105	93	128	42	35	25	55	11,4	4,2			8,0	84	49	139,38	113,18	
14	m	III	199	138				69		124	102	110	96				23	48					9,0				133,44	121,16
15	m	45-55	184	148							99	104											10,5					133,18
16	m	III	198	136	143	114					99	108		127														
17	m		202	149	147	108	103	70			99	104	93	133	40		28	51					9,0	84	50	147,48	126,24	
18	m	III	192								106	117					25						8,0					134,58
19	m																						9,0					
20	m		193	145	151	109					103	109											8,0					137,10
21	m		187	135	142	103	107	68		114	90	97	95	122											56	141,24	117,30	
22	m			133																								
23	m		183	137	130	96	97	73			96	107	96	129	45	34	23	51					4,0				138,0	133,0
24	m		181	133	128	100	91				98	102			41	33			12,0	6,7	22,0	14,3	4,0		50	137,0		
25	m		193	143	142	113	103	76			99	107	92	136	45	36	24	52	8,0	6,5	20,4	18,0	4,0	91	54	129,0	118,0	
26	m		182	131				63			86	98	92	126	42	32	25	47	9,5	5,0	21,0	12,8	6,8	83	65	143,0	119,0	
27	m		183	136	128	99	100	72			97	102	90	126	44	35	27	52	11,0	5,0	21,0	13,0	3,7	80	51	139,0	119,0	
28	m		183	139	141	108	99	74			106	107	100	135	43	33	24	55	12,8	8,0	25,5	15,5	4,5	84	54	136,0	121,0	
29	m		179	137	126	101	94	65			102	104	87	123	42	30	24	49	9,0	5,0	22,0	12,5	10,5	92	58	144,0	134,0	
30	m		188	145	137	107	106	72			102	110	98	136	46	34	25	53	8,6	6,3	21,6	15,3	3,3	83	51	142,0	115,0	
31	m		193	157	140	110	105	74		123	115	116	87	136	43	33	23	51	15,5	6,3	24,5	15,6	1,3	87	58	133,0	120,0	
32	m	60-65																										

ცხრ.№ 3 გაგრძელება

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
33	m	40-45	189	142	136	108	101	76		124	101	107	95	132	43	36	24	56	9,1	5,4	18,3	9,8	4,5	84	58	127,02	116,92	
34	m	30-35	183								101																	
35	m	40-45		135							100																	
36	m	35-40	183	153				75	70	123	94	99	95		43	33	23	59	10,2	4,0			6,0	85		128,9	120,5	
37	m	30-35	193	133							98	101																
38	m			137							106	110																
39	m										101	108																
40	m																											
41	m	60-65	197	143	148	103	98	71	68		95	104	102	136	41	32	23	49	8,8	4,5	19,6	10,1	8,2	85		146,0	124,7	
42	m	50-55		133																								
43	m	III	186	137				65			94	100	86		42	34	23	48	9,0	7,0			6,0	75	42	141,38	117,48	
44	m	III		142													24	53					9,0					
45	m	25-30	176	145	141	100	93	69		114	94	104	92	127	40	35	22	52	10,1	3,2	23,9	12,6	3,2	90	60	138,42	123,18	
46	m	50-55	170	126		99	94	67	64	107	95	104	91		42	35	25	51	10,0	4,1			5,7	80		130,4		
47	m	40-45	187	128							79	100																
48	m			134																								
49	m	70-75	212	135	152	120	109	72?	69?		105	110	91			36	25	56					3,4	90?		123,1	116,9	
50	m	40-45	200								100	105				33												
51	m	55-60	200								95	100																
52	m	45-50	203								90	97																
53	m	18	187	185	146	141	101	76			100	104	100	128	43	32,5	25,3	57,0					3,6	87		128,0	122,0	
54	m	50	214	141				86		136	103	111	104	139	45,1	34,0	28,3	62,4	10,0	8,7	22,5	17,8		93	46	124,0	115,0	
55	m	50	180	138							104	110															136,0	
56	m	45	179	133							90	106												86	43	136,0		
57	m	50	189	132	133	107	98	76			99	102	86	129	41	34		53									127,0	124,0
58	m		196									99			39,0	33,5			9,0	5,5				86	37	124,0		

ცხრ.№ 3 გაგრძელება

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
59	m	50-60	188	145	135			72		118	92	102	99	137	43,5	29,1	22,3	54,4	9,0	6,0	20,2	13,4	6,2	84	56	135,0	124,0	
60	m	35	186	132	131	104	103	64				102	93	127	39,8	32,3	21,2	46,1	9,0	6,5	19,0	15,7	7,5	82	20	134,0	118,0	
61	m	60	183	122	127	114	110	80		125		103		130			23	58,7							86		133,0	
62	m			124																								
63	m			130																								
64	m	III	193	135							95	105																
65	m		190	127	136	103	89	71		114	98	101	89		42	34	23	51	7,1	3,2			3,0	93	66	137,44	133,10	
66	m	II	194	132	135	104	103	70		120	100	105	91	124	42	37	24	53	11,5	6,4	22,0	11,0	1,5	87	51	131,2	117,0	
67	m	III	197	132				68			92	100	85		44	32	24	50					4,5					
68	m	III	193	142							98	106																
69	m	III	189	140									98		42								7,5					
70	m	III	199	138							107	114											9,0					
71	m	II		130							96	102							9,0	5,0	21,0	13,5				142,24		
72	m		189	140																								
73	m	III	211	151	151	109	102				101	111	98	131			27						2,0			141,06	121,16	
74	m	III	216	142							96	103																
75	m	III	190	139							104	110	100										9,0			141,06	115,46	
76	m	III	204	144	135	113		81			108	111	96	135	47	35	26	59	10,0	5,6	24,0	15,0	9,0	95	61	125,06	117,20	
77	m	II	185		127	97	90	63		113	96	99	82	118	39	34	23	48	10,0	4,0	24,0	11,0	6,0	90	62	137,40	126,52	
78	m		182	132	134	101					99	108					27						8,0					
79	m		197	141							94	98					25						9,0			142,00		
80	m	II	183	135	143	105	97	68		110	103	109	94	129	40	31	25	54	10,0	5,6	23,0	13,0	9,0	87	54	134,26	119,28	
81	m		181	136							96	103					23						9,0					
82	m		191	148							110	122																

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება რკინის ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
1	f	50-55	177	140	129	92																					
2	f	30-35	190	143							90																
3	f	25-30	167								98	100	79														
4	f	25-30	168	133	130	93	88	66	62	111	93	99	88		39	31	22	49	6,8	2,9			3,0	86	60	139,8	
5	f	25-30	185	138	133	100	103	68		113	100	103	93	122	42	30	25	50	7,8	3,3			4,2	80	51	136,22	115,04
6	f		182	129	145						89																
7	f	III	192	139											45	35			18,0	4,3			8,0				
8	f	III	187	138	140	106					101	100							8,0	5,0			6,0				
9	f	I	173	133	133	99	93	65			100	103	91		41	34	20	47	9,0	4,8	22,0	13,0	7,5	80	54	134,2	120,3
10	f	25	179	138				71							38	33	24	49					6,0	94			
11	f	I	168	137	125	93	91	63			97	101	88	118	41	35	24	49	7,9	4,0			3,0	86	53	152,30	121,22
12	f	III	189	147	147	104													10,0	6,5	18,0	11,0				153,32	
13	f	20-25																									
14	f	20-25	177	192	135	103					103	100			43	36											147,2
15	f		203	141							105	108				34											144,3
16	f			144																							
17	f		177	138																							
18	f	20-25	184	128																							
19	f	40-45	174								92	97				32	24		6,8				4,5			147,0	
20	f	35-40										99															
21	f	30-35		131	122																						
22	f	20-25	181	144	128	104	110	60					87		41	37	25	46					5,1				
23	f	50-55	175					72	90	111	94	101	93		39	35	27	54	8,0	3,5				81		125,2	
24	f										97	103															
25	f	25-30	187	129	129	94					86	92															
26	f	25-30																									
27	f	15-16	188								101	103															
28	f	55-60	187								91	96															

ცხრ.№ 4 გაგრძელება

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
29	f	18-20	184		144	109																						
30	f	25-30	172	121	123	97				95	90	101															142,9	
31	f	70	176	138	130						96	100															130,0	
32	f	25	176	129	117	91	92	71			98	106	84	116	43	36	22	54					3,7	86		128,0	123,0	
33	f	20	181	129	121	97	92	69			97	100	95	120	42	33	22	50	11,7	6,4	22,2	19,2	3,4	89	58	131,0	117,0	
34	f	30	184	135	126	95					103	105														136,0		
35	f	30	175	136				68		112	89	94	86	121	44,7	31,2	20,3	50,5		4,6	12,0	11,0	5,0	86	56	134,0	119,0	
36	f	30-40	185	124				64		102	90?	100	88		39	34	25	48	11,4	5,4	22,0	14,0		85	51	134,56	119,44	
37	f		183	132	134	101	94				101	103	85		40	32	24	45	8,9	3,8	25,1	10,7	6,8		63	135,42	124,54	
38	f	II	192	145	126	93	87				102	107											8,0	91		134,24		
39	f	II	188	134	143	107													12,0	5,3								
40	f	III	187	132				76		122					42	32		54	8,0	4,2			14,0		52			
41	f	II	172	131							95																	
42	f	III	173	131	133	100	93	67			92	99	88	121	40	33	24	50	10,0	3,7	18,0	10,0	14,0	87	62	143,08	122,14	
43	f	I	185	128													24						8,0					
44	f		202	121	132																							
45	f	I		133	134	98	84	64		108	103	110			43	34	25?	49	12,0	3,3	24,0	12,0	8,0	89	65	138,44		

განთიადი (დმანისი) – ახალგაზრდა დედაკაცის თავის ქალა ძალიან გრძელი და ვიწრო, ჰიპერდოლიქოკრანული.

სანთა (წალკა) - დედაკაცის თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი ქალას სიმაღლე, ძალიან გრძელი ქალას ფუძე, ძალიან განიერი შუბლი, ძალზედ განიერი და მაღალი თვალბუდეები, თვალბუდის მანქვენებელი ძალიან მცირე, ზომიერი სიგანის სახე შუა ნაწილში, ნაზომოლარული კუთხე დიდი.

გული-თევზს სერია ძალიან მცირეა. ამ სერიის 1 მამაკაცის თავის ქალა ხასიათდება: მცირე გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრით, ძალიან მაღალი ქალას მანქვენებლით, რითაც საგრძნობლად გამოირჩევა ყველა ადრე განხილული სერიისაგან. ამ თავის ქალას აგრეთვე ახასიათებს: მაღალი ქალა-სარქველი, გარშემოწერილობა მცირე, შუბლის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, სუსტად მოდრეკილი, ქალას ფუძე საშუალო სიგრძის, კეფის ძვალი ძალიან გრძელი და განიერი, თხემის ძვალი მოკლე, ქალას ფუძე მოკლე, სახის სიგანე ვიწრო, სახის ზედა სიგანე საშუალო, ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეები ძალზე მცირე, ვერტიკალური პროფილი სწორი, ცხვირი ვიწრო, საშუალო სიმაღლის, ცხვირის მანქვენებელი დაბალი, დაკრიონული სიმაღლე დიდი, სიმოტური სიმაღლე საშუალო, ცხვირის კუთხე სახის პროფილითან ძალზე დიდი, თვალბუდეები ვიწრო და საშუალო სიმაღლის.

ქალის თავის ქალაც ამ სერიაში ერთადერთია. ამიტომ, როცა ვხმარობთ სიტყვას –სერია, ხმამაღალი გამოთქმა გამოგვდის, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ისტორიული განვითარების ადრეული პერიოდის მასალებს, აქ საინტერესოა თითოეულ თავის ქალაზე მიღებული ნიშნებიც კი. ქალის თავის ქალა ხასიათდება: დიდი გრძივი და განივი დიამეტრებით, საშუალო ქალას მანქვენებლით, ზომიერი სიმაღლის ქალა-სარქველით, დიდი გარშემოწერილობით, საშუალო სიგრძის შუბლის ძვლით, ძალიან დიდი ქალას ფუძის სიგრძით, კეფის ძვალი ძალიან განიერი და მოკლე, სწორი ზედა ნაწილით, ზომიერად მოდრეკილი, სახის ფუძე გრძელი, სახის შუა სიგანე მცირე, სახის ზედა ნაწილი დაბალი, ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი, თვალბუდე საშუალო სიგანის.

სიღნადის სერია ასევე მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია მხოლოდ 1 მამაკაცის თავის ქალით, რომელიც ხასიათდება: დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრებით, დაბალი ქალას მანქვენებლით, ზომიერი ქალა-სარქველის სიმაღლით, გრძელი და განიერი შუბლის ძვლით, ძალიან გრძელი ქალას ფუძით, საშუალო ყვრიმალთშუა დიამეტრით, დიდი სახის შუა და საშუალო ზედა სიგანით, სახე ჰორიზონტალურ სიბრტყეში ძალზე პროფილირებული, ცხვირი ვიწრო, მაღალი, ცხვირის მანქვენებელი საშუალოზე მცირე, დაკრიონული სიმაღლე საშუალოზე მცირე, სიმოტური – ძალიან მაღალი, ცხვირის კუთხე პროფილის ხაზთან საშუალოზე მცირე, თვალბუდეები განიერი და მაღალი.

ალაზნის ველი, სიღნადის რაიონი – მოპოვებულია მამაკაცის 1 თავის ქალა, რომელსაც „სკვითი“ უწოდეს (ასლანიშვილი, 2001) მისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: მეზოკრანული თავის ქალა განიერი და დაბალი თვალბუდეები მცირე სიმაღლის მკვეთრად წარზიდული ვიწრო ცხვირი, სახე ზომიერი სიგანის, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში და სწორი ვერტიკალურში. სახის სიმაღლე ზედა ნაწილში, ისევე როგორც სახის სრული სიმაღლე საშუალოზე მაღალი, საშუალო სიგანის შუა ნაწილში, ორთოგნატული, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის.

ს. ვერონა თელავის რაიონი – ძალზედ ცუდი დაცულობის ორი მამრობითი სქესის თავის ქალა, განსაზღვრულია განივი დიამეტრები, რომლებიც ძალიან მცირე ზომის არიან.

თლიის სერია წარმოდგენილია კრანოლოგიური მასალით 10 მამაკაცისა და 5 ქალის თავის ქალებისაგან. ამ სერიის მამაკაცის თავის ქალები ხასიათდებიან: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალი, ქალა-სარქველი საშუალო სიმაღლის, შუბლის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, ქალას ფუძე ძალიან გრძელი, კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, მკვეთრად მოდრეკილი, ყვრიმალთშუა სიგანე ძალიან ვიწრო, სახის ზედა სიგანე ზომიერი, ჰორიზონტალური პროფილის კუთხეები ძალზე მცირე, სახის ვერტიკალური პროფილი სწორი, ცხვირი ვიწრო და მაღალი, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე სახის პროფილთან ძალიან დიდი, დაკრიონული და სიმოტური მაჩვენებლები ძალიან მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი.

ქალების თავის ქალა ხასიათდება: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალი, ქალა-სარქველის სიმაღლე ზომიერი, შუბლის ძვალი გრძელი და ზომიერი სიგანის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი ვიწრო სახის შუა სიგანე ვიწრო, ზედა სიგანე ზომიერი, სახის ჰორიზონტალური კუთხეები ძალიან მცირე, ხოლო ვერტიკალური – ძალიან დიდი, ცხვირი ძალიან ვიწრო და მაღალი, დაკრიონული და სიმოტური სიმაღლეები ძალიან დიდი, ცხვირის ძვლების კუთხე სახის პროფილთან ძალიან დიდი, თვალბუდეები ზომიერი სიმაღლის და განიერი.

თლიის კრანოლოგიური სერია, რომელიც ჯავის რაიონიდან არის, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა, რადგან ეს მასალები ერთ-ერთია იმ რეგიონიდან, სადაც თანამედროვე მოსახლეობა წარმოდგენილია კავკასიონის ტიპით. ამ მასალებზე დაყრდნობით ვღებულობთ გარკვეულ და გადამწყვეტ პასუხს კავკასიონის ტიპის წარმოშობა-ჩამოყალიბების თარიღისა და თავისებურებების შესახებ, ვინაიდან კავკასიონის ტიპი – ეს კავკასიაში ფართოდ გავრცელებული წინააზიური ტიპის ლოკალური ვარიანტია. როგორც ჩანს, მისი ჩამოყალიბება გაცილებით უფრო გვიან პერიოდს უკავშირდება, ვიდრე რკინის წარმოების ფართოდ ათვისების ხანაა. თლიის კრანოლოგიური სერია ხასიათდება საქართველოში და კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპის ლოკალური თავისებურებების გარეშე. ეს ფაქტი კი გულისხმობს, რომ მთიანეთში ამ პერიოდში ჯერ არ არის დაწყებული კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსის ჩამოყალიბება.

განხილული სერიების თავისებურება ხშირ შემთხვევებში განპირობებულია ინდივიდუალური და არა ტიპოლოგიური თავისებურებებით. გარდა ამისა, თანამედროვე მოსახლეობის შესწავლისას დადგენილია ნებისმიერი პოპულაციის მაღალი პოლიმორფულობა, რაც აუცილებელი პირობაა სახეობების გადარჩენისა. ასეთი შიდაპოპულაციური და პოპულაციათშორისი მრავალფეროვნების შეფარდება ყოველთვის მუდმივია, ხოლო ძირითადი წვლილი ცვალებადობისა მიუძღვის პოპულაციურ დონეს, რომელიც ასახავს ეთნოსის ცვალებადობის 85%-ს. ჩვენს განკარგულებაში მყოფი კრანოლოგიური მასალა მთლიანობაში არ ასახავს პოპულაციურ დონეს, რადგან ჩვენ არ ვიცით რაოდენობა იმ ჯგუფებისა, რომლებმაც ესა თუ ის სამაროვანი დატოვა და გვაქვს მხოლოდ ამონაკრები, თანაც მცირერიცხოვანი, გარდა ამისა ნებისმიერი სამარხიდან მოპოვებული მასალა, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა თაობებს ეკუთვნის. ამრიგად, ამ მასალის

უფრო ზუსტი გენეტიკური ანალიზის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ცვალებადობა ნაკლები იყო. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენ ვერ ვილაპარაკებდით საქართველოს ძველი და თანამედროვე მოსახლეობის მემკვიდრეობითობაზე.


ამჟამად გვინდა აღვნიშნოთ თანადროულ სერიებს შორის მჭიდრო მორფოლოგიური მსგავსება. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენდნენ თბილისის და მცხეთის რეგიონებიდან მოპოვებული სერიები – თრელი, სამთავრო და ნაბადრები, რომლებიც უახლოეს ჯგუფებს წარმოადგენდნენ ერთმანეთის მიმართ და სხვებთანაც. მაკავშირებელი ამ ჯგუფებიდან ნაბადრების სერია არის, რომელიც ერთნაირად ასახავს ამ ჯგუფების მორფოლოგიური სუბსტრატის ერთიანობას. სიღნაღის სერია ამ გაერთიანებას ერთვის თრელის სერიის მეშვეობით, ხოლო ღრმახევისთავის სერია ამჟღავნებს თითქმის ერთნაირ მსგავსებას როგორც თრელის და სამთავროს, ასევე ნაბადრების სერიებთან. ყველაზე მეტად გამოირჩევა გეოი-თეფეს სერია.

საქართველოს მოსახლეობა რკინის ხანაში (ცხრ.№ 3-4) ხასიათდებოდა ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრით, რის გამო თავის ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალი, ქალასარქველი მაღალი, შუბლის უმცირესი სიგანე დიდი, ხოლო მაქსიმალური სიგანე ზომიერი, საგიტალურ სიბრტყეში ზომიერად დაქანებული, შუბლ-განივი მაჩვენებელი დიდი, შუბლის ნადრეკის მაჩვენებელი ზომიერი, ქალას ფუძე გრძელი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, სახის შუა სიგანე მცირე, ხოლო ზედა სიგანე ზომიერი, ასევე ზომიერია სახის ზედა ნაწილის სიმაღლე, ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეები ძალზე მცირე, ვერტიკალურ პროექციაში სახე სწორი, ცხვირი ვიწრო, საშუალო სიმაღლის, ცხვირის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი, ცხვირის უნაგირის დაკრიონული სიმაღლე დიდი, ხოლო სიმოტური ძალიან დიდი, ცხვირის ძვლების კუთხის სახის პროფილთან დიდია, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის. ასეთი ფორმებია დადასტურებული ყველგან აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის სერიებში. ბარის სერიებში ამ ზოგადი ტიპისაგან მორფოლოგიური განსხვავების ფორმები არ გვხვდება, მთის სერიებში ასეთი კვალი შეინიშნება. მთის რეგიონში მოპოვებულ თავის ქალებში ოდნავ უფრო მცირეა გრძივი დიამეტრი აღინიშნება, რის გამოც თავის მაჩვენებელი ოდნავ მაღალია, ქალასარქველი ოდნავ უფრო დაბალი, შუბლი ოდნავ უფრო დაქანებული, სახის ზედა სიმაღლე ოდნავ მეტი, ოდნავ მეტია ცხვირის უნაგირის სიმაღლე და ოდნავ ნაკლებია თვალბუდის სიმაღლე, სახის ჰორიზონტალური კუთხეები უფრო მცირეა. განსხვავებები, ალბათ, უნდა აიხსნას მთის ზოლიდან მოპოვებული მასალის მცირერიცხოვნობით, ვინაიდან თავს არ იჩენს ის კომპლექსი, რომელიც კავკასიონის ტიპისთვისაა დამახასიათებელი.

მთლიანად კავკასიის მოსახლეობის შესახებ რკინის ხანაში სომხეთისა (ბაიაზეთი) და საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობის კრანიოლოგიურ მასალებს შორის არსებობს ტიპოლოგიური მსგავსება. სომხეთში, ისევე, როგორც საქართველოში საქმე გვაქვს დოლიქოკრანულ, ლეპტოპროზოპულ, მკვეთრად პროფილირებულ, მკვეთრად წინ წარხიდულ ცხვირის მქონე ორთოგნატულ ანთროპოლოგიურ ტიპთან. აღნიშნული ტიპოლოგიური მსგავსება არ გამორიცხავს თავისებურებებს. ასეთი ნიშნებია: თავის ქალა გრძელი და მაღალი, ხოლო სახის ქალა უფრო ვიწრო, დაბალი და სწორი.

მორფოლოგიური მსგავსება კავკასიის მოსახლეობის ძვ.წ. II ათასწლეულის
ზოგიერთ სერიებს შორის

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 მტკვარარაქსი	1	0,981	0,886	0,978	0,987	0,976	0,981	0,979	0,973	0,98
2 შუა ბრინჯაო		1	0,881	0,974	0,979	0,966	0,976	0,974	0,971	0,981
3 ბერკაბერის საშუალო			1	0,892	0,892	0,885	0,885	0,89	0,881	0,886
4 საქართველო ძვ.წ. IIა.				1	0,977	0,966	0,977	0,965	0,959	0,971
5 ლჭაშენი (სომხეთი)					1	0,979	0,986	0,983	0,976	0,984
6 სევანი (სომხეთი)						1	0,97	0,973	0,964	0,976
7 გინჩი (დაღესტანი) ძვ.წ. IIა.							1	0,978	0,973	0,976
8 ჩრდილო კავკასია ნაკრები ძვ.წ. IIა.								1	0,984	0,978
9 ჯარარატი									1	0,979
10 შენგავითი										1



ნახ.№1 კლასტერიზაციის დენდროგრამა შესადარებელ ჯგუფებს შორის, ჯგუფების ნომერაცია იგივეა რაც ცხრ.№ 5-ში.

განსხვავებანი ამ ნიშნებში ძალზე მცირეა, მაგრამ მათი ღირებულება უსათუოდ ყურადსაღები, რადგან სამხრეთ-ევროპეიდულ ტიპებში ეპოქალური ტრანსფორმაცია სწორედ ბრაქიკეფალიზაციისა და ეურიპროზობიზაციის საკენ მიდის, და ამით შენიშნული განსხვავებები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

აზერბაიჯანის ტერიტორიიდან დღემდე ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ მინგეჩაურის ტერიტორიაზე მოპოვებული სერიებია. მინგეჩაურის სინქრონულ პერიოდში წარმოდგენილია იგივე სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, მაგრამ თვით ამ ტიპის შიგნით, როგორც ჩანს, ხერხდება რეგიონალური ნაირსახეობების წარმოქმნა: აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებულ სერიებშიც ქალას შედარებით მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სერიებისაგან განსხვავებით, ქალასარქველი სომხეთისა და აზერბაიჯანის სერიებში უფრო დაბალია, შუბლი ოდნავ დაქანებული, სახე ოდნავ უფრო ფართო, სახის შუა ნაწილი აზერბაიჯანის სერიებში უფრო ნაკლებად არის პროფილირებული და სხვა. ხოლო მასალების მცირე რიცხვი არ იძლევა მტკიცების საფუძველს, რომ ეს განსხვავებანი კანონზომიერ ხასიათს ატარებენ, უდავო აქ მხოლოდ ტიპოლოგიური ერთიანობაა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ამ პერიოდის რამდენიმე მცირე სერიაა. ყურადღებას იქცევს თავის ქალები ყობანიდან და ზემო რუთხადან. ორივე ამ სერიაში მოსახლეობისათვის დამახასიათებელი კრანოლოგიური ტიპი, რომლის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს არის: მკვეთრი დოლიქოკრანულობა, მაღალი ქალასარქველი, საშუალო ან საშუალოზე ფართო და სწორი ან ზომიერად დახრილი შუბლი, ვიწრო და მკვეთრად პროფილირებული სახე, ვიწრო ცხვირი, რომელიც სახის პროფილთან ძალზე დიდ კუთხეს ქმნის, ცხვირის მაღალი უნაგირი და სხვა. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ეს იგივე ტოქსონომიურად მაღალი ღირებულების მქონე ნიშნებია და ამრიგად სერიების მსგავსება სრულიად უდავოა. საფუძველი გვაქვს ტიპოლოგიურ იდენტურობაზე ვიმსჯელოთ.

სამხრეთ კავკასიაში რკინის ხანაში გამოყოფილი სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის არეალი მთლიანად კავკასიას მოიცავდა. ამ საკმარის დიდ არეალზე რკინის ხანაში მოსახლეობდნენ ერთმანეთისაგან ნაკლებად დიფერენცირებული ანთროპოლოგიური ტიპები¹. ამავე პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობ რაიონებში მოსახლეობდნენ ზემოაღწერილისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხასიათდებოდნენ ქალას საშუალო გრძივი და საშუალო განივი დიამტერით, ქალას მაჩვენებლის საშუალო სიდიდით (მეზოკრანია), საშუალო სიმაღლის, ფართო და ჰორიზონტულ პროექციაში საშუალოდ პროფილირებული სახით. როგორც ჩანს, საქმე სრულიად განსხვავებულ ანთროპოლოგიურ ტიპს ეხება².

საქართველოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან რკინის ხანის ჩათვლით, მოსახლეობის შემადგენლობაში რაიმე არსებითი ძვრები არ მომხდარა. მთელი ამ დროის განმავლობაში დადასტურებულია პოლიმორფული: დოლიქო-მეზოკრანული, ლეპტოპროზოპული, ლეპტორინული და მკვეთრად პროფილირებული სახის მქონე ანთროპოლოგიური ტიპი. ამ პერიოდში გამოვლენილია რამდენიმე ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმები განიერი შუბლით, საშუალო სიმაღლის და პროფილირებული სახით.

¹ აბდუშელიშვილი მ. საქართველოს ანთროპოლოგია რკინის ხანაში. თბ. მეცნიერება, 1987.

² Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974.

გვიან ბრინჯაოს და რკინის პერიოდის მოსახლეობის შედარებამ საქართველოს მტკვარ-არაქსის შუაბრინჯაოსა და სომხეთის მტკვარ-არაქსის (ბერკაბერი, ჯარარატი, შენგავიტი) და რკინის ხანის (ლჭაშენი, სევანი) დაღესტნისა და ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულის მოსახლეობამ ზოგადად გამოავლინა დიდი მორფოლოგიური მსგავსება.

მტკვარ-არაქსის მოსახლეობა საქართველოდან ძალიან ახლო მორფოლოგიურ მსგავსებას ავლენს უმეტეს ჯგუფთან (ცხრ.№5) გარდა ბერკაბერის, რომელსაც ყველასთან შედარებით დაბალი მსგავსება აკავშირებს. სწორედ ამიტომ ბერკაბერის სერია კრავს დენდროგრამას კოეფიციენტით 0,9. დანარჩენი კი 0,96 –ზე მაღალი კოეფიციენტით უკავშირდებიან ერთმანეთს (ნახ.№1). ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მტკვარ-არაქსის და თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელ ტომთა მაღალი (0,98) მსგავსება ვლინდება, ისევე როგორც საქართველოს გვიანბრინჯაოს მოსახლეობსთან. მიუხედავად მოსაზრებისა, რომ ამ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობს, მორფოლოგიური (კრანოლოგიური ნიშნებით) მათი ახლო მემკვიდრეობა რეალობაა.

ამრიგად, სადღეისოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ რკინის ხანაში კავკასიის საკმაოდ დიდი ტერიტორია დასახლებული იყო მორფოლოგიურად საკმაოდ ერთგვაროვანი მაგრამ პოლიმორფული ანთროპოლოგიური ტიპით.

ადრეანტიკური ხანის მოსახლეობაში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი

ადრეანტიკური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულია მცხეთის, გომარეთის, დმანისის, აბელიის, არმაზის ხევის, ახალქალაქის, დუშეთის და ქსნის მიდამოებში.

აბელიას (თეთრიწყარო) სერია წარმოდგენილია 7 მამაკაცისა და 4 ქალის თავის ქალით. მამაკაცებსათვის დამახასიათებელია დოლიქომეზოკეფალია, საშუალო ქალას სიმაღლე, მცირე სახის ფუძის სიგრძე. ამ სერიაში ნათლად გამოჩნდა მოსახლეობის პოლიმორფულობა, რაც რამდენიმე ნიშნის ცვალებადობაში შეინიშნება. მაგალითად, აბსოლუტური ზომების მიხედვით, სერიაში სახის ზედა სიმაღლე და სახის ზედა სიგანე, როგორც მცირე, საშუალო და საშუალოზე დიდი ზომის ვლინდება; შუბლის უმცირესი დიამეტრი საშუალო, დიდი და ძალიან დიდი, ყვრიმალთშორისი დიამეტრი მცირე და საშუალო და ა.შ. სახე ამ დროისათვის ზედა ნაწილში უფრო ხშირად, მცირე და საშუალო სიგანისაა, თუმცა აქაც უკვე ჩანს უფრო განეირი ფორმები, აღსანიშნავია მცირე და საშუალო ყვრიმალთშორისი დიამეტრები და სახის სიგანე შუა ნაწილში. სახის ზედა სიმაღლე ვარიებს 66-77 მმ ფარგლებში და ექცევა ცვალებადობის მცირე, საშუალო და დიდი სიმაღლის კატეგორიაში. სახის სრული სიმაღლე ამ სერიაში შესწავლილია ორი ინდივიდის თავის ქალაზე და მცირე და საშუალო ზომისაა. თვალბუდეები ამ სერიაში მცირე და საშუალო სიგანისაა, ძალიან მცირე და მცირე სიმაღლის. განსხვავება ორ თავის ქალაზე ფიქსირდება, რომლებზეც ზომიერზე დიდი სიგანისა და სიმაღლის თვალბუდეებია. იგივე თავის ქალაზე აღინიშნება ძალიან დიდი გრძივი დიამეტრი,

მცირე განივი (თავის ქალას მანქანებელი 71,7 - დოლიქოკრანული), გრძელი ქალას ფუძის სიგრძე, ქალას სიმაღლე დიდი, განიერი და საშუალო სიმაღლის ცხვირი, ჰორიზონტალურ ჭრილში ზომიერად პროფილირებული სახე ზედა ნაწილში და მკვეთრად პროფილირებული შუა, ხოლო ვერტიკალურ ჭრილში სწორი, ცხვირი მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი მაღალი. ეს კომპლექსი ნათლად გვიჩვენებს, რომ თვალბუდის ვარიაცია ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ ტიპოლოგიად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო, მეორე თავის ქალაზე გამოვლენილი თვალბუდის სიგანის ოდნავ მეტი ზომა (43 მმ), სხვა ნიშანთა კომპლექსით ასევე არ დასტურდება.

ამრიგად, აბელიას სერიას მამაკაცებში ფიქსირდება გრძივი დიამეტრის უფრო მეტი ცვალებადობა, ვიდრე განივი, სახის დახრილობის მანქანებელი მცირე და საშუალო, სახის საერთო მანქანებელი საშუალო, თვალბუდეები მოკლე და საშუალო (მანქანებლები 73-80 ფარგლებში ცვალებადობს), ცხვირი განიერი, საშუალო სიგრძის, დაკრიონული და სიმოტური მანქანებლები საშუალო და დიდი.

ამ სერიის ქალებისათვის დამახასიათებელია მეზო-ბრაქიოკრანია, ე.ი. თავის ქალები უფრო მოკლე და განიერი აქვთ. უმეტესი ნიშანი გაზომილია ერთ თავის ქალაზე, ამიტომ ზოგადი დახასიათება გამოკვლეულთა მცირე რიცხვს ემყარება. ერთად-ერთი ნიშანი, რომელიც ოთხივე თავის ქალაზე არის შესწავლილი, და უდავოთ მეტყველებს დიდ და ძალიან დიდ მანქანებლებზე, არის შუბლის უმცირესი დიამეტრი. ქალებშიც ცხვირი მკვეთრად წარზიდული, ხოლო უნაგირი საშუალო, სახე პროფილირებული ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში, თვალბუდეები ვიწრო და საშუალო სიმაღლის, ზომიერი სიგრძის და ვიწრო ცხვირი.

ღრმასხვისთავის (დმანისი) სერია წარმოდგენილია ძალიან ცუდი დაცულობის 9 მამაკაცისა და 4 ქალის თავის ქალით. მამაკაცებში შესაძლო იყო გაზომილიყო გრძივი დიამეტრი (3 თავის ქალაზე), განივი დიამეტრი (მხოლოდ ორზე) და ა.შ. მხოლოდ შუბლის უმცირესი დიამეტრი და სახის ზედა სიგანე 5 ინდივიდზეა შესწავლილი. ამ ნიშნების მიხედვით, ცვალებადობის ძალიან დიდი დიაპაზონი აღინიშნება. ვლინდება, როგორც მცირე, ასევე ძალიან მცირე, საშუალო, დიდი და ძალიან დიდი, ასევე, ძალიან მცირე (სახის ზედა სიგანე) ვარიანტები, დანარჩენი ნიშნები შესწავლილია ამ სერიის ერთ თავის ქალაზე და ამ თავის ქალას ახასიათებს: დიდი სახის შუა კუთხე, ვიწრო და დაბალი თვალბუდეები, განიერი და საშუალო სიგრძის ცხვირი, უნაგირი საშუალო სიმაღლის.

ამ სერიის ქალების თავის ქალებიც ძალიან ცუდი დაცულობის არის, შესწავლილია სულ რამდენიმე ნიშანი. თავის ქალა გრძელი, საშუალო სიგანის (დოლიქოკრანული), შუბლი განიერი, სახის ზედა სიგანე საშუალოზე მეტი, ცხვირი მაღალი, სახე პროფილირებული (ნაზომალარული კუთხის მიხედვით).

აბულმელის (დმანისი) სერია წარმოდგენილია ცუდი დაცულობის 3 მამაკაცისა და 4 დედაკაცის თავის ქალებით. მამაკაცებისათვის დამახასიათებელია ძალიან გრძელი და ვიწრო (აღებულია 1 თავის ქალაზე) თავის ქალა, მაღალი სახე, საშუალო სიგანის შუბლი, სახე ზომიერი სიგანის ზედა და ვიწრო შუა ნაწილში. განიერი და მაღალი თვალბუდეები, ვიწრო და მაღალი ცხვირი, სახე მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში. ქალების სერია გამოირჩევა უფრო დიდი განივი დიამეტრით, თავის ქალას მანქანებელი დოლიქო – (1-ზე) და ბრაქიოკრანულია (2-ზე), შუბლი განიერი, სახის

ზედა სიგანე ცვალებადი (ფიქსირდება სახის ზედა სიგანის როგორც ვიწრო, ასევე განიერი ფორმები). თვალბუდეები ვიწრო და დაბალი საშუალო უნაგირის, ზომიერად განიერი და მოკლე ცხვირი, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში, ორივე დონეზე.

გომარეთის (დმანისი) სერია მცირერიცხოვანია სულ ორი დედაკაცის თავის ქალით არის წარმოდგენილი. თავის ქალები გრძელი და ვიწრო (დოლიქოკრანული), ქალასარქველი მაღალი, გრძელი ქალას ფუძე, სახის ფუძის სიგრძე საშუალო, სახის ზედა და სრული სიმაღლე დიდი, სახე განიერი ზედა ნაწილში, ყვრიმალთშორის დიამეტრი საშუალო, განიერი და საშუალო სიმაღლის, თვალბუდეები, მკვეთრად წარზიდული, ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირი, უნაგირი საშუალო, სახე მკვეთრად პროფილირებული.

მიდეგას ხევი (ახალქალაქი) წარმოდგენილია დედაკაცის ერთი თავის ქალით, რომელზეც უმეტესი ნიშანი შესწავლილია. თავის ქალა მეზოკრანული, მაღალი ქალასარქველით, გრძელი ქალას და სახის საშუალო ფუძით, სახე ზედა ნაწილში და სახის სრული სიგრძე მცირე, განიერი შუბლი, საშუალო სიგანის სახე ზედა და განიერი შუა ნაწილში, საშუალო სიგანისა და სიმაღლის თვალბუდეები, საშუალო სიგანის და მოკლე ცხვირი, უნაგირი საშუალო სიმაღლის მკვეთრად პროფილირებული.

არმაზისხევის ერთადერთი ქალის თავის ქალა ძალიან გრძელი და ვიწრო (დოლიქოკრანული), დაბალი ქალასარქველით, გრძელი ფუძით, მაღალი სახით, განიერი შუბლით, განიერი სახით ზედა ნაწილში, ზომიერი სახით შუა ნაწილში, საშუალო ყვრიმალეებით, ვიწრო და მაღალი თვალბუდეებით, ცხვირი ვიწრო და მოკლე, დაკრიონული სიგანე დიდი, უნაგირი საშუალო სიმაღლის, ეშვის ფოსო დიდი, ძალიან დიდი ნაზომალარული კუთხე და მცირე ზიგომაქსილარული. ეს თავის ქალა გამოირჩევა საოცრად მაღალი ნაზომალარული კუთხით, რაც იმდენად მაღალია, რომ ეჭვსაც ბადებს. ერთი სიტყვით, ეს თავის ქალა ჰეტეროპროზოპული ვარიანტია, სახის პროფილირების მნიშვნელოვანი განსხვავებით ორბიტებსა და ცხვირქვეშა წერტილს შორის, რაც ახასიათებთ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მონგოლოიდებს, ასევე შერეულ ჯგუფებს. სხვა ნიშნები ამ თავის ქალაზე ევროპეიდებისათვის დამახასიათებელ ვარიანტებიდან არ გამოდის.

ციხისხევი (მცხეთა). ქალის ძალიან გრძელი და განიერი თავის ქალა, რომელზეც ასევე აღინიშნება მაღალი ქალასარქველი, თავის ქალის ფუძის დიდი სიგრძე, სახის ფუძის სიგრძე დიდი, მაღალი სახე, განიერი შუბლი და ყვრიმალეები, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და მცირე სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიგანისა და ძალიან მაღალი, ძალზედ მცირე ეშვის ფოსო, სახე სწორი ვერტიკალურ ჭრილში და პროფილირებული – ჰორიზონტალურში. ცხვირის უნაგირი საშუალო სიგანის, დაკრიონული მაჩვენებელი ძალიან მაღალი, ცხვირი მკვეთრად წარზიდული.

სამთავროს (მცხეთა) სამაროვანი წარმოდგენილია 26 მამაკაცისა და 20 დედაკაცის თავის ქალით. ეს მასალა იძლევა საშუალებას ადრე აღნიშნული პოლიმორფიზმის დაფიქსირებას უფრო მრავლერიცხოვან სერიაში, რაც საიმედოა სტატისტიკური თვალსაზრისით.

ამ სერიის დახასიათება შესაძლოა თავის ქალას ფორმების მიხედვით; ჰიპერდოლიქოკრანული (ერთი) თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: სახისა და ფუძის მცი-

რე სიგრძე, დაბალი სახე, ძალიან პატარა სიგანის შუბლი, ძალიან ვიწრო და დაბალი თვალბუდეები, ძალიან ვიწრო და საშუალო სიგრძის ცხვირი, სიმოტური სიმაღლე და სიგანე საშუალო, დაკრიონული მაჩვენებელი ძალიან დიდი, ძალიან პატარა ეშვის ფოსო, სახე მეზოგნატული, მკვეთრად წარზიდული ცხვირი, პროფილირებული სახე.

დოლიქოკრანული (ათი) თავის ქალების ზოგადი დახასიათებიდან ნათლად ჩანს ამ მოსახლეობის პოლიმორფულობა, რომელიც რამდენიმე ნიშნის განაწილებაში ვლინდება. ეს ნიშნებია: სახის ზედა სიმაღლე (გრადაციები – მცირე, საშუალო, დიდი) ამავე დროს სახის სრული სიმაღლე მცირეა; შუბლის უმცირესი სიგანე (მცირე, საშუალო, ძალიან დიდი); სახის ზედა (მცირე, საშუალო, დიდი) და სახის შუა სიგანე (მცირე, საშუალო); ყვრიმალთშორის დიამეტრი (მცირე და საშუალო), თვალბუდეების სიგანე (ძალიან მცირე, მცირე საშუალო); თვალბუდეების სიმაღლე (ძალიან მცირე, მცირე, საშუალო, დიდი), ცხვირის სიმაღლე (საშუალო, დიდი), ცხვირის სიგანე (ძალიან მცირე და მცირე, საშუალო), სიმოტური ქორდა (საშუალო და დიდი), სიმოტური სიმაღლე (საშუალო, ძალიან დიდი), დაკრიონული ქორდა (გაზომილია სულ 3 თავის ქალაზე და ძალიან მცირე, დიდი და ძალიან დიდი ზომა ვლინდება), დაკრიონული სიმაღლე (მცირე, საშუალო, მაღალი). სხვა ნიშნების მიხედვით, სამთავროს დოლიქოკრანული მოსახლეობა ხასიათდებოდა საშუალო სიმაღლის ქალასარქველით და ქალას ფუძის სიგრძით, მცირე სახის სრული სიმაღლით, მცირე ეშვის ფოსოთი, ორთოგნატული სახით, მკვეთრად წარზიდული ცხვირით, მკვეთრად პროფილირებული სახით.

მეზოკრანული თავის ქალები (მამაკაცები, 6 ინდივიდი), ძალიან ცუდი დაცულობის, ხასიათდებიან მცირე ქალასარქველის სიმაღლით, მცირე და საშუალო ქალას და სახის ფუძის სიგრძით, მცირე სახის ზედა სიმაღლით, საშუალო - სრული; შუბლის ძვალი განიერი, სახის ზედა და შუა სიმაღლე მცირე, თვალბუდეების სიგანე და სიმაღლე მცირე და საშუალო, ცხვირის სიგანე ვიწრო და საშუალო, ხოლო სიმაღლე საშუალო და დიდი, ცხვირის ძვლები მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირის სიგანე ზომიერი, ცხვირის ძვლების უმცირესი სიმაღლე ცვალებადი (მცირედან დაწყებული ძალიან მაღალით დამთავრებული), უნაგირი ძალიან ვიწრო და მაღალი, სახე ვერტიკალურ ჭრილში ორთოგნატული, პორიზონტალურ ჭრილში პროფილირებული.

ბრაქიკრანული (ერთი თავის ქალა) ძალიან ცუდი დაცულობისაა, იგი ხასიათდება საშუალო ქალას სიმაღლით, დიდი ქალას ფუძის სიგრძით, ძალიან განიერი შუბლით და განიერი სახით ზედა ნაწილში. ამ თავის ქალას ნიშანთა კომპლექსი სერიაში არ მეორდება. ძნელად სათქმელია, თუ როგორი იქნებოდა სხვა რასადმადიფერენცირებული ნიშნები.

დანარჩენ 8 თავის ქალაზე განივი დიამეტრის შესწავლა შეუძლებელი იყო, სხვა ნიშნებიც, ერთ ან ორ თავის ქალაზე იყო აღებული. ამ ჯგუფში აღმოჩნდნენ ინდივიდები, რომლებსაც ახასიათებდათ, როგორც მცირე ზომის გრძივი დიამეტრი, ასევე საშუალო და დიდი. ამ თავის ქალებსაც ახასიათებთ ზომიერი: შუბლის სიგანე, თავის ქალას სიმაღლე, სახის ფუძის სიგრძე, სახის სრული სიმაღლე, სახის ზედა სიგანე, სიმოტური სიგანე; მცირე სახის შუა სიგანე, ეშვის ფოსოს სიღრმე, ნაზომალარული და ზიგომაქსიდარული კუთხეები მცირე, სახე ვერტიკალურ პროფილში სწორი, ცხვირის ძვლები მკვეთრად წარზიდული; ცხვირი ზომიერი სიგანისა და გრძელი, თვალბუდეები ზომიერი სიგანისა და სიმაღლის.

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ადრენტიკურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM		
1	m	II	198					77			101	107					24	57	10,0	7,1				92	51				
2	m	II	185	134				67			96	107	91	130	42	33	27	48	14,0	5,3	25,4	11,8	5,7	84	52				
3	m	II	179	134	134	94	93	67			96	100	93		41	30	27	51	11,8	5,7	21,3	10,8		85		152,52	118,12		
4	m	II	180	137				71			110	106	94	131	40	31	27	53	12,1	4,0	23,1	10,0	3,8	85	53	143,38	125,06		
5	m	45-50	193	138	137	102	95	66		113	97	108	95	128	45	36	30	53	9,2	5,9	23,9	13,1	5,0	90	49	140,6	125,04		
6	m		195	138				74		120	94	100	103	136	41	33	26	50	11,3	6,1			3,2	86	51	141,02	122,20		
7	m		179	135	134	104	96	69			100	105	95	130	43	33	24	51	10,2	5,1	24,6	11,8	5,7	84	64	139,12	129,24		
8	m	60-65		128				67	66		99	106	100		40	32	27	51	11,9	4,5	22,8	10,9	8,6			139,2	127,6		
9	m										103	113																	
10	m																												
11	m										111																		
12	m	40-50	199								93	98																	
13	m		189								98	110																	
14	m	40-45		147								110																	
15	m	45-50	190																										
16	m	60-65																											
17	m	40-45	195					80	78	130	96	104	90		43	37	26	54	9,0	3,5			3,5			131,2	127,1		
18	m	25-30	194	133							95	98																	
19	m	45-50	187																										
20	m	25-30	182	131	129	103		66			95	104				28													
21	m	20-25	192	140				69		114	99	107	90		40	33	25	54	11,0	6,1			6,2						
22	m	30-35																											
23	m	55-60	211	157							101	106																	
24	m	35-40	187	123							97	107				31													
25	m	45-50		130																									
26	m	45-50	177	132																									
27	m	60-65																											
28	m	65-70									94																		
29	m	20-25	199								101																		
30	m	50-55	212	142				74			103	111				33	26	53	14,2	6,5									

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
32	m	50-55	191	138				71		117	97	108	95		44	33	26	52	16,9	3,0				87	48	134,6	125,4
33	m	55-60	171	136	134	100	100	73			94	104	94	131	43	36	25	51	11,9	5,4	21,6	11,5	6,1	81	52	134,2	131,9
34	m	45-50	197																								
35	m	60-65																									
36	m	65-70	186	138	141	103	103	70			96	100			38	29	26	51	9,1		20,0			88			
37	m	25-30	181	145	140	100				115	90	101	93	124	39	28	22	49	8,9	5,0			6,5			134,4	
38	m	45-50	187	143	137	107	106	76			97		99		44	33	23	53					5,1	84			120,5
39	m	25-30	197	137	135	100		64			96	104	91	128	39	32	25	47	10,6	4,9	21,4	12,2	5,5			133,3	
40	m	35-40	201					71			105	113	100			54							7,0				126,7
41	m	60-65	192	147							94	105															
42	m	20-25	175		126	95					97	105				35											
43	m	50-55	204	137							109	115															
44	m	50-55	177																								
45	m	40-45	205	143																							
46	m	45-50																									
47	m	65-70		126							98	109			43	33		48									137,4
48	m	35-40	198								91	106															
49	m	65-70	192	132	142	112	95		63		99	104	87	129	40	33		52			22,0		5,1	89		134,4	123,8
50	m	55-60																									
51	m	60-65	200	130							89	99	91			35	25						2,4				125,1
52	m	45-50		137				75	71		98	105	94	126		31	24	54					2,5	86	76	126,3	119,6
53	m	25-30									92	103															135,8
54	m	60-65		132							103	114															
55	m	60-65		125																							
56	m	60-65									103																
57	m	25-30	197	129							89	93			38	30											138,2
58	m	50-55	200	127							91	98	84		42	34	26		7,9	4,4	19,8	9,7	3,1			136,0	127,1
59	m	30-35									100																
60	m	55-60	198	128							99	106	93			33		47									136,0
61	m	30-35	187					68	65	112	97	104	96	131	40	33	23		10,2				10,0	86			126,7

Код	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
62	m	50-55									94	104																
63	m	60-65						73	72		98	105					23	54	7,3	4,5				87	41	131,9		
64	m	45-50	198							118	101	109	99			33		50						5,8				
65	m		189	136				68	65		96	106	90		41	33		53	11,8	4,9				5,6			127,8	120,6
66	m	60-65						72	68	121	100		101				27	50	13,2	6,4				5,8				125,6
67	m	45-50	186	135								106							10,4	3,0				6,0				
68	m	45-50	187																									
69	m	65-70	194											91					8,3									123,6
70	m	35-40	196																									
71	m	40-45									100																	
72	m	45-50																										
73	m		201								102	107																
74	m																											
75	m	35-40	193	142	139	100	92	78	73	130	97	105	101	130	43	31	25	57	9,1	5,8	21,8	10,3	1,9	90	60	133,1	116,9	
76	m	55-60	185	137	138		97				104	118			42	32	29				26,9							122,0
77	m	45-50	193	132				89	75	125	101	108	98		45	35		58	7,5	5,6				88	45	134,4	116,2	
78	m	45-50	195																									
79	m	45-50	211																									
80	m	60-65	185	144							91																	
81	m	55-60	183	141							103																	
82	m	55-60	193	146	141	97	98	74	69	125	91	99	92	135	43	35	22	52	8,9	5,1	19,3	10,3	2,2	83			114,1	
83	m	55-60	182	139						115	80	98				28		56	9,0								135,6	
84	m	45-50	185	140															9,1	4,2								
85	m	65-70	188	141	143	107	93	76	73	120	94	102	95	135	42	31	24	52	9,8	6,0	18,6	11,8		90	49	137,0	121,5	
86	m	45-50									91																	
87	m	45-50	196		143	111	104	71	68		94	101	93	127	42	35	22	58	6,6	3,2	19,1	10,4	5,6			141,6	120,6	
88	m	55-60	188	137				74	71	120	95	102	96			28								4,6			140,2	
89	m	30-35	181	137				65	63	113	94	100	85		40	33	21	53	9,7					5,9				
90	m	II	182		134	104	99	74		122	95	103	94	134	42	34	26	56	9,0	3,5			1,0	87	52	135,10	119,10	
91	m	III	178	123	135	99	94	69			89				39	33	20	52	8,2	3,1	16,8	12,2	2,0	82	52	142,06	125,08	

ცხრ.№6 გაგრძელება

Код	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
92	m	III	187	137				67			105				40	34	27	53	11,6	3,9	25,3	13,1	2,0				
93	m		188	132				72		113	89	99				34	24	53					2,0	87		134,3	
94	m	35-45	182	146	131	107					106	113															
95	m	20-30	184	139				64			94	99	90		41	32	25	49	9,6	6,0	18,0	12,5	2,0	84	53	134,06	129,40
96	m	35-45	185	134	135	103	98	66		118	97	103	96	129	41	33	25	53	9,8	5,8	18,4	11,0	4,0	85	49	133,46	117,52
97	m	25-35	192	135	136	105				110	96	99	98		38	30	26		12,0	3,8	24,5	8,8	2,0			139,22	
98	m	45-50	177								95	105	90		40	30	23	48	8,3	4,5	20,4	9,9	3,1			137,2	
99	m	45-50	184	143							101																
100	m	35-40	175																								
101	m	50-55	167	127		99					95	98					21		7,1	4,6						142,4	
102	m	60-65	174	139	131	97	93	68	67						40	34		58	7,9	4,0			4,9				
103	m	40-45	184	130							94	101															
104	m	50-55	178	132							96	102			40												
105	m	55-60	188	140						108	91	100			42	31			9,0	6,2			5,2			134,8	
106	m	50-55	176	135				75	72						41		25	51	9,0	2,9							
107	m	50-55	178		134						94	100															
108	m	40-45	182	130				69		112					39	31	19	51	8,2								
109	m	50-55	179	139		101	100	70	67	115						35	26	50	9,6	4,0			6,9	80	44		
110	m	60-65																									
111	m	70-75	193		135	101	98	70	67		95				43	36	23	51	9,7	5,4	19,3	11,9	5,5	85			
112	m	40-45	190	141				74	71		104	110	94	131	39	36	26	54					5,4			138,8	132,9
113	m	40-45	187	135							93	100														135,2	
114	m	30-35	185					72	70	118	92	100	96		41	34	26	54	9,0	7,0			5,5			128,7	114,0
115	m	25-30	182																								

პირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ადრეანტიკურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	f	II	188					71			96	98			39	33	25	55	7,1	2,4	23,9	10,5	7,0	91	59			
2	f		175	138							98																	
3	f		181	140							102	103														144,36		
4	f	II	173	139	132	99	90	67		115	99	101	91	123	37	33	20	50	10,8	2,1	28,2	10,0	3,9	86	56	131,04	123,14	
5	f	40-45	182	129	125	111	96	69			99	103	90	124	39	35	23	48	15,3	2,7	26,7	10,2	6,9	91	75	156,28	130,2	
6	f	35-40	178	137	134	102	94	63		105	96	102	95		41	33	24	45	10,9	4,9	21,0	7,7	3,5			137,16	118,48	
7	f	50-55	184	135							97	103																
8	f	45-50		139							93	97																
9	f	45-50						66	64		97	105	98		39	31	26	48	10,4	2,5	24,0	10,4	5,9			140,2	123,4	
10	f		176	143							96	98																
11	f			129				78			100	103	96	125	42	34	22	50	10,2	4,7	23,3	11,1	2,7			132,12	120,58	
12	f		182	133	133	101	95	73		120	102	103	89	126	46	32	24	49	9,8	4,2	23,1	10,3	3,1	86	59	136,36	123,24	
13	f		189	138							98	110						56									134,0	
14	f	35-40																										
15	f	35-40		136							98	101															139,6	
16	f	45-50																										
17	f	20-25	180	129	127	90	92	61		108	96	97	80	118	39	30	22	43	7,1	2,3	20,0	6,9	5,0	84	58	137,8	129,1	
18	f	18-20	176	125	135	105	96	62			94	95	91		38	30	25	48	12,0	11,0			2,0	90	60	131,7	133,9	
19	f	35-40	183	136	135	95	92	59			94	105		122	39	32	27	46	11,9	4,4	20,3	9,5	3,5	82	46	146,8	134,8	
20	f	25-30	193	148	138	112	104	68			104	108	99	133	40	31		50	8,9	1,8			5,2	88		137,4		
21	f	16-20	185	126	137	102					95																	
22	f	30-35	176								99	104																
23	f	55-60	179	144							103	107																
24	f	35-40	188	136				76			91	101	92			34		55	9,1	4,3			3,8	86		156,3	135,8	
25	f	60-65	180								101	102																
26	f	35-40		142							98	104																
27	f	35-40	178	141	134	96	69	53			94	103	95	123	43	31	25	49	8,0	4,2			3,5	80		156,1	135,8	
28	f	35-40										93																
29	f	45-50	179	134	128	87	95	71			97		86	125	37	33	21	51					5,5					
30	f	50-55	191	140	131	100	34	70	68	115	96	100	94	131	40	36	24	54	10,4	7,0	21,9	13,5	0,1	90	54	134,2	121,0	

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
31	f	55-60	182	123	135	98	98	67	65	100	95	101	95	123	39	30	24	49	7,9		19,3		5,2	79		140,8	124,7	
32	f	50-55	184					71			96	102	91	120	41	35	25	51	8,6	4,7	18,3	11,0	8,6		59	140,0	117,1	
33	f	50-55		130							98	105															139,0	
34	f	60-65						71	68		86	96			40	31	21	48									142,2	
35	f	30-35	181	131	125	91	88	71	65	117	90	97	95	119	39	34	24	51	5,9	3,3	19,0	9,7	4,1	83	57	140,2	122,9	
36	f	50-55	185	127	128	99	93	67	65	109	93	100			37	33	23	47	8,5	4,4			6,1	82	53	143,5	130,2	
37	f	25-30	178	140	130	97	92	66	62	112	91	102	90		38	31	21	46	5,8	2,9	19,1	8,2	4,3	86	63	145,1	134,6	
38	f	55-60	178	140				71		112	98	100															132,5	
39	f	25-30	187	134	133	96	91	67	65	114	94	102	92		40	31	25	49	9,2	4,2	21,4	7,6	6,1	84	56	135,8	126,9	
40	f	45-50	183								93	102																
41	f	45-50	171	127	130	101		58			92	102	90	119	42	32		45	9,4								131,0	
42	f	40-45	194	128				69	65	110	90	103			40		26	54	9,0	4,0			3,6				136,4	
43	f	60-65	192	139	138	109	99	74	69	119	95	99	94		40	35	26	52	8,2	6,3				87		129,5	117,7	
44	f		194																									
45	f	30-35	174																									
46	f	20-25	185	136	134	103	97	63	57	108	95	104	91		41	35		47	8,7	3,3	22,1	8,1		84	64	130,4	124,2	
47	f	50-55	174	128							92																	
48	f	50-55		142	131		89				94		86			30	23						5,4				123,6	
49	f	35-40	192	131				70	63	110	96	103	95		41	36	25	50	11,3	4,4			7,6	82		131,9	128,3	
50	f	55-60	201	138	128	105	108	70	64	118	97	101	93	119	43	32	24	50	9,0	4,6			8,8	79		134,4	121,5	
51	f	25-30		132							101	105																
52	f	35-40	186						69		92	97			43		23		7,5	3,7	21,5	9,5						
53	f	45-50	195	136	138	109	104		56		89	96	101		35	31												
54	f	55-60	183	132					59	102	92	99			41		49										130,2	
55	f	55-60		131																								
56	f	30-35	179									101															131,8	
57	f	40-45	196	134							98					35							5,3					
58	f	50-55	183								96	99				31											134,4	
59	f	40-45									93	100			38	34			11,3	5,5							131,2	

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
60	f		175	127	128						94																
61	f		178	134							96																
62	f	30-40	169	130				72			92				39	33	21	53	8,2	2,8	20,0	9,7	2,0	84	63	126,36	118,28
63	f	30-40	177	130	133	94	87	65		109	91	97	88	121	43	31	23	50	8,8	4,2	18,0	10,9	2,0	87	55	137,52	123,4
64	f	25-35	167	127	132	93	88	67			96	100	92	125	39	35	23	51	7,2	3,3	22,0	11,2	3,0	85	51	139,32	123,0
65	f	30-40	178	133				67		108	94	103	92		40	33	24	48	7,0	3,0	22,2	10,8	2,0	84	53	139,28	135,32
66	f	50-60	180	133	127	107		54			100	105	89	121	41	34	25	50	10,6	3,8	21,7	11,9	3,0	87	59	139,24	
67	f	20-30	188		135	102				97					39	35		48	10,3	3,8	22,8	11,8	2,0				
68	f	20-30	185	133	134	102					96	100	94				23									141,02	131,48
69	f	20-25	164	130	139	100	91	73			91	102	85		41	37	24	51					4,8	89		141,6	129,3
70	f			132																							
71	f	20-25	182	134	125	102	99	70	67		96	103	90		40	38	23	53			21,0		2,9	85			122,9
72	f	55-60	187																								
73	f																26							6,8			
74	f	70-75	173	125							85																
75	f	55-60	183								107	115															
76	f	20-25																									
77	f	35-40	173	127	130	95	92		59	101	95	100			41	32	25	47	10,3	4,3			3,5	80		133,5	
78	f		179	133	129	87																					
79	f	18-20		132	133	101		71	68	111	92	96	85	117	41	33	24	50	11,6	5,5	20,0	10,9	2,9	80	59	135,2	118,4

აღსანიშნავია, რომ ერთდროულად სერიაში ვლინდება თავის ქალას და სახის რამდენიმე ფორმა; სახე დაბალი, საშუალო და მაღალი, შუბლი ძირითადად ზომიერი და დიდი სიგანის, ყვრიმალთშუა დიამეტრი ჯერ კიდევ მცირე ან ზომიერი სიგანისაა. ვარირებს თვალბუდეების სიგანე და სიმაღლე, მაგრამ სახე პროფილირებულია, როგორც ვერტიკალურ ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში. 26 მამაკაციდან ქალას მაჩვენებელი 17-ზე არის განსაზღვრული, აქედან ბრაქიკრანული მხოლოდ ერთია. 19 ქალის თავის ქალიდან ქალას მაჩვენებელი განსაზღვრულია 13-ზე. 4 თავის ქალა მეზოკრანულია დანარჩენი დოლიქოკრანული. იგივე კანონზომიერებები ვლინდება სამთავროს მოსახლეობის მდებარეობით სქესის წარმომადგენლებში. მათ ახასიათებთ: ზომიერი და მაღალი ქალასარქველი, ქალას ფუძის სიგრძე მნიშვნელოვნად ცვალებადი, ძალიან მცირედან ძალიან დიდი ზომის ჩათვლით), სახის ფუძის სიგრძე მცირე, სახის ზედა სიმაღლე ასევე მნიშვნელოვნად ვარირებს, ხოლო სახის სრული სიმაღლე ზომიერი სიმაღლის. შუბლის უმცირესი სიგანე უმეტესად საშუალოა, თუმცა გამოვლენილია დიდი და ძალიან დიდი ფორმები. სახის შუა სიგანე უმეტესად ზომიერია, ხოლო ზედა სიგანე მეტად ცვალებადი. ყვრიმალთშორის დიამეტრი მცირე, თვალბუდეები მცირე და საშუალო სიგანის და სიმაღლის. მხოლოდ ორ შემთხვევაში (თ. ქ. №237 და 2166) აღინიშნება ძალიან მაღალი თვალბუდეები. ზოგადად თავის ქალა №2166 დიდი ზომისაა, დაბალი ქალასარქველით, დიდი სახის ზედა სიმაღლით, განიერი შუბლით, ზომიერი სახის შუა სიგანითა და თვალბუდეებით, ვიწრო ცხვირით, მცირე ეშვის ფოსოთი და ძალიან მცირე ზიგომაქსიმალური კუთხით, რაც ეჭვს არ იწვევს თავის ქალას თანადროულ მოსახლეობისადმი კუთვნილებისა. მეორე თავის ქალა (№237) წინასთან შედარებით მცირე ზომისაა, ახასიათებს ძალიან მაღალი ქალასარქველი, ვიწრო ცხვირი, საშუალო ეშვის ფოსო, ნაზომალარული კუთხე საშუალო სიდიდის, ხოლო ზიგომაქსიმალური მცირე. დანარჩენი ნიშნების მიხედვით განსხვავება არ იგრძნობა.

სამაღლო (ქსანი) – წარმოდგენილია ერთი დედაკაცის თავის ქალით. ამ თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: დოლიქოკრანია, დიდი შუბლი, მაღალი ცხვირი, ეშვის ფოსო დიდი, სახის ზედა სიმაღლე დიდი, ვიწრო ცხვირი, ზომიერი სიმაღლის და ძალიან მცირე სიგანის თვალბუდეები, სახე შუა ნაწილში ვიწრო, ყვრიმალეები ზომიერი, ქალასარქველი ზომიერი, ქალას ფუძის სიგრძე და სახის ფუძის სიგრძე ზომიერი.

ვარსიმანთკარის (ჟინვალი) – კრანოლოგიური სერია 20 მამაკაცისა და 10 დედაკაცის თავის ქალებით არის წარმოდგენილი. მამაკაცების სერია, ისევე როგორც ყველა ამ დროის თავის ქალები ძირითადად ძალიან გრძელი გრძივი დიამეტრითა და ვიწრო და საშუალო განივი დიამეტრით არის წარმოდგენილი. აბსოლუტური ზომების მიხედვით ამ სერიაში გვხვდება, როგორც ძალიან დიდი და პატარა ფორმები. ეს თავის ქალები, მიუხედავად თავისი აბსოლუტური ზომებისა დოლიქოკრანულ (ძალიან დიდი) და მეზოკრანულ (ძალიან პატარა) ფორმებისა არიან. მთლიანობაში ამ სერიაში თავის ქალას მაჩვენებელი 11-ინდივიდზე იყო განსაზღვრული, ბრაქიკრანული მხოლოდ ერთია, რომელზეც საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრი იზომება. ამ თავის ქალას სხვა დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი ქალასარქველი, ეშვის ფოსო დიდი, ნაზომალარული კუთხე ძალიან პატარა, ცხვირის ძვლების უმცირესი სიმაღლე დიდი, ხოლო სიგანე საშუალო, ცხვირი ვიწრო და მოკლე, თვალბუდეები ძალიან ვიწრო და ძალიან დაბალი. ყვრიმალთშორის დიამეტრი ძალიან მცირე, შუბლი მცირე, სახის შუა და ზედა სიგანე მცირე, სახის სრული სიმაღლე საშუალო, ქალას ფუძის სიგრძე საშუალო.

რაც შეეხება ამ სერიის მამაკაცების თავის ქალებს, რამდენიმე ნიშანი ძალზე პოლიმორფულია. ესენი არის: თვალბუდის ძალიან მცირე და ძალიან დიდი სიმაღლე, შუბლის მცირე, ზომიერი და დიდი ფორმები, სახის ზედა სიმაღლე. აღსანიშნავია სახის სრული სიმაღლის საშუალო ზომები, თვალბუდის მცირე და დიდი სიგანე, ცხვირი ძალიან ვიწრო, ვიწრო და საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ეშვის ფოსო საშუალო და დიდი, ცხვირის უმცირესი სიგანე და ცხვირის ძვლების სიმაღლე საშუალო და დიდი. უნაგირის სიგანე და სიმაღლე საშუალო და დიდი, სახე ვერტიკალურ ჭრილში ძირითადად ორთოგნატული, ხოლო ჰორიზონტალურ ჭრილში მკვეთრად პროფილირებული, ცხვირი მკვეთრად წარზიდული, ამავე დროს ყვრიმალთშორის დიამეტრი ჯერ კიდევ მცირე და საშუალო ზომებს აღწევს.

ამავე სერიის დედაკაცებში არ ვლინდება ულტრადოლიქო და ჰიპერდოლიქოკრანული თავის ქალას ფორმები. ქალებში უკვე მეზოკრანული თავის ქალების ჭარბობა აღინიშნება, თუმცა ვლინდება, როგორც დოლიქოკრანული, ასევე ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმა. ჩვენთვის დეტალური დახასიათება ბრაქიკრანულ თავის ქალების, მითუმეტეს მთისწინა ზოლიდან მნიშვნელოვანია კავკასიონის ტიპის გენეზისის გარკვევისათვის.

ამ თავის ქალაზე კიდევ ორი ნიშანი (შუბლის უმცირესი დიამეტრი და სახის ზედა სიმაღლე) ძალიან დიდი ზომისაა აღნიშნული. ამავე სერიის მამაკაცის ბრაქიკრანულ თავის ქალაზე ორივე ეს ნიშანი მცირე ზომებით ხასიათდება. ამრიგად, კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშანთა კომპლექსი ამ დროის მასალაში არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ქალების სერიაში სხვა ნიშნების განაწილებას ისინი მეტად ცვალებადია. პირველად ქალების სერიაში მცირე და უკიდურესად დიდი ნაზომალარული კუთხე აღინიშნება. ამავე დროს ზიგომაქსილარული კუთხეები საშუალო ზომისაა. თავის ქალების პროფილირება ჰორიზონტალურ ჭრილში შემცირებულია, უფრო მეტიც სახე შუბლის არეში შებრტყელებულია. ცხვირი მკვეთრად წინ წარზიდულია (ერთი თავის ქალას მიხედვით). შუბლის არეში პროფილირებულ თავის ქალაზე ეშვის ფოსო მაღალია, სახე ორთოგნატული, ცხვირის ძვლების უმცირესი სიგანე ძალზე პატარა, თვალბუდეები დაბალი, შუბლი ძალიან დიდი, ყვრიმალთშუა დიამეტრი ძალიან დიდი, სახე შუა ნაწილში განიერი, ხოლო შებრტყელებულ თავის ქალებზე სახე ვერტიკალურ ჭრილში მეზოგნატული, ეშვის ფოსო მცირე, უნაგირის სიმაღლე და სიგანე საშუალო (ერთი თავის ქალაზე), ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, თვალბუდეები დაბალი, შუბლი საშუალო სიგანის, სახე ზედა და შუა ნაწილში განიერი, ყვრიმალთშორის დიამეტრი საშუალო, ქალასარქველი მაღალი, სახე უკიდურესად დაბალი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ორი ვარაუდი გამოვთქვათ, რომლებსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

არღუნის (დუშეთის რაიონი) სერია უშუალოდ მთის ზოლიდანაა. სერია ორი მამაკაცისა და ორი დედაკაცის თავის ქალებით არის წარმოდგენილი. ასეთ მცირე მასალაზე ძალზე ძნელია დამახასიათებელ ნიშანთა კომპლექსის დადგენა, რადგან ინდივიდუალური ცვალებადობა ძალზე დიდია, მაგრამ მასალის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყველა დეტალი ყურადსაღებია. ამ სერიის ორივე სქესის თავის ქალებზე მიუხედავად მცირერიცხოვნობისა თანხვედრა რამდენიმე ნიშანში ვლინდება. მათ ახასიათებთ ზომიერ-

რი და დიდი შუბლის უმცირესი დიამეტრი, თვალბუდის მცირე სიგანე, ვიწრო ცხვირი, სახის ზედა სიმაღლე საშუალო.

ქალების სერიაში შესწავლილია სახის პროფილირების ნიშნები და სახე მეზო და ორთოგნატულია ვერტიკალურ ჭრილში, ცხვირი მკვეთრად წინ წარზიდული, პორიზონტალური პროფილირების კუთხეები მცირე. ამ სერიის მამაკაცებს ახასიათებთ ქალებთან შედარებით უფრო განიერი სახე ზედა ნაწილში, უფრო მაღალი ცხვირი, ეშვის ფოსო უფრო დრმა. ქალები პოლიმორფულები არიან ქალასარქველის სიმაღლის, სახის შუა სიგანის, სიმოტური სიგანისა და სიმოტური სიმაღლის მიხედვით. ამ სერიაში განსხვავებული ნიშანთა კომპლექსი არ შეიმჩნევა, თუმცა მტკიცება იმისა, რომ განსხვავება ბარის მოსახლეობასთან არ არსებობდა რთულია, რადგან განვიხილეთ კრანიოლოგიური პოლიმორფიზმი მხოლოდ 4 ინდივიდის თავის ქალაზე დაყრდნობით.

სადრუგა (კახეთი) – ამ პუნქტში მოპოვებულია ერთი მამაკაცის თავის ქალა ძალიან დიდი გრძივი და მცირე საშუალო დიამეტრებით, ჰიპერდოლიქოკრანული ქალას მანვენებლით, ძალიან განიერი შუბლით, განიერი სახით ზედა ნაწილში.

ვანში – მოპოვებულია მამაკაცის ერთი თავის ქალა ძალიან ცუდი დაცულობის მასზე გაზომილია მხოლოდ გრძივი დიამეტრი, რომელიც დიდი ზომისაა.

ამრიგად, მოხერხდა ადრეანტიკური ხანის მოსახლეობის ცალკეულ თავის ქალებსა და სერიების განხილვა.

ზოგადად სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ პერიოდში მცხოვრებ მოსახლეობას ახასიათებდა: ძირითადად დოლიქოკრანული თავის ქალა, ფართო და სწორი შუბლი, საშუალო სიმაღლისა და სიგანის, მკვეთრად პროფილირებული და ვერტიკალურ პროექციაში სწორი სახე, საშუალო სიმაღლის, საშუალო სიგანის მკვეთრად გამოხატული ცხვირი და სხვ. ეს არის ნიშნების ის კომპლექსი, რომელიც დასტურდება ბრინჯაოსა და რკინის ხანის მოსახლეობაშიც.

ელინისტური ხანის მოსახლეობის კრანიოლოგიური პოლიმორფიზმი

ელინისტური ხანის მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიიდან მოპოვებულია მცხეთის (სამთავრო, ნატახტარი, კამარახევი, მუხათგვერდი, ბორგიკარია), ქსნის (ნასტაკისი), კავთისხევის (საყარაულო სერი), სიღნაღის (ყარაგაჯი), სენაკის (ნოქალაქევი) მონადამოებიდან.

სამთავროს (მცხეთა). სამთავროდან ელინისტური ხანის კრანიოლოგიური სერია წარმოდგენილია 9 მამაკაცისა და 8 დედაკაცის თავის ქალით. მთლიანობაში სერიის მამაკაცებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია: ძალას მკვეთრად დოლოქიკრანული ფორმა, გრძელი, გრძივი და მცირე განივი დიამეტრი, ზომიერი სიგანის შუბლი, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახე, მკვეთრად პროფილირებული, ზომიერი სიგანისა და სიმაღლის ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ცხვირის უნაგირი, სახე ვერტიკალურ ჭრილში მეზოგნატული, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან მაღალი. ამ ზოგად დასახელებას უნდა დავეუმატოთ სერიაში ცალკეული ნიშნების ცვალებადობის ანალიზი. ამ პერიოდის მცხეთის მოსახლეობა, რომელიც სამთავროს სამაროვანზე იკრძალვებოდა წინა ეტაპის მოსახლეობასთან შედარებით უფრო დიდი გრძივი დიამეტ-

რით გამოირჩევა. ქალას მახვენებელი ამ სერიაში ჰიპერ-დოლიქოკრანული და მეზოკრანული (2 შემთხვევა) ვლინდება. მეზოკრანული თავის ქალებისათვის დამახასიათებელია მცირე-სახის ზედა სიგანე, სახის ფუძის სიგრძე, თვალბუდეების სიგანე, ცხვირის სიმაღლე; ძალიან დიდი ეშვის ფოსო; საშუალო სიმაღლისა და სიგრძის სახე (მეზოპროზოპული) და თვალბუდეები (მეზოკონჰური), ვიწრო ცხვირი (ლეპტოპროზოპული). ჰიპერ და დოლიქოკრანულ თავის ქალებზე სახე მაღალი და ვიწრო (ლეპტოპროზოპული), თვალბუდეები განიერი და დაბალი, თვალბუდის მახვენებელი ჰამეკონჰური (მკოლე), სახე მკვეთრად პროფილირებული, ეშვის ფოსო საშუალო.

ამავე სერიის ქალებისათვის ასევე დამახასიათებელია დაბალი ქალის მახვენებელი, თავის ქალები ძირითადად დოლიქოკრანულია, აღინიშნება ჰიპერდოლიქოკრანული (ერთი) და მეზოკრანული (ერთი) ფორმებშიც.

ამ სერიაში ძირითადი ნიშნების ცვალებადობა ძალიან მაღალია. დოლიქოკრანული თავის ქალები ქალას სიმაღლით, სახისა და ქალას ფუძის სიგრძით, შუბლის უმცირესი სიგანით და სახის ზედა სიმაღლითა და სახის ზედა პროფილირების კუთხით (ერთ თავის ქალაზე) განსხვავდებიან. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დოლიქოკრანული თავის ქალები თავის ქალას ფუძის სიმაღლით ნიშანთა შემდეგი კომბინაციების სახით გამოირჩევიან. პირველს ახასიათებს ძალიან მაღალი ქალასარქველი, ძალიან დიდი ფუძის სიგრძე, მცირე სახის სიგრძე, საშუალო შუბლის უმცირესი დიამეტრი, მკვეთრად პროფილირებული ძალიან განიერი სახე ზედა ნაწილში; მეორე თავის ქალა ხასიათდება საშუალო სიმაღლითა და ქალას ფუძის სიგრძით, ძალიან განიერი შუბლით, მკვეთრად პროფილირებული საშუალო სიგანის სახით სახის ზედა და შუა ნაწილში. მესამე – მცირე ქალას სიმაღლით, საშუალო ქალასა და სახის ფუძის სიგრძით, ძალიან ვიწრო შუბლით, სახის ზედა პროფილირების კუთხე დიდი (ე. ი. ზედა ნაწილში შებრტყელებული), უმეტეს თავის ქალაზე ვერ მოხერხდა უმნიშვნელოვანესი ნიშნების: სახის ზედა და სრული სიმაღლის, ყვრიმალთმორისი დიამეტრის, თვალბუდისა და ცხვირის მახვენებლების განსაზღვრა, რათა თავის ქალას ფორმის, სახისა და ცხვირის სიმაღლის მიხედვით შიდა პოპულაციური ცვალებადობა, განსხვავებული მორფოლოგიური ტიპების არსებობა დაგვეფიქსირებინა. უდავო ერთია, მორფოლოგიური პოლიმორფიზმი დოლიქოკრანულ თავის ქალებზე მეტად ვლინდება.

მუნათგვერდის (მცხეთა) კრანოლოგიური სერია წარმოდგენილია ძალიან ცუდი დაცულობის 4 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ძალით. ამ სერიაში, ძალზედ გრძელი და ვიწრო თავის ქალაა დამახასიათებელი. ერთადერთი სერიაა, სადაც დოლიქოკრანული ფორმები არ ვლინდება, და აღინიშნება მხოლოდ ულტრა და ჰიპერდოლიქოკრანები. სხვა ნიშნები, თითო განაზომის სახით არის წარმოდგენილი შუბლსა და სახის ზედა სიმაღლის გარდა, სერიას ახასიათებს: სახის ზედა და სრული სიმაღლე დიდი, თვალბუდეები მოკლე, ცხვირი ვიწრო, უნაგირი საშუალო, სახე ვერტიკალურ ჭრილში სწორი, ზედა პროფილირების კუთხე ძალიან მცირე, თავის ქალას სიმაღლე დიდი, ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი. სერია ცვალებადი ჩანს შუბლისა და სახის ზედა სიგანით. გამოვლენილია შემდეგი ვარიანტები: ძალზედ განიერი შუბლით და დიდი სახის ზედა სიგანით; საშუალო სიგანის შუბლით და სახის მცირე ზედა სიგანით; საშუალო

სიგანის შუბლით და ძალიან მცირე სახის ზედა სიგანით; ძალიან ვიწრო შუბლით და ძალიან ვიწრო სახით სახის ზედა ნაწილში. აღსანიშნავია, რომ თავის ქალა, რომელზეც შესაძლებელი იყო ნაზომალარული კუთხის გაზომვა ჰიპერდოლიქოკრანული, მკვეთრად პროფილირებული, განიერი სახით სახის ზედა ნაწილში და ძალზე განიერი შუბლით ხასიათდება ქალის თავის ქალა ხასიათდება დიდი გრძივი დიამეტრით.

ბორჯიკარია (მცხეთა) წარმოდგენილია ერთი მამაკაცისა და ერთი დედაკაცის თავის ქალით. მამაკაცის თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: ძალზე დიდი გრძივი დიამეტრი და მცირე განივი, თავის ქალას მაჩვენებელი ჰიპერდოლიქოკრანული. მთლიანობაში, თავის ქალა მასიური, ძალიან მაღალი ქალას სიმაღლით, ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძით, დიდი სახის ზედა და სრული სიმაღლით, შუბლის უმცირესი სიგანე დიდი, სახის სიგანე სახის ზედა და შუა ნაწილში ზომიერი, სახე სწორი ვერტიკალურ ჭრილში და ორივე დონეზე მკვეთრად პროფილირებული, ორბიტები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ვიწრო და მაღალი ცხვირი, ძალიან მაღალი უნაგირით გამოირჩევა.

ამასვე სერიის ქალისათვის დამახასიათებელია დოლიქოკრანია, სახე ძალიან მაღალი (როგორც სახის ზედა სიმაღლე, ასევე სრული), მკვეთრად პროფილირებული სახის ზედა კუთხე, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ორბიტები, ცხვირი მეზორინული, უნაგირი მაღალი, შუბლისა და სახის ზედა სიგანე ზომიერი.

ნატახტარის (მცხეთა) მიდამოებში ამ დროის ერთი მამაკაცის ძალზე ცუდი დაცულობის თავის ქალა დიდი გრძივი და განივი დიამეტრებით, მეზოკრანიით ხასიათდება.

კამარახევის (მცხეთა) სერია წარმოდგენილია 41 მამაკაცისა 29 დედაკაცის თავის ქალით, რომელთა დაცულობის ხარისხი სხვადასხვაა. მიუხედავად სერიის სტატისტიკურად საიმედო რაოდენობისა, უმეტესი ნიშანი ერთეულ თავის ქალაზე არის აღებული. მთლიანობაში მამაკაცების სერია გამოირჩევა დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, თავის ქალას მაჩვენებელი დოლიქო-მეზოკრანულია. დოლიქოკრანული წარმოდგენილია: 3 ულტრა, 3 ჰიპერ და 4 დოლიქოკრანული ფორმით. ცალკეული ნიშნების ანალიზმა თავის ქალას თორმასთან მიმართებაში რაიმე მკვეთრად გამოხატული კავშირი არ გამოავლინა. აღინიშნება ნიშნების ქაოტური ცვალებადობა, თავისუფალი ნიშანთა კომპლექსები ორი მომენტით შესაძლოა იყოს განპირობებული. პირველი - მოსახლეობა, რომელიც ამ სამაროვანში იკრძალებოდა ძალზედ პოლიმორფული იყო, რასაც, ალბათ, ამ მოსახლეობაში მიმდინარე გენეტიკური პროცესების ბუნებრივი გადარჩევაც ხელს უწყობდა. შესაძლოა, ამ პოპულაციაში ნიშანთა კომპლექსების რღვევა მარტივი მიზეზით იყოს გამოწვეული – ქორწინებათა წრის გაფართოებით. ჩვენთვის უცნობია, ამ სამაროვნის ფუნქციონირების დრო, დაკრძალულთა თაობათა რიცხვი, რომელთა მორფოლოგიური ნიშნების თავისებურებაზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამიტომ კრანოლოგიური პოლიმორფიზმის სათანადო ინტერპრეტაციისას ყოველთვის არის ისეთი მომენტები, რომელთა ახსნა გართულებულია მასალის არასრულყოფილი მდგომარეობით, ნიშანთა მცირე დაკვირვებით და დათარიღების დიდი დიაპაზონით.

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ელინისტურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC
1	m		205	143	138	103	105	71		124	97	109	108	132	38	31	28	55	10,4	4,8	21,3	6,8	84	41	140,5	123,8	
2	m	30-35									85	90															
3	m		166	146				71		119	101	105	103	138	43	30	26	50	8,0	4,2	22,0	13,0	90	60	135,0	119,0	3,0
4	m		170	140							96	105	93	136	47	36	25	52	8,1	7,0			89	44	125,0	122,0	5,5
5	m		180	149	148	101	92	72		122	100	108	104	138	44,8	33	23,4	51	6,2	4,0	21,0	14,4	88	43	145,0	134,0	3,3
6	m	35-40	186	145																							
7	m	45-50	200	134	153	109	109	83	80	144	100	105	97	135	41	36	21	57	10,0	8,0	22,2	14,5	90		128,7	117,1	
8	m	40-45	205	133				77	73	126	95	100			45	33	25	61	8,1	4,0	22,1	12,8	87	70			
9	m	55-60	203	137							94	98															
10	m	25-30	194	133	138	110					103	108													120,9		
11	m		192	126							88	94															
12	m	35-40	196	139				74	71	133			101			33	25	55	9,0	4,7	23,8	12,2	87	56			
13	m	35-40		139																							
14	m	45-50									100	105															
15	m		192								99	106															
16	m	45-50	180																								
17	m	50-55	197	140	135	108																					

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC	
18	m	50-55		128				69	67	112	87	100			44	35	24	57								141,2		
19	m	50-60	189	137	132	93	99				94	100			43	32		47	7,0	4,0	17,5	9,0				144,24		6,2
20	m	25-35	190	144							99								6,3	5,7								
21	m	45-55	137	143	123	96	94	67			98	102	87	133	40	32	23	49	10,4	4,0	20,5	10,4	82			140,12	128,38	12,0
22	m	50-60	193	139							99								12,0	7,9								
23	m	40-50	198	141							95	101														130,54		6,0
24	m	45-55	197	137	130	101	99	76		126	99	110	97	134	45	34	26	52	8,0	2,1	25,0	10,0	86	55	135,16	127,38	2,0	
25	m	30-35	190	129	132	105	100	73		119	94	107	91	128	49	33	23	52	8,8	6,3	20,0	13,0	82	52	129,54	122,56	4,0	
26	m	50-60	195	138	131?	109?					91								8,6	5,0								
27	m		193	132				70	65		98	110	101		40	36	26	55	10,7	6,0	25,3	13,4				126,9	131,0	6,3
28	m	65-70	192	132	142	112	95		63		99	104	87	129	40	33		52			22,0		5,1	89		134,4	123,8	
29	m	55-60																										
30	m	60-65	200	130							89	99	91			35	25						2,4					125,1
31	m	45-50		137				75	71		98	105	94	126		31	24	54					2,5	86	76	126,3	119,6	
32	m	25-30									92	103															135,8	
33	m	60-65		132							103	114																
34	m	60-65		125																								
35	m	60-65									103																	

ცხრ.№8 გაგრძელება

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC	
36	m	25-30	197	129							89	93			38	30											138,2	
37	m	50-55	200	127							91	98	84		42	34	26		7,9	4,4	19,8	9,7	3,1				136,0	127,1
38	m	30-35									100																	
39	m	55-60	198	128							99	106	93			33		47									136,0	
40	m	30-35	187					68	65	112	97	104	96	131	40	33	23		10,2				10,0	86				126,7
41	m	50-55									94	104																
42	m	60-65						73	72		98	105					23	54	7,3	4,5				87	41		131,9	
43	m	45-50	198							118	101	109	99			33		50					5,8					
44	m		189	136				68	65		96	106	90		41	33		53	11,8	4,9			5,6				127,8	120,6
45	m	60-65						72	68	121	100		101				27	50	13,2	6,4			5,8					125,6
46	m	45-50	186	135								106							10,4	3,0			6,0					
47	m	45-50	187																									
48	m	65-70	194										91						8,3									123,6
49	m	35-40	196																									
50	m	40-45									100																	
51	m	45-50																										

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC	
52	m		201								102	107																
53	m																											
54	m	35-40	193	142	139	100	92	78	73	130	97	105	101	130	43	31	25	57	9,1	5,8	21,8	10,3	1,9	90	60	133,1	116,9	
55	m	55-60	185	137	138		97				104	118			42	32	29				26,9						122,0	
56	m	45-50	193	132				89	75	125	101	108	98		45	35		58	7,5	5,6				88	45	134,4	116,2	
57	m	45-50	195																									
58	m	45-50	211																									
59	m	60-65	185	144							91																	
60	m	55-60	183	141							103																	
61	m	55-60	193	146	141	97	98	74	69	125	91	99	92	135	43	35	22	52	8,9	5,1	19,3	10,3	2,2	83			114,1	
62	m	55-60	182	139						115	80	98				28		56	9,0							135,6		
63	m	45-50	185	140															9,1	4,2								
64	m	65-70	188	141	143	107	93	76	73	120	94	102	95	135	42	31	24	52	9,8	6,0	18,6	11,8		90	49	137,0	121,5	
65	m	45-50									91																	
66	m	45-50	196		143	111	104	71	68		94	101	93	127	42	35	22	58	6,6	3,2	19,1	10,4	5,6			141,6	120,6	
67	m	55-60	188	137				74	71	120	95	102	96			28							4,6			140,2		

პირთადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება ელინისტურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC
1	f				116	94	101	74			100	107	96	130									82	42	137,0	131,0	5,0
2	f		175	151	130	98	86	69		111	95	99	90	132	43	31	23	52	8,4	3,9	21,5	11,4	93	54	136,0	120,	3,5
3	f		174	150	128	96	95	62			98	105	97	128	41,0	31,0	23,5	47,8	10,0	4,1	24,0	10,5	84	48	136,0	129,0	5,9
4	f		175	142				68		114	101	110	97	130	44,0	33,4	25	50,3	7,5		24,1		87		137,0	131,0	3,1
5	f		177	151	132	99	90	76		119	100	112	96	135	48,8	37,2	23,5	53	10,0	3,6	23,5	10,3	90	57	135,0	127,0	2,3
6	f	60-65	193	136		100	102	73	70	121	95	102			41	34	23	48	11,5	6,2	21,5	11,1			136,2		
7	f		180																								
8	f	45-50									91	95															
9	f	35-40	182	123																							
10	f	65-70		136							95	105		127													
11	f	30-40	184	133	137	99	86				95	110					23	53					90	53	130,10	115,0	2,5
12	f		189	138	128	97					102	100	90						11,5	5,2	25,0	9,0			132,12	123,36	2,0
13	f	20-30	181	132							92	100															2,0
14	f	20-30	187		137	101	98	61		100	99	106	91		43	32	24	50	8,5	3,9	22,6	9,4	84	63	134,8	124,36	2,0
15	f	35-45	181	132	123	98	93	63		99	86	102		124	46	33	25	48	10,3	5,0	17,5	11,0	88	66	146,0		4,0
16	f	30-35	193	126	137	105				113	91	100	92	124	42	30	24	51	7,8	4,4	17,0	11,9		49	142,14	122,14	2,0
17	f	30-35	180	140							96																3,0
18	f	30-35	174					70	65	119		95	84		37	34	21	51							146,0	138,0	7,3
19	f	55-60	182	123	135	98	98	67	65	100	95	101	95	123	39	30	24	49	7,9		19,3		5,2	79		140,8	124,7
20	f	50-55	184					71			96	102	91	120	41	35	25	51	8,6	4,7	18,3	11,0	8,6		59	140,0	117,1
21	f	50-55		130							98	105														139,0?	
22	f	60-65						71	68		86	96			40	31	21	48								142,2	

N	s e x	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	72	75	77	ZM	FC	
23	f	30-35	181	131	125	91	88	71	65	117	90	97	95	119	39	34	24	51	5,9	3,3	19,0	9,7	4,1	83	57	140,2	122,9	
24	f	50-55	185	127	128	99	93	67	65	109	93	100			37	33	23	47	8,5	4,4			6,1	82	53	143,5	130,2	
25	f	25-30	178	140	130	97	92	66	62	112	91	102	90		38	31	21	46	5,8	2,9	19,1	8,2	4,3	86	63	145,1	134,6	
26	f	55-60	178	140				71		112	98	100														132,5		
27	f	25-30	187	134	133	96	91	67	65	114	94	102	92		40	31	25	49	9,2	4,2	21,4	7,6	6,1	84	56	135,8	126,9	
28	f	45-50	183								93	102																
29	f	45-50	171	127	130	101		58			92	102	90	119	42	32		45	9,4							131,0		
30	f	40-45	194	128				69	65	110	90	103			40		26	54	9,0	4,0			3,6			136,4		
31	f	60-65	192	139	138	109	99	74	69	119	95	99	94		40	35	26	52	8,2	6,3				87		129,5	117,7	
32	f	45-50	194																									
33	f	30-35	174																									
34	f	20-25	185	136	134	103	97	63	57	108	95	104	91		41	35		47	8,7	3,3	22,1	8,1		84	64	130,4	124,2	
35	f	50-55	174	128							92																	
36	f	50-55		142	131		89				94		86			30	23						5,4				123,6	
37	f	35-40	192	131				70	63	110	96	103	95		41	36	25	50	11,3	4,4			7,6	82		131,9	128,3	
38	f	55-60	201	138	128	105	108	70	64	118	97	101	93	119	43	32	24	50	9,0	4,6			8,8	79		134,4	121,5	
39	f	25-30		132							101	105																
40	f	35-40	186						69		92	97			43		23		7,5	3,7	21,5	9,5						
41	f	45-50	195	136	138	109	104		56		89	96	101		35	31												
42	f	55-60	183	132					59	102	92	99			41			49									130,2	
43	f	55-60		131																								
44	f	30-35	179									101															131,8	
45	f	40-45	196	134							98					35							5,3					
46	f	50-55	183								96	99				31											134,4	
47	f	40-45									93	100			38	34			11,3	5,5							131,2	

კამარახევის ქალებისათვის ასევე დამახასიათებელია ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები. განივი დიამეტრი ამ სერიის ქალებში, უკვე რიგ შემთხვევებში საგრძნობლად მატულობს და საშუალო და დიდ ზომებს აღწევს, მაგრამ ძალიან დიდი გრძივი დიამეტრის ხარჯზე, მხოლოდ ორი მეზოკრანული ფორმა ფიქსირდება. ქალებისათვის, ასევე დამახასიათებელია უფრო დიდი ზოგომაქსილარული კუთხე, თანაც ძალიან გრძელ (ულტრა და ჰიპერდოლიქოკრანულ) და ვიწრო, ასევე მეზოკრანულ თავის ქალებზე. ჩვენი აზრით ქალების შუბლის აგებულება (მკვეთრად გამოხატული შუბლის ბორცვი, უფრო დაბალი უნაგრი) მასიური (ძალიან გრძელი და საშუალო სიგანის, ან დიდი გრძივი და განივი დიამეტრების შემთხვევაში) თავის ქალებზე სახის ზედა ნაწილის ზომიერი შებრტყელება შეიმჩნევა. სახის შუა ნაწილის პროფილირების მანკენებული (zm) ქალების მთელ სერიაში მცირე და ძალიან მცირე კუთხეს აღწევს, გამონაკლისი ერთი მეზოკრანული თავის ქალა დიდი ნაზომალარული (145,1) და ზომიერი ზიგომაქსიმალური (134,6) კუთხით. განსაკუთრებული ამ სერიაში არის თითო ულტრა და ჰიპერდოლიქოკრანულ თავისი ქალებზე სახის საერთო კუთხის პროგნატული სიდიდე (79). სხვა დანარჩენი ნიშნებით ქალები ისევე პოლიმორფულნი არიან, ხასიათდებიან: საშუალო სიგანის შუბლით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახით სახის ზედა ნაწილში, მცირე ყვრიმალთშორის დიამეტრით, საშუალო სიგანისა და მცირე სიმაღლის თვალბუდეებით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით.

ნანტაკისი (ქსნის) მიდამოებში მოპოვებულია 5 მამაკაცისა და 2 ქალის თავისქალები, რომლებიც ხასიათდებიან: ქალას დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, ქალას მანკენებული დაბალია, დოლიქოკრანული. სამწუხაროდ, სახის სიგანის გაზომვა არ მოხერხდა, ხოლო მამაკაცს თავის ქალაზე სიმაღლე საშუალოზე დიდი, სახე ვერტიკალურ პროექციაში სწორი; ცხვირი ქალაზე საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი, მკვეთრად წარზიდული.

საყარაულ სერი (კავთისხევი), ძალიან ცუდი დაცულობის თავის ქალა, შესწავლილია მხოლოდ ორი ნიშანი, რომლებიც ამ თავის ქალას ახასიათებს: ძალიან ვიწრო შუბლი და სახის ზედა სიგანე.

ყარაგაჯი (სიღნაღი). მოპოვებული მამაკაცის ერთი თავის ქალა ხასიათდება: ძალიან დიდი გრძივი და საშუალო ზომის განივი დიამეტრებით: ქალას მანკენებული ძალზე დაბალია და ჰიპერდოლიქოკრანულ კატეგორიაში ხვდება. ქალას სიმაღლე დიდი, შუბლი საშუალო სიგანის, სახე საშუალოზე გრძელი და განიერი, მკვეთრად პროფილირებული პორიზონტალურ პროექციაში და სწორი ვერტიკალურში, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირი მაღალი და საშუალოზე ფართე, ძალზე მკვეთრად წარზიდული.

ამრიგად, განვიხილეთ ელინისტური ხანის მოსახლეობის მორფოლოგიური თავისებურება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთელი რიგი ნიშნებით ამ დროის მოსახლეობა (თავის ფორმა, სახის სიგანე, ცხვირის სიმაღლე და სიგანე) მიეკუთვნება ხმელთაშუაზღვისპირულ რასობრივ ტიპს. ეს ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული წინამორბედი ხანის მოსახლეობაშიც, როგორც საქართველოს, კავკასიის, ასევე წინა აზიის ტერიტორიაზე. საქართველოში მოპოვებულ მასალებში შეინიშნება ადგილობრივი თავისებურებანი, რაც უპირველესად ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირით და ცხვირის მკვეთრად წინ წარზიდულობაში გამოიხატება.

გვიანანტიკური ხანის მოსახლეობის კრანიოლოგიურ

პოლიმორფიზმი

გვიანანტიკური ხანის სოლიდური მასალაა მოპოვებულია მას შემდეგ, რაც იყო გამოქვეყნებული (აბდუშელიშვილი, 1978). ამ ნაშრომში განხილული იყო სულ 30 მამაკაცისა და 31 დედაკაცის თავის ქალას მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს 6 რეგიონიდან. დღეს ჩვენს განკარგულებაშია 120 მამაკაცისა და 79 ქალის თავის ქალა, რომლებიც 22 პუნქტიდან, მათ შორის დასავლეთ საქართველოდანაა (ჭიათურა) მოპოვებული (ცხრ.№).

მცხეთის რეგიონი ძალზედ ფართოდ არის შესწავლილი, მათ შორის: სამთავრო, წიწამური, კარსნისხევი, ბაიათხევი, ნიხბისხევი, კამარახევი, მოგვთაკარი, სვეტისცხოველი, მარტაზის-ხევი.

სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულია 5 მამაკაცისა და 10 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცების სერია ხასიათდება: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, თავის ქალას მაჩვენებელი ძალზედ დაბალი. სახე საშუალო სიმაღლისა, ყვრიმალშუა დიამეტრის მიხედვით საშუალო სიგანის, ხოლო სახის ზედა და შუა სიგანის მიხედვით საშუალოზე ვიწრო, ჰორიზონტალურ სიბრტყეში სახე მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში – სწორი, ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალო სიმაღლის, წინ მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მეტი სიმაღლის, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ეშვის ფოსოს სიღრმე საშუალო. სამთავროს ქალების სერია ხასიათდება: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, თავის მაჩვენებელი მეტად დაბალია, ქალას ფუძე საშუალოზე გრძელი, შუბლი საშუალო სიგანის, სახე საშუალო სიმაღლისა და საშუალოზე მცირე სიგანის, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში; ცხვირი მაღალი და ვიწრო, ზომიერად წარზიდული, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, თვალბუდეების სიმაღლე და სიგანე საშუალო.

ამ დახასიათებიდან ჩანს, რომ სერიის შიგნით ტიპოლოგიური მსგავსება დედაკაცებისა და მამაკაცების მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით უდავოა.

წიწამურში (მცხეთა) მოპოვებულია ძალიან ცუდი დაცულობის 2 მამაკაცისა და 3 ქალის თავის ქალა. მამაკაცებისათვის დამახასიათებელია ძალიან დიდი გრძივი დიამეტრი, საშუალო სახის ზედა სიმაღლე, ზომიერი სიგანის შუბლი და სახის ზედა სიგანე. ქალის თავის ქალებზე შესწავლილია ასევე რამდენიმე ნიშანი: თავის ქალას ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი მცირე (დოლიქოკრანული), ქალას სიმაღლე და ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი.

კარსნისხევი (მცხეთა) წარმოდგენილია 3 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერიის მამაკაცებში აღინიშნება გრძივი დიამეტრის შემცირების ტენდენცია და განივის ზრდა, რაც ერთი მეზოკრანული თავის ქალას ფორმით დასტურდება. მთლიანობაში, დოლიქო და მეზოკრანულ ფორმებს შორის განსხვავება სახის ზედა სიმაღლით, შუბლის უმცირესი სიგანით, ცხვირის სიმაღლითა და ნაზომალარული კუთხის სიდიდეებითაა მიღებული.

დოლიქოკრანული თავის ქალა ხასიათდება: ძალიან დაბალი სახის ზედა სიმაღლით და საშუალო სახის ზედა სიგანით. სახის სრული სიმაღლე და სახის შუა სიგანე

მცირე, ყვრიმალთშუა სიგანე საშუალო, შუბლი საშუალო სიგანის, ორბიტები პამეოკონჰური (მოკლე), ცხვირი მეზორინული (საშუალო), ნაზომალარული კუთხე მცირე, ეშვი ფოსო მცირე.

მეზოკრანული თავის ქალა ხასიათდება: დიდი ქალას სიმაღლითა და ქალას ფუძის სიგრძით, სახის ზედა სიმაღლე საშუალო, ხოლო სახე ზედა ნაწილში განიერი, სახის სრული სიმაღლე მცირე, შუბლი ძალიან განიერი, ორბიტები მეზოკონჰური (საშუალო), ცხვირის სიგრძე დიდი, ეშვის ფოსო საშუალო, სახე ვერტიკალურ პროექციაში მეზონატული (საშუალო) და საშუალო ნაზომალარული კუთხე.

ქალებისათვის დამახასიათებელია დოლიქოკრანია, მხოლოდ აღსანიშნავია ამ თავის ქალების განსხვავება ზომებში. ერთი უფრო გრაცილურია, მეორე მასიური. გრაცილური თავის ქალა ხასიათდება: დიდი ქალას სიმაღლითა და ქალას ფუძის სიგრძით, საშუალო შუბლის უმცირესი სიგანითა და ძალიან მცირე სახის ზედა სიგანით, საშუალო ნაზომალარული კუთხით. მასიური თავის ქალა ხასიათდება საშუალო ქალას სიმაღლითა და ქალას ფუძის სიგრძით, ხოლო სახის ფუძის სიგრძე მცირე; სახის სიმაღლე (ზედა და სრული) მცირე, შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიმაღლე საშუალო, სახის ზედა კუთხე მკვეთრად პროფილირებული, სახე ვერტიკალურ პროექციაში მეზონატული, თავლებუდეები საშუალო, ცხვირი მოკლე (ლეპტორინული), უნაგირი საშუალო სიმაღლის, ცხვირი მკვეთრად წარზიდული.

ბაიათხევი (მცხეთა). მოპოვებულია ძალიან ცუდი დაცულობის 3 მამაკაცისა და 4 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან, ჰიპერ-დოლიქოკრანითა და მცირე შუბლისა და სახის ზედა სიგანით. ქალების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია, როგორც ჰიპერდოლიქოკრანული, ასევე თავის ქალის მეზოკრანული ფორმები. სახე საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახის ზედა ნაწილში, შუბლი ვიწრო, სახე შუა ნაწილში მცირე სიგანის, თვალბუდეები დაბალი, ცხვირი მეზორინული, სახე პროფილირებული სახის ზედა ნაწილში.

ნიზისხევი (მცხეთა). წარმოდგენილია ძალიან ცუდი დაცულობის ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის თავის ქალით, მამაკაცის თავის ქალა საშუალო გრძივი დიამეტრით ხასიათდება; შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიგანე დიდი, მცირე სიმაღლის თვალბუდეები ცხვირი ვიწრო. ქალის თავის ქალა პირიქით ძალიან დიდი გრძივი დიამეტრითა და ძალიან მცირე განივი დიამეტრით ხასიათდება, ქალას მაჩვენებელი ძალიან მცირე სულტრადოლიქოკრანული, ქალას სიმაღლე ძალიან დიდი, სახის ზედა სიმაღლე მცირე, თვალბუდეების სიგანე საშუალო.

კამარახევი (მცხეთა). მოპოვებულია 1 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცის თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: გრძივი დიამეტრი დიდი, შუბლი საშუალო სიგანის, სახის ზედა სიგანე მცირე, სახის შუა სიგანე ძალიან მცირე, ცხვირის სიგანე საშუალოზე დიდი.

ქალის მხოლოდ ერთ თავის ქალაზე მოხერხდა რადენიმე ნიშნის აღება და ხასიათდება: საშუალო გრძივი დე მცირე განივი დიამეტრებით, თავის ქალა მეზოკრანული, ქალას სიმაღლე, ქალას ფუძის სიგრძე და სახის ფუძის სიგრძე მცირე, სახის ზედა სიმაღლე და სახის ზედა სიგანე საშუალო, სახე სახის ზედა ნაწილში პროფილირებული. შუბლი საშუალო სიგანის, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანის.

მღვთაკარი (მცხეთა) წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალით. მამაკაცებისა და დედაკაცების თავის ქალას ფორმები განსხვავდებიან. მამაკაცები

თავის ქალას დოლიქო-მეზოკრანული ფორმებით ხასიათდებიან: თავის ქალას სიმაღლე საშუალოზე მაღალი, ქალას ფუძის სიგანე და სახის ფუძის სიგრძე საშუალო, სახის ზედა და სრული სიმაღლე და სახის ზედა სიგანე საშუალო, ხოლო სახის შუა სიგანე მცირე, ყვრიმაღთშორის დიამეტრი მცირე, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, საშუალო სიგანისა და სიმაღლის (მეზორინული) ცხვირი, მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, სახე პროფილირებული, (განსაკუთრებით სახის ზიგომაქსილარული კუთხის მიხედვით) ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში ნიშნითა კომპლესი ამ სერიაში არ არის თავის ქალას ფორმასთან კავშირში.

ქალებისათვის დამახასიათებელია: ძალიან დიდი გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრები, მცირე ქალას სიმაღლე, დიდი ქალას ფუძის და საშუალო სახის ფუძის სიგრძე, საშუალო სიმაღლისა და მცირე სიგანის სახე, ყვრიმაღთშორის დიამეტრი და თვალბუდეები საშუალო. ამ სერიის დოლიქოკრანულ თავის ქალაზე აღინიშნება დაბალი სიმოტური და დაკრიონული მახვენებლები, საშუალო ნაზომალარული კუთხე, ზოგომაქსილარული მცირე, რაც სახის პროფილირების ოდნავ შესუსტებაზე მიუთითებს და ცხვირის დაბალ უნაგირზე. ამავე სერიის ჰიპერდოლიქოკრანულ ერთ თავის ქალაზე აღინიშნება ძალიან მაღალი დაკრიონული და სიმოტური მახვენებლები, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირით; მეორე ჰიპერდოლიქოკრანული თავის ქალაზე განსხვავებული კომპლექსია: მაღალი თვალბუდეები, ფართე სახე, პროფილირებული შუა ნაწილში. ასეთ მცირერიცხოვან სერიაში დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი ნიშანთა განმასხვავებელი კომპლექსი. იქნება შთაბეჭდილება ქალების მცხეთის რეგიონში მიგრაციისა.

მარტაზისხვეი (მცხეთა). მოპოვებულია ცუდი დაცულობის დედაკაცის თავის ქალა, რომელიც ხასიათდება: დიდი გრძივი დიამეტრით, საშუალოზე მაღალი ქალას სიმაღლითა და ქალას ფუძის სიგრძით, სახის საშუალო ზედა სიმაღლით, მეზოკრანული თვალბუდეებითა და მეზორინული ცხვირით. ნიშანთა ეს კომპლექსი ამ თავის ქალას არ გამოარჩევს ძირითადი გავრცელებული ტიპისაგან.

სვეტიცხოველი (მცხეთა). მოპოვებულია 4 მამაკაცის თავის ქალა. აღსანიშნავია, რომ ამ სერიის მამაკაცებში ძალიან ფართო დიაპაზონით ვარირებს გრძივი დიამეტრი, ხოლო განივი – სტაბილურია, ქალას მახვენებელი ჰიპერ- და მეზოკრანული, სახის ზედა სიმაღლე საშუალო, სრული – დიდი, სახის ზედა სიგანე საშუალო, ხოლო სახის შუა სიგანე მცირე, შუბლი – საშუალოზე მეტი სიგანის, თვალბუდეები ძალზედ ცვალებადი, როგორც სიმაღლეში, ასევე სიგანეში, ცხვირი მეზორინული, უნაგირი საშუალო სიმაღლის, ნაზომალარული კუთხე საშუალო, სახე ორტოგნატული ვერტიკალურ პროექციაში, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზტან დიდი.

ნიჩბისი. მოპოვებულია ერთი მამაკაცის თავის ქალა, რომელიც ხასიათდება: საშუალო სიგრძისა და ძალზე მცირე განივი დიამეტრით, ქალას მახვენებელი ძალზე დაბალი, შუბლი საშუალო სიგანისა და სიგრძის, სახე საშუალოზე დაბალი და საშუალოზე მცირე სიგანის, ჰორიზონტალურ პროექციაში ძალზე მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალოზე დაბალი და მკვეთრად წარზიდული, უნაგირი საშუალო სიმაღლის, თვალბუდეები საშუალო სიგანის და საშუალოზე დაბალი.

ჟრბნისი (ქარელი). მოპოვებულია 1 მამაკაცისა და 2 ქალის თავის ქალა. მამაკაცის თავის ქალა ძალზედ ცუდი დაცულობისაა. მასზე შესაძლებელი იყო შეგვესწავლა

შუბლის უმცირესი დიამეტრი (მცირე), სახის ზედა სიგანე (ასევე მცირე) და დაკრიონული ქორდა (დიდი). ქალის 1 თავის ქალა ხასიათდება ქალას გრძივი და განივი დიამეტრების ზომიერი სიდიდეებით, ქალას დაბალი მახვენებელით, ხოლო მეორე, გამოირჩევა დიდი განივი დიამეტრით, ქალას მახვენებელი ბრაქიკრანული. ორივე თავის ქალაზე აღინიშნება საშუალოზე მცირე ქალასარქველის სიმაღლე, სახე დაბალი და საშუალო სიგანის, ჰორიზონტალურ სიბრტყეში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში ოდნავ დახრილი (მეზოგნატული); ცხვირი ბრაქიკრანულ თავის ქალაზე დაბალი, საშუალო სიგანის, მკვეთრად წინ წარზიდული, ეშვის ფოსო სირღმე ძალიან მცირე. დოლიქოკრანულ თავის ქალაზე ცხვირი ჰამერინული (მახვენებელი 54:55 – 60,0), ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, ეშვის ფოსოს სიღრმე ასევე ძალიან მცირე, თვალბუდეები საშუალოზე მცირე ზომის.

არდისუბანი (თეთრი წყარო) მოპოვებულია ერთი მამაკაცის თავის ქალა. ხასიათდება: თავის გრძივი და განივი დიამეტრების საშუალო ზომებით, თავის ქალას მახვენებელი მეზოკრანული, ქალასარქველის სიმაღლე საშუალოზე დიდი, შუბლი საშუალო სიგანის, სახე საშუალოზე მაღალი, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალოზე მაღალი და ძალზედ ვიწრო, მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი საშუალო, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი.

მაწანწარა (თელავი). მოპოვებულია ქალის თავის ქალა, რომელიც ხასიათდება: ძალიან დიდი გრძივი და ძალიან ცმირე განივი დიამეტრებით, ქალას მახვენებელი ძალზე დაბალი (ჰიპერდოლიქოკრანული). ქალას სიმაღლე ძალზე მაღალი, შუბლი საშუალო სიგანის, სახე საშუალოზე მაღალი და ძალზე ვიწრო, ჰორიზონტალურ პროექციაში ძალზე მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში ოდნავ დაქანებული (მეზოგნატული), ცხვირი საშუალოზე მაღალი და საშუალოზე ვიწრო (ლეპტორინული), მკვეთრად წარზიდული, თვალბუდეები საშუალოზე ფართო და მაღალი.

არაგვისპირი (დუშეთი). მოპოვებულია 21 მამაკაცისა და 26 დედაკაცის თავის ქალა. ძირითადად, ამ სერიის მამაკაცებში დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები ვლინდება. თავის ქალას მახვენებელი ჯერ კდივე ძალიან დაბალია, გამონაკლისი – ორი მეზოკრანული და ერთი ბრაქიკრანული ფორმები. უმეტეს თავის ქალაზე შესწავლილია ნიშანთა მცირე რიცხვი, ამიტომ, შეუძლებელია თავის ქალას ცალკეული ფორმებისა და ნიშანთა კომპლექსის შიდაჯგუფური ანალიზი. მთლიანობაში, ამ სერიის მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: ჰორიზონტალურ სიბრტყეში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში სწორი, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახე, ცხვირი საშუალო სიგანის და საშუალოზე მეტი სიგრძის, თვალბუდეები ზომიერი სიგანისა და საშუალოზე დაბალი, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, შუბლი საშუალო სიგანის. თუმცა, ამ სერიის მეზო- და ბრაქიკრანულ თავის ქალებზე აღინიშნება ძალზედ განიერი შუბლი, სახის ზედა სიგანე და ყვრიმალთშუა დიამეტრი ქლებისათვის: დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, თავის ქალას მახვენებლები დაბალი, თუმცა ქალას მახვენებლის მიხედვით, 11 ჰიპერდოლიქოკრანული 3 მეზო- და 5 ბრაქიკრანული ფორმები აღინიშნება. ქალების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია საშუალოზე მეტი სიგანის შუბლი, ყვრიმალთშორის დიამეტრი საშუალოზე დიდი, სახე საშუალო სიგანის და მკვეთრად პროფილირებული; ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება გვიანანტიკურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	m	70-75	185	132				69	65		91	100	93		41	32	25	50									142,6	121,0
2	m	35-40	196	133							99	107							11,6	5,8								
3	m	50-55	196	136							90	99																
4	m	50-55	176	145							103	106																
5	m	40-45	183	134																								
6	m	25-30		140							104	115																
7	m	50-55	182	135							92	101		126														
8	m	40-45		131							91	100	78	125														
9	m	40-45	188	138							101	109	101	134	46	35		59						5,4	81		141,6	121,3
10	m	35-40	194	139	125	106	102	71	67		107	116				34	29	52						4,8				
11	m	60-65	185	129				63	59	106	92	103		127	43	29		52						4,8			139,0	123,8
12	m	45-50	189	132				83	79	132	98	99	96	138	43	34	26	61	8,1		20,6		7,9	92			130,8	113,8
13	m	50-55	192	127																								
14	m	40-45	190	127							93	102																
15	m	50-55	173	127							90	97		123		32												
16	m	35-40		135							93	101																
17	m	35-40	188	146	124	98					92	102	82	137	39	30												136,6
18	m	55-60	186	139																								
19	m	45-50	187	126				62	59		94	106		133	39	29		46			25,6	9,3	6,2				134,6	
20	m	30-35	182	133							96	104	91	123	41	31	22	52	9,0	5,0	20,9	11,6	8,5				134,6	127,4
21	m	40-45	189	142							108	115		145		29	26											
22	m	25-30		134													27											
23	m	40-45	188					69	65	111	98	110			40			49										
24	m	55-60	180	140							103	107							10,9	4,6								
25	m	35-40	199	137							97	105				28			10,6	3,5	23,2	10,9						
26	m	40-45	200	140				71	67	122	100	102		125	40	32	24		11,0	5,2	23,6	10,7	2,6	88	29	135,2	127,4	
27	m	50-55	191	125				68	65		100	104	89		42	33	24	55	9,0	4,0	21,1	9,7	4,8				140,0	128,2
28	m	40-45	203	141	143	105					103	113	98	137	47	33			12,0	4,9							132,5	
29	m	65-70	182	155							108	111		149													134,6	
30	m	60-65	180	133							92	104			38	29												

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
31	m	25-30		135				72	70		98	106	94	130	40	35	23	56	7,7	5,6	21,1	12,5	4,1			139,6	126,1	
32	m	30-35		135													22											
33	m	20-25	181								87																	
34	m	55-60	199	133	135	105					99	104																
35	m	45-50	195																									
36	m	55-60	191	140							94	100																143,7
37	m	60-65	205	127	156	120	103	71			90	102	95	119			25		10,0	4,5			8,0			125,8	119,4	
38	m	65-70	184	128	140	110	103	68			108	105	96	118	39	34	24	53					2,5			136,4	119,4	
39	m	45-50	182	129							105								13,0		17,0	7,2					139,0	
40	m	50-55	196	139	135	105					113																140,4	
41	m	50-55	190	142					62			112		134	40	32	26							88			142,9	
42	m	50-55	184	134	142	106	97	80	76		90	105	94		41	34	25						5,0				121,5	
43	m	25-30	194	134				74	70	121	94	102	89		43	37	23	63	7,7		219		2,3				134,4	
44	m	20-25		145							106	114																
45	m	20-25	193	128							96	103																
46	m	45-50		144																								
47	m	30-35	196	139				87	85	138	96	108				42	23	73										
48	m	40-45	181					74	70		90	105	105	141	44	38	22	61	7,3	3,0	23,1	10,9	3,9			134,2	122,4	
49	m	55-60	175	134							98	106			43	36											136,4	
50	m	50-55	183	118				77	72		96	106	104		45	34	26	62	13,8	5,2			3,0			133,5	127,2	
51	m	40-45	210	140					66		97	105	99		43	32		53	9,1	3,9							148,1	
52	m	45-50	185	126							101					47								7,2				
53	m	50-55		141							93																	
54	m	50-55	201	135							90	103			44	33											135,0	
55	m	50-55	191	133							94	100															120,1	
56	m	45-50	186	127	139	107	102	77	72		97	104	107	140	44	33	26	62			24		6,6			128,9	124,0	
57	m	70-75	196	140				71	67		103	111	96		42	33	31	49	6,4		24,6		6,4				127,4	
58	m	50-55	207	140				76	73	128	98	106	85		42	32	25	57					6,9			140,0	117,9	
59	m	50-55	199																									
60	m	35-40																										
61	m	35-40						73			98	106			42	35	25	55									118,8	

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM
62	m	45-50	198		133	111																					
63	m	55-60	194	133																							
64	m	20-25	192																								
65	m	65-70	189	145																							
66	m	55-60	197																10,6	5,2							
67	m	55-60	180	136							100	109															
68	m	55-60	190	130																							
69	m	55-60	188																								
70	m	50-55	203									103															
71	m	40-45	196	135																							
72	m	35-40		137								103	101			31	25							6,5			
73	m	40-45	199	135																							
74	m	20-25	189	151																							
75	m	45-50	185	130																						142,4	
76	m	55-60	177	129																							
77	m	50-55	203	138								103														141,4	
78	m	60-65	188	130	144	103	98	73			98	105	94		41	32	25	52	8,0	5,4	22,3	10,9	4,5	82	42	138,4	122,0
79	m	70-75	194					71							42	33	25	55	10,2	3,3	23,5	9,1	5,5				
80	m	50-55	202																								
81	m	60-65	196	125							95	107															
82	m	60-65	209	135							105	108															
83	m	55-60	182	134				69			100	107	97		43	31	27	50					6,0			138,0	121,8
84	m	30-35	186	126				65			95	97				34	23	49								140,4	
85	m	60-65	181	136				66			98	106	94	122	39	34	26	52					2,3			136,6	128,0
86	m	35-40	193	130							87	101															
87	m	I	175		131	97	96	71			91	98	91	123	41	37	20	51	7,5	4,2	20,2	10,1	8,75	85	57	135,10	114,44
88	m	II	189	128							96	100		125	38	34							6,5				
89	m	II	175	133	128	92					99	104	90		41	37	25	54					5,0			137,00	118,12
90	m	II		145																							
91	m	I	172	132	128		87						95	131		39											133,02
92	m	III	193												46	38		57									
93	m		184	139	131	104					91	101		130	43	33			10,1	5,2	21,2	12,2				140,22	

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM		
94	m	20-25	187	142							94																144,3		
95	m	65-70	175	125								98																	
96	m	55-60	187	133				58	57	112	97	106	94	131	41	31	23	47	11,2		19,3		3,7				134,2		
97	m	60-65		126																									
98	m	45-50	183	141	137	105		70	68	114	103	109			41	33		54					5,5	83			143,9		
99	m	40-45	198	138							94	102																	
100	m	35-40	177	126							91	96																	
101	m	45-50	184	132																									
102	m	30-35	189								95	103																144,7	
103	m	35-40	192					72	66		99	108																	
104	m	25-30	180								101	107				33	23												
105	m	50-55	188								96	102	89				27												
106	m	45-50	201	131					60		102	110			46	34	26	52					5,0					124,2	
107	m	40-45	198	136					74		93	98	90	134	45	38	27							85				141,2	
108	m	55-60	183	137				71	68		99	105	87		40	33	25	52	8,7	4,8	21,2	13,5	6,4	87	51		137,2		
109	m	III									93	100,8	85		42	34	21	55	9,2	3,7	24,3	10,0	5,4				126,1	125,1	
110	m	50-55	191																										
111	m	70-75	191	145	137	96	88	65	60	113	103	107	100		42	33	27	52	9,4	4,7	26,0	12,6	5,9	88	58		142,0		
112	m	35-40	189	134	130	100	100	71	67	118	95	105	91	129	42	35	26	51	7,7	4,7	20,9	12,7	3,8	82	48		139,6	120,3	
113	m	55-60	188		131	112				123					44	35													
114	m	70-75	190	146				72	71	116	96	105			41	35	27	57	9,7	3,4	20,4	10,6	4,9	88				142,4	
115	m	60-65																	6,7	4,2	18,5	11,2	5,5						
116	m	I	184	130				66			95	102	92		42	33		49	8,6	4,0	19,2	12,9	2,0	85	52		135,02	123,14	
117	m	25-30	180	145	132	103	101	68			97	108	95	136	42	32	45	51					5,4					138,4	
118	m	30-35	174	150	135	101	98	66			99	108	95	134	43	33	29	48	6,3	3,5	20,8	10,5	4,1	87	47		142,4	128,0	
119	m	25	189	134	138	106	98	65			95	103	89	131	44	32	22	47	11,7	10,0	21,0	11,7	4,8	88	45		135,4	114,4	
120	m	30-40	178	136			122	64			94	110	95	122	40	38,5	23	50	10,7	5,9	17,8	12,9	3,8	88	57		139,6		
121	m	40-45						69	68	125	103				46	40	25	54	11,9	6,3	23,5	10,9	3,2						
122	m	55-60	202	135				67	65		95	105	94			33	25	52						7,1				143,5	
123	m	55-60	184		133						102	105																	
124	m	40-45	178	134				70	68		95	102			42			51	9,0	3,7	20,0	10,1	2,9	86	52		137,0		
125	m	I	183	140	139	100	96	75			95				42	36	20	55	10,0	4,6	18,9	10,1	3,0	95	51				
126	m										91	100											24,5						
127	m	50-55	200								96	106																	140,0

ძირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება გვიანანტიკურ ხანაში

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
1	f	35-40	181	123	135	102	86	70	66	115	92	103	92	124	41	35		53	13,4	5,0	22,3	10,7		92	60	136,0	134,6	
2	f	35-40	197	123							92	99																
3	f	30-35	190					74	70		92	102			41	31		55									137,4	
4	f	30-35	179	130		102	100				94	104	86	125	41	36	24	50					6,7				137,6	111,4
5	f	30-35	184	123							93	101		124	37	30											135,0	
6	f	35-40	163	134							91																	
7	f	40-45									108																	
8	f	30-35	180	125		107																						
9	f	45-50	179	130							98	107																
10	f	35-40		139							101	102																
11	f	60-65	174	127							97	111																
12	f	55-60	185	127							90	97			37	31												
13	f	50-55	185	140							102	110																
14	f	40-45	197	129																								
15	f	25-30		140				61	59		93	100	94	126	39	33	25	51					3,2					
16	f	25-30										106			40	39	21											
17	f	25-30	186	130	138	102					95	97																
18	f	50-55	160	128							95																	
19	f	35-40		135							90																	
20	f	40-45		124																								
21	f	30-35	180	144							96	110																
22	f	40-45	182	137							88	91																
23	f	65-70	182	134				71	68		94	101	93	132	42	36	20	55	12,3							132,5	127,8	
24	f	65-70	194	134	137	110	105	69	66		96	107	80		41	36	23										130,6	122,6
25	f	35-40	179	144										131														
26	f	40-45	180	137							101	111	91				25						8,8					
27	f	30-35	199	133							98	107																
28	f	50-55	180	144							95																	
29	f	50-55		133							98	103																
30	f	40-45	175	129							88	100			39	33												
31	f	60-65	210	132							114						25	45										

ცხრ.№11 გავრძელება

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
32	f	65-70	192	120				59			88						22	45										
33	f	55-60	192	135							103	106															152,4	
34	f	50-55	190	135	131	111	103	71			108	100	98				26										137,6	
35	f	30-35	186	125	125	102	88	69							42	36							4,3					
36	f	45-50	189	142							94	101		125														
37	f	25-30		132							97	103																
38	f	25-30	192	124							95	106																
39	f	50-55	176	130					68		91	102			39	38											136,0	
40	f	50-55		128																								
41	f	20-25		147							98	108																
42	f	45-50	186	134							100	107																
43	f	40-45		127							100	109																
44	f	40-45	177	127							93	103																
45	f	30-35	176	126				64	61	115	94	101	88	122	39	31	22	53					5,2				136,2	117,1
46	f	20-25	195	134								99					23											
47	f	25-30	188	128							96	104																
48	f	80-85	190	135				71			121	107				32	26	51										142,4
49	f	20-25	181	130							93																	141,6
50	f	35-40	188																									
51	f	40-45	191	127																								
52	f	55-60	183	135								102																
53	f	55-60	190	125							96	104				33												132,5
54	f	50-55	187	122	137	115					98	103			40	33												143,3
55	f	30-35	182	127							100	108	96			34								4,5				141,8
56	f	50-55	187	121							87																	
57	f	25-30	180	126	130	98	90	72			93	100	90	122	41	36	25	52	8,3	4,9			4,0	85	51	124,44	120,38	
58	f	II	170		122	89					93	103	89	118	40	35	24	46	11,4	4,3	23,2	11,8	2,0		58	139,18	126,16	
59	f		174	131							86	96			40	35	24	52	8,3	4,2	15,9	9,6	6,0				142,28	
60	f	18-20	162	122								94																
61	f		179	127	131	101					91	94																140,8
62	f	50-55	186	136	129	98	92	62	59	105	92	101			39	33	22	48	8,6	4,1	21,0	10,2	3,8	82	53	129,7		
63	f	45-50	188	136							97	100																

ცხრ.№11 გაგრძელება

N	sex	age	1	8	17	5	40	48'	48''	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
64	f	35-40	185	131	138	107																						
65	f	50-55	180		133	100		70							40	31	24	51										
66	f	18-20	185		135	100																						
67	f	20-25	185	129							95	101					25		11,0	6,2						130,0		
68	f	18-20	176	136				66	63		88	99	83		32	23	47									3,6		
69	f	20-25		130							90	97																
70	f	20-25	191	120	140	120	120	60							41												1,2	
71	f	30-35	174	131	125	93	92	64	62		92	100			40				10,1	3,1	13,1	9,5					139,4	
72	f	20-25																										
73	f	55-60	191	134	123	102	100	68	66	111	90	102	94	122	41	34	23	50	8,8	2,5	21,5	8,5	5,1	89	75	140,4	128,7	
74	f	20-25	185	124				63	61	110	88	95	83		36	34	25	47									104	125,4
75	f	55-60	183	128	130	100	97		61	113	94	98			42	34	23	50	8,5	5,7	16,0	11,2	4,8	84	62			
76	f	60	177	147	129	97	92	66			100	93	94	126	43	33,6	24,0	50,0	11,3	3,9	23,7	11,5	2,4	95	70?	137,6	127,8	
77	f	30-35	177	138	134	101	97	68			103	105	102	122	44	33	24	49	8,2	4,8	22,0	12,4		88	58	138,0		
78	f	30?	162	138		95	100	69			94	103	84	123	40	31	25	50	13,6	7,4	24,0	11,5	5,0	80	47	146,0	131,0	
79	f	50-60	182	143	133	118	86	65			96	109	91	120	38	32	22	49	8,7	4,8	20,0	13,0	3,2	96	61	132,1	129,3	
80	f	20	175	140	129	95																						
81	f	40-50	191	128	137		102	71		116	93	98	89	111	42	36	22	51	10,0	3,4					82	54	136,0	119,7
82	f	I	176	142	129	97	95	61			94	103	91	123	40	32	24	47									1,0	122,46
83	f	I	174	127	122	91	92	55		96	95	101	89	128	39	31	24	40	7,0	4,0	19,8	12,9	2,0	83	48	120,34	115,30	
84	f	50-55	185	137							97	105															140,8	

არანისი (ჟინვალი) მოპოვებულია 1 მამაკაცის თავის ქალა, რომელიც ხასიათდება დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი – დოლიქოკრანული, სახე საშუალო სიმაღლის და მცირე სიგანის, ვიწრო შუბლი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და მცირე სიმაღლის (მანვენებელი - მეზოკრანული), სახე პროფილირებული, განსაკუთრებით, სახის ჰორიზონტალური პროფილირების ქვედა კუთხის მიხედვით, ეშვის ფოსოს სიღრმე საშუალო.

ბაგიჭალა (დუშეთი). მოპოვებულია 6 მამაკაცისა და 5 დედაკაცის თავის ქალა, რომლებიც ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით ხასიათდება, აქედან გამომდინარე, მამაკაცების და დედაკაცების თავის ქალებზე ძალიან პატარა ქალას მანვენებელი აღენიშნება. სხვა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, მამაკაცები ხასიათდებიან: საშუალოზე მაღალი ქალას სიმაღლით, დიდი ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძით, მცირე სიმაღლის და სიგანის სახით, ძალიან მცირე ყვრიმალთშუა დიამეტრით, პროფილირებული სახით, საშუალო სიმაღლის ცხვირის უნაგირით, ჰიპოკონჰური (გრძელი თვალბუდეებით), მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის ცხვირით. ქალების თავის ქალებზე აღინიშნება: საშუალო ქალას სიმაღლე (ba-b), ქალას ფუძის სიგრძე დიდი, ხოლო სახის ფუძის სიგრძე საშუალო, დიდი სახის ზედა სიმაღლე და ზომიერად განიერი სახე, გრძელი თვალბუდეები, მეზორინული თვალბუდეების მანვენებელი ამ სერიაში ერთ თავის ქალაზე აღინიშნება ბრტყელი (152,4), სახის ზედა პროფილირების კუთხე ხოლო სახის ქვედა ჰორიზონტალური პროფილირების კუთხე არცერთ თავის ქალაზე შესწავლილი არ არის. ნიშანთა სხვა კომპლექსი ამ თავის ქალას გვიანანტიკური ხანის სხვა მასალებისაგან არ განასხვავებს.

ჟინვალი XXV უბანი (დუშეთი) მოპოვებულია ცუდი დაცულობის 14 მამაკაცისა და 7 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით. გამონაკლისი: ერთი თავის ქალა, რომელიც დიდი განივი დიამეტრით ხასიათდება და მეორე თავის ქალა საშუალო გრძივი დიამეტრით. ორივე შემთხვევაში, თავის ქალას ფორმა მეზოკრანულია, დანარჩენი – ჰიპერ-დოლიქოკრანული. სხვა მორფოლოგიური ნიშნების ზოგადი დახასიათება ემყარება ძალიან მწირე ანაზომთა რიცხვს. აღსანიშნავია, რომ ნიშნების მახასიათებლები არ გამოდის ცვალებადობის ფარგლებიდან, რომელიც გვიანანტიკური ხანის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი. მამაკაცებს ახასიათებთ: საშუალო სიმაღლის და ზომიერი სიგანის სახე, შუბლის უმცირესი სიგანე საშუალო, საშუალო სიმაღლის და სიგანის თვალბუდეები, საშუალო სიგანისა და დიდი სიგრძის ცხვირი, სიმოტური მანვენებელი დიდი, სახის ზედა კუთხე მკვეთრად პროფილირებული, ეშვის ფოსო დიდი.

ქალების თავის ქალების დაცულობა ბევრად უკეთესია და მათი მორფოლოგიური თავისებურებების შეფასება უფრო ახლოსაა რეალობასთან. ქალების თავის ქალები ძალიან დიდი გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრებით ხასიათდებიან, თავის ქალას მანვენებელი ძალიან დაბალია (ულტრა, ჰიპერ-დოლიქოკრანული) ქალას სიმაღლე დიდი, თავის ქალის ფუძის სიგრძე დიდი, ხოლო სახის ფუძის სიგრძე ზომიერი. სახის ზედა და სრული სიმაღლე დიდი, ხოლო სახის ზედა და შუა სიგანე საშუალო, შუბლი ზომიერი სიგანის, ყვრიმალთშორის დიამეტრი საშუალო, თვალბუდეები საშუალო (მანვენებლის მიხედვით), საშუალო სიგანისა და სიმაღლის და საშუალოზე დიდი ცხვირის უნაგირი, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი – ვერტიკალურში.

თალთები (დუშეთი) წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალით, რომლებზეც ძალიან ცოტა ნიშანია გაზომილი, თავის ქალას ცუდი მდგომარეობის გამო. მამაკაცების სერია გამოირჩევა დიდი გრძივი (ერთის გარდა, რომელსაც გრძივი დიამეტრი მცირე აქვს) და მცირე განივი დიამეტრებით (გამონაკლისი ერთი, ძალიან დიდი განივი დიამეტრის მქონე ტავის ქალა). თავის ქალას მაჩვენებლების მიხედვით ძირითადად ჰიპერ-დოლიქო და ერთი მეზოკრანული ფორმებია გამოვლენილი. მეზოკრანული თავის ქალა დიდი გრძივი დიამეტრით გამოირჩევა და ზოგადად მასიური ფორმის შთაბეჭდილებას ქმნის ვიზუალურადაც. საწინააღმდეგო, ძალიან გრაცილური და მცირე ზომისაა დოლიქოკრანული, მცირე გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრებით. თალთებში მოპოვებული დედაკაცის თავის ქალაც დოლიქოკრანულია. საშუალო სახის ზედა სიგანით. ალბათ, ამ სერიისათვის სახის საშუალო სიგანე დამახასიათებელი უნდა იყოს, რადგან მამაკაცების ერთ თავის ქალაზე, რომელზეც ეს ნიშანი შესწავლილი იყო, ასევე საშუალო სიდიდისაა. სახის ზედა პროფილირების კუთხე საშუალოა, რაც ამ დროის მრავალ თავის ქალაზე დუშეთისა თუ მცხეთის რეგიონში არის დაფიქსირებული.

კარბჭე (დუშეთი). მოპოვებულია ძალიან ცუდი დაცულობის 2 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალა. სამი შესწავლილი ინდივიდიდან, 2 მეზოკრანულია და 1 დოლიქოკრანული. მეზოკრანული მამაკაცის თავის ქალა მასიურია, დედაკაცის გრაცილური, ძალიან მცირე სახის ზედა სიმაღლით. მამაკაცისათვის დამახასიათებელია საშუალო სიგანის შუბლი, საშუალო სახის ზედა პროფილირების კუთხით. დოლიქოკრანული ქალა ძალიან მცირე სახის ზედა სიგანით გამოირჩევა.

ნეძისი (დუშეთი). ჩვენს განკარგულებაშია 9 მამაკაცისა და 4 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცებს, ძირითადად ახასიათებთ ძალიან დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებლები ძალიან დაბალი – ულტრა, ჰიპერ-დოლიქოკრანულებია. მხოლოდ ერთი თავის ქალა საშუალო გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით ხასიათდება და დოლიქო-მეზოკრანულია (ქალას მაჩვენებელი 75,1). სხვა ნიშნები ამ სერიაში თავის ქალათა მცირე რიცხვზეა შესწავლილი, ამიტომ სერიის ზოგადი დახასიათება – თავის ქალასარქველის სიმაღლე (საშუალო), ქალას ფუძის სიგრძე და სახის ფუძის სიგრძე ასევე საშუალო ერთ თავის ქალაზე დაკვირვებას ემყარება. მთლიანობაში, მამაკაცები ხასიათდებიან: საშუალო, ან საშუალოზე მცირე სახის ზედა სიმაღლით, სახის ზედა სიგანე საშუალო, ხოლო სახის შუა სიგანე მცირე, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში, თვალუდები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიგანის და საშუალოზე მცირე სიმაღლის, ცხვირის უნაგირი საშუალო, ეშვის ფოსო საშუალო, შუბლის უმციერსი სიგანე საშუალო.

ერთადერთი მეზოკრანული თავის ქალა სხვა ნიშნების მიხედვით, არაფრით არ გამოირჩევა სერიის დოლიქოკრანულ ფორმებისაგან.

ნეძისში მოპოვებული ქალების თავის ქალები ყველა გამოირჩევა ძალიან დიდი გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრებით. ქალას მაჩვენებლები – ულტრაჰიპერდოლიქოკრანული. სერიის დაცულობის ხარისხის გამო, ნიშნები შესწავლილია თითოეულ თავის ქალაზე – ქალასარქველი და ქალას ფუძის სიგრძე ძალიან დიდი, შუბლი საშუალოზე განიერი, სახის ზედა და შუა სიგანე დიდი, ორბიტები საშუალო სიგანისა და სიმაღლის. აღსანიშნავია, რომ სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხის სამი ანაზომიდან, ორი საშუალო კატეგორიაში ხვდება. სამწუხაროდ, ამ სერიაში სახის

პროფილირების სხვა ნიშნები შესწავლილი არ არის ამიტომ განსხვავებულ ტიპოლოგი-
აზე მსჯელობა შეუძლებელია.

ჯიეთი (ჭიათურა) მოპოვებულია 17 მამაკაცისა და 10 დედაკაცის თავის ქალა. ამ
სერიის დეტალური ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთადერთი გვიანან-
ტიკური ხანის კრანიოლოგიური სერიაა დასავლეთ საქართველოდან.

მამაკაცებში, გრძივი დიამეტრის მეტად დიდი დიაპაზონით ვარირება აღინიშნება
(175-210), ამიტომ ძირითადად ძალიან დიდი გრძივი დიამეტრის თავის ქალებთან ერთად
გამოვლენილია მცირე (ერთი) და სასუალო (სამი) დიამეტრის ცვალებადობის ქალები.
ასეთივე სიტუაციაა განივი დიამეტრის მხრივ (118-144). დიდი განივი დიამეტრის თავის
ქალაზე შესწავლილია კიდევ შუბლის სიგანე და სახის ზედა სიგანე. ორივე ძალიან
დიდი კატეგორიითაა შეფასებული. რაც შეეხება ძალიან მცირე განივი დიამეტრის თა-
ვის ქალას, ამ შემთხვევაში, გრძივი დიამეტრი საშუალო სიდიდისაა (თავის ქალა ულ-
ტრადოლიქოკრანული), მაღალი სახე, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ
სიბრტყეში, სახის ზედა სიგანე ზომიერი, ხოლო სახის შუა სიგანე დიდი, თვალბუდე-
ბი ძალიან განიერი და საშუალო სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიგანისა და ძალიან მა-
ღალი, ცხვირის უნაგირი საშუალო, ეშვის ფოსო მცირე. სერიაში გამოვლენილია ერთი
მეზოკრანული თავის ქალა, რომელიც მცირე გრძივი და განივი დიამეტრებით ხასიათ-
დება. ამ თავის ქალას ახასიათებს: შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიგანე
საშუალო, განიერი და მაღალი თვალბუდეები, ჰორიზონტალური პროფილირების ზედა
კუთხე მცირე. დანარჩენი ჰიპერ და დოლიქოკრანული თავის ქალები ხასიათდებიან: მა-
ღალი, ან ძალიან მაღალი ქალასარქველით, დიდი ქალას ფუძის სიგრძით, საშუალო, ან
საშუალოზე დიდი სახის ფუძის სიგრძით, მაღალი სახით, საშუალო სიგანის სახის ზე-
და ნაწილში, ხოლო დიდი სახის შუა სიგანის და ყვრიმალთშორის დიამეტრით (უკანას-
კნელი შესწავლილია სულ ორ თავის ქალზე), ძირითადად მეზოკონჭური (საშუალო)
თვალბუდეებით, თუმცა გამოვლენილია ჰამეკონჭური (მოკლე) და ერთიც ჰიპოკონჭური
(გრძელი), ვიწრო და მაღალი ცხვირით, საშუალო ცხვირის უნაგირით, მკვეთრად პრო-
ფილირებული ჰორიზონტალურ პროექციაში სახით. ამ სერიაში ასევე არის ზედა პრო-
ფილირების კუთხის დიდი მანვენებელი (148,1), რომელიც ჰიპერდოლიქოკრანულ თავის
ქალაზე აღინიშნება. ამ თავის ქალას ახასიათებს: საშუალო სიგანის შუბლი, სახე სა-
შუალო სიგანის, განიერი და დაბალი თვალბუდეები, ცხვირი საშუალო სიმაღლის, სი-
მოტური მანვენებელი საშუალო. მამაკაცების თავის ქალები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუ-
ფად, მასიურ და გრაციულურ ფორმებად, თუმცა ამ შემთხვევაში მასიური თავის ქალე-
ბის რაოდენობა ორჯერ ნაკლებია.

ქალების თავის ქალების გრძივი დიამეტრი ნაკლებად ცვალებადობს და დიდ და
ძალიან დიდ ზომებს აღწევს, ამავე დროს, განივი დიამეტრი მცირე და ძალიან მცირე
რჩება. გამონაკლისს სულ რამდენიმე თავის ქალა წარმოადგენს: ორი საშუალო და ერ-
თი ძალიან დიდი განივი დიამეტრებით. ძალიან დიდი განივი დიამეტრის მქონე თავის
ქალაზე აღინიშნება განიერი შუბლი და ძალიან დიდი სახის ზედა სიგანე. თავის ქა-
ლას მანვენებელი ამ შემთხვევაში უცნობია, ხოლო მთლიანად სერიაში გამოვლენილია
ულტრა (ერთი), ჰიპერ (ერთი) და დოლიქოკრანული (4) თავის ქალა. ნიშანთა კომპლექ-
სი სამწუხაროდ, არასრულად და არასრულყოფილად არის შესწავლილი. ძირითადი და-
ხასიათება ერთეულ თავის ქალაზე შესწავლილი ნიშნებით არის წარმოდგენილი. ქალე-
ბისათვის დამახასიათებელია: საშუალო სახის სიმაღლე, საშუალო, ან საშუალოზე დი-

დი შუბლი, საშუალოზე დიდი სახის ზედა სიგანე, მცირე სახის შუა სიგანე, ყვრიმალ-
თშორის დიამეტრი საშუალო, თვალბუდეები მცირე სიგანისა და მცირე, ან საშუალოზე
დიდი სიმაღლის. ცხვირი ვიწრო და მაღალი, სახე პროფილირებული ვერტიკალურ პრო-
ექციაში.

სერიის მნიშვნელობა კდივე უფრო გაიზარდა, რადგან გამოვლენილია მასიური და
გრაციული ფორმები; თავის ქალას რამდენიმე ფორმა; დაფიქსირებულია მაღალი ნა-
ზომალარული კუთხე; მაღალი სახე; განიერი და მოკლე ცხვირი (ჰიპერპამერინული
ცხვირის მაჩვენებლის მიხედვით).

ერკნეთი (ზნაური). მოპოვებულია ერთი მამაკაცისა და ერთი დედაკაცის ცუდი და-
ცულობის თავის ქალები. ორივე თავის ქალა ხასიათდება დიდი გრძივი დიამეტრით, სა-
ხის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხის საშუალო სიდიდით. მამაკაცს ახა-
საითებს საშუალო შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიგანე. თავის ქალას მაჩ-
ვენებელი დოლიქოკრანული, შუბლი და სახის ზედა სიმაღლე დიდი.

ამრიგად, განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მოპოვებული გვიან-
ტიკური (ცხრ. 10-11) ხანის კრანოლოგიური კოლექცია. ამ მასალის ანალიზისას შეი-
ნიშნებოდა კრანოლოგიური კომპლექსის განსხვავებული ტიპოლოგია. რა თქმა უნდა,
მასალა ცალკეული პუნქტებიდან სტატისტიკურად არასაიმედოა. დღეს არსებულ მონა-
ცემთა ბაზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ეს მასალა სტატისტიკურად საიმედო გავხა-
დოთ, თუ გავაერთიანებთ ცალკეულ პუნქტებში მოპოვებულ თავის ქალებს რეგიონის
მიხედვით. მაშინ ჩვენს განკარგულებაში არის ორი თანადროული ბარისა და მთის წინა
ზოლის სერიები. მცხეთის რეგიონის გაერთიანებული სერია მოიცავს 25 მამაკაცისა და
20 დედაკაცის თავის ქალებს, ხოლო მთის წინა ზოლს – დუშეთის რაიონში მოპოვებუ-
ლი 61 მამაკაცისა და 46 დედაკაცის თავის ქალაი.

განხილული მასალიდან დავითვალეთ მეზოკრანული თავის ქალას ფორმების რაო-
დენობა ბარისა და მთის წინა ზოლის დასახლებულ პუნქტებში. მცხეთის რეგიონიდან
მეზოკრანული ფორმა 3 თავის ქალაზე (12%) მამაკაცებში და 1 (5%) ქალებში აღინიშნე-
ბა. მთის წინა ზოლის მოსახლეობაში მამაკაცებში გამოვლენილია 7 (11,5%) და ქალებ-
ში (8,7%). მთის წინა ზოლის პუნქტში არაგვისპირი – 1 მამაკაცისა (1,6) და 5 (10,9%)
ქალის ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმა და, საშუალოზე დიდი ყვრიმალთშორის დი-
ამეტრი აღინიშნება. მასალის ასეთი სახით წარდგენა ადასტურებს, რომ ბრაქიკეფალი-
ზაციის პროცესი ბარსა და მთის წინეთში ერთდროულად მიმდინარეობდა და, რომ ეს
პროცესი ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ალბათ, გვიანანტიკურ ხანაში დაიწყო, რაც აღ-
რე ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში საქართველოსთან მიმართებაში არ გამოთქმულა.
ითვლებოდა, რომ ამ დროისათვის, საქართველოში “დასახლებულნი ყოფილან, ანთრო-
პოლოგიურად ერთიანი, გენეტიკურად ერთი წარმომავლობის მქონე ტიპით. ამ ტიპისათ-
ვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ყოფილა მკვეთრი დოლიქოკრანია, სწორი შუბ-
ლი და კეფა, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახე, ჰორიზონტალურ პროექციაში
ძალზე მკვეთრად პროფილირებული, საშუალო სიმაღლისა და სიგანის მკვეთრად გამო-
ხატული ცხვირი, საშუალოზე მაღალი ცხვირის უნაგირი და სახე¹. როდესაც მ. აბდუ-
შელიშვილის ეს ნაშრომი იწერებოდა, მაშინ ამ დროის მასალა, როგორც ზემოთ აღ-

¹ აბდუშელიშვილი მ. კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია გვიანანტიკურ ხანაში. თბ. მეცნიერება.,
1978., გვ. 27.

ვნიშნეთ საგრძობლად მცირე იყო, ხოლო ჩვენს შემთხვევაში რაოდენობის ზრდასთან ერთად აღბათობა იმისა, რომ თუ მოსახლეობაში არსებობდა რაიმე განსხვავებული ტიპი, ან ფორმა აუცილებლად იქნებოდა დაფიქსირებული გაიზარდა.

აღსანიშნავია ასევე ბრაქიკრანული და მეზოკრანული თავის ფორმების არსებობა ქართლის სხვა რეგიონებში მცხეთიდან საკმაოდ დიდი რადიუსის მანძილზე. ს. არდისუბანში (თეთრიწყარო) მოპოვებულ თავის ქალაზე აღინიშნება მეზოკრანია და ურბნისში (ქარელი) ბრაქიკრანული ფორმა. მეზოკრანული ფორმა აღნიშნულია ასევე ჭიათურის სერიაში, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რაც ზემოთ იყო აღნიშნული.

სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებში მოპოვებულ თავის ქალებზე აღინიშნება იგივე ნიშანთა კომპლექსები, როგორც საქართველოს მოსახლეობაში.

გარნის (სასომხეთი) კრანიოლოგიური სერიის მამაკაცების თავის ქალებზე აღინიშნება საშუალო, ან საშუალოზე ოდნავ დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები, თავის ქალას მანქვებლები ჰიპერ(ერთი) და მეზოკრანული (სამი), ქალასარქველის სიმძლვე საშუალოზე მცირე, შუბლის ძვალი საშუალო სიგანის, სახე საშუალო სიმაღლისა და საშუალოზე ვიწრო, ჰორიზონტალურ პროექციაში პროფილირებული, ვერტიკალურში სწორი, ცხვირი საშუალოზე მაღალი და ვიწრო, ზომიერად წარზიდული, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი, ეშვის ფოსო დიდი.

ამავე სერიის დედაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალო გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მანქვებელი დოლიქო-მეზოკრანულია, შუბლი საშუალო ან საშუალოზე ვიწრო, სახე საშუალოზე მაღალი და საშუალოზე ვიწრო, ჰორიზონტალურ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

გვიანანტიკური ხანის ისტორიული ალბანეთის ტერიტორია (აზერბაიჯანი) წარმოდგენილია მინგეჩაურის კრანიოლოგიური სერიის სახით¹. ამ ნაშრომში მასალები მინგეჩაურიდან დათარიღებულია II-III სს-ით და I-IV სს-ით. პირველი სერია ქრონოლოგიურად შეესაბამება საკვლევე პერიოდს და მოიცავს 7 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალას. ამ პერიოდის მამაკაცების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: ქალას საშუალოზე მეტი გრძივი და ძალზე მცირე განივი დიამეტრები; ქალას მანქვებელი ძალზედ დაბალი, საშუალო სიმაღლის ქალასარქველი, შუბლის ძვალი საშუალო სიგანის, სახე საშუალოზე დაბალი და ვიწრო, ჰორიზონტალურ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ზომიერად წარზიდული, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

ქალების თავის ქალები ხასიათდებიან: ქალას საშუალოზე დიდი გრძივი და განივი დიამეტრებით, ქალას მანქვებელი მეზოკრანული, ქალასარქველი საშუალო სიმაღლის, საშუალოზე განიერი შუბლი, სახე ჰორიზონტალურ ტრილში მკვეთრად პროფილირებული, საშუალო სიმაღლის და საშუალოზე ფართო ცხვირი, ცხვირის უნაგირი მაღალი, საშუალო ზომის თვალბუდეები.

¹ Касимова Р.М. Антропологическое исследование черепов из Мингечаура (в связи с изучением этногенеза азербайджанского народа). Из-во Аз. СССР.Баку, 1960.

ტიპოლოგიურად მინგეჩაურში მოპოვებული თავის ქალები არ განსხვავდებიან საქართველოსა და სომხეთის იმავდროინდელი მოსახლეობისაგან.

ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიანანტიკური ხანის თავის ქალები მოპოვებულია დაღესტანში¹ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში (ნოვოლასკოე, ტარკი, ყარაბუდახენტი, მა-მაიკუტანი და პირუ). სულ 4 მამაკაცისა და 2 დედაკაცის ფრაგმენტირებული თავის ქალები. მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: ქალას საშუალო გრძივი და საშუალოზე ვიწრო განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი დაბალი, ქალასარქველი საშუალოზე მაღალი, საშუალო სიგანის შუბლი, სახე საშუალოზე დაბალი და საშუალო სიგანის, ჰორიზონტალურ პროფილირების ზედა კუთხე მკვეთრად, ხოლო შუა კუთხე საშუალოდ პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, მკვეთრად წინ წარზიდული, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის.

ქალების თავის ქალები ხასიათდება: დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, თავის ქალას მანვენებელი დაბალი, ქალასარქველი საშუალოზე მაღალი, შუბლი საშუალოზე განიერი, სახე საშუალო სიმაღლისა და განიერი, ჰორიზონტალურ პროექციაში სახის ზედა კუთხე საშუალო, ხოლო ქვედა საშუალოზე მცირე, სახე ვერტიკალურ პროექციაში მეზოგნატული, ცხვირი საშუალოზე დაბალი და საშუალო სიგანის, მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და დაბალი.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ზოგადი დახასიათება დაღესტანში მოპოვებული მასალისა. ინდივიდუალური ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ თავის ქალები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქალასარქველის ფორმით. მამაიკუტანში მოპოვებული თავის ქალა – ბრაქიკრანულია; ყარაბუდახენტიში მოპოვებულ თავის ქალას ძალიან ფართო სახე (147 მმ) და სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხე (140) დიდი აქვს. ჩვენს მასალაშიც, რომელიც ბევრად უფრო სოლიდურია გამოვლენილია პროფილირების ზედა კუთხის მცირედი ზრდა.

მოზდოკის მიდამოებში მოპოვებული თავის ქალები² წარმოადგენენ ბარის ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას გვიანანტიკურ ხანაში. ამ სერიის მამაკაცები ხასიათდებიან: თავის ქალას საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი მეზოკრანული, ქალას სიმაღლე საშუალოზე დიდი, შუბლი, ვიწრო, სახე საშუალო სიგანისა და საშუალო სიმაღლის, ჰორიზონტალურ ჭრილში ზედა კუთხის მიხედვით საშუალოდ პროფილირებული, ხოლო შუა კუთხის მიხედვით მეტად, ვერტიკალურ ჭრილში დაქანებული, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და ვიწრო, მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლის.

ამ სერიის ქალების თავის ქალა საშუალო სიგრძისაა და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი ბრაქიკრანული, ქალასარქველი საშუალოზე მაღალი, შუბლი განიერი, სახე საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიმაღლისა

¹ Миклашевская Н.Н. Антропологический состав населения Дагестана в алано-хазарское время. Вop. антропологии, 1960, вып.5, с.121.; Гаджиев А.Г. Данные по палеoантропологии Дагестана. " Ус. записки Ин-та истории, языка и литературы Дагестанского филиала АН СССР.", Махачкала, т. X., 1965.

² Алексеев В. П. Происхождение народов Кавказа. Краниологическое исследование. М. Наука.1974.

და საშუალოზე ვიწრო, მკვეთრად წინ წარზიდული, ცხვირის უნაგირი ძალზედ მაღალი, თვალბუდეები საშუალოზე განიერი და საშუალოზე დაბალი.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოპოვებული თანადროული მასალა ბევრად მცირეა, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს მიერ ზემოთ სხვადასხვა პუნქტებში შესწავლილი მასალა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ჩრდილო-კავკასიაში უფრო მეტი მეზოკრანული ფორმები, საშუალო ზომის ზომიერად პროფილირებული სახეები აღინიშნება.

ანთროპოლოგიურ ნაწილში განხილული მასალა ზოგადად ცდება ძვ.წ. I ათასწლეულის ფარგლებს. მაგრამ ჩვენ არ გავწყვიტეთ ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეები. ყოველი ეპოქის მასალა განვიხილეთ ცალკეული სერიების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მასალა არ გვიწყობდა ხელს განსხვავებულ ნიშანთა კომპლექსის გამოსაყოფად. მაგრამ ცალსახად გამოჩნდა, რომ კავკასიის ტერიტორიაზე ადრეული დროიდან ყვრიმალთაშუა დიამეტრის განიერი ფორმები, თვალბუდეებისა და ცხვირის განსხვავებული ფორმები აღინიშნებოდა. ეს კი მოსახლეობის მნიშვნელოვან პოლიმორფულობაზე მიუთითებს.

თავი IV
მოსახლეობის კრანოლოგიური პოლიმორფიზმი
I საუკუნიდან XIX ჩათვლით

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადრეული შუა საუკუნეების მოსახლეობის ანთროპოლოგიური თვისებების შესწავლას, რადგანაც, როგორც ჩანს, დროის ამ მონაკვეთში ეყრება საფუძველი ანთროპოლოგიური ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ეპოქალური ტრანსფორმაციის მოვლენებს, რომლებიც დასრულდნენ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფილი ტიპების ფორმირებით¹.

საქართველო, კავკასია და წინა აზია დასახლებული იყო ვიწროსახიანი, დოლიქოკრანული ფორმებით, ამჟამად აღნიშნულ ტერიტორიაზე ყველგან ჭარბობენ ფართოსახიანი ბრაქიკრანული ფორმები, რომლებიც არიან ცნობილი ინდოსმელთაშუაზღვისპირული რასის წინააზიური ტიპის სახელით და რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ის ამჟამად არის დასახლებული².

საქართველო გეოგრაფიულად, ისტორიულად და ეთნიკურად მუდამ უმჭიდროვეს კავშირში იყო წინა აზიასთან, რის გამოც მის მოსახლეობაში მეტ-ნაკლები სისრულით ისახებოდა ყველა ის პროცესები, რომლებიც ამ დიდი მასივისათვის იყო დამახასიათებელი³.

ადრეული შუასაუკუნეების მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი

ადრეული შუასაუკუნეების მასალები საქართველოდან 520 თავის ქალას მოიცავს, მათგან 317 მამაკაცისა და 203 ქალის, რომლებიც მოპოვებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში.

ზოგადად, ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მამაკაცების კრანოლოგიურ სერიას ახასიათებს: საშუალო გრძივი და განივი დიამეტრები, საშუალოზე დაბალი ქალას მაჩვენებელი, ძალიან დიდი ქალას სიმაღლე ბაზიონ ბრეგმა, საშუალო სიგანისა და ზომიერად დახრილი შუბლი, საშუალო ზომის ქალას ფუძის სიგრძე და სახის ფუძის ზომიერი სიგრძე, საშუალო სიდიდის ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის ზედა სიგანე, საშუალოზე მცირე სახის შუა სიგანე, საშუალო სიმაღლის სახე, სახის, როგორც ზედა პორიზონტალური, ისე ქვედა პორიზონტალური კუთხე საშუალოზე მცირე, ხოლო სახის ვერტიკალური კუთხე ძალიან დიდი, სახის მაჩვენებელი საშუალო სიდიდის, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, საშუალოზე დიდი დაკრიონული და სიმოტური სიმაღლეებით, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან საშუალოზე მეტი, თვალბუდის სიგანე, სიმაღლე და მაჩვენებელი საშუალო სიდიდის.

ქალების კრანოლოგიური სერიისათვის დამახასიათებელია: საშუალოზე დიდი, გრძივი და საშუალო ზომის განივი დიამეტრები, საშუალოზე დაბალი ქალას მაჩვენებელი, საშუალო ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა, საშუალო სიგანისა და საშუალოზე მე-

¹ Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.

² Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.

³ აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში. თბ. მეცნიერება, 1980. გვ.174.

ტად დახრილი შუბლი, საშუალო ქალას ფუძის სიგრძე და საშუალოზე მცირე სახის ფუძის სიგრძე; სახის სიგანე საშუალო სიდიდის, საშუალოზე მცირე სახის ჰორიზონტალური კუთხეები, ხოლო ძალიან დიდი ვერტიკალური, საშუალო ზომის ცხვირის სიგანე და სიმაღლე, საშუალოზე მეტი ცხვირის უნაგირის დაკრიონული სიმაღლე, ხოლო სიმოტური ძალიან დიდი, საშუალოზე მეტი სიდიდის ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან, საშუალო ზომის თვალბუდის სიგანე, სიმაღლე და მახვენებელი (ცხრ. №1).

თბილისის რეგიონში მასალა მოპოვებულია რამდენიმე პუნქტში: თელოვანი, ვაშლიჯვარი, დიდი გლდანი.

თელოვანი (დიდობი) მოპოვებულია 5 მამაკაცისა და 2 ქალის თავის ქალა. მიუხედავად ასეთი მცირე სერიისა მამაკაცებში უკვე შეინიშნება გრძივი დიამეტრის ყველა გრადაცია, განივი დიამეტრის საშუალო და საშუალოზე მცირე სიდიდეები და ამიტომ ქალას მახვენებელი დოლიქოკრანულია, მხოლოდ ერთზე აღინიშნება მეზოკრანია. ტაქსონომიურად სხვა მნიშვნელოვანი ნიშნიდან შეიძლება აღვნიშნოთ: შუბლი საშუალო სიგანის, საშუალო სიმაღლის და სიგანის სახე, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირი მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის, სიმოტური მახვენებელი ძალიან დიდი, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ სივრცეში და სწორი ვერტიკალურში, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან დიდი.

დედაკაცების თავის ქალები ორივე მეზოკრანულია, საშუალო სახის სიმაღლით და სიგანით, საშუალო შუბლის უმცირესი დიამეტრით და ქალასარქველის სიმაღლით, საშუალო სიგანისა და ძალიან მცირე სიმაღლის თვალბუდეებით, ძალიან ვიწრო და მცირე სიმაღლის ცხვირით, ძალიან მაღალი სიმოტური და დაკრიონული მახვენებლებით (რაც ძალიან მაღალ ცხვირის უნაგირზე მიუთითებს), მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირით, სახის პროფილირების საშუალო ზედა კუთხით და ძალიან მცირე ჰორიზონტალური პროფილირების ქვედა კუთხით, ვერტიკალურ ჭრილში სწორი სახით.

ვაშლიჯვარი (დიდობი) მოპოვებული ძალიან ცუდი დაცულობის 1 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალა. ორივე თავის ქალა დოლიქოკრანულია. მამაკაცის თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: განიერი შუბლი, მცირე ყვრიმალთაშუა დიამეტრი და თვალბუდეების სიმაღლე, სახის ზედა ჰორიზონტალური პროფილირების ძალიან მცირე კუთხე. ქალის თავის ქალაზე შესწავლილია შუბლის უმცირესი სიგანე (მცირე), სახის ზედა სიგანე (ძალიან მცირე), სახის შუა სიგანე (მცირე), ცხვირის სიმაღლე და სიგანე (საშუალო).

დიდი გლდანი წარმოდგენილია 1 მამაკაცის ძალიან მცირე გრძივი და მცირე განივი დიამეტრების თავის ქალით. ქალას მახვენებელი ბრაქიკრანული, ქალასარქველი მცირე სიმაღლის, საშუალო სიგანის შუბლი, სახის სიგანე მცირე (ორივე დონეზე), ყვრიმალთაშუა დიამეტრი ძალიან მცირე, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და ძალიან მცირე სიმაღლის, ცხვირი ძალიან ვიწრო და ძალიან მცირე სიმაღლის, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ პროექციაში და სწორი ვერტიკალურში, ცხვირი მკვეთრად წარზიდული.

თბილისის რეგიონში მოპოვებული კრანოლოგიური მასალებიდან აღსანიშნავია თავის ქალას შედარებით მაღალი მახვენებლები.

მცხეთის რეგიონი წარმოდგენილია 13 პუნქტით. ყველაზე სოლიდური მასალა სამთავროს სამაროვანიდანაა.

ამ პერიოდის მოსახლეობის კრანოლოგიური პოლიმორფიზმის შეფასება, ცალკეულ მცირერიცხოვან სერიებში მართებულად არ მიგვაჩნია. უპრიანია პოპულაციური ანალიზის ჩატარება სტატისტიკურად საიმედო სერიის შიგნით, ხოლო მცირერიცხოვანი მასალის რეგიონალური პრინციპით გაერთიანება, მასში დომინირებული მორფოლოგიური ტიპისა და სხვა ვარიანტების შეფარდება, შემდგომ კი რეგიონებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების გამოვლენა.

სამთავრო (მცხეთა). წარმოდგენილია 77 მამაკაცისა და 60 ქალის თავის ქალით. მიუხედავად მოპოვებული თავის ქალების სოლიდური რაოდენობისა, ძალიან ბევრი ნიშანი შესწავლილია დაკვირვებათა მცირე რიცხვზე. მამაკაცების სერიაში თავის ქალას მაჩვენებელი შესწავლილია სულ 37 თავის ქალაზე 77-დან. აღსანიშნავია, რომ სამაროვანში დაკრძალული მოსახლეობა ადრეულ შუასაუკუნეებშიც დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით ხასიათდებოდა. ბრაქიკრანული ფორმები აღენიშნებათ 2 მამაკაცს (ერთი თავის ქალა დეფორმირებულია) და არც ერთ ქალს. ბრაქიკეფალიზაციის პროცესის დაწყება მაინც შეინიშნება; რადგან მამაკაცებში 2 ბრაქიკრანული, 13 მეზოკრანული, 11 დოლიქო და 8 ჰიპერდოლიქოკრანული ფორმებია გამოვლენილი. მიუხედავად იმ ალბათობისა, რაც დაკავშირებულია მასალის მოპოვებასთან თუ ამავე კუთხით ქალების სერიას გავაანალიზებთ (2 ჰიპერდოლიქო, 11 დოლიქო და 7 მეზოკრანული ფორმები), ნიშანდობლივია, რომ 35% სერიაში მოხვედრილი (ორივე სქესის) თავის ქალებისა მეზოკრანული ფორმისაა, ეს კი მოსახლეობის 1/3-მედი.

ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ თავის ქალას განსხვავებული ფორმები და ნიშანთა კომპლექსი, რომელიც გვიპასუხებდა კითხვაზე არის თუ არა რომელიმე ფორმა კავშირში სხვა მოსახლეობის შემოდინებასთან, თუ ეს მორფოლოგიური თავისებურებანი არის დაკავშირებული შიდა პოპულაციურ პროცესებთან და ა. შ.

ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება გავცეთ ცალსახად. მამაკაცების, ასევე დედაკაცების თავის ქალები არ განსხვავდებიან ნიშანთა კომპლექსების განაწილებით. ამ სერიაში არ აღინიშნება რაიმე კანონზომიერება სახის სიმაღლის, სახის განივი ზომებისა და პროფილირების ნიშნებს შორის. ე. ი. სერიის შიგნით არ ხერხდება დიფერენციაცია ფორმებსა და სხვა მნიშვნელოვან ნიშნებს შორის. მამაკაცის ბრაქიკრანულ თავის ქალაზე აღინიშნება სახის პროფილირების ზედა კუთხის გაზრდა (144,52), რაც ამ არეში შებრტყელებაზე მიუთითებს, ხოლო ამავე თავის ქალაზე სახის პორიზონტალური პროფილირების ქვედა კუთხე ძალიან მცირეა (124,16). მონღოლოიდური მინარევის შემთხვევაში ორივე კუთხე გაიზრდებოდა, ან ზიგომაქსიმალური კუთხე დიდი (137-142) ან საშუალო (131-136) მაინც იქნებოდა.

სამთავროს სერიაში მოპოვებულია თავის ქალა, რომელზეც შესწავლილია: გრძივი დიამეტრი (დიდი), სახის ზედა და სრული სიმაღლე (მცირე), შუბლის უმცირესი სიგანე (ძალიან დიდი) და სახის ზედა სიგანე (დიდი), ნაზომალარული კუთხე (დიდი). ამ თავის ქალაზე სხვა მნიშვნელოვანი ნიშნები, რომლებიც ბრაქიკრანულ თავის ქალაზე (სიმოტური და დაკრიონული სიმაღლეები და მაჩვენებლები, თვალბუდის მაჩვენებლები, ცხვირის სიგანე და სიმაღლე, ცხვირის მაჩვენებელი ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან) ევროპეიდული რასისათვის დამახასიათებელ ფარგლებში ვარირებს და შესწავლილი არ არის, ამიტომ მინარევის, ან სხვა რასისადმი კუთვნილების საკითხი დიად რჩება.

რაც შეეხება ქალებს, ჩვენ ასეთე შევისწავლეთ ყველა ძირითადი ნიშნის ცვალებადობა ჰიპერ-დოლიქო და მეზოკრანულ თავის ქალებზე. აღმოჩნდა, რომ ამ სერიაში თავის ქალებს ძალზედ პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში სახე, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირი ახასიათებთ. ამ სერიის ერთ დოლიქოკრანულ თავის ქალაზე აღინიშნება დიდი ნაზომალარაული (145,3) და მცირე ზიგომაქსიმალური (129,8) კუთხე. სხვა ნიშნები ამ თავის ქალაზე ხასიათდებიან: ქალას სიმაღლე საშუალო, მცირე სიგანის შუბლი, სახის ზედა და შუა სიგანე მცირე, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და ძალიან მცირე სიგანის, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის.

ზოგადად სერიის (მამაკაცებისა და დედაკაცების) დამახასიათებელი ნიშნებია: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრები, საშუალო სიგანის შუბლი, ყვრიმალთაშორის დიამეტრი საშუალო, საშუალო სიგანისა და სიმაღლის სახე, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ვიწრო და ზომიერი სიმაღლის ცხვირი, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში სახე, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, ქალას სიმაღლე და ეშვის ფოსოს სიღრმე ასევე საშუალო.

ნაბადრების სამართვანი (მცხეთა) მთისწინეთის ზოლში მდებარეობს. წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალით. მამაკაცების თავის ქალაზე აღინიშნება: საშუალოზე მეტი გრძივი და განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი მეზოკრანული, ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა საშუალო, ქალას ფუძე ძალიან გრძელი, შუბლის უმცირესი სიგანე საშუალოზე დიდი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალოზე მეტი, სახის ზედა სიგანე დიდი, ხოლო სახის შუა სიგანე საშუალო, სახის ზედა და შუა ჰორიზონტალური კუთხეები ძალზე მცირე სიდიდის, სახის ფუძე გრძელი, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, თვალბუდეები ძალიან განიერი.

აღსანიშნავია, რომ ორივე დედაკაცის თავის ქალა ბრაქიკრანული, სხვა ნიშნებიდან მათ განასხვავებთ სახის ფუძის მცირე სიგრძე, მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრი. საერთოდ, ცნობილია, რომ ქალებს მეტად ახასიათებთ ბრაქიკრანია, ამიტომ ეს ფაქტი სხვა არაფერზე მეტყველებს, რადგან მნიშვნელოვანი მადეფერინცირებელი ნიშნების მიხედვით კაცებისა და დედაკაცების სერიების მორფოლოგიური ნიშნების და ნიშანთა კომპლექსების თანხვედრა არ ვლინდება. აღსანიშნავია ერთი, მთის წინა ზოლში ბრაქიკეფალიზაციის პროცესი, ჩვენი აზრით უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა.

მარტაზი (სანგრისხევი, მცხეთა) წარმოადგენდა 17 მამაკაცისა და 10 ქალის თავის ქალით. წინა სერიისაგან განსხვავებით მარტაზში მოპოვებული მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან ნაკლები გრძივი და საშუალო ან საშუალოზე მცირე განივი დიამეტრებით. გამოვლენილია მხოლოდ დოლიქო და მეზოკრანული თავის ფორმა, არც უკიდურესად გრძელი და არც უკიდურესად განიერი ფორმები არ ვლინდება. მთლიანობაში, სერია ხასიათდება: ქალას სიმაღლე საშუალო, საშუალო სიმაღლის და სიგანის სახე, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, საშუალო სიგანისა და საშუალოზე მცირე სიმაღლის თვალბუდეები, ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირი, მკვეთრად წარზიდული ცხვირი, დაკრიონული და სიმოტური მაჩვენებლები საშუალოზე ოდნავ დიდი, პროფილირებული, განსაკუთრებით სახის ჰორიზონტალური პროფილირების ქვედა კუთხის მიხედვით, ვერტიკალურ პროექციაში სწორი.

ამ სერიაში გამოვლენილია თავის ქალა საშუალოზე მაღალი ნაზომალურაული და მცირე ზიგომაქსიმალური კუთხით. ამავე თავის ქალას ახასიათებს: მცირე გრძივი

და ძალიან პატარა განივი დიამეტრები, თავის ქალას მაჩვენებელი მეზოკრანული, ქალას სიმაღლე საშუალო, სახე დაბალი და ძალიან მცირე სიგანის, ყვრიმალთაშორის დიამეტრი მცირე, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ვიწრო და საშუალოზე მაღალი ცხვირი, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზით ძალიან დიდი, სახე სწორი ვერტიკალურ ჭრილში. ამ დახასიათებებიდან ჩანს, რომ აღნიშნული სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი საკმარისი არაა იმისათვის, რომ ამ სერიაში რაიმე სახის მინარევი დავაფიქსიროთ.

მარტაზის დედაკაცების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: საშუალო გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრები. ქალას მაჩვენებლები აქ უფრო მაღალია, ვიდრე ამავე სერიის მამაკაცებში, გამოვლენილია 3 დოლიქო, 4 მეზო და 2 ბრაქიკრანული თავის ქალა. დეტალურმა ანალიზმა ტაქსონომიურად ღირებული ნიშნებისა და თავის ქალას ფორმის მიხედვით გამოავლინა, რომ დოლიქო და მეზოკრანულ თავის ქალებზე აღინიშნება: სახის საშუალოზე მეტი სიმაღლე, ვიწრო სახე, ყვრიმალთაშორის დიამეტრი საშუალოზე მცირე, მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის თვალბუდეები, ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირი, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი (გარდა ერთი დოლიქოკრანული თავის ქალისა, რომელსაც დაბალი უნაგირი და მკვეთრად პროფილირებული სახის ორივე კუთხე ახასიათებს).

ბრაქიკრანული ორი თავის ქალა ზომიერად პროფილირებული, ორთოგნატული, საშუალო სიმაღლით, ქალას ფუძისა და სახის ფუძის საშუალო სიგრძით, მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრით ხასიათდებიან. განსხვავდებიან ცხვირის სიგანითა და სიმაღლით. საშუალოზე განიერი და მაღალი ცხვირის მქონე თავის ქალაზე მცირე სიმოტური და საშუალო დაკრიონული მაჩვენებლები, ხოლო ვიწრო და საშუალო სიმაღლის თავის ქალაზე ორივე მაჩვენებელი საშუალოა. თითქოს პირველ თავის ქალაზე ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან შემცირებული უნდა იყოს, მაგრამ ორივე კუთხე ამ შემთხვევაში მაღალია. ჩვენი აზრით ამ შემთხვევაშიც რაიმე მინარევთან საქმე არ უნდა გვქონდეს. ამ სერიისათვის არის აბსოლუტური ზომების მიხედვით ორივე ბრაქიკრანული თავის ქალა მცირე ზომებისაა, ხოლო მამაკაცებში დოლიქოკრანული ფორმის თავის ქალა ძალიან დიდი სამივე დიამეტრების მიხედვით ტოვებს შთაბეჭდილებას არა გრძელი, არამედ ძალიან დიდი თავისა.

ამმაზი მოპოვებულია 4 მამაკაცის (ცუდი დაცულობის) და 7 ქალის თავის ქალა. ამ სერიის დამახასიათებელ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ საშუალოზე მაღალი და, საშუალო სიგანის სახე, მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის თვალბუდეები, ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირი, მაღალი ცხვირის უნაგირით, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში სახე, ცხვირი მკვეთრად წარზიდული. თავის ქალას მაჩვენებლები გამოთვლილია მხოლოდ დედაკაცებში, ისიც მხოლოდ 5 მათგანზე და ასეთი შეფარდებით 2 დოლიქო, 2 მეზო და 1 ბრაქიკრანული ფორმები. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი დახასიათება ყველა თავის ქალას ფორმის ტიპისათვის საერთოა, გამონაკლისი ერთი მეზოკრანული თავის ქალაზე ვლინდება, რომელზეც ნაზომალარული და ზიგომაქსიმალური კუთხეების ზრდა შეინიშნება.

ბებრისციხე (მცხეთა). მოპოვებულია 8 მამაკაცისა და 4 დედაკაცის თავის ქალა. ამ სერიის დამახასიათებელი ნიშნებია მცირე გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრი. პირველად სერიაში ბრაქიკრანები ჭარბობენ მეზოკრანებს და არ ფიქსირდება დოლი-

ქოკრანული ფორმები. ბრაქიკრანული თავის ქალები უკიდურესად მრგვალთავიანები – ჰიპერ და ულტრაბრაქიკრანული ფორმებითაა წარმოდგენილი. ამავე დროს ნიშანთა კომპლექსების მიხედვით სერია საკმაოდ ერთგვაროვანია, ხასიათდება სახის პროფილირებით ორივე დონეზე. ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირით, მაღალი უნაგირით და წინ წარზიდული ცხვირით.

წილკანი (მცხეთა) წარმოდგენილია მხოლოდ 8 მამაკაცის თავის ქალით. ამ სერიაში წინასგან განსხვავებით ბრაქიკრანული ფორმების ხვედრითი წილი მცირეა. გამოვლენილია 1 ჰიპერ, 2 დოლიქო, 3 მეზო და 2 ბრაქიკრანული ფორმა. ყველა თავის ქალა მკვეთრად პროფილირებული, ორთოგნატული, ცხვირი მკვეთრად წარზიდული, უნაგირი საშუალო სიმაღლის, სახე საშუალო სიგანის, დიდი ყვრიმალთაშორის დიამეტრით, განიერი და ძალიან დაბალი თვალბუდეებით, მაღალი და მცირე სიგანის ცხვირით ხასიათდება. ერთ მეზოკრანულ თავის ქალაზე აღინიშნება ძალიან განიერი და მაღალი ცხვირი, საშუალო დაკრიონული სიმაღლითა და დიდი დაკრიონული სიგანით (დაკრიონული მაჩვენებელი – მცირე), ხოლო ცხვირის ძვლების სიგანე და სიმაღლე დიდი (სიმოტური მაჩვენებელი – საშუალო).

კარსნისხვევის (მცხეთა) სერია წარმოდგენილია 10 მამაკაცისა და 4 დედაკაცის თავის ქალით. სერია გამოირჩევა თავის ქალის სხვადასხვა ფორმების შემცველობით, რომლებიც ასევე განსხვავდებიან მასიურობითა და გრაციულობით. აღსანიშნავია, მასიური, როგორც დოლიქოკრანული ასევე ბრაქიკრანული თავის ქალები ერთი მხრივ, და გრაციული ჰიპერდოლიქოკრანული და მეზოკრანული მეორე მხრივ. ამავე დროს სერიის უმეტესი ნაწილი ჩვეულებრივი (საშუალო სიდიდის) დოლიქო და მეზოკრანული ფორმებია.

ზოგადად, სერია ხასიათდება: ზომიერად პროფილირებული სახის ზედა ჰორიზონტალური კუთხითა და მკვეთრად პროფილირებული სახის ქვედა კუთხით, მაღალი სახით, საშუალოზე განიერი შუბლით და სახის ზედა სიგანით, სახე შუა ნაწილში საშუალო სიგანის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი ასევე საშუალო, თვალბუდეები მაღალი და საშუალო სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი, სახე ორთოგნატული, ცხვირის ძვლები პროფილის ხაზთან მკვეთრად წარზიდული.

მცხეთის გორა მოპოვებულია 9 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალა. ხასიათდებიან დიდი გრძივი დიამეტრითა და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრით, თავის ქალები დოლიქო-მეზოკრანულებია, საშუალოზე განიერი სახით, განიერი საშუალო სიმაღლის თვალბუდეებით, ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირითა და პროფილირებული სახით.

მუხათგვერდში (მცხეთა) მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ქალას მაჩვენებელი საშუალოზე მეტი სიდიდის, შუბლის განივი მაჩვენებელი საშუალოზე მცირე და ძალზე დაბალი სიმოტური სიმაღლე.

მცხეთის რეგიონიდან სხვა პუნქტებში: **აგჭალის კარი, გოროვანი, წეროვანი** (სათბურები) მოპოვებული თავის ქალები სულ 8 მამაკაცისა და 3 ქალის. მასალა ფრაგმენტულია, ნიშნები შესწავლილია თითოეულ თავის ქალაზე, ზოგადად ხასიათდება დოლიქო-მეზოკრანით, მხოლოდ 1 მამაკაცის თავის ქალა წეროვნიდან ბრაქიკრანით გამოირჩევა. სხვა ნიშნების მიხედვით მოსახლეობა ხასიათდება მაღალი, საშუალო ან საშუალოზე განიერი სახით, მცირე სიგანისა და დაბალი თვალბუდეებით, საშუალო სიგანის და ძალიან მაღალი ცხვირით, სახე ზომიერად პროფილირებული ორივე დონეზე. ბრა-

ქიკრანული თავის ქალაზე აღინიშნება ძალიან დიდი ნაზომალანული და მცირე ზიგო-მაქსილარული კუთხე, ვიწრო და დაბალი თვალბუდეები, საშუალო სიგანისა და ძალიან მაღალი ცხვირი, სახე ორთოგნატული, სიმოტური მაჩვენებელი მაღალი. ნიშანთა ამ კომპლექსიდან ჩანს, რომ მონღოლოიდური ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშანთა კომ-პლექსი არ ფიქსირდება.

ამრიგად მცხეთის რეგიონში ადრეული შუასაუკუნეების განმავლობაში გავრცელე-ბული ანთროპოლოგიური ტიპი პოლიმორფული იყო. თავის ქალას განსხვავებული ფორმების მიუხედავად მათზე გამოხატული იყო ევროპეიდებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანთა კომპლექსი. ამავე დროს ზოგიერთ თავის ქალაზე შეინიშნე-ბოდა სახის ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხის გაზრდა.

აღმოსავლეთ საქართვეოდან მოპოვებულია კიდევ ორი მამაკაცის თავის ქალა **კავთისხევში („საყარაულო სერი“)** და **ქარელში (ურბნისი)**. მიუხედავად ამ თავის ქალე-ბის ფრაგმენტულობისა, ისინი ხასიათდებიან: დოლიქოკრანიით, ქალას საშუალო სი-მაღლით, საშუალო სახის ზედა სიგანით, და საშუალოზე მცირე შუა სიგანით, მკვეთ-რად პროფილირებული სახით (პროფილირების ქვედა კუთხის მიხედვით).

სამხრეთ აღმოსავლეთ საქართველო წარმოდგენილია **რუსთავის** კრანიოლოგიური სერიით: 4 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერიაში ყურადღებას იქცევს თავის ბრაქიკრანული ფორმა, როგორც ჩანს, რუსთავის რეგიონში ბრაქიკეფალიზაციის პროცესი დაწყებულია ადრეულ შუასაუკუნეებში. ამ სერიისათვის დამახასიათებელია: თავის ქალას საშუალო, ან საშუალოზე მცირე სიმაღლე, დაბალი და ვიწრო სახე, სა-შუალო სიგანისა და სიმაღლის თვალბუდეები, ცხვირის სიგანე და სიმაღლე საშუალო-ზე მცირე, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან დიდი, ხოლო უნაგირი საშუალოზე ოდნავ მაღალი, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერ-ტიკალურ სიბრტყეში.

ამავე რეგიონში მოპოვებულია 1 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალები **ფიტა-რეთიდან (თეთრიწყარო)**. გამოვლენილ მეზოკრანულ თავის ქალებს ახასიათებთ ძალზე მცირე ზომის ქალას ფუძისა და სახის ფუძის სიგრძე, განიერი ცხვირი, მაღალი და გა-ნიერი თვალბუდეები.

კახეთის რეგიონი წარმოდგენილი მცირერიცხოვანი სერიებით მატანი (ახმეტა), ქვემო ბოდბე (სიღნაღი), ჭერემი (გურჯაანი).

მატანის კრანიოლოგიური მასალა წარმოდგენილია 4 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერიის განსაკუთრებული თავისებურება საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, თავის ქალას ბრაქიკრანული მაჩვენებლით, სახის ჰორიზონტალუ-რი პროფილირების საშუალოზე მაღალი კუთხეებით (ორივე დონეზე) განისაზღვრება. სხვა ნიშნების მიხედვით არ განსხვავდება ადრეული შუასაუკუნეების ბარის მოსახლე-ობისაგან. მატანი მთის წინა ზოლში მდებარეობს, ამდენად სახის პროფილირების კუთ-ხის შემცირება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან კავკასიონის ტიპისათვის სა-ერთოდ სახის შედარებით ნაკლები პროფილირებაა დამახასიათებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სერიაში სხვა კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათე-ბელ ნიშანთა კომპლექსი არ ვლინდება და ამდენად, შესაძლოა ეს მოვლენა ინდივიდუა-ლური თავისებურების მაჩვენებელია მხოლოდ, შესაძლოა კავკასიონის ტიპად ტრან-სფორმირების საწყისი პროცესის დროს მთელი კომპლექსი ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, ან შესაძლოა მცირერიცხოვან სერიაში ელემენტარულად არ ფიქსირდება.

ქვ. ბოდბეს კრანოლოგიური სერია 4 მამაკაცის და 2 დედაკაცის თავის ქალასაგან შედგება. ამ სერიაში ჰიპერბრაქიკრანული თავის ქალას ფორმები ვლინდება. ასეთი ფორმის თავის ქალები საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში შეინიშნება. ასეთივე ჰიპერბრაქიკრანული ფორმები მხოლოდ ბებრისციხის (მცხეთა) სერიაში იყო აღნიშნული. სხვა ნიშნები: სახის სიმაღლე და სიგანე თვალბუდეები, ცხვირის სიგანე და სიმაღლე, სიმოტური და დაკრიონული მანვენებლები ამ დროს გავრცელებულ ზოგად ანთროპოლოგიურ ტიპის მსგავსია.

ჭერემის (გურჯაანი) კრანოლოგიური სერია 3 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალასგან შედგება. მამაკაცები ხასიათდებიან: საშუალო გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი დოლიქოკრანული, ქალას ფუძის სიგრძე საშუალო, სახის ფუძის სიგრძე საშუალოზე მაღალი, სახე საშუალო სიგანის და საშუალოზე მცირე სიმაღლის, თვალბუდეები ძალიან მცირე სიგანისა და სიმაღლის, ვიწრო და მცირე სიმაღლის ცხვირი, საშუალო სიმაღლის უნაგირი, პროფილირებული სახე.

ამავე სერიის ქალებს დოლიქო და მეზოკრანული თავის ქალები აღენიშნებათ. სხვა დანარჩენი ნიშნების მიხედვით მამაკაცებისაგან არ განსხვავდებიან.

მთისწინეთის მოსახლეობის კრანოლოგიური პოლიმორფიზმი ადრე შესწავლილი იყო მხოლოდ სიონის, მაგრანეთის, და ჟინვალის სერიის მიხედვით¹, ამჟამად მთის წინა ზოლის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურების შესწავლა ბევრად უფრო სოლიდურ მასალაზე და მრავალი პუნქტიდანაა შესაძლებელი.

ჟინვალის კრანოლოგიური სერია შედგება 50 მამაკაცისა და 22 დედაკაცის თავის ქალასაგან. სერიის დამახასიათებელი ნიშნებია: საშუალოზე მეტი გრძივი და საშუალოზე ნაკლები განივი დიამეტრები, საშუალო ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა, მცირე სიდიდის ჰორიზონტალური კუთხეები, ცხვირი საშუალოზე მაღალი, დაკრიონული სიმაღლე საშუალო, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეების სიმაღლე საშუალოზე მცირე, საშუალო სიმაღლისა და საშუალოზე ოდნავ განიერი სახე, ყვრიმალთაშორის დიამეტრი საშუალოზე მეტი.

მაღაროსკარი წარმოდგენილია 15 მამაკაცის და 1 დედაკაცის თავის ქალით. სერია ხასიათდება საშუალოზე მაღალი გრძივი და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრებით. სერიაში აღინიშნება დოლიქო, მეზო და ბრაქიკრანული ქალას ფორმები. ქალას სიმაღლე საშუალო ან საშუალოზე მაღალი, ქალას ფუძისა და ქალას სახის სიმაღლე საშუალოზე მაღალი, სახე საშუალო სიმაღლისა და საშუალო სიგანის, ცხვირი საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე მაღალი, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, სახის პროფილირების ზედა კუთხე საშუალო სიდიდის, ხოლო სახის პროფილირების ქვედა კუთხე საშუალოზე მცირე. ამ სერიის ერთ მეზოკნარულ თავის ქალაზე აღინიშნება საშუალოზე დიდი პროფილირების კუთხეები.

ქალას სიმაღლე მცირე, საშუალო სახის ზედა სიმაღლე, შუბლი და სახის ზედა სიმაღლე დიდი, სახე შუა ნაწილში საშუალო სიგანის, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და საშუალოზე მცირე სიმაღლის, ცხვირი ძალიან ვიწრო და მოკლე (მანვენებელით ლეპტორინული), ძალიან დიდი სიმოტური სიმაღლე და ძალიან მცირე დაკრიონული

¹ აბღუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში. თბ. მეცნიერება, 1980. გვ.174.

სიმაღლე, დაკრიონული მანქანებელი ძალიან მცირეა, რადგან ამავე დროს ამ თავის ქალაზე დიდი დაკრიონული სიგანე აღინიშნება.

ნეძისის (დუშეთი) სერია წარმოდგენილია 22 მამაკაცისა და 24 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერიის დამახასიათებელი ნიშანია ძალიან დიდი გრძივი და ძალიან მცირე განივი დიამეტრები. ადრეული შუასაუკუნეების ეს სერია სხვა თანადროულ სერიებიდან თავის ქალას ფორმით მკვეთრად გამოირჩევა. ამ პერიოდში დაწვებულია ბრაქიკეფალიზაციის პროცესი, განსაკუთრებით მთის წინა ზოლში. სერიას ორივე სქესის წარმომადგენლებში გამოვლენილია ძალიან გრძელი და ვიწრო თავის ქალები. სამთავროს სამაროვანის დახასიათებისას ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მოსახლეობა ხასიათდებოდა თავის ქალას დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით. მოსახლეობა, რომელმაც ნეძისის მიდამოებში იმარხებოდა გამოირჩეოდა კიდევ უფრო გრძელი და ვიწრო ქალას ფორმით. აქ მამაკაცების თავის ქალებს, რომელზეც შესაძლო იყო ორივე დიამეტრის გაზომვა 6 ულტრა, 3 ჰიპერ, 5 დოლიქო და 2 ბრაქიკრანული, ქალებში – 18 ულტრა, 2 დოლიქოსრანული თავის ქალას ფორმებია აღნიშნული. ნიშანდობლივია, რომ დედაკაცების სერიაში მნიშვნელოვანი ულტრადოლიქოკრანული ფორმების ჭარბობაა და არ არის გამოვლენილი არც ერთი ბრაქიკრანული თავის ქალა, თუმცა ცნობილია, რომ ქალები მეტი ბრაქიკრანით გამოირჩევიან. თუ გავაგრძელებთ მსჯელობას თავის ქალას ფორმის შესახებ ამ სერიაში, გამოირჩევა 2 მასიური დოლიქოკრანული მამაკაცის თავის ქალა.

სამწუხაროდ, ნეძისის სერია ცუდი დაცულობით გამორჩევა, არ არის შესწავლილი ყვრიმალთაშუა დიამეტრი, სახის სრული სიმაღლე, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან, დაკრიონული სიმაღლე და დაკრიონული სიგანე, ხოლო ქალების სერიაში დამატებით დაკრიონული სიგანე და სიმაღლე, გარდა ამისა უმეტესი მნიშვნელოვანი ნიშანი: სახის ჰორიზონტალური კუთხეები, სახის სერთო კუთხე, სიმოტური სიმაღლე და სიგანე, სახის შუა სიგანე ერთეულ თავის ქალებზეა შესწავლილი, ამიტომ დიფერენცირებული ანალიზი თავის ქალას ფორმასა და სახის სიგანის და სიმაღლის, ჰორიზონტალური და ვერტიკალური პროფილირების კუთხეების მიხედვით შეუძლებელია. ზოგადად, სერია ხასიათდება: თავის ქალას სიმაღლე საშუალოზე მაღალი (ქალები) ან მაღალი (კაცები), საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახე, შუბლი ვიწრო, მცირე სიგანისა და საშუალო სიგანის თვალბუდეები, ვიწრო და ზომიერი სიმაღლის ცხვირი, საშუალო სიმოტური სიმაღლე და საშუალოზე მეტი სიმოტური სიგანე; პროფილირებული ჰორიზონტალურ ჭრილში სახე. მამაკაცებს დამატებით მცირე დაკრიონული სიგანე და საშუალოზე დიდი დაკრიონული სიმაღლე, ვერტიკალურ ჭრილში სწორი სახე ახასიათებთ.

ნეძისში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი, უფრო მეტად ბარის მოსახლეობის მსგავსია და რიგი ნიშნებით მეტად უფრო ადრეული მოსახლეობის მსგავსია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მიკრო რეგიონში მოხდა ნიშანთა დაკონსერვება და დინამიური ცვლილებები მას ჯერ კიდევ არ შეეხო.

არაგვისპირი (დუშეთი) წარმოდგენილია 2 მამაკაცის თავის ქალით, რომლებსაც ახასიათებთ: საშუალოზე მცირე გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები, ქალას მანქანებელი ბრაქიკრანული, ქალას სიმაღლე ძალიან დიდი, შუბლის უმცირესი სიგანე საშუალოზე მცირე, სახის ზედა სიმაღლე მცირე, ხოლო სახის სრული სიმაღლე და სახის ზედა სიმაღლე საშუალო, სახის შუა სიგანე მცირე, თვალბუდეები საშუალო

სიგანისა და სიმაღლის, ცხვირი ვიწრო და საშუალოზე დიდი სიმაღლის, სახის ზედა და შუა ჰორიზონტალური კუთხეები ძალზე მცირე სიდიდის.

ბულანჯური (დუშეთი) წარმოდგენილია 9 მამაკაცისა და 2 დედაკაცის თავის ქალით. აღსანიშნავია, ამ სერიაშიც განსხვავებული ქალას ფორმები. ალბათ, დოლიქოკრანული თავის ქალას მატარებელი ბევრად დიდი ხვედრითი წილით იყვნენ გავრცელებული. მამაკაცებში სულ 7 თავის ქალაზე იყო გაზომილი ორივე დიამეტრი, ამიტომ გამოვლენილია 1 ულტრა, 2 ჰიპერ, 2 დოლიქო და 2 ბრაქიკრანული თავის ქალის ფორმები. ქალებში ჰიპერდოლიქოკრანული ქალას ფორმებია გამოვლენილი. მთლიანობაში, სერის შიგნით განსხვავება სახის პროფილირების, თვალბუდის სიმაღლის, ცხვირის სიმაღლისა და სიგანის მიხედვით არ აღინიშნება. მამაკაცებში ბრაქიკრანულ თავის ქალებზე უფრო მეტი შუბლის უმცირესი სიგანე, სახის ზედა სიგანე, ყვრიმალთაშორის დიამეტრი უფრო დიდია. ეს ფაქტები არ არის საკმარისი სხვა ვარიანტებზე მსჯელობისა, რადგან ცნობილია თავის ქალას განივი დიამეტრის დადებითი კორექცია სახის განივ ზომებთან, გარდა ამისა, ქალების ჰიპერდოლიქოკრანული და მამაკაცების ბრაქიკრანულ თავის ქალებზე შეინიშნება საშუალოზე მაღალი სახის ზედა სიმაღლე. ეს ფაქტიც გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა პოლიმორფულია და ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული კავკასიონის ტიპისათვის ნიშანთა კომპლექსი.

ლაფარანთკარი (დუშეთი) წარმოდგენილია 6 მამაკაცისა და 5 დედაკაცის თავის ქალით. ამ სერის ორივე სქესის წარმომადგენლებს ახასიათებთ: საშუალო სიმაღლის სახე, ყვრიმალთაშორის დიამეტრი საშუალო სიგანის, თვალბუდეების სიმაღლე საშუალო, ცხვირი საშუალო სიგანისა და მცირე სიმაღლის, ცხვირის უნაგირი მაღალი, სახის ვერტიკალური პროფილი სწორი. განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის აღინიშნება: თავის ქალას ფორმის, შუბლის სიგანის, სახის ზედა სიგანის, თვალბუდეების სიგანისა და ჰორიზონტალური პროფილირების კუთხეების მიხედვით. ქალებში ძირითადად ჰიპერდოლიქო-მეზოკრანული და ერთი ბრაქიკრანული თავის ქალაა გამოვლენილი, მამაკაცებში ბრაქიკრანული ფორმაა უმეტესი, თუმცა დოლიქოკრანულიც არის გამოვლენილი. თავის ქალას მაჩვენებლის ზრდა მამაკაცებში ძირითადად დიდი განივი დიამეტრით არის გაპირობებული. მიუხედავად მამაკაცებში გამოვლენილი ბრაქიკრანისა, შუბლის უმცირესი სიგანის და სახის ზედა სიმაღლის დიდი ზომებისა სახე მკვეთრად პროფილირებული, უნაგირი ძალიან მაღალი. გამონაკლისს ერთი ბრაქიკრანული თავის ქალა წარმოადგენს, რომელსაც დიდი ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხე აღენიშნება, ხოლო ზიგომაქსილარული ძალზე მცირე. ქალები საწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდებიან. ძირითადად ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხის საშუალო, ხოლო შუა კუთხის საშუალოზე მცირე კუთხეები. განსხვავებები სტატისტიკურად არასაიმედოა, რადგან დაკვივრებათა მცირე რიცხვს ემყარება. რაც შეეხება კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშანთა კომპლექსს ამ სერიაში ჯერ სრულად არ ფიქსირდება.

არაგვის აუზის რეგიონიდან მოპოვებული თავისი ქალები კიდევ რამდენიმე პუნქტში: **ყობჩისკარი, მლაშე, აბანოსხევი, კვირაცხოველი, მადაროს კარი, ბაგიჭალა, თალთები, ხიშმიანთმიწები,** რომლებიც მცირერიცხოვანი მასალით არის წარმოდგენილი. ჩვენ ზოგადად განვიხილავთ ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობას სივრცეში.

ამ პერიოდის მთისწინეთში უკვე დაწყებულია ბრაქიკეფალიზაციის პროცესი, მაგ-

რამ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსი. ბაგიჭაღას, მლაშეს, კვირაცხოვლის, აბანოსხევის, ხიშმიანთმიწებისა და თალთების მოსახლეობა ხასიათდება დიდი გრძივი და საშუალო ან მცირე განივი დიამეტრებით, პროფილირებული სახით, საშუალო ან საშუალოზე მაღალი სახით. თავის ქალებზე აღინიშნება შედარებით განიერი და მაღალი ცხვირი, სახის საშუალო სიგანე, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის (მცირე სიმაღლე და პროფილირების ძალზედ დაბალი კუთხეები აღინიშნება მლაშეში). ყობჩისკარის, ჩინეთის, ბალევიანი ხერთვისის პუნქტში მოპოვებულ თავის ქალები ბრაქიკრანით გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ თავის ქალები ამავე დროს საშუალო ან საშუალოზე მაღალი მკვეთრად პროფილირებული, ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში სახით, ცხვირის საშუალო უნაგირით, საშუალო ან საშუალოზე მცირე ყვრიმალეობით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის თვალბუდეებით, საშუალო სიგანის და საშუალოზე მაღალი ცხვირით ხასიათდებიან. სახეზეა კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნების ძირითადი კომპლექსის რამდენიმე ნიშანი: ბრაქიკრანია, განიერი ყვრიმალეობი, ცხვირის საშუალო ან საშუალოზე მცირე უნაგირი.

სიონის (თიანეთი) სერია წარმოდგენილია 5 მამაკაცისა და 12 ქალის თავის ქალით. 17 თავის ქალიდან ქალას მახვენებელი 15-ზეა განსაზღვრული. აქედან 9 ბრაქიკრანული, 5 მეზო და 1 დოლიქოკრანული ქალას ფორმები ვლინდება. პირველად სიონის სერია შესწავლილი იყო დ. ჯავახიშვილის მიერ¹ და აღნიშნული იყო კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ზოგადად მამაკაცების სერია ხასიათდება: საშუალოზე მაღალი ქალას სიმაღლითა და სახის ზედა სიმაღლით, საშუალო ან საშუალოზე დაბალი, ან ოდნავ მაღალი სახის ზედა სიგანით, დიდი ყვრიმალთაშუა დიამეტრით, მეზოკონჰური თვალბუდეების მახვენებლით, საშუალო სიმაღლის და საშუალოზე მაღალი ცხვირით, მაღალი უნაგირით, პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში სახით, საშუალოზე განიერი შუბლით და წინ წარზიდული ცხვირის ძვლებით.

ქალების თავის ქალებზე აღინიშნება: საშუალოზე მაღალი სახე, საშუალო სიგანის შუბლი, დიდი სახის ზედა სიგანე, სახის შუა სიგანე საშუალო და საშუალოზე დიდი, განიერი ყვრიმალეობი.

სიონის ადრეული შეასაუკუნეების მოსახლეობაში, როგორც ჩანს უკვე დაწყებულია ანთროპოლოგიური ტიპის შინაგანი ეპოქალური ტრანსფორმაციის პროცესი. დოლიქოკრანული, ვიწროსახიანი ტიპი, მეზოკრანულ და ბრაქიკრანულ ფართოსახიან ტიპად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა.

მაგრანეთის (თიანეთის) პუნქტში მოპოვებულია 4 მამაკაცისა და 3 ქალის თავის ქალა. მამაკაცის თავის ქალები გამოირჩევიან საშუალო გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მახვენებელი დოლიქო-მეზოკრანულია. თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალო ან საშუალოზე მაღალი ქალას სიმაღლით. საშუალო სიმაღლის სახით, საშუალო სახის ზედა და მცირე შუა სიგანით, საშუალო ყვრიმალთაშუა დიამეტრით, საშუალო სიგანისა და საშუალოზე მცირე სიმაღლის თვალბუდეებით, საშუალოზე დიდი ცხვირის სიგანით და საშუალო სიმაღლის ცხვირით, დაბალი ცხვირის უნაგირით, პრო-

¹ ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი 12 ტომად., თბ. უნივ. გამოც., 1979-1998 წწ.

ფილირებული სახით, მკვეთრად წარზიდული ცხვირით.

ქალების სერია ხასიათდება: დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, ქალას მანქვენებელი ულტრადოლიქოკრანული და მეზოკრანულია. მამაკაცებისაგან ძალიან ვიწრო და მცირე სიმაღლის ცხვირით, სახის მეტი პროფილირებით ჰორიზონტალურ სიბრტყეში და მცირე ვერტიკალურ სიბრტყეში (მეზოგნატული სახის საერთო კუთხე) განსხვავდებიან. მთლიანობაში მათ უფრო ვიწრო სახის ქალა, ყვრიმალები, სახის ზედა და შუა საგნე ახასიათებთ.

მთის ზოლის კრანოლოგიური კოლექცია წარმოდგენილია ყაზბეგის სერიით, რომელიც სულ ორ თავის ქალას ითვლის, ერთი მამაკაცისა და 1 დედაკაცის. მასალა ძალზედ ფრაგმენტულია, მაგრამ აბსოლუტური ზომების დიდი სიდიდეები, ქალას ბრაქიკრანული ფორმა და შედარებით დაცულ მამაკაცის თავის ქალაზე აღნიშნული სახის საშუალო ზედა სიმაღლე, განიერი შუბლი, დიდი სახის ზედა სიგანე, საშუალო სახის შუა სიგანე, საშუალო სიგანისა და მცირე სიმაღლის თვალბუდეები, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირი, მაღალი ცხვირის უნაგირი, მკვეთრად პროფილირებული სახე მიუთითებს, რომ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების მოსახლეობაში გავრცელებული იყო კრანოლოგიური ტიპი, რომელიც ძირითადი რასადმადიფერენცირებული ნიშნებით არ განსხვავდებოდა, ხოლო მთისწინეთში და მთაში უკვე შეინიშნება ამ ტიპის კავკასიონის ტიპად ტრანსფორმირების დასაწყისი.

ვანი (იმერეთი) წარმოდგენილია ძალზე ცუდი დაცულობის 4 თავის ქალათი (2 მამაკაცისა და 2 დედაკაცის). მამაკაცის ერთი თავის ქალა დეფორმირებულია, ხოლო მეორეზე შესწავლილია სულ 5 ნიშანი; დედაკაცის თავის ქალები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არის. ვანის თავის ქალები ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან ზოგადი ანთროპოლოგიური ტიპისაგან, დედაკაცის თავის ქალა მეზოკრანულია. ამ რეგიონშიაც დაწყებულია ბრაქიკეფალიზაციის პროცესი.

სამეგრელოს რეგიონი წარმოდგენილია 1 პუნქტით – ნოქალავეი, მოპოვებულია ერთი ფრაგმენტული თავის ქალა სახის ქალას გარეშე.

აჭარის რეგიონში მოპოვებულია 1 მამაკაცის თავის ქალა, რომელიც ტიპოლოგიურად მსგავსია ზოგადი ანთროპოლოგიური ტიპისა. შეიმჩნევა მცირედი გადახრები, მაგრამ ეს შეიძლება ინდივიდუალური თავისებურებები იყოს.

სამხრეთ ოსეთის რეგიონი წარმოდგენილია რამდენიმე პუნქტით: ჯავა, სტირფაზი და ბრიტათი.

ჯავაში მოპოვებული (IX ს.) მამაკაცის თავის ქალა ტიპოლოგიურად არ განსხვავდება ზოგადი ანთროპოლოგიური ტიპისაგან. თავის ქალაზე აღინიშნება ძალზე გრძელი გრძლივი და საშუალოზე ნაკლები განივი დიამეტრები, ქალას მანქვენებლები ძალიან მცირე სიდიდის, ქალას ფორმა ჰიპერდოლიქოკრანული. ამ ფორმით ის ემსგავსება მცხეთის, გორის, ავჭალისა და ჭერემის თავის ქალებს, სიმოტური მანქვენებელი ძალზე მაღალი. ამ ნიშნით ემსგავსება ნაბადრების, ბებრისციხის, წილკნის, მცხეთის, გორის, საგურამოს, უინგალის, ფიტავის, ფიტარეთის და აჭარის თავის ქალებს, ასევე ამ რეგიონში მოპოვებულ სტირფაზის დედაკაცის თავის ქალას, რაც მოწმობს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ადრეულ შუასაუკუნეებში შემორჩენილია ზონები სადაც დოლიქოკრანული თავის ქალები ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული.

სტირფაზისა და ბრიტათის პუნქტებში მოპოვებულია დედაკაცის 2 თავის ქალა. მასალა ფრაგმენტულია, მაგრამ აშკარად ჩანს მსგავსება ზოგად ანთროპოლოგიურ ტიპ-

თან. ქალების ქალას მანქენებელი ძალიან დიდი სიდიდის – ჰიპერბრაქიკრანული, სახე ძალზე განიერი.

ყველა ზემოთ განხილული სერიის ურთიერთდაპირისპირება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძირითადად სერიები ერთმანეთის მსგავსია. ჯერ კიდევ ჭარბობს ვიწროსახიანი, დოლიქოკრანული ფორმები, რომელიც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი წინამორბედი ხანის კრანოლოგიურ სერიებიდან. ეს ტიპი ცნობილია არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ კრანოლოგიურ სერიებით, არამედ წინამორბედი ხანის მასალით კავკასიის და წინააზიის ტერიტორიებიდან ეს ე. წ. ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპია. ამ დროს უკვე შეინიშნება მისგან რამდენადმე განსხვავებული ტიპის არსებობა. მაღალი თავის ქალას მანქენებელით, შედარებით ფართო სახით, ქალას ფუძის მცირე სიგრძით. საქართველოს ადრეფეოდალური ხანის მოსახლეობაში უკვე დაწყებულია ანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის პროცესი და დომინირებულ ფორმებთან ერთად, შეინიშნება თანამედროვე მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ფორმები.

ორიოდე სიტყვა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის შესახებ ადრეულ შუასაუკუნეებში.

აღნიშნულ ტერიტორიებზე მოპოვებული კრანოლოგიური მასალების შესწავლა კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობაში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპებისა და ამ ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის მიმართულების იდენტიფიკაცია. ეს ზოგადი დასკვნა, რომელიც კრანოლოგიური მასალების ანალიზს ეყრდნობა, თავის დასაბუთებას პოულობს კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ შემადგენლობაში.

საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა

ადრეული შუასაუკუნეების პალეოანთროპოლოგიური მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა ადრეული შუასაუკუნეების ძირითადად ხასიათდებოდა იგივე თვისებებით, რითაც მისი წინამორბედი ხანის მოსახლეობა. აქედან დასკვნა - მოსახლეობის უშუალო გენეტიკური მემკვიდრეობის შესახებ, რაიმე მნიშვნელოვანი ძვრების გარეშე.

შენიშნული იყო, რომ ზოგიერთ მთისა და მთისწინეთის კრანოლოგიურ სერიებში ჩამოყალიბებას იწყებს გარკვეული ანთროპომორფოლოგიური კომპლექსი, რომელიც შემდგომში უფრო გამოიკვეთება და რომელიც კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპის სახელით არის ცნობილი. კახეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ თავის ქალებზე უკვე გარკვეულად იყო შენიშნული ანთროპოლოგიური კომპლექსი, რომელიც წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპის სახელით არის ცნობილი. გასარკვევია, წინააზიური ტიპის ელემენტებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე გავრცელება, ხოლო მთისა და მთისწინეთის მოსახლეობაში შენიშნულმა კავკასიონის ტიპის ელემენტების ფორმირებამ ჩვენი აზრით დასაბამი დაუდო თანამედროვე მოსახლეობის მორფოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული საკითხების გარკვევისათვის ჩვენს განკარგულებაშია საკმაოდ სოლიდური მასალა ჩვენ შევეცდებით ცალკეულ რეგიონებში მოპოვებული კრანოლოგიური მასალების ზოგად დახასიათებას და განსაკუთრებით მივაქცევთ ყურადღებას იმ ნიშნებს, რომლებიც ჩვენი აზრით მაღალი ტაქსონომიური ღირებულებისა არიან. საბოლოოდ შევეცდებით ყურადღება მივაქციოთ მსგავსების ძირითად ნიშნებს და რეგიონალურ თავისებურებებს, თუ ასეთი შეინიშნება ამა თუ იმ საკვლევ პუნქტში.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გაერთიანებული მამაკაცების კრანოლოგიურ სერიას ახასიათებს: საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები, საშუალოზე მაღალი ქალას მანქენებელი, სიმაღლე ბაზიონსა და ბრეგმას შორის საშუალო, ქალას სიგრძე საშუალო, სწორი საშუალოზე მეტი სიგანის შუბლი, საშუალოზე ნაკლები სახის ფუძის სიგრძე, საშუალოზე ფართო და საშუალო სიმაღლის სახე, ჰორიზონტალურ სიბრტყეში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში – ძალზე სწორი, სახის მანქენებელი საშუალოზე მცირე სიდიდის, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან საშუალოზე მეტი, ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალო ზომის.

ამავე პერიოდის დედაკაცების კრანოლოგიურ სერიას ახასიათებს: ქალას საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები, საშუალოზე მეტი ქალას მანქენებელი, ქალასარქველის სიმაღლე საშუალო. შუბლი განიერი, ვერტიკალურ ჭრილში სწორი, ქალას ფუძის სიგრძე საშუალო, სახის საშუალოზე მცირე ზომა, სახე საშუალოზე ფართო და საშუალო სიმაღლის, ჰორიზონტალურ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში – ძალზე სწორი. ცხვირი საშუალო სიგანისა და მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან დიდი, ცხვირის უნაგირის დაკრიონული სიმაღლე საშუალოზე მაღალი, ხოლო სიმატური ძალზე დიდი, თვალბუდეები საშუალოზე განიერი და საშუალო სიმაღლის.

მთლიანობაში, განვითარებულ შუასაუკუნეების კრანოლოგიური კოლექცია საქართველოდან საკმაოდ სოლიდურია და ემყარება 773 ინდივიდის თავის ქალას, სადაც 475 მამაკაცის და 298 დედაკაცისაა.

ამ პერიოდის ყველაზე მრავალრიცხოვანი სერიები წარმოდგენილია მთის წინა ზოლის რეგიონიდან, განსაკუთრებით ჟინვალისა და სიონის სამაროვნებიდან. ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული მასალა (136 მამაკაცი, 133 ქალი და 29 ბავშვი) ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა ადრეულ ეპოქებში.

მცხეთის რეგიონი წარმოდგენილია **ლელოში** მოპოვებული 1 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალით, დამახასიათებელი ნიშნებია: ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმა, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახე, დაბალი ცხვირის უნაგირი, ცხვირის ძვლები მკვეთრად წარზიდული. ქართლის რეგიონში მასალა მოპოვებულია **ბორჯომის** ხეობიდან (ნეძვი, ჩითახვი, რველი) და ქარელიდან (ბეზნისი).

ბეზნისში (ქარელი) მოპოვებული მამაკაცისა 2 და ქალის 1 თავის ქალა გამოირჩევა დაბალი ქალას მანქენებლით, საშუალოზე მცირე შუბლის სიგანით, საშუალო სიგანის სახით, დაბალი ცხვირის უნაგირით და თვალბუდის მაღალი მანქენებლით.

ნეძვში (ბორჯომი) მოპოვებულია 37 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალა. მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: სახის საშუალო ჰორიზონტალური პროფილირებით, თვალბუდის საშუალო მანქენებლით. სერიის დედაკაცები გამოირჩევიან ქალას

საშუალო მაჩვენებლით. სახის ზედა სიგანის საშუალოზე მცირე ზომით.

ჩითახვეში (ბორჯომი) მოპოვებული მამაკაცის 2 თავის ქალა გამოირჩევა ძალზე მცირე გრძივი და განივი დიამეტრებით, ქალას დიდი მაჩვენებლით, სახის ზედა პროფილირების კუთხის საშუალო სიდიდით, თვალბუდეების მაღალი მაჩვენებლით. ქალის თავის ქალაზე აღინიშნება საშუალოზე ვიწრო სახე.

რველში (ბორჯომი) მოპოვებული 1 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალა ხასიათდებიან ძალზე დაბალი ქალას მაჩვენებლით.

მთის წინა ზოლი წარმოდგენილია პუნქტებით: ჟინვალის სამაროვანი, ავენსი, გუდრუხი, მღვიმე, დავათი – დუშეთის, სიონი – თიანეთის და ნაბაღრები – მცხეთის რეგიონიდან.

ჟინვალის სამაროვანში მოპოვებული კრანოლოგიური მასალა ნათელს ფენს მთისწინეთში ბრაქიკრანიაზაციის პროცესის მიმდინარეობას. მამაკაცებში დომინირებს საშუალოზე მცირე გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრები. ძირითად ბრაქიკრანულ თავის ქალას ფორმასთან ერთად ვლინდება 32 მეზოკრანული (23,5%) და ერთი ჰიპერდოლიქოკრანული (0,74%) ქალას ფორმა. ძალზედ ცვალებადია ქალას სიმაღლე (b-a), რომელიც ძალიან დაბალი, ასევე ძალიან მაღალი სიდიდით გამოირჩევა, თუმცა ზომიერად მაღალი და მაღალი თავის ქალები ჭარბობენ. სახის ზედა სიმაღლე საშუალო ან საშუალოზე ოდნავ დაბალია. შუბლი საშუალო სიგანის, ხოლო ზოგიერთ თავის ქალებზე მაქსიმალურად განიერია. კორელაცია, ქალას განივ დიამეტრსა და სახის განივ ზომებს შორის ცნობილია ($r=0,36$). ჟინვალის სამაროვანში უმეტეს შემთხვევაში საშუალოზე განიერი ყვრიმალთაშორის დიამეტრი და სახის ზედა სიგანე ვლინდება. ამავე დროს ვიწრო სახის სიგანეც ფიქსირდება ძალიან დიდი განივი დიამეტრის ფონზე. ამით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. და მეტიც, ჟინვალის ნაქალაქარის სერიაში მამაკაცების 15 თავის ქალაზე 94-დან, რომელზეც შესწავლილი იყო ჰორიზონტალური პროფილირების ზედა კუთხე გამოვლენილია დიდი და ძალიან დიდი კუთხეები. სახის შუა პროფილირების კუთხე (zm) ამ სერიაში შესწავლილი იყო 78 თავის ქალაზე და მხოლოდ 3 მათგანზე კუთხის მნიშვნელობა საშუალოზე მაღალი და ძალიან მაღალი აღმოჩნდა. გვინდა დეტალურად განვიხილოთ ამ თავის ქალების მორფოლოგიური თავისებურება, რადგან განვითარებული შუასაუკუნეების მასალებზე იყო გამოთქმული სხვადასხვა მინარევების არსებობა (ასლანიშვილი, 1999), ხოლო შემდგომ ეს შეხედულება გავრცობილი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალაზე უფრო მეტი კონკრეტით.

თავის ქალა №1419 ხასიათდება საშუალო გრძივი და განივი დიამეტრებით, თავის ქალას მაჩვენებელი ბრაქიკრანული (81,87). ქალას სიმაღლე და სახის ფუძის სიგრძე საშუალოზე დიდი, ქალას ფუძის სიგრძე საშუალო. თავის ქალას დამახასიათებელი ნიშნებია: განიერი შუბლი, სახის ზედა სიგანე ძალიან დიდი, სახის შუა სიგანე დიდი, ხოლო ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო სიგანის. თვალბუდეები ძალიან განიერი და მცირე სიმაღლის, ამიტომ თვალბუდეების მაჩვენებელი ჰამეოკონჰური (71,1), ცხვირი საშუალო სიგანის და მცირე სიმაღლის, მაჩვენებლით ჰამერინული (51,0), ძალიან დიდი სიმოტური სიგანე და დიდი სიმოტური სიმაღლე (მაჩვენებელი 39,3), მცირე დაკრიონული ქორდა და საშუალო დაკრიონული სიმაღლე (მაჩვენებელი 51,2), საშუალო უნაგირი, სა-

ხე შებრტყელებული ჰორიზონტალურ პროექციაში და მეზოგნატული ვერტიკალურ პროექციაში, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან საშუალო.

ამ ნიშანთა კომპლექსიდან: ბრაქიკრანია, პროფილირების შესუსტება, საშუალო ცხვირის უნაგირი და ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ეს ის ნიშნებია, რომლებითაც ეს თავის ქალა გამოირჩევა სერიის სხვა თავის ქალებისაგან.

თავის ქალა №1136. გამოირჩევა წინა თავის ქალასგან ძალიან დიდი განივი დიამეტრით და ჰიპერბრაქიკრანიით (86,96), ძალიან მაღალი ცხვირით, პროგნატული სახის საერთო კუთხით, საშუალოზე მაღალი სახის ზედა სიმაღლით. სხვა დანარჩენი ნიშნები არ გამოდის დომინირებული ტიპის ცვალებადობის ფარგლებიდან.

თავის ქალა №1139. ხასიათდება: დიდი გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, ქალას მეზოკრანული მახვენებლით (79,03), ძალიან დიდი სიმოტური სიგანითა და სიმაღლით (მახვენებელი 47,5), მაღალი დაკრიონული სიმაღლით და საშუალო დაკრიონული სიგანით (56,1), სახე საშუალოდ პროფილირებული ზედა კუთხის მიხედვით და დიდი ზიგომაქსიმალური კუთხით, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან საშუალო.

სერიის სხვა დანარჩენ თავის ქალებზე სახე პროფილირებული, ორთოგნატული, ცხვირის უნაგირი უმეტეს შემთხვევაში მაღალი, ან საშუალოზე მაღალი, სახე ზომიერად განიერი, თვალბუდეები დაბალი, ცხვირი ვიწრო და საშუალო სიმაღლის.

ამ სერიის ქალებშიც ვლინდება შებრტყელებული სახეები ძირითადად პროფილირების ზედა კუთხის არეში. ჩვენს ყურადღებას იქცევს 2 თავის ქალა. ერთი ძალიან მაღალი ნაზომალარული (77) და ზიგომაქსიმალური (Zm) კუთხეებით, ცხვირის საშუალო უნაგირით, საშუალო თვალბუდეებით, ვერტიკალურ ჭრილში, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირით, განიერი ყვრიმალეებით, საშუალო სიგანისა და მაღალი ცხვირით (ცხვირის მახვენებელი ლეპტორინული). მეორე თავის ქალაზე აღინიშნება საწინააღმდეგო ნიშანი. სახის პროფილირების განსაზღვრისას ვეროპოიდულ თავის ქალებზე ნაზომალარული (ზედა) კუთხე ყოველთვის უფრო დიდია ზიგომაქსიმალური (ქვედა) კუთხეზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს კანონზომიერება დარღვეულია. თავის ქალაზე აღინიშნება $Zm=144,1$, რაც ძალიან დიდ კატეგორიად ფასდება, ხოლო ნაზომალარული კუთხე 142,0 – საშუალო სიდიდისაა ამ თავის ქალაზე სხვა ნიშნები, გარდა უნაგირის სუსტი გამოსატყულებისა ნორმალური ვარიაციების ფარგლებში ჯდება.

რაც შეეხება Zm-ის კუთხის მეტობას 77-ზე ჩვენ სპეციალურად, კავკასიის ტერიტორიდან მოპოვებული მასალა ამ კუთხით შევისწავლეთ. სომხეთის ცამაკაბერდის ბრინჯაოს ხანის სამარხ №6-ში მამაკაცის თავის ქალაზე $77=118$, ხოლო $Zm=123$ აღინიშნება¹. ავტორს, შეცდომა დაჯგუფებისას არ დაუშვია და ეს ფაქტიც არ გამორჩენია, რადგან გაკვირების ნიშანით აქვს გამოყოფილი. რაიმე ახსნა ამ ფაქტს ნაშრომში არ აქვს. გარდა ამისა ამავე ნაშრომში, ამავე გვერდზე მოყვანილია ინდივიდუალური მონაცემები ნორდაუზის სამაროვნიდან, რომელშიც თავის ქალაზე რიგითი ნომრით 39 აღინიშნება ძალიან დიდი 77(149) და ძალიან მცირე Zm(120). ეს ფაქტი არ მოწმობს თავის ქალაზე მონგოლოიდური მირევის არსებობაზე². საერთოდ, ვ. ალექსევი თვლიდა, რომ კავკასიის ტერიტორიაზე კონტაქტი მონგოლოიდური რასის წარმომადგენლებთან ძალი-

¹ Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974. , с. 149.

² Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974. , ცხრ. 28 გაგრძელება, с. 149.

ან გვიან დამყარდა და რაიმე შესაძლებელი გავლენა მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიურ შემადგენლობაზე არ იქონია¹.

მთისწინეთის სხვა პუნქტებში მოპოვებული მასალა ასევე პოლიმორფულია, გამოირჩევა ბრაქიკრანიით, მხოლოდ ამ დროის მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის ზონები, სადაც მეზოკრანული და დოლიქოკრანული (ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს) თავის ქალას ფორმებიც ვლინდება.

გუდრუხის (დუშეთის სერია) წარმოდგენილია 37 მამაკაცისა და 25 დედაკაცის თავის ქალათი. მამაკაცები ხასიათდებიან: ძალზედ დიდი განივი და მცირე გრძივი დიამეტრებით, ბრაქიკრანული თავის ქალას მაჩვენებლით, საშუალოზე მცირე სიმაღლის სახით, განიერი შუბლით, საშუალო სახის ზედა სიგანით, საშუალო ყვრიმალთაშუა დიამეტრით, მცირე სიგანისა და მცირე სიმაღლის თვალბუდეებით, მეზოკონჰური თვალბუდის მაჩვენებლით, საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი ცხვირით, ცხვირის მაჩვენებელი მეზოკრინული, სიმოტური მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი, დაკრიონული საშუალო, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ პროექციაში, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ზომიერი.

მამაკაცების სერიაში აღნიშნას იმსახურებს თავის ქალა, რომელზეც განსაკუთრებულად დაბალი ცხვირის უნაგირი (დაკრიონული მაჩვენებელი 22,4), სახის ჰორიზონტალური პროფილირების შეუსაბამობა, სადაც ნაზომალარული კუთხე, მართალია აბსოლუტური მნიშვნელობით მეტია ზიგომაქსიმალურ კუთხეზე, მაგრამ მათი სიდიდეები განსხვავებული კატეგორიით ფასდებიან. გამოვლენილ თავის ქალაზე აღინიშნება შებრტყელებული სახე ($77=154,5$; $Zm=138,2$), მკვეთრად წარზიდული ცხვირი და დაბალი უნაგირი, ხოლო სიმოტური მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი, დაბალი თვალბუდეები, სახე ვერტიკალურ ჭრილში სწორი.

ამ სერიაშიც ძირითად ბრაქიკრანულ თავის ქალას ფორმასთან ერთად მამაკაცებში გამოვლენილია 2 დოლიქო და 1 მეზოკრანული, ქალებში 1 დოლიქო და 1-იც მეზოკრანული ფორმები. ქალები მთლიანობაში განსხვავდებიან უფრო მეტი ბრაქიკრანიით, უფრო სწორი სახით ვერტიკალურ ჭრილში, მეტად პროფილირებული სახით ჰორიზონტალურ სიბრტყეში და მკვეთრად წარზიდული ცხვირით. ქალების სერიაშიც ერთ შემთხვევაში შეინიშნება პროფილირების დარღვევა, ნაზომალარული კუთხე ($77=143,1$) ნაკლებია ზიგომაქსიმალურ კუთხეზე ($Zm=144,3$). უკანასკნელის სიდიდე ძალიან დიდი კატეგორიით ხასიათდება, ხოლო ნაზომალარული კუთხის სიდიდე საშუალოს არ აღემატება. ასეთი ევროპეიდებისათვის არადამახასიათებელი განაწილება დეტალურ ანალიზს მოითხოვს, როგორც ეს იყო საწინააღმდეგო შემთხვევაში. სახის ზედა და შუა კუთხის არათანაბარი პროფილირება ვ. იაკიმოვის აზრით, „დაუსრულებელი“ ზოგადი ტიპი, არის არქაული ფორმა მეზოლითისა და ნეოლითის კრანიოლოგიურ სერიებში², რაც შეეხება თანამედროვე, ან თანამედროვესთან ახლო მასალებში ეს საკითხი დღემდე გადაჭრილი არ არის. მონგოლოიდური მინარევის შედეგად ორივე კუთხე თანაბრად შებრტყელდებოდა. ზოგადად კი ჩვენი აზრით, შეიძლება ნორმიდან გადახრას ქონდეს ადგილი.

¹ Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М. Наука, 1974. , с. 114.

² Якимов В. П. Горизонтальная профилированность лицевого отдела черепа у современных и древних людей. В.А. 1960, В. 4, с. 62-70.

სიონის (თიანეთის) სერია წარმოდგენილია 51 მამაკაცისა და 22 დედაკაცის თავის ქალათი. სერია ხასიათდება ძალიან დიდი განივი და მცირე გრძივი დიამეტრებით. თავის ქალას მაჩვენებელი ძირითადად ბრაქიკრანულია, თუმცა უნდა აღინიშნოს მამაკაცებში 10 მეზოკრანული, დედაკაცებში 1 დოლიქო და 3 მეზოკრანული თავის ქალა. სერია, მთლიანობაში ხასიათდება უფრო მაღალი სახის სიმაღლით, განიერი სახით, ყვირიმალთაშორის დიამეტრი იშვიათი გამონაკლისის გარდა ძალიან დიდ სიგანეს აღწევს. ამ სერიის დამახასიათებელია, მაღალი ცხვირის უნაგირი, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირი და პროფილირებული სახე, თუმცა არის გამოვლენილი ნაზომიალარული კუთხის საშუალოზე მაღალი მნიშვნელობები, და პროფილირების დარღვევაც. რადგან, განვითარებულ შუასაუკუნეებში მთისწინეთში მიმდინარეობდა მორფოლოგიური ტიპის გარდაქმნა ბრაქიკეფალიზაცია, ეუროპოზოპიზაციის მიმართულებით, ჩვენი აზრით, ამ ცვლილებებს ზოგიერთ შემთხვევაში ნორმიდან გადახრაც თან ახლდა.

მთა წარმოდგენილია ხევსურეთის – შატღილი და ბისო, ფშავის – ქვისკარები და ყაზბეგის კრანოლოგიური სერიებით.

ხევსურეთში (შატღილი). მამაკაცთა თავის ქალები გამოირჩევიან ძალიან დიდი ნაზომალარული და ძალიან მცირე ზიგომაქსიმალური კუთხით. მაღალი ცხვირის უნაგირით, სახის სიგანე, როგორც სახის ზედა სიგანე, ასევე სახის შუა სიგანე და ყვირიმალთაშუა დიამეტრი ჯერ კიდევ მაქსიმალურ მნიშვნელობებს არ აღწევს.

ფშავი (ქვისკარები) მოპოვებული თავის ქალები ძალიან დიდი განივი დიამეტრით და ქალას მაჩვენებლის მაქსიმალური სიდიდით გამოირჩევიან. სახის პროფილირების კუთხეები ძალზე მცირეა ე. ი. სახე პროფილირებულია ჰორიზონტალურ სიბრტყეში, ხოლო ვერტიკალურში სწორი. ხევსურებისგან განსხვავებით ფშავებს უფრო განიერი სახე და შუბლი ახასიათებთ.

ყაზბეგში მოპოვებული თავის ქალებზეც ჯერ არ არის გამოვლენილი კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი მთელი კომპლექსი, მაგრამ აქ უკვე სახეზეა – ბრაქიკრანია, ძალიან დიდი ყვირიმალთაშუა დიამეტრი, განიერი შუბლი. მონაცემებს ამ მასალეების შესახებ გარკვეული სინათლე შეაქვთ როგორც განვითარებული შუასაუკუნეების კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესწავლაში, ისე, განსაკუთრებით კავკასიონის ტიპის წარმოშობისა და ჩამოყალიბების კვლევის საქმეში. მთის მოსახლეობაში ამ დროისათვის ეპოქალური ტრანსფორმაცია კავკასიონის ფართოსახიანი ტიპის ჩამოყალიბებით საბოლოოდ შემდეგ ეპოქაში სრულდება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო წარმოდგენილია დმანისისა და რუსთავის კრანოლოგიური სერიებით. ორივე სერიაში წარმოდგენილი ტიპი უკვე არა მედიტერანული, არამედ წინააზიური ტიპისაა.

რუსთავის კრანოლოგიური სერია მცირერიცხოვანია და სულ 2 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალათი არის წარმოდგენილი.

მამაკაცების თავის ქალაზე თავისებურების სახით შეინიშნება საშუალო სიგანის შუბლი, ზომიერი სიგანის სახე და საშუალო სიდიდის ჰორიზონტალური პროფილი, ძალიან დიდი ქალას მაჩვენებელი.

ქალის თავის ქალაზე დაბალი ქალის მაჩვენებელი და საშუალო სიგანის სახე აღინიშნება.

დმანისის სერია უფრო სოლიდურია და 6 მამაკაცისა და 12 დედაკაცის თავის ქალათი არის წარმოდგენილი. მამაკაცების სერიაში ძირითადად ბრაქიკრანია აღინიშნება.

სერია შედგება 4 ბრაქი, 1 მეზო და 1 დოლიქოკრანული ქალას ფორმებისაგან. დოლიქოკრანული თავის ქალა თავისი აბსოლუტური ზომებით ძალიან დიდია, მეზოკრანული ძალზედ გრაციალური. სერიის თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ მეზოკრანული თავის ქალა ძალიან მცირე სიგანის შუბლით და საშუალო ყვრიმალთაშორის დაიმეტრით ხასიათდება. დოლიქოკრანული – მაღალი სახის ზედა სიმაღლით, ძალიან განიერი შუბლით, ცხვირის საშუალო უნაგირითა და ზომიერად პროფილირებული სახით.

დმანისის სერიის ქალებისათვის დამახასიათებელია საშუალო სიგანის სახე, საშუალოზე განიერი თვალბუდეები, ვიწრო და საშუალოზე მაღალი ცხვირი, პროფილირებული სახე.

სამხრეთ საქართველო წარმოდგენილია 4 პუნქტით: ახალციხე – ვანის ქვაბები, ბოგდანოვკა – სადამოს ტბის ეკლესია, ასპინძა – ს. დამალა და ახალქალაქი.

ვანის ქვაბები (ახალციხე). მოპოვებულია 37 მამაკაცისა და 20 დედაკაცის თავის ქალა. ამ სერიაში 5 მეზოკრანული, 2 დოლიქო და 10 ბრაქიკრანული ფორმებია. აღსანიშნავია, ძალიან მცირე სახის ზედა სიმაღლე, საშუალოზე დიდი სახის ზედა სიგანე, საშუალოზე განიერი ყვრიმალეები, მაღალი, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი, სახე ზომიერად პროფილირებული.

ამ კრანოლოგიურ მასალით ასევე დასტურდება წინააზიურ ფორმები. განვითარებულ შუა საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბებული წინააზიური ფორმები დომინირებენ, ამას ახალქალაქის ტერიტორიაზე მოპოვებული ერთი თავის ქალა ამტკიცებს.

კახეთის რეგიონიდან ჩვენს განკარგულებაშია სამი კრანოლოგიური სერია, რიცხვმრავლობით არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა, მაგრამ მათი მორფოლოგიური თავისებურებანი მაინც გვიქმნიან ზოგად წარმოდგენას კახეთის განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობის ტიპოლოგიურ თავისებურებებზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ, **კახეთის რეგიონში** მოპოვებული თავის ქალები ხასიათდებიან: ქალას საშუალო გრძივი და საშუალოზე გრძელი განივი დაიმეტრებით, საშუალოზე დიდი ქალას მაჩვენებლით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის სახით, საშუალო ზომისა და წარზიდული ცხვირით, მაღალი უნაგირით. ეს კომპლექსი მთლიანად წინააზიური ტიპისაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შეინიშნება ლოკალური ნაირსახეობები. თუ მატანის კრანოლოგიურ სერიაში წინააზიური ტიპი სრულიად ჩამოყალიბებული ჩანს, ძველ გავაზში მოპოვებულ თავის ქალებს ჯერ კიდევ მედიტერანული ტიპისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი – მეზოკრანული თავის მაჩვენებელი, შედარებით ვიწრო სახე და სხე. ახასიათებთ, ხოლო „საბერეებში“ მკვეთრ ბრაქიკეფალიასთან ერთად, შედარებით ვიწრო სახე აღინიშნება. ეს თავისებურებანი ლოკალური ნაირსახეობების მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს იმ აუცილებელ ფაქტს, რომ კახეთის რეგიონში, მედიტერანული ტიპის წინააზიურ ტიპად ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ მთლიანად დასრულებული არ არის, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში წინააზიურ ფორმებთან ერთად მედიტერანებიც იყვნენ გავრცელებული, მაგრამ დომინანტური უკვე წინააზიური ფორმებია.

იმერეთის რეგიონი წარმოდგენილია თერჯოლიდან–ადგილი საგვარჯილე მოპოვებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი სერია.

ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სერიებში აქაც წინააზიური ანთროპო-

ლოგიური ტიპია წარმოდგენილი. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობის გენეტიკური იდენტურობის მაჩვენებელია. ამავე დროს შეინიშნება არა ნაკლები მნიშვნელობის განსხვავებანიც. სახე საგვარჯილეს სერიაში ჯერ კიდევ არ აღწევს წინააზიური ფორმებისათვის დამახასიათებელ ზომებს. ცხვირის მორფოლოგიური თავისებურებანიც აგრეთვე ატარებენ ლოკალური ნაირსახეობების კვალს. ზოგადად ფორმების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, ამას სამეგრელოს ტერიტორიაზე წალენჯიხაში – **ვახულანში** მოპოვებული ერთი მამაკაცის თავის ქალაზე სუბრაქიკრანული ქალასარქველი აღინიშნება.

ამრიგად, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ანალოგიური წინააზიური ფორმები იყო გავრცელებული, რომლებიც მსგავს ეპოქალურ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ, განსხვავება მხოლოდ ამ ტრანსფორმაციების ტემპში იყო, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მაღალმთიან გარემოსთან ადაპტაციის პირობებში გენეტიკო-აგლომაციური პროცესების ზემოქმედებით უნდა აიხსნას.

აჭარის მთიანეთში მოპოვებულია კრანიოლოგიური მასალები ხულოს რაიონის ორი პუნქტიდან: ს. თხილვანა და ს. ვერნები. **მასალა ფრაგმენტულია. ორივე სერია ზოგადად იმეორებს საერთო ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს.**

სამხრეთ ოსეთი წარმოდგენილია 2 პუნქტით: ედისა და სბა (ჯავა). განსაკუთრებით საინტერესოა ედისში მოპოვებული მასალები, რომლებიც ხასიათდებიან ქალასარქველის საშუალოზე მეტი სიგრძით და მაქსიმალური სიგანით, ქალას მაჩვენებლის საშუალოზე მეტი სიდიდით, საშუალოზე ფართო და საშუალოზე მაღალი სახით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, ძალზე მკვეთრად წარზიდული და ძალზე მაღალი უნაგირით. ეს კომპლექსი თითქმის კლასიკურად წარმოადგენს კავკასიონის ტიპის თავისებურებას.

ტიპოლოგიურად ს. ედისში მოპოვებული თავის ქალები წინააზიურ რასობრივ შტოს, მორფოლოგიურად კი ამ ტიპის კავკასიონის ვარიანტს განეკუთვნებიან.

ს. სბაში მოპოვებული ერთი მამაკაცის თავის ქალა ბრაქიკრანული ფორმით, სახის საკმაოდ დიდი სიგანით, აგრეთვე წინააზიური ტიპის კავკასიონის ნაირსახეობას წარმოადგენს.

აფხაზეთის რეგიონი წარმოდგენილია გუდაუთის რ-ნის ს. დურიპში მოპოვებული კრანიოლოგიური მასალით, რომელსაც ახასიათებს ქალასარქველის საშუალო გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი (მკვეთრად ბრაქიკრანული ფორმით), სახე საშუალო სიგანის, მაგრამ უახლოვდება ამ კატეგორიის უმაღლეს ზღვარს, სახის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლის მიხედვით სერია ექცევა ეურიპროზოპულ კატეგორიაში. ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, უნაგირი ძალზე მაღალი. ნიშნების ეს კომპლექსი, წინააზიურ რასობრივ ტიპს ეკუთვნის და ამდენად აფხაზეთის მოსახლეობა განვითარებულ შუა საუკუნეებში, როგორც გენეტიკურად, ისე მორფოლოგიურად, შედიოდა წინააზიური რასობრივი ტიპების იმავე ვარიაციების ფარგლებში, რომლებშიაც, ასევე, შედიოდა ამავე პერიოდის საქართველოს დანარჩენი მოსახლეობაც.

ამრიგად, საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ანთროპოლოგიური მიმოხილვა ცხადყოფს, რომ გრძელდება ადრეულ შუა საუკუნეებში დადასტურებული ადგილობრივი ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის პროცესი. ადრე გავრცელებულ მე-

დიტერანული ტიპის მოსახლეობაში თანდათანობით თავის იჩენს წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მორფოლოგიურად ეს გამოიხატება ბრაქიკეფალიზაციასა და ეუროპროზოპიზაციაში, რასაც ფუნქციონალურად თან სდევს ზოგიერთი ნაწილების ტრანსფორმაცია. შეინიშნება ცალკეულ რეგიონებში ამ ტრანსფორმაციის შორს წასული და ზოგან დასრულებული პროცესი. მხოლოდ ზოგიერთ რეგიონებში ვხვდებით მედიტერანული ტიპისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშნებს. ამ პერიოდისათვის საქართველოს მოსახლეობაში დომინანტურ მდგომარეობას აღწევს წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც მთისწინეთში და განსაკუთრებით მთაში, ზოგან ნაწილობრივ, ზოგან კი მთლიანად მიღებული აქვს კავკასიონის ტიპის სახე, რაც გულისხმობს მთისა და ბარის მოსახლეობის ერთიან გენეტიკურ წარმომავლობას. გარდა ამისა, მასალების კვლევამ დაგვანახვა, რომ საქართველოსა და სომხეთის განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობა ეკუთვნოდა წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს. ეს მსგავსება კი ამ მოსახლეობის ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

წინააზიური ტიპის კრანიოლოგიური სერიები – სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის, ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რეგიონებიდან უსათუოდ შეესაბამება კავკასიონის თანამედროვე მოსახლეობაში დომინანტურ წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომლის ლოკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპი.

კრანიოლოგიური მასალების მნიშვნელობა ეთნოგენეზური პროცესების კვლევაში მით უფრო მეტია, რაც უფრო ძველია საკვლევი პერიოდი. რაც უფრო მეტად ეუახლოვდებით თანამედროვეობას, მით უფრო მეტი ჩნდება ერის წარსულის ამსახველი დოკუმენტები და ამდენად კრანიოლოგიური მონაცემების მნიშვნელობა თანდათანობით კლებულობს და, მიუხედავად ამისა, კვლევის კრანიოლოგიური გზა მაინც ყოველთვის უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, ვინაიდან მხოლოდ ის გვიჩვენებს იმ ძვრებს, რომლებიც მოხდა თვით ისტორიის შემქმნელი ადამიანების ბუნებრივ ისტორიაში¹. კრანიოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევნიშნოთ მხოლოდ დიდი მასშტაბების ძვრები მოსახლეობის შედგენილობაში და დავადგინოთ ამ ძვრების აბსოლუტური ქრონოლოგიური თარიღი.

საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი

მამაკაცების კრანიოლოგიური სერია ხასიათდება: ქალას საშუალო გრძივი, საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებითა და საშუალოზე მეტი სიდიდის ქალას მაჩვენებლით, საშუალოზე მეტი ქალა-სარქველის სიმაღლით ფართო და ზომიერად დაქანებული შუბლით, განიერი და საშუალო სიმაღლის სახით, საშუალოზე მეტად პროფილირებული, პორიზონტალურ სიბრტყეში, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, მაღალი უნაგირით, განიერი თვალებუდებით. შუასაუკუნეების ქალების სერიაში ძირითადი ნიშნების განაწილება მამაკაცების მსგავსია. განსხვავება გა-

¹ Бунак В.В., Нестурх М.Ф., Рогинский Я.Я. Антропология, М.1941.

მოხატება უფრო დაბალი ქალას მანვენებით. მეტი ქალას ფუძის სიგრძით, საშუალო სახის მანვენებით და უფრო დიდი სიმოტური სიმაღლით.

თუ ჩვენ ერთმანეთს შევუდარებთ სამივე დროის შუასაუკუნეების (ადრეული, განვითარებული და გვიანი) განზოგადებულ მონაცემებს ტიპოლოგიური მსგავსება უდაოა. მათ ახასიათებთ: კორიზონტალურ სიბრტყეში მკვეთრად პროფილირებული და ვერტიკალურ სიბრტყეში სწორი სახე, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირი, ცხვირის უნაგირი მაღალი და მკვეთრად წინ წარზიდული, თვალბუდეები საშუალო სიმაღლის; განსხვავებები შეინიშნება: თავის ქალას ფორმის (ძირითადად განივი დიამეტრის ზრდის ხარჯზე), შუბლის უმცირესი სიგანის, სახის სიგანის მიხედვით.

ქვემოთ მოგვყავს თითოეული რეგიონის გვიანი შუასაუკუნეების მოსახლეობის კრანოლოგიური დახასიათება და მათი უახლოესი მორფოლოგიური ჯგუფების დადგენა სივრცესა და დროში, რაც საშუალებას იძლევა თანდათანობით გაირკვეს მორფოლოგიური მსგავსება-განსხვავებისა თუ გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული ფაქტები.

მცხეთის რეგიონი წარმოდგენილია 1 მამაკაცის უკიდურესად ფრაგმენტული თავის ქალა, რომელიც ხასიათდება: საშუალო გრძივი და ძალზე დიდი ზომის განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებლის ძალიან დიდი სიდიდით – თავის ქალა ჰიპერბრაქიკრანული, შუბლის უმცირესი სიგანის საშუალო ზომის სიდიდით, ძალიან მცირე შუბლგანივი მანვენებით.

ქართლის რეგიონი ჩვენს მასალებში წარმოდგენილია წინარესა და თვალადში მოპოვებული თავის ქალებით.

მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალოზე მცირე გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, თავის მანვენებელი ძალზე მაღალი, სახე საშუალოზე დაბალი და ფართო, ცხვირი დაბალი და ვიწრო, უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლის.

დედაკაცების თავის ქალებს ახასიათებთ: საშუალოზე მცირე გრძივი და განივი დიამეტრები, საშუალო სიდიდის თავის მანვენებელი, სახე საშუალოზე დაბალი და საშუალო სიგანის, ცხვირი საშუალოზე დაბალი და საშუალო სიგანის, უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები დაბალი. ქართლის რეგიონში მოპოვებული მამაკაცებისა და დედაკაცების თავის ქალები ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც იმის მანვენებლია, რომ ამ დროისათვის ჩამოყალიბებული კომპლექსი უკვე მდგრადია, ეს კი თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს დაგუპირისპიროთ მას რეგიონალური ნაირსახეობები.

მთისწინეთი წარმოდგენილია კრანოლოგიური სერიებით პუნქტებიდან: ჟინვალი, არღუნი, აბანოსხევი, ავენისი, სიონი, მაგრანეთი.

ჟინვალში მოპოვებული მამაკაცის თავის ქალები ხასიათდება: საშუალოზე მოკლე გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით – მანვენებელი მკვეთრად ბრაქიკრანულია, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, მაღალი და ვიწრო ცხვირით, მაღალი უნაგირით, ზომიერი სახის ზედა კორიზონტალური კუთხით.

დედაკაცების თავის ქალები ხასიათდება: საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, მაღალი და საშუალო სიგანის ცხვირით, მაღალი უნაგირით.

არღუნის მამაკაცების სერია ხასიათდება: საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი

განივი დიამეტრებით, თავის მანვენებლის საშუალოზე მეტი სიდიდით, საშუალო სიმაღლისა და საშუალოზე ფართო სახით, ცხვირი მაღალი და საშუალო სიგანის, საშუალოზე მეტი სიგანისა და სიმაღლის თვალბუდეებით, პროფილირებული, განსაკუთრებით სახის შუა ნაწილში სახით, ვერტიკალურ სიბრტყეში ძალზე სწორი, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირით.

დედაკაცები ხასიათდებიან: საშუალო გრძივი და საშუალოზე დიდი განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი საშუალოზე მეტი, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, ცხვირის უნაგირის საშუალოზე მეტი ზომით, პროფილირებული სახით, მკვეთრად წარზიდული ცხვირით და ორთოგნატული სახით.

აბანოსხევაში (დეუშეთი) მოპოვებულია 1 მამაკაცის და 2 დედაკაცის თავის ქალა. მცირერიცხოვან სერიაში დაფიქსირდა ძალზე საინტერესო ფაქტი, მამაკაცის თავის ქალაზე მცირე გრძივი და საშუალო განივი დიამეტრია დაფიქსირებული, თავის ქალას ფორმა ბრაქიკრანული. ქალებში ძალზედ განსხვავებული ფორმები გამოვლინდა. ერთზე აღინიშნება ძალიან დიდი გრძივი და ძალიან პატარა განივი დიამეტრები, შესაბამისად თავის ქალას მანვენებელი დოლიქოკრანული. მეორე თავის ქალას საშუალო გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრები და თავის ქალას ულტრაბრაქიკრანული მანვენებელი ახასიათებს. მამაკაცების თავის ქალაზე აღინიშნება: დაბალი ქალას სიმაღლე (ba-b) საშუალო, სახის ზედა და სრული სიმაღლე, ძალიან განიერი შუბლი, სახე მცირე სიგანის, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო სიგანის, თვალბუდეები საშუალო სიგანის და მაღალი, ცხვირი ვიწრო და საშუალო სიმაღლის, მაღალი ცხვირის უნაგირი, სახის ზედა პროფილირების კუთხე ძალიან დიდი, სახის შუა პროფილირების კუთხე ძალიან პატარა.

ქალებისათვის სრულიად საწინააღმდეგო, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნებია დამახასიათებელი. ულტრაბრაქიკრანულ თავის ქალაზე სახის ზედა სიმაღლე დაბალია. ძალიან განიერი ყვრიმალეები, დაბალი სახის ზედა სიმაღლე, ძალიან განიერი ყვრიმალეები, ზომიერი სახის ზედა სიგანე, შუა სიგანე მცირე, ძალზე განიერი და მაღალი თვალბუდეები (ჰიპოკონჰური), ვიწრო და დაბალი ცხვირი (მეზორინული), მაღალი უნაგირი. ჰიპერდოლიქოკრანულ თავის ქალაზე აღინიშნება მაღალი სახე, ძალიან განიერი შუბლი და სახე, მცირე სიგანისა და საშუალო სიმაღლის თვალბუდეები (ჰიპოკონჰური), საშუალო სიგანის და მაღალი ცხვირი (ლეპტორინული), საშუალო სიმოტური და მცირე დაკრიონული მანვენებლებით (ე. ი. დაბალი უნაგირით). ბრაქიკრანული ფორმები ანალოგიურია ძირითადად გავრცელებული ტიპისა, ხოლო დოლიქოკრანული - შეიცავს სხვა განსხვავებულ ელემენტებს.

სიონში (თიანეთი) მოპოვებული მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, საშუალოზე მეტი თავის მანვენებლით, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, საშუალო სიგანისა და მაღალი ცხვირით, საშუალოზე განიერი და საშუალო ზომის თვალბუდეებით.

დედაკაცების თავის ქალებს ახასიათებთ: საშუალო გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები, საშუალოზე მეტი სიდიდის თავის მანვენებელი, ზომიერი სიმაღლისა და სიგანის სახე, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირი, ზომაზე მეტად მაღალი და განიერი თვალბუდეები.

მაგრანეთში (თიანეთი) მოპოვებული დედაკაცის თავის ქალა ხასიათდება: საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, ძალზე მაღალი ქალას მანვენებლით, საშუა-

ალოზე მეტი სიმაღლისა და საშუალო სიგანის სახით, მაღალი და საშუალო სიგანის ცხვირით, უნაგირის საშუალო სიმაღლით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის თვალბუდეებით.

მთა წარმოდგენილია 4 პუნქტით: შატილის „ანატორის“ აკლდამები, ყაზბეგის, საგირთისა და ცაროში მოპოვებული კრანოლოგიური მასალებით.

შატილის მამაკაცების თავის ქალები ხასიათდება: საშუალო გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, საშუალოზე დიდი სიდიდის თავის მჩვენებლით, განიერი სახით, მაღალი და ვიწრო ცხვირით, განიერი და დაბალი თვალბუდეებით.

დედაკაცის თავის ქალები ხასიათდება: საშუალო ზომის გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, დიდი თავის მჩვენებელი, მაღალი და განიერი სახით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით, ზომიერი სიმაღლისა და განიერი თვალბუდეებით.

ყაზბეგის მამაკაცის თავის ქალები ხასიათდება: ძალზე დაბალი გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებით. საშუალოზე მეტი სიდიდის თავის მჩვენებლით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახით, საშუალო სიმაღლისა და ვიწრო ცხვირით, მაღალი უნაგირით.

საგირთაში (თუშეთი) მოპოვებული მამაკაცის თავის ქალა ხასიათდება: საშუალო ზომის გრძივი და ფართო განივი დიამეტრებით, განიერი და მაღალი სახით, მაღალი და განიერი ცხვირით, მაღალი უნაგირით, განიერი და დაბალი თვალბუდეებით.

საცაროში (თუშეთი) მოპოვებული მამაკაცის თავის ქალები ხასიათდება: მცირე გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, მაღალი ქალას მჩვენებლით, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, მაღალი უნაგირით, საშუალო სიმაღლისა და განიერი თვალბუდეებით.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო წარმოდგენილია რუსთავისა და კაზრეთის პუნქტებით.

რუსთავის მამაკაცების კრანოლოგიური სერია ხასიათდება: მცირე გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებით, მაღალი ქალას მჩვენებლით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის სახით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით, მაღალი უნაგირით, საშუალო ზომის თვალბუდეებით.

დედაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: მცირე გრძივი და საშუალოზე დიდი განივი დიამეტრებით, თავის მჩვენებლის საშუალოზე მეტი სიდიდით, ზომიერი სიმაღლისა და სიგანის სახით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, მაღალი უნაგირით, ზომიერი თვალბუდეებით.

კაზრეთში (ბოლნისი) მოპოვებული დედაკაცის თავის ქალა ხასიათდება: დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ძალზე დაბალი ქალას მჩვენებელით, სახის საშუალოზე მეტი სიმაღლითა და სიგანით, მაღალი და ვიწრო ცხვირით, მაღალი უნაგირით, ვიწრო და საშუალო სიმაღლის თვალბუდეებით.

სამხრეთ საქართველო წარმოდგენილია ახალციხის (ს. მუსხი), ახალქალაქის (ს. კოთელია) და ასპინძის (ს. ქორეთი) კრანოლოგიური მასალებით.

მუსხში (ახალციხე) მოპოვებული მამაკაცის თავის ქალები ხასიათდება: საშუალო გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრებით, ძალიან დიდი სიდიდის (ჰიპერბრაქიკრანია) ქალას მჩვენებლით, განიერი და საშუალო სიმაღლის სახით, საშუალო სიმაღლისა და ვიწრო ცხვირით, ძალიან მაღალი უნაგირით, განიერი და საშუალო სიმაღლის თვალბუდეებით.

დედაკაცები ხასიათდებიან: საშუალო გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრებით, ქალას მანევრებლის ძალიან დიდი სიდიდით (ჰიპერბრაქიკრანია), განიერი და საშუალო სიმაღლის სახით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით, ძალიან მაღალი უნაგირით, საშუალო ზომის თვალბუდეებით.

კთელაში (ახალქალაქი) მოპოვებული მამაკაცის თავის ქალები ხასიათდებიან: მცირე გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, ქალას მანევრებლის საშუალოზე მეტი სიდიდით, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით, საშუალო სიმაღლისა და განიერი თვალბუდეებით.

დედაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალო ზომის გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრებით, საშუალოზე მეტი ქალას მანევრებელით, საშუალო სიგანისა და დაბალი სახით, ზომიერი სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, დაბალი და საშუალო სიგანის თვალბუდეებით.

ქორეთში (ასპინძა) მოპოვებული მამაკაცის თავის ქალას ახასიათებს: საშუალო ზომის გრძივი და დიდი განივი დიამეტრები, საშუალო სიგანის სახე, საშუალო სიმაღლისა და ვიწრო ცხვირი, მაღალი უნაგირი, საშუალო სიმაღლისა და განიერი თვალბუდეები.

ნოქალაქევი (სამეგრელო) წარმოდგენილია ერთი მამაკაცის ფრაგმენტული თავის ქალით, რომელსაც ახასიათებს: საშუალოზე მეტი გრძივი და დიდი განივი დიამეტრები, სახის ზედა სიგანის საშუალოზე მეტი ზომა.

სამხრეთ ოსეთი – ჯავა წარმოდგენილია ს. სბაში და ს. როკში მოპოვებული კრანოლოგიური მასალით.

სბის მამაკაცების თავის ქალები ხასიათდება: საშუალო გრძივი და განივი დიამეტრებით, საშუალოზე მეტი ქალას მანევრებელი, განიერი და მაღალი სახით, საშუალო ან საშუალოზე მეტი ცხვირის სიმაღლით, ხოლო ცხვირის სიგანე საშუალო ან მცირე, მაღალი უნაგირით, განიერი, საშუალო ან საშუალოზე მცირე სიმაღლის თვალბუდეებით.

რუკის მამაკაცების თავის ქალები ხასიათდებიან: საშუალო ზომის გრძივი დიამეტრებით, საშუალო სიმაღლისა და განიერი სახით, მაღალი და განიერი ცხვირით, საშუალო სიმაღლის უნაგირით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის თვალბუდეებით.

ლოკალური ნაირსახეობების შენიშვნის მიზნით საჭიროა ერთხელ კიდევ თვალი გადავაგვლით დახასიათებული სერიების ცალკეულ ნიშნებს: ძალზე მცირე გრძივი დიამეტრის მიხედვით გამოირჩევა ყაზბეგის მამაკაცთა სერია. კაზრეთის და ნოქალაქევის ერთი მამაკაცის და ერთი ქალის თავის ქალა დიდი გრძივი დიამეტრით. განივი დიამეტრი ამ პერიოდისათვის როგორც ვნახეთ დიდი ზომებით ხასიათდება, გამონაკლისს კაზრეთის დედაკაცისა და ქართლის დედაკაცის თავის ქალები წარმოადგენენ. ისინი საშუალოზე მცირე ზომის განივი დიამეტრებით გამოირჩევიან ნიჩბისისხევისა და მუსხის თავის ქალებისგან, თავის მანევრებლის მიხედვით გამოირჩევა კაზრეთის და ნიჩბისისხევის ძალიან დაბალი, წინარეხი, თვალადისა და მუსხის თავის ქალები (ძალიან მაღალი მანევრებელით).

მაშასადამე, როგორც ჩანს, გვიანი შუასაუკუნეებში საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის საკმაოდ ბრაქიკეფალური თავის მანევრებელი დამახასიათებელი, ყოველგვარი რეგიონალური თავისებურებების გარეშე. ამ პერიოდის მოსახლეობაში გამოვლენილია მეზოკრანული და დოლიქოკრანული ფორმებიც. ამ ფაქტს ჩვენთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან თავის ქალას ფორმის აბსოლუტური ბრაქიკეფალიზაცია და მას-

თან დაკავშირებული სხვა ნიშანთა ცვალებადობა არც გვიანი შუასაუკუნეების, და არც თანამედროვე მოსახლეობაში არ მიღწეულა, რაც თავის თავად, მოსახლეობის პოლიმორფულობის შენარჩუნებაზე მეტყველებს. ეს ფაქტი ასევე ადასტურებს ეპოქალურ ტრანსფორმაციას რაიმე საგრძნობი ელემენტების ჩარევის გარეშე.

შუბლი ამ პერიოდისათვის, როგორც ვიცით, საკმაოდ ფართო და სწორია. გამონაკლისებია კაზრეთში მოპოვებული დედაკაცის თავის ქალა, მამაკაცის თავის ქალები ს. ცაროდან და ქალის თავის ქალა ქართლიდან.

სახე ამ პერიოდში ფართოა. საშუალო სიგანის სახე ახასიათებთ ქართლის ქალებს, მაგრანეთის, ყაზბეგის, რუსთავის, ქორეთის მამაკაცებს.

სახის სიმაღლე საშუალოა, გამონაკლისია ქართლის მოსახლეობა დაბალი სახით, და საგირთას, კაზრეთის და სბას მოსახლეობა მაღალი სახით.

ცხვირი ამ პერიოდში საშუალო ან საშუალოზე მაღალია. გამონაკლისია ქართლის მოსახლეობა დაბალი ცხვირით.

ცხვირის სიგანე საშუალო ან ვიწროა. გამონაკლისია თავის ქალები ს. საგირთიდან და ს. როკიდან (განიერი ცხვირით).

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი შედარებითი დახასიათება ცხადყოფს, გვიანშუასაუკუნეებში საქართველოს მოსახლეობა რამდენიმე ანთროპოლოგიური კომპლექსის მატარებელი უნდა ყოფილიყო და დასაბამი დაედო საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის მეტნაკლებად დიფერენცირებულ ტიპებს.

საქართველოს შუასაუკუნეების მოსახლეობას, ერთად რომ მოუყაროთ თავი, შეგვექმნება ზოგადი წარმოდგენა მთლიანად საქართველოს შუასაუკუნეების ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ. ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოში ძირითადად გავრცელებულია ადრე პერიოდისათვის დომინანტური, ვიწროსახიანი, დოლიქოკრანული, ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპი. ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება მისგან რამდენადმე განსხვავებული ფორმა (ქალას მაჩვენებელი მეტი, ხოლო სახე ფართო). ასეთი მორფოლოგიური დიფერენციაცია უნდა აიხსნას ზოგიერთ რეგიონში უკვე დაწყებული ანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციით.

საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების მოსახლეობაში ძველ ფორმებთან ერთად უკვე გარკვევით შეინიშნება თანამედროვე მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ფორმები. სომხეთსა და აზერბაიჯანის მიმდებარე რეგიონებში დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი და ტრანსფორმაციის პროცესებსაც ერთი და იგივე მიმართულება ჰქონდათ. კრანიოლოგიური სერიები ჩრდ. კავკასიიდან აშკარად ამჟღავნებენ ტიპოლოგიურ მსგავსებას სამხრეთკავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებულ კრანიოლოგიურ სერიებთან, ამავე დროს ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე არსებობდნენ ხმელთაშუაზღვისპირული ტიპების ფორმები, რომლებიც სამხრეთკავკასიურ ტიპებთან იყვნენ უშუალოდ დაკავშირებულნი და რომლებმაც ყოველ შემთხვევაში სამხრეთკავკასიაში ეპოქალური ტრანსფორმაციის გზით, წინააზიური რასის ადგილობრივი ნაირსახეობების ჩამოყალიბებას მისცეს დასაბამი.

განვითარებულ შუასაუკუნეებში გრძელდება წინამორბედ პერიოდში შენიშნული ადგილობრივი ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის პროცესი. ამ პერიოდის თავის ქალები ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან ადრეული შუასაუკუნეების თავის ქალებისაგან, ხოლო მორფოლოგიურად განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობა წინამორ-

ბედისაგან განსხვავდება შედარებით მეტი განივი დიამეტრითა და ყურთაშუა სიგანით, მაღალი თავის მაჩვენებლით, საშუალოზე ფართო და სწორი შუბლით, საშუალოზე ფართო სახით და საშუალოზე დაბალი თვალბუდის მაჩვენებლით. ჩვენი აზრით ეს განსხვავებანი ეპოქალური ტრანსფორმაციისა და არა ტიპოლოგიური განსხვავების მაჩვენებლები უნდა იყოს.

აღრე გავრცელებული მედიტერანული ტიპის მოსახლეობაში თანდათანობით იჩენს თავს წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები მორფოლოგიურად ეს ბრაქიკეფალიზაციასა და ეუროპროზოპიზაციაში (დაბალი და ფართო სახე) გამოიხატება, რასაც ფუნქციონურად თან სდევს სახის ზოგიერთი ნაწილის ტრანსფორმაცია. ცალკეულ რეგიონებში შეინიშნება ამ ტრანსფორმაციებს შორის პარალელი და ზოგან დასრულებული პროცესიც კი. მხოლოდ ზოგიერთ რეგიონებში ვხვდებით მედიტერანული ტიპისათვის დამახასიათებელ ცალკეული ნიშნების კონსერვაციის სურათს. საერთოდ კი ამ პერიოდისათვის საქართველოს მოსახლეობაში დომინანტურ მდგომარეობას აღწევს წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპი, ხოლო მედიტერანული უკვე არქაული ფორმის სახით არის შემონახული. მთისწინეთსა და განსაკუთრებით მთაში წინააზიურ ფორმებს ზოგან ნაწილობრივ, ხოლო ზოგან მთლიანად, მიღებული აქვთ კავკასიონის ტიპის სახე, რაც გულისხმობს მთისა და ბარის მოსახლეობის ერთიან გენეტიკურ წარმომავლობას. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში არ შეინიშნება ანთროპოლოგიური ტიპის რაიმე რეალური დიფერენციაციის კვალი, რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთიანი წარმომავლობის უტყუარი მაჩვენებელია.

ზოგადად, ასეთია მსგავსებისა და განსხვავების ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ აღრე, განვითარებულ და გვიანი შუასაუკუნეების განზოგადებული მონაცემების ურთიერთდაპირისპირებას. ცხადია, აქ მთავარი ტიპოლოგიური ერთიანობაა, ხოლო მორფოლოგიური განსხვავებები პოლიმორფიზმითა და ცვალებადობით სივრცესა და დროში უნდა აიხსნას.

საქართველოს თანამედროვე ლოკალური ტიპები ჩამოყალიბდნენ ადგილობრივ, უძველესი ანთროპოლოგიური ტიპების შინაგანი განვითარების გზით, რაიმე სხვა ელემენტების საგრძნობი ზეგავლენის გარეშე.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიური პოლიმორფიზმი

თანამედროვე კრანიოლოგიური სერია ის შემაერთებელი ჯაჭვია, რომელიც შეუსაუკუნეებისა და თანამედროვე მოსახლეობას შორის არსებობს, რადგან გვაძლევს საშუალებას პალეოანთროპოლოგიური მონაცემების სომატოლოგიურ მონაცემებზე გადატანის საშუალებას. თანამედროვე კრანიოლოგიური სერიის მოპოვება ძალზე რთულია მორალური თვალსაზრისით და ამიტომ კოლექციის რაოდენობა ყოველთვის ბევრად ნაკლებია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო.

დღეს ჩვენს განკარგულებაშია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სულ რამდენიმე კოლექცია: ყველაზე სოლიდური აჭარლების სერია ბათუმიდან და მოიცავს 34 მამაკაცისა და 26 ქალის თავის ქალას; ავენისში მოპოვებული 5 მამაკაცისა და 7

დედაკაცის თავის ქალა მნიშვნელოვანია რადენიმე თვალსაზრისით. ავენისი მთის წინა ზოლია, სადაც ადრეულ შუასაუკუნეებში ბრაქიკეფალიზაციისა და ეუროპოზოპიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. გარდა ამისა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ფონდში დაცულია აფხაზე-ბის სერია, რომელიც 44 მამაკაცისა და 17 ქალის თავის ქალას მოიცავს. სერია მ. აბდუშელიშვილის¹ მიერ შესწავლილი იყო მოსკოვში, 1950 წელს, ხოლო ინდივიდუალური განაზომების ბლანკები განყოფილების ფონდშია დაცული, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ და ბოლოს ზუგდიდში რამდენიმე პუნქტში - „მედანა“, „წალენჯიხა“, „უჩაბონა“ მოპოვებული 9 მამაკაცისა და 3 ქალის თავის ქალები ინახებიან ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გაზომილია ა. ნათიშვილისა და მ. აბდუშელიშვილის მიერ.

ამრიგად, თანამედროვე კრანოლოგიური მასალები უფრო მეტად დასავლეთ საქართველოს აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოს რეგიონიდანაა, როდესაც ძველი და უძველესი სერიები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია მოპოვებული (ცხრ. 4).

ავენისში მოპოვებული თანამედროვე თავის ქალების მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობის დაპირისპირებით ერთი მხრივ, ამავე პუნქტში მოპოვებულ სერიებს განვითარებულ და გვიანი შუასაუკუნეები და მეორე მხრივ, დუშეთის რაიონში მცხოვრებ თანამედროვე მოსახლეობას (გუდამაყრელებს, მთიელებს), რომლებიც კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსით ხასიათდებიან.

ზოგადად, ავენისის სერიის კრანოლოგიურმა პოლიმორფიზმა უნდა გვიპასუხოს კითხვაზე კრანოლოგიურად, როგორია კავკასიონის ტიპის მორფოლოგიური ცვალებადობა.

ავენისის (დუშეთი) სერიის მამაკაცებისათვის დამახასიათებელია მცირე გრძივი და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრები, თავის ქალას მაჩვენებელი ბრაქიკრანული, თუმცა 1 მეზოკრანული ფორმაც ფიქსირდება. აღსანიშნავია სერიის პოლიმორფულობა, ბრაქიკრანული თავის ქალები ხასიათდებიან, როგორც ვიწრო, საშუალო და განიერი შუბლით; მცირე, საშუალო და ძალიან დიდი სახის ზედა სიგანით; სახის ძალიან მცირე, საშუალო და დიდი სიგანით; ყვრიმალთაშუა დიამეტრი ამ სერიაში არ აღწევს იმ მაქსიმალურ მნიშვნელობას, რითაც გამოირჩევა კავკასიონის ტიპი და ძირითადად საშუალოზე დიდი ზომები აღინიშნება; თვალბუდეები განიერი და მცირე სიმაღლის, ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი, უნაგირი საშუალო სიმაღლის, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან ძალიან დიდი, სახე მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში.

დედაკაცების სერიისათვის დამახასიათებელია: საშუალო გრძივი და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრები, თავის ქალას მაჩვენებელი ბრაქიკრანული, თუმცა მეზოკრანულ ფორმებთან ერთად ჰიპერბრაქიკრანულიც ვლინდება. ქალებს ახასიათებთ: განიერი შუბლი, საშუალო სახის ზედა სიგანე და მცირე სახის შუა სიგანე, საშუალოზე მცირე ყვრიმალეები, განიერი და საშუალო სიდიდის თვალბუდეები, საშუალო სიგანის და საშუალოზე მაღალი ცხვირი, მკვეთრად წინ წარხიდული, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი, სახე მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი ვერტიკალურში.

¹ Абдушелишвили М.Г. К краниологии древнего и современного населения Кавказа. Тб. "Мецниереба", 1966.

კაცებთან განსხვავებით ქალებში 1 მეზოგნატული სახის საერთო კუთხე და ერთიც საშუალოზე მაღალი ნაზომალარული კუთხე აღინიშნება. სხვა დანარჩენი ნიშნები ამავე თავის ქალებზე ნორმალური ცვალებადობის ფარგლებში ვარიირებს. აღსანიშნავია, რომ დიდი (146,4), ნაზომალარული კუთხე ჰიპერბრაქიკრანულ თავის ქალაზე დაფიქსირებული. ჩვენი აზრით, რადგან ქალების თავის ქალასთვის დამახასიათებელია შუბლის ძვლის ქიცვის ვერტიკალური მდგომარეობა, ხოლო ბორცვები გამოკვეთით აქვთ გამოხატული, ნაზიონი (n), რომელიც იღებს მონაწილეობას ზედა ვერტიკალურ კუთხის გაზომვაში აგებულებიდან გამომდინარე უფრო დაბლა ფიქსირდება. გარდა ამისა. ბრაქიკეფალიზაციას თან სდევს სახის განივი ზომების ზრდა, რაც თავის თავად ცვლის სახის იერს, ხოლო ამ შემთხვევაში მათ კუთხის დაბალი მნიშვნელობა სხვა ნიშნებთან ერთად თავის ქალას ვეროპეიდული რასისადმი კუთვნილებას ადასტურებს. ეს კრანოლოგიური ფორმა უკვე არა ხმელთაშუაზღვისპირული (მედიტერანული), არამედ წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებია კავკასიური თავისებურებებით.

აჭარლების (ბათუმი) სერია წარმოდგენილია 34 მამაკაცისა და 26 ქალის თავის ქალათი. სერია ძალზე პოლიმორფულია. მამაკაცებში გამოვლენილია თავის ქალას რამდენიმე ფორმა: დოლიქოკრანული (1), მეზოკრანული (15), ბრაქიკრანული (7), ჰიპერბრაქიკრანული (5) და ულტრაბრაქიკრანული (1). რაოდენობრივად მეზოკრანები ჭარბობენ. ასევე ცვალებადია თვალბუდის მაჩვენებელი, გამოვლენილია: ჰამოკონჰური (1), მეზოკონჰური (11) და ჰიპოკონჰური (15) თვალბუდეები; ცხვირის მაჩვენებლის მიხედვით აღინიშნება ლეპტორინული (13), მეზორინული (4) და ჰამერინული (4) ცხვირი. ყველაზე ცვალებადი სიმოტური და დაკრიონული მაჩვენებლებია. სიმოტური მაჩვენებლის მიხედვით ძირითადად საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ხოლო განაწილება შემდეგნაირია: მცირე (3), საშუალო (6), დიდი (11) და ძალიან დიდი (3). დაკრიონული მაჩვენებელი სიმოტურთან ერთად ცხვირის უნაგირის სიმაღლეზე მიუთითებს. აჭარლებს ძირითადად საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ: მცირე (1), საშუალო (7), დიდი (9) და ძალიან დიდი (7). აღსანიშნავია სერიაში სახის ზედა მაჩვენებლის განაწილება. სერიაში გამოვლენილია თითქმის ყველა გრადაცია მაჩვენებლისა: ეუროპროზოპული (5), მეზოპროზოპული (7), ლეპტოპროზოპული (3) და ჰიპერლეპტოპროზოპული (1) სახე. ამ ყოველივედან ჩანს, რომ მოსახლეობა მეტად ცვალებადია. აღსანიშნავია, რომ ავენისის სერიისაგან განსხვავებით ბათუმის სერიას უფრო მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრი და უფრო დიდი გრძივი დიამეტრი ახასიათებთ. ორივე შემთხვევაში სახე მკვეთრად პროფილირებული, ორთოგნატული, უნაგირი მაღალი. ქალები ძირითადად იმეორებენ ზემოთ აღნიშნულ ცვალებადობას. ამ სერიაშიც მეზოკრანები ჭარბობენ, თუმცა უმნიშვნელოდ, რადგან 7 დოლიქო, 9 მეზო და 2 ბრაქიკრანული ფორმებია დაფიქსირებული.

რაოდენობრივი შეფასება, რა თქმა უნდა პირობითია, რადგან დამოკიდებულია შემთხვევითობაზე (თუ რომელი სამარხი გაიხსნა). გარდა ამისა ჩვენ არ ვიცით რეალური რიცხვი იმ მოსახლეობისა (პოპულაციისა), რომელიც თავის მიცვალებულებს კრძალავდა კონკრეტულ სამაროვნის ტერიტორიაზე და ა. შ. ამიტომ მნიშვნელოვანია ზოგადი ტენდენციის გამოვლენა, როგორც ეს იყო ადრემშუასაუკუნეების განხილვისას აღნიშნული, რაც შეეხება ამ სერიის ქალების კრანოლოგიურ პოლიმორფიზმს, მიუხედავად ზოგადი ცნებისა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით ბრაქიკეფალია მეტად ახასია-

თებთ, ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო სურათია (7 დოლიქო, 9 მეზო და 2 დოლიქოკრანული) სახეზე, სხვა დანარჩენი ნიშნით განსხვავება არ აღინიშნება.

ზუგდიდი (სამეგრელო) წარმოდგენილია რამდენიმე პუნქტში მოპოვებული მასალით, ზოგადად, სამეგრელოს თანამედროვე მოსახლეობას ახასიათებს: ბრაქიკრანული თავის ქალას ფორმა, მაღალი ქალას სიმაღლე (ba-b), განიერი შუბლი, დაბალი სახე, განიერი ზედა ნაწილში და საშუალო სახის შუა ნაწილში, ყვრიმალთაშუა დიამეტრი ზომიერი, თვალბუდეების სიგანე და სიმაღლე საშუალოზე დაბალი, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირი, საშუალოზე მაღალი უნაგირით, სახე მკვეთრად პროფილირებული პორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ ჭრილში, ამავე რეგიონის ქალებისათვის დამახასიათებელია: ბრაქიკრანია, მაღალი სახე, სახის ზედა სიგანე დიდი, ხოლო სახის შუა სიგანე და ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, განიერი და მაღალი თვალბუდეები, საშუალო სიგანისა და მაღალი ცხვირი, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, სახე ორთოგნატული, პროფილირებული. სამწუხაროდ უმეტესი ნიშანი აღებულია ერთ თავის ქალაზე, ამიტომ ზოგიერთ ნიშნებში შეინიშნება ინდივიდუალური ვარიაციის კვალი.

აფხაზები (სოხუმი) სერიის დამახასიათებელი ნიშნებია: მცირე გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, თავის ქალას მაჩვენებელი მაღალი (ბრაქიკრანული), შუბლი ზომიერი სიგანის, სწორი შუბლი, სახის ფუძის სიგრძე მცირე, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალო, სახის ზედა სიგანე საშუალო, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის. მაღალი უნაგირით, მკვეთრად წინ წარზიდული, ორბიტები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, სახე პროფილირებული პორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი ვერტიკალურში.

ეს ზოგადი დახასიათება საერთოა მამაკაცებსა და დედაკაცებისათვის. განსხვავება სქესთა შორის თავის ქალას ფორმების მიხედვითაც არ აღინიშნება. გამოთვლილ სერიებში თავის ქალას ფორმების განაწილება ძალზედ მსგავსია. მამაკაცებში დოლიქო და მეზოკრანული 23,8%, ბრაქიკრანული 31,0%, ჰიპერბრაქიკრანული 38,1%, ულტრაბრაქიკრანული 7,1%. იგივე ფორმები დედაკაცების სერიაში შემდეგი შემცველობით აღინიშნება – მეზოკრანული 23,5%, ბრაქიკრანული 29,4%, ჰიპერბრაქიკრანული 41,2%. და ულტრაბრაქიკრანული 5,9%. თუ ბრაქიკრანულ სერიების შემცველობას შევაჯამებთ, მაშინ მსგავსება აბსოლუტურია (მამაკაცებში, 23,8% დოლიქო-მეზო და 76,2%. ბრაქიკრანია, ხოლო დედაკაცებში 23,5% და 76,5% შესაბამისად).

ამრიგად, დავასრულეთ ჩვენს ხელთ არსებული მასალის დახასიათება. თანამედროვე მოსახლეობის კრანოლოგიური პოლიმორფიზმის საფუძველზე მოსახლეობა განეკუთვნება ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ინტერესს არ არის მოკლებული იმ მორფოლოგიური თავისებურებების აღნიშვნა, რომელიც კონკრეტულად ამა თუ იმ სერიას აკავშირებს საქართველოს ამა თუ იმ ანთროპოლოგიურ ტიპთან. აჭარლების, მეგრელების და აფხაზების კრანოლოგიური სერიები, შედარებით ვიწრო სახითა და ცხვირით უსათუოდ კოლხური ტიპის წარმომადგენლები არიან. ავენისის კრანოლოგიურ სერიაში შეინიშნება კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი შედარებით ფართო სახე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბრაქიკეფალიზაციის პროცესი განხილულ სერიებში არ არის ბოლომდე მისული, რადგან ყველა სერიაში ჯერ კიდევ მეზოკრანების საკმაო რაოდენობა არის დაფიქსირებული.

პირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება საქართველოს მოსახლეობაში
 უძველესი დროიდან თანამედროვეს ჩათვლით (კაცები)

ნიშნები	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
ადრე ბრინჯაო	N	26	24	5	4	2	6	1	3	18	15	5	2	7	9	8	8	5	4	1	2	6	3	-	5	5
	X	191,9	139,8	150,8	119	113	73	86	120,7	100,7	106,7	97,8	129	41,43	34,78	26	53,13	8,52	4,925	17	11,3	10,32	87	-	136,8	121
	x	2,163	1,678	7,625	6,232	7	1,693	-	0,333	1,231	1,255	2,2	3	0,751	1,011	1,069	0,934	1,335	0,811	-	0,7	0,987	3,215	-	3,294	2,783
	V	121,6	67,54	290,7	155,3	98	17,2	-	0,333	27,29	23,64	24,2	18	3,952	9,194	9,143	6,982	8,917	2,629	-	0,98	5,842	31	-	54,25	38,73
	δ	11,03	8,218	17,05	12,46	9,899	4,147	-	0,577	5,224	4,862	4,919	4,243	1,988	3,032	3,024	2,642	2,986	1,621	-	0,99	2,417	5,568	-	7,365	6,223
შუა ბრინჯაო	N	14	13	5	4	3	7	4	3	15	11	7	6	9	9	7	7	7	6	5	5	7	3	1	5	4
	X	194,6	139,2	135,6	112	105	73,86	61,25	121	102,7	105,7	93,43	136	41,22	33,56	26	52,14	10,49	6,3	21,46	10,56	5,5	91	71	141,2	125
	x	3,341	1,709	1,691	4,223	3,786	1,792	5,633	3,512	2,212	1,903	2,506	2,049	1,234	0,648	0,756	1,01	0,294	0,538	1,655	1,383	0,468	1,732	0	1,598	2,092
	V	156,2	37,97	14,3	71,33	43	22,48	126,9	37	73,38	39,82	43,95	25,2	13,69	3,778	4	7,143	0,605	1,736	13,7	9,563	1,533	9	0	12,76	17,51
	δ	12,5	6,162	3,782	8,446	6,557	4,741	11,27	6,083	8,566	6,31	6,63	5,02	3,701	1,944	2	2,673	0,778	1,318	3,701	3,092	1,238	3	0	3,572	4,184
ძვენი ბრინჯაო	N	55	59	16	15	5	18	11	12	59	49	15	9	15	23	16	17	12	14	4	3	20	7	5	23	9
	X	191,7	134,9	141	110,3	97,4	73,61	69,27	123,8	98,47	102,8	92,47	129,9	42,13	34,7	24	56,18	9,992	5,35	17,18	12	6,7	86,86	44,8	136,1	118,2
	x	1,151	0,931	2,084	1,894	3,385	1,121	0,864	1,192	0,643	2,207	1,627	1,541	0,593	0,608	0,483	1,008	0,477	0,363	2,551	1,852	0,56	1,223	4,63	1,293	1,161
	V	72,8	51,15	69,47	53,81	57,3	22,6	8,218	17,06	24,39	238,7	39,7	21,36	5,267	8,494	3,733	17,28	2,728	1,844	26,03	10,29	6,265	10,48	107,2	38,44	12,13
	δ	8,532	7,152	8,335	7,336	7,57	4,754	2,867	4,13	4,939	15,45	6,3	4,622	2,295	2,914	1,932	4,157	1,652	1,358	5,102	3,208	2,503	3,237	10,35	6,2	3,483
რკინა	N	65	69	30	30	25	30	5	14	63	65	34	13	31	32	37	33	26	26	19	19	44	28	24	44	31
	X	191,4	138,6	137,6	107,3	100,1	71,03	66,6	118,9	98,67	105	93,38	130	42,27	33,64	24,33	52,75	9,881	5,458	21,87	13,68	6,436	86,18	52,17	135,4	120,8
	x	1,165	1,079	1,448	1,592	1,213	0,88	1,536	2,023	0,756	0,66	0,899	1,593	0,372	0,308	0,271	0,672	0,344	0,269	0,447	0,535	0,397	0,845	2,018	0,936	0,975
	V	88,22	80,34	62,87	76,06	36,78	23,21	11,8	57,3	35,97	28,31	27,46	33	4,281	3,039	2,721	14,88	3,086	1,877	3,802	5,448	6,923	20	97,71	38,59	29,46
	δ	9,392	8,963	7,929	8,721	6,064	4,817	3,435	7,57	5,997	5,321	5,24	5,745	2,069	1,743	1,65	3,858	1,757	1,37	1,95	2,334	2,631	4,473	9,885	6,212	5,428
ადრე ანტიკური	N	58	44	18	19	14	32	9	15	51	44	23	11	31	36	33	32	32	29	16	15	28	18	13	23	17
	X	186,7	136,8	134,3	101,3	97,64	70,22	69	115,9	97,43	104,4	94,17	130,2	40,9	33,33	24,82	52	10,31	4,924	21,68	11,43	4,618	85,33	51,54	137,3	124,5
	x	1,243	0,98	0,84	0,82	1,025	0,697	1,453	1,39	0,71	0,702	0,854	0,952	0,326	0,698	0,402	0,44	0,366	0,223	0,677	0,313	0,358	0,695	1,249	1,049	1,279
	V	89,66	42,24	12,71	12,76	14,71	15,53	19	28,98	25,69	21,69	16,79	9,964	3,29	17,54	5,341	6,194	4,295	1,448	7,339	1,47	3,581	8,706	20,27	25,32	27,8
	δ	9,469	6,499	3,565	3,572	3,835	3,941	4,359	5,383	5,069	4,657	4,097	3,157	1,814	4,188	2,311	2,489	2,073	1,203	2,709	1,212	1,892	2,951	4,502	5,032	5,273

ნიშნები	1	8	17	5	40	48'	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
ელინსტური	N	50	41	16	15	8	22	17	18	53	44	26	15	24	31	23	26	29	26	19	16	22	18	13	24	27
	X	191	136,9	137,9	104,1	99,13	73,68	69,94	116,8	96,09	104	95,5	132,5	42,53	32,81	24,58	53,31	8,99	5,031	30,22	11,38	4,95	86,89	53,23	134,3	125
	x	1,606	0,942	1,848	1,533	2,013	1,078	1,052	6,425	0,702	0,793	1,13	0,995	0,54	0,381	0,409	0,688	0,318	0,278	8,672	0,527	0,535	0,636	3,078	1,308	1,272
	V	128,9	36,36	54,65	35,27	32,41	25,56	18,81	743	26,09	27,67	33,22	14,84	7,001	4,495	3,843	12,3	2,925	2,009	1429	4,445	6,307	7,281	123,2	41,08	43,66
	δ	11,36	6,03	7,393	5,939	5,693	5,056	4,337	27,26	5,108	5,26	5,764	3,852	2,646	2,12	1,96	3,507	1,71	1,417	37,8	2,108	2,511	2,698	11,1	6,409	6,608
გვიან ანტიკური	N	109	99	24	22	15	42	31	14	90	88	38	31	53	62	47	45	35	30	31	26	46	18	12	58	26
	X	189,1	135,2	135,3	104,2	99,4	70,48	67,77	119,9	96,99	104,7	94	130,7	42,08	33,9	25,23	53,71	9,554	4,733	21,62	10,85	5,073	86,56	49,08	136,9	122,9
	x	0,809	0,657	1,422	1,287	2,037	0,841	1,078	2,364	0,545	0,451	0,889	1,355	0,292	0,412	0,54	0,761	0,314	0,238	0,409	0,314	0,251	0,821	2,311	0,811	0,955
	V	71,26	42,67	48,54	36,44	62,26	29,72	36,05	78,23	26,78	17,93	30	56,88	4,533	10,5	13,7	26,03	3,446	1,7	5,191	2,557	2,908	12,14	64,08	38,19	23,72
	δ	8,442	6,532	6,967	6,037	7,89	5,452	6,004	8,845	5,174	4,234	5,477	7,542	2,129	3,241	3,702	5,102	1,856	1,304	2,278	1,599	1,705	3,485	8,005	6,18	4,871
ადრე შუა საუკუნები	N	71	76	23	25	17	71	76	23	25	17	71	76	23	25	17	71	76	23	25	17	25	13	6	66	61
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	183	131,6	131,4	101,3	95,12	183	131,6	131,4	101,3	95,12	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558
განვითარებულ შუა საუკუნები	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353
გვიანი შუა საუკუნები	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353
თანამედროვე	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353

პირითადი კრანოლოგიური ნიშნების განაწილება საქართველოს მოსახლეობაში
უძველესი დროიდან თანამედროვეს ჩათვლით (ქალები)

ნიშნები	1	8	17	5	40	48	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
ადრე ბრინჯაო	N	14	11	5	5	3	7	1	5	12	10	4	-	6	5	7	7	5	5	5	5	7	3	2	8	3
	X	182,9	136,2	127,4	101,8	96	64,57	56	101,4	96,42	102,3	91	-	39,83	35,4	24,71	46,57	10,32	4,88	20,78	10,52	7,5	87,67	55,5	142,9	127,6
	x	1,938	1,767	2,379	1,934	3,215	1,925	-	4,297	1,626	1,453	2,041	-	0,543	2,315	0,837	1,288	0,56	0,435	0,91	0,237	0,569	1,453	5,5	2,062	2,807
	V	52,59	34,36	28,3	18,7	31	25,95	-	92,3	31,72	21,12	16,67	-	1,767	26,8	4,905	11,62	1,567	0,947	4,142	0,282	2,263	6,333	60,5	34	23,64
	δ	7,252	5,862	5,32	4,324	5,568	5,094	-	9,607	5,632	4,596	4,082	-	1,329	5,177	2,215	3,409	1,252	0,973	2,035	0,531	1,504	2,517	7,778	5,831	4,862
შუა ბრინჯაო	N	13	8	1	1	1	3	-	1	7	5	1	3	6	4	4	3	3	3	4	3	3	1	1	3	1
	X	185,1	138	137	93	93	63,33	-	110	98,71	102	87	121	38,83	31,75	24,75	44	10,1	4,1	21,73	10,1	4,567	85,5	53	136	116,6
	x	2,472	1,102	-	-	-	0,667	-	3	3,115	0,837	3	2,646	1,352	1,548	0,854	0,577	1,514	0,924	1,665	1,701	0,657	0,5	0	1,183	2,39
	V	79,41	9,714	-	-	-	1,333	-	18	67,9	3,5	18	21	10,97	9,583	2,917	1	6,88	2,56	11,08	8,68	1,293	0,5	0	4,198	11,42
	δ	8,911	3,117	-	-	-	1,155	-	4,243	8,24	1,871	4,243	4,583	3,312	3,096	1,708	1	2,623	1,6	3,329	2,946	1,137	0,707	0	2,049	3,38
ბრინჯაო	N	17	15	7	5	3	4	3	2	18	11	4	2	5	7	5	4	2	-	-	-	4	3	0	7	3
	X	181,5	131,4	132,3	99,2	94	66,5	73,67	105	94,83	99,27	93,28	121	39,2	33	24,8	48	9,9	-	-	-	6,375	82,33	0	139,4	124,2
	x	1,959	1,635	2,504	0,583	1,155	2,466	8,762	-	0,947	1,447	3,015	-	1,594	0,873	1,319	2,708	-	-	-	-	2,427	2,028	0	1,768	1
	V	65,26	40,11	43,9	1,7	4	24,33	230,3	-	16,15	23,02	36,37	-	12,7	5,333	8,7	29,33	-	-	-	-	23,56	12,33	0	21,87	3
	δ	8,079	6,334	6,626	1,304	2	4,933	15,18	-	4,018	4,798	6,031	-	3,564	2,309	2,95	5,416	-	-	-	-	4,854	3,512	0	4,677	1,732
რკინა	N	26	34	24	23	20	11	14	2	8	28	26	13	17	19	16	15	16	16	8	8	18	13	8	20	5
	X	182,6	134,4	131,6	131	98,8	93,36	67,43	76	109,3	96,18	101,2	88,08	41,34	33,54	23,58	49,63	9,769	4,438	20,41	12,61	6,567	86,15	55,75	138,4	120,4
	x	1,606	1,124	1,609	1,529	1,209	2,209	1,123	14	2,827	1,001	0,799	1,185	0,492	0,432	0,465	0,705	0,707	0,268	1,497	1,048	0,764	1,148	1,532	1,734	1,315
	V	67,05	42,97	62,16	53,77	29,22	53,65	17,65	392	63,93	28,08	16,62	18,24	4,111	3,542	3,459	7,445	7,996	1,153	17,93	8,79	10,5	17,14	18,79	60,12	8,651
	δ	8,188	6,555	7,884	7,333	5,406	7,325	4,201	19,8	7,996	5,299	4,076	4,271	2,028	1,882	1,86	2,729	2,828	1,074	4,234	2,965	3,24	4,14	4,334	7,754	2,941
ადრე ანტიკური	N	164	125	125	87	34	53	59	97	85	93	80	117	37	30	20	43	7	1,8	18	6,9	0,1	80	46	126,4	118,3
	X	179,8	134,1	131,9	99,23	88,38	67,22	65,2	108,9	96,54	101,9	91	123,9	40,13	33,16	23,71	49,92	9,814	4,055	22,23	10,43	3,648	85,75	57,64	139,4	126,6
	x	1,042	0,914	0,827	1,425	4,07	1,319	1,715	2,168	0,633	0,727	1,009	1,162	0,41	0,411	0,348	0,612	0,427	0,423	0,582	0,367	0,333	0,784	1,765	1,54	1,411
	V	41,27	31,74	15,72	44,66	265,1	40	14,7	46,99	16,4	18,49	21,4	18,9	4,027	4,223	2,911	9,754	4,012	3,943	6,104	2,291	3,001	12,3	43,63	59,26	39,82
	δ	6,424	5,634	3,965	6,683	16,28	6,324	3,834	6,855	4,05	4,3	4,626	4,348	2,007	2,055	1,706	3,123	2,003	1,986	2,471	1,514	1,732	3,508	6,605	7,698	6,31

ნიშნები	1	8	17	5	40	48	48"	47	9	43	46	45	51	52	54	55	SC	SS	DC	DS	FC	72	75	77	ZM	
კლინიტური	N	38	33	20	20	18	24	16	20	40	38	21	13	26	26	23	24	23	20	16	14	24	17	14	31	22
	X	183,7	134,8	130,9	99,75	95	68,63	64,19	111,4	94,55	101,7	92,67	125,4	40,92	32,75	23,7	49,67	8,948	4,38	20,94	9,907	4,571	84,94	56	136,4	125,6
	x	1,204	1,253	1,256	1,031	1,489	0,959	1,022	1,522	0,609	0,648	0,852	1,496	0,569	0,399	0,296	0,471	0,332	0,204	0,63	0,358	0,43	0,937	1,822	0,89	1,227
	V	55,06	51,78	31,57	21,25	39,88	22,07	16,7	46,34	14,82	15,95	15,23	29,09	8,426	4,129	2,017	5,319	2,53	0,83	6,357	1,793	4,444	14,93	46,46	24,58	33,14
	δ	7,421	7,196	5,619	4,61	6,315	4,698	4,086	6,808	3,849	3,994	3,903	5,393	2,903	2,032	1,42	2,306	1,591	0,911	2,521	1,339	2,108	3,864	6,816	4,958	5,756
გვიან ანტიკური	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353
ადრე შუა საკუნეები	N	71	76	71	76	23	71	76	23	71	76	23	71	76	23	25	71	76	23	25	17	71	76	23	25	17
	X	183	131,6	183	131,6	131,4	183	131,6	131,4	183	131,6	131,4	183	131,6	131,4	101,3	183	131,6	131,4	101,3	95,12	183	131,6	131,4	101,3	95,12
	x	1,043	0,761	1,043	0,761	1,128	1,043	0,761	1,128	1,043	0,761	1,128	1,043	0,761	1,128	1,398	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	1,043	0,761	1,128	1,398	1,445
	V	77,3	43,97	77,3	43,97	29,26	77,3	43,97	29,26	77,3	43,97	29,26	77,3	43,97	29,26	48,89	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	77,3	43,97	29,26	48,89	35,49
	δ	8,792	6,631	8,792	6,631	5,409	8,792	6,631	5,409	8,792	6,631	5,409	8,792	6,631	5,409	6,992	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	8,792	6,631	5,409	6,992	5,957
განვითარებული შუა საკუნეები	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353
გვიანი შუა საკუნეები	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353
თანამედროვე	N	71	76	23	25	17	25	13	6	66	61	21	18	31	33	29	26	16	15	12	12	22	11	12	30	15
	X	183	131,6	131,4	101,3	95,12	66,36	63,85	111,5	95,52	102,3	90,33	123,6	40,13	33,62	23,62	49,58	9,969	4,553	20,21	11,07	4,345	86,91	58,08	137	124
	x	1,043	0,761	1,128	1,398	1,445	0,961	1,018	1,544	0,746	0,584	1,157	1,106	0,314	0,384	0,274	0,654	0,499	0,319	1,002	0,407	0,484	1,659	2,42	1,156	1,64
	V	77,3	43,97	29,26	48,89	35,49	23,07	13,47	14,3	36,78	20,77	28,13	22,03	3,049	4,859	2,172	11,13	3,988	1,526	12,04	1,99	5,155	30,29	70,27	40,1	40,36
	δ	8,792	6,631	5,409	6,992	5,957	4,803	3,671	3,782	6,064	4,558	5,304	4,693	1,746	2,204	1,474	3,337	1,997	1,235	3,469	1,411	2,27	5,504	8,382	6,333	6,353

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავის მანვენებლით. სხეულის სიმაღლით, თავის გრძივი და განივი დიამეტრებით, ყვრიმალთაშორის დიამეტრით, ქვედა ყბის დიამეტრით, სახის ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლით, ცხვირის სიგანით, გულმკერძზე თმოვანი საფარველის განვითარებით, თმებისა და თვალის ფერით და ა. შ.¹ კრანიოლოგიურად ამ ჩამონათვალს, რამდენიმე ნიშანი შეესაბამება: თავის ქალას მანვენებელი, ყვრიმალთაშორის დიამეტრი, გრძივი და განივი დიამეტრები, ცხვირის სიგანე. რათქმაუნდა არ შეიძლება მონაცემების პირდაპირი შედარება, რადგან ყვრიმალთაშორის დიამეტრი ცოცხალ ინდივიდზე 7-8 მმ მეტია რბილი ქსოვილების ხარჯზე². მონაცემთა დაპირისპირება ძალზე რთულია, რადგან ნამარხ მასალაში ხშირად სხვადასხვა თაობას ვადარებთ ერთმანეთს, ხოლო თანამედროვე მოსახლეობის შესწავლისას პოპულაციიდან, გენერალიზირებული ამონაკრევი უნდა ასახავდეს ასაკობრივ განაწილებას (დაახლოებით 25% შეადგენს პირველი, 50% მეორე და 25% მესამე ასაკობრივი ჯგუფები), თანაც მასალა უნდა იყოს აღებული რაც შეიძლება მოკლე ვადებში (შესაბამისობისთვის).

სერიების საშუალო მონაცემებიდან რამდენიმე ნიშნის მიხედვით ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, ამ შემთხვევაში ავენისის სერია ხასიათდება მცირე გრძივი და დიდი განივი დიამეტრებით, ქალას მანვენებელი მათ ძალიან მაღალი აქვთ. ამ ნიშნით მათ აფხაზები უახლოვდებიან, რადგან მათაც მცირე გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, ქალას მანვენებელი ბრაქიკრანული (მცირე გრძივი დიამეტრის გამო) ახასიათებთ, მეგრელებს და აჭარლებს ასევე ბრაქიკრანია ახასიათებთ. მათში ბრაქიკრანია დიდი (აჭარლები) და ძალიან დიდი (მეგრელები) განივი დიამეტრის სიდიდით არის გამოწვეული. ზუგდიდის სერია გამოირჩევა ძალიან განიერი შუბლით და ყვრიმალებით, დაბალი ცხვირით და დაბალი სახის სიმაღლით. აჭარლების განმასხვავებელი ნიშანია ვიწრო ცხვირი, აფხაზებისათვის საშუალო სიგანის ყვრიმალები, ხოლო საშუალო ცხვირის სიგანით ისინი აჭარლებთან მსგავსებას ამჟღავნებენ. ავენისის განმასხვავებელი ნიშანია საშუალოზე მაღალი ცხვირი, მკვეთრი ბრაქიკრანია. მთლიანობაში ამ ნიშანთა კომპლექსით თანამედროვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დღესაც უფრო მეტად დიფერენცირდება.

ძირითადი კრანიოლოგიური ნიშნების მიხედვით კარგად გამოჩნდა მოსახლეობის ეპოქალური ძვრები ადრებრინჯაოდან თანამედროვეობის ჩათვლით (ცხრ.№1-2). გამოკვლეულთა მცირე რაოდენობის გამო ადრეულ ეპოქებში თანმიმდევრული ცვალებადობა ეპოქიდან ეპოქამდე, როგორც თავის სამი ძირითადი დიამეტრის, ასევე სხვა ნიშნებითაც არათანმიმდევრულია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ცხვირის სიგანე, სახის პროფილირების შუა კუთხე, დაკრიონული და სიმოტური სიმაღლეების მიხედვით უდაოდ მოსახლეობის მემკვიდრეობითობა სახეზეა, რაც შეეხება ყვრიმალთაშუა დიამეტრს ამ ნიშნის ათასწლეულების მიხედვით ანალიზმა გამოავლინა ეპოქალური ცვლილებები. ვიწროსახიანი ფორმებიდან ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე საქართველოს მოსახლეობა განიერი ყვრიმალებით და მკვეთრად პროფილირებული სახით³.

¹ Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб."Мецниереба", 1964.

² Рогинский Я.Я., Левин М.Г. Антропология. М. Высш. школа, 1978. , с. 107

³ Абдушлишвили М.Г. Палеоантропологический материал из поздних погребений Самтаврского могильника. Труды Ин-та экспериментальной морфологии АН ГССР, Тб.,1960.,т.VIII; Абдушлишвили М.Г. Об эпохальной изменчивости антропологических признаков. Кр.сообщ. Института этнографии, М. 1960., т.XXXIII

უძველესი მოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების გავრცელების მიხედვით

საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი განპირობებულია მისი გეოარქიტექტონიკით, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით და განსხვავებულ კლიმატში ვლინდება. ბუნებრივი ლანდშაფტის მრავალფეროვნებამ საქართველოს ტერიტორიაზე ხელი შეუწყო ადაპტაციური კომპლექსების ჩამოყალიბებას მოსახლეობაში. ისტორიულად მაღალმთიანი ლანდშაფტი ერთის მხრივ, წარმოადგენდა ბუნებრივ ბარიერს და ხელს უწყობდა პოპულაციის იზოლაციას. ამავე დროს, იზოლაციის პირობებში ბუნებრივი გარემოს ზეწოლის ქვეშ, გადარჩევის შედეგად ყალიბდებოდა პოპულაციების ადაპტაცია კონკრეტულ გარემო პირობებთან. ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგია, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომლებიც დღესაც ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ.

პალეომოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქციები განხორციელებულია ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების, ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებლების, ტრავმული დაზიანებების ანალიზის საფუძველზე. მნიშვნელოვნად ითვლება ძველი მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის კვლევა. ნამარხი მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების, ეთნიკური ჯგუფების ბიოლოგიური თავისებურებების და მათი კონტაქტების რეკონსტრუქციის ერთადერთ წყაროს ანთროპოლოგიური მასალა წარმოადგენს. მოსახლეობის კულტურული ადაპტაციის შეფასება არქეოლოგიური მონაცემებით ხდება, ხოლო დემოგრაფიული მაჩვენებლებით (სიცოცხლის საშუალო ასაკი, ბავშვთა მოკვდავობა, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას და ა. შ.) და პალეოდავაადებების სპექტრისა და სისწირის მიხედვით-მოსახლეობის ბიოლოგიური ადაპტაციის უნარი და ხარისხი ვლინდება. მოსახლეობა, რაც უფრო მეტად ადაპტირებულია გარემო პირობებთან, მით უკეთესია მისი ბიოლოგიური ადაპტაციის უნარი¹, ხოლო მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ასაკი, საზოგადოების განვითარების მაჩვენებელია. პოპულაციის საშუალო ასაკი, უმეტესწილად, თაობების ხანგრძლივობის მაჩვენებელია და ხშირად ემთხვევა მათი ცვლის ტემპს. ამიტომ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მონაცემები, თაობების ცვლის ტემპი და ადაპტაცია გარემო პირობებთან, მნიშვნელოვანია ჩვენი წინაპრების ბიო-სოციალური სტატუსის რეკონსტრუქციისთვის.

საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განხილულია ნაშრომში “საქართველოს უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა”², რომელშიც სიცოცხლის საშუალო ასაკი გამოთვლილია ეპოქების მიხედვით. ცალკეული რეგიონების მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში დღემდე არ შესწავლილა. ხსენებულ ნაშრომში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოს განვითარებულ შუა საუკუნეების 489 მამაკაცის და 300 ქალის თავის ქალას მიხედვით, ორივე სქესის წამომადგენლებისთვის თანა-

¹ Wright D. A. A method for life expectancy analysis applied to examine the adaptive Variations of previous skeletal populations. Hum. Biol, 1978, v. 50, N2.

² ბითაძე ლ. “საქართველოს უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა”, კილო, 2005, №26, გვ.183-193.

ბარი აღმოჩნდა და 43,9 წელს უდრის. განვითარებულ შუა საუკუნეებში პირველად ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაუთანაბრდა მამაკაცებისას. განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ასაკი რეგიონალურ ჭრილში წარმოდგენილია №3 ცხრ.-ში. სიცოცხლის საშუალო ასაკი რეგიონებს შორის 36,7-46,8 წლების ფარგლებში მერყეობს.

ცხრ.№3

განვითარებული შუასაუკუნეების ცალკეული რეგიონების მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა

	ქართლი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	ქინვალი	შატილი
	1	2	3	4	5	6
N	25	33	19	63	68	39
Min	17	22,5	22	19	15,5	22,5
Max	60	62,5	60	78	80	65
Mean	36,7	43,0	40,1	46,8	44,9	42,8
Std. error	2,37029	1,63132	2,80129	3,54984	0,72239	3,03838
Variance	117,983	87,8196	133,403	289,832	175,338	156,939
Stand. dev	10,862	9,37121	11,55	17,0245	13,2415	12,5275
Median	37,5	42,5	32,5	47,5	47,5	42,5
Skewness	0,04988	0,27956	0,30975	-0,19208	0,1807	0,181467
Kurtosis	-0,5552	-0,3954	-1,54803	-1,05552	-0,3174	-1,13993

ჩვენი მასალების მიხედვით, სიცოცხლის საშუალო ასაკი აჭარის მაღალმთიან რეგიონში მაქსიმალურია. აჭარის განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობა შესწავლილია ხულოს რაიონის სოფლების თხილვანა, ვერნები, კალოთას სამარხებიდან მოპოვებული მასალის მიხედვით. აღნიშნული სოფლები საშუალოდ ზღვის დონიდან 1110-1500 მ. სიმაღლეზე მდებარეობს¹. აჭარის მოსახლეობის ყველაზე მაღალ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას განაპირობებს ისეთი ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების მცირე გავრცელება, როგორცაა კარიესი და ჰიპეროსტოზები.

იმერეთის მოსახლეობა წარმოდგენილია საგვარჯღილეს სერიით (560 მ. ზღვის დონიდან). ეს სერია მცირერიცხოვნობით გამოირჩევა. საშუალო ასაკი 40,1 წელია (ცხრ.№3). ცვალებადობის დიაპაზონი მინიმალურ და მაქსიმალურ ასაკს შორის 38 წელია, რაც ხულოს მოსახლეობასთან შედარებით 20 წლით ნაკლებია. იმერეთი ის რეგიონია, სადაც ემაღის ჰიპოპლაზია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აღინიშნება. არ ვლინდება კარიესი, ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება კბილების ატროფია. დაბალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ალბათ, განპირობებულია სერიის მცირერიცხოვნობით. ეს შესაძლოა, იმერეთის ამ მიკრო რეგიონის (ერთი პოპულაციის) თავისებურებას ასახავს.

¹ ფუტკარაძე მ. აჭარა-ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. ბათუმი, 2001, გვ. 59.

ქართლის მოსახლეობა წარმოდგენილია მცხეთის, ქარელის, რუსთავის და დმანისში მოპოვებული კრანოლოგიური მასალით, ხოლო დუშეთის რაიონის მასალა წარმოდგენილია მთისწინეთისა (ჟინვალი) და მთის (შატილი) სახით.

ამ პერიოდის ქართლის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 36,4 წელია, რაც ამ პერიოდის საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკზე ბევრად მცირეა. საშუალო ასაკი მოსახლეობაში მძიმე სოციალურ პირობებზე მიუთითებს. ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებიდან გავრცელებულია მცირე რაოდენობით ფ.ქ.ს., ჰიპეროსტოზები, საშუალოა კარიესის და კბილების ატროფიის სიხშირეები. ჩემი აზრით, დაბალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტადაა დაკავშირებული სოციალურ ფაქტორებთან.

კახეთი წარმოდგენილია შემდეგი პუნქტებით: ქვემო ბოდბე (750 მ.), ძველი გავაზი (470 მ.) და მატაანი (412 მ.). ამ კუთხის მოსახლეობის საშუალო ასაკი 43,4 წელია, რაც ამ პერიოდის საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკთან ყველაზე ახლოა (43,9). გარდაცვლილთა ასაკი 22,5-62,5 წლამდე მონაცვლეობს. კახეთის მოსახლეობაში გამოვლენილია საშუალო რაოდენობით ჰიპეროსტოზები და კარიესი, ხოლო ატროფიისა და კბილების ცვეთის სიხშირე მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში XX საუკუნის მიწურულშიც მაღარი ყველაზე მეტი შემთხვევაა გამოვლენილი, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა უფრო დამაკმაყოფილებელია. სავარაუდოდ, ამის მიზეზი საძიებელია ცხოვრების წესში. შესაძლოა, იყენებდნენ სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით მიზანშეწონილი და ეფექტური იყო (გვათუა, 1996).

ამ პერიოდის მასალა მოგვეპოვება დუშეთის რაიონიდანაც. დუშეთის რაიონის მკვეთრი ზონალობის გამო, რეგიონალურ მასალებთან ერთად შევისწავლე დუშეთის დაბალი (ჟინვალი, 760 მ.) და მაღალი ზონის (შატილი 1880 მ.) მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ასაკი და შევადარე სხვა რეგიონების მასალას.

ჟინვალის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 44,9 წელია, ხოლო გარდაცვლილთა ასაკის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ძალიან დიდ დიაპაზონში მერყეობს (15,5-80,0 წელია). გამოკვლეულთა სოლიდური რაოდენობიდან გამომდინარე, სტანდარტული გადახრა მცირეა (0,72), რაც იმაზე მიუთითებს, რომ საშუალო ასაკი (44,9) ძალიან მცირედ მონაცვლეობს. მასალის მოცულობის გაზრდის შემთხვევაშიც ის მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. ჟინვალის მოსახლეობაში ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების მაღალი სიხშირით გავრცელების მიუხედავად (სიცოცხლეშივე კბილების დაკარგვა, კარიესი, კბილების ცვეთა, ფ.ქ.ს), უფრო მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აღმოჩნდა, ვიდრე ეს კახეთის მოსახლეობაში დადასტურდა. ჟინვალის მოსახლეობას ამ პერიოდში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც საქართველოს ეკონომიკურ ცენტრებთან, ასევე სხვა ქვეყნებთან. სტრატეგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, ამას ხელს უწყობდა ჟინვალზე გამავალი სავაჭრო გზა. შესაბამისად, სხვადასხვა ინფექციების გავრცელების ალბათობასთან ერთად, ალბათ, სოციალური კეთილდღეობის არსებობაც მეტყველებს.

დუშეთის მაღალი ზონის (შატილი) მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ხევისურეთის ერთი მიკრო რაიონის მაგალითზეა შესწავლილი და იგი 42,8 წელს შეადგენს. ეს სერია ხასიათდება ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების მაქსიმალური სიხშირით, რომელიც ამ პერიოდის მოსახლეობაშია გამოვლენილი, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ვიდრე იმერეთისა და ქართლის მო-

სახლეობაში. ამის ზუსტი მიზეზი უცნობია, შესაძლებელია, შესწავლილთა ნაწილის გარდაცვალების მიზეზი ტრავმის შედეგად განვითარებული ინფექცია ყოფილიყო. ექსტრემალურ პირობებში სავარაუდოდ, ასევე გენეტიკური ფაქტორები მოქმედებდნენ და ბიოლოგიური გადარჩევა ძალიან ადრეულ (ზიგოტის) სტადიაზე ხორციელდებოდა.

ადამიანის ორგანიზმი - ღია სისტემაა, მისი საცხოვრებელი სახლი დედამიწაა და ხანგრძლივი დროის მანძილზე მას ინტენსიური ურთიერთობა უხდება ბიოტურ და აბიოტურ გარემოსთან. ბუნების დაბინძურებას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. გარემოს დაბინძურება კაცობრიობის განვითარებას თან ახლავს გარემოს დაბინძურება. როგორც კი ადამიანმა მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი, ფაქტობრივად, ტყეების გაჩეხვა დაიწყო. ერთის მხრივ, ადამიანი აუმჯობესებდა საკუთარი ცხოვრების პირობებს, მეორეს მხრივ, აბინძურებდა გარემოს.

დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის რიცხოვნობა ყოველწლიურად იზრდება. ყოველწლიურად ათასობით ახალი ნივთიერება, რომელიც დედამიწის წიაღში არ მოიპოვება, ხელოვნურად სინთეზირდება. სინთეზირებული ნაერთების ბუნებრივ ნივთიერებათა ცვლაში ჩართვა შეუძლებელია. ადამიანის ჯანმრთელობა განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით: მათ შორის გენეტიკური მიდრეკილებით, ცხოვრების წესით, კვების რეჟიმით, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, შესაბამისი ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით, თუმცა კავშირი გარემო ფაქტორებსა და ჯანმრთელობას შორის საკმაოდ რთულია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა და რეზისტენტულობა პათოლოგიური ფაქტორების მიმართ განსაზღვრულია კბილის კარიესის სიხშირის, სიცოცხლეში კბილების დაკარგვის და ჰიპეროსტოზების გავრცელების საფუძველზე, რომლებიც გარემოს ზემოქმედებით ყალიბდება.

კარიესის გამომწვევი მიზეზები დღესაც ბოლომდე შეუსწავლელია. კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევის თანახმად, უფრო ხშირად კბილის კარიესის და პარადონტოზის მიზეზად არასრულფასოვანი კვება, ცილების, ჯგუფის ვიტამინების, მიკროელემენტების ნაკლებობა, ნახშირწყლების ჭარბი რაოდენობა საკვებ რაციონში სახელდება. ყოველივე ეს დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმში ნეირო-ენდოკრინული რეგულაციის დარღვევასთან, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ადაპტაციას გარემოსთან¹.

კარიესის სიხშირე საქართველოს მოსახლეობაში ადრე ბრინჯაოდან დაწყებული გვიანი შუასაუკუნეებით დამთავრებული 9,4%-22,0% ფარგლებში მერყეობს, რაც ბევრად მცირეა შუასაუკუნეების ევროპის მოსახლეობასთან შედარებით.

შუა საუკუნეების რუსეთის ქალაქის მოსახლეობაში კარიესის სიხშირე ვარირებს 25-57,1%. საკმაოდ მაღალი სიხშირეები დამახასიათებელია ნოვგოროდის (92,3-100%) და რიაზანის (60%) მოსახლეობაში, ამავე პერიოდის სოფლის მოსახლეობაში ეს ნიშანი ფართოდ ვარირებს (12,5-47,2%), მაგრამ მისი სიხშირე არ აღემატება 47,2%². ვლახებში სქესობრივი დიმორფიზმი კარიესის განაწილებაში პრაქტიკულად არ შეიმჩნევა¹.

¹ Рохлин Д. Г. Болезни древних людей. М., 1965.; Овруцкий Г. Д. Профилактика заболеваний зубов //Руководство по терапевтической стоматологии. М., 1967.; Окушко В.Р. Антропологические аспекты проблемы кариеса зубов и парадонтоза: Автореферат дис... доктора мед. Наук.-Кишинёв, 1971.

² Бужилова А. П. Оценка палеопатологических характеристик древнерусского городского и сельского населения (в сравнительном аспекте).//Экологические проблемы в исследованиях средневекового населения Восточной Европы.М.,

კბილების სიცოცხლეშივე დაკარგვა საქართველოს მოსახლეობაში ეპოქების მიხედვით 9,4%-25,1% შემთხვევაში აღინიშნება. მაღალი სიხშირეები გვიანი ბრინჯაოს II ეტაპის (23,8%), რკინის ხანის (20,0%), გვიანი შუა საუკუნეების (22,2%), ხოლო მაქსიმალურია განვითარებული შუა საუკუნეების (25,1%) მოსახლეობაში. წარმოდგენილი სიხშირეები ასევე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ძველი რუსეთის ადრეული შუა საუკუნეების (ლიუბეჩის და ვიტჩევის) მოსახლეობაში².

ჰიპეროსტოზები, ანუ ინფექციის არასპეციფიური მარკერები ორგანიზმის გადაცივებასთან, სტაფილოკოკურ და სტრეპტოკოკულ ინფექციებთანაა კავშირში. ჰიპეროსტოზები ხშირად ტრავმების დროს იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ ჰიპეროსტოზების გავრცელებაში განსხვავებები სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობაში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ ახასიათებს ლოკალური ცვალებადობა³. ვლახებში ფორთოხლის ქერქის სინდრომის გავრცელებაში თავს იჩენს სქესობრივი დიმორფიზმი, 40%-მამაკაცებში და 20%-ქალებში⁴.

ჰიპეროსტოზი თვალბუდის არეში ადრეული (ადრე ბრინჯაო) პერიოდის მოსახლეობაშიც მაღალი სიხშირით იყო გავრცელებული. მარკერის გავრცელებას ზრდის ტენდენცია ახასიათებს (15,6%-46,0%). ფლუქტუაციების მიუხედავად, ჩრიბრა ორბიტალია-ს კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არასოდეს არ შემცირებულა.

ფორთოხლის ქერქის სინდრომის გავრცელება ბევრად დიდ დიაპაზონში (14,2%-69,2%) ცვალებადობს. ამ სტრესის მარკერის ასეთი გამოვლინება კლიმატის დათბობა-გამყინვარების შედეგია. პალეობოტანიკური მონაცემების თანახმად, კლიმატური პირობები საქართველოს ტერიტორიაზე გვიან ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეებამდე მუდმივად იცვლებოდა. ამაზე მიუთითებს პალინოლოგიური მონაცემები განათხარი (არქეოლოგიური) მასალებიდან, ასევე ჭაობების, ტბების და სხვა გეოლოგიური ობიექტების ფენების ასაკი, რომლებიც დათარიღებულია რადიოკარბონული მეთოდით. მცენარეული მტვერის ანალიზის საფუძველზე, წავკისის ტბის და ჭაობის⁵ და ბაზალეთის დანალექების მიხედვით, კლიმატი ძვ.წ. XV-XIV სს. უფრო თბილი იყო, ვიდრე დღეს, ხოლო 2800-2000 წლის წინათ, კლიმატი თანამედროვე ეპოქის მსგავსი იყო⁶. ძვ.წ. V საუკუნეში,

1993, с. 110-122.; Бужилова А. П. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995.

¹ Алексеева Т.И., Богатенков Д.В., Лебединская Г.И. Влахи. Антропо-экологическое исследование (по материалам средневекового некрополя мистихали). Научный мир, М., 2003, с. 50-56.

² Бужилова А. П. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995.

³ Бужилова А. П. Оценка палеопатологических характеристик древнерусского городского и сельского населения (в сравнительном аспекте).//Экологические проблемы в исследованиях средневекового населения Восточной Европы.М., 1993, с. 110-122.

⁴ Алексеева Т.И., Богатенков Д.В., Лебединская Г.И. Влахи. Антропо-экологическое исследование (по материалам средневекового некрополя мистихали). Научный мир, М., 2003, с. 50-56.; Бужилова А. П. Оценка палеопатологических характеристик древнерусского городского и сельского населения (в сравнительном аспекте).//Экологические проблемы в исследованиях средневекового населения Восточной Европы.М., 1993, с. 110-122.

⁵ Kvavadze E.V., Connor S.E. 2005. Zelkova carpinifolia (Pallas)K.Koch in Holocene sediments of Georgia - an indicator of climate optima. Review of Palaeobotany and Palynology,133, pp.69-89. ; Kvavadze E., Gagoshidze Iu. 2008. Fibres of silk,cotton and flux in a weaving workshop from the first century A.D. palace of Dedoplis Gora, Georgia, Vegetation History and Archaeobotany, 17 (Suppl.1) , pp.211-215.

⁶ Kvavadze E., Gagoshidze Iu. 2008. Fibres of silk,cotton and flux in a weaving workshop from the first century A.D. palace of Dedoplis Gora, Georgia, Vegetation History and Archaeobotany, 17 (Suppl.1) , pp.211-215.

ასევე ახ. წ. I-IV საუკუნეებში კლიმატის მკვეთრი ცვლილება-"გაცივება" შეინიშნება. შემდეგი ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმი აღინიშნება VII-XII საუკუნეებში¹. განსაკუთრებული თბილი კლიმატით ხასიათდებოდა X-XI, XIII ს. ბოლო და XVI საუკუნეები, XVII ს. ბოლოდან კი აღინიშნება შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ძალიან ძლიერი "ცივი" პერიოდით. ამ ანომალურ გაცივებას ჰქონდა გლობალური ხასიათი და მოიცვა ცენტრალური და სამხრეთ ევროპა². ასეთი კლიმატური ცვალებადობა არ შეიძლებოდა რომ არ ასახულიყო მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რაც წარმოდგენილ მასალაში ფ.ქ.ს. და ჰიპეროსტოზების მაღალი სიხშირეებით დასტურდება.

საქართველოს ტერიტორია შედიოდა მაღარიის გავრცელების ზონაში. ერთ-ერთი ჰიპოთეზით ჰემოგლობინის დომინანტური ლეტალური მუტაციის (ნამგლისებური ანემიის) სიხშირე პირდაპირ კავშირშია მაღარიის გავრცელების სარტყელთან. ელექტროფორეზის მეთოდის გამოყენებამ გამოავლინა ჰემოგლობინის ანომალური ფორმის დიდი რაოდენობა. ანომალური ჰემოგლობინის გავრცელება ნათლად მოწმობს მაღარიისადმი მდგრადობაზე (გადარჩევაზე). მრავალი საუკუნეების და შესაძლოა ათასწლეულების მანძილზე ანომალური ჰემოგლობინები კანონზომიერად და მძლავრად ვრცელდებოდა სხვადასხვა ტომებსა და ხალხებს შორის. მუტაციური ჰემოგლობინი მათ მატარებლებს უქმნიდნენ იმუნიტეტს მაღარიის მიმართ. მაღარიის გავრცელების ზონაში იმუნიტეტს ჰქონდა იმდენად დიდი ადაპტაციური მნიშვნელობა, რომ ფარავდა ამ მუტაციებიდან ლეტალურ შემთხვევებს, როდესაც მუტირებული გენი ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა³. ჰემოგლობინოპათიებს მიაკუთვნებენ თალასემიებსაც⁴. β-თალასემიის გავრცელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. XX საუკუნის 70-ან წლებში იყო გამოკვლეული ქართველების 13 ტერიტორიული და 7 არაქართული მოსახლეობის ჯგუფი⁵. ქართველებში თალასემიის მატარებელთა მაღალი პროცენტი გამოვლინდა ჩხოროწყუს (12,7%), თელავის (12,5%), თერჯოლის (8,4%), ქობულეთის (4,7%), ამბროლაურის (4,3%), გორის (3,7%), საგარეჯოს (2,9%) რაიონების მოსახლეობაში. თალასემიის გენის მატარებელთა შედარებით მცირე რიცხვი გამოვლინდა: თეთრიწყაროს (1,4%), დუშეთის: მთიულეებში (1,0%), გუდამაყრელებში (0,99%), ახმეტის ჩაღმა თუშებში (3,9%); არ გამოვლინებულა წოვა თუშებსა და ახალციხის მოსახლეობაში.

β-თალასემიის მატარებელთა რაოდენობა განსხვავებულია ერთი რაიონის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებშიც - გორის ქართლებში (3,7%) და გორის რაიონის სომხებში (1,8%), თეთრიწყაროს ქართველებში (1,4%) და თეთრიწყაროს ბერძნებში (2,0%).

ზოგადად, β-თალასემიას კერები საქართველოში ჩხოროწყუს, თელავის, თერჯოლის რაიონებშია, სადაც ძველად აღინიშნებოდა მაღარიის ინტენსიური გავრცელება (Бакраძე, 1976).

¹ Kvavadze E. 2006. Holocene climatic optima and human impact in mountains of Georgia. Abstracts of 7-th EPPC (European Palaeobotany-Palynology Conference, Prague, Sept.6-11, pp.76-77.;

² Ладюри Лэ Руа Э. 1971. История климата с 1000 года. Гидрометеиздат, Ленинград, 279 с.

³ Эфроимсон В. П. Введение в медицинскую генетику. Государственное издательство детской литературы. М., 1964.

⁴ Bannerman R. M. Thalassaemia. A survey of some aspects. N.4. – L. 1961, 1-138.; Chernoff A. J. The distribution of the Thalassaemia gene: a historical review. Blood, 1959, 14, N 8, 899-912.

⁵ Ментешавили И.Г., Зедгенидзе И.Ш., Абдушелишвили М.Г., Фридман Л.М., Цварава Е.Н. Распространение β-талассемии в Грузинской ССР. "Проблемы гематологии и переливания крови", М., 1973, Т.ХVIII, с. 37-40.

ინფექციური დაავადებებით გამოწვეული მოკვდავობა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-ან წლებში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც შედიოდა მოკვდავობის ძირითად მიზეზთა რიცხვში¹.

მაღალია ინფექციური და პარაზიტული დაავადების შემთხვევა საქართველოში (29353 ავადობის მაჩვენებელი 659,3, მოკვდავობის მაჩვენებელი 8,6). დაავადებულთა 55,0 % ბავშვები და მოზარდებია. ინფექციური და პარაზიტული კლასის დაავადებიდან აღრიცხულია: ნაწლავთა ინფექციები, სასუნთქ ორგანოთა ტუბერკულოზი, სეფსისი, ვირუსული ჰეპატიტი, მუცლის ტიფი, დიფტერია, ჯილეხი, მალარია².

2000 წელს საქართველოში აღირიცხა მალარიის 170 შემთხვევა, აქედან 29 შემთხვევა ბავშვებში დადასტურდა. მალარიის შემთხვევები დაფიქსირდა კახეთში–113, ქვემო ქართლში–50, თბილისში–6, სამეგრელოში–1. გამოვლენილია მალარიის 4 პარაზიტმატარებელი³.

2000 წელს ასევე აღირიცხა ჰემორალური ცხელების 1 შემთხვევა, გაიზარდა მწვავე რესპირატორული ინფექციების.

მალარიას (ციება, ციებ-ცხელება) ახასიათებს პერიოდული შეტევები–ძლიერი შეცივება, მაღალი ტემპერატურა და გაძლიერებული ოფლის დენა. მას იწვევს ერთუჯრედიანი ორგანიზმი – პლაზმოდია, რომელიც მალარიის კოლო ანოფელექსს გადააქვს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მალარიით დაავადებული იყო ყოველი მე-3 ადამიანი, დაბლობ ადგილებში კი–მოსახლეობის 80 %. ეპიდემიების დროს, მალარიის ტროპიკული ფორმა 60 % -ს აღწევდა, ლეტალობა 10 %.

ჰიპეროსტოზების მაღალი შემცველობა საქართველოს მოსახლეობაში მრავალი ინფექციური დაავადებით უნდა იყოს გამოწვეული. ამ მასალით შეუძლებელია დადგენა, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი ინფექციური დაავადება გახდა გარდაცვალების მიზეზი, მაგრამ მალარია ერთ-ერთი წამყვანი უნდა ყოფილიყო, რადგან ის XXI საუკუნის მიჯნაზეც გვხვდება. ნამარხ მოსახლეობაში ჰიპეროსტოზები 15,14%-68,7% ფარგლებში არის გამოვლენილი. ყველაზე ხშირად იგი განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში იყო გავრცელებული. განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში ცალკეული რეგიონების მიხედვით გამოვლენილია ისეთი ძირითადი ნიშნები, როგორცაა, ჰიპეროსტოზები თხემზე, კეფაზე და კბილების ცვეთა. მათ ახასიათებს კლინარული (მიმართული) ცვალებადობა, რაც გარკვეული ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენაზე მეტყველებს. ამ ფაქტორებში იგულისხმება განსხვავებული კვების ტიპი, რაც მიუთითებს კბილების ცვეთაზე; ამ რეგიონებში ჰიპეროსტოზების არსებობა ინფექციური დაავადებების გავრცელებაზე და იმუნიტეტის დაქვეითებაზე მეტყველებს.

ამრიგად, ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების გავრცელების მიხედვით, რეგიონების განსხვავებულობა გამოიკვეთა. ემაღის ჰიპოპლაზია გამოვლენილია ძალიან მცირე რაოდენობით იმერეთში (0,05) და ქართლში (0,04). დანარჩენი მარკერების სიხშირეების

¹ Комаров Д. М., Школьников В. М. Медико-географический анализ смертности за рубежом/Итоги науки и техники. М., 1989., с. 90.

² JanmrTelobis dacva. saqarTvelo, 2000. statistikuri cnobari. saqarTvelos Sromis, janmrTelobisa da socialuri dacvis saministro, samedicino statistikis da informaciis centri., Tb., 2001. gv. 37; 40.

³ ჯანმრთელობის დაცვა. საქართველო, 2000. სტატისტიკური ცნობარი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრი., თბ., 2001. გვ. 37; 40.

მიხედვით შეიძლება გამოვეყო იმერეთის რეგიონი, რომლის მოსახლეობაში ნაკლებადაა გავრცელებული კბილების ცვეთა (0,21), კბილების სიცოცხლეშივე დაკარგვა (0,05), ჰიპეროსტოზები (0,44) და არ არის დაფიქსირებული კარიესი (0).

საწინააღმდეგოს გვიჩვენებს შატილი, რომლის მოსახლეობა მაქსიმალურად განიცდიდა მწვავე ინფექციების (ჰიპეროსტოზების საშუალო სიხშირე (0,87) ზეწოლას ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში. ამ რეგიონის მოსახლეობაში მაღალია კბილების ატროფია (0,36), ხოლო ძალიან მცირეა კარიესი (0,05). ზღვის დონიდან 1000 ფუტის ზევით მაღარია ნაკლებად ვრცელდება¹, თუმცა არსებობს მისი გავრცელების ფაქტები. მაღალმთიან რაიონში მაღარია კახეთში ვენახში სამუშაოდ წასულ გლეხობას შემოქონდა². გარდა ამისა, საქართველოში მიგრაციები მთიდან ბარში და პირიქით, მუდმივ ხასიათს ატარებდა³.

ქინვალის მოსახლეობაში მაქსიმალურად მაღალია კბილების ცვეთა (0,82), კარიესი (0,15), მაღალია კბილების სიცოცხლეშივე დაკარგვა (0,32).

ქართლის მოსახლეობაში მაღალი სიხშირით გავრცელებულია ჰიპეროსტოზები (0,70), მცირეა კარიესი (0,08) და საშუალო სიხშირით აღინიშნება კბილების ატროფია (0,24).

აჭარის მოსახლეობა სხვა რეგიონების მოსახლეობისაგან გამოირჩევა საშუალო რაოდენობის ჰიპეროსტოზებით (0,55), კბილების ატროფიით (0,14), კარიესის მცირე რაოდენობით (0,08).

კახეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელია ყველა აღნიშნული ფიზიოლოგიური სტრესის მარკერის საშუალო რაოდენობა: კარიესი – 0,11 და კბილების ატროფია – 0,15.

ამდენად, ჰიპეროსტოზების მაღალი სიხშირე საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობაში რეალურად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობასთან შედარებით, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა უკეთესი იყო, რაც ჰიპეროსტოზების და განსაკუთრებით კარიესის ბევრად მცირე რაოდენობით ირკვევა.

მოსახლეობის შემგუებლობას გარემო პირობებთან განვიხილავ რამდენიმე მარკერის სიხშირის მიხედვით. კვებითი სტრესის ანალიზი დაფუძნებულია ემალის ჰიპოპლაზიისა და ჩრიბრა ორბიტალია-ს გავრცელების საფუძველზე.

Cribra orbitalia-ს გავრცელება ქართლის მოსახლეობაში 0,25-0,6667 ფარგლებში ვარიებს, რაც საშუალოდ 0,3830-ს უდრის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მარკერის მუდმივი არსებობა მოსახლეობაში (როდესაც მისი შემცველობა ყოველ მესამეს აღინიშნება) იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობს "სტრესის" გამომწვევი მუდმივი წყარო. თვალბუდის ჰიპეროსტოზს ხშირად კვებითი სტრესის შედეგად მიიჩნევენ და აკავშირებენ რიგ დავაადებებთან, როგორცაა მაღარია და სხვადასხვა ანემიები⁴. ქრონიკული კვებითი სტრესის დროს, ორგანიზმი რკინისა და ისეთი მიკროელემენტების უკ-

¹ Эриксон Э.В. К антропологии грузин Русск. антропол.журн. 1905, № 3-4, с.47-56.

² mindaze n. qarTveli xalxis codna daavadebisa da garemos urTierTmimarTebis Sesaxeb. daavadeba da garemo (istoriul-eTnografiuli gamokvleva), Tb., "mecniereba", 1996. gv. 1-19.

³ berZeniSvili n. saqarTvelos istoriis sakiTxebi. w. I, Tb., 1964; gv. 237-239.

⁴ Henger O.P. Cribra orbitalia: pathogenesis and probable etiology. // Homo., 1971, N 22.

მარისობას განიცდის, როგორცაა Mg, Zn, Cl¹. ეს მარკერი, აგრეთვე, გადატანილი ინფექციური დაავადებების სიჭარბის, არახელსაყრელი სოციალური ფაქტორების (უმოქმედობა, ანტისანიტარია და სხვა) დროს ვლინდება. **Cribra orbitalia** მაღალი სიხშირით გვხვდება ქართლში (0,52) და უინგალში (0,68).

კბილის ემალის ჰიპოპლაზია ქართლის მოსახლეობაში ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებისაგან ყველაზე იშვიათია. ძალიან ხანგრძლივი დროის მანძილზე ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი და გვიან ანტიკური ხანის ჩათვლით, არ ფიქსირდება. ცვალებადობის ფარგლებიც (0-0,0811) უმნიშვნელოა. ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ ის სტრესორები (ქრონიკული შიმშილი), რომლებიც იწვევს ამ პათოლოგიას, ქართლის მოსახლეობაში ბევრად ნაკლები იყო.

ემალის ჰიპოპლაზიის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული სტრესის პერიოდთან. მისი გამოწვევა შეუძლია მთელ რიგ სპეციფიურ დაავადებებს: ორგანიზმის ქრონიკულ შიმშილს, მეტაბოლური პროცესების დარღვევას. **მუდმივი კბილების ჰიპოპლაზია** სხვადასხვა დაავადებების ზემოქმედების შედეგია (რახიტი, ინფექციური დაავადებები, ტოქსიკური დისპერსია და სხვა).

ქალაქის ტიპის დასახლებაში (რუსეთი შუასაუკუნეები) კბილის ემალის ჰიპოპლაზია 40-64%-მდე აღწევს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 0-12.5%. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობაში ამ სინდრომის გამოვლინებაში დაფიქსირებულია სქესობრივი დიმორფიზმი, ძირითადად, გვხვდება მამაკაცებში. სქესობრივი დიმორფიზმი ქალაქის მოსახლეობაში მცირდება, რაც ურბანიზაციის გავლენაზე მიუთითებს. ამგვარად, ქალაქური ცხოვრების წესმა გამოიწვია ძლიერი სტრესი ამ ნიშნის მიხედვით².

ბალკანეთის ნამარხ მოსახლეობაში (ვლახები, მისტიხალის სამარხი –ახლანდელი სერბეთი) დაფიქსირებულია კბილის ემალის ჰიპოპლაზიების მაღალი სიხშირეები ადრეულ ონტოგენეზის პერიოდში, ბავშვებში და მოზარდებში. მისი სიხშირე შეადგენს 33%, ხოლო მოსახლეობის 35 წლამდე 23-27%, 55-წლის ასაკობრივ კოჰორტაში 10-16 %. კბილის ჰიპოპლაზიის ასეთი განაწილება ასაკობრივ კოჰორტებში სტრესის გაძლიერებაზე წინასთან შედარებით მომდევნო თაობაში მიუთითებს³. მსგავსი მონაცემები დაფიქსირებულია "ნოვა რაჩა" –ს მოსახლეობაში ხორვატიაში⁴.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰიპოპლაზიის მცირე რაოდენობა განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში (0,4%), ამავე პერიოდის სხვადასხვა რეგიონში (ვლინდება მხოლოდ იმერეთში და ქართლში) მცირე რაოდენობის ემალის ჰიპოპლაზია, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საქართველოს მოსახლეობაში შიმშილით გამოწვეული სტრესი იშვიათი იყო. ამავე მოსახლეობაში ჩრიბრა ორბიტალია -ს მაღალი შემცველობა არ უნდა დაუკავშიროთ ანემიებს, რომლებიც კვებითი სტრესის შედეგადაა წარმოქმნილი. ჩე-

¹ Brothwell D.R. The Palaeopathology of Early British Man: An Essay on the Problems of Diagnosis and Analysis // The J. of Royal Anthropol. Institute of Great Britain and Ireland. 1961., V. 91.

² Бужилова А. П. Оценка палеопатологических характеристик древнерусского городского и сельского населения (в сравнительном аспекте). // Экологические проблемы в исследованиях средневекового населения Восточной Европы. М., 1993, с. 110-122.; Бужилова А. П. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995

³ Алексеева Т.И., Богатенков Д.В., Лебединская Г.И. Влахи. Антропо-экологическое исследование (по материалам средневекового некрополя мистихали). Научный мир, М., 2003, с. 50-56.

⁴ Slaus M. Biocultural Analysis of Sex Differences in Mortality Profiles and Stress Levels in the Late Medieval Population from Nova Raca, Croatia. American Journal of Physical Anthropology, III. No 2.

მი აზრით, ჩრიბრა ორბიტალია -ს მაღალი სიხშირე ინფექციური დაავადებების გავრცელების შედეგია, რაც თავის ქალაზე სხვა ლოკალიზაციის ჰიპეროსტოზებითაც მტკიცდება.

რიგი მკვლევარების მიერ დაგენილია, რომ ჩრიბრა ორბიტალია უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში და ახალგაზრდა ასაკის ქალებში და გამოწვეულია ძირითადად არასრულფასოვანი კვების ტიპით¹. X-XIII სს. რუსეთის ქალაქის მოსახლეობაში ჩრიბრა ორბიტალია შეადგენდა 33,3% -ს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში ის ბევრად ნაკლები იყო. მკვლევრის აზრით, ეს მიუთითებს ურბანიზაციის გავლენაზე ამ რეგიონის ძველ მოსახლეობაში. ლიტვის შუა საუკუნეების ქალაქის მოსახლეობაში, ბავშვებში დადგენილია *Cribra orbitalia* –ს ორჯერ მეტი სიხშირე ვიდრე ზრდასრულ მოსახლეობაში. მისი აზრით, სავარაუდოდ, ეს ფენომენი კავშირშია ბავშვთა მაღალ მოკვდავობასთან. ალბათ, ბავშვებში ჩრიბრა ორბიტალია მაღალი შემცველობა ძუძუთი ხანგრძლივ კვებასთან და დედის პარაზიტარულ და ინფექციურ დაავადებებთან არის კავშირში².

პალეოპათოლოგიურ კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრავმატული დაზიანების ანალიზს, რადგან ისინი ხშირად გვხვდებიან პალეომოსახლეობის ძელოვან ნაშთებზე. დაზიანებები შეიძლება იყოს მოყვანილი (უბედური შემთხვევები, ძაღვობები) სხვადასხვა მიზეზებით. ძელოვანი მასალის ტრავმატული დაზიანების ხარისხი და მდგომარეობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს იარაღის ტიპი, რომლითაც იყო მიყენებული დაზიანება. ჭრილობების შეხორცების შესაძლო ვადები, ანთებითი პროცესების კვალი. გარდა ამისა, ტრავმების სიხშირე და ხასიათი შეიძლება გახდეს ამ მოსახლეობის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის, ცხოვრების წესის და სოციალური სტატუსის დამახასიათებელი ნიშანი³.

გამოკვლევაში ჩართულია აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მოსახლეობა. გვიანი შუა საუკუნეების ქართველები წარმოდგენილია სერიებით სიონის, არღუნის, შატლის და ყაზბეგის სერიებით; ინგუშები სოფ. არზიდან, ბეჟთიდან, ხულიდან და ჩენების ერთი სერია სოფელ მაისთიდან. ამ გამოკვლევაში მთიელების სერიები სპეციალურად იყო გამოკვლეული, რადგან მათთვის დამახასიათებელია სისხლის ალება. გარდა ამისა, ხევსურეთში იყო გავრცელებული ფარიკაობა ახვეული თვალებით⁴.

საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრინდელ მასალებში არაეთვლის იყო მოყვანილი თავის ქალას ტრავმების (თავის ქალა №724 სამთავროდან), ჩონჩხის დაზიანებების შემთხვევები⁵. ტრავმის შედეგად წარმოქმნილი დეკომპრესიული ტრეპანაცია ჩატარე-

¹ Henger O.P. *Cribra orbitalia*: pathogenesis and probable etiology. // *Homo.*, 1971, N 22.; Brothwell D.R. *The Palaeopathology of Early British Man: An Essay on the Problems of Diagnosis and Analysis* // *The J. of Royal Anthrop. Institute of Great Britain and Ireland.* 1961., V. 91.

² Янкаускас Р. К антропологии средневекового города. Экологические проблемы в исследованиях средневекового населения Восточной Европы. М., 1993, с. 123-144.

³ Рохлин Д. Г. *Болезни древних людей.* М., 1965.

⁴ Чолокашвили К. *Война и её отражение в грузинском быту.* / Межд. Научная конф. "Археология (IV) и этнология (III) Кавказа". Тб. 2002.

⁵ Пирпилашвили П.М. Следы некоторых заболеваний, повреждений и лечебных манипуляций согласно костному материалу, раскопанному грузинскими археологами. *Сообщ. АН Грузии*, т. XXXII, 1, 1963.; Пирпилашвили П.М. *Палеоантропологический материал по изучению болезней, повреждений и лечебных манипуляций в древней Грузии.* Автореферат дис. На соискание учён. ст. канд.мед. наук. Рига, 1974.

ბული იყო ძვ.წ. VII-VIII. ამავე დროს, საქართველოში ტრავმები ერთ კონკრეტულ პალეოპოპულაციში, ან სერიაში დღემდე არავის შეუსწავლია. წარმოდგენილ სერიებში ტრავმები თავის ქალაზე აღრიცხულია შუბლის, საფეთქლის, თხემის, კეფის არეში დაზიანების საერთო პროცენტი. ყველაზე ხშირად ტრავმები შუბლის (12,9%) და თხემის ძვლებზე (10,1%) აღინიშნება. ტრავმული დაზიანებები ყველაზე ხშირად სოფ. ბეჟთის ინგუშებს (39,7%), ქართველებს არღუნდანი (32,0%) და შატილიდან (28,3%), მაისთის ჩენებს (27,5%) ახასიათებთ. სერიებში თავის ქალების რაოდენობა მცირეა, გარდა შატილისა (n=60), და სოფ. ხულის ინგუშებისა (n=52). ამიტომ, ტრავმების სტატისტიკურად დამაჯერებელი განსხვავება-მსგავსებაზე მსჯელობა რთულია. ერთი რამ უდაოა, რომ ტრავმების დონე მაღალია. ინგუშების სერიებში ტრავმების საშუალოდ 28,1 % შემთხვევაში აღინიშნება, ქართველების სერიების ანალოგიური მაჩვენებელი 23,1% უდრის. მასალის ანალიზი სქესის მიხედვით, ეთნიკური კუთვნილების გარეშე, აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობაში ქალებისა და ბავშვების მაღალ ტრავმებზე მიუთითებს.

ამ მასალის თანახმად, სიონის მოსახლეობა უკეთეს პირობებში ცხოვრობდა, რადგან მათ ტრავმები ძალიან დაბალი სიხშირით და ისიც მხოლოდ მამაკაცებს აღინიშნებათ. სოფ. ბეჟთისა და არზის ქალებში, რომელთა ნახევარს ტრავმატული დაზიანებები აღინიშნებათ; შატილის მცხოვრებთა შორის ტრავმების 1/3 ასევე ქალების და ბავშვების თავის ქალებზეა აღნიშნული.

თავის ქალას დაზიანებები, ძირითადად, შუბლისა და თხემის ძვლებზეა დაფიქსირებული. წარმოდგენილ მასალებში ერთდროული დაზიანებები შუბლსა და საფეთქლის, თხემისა და კეფის არეში ჩემს მასალაში არაერთგზის არის გამოვლენილი. მამაკაცის (№283) თავის ქალაზე შატილიდან აღინიშნება ღია ჭრილობა კეფაზე და მარჯვენა თხემის ძვალზე, ასევე ღია ჭრილობა შუბლზე. ალბათ, ეს დაზიანებები მიღებულია ომში და ამიტომ ტრავმები სასიკვდილო აღმოჩნდა. ქალის თავის ქალაზე სოფ. ხულიდან (№596) აღნიშნულია ძალიან დიდი, ბასრი იარაღით მიღებული მარცხენა საფეთქლის ძვლიდან თხემის ძვლამდე ღია გამჭოლი ჭრილობა, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გამხდარა. უმეტეს თავის ქალებზე ტრავმების კომპრესიული ხასიათი აღინიშნება.

50-55 წლის ქალის თავის ქალაზე შატილიდან, შუბლის ბორცვის მარჯვენა მხარეს უმნიშვნელო ტრავმა აღინიშნება, გარდა ამისა, თხემზე მარცხენა მხარეს ჩანს შეხორცებული 10x5 mm. ზომის ღრმული. ბავშვის თავის ქალაზე სოფ. შატილიდან (№310) აღინიშნება ჩაღრმავება შუბლის ძვლის შუაში ანთებითი პროცესების ნიშნების გარეშე.

მოყვანილი მასალა იმაზე მიუთითებს, რომ განხილული რეგიონი მაღალი ტრავმული რისკის ზონად უნდა მივიჩნიოთ. მიღებული დაზიანებების ნაწილი უდაოდ საბრძოლველ პირობებშია მიღებული, ხოლო ტრავმები ქალებსა და ბავშვებში მიუთითებს ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე¹.

ამავე პერიოდის რუსთავის სერია, 22 მამაკაცის, 11 ქალისა და 7 ბავშვის თავის ქალით არის წარმოდგენილი. სერიაში ტრავმული დაზიანებები აღინიშნება 6 მამაკაცის და 3 ქალის თავის ქალაზე. დაზიანებები შუბლის არეში კომპრესულ ხასიათს ატარებენ. დაზიანებები პატარა ზომის, უმეტესად, შუბლის მარცხენა მხარეს არის მიყენებუ-

¹ Angel J.L. Health as a crucial factot in the changes from hunting to developed farming in the Meditternean // Paleopathology at the origins of agriculture/Eds. Cohen M.N., Armelagos G.S.-London: Orlando, 1984-P.51-74.

ლი. შატილის სერიასთან შედარებით რუსთავის სერიაში მიღებული დაზიანებები, ჩემი აზრით, უფრო ყოფით ხასიათს ატარებს. არ აღინიშნება ტრავმული დაზიანებები ბავშვებში. მთლიანობაში სერიის 22,5% თავის ქალაზე აღინიშნება დაზიანებები, რაც მთის ჯგუფებში აღნიშნულზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში, არც ერთი მიღებული ტრავმა არ აღმოჩნდა სიცოცხლესთან შეუთავსებელი და გარდაცვალების მიზეზი არ გამხდარა. ამ სერიის საშუალო ასაკი 39,3 წელია, მინიმალური და მაქსიმალური ბიოლოგიური ასაკი, რომლებშიც გარდაცვლილები იმყოფებოდნენ (13-70 წ) ძალიან დიდი დიაპაზონით ცვალებადობენ. ინტერესს იწვევს შატილისა და რუსთავის სერიების ტრავმებისა და სიცოცხლის საშუალო ასაკის შედარება. შატილში მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ასაკი 42,8 წელია, ხოლო გარდაცვალების ასაკი 22,5-65,0 წლებით განისაზღვრება. მოყვანილი ციფრები გვაფიქრებინებს, რომ ხევსურეთის მკაცრი ეკოლოგიური პირობების, სისხლის აღების წესის გავრცელების მიუხედავად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3,5 წლით მეტია. მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნეშიც ტრავმული დაზიანებები საქართველოს მოსახლეობაში მაღალი იყო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართველებს საკუთარი თავისა და ქვეყნის დაცვა დამპყრობლებისაგან ხშირად უხდებოდათ.

ამდენად, ყველა ბიოლოგიური ინდიკატორების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა სტრესორების მუდმივი ზეწოლის მიუხედავად ადაპტირებული აღმოჩნდა თავიანთი განსახლების (მთა, მთისწინეთი, ბარი) ეკოლოგიურ გარემოში.

დისკრეტულად ვარირებული ნიშნების ცვალებადობა დროში ძვ. წ. III
ათასწლეულიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით

კლასიკური პალეოანთროპოლოგიური კვლევები განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობითა და აქტუალობით გამოირჩევიან, რადგან ისინი იძლევიან საშუალებას გაგადევნოთ თვალი Homo-sapiens-ის როგორც სახეობის ბიოლოგიური ცვალებადობის თავისებურებას სივრცესა და დროში. ამ კვლევების არსენალში ახალი მეთოდებისა და ანალიზის თანამედროვე ხერხების გამოყენება მიზნად ისახავს ჩვენი მხედველობის არეალში მუდმივად ვიყოლიოთ სხვადასხვა ნიშანთა სისტემებით მიღებული ინფორმაცია და დავაფიქსიროთ ამ ინფორმაციის ურთიერთკაშირი თუ დაპირისპირება¹. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ნიშანთა სისტემად მოიაზრება დისკრეტულიად – ვარირებული ნიშნები, რომლებიც არიან გენეტიკურად დეტერმინირებული, და ამიტომ შესაძლებელია გამოვიყენოთ ფართოდ პალეოპოპულაციების გენეტიკური კლასიფიკაციისას². მოსახლეობის ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხების შესწავლისას ისინი აგრეთვე იძლევიან საშუალებას შევაფასოთ მეტისაციისა და ინბრიდინგის პროცესების მიმდინარება ძველ მოსახლეობაში, აღვადგინოთ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების წესი, ადაპტაცია და გარემო პირობებთან შეგუებლობა³.

დისკრეტულად – ვარირებულ ნიშნებს სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში განსხვავებული ტერმინებით მოიხსენიებენ: non-metrical characters, minor skeletal variante, discret-varying traits, epigenetic characters, discontinuous traits და სხვა. ჩვენში მათ ანომალიებს უწოდებენ. ანომალია – *anomalía* ბერძნული სიტყვაა, საერთო წესისაგან, ნორმისაგან გადახვევას, კანონზომიერების დარღვევას აღნიშნავს⁴.

ნორმიდან გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს უამრავი ფაქტორის ზემოქმედებით და ამიტომ სხვადასხვა ტიპისა არიან. ხშირად ძნელია ანომალიისა და ნორმალურ ცვალებადობის შორის საზღვრის გავლება, ისევე როგორც ანომალიისა და პათოლოგიას შორის, რადგან ანომალია რიგ შემთხვევაში პათოლოგიას, ანუ დაავადებას იწვევს. კარგადაა ცნობილი ანომალური ერთროციტები. ადამიანის ჩვეულებრივი ერთროციტები მომრგვალო, უბირთვო პატარა უჯრედებია ორმხრივშეზნექილი დისკოს ფორმით. ანომალურ ერთროციტებს ნახევარმთვარისებრი ფორმა აქვთ, ამ დროს ერთროციტებში წარმოიშევა პათოლოგიური ჰემოგლობინი, რომელსაც ჟანგბადის მიკავშირება არ შეუძლია და ავადმყოფი იღუპება.

კარგადაა ცნობილი მორფოლოგიური მეტაციები (ბრაქიდაქტელია, აკური, ალბინიზმი და ა.შ.), რომლებიც პირდაპირ კავშირში არ არიან ადამიანის სიცოცხლესთან ან მის ხანგრძლივობასთან, მაგრამ ისინი ქმნიან გარკვეულ უხერხულობას.

¹ Алексеев В.П. Объем археологического знания. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкций. М. 1992, с. 6-31.

² Мовсесян А.А. Расовая дифференциация человечества по системе дискретно-варьирующих признаков. Научный альманах каф. антропологии Путь.М.2001. Вып.1.

³ Бужилова А. П. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995.

⁴ ქ.ს.ე. ტ. I, გვ. 47.

რაც შეეხება თავის ქალებზე ჩვენს მიერ შესწავლილ ანომალიებს, მათი უმრავლესობა ნეიტრალურ მეტაცივებად განიხილება, რადგან გვხვდებიან ნებისმიერ ასაკის თავის ქალებზე. ითვლება, რომ 10 წლისა და მეტი ასაკის ბავშვებში დისკრეტულად ვარიირებული ნიშნების განაწილება პრაქტიკულად არ განსხვავდება ზრდასრული ინდივიდისაგან¹. ზოგიერთ ანომალიასთან დაკავშირებით გამოთქმულია უამრავი ჰიპოთეზის იმის თაობაზე თუ რა იწვევს მას. მაგალითად, Sutura metopica, ან Sutura frontalis (შუბლზე ნაკერის შენარჩუნებას ზრდასრულ მდგომარეობაში) – გავრცელებას აკავშირებენ თავის ქალას მაჩვენებელთან², ბრაქიკეფალიზაციის პროცესთან³ მთაგორიან რეგიონებთან⁴, ქორწინებითი კავშირების გავრცელების არეალთან და კვების ტიპთან, გენეტიკო-ავტომატურ პროცესებთან⁵, ტერიტორიასთან⁶, უფრო ხშირია „კულტურულ“ ერებში და როგორც წესი ნაკლებია პრიმიტიულ ჯგუფებში⁷. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ მეტოპიზმი სელექტიურად არახელსაყრელი თავისებურებაა, რომელიც გავრცელდა ცივილიზაციის უძველეს კერებში, ბუნებრივი გადარჩევის შესუსტების შედეგად⁸.

ადრებრინჯაოს მოსახლეობა წარმოდგენილია რამდენიმე პუნქტიდან: ქვემო არანისი, ს. ბულაჩაური და ს. გიორგიშინდა დუშეთის რაიონიდან; კახეთიდან: ზეიანი, საგარეჯოს რ-ნი, ალაზნის ველი და ნაომარი თეფა, სიღნაღის რ-ნი, ტარბანა; ბედენი, თეთრიწყაროს რ-ნი; თრელი, დიღომი; თისელი (ბორჯომი), ამირანის გორა (ახალციხე), ჭობარეთი (ასპინძა-ახალქალაქის მაგისტრალი), ჭიათურა ერთადერთი პუნქტია დასავლეთ საქართველოდან. მთლიანობაში, საქ. ადრებრინჯაოს მოსახლეობა წარმოდგენილია 28 მამაკაცის, 27 ქალის, 2 ბავშვის სხვადასხვა დაცულობის თავის ქალით ცხრ. №1. თითოეული სერია ძალზე მცირერიცხოვანია. სტატისტიკურად არასაიმედოა ასევე მთლიანად ადრებრინჯაოს მოსახლეობის მონაცემები, მაგრამ, რადგან ეს უნიკალური მასალაა, ვეცდებით მაქსიმალურად გავანალიზოთ დისკრეტული ნიშნების განაწილება, გამოვავლინოთ ანომალიათა დამახასიათებელი სპექტრი, ხოლო მასალის შემდგომი მოპოვების შემთხვევებში აღნიშნული თავისებურება სტატისტიკურად საიმედო გახდება ან სხვა შეფერილობას მიიღებს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ნიშანდობლივი იქნება ის ფაქტიც თუ რა ანომალიათა სპექტრი აღინიშნება ადრებრინჯაოს მოსახლეობაში და განმეორდება ის მომდევნო შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის მოსახლეობაში.

¹ Чеснис Г. Фенетические взаимоотношения средневековых восточных славян по дискретным признакам черепа. Вop. антропологии., 1990., вып. 84., с. 47-58.

² Sauther, 1952, цит. Алексеева Т. И., Шауро Э. А., 1970.

³ Torgersen I. The developmentae genesis and evolutionary meaning of the metopic sutura. Amer J. Phys. Anthrop. 1951, v. № 2.; Ashley-Montagu. M. F. The medio-frontal suture and the problem of metopizm in the primates. J. Roy Anthrop. Inst. 1937. Vol.67.; Knussman Rainer, Knussman Renate. Abnorme Nahtverbaltnisse and Schadeldach des Meushen. Homo, 1969, Bd. 1937. voi.67.

⁴ Ranke I. Beitrage zur physischen Anthropologie Alt-Bayens//Beitrage Jur Anthropologie und Urgeschichte Bayerns. Bd. I. II., 1877 (цит. по Алексеева Т. И., Шауро Э. А., 1970, с.143).

⁵ Алексеева Т. И., Шауро Э. А. Аномалии черепа в их географической, социальной и генетической обусловленности. В сб. Морфофизиологические исследования в антропологии. М. МГУ, 1970, с. 12-185.

⁶ Козинцев А.Г. Метопизм в различных человеческих группах. Рассы и народы. М. 1975 с. 55-68.

⁷ Wecher. Untersuchungen uber Wachstum and Baudes menschlichen Schadels. Leipzig, 1862.

⁸ Козинцев А.Г. Метопизм в Европе. Вop. антропологии., 1975, вып. 49, с. 116-141.

ძირითადად ადრებრინჯაოს მოსახლეობაში ვლინდება 41 ანომალია (66-დან; 0, 6061), აქედან მამაკაცებში ვლინდება 29, ქალებში 33, ხოლო ბავშვებში 23. გამოვლენილი ანომალიათა სისშირე მამაკაცებში 0, 4394, ქალებში 0, 5000, ხოლო ბავშვებში 0,3966 შეადგენს. განსხვავებულ ანომალიათა სპექტრიდან, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებისთვის არის დამახასიათებელი, შემდეგია: თვალბუდის ზედა ნაპრალი (*Fissura orbitalis inferior*), ეპიპტერალური, ანუ საფეთქლის ძვლები (*Os. epiptericum*), ყვრიმალ-სახის ხვრელები (*Foramina zygomaticofaciales*), ინკების მთლიანი ძვალი (*Os. Incae complectum*), საგიტალური ნაზარდი კევის ქიცვზე (*Processus interparietalis*) და არ ვლინდება ქალებში, ხოლო ამ უკანასკნელთა ცვალებადობა უფრო მაღალია და 10-თი ნიშანი არის დამახასიათებელი მხოლოდ მათთვის: შუბლის ხვრელები (*Foramina Frontalia*), თვალბუდის ზედა ნაპრალი (*Fissura orbitalis superior*), ჩართული ძვლები საგიტალურ ნაკერში (*Os. Wormii suturae squamosum*), ქიცვისებრი ჩართული ძვლები თხემის ძვლის ნაჭდვეის არეში (*Os. postsquamosum*), თხემის ძვლის ორ ნაკერად დაყოფა ჰორიზონტალური ნეკერით (*Os. parietale bipertitum*), ჩართული ძვლები გვირგვინოვან ნაკერში (*Os. Wormii suturae coronalis*), კევის ქიცვის მწვერვალის სამკუთხა ძვალი (*Os. Incae tripartitum*), ჩართული ძვალი დვრილისებრი ყიფლიბანდის არეში (*Os. asterion*), მაგარი სახის ნაპრალი (*Palatum fissum?*), წყვილი ბორცვი კევის ხვრელის წინა მხარეს (*Tuberculum praecondylare*), და ორი ნიშანი სოლისებრი ძვლის თხემის მორჩი (*Processus parietalis os. sphenoidalis*) და საფეთქლის ქიცვის ზედა ჰორიზონტალური კიდის სწორი ფორმა (*margo superior squamae temporalis horizontalis*) ვლინდება ბავშვებში. მთლიანობაში ადრებრინჯაოს მოსახლეობის 20 თავის ქალაზე დაფიქსირებულია 41 სხვადასხვა ტიპის ანომალია, რაც საშუალოდ ერთ ინდივიდზე 48,78% ანომალიათა რიცხვი მოდის, რომელიც თავის თავად ძალიან მაღალი მაჩვენებელია. რაც შეეხება დისკრეტულ ნიშნების განაწილებას საწინააღმდეგო სქესებს შორის, ისევე როგორც კავშირს ასაკთან ასეთ მცირერიცხოვან მასალაზე მიღებული კორელაციები არაკორექტულია, და ამიტომ ისინი არ მოგვეყავს.

შუაბრინჯაოს მოსახლეობა წარმოდგენილია ძირითადად სამხრეთ საქართველოში მოპოვებული კრანოლოგიური მასალით, მხოლოდ 1 ქალის თავის ქალა საგვარჯილედან წარმოადგენს ამ დროის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ისევე, როგორც ადრებრინჯაოს მოსახლეობა ამ დროის მასალა ძალზედ მცირე რიცხოვნობისა და ცუდი დაცულობისაა. ამ პერიოდის მასალა წარმოდგენილია 25 მამაკაცის, 24 ქალის და 1 ბავშვის თავის ქალით (ცხრ.1). ზოგიერთი ნიშანი მხოლოდ ერთზე იყო შესაძლებელი შეგვესწავლა, იგივე სიტუაციაა ქალების თავის ქალების დაცულობის მხრივ. ამიტომ ამა თუ იმ ცალკეულ ანომალიის კონცენტრაციის განსაზღვრას არა აქვს აზრი. ჩვენი ანალიზი ისევე იმ ანომალიათა დაფიქსირებით წავმართეთ, რომლებიც ასეთ მცირე და ფრაგმენტულ მასალაზე ვლინდება. რა თქმა უნდა ალბათობის თეორიიდან გამომდინარე შესაძლოა, ჩვენს თვალთახედვის არეალში არ მოხედეს ზოგიერთი ნიშანი, რომელიც თუნდაც მცირე კონცენტრაციით დამახასიათებელია ამ დროისა და ამ ტერიტორიის მოსახლეობისათვის.

დღეს ჩვენი ამოცანაა ამ მასალებიდან მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მოვიპოვოთ გენეტიკური პროცესების მიმდინარეობის თაობაზე, რადგან ანომალიებს, ეპიგენეტიკურ ნიშნებს უწოდებენ და ითვლება, რომ ისინი მემკვიდრეობით გადაეცემა; ასახავენ მუტაციური პროცესების მიმდინარეობას პოპულაციებში და ა.შ.

შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში ანომალიების რაოდენობა კლებულობს, ბავშვების გარდა. თავის ქალას რაოდენობა ამ დროის მოსახლეობაში პრაქტიკულად ერთნაირია, მაგრამ ანომალიების სპექტრი განსხვავებული. მამაკაცებში შესაძლებელი იყო განგვესახვრა 50 ნიშანი, იქიდან გამოვლინდა 17, ანომალიათა სიხშირე 0,3400; ქალებში 60 ნიშნიდან გამოვლინდა 26 (0,4333); ბავშვის მხოლოდ ერთი თავის ქალაა და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდივიდუალურ მონაცემებთან და 22 ანომალია ფიქსირდება 47-დან (0,4681). თუმცა შუაბრინჯაოს ხანის თავის ქალას დაცულობის ხარისხი ბევრად ცუდი აღმოჩნდა ადრებრინჯაოსთან შედარებით, აქედან რიგი ანომალიების გამოვლინების საშუალება არ მოგვეცა. რადგან თავის ქალის ის მონაკვეთი, რომელზეც მაგალითად ყვრიმალ-სახის ხვრელები (For. zygomaticofacialis) აღინიშნება მამაკაცების და ქალების თავის ქალაზე, ან აღდგენილი, ან დამტვრეული იყო. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ბავშვის თავის ქალაზე, როდესაც ყვრიმალის ძვალი ჩამტვრეული არ იყო დამატებითი ხვრელები (For. zygomaticofacialis) ფიქსირდება. აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ნიშნები, რომლებიც თუნდაც მინიმალურ თავის ქალას რაოდენობაზე ვლინდება პოპულაციაში საკმაოდ კონცენტრაციით უნდა იყოს გავრცელებული.

ამრიგად შუაბრინჯაოსა და ადრებრინჯაოს მოსახლეობას შორის გენეტიკური ნიშნების, ძირითადი ბირთვი მეორდება. ესენი არიან:

თვალბუდის ზედა ხვრელები (Foramina supraorbitalia), მრავალრიცხოვანი ფორებით დაცხრილვა თვალბუდის შიდა კედლის ლატერალური კუთხის არეში (Cribrum orbitalia), თვალბუდის ზედა ნაპრალი (Fissura orbitalis superior), თვალბუდის ქვედა ნაპრალი (Fissura orbitalis inferior), ყვრიმალ-სახის ხვრელები (For. zygomaticofacialis), ყვრიმალის ძვლის შუბლის მორჩის ლატერალური კიდის ფორმა (Spina processus frontalis ossis zygomatici), პტერიონის მაქსიმალური შევიწროვება (Stenocrotaphia), საფეთქლის ძვლის ქიცვის შუბლის მორჩი (Processus frontalis squamae temporalis), შუბლის ძვლის საფეთქლის მორჩი (Processus temporalis ossis frontalis), საფეთქლის ქიცვის ზედა ჰორიზონტალური კიდის სწორი ფორმა (Margo superior squamae temporalis horizontalis), ქიცვის ჩართული ძვლები თხემის ძვლის ნაჭდვეის არეში (Os. postquamosum), საფეთქლის ძვლის ქიცვის მორჩი (Processus postglenoidalis), თხემის ძვლის ორნაწილად დაყოფა ჰორიზონტალური ნაკერით (Os. parietale bipartitum), თხემის ხვრელები (For. parietalia), საგიტალური წანაზარდი კეფის ქიცვზე (Processus interparietalis), ჩართული ძვლები ლამბდისებრ ნაკერში (Os. Lambdoidae suturae), კეფის განივი ბორცვი (Torus occipitalis transversus), განივი-გრძობი ვენოზური ღარის მიმართულება ჯვრისებრ შემადღებაზე (Sulcus transversosagitalis eminentiae cruciatum), დვრილისებრი ხვრელები (For. mastioidea), სახის შემადღება (Torus palatinus), სახის განივი ნაკერის ფორმა (Sutura palatina transversa), საჭრელი ნაკერი (Sutura incisiva), მაგარი სახის ნაპრალი (Palatum fissum), ფრთისებრძვლოვანი ხვრელი (For. pterygospinosum), სასმენი ხვრელის მედიალური ნაწილის დაცხრილვა პატარა ხვრელებით (For. tympanica), კეფის ხვრელის წინა კიდის ბორცვის სახსროვანი ზედაპირი (Condylus tertius). გარდა ამ ანომალიებისა ადრებრინჯაოს ხანაში ვლინდება კიდევ 14, რომელიც არ გვხვდება შუაბრინჯაოს მოსახლეობაში და პირიქით, 6 ანომალია, რომელიც შუაბრინჯაოს მოსახლეობაში ვლინდება და არ არის ადრებრინჯაოს მოსახლეობაში. ანომალიათა სპექტრების ძალზედ ახლო განაწილება ადრე და შუა ბრინჯაოს მოსახლეობაში ჩვენი აზრით ამ მოსახლეობის მემკვიდრეობითობაზე უნდა მეტყველებდეს.

გვიანბრინჯაო ასევე წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს 23 პუნქტიდან (ცხრ.1), ხოლო თავის ქალების რაოდენობა რამდენადმე მეტია. სულ ჩვენს განკარგულე-ბაში 42 მამაკაცის, 35 ქალის და 2 ბავშვის თავის ქალაა განკარგულებაში. სამწუხაროდ, დაცულობის ხარისხი ისევე ცუდია და ზოგიერთი ნიშნები შესწავლილია ერთეულ თავის ქალებზე: თვალბუდის ზედა ნაპრალი (Fissura orbitalis superior), თვალბუდის ქვედა ნაპრალი (Fissura orbitalis inferior), ცხვირის ძვლის ძლიერი შევიწროვება (Ossa nasalia), ცხვირის ძვლის შეხორცება (ossa nasalia), ცხვირშუა ნაკერის ნაწილში პატარა, დამატებითი ძვლები (Ossa internasalia), პტერიონის მაქსიმალური შევიწროვება (Stenocrotapia), საფეთქლის ძვლის ქიცვის შუბლის მორჩი (Processus frontalis squamae temporalis), შუბლის ძვლის (Processus temporalis ossis frontalis), სოლისებრი ძვლის თხემის მორჩი (Processus parietalis ossis sphenoidalis), სასის შემადგეობა (Torus palatinus), სასის განივი ნაკერის ფორმა (Sutura palatina transversa), საჭრელი ნაკერი (Sutura incisiva), Os. intermaxillare, მაგარი სასის ნაპრალი (Palatum fissum), პატარა ჩართული ძვალი, სასის პირამიდულ მორჩზე (Os transversum), კეფის ხერხელის წინა კედის ბორცვის სახსროვანი ზედაპირი (Condylus tertius), წვეილი ბორცი, რომელიც გვხვდება კეფის ხერხელის წინა მხარეს (Tuberculum pracondylare), არამუდმივი ხერხელები მდებარეობს კეფის როკების უკან, როკის ფოსოს ადგილზე (Canalis condylaideus). მიუხედავად იმისა, რომ ეს ანომალიები ერთეულ თავის ქალებზე იყო შესწავლილი მათი უმეტესობა ამა თუ იმ კონცენტრაციით მაინც ვლინდება (ცხრ.1), გარდა Ossa nasalia (სამივე ვარიანტი), Processus parietalis ossis sphenoidalis, Os transversum, Manifestatiop verfebre.

ხოლო გვიან ბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში 47 შესწავლილი (66-დან) ანომალიას კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია. ასეთი ნიშნების განაწილებაზე შეგვიძლია დამაჯერებლად ვიმსჯელოთ, როგორც სტატისტიკურად საიმედო. მაგალითად, Satura frontalis, ანუ Satura metopica (შუბლის ძვლის მეტოპიური ნაკერი) მამაკაცებში 17,07%. ქალებში – 12,12% შემთხვევაში გვხვდება. უფრო მაღალია Cribra orbitalia-ს კონცენტრაცია მოსახლეობაში. ცნობილია, რომ Cribra orbitalia (მრავალრიცხოვანი ფორებით დაცხრილვა) მამაკაცებში ვლინდება 23,53 %, ქალებში – 41,38 %,- უფრო ხშირად ვლინდება ქალებში და ბავშვებში. მისი გამოწვევის მიზეზია მწვავე ინფექციები, ანემია, რკინის დეფიციტი და ა.შ. ქალები, რომლებიც მშობიარობისას ხშირად ბევრ სისხლს კარგავენ, ცუდად იკვებებოდნენ ანემია ხშირი დაავადება უნდა ყოფილიყო.

ეს მასალა გვაძლევს შესანიშნავ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელი ანომალიები საქართველოს მოსახლეობაში არ არის გავრცელებული, ან შესაძლოა ვივარაუდოდ მათი უმნიშვნელო კონცენტრაცია. მთლიანობაში გვიან ბრინჯაოს მოსახლეობაში გამოვლენილია 47 ანომალია 66-დან (0,6364). ადრებრინჯაოს მოსახლეობაში გავრცელებული 40 ანომალიიდან გვიან ბრინჯაოს მოსახლეობაში საერთო 31 ანომალია ვლინდება. გარდა ამისა, 11 ანომალია 24-დან, რომელიც გვიან ბრინჯაოს მოსახლეობაში არ არის გავრცელებული არ არის დამახასიათებელი ადრე და შუა ბრინჯაოს მოსახლეობისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ ინდივიდთა რაოდენობა ამ ეპოქებში მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო ძირითადი ანომალიათა გავრცელების სპექტრი ახასიათებთ.

ანომალიათა ფართო სპექტრით გავრცელება, ალბათ განპირობებულია არახელსაყრელი პირობებით, რომელშიც ამ მოსახლეობას უწევდა ცხოვრება. ლიტერატურიდან

ცნობილია, ყოველივე ექსტრემალური ზემოქმედებისას, ფენეტიკური ცვალებადობა იზრდება, რაც პოპულაციის ადაპტაციური მექანიზმის გამოვლინებაა¹.

აღსანიშნავია, რომ გვიანბრინჯაოს მოსახლეობაში ანომალიათა განაწილების მნიშვნელოვანი თანხვედრა აღინიშნება, ისევე, როგორც მთლიანად ბრინჯაოს ხანაში. ნიშანთა გარკვეული კომპლექსი მუდმივად მეორდება. გამოკვლევის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დადგინდეს რა ტიპის ანომალიები უფრო ხშირად ვლინდება საქართველოს უძველეს მოსახლეობაში; გავარკვიოთ გამოკვლეულთა ის მინიმალური რიცხვი, რომელიც აუცილებელია, რომ ესა თუ ის ანომალია გამოვლენილი იყოს. მითუმეტეს, რომ საქართველო ბრინჯაოს ხანის ქვეყანაა და ჩვენი ეთნოგენეზისის საკითხების შესწავლის ათვლითი წერტილი ჯერ-ჯერობით ამ ეპოქას უკავშირდება².

ნიშანთა კომპლექსი, რომელიც ბრინჯაოს ხანის ყველა ეტაპზე მეორდება შემდეგია: თვალბუდისზედა ხვრელები, *Cribr orbitalia*, ყვრიმალ-სახის ხვრელები, ყვრიმალის ძვლის შუბლის მორჩის ლატერალური კიდის ფორმა, ფტერიონის ფორმა, საფეთქლის ძვლის ქიცვის შუბლის მორჩის ტიპი, შუბლის ძვლის საფეთქლის მორჩის ტიპი, საფეთქლის ქიცვის ზედა ჰორიზონტალური კიდის სწორი ფორმა, საფეთქლის ძვლის ქიცვის მორჩის განვითარება, თხემის ძვლის ორ ნაწილად დაყოფა, თხემის ხვრელები, ინკების მთლიანი ძვალი, კეფის განივი ბორცვის ტიპი, ვენოზური ღარის მიმართულება ჯვრისებრ შემადგენელზე, ხვრელები დვრილისებრ მორჩზე, სახის შემადგენლის ტიპი, სახის განივი ნაკერის ფორმა, საჭრელი კბილის ნაკერი, მაგარი სახის განუვითარებლობა, ფრთისებრძვლოვანი ხვრელის ტიპი, სასმენი ხვრელის ფორმით დაცხრილვა. კეფის ხვრელის წინა კიდის ბორცვის სახსროვანი ზედაპირი, ქვედა ყბის შუა ზედაპირის ფორმა.

გარდა ამ მუდმივი კომპლექსებისა კიდევ 27 ნიშანი აღინიშნება ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდში მცხოვრებ მოსახლეობაში.

რკინის პერიოდის მასალა საქართველოში მოპოვებულია დილომში (3 პუნქტი), სამთავრო, ნაბადრები (მცხეთა), გულგულა და თეთრიწყლები (თელავი), არბოშიკი (დედოფლისწყარო), ღრმახევისთავი და განთიადი (დმანისი), გრემის ხევში (დუშ. რ-ნი), ბორნიდელე (ბორჯომი), თრელი (დიდომი), ნარეკვაი (წეროვანი), ს. სანთა (წალკა), ალაზნის ველი (კახეთი), ს. ვერონა (თელავი), გეოი-თეფე (სამხრეთ საქართველო).

მთლიანობაში ამ პუნქტებში შესწავლილი მასალა წარმოდგენილია 43 მამაკაცისა და 38 ქალის თავის ქალებით. ამ დროის არც ერთ სერიაში წარმოდგენილი არ არის ბავშვთა თავის ქალა. (ცხრ.1). მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი რეგიონების რიცხვი შემცირებულია, ანომალიების რიცხვი წინა პერიოდთან შედარებით მეტია (0, 7656).

დისკრეტულ ნიშნებს განვიხილავთ როგორც გენეტიკურ ნიშნებს, ერთი და იგივე ანომალიების სპექტრი მოსახლეობის მემკვიდრეობითობაზე მეტყველებს. ამ თვალსაზრსით საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა მისი მოსახლეობის უწყვეტობას და უფრო მეტიც, მემკვიდრეობითობას ამტკიცებს. მთლიანად ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ანომალიების სპექტრი მეორდება (ერთის გამოკლებით). გარდა ამ ნიშნებისა რკინის ხანაში უშუალოდ წინა პერიოდის (გვიან ბრინჯაოს ხანა) მოსახლეობასთან

¹ Гудкова Л.К. Сравнительная оценка изменчивости физиологического статуса популяций. V Конгресс этнографов и антропологов России. Тезисы докладов, Москва, 2003 г. стр. 251.

² ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისათვის ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ.გვ., 150-162

შედარებით არ ვლინდება ოთხი და თავის მხრივ ორჯერ მეტი ახალი ნიშნები აღინიშნება. ეს განსხვავებები, მცირერიცხოვან კოლექციებში, შესაძლოა შემთხვევითი ფლუქტუაციებით, გარემოს განსხვავებულ ფაქტორთა ზემოქმედებით იყოს გამოწვეული, ან სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და ა. შ. ცვლილებებთან არის კავშირში. ისევე, როგორც მეტოპიურ ნაკერის გავრცელებას აკავშირებენ ძველი ცივილიზაციის კერებთან, შესაძლოა სხვა ნიშნებიც იყოს კავშირში სხვადასხვა ფაქტორებთან. ამისათვის უნდა ჩატარდეს სპეციალური გამოკვლევა და სულ რამდენიმე ნიშნის ცვალებადობა უნდა გაანალიზდეს ერთ ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში და ერთი ეთნიკური ჯგუფი, შესწავლილი იყოს სივრცესა და დროში. რაც შესაძლებელია იმ პერიოდების მიხედვით გარკვევა, როდესაც ცნობილია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის (ჯგუფების) განსახლება დადასტურებული წერილობითი წყაროებით.

საერთო ელემენტები რკინის პერიოდში იმ ძირითადი ანომალიებით, რომლებიც უძველესი დროიდან იყო გავრცელებული საქართველოში არ შემოიფარგლება, აქ ვლინდება ისეთებიც, რომლებიც პირველად შუაბრინჯაოს მოსახლეობაში ყო დაფიქსირებული. ეს ნიშნები შემდგომ გვიან ბრინჯაოს და რკინის ხანაში გვხვდება (*Spina trochlearis* - თვალბუდის მედიალურ კუთხეში ეკლიანი წანაზარდი და ა. შ.).

ადრეანტიკური ხანა. წარმოდგენლია 16 პუნქტი, დასავლეთ საქართველო მხოლოდ 1 მამაკაცის თავის ქალით ვანიდან (ცხრ.№1) ბავშვების თავის ქალები შესწავლილია მხოლოდ კამარახევის სერიაში, ისიც მცირე რაოდენობის (სულ 3). წინა პერიოდებთან შედარებით ადრეანტიკური პერიოდის მასალა სტატისტიკურად ბევრად საიმედოა. ანალიზში ჩართული იყო 110 მამაკაცის, 71 ქალის და 3 ბავშვის თავის ქალა, მაგრამ თავის ქალას დაცულობის გამო ზოგი ნიშანი შესწავლილი იყო ისევე თავის ქალების მცირე რიცხვზე მაგ. ყვრიმალ-სახის ხვრელები, შესწავლილია სულ 13 მამაკაცისა და 6 ქალის თავის ქალაზე. რადგან ეს ნიშანი ყველა დროის მოსახლეობაში, სხვადასხვა სიხშირით, მაგრამ მაინც გვხვდება, ე. ი. ამ ანომალიის კონცენტრაცია მოსახლეობაში იმდენად მაღალია, რომ მამაკაცებში აღინიშნება 38,5%-ით, ქალებში 56% - შემთხვევაში არაგვის აუზის მოსახლეობაში. მთლიანად საქართველოს ადრეანტიკური ხანის მოსახლეობაში ყოველ მეხუთე მამაკაცს, ექვსზე მეტ ქალს აღენიშნებათ ეს ანომალია, რაც სათანადოდ 20,7% და 15,5% შეადგენს. ადრეანტიკური ხანის მოსახლეობაში ანომალიათა სპექტრი კიდევ უფრო გაიზარდა, რაც გამოიხატება ანომალიათა სიხშირეში 0,8485. ამ პერიოდში მხოლოდ 10 ანმალა არ ვლინდება, ამ დროს ვლინდება ძალიან იშვიათი ანომალიები: სრული დამატებითი ძვალი და ცხვირის ძვლის ძლიერი შევიწროვება, თვალბუდის ზედა ჩანაჭდევი და ა. შ.

ელინისტური ხანის კრანოლოგიური მასალა, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია არის: სამთავრო და ნასტაკისი (მცხეთა), ნოქალაქევი (სენაკი) და კახი (ალიბეგლო) სულ 7 მამაკაცისა და სამი ქალის თავის ქალაზე მოპოვებული ინფორმაციით შემოვიფარგლებით (ცხრ.№1).

გავრცელებული ანომალიათა სპექტრი ოდნავ შემცირებულია (24 ანომალიასაგან 20 ვლინდება). ჩვენი აზრით, ანომალიების კონცენტრაცია, რომლებიც ასეთ მცირერიცხოვან მასალაში ვლინდება ძალიან მაღალი სიხშირით უნდა იყოს გავრცელებული საქართველოს უძველეს მოსახლეობაში (თვალბუდისზედა ხვრელები, თვალბუდის შიდა კედლის ლატერალური კუთხის მრავალრიცხოვანი ფორებით დაცხრილვა, სოლისებრი ძვლის თხემის მორჩის ფორმა, კეფის ხვრელის სახსროვანი ზედაპირი).

გვინდა ამ დროის მოსახლეობის თავისებურება აღვნიშნოთ. მიუხედავად ასეთი რიცხოვნობისა (სულ 10 თავის ქალა) ანომალიათა სპექტრის სიხშირე 0,4590-ია, რაც ასევე უდაოდ მაღალია. ამ სერიაში ზოგიერთი იშვიათი ანომალია, რომელიც გვიან ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში ვლინდება (საცრემლე ძვლის ზედა ყბის შუბლის მორჩით ჩანაცვლება), მარტო ბრინჯაოს ხანაში (შემადლება სასმენი ხვრელის შიგნით) ვლინდება და ა. შ.

ეპოქიდან ეპოქაში გადასვლა, ალბათ სოციალური აღმავლობის, მატერიალური და სულიერი კულტურის ცვლილებებთან, მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცხოვრების წესისა და რიტმის ცვლასთან არის დაკავშირებული. ეს ყოველივე იწვევს დაძაბულობას, სტრესს. თუ მუდმივი უარყოფითი ზემოქმედება ვერ ნეიტრალდება, იქმნება წინა პირობა ავადობისა და ბოლოს პათოლოგიური პროცესი ვითარდება. პალეომოსახლეობაში სელიეს თეორის თანახმად, ფიზიოლოგიური სტრესის მარკირების სიხშირე იმ ნეგატიურ პროცესებზე მიუთითებს, რომლებშიც უხდებოდათ ცხოვრება. ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებად თვლიან ემალის გიპოპლაზიას, ფორთოხლის ქერქის სინდრომს, კარიესს, პარადონტოსს, კბილის ქვას და *Cribra orbitalia* (თვალბუდის შიდა ლატერალური კუთხის მრავალრიცხოვანი ფორებით დაცხრილვა). ამ ჩამონათვალიდან მხოლოდ უკანასკნელი არის ანომალია. *Cribra orbitalia* ძალიან ხშირია ბავშვებსა და ქალებში. ელინისტური ხანის (ცხრ. 2) არცერთი ბავშვის თავის ქალა არ არის მოპოვებული, ქალები მხოლოდ სამი ინდივიდით არის წარმოდგენილი, მათი დაცულობის გამო უამრავი ნიშანი აღებულია 1 ან 2 თავის ქალაზე, 20 ნიშნის შესწავლა საერთოდ ვერ მოხერხდა. ამიტომ ფიზიოლოგიური სტრესის მარკეროს სიხშირე ამ მოსახლეობაში მამაკაცების მონაცემებით განისაზღვრება (0, 4286) რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია.

გვიანანტიკური ხანის მასალები ჩვენს გამოკვლევაში 173 თავის ქალით განისაზღვრება, აქედან მამაკაცების თავის ქალას რაოდენობა ორჯერ მეტია ქალების (114 და 57 შესაბამისად) თავის ქალაზე, ხოლო ბავშვები უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილი (ცხრ. №1).

გვიან ანტიკურ ხანაში წინა ეპოქასთან შედარებით ანომალიათა სპექტრი ისევ მატულობს (0,6363), ხოლო ანომალიათა ძირითადი კომპლექსი მთლიანად ვლინდება, რაც რა თქმა უნდა მიუთითებს, რომ ამ ანომალიების სიხშირე მოსახლეობაში მნიშვნელოვანია. ამ მოსახლეობაში ასევე ნათლად გამოიხატა ანომალიათა სპექტრი, რომელიც ადრე ბრინჯაოდან მოყოლებული გვიანანტიკურის ჩათვლით არ ფიქსირდება, არც ერთ (ადრენტიკურის გარდა) სერიაში. ეს ანომალიები - ცხვირის ძვლის შევიწროვება, რედუქცია, ცხვირის ძვლის ადრეული ობლიტერაცია, ჩართული ძვალი შუბლის ყიფლიბანდის არეში, საგიტალური ნაკერის ჩართული ძვლები, ცხვირის შუა ნაკერში პატარა დამატებითი ძვლების ჩართვა, კეფის ქიცვის ჩანასახოვანი ნაკერების საწყისი და კვალი, პატარა ჩართული ძვალი, კეფის ძვლის ყიფლიბანდის არეში დვრილისებრი მორჩის საუღლე ამონაჭდევი, კეფის ძვლის გარეთა ზედაპირზე ახალწარმონაქმნი. გარდა ამ ძირითადი ნიშნებისა, არის კიდევ ორ ათეულამდე ანომალია, რომელიც დისპერსიულად ვარიირებს. ეს ანომალიები, უფრო იშვიათ ჯგუფს წარმოადგენს, მათი დაფიქსირებისათვის ბევრად დიდი და სრულყოფილი მასალა არის აუცილებელი. მხოლოდ ასეთი მასალის შემდგომ შეიძლება ზუსტად ვილაპარაკოთ რა ტიპის ანომალიების გავრცელებას აქვს ადგილი საქართველოში, რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მათი ასეთი სპექტრით გავრცელება. ასეთად შემდეგი პერიოდის მასალა გვევლინება.

ადრეული შუასაუკუნეები. ამ დროის მოსახლეობა წარმოდგენილია 199 მამაკაცის, 126 ქალის, 17 ბავშვის თავის ქალით. მიუხედავად სოლიდური რიცხოვნობისა, ზოგიერთი ნიშანი აღებულია ერთეულ თავის ქალაზე. მაგალითად, შუბლის, ცხვირის, საცრემლესა და ზედა ყბის ძვლებს შორის დამატებითი ძვალი. ქალებში სულ 29 თავის ქალაზე შესაძლო იყო ამ ანომალიის დაფიქსირება, მაგრამ არც ერთხელ არ იყო აღნიშნული. ასევე ბავშვებში (ცხრ.№1) ეს ნიშანი ქართველებში ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. გამოვლენილი იყო ძალიან მცირე კონცენტრაციით მხოლოდ შუა ბრინჯაოს და ადრეულ შუასაუკუნეების მოსახლეობის მამაკაცებში. ადრეული შუასაუკუნეების მოსახლეობა ანომალიებით კიდევ უფრო გაჯერებულია (0,9442). ამ სერიაში მხოლოდ ხუთი ნიშანი არ ვლინდება: ჩართული ძვალი გვირგვინოვან ნაკერში, სოლისებრი ძვლის თხემის მორჩი, ყვრიმალის ძვლის ორ ან მრავალნაწილებად დაყოფა, არასწორი თხემთაშორის ძვალი საგიტალურ ნაკერში, კეფის ძვლის გარეთა ზედაპირის არეში ახადწარმონაქმნი. აქედან ყვრიმალის ძვლის ორ ან მრავალ ნაწილებად დაყოფა არც ერთ სერიაში არ ვლინდება. საფეთქლის ქიცვის ზედა პორიზონტალური კიდის სწორი ფორმა - ძალიან მცირე რაოდენობით ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და ხანაში; ჩართული ძვლები გვირგვინოვან ნაკერში - ადრებრინჯაოს, გვიან ბრინჯაოს, ადრე რკინის, ადრეანტიკური და გვიანანტიკურ ხანაში; თხემთაშორის არასწორი ფორმის ჩართული ძვალი - ადრე რკინის და ადრებრინჯაოს მოსახლეობაში; ახლადწარმონაქმნის კეფის ძვლის გარეთა ზედაპირზე - მხოლოდ ადრებრინჯაოსა და ადრეულ შუასაუკუნეებში. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ანომალიათა თითქმის სრული კომპლექსი მარტო ადრეულ შუასაუკუნეებში ფიქსირდება. ჩვენი აზრით აქ ორი მომენტი გასათვალისწინებელი. სერიაში თავის ქალების სტატისტიკურად სანდო რაოდენობის შესწავლა და მთავარი „გენეტიკური ტერთვის“ ზრდა პოპულაციებში, რაც უფრო თანამედროვეობასთან ახლო დროს განვიხილავთ, მით მეტი იქნება, როგორც ანომალიათა სპექტრი, ასევე ცალკეული ანომალიის კონცენტრაცია (ცხრ.№1).

ადრეული შუასაუკუნეების მასალები შესწავლილი გვაქვს ასევე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე (სულ 3 მამაკაცის თავის ქალა); სტაროკორსუნსკაია დონიდან (6 კაცი და 4 ქალი), ჩენეთ-ინგუშეთიდან (მარტან-ჩუ, იაკინჩუ-ბანზოი, ბერდუხტი, კენხი, გროზნო). ეს მასალა 18 მამაკაცისა და 4 ქალის თავის ქალით შედგება. ამიტომ რთულია ასეთი მცირერიცხოვანი სერიები შევადაროთ სოლიდურ მასალას საქართველოდან. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ ძირითად ბირთვში გაერთიანებული ანომალიები მათთვისაც არის დამახასიათებელი ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანომალიათა ძირითადი ბირთვი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული იგივეა, რაც ჩენეთ-ინგუშეთში. ამ ფაქტს გადამოწება ჭირდება, თუ ეს მართლაც, ასეა, ეს კიდევ ერთი დასტურია იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა გენეტიკურ ნათესაურ კავშირზე, მით უმეტეს, რომ ჩენები და ინგუშები, ისევე როგორც ქართველი მთიელები ერთ კავკასიონის ანთროპოლოგიურ ტიპში არიან გაერთიანებულნი¹.

განვითარებული შუასაუკუნეების მასალები ისევე, როგორც ადრეული შუასაუკუნეები სოლიდურად არის წარმოდგენილი. მასალა საქართველოს ტერიტორიიდან 32 პუნ-

¹ Абдушлишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб. "Мецниереба", 1964.

ქტში არის მოპოვებული პირველად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა წარმოდგენილია: წალენჯიხის, საგვარჯილეს, ვანის ქვაბების, თხილვანის, კალოთას, ვერნებისა და დულრიფშის კრანიომასალით.

განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობაში ანომალიათა სპექტრი წინა პერიოდთან შედარებით კვლავ მატულობს (0,9545). განსხვავება ორ პერიოდს შორის არის ნიშნითა კონცენტრაციაში, რომლებიც ფართოდ ვარირებენ ცალკეულ სერიებში და მთლიანობაში ქმნიან საერთო სურათს, რომელიც ამ დროისათვის არის დამახასიათებელი. რა თქმა უნდა ძალიან რთულია პალეომასალისადმი პოპულაციურ-გენეტიკური ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, რადგან არქეოლოგიური ძეგლების დათარიღება საიდანაც გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ადგილას მოპოვებულ მასალაზე ხდება დიდი ინტერვალით. ამით მიღებული განსხვავება წინა ეპოქისა და განვითარებული შუასაუკუნეების მოსახლეობას შორის ანომალიათა განსხვავებული სპექტრის მიხედვით ალბათობაზეა დამყარებული. განვითარებულ შუასაუკუნეებში მხოლოდ სამი ანომალია არ ფიქსირდება: ყვრიმალის ძვლის რამდენიმე ნაწილებად დაყოფა, ცხვირ-სშუა ნაწილში დამატებითი ძვლები, ქვედა ყბა-ენისქვეშა ღარის შეერთება. ბოლო ორი ნიშანი წინა პერიოდის მოსახლეობაში (0,0084 და 0,225) ძალიან და მცირე კონცენტრაციით იყო გამოვლენიებული. შემდგომ პერიოდში ამ ნიშნების ამოვარდნა შესაძლოა რაღაც ფაქტორებთან იყოს დაკავშირებული, ან თვითონ ადრეული შუასაუკუნეების უინვალში (ორმოსამარხიდან, მოპოვებულ მასალაში აღმოჩნდა) იყო განსხვავებული პირობები. ამ მასალაზე შევკვიდრია დავადგინოთ იშვიათ ანომალიათა სიხშირეები.

მაგალითად: შუბლის, ცხვირის, საცრემლესა და ზედა ყბის დამატებითი ძვალი – 0,0497 (გამოვლენილია მარტო მამაკაცებში); ცხვირის ძვლის ძლიერი შევიწროვება 0,0218 (გამოვლენილია ორივე სქესის წარმომადგენლებში); ცხვირის ნაკერში პატარა დამატებითი ძვალი – 0,0188 (0,0122 – კაცები; 0,0292 ქალები) და ა. შ. მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან ჩანს, რომ მომავალში ყოველ ანომალიას სიხშირით უნდა გამოიკვლიოს ცალკეულ სქესთან მიმართებაში, მაგრამ ამისათვის აუცილებელია კარგი დაცულობის მრავალრიცხოვანი მასალა.

გვიანი შუასაუკუნეები ჩვენს გამოკვლევაში წარმოდგენილია ქართველებით, ჩეჩნებითა და ინგუშებით. აღსანიშნავია, რომ ქართველებში მხოლოდ 8 ანომალია არ ვლინდება. ანომალიათა სპექტრის სიხშირე 0,9697; ინგუშებში – 0,9344; ჩეჩნებში – 0,8361; ამ შემთხვევაში ეს შედარებები დაახლოებით ასახავს არსებულ სიტუაციას. ქართველები წარმოდგენილნი არიან 19 პუნქტიდან მოპოვებული ჩეჩნებთან შედარებით რაოდენობრივად უფრო დიდი მასალით. ინგუშები, რაოდენობრივად კარგად არიან წარმოდგენილნი. გამოკვლევაში შესული სამი სერიის (ხული, ბეუთი, ერზი) მასალები, რომლებშიც 14 ბავშვის თავის ქალაც არის შესული. აქედან გამომდინარე ქართველებისა და ინგუშების მონაცემები ძალზე ახლო სიხშირეებს გვიჩვენებს, როცა ჩეჩნების (შესწავლილია სულ 22 თავის ქალა) ცვალებადობა უფრო ნაკლებია. სპეციალურ გამოკვლევაში, რომლებიც მიეძღვნა კავკასიონის ართროპოლოგიურ ტიპში გაერთიანებულ ჯგუფებს გაანალიზებული იყო მონაცემები ქართველების (შატილი, სიონი, ყაზბეგი, არღუნი, დუშეთის რ-ნი), ჩეჩნების და ინგუშების (ერზი, ხული, ბეუთი) სერიებში ანომალიების განაწილება. იყო გამოყენებული კომბინაციური პოლოგონების მეთოდი¹, რომელმაც ნათლად აჩვენა

¹ Дебеч Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.

ამ მოსახლეობის უღაო გენეტიკური ნათესაობა, რაც არ გამოირიცხავს ყოველი ჯგუფის თავისებურებასა და გარკვეულ ტიპოლოგიურ მსგავსებას¹.

თანამედროვე მოსახლეობის ცვალებადობა დისკრეტულად ვარირებული ნიშნების მიხედვით შესწავლა შესაძლებელი იყო მოხლოდ მცირერიცხვან მასალაზე, ისიც მოხლოდ საქართველოს ორი კუთხიდან, როგრიცაა ს. ავენსი დუშეთის რაიონი და ბათუმი (ცხრ.№1).

ავენსის მოსახლეობაზე, მის მორფოლოგიურ თავისებურებებზე ვმსჯელობთ მოხლოდ 5 მამაკაცის, 7 ქალისა და 1 ბავშვის თავის ქალას მიხედვით. აჭარიდან მოპოვებული მასალა უფრო საიმედოა, იგი 33 მამაკაცისა და 24 ქალის თავის ქალით არის წარმოდგენილი. გარდა ქართველებისა ბათუმში მოპოვებულია მუსულმანი ქურთების კრანიომასალა (5 მამაკაცი და 8 ქალი).

ს. ავენსის მოსახლეობაში გამოვლენილია 39, აჭარლებში 43 და ქურთებში 31 სხვადასხვა ტიპის ანომალია. ანომალიათა სისშირე შესაბამისად 0, 5909, 0,6515 და 0, 4697-ია. ქართველებში ამ შემთხვევაში მიღებული განსხვავება ჩვენი აზრით მასალის რიცხოვნობასთან უნდა იყოს კავშირში. აჭარის კოლექცია 4-ჯერ აღემატება დუშეთიდან მოპოვებულს და ქურთების სერიას.

ნიშანდობლივია ის, რომ 24 ძირითად ანომალია, რომელიც ადრებრინჯაოდან მოყოლებული თითქმის მთლიანი კომპლექსით ვლინდება თანამედროვე მოსახლეობაში. ხოლო ის ნიშნები, რომელთა კონცენტრაცია საუკუნეების მანძილზე მუდმივად არ ვლინდებოდა ასევე არ ფიქსირდება მთელივე კომპლექსით ავენსის მოსახლეობაში და მოხლოდ რამდენიმე ძალიან იშვიათი ნიშანი (პატარა ჩართული ძვალი ყიფლიბანდის არეში, პატარა ჩართული ძვალი სახის ძვლის პირამიდულ მორჩზე და ნიკაპის ხვრელეების რიცხვის 2-3-ჯერ გაზრდა) აღინიშნება ბათუმის ქართულ მოსახლეობაში.

ქურთების მცირერიცხოვან სერიაში ანომალიათა სპექტრი ქართველებთან შედარებით შემცირებულია, ხოლო ნიშანთა კომპლექსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან მოპოვებულ მასალაში არ ვლინდება მათთვისაც არ არის დამახასიათებელი. ქურთების თავისებურება გამოიხატება რამდენიმე ძალიან იშვიათი ნიშნის 100%-ით გამოვლინებით (საცრემლე ძვლის ზედა ყბის ძვლის მორჩით ჩანაცვლება), იშვიათი ნიშნის (პატარა ეკლიანი წანაზარდი თვალბუდის მიდამოში) 15%-მდე შემცველობა და ა. შ. განსხვავება არის ძირითადი ნიშნების კონცენტრაციაში, ხოლო იშვიათი ნიშნების დაფიქსირება ქურთების სერიაში, მიუთითებს, რომ დაკრძალულები ნათესავეები არიან.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იქნებოდა მასალები წინააზიის უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის შესახებ. შეგძლებლით გამოგვეყო საერთო წინაზიური სუბსტრატი და შემდგომი მადიფერენცირებელი ნიშნები, რაც ალბათ მომავალი ძიების საგანი გახდება.

ამრიგად, განხილულია დისკრეტულად ვარირებული ნიშნების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში ენეოლითიდან თანამედროვეობის ჩათვლით და შუასაუკუნეების მასალა ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან, დონიდან (სტაროკოსუნსკაია).

1. ამ მასალაზე დაყრდნობით, გამოიყო ანომალიათა ის კომპლექსი, რომელიც

¹Битадзе Л.О., Неметрические признаки черепа в населении позднего средневековья Восточного Кавказии. Материалы международной конференции "Археология, этнология, фольклористика Кавказа", Тб., 2004, с.39-42

ყველა ეპოქაში ვლინდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში.

2. ცნობილია, რომ დისკრეტულად – ვარირებული ნიშნები (ანუ ანომალიები) გენეტიკურად არიან დეტერმინირებულნი. ეს მასალა ამტკიცებს მ. აბღუშელიშვილის მოსაზრებას ანთროპოლოგიური ნიშნების ეპოქალურ ტრანსფორმაციის თაობაზე. იგი, ყველა თავის ძირითად ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა, ეს ტერიტორია არასოდეს არ ყოფილა დიდი რასების კონტაქტის არეალი. და რომ საქართველო და კავკასია ის ტერიტორიაა, სადაც სამხრეთ ევროპეიდული რასის ყველა შტოს ჩამოყალიბებას დაედო დასაბამი.

3. ზოგიერთი ანომალიები, რომლებიც მონგოლოიდური (*Os. Japonicum*) მინარევზე მეტყველებენ ამ მასალებში არ გამოვლენილა. ასეთივე დასკვნამდე კავკასიის შესახებ მივიდა ტ. ალექსეევა, ზოგიერთი ანომალიების შესწავლისას¹.

4. გვიანი შუასაუკუნეების მასალებში ნათლად გამოჩნდა კავკასიონის ტიპში გაერთიანებული ჯგუფების: ქართველების, ჩეჩნების, ინგუშების, გენეტიკური მსგავსება, რომელიც ადრე თანამედროვე მოსახლეობის გენეტიკური ნიშნებით (დერმატოგლიფიკა, სისხლის იზოანტიგენური სისტემები) მიხედვით იყო დადასტურებული².

ძირითადი ანომალიების გავრცელება და დინამიკა საქართველოს უძველეს მოსახლეობაში

წინა პარაგრაფში განვიხილეთ ანომალიათა ფართო სპექტრი, რომელიც ადრეებინჯაოდან მოყოლებული თანამედროვე ხანით დამთავრებული გავრცელებულია საქართველოს მოსახლეობაში.

ეს ძირითადი ნიშნებია: შუბლის ძვლის ნაკერი (*Sutura metopica*), თვალბუდის ზედა ხვრელები (*Foramina supraorbitalia*), მრავალრიცხოვანი ფიორებით დაცხრილვა თვალბუდის შიდა კედლის ლატერალური კუთხის არეში (*Cribrum orbitale*), *Tvalbudis qveda xvrelebi* (*Foramina infraorbitalia*), ყვრიმალ-სახის ხვრელები (*Foramina zygomaticofacialis*), ყვრიმალის ძვლის შუბლის მორჩის ლატერალური კიდის ფორმა (*Spina processus frontalis ossis zygomatici*), პტერიონის მაქსიმალური შევიწროვება (*Stenocrotaphia*), საფეთქლის ძვლის ქიცვის შუბლის მორჩი (*Processus frontalis squamae temporalis*), შუბლის ძვლის საფეთქლის მორჩი (*Processus temporalis ossis frontalis*), საფეთქლის ძვლის ქიცვის მორჩი (*Processus postglenoidalis*), თხემის ძვლის ორ ნაწილად დაყოფა ჰორიზონტალური ნაკერით (*Os. parietale bipartitum*), თხემის ხვრელები (*Foramina parietalia*), განივ-გრძივი ვენოზური ღარის მიმართულება ჯვრისებრ შემადგენლობაზე (*Sulcus transversosagitalis eminentiae cruciatum*), ღვრილისებრი ხვრელები (*Foramina mastoidea*), სასის შემადგენლობა (*Torus palatinus*), სასის განივი ნაკერის ფორმა (*Sutura palatina transversa*), საჭრელი ნაკერი (*Sutura incisiva*), მაგარი სასის ნაპრალი (*Palatum fissum*), ფრთისებრძვლოვანი ხვრელი (*Foramen pterygospinosum*), ფრთისებ სასის

¹ Алексеева Т. И., Шауро Э. А. Аномалии черепа в их географической, социальной и генетической обусловленности. В сб. Морфофизиологические исследования в антропологии. М. МГУ, 1970, с. 12-185

² ბითაძე ლ. კავკასიონის ქედზე მცხოვრები მოსახლეობის ცვალებადობა სისხლის ჯგუფების (ABO, Rhesus, MN, P, Kell) მიხედვით. კრ. "ონხარი". 2002, თბ; გვ.88-89.; ბითაძე ლ. ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისასთვის. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ. 2002., გვ.150-165.

ხვრელი (*Porus crotaphiticobuccinatorius*), კეფის ხვრელის წინა კიდის ბორცვის სასხსროვანი ზედაპირი (*Condylus tertius*), არამუდმივი ხვრელები კეფის როკების უკან, როკის ფოსოს ადგილზე (*Canalis condiloideus*), კეფის განივი ბორცვი (*Torus occipitalis transversus*), სასმენი ხვრელი (*Foramina timpanicus*), ჩვენი აზრით, ეს ძირითადი ნიშნები იმ საერთო სუბსტრატის გამოვლინებაა, რომელზეც არა ერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება ანთროპოლოგიურ წყაროებში¹.

ანომალიები, რომელთა დაფიქსირება არ არის დამოკიდებული გამოკვლეულთა რაოდენობაზე (ვლინდება, როგორც ენეოლითის ერთი ინდივიდის თავის ქალაზე, ასევე შუა ბრინჯაოს 19-ის და განვითარებული შუა საუკუნეების 795-ზე), არის დამახასიათებელი ნიშნები. ისინი ფართოდ ვარირებენ და ამა თუ იმ კონცენტრაციით ვლინდებიან საქართველოს ყველა ეპოქის მოსახლეობაში.

საერთო სუბსტრატი მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სისტემების შესწავლისას ფიქსირდება უძველეს თუ თანამედროვე მოსახლეობაში. მხოლოდ საერთო ელემენტების გამოვლინება სულაც არ გამორიცხავს ნიშანთა კონცენტრაციის ცვალებადობას დროში. პოპულაციური გენეტიკის დებულებებიდან გამომდინარე მოსახლეობის გენეტიკური “ტვირთი” დროის მანძილზე იზრდება. ამ “ტვირთის” ზრდა პოპულაციებში გამოწვეულია სტოხასტიური პროცესებით, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია გენთა დრეიფის სახელით (გენეტიკო-ავტომატიური პროცესები საბჭოთა წყაროებში). ამ პროცესის დროს შესაძლოა ზოგი გენის კონცენტრაციის ზრდა (ფიქსაცია), ზოგის დაკარგვა, რაც შემთხვევითი ფაქტორებითაა გამოწვეული. გარდა ამისა, გარემო პირობები, რომელშიც ადამიანს უხდებოდა და ახლაც უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა, მუდმივად იცვლება, ხდება მისი დაბინძურება კანცეროგენებით, რაც გენთა მუტაციას იწვევს. ამიტომ, ჩვენი შემდეგი ანალიზი ძირითადი ანომალიების კონცენტრაციის განსაზღვრას დაუთმეთ.

ადრებრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვეს ჩათვლით, არც ერთი ანომალიის სიხშირე თანმიმდევრულ ზრდას ან კლებას დროში არ აჩვენებს. იქმნება შთაბეჭდილება ქოტური ცვალებადობისა. ჩვენი აზრით, მცირერიცხოვანი მასალა ნიშანთა შემთხვევით სიხშირეს გვიჩვენებს. ერთია, რამდენად გავრცელებულია ესა თუ ის დისკრეტული ნიშანი, და ამ ნიშნის დაფიქსირების რა ალბათობა არსებობს მოსახლეობაში, მეორე კი გამოვლენილი ნიშნის რეალური კონცენტრაცია. ძირითადი ანომალიების ვარირების ფარგლები დავაზუსტეთ იმ სერიების საფუძველზე, რომლებიც რეპრეზენტატიულ მასალაზე არის განსაზღვრული. ასეთია: ადრე ანტიკური (n=184), გვიან ანტიკური (n=172), ადრეული (n=328), განვითარებული (n=795) და გვიანი შუასაუკუნეების (n=294) მასალა. რამდენიმე ნიშანი მართლაც ავლენს თანმიმდევრულ ზრდას ადრე-ანტიკური პერიოდიდან შუასაუკუნეების ჩათვლით. მაგ. *Sutura metopica* (6,1 – 10,2 – 15,5 – 17,2 – 23,5), *Cribrā orbitalia* (11,9 - 17,2, -3 4,6 - 65,7 - 53,8), *Foramin prerygospinosum* (76,0 – 77,2 – 89,1 – 91,9 – 92,4) და *Porus crotaphiticobuccinatorius* (42,6 – 43,9 – 52,8 – 71,0 – 61,5); ხოლო იგი-

¹ Абдушлишвили М.Г. Таксономическое значение скулового диаметра для антропологической классификации современного населения Кавказа. Тр.МОИП,1964,т.XIV, с.190-207.; აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში. თბ. მეცნიერება, 1980. გვ.174.; ბითაძე ლ. ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისასთვის. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ. 2002., გვ.150-165.

ვე დროის მანძილზე ხდებოდა ზოგიერთ ნიშანთა კონცენტრაციის შემცირება (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგრამ გვიან შუასაუკუნეებში ამ ნიშნების კონცენტრაცია რამდენჯერმე მცირეა, ვიდრე ის არის აღნიშნული ადრეანტიკურ ხანაში). ნიშანთა ეს ჯგუფია: Spina processus frontalis (53,3 – 41,2 – 50,5 – 48,5 – 48,5), Processus postglenoidalis (72,8 – 65,3 – 63,8 – 52,5 – 44,6), Sulcus transversosagittalis (50,1 – 28,9 – 28,4 – 27,4 – 17,6).

ამავე პერიოდებში გვეძლევა საშუალება დავაზუსტოთ ანომალიათა საერთო სპექტრი. ალბათობა იმისა, რომ ანომალია დაფიქსირდეს, ძალზედ მაღალია. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე ნიშანი: OSSA nasalia (შევიწროება) 0,9 – 2,2 – 8,84-ით მარტო ადრეულ, განვითარებულ და გვიანი შუასაუკუნეების მოსახლეობაში ვლინდება. ამ ნიშნის სისშირის დინამიკა ერთის მხრივ გვიჩვენებს ზრდას დროში, რაც თავისთავად სავსებით შესაძლებელია, მეორეს მხრივ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის ალბათ ადრექრისტოვანულ ხანაში გავრცელდა (მოხდა მუტაცია) და შემდგომ პერიოდში მოხდა ამ ანომალიის კონცენტრაციის ზრდა. თანამედროვე მოსახლეობა ჩვენს მასალებში წარმოდგენილია დუშეთის რ-ნის ს. ავენისიდან (n=25) და ბათუმის აჭარლებით (n=54). იშვიათი ნიშნები ამ მოსახლეობაში, როგორცაა Ossa nasalia (შევისწოება), Ossa nasalia (შეხორცება), Ossa internasalia არ ვლინდება, რაც ალბათ მასზე მიუთითებს, რომ ამ ანომალიების შემცველობა მოსახლეობაში ძალზედ მცირეა და იმისათვის, რომ დავაფიქსიროთ მინიმალური რაოდენობა, გამოკვლეულთა 100-ზე მეტი ინდივიდი აუცილებელი. მოსახლეობა გაჯერებული რომ ყოფილიყო ამ ანომალიით, მაშინ ის გამოვლინდებოდა თანამედროვე მოსახლეობაშიც (n=79). ანომალიები Ossa nasalia (შეხორცება)- (0,9 – 0,9 – 3,8) და Ossa internasalia (0,8 – 0 – 2,7) უფრო იშვიათ ანომალიებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან გამოვლენილი არიან მხოლოდ შუასაუკუნეებში და ისიც უფრო დაბალი კონცენტრაციით. ზოგადად სხვადასხვა ეპოქაში დაბალი სისშირეებით ვლინდებიან: Torus tympanicus, Sutura transversofoetalis, Os Incae incomplectum, Os Incae complectum, Os. transversum, Os. Wormii Sut. sagittalis. Foramen mandibularia, Os praefrontale, Os. lacrimale, Foramina mentalia, Sulcus mylohyoideus (გარდა გვიანბრინჯაოს მოსახლეობაში). მთლიანობაში შესწავლილია საქართველოს უძველეს მოსახლეობაში 66 ანომალიის გავრცელება. აქედან გამოვლენილი იყო 63.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ანომალიათა სპექტრი დროში მნიშვნელოვნად ცვალებადობს, როგორც რიცხობრივად, ასევე თვისობრივად. მაქსიმალური ანომალიათა რიცხვი და კონცენტრაცია ფიქსირდება შუასაუკუნეების მოსახლეობაში, რაც ორი მომენტით (მასალის რეპრეზენტაციულობითა და “გენეტიკური ტვირთის” ზრდით იყო ახსნილი). არც ერთ ეპოქაში არ არის გამოვლენილი რამდენიმე ნიშანი, რომელიც გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ეთნოგენეტიკური პროცესების მიმდინარეობაზე საქართველოს მოსახლეობაში.

1) Os zygomaticum bipartitum et tripartitum (Os japonicum) – ყვრიმალის ძვლის ორ ან სამ ნაწილად გაყოფა (Мовесян и др. 1975; ბითაძე, 2005) ითვლება ნიშნად, რომელიც დამახასიათებელია მონგოლოიდებისათვის. არც ერთ თავის ქალაზე, რომელზეც ყვრიმალის ძვლები (მარცხენა და მარჯვენა) იყო შენარჩუნებული (ადრებრინჯაოს – 12; გვიან ბრინჯაოს 27; რკინა – 24; ადრეანტიკური – 83; ელინისტური 37; გვიანანტიკური – 56; ადრეული შუასაუკუნეები – 178; განვითარებული შუასაუკუნეები – 382; გვიანი შუასაუკუნეები – 183; თანამედროვე - 46) ეს ნიშანი აღნიშნული არ იყო.

2) *Torus mandibularis* – ქვედა ყბაზე კაკლისებური ამობურცულობა. ნიშნის განვითარება გამოიხატება ბალებში. ამ ნიშანთან დაკავშირებით არსებობს ლიტერატურა¹, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ ნიშნის არსებობა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია მონგოლოიდურ რასასთან. თითქოს თავიდან ამ ნიშანს ჰქონდა კომპენსატორული დატვირთვა, რადგან მონგოლოიდების კბილებს მცირე ზომის ფესვები ახასიათებს. ზოგიერთ მონგოლოიდურ ჯგუფებში (ესკიმოსები), ცხოვრების წესიდან გამომდინარე, კბილები ნაადრევად უცვდებოდათ და ღრძილები განიცდიდნენ დამატებით დატვირთვას. შემდგომში ამ ნიშანმა რასობრივი ელფერი მიიღო. თუ დავაკვირდებით ამ ნიშნის განაწილებას სხვადასხვა რასის წარმომადგენლებში, იგი უდავოდ დამახასიათებელია მონგოლოიდური რასის წარმომადგენლებისათვის.

ამ ნიშნის განაწილებას საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების მოსახლეობაში სპეციალური გამოკვლევა დაეთმო (ბოსტაშვილი, 2005). ამ დროისთვის 61 ინდივიდის ქვედა ყბაზე აღნიშნული იყო რამდენიმე შემთხვევა ქვედა ყბის ბორცვის (*Torus mandibularis*) სუსტი (2 შემთხვევა, 1 კაცი, 1 ქალი) და საშუალო (3 კაცი და 1 ქალი) განვითარება. ავტორის აზრით, ქვედა ყბის ბორცვის განვითარება კავშირშია სიცოცხლეში კბილების დაკარგვასთან და ასაკთან (ბოსტაშვილი, 2005), რადგან აღნიშნული ნიშნები ვლინდება ძირითადად ასაკში მყოფ ინდივიდების ქვედა ყბებზე, როგორც საკომპენსაციო მექანიზმი, ხოლო კლასიკური კაკლისებრი ამობურცულობა განხილულ მასალაში არ გამოვლენილა.

3) *Manifestatio vertebre occipitalis* – ახალწარმონაქმნი კეფის ძვლის გარეთა ზედაპირზე (*foramen magnum*) კეფის დიდი ხვრელის არეში – ეს ნიშანი ასევე არ იყო აღნიშნული ჩვენს მასალაზე. რა დატვირთვა აქვს ამ ანომალიას, რა ფაქტორებითაა გამოწვეული, ლიტერატურაში უცნობია, ხოლო ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ იგი ჩვენს მოსახლეობას არ ახასიათებს. ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურულ წყაროებში² იგი ასევე არ შეგვხვედრიან³.

ამრიგად, დისკრეტული ნიშნები (*Os Japonicum*, *Torus mandibularis*), რომელთა არსებობა მოსახლეობაში მონგოლოიდურ მინარევზე მეტყველებს, საქართველოს მოსახლეობაში ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე არ ფიქსირდება. ეს ფაქტი უდაოდ უარყოფს ბოლო წლებში მრავალგზის გამოთქმულ აზრს, სხვადასხვა მინარევების არსებობაზე საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან⁴. მონგოლოიდური ნიშნები დომინირებენ ევროპოიდულ ნიშნების განაწილებაზე. თუ იქნებოდა მინარევების საგრძნობი რაოდენობა, ის აუცილებლად გამოვლინდებოდა 972 ყვრიმალის ძვალზე. მითუმეტეს, რომ ვ. ასლანიშვილს იგივე მასალაზე აქვს აღნიშნული აფრო-მონგოლოიდური რასისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა მოსახლეობაში. ნიშანთა ის კომპლექსი, რომელ-

¹ Занина-Покровская В.С., Нижнечелюстной валик (*Torus mandibularis*) в разных этнических группах и в некоторых древних популяциях, Вопросы антропологии, 1974, вып., 48, стр. 180-198.

² Чеснис Г. Захоронения грунтовых могильников Литвы II-V вв. (Антропологический очерк) Vilnius "Mokslas", 1981. стр.92-110.

³ Чеснис Г. Антропология ятвагов. "Is lietuviy etnogenezes" Vilnius "Mokslas", 1981., с.47-59.

⁴ ასლანიშვილი ვ. არაგვის აუზის მოსახლეობის კრანიოლოგიური თავისებურებანი განვითარებულ შუა საუკუნეებში. ანალები, 1999, № 1, გვ.77-84; ვ. ასლანიშვილი, არაგვის აუზის უძველესი მოსახლეობა (კრანიოლოგიური მონაცემების მიხედვით), ანალები, 2000, №2, გვ. 71-78.

საც ის ამ დასკვნამდე მიყავს, შესწავლილი აქვს იგივე რაოდენობის თავის ქალაზე, რომლებსაც სახის ქალა შემორჩენილია. რა თქმა უნდა, მონგოლოიდური ნიშნები მთელი კომპლექსით არ მკვიდრდება, მაგრამ რაღაც უმნიშვნელო პროცენტით მაინც უნდა გამოვლენილიყო. ეპოქალური ტრანსფორმაცია, რომელიც დამახასიათებელი თვისებაა ყველა ერის, ყველა ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობისათვის, ძალიან კარგად ჩანს დისკრეტულად-ვარიირებული ნიშნების განაწილებაშიც. ზემოთ ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ არსებობს მოსახლეობის უწყვეტობა, გამოსატული ძირითადი ნიშნების სახით. ნიშანთა კომპლექსი, რომელიც ბრინჯაოს ეპოქიდან თანამედროვეს ჩათვლით ამა თუ იმ კონცენტრაციით აღინიშნება საქართველოს მოსახლეობაში – ადასტურებს მოსახლეობის უწყვეტობას, ხოლო ნიშანთა ამ კომპლექსის კონცენტრაციის ცვლა (კონცენტრაციის გაზრდა, ან შემცირება) დროში, ეპოქალური ტრანსფორმაციის გამოსატულებაა (ნახ. № 1).

ნახ. № 1. უდავოდ აჩვენებს მოსახლეობის მორფოლოგიური ცვალებადობის მაღალ დონეს. აღსანიშნავია, რომ ადრებრინჯაოს მოსახლეობის მსგავსება განვითარებულ შუასაუკუნეების მოსახლეობასთან ტიპოლოგიურ ხასიათს ატარებს, განსხვავება ნიშანთა რაოდენობრივ მხარეს ეხება. ამ ორივე ნახატზე გამოყენებულია ერთიდაიგივე ნიშნები. პირველ შემთხვევაში წარმოდგენილია ნიშნის დინამიკა დროში, ხოლო მეორე ნახატზე (მათი შეფარდება) ძირითადი ანომალიების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან დღემდე (მოსახლეობის დინამიკა, ანუ მოსახლეობაში ეპოქალური ცვლილებები). საქართველოს სხვადასხვა ხანის მოსახლეობა რამდენიმე ლოკალურ ჯგუფად ერთიანდება. პირველ ჯგუფს ქმნის რკინის ფართო ათვისების ადრეანტიკური და გვიანანტიკური ხანის მოსახლეობა. მეორე ჯგუფს - ადრეული, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების, ადრებრინჯაოსა და ბრინჯაო რკინაზე გარდამავალი ხანის მოსახლეობა. შემდეგ გაერთიანებას ქმნიან გვიანბრინჯაოს I და II ეტაპის მოსახლეობა. ამ ველზე განმარტოვებულადაა ლოკალიზებული ელინისტური ხანის და შუა ბრინჯაოს მოსახლეობა რომელთა მონაცემები რიცხოვნულად მწირე მასალაზე არის შესწავლილი. ვიმეორებთ, ძირითადი ანომალიათა კონცენტრაცია მოსახლეობაში მაღალი იყო და ისინი გამოკვლეულთა მცირერიცხოვან ჯგუფშიც ფიქსირდებიან, მაგრამ რეალური კონცენტრაციის შეფასებისათვის არასაკმარისი. აქედან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება ამ ხანის მოსახლეობის უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებისა. ჩვენი აზრით ნებისმიერი ხანის მოსახლეობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით ყველა დონეზე: მორფოლოგიურ, გენეტიკურ თუ კულტურულ ეკონომიკურ, თავის ქალას ანომალიები, როგორც მორფოლოგიური ნიშნები და ამავე დროს გენეტიკურად განპირობებულნი, რა თქმა უნდა გამოირჩევიან მაღალი ცვალებადობით სივრცესა და დროში. ამის დასადასტურებლად მხოლოდ ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია პოლიგონებზე (ნახ. № 2), რომ დავინახოთ რაოდენ ჰოლიმორფულია ყოველი ნიშანი დროში ხოლო მათი ერთობლივი განაწილება ცვალებად კონფიგურაციებს ქმნიან. თუმცა თუ ჩავადრმავეთ ჩვენს მზერას მსგავს კონფიგურაციებს მიმართულებით და საერთო ფორმით აღმოვაჩინოთ. ეს ფაქტი ნიშნების შემთხვევით ფლუქტუაციებს აღნიშნავს და იმას, რომ პოპულაციების შედარებისას ძალზედ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მაღიფერენცირებელ ნიშანთა კომპლექსს ერთის მხრივ და მეორეს – აუცილებელია ყოველი ნიშნის ტაქსონომიური მნიშვნელობის (წინა) განსაზღვრა. დისკრეტული ნიშნებიდან საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობაში ასეთებად მოგვევლინებიან *Sutura metopica*,

Torus mandibularis, Os. Japonicum ხოლო დანარჩენი ძირითადი ნიშნების ტაქსონომიური მნიშვნელობა ჯერჯერობით გასარკვევია.

საქართველოს მოსახლეობის სომატოლოგიური ნიშნების მიხედვით (განსაკუთრებით, ყვრიმალთაშორის დიამეტრი, თავის გრძივი და განივი დიამეტრები) მეტნაკლებად თანმიმდევრული ცვალებადობით გამოირჩევა. დისკრეტულ ნიშნების შემთხვევაში, ასეთი თანმიმდევრობა ნაკლებია, რადგან გაზომვითი (სომატომეტრული) ნიშნები და დისკრეტულად-ვარიირებული (არამეტრული) სხვადასხვა მემკვიდრეობითა და ვარიირებით განსხვავდებიან. დისკრეტული ნიშნების შემთხვევაში, ეპოქალურ-ტრანსფორმაციაში ანომალიათა რიცხვის და კონცენტრაციის (თუნდაც არათანმიმდევრული) ზრდა იგულისხმება.


ანომალიათა სპექტრი ადრეული → განვითარებული → გვიანი შუასაუკუნეების მიმართულებით იზრდება (0,9442 – 0,9545 – 0,9697). ზოგადად, დისკრეტულად-ვარიირებული ნიშნების უმეტესობა განიხილებიან, როგორც ნეიტრალური მორფოლოგიური მუტაციები და არ არიან კავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან, შესაძლოა რეპროდუქციულ ფუნქციასთან. ჩვენის აზრით, სშირი ანომალიები, ალბათ ექვემდებარებიან ბუნებრივ გადარჩევას, იშვიათი ელიმინირდებიან, ან ბუნებრივი გადარჩევა განაპირობებს ცვალებადობის დაბალ სიხშირეს.

მოსახლეობის ფიზიკური ტიპის განვითარება დინამიური პროცესია და დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, რადგან ისინი განაპირობებენ განვითარების დონეს, გარემოსთან შეგუებადობას, კვების რეგიონალურ თავისებურებებს (ტიპს) და მის ცვლას დროში და ა.შ. გარდა ამ ფაქტორებისა, მათგან დამოუკიდებლად პოპულაციებში მიმდინარეობს გენეტიკო-ავტომატური პროცესები (გენთა დრეიფი), რომლებიც ცვლიან გენეტიკურ ნიშანთა კონცენტრაციას დროში. ამავე დროს, ადამიანმა თავისი საქმიანობის შედეგად გარემოში შემოიტანა უამრავი ნივთიერება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე (ზრდის მუტაგენთა სპექტრს). სავსებით შესაძლებელია, რომ შუასაუკუნეების მოსახლეობაში გამოვლენილი ანომალიათა სპექტრი, რომელიც ძალიან ფართოა, ხოლო ზოგი ანომალიის კონცენტრაცია მაქსიმალური, კავშირში იყოს ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან.


დისკრეტულად-ვარირებული ნიშნების განაწილება საქართველოს პალეომოსახლეობაში

	ადრე ბრინჯაო	შუა ბრინჯაო	გვიან ბრინჯაო	რკინა	ადრე ანტიკური	ელისის ტური	გვიან ანტიკური	ადრე ქრისტიანული	განვითარებული შუასაუკუნეები	გვიან შუასაუკუნეები	თანამედროვე
	n=19	n=19	n=128	n=93	n=184	n=10	n=173	n=328	n=795	n=294	n=57
Sutura metopica	-	5,6	16,5	10,8	6,1	10,0	10,2	20,1	17,2	23,5	12,9
Os Worm. sut.squamosum	5,6	5,6	-	2,6	12,8	-	-	7,7	13,8	16,1	-
Os postsquamosum	5,6	16,7	2,5	1,7	1,0	-	0,8	5,8	13,6	11,4	1,9
Os Worm. suturae coronalis	10,0	-	5,2	-	8,5	-	3,5	0,3	3,2	2,8	-
Os Bregmaticum	-	-	2,6	1,6	4,1	-	-	0,3	1,7	0,9	-
Os Worm. suturae sagittalis	-	-	-	-	1,4	-	0,7	0,6	1,3	0,5	-
Os Incae proprium	16,7	-	1,2	2,0	-	-	-	0,3	1,1	3,4	-
Incae bipatrium	16,7	-	1,2	2,0	-	-	-	0,3	0,2	0,5	-
Incae bipartitum	16,7	-	-	-	1,6	16,7	-	0,3	-	-	-
Os Incae tripartitum	16,7	-	-	-	-	-	-	-	1,1	-	-
Os Incae multipartitum	16,7	-	-	-	5,5	-	-	1,9	4,1	0,5	-
Os Incae incompletum	-	-	2,4	-	-	-	-	1,3	3,1	4,6	1,9
Os triquetrum	16,7	-	1,2	2,1	6,0	-	-	1,6	5,4	1,4	-
Os quadratum	-	-	-	1,9	6,3	-	-	0,3	3,1	0,5	-
Os apicis lambdae	-	-	3,3	1,9	6,0	-	0,7	3,5	7,7	3,2	12,9
Os interparietale s. sagittalis	16,7	-	-	1,9	16,7	-	0,7	-	2,0	4,6	1,9
Os Wormsuturae lambdoidea	-	1,1	17,4	10,0	43,1	-	10,9	19,7	36,1	42,1	39,6


	ადრე ბრინჯაო	შუა ბრინჯაო	გვიან ბრინჯაო	რკინა	ადრე ანტიკური	ელნის ტური	გვიან ანტიკური	ადრე ქრისტიანული	განვითარებული შუასაუკუნეები	გვიან შუასაუკუნეები	თანა მედროვე
	n=19	n=19	n=128	n=93	n=184	n=10	n=173	n=328	n=795	n=294	n=57
Os asterion	-	-	20,0	-	8,9	-	1,8	11,3	23,6	3,7	-
Os Worm. occipitomastoideum	-	-	1,3	1,8	1,6	-	1,8	0,7	6,9	4,1	-
Cribrā orbitalia	11,8	12,5	34,5	15,1	11,9	33,3	17,2	34,6	65,7	53,8	10,6
For. zygomaticofacialis	30	100	32,6	18,9	31,1	66,7	33,3	80,5	80,7	76,8	37,8
Os. parietale bipartitum	21,1	25,0	60,8	67,8	49,1	66,7	79,6	31,5	50,2	6,9	70,6
For. parietalis	57,9	30,8	51,3	48,5	43,9	30,0	35,6	34,7	61,2	53,6	46,2
For. mastoidea	74,0	30,0	50,0	49,0	43,0	71,0	27,0	59,0	86,0	89,0	53,0
For. tympanica	61,5	60,0	23,4	26,8	10,1	83,3	16,7	26,5	61,1	53,9	15,4
Stenocrataphia	31,6	45,5	88,6	62,0	72,8	75,0	65,3	63,8	52,5	44,6	70,1
Foramina supraorbitalia	11,1	5,6	9,3	14,1	30,1	-	18,5	24,7	21,9	61,3	7,5
Foramina Frontalia	5,6	-	7,5	1,6	10,1	-	5,9	-	13,3	16,5	1,9
Fissura orbitalis inferior	22,2	100	13,3	46,7	45,8	-	54,5	38,3	60,0	40,2	41,9
Os epiptericum	-	12,5	16,7	6,25	9,8	-	5,1	8,7	18,6	15,7	62,5
Sutura incisiva	100	100	100	90,9	88,1	100	89,5	71,9	88,1	68,5	100
Os invetrimaxilare	54,5	100	74,1	38,1	47,2	50,0	28,9	51,0	75,8	46,8	52,6
Foramen pterygospinosum	100	71,4	90,0	93,1	76,0	100	77,2	89,1	97,9	92,4	8,5
Canalis craniopharyngeus	-	100	20,6	30,8	40,0	-	22,6	18,3	36,6	7,6	36,7
Condylus tertius	71,4	50,0	94,1	88,5	80,4	-	81,3	53,0	84,7	21,9	87,7




ადრე ბრინჯაო




შუა ბრინჯაო




გვიან ბრინჯაო



რკინა




ადრე ანტიკური




ელისისტური


სურ. №1 საქართველოს პალეომოსახლეობის ცვალებადობა ზოგიერთი დისკრეტულად-ვარიირებული ნიშნების მიხედვით, სადაც 1- *Cribrra Orbitalia*, 2- *For. zygomaticofacialis*, 3- *Os. parietale bipatricum*, 4- *For. parietalis*, 5- *For. mastoidea*, 6- *For. tympanica*, 7- *Stenocrataphia*, 8- *Sutura metopica*




გვიან ანტიკური




ადრე შუასაუკუნეები



განვითარებული შუასაუკუნეები



გვიანი შუასაუკუნეები



თანამედროვე



**Sutura metopica ანუ
Sutura frontalis.**



**Os Wormii suturae
squamosum.**



Os Incae proprium.



Os. Incae bipartitum.



Os Incae quadraticum.



Os. Incae multipartitum.

სურ.№2 საქართველოს პალეონოსახელობაში გავრცელებული დისკრეტულად-
გავარირებული ნიშნების ტიპები



$\frac{1}{4}$ Os Incae.



$\frac{2}{4}$ Os Incae.



$\frac{3}{4}$ Os Incae.



$\frac{1}{2}$ Os. Incae.



Os. triquetrum proprium.



Os. triquetrum bipartitum.

სურ.№2 გაგრძელება



Os quadratum.



Os apicis lambdae.



Os interparietale s. sagittalis



**Os Wormii saturae
lambdoidea**



Os Incae tripartitum.



$\frac{3}{4}$ Os Incae.



რთული მრავალშემადგენელი
ნახატი



რთული მრავალშემადგენელი
ნახატი



რთული მრავალშემადგენელი
ნახატი



რთული მრავალშემადგენელი
ნახატი

სურ.№2 გაგრძელება

ქართლში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურების დროს არსებული პალეოეკოლოგიური პირობების და ცხოველების წესის რეკონსტრუქცია ბოლო 5000 წლის მანძილზე პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით

პალინოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობა არქეოლოგიის და ანთროპოლოგიის პრობლემების შესწავლისას დღითი დღე იზრდება ამ დარგის ახალი მიმართულების განვითარების შემდეგ. მხედველობაში გვაქვს არაპალინოლოგიური ნაშთების კვლევა, რომლის მიხედვით, გარდა პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციებისა, შესაძლებელი ხდება დაკრძალვის სეზონის დადგენა, პალეოდაავადებების და უძველესი ადამიანის დიეტის აღდგენა, ბავშვების და მოზარდების სქესის დადგენა, მიცვალებულის ტანსაცმლის გამოვლენა და ბევრი სხვა საკითხის გადაწყვეტა¹. ისტორიულ ქართლში არქეოლოგიური ძეგლების მასალის პალინოლოგიურ კვლევას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს. იგი დაიწყო 2002 წელს, ნავთობის მილსადენის ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის დროს თეთრიწყაროს მახლობლად (ტყემლარას ველი, ნაჭივჭავები და სხვა). შემდეგ ამ კვლევებმა მოიცვა მთელი არქეოლოგიური მასალა, რომელიც აღნიშნულ მილსადენის კორიდორში იქნა მოპოვებული. ესენია ნამოსახლარი ორჭოსანი (ვაღე), კლდე, თისელის სერი, თოფიოლის და კოდიანას ყორღანები (მესხეთი), სამაროვანი საფარ-ხარაბა და იმერა, ნამოსახლარი ჯინისი. მოგვიანებით, გაზსადენის მშენებლობისას (2009 წ.) გათხრილი იქნა ჭობარეთის ნამოსახლარი (მესხეთი). ჩამოთვლილი ძეგლების კვლევის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივად გამოქვეყნებული². წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემულია მტკვარ-არაქსის

¹ Van Geel B. 1998. A study of non-pollen objects in pollen slides (edd. M.L. van Hove and M. Henndrikse). Utrecht.; Van Geel B. 2008. Forty years of non-pollen palynomorphs: a state of the art. In: M. Maritan and A.Miola (red). Proceedings of 3-rd International Workshop on Quaternary Non-Pollen Palynomorphs. Padova, p.64-65.; Medeanic S., Zamora N., Correa I.C.S. 2008. The first description of non-pollen palynomorphs (NPP), as important palaeoenvironmental indicators in Southern Costa Rica, Central America. In: M. Maritan and A.Miola (red). Proceedings of 3-rd International Workshop on Quaternary Non-Pollen Palynomorphs. Padova, p.47-50.; ¹ Kvavadze E. 2008. Non pollen Palynomorphs as an important object for solution of archaeological problems. Proceedings of 3-rd International Workshop on Quaternary Non-Pollen Palynomorphs, Padova, pp. 34-37.; Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L. 2010. Textile fibres of flax (Linum), cotton (Gossypium) and animals wool as Non-Pollen-Palynomorphs in the Late Bronze Age burials of Saphar-Kharaba, Southern Georgia. Vegetation History and Archaeobotany, vol.19, No 5-6: 479-494.

² ყვავაძე ე., შატბერაშვილი ძ., ამირანაშვილი ჯ., რუხაძე ლ., რუსიშვილი ნ., მელაძე ნ. 2004. ტყემლარას (თეთრიწყაროს რაიონი) გორასამარხების ფენების პალინოლოგიური და პალეოკარპოლოგიური შესწავლის პირველი შედეგები. ჟურნალი "ძიებანი", №12, დამატებანი, გვ.17-29.; ყვავაძე ე., ლინელი ვ 2009. შუასაუკუნეების აწყურის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, №1, გვ. 69-78.; Квავაძე Э.В., Коннор С.В., Нариманишвили Г.К. 2007. Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалка (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. В сб. Г.Мчедлидзе (редактор), Проблемы палеобиологии, том II, Тбилиси, 2007, стр. 1495-23.; Квავაძე Э., Хахиани К., Битадзе Л. 2011. Палеоэкологические условия Самцхе-Джавახети первой половины 3-его тысячелетия до н.э. по палинологическим данным археологического материала. Труды Межд. Научн. Конф. "Археология, этнология, фольклористика Кавказа", Тбилиси. Стр.141-143; Kvavadze E., Shatberashvili Z., Amiranashvili J., Arabuli G. 2004. Palynological investigations of two Burial Mounds of the Middle Bronze Age of Tkemlara (southern Georgia). Acta Palaeobotanica, 44(2), Krakow, p. 267-283;

კულტურისა და მომდევნო კულტურების პერიოდის ძეგლების პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ უძველესი ადამიანის ეკოლოგიური პირობებისა და ცხოვრების წესის რეკონსტრუქციის ფართო ანალიზი.

მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქა. ამ ეპოქის არქეოლოგიური მასალა კარგადაა წარმოდგენილი თეთრიწყაროს დასავლეთით მდებარე ტყემლარას ველზე და ნაჭივჭავეების უბანზე, სადაც გათხრილი და პალინოლოგიურად შესწავლილია 5 სამარხი და 14 სამეურნეო ორმო. არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა თისელის სერის და ჭობარეთის პალინოლოგიური კვლევის შედეგები, სადაც შესწავლილია 3 სამარხის, 8 სამეურნეო ორმოს და ნაგებობების ფენების მასალა. პალინოლოგიური მეთოდით მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდის ძეგლებიდან სულ აღებული და გამოკვლეულია 100-ზე მეტი ნიმუში, რაც სრულიად საკმარისია ადამიანის ყოფის წესის და პალეოეკოლოგიური პირობების რეკონსტრუქციის ჩასატარებლად. ქვემოთ მოცემულია მიღებული კვლევის შედეგები და მათი დეტალური ანალიზი.

ტყემლარას ველი და ნაჭივჭავეების უბანი. ყ ო რ დ ა ნ ი №16. იგი გათხრილია ტყემლარას ველზე და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ეს ყორღანი დათარიღებულია მესამე ათაწლეულის პირველი ნახევრით. პალინოლოგიური მეთოდით შევისწავლეთ №1 და №5 ჭურჭლიდან ამოღებული მიწა. თითოეული ჭურჭლიდან ორ-ორი ნიმუში იყო აღებული. ერთი ჭურჭლის პირზე, მეორე კი ჭურჭლის ძირიდან. საჭიროა ამ სპექტრების დეტალური განხილვა.

№1 ჭურჭლის ზედა ნაწილის მიწის სპექტრში ტყის ელემენტები გაცილებით ნაკლებია (29.2%), ვიდრე ძირში აღებულ ნიმუშში (55.7%). ხემცენარეთა ჯგუფი ქოთნის ძირში აღებულ ნიმუშში გაცილებით მდიდარია. დომინირებს წაბლის მტვერი. ფოთლოვანთაგან აღინიშნება ცაცხვი, რცხილა, წიფელი, მუხა, კაკალი, ტყემალი, მურყანი. წიწვოვნები აისახა სოჭის, ფიჭვის, ნაძვის და ღვიის მტვრის მარცვლებით. ბუჩქნარების შორის ნაპოვნია სურო, თხილი, ხეჭრელი და ეთედრა.

ბალახოვანთა ჯგუფში ორივე ნიმუშში დომინირებს ნათესების სარეველა მცენარეთა მტვრის მარცვლების რაოდენობა. არც თუ ისე დაბალია ხორბლის და სხვა სათეს მარცვლოვნების რაოდენობა. ამ ჯგუფში მაინც ჭარბობს ხორბალი. პალინოლოგიურ სპექტრებში აღინიშნება აგრეთვე საძოვრების არსებობის ინდიკატორები. ცოტაა ეზოს და სანაგვეების სარეველათა მტვრის მარცვლები. ესენია ჯინჯარი, სამყურა, ავშანი, ლანცეტა მრავალძარღვა.

სპოროვანთაგან ორივე ნიმუშში უხვადაა წარმოდგენილი გვიმრა გველის ენის სპორები. აღინიშნება, აგრეთვე, სხვა გვიმრანაირების სპორები და განსაკუთრებით კილამურა, გვიმრუჭა, ვენერას თმა. დაფიქსირებულია ხავსების სპორებიც.

№5 ყორღანიდან ამოღებულ მიწაშიც ანალოგიური კანონზომიერება შეიმჩნევა. ძირში აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტები მეტია (44%), ვიდრე ზედა ნაწილში (29%). ძირის სპექტრში ბევრია წაბლის მტვერი, ზედა ნაწილში კი იგი საერთოდ არ აღინიშნება. წაბლის გარდა, ძირში ნაპოვნია ძელქვის, მურყნის, რცხილის, ჯაგრცხილის, ტყემლის, თრიმლის, ხეჭრელის, ღვიის მტვერი. ორივე სინჯში

აღინიშნება ცაცხვის, მუხის, ფიჭვის, სოჭის და ნაძვის მტვრის მარცვლები. ამასთან, ძირა ნიმუშში ყველა ჩამოთვლილი სპექტრის კომპონენტის რაოდენობა მეტია.

ბალახოვანთა ჯგუფში ორივე სინჯში ჭარბობს ნათესების სარეველათა მტვერი. ესენია მატიტელა, ნარშავი, ხვართქლა, ნაცარქათამა, ღიღილო და სხვა. კულტურული ხორბლეულების ჯიშების შორის ქოთნის ზედა ნაწილში ნაპოვნია ხორბლის მხოლოდ ერთი მტვრის მარცვალი. მაგრამ ქოთნის ძირში აღმოჩნდა 5 ხორბლის მარცვალი, 3 ქერის და 9 სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი.

ძოვის მანევენებლების როლი ნაკლებია ორივე ნიმუშში (სურ.1). მაგრამ ეზოს და სანაგვეების სარეველების ელემენტები უფრო კარგადაა გამოხატული ძირიდან აღებულ სინჯში, რომელშიც იყო ღორის ბირკა, ჯინჯარი, ავშანი, ლანცეტა მრავალძარღვა, წიწილკურა, ბოლოკა და სხვა.

ველური ბალახოვნების ჯგუფი აისახა შემდეგნაირად. ქოთნის ძირში ნაპოვნია იას (Viola), ტუნოსნების (Lamiaceae), ქოლგოსნების (Apiaceae), ლაშქარას (Symphytum) და შხარპის (Sparganium) მტვრის მარცვლები. აღსანიშნავია, რომ შხარპი იზრდება მხოლოდ დაჭაობებულ ტენიან ადგილებზე¹. სპოროვნების შემადგენლობა ორივე ნიმუშში მდიდარია. აქ, როგორც პირველ ჭურჭელში, დომინირებს გველის ენის და სხვა გვიმრანაირების სპორები. აღინიშნება კილამურას, გვიმრუჭას და ჩადუნას სპორები. ორივე ნაწილში ფიქსირდება ხავსის და სამეფო გვიმრა (Osmunda regalis)-ს სპორები. სამეფო გვიმრა სითბო და ტენის მოყვარული მცენარეა, იგი იზრდება მხოლოდ ჭაობიან ადგილებზე, ტბის ან მდინარეს პირას ან ტენიან მურყნარებში².

პალინოლოგიური კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მე-16 ყორღანში აღმოჩენილი ჭურჭელი დაკრძალვამდე საკმაოდ დიდ ხანს იყო ხმარებაში. შესაძლოა რომ მასში ხან წაბლს ინახავდნენ, ხან ხორბალს ან ტყემლის და ხეჭრელის გამხმარ ნაყოფებს. ჭურჭელი თუ ღია სივრცეში იქნებოდა მის ფორებში ყოველთვის გროვდება უხილავი მტვერი, რომელიც შეიცავს მცენარეთა მტვრის მარცვლებს. გარდა ამისა, ისიცაა სავარაუდო, რომ განხილულ ჭურჭელში ალბათ საჭმელიც იხარშებოდა. მაგალითად, ჯინჯრის მტვერი ორივე ქითანში მხოლოდ ძირში იყო.

პალინოლოგიური კომპლექსიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაკრძალვის წინა პერიოდში ტყემლარას მიდამოები დაფარული იყო ფართოფოთლოვან ტყით, სადაც სითბომოყვარული ბევრი ელემენტი უნდა ყოფილიყო. ესენია ძელქვა, წაბლი, ცაცხვი. თბილი კლიმატი ნესტიანიც უნდა ყოფილიყო, რადგან სპექტრში არის ჭაობების მცენარეულობის მტვრის მარცვლები და სპორები.


ს ა მ ა რ ხ ი №3. იგი მდებარეობს მდინარე ჭიჭიჭის მარჯვენა სანაპიროზე 1256 მ სიმაღლეზე. არქეოლოგიური კვლევის შედეგად მესამე სამარხი თარიღდება მტკვარ-არაქსის ეპოქით. ეს ბაგშვის სამარხია, რომელშიც მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყო ნაპოვნი (სურ.2). ორი პატარა ზომის ქოთანი ერთმანეთშია ჩადებული. უფრო მცირე ზომის ჭურჭლიდან ამოღებული მიწა მკვრივი და მოყავისფრო იყო. შეიმჩნეოდა თეთრი ფერის ფხვიერი ჩანარტები. ქოთნის ამ ორგანული შემადგენლობის პალინოლოგიურმა

¹ კეცხოველი ნ. (რედ.) 1971. საქართველოს ფლორა, ტომი 1, მეორე გამოცემა, მეცნიერება, თბილისი, 158 გვ.


² კეცხოველი ნ. (რედ.) 1971. საქართველოს ფლორა, ტომი 1, მეორე გამოცემა, მეცნიერება, თბილისი, 158 გვ.;
Колаковский А.А. 1982. Флора Абхазии, том 2, Мещниереба, Тбилиси, 282 с.

ნაჭივჯავები

სამარხი №3




ტყემლარა , ყორღანი 16



ტყემლარა

სამარხი №1



სურ. №1. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის (ყორღანი №16, სამარხი №3) პალეონოლოგიური სპექტრებში გამოვლენილი მიწათმოქმედების ელემენტები (ცისფერი), ძრვის მანქანებლები (ყავის ფერი) და რუდერალური კომპონენტები (ყვითელი). სამარხი №1-ში, რომელიც გვიანდელ თრიალეთის კულტურის დროისაა, მიწათმოქმედების როლი მცირდება და მეცხოველეობის კი იზრდება.

შესწავლამ გვიჩვენა, რომ მცენარეთა მტვრის მარცვლები შესანიშნავადაა დაცული და პალინოლოგიური სპექტრი მრავალფეროვანია (სურ.3,4).

ჭურჭლიდან აღებულ ნიმუშში სულ დათვლილია 631 მტვრის მარცვალი. აქედან ხემცენარეთა ჯგუფს 16.4% (110 მტვრის მარცვალი) მიეკუთვნება. ამ ჯგუფში ჭარბობს თხილის და ფიჭვის მტვრის მარცვლების რაოდენობა. ბევრია კაკლის, მუხის, რცხილის და კულტურული ვაზის მტვერი (სურ.5,6). აღინიშნება ჯაგრცხილას და სოჭის მტვრის მარცვლებიც. კულტურული ვაზის იდენტიფიკაცია დღეისათვის სრულიად შესაძლებელია, რადგან მისი მტვრის მარცვლების მორფოლოგიური ნიშნები კარგადაა შესწავლილი მასკანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპის საშუალებითაც¹. ბალახოვანთა შორის უხვადაა წარმოდგენილი ისეთი სარეველები, როგორცაა ავშანი, ვარდკაჭაჭა და ნაცარქათამა. აღინიშნება აგრეთვე სხვა მრავალი ბალის, ნათესების და ეზოს სარეველათა მტვრის მარცვლები. ესენია: მრავალძარღვა, ჯინჭარი, მატიტელა, ბალბა, ღორის ბირკა, ბურბუშელა, ნარი, ღიღილო, ვარდკაჭაჭა, წიწიბურა, წიწილკურა, ნარშავი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ნათესების სარეველების გარდა, კარგად აისახება კულტურული ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი.

ბევრია ვენახებისთვის დამახასიათებელი სარეველების მტვრის მარცვლები, მაგრამ თავად ვაზის მტვერი პალინოლოგიურ სპექტრში არც თუ ისე ბევრია. ცნობილია, რომ ვაზის მტვრის პროდუქცია არ არის მაღალი მაგალითად, კაკალთან და თხილთან შედარებით. ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვაზის მტვრის მარცვლები დანალექებში უფრო ცუდად ინახება, ვიდრე კაკლის და თხილის მტვერი.

ვაზის მტვრის მარცვლების და სხვა ბუნქების და ხემცენარეთა მტვრის უაღრესად კარგი დაცულობა აიხსნება იმით, რომ ჭურჭლის შიგთავსი, სანამ მასში მიწა ჩაიყრებოდა, კარგ გარემოს ქმნიდა მტვრის მარცვლების კონსერვაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ვაზის მტვრის უმეტესი ნაწილი ნიადაგში ვერ ინახება² მაგრამ მტვერი ძალზედ კარგა ინახება ღვინოში³. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვს სამარხში ღვინო ჩაატანეს როგორც სამკურნალო საშუალება.

ს ა მ ა რ ხ ი №5. ამ სამარხიდან პალინოლოგიური ანალიზი ჩატარებული იქნა ორი ნიმუშისთვის, რომლებიც ამოღებული იყო №1 და №2 ჭურჭლიდან. თიხის ქოთნები საკმაოდ დიდია (დაახლოებით 25-3 ლიტრის ტევადობით), დაბალია და ძალზედ ფართო ყელი აქვს.

№1 ჭურჭლის პალინოლოგიური სპექტრი ხასიათდება №3 სამარხთან შედარებით ტყის ელემენტების მტვრის უფრო მაღალი მაჩვენებლით. ესენია ფიჭვის, წაბლის,

¹ ხარიტონაშვილი ლ., რამიშვილი რ., ყიფიანი მ. 1989. *Vočის ვინიფერაე* -ს სხვადასხვა ტიპის ყვავილის მტვრის მარცვლის შესწავლა მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის "მომბე", 136, №3, გვ. 653-656.

² Turner S. D., Brown A.G. 2004. *Vitis* pollen dispersal an and from organic vineyards. I.Pollen trap and soil pollen data. Review of Palaeobotany & Palynology, 129, p. 117-132. ; Kvavadze E. 2005. Modern arboreal pollen deposition in pollen traps, moss polster and soils in Lagodekhi and Kvemo-Magaro (eastern Georgia). Abstracts of 5-th International Meeting "Pollen Monitoring Programme", Varna, Bulgaria, pp.14.

³ Rosch M. 2005. Pollen analysis of the contents of excavated vessels – direct archaeobotanical evidence of beverages. *Vegetation History & Archaeobotany*, 14:179-188.; Kvavadze E., Chichinadze M. 2007. Preliminary results of pollen deposition in vineyard of Kvemo-Magaro village (Kacheti, Georgia): comparison between pollen traps and surface soil samples. Abstr. Of 6-th International Meeting of PMP, Riga, pp.45-47.

წიფლის, ცაცხვის, რცხილის, მუხის, ტყემლის და თრიმლის მტვრის მარცვლები. ფოთლოვნებიდან დომინირებს წაბლის მტვრის რაოდენობა. დანარჩენი კომპონენტების შემადგენლობა მცირეა, მაგრამ კარგადაა წარმოდგენილი ტყის გვიმრების სპორები, რომლებიც პალინოლოგიური სპექტრის 17% შეადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ სულ ამ ნიმუშში დათვლილია 163 მტვრის მარცვალი და სპორა.

სხვა ბალახოვნებს შორის ბევრია სარეველების მტვრის რაოდენობა. ჭარბობს ნათესების სარეველები. ესენია ვარდკაჭაჭასნაირები, წიწიბურასნაირები, ნარშავი, ნაცარქათამა, ღიღილო, ხვართქლა და სხვა. აღინიშნება ხორბლის მტვერიც.

საძოვრების არსებობის ინდიკატორები ცოტაა. ესენია ნარი, გოქში და ნაცარქათამა. მათი მტვრის რაოდენობაც გაცილებით ნაკლებია ვიდრე ნათესების სარეველები.

რა უნდა ყოფილიყო ამ ჭურჭელში? რადგან ხემცენათა ჯგუფიდან ჭარბობს წაბლი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულს წაბლი ჩაატანეს. იქამდე ქოთანში შესაძლოა ინახებოდა ხორბალი. №2-ის ჭურჭლიდან ამოღებული ნიმუში უფრო მდიდრულადაა წარმოდგენილი. აქ წაბლის მტვერი გაცილებით მეტია ვიდრე №1 ქოთანში და ხემცენარეთა ჯგუფში იგი პირველი დომინანტიცაა. წაბლის გარდა, აღინიშნება სოჭის, ფიჭვის, წიფლის, ნეკერჩხლის, არყას, მუხის, თხილის, თრიმლის, ტყემლის, ძახველის და ხეჭრელის მტვერი. ტყის გვიმრებიდან დაფიქსირდა გვიმრუჭა, გველის ენა და მარგალიტა. ტყის ელემენტებს ზოგადად ამ ჭურჭელშიც 27% უკავია.

სხვა ბალახოვანთა შორის აქაც დომინირებს ნათესების სარეველები. მათი შემადგენლობა იგივეა, როგორც №1 ქოთანში. ჭარბობს ვარდკაჭაჭასნაირების მტვერი. ბევრია ღიღილო, ხვართქლა. წიწიბურა, მატიტელა და ნარი. არის ხორბლის მტვრის მარცვლებიც. ძოვის ელემენტები ცოტაა. საცხოვრებლის რუდერალები კარგადაა წარმოდგენილი. ესენია მრავალძარღვა, ავშანი, ირმისმხალა (*Serratula*).


ამრიგად, განხილულ ჭურჭელში, ისევე როგორც №1 ქოთანში წაბლი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მტვერი საგრძნობლად ჭარბობს ფოთლოვანთა შორის. ტყის ელემენტების მტვერი ქოთანში მოხვდა თავად წაბლის ნაყოფების საშუალებით. ცნობილია, რომ ხიდან ნიადაგზე ვარდნისას და შემდგომ ტყის საფენზე მისი ეკლიანი ბუდიდან გაწმენდისას, თავად ნაყოფს ეწებება უამრავი მტვრის მარცვალი, რომელიც უხვადაა ნიადაგში და დაცვენილ ფოთლებზეც.

ს ა მ ა რ ხ ი №1. იგი მდებარეობს ნაჭიფკავეების უბანში. ამ სამარხის დასავლეთ კედელთან აღმოჩენილ თიხის კათხიდან ამოღებული მიწა იქნა შესწავლილი. დათვლილია 314 მტვრის მარცვალი. პალინოლოგიური სპექტრები ხასიათდება სათეს მარცლოვნების და მათთან თანხლებული ნათესების სარეველების მტვრის სიუხვით. ესენია მატიტელა, ღიღილო, ნარი, წიწიბურა და სხვა. ძოვის ინდიკატორები ცუდადაა წარმოდგენილი. განხილულ ნიმუშში ტყის ელემენტები ძალიან ცოტაა და 9%-ს არ აღემატება. დომინირებს ფიჭვი, ერთეული მარცვლებით წარმოდგენილია ნაძვი, სოჭი, თელა, მუხა და თხილი. ტყის გვიმრებიდან დაფიქსირდა კილამურას სპორები.

სავარაუდოა, რომ რადგან სპექტრი ემსგავსება იმ საცავეებს, სადაც მარცვლეული ინახებოდა, განხილულ თიხის კათხაშიც ხორბალი უნდა ყოფილიყო ან იგი ხორბლის საზომ ერთეულად იყენებოდა.



სურ. №2. ნაჭივჭავეები, ბავშვის სამარხი №3, რომლის ჭურჭელშიც აღმოჩნდა ღვინის ნაშთი.



სურ №3. ნაჭივჭავეები, სამარხ №3-ის ჭურჭელში აღმოჩენილი მტერის მარცვლები: 1-5-თხილი; 6-9-კაკალი; 10-14-ვაზი; 15-რცხილა; 16-ნარშავი; 17-მურყანი; 18-დიდილო; 19-მუხა (X300-ჯერ)

ს ა მ ა რ ხ ი №2. ამ სამარხის ჭურჭლიდან შესწავლილია მიწის ნიმუში, რომლის პალინოლოგიური სპექტრი ანალოგიურია ზემოთ განხილულ №1 სამარხის სპექტრისა. დომინირებს სათესი მარცვლოვნების სარეველები. აღინიშნება ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. ტყის ელემენტები ცოტაა (10.9%). ფიჭვის მტვრის რაოდენობა აღემატება სხვა დანარჩენ კომპონენტების შემადგენლობას. მხოლოდ ერთეული მტვრის მარცვლებით ფიქსირდება სოჭი, ნაძვი, მუხა და თხილი.

საძოვრების არსებობის ნიშნები განხილულ სპექტრში უფრო კარგადაა გამოკვეთილი, ვიდრე პირველი სამარხის პალინოლოგიურ სპექტრში, მაგრამ აქ ნათესების სარეველები რაოდენობრივად ძლიერ აღემატება ძოვის ელემენტებს. ამრიგად, მეორე სამარხის ჭურჭელშიც ხორბალი უნდა ყოფილიყო მოთავსებული.


ყველა შესწავლილი სამარხი, როგორც უკვე აღინიშნა, არქეოლოგიური მასალის კვლევის თანახმად, მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის პერიოდს. პალინოლოგიურ სპექტრებში დაფიქსირებული მცენარეთა მტვრის კომპლექსი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ განხილული რაიონის მცენარეული საფარი, იმდროინდელი ადამიანის პალეოეკოლოგიური პირობები და მისი სამეურნეო მოღვაწეობის ხასიათი.

დღეისათვის ეს რაიონი დაფარულია მეჩხერ მუხნარ-რცხილნარი ტყის ლანდშაფტებით. არის მეორადი მდელოებიც, სადაც დომინირებენ ველური მარცვლოვნები (გვარი *Agrostis*). 1500-1800 მეტრზე ქართული მუხა ქრება და იცვლება მაღალმთის მუხით.


დღევანდელი კლიმატური პირობები ცივი ზამთრით ხასიათდება. საშუალო წლიური ტემპერატურა 8-9 გრადუსია, საშუალო იანვრის კი -2,4 გრადუსს შეადგენს. ივლისის საშუალო ტემპერატურაა 18-19 გრადუსი. წლიური ნალექების ჯამი 780-800 მმ-ია. ნალექების მაქსიმუმი მოდის მაისში და სექტემბერში. თოვლის საფარი არსებობს 70 დღე. ნისლიანი დღეების რაოდენობა 60-100 აღწევს.

მტკვარ-არაქსის ხანაში აქ გავრცელებული უნდა ყოფილიყო სულ სხვა ტიპის ლანდშაფტი. ტყე უფრო ჰუმიდური იყო, სადაც წაბლი ჭარბობდა. წაბლის გარდა, ფართოფოთლოვან ტყეში იზრდებოდა ცაცხვი, კაკალი, წიფელი, ნეკერჩხალი, რცხილა, ძელქვა, მუხა. ქვეტყეც მდიდარი უნდა ყოფილიყო, სადაც თხილის გარდა ხარობდა თრიმლი, ხეჭრელი, ძახველი, მურყანი, ჯაგრცხილა, ველური ტყემალი. მაღალმთაში დიდი გავრცელება სოჭის ტყეს უნდა ჰქონოდა, რომელიც ნაძვთან შედარებით უფრო თბილ და ნოტიო კლიმატის მოყვარულია.


ამრიგად, განხილულ პერიოდში კლიმატური პირობები დღევანდელთან შედარებით გაცილებით უფრო თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო. 1300-1200 მეტრზე ამგვარმა თბილმა კლიმატმა ვაზის, კაკლის და ხორბლის კულტურა განაპირობა. უფრო ადრინდელ დროს (მტკვარ-არაქსის წინა პერიოდში) ადამიანს ვაზი მოჰყავდა მხოლოდ დაბლობში, სადაც კულტურული ვაზის წიპწებია აღმოჩენილი. ეს არის შულავერის გორის ენეოლითური ნამოსახლარი, იმირის დიდი გორას და დანგრეული გორას



სურ. №4. ნაჭივჯავები, სამარხი №3, ჭურჭელში აღმოჩენილი თხილის და კაკლის მტვრის მარცვლების რაოდენობის შეფარდება



სურ. №5. ნაჭივჯავები, სამარხი №3, პალინოლოგიური სპექტრებში გამოვლენილი მიწათმოქმედების ელემენტები, ძოვის მახვენებლები და რუდერალური კომპონენტები.



სურ. №6. ნაჭივჭავები, სამარხი №3, განამარხებულ ღვინოში აღმოჩენილი ვაზის მტვრის მარცვლები (17-26) და მათი შედარება თანამედროვე კულტურულ ვაზის (*Vitis vinifera*, 1-6) და ველური ვაზის (*Vitis silvestris*, 7-16) მტვრის მარცვლებთან.

ფენები¹. კაკლის ნაყოფი აღმოჩენილია ხრამის დიდიგორის ნამოსახლარის ენეოლითურ ფენებში. ხორბლის მოყვანაც ენეოლითურ დროში მხოლოდ დაბლობის ნოციერ მიწაზე

¹რამიშვილი რ. 1999. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. ისტორიულ-არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა. ი. ჭავჭავაძის სახელობის გამომცემლობა. თბილისი. 240 გვ; კილურაძე

ხდებოდა. ადრე ბრინჯაოს დათბობამ, რომლის პიკი, ახალი მონაცემების მიხედვით, 6500-5000 წლის წინ იყო, უთუოდ ხელი შეუწყო მაღალმთის მიწათმოქმედების მძლავრი განვითარების დაწყებას. ამ დროს მეცხოველეობაც არსებობდა, მაგრამ განხილულ რეგიონის ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე პალინოლოგიური ანალიზის მიხედვით პირველი ადგილი მაინც მემინდვრეობას ეკავა. ანალოგიური შედეგები მიღებულია ქართლის მოსაზღვრო მესხეთის ტერიტორიის არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიურ შესწავლისას. მაგალითად, ჭობარეთის და თისელის ნამოსახლარზე 1600-1800 მეტრზე ხორბლეულობის მრავალი სახეობა მოჰყავდათ¹.

ნ ა ჭ ი ვ ჭ ა ვ ე ბ ი ს სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი პალინოლოგიური მასალის ანალიზი. შესწავლილია 14 სამეურნეო ორმოს ფენები, რომლებიც არქეოლოგიური კვლევის შედეგად, აგრეთვე, მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდს. სამეურნეო ორმოების შრეების პალინოლოგიური სპექტრებისთვის დამახასიათებელია კულტურული მარცვლოვნების და სარეველა მცენარეთა მტვრის სიჭარბე. ამასთან ერთად მცირეა ტყის ელემენტები და განსაკუთრებით, გვიმრების სპორები. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია რომ სამეურნეო ორმო ხანგძლივი დროის განმავლობაში დახურული იყო და ჰაერიდან მტვრის მარცვლების აკუმულაცია იქ ვერ ხდებოდა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №19. ამ ორმოს ფენაში დათვლილია 408 მტვრის მარცვალი და სპორა, საიდანაც მხოლოდ 21 მარცვალი მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს და შეადგენს კომპლექსის 5.1%-ს. ტყის გვიმრის 5 სპორაა აღმოჩენილი, რაც 1.2% არ აღემატება. ტყის ელემენტთან თანაბარ რაოდენობით აღინიშნება ფიჭვი და რცხილა. ცოტაა სოჭის, წიფლის და თხილის მტვერი. ერთეულ მარცვლებით ფიქსირდება წაბლის, ცაცხვის და ეთედრის მტვრის მარცვლები.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ხორბლის მტვერი (27 მტვრის მარცვალი). გხედება შვრიის, ქერის და სხვა კულტურული მარცვლოვნებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათი მტვერი დეფორმირებულია და ამიტომ გვარამდე განსაზღვრა ძნელდება. ნათესების სარეველათა მტვერი მდიდრადაა წარმოდგენილი. ესენია მათიტელა, ხვართქლა, ნაცარქათამა, ვარდკაჭაჭა და სხვა. საძოვრების და სანაგვეების სარეველებიც არის განხილულ კომპლექსში, მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

ველური ბალახოვნებიდან ჭარბობს ფურისულა (Primula), რომელიც იზრდება მხოლოდ ტყიან ლანდშაფტებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კულტურულ მარცვლოვნების მტვერს ცეცხლის კვალი ეტყობა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №21. შესწავლილი ნიმუში აღებულია ორმოს 60 სმ სიღრმიდან, რომელშიც განისაზღვრა 407 მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება მხოლოდ 19 მტვრის მარცვალი. ესენია ფიჭვი, თელა, ძელქვა, მუხა, თხილი და ეთედრა.

თ.2000. კულტურული მემკვიდრეობისა და მემკვიდრეობის აკადემია. ჟურნალი "ვაზი და ღვინო", თბილისი, №1-2 (25-26), თბილისი, გვ. 27-29.

¹ Квавадзе Э., Кахиани К., Битадзе Л. 2011. Палеоэкологические условия Самцхе-Джавахети первой половины 3-его тысячелетия до н.э. по палинологическим данным археологического материала. Труды Межд. Научн. Конф. "Археология, этнология, фольклористика Кавказа", Тбилиси. Стр.141-143

ბალახოვნების კომპლექსი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დომინირებს სარეველა ვარდკაჭაჭას მტვრის რაოდენობა. ბევრია ნაცარქათამას და ავშნის მტვერი. ავშნიანთა შორის განსაზღვრულია უჯანგარის 19 მტვრის მარცვალი. უჯანგარი სითბო და ნესტ მოყვარული მცენარეა და დღეს იგი იზრდება მხოლოდ დაბლობ თბილ და ნესტიან ადგილებზე. კულტურული მარცვლოვნებიც საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს ხორბალი და ქერი. ნათესების სარეველებიდან ვარდკაჭაჭას გარდა ნაპოვნია ღიღილო, ნარშავი, ნარცეცხლა, წიწიბურა, მათიტელა. საძოვრების სარეველები უფრო სუსტადაა წარმოდგენილი. ესენია ბურბუშელა, ნარი, მიხაკისნაირები. სპოროვნებიდან მხოლოდ გვიმრები აღინიშნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უმეტეს მტვრის მარცვლებზე ცეცხლის კვალი ჩანს, განსაკუთრებით კი კულტურულ მარცვლოვნებზე, რომელთა მტვერი განახშირებულია და მუქი ყავის ფერი აქვს. ამასთანავე, მასალაში შეიმჩნევა უამრავი ნახშირის ნაწილაკი.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №28. ამ ორმოს ფენიდან, რომელიც მდებარეობს 40-45 სმ-ის სიღმეზე დათვლილია 193 მტვრის მარცვალი. აქედან 7.7% მიეკუთნება ხემცენარეთა ჯგუფს და 4.6% ტყის გვიმრებს. დანარჩენი 87.5% სარეველა მცენარეთა ჯგუფის წარმომადგენლები არიან. კულტურული მარცვლოვნების მტვერი არც ისე ბევრია როგორც ზემოთ განხილულ ორმოების მასალაში. მაგრამ ნათესების სარეველების შემადგენლობა აქაც მდიდარია. ბევრია ვარდკაჭაჭას, ნარშავის, მათიტელას, ხვართქლას, წიწიბურას მტვრის მარცვლები. საძოვრების ინდიკატორები გაცილებით ნაკლებია. ესენია ბაიას, ნარის, ნაცარქათამასნაირების მტვერი. სანაგვეების და ეზოების სარეველებიც სუსტადაა წარმოდგენილია ვიდრე ნათესების სარეველები. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრანაირების და გველის ენის სპორები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №29. ამ ორმოს ნიმუში, რომელიც 25 სმ სიღრმის ფენიდანაა აღებული ხასიათდება მცენარეთა მტვრის უხვი რაოდენობით. ტყის ელემენტებიც მეტია. ესენია ფიჭვი, ნაძვი, არყი, წიფელი, თელა, მურყანი, რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი. ბევრია თხილის მტვერი. აქ ნაპოვნია კაკლის და კულტურული ვაზის ერთი მტვრის მარცვალი.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია მათიტელას და ვარკაჭაჭას მტვერი. სათესი მარცვლოვნებისგან აღინიშნება ხორბალი, ქერი და შვრია. ნათესების სარეველთაგან მათიტელას და ვარდკაჭაჭას გარდა, განსაზღვრულია ხვართქლა, ნარშავი, ღიღილო, ნარცეცხლა, ნაცარქათამა და სხვ. ძოვის მაჩვენებლების როლი ნაკლებია. კარგადაა წარმოდგენილი საცხოვრებელი ეზოს სარეველები. ესენია ყაყაჩო, მრავალძარღვა, ბაია, ავშანი. სპოროვნებისგან აღინიშნება გვიმრანაირების, გველის ენის და კილამურას სპორები. აღსანიშნავია რომ აქაც კულტურულ მარცვლოვნების მტვერს ცეცხლის კვალი ეტყობა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №30. ამ ორმოს ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრშიც ტაქსონების სიუხვე აღინიშნება და განსაკუთრებით კი მატულობს ტყის ელემენტების როლი. პროცენტულად ხემცენარეთა და ტყის გვიმრების შემადგენლობა თითქმის 44% აღწევს. ფოთლოვან ხემცენარეთა შორის დომინირებს თხილი. აქ ნაპოვნია მისი 15 მტვრის მარცვალი. ნაკლებია მუხის და რცხილის მტვერი. ცალკეულ ეგზემპლარების სახით გვხვდება თელა, წიფელი, ჯაგრცხილა, ცაცხვი, კაკალი და ეთედრა.

განხილულ ორმოში მატულობს, აგრეთვე, ველური ბალახოვნების როლიც. ესენია ფურისულა (Primula), თაენასკვა (Cyperus), შხაპრი (Sparganium), ასტრა (Aster) და სხვა. ამასთან ერთად არც თუ ისე დიდია სათესი მარცვლოვნების მტვერი და ნათესების სარეველათა მნიშვნელობა. საძოვრების და ეზოს სარეველების მტვერი წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობით და მათი საერთო ჯამი ნაკლებია ნათესების სარეველების შემადგენლობაზე.

სპოროვანთა ჯგუფში დომინირებს გვიმრა გველის ენის (Ophioglossum vulgatum) სპორები, რომელიც სითბო და ტენის მოყვარულია. დათვლილია მისი 84 სპორა. სხვა ტყის გვიმრების როლი კი ნაკლებია. ესენია კილამურა და ვენერას თმა. აღინიშნება ხავსების სპორებიც.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №32. ამ ორმოს ფენის ნიმუშში დათვლილია 330 მტვრის მარცვალი. ტყის ელემენტები ცოტაა და 13% შეადგენს. ფიჭვის გარდა, ბევრია თხილის მტვერი. ნაძვი, სოჭი, ცაცხვი და რცხილა აღინიშნება ერთეულ მტვრის მარცვლებით.

ბალახოვნებს შორის ბევრია ხორბლის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ბლომადაა ნათესების სარეველათა მტვერიც, განსაკუთრებით იზრდება მათი ტელას მნიშვნელობა. საძოვრების ელემენტებიც კარგადაა წარმოდგენილი. დაფიქსირებულია ეზოს სარეველა მცენარეთა მტვერი. ესენია ბაღბა, ავშანი, მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და სხვა. სპოროვნების შორის დომინირებენ გვიმრანაირები. აღინიშნება გველის ენის და ეწრის გვიმრის სპორები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №33. ორმოს ფენიდან აღებულ ნიმუშში დათვლილია 171 მტვრის მარცვალი და სპორა. დარბადაა წარმოდგენილი ტყის მაჩვენებლები. ეს ელემენტები მხოლოდ 9% -ს შეადგენენ. თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება ფიჭვის, ნაძვის, მუხის, თხილის, თელას და ეთედრას მტვერი.

ბალახოვნები უმეტესად სარეველებია, როგორც ნათესების, ისევე საძოვრების და საცხოვრებელი ეზოსი. ჭარბობს ვარდკაჭაჭა, ავშანი და ნაცარქათამა. ველური ბალახოვნებიდან ბევრია ასტრას მტვერი. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრანაირები და ხავსები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №34. ორმოს ფენის ნიმუშში დათვლილია 307 მტვრის მარცვალი. ტყის ელემენტი 14%-ს შეადგენს. ამ ჯგუფში ჭარბობს ფიჭვის, რცხილის, მუხის და თხილის მტვერი. ცოტაა სოჭის, წიფლის, ღვიის, თელას და ცაცხვის მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებში ბევრია კულტურული მარცვლოვნები (26 მტვრის მარცვალი) და მათთან არსებული ნათესების სარეველები. ხორბლის, ქერის და შვრიის მტვრის მარცვლებს ცეცხლის კვალი ეტყობა. სარეველებს შორის დიდი სიუხვით გამოირჩევა მათი ტელა, რომელიც 23.7% აღწევს. სულ დათვლილია 73 მათი ტელას მტვრის მარცვალი. ბევრია ვარდკაჭაჭა, ნარშავი. კარგადაა წარმოდგენილი საძოვრების არსებობის მაჩვენებლები. ესენია ბურბუშეკა, ნარი, ნაცარქათამა და სხვა.

პალინოლოგიურ სპექტრში ველური ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ია, ფურისულა, ქოლგოსნები, ტუჩოსნები და სხვა. სპოროვან მცენარეთაგან არის გველის ენის და გვიმრანაირების ერთეული სპორები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №36. ამ ორმოს სხვადასხვა სიღრმიდან აღებულია 4 ნიმუში. 25 სმ-ზე აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტების რაოდენობა მეტია, ვიდრე სხვა

ნიმუშებში. აქ ფიჭვის მტვრის გარდა, ბევრია თხილი და მუხა. სპექტრში ნაკლებია სოჭის და ნაძვის მონაწილეობა. ცოტაა წიფლის, არყის, კაკლის, მურყნის და იფნის მტვრის მარცვლები. სულ ამ ნიმუშში დათვლილია 481 მტვრის მარცვალი, საიდანაც ხემცენარეთა მტვერი 70-ია და ტყის გვიმრის სპორა კი 53-ს შეადგენს.

ბალახოვნებში სამი სხვადასხვა სარეველას დომინანტია. ესენია ვარკაჭაჭა, ავშანი და ნაცარქათამა. სათესი მარცვლოვნების მტვერი არც თუ ისე ბევრია და წარმოდგენილია ხორბლით და ქერით. არის საძოვრების ინდიკატორებიც. კარგადაა წარმოდგენილი საცხოვრებლის რუდერალეების მონაწილეობა. ესენია ღორის ბირკა, მრავალძარღვა, ციხორიუმუ და სხვა. სპოროვნების ჯგუფში ჭარბობს გველის ენის და გვიმრანაირების სხვა სპორები. აღინიშნება ვენერას თმა, კილამურა და კრიპტოგრამა. დაფიქსირდა ორი ხავსის სპორაც.

განხილული ორმოს 40 სმ-ზე აღებულ ნიმუშში აღმოჩნდა მხოლოდ 132 მტვრის მარცვალი. ტყის არსებობის მაჩვენებელი 7%-ია. ცოტაა ფიჭვის, სოჭის, ცაცხვის და თხილის მტვერი. ბალახოვნებიდან ჭარბობს ნათესების სარეველები და განსაკუთრებით მატიტელა. ხორბლის და სხვა კულტურული მარცვლოვნების როლი არც თუ ისე დაბალია. ძოვის ინდიკატორები სუსტადაა წარმოდგენილი. სპოროვნებიდან დაფიქსირდა გვიმრანაირების მხოლოდ 5 სპორა.

50 და 60 სმ-ის სიღრმეზე აღებული ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრის კომპონენტები რაოდენობრივად გაცილებით მდიდარია. პირველ ნიმუშში დათვლილია 252 მარცვალი და მეორეში კი 423 მტვრის მარცვალი და სპორა. ხემცენარეთა ჯგუფში ფიჭვის გარდა ჭარბობს თხილი, რცხილა და ცაცხვი (60 სმ-ის სიღრმეზე). აღინიშნება სოჭი, ნაძვი, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა და ღვია.

ბალახოვანთა შორის ბევრია ნათესების სარეველები და განსაკუთრებით მატიტელას მტვრის რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი თავად კულტურული მარცვლოვნებიც. ჭარბობს ხორბალი. ფიქსირდება ძოვის ელემენტებიც. პალინოლოგიურ სპექტრში წარმოდგენილია ეზოს და სანაგვეების რუდერალეებიც. ესენია ბალბა, მრავალძარღვა, ღორის ბირკა, ავშანი და სხვა. სპოროვნებიდან ერთეული ეგზემპლარის სახით წარმოდგენილია გვიმრუჭა, ვენერას თმა, და სხვა გვიმრანაირები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №37. ამ ორმოდან აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტების რაოდენობა იზრდება და აღწევს 28%-ს. ბევრია ფიჭვის მტვერი. მეორე დომინანტი თხილია. თანაბარი რაოდენობით წარმოდგენილია სოჭი, ნაძვი და მუხა. ცოტაა რცხილის, მურყნის, ნეკერჩხლის, იფნის და ეთედრის მტვრის მარცვლები. აღინიშნება ლიბანური კედარის ერთი მტვრის მარცვალი რაც შორიდან მოტანილი უნდა იყოს. ცნობილია, რომ კედარის მტვრის მარცვლები ქარს გადააქვს რამოდენიმე ასეულ და ათასეულ კილომეტრზე.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ნათესების სარეველები. კულტურული მარცვლოვნებიდან დომინირებს ხორბალი. კარგადაა წარმოდგენილი ძოვის და სანაგვეების მაჩვენებელი ტაქსონები. არის ჯინჭრის, ყაყაჩოს, მრავალძარღვას, ბალბას, ფარსმანდუკის მტვრის მარცვლები. სპოროვნების რაოდენობა დიდია. ჭარბობს გველის ენა. დათვლილია 62 მისი სპორა. აღინიშნება აგრეთვე კილამურას, ხავსის სპორები.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №38. ორმოდან ამოდებულ ნიმუშში დათვლილია 405 მტვრის მარცვალი. ცოტაა ტყის მაჩვენებელი სახეობები. დაბალია ფიჭვის და თხილის

მტვრის შემადგენლობა. უფრო ნაკლებია კაკლის და წაბლის მტვრის მარცვლების რაოდენობა.

განხილულ ორმოს ფენაში სარეველთაგან დომინირებს ვარდკაჭაჭა (96 მტვრის მარცვალი) და ავშანი (77 მტვრის მარცვალი). ბევრია მათიტელა, ნარშავი და ნაცარქათამა, რომლებიც უხვად იზრდება მარცვლოვნების ნათესებში. სპექტრში აღინიშნება ხორბალი და სხვა კულტურული მარცვლოვნები. არის საძოვრების ელემენტებიც. ნაკლებადაა გამოკვეთილი საცხოვრებელი ადგილების რუდერალური მცენარეთა მტვერი. სპოვანთაგან მხოლოდ გვიმრანაირების სპორები დაფიქსირდა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №39. განხილული ორმოს ფენის ნიმუშში ძალიან ბევრია თხილის მტვერი. ხემცენარეთა ჯგუფში მას 76% უკავია. დათვლილია 38 თხილის მტვრის მარცვალი. თხილის გარდა აღინიშნება ფიჭვის, სოჭის, არყის, რცხილის, მურყნის და ძახველის მტვერი.

ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს ვარდკაჭაჭას და ავშნის მტვერი. ბევრია მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა, ნარცეცხლა, ნაცარქათამა. ნასების სარეველთაგან აგრეთვე სიუხვით გამოირჩევა ნარშავი, ხვართქლა, ღიღილო. კულტურული მარცვლოვნების მტვერიც ბევრია. დომინირებს ხორბალი. ქერის და შვრიის მტვრის მარცვლებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. როგორც ზემოთ განხილულ ორმოების ფენებში, აქაც კარგადაა წარმოდგენილი საძოვრების ინდიკატორები. აღინიშნება საცხოვრებლის და სანაგვეს რუდერალები. ესენია ღორის ბირკა, მრავალძარღვა, ბურბუმელა, ავშანი, ბალბა და სხვა. სპოროვანთა ჯგუფი შეიცავს გვიმრანაირების, გველის ენის და ხავსების სპორებს.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №40. ამ ორმოს ფენიდან განსაზღვრული და დათვლილია 269 მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა ჯგუფს 9.2% მიეკუთვნება, ტყის გვიმრებს კი 5.5%-ი. სპექტრის დანარჩენი თითქმის ყველა კომპონენტი სარეველა ბალახოვნებია. დომინირებს ნათესების სარეველები. ესენია ვარდკაჭაჭას, მათიტელას, ნარშავის მტვერი. არც თუ ისე მცირეა ხვართქლას, ღიღილოს და ნაცარქათამას მონაწილეობა. თვითონ კულტურულ მარცვლოვანთაგან ჭარბობს ხორბლის მტვრის მარცვლები რომლებიც ცეცხლის კვალს ატარებენ. ძოვის და სანაგვეების მაჩვენებლები სპექტრში მკვეთრადაა გამოხატული. სპოროვნები წარმოდგენილი არიან გვიმრანაირებით და გველის ენით.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №43. განხილულ ორმოს შრის პალინოლოგიურ სპექტრში მაღალია ხორბლის და სხვა სათეს მარცვლოვნების შემადგენლობა. ყველა ესენი ცეცხლის კვალს ატარებენ. სულ ამ ჯგუფში დათვლილია 27 მტვრის მარცვალი. ბევრია ნათესების სარეველების მტვერიც. დომინირებს ვარდკაჭაჭას და მათიტელას მტვრის მარცვლების რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი სხვა სარეველებიც: ხვართქლა, ღიღილო, წიწიბურა, ნარშავი.

პალინოლოგიურ სპექტრში საძოვრების მაჩვენებლებიდან აღინიშნება ნარცეცხლა და ნარი. ადამიანის საცხოვრებლის რუდერალებიდან დაფიქსირდა მრავალძარღვა, ფარსმანდუკი, ავშანი და სხვა. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრუჭა და გვიმრანაირები.

ამრიგად, ვხედავთ, რომ განხილული ორმოების პალინოლოგიურ სპექტრში როგორც ხემცენარეთა ჯგუფში, ასევე, ბალახოვნების შორის, ბევრია სითბოს და ნესტის მოყვარული მცენარეთა მტვერი და ემსგავსება ზემოთ განხილულ სამარხების

პალინოლოგიურ სპექტრებს. აქაც ბევრია თხილის, კაკლის, ცაცხვის, უჯანგარის მტვრის მარცვლები. გვიმრა ვენერას თმა და გველის ენა კარგადაა წარმოდგენილი თასისი სპორებით. ძელქვის, წაბლის და კულტურული ვაზის მტვრის მარცვლების გამოჩენა ზოგიერთი ორმოს მასალაში მასზე მეტყველებს, რომ ეს მცენარეები არც თუ ისე შორს იზრდებოდნენ. როგორც სამარხების მასალაში, აქაც უხვადაა წარმოდგენილი ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის რაოდენობა, რაც მემინდვრეობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

თ ი ს ე ლ ი ს სერი. როგორც უკვე აღინიშნა, ნავთობ მილსადენის კორიდორის ფარგლებში მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდის ფენები პალინოლოგიურად შესწავლილია აგრეთვე თისელის სერზე (მესხეთი). აქ ნამოსახლარიდან და სამარხებიდან მოპოვებული და შესწავლილია **32 ნიმუში**. თისელის სერის ნამოსახლარი მდებარეობს 1800-1890 მ სიმაღლეზე. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა *N^o1 ნაგებობაში* აღმოჩენილ ბრინჯაოს ცული. მის ყუნწში ანუ გაყრილი ტარის ადგილზე, ჩარჩენილი იყო შავი ფერის ორგანული მასა. ამ ორგანული ნაშთის პალინოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა უაღრესად საინტერესო და მდიდარი მცენარეთა მტვრის სპექტრი. სულ დათვლილია 445 მტვრის მარცვალი და სპორა. მათი დაცულობა ძალზედ კარგია.

უხვია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედების რაოდენობა (სურ. 7), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ცულის ტარი ფიჭვის ხისა უნდა ყოფილიყო. ბევრია აქ თავად ფიჭვის მტვრის მარცვლებიც, რომელსაც სპექტრის 30% უკავია. ნაძვის შემადგენლობა არის 8%, სოჭის კი მხოლოდ 4%. ცულის ტარის შიგთავსის სინჯში ხემცენარეთა ჯგუფში გარდა წიწვოვნებისა, არის აღმოჩენილი მუხის (*Quercus*), მურყნის (*Alnus*) და ღვიის (*Juniperus*) მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ტყის გვიმრების სპორები. ნაპოვნია მარგალიტას (*Botrychium lunaria*), კილამურას (*Pteridium vulgare*), გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*), ეწრის გვიმრა (*Pteridium tauricum*), კრიპტოგრამა (*Cryptogramma crispa*), გვიმრუჭა (*Asplenium*). ჩამოთვლილი გვიმრების უმეტესობა ნესტის და სითბოს მოყვარულია და დღეს იზრდება მხოლოდ მთის ქვედა ზოლის ტყეში.

სხვა ბალახოვნების პალინოლოგიური სპექტრი ასევე მრავალფეროვანია. აქაც ბრინჯაოს ჟანგმა კარგად შეინახა მტვრის მარცვლები. არის ხორბლის, ჭვავის და ქერის მტვერი. დაფიქსირდა მარცვლოვნების ნათესების სარეველებიც. ესენია ხვართქლა (*Convolvulus*) და მატიტელა (*Polygonum*). აღმოჩენილია ადამიანის საცხოვრებლის რუდერალები: მრავალძარღვა (*Plantago*), ციხორიუმი (*Cichorioidae*), ფარსმანდუკი (*Achillea*), ავშანი (*Artemisia*). ცოტაა, მაგრამ მაინც დაფიქსირდა საძოვრების არსებობის მაჩვენებლებიც. მაგალითად, ბაია (*Ranunculus*), ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*) და სხვა. ზოგიერთ მტვრის მარცვლებს ცეცხლის კვალი ეტყობა. ნიმუშში აღინიშნება, აგრეთვე, ნახშირის მიკრონაშთები. ნაპოვნია სელის ბოჭკოც. გარდა ფიჭვისა გვხვდება სხვა მცენარეთა მერქნის პარენქიმული უჯრედები.

ჭრილი კვადრატ G -2-ში. ეს ჭრილი გაკეტებულია დერეფნის სამხრეთ კედელში. აქ ყოველ 10 სმ-ში აღებული და შესწავლილია 16 სინჯი. ადრებრინჯაოს კულტურული ფენა მოიცავს 1-1.60 მ სიღრმეებს. განხილულ ფენის პალინოლოგიური სპექტრები მკეთრად განსხვავდება ზედა ფენებისგან იმით, რომ აქ ბევრია ადამიანის საცხოვრებლის ეზოებისა, გზისპირა და სანაგვეების სარეველები. განსაკუთრებით კი





ბევრია მრავალძარღვა (*Plantago lanceolata*, *Plantago media/major*). 130-140 სმ სიღრმეზე კარგადაა წარმოდგენილი მევენახეობის და მებაღეობის ელემენტები. აღმოჩენილია კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები (სურ. 8). განსილულ შრეში ნაპოვნია მიწათმოქმედების ბევრი სხვა ელემენტი. ესენია ხორბლის ნათესების სარეველები: მათიტელა (*Polygonum*), ღიღილო (*Centaerea*), ნარშავი (*Carduus*) და სხვა. ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ადრებრინჯაოს დროის ფენაში დღევანდელ სპექტრთან შედარებით მეტია სითბომოყვარული ფართოფოთლოვანი ტყის კომპონენტების მტვრის მარცვლების რაოდენობა. ამ ჯგუფში დომინირებს მუხის (*Quercus*) მტვერი. არის წიფელა (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მურყანი (*Alnus*). რაც შეეხება ისეთ სიცივისმოყვარულ ელემენტს, როგორცაა ნაძვი (*Piceae orientalis*), მტკვარ-არაქსული კულტურის დროის ფენაში მისი მტვრის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დღევანდელ სპექტრში. თუ დღეს ეს მაჩვენებელი 18-19% შეადგენს, ქვედა ფენაში ნაძვის პროცენტული შემადგენლობა პალინოლოგიურ სპექტრში 5-7 %-ს არ აღემატება. ნაკლებია სოჭის (*Abies nordmanniana*) მნიშვნელობაც. ისიც უნდა აღინიშნოს რომ ზედაპირულ სპექტრში სითბომოყვარული ფართოფოთლოვანი საერთოდ არ აღინიშნება.

ჭ რ ი ლ ი კ ვ ა დ რ ა ტ B-2-ში. ეს ჭრილი გაკეთებულია დერეფნის იმავე სამხრეთ კედელში და მოიცავს 160 სმ-ის სისქეს. მტკვარ-არაქსის პერიოდის ფენა აქ დაფიქსირდა 80 სმ სიღრმიდან. პალინოლოგიურ სპექტრში ერთდროულად გამოჩნდა მრავალძარღვას (*Plantago*), კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*), კაკლის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ეს ელემენტები კი მებაღეობა-მევენახეობის არსებობის დასტურია. გარდა ამისა, სპექტრებში დაფიქსირდა ხორბლის, ქერის და მისი ნათესების სარეველები.

რაც შეეხება ტყის ელემენტებს, აქაც, როგორც პირველ ჭრილში, მატულობს ისეთი სითბო მოყვარული ხემცენარეები, როგორცაა მუხა (*Quercus*) და წიფელი (*Fagus*).

არაპალინოლოგიურ ხასიათის ნამარხებიდან ადრებრინჯაოს კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები, სოკოს სპორები, მარცვლოვნების ეპიდერმალური უჯრედები და ტექსტილის ბოჭკოები. ბევრია სელის ბოჭკო, არის ბამბის (მხოლოდ სულ ზედა, გვიანდელი დროის ფენაში) და მატყლის ტექსტილის მიკრონაშთები. ვედა ფენებში აღინიშნება ფერადი (წითელი, ლურჯი და ყვითელი) ძაფის ბოჭკოც (სურ. 9).

ზემოაღნიშნული ჭრილების გარდა, განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა მეორე ნაგებობიდან (კვადრატი F-3, სიღრმე 567 სმ.) აღებული სინჯის პალინოლოგიური სპექტრი. ანტროპოგენური ინდიკატორების შორის უხვადაა წარმოდგენილი ხორბლის მტვერი და მასთან არსებული სარეველები. ამ სპექტრში არის აგრეთვე მრავალძარღვა (*Plantago*), ფარსმანდუკი (*Achille*), ირმისმხალა (*Serratula*) რომლებიც ადამიანის საცხოვრებელ ხემცენარეთა ჯგუფში ჭარბობს მუხის (*Quercus*) მტვრის მარცვლები. არის



სურ. №7. თისელის სერი, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა. ცულის ყუნწი. პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილი ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები (X300-ჯერ)

რცხილის (*Carpinus caucasica*), წიფლის (*Fagus orientalis*) და თხილის (*Corylus*) მტვერი. ნაძვი (*Picea orientalis*) აქ საერთოს არ არის აღმოჩენილი. ბევრია ტყის გვიმრების სპორები.

საინტერესოა, აგრეთვე, არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხი მიკროსკოპული ნაშთები. ესენია მარცვლოვნების ეპიდერმალური უჯრედები, მარცვლოვნების თავთავების ეპიდერმისი, ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები და სელის ტექსტილის ბოჭკოები. ის ეზოში იზრდება.

სამარხი 1, ჭურჭელი 2. განხილული თიხის ქოთნის შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი ხასიათდება შემდეგნაირი თვისებებით. უხვადაა წარმოდგენილი ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ არსებული სარეველათა მტვერი. როგორც უკვე აღინიშნა, ესენია მრავალძარღვა, ფარსმანდუკი, ავშანი და სხვა. არის ნათესების სარეველების მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი მეზალოების ელემენტები. არის კაკალის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) მტვერი. ხემცენარეთა ჯგუფში, როგორც ჭრილების კულტურულ ფენებში, დაფიქსირდა მუხის, რცხილის და წიფლის მტვრის მარცვლები. არის გვიმრა კილამურას (*Polypodium vulgare*) სპორები. ეს გვიმრა სითბომოყვარულია და მხოლოდ ტყის ქვედა ზოლში იზრდება.


რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, აქ ბევრია წყალმცენარე *Dinoflagellata*-ს ფოსილიები. ნაპოვნია სოკოს სპორები, ნიადაგის ტიპა, შალის და სელის ქსოვილის ბოჭკოები. არის აგრეთვე მუხის და ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები.

თუ რა იყო მოთავსებული განხილულ ქოთანში, ამის თქმა ძნელია, მაგრამ მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებულს წყალი ჩაატანეს, მაგრამ შემდგომ იქ განამარხებული მიწა ჩავარდა და სპექტრი მეტწილად ამ განამარხებული ნიადაგის ბოტანიკურ ნაშთებს ასახავს.

ს ა მ ა რ ხ ი №8, *მიცვალებულის მუცლის არე*. განხილულ სამარხში მოზარდი იყო დამარხული. მუცლის არედან აღებულ სინჯში მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა გამოვლინდა. კარგია მათი დაცულობა და ეს თვისება დამახასიათებელია ნებისმიერი ცხოველის კოპროლიტებისთვის. კულტურულ მცენარეთაგან აქ ხორბლის (*Triticum*) მტვერი აღმოჩნდა. არის აგრეთვე ველური წიწიბურას (*Fagopyrum*) მტვრის მარცვლები. ეს ორი კომპონენტი ალბათ, საკვების ნაშთია (ფაფეულობის და პურის).

ძალზედ საინტერესოა ის ფაქტი რომ პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია სამკურნალო მცენარეთა მტვრის მარცვლები და განსაკუთრებით კი გვიმრების სპორები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუცლის არეში აღებულ სინჯის სპექტრში აღმოჩნდა პარაზიტული ჭიის ღორის სოლიტერის კვერცხები (*Taenia solium*). სწორედ გვიმრების ნაყენი დღესაც უებარი წამალია ჰელმინტოზის დაავადებათა სამკურნალოდ. ადრებრინჯაოს პერიოდში ღორის სოლიტერი პრობლემა უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, აღმოჩენილი დაავადება იმის დასტურიცაა რომ განხილულ რეგიონში ამ დროს მეღორეობა უკვე იყო განვითარებული და ღორის ხორცი კი ადამიანისთვის კარგი საკვები უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, ზემოთყვანილმა მასალამ აჩვენა, რომ მიუხედავად მაღალი სიმაღლისა



სურ. №8. თსელის სერი, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა, პალინოლოგიკ სპექტრებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1-8-კულტურული ვაზი; 9-11, 17-19-ხორბალი; 12-13-ქერი; 14-16-განუსახდვრელი კულტურული მარცვლოვნები (X300-ჯერ)

თისელის სერზე ადრებრინჯაოს პერიოდში ადამიანი მიწათმოქმედებას მისდევდა. ითესებოდა ხორბალი, ქერი და ჭვავიც. თბილი კლიმატური პირობები მებაღეობას და მევენახეობას ხელს უწყობდა. ადამიანი მოსწორებულ ადგილებს მიწათმოქმედებისთვის ინტენსიურად ითვისებდა.

ახლომდებარე მთები შემოსილი იყო ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეებით, სადაც მუხა ჭარბობდა. იქვე იზრდებოდა წიფელი, რცხილა, მურყანი, თხილი. წიწვოვნების ტყე, რომელიც აქ დღეს იზრდება, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთის უფრო მაღალ ფერდობებზე.

თისელის სერზე ადრებრინჯაოს დროის ადამიანი მეცხოველეობასაც მისდევდა. ამრავლებდა ღორსა და ცხვარს. მეღორეობის არსებობაზე მიუთითებს ღორის სოლიტერიტ დავალებული მიცვალებული. ცხვრის ყოლას კი ამტკიცებს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მატყლის ტექსტლის ნაშთები. იმდროინდელი ადამიანი შალის ნაქსოვის გარდა, სელის ტექსტილსაც ხმარობდა. ფერადი ძაფების არსებობა კი ფეიქრობაზე მიგვანიშნებს. უფრო მეტია ღია წითელი ფერის ბოჭკოები. არის აგრეთვე ღია შაბიამნის ფერი სელის ბოჭკოც.

ადრებრინჯაოს მოსახლეობამ ბევრი სამკურნალო მცენარე იცოდა. იგი ჭიის დაავადების საშუალებასაც ხმარობდა, რაც კარგად ჩანს №8 სამარხის მუცლის არეშე აღმოჩენილი უამრავი სამკურნალო გვიმრების სპორები.


ამრიგად, პალინოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ როგორც ქვედა ქართლში თისელის სერზეც, იმდროინდელი კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელისაგან. იგი გაცილებით თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო, რასაც შესწავლილი მცენარეულობის კომპლექსი ადასტურებს. თბილი კლიმატური პირობები კი ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას და განსაკუთრებით კი მევენახეობას და მებაღეობას.

ჭობარეთის ნამოსახლარი. იგი მდებარეობს მესხეთის მთებში 1600-1640 მეტრზე (ასპინძის მახლობლად). ჭობარეთის ნამოსახლარიდან მოპოვებული და გამოკვლეულია 28 ნიმუში. ეს არის სამარხების, სამკურნეო ორმოების და ჭურჭლის შიგთავსის მასალა, რომელიც უაღრესად მდიდარი აღმოჩნდა, რადგან თვითვე ნიმუშში ზოგჯერ ითვლებოდა 560-800 პალინომორფი¹. სამარხებში განისაზღვრა მცენარეთა 59 სახეობა, ორმოებში 51 და ჭურჭელში კი 49 ტაქსონის მტვერი. ჩამოთვლილ სამი ტიპის მასალის პალინოლოგიურ სპექტრებს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ, მაგრამ მკვეთრად შეიმჩნევა აგრეთვე განსხვავებული დეტალებიც.

ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. შესწავლილია სამი სამარხის მასალა. ესენია: ობიექტ №17-ზე მდებარე სამარხი №8 (აღებული და გამოკვლეულია 3 ნიმუში), ობიექტ №8-ზე აღმოჩენილი სამარხი №1 (აღებული და გამოკვლეულია 4 ნიმუში) და №6 ობიექტზე მდებარე სამარხი №8 (აღებული და გამოკვლეულია 1 ნიმუში).

სამარხი №4. ნიმუში №1 აღებულია ჩონჩხის ქვედა ნაწილიდან, ნიმუში №2 მუცლის არედან და ნიმუში №3 – მენჯის ძვლის ქვეშ. სამივე სინჯის პალინოლოგიურ

¹ Квавадзе Э., Хахиани К., Битадзе Л. 2011. Палеоэкологические условия Самцхе-Джавахети первой половины 3-его тысячелетия до н.э. по палинологическим данным археологического материала. Труды Межд. Научн. Конф. "Археология, этнология, фольклористика Кавказа", Тбилиси. Стр.141-143



შურ №9. თისელის სერი, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა, პალინოლოგიკ სპექტრებში აღმოჩენილი სელის წითელი ბოჭკო (X300-ჯერ)

სპექტრისთვის დამახასიათებელია წიწვოვნების მტვრის, განსაკუთრებით, ფიჭვის მტვრის მარცვლების სიუხვე. ბევრია აგრეთვე სოჭის მტვერი. ნაძვის მტვრის შემცველობა კი ნაკლებია. სხვა ხემცენარეებიდან აღინიშნება მურყნის, წიფლის, არყის, მუხის, რცხილის, ხეჭრელის და მტვრის მარცვლები. რაც შეეხება ბალახოვნებს, ეს ჯგუფი სამივე ნიმუშში უფრო კარგადაა წარმოდგენილი, ვიდრე ხე მცენარეთა მტვერი. ჭარბობს ნაცარქათამას, მატიტელას და ვარკაჭაჭას მტვრის რაოდენობა. ნაცარქათამას მტვერი განსაკუთრებით უხვადაა ნაპოვნი მუცლის არეში (ნიმუში №2). აქ ბევრია, აგრეთვე, ხორბლის მტვრის მარცვლები. არის შვრიის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. მხოლოდ მუცლის არეში გვხვდება ფარსმანდუკის, ღიღილოს და მრავალძარღვას მტვრის მარცვლები. ცნობილია, რომ ჩამოთვლილი მცენარეები სამკურნალოა. მედიცინაში გამოიყენება აგრეთვე არყის ყვავილის ნაყენი. არყის მტვრის მარცვლები ასევე მხოლოდ მუცლის არეში არის დაფიქსირებული. მხოლოდ მუცლის არეშია ნაპოვნი ნემსიწვერას, ბოსტნის წალიკას, ჯინჭრის, ხვართქლას მტვერი. ამ მცენარეთა ფოთლები ბევრ ვიტამინს შეიცავს და ადამიანი მათ საკვებად იყენებს. იტმევა ნემსიწვერას ფესვები, როგორც გამრიეელი ბოსტნეული¹. მეორე ნიმუშში უხვადაა წარმოდგენილი სხვადასხვა გვიმრის სპორები.

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან დომინირებს ფიჭვის მერქნის უჯრედები, განსაკუთრებით სამარხის ძირიდან აღებულ ნიმუშში. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებული სარეცელზე იყო დასვენებული. მეორე ნიმუშში უხვადაა მარცვლოვნების და სხვა ბალახოვნების ფიტოლიტები, რაც ყოველთვის ახლავს მცენარეულ საკვებს (პური, მხალეული, მწვანილი). მენჯის ძვლის ქვეშ ბევრია სელის ბოჭკო, რაც ტანსაცმელის ან სუდარის ნაშთი უნდა იყოს. აღინიშნება ნაცრისფერი სელის ბოჭკოც. მცირე რაოდენობით სელის ბოჭკოები ნაპოვნი ასევე პირველ და მეორე ნიმუშებში. ცოტაა მცენარეთა ეპიდერმისი. აღინიშნება მწერების ბუსუსები, მათი კლანჭები და ზოოლოგიური ეპიდერმისი. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ტკიპების და სხვა ფესხასსრიაანების მიკრონაშთები.

ს ა მ ა რ ხ ი №1. ამ სამარხიდან სამი ნიმუში აღებულია მიცვალებულის მუცლის არეს სხვადასხვა ნაწილიდან (ნიმ.№4,5,6) და ერთი კი (ნიმ.№7) მიცვალებულის ქვედა კიდურებთან (ტერფებთან). პალინოლოგიური სპექტრი უაღრესად მდიდარია. მეოთხე ნიმუშში დათვლილია 842, და მეხუთეში კი - 875 პალინომორფი. №6 სინჯში ნაპოვნი 699 პალინომორფი. აქაც ხე მცენარეთა შორის ბევრია წიწვოვნების მტვრის მარცვლები. დომინირებს ფიჭვი . მაგრამ პალინოლოგიურ სპექტრში აღინიშნება უამრავი სხვა ხე-მცენარის მტვერი. ესენია ღვია, ეთედრა, არყი, კაკალი, წიფელი, რცხილა, ჯაგრცხილა, მუხა, ცაცხვი, ძელქვა, მურყანი და თხილი. ჭარბობს თხილის და ცაცხვის მტვრის მარცვლები. რაც შეეხება ბალახოვნებს, დომინირებს ხორბლის და მატიტელას მტვერი. ნაცარქათამას მტვრის მარცვლების როლი ამ სამარხში აღარ არის მნიშვნელოვანი. არც ვარდკაჭაჭას მტვერია ისე ბევრი, როგორც მეოთხე სამარხში. ფარსმანდუკის, ღიღილოს, გვიმრა - გველის ენის და სხვა სამკურნალო მცენარის მტვერი და სპორები აქაც მხოლოდ მუცლის არეში გვხვდება. აღინიშნება უამრავი საკვები მცენარის მტვრის მარცვლები. ესენია კაკალი, თხილი, ბალბა, ჭვავი, ხორბალი, ჯინჯარი, ნემსიწვერა, ბოსტნის წალიკა და სხვა. ცაცხვის, არყის, ღვიის, ეფედრის, ძელქვის და ნეკერჩხლის

¹ Гроссгейм А.А. 1946. Растительные ресурсы Кавказа. Издательство АН Азербайджанской ССР. Баку, 671 с.

მონაწილეობა მუცლის არეში აღებულ ორგანულ ნაშთებში შეიძლება იმით აიხსნას, რომ მიცვალებული მკურნალობდა ჩამოთვლილ მცენარეთა ფოთლის, ყვავილის ან თესვების ნაყენით.

არაპალინოლოგიური ნაშთების კომპლექსი სულ სხვა თვისებებს ატარებს. თითქმის არ აღინიშნება ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. დომინირებს ტკიპების მიკრონაშთები. ესენია მათი ჯაგრები, კლანჭები და მარწუსები. მხოლოდ მეხუთე ნიმუშშია აღმოჩენილი ფუტკრის ბუსუსები, რაც ყოველთვის თან ახლავს თაფლს ან მის პროდუქტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მიცვალებულის დიეტაში შედიოდა მისი გარდაცვალების წინ. აღინიშნება მცენარეთა ეპიდერმისი და ფიტოლიტები. მცირე რაოდენობით ფიქსირდება სოკოს სპორები. ნაპოვნია სელის ტექსტილის რამოდენიმე ბოჭკო, მათ შორის ვარდისფერი, ლურჯი და ნაცრისფერი. მეხუთე და მეშვიდე სინჯში ნაპოვნია პარაზიტული ჭიის კვერცხები.

ს ა მ ა რ ხ ი №8. ამ სამარხში აღმოჩენილ №1 ჭუჭლის შიგთავსიდან აღებულია სინჯი №8. მისი პალინოლოგიური სპექტრი არ არის ისეთი მდიდარი, როგორც ზემოაღნიშნული სპექტრები. ხემცენარეთაგან ჭურჭელში ნაპოვნია მხოლოდ წიწვოვნების და ცაცხვის მტვრის მარცვლები (ცხრილი). ბალახოვნებიდან ბევრია ხორბლის მტვერი და სხვა კულტურული მარცვლოვნები, რომელთა მტვერი, ცუდი დაცულობის გამო, გვარამდე ვერ განისაზღვრა. კარგადაა წარმოდგენილი მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა, ველური მარცვლოვნები, ნარშავი, რომლებიც ყოველთვის ახლავს ხორბლეულობას. არის აგრეთვე ნაცარქათამას, ვარდკაჭაჭას, ბაღბას, წიწვბურას, ნემსიწვერას და ფარსმანდუკის მტვრი.

არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები და განუსაზღვრელი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. აღინიშნება წყალმცენარე დინოფლაგელატას ნაშთები, სოკოს სპორები, ტკიპების ერთეული მიკრონაშთები, მცენარეთა ეპიდერმისი. ნაპოვნია აგრეთვე სელის ტექსტილის და შალის ბოჭკოები. არის ნაცრისფერი სელის ბოჭკოც.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო ე ბ ი. სამეურნეო ორმოებიდან აღებული და შესწავლილია 10 ნიმუში. ორმოები განლაგებულია №7, 11, 12 ობიექტებზე.

ო ბ ი ე ქ ტ ი №7-ს *სამეურნეო ორმო*. მეშვიდე ობიექტის ორმოში 4 ნიმუში აღებულია სხვადასხვა სიღრმეზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულ ქვედა ნიმუში (№4, სიღრმე 1.2 მ) ასახავს ტიპურ მოქმედ სამეურნეო ორმოს, სადაც მარცვლეულობა ინახებოდა. პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ხორბლის მტვრის მარცვლების რაოდენობა (სურ.10). არის აგრეთვე ჭვავის, ქერის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ბევრია იმ სარეველათა მტვრის მარცვლები, რომლებიც ახლავს ხორბლის ნათესებს და ყოველთვის არის ხორბალში მინარევის სახით. ესენია ნარშავი, ველური მარცვლოვნები, ხვართქლა, დიდილო, ჩვეულებრივი მათიტელა და სხვა. ამ ორმოს შუა და ზედა ნაწილების პალინოლოგიური სპექტრები გვიჩვენებს, თუ როგორ გადაიქცა სამეურნეო ორმო სანაგვე ორმოდ. მესამე და მეორე ნიმუშში, მაგალითად, ხორბლეულის მტვრის რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, ცოტაა ხორბლის ნათესების სარეველებიც. მაგრამ მეორე ნიმუშში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ სარეველათა მტვერს, რომლებიც ეზოებში და სანაგვეებზე იზრდება. ესენია ჯინჭარი, ვარდკაჭაჭა, ბუბრბუშელა, მრავალბარდვა, ავშანი, ფარსმანდუკი, ნაცარქათამა და სხვა.

განხილულ ორმოში ხემცენარეთაგან არის მხოლოდ წიწვოვნების, თხილის, რცხილას, ეთედრას და ცაცხვის მტვრის მარცვლები. გვხვდება ტყის გვიმრების – კილამურა, გველის ენა და ხაგსების სპორები. სხვა ბალახოვნებიდან აღინიშნება სამყურა, გოქშო, პარკოსნები, ვარსკვლავა, მიხაკისებრნი.


არაპალინოლოგიური ხასიათის პალინომორფებიც ორმოს ძირში განსხვავდება ზემოთა სპექტრებისგან, იმით, რომ, ძირში დომინირებენ მარცვლოვნების ფიტოლიტები. ცოტაა სოკოს სპორები, ტექსტილის ბოჭკოები, ზოოლოგიური მიკრონაშთები. მაგრამ ზედა ნაწილში მატულობს სოკოს სპორების და განსაკუთრებით კი ბევრია სოკო გლომუსის რაოდენობა. ეს სოკო, როგორც წესი, იზრდება გათხრილ სუბსტრატზე და ნიადაგის ეროზიული პროცესების კარგი მარკერია.

სანაგვე ორმოში მატულობს ტექსტილის ბოჭკოს რაოდენობა. ბევრია სელის ტექსტილის ბოჭკო, არის ჯინჭრის და შალის ბოჭკოები. ზედა ფენებში მატულობს, აგრეთვე, ზოოლოგიური მიკრონაშთების რაოდენობა, განსაკუთრებით, ტკიპებისა და მწერების. აღინიშნება პარაზიტული ჭიების კვერცხებიც.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №15. განხილული ორმოს პალინოლოგიურ სპექტრებში ბევრია ხორბლის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი და იგი ზემომოყვანილი ორმოს ძირში აღებული ნიმუშის სპექტრების ანალოგიურია. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ორმო სამეურნეოა და შიგ ხორბლეულობა ინახებოდა. ხორბლის მტვრის შემადგენლობა სპექტრში მაღალია. არის, აგრეთვე, ქერის, ჭვავის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ბევრია ხორბლის ნათესების სარეველები. არაპალინოლოგიურ ჯგუფში დომინირებენ მარცვლოვნების ფიტოლიტები, რომლებიც ხორბალში ჩარჩენილ ბზის მიკრონარჩებზე მოუთითებს. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მწერების და სხვა ტიპის ზომამსაღის ნაშთები. შესაძლოა, ეს არის ხორბლის მავნებელი ხოჭოს - ცხვირგრძელას და სხვა ფესხასრიანების ნაშთები, რომლებიც ხორბალს აზიანებენ. ორმო №15-ში აღებულ სინჯში აღმოჩენილია სელის და შალის ბოჭკოები, ფიჭვის და სხვა მერქნის პარენქიმული უჯრედები. აქვე ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთიც.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №3. ეს ორმო მეთერთმეტე ობიექტზეა გათხრილი და მისი ზედა სინჯის (№6) პალინოლოგიური სპექტრები ემსგავსება ორმო №15 სპექტრებს. აქაც ბევრია ხორბლის და სხვა კულტურული ხორბლეულის მტვერი. მაგრამ ორმოს ქვედა ნაწილი სხვა ტიპის სპექტრებით ხასიათდება, რადგან ცუდია მტვრის მარცვლების დაცულობა. ამიტომაც აქ ხორბლის მტვერი არც თუ ისე ბევრია. რაც შეეხება ხორბლის ყანების სარეველათა მტვერს, ისინი პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა წარმოდგენილი. არაპალინოლოგიური ნაშთების კომპლექსიც ისეთია, როგორც სამეურნეო ორმოში, სადაც ხორბალი ინახება. დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტების რაოდენობა, არ არის სოკო გლომუსის სიუხვე. ცოტაა, აგრეთვე, ნაკელის სოკოს - სორდარიას სპორების რაოდენობა. აღინიშნება ზოოლოგიური მასალაც.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №12. იგი გათხრილია მეთერთმეტე ობიექტზე და ხასიათდება შემდეგი თვისებებით. ხორბლეულის და მათთან არსებული სარეველების მტვერი აქ ბევრი არ არის, თუმცა აღინიშნება იმ სარეველათა მტვრის მარცვლები, რომლებიც იზრდება ეზოებსა და სანაგვეებზე. ესენია ღორის ბირკა, ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ნაცარქათამა. იმას, რომ ეს ორმო სანაგვე უნდა



სურ. №10. ჭობარეთის ნამოსახლარი, ხელსაფქვავეში აღმოჩენილი მიწათმოქმედების ელემენტები: 1-7-ხორბალი; 8-12-კულტურული ვაზი (X300-ჯერ)

ყოფილიყო, ადასტურებს სოკო გლომუსის სპორების დიდი რაოდენობაც. ბევრია აქ სელის და განუსაზღვრელი ტექსტილის ბოჭკო, რომლებიც ასევე ნაგავთან ერთად იქნა ჩაყრილი ორმოში. აქვე აღინიშნება სოკო ხაეტომიუმის სპორები, რომელიც იზრდება ტექსტილზე და შლის მას.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №4. ეს ორმოც განლაგებულია მეთერთმეტე ობიექტზე. პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს ხორბლეულის მტვერი. ბევრია ხორბლის სარეველათა მტვრის მარცვლები. სოკო გლომუსის სპორები საერთოდ არ აღინიშნება. მწერების ნაშთები კარგადაა წარმოდგენილი. ნათლად ჩანს, რომ ეს ორმო ფუნქციონირებდა და მასში ხორბალი ინახებოდა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ მ ო №12. იგი გათხრილია მეხვდამეტე ობიექტზე და საანალიზო ნიმუში ორგანული მტვრის გარდა, ნახშირსაც შეიცავს. პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია წიწვოვნების მტვრის მარცვლები. დომინირებს ფიჭვი და სოჭი. არის აგრეთვე ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები. აქ ნაპოვნია ხორბლის მტვრის მარცვლები. არის ხორბლის ნათესების სარეველებიც. სოკო გლომუსის სპორები არ აღინიშნება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორმო №12-ში ხორბალი ინახებოდა.

ნამოსახლარის ფენებში აღმოჩენილი ჭურჭლის მასალის პალინოლოგიური სპექტრები. შესწავლილია 5 ჭურჭლის შიგთავსი და ერთი ხელსაფქვავის ორგანული ნაშთები. მასალა ვარგისი აღმოჩნდა. ხელსაფქვავის სპექტრები მცენარეთა ტაქსონომიური სიმდიდრით ხასიათდება. განვიხილოთ ყველა ჭურჭლის მასალის სპექტრების თავისებურებანი.

ღერგი №1. ეს ღერგი აღმოჩენილია მეოთხე სათავსში. პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს წიწვოვანთა მტვერი. განსაკუთრებით ბევრია ფიჭვის და სოჭის მტვერი. ნაძვის მტვრის რაოდენობა ნაკლებია. ნაპოვნია აგრეთვე წიფლის ერთი მტვრის მარცვალი. ბალახოვნებში დომინირებს სათესი მარცვლოვნები. ხორბლის მტვერი მეტია, ვიდრე ჭვავის. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ყანის სარეველები. არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიდან უამრავია მარცვლოვნების ფიტოლიტები და მცენარეთა ეპიდერმისი. სოკოებიდან მცირე რაოდენობით აღინიშნება გლომუსი, ხაეტომიუმი, ნაკელის სოკო სორდარია და განუსაზღვრელი სოკოს სპორები. ნაპოვნია წყალმცენარეების (დინოფლაგელატა) ნაშთები. დაფიქსირდა სელის ტექსტილის ბოჭკოც. ზოოლოგიური მასალა კარგადაა წარმოდგენილი. აღინიშნება მწერების და ტკიპების ჯაგრები, კლანჭები, ეპიდერმისი.

სათავსო №1, ხელსაფქვავი. ეს სათავსო განლაგებულია მეექვსე ობიექტზე. აქ აღმოჩენილი ხელსაფქვავი ვულკანური ქანისაგანაა დამზადებული (პემზა) და საკმაოდ დიდი ზომისაა. ორგანული ნაშთების მოპოვება ხელსაფქვავის უამრავი ნასვრეტებიდან მოხდა მისი დუღილით ტუტიან ხსნარში. პალინოლოგიური სპექტრი ძალზედ მდიდარი გამოდგა, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად. ერთ მინაზე დათვლილია 624 პალინომორფი. ხემცენარეთა ჯგუფში ბევრია წიწვოვნების მტვერი. დომინირებს ფიჭვი. აღინიშნება აგრეთვე ნაძვი, სოჭი და ღვია. გარდა ამისა, დაფიქსირდა მუხის, ცაცხვის, ძელქვას, მურყნის, თხილის და ვაზის მტვრის მარცვლები. ბალახოვნების შორის დომინირებს ავშანის მტვერი. ბევრია ვარდკაჭაჭას და ველური მარცვლოვნების მტვერის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ხორბალი, ნაცარქათამა, ირმისმხალა. არის ქერის და ფეტვის მტვერი. მცირე რაოდენობით აღინიშნება ღორის ბირკა,

მატიტელა, ღიღილო, ჯინჯარი, მრავალძარღვა, ვარსკვლავა, სამყურა, პარკოსნები, ჭარხლისებრნი, გვიმრა კილამურა.

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები და ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. აღინიშნება, აგრეთვე, სოკოს სპორები, წყალმცენარეები, ცხოველის ბეწვები, მწერების ჯაგრები, ჯინჯრის, სელის და შალის ბოჭკოები.

ჭურჭელი №3. ეს ცალყურა ხელადაა და იგი ნაპოვნია მეთა და მეთერთმეტე უბნის მიჯნაზე. პალინოლოგიური სპექტრები არც თუ ისე მდიდარია. ხემცენარეების შორის აქაც დომინირებენ წიწვოვნების მტვრის მარცვლები და, განსაკუთრებით, ფიჭვი. თანაბარი რაოდენობით აღინიშნება სოჭის და ნაძვის მტვერი. ბალახოვნებში ბევრია მარცვლოვნები, როგორც ველური, ასევე კულტურული. არის ხორბლის, ქერის და შვრიის მტვერი. ჭარბობს ხორბალი და მისი ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველები. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ბევრია ხის მერქნის უჯრედები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. ცოტაა სოკო გლომუსის სპორები და ზოოლოგიური მიკრონაშთები. არის სელის ტექსტილის ბოჭკოები.

სამყურნო ორმოში აღმოჩენილი მცირე ზომის ჭურჭელი. ამ ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებენ კულტურული მარცვლოვნები. ბევრია ხორბლის მტვრის რაოდენობა. არის, აგრეთვე, შვრიის, ქერის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესების სარეველები. აღინიშნება კილამურას, მარგალიტას და სხვა განუსაზღვრელი გვიმრების სპორები. ხემცენარეთა ჯგუფში ჭარბობს წიწვოვანთა მტვერი. აქაც პირველი დომინანტი ფიჭვია, მეორე კი სოჭი. ნაძვის, ღვიის, ცაცხვის მტვრის მარცვლები ცოტაა. თხილის მტვერი ჩამოთვლილი მცენარეთა მტვრის მარცვლებზე მეტია.

არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში ბევრია მარცვლოვანთა ფიტოლიტები. არის მათი ღეროების უჯრედები, აღინიშნება მცენარეთა ეპიდერმისი. კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის, მათ შორის ფიჭვის უჯრედები. სოკოს სპორები და ზოოლოგიური ნაშთები ცოტაა. შედარებით მეტია სელის ტექსტილის ბოჭკოები.

ჭურჭელი №4. მეთა და მეთერთმეტე ობიექტების შორის მდებარე ორმო №4-ში ნაპოვნია თიხის ჭურჭელი №4. ამ ჭურჭლის შიგთავსისი პალინოლოგიურ სპექტრები კულტურული მარცვლოვნების სიუხვით გამოირჩევა. ბევრია ხორბალი, შვრია და ქერი. გვხვდება, აგრეთვე, ფეტვის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოიყოფა ხორბლის რამოდენიმე სახეობა. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ყანების სარეველებიც. გარდა ამისა, ბევრია გვიმრების - გველის ენის, კილამურას, მარგალიტას სპორები. ხემცენარეთა შორის დომინირებს ფიჭვი და სოჭი. ცოტაა ნაძვის, მუხის, ცაცხვის მტვრის მარცვლები. თხილის მტვრის რაოდენობა ოდნავ მეტია.

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიც კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები და ხის მერქნის უჯრედები. აღინიშნება წყალმცენარეები. აქ ნაპოვნია სოკო მიკორუსის სპორები, რომლებიც ნესტიან პირობებში ხორბლულს უზრუნველყოფს და აზიანებს მას.

სელის ტექსტილის ბოჭკოები არც თუ ისე ბევრია. მწერების და ტკიპების მიკრონაშთები კი უკეთესადაა წარმოდგენილი. ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთიც.

ჭურჭელი №2. იგი აღმოჩენილია მეთერთმეტე ობიექტის სამყურნო ორმოში და მისი შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრები თითქმის ისეთივეა, როგორც

ზემოგანხილული სხვა ჭურჭლებისა. ბევრია ხორბლის მტვერი და აქაც შეიმჩნევა ხორბლის რამოდენიმე ჯიშის არსებობა. ნაპოვნია, აგრეთვე, შერის მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველების მტვერი. განსაკუთრებით დიდია მატიტელას მტვრის მარცვლების რაოდენობა. აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. ესენია გველის ენა, კილამურა, მარგალიტა. ბევრია განუსაზღვრელი გვიმრების სპორები. ხემცენარეთა ჯგუფი წარმოდგენილია წიწვოვნების და თხილის მტვრის მარცვლებით. დომინირებს ფიჭვი და სოჭი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებში ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი ზოოლოგიური მიკრონაშთები, განსაკუთრებით კი მწერების ჯაგრები და კლანჭები. ნაპოვნია აგრეთვე ჩრჩილის პეპლის ფრთის ეპიდერმისი. სოკოს სპორები (გლომუსი) და ტექსტილის ბოჭკო ცოტაა.

მონაცემთა სამივე ჯგუფმა, რომელშიც შედის ჭობარეთის ნამოსახლარის სათავსოების, ჭურჭლის და სამარხების პალინოლოგიური მასალა, აჩვენა, რომ მათი სპექტრების ტიპი ერთნაირია, იმიტომ, რომ ისინი ასახავენ ერთი დროის პალეოეკოლოგიურ პირობებს.

ყველა შესწავლილი ნიმუშის ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებენ წიწვოვნები, განსაკუთრებით კი ფიჭვი და სოჭი. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული რეგიონის მაღალი მთები, სადაც დღეს სუბალპური და ალპური მდელოებია¹, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში წიწვოვნების ტყით იყო დაფარული. ამ ტყეში შენარევის სახით წიფელიც იზრდებოდა. აღნიშნულ მაღალმთის ტყეში გვიმრა მარგალიტა იყო გავრცელებული.

უფრო დაბალ ადგილებზე, დრმა კანიონებში და ხეობებში, სადაც ქარი და სიცივე ვერ აღწევდა, გავრცელებული იყო ფართოფოთლოვნები და სხვა სითბომოყვარული ჯიშები. ესენია რცხილა, ჯაგრცხილა, ცაცხვი, მუხა, მურყანი, უხრავი, კაკალი და ძელქვაც კი. ქვეტყეში თხილიც უნდა ყოფილიყო. ჩამოთვლილი მცენარეების მტვერი ნაპოვნია ყველა ტიპის ორგანულ ნაშთებში (სათავსო, სამარხები, ჭურჭელი, ხელსაფქვავი) და ჭობარეთის მიდამოებში ზუსტად ასეთი ფართოფოთლოვანდა ტყე იზრდებოდა.

სითბომოყვარული ტყის ჯიშების არსებობას ადასტურებს ისეთი გვიმრები, როგორცაა გველის ენა და კილამურა (სურ.11). როგორც უკვე აღინიშნებოდა, ეს ორი გვიმრა დღეს იზრდება მხოლოდ მთის წინა და შუა კალთების ფართოფოთლოვან ტყეებში². ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში სოჭის ტყის მნიშვნელოვანი ფართობები ნოტიო კლიმატის არსებობის დასტურია. დღეს სამცხე-ჯავახეთში სოჭი ფართოდ არაა გავრცელებული, რადგან ჰავა მშრალი და კონტინენტურია. აქ ნაძვი და ფიჭვი უფრო ხარობს.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული დროის მონაკვეთში მესხეთ-ჯავახეთშიც, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით თბილი და ნოტიო კლიმატი არსებობდა.

¹ მარუაშვილი ლ. 1970 წ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწილი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

² კეცხოველი ნ. (რედ.) 1971. საქართველოს ფლორა, ტომი 1, მეორე გამოცემა, მეცნიერება, თბილისი, 158 გვ.

სწორედ ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო მიწათმოქმედება აქ საკმაოდ მძლავრი იყო. ამაზე მეტყველებს არა მარტო სამეურნეო ორმოების და ჭურჭლის მასალა. თითქმის ყველა ჭურჭელში და სამეურნეო ორმოებში ხორბალი იყო მოთავსებული. ის ფაქტი, რომ მიცვალებულსაც კი ჭურჭლით ხორბალი ჩაატანეს, იმდროინდელი მოსახლეობის ტრადიციაზე მიუთითებს, რომელიც მათი სამეურნეო მოღვაწეობის ხასიათს ასახავდა.

გამოკვლეულმა მასალამ გვიჩვენა რომ, განხილულ ტერიტორიაზე ითესებოდა ხორბლის რამოდენიმე ჯიში (სურ.10). მოყავდათ შვრია, ფეტვი, ქერი და სხვა კულტურული მარცვლოვნები. არ არის გამორიცხული, რომ მებაღეობასაც ჰქონოდა ადგილი. კაკალი და თხილი, შესაძლოა, ტყის გარდა საკუთარ ბაღებშიც გროვდებოდა. ხელსაფქვავის ორგანულ ნაშთებში ნაპოვნი კულტურული ვაზის მტვერი ჩვენ შეგვიძლია რეგიონში მევენახეობის არსებობის არგუმენტად გამოვიყენოთ.

არაპალინოლოგიური ნაშთების შესწავლის საფუძველზე გამოირკვა, რომ მხოლოდ სამარხი №1 -ის (ობიექტი №8) მიცვალებული დაიკრძალა ზაფხულში, რადგან აქ ძალზედ ბევრია ტკიპების მიკრონაშთები, რომელთა აქტიური ფაზა სწორედ ზაფხულშია. ტკიპები სამარხში უნდა ჩაყოლოდა იმ საგნებს, რომლებიც მიცვალებულს ჩაატანეს. გარდა ამისა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტკიპები და მათი ნაშთები ჩვენს მიერ ნაპოვნია ადამიანის სამოსსა და თმაში.


№1 სამარხის მიცვალებულის ზაფხულში დაკრძალვას ადასტურებს აგრეთვე პალინოლოგიურ სპექტრში იმ მცენარეთა მტვრის არსებობა, რომლებიც ზაფხულში ყვავის. სხვა სამარხების დაკრძალვის ცერემონია წლის ცივ სეზონში უნდა მომხდარიყო, რადგან მათ სპექტრებში არ არის აღმოჩენილი იმ მცენარეთა მტვერი, რომლებიც ზაფხულში ყვავილობს და, რაც მთავარია, ცოტაა ტკიპების ნაშთები.

№4 სამარხის იატაკზე აღმოჩენილი უამრავი ფიჭვის ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები მოწმობს, რომ მიცვალებული სარეცელზე იყო მოთავსებული.

სამარხებში ნაპოვნი სელის ტექსტილის ბოჭკოების საკმაოდ დიდი რაოდენობა მეტყველებს, რომ მიცვალებულს ჩაცმულს მარხავდნენ. სელის ბოჭკოების უმეტესობა უფერულია, მაგრამ აღინიშნება ფერადი ბოჭკოებიც. ჭარბობს ნაცრისფერი ბოჭკოები. ნაპოვნია ლურჯი და ვარდისფერი ბოჭკოებიც. მხოლოდ სამარხ №8-ში არის აღმოჩენილი შალის ბოჭკო.

რაც შეეხება მასალაში ნაპოვნი სოკოს სპორებს, ინფორმაციული გამოდგა სოკო გლომუსის რაოდენობის მაჩვენებელი. სამეურნეო ორმოებში მისი სპორების მატება აჩვენებს იმ მომენტს, როცა ეს ორმო სანაგვე ორმოდ გადაიქცა და მასში მხოლოდ ნაგავი და განათხარი მიწა იყრებოდა.

სოკო მუკორისის დიდი რაოდენობა აღინიშნება იმ ჭურჭელში ან სამეურნეო ორმოში, სადაც ხორბლეულობა ინახება. ეს სოკო ობის სახით უნდა ხორბალს და მის ხარისხს აუარესებს. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში და, ამრიგად, სოკო მუკორისის სპორების დიდი რაოდენობა ნოტიო კლიმატის არსებობის კიდევ ერთი კარგი არგუმენტია. მიწათმოქმედების არსებობის კარგი მარკერია ნიმუშებში მარცვლოვნების ფიტოლიტების, მათი ღეროებისა და ფოთლების ეპიდერმისის დიდი რაოდენობა.



სურ. №11. ჭობარეთის ნამოსახლარი, პალინოლოგიურ სპექტრებში აღმოჩენილი სითბოს მოყვარული მცენარეთა მტვერი და სპორები: 1-2-გვიმრა კილამურა; 3-გვიმრა გველის ენა; 4-გვიმრანაირი; 5-მურყანი; 6-7-ცაცხვი; 8-ძელქვა (X300-ჯერ)

დასკვნები. განხილული ძეგლების მასალის ანალიზი და სინთეზი გვიჩვენებს, რომ ქართლში და მის მოსაზღვრე რეგიონებში ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობისთვის და კერძოდ მიწათმოქმედებისთვის მტკვარ-არაქსული პერიოდი ყველაზე ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო, როდესაც კლიმატი მაქსიმალურად თბილი და ნოტიო იყო. მთის ლანდშაფტებში სულ სხვა ტიპის ტყე იზრდებოდა. თეთრიწყაროს მიდამოებში წაბლი და ძელქვა იყო გავრცელებული. აქ უკვე ადრეეოცენურ ეპოქაშიც, როგორც ჩვენმა წინა გამოკვლევამ აჩვენა, ძელქვას ადამიანი აკლდამების ასაშენებლად იყენებდა¹.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურად ზუსტად მე-IV ათასწლეულის დასაწყისში (რადიოკარბონული თარიღის მიხედვით 6000 BP, წლის წინ) ევრაზიის კონტინენტის უმეტეს ნაწილში დასტურდება კლიმატური ოპტიმუმის მაქსიმალური პიკი^{2,3,4}. ეს ძლიერი დათბობა 6500 წლის წინ (ანუ ენეოლითში) დაიწყო და გრძელდებოდა თითქმის 1200 წელს. პირველ ეტაპზე სითბო და ტენიანობა პარალელურად იზრდებოდა, მაგრამ დათბობის შემდგომ ეტაპზე ტენიანობის ზრდა აღარ ხდებოდა.

გლობალურ დათბობის დროს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ ადგილებზე ცხელი და შედარებით უფრო მშრალი კლიმატი იყო⁵, მაგრამ, მთიან რეგიონებში კლიმატის არიდიზაცია ნაკლებადაა გამოხატული და სწორედ ეს რეგიონები უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებისთვის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისთვის.

სამეურნეო და სანაგვე ორმოებში, ჭურჭელსა და მიცვალებულის მუცლის არეში ცაცხვის და სხვა თაფლოვანი მცენარეთა მტერის არსებობა თისელის სერზე, ჭობარეთსა და თეთრიწყაროს მიდამოებში მეფუტკრეობის განვითარების მაჩვენებელია, რადგან სამხრეთ საქართველოს ადრეებრინჯაოს დროს (კოლიანის ყორღანი) ამ დარგმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია⁶.

რაც შეეხება ადამიანის მცენარეული წარმოშობის საკვებს, იგი ხორბლეულის, თხილის, კაკლის, ხილის გარდა მხალეულობასაც იყენებდა. მტკვარ-არაქსის

¹ ყვავაძე ე., შატბერაშვილი ძ., ამირანაშვილი ჯ., რუხაძე ლ., რუსიშვილი ნ., მელაძე ნ. 2004. ტყემლარას (თეთრიწყაროს რაიონი) გორასამარხების ფენების პალინოლოგიური და პალეოკარპოლოგიური შესწავლის პირველი შედეგები. ჟურნალი "ძიებანი", №12, დამატებანი, გვ.17-29; Kvavadze E., Shatberashvili Z., Amiranashvili J., Arabuli G. 2004. Palynological investigations of two Burial Mounds of the Middle Bronze Age of Tkemlara (southern Georgia). Acta Palaeobotanica, 44(2), Krakow, p. 267-283.

² Tarasov P.E., Webb III T., Andreev A., Afanasieva N. et al., Kvavadze E.V et al. 1998. Present-day and mid-Holocene bioms reconstructed from pollen and plant macrofossil data from the formed Soviet Union and Mongolia. Journal of Biogeography, 25, p. 1029-1053.; Kvavadze E., Connor S. 2005. *Zelkova carpinifolia* (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia - an indicators of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, p.69-89.; Connor S., Kvavadze E. 2008. Modeling late Quaternary changes in plant distribution, vegetation and climate using pollen data from Georgia, Caucasus. Jurnal of Biogeography, 36:529-545.

³ Kvavadze E., Connor S. 2005. *Zelkova carpinifolia* (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia - an indicators of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, p.69-89.

⁴ Connor S., Kvavadze E. 2008. Modeling late Quaternary changes in plant distribution, vegetation and climate using pollen data from Georgia, Caucasus. Jurnal of Biogeography, 36:529-545.

⁵ Квavadze Э. В. 1999. Голоценовые колебания уровня озера Лиси и изменения положения нижней границы леса. В сб. Проблемы палеобиологии, том.1, Мецниереба, стр.75-87.

⁶ Квavadze Э.В., Гамбашидзе И.О., Миндиашвили Г.М., Гогочური Г.К. 2004. Следы существования древнего пчеловодства (III-е тысячелетие до н.э.) на территории Грузии по палинологическим данным. В кн. Труды Института зоологии, том XXII, Изд. Универсал, Тбилиси, стр. 438-449

კულტურის დროის ჭურჭლის ძირში, როგორც უკვე აღინიშნა, არაერთხელ ნაპოვნია ჯინჭრის და ბაღვის მტვრის მარცვლები. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იმდროინდელი ადამიანი ამ მცენარეებს საკვებად იყენებდა. ალბათ, მან ჯინჭრის სამკურნალო თვისებებიც უკვე იცოდა.

მეზობელ რეგიონებში, მთების უფრო მაღალ სიმაღლეებზე (ჭობარეთი, თისელის სერი) ჭურჭლის და ხელსაფქვავის ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილია ხორბლის, ქერის, შვრიას და ფეტვის მტვრის მარცვლები. აქ ნაპოვნი კულტურული ვაზის, კაკლის და თხილის მტვერის მარცვლები კი მეზალეობის და მევენახეობის განვითარების დასტურია. ბუნებრივ ლანდშაფტებში იზრდებოდა ცაცხვის, მუხის, რცხილის, ძელქვის ტყეები, რაც შესაძლებელია მხოლოდ თბილ კლიმატურ პირობებში. ამ დროს მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალი უნდა ყოფილიყო¹.

თრიალეთის კულტურის ეპოქა. ქართლის ტერიტორიაზე თრიალეთის კულტურის ეპოქის ძეგლები და შრეები პალეონოლოგიური მეთოდით ჩვენს მიერ შესწავლილია ტყემლარას 3 გორასამარხში (თეთრიწყაროს რაიონი), ხაიშის სამარხში (მარნეულის რაიონი) და სამ გეოლოგიურ ჭრილში (წავკისი, ლისის ტბა და ბაზალეთი). გარდა ამისა, ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში დეტალურადაა გამოკვლეული წალკის პლატოს ძვ. წ. მეორე ათასწლეულის არქეოლოგიური უამრავი ძეგლი და აგრეთვე გეოლოგიური ჭრილი². უდაბნო გარეჯის ტერიტორიაზე შესწავლილი გვიან ბრინჯაოს პერიოდის რამოდენიმე ნამოსახლარი³.

გორასამარხი №2 მდებარეობს ტყემლარას ველზე (თეთრიწყაროს რაიონი) და იგი არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება შუა ბრინჯაოს პერიოდით. სამარხის სხვადასხვა ფენებიდან, იატაკიდან და ჭურჭლიდან აღებული და პალეონოლოგიურად შესწავლილია 17 ნიმუში. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ძეგლების დაშლილი ადგილები და იატაკის ნიმუშები, სადაც აღმოჩენილია უამრავი მცენარის მტვრის მარცვლები. იატაკი დაფარული იყო შავი ფერის განამარხებულ ნიადაგით, რომელიც კარგად განსხვავდება ძირითად ყვითელი ფერის გეოლოგიურ

¹ ბითაძე ლ., შენგელია რ., ყვავაძე ე., ლალიაშვილი შ. 2011. ბიოარქეოლოგიური კვლევების განვითარება საქართველოში (აქტუალობა და პერსპექტივები). ანალები №7, გვ. 475-494.; Kvavadze E., Kakhiani K., Bitadze L. 2011. Палеоэкологические условия Самцхе-Джавახети первой половины 3-его тысячелетия до н.э. по палинологическим данным археологического. Труды Межд. Научн. Конф. “Археология, этнология, фольклористика Кавказа”, Тбилиси. Стр.141-143.

² Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a. An experimental approach to the palynology from Middle Bronze Age burials in Saphar-Kharaba, Southern Georgia. In. Abstracts of 7-th EPPC Conference, Prague, pp. 77-78.; Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b. The remains of Gossypium, Linum and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. Palyno-Bulletin, vol.2, No.1-4: 34-37 (Innsbruck, Austria); Kvavadze E., Narimanishvili G. 2010. The palaeolandscapes of the Tsalka Plateau in the Late Pleistocene and Holocene. In.: Gela Gamkrelidze (ed) Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasus Pipelines, Georgian National Museum Press, Tbilisi, pp. 573-606.; Kvavadze E.V., Konnor S.E., Narimanishvili G.K. 2007. Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалка (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. В сб. Г.Мчедლიдзе (редактор), Проблемы палеобиологии, том II, Тбилиси, стр. 1527-23 (на русском).

³ Kvavadze E.V., Todria Z.T. 1992. Экологические условия человека эпохи поздней бронзы и раннего железа Удабно Гареджи по палинологическим данным (Восточная Грузия). Институт палеобиологии Л.Ш.Давиташвили, Тбилиси, препринт, 30 стр.; Kvavadze E.1999. The result of palynological studies of sediments from the cultivated layers of the Late Bronze and Early Iron Ages in the steppe regions of Georgia. Acta Palaeobotanica, Supplement 2, Proceedings of 5-th EPPC: 555-559.

ქანებისგან. იატაკიდან აღებულ №9 ნიმუშში დათვლილია 352 მტვრის მარცვალი. დომინირებს ტყის შემდგომი მეორადი მდელოების ელემენტები და განსაკუთრებით კი გვიმრა გველის ენას (*Opioglossum vulgatum*) სპორები. ხემცენარეთაგან ბევრია ფიჭვის მტვერი. აღინიშნება სოჭის და ნაძვის მტვრის მარცვლები. ცოტაა რცხილას და მუხის მტვერი. აღინიშნება თხილის მტვრის მარცვლები. დიდი სიუხვით გამოირჩევა ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის მაჩვენებლებიც. ეს არის ხორბლის მტვერი და მის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველები. ბევრია აგრეთვე საძოვრების სარეველები. ჩვეულებრივ ეს იმ მცენარეთა მტვრის მარცვლებია, რომლებსაც საქონელი ვერ ჭამს, მათი სიმწარის, შხამიანობის და სხვა მიზეზის გამო.

იატაკის სინჯის მტვრის სპექტრებში უფრო კარგადაა წარმოდგენილი იმ სარეველათა მტვერი, რომლებიც იზრდება ადამიანის საცხოვრებელთან, ეზოებში, გზის პირას და სანაგვე ადგილებზე. ესენია ავშანი, მრავალძარღვა, ყაყაჩო, ჭინჭარი, ვარდკაჭაჭა და სხვა. ამ რუდერალების ჯგუფს პროცენტულად დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც მასზე მეტყველებს, რომ დაკრძალვის დროს განხილული ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული.

საინტერესო შედეგები მიღებულია ყორღანში აღმოჩენილი ურმის ბორბლის ხის ნაშთზე მიწებებულ ნიადაგის პალინოლოგიური კვლევისას. სპექტრი ასევე ასახავს ომდროინდელ მცენარეულობას და განსაკუთრებით კი სარეველებს, რომლებიც იზრდება გზის პირას. ამის მაგალითია მრავალძარღვა (*Plantago lanceolata*). სპექტრში მისი მტვერი ბევრია. მრავალძარღვას მტვრიანები და აგრეთვე მათი თესლიც გამოყოფენ წებოვან ნივთიერებას და ადვილად ეკვრიან ბორბლებს და ვრცელდებიან დიდ მანძილებზე.

ხის ძელის ნაშალში, რომელიც ყორღნის დასავლეთ კედელში კარგად მოჩანს და სადაც აღებულია სინჯები №5, 6, ნაპოვნია ბევრი სითბომოყვარული მცენარის მტვერი. ესენია, მაგალითად, ცაცხვი, წაბლი, ლაფანი, კულტურული ვაზი და სხვა. ბევრია ტყის გვიმრების სპორები.

ს ა მ ა რ ხ ი №1. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, სამარხი თარიღდება შუა ბრინჯაოს მიწურულ პერიოდით. პალინოლოგიური კვლევისათვის განხილულ სამარხის იატაკიდან აღებულია განამარხებული ჰუმუსირებული ნიადაგის სინჯო და ჭურჭლიდან ამოღებული 5 მიწის ნიმუში. ამათგან ყველაზე მდიდარი სპექტრი განამარხებულ ნიადაგში აღმოჩნდა, სადაც 610 მტვრის მარცვალი დაითვალეთ. სარეველების გარდა, სპექტრში მატულობს ველური ფლორის ელემენტები, როგორც ბალახოვნებში, ისევე ხემცენარეთა ჯგუფში. განსაკუთრებით ბევრია ფიჭვის მტვერი. დათვლილია მისი 100 მტვრის მარცვალი. წიწვოვნების ელემენტებში აისახა აგრეთვე ნაძვი, სოჭი და ღვია. ადრე ბრინჯაოსთან შედარებით სოჭს წამყვანი როლი აღარაა აქვს. ფოთლოვნების მტვერი წარმოდგენილია რცხილის, მუხის, არყის, მურყნის, თხილის და ეთედრის მტვრის მარცვლებით. უნდა აღინიშნოს, რომ არყი, რომელიც სიცივის მაჩვენებელია, ტყემლარას ადრე ბრინჯაოს პერიოდის მასალაში (ყორღანი №16) არ აღმოჩენილა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დრო უფრო თბილი ჰავით ხასიათდებოდა.

განხილულ სამარხის სპექტრის ბალახოვნების ჯგუფში შემდეგნაირი სურათია. პირველი დომინანტი ვარდკაჭაჭასნაირებია, მაგრამ მეორე დომინანტი კი ველური მარცვლოვნებია. აქ დათვლილია მათი 107 მტვრის მარცვალი. კულტურული სათესი

მარცლოვნები კი ცოტაა. აღინიშნა მათი მხოლოდ 4 მტვრის მარცვალი. შემცირებულია ნათესების სარეველების როლი. ამასთანავე მატულობს საძოვრების მანვენებელი ელემენტები და განსაკუთრებით ბურბუშელას და ფარსმანდუკის მტვრის რაოდენობა. ბევრია ადამიანის საცხოვრებლის და სანაგვეების სარეველა ინდიკატორები. ამათგან სიუხვით გამოირჩევა ლანცეტა მრავალძარღვა. დათვლილია მისი 23 მტვრის მარცვალი. კარგადაა წარმოდგენილი ჯინჭრის, ღორის ბირკის და ღოღოს მტვერი.

ველური ბალახოვნებიდან მარცლოვნების გარდა გვხვდება იის, ქოლგოსნების, ასტრების და სხვათა მტვერი. ტენის მოყვარულ და წყლის მცენარეთაგან აღინიშნება ლაქაში (Typha) და შხაპრი (Sparganium). სპოროვანთა შორის ნაკლებია გვიმრა გველის ენის როლი. აქ მატულობს სხვა გვიმრანაირების სპორების რაოდენობა. ჩნდება ეწრის გვიმრის და კრიპროგრამის სპორები. ამ შემთხვევაში გვიმრა კრიპტოგრამა სიცივის მანვენებელია, რადგან იგი დღეს მაღალმთაში იზრდება. მატულობს ხავსების სპორების რაოდენობაც.

ზოგადად, ჭურჭლებიდან ამოღებული მიწის პალინოლოგიური სპექტრები მსგავსია განამარხებული ნიადაგის სპექტრებისა. თითქმის ანალოგიურია მეორე და მესამე ჭურჭლიდან ამოღებული სინჯების სპექტრები. აქაც ბევრია ფიჭვის და ველური მარცლოვნების მტვერი, რომლებიც სუბალპების ელემენტებია. კულტურული მარცლოვნების რაოდენობა კი ცოტაა. იგივე კანონზომიერებანი მქადაგდება სარეველა მცენარეთა და სპოროვანთა განაწილებაში.

ს ა მ ა რ ხ ი №2. ამ სამარხის იატაკის დონიდან აღებულია განამარხებული ნიადაგის ნიმუში სადაც დათვლილია 246 მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა ჯგუფში ბევრია ფიჭვის მტვერი (25 მარცვალი). ცოტაა ნაძვის, რცხილის, მუხის, თხილის და ეთედრის მტვრის მარცვლები.

ბალახოვანთა შორის დომინირებს ვარდკაჭაჭა. ისევე როგორც პირველ სამარხში, აქ ბევრია ველური მარცლოვნების მტვერი (18 მარცვალი), კულტურულის კი ნაკლები (3 მარცვალი). სარეველებიდან კარგადაა წარმოდგენილი ძოვის მანვენებლები და ეზოს სარეველები.

სპოროვნებში გველის ენის მონაწილეობა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სხვა გვიმრანაირების. აღინიშნება ხავსების სპორებიც.

უნდა ითქვას ისიც რომ პირველი და მეორე სამარხების განამარხებულ ნიადაგის პალინოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

ხ ა ი შ ი ს №1 სამარხი მდებარეობს მარნეულის მახლობლად, 539 მ სიმაღლეზე. სამარხი №1-ის იატაკზე აღმოჩნდა განამარხებული ნიადაგის თხელი ფენა. აქედან აღებულ ნიმუშში გამოვლინდა საკმაოდ მდიდარი პალინოლოგიური კომპლექსი. სულ დათვლილია 567 მტვრის მარცვალი, რომლის 14% რცხილის მტვერს შეადგენს. რაც შეეხება ტყის ელემენტების საერთო მანვენებელს (გვიმრების და ტყის ბალახების ჩათვლით) იგი 28%-ს აღწევს. რცხილის გარდა ფოთლოვან მცენარეთაგან აღინიშნება წიფლის, მურყნის, მუხის, თელას, წაბლის, კაკლის მტვრის მარცვლები. ბევრია მუხის მტვერი. წიწვოვნების ჯგუფში დომინირებს ფიჭვი. ნაძვის და ღვიის მტვერი ნაკლებია.

ბალახოვნების შორის ყველაზე მეტია ვარდკაჭაჭასნაირების და ნაცარქათამასნაირების მტვრის რაოდენობა. სხვა სარეველთაგან ბევრია ნათესების ინდიკატორები. ესენია ნარშავი, ღიღილო, გოქში, ნაცარქათამა, მატიტელა, ჩვეულებრივი მატიტელა,

წიწიბურა. სათესი მარცვლოვნების მონაწილეობა არც თუ იხე დიდია. გვარამდე მხოლოდ ხორბალი განისაზღვრა.

განხილულ პალინოლოგიურ სპექტრში საძოვრების არსებობის მაჩვენებლები კარგადაა წარმოდგენილი. როგორც უკვე აღინიშნა ჭარბობს ნაცარქათამასნაირები (Chenopodiaceae). ფიქსირდება აგრეთვე მიხაკისნაირები, ნარშავი, ბაია, ნემსიწვერა და სხვა. ადამიანის საცხოვრებლის და სანაგვეების ინდიკატორები სუსტადაა ასახული. გვხვდება მხოლოდ ავშანი და ბალბა.

ველური ბალახოვნების ჯგუფში შედის ფურისულა, გვიმრები გველის ენა, კილამურა, ვენერას თმა და სხვა გვიმრანაირები. ყველა ჩამოთვლილი მცენარე ტყეში იზრდება და ნესტის მოყვარულნი არიან.

მაშასადამე, პალინოლოგიური სპექტრის ტიპის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაკრძალვის დროს მარნეულის მიდამოებში გავრცელებული იყო ფართოფოთლოვანთა ჯიშების ტყე, სადაც დომინირებდა რცხილა. მუხას, თელას, წიფელს, წაბლს და მურყანს დიდი როლი არ ქონდა, მაგრამ მათი მონაწილეობა გვიმრა გველის ენის და კილამურასთან ერთად მიუთითებს დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო კლიმატის არსებობაზე.

მიღებული შედეგების კორელაცია რადიოკარბონული მეთოდით დათარიღებულ გეოლოგიური ჭრილების პალინოლოგიურ სპექტრებთან გვიჩვენებს, რომ განხილულ რეგიონის დღევანდელ სტეპების ადგილას რცხილის ტყეების მასშტაბური განვითარება იყო ძვ.წ. მესამე ათასწლეულის ბოლოდან ძვ.წ. მეორე ათასწლეულის პირველ ნახევრამდე¹. მაგრამ რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, იგი მართალია დღევანდელთან შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ არდრე ბრინჯაოს პერიოდს თუ შევადარებთ, მაშინ აღმოჩნდება რომ შუა ბრინჯაოში ნამდვილად აციების ტალღას ჰქონდა ადგილი. მიწათმოქმედებას დიდი გაქანება აღარ ჰქონდა და მას უკვე მეცხოველეობა უსწრებდა.

ქვემო ქართლში მოსახლეობის სიმჭიდროვეც ამ დროს ისეთი მაღალი აღარ იყო, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების პერიოდში. რაც შეეხება პალეოდაავადებებს თვალში საცემია ის ფაქტი, რომ შუა ბრინჯაოს ფენებში და სამარხებში პარაზიტული ჭიების კვერცხები თითქმის არ არის აღმოჩენილი. სამკურნალო მცენარეთაგან ხმარებაში შემოდის არყის (Betula) ყვავილის კვირტები, რომლებიც უამრავ ანთებით პროცესებს კურნავს.

გვიან ბრინჯაოს პერიოდი, რომელიც მოიცავს ძვ.წ. 1650-1200 წლებს², ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქებთან შედარებით ხასიათდებოდა სულ სხვა კლიმატური პირობებით. როგორც უკვე აღინიშნებოდა, კლიმატური დათბობის მაქსიმალურ ფაზას ადგილი ჰქონდა ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში. ეს ის დროა, როცა ადამიანი ინტენსიურად ითვისებს მაღალმთას, რადგან თბილმა ჰავამ ხელი შეუწყო იქ მიწათმოქმედების და მეზღვების განვითარებასაც კი. ამის თვალსაჩინო მაგალითია კოდიანას მთის ყორღნის მასალის (ბორჯომის რაიონი) პალინოლოგიური შესწავლის შედეგები. აქ ძვ.წ. 27-25 საუკუნეებში ზღვის დორიდან თითქმის 2300 მ ითვისებოდა ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია და სხვა მარცვლოვნები.

¹ Connor S.E., Kvavadze E.V. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. Proceedings Georgian Academ. Sci. Ser., B. vol.3, No 2:64-76.

² Sagona A., Zimansky P. 2009. Ancient Turkey Routledge. London and New York.

კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა. თრიალეთის ქედზე, იქ სადაც დღეს სუბალპური და ალპური მდელოებია გავრცელებული, იზრდებოდა ტყე, რომელშიც ცაცხვს, რცხილას, წიფელს და სხვა ფართოფოთლოვან ჯიშებს უპირატესობა ჰქონდათ¹. ანალოგიური შედეგებია მიღებული ტაბაწყურის ნამოსახლარის და თოფიოლის სამარხების შესწავლისას. ტაბაწყურის ნამოსახლარის ფენებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტკერის მარცვლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განხილულ რეგიონში ადრე ბრინჯაოს პერიოდში მევენახეობა 2000 მეტრის სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული. კულტურული ვაზის მტკერი, აგრეთვე, ნაპოვია ფარანის ყორღანის ფენებში აღმოჩენილი ხელსაფქვავეშიც² ეს ყორღანი მდებარეობს 2100 მ სიმაღლეზე.

გვიან ბრინჯაოს პერიოდის ფენები და მათი პალინოლოგიური სპექტრები ქართლის ტერიტორიაზე რადიონახშირბადოვანი მეთოდით დათარიღებულია წავკისის და ბახალეთის ტბებში. წავკისის ჭრილი მდებარეობს ზღვის დონიდან 1110 მ., ბახალეთის ტბა კი განლაგებულია 874 მ სიმაღლეზე. პალინოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გვიან ბრინჯაოს დასაწყის ფაზაში ქართლში კლიმატური პირობები გაცილებით უფრო კარგი იყო, ვიდრე მის მიწურულს. ძვ.წ. 16-15 სს წავკისის ირგვლივ ფართოდ იყო გავრცელებული მუხის ტყე, თავად წავკისის ტბის დონემ დაიწია. ცხელმა ზაფხულმა დრო და დრო იგი საერთოდ დააშრო³. მუხის გარდა ტყეში რცხილა, წაბლი და ძელქვაც იზრდებოდა, რაც იმის მაჩვენებელია რომ აქ ნალექების რაოდენობაც დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ოპტიმუმი, რომელსაც დათბობის გარდა ნალექების მატებაც ახასიათებდა, არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრე ბრინჯაოში, როცა წაბლის და ძელქვის ტყეს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე (დღევანდელი თეთრიწყაროს და ბორჯომის რაიონები, თბილისის მიდამოები და სხვა) უფრო ფართო გავრცელება ჰქონდა⁴. ამგვარი პირობები ხელსაყრელი იყო მიწათმოქმედების განვითარებისთვის ისეთ რეგიონში როგორცაა

¹ Квавадзе Э.В., Гамбашидзе И.О., Миндиашвили Г.М., Гогочури Г.К. 2004. Следы существования древнего пчеловодства (III тысячелетие до н.э.) на территории Грузии по палинологическим данным. В кн. И.Я.Элиава (ред), Труды Института Зоологии, том. XXII, Тбилиси, Изд. Универспл, стр. 438-449.; Kvavadze E. 2006. The use of fossilized honey for palaeoecological reconstruction: a palynological study of archaeological material from Georgia. Palaeontological Journal, vol.40, suppl.5, Proceedings of the 11-th All-Russian Palynological Conference, Editor N.P. Maslova, pp.595-604.; Kvavadze E., Kakhiani K., Pataridze N., Connor S. 2007. The results of palynological investigation of Paravani Kurgan. Proceedings of the Georgian Academy of Sciences, No.2, Vol.5, , pp.97-107.

² Квавадзе Э., Кахиани К., Битадзе Л. 2011. Палеоэкологические условия Самцхе-Джавახети первой половины 3-его тысячелетия до н.э. по палинологическим данным археологического материала. Труды Межд. Научн. Конф. “Археология, этнология, фольклористика Кавказа“, Тбилиси. Стр.141-143; Kvavadze E., Kakhiani K. 2010. Palynology of the Paravani Burial Mound (Early Bronze Age). Vegetation History and Archaeobotany, vol.19, No 5-6:469-478.

³ Connor S.E., Kvavadze E.V. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. Proceedings Georgian Academ. Sci. Ser., B. vol.3, No 2:64-76.; Connor S.E. 2011. A promethean legacy: Late Quaternary vegetation history of Southern Georgia, the Caucasus. Ancient Near Eastern Studies, Supplement 34, 384 p.

⁴ Kvavadze E., Shatberashvili Z., Amiranashvili J., Arabuli G. 2004. Palynological investigations of two Burial Mounds of the Middle Bronze Age of Tkemlara (southern Georgia). Acta Palaeobotanica, 44(2), Krakow, p. 267-283.; Kvavadze E., Connor S. 2005. *Zelkova carpinifolia (Pallas) K.Koch* in Holocene sediments of Georgia - an indicators of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, p.69-89.; Connor S.E. 2011. A promethean legacy: Late Quaternary vegetation history of Southern Georgia, the Caucasus. Ancient Near Eastern Studies, Supplement 34, 384 p.

შიდა ქართლი, სადაც ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია დღესაც, ვიდრე მასთან მოსაზღვრე მთის ქედებზე.

ის გარემოება, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდის პირველი ნახევარი უფრო თბილი და ნოტიო კლიმატით ხასიათდებოდა, ადასტურებს შემდეგი ფაქტიც. დღევანდელ უდაბნო გარეჯის ტერიტორია განხილულ პერიოდში ძალზედ მჭიდროდ იყო დასახლებული. იმდროინდელი მოსახლეობა კი ძირითადად, მიწათმოქმედებას მისდევდა. ამაზე მეტყველებს გვიან ბრინჯაოს ნამოსახლარების პალინოლოგიური კვლევა. შესწავლილია შემდეგი ნამოსახლარის ფენები: დიფსისის, შავი კლდის, ჩამპერალი ხევის, ბულაყების წყლის, დოდოსრქის, ნატახტარის, ნაომარი გორის¹. უდაბნო გარეჯის ხეებებსა და მდინარეების პირას ტყე იზრდებოდა, სადაც დომინირებდა რცხილა და ცაცხვი. გვიან ბრინჯაოს პერიოდში ტყის არსებობამ შეუწყო ხელი უბადნოში მეტალურგიის მძლავრ განვითარებას². გარდა ამისა, ადამიანი აქ მისდევდა მიწათმოქმედებას და მევენახეობას. გვიან ბრინჯაოს პერიოდში ტყიანი იყო აგრეთვე შირაქის და ალაზნის ველი და მათთან მოსაზღვრე ტერიტორია. ცისკარაანთ გორას და დიდი გორას პალინოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით იმდროინდელი კლიმატი აქაც თბილი და ტენიანი უნდა ყოფილიყო³.

საინტერესო შედეგები მიღებულია, აგრეთვე, ქვედა ქართლის მეზობელ რეგიონში, თრიალეთში, ჩატარებულ კვლევის დროს. აქ იმერას და საფარ-ხარაბას სამაროვნების უმდიდრესმა მასალამ აჩვენა, რომ გვიან ბრინჯაოს დასაწყის ეტაპებზე ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში წალკის პლატოზე თბილმა კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო მეხორბლეობის, მებაღეობის და მევენახეობის მძლავრ განვითარებას⁴. მაგრამ რაც

¹ Квавадзе Э.В., Тодриа З.Т. 1991. Предварительные результаты палинологического изучения археологических памятников Удабно Гареджи. Центр Археол.Исследований, Тбилиси, препринт, 12 стр.; Квавадзе Э.В., Тодриа З.Т. 1992. Экологические условия человека эпохи поздней бронзы и раннего железа Удабно Гареджи по палинологическим данным (Восточная Грузия). Институт палеобиологии Л.Ш.Давиташвили, Тбилиси, препринт, 30 стр.; Kvavadze E.1999. The result of palynological studies of sediments from the cultivated layers of the Late Bronze and Early Iron Ages in the steppe regions of Georgia. Acta Palaeobotanica, Supplement 2, Proceedings of 5-th EPPC: 555-559.

² ფიცხელაური კ. 1988. უდაბნო გარეჯის არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები. წიგნში: გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპოედიციის შრომები, ტომი VIII, მეცნიერება, თბილისი, გვ.14-17.; ვარაზიშვილი ვ. 1988. არქეოლოგიური დაზვერვა უდაბნო გარეჯში. წიგნში: კ.ფიცხელაური (რედ) გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპოედიციის შრომები, ტომი VIII, მეცნიერება, თბილისი, გვ.38-47.

³ Pitskhelauri K., Kvavadze E. 1997. Important archeological discovery in Kakheti (East Georgia) in connection with palaeobiological data. Bull. of the Georgian Academy of Scienc. Bd. 155, N 3, p. 474-478; Kvavadze E.1999. The result of palynological studies of sediments from the cultivated layers of the Late Bronze and Early Iron Ages in the steppe regions of Georgia. Acta Palaeobotanica, Supplement 2, Proceedings of 5-th EPPC: 555-559. ; Korfmann M., Pizchelauri K., Bertram J-K., Kastl G., Uerpmann H-P., Uerpmann M., Kvavadze E. 2002. Vorbericht zur Grabungskampagne am Didi Gora im Jahre 1999(Mit einem Anhang zu den Auswertungsarbeiten in Jahre 2000, Kachetien/ Ostgeorgien). Studia Troica, band 12:467-500.

⁴ Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a. The remains of Gossypium, Linum and sheep hairs as textile of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. Palyno-Bulletin, vol2, No.1-4, Innsbruck, pp.34-37; Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b. An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze Age burial in Saphar-Kharaba, Southern Georgia. Abstracts of 7-th EPPC (European Palaeobotany-Palynology Conference, Prague, Sept.6-11, pp.77-78.; Kvavadze E., Narimanishvili G. 2010. The palaeolandscapes of the Tsalka Plateu in the Late Pleistocene and Holocene. In.: Gela Gamkrelidze (ed) Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasus Pipelines, Georgian National Museum Press, Tbilisi, pp. 573-606.

შეეხება ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებს, რომლითაც ნამოსახლარ ჯინისის ქვედა ფენები თარიღდება, წალკის პლატოზე აღინიშნება აციების ტალღა¹.

ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში შეინიშნება კლიმატური პირობების გაუარესება, რაც კარგადაა წარმოდგენილი ბაზალეთის ტბის იმ ფენებში, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით. როგორც პალინოლოგიური დიაგრამა აჩვენებს, ბაზალეთის ტბის ირგვლივ წიფლის და რცხილას ტყე იზრდებოდა². აქ ისეთი სითბოს მაჩვენებელი ჯიშები, როგორცაა წაბლი და ძელქვა არ აღინიშნება. მატულობს წიწვოვნების როლი, მათ შორის ბევრია ღვიას (*Juniperus*) მტკვრი³.

კლიმატის აციება კარგად ჩანს წავკისის პალინოლოგიურ დიაგრამაზე და იგი აისახა პალინოზონით №4. აქ გვიან ბრინჯაოს მეორე ეტაპის სპექტრებში შეინიშნება მუხის მტვრის რაოდენობის მკვეთრი ვარდნა. კლებულობს, აგრეთვე, წაბლის და ძელქვის მონაწილეობის მნიშვნელობა. ისევე როგორც ბაზალეთის მასალაში, აქ გვიანბრინჯაოს მეორე ნახევარში ბევრია ღვიას მტვრის მარცვლების რაოდენობა, რომელიც ამ შემთხვევაში საძოვრების ფართობების გაზრდითაა გამოწვეული, ანუ მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებაზე მეტყველებს. ღვიას გარდა პალინოლოგიურ სპექტრებში ბევრია სხვა საძოვრების სარეველა მცენარეთა მტკვრი. მიწათმოქმედება აღარ იყო ისეთი მძლავრი, როგორც გვიან ბრინჯაოს პირველ ნახევარში, რაც კლიმატურმა აციებამ და წლიური ნალექების რაოდენობის კლებამაც გამოიწვია.

მაშასადამე, ქართლის ტერიტორიაზე ჩატარებულმა პალინოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდის პირველ ნახევარში კლიმატური პირობები გაცილებით უფრო კარგი იყო, ვიდრე მის მეორე ნახევარში. ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში, როგორც წლიური ტემპერატურა, აგრეთვე ნალექების რაოდენობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დღეს. კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება, როგორც დაბლობში, ასევე მიმდებარე მთის კალთებზე. მაგრამ ეს ოპტიმუმი მაინც უფრო სუსტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ადრე და შუა ბრინჯაოს ოპტიმუმები. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში ქართლში კლიმატის გაუარესება მოხდა. განხილულ რეგიონში მეცხოველეობას მეტი გაქანება მიეცა, ვიდრე მიწათმოქმედებას. შიდა ქართლის მოსახლდრე ტერიტორიაზე აციების ტალღა შეიმჩნევა, აგრეთვე, ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებში. არაპალინოლოგიური ნაშთების შესწავლამ აჩვენა, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდში მეცხოველეობა კარგად იყო განვითარებული. პირუტყვს, ძირითადად, მამაკაცები უვლიდნენ (სურ. 12). ნაკელის სოკოს სპორები აღმოჩენილია მხოლოდ მამაკაცის ტანსაცმელზე. გარდა ამისა, საფარ-ხარაბაში პარაზიტული ჭიები, რომლებიც შინაური ცხოველებიდან გადმოდიდნენ ადამიანზე, მხოლოდ მამაკაცების სამარხებშია ნაპოვნი (სურ. 12).

¹ Квavadze Э.В., Коннор С.Е., Нариманишвили Г.К. 2007. Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалка (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. В сб. Г.Мчедლიдзе (редактор), Проблемы палеобиологии, том II, Тбилиси, стр. 1533-23 .

² Kavadze E., Connor S. 2005. *Zelkova carpinifolia* (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia - an indicators of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, p.69-89.

³ Connor S.E., Kavadze E.V. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. Proceedings Georgian Academ. Sci. Ser., B. vol.3, No 2:64-76.

რაც შეეხება იმდროინდელ პალეოდაავადებებს, გვიან ბრინჯაოს პირველ ნახევარში კვლავ მატულობს ჰელმინტოზები. მაგალითად, ღორის სოლიტერის კვერცხები ნაპოვნია საფარ-ხარაბას ბევრ სამარხში¹. ნაპოვნია აგრეთვე პარაზიტული ჭიის ღვიძლის ორპირას (*Fasciola hepatica*) კვერცხები. სამკურნალო მცენარეთა შორის განსაკუთრებული როლი უკავია ცაცხვს, რომელსაც ადამიანი მაღალ ტემპერატურის დროს და გაციებისას იყენებს. ცაცხვის მტვრის მარცვლები ნაპოვნია მიცვალებულების კბილებს შორის, მუცლის არეში და ჩატანებულ კალათებში ან ჭურჭელში. ხმარობდნენ აგრეთვე დანაყულ ვაზის გამხმარ ფოთლებს, რაც ქალურ დაავადებებს კურნავს. ვაზის უამრავი მტვრის მარცვლები და მისი სხვა მიკრონაშთები სწორედ ახალგაზრდა ქალების სამარხებშია აღმოჩენილი².

თუ დაკრძალვის ტრადიციებს შევხებით, ბრინჯაოს მეორე ნახევარში სამარხების კონსტრუქციებში ხის მასალას უფრო მეტი როლი ეკავა ვიდრე მტკვარ-არაქსული კულტურის დროს. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ყვავილებით მხოლოდ ქალების საფლავს რთავდნენ (სურ. 13).

გვიან ბრინჯაოში მიცვალებულს ჩაცმულს მარხავდნენ და სუდარაში ახვევდნენ. ქალებს და გოგონებს კრძალავდნენ თავსაფრით. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს სელის და შალის ტექსტილის გარდა, ხმარებაში შემოვიდა ბამბის ქსოვილი, რომელიც ინდოეთიდან შემოტანილი უნდა ყოფილიყო³.

ანტიკური პერიოდი. საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის (ძვ.წ. VI საუკუნიდან ახალი დროის V საუკუნემდე) ძეგლები ბევრია, როგორც აღმოსავლეთ მის ნაწილში, აგრეთვე დასავლეთში. მაგალითად, კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში კარგად ცნობილი ვანის ნაქალაქევის კომპლექსი, ნოქალაქევის, ფიჭვნარის და საირხეს კომპლექსები. ყველა ჩამოთვლილი ძეგლები შესწავლილია არქეოლოგიური კუთხით. აღმოჩენილია უამრავი საინტერესო ნაგებობა და იქ არსებული ჭურჭელი, უნიკალური ოქროს სამკაული და სხვა სახის ძვირფასი ნივთები. ვანში 2007 წელს გათხრილი ბრინჯაოს ნივთების უნიკალური საგანძური გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი მნიშვნელობით მსოფლიოს მასშტაბებით⁴. ვანის, ფიჭვნარის და ნოქალაქევის ფენების პალინოლოგიური კვლევა დაწყებულია რამოდენიმე წლის წინ⁵.

¹ Kvavadze E., Narimanishvili G. 2010. The palaeolandscapes of the Tsalka Plateu in the Late Pleistocene and Holocene. In.: Gela Gamkrelidze (ed) Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasus Pipelines, Georgian National Museum Press, Tbilisi, pp. 573-606.; Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L. 2010. Textile fibres of flax (*Linum*), cotton (*Gossypium*) and animals wool as Non-Pollen-Palynomorphs in the Late Bronze Age burials of Saphar-Kharaba, Southern Georgia. *Vegetation History and Archaeobotany*, vol.19, No 5-6: 479-494.

² Kvavadze E., Narimanishvili G. 2010. The palaeolandscapes of the Tsalka Plateu in the Late Pleistocene and Holocene. In.: Gela Gamkrelidze (ed) Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasus Pipelines, Georgian National Museum Press, Tbilisi, pp. 573-606.; Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L. 2010. Textile fibres of flax (*Linum*), cotton (*Gossypium*) and animals wool as Non-Pollen-Palynomorphs in the Late Bronze Age burials of Saphar-Kharaba, Southern Georgia. *Vegetation History and Archaeobotany*, vol.19, No 5-6: 479-494.


³ Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a. An experimental approach to the palynology from Middle Bronze Age burials in Saphar-Kharaba, Southern Georgia. In. Abstracts of 7-th EPPC Conference, Prague, pp. 77-78.

⁴ ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., მათიაშვილი ნ. 2010. ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. ძიებანი, №19, გვ. 33-45

⁵ Kvavadze E., Chichinadze M., Bokeria M., Rusishvili N., Kacharava D., Akhvlediani D. 2010. Environment and agriculture of ancient Vani (Western Georgia) according to archaeobotanical and palynological data. Abstract os 15th Simpozium of IWGE, Wilhelmshaven, Germany, p.55.

განხილული დროის ძეგლები პალინოლოგიურად გამოკვლეულია სამხრეთ საქართველოშიც. ესენია აი-ილიას¹ და დარაკოვის ნამოსახლარი.

ქართლის ტერიტორიაზე პალინოლოგიური მეთოდის გამოყენებით გამოკვლეულია გრაკლიანი გორას (მცხეთის რაიონი) სამაროვანი, სადაც შესწავლილია 25 სამარხის მასალა და რომლებიც თარიღდება ადრე ანტიკური პერიოდით². კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში გამოკვლეულია რამოდენიმე სამარხი, რომლებიც მიეკუთვნება ძვ.წ II საუკუნით და III საუკუნით³. განვიხილოთ ცალკე-ცალკე ეს ორი ძეგლი.




სურ. №12. საფარ-ხარაბას სამაროვანი, არაპალინოლოგიური ნაშთების პროცენტული შემადგენლობა ქალებისა და მამაკაცების სამარხებში (ნაკელის სოკო სორდარიასდა სხვა ამ ჯგუფის სპორები გვხვდება მხოლოდ მამაკაცების სამარხში)

¹ Квavadze Э.В., Коннор С.В., Нариманишвили Г.К. 2007. Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалка (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. В сб. Г.Мчедლიдзе (редактор), *Проблемы палеобиологии, том II, Тбилиси, 2007, стр. 1535-23 (на русском)*

² ლიხელი ვ., ყვავაძე ე. 2011. გრაკლიანი გორის სამაროვნის პალინოლოგია - ჯამები. ძიებანი №20, (იბეჭდება).

³ Kvavadze E., Shatberashvili V., 2010. Results of palynological study of organic remains from Khovle Burials. Bulletin, Natural Sciences and Prehistory Section.#2, Georgian National Museum. Tbilisi, pp.54-74.



სურ. №13. საფარ-ხარაბას სამაროვანი, მცენარეთა მტვრის მარცვლების პროცენტული შემადგენლობა ქალებისა და მამაკაცების სამარხებში. ნათლად ჩანს, რომ კურდღლის ფრჩხილას (*Lotus*) ყვავილებით რთავდნენ მხოლოდ ქალის სამარხებს

გ რ ა კ ლ ი ა ნ ი გ ო რ ა. ამ სამაროვნის პალინოლოგიური მასალა არც თუ ისე მდიდარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 32 ნიმუშში, რომელიც 25 სამარხიდანაა, მაინც აღმოჩნდა საკმარისი რაოდენობის მიკრონაშთი. ეს, ძირითადად, ჭურჭლის შიგთავსია, სადაც, როგორც ჩანს, მათი კონსერვაციისთვის უკეთესი პირობები არსებობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი განსხვავებული აღმოჩნდა. ამ პრინციპის მიხედვით გამოვყავით: 1) ჯამების მასალის სპექტრები; 2) ქოთნების) 3) დოქების; 4) სხვა სახის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრები. განსაკუთრებით მდიდარი და საინტერესო მასალა აღმოჩნდა შემდეგი სამარხების ჯამების შიგთავსებიდან: სამარხი №31, 33, 148, 205, 242, 194. საშუალოდ აქ დათვლილია 200-450-მდე პალინომორფი¹ (ცხრილი №1).

¹ ლიხელი ვ., ყვავაძე ე. 2011. გრაკლიანი გორის სამაროვნის პალინოლოგია - ჯამები. ძიებანი №20, (იბეჭდება).

ცხრილი №1. გრაკლიანი გორას სამარხებიდან მოპოვებულ ჯამებში აღმოჩენილი პალინოლოგიური მასალის რაოდენობა

გრაკლიანი გორა	ჯამებიდან აღებული ორგანული მასალა					
ნიმუშის ნომერი	1	2	3	4	5	6
სამარხის ნომერი	31	33	148	205	242	194
<i>Pinus</i> - ფიჭვი	1	2	7	15	2	1
<i>Juniperus</i> - ღვია				100		
<i>Juglans regia</i> - კაკალი	25	93		2		
<i>Fagus orientalis</i> - წიფელი	2	3	2			
<i>Carpinus caucasica</i> - რცხილა	6			1		
<i>Carpinus orientalis</i> - ჯაგრცხილა					2	
<i>Quercus</i> - მუხა	1	3	1	2	1	
<i>Tilia</i> - ცაცხვი	2					
<i>Alnus</i> - მურყანი		1				
<i>Corylus</i> - თხილი					2	
<i>Rhamnus</i> - ხეჭრელი			6			
<i>Vitis silvestris</i> - ველური ვაზი	2	1	1			
<i>Cerealia</i> - სათესი მარცვლოვნები	1		5		25	
<i>Triticum</i> - ხორბალი				1	13	
<i>Poaceae</i> - ველური მარცვლოვნები	12	6	6	3	3	7
<i>Cichorioidea</i> - ვარდკაჭაჭა	98	30	8	9	16	32
<i>Artemisia</i> - ავშანი	1			1		
<i>Aster type</i> - ასტრა	7	3	2	2	3	
<i>Centaurea</i> - დიდილო		5	4	4		4
<i>Achillea</i> - ფარსმანდუკი	8		2			
<i>Xanthium</i> - ღორის ბირკა	2					
<i>Carduus</i> - ნარშავი	8	3			1	2
<i>Cirsium</i> - ნარი	1					
<i>Fagopyrum</i> - წიწიბურა	14	2		2	8	4
<i>Chenopodiaceae</i> - ნაცარქათამასებრნი	8	3	2	2	2	1
<i>Caryophyllaceae</i> - მიხაკისებრნი	2		3	1		
<i>Polygonum type</i> - მატიტელა		7	10	3	7	1
<i>Polygonum aviculare</i> - ჩვეულებრივი მატიტელა			2		1	
<i>Urtica</i> - ჯინჯარი		2				
<i>Convolvulus</i> - ხვართქლა			1			
<i>Plantago m/m type</i> - მრავალძარღვა					2	1
<i>Plantago lanceolata type</i> - ლანცეტა მრავალძარღვა	2	1	1			

<i>Apiaceae</i> - ქოლგოსნები	6	8	6	1		2
<i>Boraginaceae</i> - ჭარხლისებრნი						3
<i>Ranunculus</i> - ბაია	5			4		
<i>Rumex</i> - მჟაუნა					1	1
<i>Lamiaceae</i> - ტუჩოსნები						2
<i>Dipsacus</i> - გოქში				1		
<i>Undiff. NAP</i> - განუსაზღვ. ბალახოვნები	12	7	3		4	3
<i>Polypodiaceae undiff.</i> -გვიმრანაირები		2	11	4		4
<i>Adiantum</i> - ვენერას თმა				1		
<i>Bothrychium lunaria</i> - მარგალიტა		1				
<i>Undiff. Ascospores</i> - განუსაზღვრელი სოკოს სპორები	35	40	82	7	5	21
<i>Mycoraceae</i> - სოკოსებრნი	5	3		3		
<i>Sordaria</i> - სორდარია	8					
<i>Chaetomium</i> - ხაეტომიუმი	2			40		
<i>Glomus</i> - გლომუსი	18	16	9	11		20
<i>Pseudoschizaeae</i> - ფსევდოშიზეა	10	3	7	1	2	2
<i>Zygnema</i> - ზიგნემა	2					
<i>Dinoflagellata</i> - დინოფლაგელატები		2				78
<i>Fibres of flax</i> - სელის ბოჭკოები	22	16	7	16	9	6
<i>Fibres of cotton</i> - ბამბის ბოჭკოები	2	3	3	6	3	2
<i>Tracheal cells of Pinus</i> - ფიჭვის ტრაქეალური უჯრედები	3				10	
<i>Tracheal cells of undiff. wood</i> - განუსაზღვრელი მერქნის ტრაქეალური უჯრედები	30	6		31	42	11
<i>Woodvessel</i> -მერქნის გამტარი ჭურჭლები				24	14	8
<i>Phytoliths of Poaceae</i> - მარცვლოვნების ფიტოლიტები	16			3	11	3
<i>Epidermis of plants</i> - მცენარის ეპიდერმისი	13	24		15	8	
<i>Undiff. zoomaterial</i> - განუსაზღვრელი ზოომასალა	2	5	11	20	5	
<i>Zooepidermis</i> - ზოოეპიდერმისი	12					
<i>Feather of bird</i> - ფრინველის ბუმბული	2					
<i>Hairs of insecta</i> - მწერების ბუსუსები	2					
<i>Acari remains</i> - ტკიპას ნაშთები	5	8	12	3		
<i>Acari</i> - ტკიპა	2					
<i>Hairs of Acari</i> - ტკიპას ბუსუსები	14	1	9	4	4	
<i>Claw of Acari</i> - ტკიპას კლანჭები	11	1	5	2		2
<i>Chela of Acari</i> - ტკიპას მარწუსები	8			2		

Total AP- ხემცენარეთა მტვრის ჯამი	39	103	17	120	7	1
Total NAP- ბალახების მტვ. ჯამი	187	80	66	39	86	67
Total pollen -მტვრის საერთო ჯამი	226	183	83	159	93	68
Total NPP-არაპალინოლოგიური ნაშთების ჯამი	224	128	145	188	113	153
Total palynomorphs - პალინომორფების საერთო ჯამი	450	311	228	347	206	221

№31 სამარხის ჯამის პალინოლოგიური მასალის ხემცენარეთა სპექტრში დომინირებს კაკლის (*Juglans regia*) მტვრის რაოდენობა (სურ.14), სადაც დათვლილია მისი 25 მტვრის მარცვალი (ცხრილი 1). მეორე დომინანტი რცხილას (*Carpinus caucasica*) მტვერია. მცირე რაოდენობით აღინიშნება მუხის, ფიჭვის, წიფლის, ცაცხვის, ჯაგრცხილას და ველური ვაზის მტვრის მარცვლები. რაც შეეხება ბალახოვნებს, მათი შემადგენლობა უფრო კარგადაა წარმოდგენილი. ბევრია ადამიანის სახლთან არსებული ეზოს, ბილიკების და სანაგვეების სარეველები. ესენია ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ღორის ბირკა, ავშანი და სხვა. სუსტად, მაგრამ მაინც აისახა ხორბლის ყანების სარეველა მცენარეულობის ელემენტები. ნაპოვნია ხორბლის, ნარის, წიწიბურას და ნაცარქათამას მტვრის მარცვლები. საძოვრების სარეველების მონაწილეობა პალინოლოგიურ სპექტრში უფრო ნაკლებია.

რაც შეეხება არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს, მათი კომპლექსი უამრავი ტაქსონებისგან შედგება (ცხრილი 1). ბევრია სხვადასხვა სოკოს სპორები, სადაც ჭარბობს სოკო გლომუსის სპორების რაოდენობა. როგორც აღინიშნა, ეს სოკო იზრდება მხოლოდ ფხვიერ, დამუშავებულ ნიადაგში და მიწათმოქმედების არსებობის კარგი ინდიკატორია¹. არის აგრეთვე ნაკელის სოკო სორდარიას სპორები. აღინიშნება ობის სოკო და ჰაეტომიუმი, რომელიც ცელულოზის უჯრედებზე სახლდება და შლის მას². კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხის მერქნის და მცენარეთა ეპიდერმისის მიკროსკოპიული უჯრედები. არის ფიტოლიტებიც. აღმოჩენილია წყალმცენარეთა ნაშთები (ფსევდოშიზა და ზიგნემა). ბევრია სელის ტექსტილის ბოჭკო. ბამბის ბოჭკო კი ცოტაა (ცხრილი 1). საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი ზოოლოგიური მასალა. ჭარბობს ტკიპების მიკრონაშთები (მათი ბუსუსები, კლანჭები და მარწუხები). ნაპოვნია აგრეთვე მთლიანი, დაუშლელი ტკიპები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჯამების მხოლოდ განხილულ ნიმუშში აღმოჩენილია ფრინველის ბუმბულის ნაშთი.

№33 სამარხის ჯამის შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი ემსგავსება ზემოთ განხილულ №31 სამარხის სპექტრებს. მაგრამ აქ გაცილებით უფრო მეტია კაკლის მტვრის შემადგენლობა, სადაც დათვლილია მისი 93 მტვრის მარცვალი. მეორე დომინანტი მუხა და წიფელია. მცირე რაოდენობით აღინიშნება მურყნის, ფიჭვის და ველური ვაზის მტვერი. ბალახოვნების შემადგენლობა თითქმის იგივეა, როგორც №31

¹ Van Geel B. 1998. A study of non-pollen objects in pollen slides (edd. M.L. van Hove and M. Henndrikse). Utrecht.

² Van Geel B., Aptroot A. 2006. Fossil ascomycetes in quaternary deposits. *Nova Hedwigia*, 82: 313-329.


სამარხში. აქაც ბევრია ეზოს სარეველები. არაპალინოლოგიურ ნაშთების ჯგუფში კარგადაა წარმოდგენილი სოკო გლომუსის სპორები. ნაკელის სოკოს სპორები ამ ნიმუშში არ არის ნაპოვნი. აღმოჩენილია წყალმცენარე დინოფლაგელატას ცისტები და ფსევდოშიზაეს ნაშთები. №33 სამარხის მასალაში კარგადაა წარმოდგენილი სელის ბოჭკო. ბამბის ბოჭკო ცოტაა. დიდი როლი არა აქვს აგრეთვე ხის მერქნის ტრაქეალურ უჯრედებს. სხვა მცენარეთა ეპიდერმისის ნაშთები ბევრია. ზოოლოგიური მასალა და განსაკუთრებით კი ტკიპების ნაშთები ცოტაა.

№148 სამარხიდან მოპოვებულ ჯამის შიგთავსის სპექტრები ხასიათდება სულ სხვა ნიშნებით. აქ კაკლის მტვერი საერთოდ არ დაფიქსირდა¹ (ლიჩელი, ყვავაძე 2011). ხემცენარეთა ჯგუფში ბევრია ფიჭვის და ხეჭრელის მტრვის მარცვლები. ცოტაა მუხის, წიფლის და ველური ვაზის მტვერი. ბალახოვანთა ჯგუფში ბევრია კულტურული მარცვლოვნების და მათთან არსებული სარეველათა მტვერი. ესენია მაციტელა, დიდილო, ხვართქლა და სხვა. ბევრია აგრეთვე ტყის გვიმრების სპორები (ცხრილი 1). არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიდან დომინირებენ განუსაზღვრელი სოკოს სპორები. აღინიშნება აგრეთვე სოკო გლომუსი. არის წყალმცენარეთა ნაშთები. მცირე რაოდენობით ნაპოვანია სელის და ბამბის ტექსტილის ბოჭკო. სელი მეტია ვიდრე ბამბა. კარგადაა წარმოდგენილი ზომამასალა და განსაკუთრებით კი ტკიპების ნაშთები.

№205 სამარხში ნაპოვნი ჯამის შიგთავსისთვის დამახასიათებელია სულ სხვა ტიპის პალინოლოგიური სპექტრები. აქ, ხემცენარეთა ჯგუფში დეიას მტვერია უხვად წარმოდგენილი. დათვლილია მისი 100 მტრის მარცვალი. მცირე რაოდენობით აღმოჩენილია აგრეთვე ფიჭვის, რცხილას, მუხის და კაკლის მტრვის მარცვლები. ბალახოვნებში კარგადაა წარმოდგენილი ეზოს სარეველები. არის ხორბლის მტვერი და მისი ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველები. ნაპოვანია ტყის გვიმრების სპორებიც. არაპალინოლოგიურ ფოსილიებში ჭარბობს სოკო ჰაეტომიუმის და გლომუსის სპორები. კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის ტრაქეალური და პარენქიმული უჯრედები. მცენარეთა ეპიდერმისის უჯრედებიც ბევრია, ფიტოლიტები კი ცოტაა. სელის ტექსტილის ბოჭკო აქაც ჭარბობს. ბამბის ბოჭკო ცოტაა. ზოოლოგიური ნაშთები ბევრია. არის ტკიპების ბუსუსები, კლანჭები და მარწუხები.

№242 სამარხში აღმოჩენილ ჟამის შიგთავსში კი უხვადაა წარმოდგენილი ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი, რომლის გვარამდე ან სახეობამდე განსაზღვრა ვერ მოხერხდა მათი ცუდი დაცულობის გამო. ხემცენარეთა შორის ცოტაა ფიჭვის, თხილის, ჯაგრცხილას და მუხის მტრვის მარცვლები. გარდა ხორბლეულობის, ბალახოვნებში ბევრია ნათესების სარეველების მტრის მარცვლების რაოდენობა. არის აგრეთვე, ეზოს და ბილიკები პირას გაერცვლებული სარეველათა მტვერი. საერთოდ არ აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიურ ნაშთების ჯგუფში დომინირებს ხის მერქნის ტრაქეალური და პარენქიმული უჯრედები. არის ფიჭვის უჯრედებიც. ბევრია ფიტოლიტები და მცენარეთა ეპიდერმისის ნაშთები. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო. ბამბის ბოჭკო ცოტაა. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სოკოების სპორები, წყალმცენარეები და ზომამასალაც.

¹ლიჩელი ვ., ყვავაძე ე. 2011. გრაკლიანი გორის სამაროვნის პალინოლოგია - ჯამები. ძიებანი №20, (იბეჭდება).



სურ. №14. გრაკლიანი გორა, სამარხი №31, ჯამის შიგთავსის პალინოლოგიურ სპექტრებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები და სპორები: 1-4-კაკალი; 5-წიფელი; 6-ჯაგრცხილა; 7-რცხილა; 8-11-კულტურული ვაზი, 12-მუხა; 13-მრავალძარღვა; 20-სოკო გლომუსი (X300-ჯერ)

№194 სამარხიდან მოპოვებულ ფიალაში ჭარბობს წყალმცენარე დინოფლაგელატას ცისტების რაოდენობა, სადაც დათვლილია 78 მისი ნაშთი. პალინოლოგიის სპექტრის სხვა კომპონენტებიდან ნაპოვნია ფიჭვის მხოლოდ ერთი მტვრის მარცვალი. ბალახოვნები თითქმის მთლიანად წარმოდგენილი ეზოების და გზისპირა სარეველების მტვრით. ესენია ვარდკაჭაჭა, რომლის მტვრის შემადგენლობა ამ ჯგუფში ჭარბობს. აღინიშნება მრავალძარღვა, მუაუნა, ნაცარქათამა და სხვა. ცოტა, მაგრამ მაინც არის მიწათმოქმედების ინდიკატორები. ამის მაგალითია ნარის, მათიტელას და ღიღილოს მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიურ ჯგუფში გარდა მტკნარი წყლის წყალმცენარე დინოფლაგელატას ცისტებისა და წყალმცენარე ფსევდოშიზაეს ნაშთებისა, ბევრია სხვადასხვა სოკოს სპორები. აღინიშნება სოკო გლომუსის სპორებიც. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სელის და ბამბის ბოჭკო. ცოტაა ხის მერქნის უჯრედები. ზოოლოგიური მასალის ნამარხები თითქმის არ აღინიშნება.

მაშასადამე, პალინოლოგიური სპექტრების შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ №31 და №33 სამარხების ჯამებში კაკალი უნდა ყოფილიყო. კაკლის უმეტესი ნაწილი ახლომდებარე ტყეში იყო მოგროვილი. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა კაკლიან ჯამეფში არსებული ტყის მცენარეულობის უამრავი მტვერი. ესენია მუხა, წიფელი, რცხილა, ცაცხვი, მურყანი, ველური ვაზი და სხვა. განხილული სამარხების ჯამების შიგთავსში ნაპოვნია აგრეთვე ტყის გვიმრები სპორებიც. მაგალითად გვიმრა მარგალიტა, რომელიც ფიჭვის ტყეში ტენიან და დაჩრდილულ ადგილებზე იზრდება¹.

№148 სამარხის ჯამში კი შესაძლოა ხეჭრელის ნაყოფები (ან მისი მერქანი) და გვიმრების ფოთლები იყო, რადგან ისინი დღესაც გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. სამკურნალო უნდა ყოფილიყო აგრეთვე სამარხ №205-ის ჯამში აღმოჩენილი ღვიას ნაშთები. ცნობილია, რომ ღვიას ნაყოფები გამოიყენება როგორც შარდმდენი. მისი ნაყოფებიდან გამოხდილ ზეთს კი ანტისეპტიკური მოქმედება გააჩნია და ჭრილობის დამუშავებისთვის იყენებენ².

ჯამში, რომელიც აღმოჩენილია №242 სამარხში, ხორბალი ან მისგან დამზადებული საჭმელი უნდა ყოფილიყო. ამის არგუმენტი ის არის, რომ ზოგიერთ ხორბლის მტვრის მარცვალს მუქი ფერი, ანუ ცეცხლის კვალი აქვს. გარდა ამისა, შიგთავსის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ხის მერქნის მუქი ფერის დამწვარი უჯრედები, რომელიც საჭმლის მომზადებისას ღია ცეცხლიდან ადვილად მოხვედება იმ ჭურჭელში, რაშიც იხარშებოდა საჭმელი. იგულისხმება ნაცრის, კვამლის და ხის მიკრონაშთები.

სამარხ №194-ში მიცვალებულს ჯამით წყალი ჩაატანეს, ან ეს ჭურჭელი იქამდე წყლისთვის იყო განკუთვნილი. ამაზე დიდი რაოდენობის მტკნარი წყლის წყალმცენარეების ნაშთები მეტყველებს. ამასთანავე პალინოლოგიურ მასალაში ზოგადად ცოტაა მცენარეთა მტვრის მარცვლები (ცხრილი 1), განსაკუთრებით კი შორიდან მოტანილი. როგორც უკვე აღინიშნა აქ ნაპოვნია მხოლოდ ერთი ფიჭვის მტვრის მარცვალი. ცოტაა აგრეთვე ბალახოვნების მტვერი, სადაც სულ 67 მარცვალია

¹ კეცხოველი ნ. 1971. (რედ.). საქართველოს ფლორა, ტომ.1. მეცნიერება, თბილისი.

² Гроссгейм А.А. 1946. Растительные ресурсы Кавказа. Изд. АН Азербайджанской ССР, Баку, 671 с.

დათვლილი. მცირე რაოდენობითაა აღნიშნული, აგრეთვე, ხის მერქნის უჯრედები. თითქმის არ აღინიშნება ზოოლოგიური მასალის ნაშთები.

პალინოლოგიურ სპექტრებში მდიდარი ზომასა და განსაკუთრებით კი ტკიპების ნაშთების დიდი რაოდენობა №31 სამარხში მიუთითებს იმაზე, რომ მიცვალებულის დაკრძალვა მოხდა შუა ზაფხულში. სწორედ ამ დროს ხდება ტკიპების და სხვა უხერხემლოთა აქტიურ ფაზაში გადასვლა¹. წლის თბილ პერიოდში დაიკრძალა №148 და №205 სამარხების მიცვალებულები, რადგან აღნიშნულ სამარხებშიც საკმაოდ ბევრია ტკიპების და სხვა უხერხემლოთა ნაშთები.


ტექსტილის ბოჭკოს არსებობა ყველა ჯამის პალინოლოგიურ სპექტრში (სურ.15) აიხსნება იმით, რომ ქსოვილის მიკრონაშთები (მათი ბუსუსი) ჭურჭელში ხვდება მისი გაწმენდისას ან გაშრობისას. ცნობილია ასევე, რომ საჭმლიან ჯამს ზემოდან ტილოს აფარებენ. ისიც არის დასაშვები, რომ სამარხში ჯამები სელის ტილოში იყო შეფუთული.

სოვლეს სამარხები. *სამარხი № 1*. არქეოლოგიური კვლევის მიხედვით, სამარხი №1 მიეკუთვნება მესამე საუკუნეს². სამარხიდან მოპოვებულია 5 ნიმუში (№15-19), რომელთა ადების ადგილები ნაჩვენებია № 2 ცხრილზე. სინჯები ადებულ იქნა მუქი ლაქების გავრცელების ადგილას, რადგან ეს ლაქები ორგანული საგნების ნაშალია. სულ განსაზღვრულია ხე-მცენარეების 16 და ბალახოვნების 43 სახეობის მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში აღმოჩენილია 38 ორგანიზმის ნაშთები. სამარხი პალინოლოგიური სპექტრები ძალზე განსხვავდება თანამედროვე ნიადაგის სპექტრებისაგან. რეცენტულ სპექტრებში ბალახოვანთა მტვრის მარცვლები დომინირებს. ესაა, ძირითადად, ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) და რთულყვავილოვანთა (Compositae) მტვრის მარცვლები. სპექტრებში მრავლადაა მრავალძარღვას (Plantago lanceolata) და ქოლგოსანთა (Apiaceae) მტვრის მარცვლები. ხე-მცენარეთა ჯგუფში ჭარბობს ფიჭვი და ნაძვი, რომელთა მტვერი ხელოვნური ნარგავებიდანაა მოტანილი. კაკლისა (Juglans regia) და თხილის (Corylus) მტვრის მარცვლები ნიადაგში ახლომდებარე სოფელ ხოვლეს მცხოვრებთა ბაღებიდან არის მოხვედრილი. აქ არსებული სუსტად განვითარებული მიწათმოქმედება დაფიქსირდა სიმინდის (Zea mays), ხორბლის (Triticum) და სხვა სათესი მარცვლოვნების (Cerealia) ერთეული მტვრის მარცვლების არსებობით. თუმცა სპექტრები კარგად განვითარებულ მეცხოველეობაზე მეტყველებს. ამაზე მიუთითებს ნაცარქათამასებრთა არსებობა, რომლებიც იზრდება გზების გასწვრივ, ეზოებში და ნაგავსაყრელებთან. მაგალითად, აბზინდა (Artemisia), ღორის ბირკა (Xanthium), ყაყაჩო (Papaver) და სხვ.

პალინოლოგიურ სპექტრებში სუსტად, მაგრამ მაინც ასახულია თრიალეთის ქედის ტყის მცენარეულობა. აქ მთისწინეთში იზრდება რცხილისა და მუხის ტყეები, თელასა (Ulmus) და ჯაგრცხილასთან (Carpinus orientalis) ერთად. ყველა ჩამოთვლილი ხეების მტვრის მარცვლები აღინიშნება პალინოლოგიურ სპექტრებში. აქ ნაპოვნია, აგრეთვე, ტყის გვიმრების (Asplenium, Polypodiaceae undif.) სპორები.

¹ ლიხელი ვ., ყვავაძე ე. 2011. გრაკლიანი გორის სამარხის პალინოლოგია - ჯამები. ძიებანი №20, (იბეჭდება).

² Kvavadze E., Shatberashvili V. 2010. Results of palynological study of organic remains from Khovle Burials. Georgian National Museum. Proceedings the Natural and Prehistoric Section #2, pp. 54-74



სურ. №15. გრაკლიანი გორა, ჭურჭელში აღმოჩენილი ტექსტილის ბოჭკო: 1,3,4-სეელი; 2-კანაფი; 5-6-ბამბა (X500-ჯერ)

ცხრილი №2. ხოვლეს №1 სამარხიდან მოპოვებული პალინოლოგიური მასალის რიცხობრივი რაოდენობა

ხოვლე, სამარხი No 1							
ნიმუშის ნომერი	1	2	3 (15)	4 (16)	5 (17)	6 (18)	7 (19)
ნიმუშია ადგილის ადგილი	თანამედრ . ნიადაგი		ჩონჩხთა 6	თავის ქალასთა 6	მძივებთან	დასაველ . კუთხე	დასაველ . კედელი
<i>Abies nordmanniana</i>	1	2				2	
<i>Picea orientalis</i>	13	12	2	1	1	2	1
<i>Pinus</i>	37	50	13	19	4	34	14
<i>Cupressaceae</i>	2						
<i>Juglans</i>	9	13	4	7	2	7	5
<i>Pterocarya pterocarpa</i>	1	1					
<i>Carpinus caucasica</i>	1	1	6			3	2
<i>Carpinus orientaliis</i>	1						
<i>Quercus</i>	1	2	1	2		6	2
<i>Fagus orientalis</i>		1					
<i>Ulmus</i>	1	2			1		
<i>Alnus</i>	1	2	2	3		7	2
<i>Rosaceae undiff.</i>			1				
<i>Corylus</i>	4	7	2	2	1	3	1
<i>Vitis vinifera</i>			1	1			
<i>Ephedra</i>						1	
<i>Chenopodiaceae</i>	62	40	2	11	12	25	5
<i>Chenopodium album</i>			1				
<i>Poaceae</i>	4	16	3	7	7	12	4
<i>Zea mays</i>	1	3					
<i>Cerealia</i>	4	2	1	1	2	11	1
<i>Triticum</i>	1	4	3	1	2	8	1
<i>Artemisia</i>	9	3	1	4	1	15	7
<i>Chichorioidae</i>	19	10	15	20	6	37	12
<i>Achillea</i>	1	5			3	3	
<i>Serratula</i>					1		
<i>Aster</i>	2			2	4	8	
<i>Centaurea</i>	1	3	2				1
<i>Carduus</i>	3	8	4	3		5	
<i>Cirsium</i>			1				
<i>Xanthium</i>	1					1	1
<i>Geranium</i>						2	
<i>Polygonum aviculare type</i>	4		6	7	3	25	2

<i>Polygonum persicarya</i>				1		1	
<i>Polygonum</i> type	4	21	5	35	16	32	16
<i>Plantago lanceolata</i> type	13	22		3	1	7	
<i>Plantago m/m</i> type				1	1		
<i>Plantago maritima</i> type						3	1
Caryophyllaceae	3		2	3	1	2	
Boraginaceae		6			9	5	
Brassicaceae	2		1			1	
<i>Ranunculus</i>		5					
<i>Viola</i>	1						
<i>Valeriana</i>			1				
<i>Papaver</i>	1	2					
<i>Fagopyrum</i>	2				1	3	2
Fabaceae		4	4				
<i>Urtica</i>				1			
<i>Convolvulus</i>	2	9	1			2	
Apiaceae	11	12	3	2		4	
<i>Sparganium</i>					2		
Cyperaceae	3	6					
<i>Sphagnum</i>			3	1		4	
<i>Asplenium</i>	1						
<i>Pteridium aquilinum</i>				1			
<i>Pteris cretica</i>					1	1	
<i>Polypodium vulgare</i>						2	
Polypodiaceae undiff.	3	2	8	12		21	10
Undiff.NAP	4	5	3	2	6		
Non-Pollen Fossils:							
Ascospore type 8E			33				
Ascospores undiff.	55	55	20	14	13	64	9
<i>Glomus</i>	5	5	10	3		10	3
<i>Sordaria</i>	4	14	50	23	25	50	10
<i>Neurospora</i>			3			1	1
<i>Sporormiella</i>	3	20			1		
<i>Podospora</i>	3	7	2		1	2	
<i>Chaetomium</i>	1			3	2	28	3
<i>Alternaria</i>	33	85				1	1
<i>Tilletia</i>		4					
<i>Brachysporium</i>					1		
<i>Thecapora</i>		3				3	
Mycoraceae				1		3	2
<i>Caryospora callicarpa</i>			1				

<i>Zoomaterial</i>	85	23	35	8	3	16	12
<i>Crystals of bone</i>			4				
<i>Eggs of animal helminths</i>		3					
<i>Hairs of Acari</i>			92	25	11	133	3
<i>Chella of Acari</i>			4	2	2		
<i>Clows of Acari</i>			17	4	2	23	
<i>Acari</i>			2	1			
<i>Remains of Acari</i>			27		1		
<i>Hair of bee</i>		1		1	4		
<i>Arcella</i>	3					1	
<i>Spirogira</i>	2						3
<i>Zygnema</i>			2	2	2		
<i>Pseudoschizaea</i>				1		1	
<i>Dinoflagellata</i>							5
Fibres of cotton				1	2		1
Fibres of flax	1	2	39	33	38	23	
Dye fibres of flax			2		1	2	
Undiff.fibres			2				
Epidermis of moth	2	3					
Stems od Poaceae	3	4	3				
Epidermis of Poaceae	8	4				2	
Phytoliths of Poaceae	2	6	3	12	10	30	20
Woods parenchime cells of Pinus			45	58	35	17	35
Undiff.woods perenchime cells	80		98	115	89	93	122
Undiff.NPP						25	
Total sum AP sum	72	93	32	35	9	65	27
Total sum NAP	162	188	70	118	79	240	63
Total sum of pollen and spores	234	281	102	153	88	305	90
Total sum of Non-Pollen Fossils	290	239	494	307	243	528	230
Total sum of Palynomorphs	524	520	596	460	331	833	320

(Chenopodiaceae), მრავალპარღვას (*Plantago lanceolata*) და მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) მტვრის შემცველობა, ანუ იმ მცენარეებისა, რომლებსაც ცხოველები არ ძოვენ. დასახლებული პუნქტის არსებობაზე მიუთითებს სპექტრში იმ სარეველა ბალახების

ძალზე საინტერესო არაპალინოლოგიური ფოსილიების შემადგენლობა. ჭარბობს სოკოების სპორები. ძალიან ბევრია სოკო *Alternaria*-ს სპორები, რაც დამახასიათებელია შედარებით მშრალი ადგილებისთვის¹. მრავალფეროვანია ნაკელის სოკოების სპორების შემადგენლობა, რომელთა ჯგუფში სპორორმიელას (*Sporormiella*) რაოდენობა ჭარბობს. აღინიშნება აგრეთვე *Sordaria* და *Podospora*. ნაპოვანია სოკოს გლომუსის (*Glomus*) სპორები, რომელიც ნიადაგის ეროზიულ პროცესებზე მიუთითებს. აღინიშნება მარცვლოვანთა ღეროების ნაშთები, ფიტოლიტები და ეპიდერმისი, რომლებიც ჩვეულებრივ მრავლადაა ცხოველთა ნაკელში. მერქნის ტრაქეალური უჯრედები ცოტაა. ნიადაგების რეცენტულ პალინოსპექტრებში მრავლადაა ზომასაღა. ესაა ფესხასსრიანების, განსაკუთრებით, მწერების და ნიადაგის სხვა ცხოველების ნაშთები. ნიადაგში აღმოჩენილია ასევე ცხოველთა პარაზიტების (ჰელმინტების) კვერცხები.

პირველი სამარხის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრებისათვის სრულიად სხვა თავისებურებებია დამახასიათებელი. თანამედროვე ნიადაგებთან შედარებით, სპექტრებში გაცილებით მეტია მიწათმოქმედების და, განსაკუთრებით, მემარცვლეობის ელემენტები. ამ მოვლენის ნათელი მაგალითია გვარ მატიტელას (*Polygonum*) მტვრის მარცვლების რაოდენობის დომინირება. ჩიტის მატიტელა (*Polygonum aviculare*), ბოსტნის წალიკა (*Polygonum persicaria*) და მისი სხვა სახეობები მარცვლოვანთა ნათესებისათვისაა დამახასიათებელი². მინდვრის სარეველებს მიეკუთვნება ასევე ნარშავი (*Carduus*), ველური წიწიბურა (*Fagopyrum*), ხვართკლა (*Convolvulus*). ზემოხამოთვლილი ტაქსონები მტვრის მთელი კომპლექსის თითქმის ნახევარს შეადგენს. სპექტრში აღინიშნება განვითარებული მებაღეობისა და მევენახეობის ელემენტებიც.

სამარხის პალინოსპექტრების მეორე მნიშვნელოვანი თავისებურებაა სარეველების მტვრის მარცვლების უფრო მეტი შემცველობა, თანამედროვე სპექტრებთან შედარებით. ესენია ადამიანის საცხოვრებლის თანამდევი სარეველების – ვარდკაჭაჭა (*Cichorioideae*), აბზინდას (*Artemisia*), ჭინჭრის (*Urtica*), ველური მარცვლოვნების (*Poaceae*) და სხვათა მტვრის მარცვლები. აღინიშნული ფაქტი მოწმობს III საუკუნეში ხოვლეს ტერიტორიის მოსახლეობის გაცილებით უფრო მრავალრიცხოვნებასა და, შესაძლოა, უფრო დიდ დასახლების სიმჭიდროვეს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სამარხის პალინოსპექტრებში დიდი რაოდენობითაა ხემცენარეების მტვრის მარცვლები და ტყის გვიმრების სპორები. მურყნის (*Alnus*) მტვრის მარცვლების, გვიმრების (*Polypodiaceae undif.*) და, განსაკუთრებით, ტაბულა (*Pteris cretica*) სპორების რაოდენობის მატება, აგრეთვე ხავსების მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუთითებს, რომ III საუკუნეში დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო და, შესაძლოა, უფრო თბილი ჰავა იყო. ტყის მცენარეულობა ხოვლესთან უფრო ახლოს იზრდებოდა და მისი ფართობი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

¹ Горленко М.В. 1981. (ред). Курс низших растений. Изд.Высшая школа, Москва.

² Behre K.-E. 1986. The interpretation of anthropogenic indicators in pollen diagrams. *Pollen et Spores*, 23:225-245.

თანამედროვე სპექტრებისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია არაპალინოლოგიური ფოსილიების შემადგენლობა. სამარხის ნიმუშებში სოკოების სპორებს შორის სჭარბობს ნაკელის სოკო სორდარია (*Sordaria*), ხოლო *Sporormiella*-ს სპორები, რომლებიც მრავლადაა თანამედროვე ნიადაგებში, აქ თითქმის არ გვხვდება. ძალიან ცოტაა *Alternaria*-ს სპორებიც. სოკოებიდან აღინიშნება *Thecaphora*-ს სპორები, რომელიც ნათესებში ხვართქლაზე იზრდება. გვხვდება სოკოების *Caryospora callicarpa*-ს და *Brachysporium*-ს სპორებიც, რომლებიც ჩვეულებრივ მერქანში ბინადრობენ და შლიან მას¹. სამარხის ნიმუშებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი მერქნის, განსაკუთრებით ფიჭვის, პარენქიმული უჯრედები, რომლებიც აღნიშნული სოკოებითაა დაშლილი. ნიმუშებში მატულობს ასევე სოკო *Chaetomium*-ის როლი, განსაკუთრებით გარდაცვლილის ჩონჩხის ძვლების განლაგების მიდამოებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ჩონჩხის ქვეშ, *Chaetomium*-ის სპორებთან ერთად აღინიშნება სელის ბოჭკოების სიჭარბე, რომელთა შორის ნაპოვნია შეღებილი და დაგრეხილი ბოჭკოებიც. მცირე რაოდენობით წარმოდგენილია ბამბის ბოჭკოები. როგორც ცნობილია, სოკო *Chaetomium* ქსოვილზე სახლდება და შლის მას². უნდა იხილავთ აღინიშნოს, რომ აქ აღმოჩენილია წყალმცენარეების *Dinoflagellata*, *Spirogira*, *Pseudoschizaea*, *Zygnema* ნაშთები.

ძალზე საინტერესო კანონზომიერებები გამოვლინდა ზოოლოგიური მიკრონაშთების კომპლექსშიც, რომელშიც დომინირებს ტკიპები. გვხვდება როგორც მთლიანი ტკიპები, ისე მათი ბუსუსები, მარწუხები, კლანჭები და სხვა ნაშთები.

სამარხი № 4. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით იგი თარიღდება ძვ.წ. III საუკუნით. ამ სამარხიდან შერჩეული და გამოკვლეულია 9 ნიმუში. ნიმუშების მოპოვების ადგილები და დათვლის შედეგები მოყვანილია №3 ცხრილზე. სულ №4 სამარხის ნიმუშებიდან განსაზღვრულია მცენარეთა 38 სახეობის მტვრის მარცვლები და სპორები და არაპალინოლოგიური ტიპის სამარხი ორგანიზმების 37 ფორმა. პალინოლოგიური სპექტრისათვის დამახასიათებელია, რომ ხე-მცენარეთა ჯგუფში თითქმის არ არის ფართოფოთლოვანი ჯიშები. აქ დომინირებს წიწვოვნები, განსაკუთრებით ფიჭვი. აღინიშნება აგრეთვე ნაძვისა და კედარის მტვერი. ჩვენი აზრით, კედარი ამ დროს უკვე ინტროდუცირებული იყო³. მხოლოდ ერთ ნიმუშში შეგვხვდა მურყნის მტვერი, ორში კი – ხეჭრელისა (*Rhamnus*), რომელიც მთის ქვედა სარტყლის ტყეებში იზრდება. კაკლისა და თხილის ერთეული მტვრის მარცვლები სუსტად განვითარებულ მებაღეობაზე მიუთითებს. საკვლევ ეპოქაში ხოვლეში ჩვენ ვერ ვიპოვეთ მმევენახეობის კვალი. განვითარებული იყო მემარცვლეობა, ძირითადად, ხორბალს თესავდნენ, თუმცა მინდვრების ფართობი ისე დიდი არ იყო, როგორც ძვ.წ. III საუკუნეში.

ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ჭაობის მცენარეულობით იყო დაფარული. ეს შეიძლება გაფართოებული ჭალა იყო, ანდა იმ დროს არსებობდა ტბები დაჭაობებული ნაპირებით. ამას მოწმობს წყლისა და ჭაობის მცენარეულობის შემადგენლობა

¹ Van Geel B. 1998. A study of non-pollen objects in pollen slides (edd. M.L. van Hove and M. Henndrikse). Utrecht.

² Van Geel B., Aptroot A. 2006. Fossilascomycetes in quaternary deposits. *Nova Hedwigia*, 82: 313-329.

³ Kvavadze E., Gagoshidze Iu. 2008. Fibres of silk, cotton and flux in a weaving workshop from the first century A.D. palace of Dedoplis Gora, Georgia, *Vegetation History and Archaeobotany*, 17 (Suppl. 1), pp.211-215.

ცხრილი 3. ხოვლეს №4 სამარხიდან მოპოვებული პალინოლოგიური მასალის რიცხობრივი რაოდენობა.

ხოვლე, სამარხი № 4									
ნიმუშის ნომერი	1(6)	2(7)	3(8)	4(9)	5(10)	6(11)	7(12)	8(13)	9(14)
ნიმუშის ადების ადგილი	ბრასლ.	ჩონჩხთ.	თავის ქალას.		ბრინჯ. სამკ.	თავის ქალ.	იატაკ.	თავის ქალ.	დოქი
<i>Picea orientalis</i>				1			3		
<i>Pinus</i>	2		8	23	20	5	3	6	2
<i>Cedrus</i>	1							1	
<i>Juglans</i>			4						
<i>Alnus</i>			1						
<i>Corylus</i>				1				1	
<i>Rhamnus</i>		1			1				
<i>Chenopodiaceae</i>	3	2	7	3	7		1	3	2
<i>Chenopodium album</i>							1		
<i>Poaceae</i>	2	1	44	1	3	1	3	3	3
<i>Cerealia</i>	1		2	3	3	1		1	2
<i>Triticum</i>			1					1	3
<i>Artemisia</i>			2					2	
<i>Chichorioidae</i>	17	7	26	10	3	8	12	4	31
<i>Achillea</i>							1		
<i>Aster</i>		1	2				1		
<i>Centaurea</i>	1		3	1					
<i>Centaurea cyanus</i>			1						
<i>Carduus</i>			3		1	2			1
<i>Polygonum aviculare type</i>		1		2			3	1	
<i>Polygonum type</i>	4		8	3	3	3	10	4	2
<i>Plantago lanceolata t.</i>				1					
<i>Plantago m/m type</i>			1					1	
<i>Plantago maritima t.</i>	1								
<i>Boraginaceae</i>	3				2				
<i>Brassicaceae</i>			2					2	
<i>Ranunculus</i>			2			1			
<i>Fagopyrum</i>	2		2	2	1		2		

<i>Apiaceae</i>	2	1	3						2
<i>Typha</i>			1						
<i>Sparganium</i>						5		5	5
<i>Fagopyrum</i>						1			
<i>Sphagnum</i>	3	10	16	20	5		16		
<i>Asplenium</i>							1		
<i>Pteridium aquilinum</i>					1				
<i>Polypodiaceae undiff.</i>	1			3	2		3	4	
<i>Bothrychium lunaria</i>			1						
Undiff.NAP	7		6				5	11	
Non-Pollen Fossils:									
Ascospores undiff.	6		43	11	4		8		
<i>Glomus</i>	2		6	4		3	3	6	
<i>Sordaria</i>	20	14	74	69	28	23	62	16	12
<i>Neurospora</i>	1		4				2		1
<i>Sporormiella</i>		1	3			1			
<i>Podospora</i>	1		2	2					
<i>Chaetomium</i>		12	7	3			30		18
<i>Tilletia</i>							2		
<i>Thecapora</i>	13		11		16		14	48	3
<i>Mycoraceae</i>		2			1		2		
Zoomaterial	6	4	10	8	8	3	12	3	2
Eggs of Trichura			1					1	
Eggs of animal helminths					2				
Hairs of Acari	3	6	6	3	9		5		6
Chella of Acari					2				
Clows of Acari	2	4	3	1		2	1		
Acari			1						
Remains of Acari			5		2		1		
Hair of bee			1						
Feather of bird							3		1
<i>Spirogira</i>	2		3	2			2	1	
<i>Pseudoschizaea</i>								2	
<i>Dinoflagellata</i>	3								
Diatom <i>Ciclotella</i>									4
Undiff.diatom									2

Algae type			8						
Fibres of cotton	10	2	6	1	4	6	7	2	1
Dye fibres of cotton				1			1	2	1
Fibers of flax	37	100	57	36	15	41	97	56	9
Dye fibres of flax	2	12	6	5			1	1	
Hair of sheep				1		6			
Hair of animals					1	1			
Hair of man			12	12	1	14		10	
Stems of Poaceae			3						
Epidermis of Poaceae					8	3	4		
Epidermis of plants			4						
Phytoliths of Poaceae	42	30	61	13	60	81	37	83	30
Woods parenchime cells of Pinus	140	15	175	6	78	26	20	6	26
Undiff.woods perenchime cells	40	109	79	112	114	102	93	114	78
Total sum AP	3	1	13	25	21	5	6	8	2
Total sum NAP	47	23	133	49	31	22	59	42	51
Total sum of pollen and spores	50	24	146	74	52	27	65	50	53
Total sum of Non-Pollen Fossils	330	311	591	290	353	312	407	351	194
Total sum of Palynomorphs	380	335	737	364	405	339	472	401	247

(Sparganium, Typha, Sphagnum), ასევე წყალმცენარეების (Spirogira, Diatom Cyclotella, Pseudoschizaeae, Dinoflagillatae, Undif.Diatom) ნაშთები.

უფრო ტენიან ჰავაზე მეტყველებს ველური მარცვლოვნების, როულევაილოვანთა მტვრის დიდი რაოდენობა, აგრეთვე ხავსების სპორების სიჭარბე. სპექტრებში აღინიშნება გვიმრების სპორები, მარგალიტას (Botrychium lunaria) ჩათვლით. ეს

უკანასკნელი სიცვიისმოყვარული გვიმრაა და ამჟამად წიწვოვან და წიწვოვან-ფართოფოთლოვან ტენიან მთის ტყეებში იზრდება¹.

არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში ძალზე საინტერესო სურათი გვაქვს. სჭარბობს ფიჭვის მერქნის ტრაქეალური (პარენქიმული) უჯრედები, რომლებიც სამარხში ხის კონსტრუქციების ან ხის ნივთების არსებობაზე მიუთითებს. აღინიშნება სხვა მცენარეების მერქნის მიკრონაშთებიც. ბევრია აქ ფიტოლიტები და მარცვლოვანთა ეპიდერმისი. მხოლოდ დოქის მასალაში ნაპოვნია მტკნარი წყლის დიატომური წყალმცენარეების ნაშთები (მაგალითად, *Ciclotella*). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დოქი სასმელი წყლისათვის გამოიყენებოდა და, შესაძლოა სამარხშიც დოქი წყლით იყო მოთავსებული.

ჩონჩხის განლაგების ზონაში ტექსტილის ნაშთებს შორის ბევრია სელის ბოჭკოები, მათ შორის შეღებილიც. ნაპოვნია ცისფერი, ნაცრისფერი, ვარდისფერი და შავი ბოჭკოები. ცისფერი და ნაცრისფერი ბოჭკოები მეტია. მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი ბამბის ბოჭკოები, რომელთა შორის ასევე შეღებილიც გვხვდება. აღინიშნება დართული (დაგრეხილი) შალის ბოჭკოები, აგრეთვე ცხვრის ბეწვები. ძალზე საინტერესოა, რომ თავის ქალას ქვეშ და მის გარშემო ნაპოვნია ადამიანის თმის მიკრონაშთები. აქვე და სამარხის ძირზეც თავის ქალასთან აღმოჩენილია ფრინველის ბუმბულის მიკრონაშთები (სურ.16). ზოოლოგიურ მასალაში პირველ სამარხთან შედარებით ნაკლებია ტკიპების ნაშთები. ნაპოვნია ჰელმინტის (*Trichura*)-ს კვერცხები და აგრეთვე ძაღლის ბეწვები.

სოკოების ჯგუფში სჭარბობს სოკო სორდარიას სპორები. ისინი აქ შეიძლება მოხვედრილიყო ქვის ფილებიდან, რომლებითაც აშენებულია სამარხი. მცირე რაოდენობით აღინიშნება კოპროფილური სოკოების *Neurospora*, *Sporormiella*, *Podospora*-ს სპორები. სპექტრებში ნაპოვნია სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორებიც, რაც ნიადაგის ეროზიულ პროცესებზე მიუთითებს. სოკო *Chaetomium*-ის სპორები ბევრია იმ სინჯებში, სადაც მრავლადაა სელის ტექსტილის ბოჭკოები. როგორც აღნიშნული იყო, ეს სოკო ქსოვილზე ბინადრობს და მისით იკვებება.

სამარხი № 5. აღნიშნული სამარხიდან გამოკვლეულია ბერძნული შავლაქიანი თიხის ჭურჭლის ნაშთები და მათზე გარედან მიკრული ორგანიკა. არქეოლოგიური მონაცემებით, სამარხი თარიღდება ძვ.წ. III-II საუკუნეებით (*Kvavadze, Shatberashvili 2010*). ჭურჭლის შიგთავსის მასალის სპექტრში სჭარბობს ხორბლისა და სხვა მარცვლოვნების მტვერი, რომელთა გვარამდე განსაზღვრა, ცუდი დაცულობის გამო, ვერ შევძელით. აღინიშნება ასევე მარცვლოვანთა სარეველები. ესენია ველური მარცვლოვნების სხვადასხვა სახეობები (*Poaceae*), ნარშავი (*Carduus*), წიწიბურა (*Polygonum type*). ნაპოვნია გვიმრებისა და ხავსების სპორებიც, როგორც დიაგრამიდან ჩანს, ხავსების (*Sphagnum*) სპორები საკმაოდ ბევრია. ხემცენარეებიდან მხოლოდ ფიჭვის მტვრის მარცვლებია აღმოჩენილი.

არაპალინოლოგიური ხასიათის ფოსილიების ჯგუფში სჭარბობს მარცვლოვანთა ეპიდერმული უჯრედები და მათი ფიტოლიტები, რაც პალინოლოგიურ მონაცემებს

¹ კეცხოველი ნ. 1971. (რედ.). საქართველოს ფლორა, ტომ.1. მეცნიერება, თბილისი. ლიხელი ვ. ყვავაძე ე. 2011. გრაკლიანი გორის სამაროვნის პალინოლოგია - ჯამები. ძიებანი №20, (იბეჭდება).



სურ. №16. ხოვლე, სამარხი №4, ნიმუში №12, არაპალინოლოგიური ნაშთები: 1-3-ფრინველის ბუმბული; 4-ბამბის ბოჭკო; 5-6-სელის ბოჭკო; 7-8-ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები

შეესაბამება. ასევე ბევრია გლომუსის სპორები. შედარებით ნაკლები რაოდენობით აღინიშნება ისეთი სოკოების სპორები, როგორცაა Sordaria, Chaetomium, Tilletia, Neurospora. არის წყალმცენარე Spirogira-ას ნაშთებიც. ძალიან დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ხის მერქნის, მათ შორის ფიჭვის მერქნის, მიკრონაშთები. ნაპოვნია სელის 9 და ბამბის 2 ბოჭკო.

ჭურჭელზე გარედან მიწებებული ორგანიკის ნიმუშში ძალზე ცოტაა მტვრის მარცვლები. ეს არის სათესი მარცვლოვნებისა და მათი თანამდევი სარეველების ერთეული მარცვლები. მაგრამ არაპალინოლოგიური ნაშთების შემცველობა უჩვეულოდ მდიდარია და, ძირითადად, მერქნის ტრაქეალური უჯრედებისაგან შედგება. ბევრია მარცვლოვანთა ფიტოლიტები და ეპიდერმისი. ნაპოვნია სოკოების - Glomus, Neurospora, Undiff.ascospores სპორები. აღინიშნება წყალმცენარე Spirogira-ს მიკრონაშთები. ზომასა და ფესხასრიანთა ნაშთებითაა წარმოდგენილი. ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის მიკრონაშთები.

თხრილი №1. საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში განლაგებულ თხრილში არქეოლოგიური მასალების მიხედვით გამოვლენილია კუტურული ფენა, რომელიც ძვ.წ. III საუკუნეს მიეკუთვნება. პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლეულია ამ პერიოდის ნამარხი ნიადაგი. სპექტრებისათვის დამახასიათებელია Polygonum aviculare type-ის დომინირება, რომელიც მარცვლოვანთა ნათესების ტიპური სარეველია. ბევრია ხორბლის მტვერი. აღინიშნება Convolvulus, Chenopodium alba type, Centaurea, Polygonum type-ის მტვრის მარცვლები. ისინი მინდვრისა და ბოსტნის ნათესებსაც ანაგვიანებენ. ნაპოვნია სარეველები, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება (Achillea, Cichorioideae), მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ არის. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძვ.წ. III საუკუნეში ჩვენს მიერ გამოკვლეული თხრილის მიდამოებში ხორბალი ეთესა.

თხრილის მასალაში ხე-მცენარეების მტვრის მარცვლების ჯგუფში ნაპოვნია მებაღეობის ნიშნები. აღმოჩენილია კაკლის (Juglans regia) და თხილის (Corylus) მტვერი. ველური ფლორის ელემენტები სუსტადაა ასახული. ესაა ფიჭვის, მურყნისა და რცხილის ერთეული მარცვლები. აღინიშნება ტყის გვიმრების სპორებიც.

არაპალინოლოგიური ფოსილიები მრავლადაა წარმოდგენილი. სჭარბობს ნაკელის სოკოს (Sordaria) სპორები. აღინიშნება Glomus, Chaetomium, Neurospora, Undiff. Ascospores-ის სპორებიც. ნაპოვნია მარცვლოვანთა ფიტოლიტები, ეპიდერმისი და ღეროების ნაშთები. სპექტრში აღინიშნება მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რომელთა შორის ფიჭვი სჭარბობს. ზოოლოგიური მასალა ტკიპებისა და სხვა ფესხასრიანების ნაშთებითაა წარმოდგენილი. ერთეულია წყალმცენარეების (Spirogira, Dinoflagellata) ნამარხი ნაშთები. აღმოჩენილია სელის ტექსტილის ორი ბოჭკო.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული მასალა, რომელიც ძვ.წ. III საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე დროის ინტერვალს მოიცავს, სრულიად განსხვავებული პალინოლოგიური სპექტრებით ხასიათდება. პალინოლოგიური კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ადამიანის ცხოვრებისა და სამეურნეო მოღვაწეობისათვის ყველაზე ოპტიმალური პირობები ახ.წ. III საუკუნეში არსებობდა, რომელსაც №1 სამარხი განეკუთვნება. განხილული დროის ჰავა გაცილებით უფრო თბილი და ნოტიო იყო, ვიდრე ამჟამად. სოვლეს მიდამოებში ინტენსიურად ვითარდებოდა მემარცვლეობა,

მევენახეობა და მებაღეობა. მათ უპირველესი მნიშვნელობა გააჩნდათ. მეცხოველეობაც განვითარებული იყო, რაზეც მიუთითებს ნაკელის სოკოების სპორები და საძოვრების სარეველათა მტერის მარცვლები. მაგრამ, სავარაუდოდ, მიწათმოქმედება მეცხოველეობას სჭარბობდა. დიდი იყო მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, რაც კარგადაა დაფიქსირებული იმ სარეველების მტერის მარცვლების სიჭარბით, რომლებიც ადამიანის საცხოვრისებთან, გზების გასწვრივ და ნაგავსაყრელებთან იზრდებოდა. რაც შეეხება ბუნებრივ ლანდშაფტებს, უნდა აღინიშნოს, რომ III საუკუნეში ხოვლეს რაიონში ტყის ფართობი საკმაოდ დიდი იყო და დასახლებულ ადგილთან ახლოს მდებარეობდა. ტყის დომინანტები იყო რცხილა და მუხა. ჭალებში გავრცელებული იყო მურყნის ტყე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად შიდა ქართლში მურყნის ტყეები არ ხარობს¹. ხოვლესთან მიმდებარე თრიალეთის ქედის უფრო მაღალ დონეებზე ფიჭვის ტყეები იზრდებოდა.

ძვ.წ. II საუკუნე, რომელსაც მიეკუთვნება №4 სამარხი, სულ სხვა კლიმატური პირობებით ხასიათდება. ახ.წ. III საუკუნესთან შედარებით, იგი ტენიანი და უფრო გრილი იყო. ამ დროს ხოვლეში ჯერ არ იყო განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. მემარცვლეობა სუსტად იყო განვითარებული. ამ დროისათვის მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე პალინოსპექტრებით არ ფიქსირდება. ახლომდებარე ტყეებში ძალზე მცირე იყო ფართოფოთლოვანთა როლი. გავრცელებული იყო წიწვოვანი ტყეები, განსაკუთრებით კი, ფიჭვი, რომელიც იმ დროს თრიალეთის ქედის მთისწინა ზოლში დღევანდელი ფართოფოთლოვანი ტყეების ადგილას იზრდებოდა.

რაც შეეხება ძვ.წ. III საუკუნეს, ამ დროს ჰავა უფრო გრილი იყო, ვიდრე ამჟამად, მაგრამ უფრო თბილი, ვიდრე ძვ.წ. III საუკუნეში. მოსახლეობა მევენახეობით ვერ იქნებოდა დაკავებული, თუმცა მებაღეობა და მემარცვლეობა განვითარებული იყო. ტყის ფართობიც დიდი იყო. ჭაღის ტყეებში მურყანი იზრდებოდა, რასაც ნოტიო ჰავა უწყობდა ხელს. მოსახლეობის სიმჭიდროვეც არ იყო ისე მაღალი, როგორც ახ.წ. III საუკუნეში.

პალინოლოგიური მასალა და, განსაკუთრებით, არაპალინოლოგიური ფოსილიების ხასიათი საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ №1 სამარხში განსვენებულის დაკრძალვა ზაფხულში მოხდა (სურ.17). ამაზე მიუთითებს ტკიპების დიდი რაოდენობა, რომელთა აქტიური ფაზა სწორედ ზაფხულის სეზონში დგება². №4 სამარხში კი დაკრძალვა, სავარაუდოდ, წლის ცივ დროს მოხდა, რადგან ნიმუშებში ტკიპები და სხვა ზომამასალა ძალიან მცირე რაოდენობით აღინიშნება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკვლევე პერიოდში ტანისამოსსა და, ალბათ, განსვენებულის სუდარის ხასიათშიც მსგავსი ტრადიციები არსებობდა. ორივე სამარხში სჭარბობს სელის ტექსტილის ბოჭკოების რაოდენობა. ბამბის ბოჭკოები ორივეგან ცოტაა. მაგრამ ფერების გამის მიხედვით, №4 სამარხი უფრო მრავალფეროვანია, რაც,

¹ კეცხოველი ნ. 1959. საქართველოს მცენარეული საფარი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.; Гулисашвили В.З. 1964. Природные зоны и естественно-исторические области Кавказа. Наука, Москва.; Nakhtsrishvili G. 1999. The vegetation of Georgia (Caucasus). Braun-Blanquetia, 15:1-68.

² Kropczynska D., Boczek J., Tomczyk A. The Acari. Physiological and Ecological Aspects of Acary-Host Relationships. Dabor, Warszawa.s.; Kavadze E., Rukhadze L., Nikolaishviuli V., Mumladze L. 2008. Botanical and zoological remains from an early medieval grave at Tsitsamuri, Georgia. Vegetation History and Archaeobotany, 17 (Suppl.1) , pp.217-224.

შესაძლოა, მიცვალებულის უფრო ახალგაზრდა ასაკით აიხსნას. აქ, №1 სამარხთან შედარებით, უფრო მეტია სელისა და ბამბის მკვეთრი ცისფერი და ვარდისფერი ბოჭკოები. აქვე ნაპოვნია ადამიანის, ცხვრის, ძაღლისა და სხვა ცხოველების ბეწვები. ცნობილია, რომ მშრალი ჰავის პირობებში შალის ბოჭკოები არ ინახება. მაგალითად, დედოფლის გორაზე, სადაც შესწავლილია ძველი საქსოვი სახელოსნოს მასალა, ახ.წ. I საუკუნით დათარიღებულ ფენებში, როდესაც მშრალი ჰავა იყო, შალის ბოჭკოები სულ არ არის ნაპოვნი, რადგან ისინი დაშლილია¹.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფრინველის ბუმბულის ნაშთები ნაპოვნია მხოლოდ გარდაცვლილის თავის ქალასთან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცვალებულს თავივე ბუმბულის ბალიში დაუდეს. ანდა, შესაძლოა, გარდაცვლილის თავსაბურავი ფრინველის ბუმბულით იყო შემკული. ჩონჩხის ახლოს მატყლის აღმოჩენა ასევე შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თბილი ტანსაცმლის და, შესაბამისად, ზამთარში დასაფლავების დამამტკიცებელი არგუმენტი.

ხავების სპორების დიდი რაოდენობის გარდა, ძვ.წ. II საუკუნეში ნოტიო ჰავის დამამტკიცებელ მეორე არგუმენტად გვევლინება ადამიანისა და ცხოველთა პარაზიტული ჭიის კვერცხები, რომლებიც ნაპოვნია №4 სამარხში. ჰელმინტოზითა და, განსაკუთრებით, ტრიხულოზით ადამიანები უფრო მეტად ტენიანი ჰავის პირობებში ავადდებიან. ნაკელის სოკოს სპორების დიდი რაოდენობა სამარხში, ალბათ, ქვის ფილებთან, ხის ან სხვა საგნებთან, ანდა მიცვალებულის ტანსაცმელთან ერთად მოხვდა. შესაძლოა, იმ დროს ადამიანი ხშირად ცხოველებთან ერთად ცხოვრობდა და უვლიდა მათ.

მაშასადამე, გრაკლიანი გორას ერთი დროის სამარხის 25 სამარხის პალინოლოგიურმა მასალამ აჩვენა, რომ გრაკლიანი გორას მიდამოები ძვ. წ. VII-V სს მჭიდროდ იყო დასახლებული. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. რა თქმა უნდა, მესაქონლეობაც განვითარებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას არ ქონდა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც მეხორბლეობას.


მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებას კლიმატური პირობები უწყობდა ხელს. განხილულ პერიოდში ნალექების წლიური ჯამი დღევანდელთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს როგორც ტყის მცენარეულობის შემადგენლობა, ასევე ბალახოვნების სპექტრის კომპლექსი. ტყეში მურყანს და წიფელს მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში შეუძლიათ არსებობა.

5 სამარხის მიცვალებულთა შორის ზაფხულში დაიკრძალა მხოლოდ 9, დანარჩენი კი წლის ცივ პერიოდში. დაკაღვის სეზონის განსაზღვრის კარგი მაჩვენებელი არის სამარხში აღმოჩენილი ზოოლოგიური მასალის რაოდენობა².

ადგილობრივი მოსახლეობა ძვ.წ. IV სს, ძირითადად, სელის ტექსტილს ხმარობდა. ბამბის ქსოვილიც იყო ხმარებაში, მაგრამ იშვიათად. შალის ბოჭკო ნაპოვნია მხოლოდ №10 სამარხში. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ შალის კონსერვაცია უაღრესად ცუდია, უნდა ვივარაუდოთ რომ, შალის ტექსტილიც ფართო ხმარებაში იყო.

¹ Kvavadze E., Gagoshidze Iu. 2008. Fibres of silk,cotton and flux in a weaving workshop from the first century A.D. palace of Dedoplis Gora, Georgia, Vegetation History and Archaeobotany, 17 (Suppl.1) , pp.211-215.

² Kvavadze E., Rukhadze L., Nikolaishviuli V., Mumladze L. 2008. Botanical and zoological remains from an early medieval grave at Tsitsamuri, Georgia. Vegetation History and Archaeobotany, 17 (Suppl.1) , pp.217-224



სურ. №17. სოფლე, სამარხი №1, ნიმუში №17. სამარხში აღმოჩენილი ტკიპების ნაშთები:
 1-ტკიპა; 2-ტკიპის კიდური; 3-ჯაგრები; 4-5-მარწუხი; 6-7-კლანჭი

ხოვლეს სამარხების ორგანულმა ნაშთებმა საშუალება მოგვცა არა მარტო ჩაგვეტარებინა პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციები და აღგვედგინა ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობა აღნიშნული დროისათვის, არამედ გამოგვეკვლია აგრეთვე დასაფლავების ტრადიციების ბევრი დეტალი, გამოგვევლინა პალეოდააცადებები და დაგვედგინა დამარხვის სეზონი.

ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარი ოპტიმალური კლიმატური პირობებით გამოირჩეოდა. ჰავა გაცილებით უფრო თბილი და ტენიანი იყო, ვიდრე ამჟამად. მაგრამ ძვ.წ. II და III საუკუნეები უფრო გრილი ჰავით ხასიათდებოდა. ხოვლეს მიდამოებში ძვ.წ. II საუკუნე ყველაზე ცივი და ტენიანი იყო. ძვ.წ. II საუკუნეში, როდესაც ჰავა ნოტიო და ცივი იყო, ხოვლეს მოსახლეობაში ჰელმინტოზები გავრცელდა. ამაზე მიტყვევებს №4 სამარხში ნაპოვნი ადამიანის პარაზიტი ჭიის - Trichuira-ს კვერცხები.

ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანი ეწეოდა ინტენსიურ მიწათმოქმედებას, მებაღეობისა და მევენახეობის ჩათვლით. კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობაც. სწორედ III საუკუნეში ხოვლეში ყველაზე დიდი იყო მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

დიდი რაოდენობით ტკიპების ნაშთები ხოვლეს №1 სამარხის მასალაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიცვალებული ზაფხულში დამარხეს. №4 სამარხში მიცვალებული ზამთარში იყო დასაფლავებული, რადგან მასალაში ცოტაა ტკიპები. აქ ნაპოვნი მატყლის ბოჭკოებიც, ალბათ, ზამთრის თბილ ტანსაცმელზე მიგვითითებს, რომელიც გარდაცვლილ ქალს ეცვა.

ანტიკურ პერიოდში როგორც ხოვლეს, ასევე გრაკლიანი გორას მცხოვრებლებს ჩაცმულს ასაფლავებდნენ. ტანსაცმლისათვის, ძირითადად, სელის ქსოვილს იყენებდნენ. საგარაუდოდ, სუდარაც სელის ქსოვილისა იყო, რაზეც მიცვალებულთა მსხვილი ძვლების ქვეშ სელის ბოჭკოების სიჭარბე მიუთითებს.

ქართლის ტერიტორიაზე ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ სიკვდილიანობა სეზონის ცივ პერიოდში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ზაფხულში.

ადრეული შუა საუკუნეები. ქართლის ადრეული შუა საუკუნეების დროის მონაკვეთის (IV-IX საუკუნეები) ფაქტობრივი მასალა წარმოდგენილია რამოდენიმე წერტილში: წაკისის ჭაობის ჭრილში, ბაზალეთის ტბის პროფილში, ბოლნისის სიონის და წიწამურის სამარხებში. ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში პალინოლოგიურად შესწავლილია ჟინვალის და ჩაილურის სამარხები. ჩაილურის, წიწამურის და ჟინვალის სამარხების პალინოლოგიური შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მეთოდურ საკითხებზე¹. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ იმდროინდელი ადამიანის პალეოეკოლოგიას და ყოფის თავისებურებებს.

¹ Kvavadze E., Chichinadze M., Martkoplshvili I., Bibiluri B., Bitadze L., Laliashvili Sh. 2010. The significance of zoological microremains in palynological samples for studying environmental change and past biodiversity. Abstracts of 4th Workshop of NPP., Besanson, France.p.24.; ჩიხლაძე ე. ყვავაძე ე. 2011. ჟინვალის სამარხის 375 ქვის სამარხში აღმოჩენილი ქალის თავსამკაული, ვარცხნილობა და ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევის შედეგები. ანალები, №7, გვ.455-473.

წ ი წ ა მ უ რ ი ს ს ა მ ა რ ხ ი. არქეოლოგიური მასალის მიხედვით იგი თარიღდება IV-VI სს ¹. წიწამურის სამარხი ქვა სამარხია. მიცვალებული ზაფხულში იყო დაკრძალული, რადგან მასალაში აღმოჩენილია იმ მცენარეთა მტვრის მარცვლები, თესვები და ყვავილები, რომლებიც შუა ზაფხულში ყვავის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქვა სამარხის ძირი, ანუ იატაკი მოფენილი იყო ბალახოვანი მცენარეებით და მათი ყვავილეებით. ამ ბალახებს და ყვავილებს ჩაყვა უამრავი ტკიპა, ფუტკარი, პეპელა და ლოკოკინაც კი. ზოოლოგიური მასალის მიკროსკოპული ნაშთების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ დაკრძალვა ნამდვილად შუა ზაფხულში მოხდა². მიცვალებული სუდარაში იყო გახვეული, რომლის პალინოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ იგი სელისგან იყო დამზადებული, რეკონსტრუქცია გაკეთებულია პალინოლოგიურ და ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

პალინოლოგიურმა და პალეოკარპოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ დროს წიწამურის გარშემო ტყე კარგად იყო გავრცელებული და მასში რცხილას, მუხას და ცაცხვის გარდა იზრდებოდა ბზა და ხეჭრელი. ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ისეთი სახეობები, რომელიც მხოლოდ ტყეში იზრდება. ამასთანავე, კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედებაც. განსაკუთრებული როლი ჰქონდა მევენახეობას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აქ დაკრძალვის მომენტში კლიმატი დღევანდელთან შედარებით უფრო ნესტიანი და თბილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში წიწამურის მიდამოებში ხეჭრელი და ბზა ვერ გაიზრდებოდა. პალინოლოგიური სპექტრების უფრო დეტალური აღწერა მოცემულია ჩვენს პუბლიკაციაში³.

ისტორიული მონაცემების მიხედვით, ასეთი კლიმატური ხანმოკლე დათბობა მხოლოდ მეოთხე საუკუნის ბოლოს (სურ.18). მეხუთე და მეექვსე საუკუნეები ზოგადად, გრილი კლიმატით ხასიათდებოდა. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით წიწამურის სამარხი სწორედ მეოთხე საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს.

ბოლნისის სიონის სამარხი. იგი ქვაყუთია და 2011 წლის ზაფხულში გაითხარა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ეს ძველი თარიღდება VI საუკუნით. ბოლნისის სიონის სამარხის მასალა ანთროპოლოგიური და პალინოლოგიური კვლევისათვის არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ გადმოგვცა. შესწავლილია 5 ნიმუში. ანთროპოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ მიცვალებული მამაკაცია.

პალინოლოგიურ მასალაში აღმოჩენილმა მდიდარმა ზოოლოგიურმა მასალამ დაადგინა, რომ დაკრძალვა მოხდა ზაფხულში. განსაკუთრებით ბევრია ტკიპების მიკრონაშთები. ტკიპების აქტიური ფაზა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სწორედ შუა ზაფხულზე მოდის.

ქვაყუთის ძირი მოფენილი უნდა ყოფილიყო ხავსით., რადგან აქ ნაპოვნია უამრავი ხავსის ნაშთი. მიცვალებული დაასვენეს ამ რბილ ხავსიან „სარეცელზე“. აქაც,

¹ Kvavadze E., Rukhadze L., Nikolaishvili V. 2007. Pollen, seeds and flowers from Tsitsamuri Grave (IV-VI Cent. A.D., Environs of Tbilisi). Abstracts of 14-th Symposium of the International Work Group for Palaeoetnobotany, Krakow, 2007, p.146.; Kvavadze E., Rukhadze L., Nikolaishvili V., Mumladze L. 2008. Botanical and zoological remains from an early medieval grave at Tsitsamuri, Georgia. *Vegetation History & Archaeobotany*, 17(suppl.1):217-224.

² Kvavadze E., Rukhadze L., Nikolaishvili V., Mumladze L. 2008. Botanical and zoological remains from an early medieval grave at Tsitsamuri, Georgia. *Vegetation History & Archaeobotany*, 17(suppl.1):217-224.

³ Kvavadze E., Rukhadze L., Nikolaishvili V., Mumladze L. 2008. Botanical and zoological remains from an early medieval grave at Tsitsamuri, Georgia. *Vegetation History & Archaeobotany*, 17(suppl.1):217-224.

როგორც წინამურის სამარხში, მიცვალებული სელის ტექსტილის სუდარაში იყო გახვეული. მის ტანსაცმელზე ნაპოვნ ნაკელის სოკოს სპორები, ხორბლის მტვრის მარცვლები და ხორბლის სარეველების კომპონენტები იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებული ფერმერი იყო და მისი სიკვდილი უცარი უნდა ყოფილიყო.

ბოლნისის მიდამოებში მეექვსე საუკუნეში მიწათმოქმედება და მეცხოველეობა კარგად იყო განვითარებული. პალინოლოგიურ სპექტრებში ნაპოვნი ბზის, ლაფანის, გვიმრების, ნაძვის, ფიჭვის და ხავსების მიკროსკოპული ნაშთები საშუალებას იძლევა გამოითქვას აზრი, რომ იმ დროს აქ დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო და გრილი კლიმატი იყო, რასაც ისტორიული მონაცემებიც ადასტურებს (სურ.20). როგორც კლიმატური მრუდე გვიჩვენებს, ზუსტად მეექვსე საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი აცივებას.

ქ ი ნ ვ ა ლ ი ს სამარხი. №375. იგი თარიღდება V საუკუნის დასასრულით ან VI საუკუნის დასაწყისით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამარხი ქართლში არ მდებარეობს, ვთვლით საჭიროთ მისი კვლევის შედეგების განხილვას. მასალა მოპოვებულია უინვალისც წყალსაცავის აშენებამდე აქ ჩატარებული გათხრების დროს და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლექციებში ინახებოდა. პალინოლოგიური მეთოდის საანალიზოდ აღებულია სამარხიდან მოპოვებული დაწნული თმა და ტექსტილის ნარჩენი¹.


ნიმუში №1. მისი პალინოლოგიური სპექტრი მდიდარია, მტვრის მარცვლები გამოირჩევა კარგი დაცულობით, რაც ზოგადად ახასიათებს ქვა ყუთის სამარხის მასალას. განხილულ სინჯში დათვლილია 293 მტვრის მარცვალი, აქედან 135 მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს, 158 კი ბალახოვნებს. ნაპოვნი აგრეთვე 26 ტყის გვიმრის სპორა. ხეების მტვრის შორის ბევრია ფიჭვის და კაკლის მტვრის მარცვლები. მეორე დომინანტი თხილია. ნაკლებია რცხილის, წიფლის, მუხის, თელას, ცაცხვის, იფანი და მურყნის შემადგენლობა. ერთეული მტვრის მარცვლებით აღინიშნება მაღალმთის ტყის ელემენტები (ნაძვი, სოჭი და არყა).

ბალახოვანთა შორის ჭარბობენ ეზოს და ბაღების სარეველები. ესენია მრავალძარღვა, ვარდკაჭაჭა, ხვართქლა, ნაცარქათამა, ფარსმანდუკი და სხვა. აღინიშნება აგრეთვე ხორბლის მტვრის მარცვლები.


არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხების რაოდენობა 225-ია და იგი პალინომორფების 52%-ს შეადგენს. ჭარბობს ტექსტილის ბოჭკო. დათვლილია 88 აბრეშუმის ბოჭკო, 32 ბამბის და 8 სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სოკოს სპორები, განსაკუთრებით ბევრია ის სოკო, რომლებიც შინაური მცოხნელთა ცხოველების ნაკელზე იზრდებიან. არის აგრეთვე ფიჭვის და სხვა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. ნაპოვნი ტკიპების რამოდენიმე ჯაგრების მიკრონაშთები.

ნიმუში №2. მეორე ნიმუშში ნაპოვნია 143 მტვრის მარცვლები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თმის პალინოლოგიური სპექტრი შედგება მხოლოდ ბალახოვნების მტვრისაგან. დომინირებს სმირნა, მისი მტვრის მარცვლების რაოდენობა 48-ს აღწევს. სმირნა (*Smyrnium perfoliatum* -type) ეთერზეთოვანი მცენარეა, იგი მიეკუთვნება ქოლგოსნაირების ოჯახს, იზრდება მხოლოდ ტყის ზოლში დაჭაობებულ ადგილებზე.

¹ ჩიხლაძე ვ, ყვავაძე ე. 2011. უინვალის სამარხის 375 ქვის სამარხში აღმოჩენილი ქალის თავსამკაული, გარცხნილობა და ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევის შედეგები. ანალები, №7, გვ.455-473



სურ. №18. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით აღდგენილი კლიმატური ცვლილებების მრუდი IV საუკუნის II ნახევარში, როდესაც ადგილი ჰქონდა ხანმოკლე დათბობას (წითელი მრუდი)



სურ. №19. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით აღდგენილი კლიმატური ცვლილებების მრუდი VI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ადგილი ჰქონდა ხანმოკლე აციებას (წითელი მრუდი)

მის ფოთლებს და ფესვებს ძალზედ კარგი და სასიამოვნო სურნელი აქვს. ფოთლებში ზეთის შემადგენლობა მაღალია¹.

მეორე დომინანტი კი ჭინჭრის მტვერია. დათვლილა მისი 20 მტვრის მარცვალი. ბევრია სამყურას მტვერი. სარეველთაგან, ჭინჭრის გარდა კარგადაა წარმოდგენილი ნაცარქათამას და ავშნის მტვერი. ცოტაა ღიღილოს, ბაღბას, მრავალძარღვას და ნიახურის მტვრის მარცვლები. განხილულ პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილია 6 ხორბლის მტვრის მარცვალი. არის სხვა კულტურული და ველური მარცვლოვნების მტვერიც.

არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში დომინირებს მიცვალებულის თმის მიკრონაშთები. არის ტექსტილის ბოჭკოც. ჭარბობს სელის ბოჭკოს რაოდენობა. ბამბის და აბრეშუმის ქსოვილის მიკრონაშთების რაოდენობა ნაკლებია. ტკიპების და სხვა ზომამსალის ფოსილიები ცოტაა. არის რამოდენიმე ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები.

განხილული პალინოლოგიური სპექტრების ხასიათი საფუძველს იძლევა, რომ ნიმუში №1 ჩაითვალოს როგორც აბრეშუმის თავსაბურავის ნაშთი, რადგან მასში ძალიან ბევრია აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკო. სინჯში არსებული მცენარეთა მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა და მათი ტაქსონომიური სიმდიდრე იმის დასტურია, რომ თავსაბურავი ხანგრძლივ ხმარებაში უნდა ყოფილიყო. სწორედ ხმარებისას ტექსტილის ბოჭკოში გროვდება მცენარეთა მტვრის მარცვლები. შესაძლოა აბრეშუმი ხავერდოვანი იყო. ხავერდი მტვრის მარცვლებს უკეთესად იწებებს. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ ექსპერიმენტიც კი ჩავატარეთ. პალინოლოგიური ანალიზი ჩატარდა ორივე სახის აბრეშუმში. ხავერდოვან აბრეშუმის ტექსტილში მტვერი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ თხელ აბრეშუმში.

ტყის ელემენტების საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაწილეობა თავსაბურავის ბოჭკოებში დასტურია იმისა, რომ მიცვალებული სიკვდილამდე ხშირად დადიოდა ტყეში. მაგრამ, ის ფაქტი რომ გარდაცვლილის თმებში არანაირი ხე მცენარის მტვერი არ აღმოჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ მისი სიცოცხლის ბოლო მონაკვეთი ხანგრძლივი ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, როდესაც იგი სახლის ეზოს ვეღარ ცილდებოდა. თმების სპექტრში აღიბეჭდა მხოლოდ და მხოლოდ ეზოს სარეველები და ხორბლის ნათესების კომპონენტები, რომლებიც ალბათ, სახლთან ახლოს იყო.

რაც შეეხება ჭინჭრის მტვრის დიდ რაოდენობას, აქ ასეთ ვარაუდს ვაკეთებთ. ჭინჭარი არ იძლევა ბევრ მტვერს და მისი მტვრის მარცვლები არც თუ ისე კარგად ვრცელდება ჰაერში, ვერ ინახებოდა ნიადაგშიც. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, ჭინჭრის მტვრის მარცვლები თმებში მოხვდა, რადგან მისი ნახარშით მიცვალებულს სიკვდილამდე თავი დაბანეს. ცნობილია, რომ დღესაც საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში ჭინჭრის ნახარშ თმის დასაბანად და სამკურნალოდ ხმარობენ. ჭინჭარი თმების ძირებს ამაგრებს, რადგან იგი სამკურნალო მცენარეა და თმასაც არბილებს. მეხუთე საუკუნეში ჭინჭრის ეს თვისება იცოდნენ და ალბათ მიცვალებული თმის დასაბანად ამ მეთოდს ხმარობდა. ნახარშში კი მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა მიუთითებს რომ გარდაცვალება მოხდა ადრე გასაფხულზე, როცა ყვავილობს ჭინჭარი.

¹ Гроссгейм А.А.1946. Растительные ресурсы Кавказа. Изд. АН Азерб.ССР, Баку

რაც შეეხება იმდროინდელ დაკრძალვის ტრადიციებს, სმირნის და სხვა სურნელოვან მცენარეთა მტვრის დიდი რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ აქ, როგორც მთელ ახლო აღმოსავლეთში, მიცვალებულს აცხეს სურნელების ზეთი. შესაძლოა სმირნის ზეთში ის ტილოც დაასველეს, რომელშიც მიცვალებილი გახვეული უნდა ყოფილიყო. თმებში ნაპოვნი სელის ბოჭკო, ჩვენი ვარაუდით, წარმოადგენს დაშლილი სუდარის მიკრონაშთს. მაგრამ ბამბის ბოჭკო კი მოხვდებოდა მიცვალებულის ლოგინიდან, ან ტანსაცმლიდან.¹

პალინოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ჟინვალის მიდამოების ლანდშაფტებში არსებული 45 მცენარე. ამ მცენარეთა ეკოლოგია აჩვენებს, რომ მეხუთე საუკუნეში განხილულ ტერიტორიაზე კლიმატი დღევანდელთან შედარებით უფრო გრილი უნდა ყოფილიყო. კონკრეტულად ამის მაჩვენებელი ისაა, რომ დღეს აქ არ იზრდება ისეთი მაღალმთის კომპონენტები, როგორცაა სოჭი, ნაძვი და არყა. ბუნებრივ ტყეში თითქმის არ არის აგრეთვე ფიჭვი და ჟინვალის გარშემორტყმულ მთებში იზრდება ფართოფოთლოვნები, ძირითადად, მუხა და რცხილა.

რაც შეეხება ადამიანის აქტივობას, აქ განვითარებული იყო როგორც მიწათმოქმედება, ასევე მესაქონლეობაც. ძირითადად, ხორბალი ითესებოდა. მებაღეობა არ უნდა ყოფილიყო ცივი კლიმატის გამო. კაკალი და თხილი მხოლოდ ტყეში იზრდებოდა, ამაზე მათი მტვრის მარცვლების ძალიან პატარა ზომები მეტყველებს. კულტურული ფორმების მარცვლები გაცილებით დიდი ზომისაა. იმ შემთხვევაში თუ კაკალი და თხილი ეზოში იქნებოდა, მათი მტვერი მიცვალებულის თმაში აუცილებლად დაფიქსირდებოდა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თმაში არანაირი ხემცენარის მტვერი არ არის ნაპოვნი.

მიცვალებულის თავსაბურავი აბრეშუმის ქსოვილისგან იყო დამზადებული, რაზეც აქ ნაპოვნი აბრეშუმის ბოჭკოს დიდ რაოდენობას მიუთითებს. თავსაბურავი ნახმარი იყო.

დაკრძალვა აპრილის ბოლოს, ან მაისის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ამის დასტურია უხვად წარმოდგენილი ჭინჭრის და კაკლის მტვერი.

გარდაცვალების მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, რადგან მიცვალებულის თმის პალინოლოგიურ სპექტრში მხოლოდ ეზოს სარეველებია აღბეჭდილი.

მეხუთე საუკუნის ბოლოს და მეექვსეს დასაწყისში ჟინვალის რეგიონში დღევანდელთან შედარებით უფრო გრილი კლიმატი უნდა ყოფილიყო, რადგან აქ იზრდებოდა მაღალმთის ელემენტები. ესენია, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი და არყა. დღეს აქ მუხა და რცხილა დომინირებს, რომლებიც უფრო სითბო მოყვარულნი არიან. ისტორიული მონაცემების თანახმად უფრო საგრძნობი აცივება მეექვსე საუკუნის დასაწყისში იყო, მის პირველ 30 წლის მანძილზე (სურ. 19) და ამიტომ მართებულად მიგვაჩნია რომ სამარხი №375 დავათარილთ 500-530 წლით.

ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობაში მესაქონლეობას დიდი როლი უნდა ჰქონოდა, რაზეც პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნი იმ სოკოს სპორებია, რომლებიც იზრდება

¹ ჩიხლაძე ვ. ყვავაძე ე. 2011. ჟინვალის სამარხის 375 ქვის სამარხში აღმოჩენილი ქალის თავსამკაული, ვარცხნილობა და ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევის შედეგები. ანალები, №7, გვ.455-473

მცოხნელთა ნაკელში¹.

ჩ ა ი ლ უ რ ი ს ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. ეს სამარხები მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთთან და არქეოლოგიური მასალის მიხედვით, თარიღდება V-VII სს. აქ შესწავლილია 3 სამარხის მასალა. სამარხების პალინოლოგიური სპექტრების დეტალურმა აღწერამ გვაჩვენა, რომ სპექტრები სრულიად განსხვავდებიან დღევანდელ პალინოლოგიურ სპექტრებისგან. ვარდკაჭაჭასნაირები და სხვა ნესტის მოყვარე მცენარის მტვრის უხვი რაოდენობა, ტყის გვიმრების სპორების მუდმივი მონაწილეობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი კლიმატი გაცილებით უფრო ნოტიო უნდა ყოფილიყო. ნალექების წლიური ჯამი აქ თუ ეხლა აღწევს 700 მმ-ს, ადრეშუასაუკუნეების დასაწყისში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 900-1000 მმ იქნებოდა. ტყის ფართობები, დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი იყო და იქ ფიჭვის, წიფლის, მუხის, თელას, ცაცხვის და რცხილის გარდა, იზრდებოდა ისეთი მეზოფილური მცენარე, როგორცაა მაგალითად მურყანი და ძელქვა. დღეს აღნიშნული ხემცენარეები იგრის ზეგანზე აღარ იზრდება. მურყანი აღმოსავლეთ საქართველოში იზრდება ლაგოდესში, ალაზნის ველზე და კავკასიის სამხრეთ კალთების ხეობებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 1000 მმ და მეტია.


რაც შეეხება ბალახოვნებს, სამარხებში კარგად აისახა ის სარეველა მცენარეები, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან ან სამეურნეო მოღვაწეობის ადგილებში იზრდებოდა. ეზოს სარეველების მტვრის დიდი რაოდენობა მეტყველებს, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე ჩაიღურის ციხის ირგვლივ საკმაოდ მაღალი იყო. მიწათმოქმედება ძალიან კარგად იყო განვითარებული და მას პირველი ადგილი ეკავა. ითესებოდა ხორბალი და სხვა სათესი ჯიშები, ადამიანი აქ მაშინაც ვაზს და ბაღებს აშენებდა. მეცხოველეობაც განვითარებული უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს საძოვრების სარეველების არსებობა განსაკუთრებით მესამე სამარხში და ნაკელის სოკოს მნიშვნელოვანი მონაწილეობა განამარხებულ პალინოლოგიურ სპექტრების უმეტეს ნაწილში.

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები და მათი რაოდენობა იძლევა უაღრესად საინტერესო და უნიკალურ ინფორმაციას ბევრი არქეოლოგიური საკითხის გადასაწყვეტად. ეს, პირველ რიგში, დაკრძალვის ტრადიციებს ეხება. უამრავი რაოდენობის ხის მერქნის უჯრედების აღმოჩენა სამარხის იატაკიდან აღებულ ნიმუშებში შესაძლოა მიუთითებდეს სარეცლის არსებობაზე. მაგალითად, მესამე სამარხის თავის ქალას და ფეხებთან ხის მერქნის უჯრედების რაოდენობა სპექტრის თითქმის 50% შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობა არის პირველ სამარხში, სადაც ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედების პროცენტული შემადგენლობა საკმაოდ დიდ მაჩვენებლებს აღწევს.


N^o1 სამარხში აღმოჩენილი ფუტკრის უამრავი ბუსუსი და თაფლოვანი მცენარეთა მტვრის მარცვლები გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებული ბალზამირებული იყო თაფლის ან ცვილის გამოყენებით (სურ.. 20, 21) ფუტკრის ბუსუსების მაქსიმალური რაოდენობა აღმოჩნდა კისრის და გულმკერდის არეში, შესაძლოა, რომ აღნიშნულ ადგილებზე

¹ Van Geel, B. (1978). A palynological study of Holocene peat bog sections in Germany and the Netherlands, based on the analysis of pollen, spores and macro- and microscopic remains of fungi, algae, cormophytes and animals. Review of Palaeobotany and Palynology, 25, 1-120.; Van Geel, B., Bohncke, S.J.P. and Dee, H. (1980/1981). A palaeoecological study of an Upper Late glacial and Holocene sequence from "De Borchert", the Netherlands. Review of Palaeobotany and Palynology, 31, 367-448.; Van Geel, B., Aptroot, A. (2006). Fossil ascomycetes in Quaternary deposit. Nova Hedwigia, 82, 3-4, 313-329.

ჩაილური, სამარხი № 1 (NPP)



სურ.№20. ჩაილური, სამარხი №1, პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ნაშთები.



სურ.№21. ჩაილური, სამარხი №1, კისრის არეში ნაპოვნი ფუტკრის ბუსუსები, რომელიც თაფლის ან ცვილის ბალზამის კვალია.

ბალხამის ყველაზე დიდი ფენა იყო წასმული.

პირველ სამარხში აღმოჩენილი ტკიპების ნაშთების დიდი რაოდენობა საფუძველს იძლევა დავასკვნათ რომ დაკრძალვა შუა ზაფხულში მოხდა, როდესაც ტკიპები არიან აქტიურ გამრავლების ფაზაში. ამის მეორე არგუმენტიც არსებობს. პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს იმ ბალახოვანთა მტვერი, რომლებიც ზაფხულის შუა ნაწილში ყვავილობენ. ამის მაგალითია თავად ვარდკაჭაჭასნაირები. №3 სამარხის მიცვალებულიც წლის თბილ პერიოდში დაიკრძალა, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო უფრო გვიანდელი გაზაფხული ან ადრინდელი ზაფხული. ამ ფაქტს ადასტურებს მიცვალებულების სამოსიც. ორივე მიცვალებულს ეცვა სელის ტანსაცმელი. ბამბის ტექსტილი უფრო სუდარასთვის იყო გამოყენებული, რადგან ბამბის ბოჭკოს უმეტესი ნაწილი უფერული იყო, სელის კი შეღებილი. პირველ სამარხში ნაპოვნია აბრეშუმის 2 ბოჭკოც. შესაძლოა რომ სუდარა იყო ნაქარგი აბრეშუმის ძაფით, რადგან მამაკაცს აბრეშუმის სამოსს, ჩვენი ვარაუდით, ვერ ჩააცმევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ შალის ბოჭკო ორივე სამარხში თითო ეგზემპლარი შეგვხვდა, და ამიტომ ტანსაცმელი შალის არ უნდა ყოფილიყო.

მუცლის არეში ნაპოვნი პარაზიტული ჭიების კვერცხები (სურ.22), ასკარიდის და სხვა უცნობი სახეობის) მოწმობს ჰელმინთოზების ფართო გავრცელებას. ეს კი ხდება მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში და ჰელმინთოზების არსებობა ჩვენს მიერ პალეოკლიმატური სწორი რეკონსტრუქციის კიდევ ერთი არგუმენტი.

მიცვალებულების მუცლის ღრუში ნაპოვნი უამრავი მცენარეული საკვების მიკრონაშთები მიუთითებს, რომ ორივე შემთხვევაში სიკვდილი იყო უეცარი. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თავის ქალას ქვეშ აღმოჩენილია უამრავი როგორც ველური, ასევე კულტურული ლანდშაფტების მცენარეების მტვერი, რომლებიც ადამიანის თმაში გროვდება მისი მოღვაწეობის დროს. შემდგომ, თავის ქალას ქვეშ, თავად თმის ნაშთები, როგორც წესი, იშლება და მტვრის მარცვლები კი სამუდამოდ ინახება და რჩება, როგორც ადამიანის გარემოში საქმიანობის კვალი.

რაც შეეხება სამარხების დათარიღებას, ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, მიეკუთვნება V-VII საუკუნეებს. პალინოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა დავაკონკრეტოთ ეს თარიღი. განხილული საუკუნეების კლიმატური მრუდების ანალიზი აჩვენებს, რომ ნოტიო და თბილი კლიმატი არსებობდა გლობალური ისტორიული მონაცემთა მიხედვით მეშვიდე საუკუნის დასაწყისში ანუ 615-625 წლების მონაკვეთში (სურ. 23). გამართლებული იქნება, თუ ჩვენ ამ თარიღს დავეყრდნობით. სწორედ ამ რბილ კლიმატურ პირობებში, როდესაც არ იყო გვალვა და ყინვა, იმდროინდელ მოსახლეობას შეეძლო მძლავრი მიწათმოქმედების განვითარება და გაძლიერება. მეცხოველეობა და მეფუტკრეობაც კარგად უნდა ყოფილიყო განვითარებული, რაზეც პალინოლოგიურ სპექტრებში ნაკელის სოკოს სპორები და თაფლის ნაშთები მეტყველებს (სურ. 20,21).

წ ა ვ კ ი ს ი ს ჭრილი მდებარეობს 120-90 სმ სიღრმეზე¹. ეს არის T-8 პალინოლოგიური ზონა. როგორც პალინოლოგიური დიაგრამა გვიჩვენებს, T-8

¹ Connor S.,Kvavadze E. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000. Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological series B, vol.3, No 4, pp.64-76.; Connor S., Kvavadze E., Thomas I. 2007. Holocene vegetation changes in the Caucasus Mountains: climate of human? Quaternary International Congress 167-8, 2007,p.76.

ზონისთვის დამახასიათებელია ხემცენარეთა მტვრის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. განსაკუთრებით კი რცხლისა და მუხისა. პალინოლოგიურ სპექტრში კლებულობს აგრეთვე ყველა სხვა სითბომოყვარული ხემცენარეს როლი. ეს პროცესი კარგად ჩანს ძელქვის, ივნის და ზეთისხილის მრუდეებზე. მაგრამ T-8 პალინოლოგიურ ზონის ზედა ნაწილი, რომელიც ჩვენი ვარაუდით მიეკუთვნება ადრე შუასაუკუნეების მეორე ნახევარს, ხასიათდება სითბომოყვარული ელემენტების როლის განმეორებითი მატებით. მაგალითად მკვეთრად იზრდება წაბლის და ძელქვის მტვრის რაოდენობა.

ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ჭრილი. ბაზალეთის ფსკერზე გაბურღულ მასალაში ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება თიხების შრე, რომელიც მდებარეობს 115-98 სმ სიღრმეზე¹. გამოყოფილი ფენის ქვედა ნაწილი ხასიათდება სოჭის, ნაძვის, არყის და ფიჭვის მტვრის შედარებით მაღალი შემცველობით, რაც გრილი კლიმატური არსებობის ნიშანია. ამ ნაწილში ყველა სითბომოყვარული ფართოფოთლოვანი მცენარეების მტვრის როლი მცირდება. ეს კარგად აისახება მუხის, რცხილას, თელას, წაბლის და ძელქვას მრუდეებზე. ჩვენს მიერ აღნიშნული შრის ზედა ნაწილი ხასიათდება მუხის, რცხილას და სხვა სითბომოყვარული ხემცენარის მტვრის რაოდენობის მკვეთრი მატებით. პალინოლოგიურ სპექტრებში წიწვოვნებისა და არყის როლი საგრძნობლად კლებულობს. მაშასადამე, ზემოაღნიშნული ფაქტიური მასალიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრე შუასაუკუნეების დროს ქართლის ტერიტორიაზე კლიმატური პირობები არაერთხელ შეიცვალა. შესაბამისად, იცვლებოდა ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობაც. ცხოვრების წესი ქართლის ტერიტორიაზე და მის მოსაზღვრე რეგიონებში თითქმის არ განსხვავდებოდა.




განვითარებული შუასაუკუნეები (10-14 სს). ქართლის ტერიტორიაზე განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლები პალინოლოგიური მეთოდით სუსტადაა შესწავლილი. ამ დროის პალინოლოგიური სპექტრები მოცემულია მხოლოდ არსებულ გეოლოგიურ ჭრილებში, მაგრამ მეზობელ რეგიონებში არსებობს რამოდენიმე არქეოლოგიური ობიექტი, სადაც ჩატარებულია განვითარებული შუასაუკუნეების მასალის პალინოლოგიური კვლევა. ესენია აწყურის ნავენახარი და ბეთლების მონასტერი².

ბ ე თ ლ ე ბ ი ს (*სტეფანწმინდის*) მონასტერი. ეს მონასტერი, რომელიც ბეთლემის ქედის (ხევი, სტეფანწმინდის რაიონი) ფერდობზე გამოკვეთილ გამოქვაბულშია, აღმოჩენილი და პირველად შესწავლილი იქნა 1948 წელს³. ბეთლემს მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”. შემდგომ პერიოდში (1970-წლების გათხრების დროს) მასალა მოპოვებული და დაცული იყო არქეოლოგ ბაადურ მჭედლიშვილის მიერ. ეს პირადი კოლექცია მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცა პარმენ მარგველაშვილს, რომელმაც 2007 წელს პალინოლოგიური კვლევის ჩასატარებლად წარმოადგინა ბეთლემის მონასტრიდან მოპოვებული სქელი სანთელი და ხის დიდი ჯვარი. ჯვრის ნაპრალში


¹ Kvavadze E.V., Connor S.E. 2005. Zelkova carpinifolia (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, 69-89.

² Kvavadze E., Licheli V., Margvelashvili P. 2011. Climatic optima in the mountains of Georgia during Middle Age: results of palynological investigation of Navenakhari settlement and Betlemi monastery. Abstracts of 18 Congress of INQUA, Bern.


³ Джапаридзе А.Б. 1948. Тайна пещеры Бетлемию В кн. Победенные вершины. Москва.



სურ №22. ჩაიღური, სამარხი №3, მუცლის არეში აღმოჩენილი მცენარეთა მტკერი და პარაზიტული ჭიის ასკარიდის კვერცხები: 1-გვიმრა გველის ენას სპორა; 2-ფიჭვი; 3-რცხილა; 4-ძელქვა; 5-ცაცხვი; 6-მუხა; 7-თხილი; 8-მურყანი; 9-10-ასკარიდის კვერცხები



სურ. №23. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით აღღგენილი კლიმატური ცვლილებების მრუდი VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ადგილი ჰქონდა ხანმოკლე, მაგრამ ძლიერ დათბობას (წითელი მრუდი)



სურ. №24 ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით აღღგენილი კლიმატური ცვლილებების მრუდი X-XI საუკუნეებში, როდესაც ადგილი ჰქონდა “შუა საუკუნეების ანომალურ დათბობას” (წითელი მრუდი)

ჩარჩენილი იყო ცვილის წვეთების გროვა, რამაც საშუალება მოგვცა სანთლის გარდა ჩაგვეტარებინა ჯვრის ცვილის პალინოლოგიური ანალიზი.

უძველესი ცვილის სანთელი უნიკალური აღმოჩნდა, რომელშიც პატრუქად გამოყენებული იქნა ბალახოვანი მცენარის ღეროები. პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სანთლის პატრუქი მდელოს წივანას ღეროსგან იყო დამზადებული, რადგან ნაპოვნია მდელოს წივანას მტვრის მარცვლები, მისი ღეროს გამტარი უჯრედები, ეპიდერმისი და ფიტოლიტები. მდელოს წივანა (*Festuca pratensis*), იზრდება ტყის პირა მდელოებზე, იგი მაღალი მცენარეა (80-120 სმ) და მის ღეროს ვერც ქარი და ვერც თოვლის სიმძიმე ერევა¹. მისი ღერო არ იმტვრევა, რაც ხშირად განლაგებული მუხლებითაა განპირობებული. ალბათ, აღნიშნული თვისებების გამო, სანთელში გამოყენებულია მდელოს წივანა. ესენია: გრძელი ღერო, კარგი გამტარიანობა და ღეროს სიმაგრე.

სანთელში აღმოჩენილი მდელოს წივანას ღერო და ფოთოლი, გვაფიქრებინებს, რომ X-XI საუკუნეებში, რომლითაც თარიღდება გამოქვაბულში მდებარე სამონასტრო კომპლექსი, ტყის ზედა ზოლი მონასტრის ტერიტორიიდან არც თუ ისე შორს უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი თბილი კლიმატი იქნებოდა, გაცილებით უფრო თბილი, ვიდრე დღევანდელი.

რაც შეეხება ხის ჯვარში აღმოჩენილ ცვილს იგი სხვა ტიპის სანთლის ნამწვავი უნდა ყოფილიყო. სანთელში პატრუქი ჩვეულებრივი ნართის იყო. ნართი კი შედგებოდა ძირითადად სელის ძაფებისგან. ბამბა იყო ცოტა, როგორც შენარევი. ეს დასკვნა ეფუძნება ჯვრის ცვილში აღმოჩენილ უამრავი სელის ბოჭკოს ნაშთებს.

წივანას პატრუქიან სანთლის ცვილში აღმოჩენილი მტვერი მიეკუთვნება თაფლოვან მცენარეთა ჯგუფს, რომლებიც დღეს იზრდება ალპური მდელოების შუა და ქვედა ნაწილში. მაგალითად, სამყურა, ღიღილო, შროშანი, კატაპიტნა, მაჩიტა, ფურისულა და სხვა². მათი მტვრის მარცვლები კი ფუტკარმა შეაგროვა და თავისი კვალიც დატოვა, რადგან ცვილში ნაპოვნია ფუტკრის ბუსუსები. აღმოჩენილი ბუსუსები ნამდვილად რომ ფუტკრისაა ადასტურებს დღევანდელი ფუტკრის ბუსუსების კვლევის შედეგები³. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ თაფლის პროდუქტს, როგორც დღევანდელს, ისევე განამარხებულს, ახასიათებს ფუტკრის ბუსუსების ნაშთების არსებობა და ეს კარგი ინდიკატორია ამ პროდუქტების გამოვლენისთვის ნებისმიერ არქეოლოგიურ მასალაში⁴.

რადგან წივანას პატრუქიან სანთელში არ არის ნაპოვნი არც ერთი ხემცენარეს მტვერი ან ისეთი სარეველა, რომელიც ადამინს მისდევს და იზრდება ნათესებში, ბილიკებთან ან ეზოებში, რაც გვაფიქრებინებდა, რომ ცვილი დაბლობიდან მოჰქონდათ, ჩვენ შემდეგნაირი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. მონასტერში ბერები თვითონ

¹ კეცხოველი ნ. 1959. საქართველოს მცენარეული საფარი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

² Nakhutsrishvili G., Abdaladze O., Kikodze A. 2005. Khevi, Kazbegi reguion. Tbilisi.

³ Kvavadze E. 2008. Non pollen palynomorphs as an important object for solution of archaeological problems. Abst.of workshop "Quaternary Non-Pollen-Palynomorphs", Padova, pp.1-3.

⁴ Kvavadze E. 2008. Non pollen palynomorphs as an important object for solution of archaeological problems. Abst.of workshop "Quaternary Non-Pollen-Palynomorphs", Padova, pp.1-3.

ზრდიდნენ ფუტკარს და იყენებდნენ როგორც თაფლს ისევე ცვილს. მეფუტკრეობა კი 4100 მ სიმაღლეზე მხოლოდ თბილი ზაფხულის კლიმატურ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

მაგრამ ჯვრის ნაპრალის ცვილში აღმოჩენილ მცენარეთა მტვრის კომპლექსში ნაპოვნია არყის (*Betula*), ფიჭვის (*Pinus*) მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) და კაკლის (*Juglans regia*) მტვერი. გარდა ამისა განხილულ ნიმუშში აღინიშნება ადამიანის ეზოს სარეველები: ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*); ავშანი (*Artemisia*); ფარსმანდუკი (*Achillea*). ეს კი იმის ნიშანია, რომ ფუტკარი, რომლის პროდუქტი შესწავლილი ცვილია, დასახლებულ ადგილას უნდა ყოფილიყო, სადაც მისი მოშენება ხდებოდა. ვფიქრობთ, რომ ხის ჯვარში ნაპოვნი ცვილი იმ სანთლის ნაწილია, რომელიც დასახლებულ ადგილას მზადდებოდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ამ ნიმუშშია ნაპოვნი აბრეშუმის ტექსტილის ბოჭკო, რაც ქალის ტანისამოსიდან მოხვედებოდა. გარდა ამისა, აქ ნაპოვნია ნაკელის სოკოს სპორები, ცხვრის და ძაღლის ბეწვი, რაც დამახასიათებელია ადამიანის საცხოვრებელი ადგილების პალინომორფების კომპლექსისათვის.

მონასტერში დამზადებულ წივანას პატრუქიან სანთელში აბრეშუმის ბოჭკო არ არის. არ აღინიშნა, აგრეთვე, ძაღლის ბეწვი, ნაკელის სოკო და სხვა. სამაგიეროდ ბევრია შავი ფერის ტექსტილის (ბამბა და სელი) ბოჭკო, რაც ბერების სამოსიდან მოხვედებოდა, რადგან წივანას სანთელს აქვე, მონასტერში, ბერები თავად ამზადებდნენ.

კლიმატური დათბობა დასტურდება ჯვრის სინჯის ცვილში კაკლის მტვრის მარცვლების და ცაცხვის მერქნის უჯრედების აღმოჩენით. კაკალი და ცაცხვი იზრდებოდა ქვედა სატრყელში, სადაც მოსახლეობას ცხოვრება შეეძლო. უფრო მაღალ სიმაღლეებზე ფიჭვის, არყის, მაღალმთის მუხის და ღვიის ტყე ვრცელდებოდა. ჯვარი, რომელიც ღვიის სქელ, მონოლითური მერქნისაგანაა დამზადებული, ადგილობრივი უნდა იყოს და მისი ზომები ადასტურებს კარგი კლიმატურ პირობების არსებობას. სხვა შემთხვევაში ღვია ვერ მიაღწევდა დიდ ზომებს.

ადრე შუასაუკუნეების მეორე ნახევარში და განსაკუთრებით კი X-XI საუკუნეებში საქართველოს მთიან ბევრ რეგიონებში პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე კლიმატის დათბობა აღინიშნება¹. როგორც ქართლში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, ეს მძლავრი დათბობა ქართლის და კოლხეთის დაბლობში უფრო მკაფიოდაა გამოხატული. იგი დაიწყო მერვე საუკუნის ბოლოს, რაც ასევე ბაგრატის ტაძრის მასალამ აჩვენა (ბითაძე და სხვ. 2010) და გრძელდებოდა X-XI საუკუნეებში (სურ.24). დათბობა ამ დროს გლობალურ ხასიათს ატარებდა და ფიქსირდება ახლოაღმოსავლეთის და ევროპის როგორც მთიან ისე დაბლობ რეგიონებშიც².

¹ Kvavadze E.V., Connor S.E. 2005. *Zelkova carpiniifolia* (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany & Palynology*, 133, 69-89.; Connor S.E. 2011. A promethean legacy: Late Quaternary vegetation history of Southern Georgia, the Caucasus. *Ancient Near Eastern Studies, Supplement 34*, 384 p.; Connor S., Kvavadze E. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological series B*, vol.3, No 4, pp.64-76.; Connor S., Kvavadze E., Thomas I. 2007b. Holocene vegetation changes in the Caucasus Mountains: climate of human? *Quaternary International Congress* 167-8, 2007, p.76.

² Ле Руа Ладюри Э. 1971. История климата с 1000 года. Гидрометеониздат, Ленинград.; Holzhauser H. 1984. *Zur Geschichte des Aletschgletschers und des Fieschergletschers. Physische Geographie* 13, Geographisches Institute der Universitat Zurich. ;

აღნიშნულ დათბობას ლიტერატურაში უწოდებენ - “შუასაუკუნეების კლიმატური ანომალიას”¹, როდესაც დაბლობ ადგილებზე კლიმატი ცხელი იყო, მთებში კი თბილი და ნაკლებად მშრალი. სწორედ ასეთ თბილ კლიმატურ პირობებში 4100 მეტრის სიმაღლეზე ბეთლემის მონასტრის ბერებს იქ ცხოვრება შეეძლოთ.

ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ შ ი და ა წ ყ უ რ შ ი ჩატარებულმა პალინოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მორიგ კლიმატურ დათბობას ადგილი ჰქონდა XIII საუკუნის ბოლოს და შემდგომ სამ საუკუნეში². როგორც ქვემო ქართლში, ასევე მესხეთში 1200-1400 მეტრზე და უფრო ზევით, ცაცხვის, ქაცვის, ხეჭრელიც და ჯაგრციხის არსებობა ტყეში იმაზე მეტყველებს, რომ აქ დღევანდელთან შედარებით გაცილებით თბილი კლიმატი უნდა ყოფილიყო. თბილი კლიმატის არსებობის დასტურია აგრეთვე გვიმრა გველის ენის, ტაბელას, კილაშუარას სპორების აღმოჩენა. ყველა ჩამოთვლილი მცენარე დღეს იზრდება მხოლოდ ტყის ქვედა ზოლში და 700 მ ზემოთ არ იზრდება³. დღეს მაღალმთაში ვერც ვაზი ხარობს. სწორედ თბილმა კლიმატმა ხელი შეუწყო აწყურში მევენახეობის მძლავრ განვითარებას. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მეცამეტე საუკუნეში მევენახეობის აღორძინება მოხდა ინგლისშიც⁴.

აწყურში ზეთისხილის კულტურაც თბილი კლიმატის გარეშე ვერ მოხდებოდა⁵. ზეთისხილი საქართველოში პალინოლოგიური მონაცემების თანახმად, ანტიკური ხანიდანაა ცნობილი⁶. ბერძნების მიერ შემოტანილი ამ მცენარის პლანტაციები იზრდებოდა როგორც დასავლეთ, ასევე სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში⁷. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს მომხდარმა ანომალურმა აციებამ საბოლოოდ გაანადგურა მევენახეობა არა მარტო აწყურში. აციება გლობალური და ხანმოკლე იყო. 1675-1715 წლებში ამ ძლიერმა აციებამ თითქმის მთელი ევროპა მოიცვა⁸. ამ დროს

Grove J.M. 1997. The spatial and temporal variations of glaciers during the Holocene in the Alps, Pyrenees, Tatra and Caucasus. In: B. Frenzel (ed). *Paleoklimaforschung/Palaeoclimate Research*, Gustav Fischer Verlag, Stuttgart-Jena-Lubeck-Ulm, pp.95-103.; Komitov B.P. 2005. Sun, climate and their chance in time. *Nauka* (Bulgaria), No 6:28-39.; Komitov B.P. 2005. Sun, climate and their chance in time. *Nauka* (Bulgaria), No 6:28-39.; Ramezani E., Mohamad R., Mohadjer M., Knapp H-D., Ahmadi H., Joosten H. 2008. The Late-Holocene vegetation history of the Central Caspian (Hyrceanian) forest of northern Iran. *The Holocene*, 18.2, pp.307-321.

¹ Bradley R.S., Briffa K.R., Cole J.E., Hughes M.K., Osborn T.J. 2003a. The climate of the last millennium. In: *Paleoklimat, global change and the future*. Springer-Verlag, pp.105-141.; Bradley R.S., Hughes M.K., Diaz H.F. 2003b. Climate in medieval time. *Science* 302, pp.404-405.

² ყვააძე ე., ლიხელი ვ. შუასაუკუნეების აწყურის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია*, №1, 2009, გვ. 69-78.

³ კეცხოველი ნ. 1971. საქართველოს ფლორა, ტომ. 1. მეცნიერება, თბილისი.

⁴ Utterstrom G. 1955. Climatic fluctuations and population problems in early modern history. *The Scandinavian Economic History Review*.

⁵ ყვააძე ე., ლიხელი ვ. შუასაუკუნეების აწყურის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია*, №1, 2009, გვ. 69-78.

⁶ Connor S., Kvavadze E. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological series B*, vol.3, No 4, pp.64-76.

⁷ კეცხოველი ნ. 1959. საქართველოს მცენარეული საფარი. საქსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

⁸ Ле Руа Ладюри Э. 1971. История климата с 1000 года. Гидрометеиздат, Ленинград.; Квavadze Э.В., Рухадзе Л.П. 1989. Растительность и климат голоцена Абхазии. Тбилиси, Мецниერება.; ⁸ Frenzel B (ed.). 1994. Climatic trends and anomalies in Europe 1675-1715. Special Issue: ESF Project “European Palaeoclimate and Man” 8, vol.13, Gustav Fischer Verlag, Stuttgart, Jena, New York.

მევენახეობა მთლიანად გაჩანაგდა ინგლისში და გერმანიაში¹. ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში არ იყო ხორბლეულის მოსავალი და სამხრეთში კი ხორბლის ფასმა ამ დროს ძლიერ აიწია².

კავკასიის მთებში ყინულის ფართობმა იმატა და ბევრმა მათგანმა დაიწყო სვლა დაბლობისკენ³. XVII საუკუნის ბოლოს საქართველოს ყველა რეგიონში მოხდა აციება. მაგალითად, ლისის ტბის მიდამოებში პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ამ აციების დროს ნაძვის ტყე იზრდებოდა⁴. ტყის ზედა ზოლმა ქვემოთ დაიწია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთებში. აწყურში კი საბოლოოდ განადგურდა ზეთისხილი და ვაზი. შემდგომში აქ ამ ორი კულტურის წარმოება დიდი მასშტაბებით ვეღარ მოხერხდა.

ზოგადი დასკვნები. ამრიგად, ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა საკმაოდ მდიდარმა არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის აღმოცენებისას და მისი გავრცელებისას აქ ყველაზე ოპტიმალური კლიმატური პირობები იყო. დღევანდელთან შედარებით, გაცილებით თბილი და ნოტიო ჰავა ხელს უწყობდა მძლავრ მიწათმოქმედების და სხვა დარგების განვითარებას. სწორედ ამ დათბობის განმავლობაში მოხდა რეგიონის მაღალმთის ათვისება. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის პლატოებზე მებაღეობა და მევენახეობა გავრცელდა 1800-2000 მეტრის სიმაღლეებზე. განხილულ ტერიტორიაზე ამ დროს ტყეში წაბლი იზრდებოდა, რაც წარმოუდგენელია თბილი და ნოტიო კლიმატის გარეშე. მეზობელ რეგიონებში, მთების უფრო მაღალ ადგილებზეც მიწათმოქმედება სწრაფად განვითარდა. ჭობარეთის და თისელის სერის ძეგლებზე ჭურჭლის და ხელსაფქვავის ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილია ხორბლის, ქერის, შერის, ჭვავის და ფეტვის მტვრის მარცვლები. ნაპოვნია კულტურული ვაზის, კაკლის და თხილის მტვერი, რაც მებაღეობის და მევენახეობის განვითარების დასტურია. აღნიშნული მაღალი მთების ბუნებრივ ლანდშაფტებში იზრდებოდა ცაცხვის, მუხის, რცხილის, ძელქვის ტყეები, რაც შესაძლებელია მხოლოდ თბილ და ნოტიო კლიმატურ პირობებში. აქ, ამ დროს განვითარდა მეფუტკრეობაც. როგორც ქართლში, ასევე ბევრ სამხრეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ადრე ბრინჯაოს პერიოდში მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ადრებრინჯაო ხანის დიეტას, იგი ხორცის გარდა, ხორბლეულისაგან შედგებოდა. ადამიანი ჭამდა თხილს, კაკლს, ხილს, უამრავ მხალეულას. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს და გვიანბრინჯაოშიც ჭურჭლის ძირში, როგორც უკვე აღინიშნა, არაერთხელ ნაპოვნია ჯინჯრის, ნაცარქათამას და ბაღბის მტვრის მარცვლები.

შუაბრინჯაოს კლიმატურმა აციებებამ, რომელიც რადიოკარბონული თარიღების მიხედვით მოხდა დაახლოებით 4500 წლის წინ, ხელი შეუშალა და შეანელა მიწათმოქმედების განვითარება მაღალმთაში.

¹ Ле Руа Ладюри Э. 1971. История климата с 1000 года. Гидрометеиздат, Ленинград. 13-14

² Ле Руа Ладюри Э. 1971. История климата с 1000 года. Гидрометеиздат, Ленинград. 14

³ Гобеджишвили Р.Г. 1989. Ледники Грузии. Мецниереба, Тбилиси

⁴ Квавадзе Э.В. 1999. Голоценовые колебания уровня озера Лиси и изменения положений нижней границы леса. В кн. Г.Мчедлидзе (ред.) Проблемы палеобиологии, том.1, Мецниереба, Тбилиси, стр.75-87.

მორიგი კლიმატური დათბობა ემთხვევა თრიალეთის კულტურისა და ანტიკური ხანის დასაწყისს, როდესაც მიწათმოქმედება ხელახლა მძლავრდება როგორც ბარში, ასევე მთის რეგიონებში. მაგრამ აღნიშნული დათბობა არ იყო ისეთი მძლავრი, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების დროს.

თითქმის ყველა პერიოდში სიკვდილიანობა უფრო მაღალი იყო ზამთარში. სამარხებიდან მოპოვებულმა მასალამ, აგრეთვე აჩვენა, რომ კლიმატური დათბობების და ნესტის მატების დროს მოსახლეობა მეტად ავადდებოდა ჰელმინტოზებით (პარაზიტული ჭიებით), რაც დასტურდება ჩონჩხის მუცლის არეში ნაპოვნი პარაზიტული ჭიის კვერცხებით. საინტერესოა, რომ ბრინჯაოს პერიოდში გავრცელებული იყო ღორის სოლიტერი. ასკარიდოზის და ტრიხურას პირველი კვალი ჩნდება ადრე შუასაუკუნეებში.

ბრინჯაოს პერიოდში მიცვალებულს ჩაცმულს კრძალავდნენ. გამოიყენებოდა სუდარა. აღსანიშნავია, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდში ქალებსა და გოგონებს თავსაბურავით მარხავდნენ. ძვ.წ. XV-XIV სს ხმარებაში შემოდის ბამბის ქსოვილი. იქამდე კი უმეტესად გამოიყენებოდა სელის და შალის ტექსტილი.

რაც შეეხება აბრეშუმს, ქართლის ტერიტორიაზე ამ ქსოვილის ნაშთები დედოფლის მინდვრის პირველი საუკუნის ფენებშია აღმოჩენილი.

ძალზედ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბრინჯაოს პერიოდში ყვავილებით მეტწილად ქალის სამარხებს რთავდნენ.

უძველესი დროიდან ადამიანმა უამრავი სამკურნალო მცენარეები იცოდა. ამის ნათელი მაგალითია მიცვალებულის მუცლის და კბილების არეში აღმოჩენილი ისეთი, დღესაც ცნობილი, სამკურნალო საშუალება, როგორცაა ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ღვია, ცაცხვი და სხვა. პარაზიტული ჭიებით დაავადებებს ადამიანი მაშინაც გვიმრების ნაყენით კურნავდა. იცოდა ღვინის (ან ძმრის) და ვაზის ფოთლის სამკურნალო თვისებებიც.

თავი VII

ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, განსახლება და დინამიკა

მიუხედავად იმისა რომ საქართველო თავისი ტერიტორიის ფართობით პატარა ქვეყანაა, ხოლო მისი მოსახლეობა კი 4 მილიონს აჭარბებს, მაინც მის შიდა რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობრივ-თვისებრივი ცვლილებები ერთგვაროვანი არ არის, რადგან მეტად მრავალფეროვანია ის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა ზეგავლენითაც მიმდინარეობს დემოგრაფიულ პროცესები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადავწყვიტეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის - ქართლის მოსახლეობის ისტორიულ-დემოგრაფიული შესწავლა. ადრეულ საუკუნეებში არა თუ ქართლის რეგიონის არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა როგორც საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების სტატისტიკური მასალის, ასევე ქართლის რეგიონში ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის გზით მიღებული მასალების ანალიზს.

შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და გაანგარიშებების საფუძველზე შესწავლილია შიდა და ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და განსახლება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაბერება, მიგრაციული პროცესები, კვლავწარმოებისა და მისი დინამიკის საკითხები. გაანალიზებულია შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების სფეროში არსებული ვითარება და ტენდენციები. სტატისტიკური მასალის ანალიზი მოიცავს 1990-2008 წლების პერიოდს.

1. ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, განსახლება

მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ევოლუციის ანალიზი ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით შესაძლებელია XIX საუკუნის დასაწყისიდან, ანუ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს არავითარი მასალა უფრო ადრინდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, თუმცა ის სრული არა არის და ეხება საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობას. ხალხისა და მისი ქონების აღწერაზე მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი თავის წინასიტყვაობაში, რომელიც წაუმძღვარა ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების“ პირველ წიგნს.¹ იგი წერს, რომ დავითისა და თამარის მოწესრიგებულ სამეფოში ხალხის აღწერაობა წარმოუდგენილია. „უფრო მეტიც, ერთ ძველ ქართულ წყაროში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვით გვაქვს საბუთი, ვივარაუდოთ, რომ წესი შვიდ წელიწადში ერთხელ ხალხის აღწერისა შემოსულია ჩვენში არა XVII-XVIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, რომ

¹ ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წიგნი 1. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIIIს. ხალხის აღწერის დავთრები „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ.7

ეს წესი უკვე არსებობდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის დიდი აღმავლობის ხანაში“.¹

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მოსახლეობის შედგენილობის შესასწავლად არსებობს როგორც ქალაქების აღწერანი, ისე ჩამოსახლებული ხალხის (ჩამოსახლებული თურქმანების) აღწერანი. ისინი განსხვავებული წესით აღიწერებოდნენ, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობა. იყო მრავალი აღწერა ფისკალური და სამხედრო მიზნითაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი ფრაგმენტული სახითაა მოღწეული ჩვენამდე და ყოველთვის ვერ გამოდგება ზუსტი ეთნოსტრუქტურის დასადგენად. არსებობს ნაზარალიხანის (ერეკლე I) მიერ გამოცემული საბუთი, სადაც ჩანს, რომ ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს ევალებოდა შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერა თავისი სადროშოს მოსახლეობა. იგივე იყო დაკანონებული ვახტანგ VI-ის „დასტურლამალით“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, საქართველოს დემოგრაფიული ისტორია, განსაკუთრებით მისი ეთნოდემოგრაფიული ასპექტი მწირადაა შესწავლილი. აქ მარტო წყაროთა სიმცირე არაა ამის მიზეზი. როგორც ჩანს ისტორიული და ეთნოდემოგრაფიული შესწავლა უმძიმეს შრომას მოითხოვდა და „უმაღურ თემათა“ რიცხვს განეკუთვნებოდა. ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით თითქმის დაუმუშავებელია ერეკლე II-ის დროინდელი არაგვის ხეობის აღწერა (1781წ.), არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დავთარი (1781წ.), ქ. ტფილისის 1774 წ. აღწერის დავთრის ნაწყვეტი 1781წ. შევსებულ-შესწორებული, ტფილისის მიდამოების სოფლების 1781წ. ხალხის აღწერის დავთარი. 1774წ. ქსნის ხეობის ხალხის აღწერა, 1781წ. ქსნის ხეობის აღწერა, ქსნის ხეობის მცხოვრებთა 1781წ. აღწერა, ღიახვის ხეობის მცხოვრებთა აღწერის XVIIIს. შუაწლების დავთრის ნაწყვეტი, ქ. გორის მცხოვრებთა XVIIIს. პირველი ათეულების აღწერის დავთარი და ა. შ.²

ბუნებრივია, ფეოდალური საქართველოს აღწერების ინტერესები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების (სათავადო, საეკლესიო) ხშირად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ამიტომ ფეოდალი და, ხშირად, ეკლესიაც ცდილობდა ყმების „გადამალვას“ გადასახადების თავისკენ მიმართვის მიზნით. მაგალითად, 1715 წლის რუისის სამწყოს ეპისკოპოსი ნიკოლოზ მროველი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ამ სამწყოსს მატთანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ“.³

მართალია, აღწერის დავთრები არ იძლევა ამომწურავ მასალას მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაზე, მაგრამ მათი კარგი ანალიზით შესაძლებელია ზოგოერთი ეთნოდემოგრაფიული მაჩვენებლის მიახლოებითი, სავარაუდო დადგენა. ასეთ მასალას იძლევა ქართლის სადროშოების აღწერა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა 1907 წელს.⁴

მთელი საქართველოს და, მათ შორის, XVIII საუკუნის მოსახლეობის სტატისტიკურ სურათს იძლევა ვახუშტის გამოკვლევებიც, სადაც მინიშნებულია ამა თუ იმ სოფლის ძირითადი ეთნოშემადგენლობაც. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა ი. ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა, სადაც არის ცნობები

¹ იქვე

² იქვე-გვ.105-270

³ მოამბე, 1901 №9. განყოფილება მეორე, გვ.30

⁴ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. თბილისი, 1907.

კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების შესახებ.¹

მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის შესახებ მყარი მასალა არსებობს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ. ამიტომ ცალკეულ მკვლევართა (ს. კაკაბაძე, პ. გუგუშვილი, კ. ანთაძე, ვ. ჯაოშვილი და სხვ.) ნაშრომებში მოსახლეობის რიცხოვნობაში ზოგიერთი სავარაუდო მაჩვენებლის მიუხედავად, უკვე შესაძლებელია ეთნოდემოსტრუქტურის ცვლილებაზე მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა და ბოლო ორ საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სურათის ზუსტი წარმოდგენა. განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები (1897, 1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989, 2002წწ.), რომლებიც სრულ სურათს იძლევიან მთელი საქართველოს და მისი რეგიონების მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. აქ რამდენადმე პრობლემატურია შიგარევიონული ცვალებადი ადმინისტრაციული საზღვრების გამო ზუსტ მაჩვენებელთა დადგენა, თუმცა შრომატევადი გამოთვლებით ისიც შესაძლებელია.

1800-2002წწ. პერიოდში საქართველოს მოსახლეობაში დიდი ინტენსიურობით ხდებოდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება. აქ ნიშანდობლივია, ძირითადი ავტოქთონური მოსახლეობის – ქართველების წილის ჯერ შემცირება, ხოლო შემდგომ მისი აღდგენა (ცხრილი 1).

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ორგანიზებული მიგრაციები, რომელშიც აქტიურ როლს რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა თამაშობდა, სცვლიდა საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურას. მეოცე საუკუნის ცნობილი ინდუსტრიალიზაციის ხუთწლედების განმავლობაში ე.წ. ჩამორჩენილი მხარეების განვითარების ცენტრთან გამოთანაბრების პოლიტიკის მეოხებით საქართველოში ინტენსიურად იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამებოდა ადგილობრივი სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურას, ამიტომ ხდებოდა სხვა რესპუბლიკებიდან მასობრივი ჩამოსახლების ხელშეწყობა. ამან მთელ მოსახლეობაში ქართველთა წილი 1939 წლისათვის 61,4%-მდე შეამცირა, ხოლო არაავტოქთონური მოსახლეობისა კი მკვეთრად გაზარდა.²

1800 წლისათვის საქართველოს მოსახლეობაში ქართველთა შემდეგ ყველაზე მეტნი აფხაზები იყვნენ (6,6%). მათი წინაპრები უძველესი დროიდან სახლობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ისინი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ავტოქთონურ მოსახლეობად. მაგრამ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით ერთადერთი ეროვნებაა, რომელიც XIX საუკუნეში აბსოლუტური რიცხოვნობით შემცირებულია. ეს გამოიწვია რუსულმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ, რამაც მოახდინა ე.წ. მუჰაჯირობის დროს მათი მასობრივი გასახლება ოსმალეთში. 1897 წლისათვის აფხაზთა წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში 2,2%-მდე დაეცა. შემდგომაც, ქართველი მოსახლეობის წილის შემცირების პარალელურად მათი წილიც ნელნელა მცირდებოდა. ამას ხელი შეუწყო აფხაზთა დაბალმა შობადობამ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 1990-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო წასულია საქართველოდან.

¹ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბილისი, 1986.

² ტუხაშვილი მ. მიგრაციული ექსპენსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. თბილისი, უნივერსალი, 2009. გვ.9-13

ეროვნულ უმცირესობათაგან ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე მეტ წილს სომხებმა მიაღწიეს (11,7%. 1939წ.). შედარებით მცირე რაოდენობით ისინი საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისშიც ცხოვრობდნენ. გარე მტრის აგრესიის შედეგად სომხებმა XI საუკუნიდან სახელმწიფოებრიობა დაკარგეს. მათი მდგომარეობა თავის

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის ცვლილება
1800-2002 წწ. (%)

ეროვნება	1800	1832	1865	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002
ქართველი	79,4	75,9	73,8	69,4	66,8	61,4	64,3	66,8	68,8	70,1	81,5
აფხაზი	6,6	6,3	4,6	2,2	2,1	1,6	1,5	1,7	1,7	1,8	1,5
ოსი	3,7	3,6	3,6	4,2	4,2	4,2	3,5	3,2	3,2	3,0	1,7
რუსი	-	0,0	2,0	5,3	3,6	8,7	10,1	8,5	7,4	6,3	2,1
სომეხი	6,0	9,4	9,5	10,3	11,5	11,7	11,0	9,6	9,0	8,1	5,7
აზერბაიჯანელი	3,8	3,0	4,0	4,2	5,4	5,3	3,8	4,6	5,1	5,7	6,5
ებრაელი	3,3	0,5	0,6	0,9	1,1	1,2	1,3	1,1	0,6	0,5	0,1
ბერძენი	0,0	0,0	0,9	2,0	2,0	2,4	1,8	1,9	1,9	1,9	0,3
გერმანელი	-	-	0,3	0,4	0,4	0,3	-	-	-	-	-
უკრაინელი	-	-	-	-	0,5	1,3	1,3	1,1	0,9	1,0	0,2
სხვა	-	-	0,7	-	2,4	1,9	1,4	1,4	1,4	1,6	0,4
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: ვაანგარიშებულის ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ეთნიკურ ტერიტორიაზე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა, რაც აიძულებდა აყრას და სხვა სახელმწიფოებში თავშესაფრის ძებნას. ამ მხრივ, საქართველო სომხობისათვის ხელსაყრელ ქვეყნად ითვლებოდა. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა სომეხთა შემოხიზვნა XVII საუკუნიდან. ისინი ადვილად ქართველდებოდნენ. მაგალითად, ვახუშტი აღნიშნავს, რომ მისი თანამედროვე სომხები, რომლებიც ძირითადად თბილისსა და ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ, „ქცევა-ზნით“ უკვე ქართველები იყვნენ, სალაპარაკო და სამწერლო ენაც ქართული ჰქონდათ.¹ სომხების ჩამოსახლების პროცესი პერმანენტული იყო XVIII საუკუნეში, ერეკლე II ისინი ყარაბაგიდან ჩამოსახლა თელავსა და სიღნაღში, სადაც შემდგომში ამ რეგიონების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში მცხოვრებ სომეხთა რაოდენობა 40 ათასს არ აღემატებოდა. კახეთში ცხოვრობდა 13 ათასი სომეხი, თბილისსა და ქვემო ქართლში დაახლოებით ამდენივე, 12 ათასი შიდა ქართლში. დასავლეთ საქართველოში ისინი მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ (ათასსუთასი მცხოვრები)².

XIX საუკუნის დასაწყისში პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოზე ლაშქრობის

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ.37,41

² მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან XVII-XVIII საუკუნეებში. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1970. გვ.206-207.

დროს თბილისში 2 ათასზე მეტი სომეხი ჩამოსახლდა, 1829-1831 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ არზრუმის საფაშოდან საქართველოს ტერიტორიაზე, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დაახლოებით 34 ათასი სომეხი ჩამოსახლდა. ამავე პერიოდში 5 ათასი სომეხი ჩამოიყვანეს თურქეთიდან ბორჩალოს მაზრაში. ამან საქართველოში მცხოვრებ სომეხთა რიცხოვნობა ორჯერ გაზარდა. მათი ჩამოსახლეობის პროცესი მთელი XIX საუკუნე გრძელდებოდა. ცნობილია რუსულ სამოხელეო აპარატში სომხური ბურჟუაზიის გავლენა (ივ. ხატისოვი) ჩამოსახლეების პროცესებზე. რუსეთ-თურქეთის ომები ამას ხელს უწყობდა. 1897 წლის აღწერით სომხებმა საქართველოს მოსახლეობაში 10,3%-ს მიაღწიეს და თბილისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა ქალაქების მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს სომეხი მოსახლეობის ცნობილმა გენოციდმა მუსულმანური კონფესიის ქვეყნებიდან სომეხ ლტოლვილთა დიდი ტალღა შემოიყვანა. მათი ჩამოსახლების პროცესი არ შეწყვეტილა საბჭოთა პერიოდშიც. განსაკუთრებით 1926-1939წწ. ამას ემატებოდა მათი მაღალი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, რამაც 1939წ. სომეხთა წილი საქართველოს მოსახლეობაში 11,7%-მდე გაზარდა. ომის შემდგომ სომეხთა ჩამოსახლების ინტენსიურობამ იკლო, ხოლო 1990-იან წლებში საქართველოში ეკონომიკური კრიზისისა და ცხოვრების დონის დაცემის პერიოდში, მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის დროს სომხების წილი მთელ მოსახლეობაში 5,7%-მდე შემცირდა.

XIX საუკუნემდე რუსები საქართველოში ფაქტობრივად არ სახლობდნენ. მათი ინტენსიური იმიგრაცია 1830-იანი წლებიდან დაიწყო. იქამდე მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა. პერმანენტულ საომარ ვითარებაში ჩამოსახლების პროცესი აქტიურად ვერ ხორციელდებოდა. პირველად შეიქმნა ე.წ. სამხედრო სოფლები. 15 წლიანი სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ჯარისკაცები სახლდებოდნენ სახაზინო მიწებზე. XIX საუკუნის ბოლოს რუსების წილმა საქართველოში 5,3%-ს მიაღწია. მეოცე საუკუნეში, 1918წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მათი წილი ძლიერ შემცირდა. ხოლო საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებში საქართველოდან წასული რუსების ნაწილი უკანვე შემობრუნდა.¹ მეორე მსოფლიო ომამდელი ხუთწლეულების სტრატეგიულ ამოცანად გამოცხადებული იყო განაპირა მხარეების ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა მათი დაჩქარებული სამრეწველო განვითარების გზით. იმ დროს რუსი ეთნოსის დემოგრაფიული ზრდა დიდი იყო და ეს მათი ჩასახლების საშუალებას იძლეოდა სსრკ სხვადასხვა რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც. 1926-1939წწ. რუსების წილი საქართველოს მოსახლეობაში 3,6%-დან 8,7%-მდე გაიზარდა, მათ შორის აფხაზეთში – 6,2%-დან 19,3%-მდე, აჭარაში 7,7%-დან 15%-მდე. მეორე მსოფლიო ომის წინ თბილისში რუსების წილი 18%-ს აჭარბებს.² მიგრაციის ინტენსიურობის ზრდაზე იმოქმედა ამ პერიოდში რუსეთსა და უკრაინაში მასობრივმა შიმშილობებმა, რამაც, ზოგი ავტორის მტკიცებით, 7 მლნ მცხოვრები შეიწირა. იქიდანაც ბევრი ლტოლვილი შემოვიდა საქართველოში. მეორე მსოფლიო ომის დროს ევაკუირებული რუსი მოსახლეობის ნაწილიც საქართველოში დარჩა.

1950-იანი წლებიდან კი იწყება რუსების საქართველოდან თანდათან გასვლა, ხოლო 1990-იანი წლების კრიზისმა რუსული დიასპორა საქართველოში მკვეთრად

¹ ტუხაშვილი მ. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. თბილისი, უნივერსალი, 2009, გვ.9

² იქვე-გვ.9-11

შემცირა და დემოსტრუქტურაც მეტად გააუარესა. ეს ეთნიკური ჯგუფი საქართველოში უკვე ძლიერ შემცირებადი; მისი საშუალო ასაკი თითქმის 50 წელია, მაშინ როცა სხვა ეროვნებებისა 32-34 წელია.¹

საქართველოს თანამედროვე საზღვრებში ოსები მონღოლთა შემოსევის შემდგომ ჩანან. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მონღოლ დამპყრობთა სამსახურში. ამიტომ მოახერხეს მცირე ჯგუფებად საქართველოში, უფრო მეტად, ქართლში დასახლება. XV საუკუნიდან კვლავ გრძელდება მათი ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლის მთიანეთში გადმოსვლის პროცესი. ვახუშტის რუკაზე ოსების ბინადრობის ადგილი ჯეჯორის, ყვირილის, ლიახვისა და ქსნის სათავეებს არ სცილდება, რასაც ტერიტორიულად ვახუშტი იმერეთსა (ჯეჯორის, ყვირილის სათავეები) და შიდა ქართლს (ლიახვისა და ქსნის სათავეები) მიაკუთვნებს. ამ ადგილების შესახებ ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენნი ოვსნი დავწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოვსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან.“²

1864-1886წწ. ადგილი ჰქონდა ოსების მთიდან ბარად ძლიერ მიგრაციას. ამავე პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდა კიდევ ახალი ტალღა. მათი ბუნებრივი ზრდაც ძლიერ სწრაფად მიმდინარეობდა. მაგრამ ეს ძირითადად ხიდისთავის, ბორჯომისა და სურამის საბოქაულოებში ხდებოდა. ცხინვალში კი 1886 წელს, საოჯახო სიების მიხედვით, არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. თვით 1922 წლის აღწერით ქ. ცხინვალში მოსახლეობის მხოლოდ 13%-ია ოსი, 1959 წელს – 57%, 1989წ. – 74%.³

სსრკ დაშლის შემდგომ საქართველოს მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციულ პროცესებში ყველა ეროვნებასთან ერთად ოსებიც მონაწილეობდნენ. მათი რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და ამჟამად მხოლოდ 1,7%-ს უდრის. არსებითი ცვლილებები მოხდა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზეც. რუსეთ-საქართველოს ომის დროს განხორციელებული ეთნოწმენდის შედეგად აქედან მთლიანად გამოიძევნა ძირძველი, მკვიდრი ქართველი მოსახლეობა.

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის აზერბაიჯანელი მოსახლეობა ერთადერთია, რომლის ხვედრითი წილი ბოლო ათწლეულებში განუხრელად მატულობს. 2002 წლის აღწერით აზერბაიჯანელთა წილმა საქართველოს მთელ მოსახლეობაში 6,5% მიაღწია.

„თათარ-თურქული“ მოსახლეობა საქართველოში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ირანის მმართველები: იაყუბ-ყაენი, შაჰ ისმაილი, შაჰ-თამაზი, შაჰ-აბასი, ნადირ-შაჰი, ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ მხარეში თავიანთი მომხრე მაჰმადიანი მოსახლეობა ჩაესახლებინათ და ამით მყარი დასაყრდენი შეექმნათ საქართველოს წინააღმდეგ. 1490 წელს იაყუბ-ყაენმა ქვემო ქართლიდან წასვლის შემდეგ დებედის ხეობაში დატოვა ელნი, ხოლო შემდგომ შაჰ-თამაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლა ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი. შაჰ აბასის დროს დებედის ველზე დასახლდა ბორჩალუს მომთაბარე ელი. აქამდე თუ ქართლის მეფენი ცდილობდნენ ამ უცხო ტომების განდევნას, შემდგომ კმაყოფილდებოდნენ მათი დამორჩილებით.

¹ ტუხაშვილი მ. რუსული დიასპორა საქართველოში: დემოგრაფიული და შრომითი სტრუქტურა. კრებულში: Economics Problems in Transition Countries. Tbilisi, 2008. p.67-68.

² ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ.71

³ თოთაძე ა. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა... უნივერსალი“, თბილისი, 2006. გვ.32-33

იგივე პროცესები მიმდინარეობდა კახეთშიც, მაგრამ 1659 წლის აჯანყების შემდეგ კახეთში „თათრების“ ჩამოსახლეობა შეწყდა. თუმცა მცირე ნაწილი მაინც შემორჩა, რომელიც ინტენსიური ბუნებრივი მატების წყალობით შემდგომ დიდ კონტინგენტად გადაიქცა.

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, აქ XVII საუკუნიდან ხდებოდა როგორც თურქების ჩამოსახლება, ისე ადგილობრივი მოსახლეობის გათურქებაც.

მეორე მსოფლიო ომის დროს სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობა, რომლებიც „აზერბაიჯანელებად“ აღირიცხებოდნენ, დეპორტირებულნი იყვნენ შუა აზიაში, საიდანაც ისინი XX საუკუნის მიწურულს გამოდევნეს. ამჟამად ისინი ძირითადად ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში იმყოფებიან. მათი ნაწილი მოითხოვს საქართველოში დაბრუნებას.

ქართლ-კახეთში ჩამოსახლებული მოსახლეობა, რომელთაც აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან მცირე ეთნონათესაობა აკავშირებდათ, კულტურულად აზერბაიჯანელებთან დაახლოვდნენ, აზერბაიჯანელებად იწერებიან და ეროვნული თვითშეგნება აზერბაიჯანული აქვთ. ისინი ხასიათდებიან მაღალი ბუნებრივი მატებით, შედარებით მცირე ტეროტორიული მობილობით და წარმოადგენენ დღევანდელი ქვემო ქართლის მხარის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოჯგუფს. ბოლო წლების კრიზისის დროს მათში შობადობა დაეცა, მაგრამ ამჟამად კვლავ ზრდა დაიწყო. მოსალოდნელია მათი რიცხოვნობისა და წილის ზრდა ქვემო ქართლში.

XX საუკუნის დასასრულამდე საქართველოში საკმაოდ დიდი ბერძნული დიასპორა არსებობდა. მათგან დიდი ნაწილი ქვემო ქართლში იყო კომპაქტურად დასახლებული. ბერძნების ჩამოსახლება XVIII საუკუნიდან იწყება და არავითარი კავშირი არ აქვს უძველეს კოლხეთში შავი ზღვის პირის ბერძნულ კოლონიებთან. სამთამადნო საქმის ცოდნის გამო ბერძნები ერეკლე მეორემ ქვემო ქართლში თურქეთიდან გადმოასახლა. ზოგი მათგანი შემოიხიზნა XIX საუკუნის დასაწყისში საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს. ძირითადი მასა კი გაჩნდა 1828-1929წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ წალკის მიდამოებში (18 სოფელი).¹ მათი მშობლიური ენა თურქული იყო. 1832 წლისათვის ისინი დაახლოებით 5,5 ათასს არ აღემატებოდნენ. ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878წწ. ომის შემდეგაც გრძელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათი ჩამოსახლება. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ აჭარასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე, თბილისში. თუმცა ძირითადი მასა ბორჩალოს მაზრაში იყო განსახლებული. პოსტსაბჭოთა პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა ბერძნების რეპატრაცია. მათი უმეტესი ნაწილი საქართველოდან გავიდა.

ებრაული დიასპორის კვალი საქართველოში ძვ.წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე მიდის. თუმცა უტყუარი ცნობები მცხეთაში მათი დასახლების შესახებ ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნიდან არსებობს. ისინი ცდილობდნენ განცალკევებულ ცხოვრებას ცალკე სოფლების ან უბნების სახით. ამის მიუხედავად, ბუნებრივია, ნელა მაგრამ მაინც ხდებოდა ასიმილაციური პროცესები ქართულ ეთნოსთან. ებრაელობა დიდ ჯგუფებად ცხოვრობდა თბილისის, ცხინვალის, სურამის, მძოვრეთის, ატენის, ახალდაბის (აღმოსავლეთ საქართველო), ონის, ქუთაისის, საჩხერის, ჩიხორის, სენაკის,

¹ გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს. ტ.1 გვ.467-468.

(დასავლეთ საქართველო) ტერიტორიაზე. XIX საუკუნეში დაიწყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებიდან ებრაელთა საქართველოში ჩამოსახლება, თუმცა მათ არ ჰქონდათ ისეთი კომპაქტური დასახლებები, როგორც ქართველ ებრაელებს, რომლებიც ბოლო აღწერებით ცალკე ეროვნებად („ქართველი ებრაელი“) აღირიცხნენ. 1970-იანი წლებიდან იწყება ებრაელთა რეპატრაციის პროცესი, რომელიც გაძლიერდა 1990-იან წლებში. ამჟამად საქართველოში მცხოვრები ებრაელობა მცირერიცხოვან დიასპორას ქმნის და ქვეყნის მოსახლეობის 0,1% წარმოადგენს.

XIX საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტების შესახებ დაწვრილებითი ანალიზი გადმოცემულია გ. მანჯგალაძის მონოგრაფიაში: „გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში.“¹ ისინი ძირითადად თბილისსა და ქვემო ქართლის მიდამოებში (ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონები) დასახლდნენ და დასახლებებსაც თავისი სახელები უწოდეს (მარიენფელდი, ალექსანდერსდორფი, პეტერსდორფი, ეკატერინენფელდი, ანენფელდი, ელენდორფი და ა. შ.). მათ დადებითი როლი ითამაშეს საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი მთლიანად გადაასახლეს ყაზახეთში, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი XX საუკუნის ბოლოს რეპატრირებულ იქნა გერმანიაში.

ქურთები და იეზიდები საქართველოში XX საუკუნეში პირველი მსოფლიო ომის დროს შემოვიდნენ. მეტად მაღალი შობადობის გამო მათმა რაოდენობამ 1989წ. 33 ათასს მიაღწია. 1990-იან წლებში კი ინტენსიური ემიგრაციის გამო ამ ეთნიკური ჯგუფების რიცხოვნობა აშკარად შემცირდა.

მართალია, საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ცვლილებაზე გადამწყვეტი როლი მიგრაციას ჰქონდა, მაგრამ ზოგი ეთნიკური ჯგუფის რიცხოვნობის ფორმირებაში მაღალმა ბუნებრივმა მატებამაც არანაკლები როლი ითამაშა (აზერბაიჯანელები, სომხები, ქურთები, ბერძნები). ამჟამად თითქმის არცერთ ეროვნებაში აღარაა შემორჩენილი მაღალი შობადობის ტრადიცია. შედარებით უპირატესობას მაჰმადიანური კონფესია ინარჩუნებს, სადაც ბუნებრივი მატება ჯერ კიდევ აშკარადაა გამოხატული.

ქართლის მოსახლეობის ეთნოდემოსტრუქტურა

თანამედროვე ქართლი მისი ეთნოდემოსტრუქტურის შესწავლის მიზნით მიზანშეწონილია სამ ნაწილად გავეყოთ. იგი, ნაწილობრივ, ემთხვევა საქართველოს მხარეებად დაყოფას. ესაა: ქვემო ქართლის მხარე, ქალაქი თბილისი და შიდა ქართლის მხარე. მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ შიდა ქართლში მცხეთა-მთიანეთის მხარიდან მცხეთისა და ახალგორის რაიონების ჩართვაც, აგრეთვე, მთლიანად უნდა შევიდეს ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაც, რომლის სავარაუდო დადგენა 2002 წლისათვის შესაძლებელია. ამ დაყოფაში ბევრი პირობითობაცაა, მაგრამ სტატისტიკური აღრიცხვა ამ ჭრილსაა მორგებული და საბოლოო შედეგიც უფრო ხელშესახები იქნება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში სამივე რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც კარგად ჩანს 1989-2002წწ. მოსახლეობის

¹ მანჯგალაძე გ. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, მეცნიერება, თბ. 1974

საყოველთაო აღწერების მასალებიდან. ქართლში განხორციელებული ჩამოსახლებები საქართველოს მოსახლეობის შემადგენელი ეთნოჯგუფების მოძრაობათა დასახსიათებისას უკვე აღწერეთ (ოსების ჩამოსახლება ქართლში, აზერბაიჯანელთა, სომეხთა და ბერძენთა ჩამოსახლება ქვემო ქართლში). ამჟამად შევეხებით ეთნოსტრუქტურის ცვლილებებს XX საუკუნეში, რაც დაზუსტდება და გადრმავედება ამ თემის შემდგომი კვლევისას.

მიზანშეწონილია, ეთნოსტრუქტურის ცვლილებების დასახსიათებლად ამჯერად გამოვეყნოთ სამი თარიღი: 1959, 1989 და 2002 წლები. აქ კარგად ჩანს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ევოლუციაც, სტაბილური განვითარებაც და მისი ნახტომისებური ცვლილებებიც (ცხრილი 2).

აღნიშნული პერიოდის სტრუქტურულ ცვლილებებში ნიშანდობლივია, რომ ქართლის ყველა რეგიონში ავტოქთონური მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში მკვეთრად გაიზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თბილისსა და ქვემო ქართლში, სადაც ამჟამად თავმოყრილია მილიონნახევარზე მეტი მცხოვრები, ოთხ ათეულ წელიწადში ქართველი მოსახლეობა ნახევარზე ნაკლებიდან აბსოლუტურ უმეტესობაში გადავიდა.

1959 წელს თბილისის ნახევარზე მეტი არაქართველი იყო, 2002 წელს კი- მხოლოდ 15,8%. ქვემო ქართლშიც ქართველი მოსახლეობის წილი 27,8%-დან 44,7%-მდე გაიზარდა და გაუტოლდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის წილს (45,1%).

ცხრილი 2

ქართლის რეგიონების მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის
1959-2002 წწ. %

ეროვნება	თბილისი			ქვემო ქართლი			შიდა ქართლი		
	1959	1989	2002	1959	1989	2002	1959	1989	2002
ქართველი	48,4	66,0	84,2	27,8	35,5	44,7	65,4	72,9	84,9
აფხაზი	0,0	0,0	0,0	X	X	X	0,0	0,0	0,0
ოსი	2,2	2,7	0,9	1,5	1,4	0,4	24,6	20,7	11,0
რუსი	18,1	10,0	3,0	9,2	5,7	1,3	3,2	1,7	1,0
სომეხი	21,5	12,1	7,6	12,6	6,5	6,4	3,2	1,6	0,6
აზერბაიჯანელი	1,4	1,4	1,0	35,0	40,5	45,1	0,7	1,5	1,9
ებრაელი	2,5	1,1	0,2	X	X	X	0,5	0,4	X
ბერძენი	1,0	1,7	X	11,4	8,3	1,5	0,1	0,3	0,1
უკრაინელი	1,6	1,3	X	1,2	0,8	0,1	0,5	0,3	0,1
ქურთი და იეზიდი	1,9	1,9	1,8	X	X	X	0,0	0,0	0,0
დანარჩენი	0,4	1,8	1,3	1,3	1,3	0,5	1,8	0,6	0,4
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ეს უკანასკნელი როგორც მთელ საქართველოში, ქართლის მოსახლეობაშიც განუხრელად მატულობს. საკმაოდ მაღალი იყო რუსების წილი თბილისის მოსახლეობაში (18,1%), მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ინტენსიური ემიგრაციისა და დაბალი

ბუნებრივი მატების გამო იგი კლებულობდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი რამდენჯერმე შემცირდა. ძლიერ დიდი ინტენსივობით გავიდა რუსი მოსახლეობა როგორც თბილისიდან, ისე რუსთავიდან პოსტსაბჭოთა პერიოდში. 1989 წელს რუსთავში 21 ათასი რუსი ცხოვრობდა, 2002 წელს – 3,5 ათასი.

ქვემო ქართლში 2002 წლისათვის 224 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა; წინა 1989 წლის აღწერასთან შედარებით მათი რიცხოვნობა თითქმის 20 ათასითაა შემცირებული თუმცა წილი მთელ მოსახლეობაში თითქმის 5 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

როგორც მთლიანად ქართლში, ისე მის რეგიონებში მკვეთრადაა შემცირებული სომეხი მოსახლეობის რიცხოვნობა და წილი. იგი ინტენსიური მოგრაციული პროცესებითაა გამოწვეული. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისის მოსახლეობაში სომეხები ჭარბობდნენ ქართველებს. უკვე 1803 წლისათვის, პ. ციციანოვის მიერ სომეხთა 2 ათასი ოჯახის ჩამოსახლების შემდეგ თბილისში სომეხობა 66% გახდა, როცა ქართველი – 19,2% იყო; 1864 წელს სომეხია 42,6%, 1897 წელს – 29,6%. მხოლოდ 1922 წლის ქალაქების მოსახლეობის აღწერის დროს დაფიქსირდა ქართველთა სიჭარბე–35,2% (სომეხები 34,9%). ამჟამად თბილისში სომეხი მოსახლეობის წილი 7%-ზე ნაკლებია. ასევე მკვეთრად შემცირდა იგი ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებშიც.

ქართლის, განსაკუთრებით, შიდა ქართლის მოსახლეობაში ქართველთა შემდგომ აშკარად დიდ ადგილს ოსი მოსახლეობა იკავებდა. შიდა ქართლში 1959 წლისათვის ისინი მეოთხედს წარმოადგენდნენ (აქ შიდა ქართლში ვგულისხმობთ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობასაც), პოსტსაბჭოთა პერიოდში განხორციელებული ინტენსიური ემიგრაციის შემდეგ მათი რიცხოვნობა და წილი მკვეთრად შემცირებულია და მსხვილ კომპაქტურ დასახლებას ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვხვდებით.

როგორც ქვემო ქართლიდან, ისე თბილისიდან თითქმის მთლიანად გადასახლდა საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში ბერძენი მოსახლეობა.

ქართლი ბოლო საუკუნეების განმავლობაში ფორმირდა პოლიეთნიკურ რეგიონად. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის დროს წარმოქმნილი ემიგრაციის გამო მოსახლეობის საერთო შემცირების დროს უფრო მეტად შემცირდა არაავტოქთონთა რიცხოვნობა და წილი. ეროვნულ უმცირესობასთან ყველაზე მსხვილ ჯგუფს ქმნის აზერბაიჯანელი მოსახლეობა. თუმცა ამ უკანასკნელის რიცხოვნობა ბოლო ათწლეულში შემცირებულია.

მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაზე უდიდეს გავლენას ახდენდნენ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა ზემოქმედების შედეგად ყალიბდებოდა გარე მიგრაციული პროცესების გარკვეული მიმართულებანი, დაკავშირებული ამა თუ იმ ეროვნების მცხოვრებთა რიცხოვნობის შეცვლასთან. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მიგრაციული ნაკადების მიმართულება, ინტენსივობა და ეთნიკური შემადგენლობა, იცვლებოდა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული სტრუქტურა.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესში ქართველი ერის წინაშე უამრავი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა დადგა. მათ დროულ და გონივრულ

გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მისი მომავალი. ეკონომიკის, ტერიტორიის, ეთნიკური ჯგუფების, ენის, კულტურის და ა. შ. პრობლემების მიზანშეწონილად გადაწყვეტით საქართველო ხელს შეუწყობს თავის მთლიანობის განმტკიცებას, იმის პირობების შექმნას, რომ სრულფასოვან წევრად ჩაერთოს სხვა ერების სისტემაში. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული პოტენციალის დადგენას. იგი ნათელ წარმოდგენას ქმნის ერთი მხრივ ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსების პოტენციალის ეთნიკურ ასპექტზე, ე. ი. ეთნიკურ კულტურათა სუბიექტების არსებობა განვითარების პერსპექტივაზე, იმაზე თუ როგორ იქნება ეთნიკური თანაფარდობა როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში. ეს კი, როგორც ამერიკელი მეცნიერი თ. პეტიგრიუ აღნიშნავს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური ურთიერთობების განვითარებაში.

საქართველოს მოსახლეობა შრომითი საქმიანობით, სამეურნეო-კულტურული ყოფით, ეთნიკური კულტურით, რელიგიური და ყოფითი ტრადიციებით, აგრეთვე, ურბანიზაციის პროცესში მონაწილეობით ერთგვაროვანი არაა. ის გარკვეულ დიფერენციაციას განიცდის აგრეთვე დემოგრაფიული ქცევით, საკუთარი ეთნიკური კულტურისა და ენისადმი დამოკიდებულებით, ეთნიკურ პროცესებში მონაწილეობით და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესი უაღრესად მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდა. ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების სიძნელეები კიდევ უფრო გაართულა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, კრიმინალური სამყაროს თარეშმა, სამოქალაქო ომმა. ასეული ათასობით ლტოლვილისა და პოლიტიკური და შრომითი მიგრაციის ინტენსიური განვითარების, განსაკუთრებით კი გარე მიგრაციული პროცესების შედეგად არსებითად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, ეთნიკური და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა შრომითი რესურსების ფორმირების პროცესში ეთნიკური ჯგუფების როლსა და ადგილზე. ქართული კულტურის სუბკულტურათა აგრეთვე ეთნიკურ სუბკულტურათა განვითარების პირობებზე. ყოველივე ამან აქტუალური გახადა დღევანდელ საქართველოში ეთნოდემოგრაფიული პროცესების კვლევა როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების ასპექტით. იგი საშუალებას იძლევა გაირკვეს შრომითი რესურსებისა და ეთნიკური სუბკულტურის სუბიექტთა აღწარმოების ტენდენციები ქვეყანაში და რეგიონებში.

2009 წლის მონაცემების მიხედვით ქართლის რეგიონში ცხოვრობდა 818.8 ათასი კაცი. აქედან ქვემო ქართლში ცხოვრობდა 505.8 ათასი კაცი, ხოლო შიდა ქართლში 313.0 ათასი კაცი. უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მასალებში ცალკე არაა გამოყოფილი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ჩვენ ანალიზისთვის გამოვიყენეთ მოსახლეობის წინა აღწერების მასალებიც.

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის რეგიონში ქართველების რიცხოვნობა რუსთავის ჩათვლით შეადგენდა 214 347 კაცს, რუსთავის გარეშე – 110 824 კაცს. ჩვენი შემდგომი ანალიზი ემყარება მხოლოდ გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების მოსახლეობის დინამიკას. რუსთავის მოსახლეობა ქვემო ქართლიდან გამოიყოფა და თბილისთან ერთად განხილვა ემყარება იმას, რომ ეს ორი ქალაქი ტერიტორიული, მეურნეობრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და დემოგრაფიული პროცესებით ქმნის ერთ აგლომერაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის რეგიონის მოსახლეობა 2003-2009 წლებში გაიზარდა 15 ათასი კაცით. რეგიონში მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული. ქვემო ქართლში ყველაზე მრავალრიცხოვანია მარნეულის (123.5 ათასი კაცი), გარდაბნისა (112.7 ათასი კაცი) და ბოლნისის მოსახლეობა (76.7 ათასი კაცი). ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს წალკის რაიონს (21.7 ათასი კაცი).

2009 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობამ შეადგინა მთელი ქვეყნის მოსახლეობის 11.5%. ამ მხრივ იგი ჩამორჩება თბილისის აგლომერაციასა და იმერეთის რეგიონს. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ამ რეგიონის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1959 წელს მის წილად მოდიოდა საქართველოს მოსახლეობის 5.8%, 1970 წელს – 8.5%, 1979 წელს – 8.0%. ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის გამრავლება ფაქტიურად სამი რაიონის – მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის ხარჯზე მოხდა.

ქვემო ქართლში ქართველი მოსახლეობა რეგიონის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში ცხოვრობს. ოღონდ, არცერთ რაიონში მოსახლეობის ნახევარსაც არ შეადგენენ. ყველაზე დიდია ქართველების ხვედრითი წილი თეთრიწყაროსა (45.8%) და გარდაბნის (45.6%) რაიონებში. ყველაზე მცირე – წალკისა (3.6%) და მარნეულის (6.4%) რაიონებში. მოსახლეობის მხოლოდ 21.6%-ია ქართველი ბოლნისის რაიონში.

ქართველების ხვედრითი წილი 1959-1989 წლებში არათანამიმდევრულად იცვლებოდა. 1959 წელს ისინი მოსახლეობის მხოლოდ 15.7%-ს შეადგენდნენ. ათი წლის შემდგომ თითქმის მეოთხედს (24.9%) მიაღწიეს. 1979 წელს მათი ხვედრითი წილი შემცირდა 22.2 %-მდე, შემდგომი ათი წლის შემდეგ კი კვლავ გაიზარდა, თუმცა 1970 წლის მონაცემამდე მაინც ვერ მიაღწია (24.6%). ეს მოხდა ისეთ პირობებში, როდესაც ქართველების რიცხოვნება აღემატებოდა ყველა სხვა პერიოდის მაჩვენებელს. ცხადია, ესაა შედეგი რეგიონში არაქართველი ეროვნებების უფრო ინტენსიური გამრავლებისა. გარდაბნის რაიონში ქართველთა რიცხოვნობისა და ხვედრითი წილის შემცირება მოწმობს ქართული სუბკულტურის მატარებელი სოციუმის შემცირებასა და არაქართული სუბკულტურის მატარებელი სოციუმის გაფართოებას. რეგიონში ქართული სუბკულტურის შენახვა-განვითარების თვალსაზრისით თუ შევაფასებთ ვითარებას, ნათელია, რომ რაიონები ამ მხრივ განსხვავებული ამოცანების წინაშე დგანან და განსხვავებული ხასიათის ზრუნვა-ყურადღებას საჭიროებს. ქართული სუბკულტურის შენარჩუნებისათვის დახმარებამ, რომელიც სვანეთიდან და აჭარიდან ქართველთა ჩამოსახლებით გამოიხატა, ამ სუბკულტურის შენახვა-შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი უშუალო გარემო შექმნა. შემდგომი ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს მათში რეგიონიდან არ წასვლის მოთხოვნის ჩამოყალიბებისა და ტრადიციული მრავალშვილიანობის

შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ.

ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ. საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი 2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების 78.9% ცხოვრობდა ქვემო ქართლში. მოსახლეობის წინა აღწერის (1989წ.) მონაცემებით მათი რაოდენობა 230 118 კაცს შეადგენდა, რაც რეგიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56.8%) იყო. ისინი რეგიონის ყველა ქალაქსა და რაიონში ცხოვრობენ. მათი ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს მარნეულის რაიონში (92.0 ათასი კაცი). მათი მცირე რიცხოვნობაა თეთრიწყაროსა (2.5 ათასი კაცი) და წალკის (2.3 ათასი კაცი) რაიონებში. რეგიონის აზერბაიჯანული მოსახლეობის ინტენსიური ზრდა-გამრავლების პროცესი გარდუვლად ზრდის მათ როლსა და მნიშვნელობას რეგიონისა და საქართველოს შრომითი რესურსების ფორმირებაში. ეს კი აქტუალურს ხდის მათი დასაქმებისა და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მოწყობის საკითხს.

სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს ქვემო ქართლის ყველა რაიონში, თუმცა არათანაბარი რაოდენობით. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი ცხოვრობენ წალკისა (12.6 ათასი კაცი) და მარნეულის (12.5 ათასი კაცი) რაიონებში. ადმინისტრაციული რაიონებიდან სომეხთა ყველაზე მცირე რაოდენობა ცხოვრობს დმანისის რაიონში (0.2 ათასი კაცი). შემცირდა სომხების ხვედრითი წილი ქვემო ქართლის მოსახლეობაში. თუ 1959 წელს ისინი რეგიონის მოსახლეობის 16.2%-ს შეადგენდნენ, უკვე 2002 წელს ეს მაჩვენებელი დაეცა 6.0%-მდე. 30 წლის მანძილზე (1959-1989წწ.) სომხების ხვედრითი წილი გაიზარდა მხოლოდ წალკის რაიონში. იგი 1959 წელს იყო 27.8%, ხოლო 1989 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 28.5%.

თუ ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხების ხვედრით წილს შევაფასებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ რეგიონში სომხური მოსახლეობა კლება-შემცირებას განიცდის, რაც ერთი მხრივ, ამცირებს მათ როლს რეგიონის შრომითი რესურსების ფორმირებაში, მეორე მხრივ, გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სომხური სუბკულტურის შენახვა-განვითარების პროცესს. მცირდება ამ სუბკულტურის სუბიექტების წრე, ფართოვდება უცხო ეთნოენობრივი და ეთნოკულტურული გარემო, რაც არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს სომხური სუბკულტურის შემდგომ ბედზე.

1989 წლის აღწერის მონაცემებით ქვემო ქართლში ცხოვრობდა 19.1 ათასი ბერძენი. ისინი რეგიონის ყველა რაიონში ცხოვრობდნენ. მათი ყველაზე დიდი რაოდენობა იყო წალკის რაიონში (27.1 ათასი კაცი), მცირე რაოდენობა კი გარდაბნის რაიონში (1.5 ათასი კაცი). ბერძენების ხვედრითი წილი ქვემო ქართლის მოსახლეობაში რიცხოვნების გაზრდის მიუხედავად შემცირების ტენდენციას ავლენს, რაც სხვა ეროვნებების უფრო ინტენსიური გამრავლებითაა გამოწვეული. 1959 წელს ბერძენები რეგიონის მოსახლეობის 18.3%-ს შეადგენდნენ, შემდეგი ათი წლის განმავლობაში 12.9%-მდე შემცირდნენ. 1979 წელს მათ 12.3% შეადგინეს, 1989 წელს კი – 10.2%.

ქვემო ქართლში ოსი ეროვნების მოსახლეობა ძირითადად თეთრიწყაროს, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში ცხოვრობს. მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ოსური სუბკულტურის შენახვა-განვითარების სიძნელეებს ისიც უწყობს ხელს, რომ უშუალო ეთნობრივ და ეთნოკულტურულ გარემოში იზრდება და ფართოვდება არაოსური ენისა და კულტურული ღირებულებების მოქმედების არეალი. ოსების რიცხოვნობის შემცირება

ცხადია, ამცირებს ოსური ეთნიკური თავისებურებების მქონე შრომითი რესურსის მონაწილეობას რეგიონის შრომითი პოტენციალის ფორმირების საქმეში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა ქვემო ქართლის მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში. თუ საბჭოთა სივრცეში ცხოვრების განმავლობაში პრაქტიკულად არცერთ ეროვნებაში არ გვხვდებოდა დეპოპულაცია, 90-იანი წლების ბუნებრივი მოძრაობა ხუთი ეროვნების დეპოპულაციას გვიჩვენებს. კერძოდ დეპოპულაცია მოხდა ბერძნებში, რუსებში, უკრაინელებში, ასირიელებში და „სხვა ეროვნებებში.“ ხოლო ორი ეროვნების – აზერბაიჯანელებისა და ქართველების ბუნებრივი მოძრაობა ხასიათდება რეგიონის ყველა რაიონში ზრდა-მატების პროცესით. აღნიშნული ცვლილებები ცხადია, გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. თუ მხოლოდ იმ ეროვნებების ხვედრით წილს გამოვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ 68.4% ბუნებრივ მატებაში ეკუთვნის აზერბაიჯანელებს, 30.3% - ქართველებს, 1.2% - სომხებს, 0.1% - ქურთებს.

ამრიგად, ქვემო ქართლში 1990-იანი წლების ეთნოდემოგრაფიული პროცესების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადგილი აქვს შობადობის, ბუნებრივი მოძრაობის და ქორწინების შემცირების ტენდენციას. ბუნებრივია, იგი მთელ რიგ აუცილებელ ცვლილებებს გამოიწვევს. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია შობადობის შემცირების გამო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, რაც აისახება რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში და ეთნიკურ სუბკულტურათა არსებობა-განვითარების პირობებში. ეთნიკურ სუბკულტურათა მატარებელი სუბიექტების შემცირება გააუარესებს, უფრო სწორად შეუძლებელს გახდის ზოგიერთი სუბკულტურის არსებობის შესაძლებლობას რეგიონში. ვინაიდან მოსახლეობა წარმოადგენს არა მხოლოდ ფასეულობების შემოქმედს, არამედ მომხმარებელსაც, მათი შემცირება გამოიწვევს მოთხოვნილებათა მოცულობისა და შინაარსის შეცვლას. უწინარეს ყოვლისა, ახალშობილთა რიცხოვნების შემცირებამ გამოიწვია ბავშვთა საკვებზე, ტანსაცმელსა და სხვა მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების შემცირება. მოგვიანებით აღნიშნული თაობის შრომისუნარიან ასაკში შესვლის შედეგად გართულდება შრომითი რესურსების ფორმირების საქმე – შემცირდება შრომითი საქმიანობის დამწყებთა რიცხოვნებაც და ეთნიკური სტრუქტურაც. ხოლო 1990-იან წლებში დაბადებულთა თაობათა აღწარმოების პროცესში ჩართვის კვალად შემცირდება ახლად შექმნილი ოჯახების რიცხოვნება და ახალშობილთა რაოდენობა.

შიდა ქართლი

შიდა ქართლის მოსახლეობამ 2009 წლისათვის 313 ათასი კაცი შეადგინა. ამ მაჩვენებლით რესპუბლიკის რეგიონების რანჟირებისას იგი ჩამორჩება თბილისის აგლომერაციას, აჭარას, იმერეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო-სვანეთისა და კახეთის რეგიონებს. საქართველოს მოსახლეობაში ხვედრითი წილის მიხედვით ქართლის პოზიცია განვლილი ხუთი ადწერის განმავლობაში იცვლებოდა. თუ 1989 წელს მას მეექვსე ადგილი ეკავა, შემდგომი ადწერების მონაცემების მიხედვით მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში ქართველების უფრო ინტენსიურ გამრავლებაზე მეტყველებს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნება გაიზარდა მხოლოდ გორის რაიონში, იგი

შემცირდა ქარელისა და ხაშურის რაიონებში, ხოლო კასპის რაიონში თითქმის იგივე დარჩა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის თანამიმდევრული ზრდის ტენდენცია. თუ 1959 წელს იგი 78.2%-ს უდრიდა, 1989 წელს მან 84.1%-ს მიაღწია. ქართველთა ხვედრითი წილის ზრდა ყველა რაიონში აღინიშნება, ოღონდ თანამიმდევრული ზრდის პროცესი მხოლოდ ხაშურში, ქარელში და ქ. გორში გვხვდება. გადმოცემული მოწმობს, რომ იმ ადამიანთა შთამომავლობაში, რომლებიც დღეს ქართლის სუბკულტურის შენარჩუნება-გამრავლებისა და განვითარების სუბიექტებს წარმოადგენენ თაობათა განახლების პროცესი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იგი საკმარისი არაა იმისათვის, რომ იმ რეგიონების გვერდით დადგეს, რომლებსაც ქართველი ერის გამრავლებაში წამყვანი პოზიცია უკავიათ.

შიდა ქართლში მოსახლეობის 15%-ზე მეტი არაქართველია. ისინი ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ქ. გორში, ქარელისა და კასპის რაიონებშია. არაქართველი ეროვნებებიდან ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია ოსი, ყველაზე მცირერიცხოვანია ბერძენი და უკრაინელი.

1989 წლისათვის რეგიონში 34.5 ათასი ოსი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 9.0%-ს შეადგენდა. 1959-1989 წლებში ოსების რიცხოვნება თანამიმდევრულად იზრდებოდა. სულ 1959-1989 წლებში მათი რაოდენობა 3803 კაცით გაიზარდა. ოსები რეგიონის ყველა რაიონში და ქალაქში ცხოვრობდნენ. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი იყვნენ ქ. გორში, ქარელში და გორის რაიონში. რაიონის მოსახლეობაში ხვედრითი წილით თუ შევავსებთ, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ოსებს ეკავათ ქარელში (15.4%), ქ. გორში (12.1%) და კასპში (10.1%).

ქართლში, 1989 წლის აღწერის მასალების მიხედვით 7 345 აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, რაც რეგიონის მოსახლეობის 1.9%-ს შეადგენდა. ისინი რეგიონის ყველა ქალაქსა და რაიონში ცხოვრობენ. ოღონდ, ყველაზე დიდი რიცხოვნობით კასპში (2872 კაცი) და ქარელში (1426 კაცი) იყვნენ წარმოდგენილნი. მათი რაოდენობა მცირე იყო ხაშურში (9106 კაცი), ქ. გორში (162 კაცი) და გორის რაიონში (580 კაცი). აზერბაიჯანელები გამოირჩევიან რეგიონში მცხოვრებ ეროვნებებიდან ზრდის ტემპის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით. ცხადია, ასეთმა მაღალმა მაჩვენებელმა შეცვალა მათი ხვედრითი წილიც. თუ 1989 წელს აზერბაიჯანელები ქართლის მოსახლეობაში 0.96%-ს შეადგენდნენ, შემდგომში თანამიმდევრულად შეადგინეს 1.3%, 1.8%, 2.0%. ზრდა-გამრავლების ასეთი მაღალი მაჩვენებელი ამ რეგიონში მცხოვრებ არცერთ ეროვნებას არა აქვს თვით რესპუბლიკის მკვიდრი ეროვნების ქართველის ჩათვლით.

1989 წლისათვის ქართლში 6523 სომეხი ცხოვრობდა. ისინი ქართლის ყველა ქალაქსა და რაიონში ცხოვრობენ, ოღონდ, ყველაზე დიდი რიცხოვნობით გორში (2630 კაცი) და ხაშურში (1599 კაცი) იყვნენ. მათი რიცხოვნება ყველაზე მცირე იყო კასპში (357 კაცი). სომეხების ხვედრითმა წილმა რეგიონში 1989 წელს შეადგინა 3.8%, შემდეგში 2.2% გახდა. 1979 წელს ოდნავ აიწია (2.3%), ხოლო 1989 წელს 1.7%-მდე შემცირდა. ამჟამად რეგიონის ყველა რაიონსა და ქალაქში სომეხების ხვედრითი წილის შემცირება აღინიშნება.

მნიშვნელოვნად მცირე ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილნი რეგიონის მოსახლეობაში რუსი, უკრაინელი და ბერძენი ეროვნებების მოსახლეობა, მათი

ხვედრითი წილი 1%-ის ფარგლებშია. საბჭოური პერიოდის ბოლო 30 წლის განმავლობაში ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქართლში მცხოვრებ ეროვნებებში ერთნაირად არ მიმდინარეობდა. შედეგად მათი ნაწილი (სომეხი, რუსი, უკრაინელი) განიცდიდა რიცხოვნების შემცირებას, რაც იწვევდა ამ ეთნიკურ თავისთავადობის მქონე შრომითი რესურსების შემცირებასა და, ეთნიკური თავისთავადობის დაცვა შენახვის პირობების გაუარესებას.

ქართლში მოსახლეობის რიცხოვნებისა და ეთნიკური სტრუქტურის შეცვლის პროცესს მოწმობს რეგიონის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემთა ანალიზი. საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ქართლში არცერთი ეროვნების დეპოპულაცია არ აღინიშნებოდა, თუმცა ზოგიერთ რაიონში 1988, 1989 წლებში ადგილი ჰქონდა რუსის (ხაშური, ქარელი), სომეხის (კასპი, ხაშური) დეპოპულაციას. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ წლებში დეპოპულაცია აღინიშნა რუსებში, უკრაინელებში, სომეხებში, ოსებში, ასირიელებში. ბუნებრივი მატება აქვთ ქართველებს, აზერბაიჯანელებს, ქურთებს.

ცხრილი 3.

ცალკეული ეროვნებების განაწილება რეგიონებში 2002 წლის აღწერის მიხედვით (პროცენტები)

რეგიონი	ე რ ო ვ ნ ე ბ ა								
	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	იეზიდი	დანარსენი
თბილისი	24,9	13,4	27,0	33,2	48,1	3,8	25,0	93,4	38,9
აფხაზეთი (კოდორის ხეობა)	0,1	0,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აჭარა	9,6	44,2	0,5	3,6	13,4	0,2	14,3	0,4	7,1
გურია	3,8	2,2	0,4	0,9	2,3	0,0	0,3	0,1	1,0
იმერეთი	18,8	11,0	1,7	0,8	7,3	0,1	1,6	0,3	5,2
კახეთი	9,3	5,0	16,1	1,5	5,7	14,1	1,9	2,7	32,2
მცხეთა-მთიანეთი	3,2	1,7	10,5	0,2	1,1	0,8	1,1	0,5	3,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	1,4	1,0	0,3	0,0	0,2	0,0	0,1	0,0	0,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12,6	12,0	0,4	0,2	6,2	0,0	0,6	0,0	3,0
სამცხე-ჯავახეთი	2,5	1,2	2,2	45,5	3,3	0,0	4,9	0,0	1,1
ქვემო ქართლი	6,1	5,2	5,7	12,8	9,6	78,9	48,9	2,5	5,9
შიდა ქართლი	7,9	2,9	35,2	1,4	2,9	2,0	1,4	0,0	2,1
საქართველო	100	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ამრიგად, 1990-იანი წლების ეთნოდემოგრაფიული პროცესების შედეგად მიმდინარეობს ქართლის მოსახლეობის რიცხოვნების კლება-შემცირების პროცესი. მისი ინტენსივობის განსხვავებული ხარისხის გამო ადგილი აქვს ეთნიკური სტრუქტურის შეცვლას. მცირდება ოსების, სომეხების, რუსების, უკრაინელების, ბერძენების, „სხვა ეროვნებების“ ხვედრითი წილი, ხოლო იზრდება ქართველებისა და აზერბაიჯანელების ხვედრითი წილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2013-2015 წლებში რეგიონის შრომითი რესურსების ფორმირების პროცესში ძირითადად ორი ეროვნების მონაწილეობით განხორციელდება. შიდა ქართლში ეთნიკურად უფრო ერთფეროვანი და რიცხოვნებით

უფრო მცირე სამუშაო ძალა იქნება და, აგრეთვე, უფრო მცირე იქნება ეთნიკური სუბკულტურების რიცხოვნება. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბადებულთა თაობის აღწარმოების პროცესში ჩართვის პერიოდში, თვით შვილიანობის არსებული ტიპის შენარჩუნების შემთხვევაშიც კი, კიდევ უფრო გამწვავდება ქართლის რეგიონში თაობათა განახლების პროცესი.

ცხრილი 4

შობადობა ქვემო ქართლში ეროვნებების მიხედვით
/ეროვნებების ხვედრითი წილი რეგიონის დაბადებულებში/

ეროვნება	1987-88-89 წლებში	1995-96-97 წლებში
ქართველი	16.56	29.97
რუსი	1.81	0.82
უკრაინელი	0.25	0.11
ბელორუსი	0.01	0.06
აზერბაიჯანელი	63.65	60.44
სომეხი	7.78	4.99
ოსი	0.67	0.16
აფხაზი	-	0.04
ბერძენი	8.49	3.15
ებრაელი	-	0.02
თათარი	0.05	0.01
ასირიელი	0.17	0.09
ქურთი	0.18	0.08
სხვა	0.35	0.06
ჯამი	100.0	100.0

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

2. ქართლის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და დინამიკა

ერთ-ერთ მთავარ დემოგრაფიულ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს მოსახლეობას, წარმოადგენს ასაკი. მთელი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურები მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ერთ ასაკობრივ ჯგუფში მომხდარი ცვლილებები იწვევს შესაბამის ცვლილებებს მეორეში.

1990-იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მთლიანად საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივმა შემადგენლობამ.

1990-2007 წწ. ქართლის რეგიონში 6,8 პუნქტით შემცირდა 15 წლამდე ასაკის

ბავშვების და უმნიშვნელოდ (1,2 პუნქტით) გაიზარდა 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის წილი. დემოგრაფიული თვალსაზრისით დროის მოკლე მონაკვეთში, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის საგრძნობი (5,6 პუნქტით) მატება დაფიქსირდა. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს უპრეცედენტო ქვეყანას, სადაც ეკონომიკა უკიდურესად ჩამორჩენილია, ხოლო მოსახლეობა დაბერებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 2007 წელს 14,6 %-ს შეადგენდა (იგივე მაჩვენებელი 1990 წელს 9,2%-ის ტოლი იყო).

საგანგაშო ფაქტია, რომ ქვეყანაში შემცირებულია ყველაზე აქტიური რეპროდუქციული 20-24; 25-29 წწ. მოსახლეობის და 15 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა (იხ. ცხრილი 5).

ქართლის რეგიონში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში დემოგრაფიული განვითარებისათვის უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნება დაახლოებით 15-20 წლის შემდეგ, როდესაც აქტიურ რეპროდუქციულ ასაკში შევლენ 1990-იან წლებში დაბადებული თაობები. აღნიშნულ წლებში, დაბალი შობადობის შედეგად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ტალღა – თავისი მწირი პოტენციალით, კიდევ უფრო გააუარესებს სიტუაციას, რაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე – შესაძლებელია ფატალური აღმოჩნდეს რეგიონისთვისაც და მთლიანად ქვეყნისათვის.

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის (2002წ.) მონაცემების თანახმად, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საქართველოს რეგიონებს შორის ჰქონდა ქვემო ქართლის რეგიონს (24.2%); ამ მაჩვენებლით ქვემო ქართლის რეგიონი ჭარბობდა აჭარისა (24.0%) და სამცხე-ჯავახეთის (23.7%) რეგიონებს. ეს დემოგრაფიული მოვლენა განპირობებულია იმით, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაში წარმოდგენილია ის არაქართული მოსახლეობა, რომელიც ხასიათდება მაღალი შობადობით. ამ კატეგორიის მოსახლეობის ხვედრითმა წილმა შიდა ქართლის რეგიონში შეადგინა 21.8%, რითაც იგი უსწრებს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს (21.0%). რაც შეეხება 15-64 წლის ასაკის მოსახლეობას, მათი ხვედრითი წილის მაჩვენებელი ქვემო ქართლში (65.6%) და შიდა ქართლში (64.6%) ჩამორჩება როგორც რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს (66.2%), ისე მისი ცალკეული რეგიონების მაჩვენებლებს: აჭარა (67.2%), თბილისი (70.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (66.4%). განხილული ასაკის მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (58.1%) გამოვლინდა.

რაც შეეხება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილებას, ქვემო ქართლის რეგიონში ამ კატეგორიის მოსახლეობის ხვედრითმა წილმა შეადგინა 10.1%, რითაც იგი ჩამორჩება როგორც ქვეყნის საერთო მაჩვენებელს (12.8%), ისე მისი ყველა ცალკეული რეგიონების მაჩვენებლებს. შიდა ქართლის რეგიონში აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის ხვედრითმა წილმა შეადგინა 13.6%. აღნიშნული ასაკის მცხოვრებთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი (25.5%).

საქართველოს რეგიონთა უმრავლესობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (12,8%) მაღალი მნიშვნელობებით გამოირჩეოდა. საანალიზო ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის შედარებით დაბალი დონე ქვემო ქართლის გარდა დაფიქსირდა თბილისში (10.5%) და აჭარაში (8.8%).

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა
1990 და 2007 წლებში.

ასაკი	1990 წელი			2007 წელი		
	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
0	89,2	45,9	43,3	47,0	24,8	22,2
1-4	367,0	187,5	179,5	185,2	97,6	87,6
5-9	436,9	222,5	214,4	243,7	127,8	115,9
10-14	435,8	221,8	214,0	303,2	155,8	147,4
15-19	422,8	219,0	203,8	370,4	187,8	182,6
20-24	414,6	204,0	210,6	357,9	180,1	177,8
25-29	462,5	223,8	238,7	328,0	162,8	165,2
30-34	414,7	200,2	214,5	310,7	151,3	159,4
35-39	366,9	176,3	190,6	299,3	143,5	155,8
40-44	278,8	133,0	145,8	320,1	149,4	170,7
45-49	297,7	139,3	158,4	329,4	153,3	176,1
50-54	343,7	162,7	181,0	279,6	128,3	151,3
55-59	296,1	137,0	159,1	236,8	107,4	129,4
60-64	300,4	131,3	169,1	140,0	61,3	78,7
65-69	168,7	62,1	106,6	233,3	96,9	136,4
70-74	131,7	43,8	87,9	172,5	70,7	101,8
75-79	103,6	34,1	69,5	134,1	51,5	82,6
80-84	56,0	17,4	38,6	68,9	21,8	47,1
85+	37,3	10,3	27,0	34,6	7,4	27,2
ს უ ლ	5424,4	2572,0	2852,4	4394,7	2079,5	2315,2

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

საინტერესო შედეგები მოგვცა მოსახლეობის საშუალო ასაკის ანალიზმა 1989 და 2002 წლის აღწერების მიხედვით. საქართველოში და მის ყველა რეგიონში გაიზარდა მოსახლეობის საშუალო ასაკი. აღნიშნული დროის მონაკვეთში, ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკმა 2,5 წლით მოიმატა და 2002 წელს 36,1 წელი შეადინა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონებს შორის მოსახლეობის შედარებით დაბალი საშუალო ასაკით გამოირჩეოდა ქვემო ქართლის რეგიონი (33,3 წელი), ხოლო შიდა ქართლის რეგიონში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 36,2 წელი. 1989-2002 წლების მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში ქვემო ქართლის მოსახლეობა დაბერდა 3,4 წლით, ხოლო შიდა ქართლის მოსახლეობა 2,3 წლით.

მოსახლეობის განაწილება მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
საქართველოს რეგიონებში 2002 წლის აღწერის მიხედვით
(პროცენტი)

რეგიონი	ასაკობრივი ჯგუფები		
	<15	15-64	65+
საქართველო	21,0	66,2	12,8
თბილისი	19,5	70,0	10,5
აფხაზეთი (კოლორის ხეობა)	21,2	63,7	15,1
აჭარა	24,0	67,2	8,8
გურია	19,7	64,1	16,2
იმერეთი	19,5	65,4	15,1
კახეთი	20,8	63,5	15,7
მცხეთა-მთიანეთი	20,7	64,1	15,2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	16,4	58,1	25,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20,0	66,4	13,6
სამცხე-ჯავახეთი	23,7	62,8	13,5
ქვემო ქართლი	24,2	65,6	10,1
შიდა ქართლი	21,8	64,6	13,6

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

რაც შეეხება ქართლის რეგიონში მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას, 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: შიდა ქართლის რეგიონში მამაკაცების ხვედრითმა წილმა შეადგინა 48.0%, ქალების – 52.0%. ქვემო ქართლის რეგიონში ამ მაჩვენებლებმა შეადგინეს შესაბამისად 48.5% და 51.5%. უნდა აღინიშნოს რომ მოსახლეობის სქესობრივი განაწილების მაჩვენებლები განსხვავებულია ქალაქად და სოფლად. მაგალითად, შიდა ქართლის რეგიონში ქალების ხვედრითმა წილმა ქალაქად შეადგინეს 54.0%, მამაკაცების – 46.0%. ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში ანალოგიური მაჩვენებლები იყო შესაბამისად 52.4% და 47.6%. როგორც ზემოთაღნიშნულიდან ვხედავთ, რეგიონის ქალაქის მოსახლეობაში რამდენადმე მაღალია ქალების ხვედრითი წილი, ვიდრე მამაკაცების. ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტუაცია განპირობებულია იმით, რომ ქალები თხოვდებიან ქალაქად. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით ნაკლებად პრეტენზიულნი არიან სოფლად შრომის, საყოფაცხოვრებო პირობების და სხვა მატერიალურ-სულიერი მოთხოვნილებებისადმი.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით რეგიონის შიგნით სოფლიდან ქალაქად მიგრაციულ ნაკადში ქალები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ მამაკაცებს. ქალების მიგრაციული დამკვიდრების მაჩვენებელი ქალაქად

უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. აღნიშნული ტენდენციის უმართავი გაგრძელება რეგიონში გამოიწვევს დემოგრაფიული სტრუქტურების არასასურველ დარღვევას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. არადა კ. ანთაძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ XIX საუკუნის მიწურულის დროინდელ საქართველოში, ქალაქის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო მამაკაცთა უფრო მაღალი ხვედრითი წილი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ფარგლებში ყველაზე მეტად სამუშაო მოიძებნებოდა ქალაქად, ამიტომ საშოვარზე წასული მამაკაცები უმთავრესად თავს იყრიდნენ ქალაქებში, რის გამოც მცირდებოდა ქალების ხვედრითი წილი ქალაქის მოსახლეობაში.¹

შიდა და ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში განსხვავება უმნიშვნელოა. მაგალითად, შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობაში კაცებმა შეადგინეს 49.1%, ქალებმა – 50.9%, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად იყო 49.0% და 51.0%.

ამრიგად, მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს „მოსახლეობის დაბერების“ პროცესს და იგი გარკვეულ გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე და ეკონომიკური ცხოვრების რიგ მხარეზე. საქმე ის არის, რომ „მოსახლეობის დაბერების“ შედეგად იზრდება შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა აბსოლუტური და ხვედრითი ოდენობა, კლებულობს შრომისუნარიანი კონტინგენტების ფარდობითი რიცხოვნობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, იზრდება მათი რაოდენობა, ვინც საზოგადოების კმაყოფაზე იმყოფება (პენსიონერები) და საშუალოდ ერთ მომუშავეზე უკვე მეტი მოდის კმაყოფაზე მყოფი.

თანამედროვე ეტაპზე ქართლის რეგიონი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უწსრებს საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონების მოსახლეობის რაოდენობას. 2009 წლის დასაწყისისათვის რეგიონის მოსახლეობამ შეადგინა 818.8 ათასი კაცი, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 18.7%-ს შეადგენს. მოსახლეობის მატების ტემპებით ქართლის რეგიონი ბევრად არ ჩამორჩება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. მცხოვრებთა რიცხოვნობის ზრდაში აქაც დიდ როლს ასრულებს ბუნებრივი მატება, მაგრამ ამ მხრივ ქვემო ქართლი არ გამოირჩეოდა ომისწინა პერიოდში. მაშინ მოსახლეობის მატების ტემპებით მას უსწრებდა ორივე ავტონომიური რესპუბლიკა, აგრეთვე შიდა ქართლი, ჯავახეთი და სვანეთი. მდგომარეობა ბევრად შეიცვალა ომის შემდგომ პერიოდში, როცა ბუნებრივმა მატებამ ქვემო ქართლში მაქსიმუმს მიაღწია. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის ფარგლებში ქალაქ რუსთავის წარმოქმნას. ქალაქს საფუძველი ჩაეყარა 1944 წელს – იმ ადგილას, სადაც ოდესღაც იმავე სახელწოდების ფეოდალური ეპოქის ქალაქი არსებობდა. რუსთავი ამჟამად უკვე საქართველოს მესამე ქალაქია (მოსახლეობა 2008 წ. – 117 ათასი). უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქ. რუსთავი გამოირჩეოდა დიდი მიზიდულობის ძალით; მისმა სწრაფად მზარდმა მრეწველობამ განაპირობა ქალაქში ახალგაზრდა შრომითი კონტინგენტების მაღალი ხვედრითი წილი, რამაც თავის მხრივ კარგი წანამდგრები შექმნა დაჩქარებული ბუნებრივი მატებისათვის. ამ მაჩვენებლით რუსთავი საქართველოს დიდ ქალაქებს შორის პირველ

¹ კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. „განათლება“, თბილისი. 1973. გვ. 275-276

ადგილზე იყო, ასევე პირველ ადგილზე იყო იგი მოსახლეობის მექანიკური მატებით (ფარდობითი მონაცემებით). შემდგომ 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის პერიოდში გარერესპუბლიკური მიგრაციული პროცესების შედეგად ქ. რუსთავის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა. 1982-2009 წლებში ქ. რუსთავის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა 20 ათასი კაცით.

ცხრილი 7

ქართლის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა (1 იანვრის მდგომარეობით)
(ათასი კაცი)

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
საქართველო	4,342.6	4,315.2	4,321.5	4,401.3	4,394.7	4,382.1	4,385.4
ქვემო ქართლი	493.2	491.1	494.7	507.6	508.3	503.9	505.8
ქ. რუსთავი	115.5	115.0	115.5	118.2	117.9	117.3	117.4
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	73.7	73.3	74.0	75.1	75.6	76.0	76.7
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	113.4	112.8	113.7	116.4	116.5	112.4	112.7
დმანისის მუნიციპალიტეტი	27.7	27.6	27.8	28.4	28.3	28.2	28.2
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	25.1	25.0	25.0	26.4	26.2	25.8	25.6
მარნეულის მუნიციპალიტეტი	117.1	116.7	117.9	121.0	121.8	122.5	123.5
წალკის მუნიციპალიტეტი	20.7	20.7	20.8	22.1	22.0	21.7	21.7
შიდა ქართლი	310.5	308.9	309.1	314.0	313.6	312.8	313.0
გორის მუნიციპალიტეტი	146.9	146.4	146.9	135.9	135.8	135.6	135.8
კასპის მუნიციპალიტეტი	51.7	51.4	51.4	52.1	52.0	51.8	51.8
ქარელის მუნიციპალიტეტი	49.9	49.5	49.4	49.7	49.7	49.5	49.5
ხაშურის მუნიციპალიტეტი	62.0	61.6	61.4	61.8	61.6	61.4	61.4

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ, რომ ქვემო ქართლი საქართველოში აზერბაიჯანელების განსახლების ძირითადი არეალია, გასაგები გახდება ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა. 1926 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში შეადგენდა 7,5%-ს, 1979 წელს – 10,5%-ს, 2009 წლის დასაწყისში კი მან 11,5% შეადგინა. შედარებით სწრაფად იზრდებიან ქალაქები – მარნეული და გარდაბანი. ეს ქალაქები რუსთავთან ერთად თბილისის აგლომერაციაში შედიან და მათი ეკონომიკური ფუნქციის გაძლიერებაზე დადებით გავლენას ახდენს დედაქალაქი.

საქართველოს რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციისაგან განსხვავებით, საკმაოდ სწრაფად იზრდება ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობა. გარდა იმისა, რომ აზერბაიჯანელებს შორის მაღალ დონეზეა შობადობა, ადგილი აქვს სოფლის მოსახლეობის მექანიკურ ზრდას. ომის შემდგომ პერიოდში წარმოიშვა რიგი ახალი

სოფელი, რომელთა მოსახლეობა რესპუბლიკის მთიანი მხარეებიდან ჩამოსახლდა, გაიზარდა ბევრი არსებული სოფლის მოსახლეობაც. ქვემო ქართლი შედარებით კარგადაა მიწებით უზრუნველყოფილი და, რაც მთავარია, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის საგარეუბნო ზონას განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით აქ განხორციელდა დიდი საირიგაციო სამუშაოები, რამაც შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. მეურნეობის ეს დარგი უპირატესად ემსახურება თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მომარაგებას სასურსათო პროდუქციით.

3. ქართლის რეგიონის მოსახლეობის კვლავწარმოება

ქართლის რეგიონი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით გამოირჩევა ვრცელი ტერიტორიული განფენილობითა (11, 5 ათასი კვადრატული კმ; შიდა ქართლი – 5,1 ათასი კვ. კმ; ქვემო ქართლი 6,4 ათასი კვ. კმ) და მოსახლეობის ყველაზე დიდი რიცხოვნობით. 2009 წლის მონაცემების მიხედვით აღნიშნულ რეგიონში ცხოვრობდა 818, 800 კაცი, მათ შორის ქვემო ქართლში 505,8 ათასი და შიდა ქართლში 313,0 ათასი კაცი. თუ პროცენტული მაჩვენებლებით გამოვსახავთ მოსახლეობის რიცხოვნობას, ქართლის რეგიონში 2009 წელს ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის 18,7%, ხოლო თვით რეგიონის შიგნით მოსახლეობის ძირითადი ნაწილი განსახლებულია ქვემო ქართლის რეგიონში – 61,7%, ხოლო შიდა ქართლში ცხოვრობს 38,3%. რეგიონში ადმინისტრაციული რაიონებში მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩევა ქ. რუსთავი (117.4 ათასი), გარდაბნის რაიონი (112.7 ათასი), მარნეულის რაიონი (123.5 ათასი) და გორის რაიონი (135.8 ათასი კაცი).

ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის თავმოყრა მოცემული რეგიონის მთათაშორისი ბარის ფარგლებში, რის შედეგადაც ეს ზონა წარმოადგენს უძველესი დროიდან საქართველოს მცხოვრებთა განსახლების მთავარ ზონას. წარმოების სწრაფმა აღმავლობამ, მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალების განედურ მიმართულებათა შექმნამ და საქალაქო დასახლებათა დაჩქარებულმა განვითარებამ ბევრად გააძლიერა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი, დიდი რაოდენობით მიიზიდა მოსახლეობა საქართველოს სხვა ნაწილებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა განსხვავებულია როგორც ჩვენი საკვლევი რეგიონის შიგნით, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში, ქალაქსა და სოფელს შორის, რის შედეგადაც წარმოიქმნება შიგარესპუბლიკური სხვაობანი მოსახლეობის კვლავწარმოებაში და დინამიკაში. ასეთ სხვაობათა წარმოქმნას განაპირობებს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ტრადიციულად დამკვიდრებული ყოფითი ელემენტები, რელიგიური გადმონაშთები, ქალის მდგომარეობა ოჯახში, მოსახლეობის მობილურობა და, ზოგადად, ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაზე.

საქართველოს სტატისტიკური სამსახურები აქვეყნებენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით და არა მისი ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რეგიონული მაჩვენებლების შედარებითი ანალიზით.

ქართლის რეგიონში მოსახლეობის მაღალი შობადობა აღინიშნა 1990 წელს, როდესაც შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა შიდა და ქვემო ქართლის რეგიონში შეადგინა შესაბამისად 22,9 და 21,3 ბავში. ამ მაჩვენებლებით იგი საგრძნობლად უსწრებდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. საქართველოს ავტონომიურ ერთეულებსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს შორის, როგორც მთლიანად საბჭოთა პერიოდში, ისე ომის შემდგომ წლებში, მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ყოველთვის პირველ ადგილზე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. შობადობის მაჩვენებლები ქართლის რეგიონში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში, კლების ტენდენციით ხასიათდება გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ. აღნიშნულ მოვლენაში კატალიზატორის როლი, ათობით წლების მანძილზე არსებული ეკონომიკური კავშირების მყისიერმა გაწყვეტამ, მომხდარმა სამოქალაქო ომმა და ხელოვნურად ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების შედეგად განვითარებულმა უმწვავესმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა შეასრულა.

შობადობის მაჩვენებლები ქართლის რეგიონში კვლავ გაიზარდა უკანასკნელ წლებში და მან 2009 წელს შეადგინა 13,7 ბავში, როგორც შიდა ისე ქვემო ქართლის რეგიონში. ამჟამად შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მიხედვით ქართლის რეგიონი ჩამორჩება მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც ამ მაჩვენებელმა შეადგინა 14,2 ბავში.

ქვემო ქართლის რეგიონში და საერთოდ საქართველოში შობადობის სფეროში მიმდინარე პროცესებს, ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობებიდან გამომდინარე პროფ. გ. მელაძე სამ ეტაპად ყოფს.¹

პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1992 წწ. როდესაც შობადობის ზოგადი მაჩვენებელი მკვეთრი ზრდით ხასიათდებოდა. აღნიშნული დროის მონაკვეთში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 19,4 ბავშვს უდრიდა საშუალოდ. მეორე ეტაპი 1993-2003 წწ. მოიცავს და მიუხედავად ცალკეულ წლებში კოეფიციენტის ერთგვარი სტაბილურობისა, მონოტონური კლების ტენდენციით გამოირჩეოდა. მესამე ეტაპი 2004 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. იგი შობადობის კოეფიციენტის ტალღისებური ცვლილებებით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე ქვემო ქართლის რეგიონში სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი (6,7 პრომილე, 2009წ.) ყველაზე დაბალია საქართველოს სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებთან შედარებით. აღნიშნული ფაქტი უმთავრესად რეგიონის მოსახლეობის შედარებით ახალგაზრდა სტრუქტურით არის განპირობებული. ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელზეც, რაც განპირობებს მოცემული რეგიონის მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმს.

1990-2009 წლების პერიოდში, შობადობის კოეფიციენტის დონე ყველაზე მეტად შემცირდა შიდა ქართლში (9,2 პუნქტით), ქვემო ქართლში (7,6 პუნქტით) და სამცხე-ჯავახეთში (7,5 პუნქტით). საგულისხმო ფაქტია, რომ სამივე რეგიონში 1990 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობა ყველაზე მაღალი იყო საქართველოში (იხ. დანართი, ცხრილი 4).

ქართლის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები,

¹ გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. "უნივერსალი," თბილისი, 2007. გვ.27.

შესაბამისად აისახა ბუნებრივი მატების კოეფიციენტში, რომელიც 1990-2006 წწ. კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა განსაკუთრებით დაიკლო ქვემო ქართლის რეგიონში, როდესაც მან 2004 წელს - 0.4% შეადგინა. 2004 წლიდან მიმდინარეობს კოეფიციენტის მცირე მატების ტენდენცია.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ყოველთვის გამოირჩეოდა აჭარა. 1990-2008 წლებში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს შორის ბუნებრივი მატება ყველაზე მაღალი იყო ქვემო ქართლში და მან 1990 წელს შეადგინა 14.5%, ხოლო 2006 წელს იგი დაეცა 4.9%-მდე. მიუხედავად მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა, ეს უკანასკნელნი კოეფიციენტი დაბალ დონედ უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი გაანგარიშებით 2006 წელს აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონების გარდა, საქართველოს ყველა რეგიონში მოსახლეობის ზრდის ტემპი უარყოფითი მნიშვნელობებით ხასიათდებოდა.

ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ გაანალიზებული ინფორმაცია ეყრდნობა ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც არსებული არასრული აღრიცხვის გამო რიგ შემთხვევებში სრულყოფილად ვერ ასახავენ არსებულ მდგომარეობას, აქედან გამომდინარე რეალური ვითარება შეიძლება კიდევ უფრო მძიმე იყოს.

მიუხედავად იმისა რომ, ქართლის რეგიონში მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებელი დადებითია ქვეყნის სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია არ არის დამამშვიდებელი. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, გადაუდებელ ამოცანად გვესახება ქვეყნის სპეციფიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და გატარება სახელმწიფო დონეზე.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის შესაძლებლობებიც განუზომლად დიდია.

4. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაბერება

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებრივ თავისებურებას წარმოადგენს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაბერების პროცესი, რაც მისი ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის შედეგია და გამოიხატება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა და მოხუცთა ხვედრითი წილის სისტემატური ზრდით, შრომისუნარიანი მოსახლეობისა და რეპროდუქციული ასაკის ქალების დაბერებით, მოსახლეობის საშუალო ასაკის მატებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი დიდი დიფერენცირებულობით ხასიათდება. იგი ვლინდება როგორც ცალკეულ რეგიონებში, ისე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში. ეს თავისებურება საგრძნობ გააღებნას ახდენს რეგიონებისა და ცალკეული ეთნოსების დემოგრაფიულ განვითარებაზე, აღწარმოების რეჟიმებზე, შრომითი რესურსების ფორმირებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე. იგი მოითხოვს დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში რეგიონულ-ეთნიკური ფაქტორის გათვალისწინებას.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, ქვეყანაში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1960-2004 წწ. 1,3 ხოლო ქალებში 0,9 წლით შემცირდა და 2004 წელს შესაბამისად 67,8 და 74,9 წელი შეადგინა. დროის დაახლოებით იგივე მონაკვეთში (1960-2002 წწ.), ევროკავშირის ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი მამაკაცებში 8,1, ხოლო ქალებში 8,7 წლით გაიზარდა და 2002 წელს შესაბამისად 75,5 და 81,6 წელის ტოლი იყო. განხილული ზოგადი სტატისტიკური მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება განვითარებულ სამყაროს იმ მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებლის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა. გულუბრყვილობა იქნებოდა დაფიქსირებული ფაქტის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ 1990-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით აგვეხსნა. არსებულ პრობლემას გაცილებით დიდი ხნის ისტორია გააჩნია და მისი სათავე, უმთავრესად ათეულობით წლების მანძილზე სახელმწიფოს მიერ წარმოებულ პატერნალისტურ პოლიტიკაში, რეალური დემოგრაფიული პროცესების არაადეკვატურ აღქმაში და გააზრებაში უნდა ვეძიოთ.¹

მიუხედავად ზემოაღნიშნული რეალობისა, საქართველოში იყო პერიოდი (1960-იანი წლები, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი), როდესაც მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთ-ერთი გამორჩეული იყო დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს შორის (იხ. ცხრილი 8).

გლობალური მოვლენა რომლის განვითარების კანონზომიერებზედაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოკვდაობის სფეროში მიმდინარე პროცესები, დემოგრაფიულ მეცნიერებაში ეპიდემიოლოგიური გადასვლის სახელწოდებითა ცნობილი. დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით აღნიშნული გადასვლის განვითარებას საქართველოში გარკვეული პრობლემები შეექმნა, რის გამოც დღესდღეობით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მათთან შედარებით საგრძნობლად დაბალია.

საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ შესადარისი და დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია 1959 წლიდან არსებობს. ამიტომ დემოგრაფიული დაბერების რეგიონული თავისებურებების კვლევა მოცემული პერიოდიდანაა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ დემოგრაფიული დაბერების პროცესს საქართველოს რეგიონებში უთანაბრო ხასიათი ჰქონდა. ე. როსეტის სკალის მიხედვით, უკვე 1959 წლისათვის საქართველოში არცერთი რეგიონი არ იყო დემოგრაფიულად ახალგაზრდა (იხ. ცხრილი 9). მათგან აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე ჯავახეთი დგას “სიბერის პირველ კარიბჭესთან,” შიდა ქართლი, აფხაზეთი და თბილისი “სიბერის უშუალო კარიბჭესთან,” ხოლო დანარჩენი რეგიონები დემოგრაფიულად დაბერებულია. მათგან რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და გურია, შეიძლება ითქვას – “გადაბერებული რეგიონებია. მათი მოსახლეობა დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით “სიბერის განვითარებულ დონეზეა.”²

¹ გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. “უნივერსალი,” თბილისი, 2007. გვ.75.

² შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999. გვ.46.

სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა საქართველოში
და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში

ქვეყანა	სქესი	წ ლ ე ბ ი						
		1960	1965	1970	1980	1990	2000	2011
საქართველო	მამაკ.	69.1	68.3	68.1	67.1	67.5	67.5	69
	ქალი	75.8	74.9	75.2	74.8	75.1	75.0	79
ბელგია	მამაკ.	67.3	67.6	67.9	69.9	72.7	74.4	77
	ქალი	73.1	73.7	74.1	76.5	79.3	80.8	82
დანია	მამაკ.	70.4	70.2	70.9	71.2	72.0	74.5	77
	ქალი	74.0	74.7	75.9	77.2	77.8	79.3	81
გაერთ. სამეფო	მამაკ.	67.9	68.2	68.7	70.8	72.9	75.4	78
	ქალი	73.7	74.2	75.0	76.9	78.6	80.2	82
გერმანია	მამაკ.	67.7	67.8	67.5	69.6	72.0	75.0	77
	ქალი	73.2	73.5	73.5	76.1	78.4	81.0	83
ფინეთი	მამაკ.	65.4	66.3	66.2	69.3	71.0	74.2	77
	ქალი	72.4	72.8	74.4	77.8	78.9	81.0	83
ნიდერლანდები	მამაკ.	71.5	71.1	70.8	72.5	73.8	75.5	79
	ქალი	73.2	73.5	73.5	76.1	78.4	81.0	83
ნორვეგია	მამაკ.	71.6	71.1	71.3	72.4	73.5	76.0	79
	ქალი	76.0	76.4	77.5	79.2	79.8	81.4	83
საფრანგეთი	მამაკ.	67.0	67.7	68.4	70.2	72.8	75.3	78
	ქალი	73.5	74.9	75.8	78.3	80.9	82.7	85
შვედეთი	მამაკ.	71.2	71.7	72.3	72.8	74.8	77.4	80
	ქალი	74.9	76.1	77.1	78.8	80.4	81.7	84
შვეიცარია	მამაკ.	68.7	69.4	70.1	72.3	74.0	76.9	80
	ქალი	74.1	75.2	76.1	78.8	80.7	82.6	84

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

1959-1989 წლებში 59 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი სისტემატურად იზრდებოდა თითქმის ყველა რეგიონში. 60-იან წლებში კი ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში იგი სტაბილურია, ხოლო 70-იან წლებში აჭარაში აღნიშნული კონტინგენტი დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების გამო უმნიშვნელოდ შემცირდა.

შესაბამისად, ამავე პერიოდში ყველა რეგიონში აღვიდა 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის შემცირების პროცესს. თუმცა, იმასაც აღნიშნავთ, რომ ომის შემდგომი საკომპენსაციო პერიოდის გავლენით ეს ასაკობრივი ჯგუფი 60-იან წლებში ყველგან გაიზარდა, გარდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა, სადაც ინტენსიური მიგრაციული პროცესების გამო მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ამ დროისათვის საგრძნობლად ზემოქმედებდა ბუნებრივ მოძრაობაზე. მოსახლეობის ამ

კონტიგენტის ზრდა 1980-იან წლებში შეიმჩნევა თბილისშიც, რაც შიგა მიგრაციული პროცესების შედეგია. ომის შემდგომ საკომპენსაციო პერიოდის გავლის შემდეგ თბილისში ეს კონტიგენტი მცირდება და მისი წილი 1959 წლის დონეზე ნაკლები ხდება. ეს განაპირობა მთელი საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სპეციფიკამ.

უკვე 1989 წლისათვის დემოგრაფიული დაბერების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. მისი მოსახლეობის ნახევარი 43 წელს გადაცილებულია. ეს ის რეგიონია, სადაც ქალთა საშუალო ასაკი (მედიანური) ყველაზე მაღალია (48 წელი). დემოგრაფიული დაბერების მაღალი ხარისხით, აგრეთვე გამოირჩევა გურია, კახეთი, იმერეთი და მცხეთა-მთიანეთი.

ცხრილი 9

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებში 1959-1989 წწ.

	0-14 წ მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში				59 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში				მოსახლეობის საშუალო ასაკი			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
თბილისი	22.9	24.2	22.8	23.2	10.0	12.0	12.2	13.3	29.4	31.4	30.2	31.0
აფხაზეთი	30.0	29.9	25.4	23.9	10.2	11.1	12.7	14.9	26.4	29.1	29.9	31.9
აჭარა	32.1	34.0	30.9	29.0	9.1	10.5	10.1	11.2	24.4	24.6	25.0	27.0
გურია	27.6	28.0	24.3	23.2	13.6	15.0	16.2	18.1	28.0	32.0	33.5	33.6
რაჭა-ლეჩხუმი- ქვ.სვანეთი	27.5	26.7	21.7	18.4	15.8	18.7	23.1	27.9	28.0	34.4	40.4	43.5
სამეგრელო- ზ.სვანეთი	30.4	30.7	26.0	24.0	12.3	12.2	13.0	15.5	26.0	28.5	29.4	32.2
იმერეთი	28.3	29.2	24.3	22.6	12.4	12.8	13.6	16.0	26.9	30.5	31.3	32.8
კახეთი	29.4	29.7	25.2	24.1	12.2	13.9	15.0	17.7	27.0	31.1	32.1	32.8
მცხეთა- მთიანეთი	30.5	32.2	26.7	24.1	12.3	14.0	13.9	16.2	25.3	29.1	29.7	31.5
ქვ. ქართლი	36.3	38.9	31.2	29.7	8.3	8.3	8.6	10.1	22.7	21.5	24.0	26.8
შიდა ქართლი	30.5	32.6	27.2	24.7	11.1	12.2	13.1	15.0	26.6	28.1	29.4	30.9
სამცხე- ჯავახეთი	34.6	37.0	29.0	27.7	8.7	9.5	10.0	12.6	23.4	23.7	26.0	28.7

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს 1960-1970 სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ მამაკაცებში და ქალებში შესაბამისად 1.20 და 0.43 წლით დაიკლო, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ბავშვთა მოკვდაობაში. დაფიქსირებული ფაქტი გარდაცვალებათა მაღალ ასაკებში გადანაცვლებით უნდა აიხსნას.

მამაკაცებისა და ქალების შვიდი ასაკობრივი ჯგუფის წვლილი
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილებაში საქართველოში
1960-1970, 1970-1979, 1979-1989, 1989-2004 წწ.

ასაკი	1960-1970		1970-1979		1979-1989		1989-2004	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
<1	0.68	0.82	-0.41	-0.12	1.18	0.96	-0.21	-0.55
1-14	0.66	0.60	0.08	0.13	0.13	0.11	0.18	0.20
15-29	0.08	0.12	0.07	0.07	0.09	0.05	0.28	0.09
30-44	0.05	0.35	-0.01	0.02	-0.09	0.08	0.01	0.07
45-59	-0.43	-0.15	-0.36	-0.04	0.16	0.15	-0.02	0.16
60-74	-1.05	-0.46	-0.12	-0.16	-0.24	-0.11	0.24	0.04
75+	-1.19	-1.71	-0.42	-0.64	0.05	-0.20	-0.75	-0.82
ს უ ლ	-1.20	-0.43	-1.17	-0.74	1.28	1.04	-0.27	-0.81

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

1970-იან წლებში მოკვდაობის სფეროში არსებული პრობლემები კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა, რაც ორივე სქესის მიხედვით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლებაში აისახა. დაფიქსირებული ფაქტი მნიშვნელოვანწილად ჩვილთა მოკვდაობის (განსაკუთრებით ბიჭებში) საგრძნობი მატებით იყო გამოწვეული. მიმდინარე ნეგატიური პროცესების საპასუხოდ ქვეყანაში 1970-იანი წლების პირველი ნახევრიდან 1986 წლამდე აიკრძალა მოკვდაობის შესახებ მეტნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის გამოქვეყნება. ხელისუფლებამ საზოგადოება სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მოაქცია. აღნიშნული დროის მონაკვეთში, გამოქვეყნებას ექვემდებარებოდა მონაცემები მხოლოდ გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების შესახებ. ვინაიდან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე ვიდრე თვით მოკვდაობის დონეზე, ამიტომ აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში, ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურის გამო, უფრო დაბალი იყო დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით.¹

საანალიზო დროის მონაკვეთში (1960-2004 წწ.), სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იყო 1979-1989 წწ. როდესაც - როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებშიც მის საგრძნობ (შესაბამისად 1.28 და 1.04 წლით) მატებას ჰქონდა ადგილი. აღნიშნულ მოვლენაში უდიდესი წვლილი

¹ გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. "უნივერსალი," თბილისი, 2007. გვ.79.

მიუძღვდა ჩვილთა მოკვდაობაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს. 1989-2004 წწ. საქართველოში კვლავ შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (მამაკაცებში 0.27 ხოლო ქალებში 0.81 წლით), რაც უმთავრესად განპირობებული იყო მაღალი (75 და მეტი) ასაკის ადამიანებისა და ჩვილთა მოკვდაობის მატებით. 2003 წელს ჩვილთა მოკვდაობამ საქართველოში 24.8% შეადგინა, რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

1990-იანი წლებიდან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში მიმდინარე ნეგატიური პროცესები, მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში შექმნილ ყოვლისმომცველ პერმანენტულ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს. აღნიშნული პერიოდში თუ რამდენად მაღალი იყო გარდაცვლილთა რაოდენობა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, შესაძლებელია შევაფასოთ სტანდარტიზაციის ირიბი მეთოდით. ანალიზისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით 1991 წელი, ვინაიდან აღნიშნულ წელს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ზემოაღნიშნული კრიზისი. სტანდარტად შევარჩიეთ საფრანგეთის მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტები. გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში 36,5%--თ მეტი ადამიანი გარდაიცვალა, რაც 19115 გარდაცვლილის ტოლფასია.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2003-2004 წწ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში მამაკაცებში კიდევ 1.3 წლით შემცირდა და 67,8 წელი შეადგინა, ხოლო ქალებში უმნიშვნელოდ – 0.2 წლით გაიზარდა და 74.9 წელის ტოლი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი მაჩვენებლები შესაბამისად 1.3 და 0.9 წლით დაბალია 1960 წლის დონეზე.

საბოლოოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ გასული საუკუნის განმავლობაში დემოგრაფიული დაბერების პროცესი როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ისე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში უთანაბროდ მიმდინარეობდა. ეს განაპირობა სხვადასხვა დროს დემოგრაფიულ დაბერებაზე მოქმედი ფაქტორებმა.

თანამედროვე პერიოდში საქართველოში დემოგრაფიული დაბერების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს ყველა რეგიონში და ყველა ეთნიკურ ჯგუფში. სავარაუდოა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო ეს პროცესი უფრო მკვეთრად იქნება გამოხატული მომავალში. თუმცა, განსხვავება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების დაბერების მაჩვენებლებში მაინც შენარჩუნებული იქნება.

მოსალოდნელია, რომ რეგიონებს შორის დემოგრაფიული დაბერების დონეში არსებული დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი შესუსტდება. ამას გამოიწვევს 90-იანი წლების დასაწყისში დროებითი უკუმიგრაციული პროცესების განვითარება ქალაქიდან სოფლად.

მიგრაციული პროცესები ქართლის რეგიონში

პოსტსაბჭოთა საქართველოში მოსახლეობის მიგრაციამ არნახული მასშტაბები მიიღო. მასობრივი ტერიტორიული გადაადგილების გამო მოსახლეობის ბოლო ორ ადწერათაშორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონით შემცირდა. სსრკ დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველო-

ში მიგრაციული პროცესები არსებითად შეიცვალა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზმის რღვევამ, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში გაჩენილმა ბუნებრივმა და ხელოვნურმა წინააღმდეგობებმა, იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ეკონომიკის კრახმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ, სახელმწიფოებს შორის ადამიანთა გადაადგილების ლიბერალიზაციამ მოსახლეობის მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა. დიდი მასშტაბი მიიღო იძულებითმა მიგრაციებმა, რასაც მეტად მძიმე შედეგი მოჰყვა.

არარაციონალური მიგრაცია გახდა პოსტსაბჭოთა საქართველოს უმწვავესი სოციალური პრობლემა, რომლის რეგულირება სახელმწიფოს წინაშე მდგარი პირველხარისხოვანი ამოცანაა. მსგავსი პრობლემების წინაშე ერთდროულად აღმოჩნდნენ ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც, რომლებთანაც საქართველოს ადრე მყარად ჩამოყალიბებული, სტაბილური მიგრაციული მიმდევლა ჰქონდა. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება, გაართულა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის მოწესრიგების კონცეპტუალური გააზრება.

თავისი შედეგით მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს ამჟამინდელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას. სამწუხაროდ, მისი მეცნიერული შესწავლის მდგომარეობა განვითარებული მასშტაბური პროცესის არაადეკვატურია. მიგრაციის რეგულირების სახელმწიფოებრივი სისტემა უკიდურესად სუსტია.

სავსებით ბუნებრივია, რომ მრავალ უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებში გახლართულმა სუსტმა ქვეყნებმა აქამდე ჯეროვნად ვერ მოახერხეს არსებითი ზემოქმედების მოხდენა იმ უძძიმესი შედეგების შესარბილებლად, რასაც მიგრაციული პროცესების უმართაობა ქმნის. ამავე დროს, ჩვენი და მეზობელი სახელმწიფოების თანდათანობითი პოლიტიკური განმტკიცებისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის ტენდენციების გაძლიერების კვალდაკვალ გადაუდებელი ხდება მიგრაციის უმართავი პროცესის მოწესრიგება.

სსრკ დაშლის შემდგომ 1990-იან წლებში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრიზისმა, რესპუბლიკათა შორის მყარად ჩამოყალიბებული, განვითარებული სამეურნეო კავშირების რღვევამ, რუსეთის მხრივ იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ, ეთნოკონფლიქტებმა, შინააშლილობამ და ეკონომიკის კოლაფსმა სრულიად ახალი საფუძველი შეუქმნა მოსახლეობის ტერიტორიულ მობილურობას. ხანმოკლე პერიოდში განვითარდა ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომელიც თავისი მასშტაბითა და სოციალური შედეგებით უპრეცედენტო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში.

საყოველთაო კრიზისისა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ურთულეს პირობებში სავსებით მოიშალა მიგრაციის სტატისტიკა. ადრე დამკვიდრებული მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის სავალდებულო წესის შეცვლამ და მიგრანტთა რეგისტრაციის ახალი სისტემის შემოღებამ ჯერჯერობით დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. არასტაბილურ ვითარებაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით მიგრაციის მასშტაბების დადგენა მრავალ კითხვას ბადებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული მიგრაციის აღრიცხვა ე.წ. საზღვრის გადაკვეთთა აღრიცხვის გზით ძლიერ მწირ ინფორმაციას იძლევა რეალური მიგრაციის ძირითადი პარამეტრების შესახებ. ვერც მცირე მასშტაბის

შერჩევითი გამოკვლევები გვაწვდიან მიგრაციის მართვისათვის აუცილებელ ინფორმაციას. ამიტომ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მიგრაციის რეგისტრის ქმედუნარიანობის ამაღლება, ისეთი სისტემის შემოღება, როცა მიგრანტი თითონ იქნება დაინტერესებული რეგისტრაციით. ცხადია, აღრიცხვის ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებაც აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია.

მეორე მხრივ, რადიკალურად უნდა შეიცვალოს მიგრაციის შესწავლისადმი მიდგომა და მისი სერიოზული მეცნიერული კვლევა უნდა გახდეს მყარი საფუძველი მიგრაციული პროცესების მართვისა. ის ეპიზოდური კვლევები, რომელიც განხორციელებულია მიგრაციის შესასწავლად, სრულებითაც არ შეესაბამება საკითხის მნიშვნელობას, თუმცა ზოგადად მაინც ხატავენ მიგრაციულ სურათს და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის მეცნიერული გააზრების წინაპირობებს ქმნიან. მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევას საქართველოში მიგრაციული პროცესების მეცნიერული შესწავლისა და მართვისათვის. იმავდროულად მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობა, როგორც თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემა, სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოების მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და დღის წესრიგში აყენებს მის სისტემურ კვლევას ფართო პროგრამით.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოში და ქართლის რეგიონში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლასა და ანალიზს. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ჩვენს მიერ ჩატარებული კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებს. მასში აგრეთვე გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრისა და სხვა მკვლევართა (პროფ. მ. ტუხაშვილი, პროფ. ე. მენაბდიშვილი, პროფ. მ. შელია) მასალები.

ქართლის რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარდა ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევა (ხაშურის, გორისა და ბოლნისის რაიონებში), რომელმაც მრავალფეროვანი დემოგრაფიული პრობლემატიკა მოიცვა. ჩვენს კვლევაში ყურადღება დაეთმო რეგიონის მოსახლეობის უკვე მომხდარ და პოტენციური მიგრაციის შესწავლას. შესაბამისად რესპონდენტებს დაესვათ შემდეგი შინაარსის კითხვები: “ოჯახის რომელი წევრია საზღვარგარეთ წასული,” “თუ წასულია, რომელ ქვეყანაში,” “რამდენი წელია, რაც საზღვარგარეთ იმყოფება,” “როგორ ეპყრობიან მას იმ ქვეყანაში,” “რა პრობლემები გადაჭრეს საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით,” “გსურთ თუ არა საქართველოდან წასვლა მუდმივად ან დროებით,” “თუ გსურთ, რომელ ქვეყანაში,” “თუ შეიძლება მიუთითეთ წასვლის სურვილის მიზეზი” და სხვა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, დასაქმების სფეროს პრაქტიკულად არარსებობა, თავიანთი მომავლისადმი გაურკვეველობა მოსახლეობის ერთ ნაწილს უბიძგებს საზღვარგარეთ მიგრაციისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციული ნაკადების მიმართულებებში შეინიშნება ასაკობრივი დიფერენციაცია. ასე მაგალითად, რუსეთში უმეტესწილად წასულია 40 და მეტი ასაკის მქონე ოჯახის წევრები, ხოლო საბერძნეთსა და გერმანიაში ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაა გასული. აშშ-ში და გერმანიაში წასული ახალგაზრდების მიზანი დასაქმებასთან ერთად სწავლის შეთავსებაცაა.

სოციოლოგიური გამოკვლევით მიღებული მასალების ნაწილობრივ დამუშავების

შედევად მივიღეთ საკმაოდ საინტერესო პასუხები.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მიგრაცია ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

ა) დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მასობრივი მუდმივი ემიგრაციის პროცესი. საწყის ეტაპზე უფრო ინტენსიური იყო არაქართველი მოსახლეობის გასვლა საზღვარგარეთ, შემდგომ კი თანდათან ქართველთა ემიგრაციული ინტენსივობაც გაიზარდა;

ბ) ეთნოკონფლიქტებისა და ეთნოწმენდის გამო იძულებითმა მიგრაციამ მოიცვა დიდი ტერიტორია და მოსახლეობა ძალდატანებით გადაადგილდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გაიფანტა სხვა ქვეყნებში;

გ) განვითარდა დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია;

დ) მინიმუმამდე შემცირდა შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია;

ე) შეიცვალა ე.წ. სასწავლო მიგრაციის ინტენსიურობა და მიმართულებები;

ვ) პრაქტიკულად შეწყდა შიგა ორგანიზებული მიგრაციები.

მიუხედავად მიგრაციულ ნაკადთა ძირითადი მიმართულებებისა და ზოგიერთი სტრუქტურული პარამეტრის განსაზღვრისა, სრულიად დაუმუშავებელია ემიგრაციული ვითარება საქართველოს შიგარევიონებში. ამ მხრივ, გამოკვლევა განხორციელდა მხოლოდ საქართველოს სამთომომპოვებელ ცენტრებში (ტყიბულისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონები), თბილისში, მაგრამ იგი მცირე ნაწილია საქართველოს მრავალრეგიონიანი სისტემისა და გამოკვლევის შედეგების განზოგადება და გავრცელება სხვა რეგიონებზე ხელშესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ამასთან ერთად, აუცილებელია გარე სტაციონარული მიგრაციის პროგნოზული შეფასებებისა და შესაბამისი გაანგარიშებების გაკეთება.

1990-იანი წლები საქართველოს ისტორიაში შევა როგორც არნახული იძულებითი მიგრაციების დროის მონაკვეთი. აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან სეპარატისტული და რეაქციული გარე ძალებისაგან ინსპირირებული ეთნოწმენდის შედეგად ძალდატანებით გადაადგილდა თითქმის 300 ათასი კაცი, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ქართველობაა. მიუხედავად დევნილთა მიმართ ყურადღებისა და სხვადასხვა ხასიათის პროგრამებისა, ჯერჯერობით მეცნიერულად არაა შეფასებული ამ პერიოდის იძულებითი მიგრაციებით მიყენებული „დემოგრაფიული ზარალი“, დაკარგული შრომითი პოტენციალი. ურთულეს პროცესს წარმოადგენს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, იძულებით გადაადგილებულთა თავიანთ საცხოვრისში დაბრუნება, რომელიც უნდა დაეყრდნოს მყარ მეცნიერულ შეფასებებს, პროგნოზულ გაანგარიშებებს, ამ მხრივ კი სერიოზული კვლევა არ მიმდინარეობს. ცალკეულ პირთა ეპიზოდური გამოკვლევები არ შეესაბამებიან პრობლემის მნიშვნელობას.

ქართლის რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის არსებით მხარედ იქცა შრომითი ემიგრაცია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე იგი ძირითადად სამხრეთ საქართველოს არაქართველი მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი, კრიზისის დროს კი მან მთელი საქართველო მოიცვა ფართო ეთნიკური სპექტრით. სხვადასხვა გამოკვლევებით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასულია ერთ მილიონზე მეტი ადამიანი. შრომითი ემიგრაციის შესწავლის დარგში რამდენიმე ნაბიჯია გადადგმული, რომლის ზოგიერთი შედეგი ამ ნაშრომშია მოცემული. კერძოდ, შერჩევითი

გამოკვლევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია XX საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენა შრომით ემიგრაციულ პროცესებზე. გამოვლენილია შრომითი ემიგრაციის მიზეზები, მასშტაბები, ძირითადი მიმართულებები და ორგანიზების თავისებურებები, შრომით მიგრანტთა ნაკადების სტრუქტურულ-დემოგრაფიული მახასიათებლები, შრომით მიგრანტთა პროფესიულ-შრომითი და სოციალური ადაპტაციის მდგომარეობა.

გამოკვლევამ აჩვენა ქართლის რეგიონის უფრო მჭიდრო ინტენსიური გარერესპუბლიკური მიგრაციული კავშირები ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომელზედაც მოდიოდა მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ნახევარზე მეტი, ასევე უკრაინასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ეს უპირატესად განპირობებული იყო საქართველოსთან ამ რესპუბლიკების ტერიტორიული სიახლოვით. რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს. გარდა ამისა ისტორიულად, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში ამ რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილია წარმოდგენილი. ეს პროცესი გრძელდება ბოლო წლებშიც, რაც განაპირობა მათმა დამკვიდრებამ ქართულ მიწებზე და შემდეგ ნათესავებისა და ახლობლების მოწვევამ აქ დასახლებლად. ამას ხელი შეუწყო საქართველოს ხელმძღვანელობის უყურადღებობამ ამ პროცესის მიმართ. ქართული მოსახლეობის მიგრაციამ სამხრეთ საქართველოდან, ქვემო ქართლიდან თბილისისაკენ და შიდა ქართლისაკენ, საშუალება მისცა აზერბაიჯანელებს და სომხებს დასახლებულიყვნენ საზღვრისპირა რაიონებში, რამაც დღევანდელი ეროვნული სტრუქტურა მკვეთრად შეცვალა და დღეისათვის ქვემო ქართლი ძირითადად მათ დაიკავეს. 1989-1992 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მიგრაციული კავშირები ამიერკავკასიის მეზობელ რესპუბლიკებთან, რასაც ხელი შეუწყო საყოველთაოდ ცნობილმა ეთნიკურმა პროცესებმა და შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. 1979-1988 წლებში საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ჰქონდა მიგრაციის დადებითი სალდო, ხოლო 1989-1992 წლებში სურათი მკვეთრად შეიცვალა და მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 17.0 ათასი კაცი შეადგინა. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკასთან მიგრაციულ კავშირებს, 1979-1992 წლებში საქართველოს ჰქონდა მიგრაციის უარყოფითი სალდო და ამ მაჩვენებელმა შეადგინა 12.3 ათასი კაცი. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული კავშირები წარმოდგენილია სუსტად და უპირატესად განპირობებულია სოციალ-ეკონომიკური ფაქტორებით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის რეგიონიდან გარერესპუბლიკური მიგრაცია ხასიათდება მიგრაციის უარყოფითი სალდოთი. ამ უარყოფითი სალდოს მასშტაბები უმნიშვნელო იყო 1989 წლამდე, ხოლო 1989-1992 წლებში ეს მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა. რამდენადაც მიგრანტთა შორის ჭარბობდა შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა, ამიტომ ბუნებრივია, მოსახლეობის მიგრაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა რეგიონისა და ჩვენი რესპუბლიკის შრომითი პოტენციალი და გააუარესა მოსახლეობის აღწარმოების მთელი რიგი მაჩვენებლები. თუმცა 1989-1992 წლებში მასშტაბების ზრდის ტენდენციის მიუხედავად, გარერესპუბლიკური მიგრაციული კავშირები შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენდა მოსახლეობის კვლავწარმოებაზე. ამიტომ ჩვენი

რესპუბლიკის მოსახლეობის მიგრაციული ქცევის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმეთ მოსახლეობის შიდარესპუბლიკურ მექანიკურ მოძრაობას.

ქართლის რეგიონი ხასიათდება ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების დიდი მრავალსახეობით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიგარესრესპუბლიკური მიგრაციული პროცესების ინტენსივობაზე. მოსახლეობის მიგრაციული პროცესების მასშტაბები, ინტენსივობა და მიმართულებები ხასიათდებიან განსხვავებული რეგიონალური თავისებურებებით, აღსანიშნავია, რომ რეგიონის შიგნით მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა წარმოდგენილია ოთხივე ძირითადი მიმართულებით: ქალაქი-ქალაქი, ქალაქი-სოფელი, სოფელი-ქალაქი და სოფელი-სოფელი.

რესპუბლიკის შიგნით, 1979-1992 წლების განმავლობაში, მიგრაციულ ნაკადთა ტერიტორიული მიმართულებებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის სოფლიდან ქალაქის მიმართულებაზე. 1979-1992 წლებში ამ მიმართულების მიგრაციის ხვედრითმა წილმა მთელ მიგრაციულ ნაკადში საშუალოდ წლიურად შეადგინა 38.2%. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ წლებში რესპუბლიკის შიგნით ტერიტორიული მიმართულებების მიხედვით სოფლიდან ქალაქად მიგრანტთა ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა და 1991-1992 წლებში უკვე ჩამორჩა ქალაქიდან ქალაქში მიგრანტთა ხვედრით წილს. თუ 1979-1992 წლებში ამ მიმართულებაზე მოდიოდა 40.6% მიგრანტებისა, 1987-1991 წლებში მან შეადგინა 35.1%. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაეცა 1992 წელს, როდესაც ამი მიმართულების მიგრაციაზე მოდიოდა მიგრანტთა 29.1%.

რესპუბლიკის შიგნით მოსახლეობის მექანიკური გადაადგილების ოთხი ძირითადი მიმართულებიდან თავისი მასშტაბებით მეორე ადგილზე მოდის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქიდან ქალაქში. ამ მიმართულების მიგრაცია არ ცვლის ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ სახის მიგრაციული მიმართულებების შესწავლასა და მისი შედეგების ანალიზს გარკვეული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ერთი რანგის ქალაქის მოსახლეობას შევადარებთ მეორე რანგის ქალაქის მოსახლეობას ან როდესაც ვიკვლევთ მცირე, საშუალო და დიდი ქალაქების მოსახლეობის მიგრაციას.

მიგრაციული ნაკადების ძირითადი მიმართულებებიდან თავისი მასშტაბით უმნიშვნელოა მოსახლეობის მიგრაცია სოფლებიდან სოფლებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მიგრაციული პროცესებიდან უფრო არაზუსტად აღირიცხება მიგრაციის ეს მიმართულება. საქართველოს შიდარესპუბლიკურ მიგრაციაში ამ მიმართულების მიგრანტთა ხვედრითმა წილმა შეადგინა 11.7% ამ მხრივ იგი უახლოვდება ქალაქიდან სოფლად მიგრანტთა ხვედრითი წილის დონეს (15.2%). მიგრაციის ეს ორივე მიმართულება ხასიათდება ინტენსივობის დაბალი დონით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოფლიდან სოფელში მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვა არაზუსტია სხვა მიმართულების სტატისტიკურ აღრიცხვასთან შედარებით, მაშინ ამ ორი მიმართულების ხვედრითი წილი შეიძლება უფრო ახლოს იყოს ერთმანეთთან.

მოსახლეობის მიგრაციის მიმართულებას სოფლიდან სოფელში რესპუბლიკის შიგნით თითქმის არავითარ გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე. მისი გავლენა გამოიხატება იმაში, რომ ამ მიმართულების მიგრაცია ხელს უწყობს ცალკეული სასოფლო დასახლებების გამსხვილებას და მათ გარდაქმნას ქალაქის ტიპის დასახლებად.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ძირითადი ტერიტორიული მიმართულებებიდან როგორც მასშტაბების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგებით საყურადღებოა და უფრო მნიშვნელოვანია მიგრაციული ნაკადების მიმართულება სოფლიდან ქალაქად. მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად ეს არის ობიექტური პროცესი, რომელიც უპირატესად განპირობებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, ურბანიზაციის საყოველთაო კანონზომიერებებით.

როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა 1979-1992 წლების განმავლობაში საკმაოდ სტაბილური მასშტაბებით და ინტენსივობით ხასიათდება მოსახლეობის ურთიერთგაცვლა სოფელსა და ქალაქს შორის რესპუბლიკის შიგნით. ქალაქიდან სოფლად მოსახლეობის მცირე მასშტაბებით გადასვლა ხელს არ უწყობს სოფლის მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლების გაუმჯობესებას (მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მიმართულების ნაკადებში მაღალია ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილი), აფერხებს სოფლად პოტენციალის ამადლებას.

საქართველოში სოფლის მოსახლეობის მიგრაციული კლების ინტენსივობა, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გარდა, განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებიც ამჟამად და შემდგომშიც სხვა ძალით იმოქმედებენ. ამ ფაქტორთაგან შეიძლება გამოიყოს ურბანიზებული სხვადასხვა დონე ცალკეული პერიოდების მიხედვით. ცნობილია, რომ ურბანიზაციის ტემპი დამოკიდებულია ურბანიზაციის დონეზე. გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ, რაც უფრო მაღლდება ურბანიზაციის დონე, განსხვავებული ხდება ურბანიზაციის ფაზა და მით უფრო კლებულობს ქალაქის მოსახლეობის პროცენტული მატება სოფლის მოსახლეობის ხარჯზე.

ამდენად, აშკარად შემცირდა მიგრაციის როლი თბილისის ზრდაში. თუ ადრინდელ წლებში სხვა დასახლებული პუნქტებიდან ჩამოსული მოსახლეობის ხვედრითი წილი აღემატებოდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას ქალაქის მოსახლეობის მთლიან მატებაში, 1980-1990-იანი წლების შემდგომ რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის მოსახლეობის მექანიკური მატება ჩამორჩებოდა ბუნებრივ მატებას (ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით შეადგინა საშუალოდ 7.2 კაცი), 1979-1990 წლებში თბილისის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის შედეგად გაიზარდა 61.5 ათასი კაცით, ხოლო მექანიკური მატების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 5.1 ათასი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისში საქართველოს ქალაქებიდან უფრო მეტი რაოდენობის მოსახლეობა ჩამოდის, თბილისის მოსახლეობის მექანიკურ მატებაში მაინც ჭარბობს სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი. მიგრაციული მატების 52.4% სწორედ სოფლის მოსახლეობაზე მოდის. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქ. თბილისი მილიონიან ქალაქებთან შედარებით მცირე მექანიკური მატებით ხასიათდება.

საქართველოს მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად შიდა რესპუბლიკური მიგრაციის მასშტაბებსა და ინტენსივობის კოეფიციენტებს თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების იგივე მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებლები მათთან შედარებით დაბალია, ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შიგნით მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობა დაბალი დონით ხასიათდება, მოსახლეობა მიეკუთვნება ნაკლებმობილურთა რიცხვს. ამიტომაც, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 66.3% ცხოვრობდა თავისივე დაბადების ადგილას, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი რუსეთში იყო 46%, უკრაინაში – 56%, ესტონეთში – 37.5%, ლატვიაში – 39.6%, ლიტვაში – 44.5%.

ამრიგად, როგორც ფაქტობრივი, ისე პოტენციური ემიგრაცია ჩვენს მიერ გამოკვლეული რაიონებიდან ძირითადად იძულებითი ხასიათისაა და ეს იძულება დაკავშირებულია არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, დასაქმების პრობლემებთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. ასეთი ვითარების ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება რეგიონიდან სამუდამოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეგიონში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება, განვითარების დაჩქარება და სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაცია გადაუდებელი ამოცანებია. ამის პარალელურად საჭიროა განისაზღვროს საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის განვითარებისა და მისი მოსახლეობის შრომითი პოტენციალის უკეთ გამოყენების მოთხოვნებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ქართლის რეგიონის მოსახლეობის გარერესპუბლიკური მექანიკური მოძრაობა ხასიათდება მიგრაციის უარყოფითი საღლოთი, რომელიც 1989 წლის შემდგომ სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რამდენადაც მიგრანტთა შორის სჭარბობს შრომისუნარიან ასაკში მყოფი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობა, გარე მიგრაცია მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც რეგიონის ისე მთლიანად რესპუბლიკის შრომით პოტენციალს და აუარესებს მოსახლეობის აღწარმოების მთელ რიგ მაჩვენებლებს. 1989 წლის შემდგომ წლებში შრომით პოტენციალზე გარე მიგრაციის უარყოფითი გავლენა თანდათან იზრდება.
2. როგორც რესპუბლიკის ისე რეგიონის შიგნით მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა წარმოდგენილია ოთხივე ძირითადი მიმართულებით: “ქალაქი-ქალაქი,” “ქალაქი-სოფელი,” “სოფელი-ქალაქი,” და “სოფელი-სოფელი,” რომელთაგან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდიოდა სოფლიდან ქალაქის მიმართულებაზე. მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად არის ობიექტური პროცესი, რომელიც უპირატესად განპირობებული იყო რესპუბლიკაში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, ურბანიზაციის საყოველთაო კანონზომიერებებითა და ადგილობრივი სპეციფიკის გავლენით.

მოსახლეობის მექანიკური გადაადგილება სოფლიდან ქალაქად რესპუბლიკის შიგნით 1990-იანი წლების დასაწყისში რამდენადმე შემცირდა. ამის მიზეზი იყო რესპუბლიკაში ეკონომიკური დესტაბილიზაციის დასაწყისი, ქალაქად უმუშევართა რაოდენობის ზრდა, სამუშაო ადგილების რიცხოვნობის სწრაფი შემცირება და ა.შ.

1. აშკარად შემცირდა მიგრაციის როლი რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის ზრდაში. თუ ადრინდელ წლებში სხვა დასახლებული პუნქტებიდან ჩამოსული მოსახლეობის ხვედრითი წილი აღემატებოდა მოსახლეობის ბუნებრივმატებას ქალაქის მოსახლეობის მთლიანმატებაში, ჩვენს მიერ აღებული მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის მოსახლეობის მექანიკურიმატება საგრძნობლად ჩამორჩებოდა ბუნებრივმატებას. თბილისის მსოფლიოს უმეტეს ქალაქებთან შედარებით მცირე მექანიკურიმატებით ხასიათდება.

საქართველოში მოსახლეობის ემიგრაცია აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისმა რადიკალურად შეცვალა ქვეყნის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა. ეკონომიკური სტაგნაციის

პირობებში შრომითი ემიგრაცია იქცა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთ გზად. იმავდროულად, შრომითმა ემიგრაციამ გაამძაფრა ისედაც დამძიმებული სოციალური ყოფა, რაც, პირველყოფლისა, დაკავშირებულია ოჯახის, ახლობლებსა და სამშობლოს მოშორებასთან, პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმებასთან, უკიდურესად დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურებასთან, ხშირად კი - არალეგალური ემიგრაციის გაუთვალისწინებელ სიძნელეებთან.

მოსახლეობის ემიგრაციული პროცესების შედეგად აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა ერთი მეხუთედით შემცირდა; მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება აჩქარდა, ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა როგორც მთლიანად ისე ცალკეულ მხარეებში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მართალია ბოლო წლებში სტაციონარული ემიგრაციის ინტენსიურობა შენედა, მაგრამ კვლავაც დიდი მასშტაბისაა არალეგალური შრომითი ემიგრაცია, გაგრძელებულია ადამიანთა ტრეფიკინგი.

ნორმალური ხასიათის მიგრაციულ ნაკადებში თავისი დამახასიათებელი მობილობით ყოველთვის გამოირჩეოდა ახალგაზრდობა. საერთოდ მიჩნეულია რომ მიგრაციული ნაკადების დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს ახალგაზრდობა – 30 წლის ასაკამდე. ეს არის მოსახლეობის ის ნაწილი რომელიც იღებს განათლებას, იწყებს ან ექებს სამუშაოს, ექებს საკუთარ ადგილს საკუთარი კარიერისთვის, ქმნის ოჯახს. შტუდენტ-ახალგაზრდობა არის მიგრაციული ნაკადების ძირითადი ნაწილი. 30-35 ასაკობრივი ჯგუფის ზემოთ მყოფი მოსახლეობის მექანიკური მობილობა მკვეთრად კლებულობს. ის ადამიანები, რომლებიც უკვე ქმნიან საკუთარ კარიერას, ოჯახს და მათი ბავშვები სწავლობენ სკოლებში, უკვე ნაკლებად გადაადგილდებიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან, როდესაც ამას მოითხოვს აუცილებლობა. ეს არის მოსახლეობის მიგრაციულად მობილური ყველაზე სტაბილური ნაწილი. შემდეგ მიგრაციულ ნაკადებში ოდნავ იზრდება წინასაპენსიო და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი რაც განპირობებულია იმით რომ ამ კატეგორიის მოსახლეობა საცხოვრებლად გადადის თავიანთ შვილებთან როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთაც.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართლის რეგიონში გამოკითხული რესპონდენტების მიხედვით მათი ოჯახის წევრებიდან საზღვარგარეთ უმეტეს შემთხვევაში მიდის მამა (22%).

ცხრილი 11

ოჯახის რომელი წევრია წასული საზღვარგარეთ? (%)

		(%)
1	დედა	0
2	მამა	22
3	მმა	10
4	და	6
5	ბები	6
6	ბაბუა	2
7	სხვა	54
	სულ	100

ვინაიდან პოტენციური მიგრაციის მიმართულება და ინტენსივობა გარკვეულწილად დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნებში წასულ მიგრანტთა ოჯახის წევრებზე და იქ დამკვიდრებულ დიასპორაზე, ჩვენს გამოკვლევაში შევისწავლეთ რესპონდენტთა ოჯახის წევრების განაწილება ქვეყნების მიხედვით, მათი დემოგრაფიული მახასიათებლები, საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა და მათი ადაპტაციის პირობები.

გამოკვლევით გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა ოჯახის წევრები ძირითადად გასულები არიან რუსეთის ფედერაციაში (იხ. ცხრილი 6).

მართალია, სსრკ დაშლის შემდეგ რუსეთშიც განვითარდა ღრმა ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ეკონომიკის სრული განადგურება, როგორც ეს საქართველომ განიცადა, იქ არ მომხდარა. ამიტომ სამუშაო ძალის ფასში განსხვავება რუსეთსა და საქართველოს შორის გაიზარდა, რაც მიგრაციული მობილობის ზრდასა და რუსეთისაკენ ინტენსიური შრომითი ემიგრაციით გამოიხატა. რუსეთის წილი განსაკუთრებით დიდია იმ ნაწილში, რომელიც შედარებით ადრეა წასული.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციული ნაკადების მიმართულებებში შეინიშნება ასაკობრივი დიფერენციაცია. ასე მაგალითად, რუსეთში უმეტესწილად წასულია 40 და მეტი ასაკის მქონე ოჯახის წევრები, ხოლო საბერძნეთსა და გერმანიაში ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაა გასული. აშშ-ში და გერმანიაში წასული ახალგაზრდების მიზანი დასაქმებასთან ერთად სწავლის შეთავსებაცაა.

ცხრილი 12

სამუშაოდ (დროებით) დროებით წასულების განაწილება (%) სქესისა და ასაკის მიხედვით

	რუსეთი	აშშ	თურქეთი	საბერძნეთი	გერმანია	სხვა	სულ (%)
კაცები							
15-29	50.00%			33.33%	16.67%		100.00%
30-39	42.86			28.57%	28.57%		100.00%
40 და მეტი	100.00%			0.00%	0.00%		100.00%
სულ	63.16%			21.05%	15.79%		100.00%
ქალები							
15-29	29.41%	11.76%	5.88%	41.18%	11.76%		100.00%
30-39	66.67%	0.00%	6.67%	6.67%	20.00%		100.00%
40 და მეტი	42.86%	9.52%	28.57%	0.00%	14.29%	4.76%	100.00%
სულ	45.28%	7.55%	15.09%	15.09%	15.09%	1.89%	100.00%

რუსეთში სამუშაოდ წასული დიდი კონტინგენტის არსებობა განპირობებულია შედარებით მჭიდრო ისტორიული კავშირურთიერთობით, სხვა უცხო ენებთან შედარებით რუსულის უკეთესად ცოდნით, ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების სიმრავლით, გეოგრაფიული სიახლოვით, მიმოსვლის სიიაფით და რუსეთის შრომის

ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნით. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვისა და სავიზო რეჟიმის შემოღების შემდგომ გაიზარდა ბარიერები რუსეთში სამუშაო ძალის მიმოსვლის მხრივაც, რაც ორი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში რეგრესული მოვლენაა. რუსეთის უზარმაზარი ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალი ყოველთვის შექმნის ადგილობრივ შრომის ბაზრებზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ფართო სპექტრს. რუსეთის დემოგრაფიული განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხების გამო მკვლევრები სერიოზულად მსჯელობენ მომავალში სხვა ქვეყნებიდან და, პირველ რიგში, დსთ-ის ქვეყნებიდან რუსეთში მოსახლეობის მუდმივი მიგრაციის შესახებ. რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში შრომითი ემიგრაცია ივარაუდება. არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებანი დსთ-ის სივრცეში ერთიანი შრომის ბაზრის ფორმირების ეფექტიანობის თაობაზე. ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსეთის შრომის ბაზარი მომავალშიც იქნება შრომითი ემიგრაციის ფორმით საქართველოს შრომითი რესურსების დასაქმების ადგილი.

თანდათან სულ უფრო ინტენსიური ხდება შრომითი მიგრაცია ევროპასა და აშშ – ის მიმართულებით. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევები უჩვენებენ რომ, მიგრანტთა მთელ ნაკადში აშშ-ის წილი 7.5%-ია, გერმანიისა – 15%, საბერძნეთისა – 15%. რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მეზობელი თურქეთის წილი ამჟამად შედარებით მცირეა წინა პერიოდებთან შედარებით. ამის მთავარი მიზეზია თურქეთის შრომის ბაზრების სამუშაო ძალით გაჯერებულობა და მცირე ფასი დასაველეთის ბაზრებთან შედარებით, აგრეთვე, თურქული ენის უცოდინრობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში საყოველთაო კრიზისის პირველ წლებში თურქეთს (რუსეთთან ერთად) ჩვენი მოსახლეობის დიდი ტალღა მიაწვდა, ხოლო შემდგომ წლებში თანდათან ჩამოყალიბდა შრომითი კავშირები აშშ და დასაველეთის სხვა სახელმწიფოებთან. ახალგაზრდობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ინგლისური და გერმანული ენების შესწავლას, გაჩნდა ჩვენი მცირე “კოლონიები” საზღვარგარეთ და შრომითმა ემიგრაციამაც თანდათან დასაველეთისაკენ გადაინაცვლა. ამან საზღვარგარეთ საშოვარზე გამგზავრება თანდათან უფრო სარფიანი გახადა. მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, რაც საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციას ახასიათებს, ეს არის მისი არალეგალურობა.

საბერძნეთისაკენ მიმართული მიგრაციული ნაკადის სიდიდე, ნაწილობრივ, ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკამ განაპირობა: აქ შრომის მეორადი ბაზარი დიდ მოთხოვნას გამოხატავს მომვლელ ქალებზე საკმაოდ მაღალი ანაზღაურების პირობით. ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, რომ საზღვარგარეთ წასული რესპონდენტების 15-29 წლის ასაკის ოჯახის წევრთა 41.2% საბერძნეთში იმყოფება.

გერმანია ძალიან მიმზიდველი ქვეყანაა ყველა სახის ქართველი მიგრანტისათვის. ეს შეიძლება იყოს ბიზნესმენი, სტუდენტი, რომელიც მიდის სასწავლებლად; ან ბედის მაძიებელი, რომელსაც ამ ქვეყნის კეთილდღეობა იზიდავს. გერმანიაში წასულთა შედარებით დიდი რაოდენობა კიდევ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ბევრი ემიგრანტი გერმანიაში გარკვეული პერიოდის ყოფნის შემდგომ ახერხებს გადაადგილდეს შენგენის სხვა ქვეყნებში.

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მთავარ ქვეყნად, ჯერჯერობით, მაინც რუსეთი რჩება, თუმცა, თანდათან საგრძნობლად იზრდება

დასავლეთის ქვეყნების წილიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაჩნდა შრომითი მიგრაციული ნაკადების მიზიდვის ახალი კერები (პორტუგალია, ესპანეთი, ინგლისი, ირლანდია, იტალია, ავსტრალია, პოლონეთი, ბელგია), თუმცა მათი ხვედრითი წილი ამ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით დაბალია.

ამჟამინდელი ემიგრაცია ხასიათდება ქალების მაღალი ხვედრითი წილით მიგრანტთა მთელ ნაკადში. ქალთა ხვედრითი წილის ზრდას მიგრაციულ პროცესებში ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ საერთაშორისო შრომის ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა, სახელდობრ, ქალთა სამუშაო ძალაზე (შინამოსამსახურეები, მომვლელები, დამლაგებლები, მომსახურების სფეროს სხვა დაბალკვალიფიციური სამუშაოები), მეორე მხრივ, კი ოჯახის ფიზიკური გადარჩენის იძულებამ გაიყვანა საქართველოში მცხოვრები ქალები საზღვარგარეთ საშოვარზე. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი თრეფიქინგის მსხვერპლი გახდა, თუმცა ჩვენი გამოკვლევა ამის შესახებ ინფორმაციას არ იძლევა, რადგან შემცველი რესპონდენტებისათვის უცნობია, ან ინტერვიუს არ აწვდის ინფორმაციას მათი ოჯახის წევრის სექს-მომსახურებაში დასაქმების თაობაზე ჩვენში საზოგადოებრივი აზრისათვის პროსტიტუციის მიუღებლობის გამო.

როგორც ჩვენმა გამოკვლევამ გვიჩვენა, ემიგრაცია რეგიონიდან საკმაოდ მყარია. გამოკითხულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ოჯახის წევრების 52.9% საზღვარგარეთ იმყოფება 5 წელი და მეტი. საქართველოში ეკონომიკის სტაგნაციის გამო უკუ მიგრაციის პოტენციალი ჯერჯერობით სუსტია, ამიტომ ახლო მომავალში საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციის ინტენსიურობის კლების მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. ამას განაპირობებს საქართველოს ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაძლევა დროს მოითხოვს. რესპონდენტების პასუხებში მათი ახლობლის საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლის თაობაზე არის ისეთი პირობები მოთხოვნილი, რომელთა შესრულება უმოკლეს დროში ვერ მოხდება. ეს პირობებია: აქ მაღალანაზღაურებადი დასაქმება, პრესტიჟული სამუშაოს შოვნა, ოჯახის წევრები თუ იშოვიან სამუშაოს, როცა დააგროვებს ბინის შესაძენ თანხას, თუ დააგროვებს თანხას საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, თუ საქართველოში გაუმჯობესდება ცხოვრების პირობები და ა.შ.

ცხრილი 13

გამოკითხულთა ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა (%)

	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი და მეტი
სულ	8. 82%	16. 18%	13. 24%	8. 82	52. 94

რესპონდენტთა ოჯახის წევრების ახალი შრომითი გარემოსადმი შეგუებას გვიჩვენებს თვით რესპონდენტთა პასუხები რომლებიც უჩვენებენ, რომ საზღვარგარეთ მათი ოჯახის მამაკაც წევრთა 50.0% -ისადმი დამოკიდებულება კარგია, 31.3%-ისადმი ჩვეულებრივი, ხოლო 6.25%-ს ცუდად ეპყრობიან. კარგი დამოკიდებულება აქვთ ქალთა 48.1%-ის და ჩვეულებრივი 52.0%-ის მიმართ.

დამოკიდებულება საზღვარგარეთ მყოფთა მიმართ (%)

	კარგად	ჩვეულებრივად	ცუდად	სხვა	სულ (%)
კაცები	50.00%	31.25%	6.25%	12.50%	100.00%
ქალები	48.08%	51.92%	0.00%	0.00%	100.00%

ემიგრანტთა საქმიანობასთან და ყოფით გარემოსთან შეგუების ხარისხი, ემიგრაციის ეფექტიანობა, ემიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ემიგრაციის მიზეზებზე, დემოგრაფიულ, პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურაზე, ემიგრირების გზებსა და მეთოდებზე, მის ორგანიზაციულ ფორმებზე, საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობაზე, მიმღებ ქვეყნებში მათ მიმართ დამოკიდებულებაზე.

გამოკვლევით გამოვლინდა, რომ რეგიონიდან საზღვარგარეთ გასულია განათლების მაღალი დონის მქონე კონტინგენტი. მამაკაცთა 73.7%-ს და ქაღთა 66.7%-ს გააჩნდა უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება. უცხო გარემოსთან კონტაქტისა და ადაპტაციის მეტი უნარი, აგრეთვე, საქართველოს შიგა შრომით ბაზარზე სპეციალისტებზე მოთხოვნის კატასტროფული შეკვეცა განაპირობებს მათი ტერიტორიული მობილურობის ზრდას და, საერთოდ, მაღალ ემიგრაციულ პოტენციალს.

სრულიად შეუსაბამობაა პროფესიასა და მიმღებ ქვეყანაში დასაქმებას შორის. რესპონდენტთა ოჯახის წევრების გამოკვლევის დროს, სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიღება იმის შესახებ თუ რომელ ქვეყანაში უპირატესად განათლების რა სტატუსის მქონე პირები იმყოფებიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ უმაღლეს დაუმთავრებულთა დიდი ნაწილი შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში წავიდნენ სამუშაოდ, შედარებით დაბალი განათლების სტატუსის მქონე პირები კი – რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სიერცეში.

წასულების განაწილება (%) სქესისა და განათლების მიხედვით

		საშუალო	საშუალო სპეციალური	უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი	სულ (%)
1.	კაცები	5. 26%	21. 05%	73. 68%	100. 00%
2.	ქალები	3. 70%	29. 63%	66. 67%	100. 00%

სულ წასულებიდან გააჩნდათ განათლება: (კაცი + ქალი) (%)

1	საშუალო	4. 11%
2	საშუალო სპეციალური	27. 40%
3	უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი	68. 49%
	სულ	100. 00%

ამრიგად, რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციას ახასიათებს მკვეთრი სელექციურობა. რეგიონიდან გადის მაღალი განათლების პოტენციალის მქონე კონტინგენტი, რაც ხარისხობრივად აუარესებს ჩვენი ქვეყნის შრომით რესურსებს. მეორე მხრივ, შემდგომ, საერთაშორისო შრომით ბაზარზე არ ხდება ემიგრირებულთა ადამიანური კაპიტალის შესაბამისი რეალიზაცია.

შრომითმა ემიგრაციამ ხელი შეუწყო დასავლეთის შრომის ბაზრების სეგმენტაციას პირველად და მეორად ბაზრებად. ამ ქვეყნებში შრომითმა იმიგრაციამ საშუალება მისცა ადგილობრივ მუშახელს გადანაწილებულიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ შრომის პირველად ბაზრებზე, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურება და კარგი შრომის პირობებია. მეორადი ბაზარი კი შრომის მიძიმე, მავნე პირობებით და, საერთოდ, არაპრესტიჟული სამუშაო ადგილებით, შესაბამისად, დაბალი შრომის ანაზღაურებით დარჩათ შრომით იმიგრანტებს, განსაკუთრებით არაღვანულებს მათი მაღალი ხარისხის ექსპლუატაციისა და შრომის ანაზღაურებაში აშკარა დისკრიმინაციის გამო.

საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრები მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევენ აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს. შრომითი ემიგრაციის მეოხებით საქართველოში მრავალი ათასობით ოჯახი იღებს საარსებო საშუალებას. ქვეყანა კი სამუშაო ძალის ექსპორტით იღებს მნიშვნელოვან ვალუტას. იყო საშუალოწლიურად შრომითი ემიგრაციიდან საქართველოში გზავნილთა სიდიდის დადგენის ცდები. თ. გუგუშვილის გაანგარიშებით, რომელიც ეყრდნობა საზოგადოდ, შრომით მიგრანტთა საერთაშორისო გზავნილების საშუალო სიდიდეს, საქართველოში ყოველწლიურად 720 მილიონი აშშ დოლარი შემოდის. რ. გაჩეჩილაძე აღნიშნულ სიდიდეს მინიმუმ 400 მლნ დოლარის ფარგლებში მიიხნევს (რ. გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბილისი, 1997).

ჩვენი გამოკვლევიდან დადგინდა, რომ შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების უმეტესი ნაწილი ხმარდება საქართველოში დარჩენილი დევნილთა ოჯახების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასე მაგალითად, გამოკითხულთა 31.2%-მა საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით გადაჭრა კვებისა და ჩაცმის პრობლემა, 24.6% - საბინაო პირობები; არავითარი პრობლემა არ გადაუჭტრია 18.0%-ს.

გამოკითხულთა წილი (%) რომლებმაც საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით გადაჭრეს პრობლემები

	კვებისა და ჩაცმის	საბინაო პირობები	ჯანმრთელ ობაზეზრუნვა	დაიწვეს ბიზნესი	შეიძინეს ავტომობილი და სხვა ნივთები	არავითარი პრობლემა არ გადაუჭრიათ	სულ (%)
გამოკითხულები	31.15%	24.59%	13.11%	4.92%	8.2%	18.03%	100

დღევანდელი საქართველოს გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში საზღვარგარეთიდან შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების მნიშვნელობა შეუფასებელია. ფულადი გზავნილები აქ დარჩენილი ოჯახების ბიუჯეტს საარსებო მინიმუმამდე ავსებს და აჭარბებს კიდევ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შრომითი ემიგრანტი თვითონაც იკმაყოფილებს ადგილზე მისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს.

საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნა, მისი ადაპტაციის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ემიგრაციულ განწყობაზე. ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, რომ გამოკვლეული მოსახლეობის ემიგრაციული პოტენციალი საკმაოდ მაღალია და ემთხვევა ფაქტობრივი მიგრაციის მიმართულებათა სპექტრს.

გამოკითხულ მამაკაცთა და ქალთა უმეტესობას საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით წასვლა სურთ აშშ-ში და გერმანიაში. (იხ. ცხრილი 12).

გამოკითხულთა განაწილება (%) იმ ქვეყნის მიხედვით სადაც სურთ წასვლა

		მუდმივად		დროებით	
		კაცები	ქალები	კაცები	ქალები
1	რუსეთში	0	22.22	5.32	6.54
2	აშშ-ში	16.67	38.89	29.79	23.53
3	თურქეთში	8.33	0	0	0.65
4	საბერძნეთში	8.33	0	5.32	7.84
5	გერმანიაში	33.33	16.67	25.53	29.41
6	სხვაგან	33.33	22.22	34.04	32.03
	სულ	100.0	100.0	100.0	100.0

გამოკითხულ მამაკაცთა პროცენტული განაწილება იმ ქვეყნების მიხედვით სადაც მათ სურთ მუდმივად წასვლა, ასეთია: აშშ (16.7%), საბერძნეთი (8.3%), გერმანია (33.3%), თურქეთი (8.3%), რუსეთი (0.0%), სხვა ქვეყნები (33.3%); ხოლო ქალების - რუსეთი

(22.2%), აშშ (29.8%), გერმანია (16.7%), სხვა ქვეყნები (22.2%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციის ინტენსივობამ რუსეთის მიმართულებით იკლო და დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მიმართულებით კი მოიმატა. ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის ე. წ. სავიზო რეჟიმის შემოღებაც არის.

უნდა აღინიშნოს რომ, საკმაოდ მაღალია ქალთა ხვედრითი წილი, რომელთაც სურთ აშშ-ში მუდმივად გამგზავრება. ჩვენი აზრით ეს განპირობებულია ამ ქვეყანაში ქალთა დასაქმების მრავალმხრივი შესაძლებლობებით, დასაქმების სპეციფიკით და შრომის მაღალი ანაზღაურებით.

საზღვარგარეთ დროებით წამსვლელთა პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს რომ აქაც ძირითადი იმიგრაციის ქვეყნები ისევ აშშ და გერმანია.

პროფილირებული სახე, თვალის ღია ფერის მეტი პროცენტი, თვალის ნაპრალის ვიწრო ჭრილი, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნაგირი და ოდნავ ზეაწეული წვეტი, შედარებით ვიწრო სახე, დახვეწილი ყვრიმალეები, ზომიერი სისქის ქვედა ტუჩი, შედარებით ღია ფერის თმები, მცირე სიმაღლის ცხვირი, ზომიერად განვითარებული თმოვანი საფარველი, სახის მცირე მორფოლოგიური სიმაღლე, თავის ზომიერი განივი დიამეტრი და საშუალო ოდენობის ზედა ქუთუთოს ნაოჭი. მორფოლოგიური ნიშნების ასეთი კომპლექსი გავრცელებულია წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონის მეგრელებში; ბათუმის, ქობულეთის, ნაწილობრივ ხულოსა და ქედის რაიონის აჭარლებში. ნიშანთა იგივე კომპლექსი ახასიათებთ გუდაუთის, ოჩამჩირისა და ნაწილობრივ გაგრის რაიონის აფხაზებს, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში გავრცელებულია დასავლეთ-ქართული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც ახასიათებს: სწორი შუბლი, მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი, მკვეთრად განვითარებული თმოვანი საფარველი სახესა და სხეულზე, დახვეწილი ყვრიმალეები, თვალების ჰორიზონტალური ჭრილი, ორტოქეილური ზედა ტუჩი, ღია ფერის თვალების საკმაოდ მაღალი პროცენტი, მკვეთრად გამოხატული ცხვირი, საშუალო ზომის თავის განივი დიამეტრი, მცირე ყვრიმალთშუა დიამეტრი, ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალოზე დაბალი სახის ფიზიონომიური სიმაღლე და შედარებით მოკლე ცხვირი. ნიშანთა ასეთი კომპლექსი გავრცელებულია: ბაღდადის, თერჯოლის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურისა და ვანის რაიონის იმერლებში. ასეთივე ნიშნები გვხვდება ზოგიერთ შავიზღვისპირულ ჯგუფებში ქედისა და ხულოს რაიონების აჭარლებში, ჩოხატაურის რაიონის გურულებში, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ჯგუფებში – ხაშურისა და გორის რაიონის ქართლებში. კოლხური ტიპის ორივე ვარიანტი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, ამიტომ ისინი ერთ ტიპში არიან გაერთიანებულნი.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის ძირითადად დამახასიათებელია: მკვეთრად პროფილირებული სახე, ოდნავ დაწეული ცხვირის ფუძე და წვეტი, მცირე სიმაღლის ცხვირი, თმოვანი საფარის უხვი განვითარება, ფართო შუბლი, საშუალო სიგანის თვალის ჭრილი, თხელი ზედა ტუჩი, ზედა ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალო სიგანის სახე, ზომიერად მუქი თმის ფერი. ნიშანთა ეს კომპლექსი გავრცელებულია თეთრიწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარელის, წილელწყაროს, ხაშურის, გორის, კასპის, თელავისა და გურჯაანის რაიონებში. ამ ტიპის ლოკალიზაცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, ამიტომ ამ ტიპს აღმოსავლურ-ქართული ვარიანტი ეწოდება.

ნიშანთა გარკვეული კომპლექსით ხასიათდება აგრეთვე საქართველოს სამხრეთ რაიონებში მცხოვრები ჯგუფები. ეს ნიშნებია: თმისა და წვერის უხვი განვითარება, დახვეწილი ყვრიმალეები, მკვეთრად პროფილირებული სახე, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნაგირი, ძირითადად ორტოქეილური ზედა ტუჩი, ფართო შუბლი, ხრტილოვან ნაწილში გამოდრეკილი ცხვირის ზურგი, დაშვებული ცხვირის წვეტი, დაბალი სახე და დაბალი ტანი. ნიშანთა ასეთი კომპლექსი ძირითადად გვხვდება მესხებში, ბოლნისის და ბორჯომის ქართლებში, ბათუმის რაიონის სოფ. სარფში მცხოვრებ ჯგუფებს შორის. ამ ტიპს სამხრეთ-ქართული ვარიანტი ეწოდება. აღმოსავლეთ-ქართული და სამხრეთ-

ქართული ვარიანტები ანთროპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, რაც მათი ერთ ტიპში გაერთიანების მორფოლოგიური საფუძველია¹.

საქართველოს მაღალ მთიანეთის ეთნოგრაფიული ჯგუფები ზემოთ მოხსენებული ტიპებისაგან განსხვავებული ნიშანთა კომპლექსით ხასიათდება. მათ ახასიათებთ: ფართო სახე, განიერი ქვედა ყბა, მაღალი სახე, დიდი თავის ქალას მაჩვენებელი, ფართო შუბლი, ოდნავ დაშვებული ცხვირის წვეტი, ღია ფერის თვალების საშუალო პროცენტი, მაღალი ტანი, მაღალი ცხვირი, მედიალურ სიბრტყეში ოდნავ დაქანებული თვალის ჭრილი და საშუალო ან მაღალი ცხვირის უნაგირი. ქართული ჯგუფებიდან ნიშანთა ასეთი კომპლექსი ახასიათებთ: ფშაველებს, თუშებს, მოხევეებს, ხევსურებს, მთიულეებს, გუდამაყრელებს, მთის რაჭველებს, სვანებს, თიანეთის რაიონის კახებს. როგორც აღვნიშნეთ, აღწერილი ტიპი ძირითადად გავრცელებულია მაღალმთიან რაიონებში და კავკასიონის ქედზე მცხოვრებ მოსახლეობაში, ამიტომაც მას კავკასიონის ტიპი უწოდეს. კავკასიონის ტიპი პირველად 1953 წელს იქნა გამოყოფილი ხევსურების შესწავლის საფუძველზე². მასში გარდა ქართველებისა გაერთიანებულია დაღესტანის მაღალმთიანეთის მთელი რიგი ჯგუფები. კავკასიონის ტიპი მეტად თავისებურია, „მსგავსი ფორმები არსად გვევლინება არამცთუ კავკასიის, არამედ უფრო ფართო არეალზედაც კი“³. ის ფაქტი, რომ მის შემადგენლობაში შედის სულ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები მეტყველებს, რომ „კავკასიონის ტიპის ჩამოყალიბება წინ უსწრებდა ამ ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ამ ვარიანტის არქაულობის მაჩვენებელი უნდა იყოს“⁴. დებეცმაც მას „ყველაზე უფრო კავკასიური, კავკასიურ ვარიანტთა შორის“ უწოდა⁵.

ამრიგად საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფილია ძირითადად სამი ტიპი: კოლხური, იბერიული და კავკასიონის, რომლებიც ხუთი ლოკალური ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. სამივე ლოკალური ტიპი შედის წინააზიური რასის შემადგენლობაში, რომელშიც მათ გარდა შედიან: ასირიული და პონტო-ზაგროსული (ბუნაკის მიხედვით) ანუ არმენოიდული (აბღუშელიშვილის მიხედვით) ტიპებიც. თავის მხრივ საერთო წინააზიური რასა, ინდოპამირულ და ხმელთაშუაზღვისპირ რასებთან ერთად, ქმნიან დიდი ევროპეოიდული რასის სამხრეთ-ევროპეიდულ ანუ ინდოხმელთაშუაზღვისპირულ შტოს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ კავკასიის აბორიგენული, უძველესი და თანამედროვე მოსახლეობა შედის რასობრივ კატეგორიაში, რომელიც ცნობილია ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის სახელწოდებით.

ქართველებს და კავკასიის მოსახლეობას უშუალო კავშირი აქვთ ევრაზიული დიდი რასის გენეზისთან. მთლიანად კავკასიის აბორიგენული მოსახლეობა განეკუთვნება ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას, რომლის გავრცელების არეალი მოიცავს ტერიტო-

¹ Абдушлишвили М.Г. Таксономическое значение скулового диаметра для антропологической классификации современного населения Кавказа. Тр.МОИП,1964,т.XIV, с.190-207.

² Натишвили А.Н., Абдушлишвили М.Г. Об антропологическом составе современного населения Грузии. Тез.докладов XI научн.сессии отд.биол. и мед. наук Тбилиси 1953.

³ აბღუშელიშვილი მ. ოსები. საქ. მეც. აკად. ექსპერიმენტ. მორფოლოგიის ინსტ. შრომები. ტ. VI, 1957, გვ.311-323.

⁴ აბღუშელიშვილი მ. კრანოლოგიური სერია ხევსურეთიდან. მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის თბ. "მეცნიერება", 1971, გვ.59.

⁵ Дебедц Г.Ф. Антропологические исследования в Дагестане. " Антропологический сборник : I. Тр. Ин-та этнографии АН СССР, М. 1956., н.с. ,Т.XXXIII.

რას 44-ე და მე-20 პარაგრაფებს შორის¹ ინდოეთიდან – ატლანტის ოკეანემდე. ამ რასის სამივე ძირითადი განშტოება ადგილობრივი ტიპების სახით წარმოდგენილია საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობაში. ინდო-პამირული შტო წარმოდგენილია დასავლურ-კავკასიური ტიპით (აღმოსავლეთ აზერბაიჯანის და აღმოსავლეთ დაღესტანის მოსახლეობა), ხმელთაშუა-ბალკანური – პონტურით (ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა: ადიღელები, ჩერქეზები, აბაზინები), ხოლო წინააზიური (საქართველოს, სომხეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის, დასავლეთ დაღესტანისა და დასავლეთ აზერბაიჯანის) კავკასიის თანადროულ მოსახლეობაში მეტად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს².

კავკასია ერთადერთი რეგიონია მთელ მსოფლიოში, სადაც თავმოყრილია სამხრეთევროპეოიდული რასის სამივე ძირითადი შტო. და რაც მნიშვნელოვანია, „კავკასიური ლოკალური ტიპები, მიუხედავად მათი მკვეთრი დიფერენციაციისა, მაინც გაცილებით უფრო ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე იმავე – სამხრეთევროპეოიდული რასის ძირითადი განშტოების ტერიტორიულად უფრო მეტად დაშორებული წარმომადგენლები. ყოველივე ეს კი სამხრეთევროპეოიდული ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ერთიანობის მაჩვენებელია“³. კავკასიურ მოდგმაზე წერდა ჯერ კიდევ ა. ჯავახიშვილი⁴.

საქართველოს უძველესი ხანის ანთროპოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა მისი მოსახლეობის ფიზიკური ტიპის თავისებურებანი და ცვალებადობის მიმართულება⁵. უძველესი დოლიქოკრანული და ვიწროსახიანი სამხრეთევროპეოიდული რასის წინააზიური ფორმები ადრიდანვე არსებობდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და ეს მოსახლეობა იმთავითვე განიცდიდა ცვლილებებს (ტრანსფორმაციას). ანთროპოლოგიური ტიპების ტრანსფორმაცია სხვადასხვა ჯგუფებთან შეხებისას, ბუნებრივ გეოგრაფიული თუ კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური პირობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ხასიათს ღებულობდა. ამ პროცესის შედეგია საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტების ჩამოყალიბება. ამ ვარიანტებს, მიუხედავად რეგიონალური ნაირსახეობისა, წარმოშობის ერთიანობით განპირობებული მსგავსება ახასიათებთ⁶. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქართველები შორეული ხანიდან მოყოლებული იზოლირებულად ცხოვრობდნენ. იგივე ტრანსფორმაციის პროცესები მიმდინარეობდა კავკასიაში, წინა აზიაში, ამიტომ პარაგრაფები და უძველესი სერიების მორფოლოგიური მსგავსება უდაოდ იმის ნიშანია, რომ ამ დიდ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა სამხრეთ კავკასიას, წინა აზიასა და ჩრდილო ინდოეთს, არსებობდა „ანთროპოლოგიური პლასტები“ და საქართველოს უძველესი მოსახლეობა ამ ფენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა⁷.

¹ Дебец Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.

² Абдушелишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб. "Мецниереба", 1964.

³ აბდუშელიშვილი მ. მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა. საქ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალები. თბ. მეცნიერება. 1980, გვ.21.

⁴ ჯავახიშვილი ა. თხზულებანი. ტ. I. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1990., გვ. 205.

⁵ Абдушелишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб. "Мецниереба", 1964.

⁶ აბდუშელიშვილი მ. ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის. მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის თბ. "მეცნიერება", 1971, გვ. 34.

⁷ აბდუშელიშვილი მ. კრანოლოგიური სერია ხევსურეთიდან. მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის თბ. "მეცნიერება", 1971.

ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანიოლოგიური მასალის შედარებითი განხილვისას ვლინდება, რომ „საქართველოს ტერიტორია არასდროს ყოფილა დიდი რასების კონტაქტის ზონა. უძველესი დროიდან მასზედ მოსახლეობდნენ ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც არ გადიოდნენ წინააზიური ფორმების ბუნებრივი ვარიაციების ფარლებიდან. ცალკეული ტიპებისა და ნიშნების ცვლას საზოგადოდ თანდათანობითი გადასვლის ხასიათი ჰქონდა, რაც გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპებისაგან განსხვავებულ უცხო ელემენტების საგრძნობი მასის გადმოსახლების შესაძლებლობას¹.

ფართოსახიანი, ბრაქიკრანული, მასიური ტიპის მქონე მოსახლეობის უძველესი წარმომადგენლები ბრინჯაოს ხანიდან მოსახლეობდნენ კავკასიის მთიანეთში. კავკასიის მოსახლეობაში ასევე ბრინჯაოს ხანიდან ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი არსებობდა. ეს მეორე ტიპიც ევროპეოიდული იყო, მხოლოდ მასიური, ზოგიერთი პროტოევროპეოიდული ნიშნებით².

ქართველების ანთროპოლოგიური შესწავლისას არავის ებადება ეჭვი, რომ ქართველები ტიპური ევროპეიდები არიან და მეტიც. ქართველების თავის ქალას შესწავლამ მისცა საფუძველი ბლიუმენბახს³ ევროპეოიდული რასისათვის კავკასიური რასა ეწოდებინა, რაც დღემდე მიღებულია მსოფლიოში. ხოლო ყვრიმალთაშორის დიამეტრის აბსოლუტური მონაცემები თანამედროვე ქართველებში (რაც შემდგომ კრანიოლოგიურადც დადასტურდა XVII-XVIII სს. ხევსურულ სერიაში) აღემატება ზოიერთ აღმოსავლეთ ციმბირის მონღოლოიდების სახის სიგანესაც კი⁴. ასეთი განიერი სახე ქართველებში, და არა მარტო ქართველებში, არამედ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობაში განიხილება, როგორც ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგი⁵. ეპოქალური ტრანსფორმაცია ცნობილი ფაქტი⁶, მაგრამ საქართველოსა და კავკასიაში საწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. თავის ქალას მაჩვენებლის ზრდასთან ერთად (რომელსაც მთელს მსოფლიოში ჰქონდა ადგილი), ყვრიმალთაშორისი დიამეტრის ანუ სახის სიგანის მომატება (თანაც მნიშვნელოვანი) აღინიშნება. იმის დასადასტურებლად, რომ ეს პროცესი ისტორიული მონაკვეთის დიდი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა, იყო გამოთვლილი საქართველოს მოსახლეობის სახის სიგანე. ძვ. წ. II და I ათასწლეულებში და ახ. წ. I და II ათასწლეულებში, მიღებული იქნა სურათი თანდათანობითი ზრდისა⁷.

¹ აბდუშელიშვილი მ. ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის. მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის თბ. "მეცნიერება", 1971, გვ.32.

² Alekseev V. A study of the paleoanthropology of the Caucasus. Moscow, 1962.

³ Blumenbach I. F. De generis humani varietate nativa. Ed. III. Göttingae, 1795.

⁴ Дебец Г.Ф. Антропологические исследования в Камчатской области. "Тр. Ин-та этнографии АН СССР. М., 1951., н.с. т. XVII.

⁵ Абдушелишвили М.Г. Об эпохальной изменчивости антропологических признаков. Кр.сообщ. Института этнографии, этнографии, М. 1960., т. XXXIII.

⁶ Дебец Г.Ф. Палеоантропология СССР., 1948.

⁷ Абдушелишвили М.Г. Об эпохальной изменчивости антропологических признаков. Кр.сообщ. Института этнографии, этнографии, М. 1960., т. XXXIII.

უცხო მინარევის არსებობა არ ეწინააღმდეგება საკვლევი რეგიონის უახლოეს კავშირებს კავკასიის, აზიისა და ევროპის უძველეს მოსახლეობასთან¹.

სამთავროს სამაროვნის შესწავლისას (გვიანბრინჯაო, გარდამავალი ეპოქა ბრინჯაოდან რკინაზე და საკუთრივ რკინის ეპოქა) გამოყოფილი იყო „სამთავროს პირველი“ და „სამთავროს მეორე“ ვარიანტი. ამ მეორე ვარიანტს ევროაფრიკანული, ანუ პროტოევროპეოიდული ეწოდა. პირველი ვარიანტი უფრო ნაადრევი, ბრინჯაოსა და რკინაზე გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნებოდა, ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდებოდა. ამ ტიპს არ ჰქონდა შენარჩუნებული პროტოევროპეოიდული ნიშნები². შემდგომ ევროაფრიკანული ტიპების მაგვარი მონაწილეობა ქართველთა ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში იყო უარყოფილი³.

სავსებით შესაძლოა, რომ ქართველების ანთროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებაში განსხვავებულ ტიპებს მიეღოთ მონაწილეობა. საქმე ამ ტიპების რაოდენობრივ მხარესა და მორფოლოგიური კომპლექსების შეფარდებას ეხება ყოველ სერიაში, ტერიტორიასა და ეპოქაში. თანამედროვე მოსახლეობა გამოირჩევა გენეტიკური სისტემების მნიშვნელოვანი პოლიმორფიზმით. უმეტეს მათგანში ვლინდება ის ძველი საერთო სუბსტრატი⁴, რომელიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი ბრინჯაოს ეპოქიდან მაინც⁵.

მოსახლეობის თანამედროვე ანთროპოლოგიური შემადგენლობისა და ეთნოგენეზის კვლევამ ზოგადად აჩვენა, რომ ხალხთა კულტურული და ენობრივი ნათესაობა ხშირად არ შეესაბამება მათ წარმომავლობით ნათესაობას და საერთო გენოფონდს. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, ბალყარელები და ყარაჩაელები თურქულ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით კავკასიელები არიან. მათ ახლო მორფოლოგიური მსგავსება აახლოებთ ინგუშებთან, ჩეჩნებთან, დასავლურ დაღესტნულ ჯგუფებთან და საქართველოს მადაღმთიანეთის მოსახლეობასთან, ე. ი. ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან, რომლებიც კავკასიურ ენებზე ლაპარაკობენ. ჩვენი აზრით, მორფოლოგიური კრიტერიუმი ამ შემთხვევაში უფრო რეალურად ასახავს არსებულ ვითარებას, რადგან ენა და კულტურა შეიძლება გავრცელდეს მათი მატარებლების გარეშე, ხოლო ანთროპოლოგიური ტიპს ყოველთვის თან ახლავს ენისა და კულტურის გავრცელება⁶. მაშასადამე, ანთროპოლოგიური მონაცემების როლი მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობენ წერილობითი, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები.

არავის და არასდროს ეჭვი არ შეპარვია, რომ ქართველები სამმხრეთევროპეიდები არიან. საეჭვოდ ითვლებოდა ქართველთა ავტოქტონობა⁷ კავკასიის ტერიტორიაზე და

¹ ასლანიშვილი ვ. არავის აუზის უძველესი მოსახლეობა (კრანიოლოგიური მონაცემების მიხედვით). ანალები, 2000, №2.

² Абдушлишвили М.Г. К палеоантропологии Самтаврского могильника. Тб. 1954.

³ Абдушлишвили М.Г. Таксономическое значение скулового диаметра для ант ропологической классификации современного населения Кавказа. Тр.МОИП,1964,т.XIV, с.190-207.

⁴ ბითაძე ლ., ციუმა ვ., ქარდავა ვ. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ანთროპოლოგია. ანალები, 2000, № 1. გვ. 92-99.

⁵ Абдушлишвили М.Г. К краниологии древнего и современного населения Кавказа. Тб. "Мециниереба",1966.

⁶ Дебец Г.Ф., Левин М.Г., Трофимова Т.А. Антропологический материал как источник изучения вопросов этногенеза. Сов. этнография, 1952, №1.

⁷ Virchow R. Das Graberfela von Kaban. Berlin. 1883.

ამის საფუძველს იძლეოდა მნიშვნელოვანი განსხვავება თანამედროვე და უძველეს მოსახლეობას შორის.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალები ცხადყოფს, რომ უძველესი მოსახლეობა ხასიათდებოდა გრძელი და ვიწრო თავით (დოლიქოკრანიით), ვიწრო სახით, ვიწრო და მაღალი ცხვირით, ცხვირისა და ცხვირის უნაგირის მკვეთრი პროფილირებით, სახის მცირე ჰორიზონტალური კუთხით და, საერთოდ, მიეკუთვნებოდა ხმელთაშუაზღვისპირულ მედიტერანულ ტიპს. ამავე ტერიტორიაზე მოპოვებული თანამედროვე კრანიოლოგიური სერიები ხასიათდება მოკლე და ფართო თავით (ბრაქიკრანიით), ფართო სახით, ვიწრო და მაღალი ცხვირით, ცხვირისა და ცხვირის უნაგირის მკვეთრი პროფილირებით, სახის მცირე ჰორიზონტალური კუთხით და ა. შ.

კავკასიის მთელი ტერიტორიიდან მოპოვებული კრანიოლოგიური მასალები გვიჩვენებენ უძველესი მოსახლეობის უფრო ახლო მსგავსებას, თანამედროვესთან შედარებით. ეს ფაქტი თავისთავად არის უტყუარი დასტური ამ მოსახლეობის ანთროპოლოგიური ერთობისა. მხოლოდ შემდგომმა დიფერენციაციამ დაყო იგი რამდენიმე ლოკალურ ნაირსახეობად. კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობის რასო- და ეთნოგენეზში წამყვანი არის ადგილობრივი წარმომავლობა, ჩამოყალიბება და განვითარება ადგილობრივი ანთროპოლოგიური სუბსტრატისაგან, რომელმაც თავის მხრივ დასაბამი მისცა სამხრეთევროპეოიდული რასის ძირითადი დანაყოფების საწყის ფორმებს¹.

ცხადია, რომ დღევანდელი სახით ქართველების ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ადგილი ჰქონდა მათ შეხებას სხვა ტომების წარმომადგენლებთან, აგრეთვე შიდა გადაადგილებებს, ინფილტრაციებს, რომლის შედეგია დღევანდელი ქართველების ანთროპოლოგიური ნაირსახეობა და გარდამავალი ტიპების არსებობა, მაგრამ მათ, როგორც სჩანს, დიდი გავლენა არ მოუხდენია ქართველთა ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში. ამის დასტურია თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ნიშნების განაწილება განსახლების მთელ ტერიტორიაზე, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორია არასდროს ყოფილა დიდი რასების კონტაქტის ზონა. საგრძნობი რომ ყოფილიყო შერევა მონგოლოიდური თუ ნეგროიდული რასის წარმომადგენლებთან, ქართველების ფიზიკურ ტიპს მნიშვნელოვნად შეცვლიდა, რადგან ნეგროიდული და მონგოლოიდური ნიშნები დომინირებენ ევროპეოიდული ნიშნების მემკვიდრეობითობაზე. მონგოლოიდებთან მეტისადაც შედეგად ქართველებში გაჩნდებოდა ეპიკანთუსი (კანის ნაოჭი ზედა ქუთუთოზე, რომელიც ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიგნითა უპეში), თვალების ვიწრო ჭრილი, ცხვირის უნაგირი დაბალი, ცხვირის ზურგი ჩაღუნული, თმოვანი საფარველის ძალიან სუსტი ზრდა მკერდსა და წვერზე, ძალიან შავი (№№ 4, 27) და უხეში თმების მაღალი პროცენტი, კანის ფერი უფრო მუქი (№№ 15-18), სუსტად პროფილირებული სახე და ა. შ., ხოლო ნეგროიდული რასის წარმომადგენლებთან შერევით ქართველთა იერი შეიცვლებოდა ძალიან შავი, ხვეული თმებით, განიერი და ბრტყელი ცხვირით, ძალიან მუქი თვალების ფერით (№№ 1-2), სქელი ტუჩებით და ა. შ.

ევროპეოიდული ნიშნები ქართველებში მკვეთრად არის გამოხატული (კანის ფერი

¹ Абдушлишвили М.Г. Антропологический генезис аборигенного населения Кавказа. Тр. МОИП . М."Наука",1972, т. XLIII с.226-233.

დია, თმის ფორმა სწორი ან ტალღოვანი, თმების ფერი მუქი, თვალების ფერი ძირითადად მუქი, შერეული ფერის თვალების საკმაო რაოდენობა, მათ შორის ღიაც, წვერის ზრდა ძალიან ძლიერი, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის წარზიდულობა ძლიერი, ნესტოების მდებარეობა საგიტალური, ზედა ქუჩის პროფილი ორთოხეილური, თვალის ჭრილი ძალიან დიდი, ცხვირს ზურგი გამოდრეკილი ან სწორი, ცხვირის წვეტი და ხრტილოვანი ნაწილი დაქანებული ან სწორი, თხელი ტუჩები).

ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე დასტურდება, რომ საქართველოს უძველესი მოსახლეობა ეკუთვნოდა მედიტერანულ ანუ ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს. საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა ინდოხმელთაშუაზღვისპირული, ანუ სამხრეთ ევროპეოიდული რასის წინააზიურ რასას მიეკუთვნება; უძველესი დროიდან ამ ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობა თავისი ანთროპოლოგიური იერით წინააზიური ფორმების ბუნებრივ ვარიაციების ფარგლებში ცვალებადობს; ცალკეული ნიშნების და ტიპების (დოლიქოკრანულიდან ბრაქიკრანულის მიმართულებით) ცვლას საზოგადოდ თანდათანობითი გადასვლის ხასიათი ჰქონდა; ადრებრინჯაოს დროიდან მოყოლებული, მომდევნო პერიოდების ყველა სერიები უახლოესი მორფოლოგიური მსგავსებით არიან დაკავშირებულნი. განსხვავება თავის ფორმის და სახის სიგანის მიხედვით მნიშვნელოვანი ხდება ადრეფეოდალური ხანიდან. მიუხედავად ამისა, სხვა უმნიშვნელოვანეს ნიშნებში (სახის ჰორიზონტალური პროფილირება, ცხვირის სიმაღლე და წარზიდულობა, ცხვირის სიგანე) მსგავსება უდავოა; დერმატოგლიფიკური და სეროლოგიური მასალების ანალიზი აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის მჭიდრო კავშირს წინააზიურ სამყაროსთან, ვინაიდან წარმოადგენს წინააზიის ჩრდილო საზღვარს და ამჯერადაც ადასტურებს იმ ძველი საერთო სუბსტრატის არსებობას, რომელიც კარგადაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში ბრინჯაოს ხანიდან მაინც, უკვე ახალი გენეტიკური სისტემების მიხედვითაც; ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ ქართველების დღევანდელი სახით ჩამოყალიბება მოხდა მათი განსახლების თანამედროვე ტერიტორიაზე, შესაძლოა ეს ტერიტორია მოიცავდა უფრო სამხრეთ რეგიონსაც¹.

საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა. განსაკუთრებული მრავალეთნიკური შემადგენლობით ქართლის რეგიონი გამოირჩევა, სადაც ქართველების (ქართლების) გარდა, კომპაქტურად დასახლებულია სხვა ეთნიკური ჯგუფები: ებრაელები, სომხები, ბერძნები, ასირიელები, აზერბაიჯანელები, რომელთა ეთნოგენეზი სხვა ტერიტორიაზე წარიმართა, ხოლო სხვადასხვა მიზეზთა გამო, დღეს ისინი საქართველოში არიან დამკვიდრებული.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ძირითადი ამოცანაა ქართლის (ქართული) მოსახლეობის და ასევე აქ მცხოვრები სხვა ჯგუფების შესწავლა მორფოლოგიური (სომატომეტრული და სომატოსკოპური) ნიშნების საფუძველზე და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენა.

¹ ბითაძე ლ. კავკასიონის ქედზე მცხოვრები მოსახლეობის ცვალებადობა სისხლის ჯგუფების (ABO, Rhesus, MN, P, Kell) მიხედვით. კრ. "ონხარი". 2002, თბ; გვ.88-89.

ქართლის მოსახლეობის მორფოლოგიური დახასიათება

ქართლები. მასალა, რომელსაც ეფუძნება ჩვენი კვლევა მოპოვებულია 1950-1951 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მორფოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. ქართლის სხვადასხვა რაიონებში ექსპედიციების შედეგად. სომატოსკოპური (აღწერილობითი) ნიშნები შესწავლილია მ. აბდუშელიშვილის, ხოლო სომატომეტრული (გაზომვითი) გ. ჯანბერიძის მიერ. მოპოვებული მასალა უნიფიცირებულია, რადგან მოხსნილია სუბიექტური ფაქტორი, რომელიც თან სდევს აღწერილობითი სისტემების შესწავლას. მასალები დაცულია ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ფონდში.

საშურის რაიონის ქართლები შესწავლილია 1954 წელს სოფლებში გომი და სატივეში (n=106). ზოგადად საშურის ქართლები ხასიათდებიან: სხეულის მცირე სიმაღლით, საშუალოზე მცირე თავის გრძივი და საშუალო სიგანის განივი დიამეტრებით, თავის მაჩვენებელი ბრაქიკრანული. შუბლის უმცირესი სიგანე საშუალოზე მცირე, ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის ფიზიონომიური სიმაღლე საშუალო, ქვედა ყბის დიამეტრი საშუალოზე დიდი, სახის მორფოლოგიური სიმაღლე, ცხვირის სიმაღლე და სიგანე საშუალოზე დაბალი (მცირე), განიერი პირის ნაპრალი, ზედა ტუჩის სიმაღლე მცირე, ღია კანის ფერი, მკერდზე თმოვანი საფარველის განვითარება – საშუალო, თმების ფერი მუქი, წვერი საშუალოდ განვითარებული, საშუალოზე ძლიერ განვითარებული წარბები, თმების ფორმა ტალღოვანი, თვალის ზედა ქუთუთოს განვითარება საშუალო, თვალის ფერი შერეული, თვალის ჭრილი (ჰორიზონტალური), სახე პროფილირებული, ყვრიმალეები საშუალოდ გამოსატული, ნიკაპი გამოწეული, ცხვირის ძვლოვანი და ხრტილოვანი პროფილი უმეტესად სწორი, ფუძე ოდნავ დაშვებული, ზედა ტუჩის პროფილი სწორი, ზედა ტუჩის სისქე – საშუალო, ქვედა ტუჩი შედარებით დიდი (ცხრ. №1-2).

ქართლების ამ ჯგუფისათვის უმნიშვნელოვანესი ნიშნებია: სახის მცირე მორფოლოგიური და დიდი ფიზიონომიური სიმაღლე, სხეულის სიმაღლე მცირე, პირის ნაპრალი განიერი, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე პროცენტი, თვალის ფერი ღია, წარბზედა რკალის ძლიერი განვითარება, დაბალი ზედა ტუჩი, სქელი ქვედა ტუჩი, სახის პროფილირება საშუალო (სხვა ჯგუფებთან შედარებით).

გორის რაიონის ქართლები. შესწავლილი არიან 1952 წელს სოფლებში ტყვიავი და კარალეთი (n=103).

გორის ქართლებისათვის დამახასიათებელია: სხეულის მცირე სიმაღლე, საშუალოზე მცირე თავის გრძივი დიამეტრი, თავის განივი და ყვრიმალთშორის და ქვედა ყბის დიამეტრები საშუალოზე მაღალი, სახის ფიზიონომიური სიმაღლე და ცხვირის სიმაღლე უნაგირიდან საშუალოზე დაბალი, სახის მორფოლოგიური სიმაღლე და ცხვირის სიმაღლე წარბებიდან საშუალო, ცხვირი ვიწრო, პირის ნაპრალის სიგანე საშუალოზე დიდი, ზედა ტუჩის სიმაღლე საშუალოზე დაბალი, ორივე ტუჩის სისქე საშუალოზე დაბალი, კანის ფერი ღია, მკერდზე თმოვანი საფარველი საშუალოზე ძლიერ განვითარებული, თმის ფერი ღია, თმის ფორმა ტალღოვანი, წვერი და წარბები საშუალოდ განვითარებული, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე რაოდენობა, თვალის ფერი ღია, თვალის ჭრილი ჰორიზონტალური, შუბლის დახრა საშუალო, წარბზედა

რკალი მცირედ განვითარებული, სახე პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში, ყვრიმალეები საშუალოზე მცირედ გამოხატული, ცხვირის განვი პროფილი გამოდრეკილი, ძელოვანი პროფილი სწორი, ხრტილოვანი დაშვებული, ცხვირის წვეტი მეტად სწორი, ფუქე დაშვებული, ზედა ტუჩის პროფილი სწორი, ტუჩები საშუალო სისქის.

ამ ჯგუფის ტაქსონომიურად მეტად ღირებული ნიშნებია: სხეულის მცირე ზომა, თვალის ღია ფერის საკმაო რაოდენობა, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე რაოდენობა, თვალის ჭრილი საშუალო, წარბზედა რკალი სუსტად განვითარებული, ცხვირის ძელოვანი პროფილი სწორი და ხრტილოვანი გამოდრეკილი.

თბილისის ქართლელები შესწავლილია სოფლებში საგუარძო, გალავანი, დიდომი, 1954 წელს (n=92) დამახასიათებელია: საშუალოზე მაღალი, სხეულის სიგრძე, საშუალოზე დიდი თავის გრძივი და საშუალო განვი დიამეტრები, შუბლის უმცირესი დიამეტრი და ყვრიმალთაშუა დიამეტრები საშუალოზე მაღალი, ქვედა ყბა განიერი, სახის ფიზიონომიური სიმაღლე საშუალო, მორფოლოგიური საშუალოზე დაბალი, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან და უნაგირიდან საშუალოზე დაბალი, ცხვირი ვიწრო, პირის ნაპრალის სიგანე დიდი, ზედა ტუჩის სიმაღლე პატარა, ორივე ტუჩის სისქე საშუალოზე დიდი, თავის მაჩვენებელი ბრაქიკრანული, კანის ფერი ღია, მკერდზე თმოვანი საფარველი საშუალოზე ძლიერი, თმის ფერი მუქი, თმის ფორმა ფართოდ ტალღოვანი, წვერისა და წარბების ზრდა საშუალოზე ძლიერი, თვალის ზედა ქუთუთოს მცირე რაოდენობა, თვალის ჭრილის დახრა ჰორიზონტალური, ყვრიმალეები საშუალოდ გამოხატული, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი, ცხვირის ძელოვანი პროფილი სწორი, ხრტილოვანი დაშვებული, ზოგადი პროფილი გამოდრეკილი, ცხვირის წვეტი და ფუქე დაშვებული, ზედა ტუჩის სიმაღლე საშუალოზე პატარა, ზედა ტუჩის პროფილი ორტოკეილური, ზედა ტუჩი თხელი, ქვედა ტუჩი საშუალო სისქის.

თბილისის ქართლელებისათვის ყველაზე განმასხვავებელი ნიშნებია: სახის მცირე მორფოლოგიური და დიდი ფიზიონომიური სიმაღლეები, დიდი ქვედაყბის დიამეტრი, ვიწრო ცხვირი, დიდი პირის ნაპრალი, ძალიან თხელი ზედა ტუჩი, თვალის ქუთუთოს მცირე პროცენტი, თვალის ფერი უმეტესად შერეული, ცხვირის წვეტი და ფუქე დაშვებული.

კასპის რაიონის ქართლელები შესწავლილია 1950 წელს (n=114). სოფლებში კავთისხევი და თვალადი 1950 წელს (n=114).

ზოგადად, კასპის ქართლელებისათვის დამახასიათებელია: სხეულის საშუალო სიმაღლე, შუბლის უმცირესი დიამეტრი საშუალოზე დიდი, ქვედაყბის და ყვრიმალთაშორის დიამეტრები დიდი, სახის ფიზიონომიური სიმაღლე დიდი, ხოლო მორფოლოგიური – საშუალო, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან საშუალო, უნაგირიდან საშუალოზე მაღალი, ცხვირი ვიწრო, პირის ნაპრალი პატარა, ზედა ტუჩის სიმაღლე – მცირე, საშუალო სისქის ტუჩები, თავის მაჩვენებელი ბრაქიკრანული, კანის ფერი ღია, თმოვანი საფარველი (მკერდზე, სახეზე და წარბები) განვითარებული (ხშირი), თმის ფორმა მეტად ტალღოვანი, თმის ფერი მუქი, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე პროცენტი, თვალის ფერი შერეული ან მუქი, თვალის ჭრილი დიდი, თვალის ჭრილის დახრა ჰორიზონტალური, შუბლი მეტად სწორი, წარბზედა რკალი მკაფიოდ გამოხატული, სახე პროფილირებული ვერტიკალურ ჭრილში, ყვრიმალეები საშუალოზე ძლიერ გამოხატული, ცხვირის უნაგირი საშუალო, ძელოვანი და ხრტილოვანი

პროფილი სწორი, სიმაღლე – მცირე, ზედა ტუჩის პროფილი ორტოქეილური, ზედა ტუჩის სისქე საშუალო, ქვედა ტუჩის სისქე საშუალოზე დაბალი.

ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნებია: დიდი ყვრიმალთაშორისი და ქვედაყბის დიამეტრები დიდი, მაღალი სახე (ფიზიონომიური), ვიწრო ცხვირი და პირი, თვალის ჭრილი – დიდი, დახრილი შუბლი, ხშირი წვერი, თვალის ზედა ქუთუთოს ნაოჭის დაბალი პროცენტი, წარბზედა რკალის ძლიერი განვითარება, ცხვირის ხრტილოვანი ნაწილი სწორი და დაბალი ზედა ტუჩი.

თეთრიწყაროს რაიონის ქართლელები შესწავლილია 1952 წელს სოფლებში ჯორჯიაშიელი და საღარაშენი (n=98).

თეთრიწყაროსა ქართლელებისათვის დამახასიათებელია: საშუალოზე დიდი სხეულის სიმაღლე, თავის გრძივი დიამეტრი, სახის ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლე, ხოლო თავის განივი დიამეტრი, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან და უნაგირიდან, ორივე ტუჩის სისქე საშუალო. საშუალოზე დაბალი ცხვირის სიგანე, ძალიან განიერი შუბლი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი, **ქვედაყბის დიამეტრი და პირის სიგანე**. ახასიათებთ დაბალი ზედა ტუჩი, საშუალო სისქის ტუჩები, თავის ქალა ბრაქიკრანული, ღია კანის ფერი, თმოვანი საფარველი მკერდზე საშუალოდ გამოხატული, თმები წაბლისფერი, თმების ფორმა სწორი და ფართოტალღოვანი, წვერი საშუალოდ გამოხატული, წარბები ხშირი, თვალის ზედა ქუთუთოს დაბალი პროცენტი, თვალის ფერი შერეული, თვალის ჭრილი საშუალო, თვალის ჭრილის დახრა პორიზონტალური, შუბლი სწორი, წარბზედა რკალი საშუალოდ განვითარებული, სახე პროფილირებული ვერტიკალურ სიბრტყეში, ყვრიმალეების განვითარება საშუალო, ნიკაპი სწორი, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, ცხვირის განივი პროფილი საშუალო, ძელოვანი პროფილი გამოდრეკილი, ხრტილოვანი სწორი, ზოგადი პროფილი გამოდრეკილი, ცხვირის წვეტი და ფუძე დაშვებული, თხელი ზედა ტუჩი და საშუალო სისქის ორივე ტუჩი.

თეთრიწყაროს ქართლელებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია: დიდი ყვრიმალთაშორისი დიამეტრი, ქვედაყბის დიამეტრი, პირი, ღია კანის ფერი, წარბების ძლიერი განვითარება, დაბალი ზედა ტუჩი, შერეული და ღია ფერის თვალის მაღალი პროცენტი, სწორი შუბლი, ცხვირის გამოდრეკილი ფორმა, ცხვირის წვეტის და ფუძის დაშვებული ფორმები.

ბოლნისის რაიონის ქართლელები შესწავლილი იყო 1952 წელს სოფლებში: ბოლნისი, ქვეში, კაზრეთი (n=100). ბოლნისის ქართლელებისათვის დამახასიათებელია: საშუალო სიგრძის სხეულის სიმაღლე, თავის გრძივი და განივი დიამეტრები საშუალო, თავის ქალას მაჩვენებელი ბრაქიკრანული, განიერი შუბლი, ყვრიმალთაშორისი დიამეტრი საშუალოზე დაბალი, მორფოლოგიური – საშუალო, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან საშუალო, ცხვირის სიმაღლე უნაგირიდან საშუალოზე პატარა, ცხვირი ვიწრო, პირი განიერი, ზედა ტუჩის სიმაღლე პატარა, ორივე ტუჩის სისქე საშუალო, თვალის ფერი შერეული, თვალის ჭრილი საშუალოზე ვიწრო, თვალის ჭრილის დახრა პორიზონტალური, შუბლი საშუალოდ დაქანებული, წარბზედა რკალი საშუალოდ გამოხატული, სახე პროფილირებული, ცხვირის უნაგირი საშუალო სიმაღლის, ცხვირის ზოგადი პროფილი გამოდრეკილი, ძელოვანი პროფილი სწორი, ხრტილოვანი გამოდრეკილი, ცხვირის წვეტი და ფუძე დაშვებული, ზედა ტუჩის პროფილი ორტოქეილური, ზედა ტუჩის სისქე ძალიან პატარა, ქვედა ტუჩი თხელი,

კანის ფერი ღია, თმოვანი საფარველი მკერდზე მცირეაა გავრცელებული, თმის ფერი წაბლისფერი, თმის ფორმა ფართოტალღოვანი.

განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიშნებია: განიერი შუბლი და ქვედაყბა, ვიწრო ცხვირი, განიერი პირი, მკერდზე მცირედ გამოხატული თმოვანი საფარველი, წარბები ხშირი, შუბლი სწორი, ცხვირის წვეტი დაშვებული, თხელი ტუჩები, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე რაოდენობა.

წალკის რაიონის ქართლები შესწავლილია 1952 სოფელ რეხაში (n=55).

წალკის ქართლებისათვის დამახასიათებელია: ძალიან დიდი ფიზიონომიური მახვენებელი, ასევე ძალიან დიდი სახის მორფოლოგიური სიმაღლე, ძალიან დიდი ცხვირისა და პირის სიგანე, ცხვირის დაშვებული ფორმების ძალიან დიდი პროცენტი. ასევე დამახასიათებელია ძლიერი თმოვანი საფარველი სახეზე, მკვეთრად გამოხატული ცხვირის ღარები, დაბალი და პროქილური ზედა ტუჩი, სახე ძალზედ მკვეთრად პროფილირებული, ძალიან გამოწეული ნიკაპი, სწორი შუბლის ძალიან დიდი პროცენტი, სხეულის სიმაღლე და თავის გრძივი დიამეტრი საშუალოზე დაბალი. თავის განივი, ყვრიმალთაშორის და ქვედაყბის დიამეტრები საშუალოზე მაღალი, კანის ფერი ღია, თმის ფერი ღია წაბლისფერი, თვალის ფერი შერეული, თვალის ჭრილი საშუალოზე ვიწრო, დახრა მეტია პროქსიმალურ კუთხეში, წარბზედა რკალი განვითარებული, ყვრიმალეები საშუალოზე სუსტად გამოხატული, ცხვირის განივი პროფილი საშუალო, საერთო პროფილი გამოდრეკილი, ხრტილოვანი სწორი, საერთო პროფილი გამოდრეკილი, ცხვირის წვეტი და ფუძე დაშვებული.

ამ ჯგუფის ტაქსონომიურად მნიშვნელოვანია: ძალიან დიდი შუბლის უმცირესი დიამეტრი, ძალიან დიდი სახის მორფოლოგიური სიმაღლე, ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირი, ცხვირის სიმაღლე უნაგირიდან, დიდი პირი, სწორი შუბლი, ძლიერ განვითარებული წარბზედა რკალი, ღია თვალის ფერის დიდი პროცენტი, ღია კანის ფერი და თვალის ზედა ქუთუთოს მცირე რაოდენობა.

ბორჯომის რაიონის ქართლები შესწავლილია 1952 წელს სოფლებში: დვირი და ტაძრისი (n=100).

ბორჯომის ქართლებისათვის დამახასიათებელია: სხეულის დიდი სიგრძე, საშუალო თავის გრძივი და განივი დიამეტრები, შუბლის უმცირესი დიამეტრი ძალიან დიდი, ქვედაყბის დიამეტრი ძალიან დიდი, სახის ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლეები დიდი, ძალიან განიერი ყვრიმალეები, ძალიან განიერი ქვედაყბის დიამეტრი, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან და უნაგირიდან საშუალო, ცხვირი ვიწრო, პირი განიერი, ზედა ტუჩის სისქე, ისევე როგორც ორივე ტუჩის სისქე საშუალო, თავის ქალა ბრაქიკრანული, კანის ფერი ღია, მკერდზე თმოვანი საფარველი საშუალოზე მეტად გამოხატული, თმები ღია ფერის, თმის ფორმა ტალღოვანი, წვერის ზრდა საშუალოზე ძლიერი, წარბები ხშირი, თვალის ქუთუთოს ნაოჭის მცირე რაოდენობა, თვალის ჭრილი პატარა, თვალის ჭრილის დახრა თვალის შიდა უკეშია (პროქსიმალურ კუთხეში), წარბზედა რკალი საშუალოდ გამოხატული, სახე პროფილირებული პორიზონტალურ სიბრტყეში, ყვრიმალეები საშუალოდაა განვითარებული, ცხვირის განივი პროფილი სწორი, ზოგადი პროფილი გამოდრეკილი, ცხვირის წვეტი და ფუძე დაშვებული, ზედა ტუჩის სიმაღლე პატარა, ზედა ტუჩის პროფილი ორტოქილური, ზედა ტუჩი თხელი, ქვედა ტუჩი სქელი.

სომატომეტრული ნიშნების განაწილება შესადარებელ ჯგუფებში

		სხეულის სიმაღლე	გრძობი დიამეტრი	განივი დიამეტრი	ვერტიკალური შუადიამეტრი	ქვედა ბის დიამეტრი	შუბლ. უმცირესი დიამეტრი	სახის ფიზიონომი	სახის მორფ. სიმ	ცხვირ. სიმაღ. წარბ-ან	ცხვირ. სიმ.უნ აგ-ან	ცხვირ. სიგანე	პირის ლის სიგანე	ორივე ტუჩის სისქე	ზედა ტუჩის სიმაღლე
1	ქართლები ხაშურის	164,6	185,6	155,1	141,9	108,7	105,3	180,9	124,5	56,1	52,6	36,6	55,7	15	13,5
2	ქართლები გორის	164,5	185,7	156,1	142,8	109,2	106,6	180,1	125,3	56,7	52,8	35,8	52,5	13,4	14,5
3	ქართლები თბილისის	167	188	155,8	143,6	110,2	107	181,8	125	55,5	52,3	36	56	15,4	13,3
4	ქართლები კასპის	167,2	187,7	156,8	144,8	109,7	107,2	184	125,7	56,6	53,6	36,2	49,5	14,4	14,2
5	ქართლები თეთრიწყაროს	167,3	188,5	156,9	143,7	111,6	108,5	182,3	127,2	57,2	53,4	36,6	53,3	14,3	13,9
6	ქართლები ბონისის	165,5	186,8	156,4	142,6	112,2	108,5	180,1	125,6	56,5	52,6	35,6	53,1	14,2	13,9
7	ქართლები წაღვის	165,5	185	157,6	143,3	109,3	109,6	183,3	128,7	58,6	56	37,5	54,3	14,2	13,7
8	ქართლები ბორჯომის	168,5	187,2	155,4	144,6	110,4	108,4	183,7	128,2	57,7	54,3	36,4	52,2	14,6	15,2
9	მესხი (მართლმადიდებლები)	165,1	182,8	156,5	143,3	110,1	110	178,8	123,9	55,5	52,8	36,5	53,2	13,2	14,2
10	მესხი (კათოლიკები)	165,3	183,8	156,6	143,1	108,7	109,3	180,1	125,2	55,9	53	36	52,2	14,1	10,9
11	ჯავახი (მართლმადიდებლები)	164,8	184,2	155,6	142,4	109	108,1	181,5	125,7	57,1	53,9	36	52,5	15,4	13,1
12	ჯავახი (კათოლიკები)	165	183,2	156,5	143,8	110,7	109,7	182,1	127,3	57,1	53,8	36,2	52,5	15	6,9
13	ოსები ჯავის	171,3	188,8	160,2	148	112,2	109	185	127,8	58,7	54,4	37,8	53	14	14,3
14	ოსები ცხინვალის	170,5	185,3	159,9	145,6	111,8	107,2	184,1	127,7	58,9	54,3	38	55,8	15,7	14,7
15	სომხები გორის	166,7	186,4	158,5	142,2	109,7	105,8	179,5	128	56,6	53	36	52,3	14,1	13,8
16	აზერბაიჯანელები მარნეულის	163,7	189,8	150,8	138,4	105,6	105	180	125,6	58,2	54,9	35,5	50,6	15,4	14,9
17	ასირიელები მცხეთის	162,7	180,4	156,3	142	109,5	106,6	181,6	127,3	59,1	54,9	36,9	52,4	15,4	15
18	ქურთები თბილისის	164,3	188,9	149,6	138,3	105,9	105,1	181,8	129,9	59,4	56,4	37,3	54,9	16	16,1
19	ბერძნები წაღვის(ურუმები)	165	185,1	157,4	143,5	109,5	107,5	184	130,6	57,3	55	36,8	52,8	15,5	16
20	ბერძნები თეთრიწყაროს	166,8	184	159,2	142,7	109,6	108	183	128,8	57,7	54,1	36,1	52,6	15,7	15,4
21	ხაშურის ებრეელები	163	185,7	156,5	143	107,4	107,2	182,8	128,7	56,8	53,1	36,5	51,9	15,1	15,4

სომატოსკოპური ნიშნების განაწილება შესადარებელ ჯგუფებში

ჯგუფები		შუბლის დახრა			წარბზედა რკალის განვითარება				სახის პროფილირება			ყვრიმალეების გამოსატ.			უნაგირის სიმაღლე			ცხვირ-ზურგ-განივი პროფილი		
		1	3	2	1	3	4	2	1	3	2	1	3	2	1	3	2	1	3	2
1	ქართლელები ხაშურის	2,8	84	13,2	59,5	7,5	0	33	1	87,7	11,3	71,7	1,9	26,4	0	79,2	20,8	0	95	4,7
2	ქართლელები გორის	0	92,2	7,8	80,6	0	0	19,4	0	84,5	15,5	81,6	0	18,4	0	92,2	7,8	0	98	1,9
3	ქართლელები თბილისის	3,1	84,5	12,4	72,2	1	2,1	24,7	0	86,6	13,4	73,2	0	26,8	0	84,5	15,5	0	97	3,1
4	ქართლელები კასპის	8,8	50	41,2	50,9	7,9	0	41,2	0	57	43	57	0	43	0	74,6	25,4	0	92	7,9
5	ქართლელები თეთრიწყაროს	13,3	58,1	28,6	69,4	5,1	0	25,5	1	73,5	25,5	68,4	2	29,6	0	70,4	29,6	0	90	10,2
6	ქართბოლნისი	7	62	31	70	6	0	24	0	86	14	83	1	16	0	81	19	0	98	2
7	ქართლ.ბორჯომი	0	83	17	66	2	0	32	0	88	12	85	0	15	0	74	6	0	100	0
8	ქართლელები წალკის	3,7	57,4	38,9	53,7	5,6	0	40,7	5,5	85,4	9,1	78,2	0	11,8	0	85,5	14,5	0	93	7,3
9	მესხი(მართმ)	0	8	92	90	10	0	0	0	6	94	96	4	0	0	10	90	0	0	100
10	მესხი (კათოლიკები)	1	7,6	91,4	81	17	1	1	0	6,7	93,3	89,5	9,5	1	0	13,3	86,7	0	1	99
11	ჯავახი(მართმ)	2	17,8	80,2	80,2	16,8	2	1	2	7,9	90,1	86,1	10,9	3	0	14,9	85,1	0	1	99
12	ჯავახი (კათოლიკები)	4	21,8	74,2	73,2	21,8	5	0	0	19,8	80,2	81,2	14,8	4	0	17,8	82,2	0	2	98
13	ოსები ჯავის	4	61	35	66	4	0	30	0	38	62	55	2	43	0	63	37	0	88	12
14	ოსები ცხინვალის	1,4	67,7	30,9	44,7	7,2	1,4	46,7	1,4	69,1	29,5	56,8	4,3	38,9	0	61,4	38,6	0	86	14,4
15	სომხები გორის	2	81	17	43,5	12,9	1	42,6	2	70,3	27,7	79,2	1	19,8	0	76	24	0	93	6,9
16	აზერბ.მარნ	5	58,4	36,6	64,4	6,9	0	28,7	5	38,6	56,4	51,5	2	48,5	0	52,2	47,5	0	95	5
17	ასირიელები მცხეთის	8,6	54,3	37,1	60	1,4	0	38,6	1,4	74,3	24,3	71,4	0	28,6	1,4	65,7	22,9	1,4	93	5,7
18	ქურთები თბილისის	12,3	44,5	43,2	45,8	11,1	1,2	41,9	3,7	59,3	37	72	2	26	2,6	66,6	31,8	2,5	81	17,5
19	ბერძნები (ურუმები)	7,8	61,8	30,4	37,2	10,8	2	50	2,9	62,8	44,3	67,6	4,9	27,5	0	87,3	12,7	0	92	7,9
20	ბერძნები (ბერძენ)	4,8	73,1	22,1	59,6	3,8	0	46,6	1	74	25	71,1	1	27,8	0	89,3	10,7	0	96	3,9
21	ხაშურის ებრაელები	2	83	5	78	3	0	19	0	86	14	89	2	9	0	86	14	0	100	0

ჯგუფები	თვალის ნაპრალის სიგანე			თვალის ნაპრალის დახრა			ნაოჭის %		თვალის ფერი			ცხვირის წვეტის მდებარეობა			ცხვირის ფუძის მდებარეობა			ძვლოვანი			ხრტილოვანი		
	1	3	2	1	3	2			0	1	2	1	3	2	1	3	2	1	3	2	1	3	2
1	0	0,9	99,1	0	5,7	94,3	60,4	39,6	17,8	76,5	5,7	31,5	22,8	45,7	17,8	27,7	54,5	4,8	42,8	52,4	24,7	18,1	57,2
2	3,9	0	96,1	1	3,9	95,1	83,5	16,5	9,7	80,6	9,7	20,4	32	47,6	18,4	37,9	43,7	1,9	34	64,1	2,9	23,3	73,8
3	0	0	100	0	0	100	63,9	36,1	11,3	75,3	13,4	16,5	39,2	44,3	14,4	40,2	45,4	3,1	43,3	53,6	16,5	33	50,5
4	3,5	17,7	78,8	1,8	14,1	84,1	52,6	47,4	6,2	59,6	34,2	18,4	26,3	55,3	10,5	27,2	62,3	0	42,5	57,5	10,6	11,5	77,9
5	3,1	0	96,9	5,1	12,2	82,7	63,3	36,7	6,1	82,7	11,2	14,3	46,9	38,8	16,3	46,9	36,8	2	50	48	18,4	24,5	57,1
6	1	1	98	2	8	90	55	45	2	75	23	17	41	42	18	37	45	2	42	56	14	24	62
7	6	1	93	2	6	92	62	39	12	71	17	8	55	37	16	53	31	3	53	44	12	25	63
8	1,8	1,8	96,4	3,6	3,6	92,8	69,1	30,9	3,6	74,5	21,9	23,6	51	25,4	16,4	56,3	27,3	1,8	49,1	49,1	7,3	18,2	74,5
9	2	98	0	2	94	4	80	20	17,8	76,5	5,7	31,5	45,7	22,8	22	48	30	2,5	52	45,5	14	68	18
10	3,8	90,5	5,7	1,9	94,3	3,8	85,7	14,3	9,7	80,6	9,7	20,4	47,6	32	18,1	46,7	35,2	2	35,2	62,8	11,4	67,6	21
11	3	92	5	1	96	3	67,3	32,7	11,3	75,3	13,4	16,5	44,3	39,2	27,8	36,7	35,5	2,9	31,7	65,4	7,9	75,3	16,8
12	0	96	4	1	94	5	74,2	25,8	6,2	59,6	34,2	18,4	55,3	26,3	28,7	45,6	25,7	2	39,6	58,4	12,9	66,3	20,8
13	10	19	71	4	7	89	44	56	8	67	25	19,2	41,4	39,4	21,2	33,3	45,5	0	37	63	10	11	79
14	2,2	14	83,8	8,6	3,6	87,8	63,3	26,7	13,7	74,1	12,2	26,6	25,2	48,2	25,2	28,8	46	8,6	48,9	42,5	20,9	26,6	52,5
15	5	25	70	5	5,9	89,1	59,4	40,6	7	60,3	32,7	27	28	45	27,7	26,7	45,6	5,9	42,9	51,2	38,6	30,7	30,7
16	4	13,8	82,2	2	16,8	81,2	47,5	52,5	2	48,5	49,5	22	45	33	32,7	22,8	44,5	0	35,6	64,4	7,9	14,9	77,2
17	5,7	2,9	91,4	2,8	24,3	72,9	38,6	61,4	5,7	42,9	51,4	14,2	42,9	40,9	18,6	45,7	35,7	1,4	42,9	55,7	7,1	20	72,9
18	17,3	8,7	74	7,4	17,3	75,3	64,2	35,8	2,4	27,6	70	23,4	53,2	24	24,7	50,6	24,7	10	41,2	48,8	18,8	21,2	60
19	7,8	2	90,2	6,9	9,8	83,3	57,9	42,1	3,9	76,2	19,9	27,7	32,7	39,6	31,7	34,6	33,7	5	32,6	62,4	21,8	12,9	65,3
20	4,8	3,9	91,3	4,8	10,6	84,6	69,2	30,8	7,8	73,8	18,4	18,4	56,4	24,2	17,5	53,3	29,2	1,9	41,7	56,4	18,4	9,8	71,8
21	1	6	93	2	4	94	60	40	7	77	16	24	40	36	20	40	40	0	43	57	9	16	75

ცხრ.№2 გაგრძელება

ჯგუფები	საერთო პროფილი				ზედა ტუნის სისქე				ქვედა ტუნის სისქე				ზედა ტუნის პროფილი			წვერის ზრდა (25 წლ. შემდეგ)				
	1	2	4	3	1	2	3	4	1	2	3	4	1	3	2	1	2	4	5	3
1	13,3	37,2	12,3	37,2	39,1	42,4	18,5	0	14,1	43,5	41,3	1,1	15	12	73	0	6,8	35,1	12,3	45,8
2	2,9	55,3	1	40,8	33,3	61,3	4,3	1,1	11,8	80,6	5,4	2,2	10,8	15	74,2	1,3	0	48,7	5,1	44,9
3	6,2	37,1	10,3	46,4	46	48,3	5,7	0	20,7	59,8	18,4	1,1	10,3	13,8	75,9	0	6,3	31,2	27,5	35
4	5,3	46,9	8	39,8	28,8	64,9	6,3	0	17,1	72,1	10,8	0	11,7	20,7	67,6	0	2,5	63,3	20,3	13,9
5	11,2	31,6	7,2	50	50,6	46,4	2,2	0	21,4	53,9	24,7	0	15,7	25,9	58,4	2,7	1,4	28,3	25,7	41,9
6	11	39	4	46	54,6	45,4	0	0	28,9	55,7	15,4	0	13,4	24,7	61,9	0	0	18,6	17,1	64,3
7	6	35	8	51	35,3	61,5	3,2	0	17,2	59,1	22,6	1,1	8,6	17,2	74,2	2,5	3,8	37,5	28,7	27,5
8	3,6	41,8	3,6	51	40	56	4	0	24	50	26	0	11,7	29,8	58,5	0	0	47,4	18,4	34,2
9	8	50	36	6	43,5	56,5	0	0	19,6	60,8	19,6	0	17,4	13,1	69,5	0	0	35,2	32,4	32,4
10	6,7	37,1	50,5	5,7	36,6	61,4	2	0	20,8	61,4	17,8	0	8,9	6,9	84,2	0	7,6	41,8	24	26,6
11	5,9	33,7	57,4	3	27,4	63,1	9,5	0	8,4	69	22,6	0	9,5	11,9	78,6	0	2,9	44,4	37,1	15,6
12	8,9	41,6	45,5	4	25,8	73	1,2	0	7,9	65,2	26,9	0	10,1	12,4	77,5	1,3	2,6	42,8	24,7	28,6
13	1	58	10	31	40	53,7	6,3	0	24,2	64,2	11,6	0	18,9	20	61,1	0	1,4	52,7	13,5	32,4
14	13	34,5	10,8	41,7	32	54,9	12,3	0,8	13,9	48,4	36,1	1,6	8,2	19,7	72,1	0	10,5	28,5	14,3	46,7
15	15,8	17,8	24,8	41,6	27,5	72,5	0	0	12,1	71,4	16,5	0	19,8	11	69,2	0	6,1	32,8	13,6	47,5
16	4	56,5	4,9	34,6	22,3	72,3	5,4	0	8,5	64,9	26,6	0	27,7	22,3	50	1,3	6,6	42,4	14,5	35,2
17	7,1	41,5	1,4	50	27,7	66,2	6,1	0	9,1	65,1	25,8	0	17,2	7,8	75	0	4,1	55,1	20,4	20,4
18	12,5	35	11,2	41,3	43,2	52,6	4,2	0	12,2	58,1	29,7	0	16,9	7	76,1	3,2	4,8	42,8	28,6	20,6
19	16,8	47,6	8,9	26,7	37,4	59,6	3	0	14,1	61,6	24,3	0	11,1	13,1	75,8	0	10,2	48,7	9	32,1
20	11,6	44,7	7,8	35,9	48,1	48,1	3,8	0	8,7	59,6	31,7	0	26,2	12,6	61,2	2,6	8,7	25	15	48,7
21	4	50	5	41	27,4	66,7	5,9	0	8,3	60,7	28,6	2,4	21,4	2,4	76,2	2,8	4,2	35,3	18,3	39,4

ცხრ.№2 გაგრძელება

ჯგუფები	მკერდზე თმის საფარველის განვითარება (25 წლ. შემდეგ)					წარბები			თმების ფორმა				ნიკაპი			ნესტოების მდებარეობა			ზედა ტუჩის კანის ნაწ. შიშ		
	1	2	4	5	3	1	3	2	1	2	3	4	1	2	3	1	2	3	1	2	3
1	25,7	20,3	27	8,1	18,9	1	34,9	64,1	95,2	4,8	0	0	2,8	4,7	92,5	0	59	41	13	84,8	2,2
2	23,1	10,3	17,9	11,5	37,2	2	33,3	64,7	92	1	7	0	0	4,9	95,1	1,9	57,3	40,8	10,8	84,9	4,3
3	21,2	16,3	17,5	16,2	28,8	0	32	68	95,7	3,2	1,1	0	0	2,1	97,9	1	49,5	49,5	9,2	79,8	11
4	29,1	30,4	10,1	7,6	22,8	7,9	45,6	46,5	47,9	40,4	11,7	0	0,9	28,1	71	0	47,4	52,6	17,1	80,2	2,7
5	39,2	6,8	12,1	18,9	23	1	41,8	57,2	93,1	6,9	0	0	0	4,1	95,9	0	33,7	66,3	12,4	76,6	11
6	45,7	20	8,6	8,6	17,1	3	44	53	93,3	6,7	0	0	5	3	92	2	26	72	4,1	92,8	3,1
7	31,2	10	6,2	18,8	33,8	0	42	58	93,3	6,7	0	0	0	2	98	1	10	89	9,6	88,2	2,2
8	31,6	23,7	21,1	15,8	7,8	3,7	34,5	61,8	87,8	9,8	0	2,4	1,8	12,7	85,5	3,6	30,9	65,5	14	86	0
9	16,2	8,2	18,9	16,2	40,5	2	52	46	97,7	2,3	0	0	0	0	100	0	24	76	6,6	93,4	0
10	19	19	22,8	13,9	25,3	1	60	39	91,8	7,1	1,1	0	0	1	99	1	6,7	92,3	10,9	88	1
11	22,9	14,3	15,7	12,8	34,3	1	49,5	49,5	98,9	1,1	0	0	0	1	99	0	6,9	93,1	13,1	84,5	2,4
12	29,8	15,6	18,2	13	23,4	0	55,4	44,6	91,6	7,4	1	0	0	2	98	0	5	95	6,9	90,1	3
13	52,7	27	2,7	0	17,6	1	19	80	46	38,2	15,8	0	0	12	88	2	60	38	9,5	89,5	1
14	35,6	15,3	21,2	6,7	21,2	2,9	14,4	82,7	95,5	4,5	0	0	0	14,4	85,6	4,3	59,7	36	5,7	64,8	29,5
15	9,1	31,8	12,1	13,6	33,4	1	47,5	51,5	82,1	12,6	1,1	4,2	0	0	100	0	59	41	20,9	79,1	0
16	32,9	35,5	6,6	3,9	21,1	7,9	30,7	61,4	47,8	41,3	6,6	4,3	0	5	95	1	78,2	20,8	5,3	94,7	0
17	26,5	16,3	16,3	22,5	18,4	5,7	37,1	57,2	72,2	22,2	5,6	0	1,4	5,7	92,9	1,4	57,2	41,4	3	97	0
18	41,5	26,3	9,2	9,2	23	6,2	32,1	61,7	63,4	28,3	8,3	0	2,5	17,5	80	5	33,3	61,7	2,7	89,3	8
19	52,6	16,7	7,7	11,5	11,5	2,9	36,9	60,2	84,6	12,8	1,3	1,3	0	7,9	92,1	2	27,4	70,6	4	87	9
20	50	16,2	8,8	15	10	2,9	39,4	57,7	86,6	12,2	1,2	0	0	3,9	96,1	0	30,8	69,2	6,7	88,5	4,8
21	25,4	11,3	19,7	14	29,6	2	34	64	95,2	2,4	1,2	1,2	0	4	96	1	52	47	9,5	79,8	10,7

ტაქსონომიურად ამ ჯგუფისათვის მნიშვნელოვანია: სხეულის დიდი სიმაღლე, სახის დიდი ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლე, განიერი შუბლი, განიერი ყვრიმალეები, განიერი ქვედა ყბა, ვიწრო ცხვირი, კანის ფერი თეთრი, ხშირი წარბები, თვალის ქუთუთოს მცირე პროცენტი, ღია და ვიწრო თვალები, ცხვირის გამოდრეკილი პროფილი, წვეტი და ფუძე დაშვებული..

მესხები (მართლმადიდებელი) შესწავლილია 1952 წელს ახალციხის რაიონის სოფლებში: გოკიო, ვალე, მუხკი (n=50).

მართლმადიდებელი მესხები ხასიათდებიან: ძალიან დიდი თავის მაჩვენებლით (ბრაქიკრანით), დაბალი გრძივი დიამეტრით და ძალიან დიდი განივი დიამეტრით, გულმკერდსა და სახეზე თმოვანი საფარველის ძლიერი განვითარებით, ძალზედ მკვეთრად გამოხატულია ზედა ქუთუთოს ნაოჭი, ძალზედ მკვეთრად წამოწეულია ნიკაპი, ძალზედ მაღალია ცხვირის უნაგირი, ცხვირის წვეტის დაშვებული ფორმების ძალზედ დიდი პროცენტი, ძალიან დაბალი სახის ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლე, დიდი ქვედაყბის დიამეტრი, ზედა ტუჩის პროქვილური ფორმების მცირე რაოდენობა, აგრეთვე, ზედა და ქვედა ტუჩების თხელი ფორმების მცირე პროცენტი, თმის სწორი ფორმის დიდი პროცენტი, ღია კანის ფერი, თვალის ჭრილი საშუალო, თვალის ჭრილის დახრა პროქსიმალური, დახრილი შუბლი, მცირედ გამოხატული წარბზედა რკალი, სახე მკვეთრად პროფილირებული, ყვრიმალთაშუა დიამეტრი მცირე, საშუალოზე დაბალი სხეული.

ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი ნიშნებია: გულმკერდსა და სახეზე თმოვანი საფარველის ძალიან ძლიერი განვითარება, მკვეთრად გამოხატული ზედა ქუთუთოს ნაოჭი, ძალზედ მკვეთრად პროფილირებული სახე, ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირი, ცხვირის წვეტის ჩამოწეული ფორმების ძალიან დიდი პროცენტი, სახის ძალიან დაბალი ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლე, თვალის ვიწრო ჭრილი, შუბლის სწორი ფორმის ძალიან დიდი პროცენტი.

მესხები (კათოლიკე) შესწავლილია 1952 წელს სოფლებში: ვალე (ადიგენის რაიონი) და უდე (ახალქალაქის რაიონი) (n=105).

კათოლიკე მესხებისათვის დამახასიათებელია: სხეული – საშუალოზე დაბალი, საშუალოზე დაბალი სახის ფიზიონომიური და საშუალო მორფოლოგიური სიმაღლე, ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირი, დიდი ყვრიმალთაშუა დიამეტრი, გულ-მკერდზე თმოვანი საფარველის ძლიერი განვითარება, ძალზედ მკვეთრად წამოწეული ნიკაპი, ზედა ტუჩის პროქვილური ფორმების დიდი პროცენტი, ზედა და ქვედა ტუჩების თხელი ფორმების დიდი პროცენტი, განიერი შუბლი, დიდი ქვედაყბა, ვიწრო ცხვირი, საშუალოზე დიდი პირის ნაპრაღი, თავის მაჩვენებელი ბრაქიკრანული, კანის ფერი ღია, ხშირი, ხუჭუჭი თმა, თვალის ჭრილი პატარა, დახრა შიდა კუთხეში, წარბზედა რკალი სუსტად განვითარებული, ძვლოვანი პროფილი ჩაზნექილი, ზოგადი პროფილი ჩაზნექილი, ცხვირის წვეტი დაწეული, ცხვირის ფუძე დაწეული.

ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი ნიშნებია: მცირე თავის გრძივი დიამეტრი და სხეულის სიმაღლე, განიერი შუბლი, ვიწრო ცხვირი, ვიწრო ყვრიმალეები, წარბზედა რკალი სუსტად განვითარებული, ხშირი წარბები, ცხვირის ძვლოვანი პროფილი ჩაზნექილი, ცხვირის წვეტი დაშვებული, ზედა ტუჩის მცირე სიმაღლე.

ჯავახები (მართლმადიდებელი) შესწავლილია 1952 ახალქალაქისა და ასპინძის რაიონების სოფლებში: გიკო, ბარალეთი, ვარგავი, ტოკი, სარო (n=101).

მართლმადიდებელი ჯავახებისათვის დამახასიათებელია: სხეულის მცირე სიგრძე, პატარა თავის გრძივი დიამეტრი, საშუალო განივი დიამეტრი, განიერი შუბლი, ყვრიმალეები საშუალოზე მეტად გამოსატული, ქვედაყბა განიერი, დაბალი სახის ფიზიონომიური სიმაღლე, სახის მორფოლოგიური სიმაღლე საშუალო, ზედა ქუთუთოს ნაოჭი მცირე, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, სახეზე თმოვანი საფარველის ძლიერი განვითარება, მკვეთრად წამოწეული ნიკაპი, ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირი, ცხვირის საერთო პროფილში შეიმჩნევა ჩაზნექილი ფორმების დიდი პროცენტი, თავის დიდი მახვენებელი (ბრაქიკრანული) და განივი დიამეტრი, ცხვირის ხრტილოვან ნაწილში ჩაზნექილი ფორმების დიდი პროცენტი, კანის ფერი ღია, თმის ფორმა ტალღოვანი, თვალის ჭრილი პატარა, თვალის ჭრილის დახრა პროქსიმალური, შუბლის ფორმების უმეტესობა საშუალოდ დახრილი, წარბზედა რკალის სუსტი განვითარება, ცხვირის წვეტი დაშვებული, ცხვირის ფუძე სწორი, დაბალი ზედა ტუჩი, ზედა ტუჩი პროქეილური, ტუჩები საშუალოზე სქელი.

ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი ნიშნებია: გულმკერდსა და სახეზე თმოვანი საფარველის ძლიერი განვითარება, ძალზედ მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი, სახის ძალზედ მცირე მორფოლოგიური სიმაღლე, თვალის ძალზედ ვიწრო ჭრილი, სწორი ფორმის შუბლის ძალიან დიდი პროცენტი, ცხვირის ხრტილოვან ნაწილში ჩაზნექილი ფორმების დიდი პროცენტი, ზედა პროქეილური ტუჩი ძალიან დაბალი.

ჯავახები (კათოლიკე) შესწავლილია 1952 წელს ასპინძისა და ახალქალაქის სოფლებში: ბარაღეთი, გოკიო, ხიზაბავრა (n=101).

კათოლიკე ჯავახებს ახასიათებთ: სხეულის მცირე ზომა, მცირე თავის გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, ძალიან განიერი შუბლი, ყვრიმალეები და ქვედაყბა, საშუალოზე მაღალი, სახის ფიზიონომიური და მორფოლოგიური სიმაღლეები, საშუალოზე მაღალი ცხვირის სიმაღლე წარბებიდან და უნაგირიდან, ცხვირი ვიწრო, პირი განიერი, თავის მახვენებელი ძალიან დიდი (ბრაქიკრანული), სახის თმოვანი საფარველი ძალზედ ძლიერ განვითარებული, მკვეთრად გამოსატული ზედა ქუთუთოს ნაოჭი, წინ წამოწეული ნიკაპი, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის წვეტისა და ფუძის დაშვებული ფორმების დიდი პროცენტი, სწორი ფორმის თმის დიდი პროცენტი, ცხვირის ძვლოვანი და ხრტილოვანი პროფილი ჩაზნექილი, პროქეილური და დაბალი ზედა ტუჩი, საშუალო სისქის ზედა და სქელი ქვედა ტუჩი.

ტაქსონომიურად მნიშვნელოვანია: ძალზედ დიდი შუბლის უმცირესი სიგანე, სახეზე თმოვანი საფარველის ძალზედ ძლიერი განვითარება, მკვეთრად პროფილირებული სახე, ძალიან მაღალი ცხვირის უნაგირი, ძალზედ გამოწეული ნიკაპი.

ჯავის რაიონის ოსებს შესწავლილია ახასიათებთ: დიდი სხეულის სიმაღლე, თავისა და სახის დიდი განივი ზომები, მაღალი სახის ფიზიონომიური სიმაღლე და ცხვირის სიმაღლე წარბებიდან, განიერი ცხვირი, თხელი ტუჩები, სუსტი წარბებისა და თმოვანი საფარველის ზრდა მკერდზე, თვალის ზედა ქუთუთოს ნაოჭის დაბალი პროცენტი, სახე სუსტად პროფილირებული, მკვეთრად გამოსატული ყვრიმალეებით, ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის განივი პროფილი დაბალი, ვერტიკალური სწორი, წვეტი დაქანებული, ზედა ტუჩის პროფილი პროქეილური.

ცხინვალის რაიონის ოსებს შესწავლილია ახასიათებთ: მაღალი თავის მახვენებელი, სხეულის დიდი სიმაღლე, თავის განივი დიამეტრი და ყვრიმალთაშუა დიამეტრი დიდი,

ცხვირის სიმაღლე წარბებიდან დიდი, ცხვირი განიერი, ტუჩები სქელი, ღია კანისა და თვალუბის ფერი, წვერის სუსტი ზრდა, თვალის ჭრილი ვიწრო, მკვეთრად გამოხატული ყვრიმალეები, ცხვირის უნაგირი საშუალო, ვერტიკალური პროფილი ხრტილოვან ნაწილში სწორი, წვეტი და ფუძე აწეული, ცხვირის ფრთები მაღალი და გამოხატული.

გორის სომხები შესწავლილია 1952 გორის რაიონის სოფლებში ტყვიავი და კარაღეთი (n=100).

